საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

თამაზ ხმელიძე, ზურაბ ქაშიაშვილი,
თამარ ვანიშვილი, მედეა რჩეულიშვილი

ქართული კულტურა და ხუროთმოძღვრება

თბილისი
2023

უაკ 721.054.727

ქართული კულტურა და ხუროთმოძღვრება. პროფესორ თამაზ ხმელიძის საერთო რედაქციით/თამაზ ხმელიძე, ზურაბ ქაშიაშვილი, თამარ ვანიშვილი, მედეა რჩეულიშვილი. თბილისი გამომცემლობა „უნივერსალი“, 2023. – 482 გვ.

მონოგრაფიაში განხილულია ძველი, შუა საუკუნეებისა და თანამედროვე ქართული კულტურის, მშენებლობისა და არქიტექტურის განვითარების მოკლე ისტორია. აღწერილია საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხების (ქართველები, აფხაზები, ოსები, სომხები, ებრაელები, ბერძნები, ჩრდილოკავკასიელები და სხვ.) მიერ მრავალი ათეული საუკუნის მანძილზე შექმნილი კულტურისა და ხელოვნების ნიმუშები, გელათის, იყალთოს, ათონის მთის სავანეთა დიდი ტრადიციები. მკითხველისათვის დახვეწილი ქართული ენით მიწოდებულია საქართველოში და მის საზღვრებს გარეთ არსებული ტაძრების, ეკლესია-მონასტრების, ციხესიმაგრეთა, ბაზილიკებისა და სამლოცველოების აღწერილობა, არქიტექტურა, ჩუქურთმებისა და შემორჩენილი ფრესკების სიდიადე, მათი მნიშვნელობა მსოფლიო კულტურისა და აზროვნების განვითარებაში. განხილულ მასალას თან ახლავს ფერადი ფოტოსურათები და დანართი, რომელშიც წარმოდგენილია ქართულ ენაზე შედგენილი, ორნამენტულ მოტივებთან დაკავშირებული სამშენებლო ტერმინები.

განკუთვნილია საქართველოს უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლების სტუდენტების, ხელოვნებათმცოდნეების, არქიტექტორების, აგრეთვე ყველა იმ პირისათვის, ვისაც უყვარს და პატივს სცემს უძველეს ქართულ კულტურასა და ხუროთმოძღვრებას.

რეცენზენტები: პროფესორი, არქიტექტორი **თენგიზ მახარაშვილი**

პროფესორი, ინჟინერ-მშენებელი **ირაკლი ქვარაია**

თამაზ ხმელიძე, ზურაბ ქაშიაშვილი, თამარ ვანიშვილი, მედეა რჩეულიშვილი, 2023
ISBN

Georgian Technical University

Tamaz Khmelidze, Zurab Kashiashvili,

Tamar Vanishvili, Medea Rcheulishvili

Georgian culture and architecture

თბილისი
2023

UDC 721.054.727

Georgian culture and architecture. Edited by Professor Tamaz Khmelidze / Tamaz Khmelidze, Zurab Kashiashvili, Tamar Vanishvili, Medea Rcheulishvili. Tbilisi, publishing house "Universal" 2023. - 507 p.

The monograph discusses a brief history of ancient, medieval, and modern Georgian culture, construction, and architectural development. The works of culture and art created by the peoples living in the territory of Georgia (Georgians, Abkhazians, Ossetians, Armenians, Jews, Greeks, North Caucasians, etc.) throughout many centuries, the great traditions of the monasteries of Gelati, Ikalto, Mount Athos are described. The description of the temples, churches-monasteries, fortresses, basilicas, and chapels in Georgia and outside its borders, the architecture, the greatness of the carvings and preserved frescoes, their importance in the development of world culture and thought are provided to the readers in sophisticated Georgian language. The discussed material is accompanied by color photographs and an appendix, which presents construction terms related to ornamental motifs compiled in Georgian.

It is intended for students of higher technical institutions of Georgia, art historians, architects, and all those who love and respect the ancient Georgian culture and architecture.

Reviewers: Professor, architect **Tengiz Makharashvili**

Professor, civil engineer **Irakli Kvaraia**

Tamaz Khmelidze, Zurab Kashiashvili, Tamar Vanishvili, Medea Rcheulishvili, 2023

ISBN

წინასიტყვაობა

საქართველო ეგვიპტის, შუამდინარეთის, ბიზანტიის, რომის, სპარსეთის, ინდოეთის, ჩინეთის, სომხეთის და სხვა ქვეყნების დარად მსოფლიოს უძველესი ცივილიზაციის ნაწილია. მის ტერიტორიაზე აღმოჩენილია გორასამარხები, ნამოსახლარები და ადამიანთა მოღვაწეობის დამადასტურებელი არტეფაქტები, რომლებიც პალეოლითის, ნეოლითის და ენეოლითის ხანას მიეკუთვნება. პირველი ქართული სახელმწიფო (იბერია) ჩამოყალიბდა ძვ. წ. IV საუკუნეში, ქართული ანბანის გამავრცელებლისა და ქართული მწიგნობრობის ფუძემდებლის, მეფე ფარნავაზის მეფობის პერიოდში, რომლის ცხოვრება აღწერილია ძველი ქართული საისტორიო თხზულებათა კრებულში, ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიის ძირითად წყაროში სახელწოდებით „ქართლის ცხოვრება“. ძვ. წ. I ათასწლეულის ბოლოს კი საქართველოს ტერიტორიაზე ქართველური ტომებით დასახლებული ორი ძლიერი სახელმწიფო – კოლხეთი და იბერია არსებობდა, სადაც უმაღლეს დონემდე იყო აყვანილი მიწათმოქმედება, ხელოსნობა, ოქროს მოპოვება და დამუშავება, რასაც მოწმობს არა მარტო ისტორიული წყაროები, არამედ საყოველთაოდ ცნობილი მითიც არგონავტების შესახებ. ეს სახელმწიფოები იმდროინდელი მსოფლიოსათვის პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო თვალსაზრისით ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენდა სამხრეთ კავკასიის რეგიონში.

IV საუკუნიდან, როდესაც საქართველოში ქრისტიანობა შემოვიდა [326 წ. (ზოგიერთი მკვლევარის აზრით 337 წ.) მეფე მირიანის მმართველობის პერიოდში, ქართლის სამეფოში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა], ფაქტობრივად განისაზღვრა ქვეყნის დასავლური კულტურულ-პოლიტიკური კურსი და ქართველების ისტორიული მომავალი.

საქართველო ყოველთვის იმყოფებოდა რთულ გეოპოლიტიკურ სივრცეში (აგრესიულად განწყობილი მაჰმადიანური ქვეყნებისა და მომთაბარე ტომების გარემოცვაში), რის გამოც უამრავი შემოსევა გადაიტანა და მაინც შეინარჩუნა თვითმყოფადობა, კულტურა და ადგილი ისტორიაში. ამის დასტურია საქართველოში აგებული ოცი ათასამდე საეკლესიო და საერო დანიშნულების ძეგლი, რომელთა დიდი ნაწილი (სვეტიცხოველი, მცხეთის ჯვარი, ბოლნისი, ბაგრატი, ალავერდი, სამთავრო, გელათი, ნიკორწმინდა, ვარძია, დავითგარეჯა, ხერთვისი, გორის ციხე, გერგეტი, ბეთანია, სვანური და ხევსურული ციხე-კოშკები და სხვ.) შესულია მსოფლიოს კულტურის საგანძურში.

ნაშრომის მიზანია დაეხმაროს მკითხველს შეიძინოს ცოდნა უნიკალური და უმდიდრესი ქართული კულტურული მემკვიდრეობის შესახებ ანტიკური ცივილიზაციიდან დღემდე, გაეცნოს მის როლს ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბების, შენარჩუნებისა და განვითარების საქმეში. გააცნობიეროს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიული დანიშნულება ქვეყნის პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში.

ნაშრომის მომზადებისათვის ძირითადად გამოყენებული იყო 2018 წელს გამოცემული წიგნი „ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლები“ (ავტორები: თამაზ ხმელიძე, გელა ყიფიანი, კახაბერ ხმელიძე, თამარ ვანიშვილი). მას დაემატა ქართული კულტურისა და ხუროთმოძღვრების შედარებით გაფართოებული ისტორიები გადამუშავებული სახით, 70-ზე მეტი საეკლესიო და 14 საერო ხუროთმოძღვრების ძეგლის აღწერილობა. დანართში შეტანილია უმნიშვნელო ცვლილებები.

ავტორები დიდ მადლობას უხდიან საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დაზაინის ფაკულტეტის პროფესორს, ხელოვნებათმცოდნეს **ლიანა გიორგობიანს** ნაშრომის ტექსტის მომზადებაში გაწეული ქმედითი დახმარებისათვის.

მონოგრაფიაში შესაძლებელია იყოს გარკვეულ ხარვეზები. მართებულ, საქმიან და საგნობრივ შენიშვნებს ავტორები მიიღებენ მადლიერებითა და გაითვალისწინებენ შემდგომ მუშაობაში.

თავი 1. ქართული კულტურის განვითარების მოკლე ისტორიული მიმოხილვა

1.1. ქვის, ბრინჯაოს, რკინისა და ანტიკური ხანა (ძვ. წ. 2,5 მლნ წლის წინ – ჩვ. წ. V ს)

ადამიანის მოღვაწეობის უძველესი კვალი საქართველოს ტერიტორიაზე პალეოლითის ხანას (ძველი ქვის ხანა: ძვ. წ. 2,5 მლნ წლის წინ – ძვ. წ. მე-10 ათასწლეულამდე) მიეკუთვნება. არქეოლოგიური კვლევა-ძიებით გამოვლენილია, აგრეთვე, ნამოსახლარები, გორასამარხები და ადამიანთა მოღვაწეობის დამადასტურებელი არტეფაქტები ნეოლითისა (ახალ ქვის ხანა: ძვ. წ. მე-12 – მე-2 ათასწლეულები) და ენეოლითის (სპილენძ-ქვის ხანა: ძვ. წ. მე-4 - მე-3 ათასწლეულები) ხანაშიც.

საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ჩვენი წინაპარი უძველესი მთავარი ქართველი ტომები იყვნენ: ქართები, მეგრელ-ჭანები და სვანები. ეს ტომებიც თავის მხრივ ცალკე თემებად იყოფოდნენ. ქართების თემები იყვნენ ქართლელები, კახელები, ფშავ-ხევსურები, მთიულ-მოხევეები, იმერლები, გურულები, რაჭველები, ლეჩხუმლები, აჭარლები, მესხები, ჯავახები, შავშვები, კლარჯები და სხვ. (ივ. ჯავახიშვილი). ქართველების წინაპრებად მცირე აზიაში მცხოვრები ხეთები და სუბარები მოიაზრება. ისტორიულად ამ ხალხმა ასწავლა კაცობრიობას ხორბლისა და ყურძნის კულტურის მოყვანა, მესაქონლეობა, რკინის მეტალურგია და სხვ. ძველი წელთაღრიცხვით მეორე ათასწლეულის ბოლოს სამხრეთ კავკასიის მიწა-წყალზე მცირე აზიიდან გადმოსული ხეთურ-სუბარული მოსახლეობა სახლობს. ამ პერიოდში მთავრდება ბრინჯაოს ხანა და იწყება ადრეული რკინის ხანა. ქართველური ტომების იმდროინდელი კულტურის შესახებ არავითარი წერილობითი წყარო არ მოიპოვება, მხოლოდ არქეოლოგიური მასალის საშუალებით შეგვიძლია ვიმსჯელოთ. მცხეთაში, ახალგორში, ვანში, კოლხეთის დაბლობზე, თრიალეთში ჩატარებულმა გათხრებმა უმდიდრესი მასალა შეგვძინა, რომლებიც თვალსაჩინოდ ამჟღავნებენ საქართველოს მოსახლეობის განვითარების მაღალ დონეს.

ქართველ ტომთა განვითარების ყველაზე ადრინდელი საფეხური პირველყოფილი თემური წყობილება იყო, რომელიც ყველაზე კარგად უბატონო სვანეთში შემორჩა. აქ რამდენიმე სოფლის კავშირი შეადგენდა თემს, რომლის სათავეში იდგა თემის ყველაზე დაფასებული პიროვნება – მახვში (უფროსი) და სათემო ყრილობა. მახვში ყრილობის გარეშე გადაწყვეტილებებს არ იღებდა. უდიდესი სასჯელი თემიდან გაძევება იყო, – ასეთი ადამიანი მიუსაფარი ხდებოდა და მას მოსარჩლე აღარავინ ყავდა. თემური წყობილება საქართველოს სხვა კუთხეებშიც საკმაოდ გავრცელებული იყო. ამ წყობილების ბოლოს ცივილიზაციაში გამოჩნდა სპილენძის, მერე ბრინჯაოსა და ბოლოს რკინის იარაღი, რამაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ადამიანის ყოფითი საქმიანობა. ქართველმა ტომებმა ადრე ისწავლეს ლითონის დამუშავება (სირიელების, ურარტუელების, ეგვიპტელების, ინდოელების პარალელურად), შესაბამისად ჩვენი ერის ისტორიაშიც ლითონის იარაღი უფრო ადრე გამოიყენებოდა, ვიდრე ევროპის ქვეყნებში.

კულტურა ადამიანთა გარკვეული ჯგუფის (ხალხის) წიაღში ჩამოყალიბებული მატერიალურ და სულიერ ფასეულობათა ერთობლიობაა, რომელიც დროთა განმავლობაში, დამწერლობისა და საკუთარი ტერიტორიის არსებობის პირობებში, ქმნის საკუთარ ცივილიზაციას.

უძველესი კულტურის მქონე საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებმა ხალხებმა (ქართველები, აფხაზები, ოსები, სომხები, ებრაელები, ბერძნები, ჩრდილოკავკასიელები და სხვ.) ათეულობით საუკუნის მანძილზე საკუთარი თვითმყოფადი კულტურა და ხელოვნება შექმნა. ქართული კულტურა მსოფლიო ცივილიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მონაპოვარია და განიხილება სხვა ქვეყნების კულტურებთან ერთიანობაში. საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა (დიდი სავაჭრო გზების გასაყარზე, აზიისა და ევროპის საზღვარზე, აღმოსავლეთისა და დასავლეთის მსოფლიოში აღიარებულ ცენტრებს შორის) განაპირობებდა ქარ-

თველების მუდმივ ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის, თუმცა იმავე მოხერხებულმა მდებარეობამ საშუალება მისცა მათ კულტურული ურთიერთობა დაემყარებინათ მეზობელ ქვეყნებთან, როგორიც იყო ჯერ აქამენელთა, შემდეგ კი სასანიანთა ირანი, ელინისტური აღმოსავლეთი და რომის იმპერია.

ძვ. წ. VI საუკუნეში საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ქართველურ ტომებს [კოლხები, იბერები, სასპერები, მოსინიკები, მოსხები, ხალიბები, მატიანები, ტიბარები, კაბადუკიელები (ძველი სახელი კატპატუკა, რაც ძველსპარსულად თეთრი ცხენების ქვეყანას ნიშნავს)] აღმოსავლეთით ესაზღვრებოდა მიდია, სამხრეთით – არმენია და კილიკია, ხოლო სამხრეთ-დასავლეთით – პაფლაგონია, ფრიგია, ლიდია და ხმელთაშუაზღვასპირა იონია. ძვ.წ. V-IV საუკუნეების ქართლის კულტურულ მდგომარეობას თვალნათლივ გვიჩვენებს ცნობილი „ახალგორის განძი“ – ქსნის ხეობაში ნაპოვნი ძვირფასი ნივთები (არქეოლოგიური გათხრები წარმოებდა 1908 წელს. მდიდრულ სამარხში აღმოჩნდა: ცხენის აღაზმულობის ნაწილები, ჭურჭელი, სარიტუალო ნივთები; ოქროს სასაფეთქლე საკიდები, საყურეები, გომბეშოს გამოსახულებიანი ყელსაბამი, რკალგახსნილი ბეჭდები; ოქროსა და ვერცხლის ფირფიტები, ბრინჯაოს რგოლები და ცხენის ლაგმები და სხვ. აღსანიშნავია, რომ ოქროს ნივთებს აქამენიდური კულტურის გავლენის კვალი ემჩნევა). ძვ.წ. VI საუკუნის დასასრულს კოლხეთის მეფეებმა საკუთარი ვერცხლის ფულის („კოლხური თეთრის“) მოჭრა დაიწყეს.

ძვ. წ. VII-VI საუკუნეებში საქართველოს მეზობელ ქვეყნებში დიდი ცვლილებები მოხდა. ჩვენმა სამხრეთელმა მეზობლებმა, გაძლიერებულმა მიდიელებმა ბოლო მოუღეს ურარტუს სამეფოს, შემუსრეს ასურეთი და წინა აზიის ბატონ-პატრონები გახდნენ. მალე მიდიელები სპარსელებთან ომში დამარცხდნ (550 წ.) და პირველობაც მათ ხელში გადავიდა. შემდეგ სპარსეთმა ბაბილონიც დაიმორჩილა და ასე გაჩნდა აქამენიდების უზარმაზარი სახელმწიფო ხმელთაშუაზღვიდან ვიდრე კასპიის ზღვამდე.

აქამენიდების სამეფომ 200 წელი იარსება და ძვ. წ. IV საუკუნის დასასრულს მას ბოლო მოუღეს ბერძნებმა დიდი ალექსანდრე მაკედონელის წინამძღოლობით. თვით მაკედონელის უზარმაზარი იმპერია დღემოკლე აღმოჩნდა. ალექსანდრეს სიკვდილის შემდეგ (ძვ. წ. 323 წ.), იმპერია მისმა სარდლებმა დაინაწილეს. აზია წილად ხვდა სელევკსა და მის შთამომავლობას (სელევკიდებს). ძვ. წ. III საუკუნეში სელევკიდების სამფლობელოს ბაქტრია (კასპიის ზღვის გაღმა მხარე), პართია (კასპიის ზღვის სამხრეთი მხარე) და პონტოს სამეფო (შავი ზღვის სამხრეთი მხარე) გამოეყო. პართიის სამეფომ (არშაკიდების სამეფო) ხუთი საუკუნე იარსება (226 წლამდე) და შემდეგში დიდი როლი ითამაშა ამიერკავკასიის ქვეყნების ისტორიაში. პონტოს სამეფო კი ძირითადად ქართველური ტომებით იყო დასახლებული, სადაც გავრცელებული იყო ბერძნული (ელინური) კულტურა. აღმოსავლეთში, ალექსანდრესა და მისი მემკვიდრეების სამეფოების ხანა (ძვ. წ. IV-I საუკუნეები) ისტორიაში შევიდა, როგორც ელინისტური ანუ ელინიზმის ხანა.

ჩრდილო კავკასიის ტრამალებზე სკვითები და სარმატები სახლობდნენ (სხვათაშორის სარმატების ქვეყანაში ქართველების მონათესავე ჩერქეზებისა და ქისტთა ტომებიც შედიოდა). ამ ეპოქაში ქართველი ტომებით დასახლებულ მდიდარ კოლხეთში, შავი ზღვის სანაპიროზე, ბერძნული დასახლებები – ფასიდი (ფოთი), დიოსკურია (სოხუმი), პიტიუნტი (ბიჭვინთა) გაჩნდა, რამაც ხელი შეუწყო ვაჭრობის განვითარებას კოლხეთსა და ბიზანტიას შორის. ამ ეპოქის ამიერკავკასიის პოლიტიკური მდგომარეობა დაწვრილებით აქვს აღწერილი დასავლეთის კულტურის „ისტორიის მამას“, ბერძენ ისტორიკოსს ჰეროდოტე ჰალიკარნასელს (ძვ. წ. 484-425 წწ.).

ძვ. წ. 400 წელს ბერძენმა სარდალმა და მწერალმა ქსენოფონტემ (ძვ. წ. 427-355 წწ.) დაწვრილებით აღწერა სამხრეთ საქართველოს თემების (ხალიბები, მოსინიკები, ტაოხები და სხვ.) ყოფა-ცხოვრება და გაოცებული იყო სოფლებში უხვი სურსათ-სანოვაგისა და დიდი რაოდენობის პირუტყვის ხილვით.

224-226 წლებში პართიაში ძველი არშაკიდების დინასტია დაემხო და მისი ადგილი სასანიდების ძლიერმა სპარსულმა საგვარეულომ დაიჭირა. განახლდა სასტიკი ომი რომსა

და სპარსელებს შორის, რომელშიც ამიერკავკასიაც იყო ჩათრეული. ყველაზე მეტად დაზარალდა სომხეთი, რომელიც ტერიტორიულად სპარსეთის მოსაზღვრე ქვეყანა იყო. ქართლი შედარებით მშვიდობიანად ვითარდებოდა. მონათმფლობელობა უფრო პროგრესულმა ფეოდალურმა წყობამ შეცვალა. შეიცვალა წარმოების წესიც, ცვლილებები მოხდა საზოგადოებრივ ურთიერთობებში, წინ წავიდა საბრძოლო და სამეურნეო იარაღის წარმოება, მოხდა წარჩინებულთა დაწინაურება, განვითარდა ხელოსნობა, სოფლის მეურნეობა და სხვ., რაც მირიან მეფის დროს, წმინდა ნინო კაპადოკიელის ძალისხმევით, 337 წელს დაგვირგვინდა ქრისტიანობის მიღებით. ნინო კაპადოკიელი ეკლესიამ წმინდანად შერაცხა. თბილისის სიონის ტაძარში დღესაც ინახება საქართველოს ეკლესიის უდიდესი ეროვნული სალოცავთაგანი – ვაზის ჯვარი, რომელიც, გადმოცემით, თვით ნინოს თმებით არის შეკრული.

ძვ. წ. II საუკუნიდან რომმა დაიწყო ფართო დაპყრობითი პოლიტიკის წარმოება აღმოსავლეთის მიმართულებით. რომაელებმა განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწიეს სარდალ გნეუს პომპეუს მაგნუსის (ძვ. წ. 106-48 წწ.) დროს. თანამიმდევრობით დაიპყრეს პონტო, არმენია (სომხეთი), ალბანია (აზერბაიჯანი), იბერია, კოლხეთი და ყველგან თავისი მმართველები დააყენეს. ლაშქრობებში პომპეუსს თან ახლდა ჟამთააღმწერლები, რომლებიც რომაელთა გამარჯვების პარალელურად აღწერდნენ დაპყრობილი ქვეყნების კულტურას, ყოფა-ცხოვრებას, ეკონომიკურ მდგომარეობასა და სხვ. მათ შორის ქართველებისათვის უდავოდ მნიშვნელოვანია ბერძენი ისტორიკოსისა და გეოგრაფის სტრაბონის (ძვ. წ. 64/63-ახ. წ. 23/24 წწ.) ნაწარმოებები: „საისტორიო ნარკვევები“ და „გეოგრაფია“. ამ შრომებიდან ვიგებთ, თუ როგორი იყო ქართველური ტომების ბარისა და მთის მოსახლეობის ყოფა და საერთოდ საქართველოს (იბერიის, კოლხეთის) კულტურა და მდგომარეობა (მიმოსვლა, სოფლის მეურნეობა, ვაჭრობა, საქალაქო ცხოვრება) ძვ. წ. I საუკუნის დასასრულს. მცხეთის არქეოლოგიურმა გათხრებმა სრულად დაადასტურა სტრაბონის ცნობები საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხების კულტურის შესახებ.

თრიალეთური კულტურის (ძვ. წ. XV-II საუკუნეები) ძეგლების შესწავლისას ვრწმუნდებით, რომ ჩვენს წინაპრებს სცოდნიათ ლითონის თხელი ფურცლების წნევით (გაწნევით) დამუშავება და ფლობდნენ საჭირო დანადგარებსა და სახელოსნო იარაღებს. საინტერესოა ერთერთ ყორღანში აღმოჩენილი, ფერადი ქვებით ინკრუსტირებული, ძალზე მდიდრული ოქროს სასმისი. რთული ტექნიკითაა დამზადებული საკინძეები, ოქროს ქინძისთავები, ბირთვისებრი მძივები, გავარსითა და სერდოლიკის თვლებით შემკული აქატის გულსაკიდები და სხვ.

ქართული საიუველირო ხელოვნების საუკეთესო ქმნილებებია ნაპოვნი ნოსირში – ოქროს ჭვირული მძივები, გავარსიანი საურეები, გველის თავის გამოსახულებით დაბოლოებული წნული სამაჯური და სხვ. სწორედ აქედან იწყება ანტიკური ხანის ქართული ოქრომჭედლობის აღმავლობა, რომელმაც განვითარების უმაღლეს დონეს ძვ. წ. V-IV საუკუნეებში მიაღწია. განსაკუთრებით გამოსარჩევია ვანის ნაქალაქარი, სადაც აღმოჩნდა ქალის სამკაულის რამდენიმე სრული კომპლექტი, დიადემები, საყურეები, სასაფეთქლე საკიდები, ყელსაბამები, სამაჯურები, წარჩინებული კოლხი ქალის ოქროს დიადემა და მრავალი სხვ. ვანის სამარხებში მოპოვებული ნიმუშები საფუძველს გვაძლევს იმისათვის, რომ კოლხეთისა და იბერიის სახელობო კულტურის დონე გავუთანაბროდ ეგვიპტის, კვიპროსის, აქამენიდური ირანის, სირიის, ბიზანტიისა და სხვა მეზობელი ქვეყნების დონეს [8; 17, 60].

ვანის სამარხებში აღმოჩენილი ნივთებიდან გამოირჩევა ცხოველთა თავებით შემკული სამაჯურები (სურ. 1.1, სურ. 1.2) და ბეჭდები.

საინტერესოა ვანში აღმოჩენილი ადგილობრივი ნაწარმი – ოქროს გავარსიანი ნივთები. წვრილი (0,1-0,2 მმ) ოქროს ბურთულები იდეალურადაა ჩამოსხმული და დარჩილული ნივთების ზედაპირზე (სურ. 1.3, სურ. 1.4), რაც ფერადოვნების საოცარ ეფექტს იძლევა. 1969 წელს აქ კოლხი მეომრის სამარხში აღმოჩნდა ოქროს ფიგურები ცხენისა და ფრინველის ერთმანეთზე მირჩილული გამოსახულებებით.



სურ. 1.1. სამაჯური. ძვ.წ. V-IV სს. ვანი. ოქროს მთლიანი მრგვალი სხმული ჯიხვის თავების გამოსახულებით



სურ. 1.2. სამაჯური. ძვ.წ. V-IV სს. ვანი. ოქროს მთლიანი ოვალური სხმული ჯიხვის თავების გამოსახულებით



სურ. 1.3. ყელსაბამი. ძვ. წ. V ს. ვანი. ოქრო



სურ. 1.4. კუს გამოსახულებიანი ყელსაბამი საკიდებით. ძვ. წ. V ს. ვანი. ოქრო

ქართული საიუველირო ხელოვნების ცენტრი მცხეთა იყო. აქ აღმოჩნდა ანტიკური ხანის ქართული ოქრომჭედლობის უამრავი და იშვიათი ნიმუში. მცირე ხელოვნების შედევრს შეიძლება მივაკუთვნოთ არმაზისხევის ერისთავთა სამარხებში აღმოჩენილი ორი გულსაკიდი და წნული სამაჯური, ტახის მცირე ზომის ქანდაკება, ასპარუგის სარტყლის ბალთები, დიადემა და სხვ. აქ, სამთავროს ველზე, ერთ-ერთ სამარხში აღმოჩნდა დაკრძალული ოქრომჭედელი საიუველირო ხელსაწყოებით, სასწორ-საწონებით და გათლილი თვლებით (საიუველირო ქვებით). სამთავროს ნეკროპოლში ნაპოვნი ქვის სამკაულები მიგვითითებს ქვის ჭრის მაღალ ტექნიკასა და ძველი მცხეთის სავაჭრო კავშირებზე სხვა ქვეყნებთან. ამ დროს მცხეთის ქვის საჭრელ სახელოსნოებს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ჰქონდა და უზრუნველყოფილი იყო საიუველირო ქვების დასამუშავებელი ფაქიზი ხელსაწყოებით. ანტიკური დროის საქართველოში გემასა და სხვა სამკაულებისათვის გამოყენებული ძირითადი მინერალებია: პიროპ-ალმანდინი, ამეთვისტო, აქატი, იასპისი (იასპი), ლაჟვარდი, მალაქიტი, მარგალიტი, მარჯანი, მთის ბროლი, ნეფრიტი, ონიქსი, ოფსიდიანი, პლაზმა, სარდიონი, სარდი, სარდონიქსი, სტეატიტი, ქარვა, ქალცედონი, ფირუზი და სხვ.

არა მარტო ვანსა და მცხეთაში, არამედ ანტიკური ხანის საიუველირო ხელოვნების ცენტრებში ბევრგანაა ნაპოვნი ოქრომჭედელთა ნაოსტატარი: ანტიკური ხანის (ძვ. წ. პირველი ათასწლეულის შუა ხანები) ახალგორის განძში ადგილობრივ დამზადებულ ოქროს ნივთებს შორის აღმოჩნდა საიუველირო ხელოვნების მაღალი დონის მაჩვენებელი სამკაულები: გომბეშოს გამოსახულებიანი ოქროს ყელსაბამი, ქალის საყურეები (სურ. 1.5), რკალგახსნილი ბეჭდები მათ ფარაკებზე ფანტასტიკური ცხოველების გამოსახულებებით და სხვ. ახალგორში ნაპოვნ ოქროს ნივთებს ამკობს რთული რელიეფური სახეები.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ოქროს ფურცლისგან დამზადებული დისკო (სურ. 1.6), რომელზეც კონცენტრულ წრეებს შორის მოცემულია ერთი მიმართულებით განლაგებუ-

ლი ფრინველების რიგი, გარეთა მხარეს კბილანებზე კი – სტილიზებული პალმეტების მოტივი. ახალგორის განძისთვის განსაკუთრებით სახასიათოა ოქროსა და ვერცხლის ფარაკიანი ბეჭდების სიმრავლე. ახალგორის განძის ნაწილია მართკუთხა ბალთები, რომელიც ასევე ოქროს თხელი ფირფიტებისგანაა დამზადებული. ბალთებზე ერთი ტვიფრით (მატრიცით) დატანილია გრიფონის რელიეფური გამოსახულება. სავარაუდოა, რომ აღნიშნიშნული ბალთები წარმოადგენდა ადამიანის სარტყლის აღკმულობის ნაწილს. ახალგორის განძის ოქროს ნივთები ადგილობრივ ნაწარმს მიეკუთვნება და სტილისტურად ახლოს დგას ძველ კოლხურ საოქრომჭედლო სკოლასთან, რომლის შედევრები დასავლეთ საქართველოშია აღმოჩენილი (ვანი, საირხე და სხვ.). ამავროულად, ახალგორის განძის ოქროს ნივთებს აქემენიდური კულტურის გავლენის კვალიც ემჩნევა.



სურ. 1.5. წყვილი საყურე. ძვ. წ. IV ს. საძეგური. ახალგორის განძი. ოქრო, შტამპი, გავარსი



სურ. 1. 6. ოქროს დისკო. ძვ. წ. V-IV ს. ახალგორის განძი. ოქრო

გონიოს განძშიც ნაპოვნია ოქროს ნივთები, რომელიც კომპოზიციით, შესრულების ტექნიკითა და ხერხებით ახლოს დგას მცხეთის ძეგლებთან. აქვე უნდა მოვიხსენიოთ აგრეთვე თაგილონის (გალის მუნიციპალიტეტი) ოქროს ირმის თავი, ხაიშის ოქროს სახლი, კლდეეთის ოქროს გემიანი აგრაფი და სხვ. [61; 62; 63].

ქართული კულტურის განვითარებაში უმნიშვნელოვანესია კეთილშობილ ლითონთა მხატვრული დამუშავების ტრადიციები. კოლხეთი და იბერია საიუველირო ხელოვნების უძველესი და უმდიდრესი კერაა. მადნეული რესურსებით მდიდარმა საქართველოს მიწის წიაღმა საშუალება მისცა ქართველებს, ჯერ კიდევ III ათასწლეულის დასაწყისში ესწავლათ სპილენძის მოპოვება და ბრინჯაოს ნაკეთობების დამზადება, შემდეგ კი, თანდათანობით დაიწყეს ტყვიის, სტიბიუმის (ანთიმონიუმი), ოქროსა და ვერცხლის მოპოვება-დამუშავება. ოქრო-ვერცხლისგან სამკაულებისა და სამშვენიბის მასობრივმა დამზადებამ მკვეთრად გაზარდა მოთხოვნილება ძვირფას ქვებზე. საქართველოში ასეთი ქვები იყო: სარდიონი და კვარცის ჯგუფის მინერალები (მთის ბროლი, აქატი, ონიქსი). 1960-იან წლებში სამთავროს სამაროვნებზე ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი იქნა სარდიონის რამდენიმე ათასი ფაქიზად დამუვებული მძივი, რაც თვალნათლივ მიუთითებს იმაზე, რომ, ამ ეპოქაში, სარდიონის სანახელავო ქვების დამზადებას მასობრივი ხასიათი ჰქონდა. ბრინჯაოს ხანის ბევრ არქეოლოგიურ ძეგლში აღმოჩენილია შემოტანილი ქვებიც (მარჯანი, ქარვა).



სურ. 1.7. ოქროს ლომის ფიგურა. ძვ. წ. XXII ს. წნორი, კახეთი

1974 წელს კახეთში, ალაზნის ველზე, სოფელ წნორთან ჩატარებული არქეოლოგიური თხრების დროს, მდიდრულ ყორღანულ სამარხში იპოვეს ლომის ოქროს ფიგურა (თარიღდება ძვ. წ. III ათასწლეულის II ნახევრით), რომელიც სამართლიანად ითვლება ადრე ბრინჯაოს ხანის (თრიალეთის კულტურის წინარე ხანა) ოქრომჭედლობის გამორჩეულ ნიმუშად (სურ. 1.7). შემკულობისა და ქანდაკების ტიპის მიხედვით ლომის ფიგურას არც საქართველოში და არც მის ფარგლებს გარეთ ანალოგი არ მოეძებნება. ღრუტანიანი ლომის ფიგურა, ცვილის დაკარგვის ტექნიკითაა შესრულებული. ლომის სტილიზებული ფაფარი, რომელიც გავარსისა და გრეხილურის იმიტაციას წარმოადგინს, ასევე ჩამოსხმის ტექნიკითაა შესრულებული.

ამ და სხვა სამარხებში აღმოჩენილი ოქროს სამკაულები გვიჩვენებს, რომ ძვ. წ. III ათასწლეულის II ნახევრის ქართველი ოქრომჭედლები უკვე სრულყოფილად ფლობდნენ ლითონის დამუშავების ხერხებს – ჭედვას, ჩამოსხმასა და რჩილვას. შუაბრინჯაოს ხანაში აღსანიშნავია თრიალეთის დიდი ყორღანების კულტურა, რომელიც ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანებით თარიღდება. ქართველებმა შექმნეს პოლიქრომული სტილის მსოფლიო მნიშვნელობის შედევრი – სარდიონის, ლაჟვარდის, წითელი იასპისა და გიშრის ქვებით შემკული ოქროს თასი (სურ. 1.8). ამ დროისათვის ქართველი ოქრომჭედლებისათვის უკვე ნაცნობია ოქროს სამკაულებისა და ნივთების შემკობა ოქროს წვრილი ბურთულებით (გავარსი ანუ გრანულაცია), ოქროს მავთულით (გრეხილი ანუ ფილიგრანი), დაფანჯრული და ფუყე ნივთების დამზადების ტექნიკა, სადა თხელკედლიანი საკიდები, პოლიქრონული სტილის ყელსაბამები (სურ. 1.9) და სხვ.



სურ. 1.8. ოქროს თასი. ძვ. წ. XIX-XVIII სს. თრიალეთი, წალკა



სურ. 1.9. ყელსაბამი. ძვ. წ. XIX-X ს. თრიალეთი, წალკა (ოქროში ჩასმულია თხელფირფიტოვანი აქატისა და სარდიონის ქვები)

ადრეანტიკურ ხანაში სამკაულებისა და სამშვენისების დასამზადებლად ქართველი ოქრომჭედლები იშვიათად იყენებდნენ ფერადი ქვების ინკრუსტაციას. ფერადი ქვებით შემკული სულ რამდენიმე ნივთია ცნობილი, რომელთაგან აღსანიშნავია ვანში აღმოჩენილი პოლიქრომული გულსაკიდი ფირფიტა, რომელზეც ფერადი ფრინველები და ფასკუნჯებია გამოსახული. ოქროს პოლიქრომული სამკაული: დიადემები, საყურეები, ყელსაბამები, სამაჯურები და ბეჭდები დიდი რაოდენობით აღმოჩნდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გათხრილ მდიდრულ სამარხებში – მცხეთაში, ურბნისში, ზღუდერში, ბორში, კლდეეთაში, ციხისძირში, ურეკში, ახმეტაში, სიონში, ჟინვალსა და სხვაგან. ოქრომჭედლობის ჭეშმარიტი შედევრია II საუკუნის მეორე ნახევრის უნიკალური ჭვირული ყელსაბამი არმაზისხევის პიტიახშთა VI სამარხიდან. ყელსაბამი წვრილი ალმადინებით შემკული ექვსი ერთნაირი ელემენტისა და ასეთივე ჭვირული კოლოფისაგან შედგება. უკანა პირი ოქროს თხელი ფირფიტაა, ყელსაბამი ძალიან მსუბუქია, ჰაეროვანი, წვრილი ოქროს მავთულის რგოლებისგანაა დამზადებული.

გვიანანტიკური ხანის საქართველოში ვრცელდება ბერძნულ-რომაული წარმოშობის საიუველირო ქვები – ინტალიოები და კამეები. ზოგიერთ სამკაულზე ქართველი დიდებულების პორტრეტებიც არის გამოსახული, რაც მიუთითებს საქართველოში ქვის მჭრელთა სახელოსნოების არსებობას. ნამდვილი შედევრია ზღუდრის ყელსაბამის კამეა დელფინზე ამხედრებული ნერეიდას გამოსახულებით.

მცხეთასა და მის შემოგარენში, სხვადასხვა დროს, არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი იქნა სამაროვნები და ნამოსახლარები (ადრინდელი ბრინჯაოს ხანიდან ადრინდელ რკინის ხანამდე), ანტიკური ხანის (ძვ. წ. I ს. – ჩვ. წ. I ს.) სათავდაცვო (აკროპოლი) და საქალაქო ნაგებობები (იბერიის მმართველთა სასახლის, აბანოების ნანგრევები), სამაროვნები და მავზოლეუმის ტიპის აკლდამის ნაშთები (არმაზისციხე, არმაზისხევი, მოგვთა-კარის უბანი); ადგილობრივი და შემოტანილი წარმოების ოქროს, ვერცხლის, ძვირფასი ქვების მაღალმხატვრული ნაკეთობანი, მინისა და კერამიკული ჭურჭელი, მეთუნეთა, კერამიკული სახელოსნოსა და მარნის ნანგრევები (კარნისხევი); ადრინდელი ფეოდალური ხანის სამაროვნები (ქ. მცხეთა, სამთავრო, არაგვის მარცხენა ნაპირი); რკინის სადნობი სახელოსნო, საკულტო და საცხოვრებელი ნაგებობათა ნაშთები (სარკინე, გრძელი მინდორი, ნასტაკისი, მთა-ქართლი) და საკულტო ნაგებობანი (ავჭლისკარი, წიწამურის სერი, ღართისკარი, ძალისი); ეპიგრაფიული ძეგლები ბერძნულ-ებრაული და არმაზულ-არამეული წარწერებით (არმაზისხევი, სამთავრო, ავჭალისკარი); მცხეთის კარიბჭე, კათოლიკოსის სასახლე, ტაძრის ნაშთები და სხვ.



სურ. 1.10. გავარსით შემკული აბზინდა. II ს.მცხეთის განძი. არმაზისხევი. ოქრო

ცალკე უნდა გამოვყოთ არმაზისხევის სამარხებში აღმოჩენილი მრავალფეროვანი სამკაული. ოქროს საყურეები სხვადასხვა ფორმისა და ძვირფასი თვლებით ინკრსტირებული ოქროს საყურეები, II საუკუნის გავარსით და ინკრუსტირებული ფირუზისა და ალმანდინის თვლებით შემკული ჭვირული ყელსაბამი, ყელსაბამი ალმანდინებიანი სანელსაცხებლით, ამეთვისტოს კამეითა და ტიხრული ინკრუსტაციით შემკული მედალიონი და სხვ. მცხეთაში სამეფო ოჯახისა და პიტიახშთა სამარხებში დიდი რაოდენობით აღმოჩნდა ოქროს სამკაული და ვერცხლის ჭუჭელი. არმაზისხევის სამარხებში აღმოჩენილი ალმანდინის თვლებიანი დიადემები პიტიახშთა ოჯახის წევრი ქალების თავსამკაული იყო. ამავე სამარხებში აღმოჩენილ სამკაულთა შორის ერთ-ერთი გამორჩეული ნივთია გავარსით შემკული აბზინდა (სურ. 1.10), რომელიც ფირუზისა და ალმანდინის ქვებითაა მორთული. სამკაულს ორი ერთმანეთის საპირისპიროდ მდგომი მომრგვალებულკუთხეებიანი E-ს ფორმა აქვს და ეს ორი ნაწილი ერთმანეთის იდენტურია. ნივთის ექვსივე ბოლო ორ-ორი გავარსის რგოლით ბოლოვდება შუაში ფირუზის მცირე ზომის თვლით [74].

ასეთი აღმოჩენების შემდეგ მცხეთა შუა საუკუნეთა დიდებული ტაძრებით – ჯვრისა და სამთავროს მონასტრები, სვეტიცხოველი; ბარბარეთის, ახალქალაქური, კალოუბნის წმ. გიორგის, ღვთისმშობლის, კასანის წმ. ნინოს, არმაზის ღვთისმშობლის, წმ. დემეტრეს, მგალობლიანთკარის ეკლესიებით, ბებრისა და არმაზის ციხეებითა და სხვა ნაგებობებით მოექცა მსოფლიოს ყურადღების ცენტრში და 1994 წელს გაერთიანებული მცხეთის ჯვარი, სვეტიცხოველი და სამთავრო შეტანილი იქნა UNESCO-ს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა სიაში.

მცხეთის გარდა ანტიკური ხანის ძეგლებს განეკუთვნება: გორასამარხები თრიალეთში (სურ. 1.11), არმაზისხევში (სურ. 1.12), მესხეთ-ჯავახეთში, კახეთში, ბედენში (სურ. 1.13), დიდ დიღომში, სამთავროსა და სამგორში, აფხაზეთის დოლმენები [სოფლები: ეშერა, აზანთა (სურ. 1.14), ოთხარა, აქანდარა, გორანა, ყულანურხვა, შრომა, დოუს უღელტეხილი, მდ.

ფსოუს ხეობა], ვანის ნაქალაქარი ციხესიმაგრეებით, სასახლეებითა და საკულტო ნაგებობებით, თაგილონის განძი (სურ. 1.15), თელოვნის განძი, უფლისციხის კლდეში ნაკვეთი ქალაქი და სხვ.




სურ. 1.11. ვერცხლის სარწყული. თრიალეთის გორასამარხი



სურ. 1.12. ოქროს ყელსაბამი. მცხეთა, არმაზისხევი. ახ. წ. II-III ს.



სურ. 1.13. ოქროს ქინძისთავები. ბედენის გორასამარხი



სურ. 1.14. აფხაზეთის დოლმენი. ს. აზანთი. ძვ. წ. III-II ს. ათასწლეული



სურ. 1.15. კოლხური ცული. ძვ. წ. IX ს. თაგილონის განძი

საქართველოს სხვა კუთხეებშიც (თრიალეთი, ბიჭვინთა, ურეკი, ვანი, შორაპანი, ხარაგაული, ახალგორი და სხვ.) ნაპოვნია ადგილობრივი ოსტატების ნახელავი, ძვირფასი თვლებითა და მინანქრით მორთული ოქროსა და ვერცხლის სამკაულები, რომელთა დიდი ნაწილი უმაღლესი ხელოვნებით არის შესრულებული. საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, სადაც სევადს ოქროს ნივთების შესამკობადაც იყენებდნენ. ცნობილია რამდენიმე ხატი რომლებზეც ორნამენტი ოქროს სევადითაა გამოყვანილი.

საიუველირო ხელოვნების ცენტრები არსებობდა ქ. ქუთაისში, სვანეთში (ვერცხლის სამკაულები), ოკრიბაში (გიშრის სამკაულები) და ა.შ.

შუა საუკუნეებში გრძელდებოდა ოქრომჭედლობის უფრო ადრე ჩამოყალიბებული ტრადიციები. ამის მაჩვენებელია ქართველ ოქრომჭედელთა თუ ოქრომქანდაკებელთა – ბექა და ბეშქენ ოპიზრების, მამნე ოქრომჭედლისა თუ სხვათა შემოქმედება. III-IV საუკუნეებიდან ლოში აღმავლობას განიცდის ტიხრული მინანქრის ხელოვნება. არმაზისხევში აღმოჩენილი ანტიკური ხანის ოქროს საყურეებზე, სარტყლებსა და სამაჯურებზე არის გამოყენებული ფერადი მინა – ტიხრული მინანქარი. არაგვის ხეობაში არანისთან აღმოჩენილი ოქროს ყელსაბამი წნული ძეწკვითა და მედალიონით საგანგებო ყურადღებას იმით იპყრობს, რომ მისი შუაგული ტიხრული მინანქარითაა შესრულებული. ასევე მნიშვნელოვანია არაგვისპირის ტიხრული მინანქარი. მაღალი მხატვრული ღირებულებების შუა საუკუნეების ტიხრული მინანქრის ძეგლები, დაცული საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში, გამორჩევა სიმდიდრითა და მრავალფეროვნებით. ეს კოლექცია ღირსეულ მეტოქეობას უწევს ვე-

ნეციის მინანქრის უმდიდრეს საგანძურს. საიუველირო წარმოების ტიხრული მინანქრის უამრავი მინიატურული ხატი და მედალიონი ძველი ქართული ოქრომჭედლობის უდიდესი აღმავლობის მაუწყებელია.

ქართული კულტურის განვითარებაში დიდი როლი ენიჭებოდა ანბანსა და დამწერლობას. ყველასათვის ცნობილია, რომ ქართული ანბანი უფრო ძველია, ვიდრე ქართული მწერლობა, რაც განპირობებულია იმით, რომ ჩვენამდე მოღწეული მწერლობის ძეგლები ქრისტიანული ხანისა და საეკლესიო შინაარსისაა, ანბანი კი უფრო ადრე, ძვ. წ. მეხუთე საუკუნიდან არსებობდა (ლეონტი მროველის ცნობით ძვ. წ. III საუკუნიდან – ფარნავაზ I-ის მეფობის პერიოდი). საქართველოში ქრისტიანობის დამკვიდრებამ უარყოფითი გავლენა იქონია წარმართულ მწერლობაზე, პრაქტიკულად მოსპო ის, ხოლო ანბანი მიიღო და გამოიყენა. ქართველებს ორი ანბანი გვაქვს: უძველესი ხუცური (ასომთავრული, ნუსხა-ხუცური) და უფრო ახალი – მხედრული. ხუცურს სამღვდელოება („ხუცები“) ხმარობდა, ხოლო მხედრულს (რომელიც ნუსხურიდან წარმოიშვა) ერისკაცები იყენებდნენ საერო წიგნებისათვის. რუსთაველის ეპოქაში უკვე გამოიყენებოდა მომრგვალებული, სწრაფი წერის სახეობა მდივან-მწიგნობრული ნუსხური, ხოლო XIV საუკუნიდან მის საფუძველზე ჩამოყალიბდა მხედრული დამწერლობა, რომელსაც ზოგიერთი ცვლილებებით დღეს ვიყენებთ.

ძვ. წ. პირველ საუკუნეში ქართლსა და კოლხეთში სწრაფი განვითარება დაიწყო ბარის მოსახლეობამ, რაც დაკავშირებული იყო სიმდიდრის დაგროვებასთან. პირველყოფილი თემური წყობილებისთვის დამახასიათებელი საზოგადოებრივი საკუთრება კერძო საკუთრებამ შეცვალა, რასაც მოჰყვა ხალხის დაყოფა ოთხ ფენად (სტრაბონის მიხედვით): I. მეფე და მისი საგვარეულო; II – ქურუმები, რომლებიც ეკლესია-მონასტრებსა და ტაძრებს ემსახურებოდნენ და დიდი მამულები და განძეულობა ჰქონდათ; III – თავისუფალი ხალხი, რომლებიც საკუთარ მიწას ფლობდნენ და მეფის დაძახილზე ომშიც გამოდიოდნენ; IV – მდაბიო ხალხი ანუ გლეხები, რომლებიც მიწას ამუშავებდნენ და სამეფო საგვარეულოსა და თავადებს ემსახურებოდნენ, რაც ნათლად მიუთითებს ანტიკურ ხანაში საქართველოს სამთავროების მაღალ კულტურულ დონეს.

ვერცხლის სამკაულს ქართველი ოქრომჭედლები ტრადიციულად სევადით ამკობდნენ. იგი კეთილშობილი ლითონის შემკობის ქართული (კავკასიური) ხერხია, რომლის ისტორიაც საქართველოში სულ ცოტა ორიათას წელს ითვლის. საქართველოში უძველესი სევადიანი ნივთები – ჟინვალსა და ცხინვალში აღმოჩენილი ვერცხლის თასები I-III საუკუნეებით თარიღდება. შუა საუკუნეებში ჭედური ხატები ხშირად სევადით იყო შემკული. ამ პერიოდისათვის მრავლად იყვნენ მონებიც, მაგრამ მათ საზოგადოების წევრებად არ მიიჩნევდნენ. სიმდიდრის საზომად უძრავ ქონებასთან ერთად, მონების რაოდენობაც ითვლებოდა. ძვ. წ. I საუკუნის ბოლოს იბერია და კოლხეთი ტიპური მონათმფლობელური სახელმწიფოები იყვნენ.

ძვ. წ. I ათასწლეულის მეორე ნახევარში (ანტიკური ხანის შუა წლები) ქართველური ტომებით დასახლებული კოლხეთი და იბერია – ცივილიზებული სამყაროს ნამდვილი საოცრებად მოიაზრება. ანტიკური პერიოდის წერილობითი ცნობებისა და არქეოლოგიური აღმოჩენების მიხედვით, აქ განვითარებული იყო სოფლის მეურნეობა და ხელოსნობის დარგები (ლითონის დამუშავება, მეთუნეობა, საიუველირო საქმე, იარაღის წარმოება და სხვ.). დასავლეთ საქართველოში მნიშვნელოვან საქალაქო ცენტრებად წარმოჩინდებოდა აია ანუ კოტატისი (ქუთაისი), ფაზისი (ფოთი), დიოსკურია (სოხუმი), აღმოსავლეთში კი – მცხეთა, იბერიის დედაქალაქი, რომელიც იბერიის სამეფოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და რელიგიურ ცენტრს წარმოადგენდა 800 წლის განმავლობაში. იგი დიდ საქარავნო გზაჯვარედინზე მდებარეობდა და იზიდავდა ბერძენ, რომაელ, სპარსელ, ებრაელ, არაბ თუ ჩინელ სტუმრებს. ქრისტიანობის გავრცელებამდე მცხეთა ქვეყნის სულიერ ცენტრსაც წარმოადგენდა, რადგან ქალაქში არმაზის, ზადენის, გაცის, გაიმის, აინანას, დანანასა და აფროდიტეს კერპებიც იდგა. ამიტომ მცხეთა და მისი რეგიონი მდიდარია არქიტექტურული ძეგლებითა და არქეოლოგიური მონაპოვრებით. ქვეყნის ამ ნაწილში 200-ზე მეტი არქიტექტურული ძეგლია, რო-

მელთა შორის ცენტრალური ადგილი, რა თქმა უნდა, მცხეთის საპატრიარქო ტაძარს – სვეტიცხოველს უკავია.

II-IV საუკუნებში განვითარების ახალ საფეხურზე ავიდა კოლხეთის სამთავრო (რომაელები მას ლაზიკას ეძახდნენ, ქართველები – ეგრისს), რომელიც ფაქტობრივად განთავისუფლდა რომის ბატონობისგან. სამეფოს ჩრდილოეთის საზღვარი მდ. ბზიფზე გადიოდა, სამხრეთის – აჭარაზე, ხოლო აღმოსავლეთის – შორაპანსა და სკანდაზე. დედაქალაქი იყო არქეოპოლისი (ციხე-გოჯი). აღორძინებას განიცდიდა რომთან და ბიზანტიასთან ვაჭრობა, ნაოსნობა, მიწათმოქმედება, ხელოსნობა (ოქრომჭედლობა). კოლხეთში მოსახლე ტომებმა თავიანთ ცხოვრებას სახელმწიფოებრივი და კანონიერი სახე მისცეს, რაც გარკვეულწილად შედარებით ცივილიზებული რომის იმპერიის დამსახურებაც იყო.

ცალკე უნდა გამოვყოთ ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო კერები. III–IV საუკუნეებში ფაზისში (ახლანდელი ფოთი) არსებობდა კოლხეთის უმაღლესი რიტორიკული სკოლა, სადაც არა მარტო კავკასიელი, არამედ თვით ბერძენი ორატორებიც იწრთობოდნენ.

V საუკუნეში დაარსდა ქართული მონასტრები გაქრისტიანებულ სირიასა და პალესტინაში, უფრო გვიან კი საბერძნეთსა და სინას მთაზე ჩამოყალიბდა მეცნიერული აზროვნების ცენტრები, სადაც ქართველი ბერები, ბერძნებთან და სხვა ერის წარმომადგენლებთან ერთად ინტენსიურ სამწერლო, მეცნიერულ და მთარგმნელობით მოღვაწეობას ეწეოდნენ.

მსოფლიოზე გაბატონებულ რომის იმპერიას შორეულ აღმოსავლეთთან (შუა აზია, ინდოეთი, ჩინეთი) ვაჭრობისათვის სჭირდებოთ შედარებით ცივილიზებულ საქართველოს სამთავროებზე გამავალი საქარავნე გზა (მდ. მტკვრის ხეობის გავლით) და არა მომთაბარე მეჯოგე ტომებით (სკვითები, სარმატები, ალანები, ჰუნები და სხვ.) დასახლებული ჩრდილოეთ კავკასია. ამიტომ მის მფლობელობაში მყოფ კოლხეთსა და „მეგობარ“ იბერიას აიძულებდა დაეცვათ და გაემაგრებიათ კავკასიონზე ჩრდილოეთიდან გადმომავალი საუღელტეხილო გზები (ქლუხორი, მამისონი, დარიალი). კოლხეთი რომის ბატონობას არ ეპუებოდა, ებრძოდა მას, რამაც ქვეყანა ძალიან დაასუსტა და იგი ცალკეულ სამთავროებად დაიშალა.

1.2. შუა საუკუნეები (IV-XVIII სს)

სულიერი კულტურის სფეროში დიდი მოვლენა იყო ქართლისა და ეგრისის თანდათანობითი დაახლოება. მეგრული, სვანური თუ აფხაზური მწერლობა ძველად არ ყოფილა. ქრისტიანობის შემოსვლისას აქ ძირითადად ბერძნული ენა იყო გაბატონებული, რომელიც ადგილობრივი მოსახლეობისთვის გაუგებარი იყო, ამიტომ არგვეთიდან (ზემო იმერეთი) ინტენსიურად ვრცელდებოდა ქართული ენა. ქართველური ტომებისათვის ეს ენა ადვილად შესათვისებელი იყო. ენასთან ერთად ვითარდებოდა ქართული მწერლობაც.

395 წელს რომის ძლევამოსილი იმპერია ორ ნაწილად გაიყო. მათგან დასავლეთ რომის იმპერიამ მალევე (476 წელს) შეწყვიტა არსებობა, ხოლო აღმოსავლეთ რომის იმპერიამ (VII საუკუნიდან ბიზანტიის იმპერია) დედაქალაქიდ კონსტანტინოპოლი (ბიზანტიონი) გამოაცხადა და 1453 წლამდე იარსება. თუ ძველი რომი მონათმფლობელური სახელმწიფო იყო, ბიზანტია უკვე ფეოდალური ქვეყანაა და VII საუკუნის დასაწყისიდან ბერძნულმა ენამ საბოლოოდ განდევნა ლათინური.

V საუკუნის ბოლოს ქართლის მეფემ ვახტანგ გორგასალმა და მისმა შვილმა დაჩიმ იბერიის დედაქალაქი მცხეთიდან თბილისში გადმოიტანა. V-VII საუკუნეები ქართული კულტურის აყვავების ხანაა, რასაც მოწმობს იმდროინდელი ხელოვნების, ხუროთმოძღვრებისა და მწერლობის ძეგლები.

კოლხეთისა და იბერიის სახელმწიფოების დაარსების პერიოდიდან შემორჩენილია ბერძენი ქსენოფონტის (ძვ. წ. 427-355 წწ.), სტრაბონისა და რომაელი ვიტრუვიუსის (ძვ. წ. I ს.) ცნობები (აღწერდნენ ამიერკავკასიაში გაშლილ სამხედრო მოქმედებებს), რომლებშიც ნახსენებია ქართული გამაგრებული ქალაქები, სასახლეები, კოშკებით აღჭურვილი ხის სახლე-

ბი, პირამიდის ფორმის, კრამიტით დაფარული სახურავები. ბოლო პერიოდში ჩატარებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა (მცხეთის ნეკროპოლი, თბილისი, დმანისი, შულავერი, ნაქალაქარი, ეგვიპტე, ანტიოქია, იუდას უდაბნო პალესტინაში და სხვ.) თვალნათლივ დაგვანახა, რომ მიწის წიაღი ჯერ კიდევ ბევრ საიდუმლოს ინახავს ძველი ქართული მონასტრებისა და კულტურის შესახებ.

V საუკუნიდან გაძლიერებულმა სპარსეთმა დაიმორჩილა სომხეთი, ალბანეთი და ქართლი. მათი მბრძანებლები, სასანიდები, დაპყრობილი ქვეყნების შემოსამტკიცებლად სარწმუნოების გამოყენებასაც ცდილობდნენ – დევნიდნენ ახლადფეხმოკიდებულ ქრისტიანობასა და სომხებსა და ქართველებს აიძულებდნენ მაზდეანობა (ცეცხლისმსახურება) მიეღოთ, რაც ნაწილობრივ გამოსდიოდათ კიდეც. ამ პერიოდში სპარსეთის მომხრე აზნაურების მეთაური ვარსქენ პიტიახში იყო (იმ არშუშა პიტიახშის შვილი, რომელმაც სპარსეთის მეფის მოთხოვნით მაზდეანობა მიიღო). ვარსქენიც, სპარსელების გულის მოსაგებად, ქრისტიანობას გადაუდგა. ქართლში დაბრუნების შემდეგ ის შეეცადა თავისი ცოლის, შუშანიკის, გამაზდეანებასაც, მაგრამ შუშანიკი ქმრის ნებას არ დაჰყვა. ყოველივე ეს (476-483 წ.) შესანიშნავად აღწერა ვარსქენ პიტიახშის კარის მღვდელმა, ხუცესმა იაკობ ცურტაველმა თავის ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებში „შუშანიკის მარტვილობა“ („წამებაი წმინდისა შუშანიკისი დედოფლისაი“). ამ ნაწარმოებით იწყება ქართული ლიტერატურის ისტორია და მას განუზომელი მნიშვნელობა აქვს ქართული კულტურისათვის. იუნესკოს გადაწყვეტილებით 1979-1983 წლებში მსოფლიო მასშტაბით.აღინიშნა „შუშანიკის წამების“ 1500 წლისთავი.

627 წელს ბიზანტიელებმა (იმპერატორ ჰერაკლეს დროს) ხაზარების დახმარებით აიღეს თბილისი (თბილისში ამ დროს ქართველთა და სპარსთა ჯარი იდგა) და თითქმის ნახევარი საუკუნით ამიერკავკასიაში ბიზანტიის გავლენა დამყარდა.

VII საუკუნეში სწრაფად მიმდინარეობდა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის დაახლოება და ქართული ენის გავრცელება, ხოლო VIII-X საუკუნეებში ძალიან გაიზარდა ქართული სალიტერატურო ენის მნიშვნელობა. ამ პერიოდში ქართლში, ტაო-კლარჯეთში, კახეთსა და აფხაზეთში სამოქალაქო ურთიერთობებისა და ეკლესიის ერთადერთი ენა ქართული იყო. იგი თანდათანობით ჩრდილოეთ კავკასიაშიც (ჩერქეზეთი, ალანია) გავრცელდა. ქართულ ენას შესანიშნავი ოდა უძღვნა მწერალმა იოანე ზოსიმემ („ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“). ამ პერიოდში დაიწერა ბიოგრაფიული თხზულებები: ბასილი ზარზმელის „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“ და გიორგი მერჩულის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ (951 წ.), რომლებშიც გადმოცემულია იმდროინდელი საქართველოს ყოფაცხოვრებისა და კულტურის დონე. განვითარდა ჰიმნოგრაფია (ღმერთისა და წმინდანებისადმი მიძღვნილი ლიტერატურული და მუსიკალური მიმდინარეობა), რომლის წარმომადგენლები იყვნენ მიქაელ მოდრეკილი, იოანე მინჩხი, იოანე მტბევარი და იოანე ზოსიმე.

უკვე VII საუკუნეში საქართველოს მოუხდა ისლამურ ქვეყნებთან შეჯახება (არაბები, სპარსელები, თურქ-სელჩუკები და სხვ.). მიუხედავად გაჭირვებისა და ომებისა, ქართველები დამპყრობლების (განსაკუთრებით ირანის) კულტურებთან ურთიერთობის პროცესში არა მარტო ბევრ რასმე ითვისებდა, არამედ თვითონაც შეჰქონდა წვლილი საერთო განვითარებაში. მიუხედავად მძიმე ეკონომიკური მდგომარეობისა ქართულმა კულტურამ შეძლო თვითმყოფადი, ქართული ეროვნული თავისებურების შემუშავება, რომელიც საუკუნეებია გრძელდება და დღესაც არ დაუკარგავს ღირებულებები. ამ მხრივ უპირობოდ წამყვანი ადგილი უჭირავს ქართულ ხუროთმოძღვრებას – საქართველოს პატარა ტერიტორიაზე აღრიცხულია სხვადასხვა დანიშნულების ათასობით ხუროთმოძღვრული ძეგლი, როგორებიცაა: საკულტო შენობები, სამარხები, სამოქალაქო, თავდაცვითი, სამეურნეო და საინჟინრო ნაგებობანი. აყვავების პერიოდებში შექმნილი სრულყოფილი, მშვენიერი, ყველასგან განსხვავებული, თვითმყოფადი ქართული არქიტექტურული ძეგლები შუა საუკუნეების მსოფლიო ხელოვნების ღირებულ ნიმუშებად გვევლინება.

VII-XII საუკუნეებში თბილისში არაბები ბატონობდნენ (ძირითადად თბილისსა და მის შემოგარენში). IX-XI საუკუნეები საქართველოს ისტორიაში არაბთა განდევნისა და საქართვე-

ლოს გაერთიანებისთვის ბრძოლის ხანაა, რომელიც XII საუკუნის დასაწყისში წარმატებით დაასრულა ჩვენი ქვეყნის ყველა დროის უდიდესმა მეფემ დავით აღმაშენებელმა (1073-1125 წწ.). ეს საუკუნე ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული წინსვლის პერიოდია, ხოლო სამეფო ხელისუფლებამ ცენტრალიზაციის მწვერვალს მიაღწია [33]. XII საუკუნეში აიგო უამრავი ტაძარი [სვეტიცხოველი (1029 წ.), გელათი (1106 წ.), იკორთა (1172 წ.), ბეთანია (XII საუკუნის დასასრული), ქვათახევი (XII-XIII საუკუნეების მიჯნა)], სასახლე, ციხე და სხვ., ხოლო საქართველოს ტერიტორია გაშლილი იყო შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე.

X-XIII საუკუნეებში შემოქმედებით აღმავლობას განიცდის ქართული მინანქრული ხელოვნება. X საუკუნის უცნობმა ქართველმა ხელოსანმა გამოავლინა ფილიგრანის ვირტუოზული ფლობის უნარი. იგი ქმნიდა ანჩისხატისთვის შეწირულ ოქროს ჭვირულ მედალიონებს. XI საუკუნის უნატიფესი ტიხრული მინანქრით შემკული ერთადერთი სამაჯური და იმავე გარნიტურის გულსაკიდი ფირფიტა გვაძლევს საშუალებას, წარმოვიდგინოთ შუა საუკუნეების წარჩინებული ქართველი ქალის სამკაულის სილამაზე. ასევე ერთგვარ წარმოდგენას გვიქმნის დმანისის ნაქალაქარზე აღმოჩენილი პატარა განძი, რომელიც შეიცავს სამკაულის მთელ გარნიტურს – საყურეებს, ყელსაბამს, სამაჯურებს.

ქართული მინანქარი გამოირჩევა იკონოგრაფიული თვალსაზრისითაც [ხახულის (VIII ს.) და შემოქმედის (X ს.) კვადრიფოლიუმები (სურ. 1.16)]. საქართველოში XV საუკუნის დასაწყისამდე შემონახული იყო ტიხრული მინანქრის წარმოება. ეს იმ დროს, როცა სხვა ქვეყნებში (ბიზანტია, რუსეთი) იგი უფრო ადრე გაქრა და პრაქტიკულად დაიკარგა.




სურ. 1.16. შემოქმედის კვადრიფოლიუმი, ფირფიტა „მირქმის“ კომპოზიციით (XII-XIII სს)

XI-XII საუკუნეებისათვის საქართველოს ათვისებული ჰქონდა ცივილიზებული სამყაროს კულტურული მონაპოვრის დიდი ნაწილი. ქვეყანა ეზიარებოდა როგორც მსოფლიო ქრისტიანულ-ფილოსოფიურ პრობლემებს, ასევე ქართველებისათვის არც ისე უცხო სპარსულ-მაჰმადიანურ კულტურას, რომლის მწერლობას, ხელოვნებას უდიდეს პატივს სცემდა, თარგმნიდა და სწავლობდა, თუმცა ყველაზე მძიმე წლებშიც ქართული ენა ყოველთვის საქართველოს სახელმწიფო ენა იყო და არის. იგი სულ ცოტა 15000 წლისაა. ცნობილია, რომ დედამიწაზე რამდენიმე ათასი ენაა, მაგრამ აქედან ანბანი მხოლოდ თოთხმეტია. ქართული მსოფლიოს თოთხმეტ ანბანთაგან ერთ-ერთი უძველესია. სავარაუდოდ, შექმნილია ძველი წელთაღრიცხვის IV საუკუნეში. ქართულმა ანბანმა დღემდე მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა, სამი სახის დამწერლობა ჩამოყალიბდა – მრგლოვანი (ასომთავრული), ნუსხური და მხედრული. დღემდე შემორჩენილი უძველესი ქართული წარწერებია: პალესტინის უდაბნოს ქართული მონასტრის წარწერა (429-444 წწ.), ბოლნისის სიონის წარწერა (492-493 წწ.), მცხეთის ჯვრის მონასტრის წარწერები (VI-VII სს.), ატენის სიონის წარწერა (IX-XI სს.) და სხვ. XII საუკუნეში შეიქმნა მსოფლიო პოეზიის შედევრი „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც პრაქტიკულად ყველა ენაზეა თარგმნილი. ქართულ მწერლობას, ხელოვნებას, ფერწერას, მეცნიერებას თავისი ადგილი უჭირავს მსოფლიო კულტურულ სივრცეში.

X-XII საუკუნეებში ქართული კულტურა შემოქმედებით აღმავლობას განიცდიდა. საეტაპო ძეგლები შეიქმნა ლიტერატურაში, არქიტექტურასა და ქანდაკებაში. იწერება წმინდა წიგნების შემამკობელი მინიატურებისა და ხატების უნიკალური ნიმუშები. განსაკუთრებით ვითარდება კედლის მხატვრობა (ქრისტიანობის დამკვიდრებასთან ერთად საქართველოში გამოსახულებათა იკონოგრაფიას და, გარკვეული თვასაზრისით, მხატვრულ ფორმებსაც სირია-პალესტინისა და ბიზანტიის ხელოვნებიდან შემოსული ნიმუშები დაედო საფუძვ-

ლად.) მაგრამ, მიუხედავად აღმოსავლურ და დასავლურ ქრისტიანულ სამყაროსთან მჭიდრო ურთიერთობისა, ქართველი ოსტატები, უძველესი ადგილობრივი მხატვრული ტრადიციების გავლენით, ქმნიან გამორჩეულად თავისებური სახის ფერწერულ სკოლებს: სვანეთის, ტაო-კლარჯეთის, დავით-გარეჯის, სამეფისკაროსა და სხვ. გარდა ზოგადქრისტიანული თემებისა, ქართული მონუმენტური ფერწერა ქრისტიანული იკონოგრაფიის შემოქმედებითი განვითარებითა და მოხატულობების პროგრამის შედგენილობით გამოირჩევა. მაგალ;ითად, გუმბათის კამარაში უფრო ხშირად „ჯვრის დიდება“ გამოისახება, ხოლო საკურთხეველის კონქი „მაცხოვრის დიდების“ ან „დეისუსის“ (ვედრების) კომპოზიციას ეთმობა. ქართული ფერწერული სკოლის თავისებურებაა აგრეთვე დიდი ზომის გამოსახულებები, რომლითაც დაფარულია საკულტო ნაგებობების თითქმის მთელი შიგა სივრცე. მხატვრობითაა შემკული ცალკეული არქიტექტურული დეტალებიც. ამ ეპოქის მონუმენტური კედლის მხატვრობის ერთერთი ბრწყინვალე მაგალითია ატენის სიონის მოხატულობა, რომელიც უნიკალური იკონოგრაფიული პროგრამით, მხატვრული სახის სრულყოფილებითა და გამომსახველობით ხასიათდება. ამავე დროს, XI საუკუნის მეორე ნახევრის ატენის მხატვრობა ორგანულადაა მორგებული VII საუკუნის ტაძრის ინტერიერს (აქ წარმოდგენილი კომპოზიციებიდან გამოირჩევა „იოსების სიზმარი“, „მარიამისა და ელისაბედის შეხვედრა“, „ხარება“ და სხვ.). დიდებულია გელათის სამონასტრო კომპლექსის (ღვთისმშობლის მიძინების სახელობის) მთავარი ტაძრის საკურთხევლის კონქის მოზაიკა „ღვთისმშობლის დიდება“ (1125-1130 წწ.). მონუმენტურობით გამოირჩევა ტაო-კლარჯეთის სკოლის ფერწერა (ოთხთა ეკლესია, ოშკი, იშხანი, ხახული, ტბეთი, კუმურდო). ქართული მონუმენტური მხატვრობის ისტორიაში განსაკუთრებულია დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის ტაძრების (უდაბნო, ბერთუბანი, ნათლისმცემელი), რაჭისა და სვანეთის ძეგლების (ნიკორწმინდა, იფრარი, ლაგურკა, ნაკიფარი, მაცხვარიში) მოხატულობები. ბრწყინვალეა ვარძიის, ყინწვისის, ბეთანიის, ტიმოთესუბნის და სხვა ეკლესია-მონასტრების ფრესკები.



სურ. 1.17. თამარ მეფის ჯვარი

X-XIII საუკუნეები ერთიანი ფეოდალური საქართველოს ოქროს ხანად ითვლება. ამ პერიოდში არნახულ დონეს მიაღწია მეცნიერებამ, ლიტერატურამ და ხელოვნებამ. ამ დროის ქართული ეკლესიების კედლებზე შემონახული ფრესკული მხატვრობა ადასტურებს სამკაულის წარმოების აღმავლობას, მაგრამ ნივთიერად სამკაული გასაოცრად მცირე რაოდენობით შემოგვრჩა – თამარ მეფის სადა უპრეტენზიო გულსაკიდი ჯვარი და რამდენიმე ნივთი. მეფის ოქროს ჯვარი (სურ. 1.17) შემკულია ხუთი ბრტყელი ლალით, ოთხი დაწახნაგებული ზურმუხტით და ექვსი მარგალიტით. ჯვრის უკანა პირზე სევადით გამოყვანილი ასომთავრული წარწერაა, რომელიც გვამცნობს, რომ მისი მფლობელი მეფეთ-მეფე თამარი იყო. სიცოცხლეში თამარ მეფე ამ ჯვარს არ იშორებდა. თამარის გარდაცვალების შემდეგ ჯვარს დაუმზადეს ტიხრული მინანქრით შემკული სპეციალური ყუთი – სტავროთეკა, და როგორც ქართველი ხალხის ერთ-ერთი უწმინდესი სალოცავი, დასაცავად გადასცეს გელათის მონასტერს.

XIII საუკუნის პირველ ნახევარში (1220, 1221, 1235 წწ.) საქართველოს მონღოლთა ურდოები შემოესივნენ და დიდი ხნით (1328 წლამდე) დაამყარეს აქ თავისი ბატონობა. თურქების მიერ კონსტანტინოპოლის დაპყრობის შემდეგ (1453 წ.) გახშირდა საქართველოში თურქთა და სპარსთა შემოსევები, რომელიც გრძელდებოდა XIX საუკუნის დადგომამდე. ყოველივე ამან XIV-XVI საუკუნეებში შეაჩერა კულტურის განვითარება და ქვეყანაში უმძიმესი ვითარება შექმნა. ფერწერა ნაწილობრივ მხოლოდ დასავლეთ საქართველოში ვითარდებოდა, რომელსაც პრაქტიკულად არ განუცდია მონღოლთა შემოსევის სიმძიმე. გაჩნდა ახალი ბერძნული პალეოლოგოსური სტილი (ხობის, მარტვილის, ზარზმის მოხატულობა; უბისის ტაძრის, სორის დარბაზული ტიპის ეკლესიის ფრესკები შესრულებული მხატვარ დამიანეს

მიერ, წალენჯიხის მაცხოვრის ფერისცვალების საკათედრო ტაძრის მხატვრობა). საინტერესოა XVII საუკუნის ანჩისხატისა და სვეტიცხოვლის შიდა სვეტის გრიგოლ გულჯავარასაშვილისეული მოხატულობა (1673-1688 წწ.), აგრეთვე ბუგეულის ღვთისმშობლის ეკლესიის მხატვრობა და მრავალი სხვ.

ქართული კულტურისათვის ფასდაუდებელია ანტიოქიაში (სირია) შავი მთის სავანისა (XI საუკუნეში აქ მოღვაწეობდა საქართველოდან წამოსული ბევრი ცნობილი ფილოსოფოსი და მწიგნობარი: გიორგი მთაწმინდელი, გიორგი მცირე, ეფრემ მცირე, ანტონ ტბელი, ეფრემ მცირე ოშკელი და სხვ.) და საბერძნეთში ათონის ივერთა მონასტრის (980-983 წწ.) დიდი ტრადიციები, პეტრიწონის მონასტერი ბულგარეთში (1083 წ.), რომლის დამაარსებელია ბიზანტიის კეისრის ალექსი კომნენოსის კარზე გაძლიერებული ქართველი თავადი, დასავლეთის ჯარების მთავარსარდალი ტაოელი გრიგოლ ბაკურიანისძე (სახელი მოდის ბერძნული „პეტრა“-დან რაც ქართულად კლდეს ნიშნავს). პეტრიწონის სავანე დაარსებიდან XV საუკუნემდე ქართველთა ხელში იყო, შემდეგ კი ამ სავანეში ქართველთა მოღვაწეობის კვალი იკარგება. XVII საუკუნეში ბერძნებმა მონასტერს სახელი შეუცვალეს და ბაჩკოვოს მონასტერი უწოდეს (საქართველოს საპატრიარქოს საიტი).

ქართულმა თარგმანებმა შემოგვინახა ქრისტიანული სასულიერო მწერლობის მდიდარი საგანძური, რომელთაგან, პირველ რიგში, აღსანიშნავია ძველი ქართული სასულიერო სასწავლებელი – **გელათის აკადემია.** იგი დაარსდა 1106 წელს გელათის მონასტერთან დავით აღმაშენებლის ინიციატივითა და ხელშეწყობით. დავითმა გელათის აკადემიაში სამოღვაწოდ შეკრიბა სწავლული ქართველები, რომელთა შორის იყვნენ იოანე პეტრიწი (გელათის აკადემიის პირველი რექტორი) და არსენ იყალთოელი. თანამედროვენი გელათის აკადემიას „ასუად ათინად“ („აღმოსავლეთის მეორე იერუსალიმად“) იხსენიებდნენ. აკადემიის სათავეში იდგა მოძღვართმოძღვარი. სასწავლო პროგრამით, ისე, როგორც იმდროინდელ ბიზანტიის სქოლასტიკურ უმაღლეს სკოლებში, ისწავლებოდა მეცნიერების შვიდი ძირითადი დარგი: გრამატიკა, ფოლოსოფია, რიტორიკა, არითმეტიკა, გეომეტრია, მუსიკა და ასტრონომია. გელათის აკადემიაში დაუწერია არსენ იყალთოელს სჯულის კანონი, იოანე პეტრიწს – ნემესიოს ემესელის თხზულება „ბუნებისათჳს კაცისა“. განსაკუთრებით აღსანიშნავია ბერძნულიდან თარგმნილი იოანე ქსიფილინოსის ჰაგიოგრაფიული კრებული, რომლის ორიგინალი დაკარგულია. სამეცნიერო-მთარგმნელობითი მოღვაწეობა გელათის აკადემიაში მომდევნო საუკუნეებშიც არ შეწყვეტილა, თუმცა საგრძნობლად შენელდა.

გელათის აკადემიაში მოღვაწეობდნენ ჰიმნოგრაფი არსენ ბულმაისიმისძე, ფილოსოფოსი და რიტორი პეტრე გელათელი. აქ შეიქმნა მნიშვნელოვანი იურიდიული ძეგლი „გარიგება ჴელმწიფის კარისა“ და საისტორიო წყარო „გელათური ქორონიკონი“.

საქართველოს კულტურის ისტორიისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს გელათის აკადემიის შენობის ნაშთებს – მონასტრის ეზოში უზარმაზარი გრძელი დარბაზის ნანგრევებს კამაროვანი ფართო ფანჯრებით, მოძღვრის კათედრით, საჯდომებით მსმენელთათვის, თახჩებით წიგნებისათვის, ცალკე შესასვლელით, აგრეთვე ცალკეული ოთახებით, რაც, კიდევ ერთხელ უპირობოდ მიუთითებს ნაგებობის საერო დანიშნულებას ანუ სასწავლო აკადემიის არსებობას.

ქართული კულტურის საუნჯეა **იყალთოს აკადემია** – იყალთოს სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიაზე განლაგებული ქართული უმაღლესი სასწავლებელი XI-XII საუკუნეებში, რასაც ადასტურებს მონასტრის ეზოში შემორჩენილი შენობის ნანგრევები (ისევე, როგორც გელათის აკადემიის ნანგრევები), რომელიც საერო დანიშნულების ნაგებობას უფრო ჰგავს, ვიდრე სამონასტროსას. ნანგრევებში ჩანს კათედრის ფუძე, დამახასიათებელი თახჩა-ფანჯრები. შენობა მონუმენტური უნდა ყოფილიყო, გელათის აკადემიის შენობის მსგავსი, იმ განსხვავებით, რომ იყალთოს აკადემიის შენობა ორსართულიანია. აკადემიაში ასწავლიდნენ ღვთისმეტყველებას, რიტორიკას, ასტრონომიას, ფილოსოფიას, გეოგრაფიას, გეომეტრიას, გალობასა და ა.შ. ისწავლებოდა აგრეთვე მჭედლობა, კერამიკა („მეკეცეობა“) და მევენახეობა-

მეღვინეობა. იყალთოს აკადემიის პირველი რექტორი იყო ქართველი სასულიერო მოღვაწე, ფილოსოფოსი, მწერალი და ჰიმნოგრაფი არსენ იყალთოელი.

უმაღლესი განათლების კერები საქართველოს სხვა კუთხეებშიც არსებობდა. გადმოცემის თანახმად, ასეთი იყო **გრემის აკადემია** (XV-XVII ს.), რომლის დაარსება კახეთის პირველი მეფის გიორგის (1466-1476 წწ.) მიერ გრემის კახეთის დედაქალაქად გადაქცევას უნდა ემთხვეოდეს (სამწუხაროდ გრემის აკადემიის ფუნქციონირების შესახებ წერილობითი ცნობები არ მოგვეპოვება).

საზღვარგარეთული სავანეებიდან გამორჩეულია **იერუსალიმის ჯვრის მონასტერი** პალესტინაში (ახლანდელი ისრაელის სახელმწიფო) და **პეტრიწონის მონასტერი** ბულგარეთში. ჯვრის მონასტერი მოხატული იქნა ლიხთ-იმერეთის მეფის (1259-1293 წწ.) დავით VI ნარინის შვილის კონსტანტინე I-ის (1293-1327 წწ.) სახსრებით. საქართველოს მეფეების დავით VIII-ისა (1293-1311 წწ) და გიორგი V-ის (1318-1346 წწ.) ძალისხმევით დაუბრუნდა ქართველებს და იქ მნიშვნელოვანი სარესტავრაციო სამუშაოები ჩატარდა. დაბრუნებულ მონასტერში განახლდა კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობა. აქ დაიწერა ჰაგიოგრაფიული თხზულებები – ლუკა იერუსალიმელისა და ნიკოლოზ დვალის მარტვილობები. ამ პერიოდში იერუსალიმში არსებობდა ქართული დედათა მონასტერიც, ხოლო კვიპროსის კუნძულზე – ქართული მონასტერი (რომელიც მოხსენიებულია ნიკოლოზ დვალის ცხოვრების ამსახველ ისტორიულ მასალებში). ჯვრის მონასტერს შემდეგ წლებშიც დიდ ყურადღებას აქცევდნენ ქართველი მეფეები დავით IX (1346-1360 წწ.), ბაგრატ V (1360-1393 წწ.), ალექსანდრე I დიდი (1412-1442 წწ.). 1400 წელს შუააზიელი ემირის თემურ-ლენგისგან აოხრებული ჯვრის მონასტრისათვის მატერიალური დახმარება გაუწევია მამა პიმენ მაწყვერელს. წმინდა მიწაზე ქსნის ერისთავებს შალვას, ვირშელს და ივანეს აუგიათ წმინდა დიმიტრის მონასტერი, ხოლო ფანასკერტელ-ციციშვილებსა და მაჩაბლებს – წმინდა ეკატერინეს მონასტერი. საზღვარგარეთ ქართული სავანეებისადმი უდიდეს ყურადღებას იჩენდნენ დადიანთა საგვარეულოს წარმომადგენლები.

ქართული კულტურისათვის მნიშვნელოვანია პეტრიწონის მონასტერში დღემდე შემონახული ღვთისმშობლის ხატი (მოჭედილია 1311 წ.) ქართული ასომთავრული წარწერით.

გამორჩეულია XIV საუკუნეში შესრულებული **უბისის ტაძრის მხატვრობა,** რომელიც ქართული ფერწერული სკოლის უნიკალური ნიმუშია. იგი მხატვარ დამიანესა და მის მოსწავლეს გერასიმეს ეკუთვნის. ამაზე მეტყველებს ერთ-ერთი კომპოზიციის („საიდუმლო სერობა“) ქვედა ნაწილში შემორჩენილი წარწერა (შ. ამირანაშვილი, ვ. ბერიძე). ტაძრის ფრესკულ მხატვრობაში გამოვლენილია რეალისტური ახალი სტილი, მიმართულება. წმინდანთა სახის გადაწყვეტაში იკონოგრაფიული მეთოდი ადგილს უთმობს უფრო ცხოვრებისეულ მანერას, პეიზაჟი უფრო ემსგავსება ნამდვილს. მოხატულობაში წარმოდგენილია ყველა საუფლო დღესასწაულის კომპოზიციები: ხარება, ბზობა, ჯვარცმა, აღდგომა, ნათლისღება, მამა ყოვლისმპყრობელი და სხვ. ფრესკებს შორის გამოირჩევა „უბისის წმინდა გიორგის ფრესკა“ და „საიდუმლო სერობა“. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ უბისას ტაძრის ფრესკები ქართული საეკლესიო მხატვრობისა და კულტურის ფასდაუდებელი ნიმუშია. საყურადღებოა ამავე საუკუნის წალენჯიხის ტაძრის ინტერიერის მოხატულობა, რომელიც სამეგრელოს მთავრის, ვამეყ დადიანის ბრძანებით შეუსრულებია კონსტანტინოპოლიდან სპეციალურად მოწვეულ მხატვარ კირ მანუელ ევგენიკოსს (აქვეა მისი ხელმოწერაც).

XIV საუკუნეშია შექმნილი ქართული საკანონმდებლო ძეგლები: სისხლის სამართლის კანონთა კრებული – „ძეგლისდება“ (1334-1335 წწ), სახელმწიფო სამართლის წიგნი – „ხელმწიფის კარის გარიგება“ (გიორგი V ბრწყინვალეს მეფობის პერიოდი), ფეოდალური სამართლის წიგნი – „წიგნი სამართლისა კაცთა შეცოდებისა ყოველთავე“ (XIII-XIV საუკუნეების მიჯნა), რომელშიც შესულია ბექა ჯაყელის მიერ შედგენილი „კანონთა კრებული“ (1295-1304 წწ.) და ბექა-აღბუღას „სამართალი“ (1381-1386 წწ.), რომელსაც „პირველხარისხოვანი ისტორიული წყაროს“ [69] მნიშვნელობა აქვს და სხვ.

ხვარაზმელი სულთნის (1220-1231 წწ.) ჯალალ ედ-დინის და შუააზიელი ემირის თემურლენგის (1370-1405 წწ.) შემოსევებმა და მონღოლთა ასწლოვანმა ბატონობამ (1220-1328 წწ.) დამღუპველად იმოქმედა ქართულ კულტურაზე. განადგურდა ქართული ხუროთმოძღვრების, ხელოვნებისა და მწერლობის უამრავი ძეგლი. გაიძარცვა სამეფო ბიბლიოთეკა და წიგნსაცავები, თუმცა რამდენიმე შემორჩენილი მწერლობის ძეგლი, ნათლად ადასტურებს ჩვენი თანამემამულეების საისტორიო აზროვნების მაღალ დონეს.

XII და XIII საუკუნის დასაწყისის ისტორია (დემეტრე I-ის, დავით V-ის, გიორგი III-ის, თამარის, გიორგი IV ლაშას მეფობა) შემოგვინახა გიორგი IV-ის დროინდელმა უცნობმა ისტორიკოსმა, რომელსაც აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი ლაშა-გიორგის დროინდელ მემატიანეს უწოდებს. ეს რამდენიმე გვერდიანი თხზულება (დანარჩენი დაკარგულია) გამოირჩევა ქრონოლოგიური ცნობების სიუხვითა და სიზუსტით. მხოლოდ ამ ნაშრომშია შემორჩენილი ცნობები საქართველოს მეფის (1155-1156 წწ.) დავით V-ის შესახებ. თხზულება შეტანილია ქართლის ცხოვრების იმ ნუსხაში, რომელიც გადაწერილი იქნა კახეთის დედოფლის ანას (კახეთის მეფე ალექსანდრე I-ის მეუღლე) ძალისხმევით (1479-1495 წწ.) და რომელშიც შესულია აგრეთვე ლეონტი მროველისა და ჯუანშერის თხზულებები, მატიანე ქართლისა და დიდი ქართველი მეფის დავით აღმაშენებლის ისტორია.

საქართველოს ისტორია ლაშა-გიორგის გამეფებიდან (1213 წ.) გიორგი ბრწყინვალემდე (1318 წ.) აღწერილი აქვს უცნობ ქართველ ისტორიკოსს (ივანე ჯავახიშვილმა მას ჟამთააღმწერელი უწოდა), რომელიც ხატოვნად გადმოგვცემს ცოტნე დადიანის, დემეტრე თავდადებულის და სხვა ქართველი მამულიშვილების გმირობის ამბებს. აქვე განხილულია მონღოლებისა და მათ მიერ დაპყრობილი ქვეყნების ისტორიული ამბები. ამ პერიოდში დაიწყო ქართული კულტურის გავლენის გავრცელება მთიანეთში, სადაც ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდნენ ქართველი მისიონრები. ინტენსიურად დაიწყო ქართული ხელნაწერი წიგნების თარგმნა უცხო ენებზე, რომელსაც სათავეში ედგა სიმეონ ხუცეს მონაზონი [69, გვ. 264].

საქართველოს ისტორიის აღწერასთან ერთად ხდებოდა კერძო საგვარეულო მატეანეების შედგენაც. ასეთია მაგალითად, ქსნის ხეობაში არსებული სამონასტრო კომპლექსი ლარგვისი, სადაც მოღვაწეობდა დიდებული მწიგნობარი და მხატვარი ავგაროზ ბანდაისძე. სავარაუდოდ მისი შექმნილია და მოხატულია ერისთავთა საგვარეულო მატეანე „ძეგლი ერისთავთა“ (1348-1400 წწ.). შემდეგში მამის დაწყებული საქმე გააგრძელა მისმა შვილმა გრიგოლმაც. XV საუკუნის 60-იან წლებში მძოვრეთის (მზოვრეთის, ზოვრეთის) კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრში (საციციანოს ცენტრი) ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილმა შეადგინა „სამკურნალო წიგნი-კარაბადინი“, მანვე განაახლა ყინწვისის მონასტერი და სხვ.

XI-XII საუკუნეებში მნიშვნელოვან განვითარებას მიაღწია **სახვითმა ხელოვნებამ.** ქანდაკება შეცვალა ორნამენტმა, ტაძრების ფასადებზე გაქრა რელიეფური გამოსახულებები. წინა პლანზე წამოვიდა დეკორატიულობა და ორნამენტულობა, რომლის ნათელი მაგალითია მსოფლიო ოქრომჭედლობის უნიკალური ნაწარმოები – ხახულის ხატი გელათიდან (XII საუკუნის პირველი ნახევარი). ამ პერიოდში გამოირჩეოდა ოქრომჭედლობის სკოლები (ოპიზის, ტბეთის, გელათის), რომლებმაც, გარკვეულად, დამოუკიდებელი მონუმენტური სახე შეიმუშავეს ხელოვნებაში. ძალზედ განვითარდა კედლის მხატვრობაც. შემორჩენილია დავით აღმაშენებლის კარის მხატვრის, თევდორეს მიერ მოხატული სვანეთის ტაძრები: იფრარის „თარნგზელი“ (1096 წ.), კვირიკესა და ივლიტეს ეკლესია (ლაგურკა) კალაში (1111-1112 წწ.), წმ. გიორგის ეკლესია ნიკიფარში (1130 წ.), აგრეთვე სოფელ წვირმის მაცხვარიშის ეკლესიის მოხატულობა (1140 წ., მხატვარი მიქაელ მაღლაკელი).

გამოსარჩევია ატენის სიონის მოხატულობა (XI საუკუნის მიწურული), სადაც დავით IV აღმაშენებელი ქართულ საეკლესიო მხატვრობაში პირველად აისახა მეფის რანგში.

ქართულ ხელოვნებაში თავისი ადგილი ჰქონდა ხელნაწერი წიგნების გაფორმებას, მინიატურებს, ტიხრულ მინანქარს, რომელიც გამოირჩეოდა განსაკუთრებული ფერებით (ხორცისფერი, გამჭვირვალე მწვანე) და კოლორიტის სიღრმით. შესრულების უმაღლეს საფეხურზე

ავიდა გამოყენებითი ხელოვნება – კერამიკული თუ ლითონის ჭურჭლის, ქსოვილების, ფარდაგების, თექის, ნაბდის, საყოფაცხოვრებო ნივთების წარმოება.

დავით აღმაშენებლის ეპოქის კულტურულ დონეზე ისიც მიუთითებს, რომ საქართველოში ხშირად იწვევდნენ მუსლიმან მწერლებს, პოეტებს, ფილოსოფოსებსა და მეცნიერებს აზრთა გაზიარების მიზნით (მათთვის მეფეს ცალკე სასტუმრო სახლიც კი აუშენებია), რაც ბუნებრივია დადებით გავლენას ახდენდა საქართველოში პოლიტიკის, კულტურისა და განათლების დონეზე.

XX საუკუნეში მცხეთის ნეკროპოლში ჩატარებული დიდი არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად ნაპოვნმა ოქროსა და ვერცხლის სამკაულებმა, თიხის ჭურჭელმა, იარაღმა და მისთ. დაადასტურა ხელოსნობის მაღალი დონე და მჭიდრო კავშირი ელინისტურ კულტურულ სამყაროსა და ახლო აღმოსავლეთთან.

საქართველოში ყოველთვის დიდი ყურადღება ექცეოდა ახალგაზრდა თაობის სწავლა-აღზრდის საქმეს. ოფიციალური სკოლები, ძირითადად, ეკლესია-მონასტრებთან არსებობდა, სადაც ასწავლიდნენ თეოლოგიას, ჰიმნოგრაფიას, ლიტურგიკასა და ქართულ მწიგნობრობას. მათ პარალელურად გავრცელებული იყო კერძო სწავლება სამეფო კარისა და დიდგვაროვანთა ოჯახის შვილებისათვის. XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან შეიქმნა პირობები საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური გამოცოცხლებისათვის. 1755 წელს ანჩისხატის ტაძრის ეზოში გაიხსნა თბილისის სემინარია, 1782 წელს მეფის სასახლის სკოლის ბაზაზე – თელავის სემინარია.

საქართველოს რუსეთთან შეერთების პერიოდის ტიპურ ნაწარმად შეიძლება ჩაითვალოს სამეგრელოს მთავრის მეუღლის – ცნობილი ქართველი პოეტისა და გენერლის ალექსანდრე ჭავჭავაძის ასულ ეკატერინეს პირადი სამკაულები: დიადემები, სამაჯურები, გულსაკიდი და საყურეები, რომელთაც ინსიგნიის მნიშვნელობაც ჰქონდათ. ისინი დამზადებულია ადგილობრივი ხელოსნების მიერ XIX საუკუნის პირველ ნახევარში. ფირუზის სიჭარბე ირანული ტრადიციების გავლენაზე მეტყველებს, მოხატული მინანქარი (ფინიფტი) მაშინ შედარებით ახალი მოვლენა იყო და ქართულ ოქრომჭედლობაში რუსეთიდან გავრცელდა.

XVII საუკუნიდან საქართველოში გაძლიერდა კათოლიკე მისიონერთა საქმიანობა. ისინი აარსებდნენ სკოლებს და სხვადასხვა სახის სასწავლებლებს, სადაც ქართულ და უცხოურ ენებზე ასწავლიდნენ ახალგაზრდებს და გამორჩეულ მოსწავლეებს ევროპაშიც აგზავნიდნენ სწავლის გასაგრძელებლად. მათი მიზანი მართლმადიდებლური და კათოლიკური სარწმუნოებისათვის ნიადაგის მომზადება იყო. თანდათან აღდგა კულტურისა და მეცნიერების როლი. გაჩნდა კულტურის ცენტრები თბილისში, ქუთაისში, თელავში, გორსა და სხვა ქალაქებში, რომელთა საქმიანობის სულისჩამდგმელები სამეფო ოჯახის წევრები იყვნენ. ქართლის მეფე (1676-1688; 1703-1709 წწ.) გიორგი XI-ის შეკვეთით სულხან-საბა ორბელიანმა შექმნა ქართველთა საამაყო, ენციკლოპედიური ნაშრომი – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი „სიტყვის კონა“, შემდეგ კი უკვდავი „სიბრძნე სიცრუისა“, რომელმაც უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა ახალგაზრდა თაობის ჩამოყალიბებაში. მის გარდა ქართულ განათლებას ემსახურებოდნენ იმდროინდელი სწავლულები სეხნია ჩხეიძე (ისტორიკოსი), მეფე, პოეტი, ფილოსოფოსი და დიდაქტიკოსი არჩილ II (მნიშვნელოვანი ნაწარმოებები: „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“, „ანბანთქება“), ცნობილი პოეტები მეფე თეიმურაზ I, ფეშანგი, იოსებ თბილელი (სააკაძე) და სხვ. კულტურული მნიშვნელობის ცენტრებს წარმოადგენდნენ საეპისკოპოსო კათედრალები – სვეტიცხოველი, გელათი, ალავერდი, სამთავისი, წილკანი, ცაიში, ბედია.

XVII საუკუნის პირმშოა კახეთის ახალი დედაქალაქი გრემი, არაგვის ერისთავთა დიდებული ციხე ანანური, მჭადიჯვრის ეკლესია დუშეთსა და მუხრანს შუა, სხვილოსა და ქსნის ციხეები, გატეხილი ხიდი (წითელი ხიდი) მდ. ხრამზე, ქვის ხიდი მდ. ჭიშურაზე და სხვ. გაგრძელდა ტაძრების მოხატვა, ხელნაწერთა დასურათება, მინიატურული მხატვრობა, მეფის სასახლეებში გაჩნდა მსახიობთა დასები, ფართო ასპარეზი მიეცა სახალხო დღესასწაულს ბერიკაობას და სხვ.

XVIII საუკუნიდან შეინიშნება მტრული პოლიტიკური ერთეულებით გარშემორტყმული ქვეყნის თავდადებული ბრძოლა თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის. გაიზარდა განათლებული ევროპისკენ სწრაფვა. დიდი მეფეების ვახტანგ VI-ის, თეიმურაზ II-ის, ერეკლე II-ის, სოლომონ I-ის და სხვათა მმართველობაში მომდინარეობდა ბრძოლა ურთიერთობის პროგრესული ფორმების დამკვიდრებისათვის. ქვეყნის პრიორიტეტი გახდა სწავლა-აღზრდის საქმე, რომელიც მიჩნეული იყო განვითარების საფუძვლად. ამ საქმეში უდიდესი დამსახურება მიუძღვით სულხან-საბას, იოანე ბატონიშვილს (მათემატიკოსი), ვახუშტი ბაგრატიონს (გეოგრაფი და მოგზაური), გიორგი ავალიშვილს (დრამატურგი), ტიმოთე გაბაშვილს (მოგზაური), კათოლიკოს ანტონ I და სხვ.

განსახილველ ხანაში თავისი შემოქმედებით ფასდაუდებელია ქართველი მწერლებისა და პოეტების მიერ შექმნილი ნაწარმოებები. მათ შორის გამოსარჩევია ბესიკი (ბესარიონ გაბაშვილი), დავით გურამიშვილი, მამუკა ბარათაშვილი, გარსევან ჩილოყაშვილი, კავკასიურ სამ ენაზე შემოქმედი პოეტი, აშუღი და დემოკრატი საიათნოვა და მრავალი სხვ.

შედარებით მწირი ცნობებია შემორჩენილი სამშენებლო ობიექტების შესახებ, რადგან, როგორც ჩანს, ყველა ერიდებოდა ღირებული სასახლის, ტაძრისა და სხვა ნაგებობის აღმართვას, რათა ისინი არ გამხდარიყო მტრის სამიზნე. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ ქართველ სამეფო ოჯახებსა და არისტოკრატიას ისტორიულად არასოდეს ჰქონიათ მიდრეკილება ფუფუნებით ცხოვრებისა (განსხვავებით მაჰმადიანური ქვეყნების მმართველებისა). თუმცა დაწყებულმა რენესანსის ნიავმა უყურადღებოდ არც ეს დარგი დატოვა. მეფე ვახტანგ V მტკვრის პირას ბრწყინვალე სალხინო სასახლე ააგებინა (მოწვეული ყავდა ფრანგი სპეციალისტებიც), რომლის გრანდიოზულობისა და არქიტექტურის შესახებ ჩვენამდე მხოლოდ გადმოცემებმა მოაღწია. ასევე მნიშვნელოვანი ყოფილა თეიმურაზ II-ის დიდებული სასახლეც (დაინგრა 1795 წელს აღა მაჰმად ხანის შემოსევისას). XVIII საუკუნისაა ქ. სიღნაღი შესანიშნავი გალავნით, თელავის ციხე-გალავანი სამეფო სასახლით, დარეჯან დედოფლის სასახლე თბილისში და სხვ.

XVIII-XIX საუკუნეებში განვითარდა ჭედური ხელოვნება (თეგვა), რომლის ღირსეული წარმომადგენლები იყვნენ მამა-შვილი მიხეილ და დავით მამულაშვილები.

XIX საუკუნის თბილისი მთელი კავკასიის ხელოსნობისა და ლითონის მხატვრული დამუშავების უდიდესი ცენტრი იყო. „ვერცხლის“ ქუჩაზე ჩამწკრივებულ სახელოსნო-დარბაზებში ქართველი ხელოსნების გვერდით ლეკი და სომეხი ოქრომჭედლები ისხდნენ. მათი ერთობლივი შრომით იქმნებოდა ის განუმეორებელი კოლორიტის მქონე ნაწარმი, რომელსაც თბილისური ეწოდებოდა. ოქრომჭედლობის მეორე მსხვილი ცენტრი საქართველოში, კერძოდ, ახალციხეში, ცნობილი იყო თავისი სწორუპოვარი ფილიგრანული ნაწარმით. ახალციხური ვერცხლის სარტყლები და ოქრო-ვერცხლის ჭვირული სამკაული დღესაც აღტაცებას იწვევს. სამკაულის წარმოების უძველესი ტრადიციები შენარჩუნებული იყო სამეგრელოსა და იმერეთში, ხევსურეთსა და სვანეთში, სადაც ბოლო დრომდე მზადდებოდა ტრადიციული, სადა, მაგრამ ეპიკური სიდიადით აღსავსე სამკაული.

ვერცხლის სამკაულს ქართველი ოქრომჭედლები ტრადიციულად სევადით ამკობდნენ. იგი კეთილშობილი ლითონის შემკობის ქართული (კავკასიური) ხერხია, რომლის ისტორიაც საქართველოში სულ ცოტა ორიათას წელს ითვლის. საქართველოში უძველესი სევადიანი ნივთები – ჟინვალსა და ცხინვალში აღმოჩენილი ვერცხლის თასები I-III საუკუნეებით თარიღდება. შუა საუკუნეებში, ხშირად, სევადით იყო შემკული ჭედური ხატებიც. საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, სადაც სევადს ოქროს ნივთების შესამკობადაც იყენებდნენ. ცნობილია ოქროს რამდენიმე ხატი რომლებზეც ორნამენტი სევადითაა გამოყვანილი.

საიუველირო ხელოვნების ცენტრები არსებობდა ქ. ქუთაისში, სვანეთში (ვერცხლის სამკაულები), ოკრიბაში (გიშრის სამკაულები) და ა.შ.

ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ ძველმა და შუა საუკუნეების ქართულმა კულტურამ გარკვეული გავლენა იქონია ისეთი ხალხების კულტურაზე, როგორებიც იყვნენ ურარტუელები, სომხები, სპარსელები; ჰურიტები და მეოტები (აფხაზურ-ადიღეური ტომები); რომაელები,

ბიზანტიელები, რუსები, ოსები, ძველი ბერძნები, პონტოელი ბერძნები, ასირიელები; ჩეჩნები, ინგუშები, ბაცბები (ვაინახთა ტომი), კისტინები, ლეკები, ჰინუხები, ბეჟთინები (ჩრდილო კავკასიელები) და სხვ.

1.3. XIX-XX საუკუნეები

საქართველოს ისტორიაში, იშვიათი გამონაკლისის გარდა, თითქმის არ მოიძებნება საუკუნე, რომელსაც რაიმე განსაცდელი არ მოეტანოს ქვეყნისათვის. მთელი შუა საუკუნეების ისტორია ქართული სახელმწიფოებრიობისა და ქრისტიანული რწმენის შენარჩუნებისთვის ბრძოლის მატიანეა, მაგრამ შუა საუკუნეების დასასრული, შეიძლება ითქვას, ერთ-ერთი უმძიმესი ფურცელი აღმოჩნდა მრავალსაუკუნოვანი საქართველოს ისტორიაში. შვება არც XIX საუკუნის დადგომას მოუტანია. რთული და დრამატუიული წინააღმდეგობებით აღსავსე იყო ახალი ეპოქა - ერთი მხრივ „ქართველი ერის გადარჩენისთვის“ რუსეთის იმპერიის „ზრუნვა“, რომელსაც შედეგად ეროვნული სამეფო-სამთავროების რუსეთის გუბერნიად გამოცხადება, სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული ექსპანსია მოჰყვა, ხოლო, მეორე მხრივ – ქართველთა ბრძოლა თავისუფლებისათვის, ერის კონსოლიდაცია და კულტურული აღმავლობა.

საუკუნეების მანძილზე მომხდურებთან თავგანწირული ბრძოლით შენარჩუნებული ქართული სამეფო-სამთავროები XVIII საუკუნის დასასრულს რუსეთის მზარდი იმპერიის პოლიტიკური ინტერესების სფეროში მოექცა. 1801 წელს დაწყებული საქართველოს რუსეთის იმპერიის ნაწილად გადაქცევის პროცესი, პირველად ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, ქართული სახელმწიფოებრიობის სრული განადგურებით დასრულდა. ჯერ ქართლ-კახეთი, მოგვიანებით კი მთელი დასავლეთ საქართველო რუსეთის კოლონიად გამოცხადდა. მეტროპოლია ახლად დაპყრობილი ქვეყნების ინტენსიურ ათვისებას, სრულ ინკორპორაციას შეუდგა, რის შედეგადაც XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისის მანძილზე, საქართველო, როგორც პოლიტიკური ერთეული ქრება მსოფლიო რუკიდან. იგივე ბედი გაიზიარა ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამაც. ჯერ კიდევ V საუკუნეში მოპოვებული საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია გაუქმდა და 1811 წელს ქართულ საკათოლიკოსო ტახტს რუსი საეკლესიო მოხელეები, ეგზარქოსები დაეპატრონენ. ამიერიდან, სრულიად ახალი ეპოქა იწყება საქართველოს ისტორიაში.

XIX საუკუნემ რადიკალურად შეცვალა საქართველო. შედარებითმა მშვიდობიანმა ცხოვრებამ თანდათან მოამაგრა ქვეყანა, ხელი შეუწყო ეკონომიკურ აღმავლობას. გამოცოცხლდა როგორც საშინაო, ისე საგარეო ვაჭრობა; განვითარდა მრეწველობის სხვადასხვა დარგი; საქართველოს ქალაქებმა, განსაკუთრებით თბილისმა, სწრაფი ტემპით იწყო ზრდა; აშენდა რკინიგზა; განმტკიცდა ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებს შორის ეკონომიკური კავშირი, მაგრამ, ამავე დროს, გამწვავდა ეროვნული და სოციალური პრობლემები. იმპერიის სხვა ნაწილების მსგავსად, ხელისუფლებამ საქართველოშიც იძულებითი გარუსების პოლიტიკის გატარება დაიწყო. ახალმა მმართველობამ მოსპო ძველი ქართული სახელმწიფოებრივი წყობა და ქართული ენა სრულიად გამოდევნა ოფიციალური სფეროებიდან. საქართველოს მოსახლეობისთვის მანამდე უცნობ სხვადასხვა საუწყებო დაწესებულებებში – ადმინისტრაციული, სასამართლო და სხვ. – საქმის წარმოება მხოლოდ რუსულად მიმდინარეობდა. რუსული ენა გაბატონდა სასწავლო დაწესებულებებშიც. რუსეთის საგანმანათლებლო პოლიტიკის მიზანი მთავრობის ერთგულ მსახურთა მომზადება იყო. სკოლებს, ადგილობრივი მმართველობისთვის საჭირო მოხელეების მომზადებასთან ერთად, ხელი უნდა შეეწყოთ ქართველი ხალხის გარუსებისთვის. ყოველივე ამას არ შეიძლებოდა უკმაყოფილება არ გამოეწვია საქართველოში. სამწუხაროდ, XIX საუკუნის პირველსავე წლებში დაწყებული ბრძოლა რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ საბოლოოდ დიდი მსხვერპლით და ქართველთა მარცხით დასრულდა.

XIX საუკუნე არსებითი გარდატეხის ეპოქა იყო საქართველოს კულტურულ ცხოვრებაშიც: უკვე პირველი ათეული წლებიდან საქართველოში მძლავრ ნაკადად იჭრება რუსული კულტურა. დაარსდა ახალი რუსული სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებები და საზოგადოებები, გაიხსნა რუსული დრამატული თეატრი, იტალიური ოპერა, საჯარო ბიბლიოთეკა, ობსერვატორია, მუზეუმი. მთავრობის ხელშეწყობით გამოდის რუსული წიგნები, სხვადასხვა ცნობარები და პერიოდული გამოცემები, მაგრამ მიუხედავად წარმოებული კოლონიური პოლიტიკისა, რუსულმა მმართველობამ ვერ შეძლო ბოლომდე ჩაეკლა ქართული კულტურა. ის განაგრძობდა არსებობას, ეგუებოდა შექმნილ რეალობას, ეცნობოდა, ითვისებდა სიახლეებსა და ძალებს იკრებდა მომავლისათვის.

1.3.1. განათლება

XIX საუკუნის დამდეგს საშინაო თუ საგარეო მტრებისგან დაუძლურებულ-დაქსაქსული საქართველო მეფის რუსეთმა თავის პოლიტიკურ მიზნებს დაუმორჩილა. საქართველოს მმართველობის წინაშე საქართველოსა და მთლიანად ამიერკავკასიაში რუსეთის მფლობელობის დამყარება-განმტკიცების ამოცანები იდგა. ამ მიზნის მისაღწევად კი რუსეთი, უპირველეს ყოვლისა, ყველაზე ეფექტურ მეთოდს, საგანმანათლებლო პოლიტიკას იყენებდა.

რუსეთთან შეერთებისთანავე საქართველოში დაიხურა 1801 წლამდე მოქმედი ყველა სკოლა. ხელისუფლებამ ერთადერთი ორკლასიანი სასწავლებელი 1802 წელს გახსნა თბილისში, მაგრამ მალევე დახურა მასწავლებელთა კადრების არყოლის გამო. 1804 წელს პირველი ოფიციალური საერო რუსული სკოლა „თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი“ გაიხსნა, რომელიც 1830 წელს გიმნაზიად გადაკეთდა. აქ მაღალი წოდების წარმომადგენელთა და რუს მოხელეთა შვილები სწავლობდნენ. 1830 წელს კეთილშობილთა ქალიშვილებისთვის თბილისში გახსნეს ქალთა პირველი სკოლა-პანსიონი და სამაზრო სასწავლებლები საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში – თბილისში, გორში, თელავში, სიღნაღსა და ქუთაისში.

საქართველოში სკოლების და პანსიონების ქსელი XIX საუკუნის 40-50-იან წლებიდან იზრდება, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში. 1840 წელს თბილისის ქალთა სკოლა ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტად გადაკეთდა. 1850 წელს თბილისში მეორე გიმნაზია გახსნეს. ამავე წელს გიმნაზია გაიხსნა ქუთაისშიც. 1830-50-იან წლების თბილისის გიმნაზიის კურსდამთავრებულები იყვნენ ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე, ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი, რაფიელ ერისთავი და სხვები. 1859 წელს ვაჭართა შვილებისთვის თბილისში იხსნება პირველი კომერციული სასწავლებელი.

რუსული მმართველობა განსაკუთრებულ ყურადღებას სასულიერო განათლებას უთმობდა. ვინაიდან საქართველოს ქრისტიანულ ტაძრებში წირვა-ლოცვა ძირითადად რუსულ ენაზე უნდა წარმართულიყო, მთავრობამ ეკლესიის მოხელეთა მოსამზადებლად რუსული სასულიერო სასწავლებლები და სემინარიები გახსნა. პირველი ასეთი სემინარია და მასთან სასულიერო სასწავლებელი თბილისში 1817 წელს დაარსდა. აქ სხვადასხვა დროს სწავლობდნენ შემდგომში გამოჩენილი ქართველი მოღვაწეები პლატონ იოსელიანი, გაბრიელ ქიქოძე, დანიელ ჭონქაძე, დიმიტრი ბაქრაძე, თევდორე (თედო) ჟორდანია, იაკობ გოგებაშვილი, ლავრენტი არდაზიანი და სხვ. 1818 წლიდან საქართველოს სხვადასხვა ქალაქში (ქუთაისი, გორი, თელავი, სიღნაღი) დაიწყეს სასულიერო-სამრევლო სკოლების გახსნა. რომლებიც უშუალოდ პეტერბურგის უწმინდესი სინოდის დაქვემდებარებაში იყო.

XIX საუკუნის საქართველოში სახალხო განათლების განვითარებისა და ამაღლების საქმეში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ საეკლესიო-სამრევლო სკოლები, რომლებიც ყველაზე მრავალრიცხოვანი და ხელმისაწვდომი სასწავლებლები იყო იმ დროს.

სახალხო განათლების განვითარებისთვის დიდ მოვლენას წარმოადგენდა 1876 წელს გორში სამასწავლებლო სემინარიის დაარსება, რომლის მიზანიც ამიერკავკასიის ქრისტიანი მოსახლეობისთვის სახალხო მასწავლებლების მომზადება იყო. მოგვიანებით სასწავლებ-

ლის დანიშნულება გააფართოეს და აქ მუსლიმი მოსახლეობის განყოფილებაც გახსნეს. გორის სასულიერო სემინარიაში მიიღეს განათლება ვაჟა-ფშაველამ, ლადო აღნიაშვილმა, ივანე ავალიშვილმა, ნიკო რაზიკაშვილმა და სხვ. მსგავსი სემინარია დაარსდა ხონში 1881 წელს.

XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან საქართველოში ჩნდება ახალი ტიპის სასწავლებლები, რომლის მიზანიც სოფლის მეურნეობის დარგში დასაქმებულთა მომზადება იყო. პირველი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლები, მეღვინეობისა და სამიჯნო ანუ მიწისმზომელთა სკოლები კახეთში გახსნეს. ქართული საზოგადოება დიდ ყურადღებას უთმობდა საქართველოს მოსახლეობაში სასოფლო-სამეურნეო ცოდნის განვითარებას. 1850 წელს იქმნება „სოფლის მეურნეობის კავკასიის საზოგადოება“, რომელიც პროფესიული კადრების მოსამზადებლად თბილისსა და ქუთაისში აარსებს ბაღოსნობის სკოლებს.

1880-იან წლებში საქართველოში იზრდება პროფესიული სასწავლებლების, ე.წ. “მდაბიო სკოლების“ რიცხვი. დიდი მნიშვნელობის მოვლენად შეაფასა ქართულმა საზოგადოებამ 1883 წელს წინამძღვრიანთკარში სასოფლო-სამეურნეო სკოლის გახსნა. ილია წინამძღვრიშვილის სკოლის გახსნას დაესწრო ილია ჭავჭავაძე, რომელმაც აღნიშნა სკოლის მნიშვნელობა საქართველოს ეკონომიკის განვითარებისთვის. წინამძღვრიანთკარის სკოლის წესდება დიდ ქართველ პედაგოგს იაკობ გოგებაშვილს ეკუთვნოდა. მოსწავლეები ნიკო ცხვედაძის მიერ შემუშავებული პროგრამით ქართულ ენაზე სწავლობდნენ წერა-კითხვას და ოჯახში საჭირო საქმეებს: მებაღეობას, მებოსტნეობას, მევენახეობას, ხვნა-თესვას, საქონლის მოვლას, მჭედლობას, დურგლობას.

სასოფლო-სამეურნეო სკოლებთან ერთად იქმნება სახელოსნო კლასები გორის სამაზრო სასწავლებელთან, თბილისის, დუშეთის, ახალციხისა და სხვ. დაწყებით სკოლებთან. XX საუკუნის დამდეგს მრეწველობის განვითარებამ და სამრეწველო საწარმოების მატებამ კვალიფიციურ მუშახელზე მოთხოვნა გაზარდა. 1902 წლიდან მთავრობა საქართველოს ექვსკლასიან სასწავლებლებთან ხსნის სახელოსნო განყოფილებებს, რომლებიც 1920 წლამდე არსებობს.

ამავე პერიოდში აქტუალობას იძენს ქალთა პროფესიული განათლების საკითხიც. 1895 წელს თბილისში გაიხსნა პირველი ქალთა ხელსაქმის, ჭრა-კერვისა და ქარგვის შემსწავლელი სკოლა, რომელიც ილია ჭავჭავაძის წახალისებით დაარსა ცნობილმა მწერალმა, პედაგოგმა და საზოგადო მოღვაწემ ეკატერინე გაბაშვილმა. სკოლა ხუთწლიანი იყო და საქველმოქმედო შემოწირულობებით არსებობდა. ხელსაქმესთან ერთად აქ ზოგადსაგანმანათლებლო საგნებიც ისწავლებოდა.

ქალთა პროფესიული სასწავლებლები იყო გახსნილი ქუთაისში, ფოთში. 1897 წელს ფოთში ნოტიო ლოლუა აარსებს პროფესიულ კერძო სასწავლებელს, სადაც ასწავლიდნენ ჭრა-კერვას, ხატვა-ხაზვას, ხალიჩების, წინდების, გამოჩენილ მხატვართა ნამუშევრების ოქრომკერდით ქარგვას. ხელობის გარდა სკოლაში გოგონები სწავლობდნენ ქართულ და რუსულ ენასა და ლიტერატურას, ისტორიას, არითმეტიკას, გალობა-სიმღერას, საღვთო სჯულს. 1872 წელს თბილისში საფუძველი ჩაეყარა სამედიცინო სასწავლებელს.

სახალხო განათლების განვითარებისა და განმტკიცების საქმეში ნაყოფიერ მოღვაწეობას ეწეოდნენ გამოჩენილი ქართველი პედაგოგები და საზოგადო მოღვაწეები: იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ცხვედაძე, ილია წინამძღვრიშვილი, ზაქარია გულისაშვილი, ანთიმოზ ჯუღელი, ლუარსაბ ბოცვაძე, ნიკო ჯანაშია, ალექსი ჭიჭინაძე, ივანე როსტომაშვილი და სხვ.

XX საუკუნის დასაწყისში საქართველოს სკოლებში კვლავ მწვავედ იდგა მშობლიურ ენაზე განათლების მიღების საკითხი. ჯერ კიდევ 1873 წლის მთავრობის დადგენილებით ქართულმა ენამ დაკარგა ოფიციალური საგნის სტატუსი სასწავლებლებში, ხოლო 1874 წლიდან ის საერთოდ ამოიღეს საგანმანათლებლო დაწესებულებების სასწავლო კურსებიდან. მძიმე მდგომარეობაში მყოფი ქართული სკოლები რუსიფიკაციის რეალური საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. უცხო ენაზე სწავლება ქართველ ხალხს თანდათან აშორებდა მშობლიურ კულტურას. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას კარგად ესმოდა ქარ-

თული ენის მნიშვნელობა ერის შესაკავშირებლად და ყველა ღონეს ხმარობდა განათლების ეროვნული სისტემის დასამკვიდრებლად.

განათლების სფეროში მდგომარეობა იცვლება რუსეთში მომხდარი 1917 წლის რევოლუციის შემდეგ. ამ პერიოდის საქართველოში მიმდინარე საგანმანათლებლო რეფორმის ერთერთი შემადგენელი ნაწილი იყო სკოლების ნაციონალიზაციის საკითხი. ჟურნალ „განათლების“ 1917 წლის სექტემბრის ნომერში გამოქვეყნდა კავკასიის დროებითი საგანგებო კომიტეტის დებულება ნაციონალიზაციის ანუ გაეროვნების შესახებ. საშუალო სასწავლებლებში ნაციონალიზაცია სავალდებულოდ დადგინდა დაწყებითი და მოსამზადებელი კლასებისათვის, ხოლო სხვა კლასებში ეს საკითხი პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებაზე იქნებოდა დამოკიდებული. კლასებისთვის, სადაც არ მოხდებოდა გაეროვნება დებულებით დადგინდა ნაციონალური გაძლიერებული სავალდებულო საგნები: მშობლიური ენა, ლიტერატურა, ისტორია და გეოგრაფია. სკოლების ნაციონალიზაცია გაგრძელდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროსაც. ეროვნული სკოლების გარდა ყალიბდება პედაგოგთა მოსამზადებელი კურსები, სადაც მასწავლებლები ეუფლებოდნენ ეროვნულ საგნებს. პედაგოგიური სასწავლებელი იყო: თბილისის საოსტატო ინსტიტუტი, სემინარიები გორში, ხონსა და სოხუმში. სასწავლებლების მიზანი სახელმწიფოს სკოლებისთვის სახალხო მასწავლებლების კადრების მომზადება იყო.

1918 წლის შემოდგომისთვის საქართველოში ფუნქციონირებდა ვაჟთა ოცდარვა სახელმწიფო გიმნაზია თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში, ფოთში, ჩოხატაურში, ცხინვალსა და სხვა ქალაქებში. არსებობდა ქალთა სახაზინო და კერძო სასწავლებლებიც. ქალთა ოცდაოთხი სახელმწიფო გიმნაზია იყო გახსნილი თბილისში, ქუთაისსა და გორში. საქართველოში მოქმედებდა სპეციალური საპროფესიო-სატექნიკო სკოლები, კერძო სასწავლებლები - გიმნაზიები. 1918 წელს ფოთში დაარსდა საზღვაოსნო სასწავლებელი, ხოლო 1919 წელს თბილისში სამხედრო სასწავლებელი. 1920 წლისთვის საქართველოში იყო 1700-ზე მეტი დაწყებითი სკოლა, სადაც 150 ათასამდე მოსწავლე იღებდა განათლებას.

1918-1920 წლები რთული პერიოდი იყო საქართველოსთვის. სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ მთავრობის წინაშე ბევრი პრობლემური საკითხი დადგა. ქვეყანაში გასატარებელი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ხასიათის რეფორმებთან ერთად, პირველ რიგში, მოსაგვარებელი იყო განათლების სფეროში შექმნილი რთული ვითარება. სკოლებში ქართულ ენაზე სწავლებასთან ერთად, მხედველობაში უნდა მიეღოთ მოსწავლეთა ეთნიკური შემადგენლობაც, რადგანაც იმ დროის თბილისში მრავლად იყო ეროვნებით არაქართველი მოსახლეობა. განათლების მინისტრის განკარგულებით თბილისში უნდა გახსნილიყო სამი ქართული, ერთი სომხური, ერთი აზერბაიჯანული, ერთი რუსულ-სომხური გიმნაზია. რეორგანიზაციას ექვემდებარებოდა ქალთა სასწავლებლებიც.

საქართველოს განათლების სისტემაში მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იქნა მიღებული 1919 წელს. ივნისში შედგა თათბირი განათლების სამინისტროსა და საქართველოს საერობო თვითმმართველობათა წარმომადგენლებს შორის, სადაც დაადგინეს, რომ 1919-20 სასწავლო წლიდან საქართველოში შემოეღოთ საყოველთაო სავალდებულო სწავლება დაწყებითი კლასებისათვის.

სამწუხაროდ, 1921 წლის დასაწყისში შექმნილი მძიმე პოლიტიკური ვითარების გამო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ ვეღარ მოასწრო სრულად განეხორციელებინა განათლების რეფორმა – ქვეყანაში შემოეღო უფასო საყოველთაო და სავალდებულო დაწყებითი განათლება.

1921 წელს საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გამოცხადების შემდეგ ქვეყნის მთელი მასშტაბით იწყება ბაგა-ბაღების, პროფესიული და უმაღლესი სასწავლებლების რიცხვის ზრდა. ქალაქებსა და სოფლებში იხსნება საშუალო სკოლები, სადაც სწავლა 1930 წლიდან საყოველთაო სავალდებულო ხდება.

განათლება ახალი ხელისუფლებისთვის პოლიტიკური რეჟიმის გამყარების საშუალებას წარმოადგენდა. საზოგადოების სულიერი გარდაქმნა, ახალი საბჭოთა ინტელიგენციის ფორმირება, სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებელი ახალი თაობის აღზრდა იყო ქვეყანაში მიმდინარე კულტურული რევოლუციის მიზანი, რომელიც წერა-კითხვის უცოდინარობის აღმოფხვრითა და სახალხო განათლების საფუძვლიანი გარდაქმნით დაიწყო. სკოლა მთლიანად პოლიტიზირებული და საბჭოური სისტემის ნაწილი გახდა.

XX საუკუნის 60-იან წლებისთვის საქართველოში 4500-ზე მეტი სკოლა ფუნქციონირებდა და მოსწავლეთა რაოდენობა მილიონზე მეტს შეადგენდა. მრავლად იყო, აგრეთვე საშუალო სპეციალური სასწავლებლები და პროფესიული ტექნიკუმები.

ცალკე უნდა აღინიშნოს უმაღლესი სასწავლებლები საქართველოში.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაძლიერებასთან ერთად XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან ქართული ინტელიგენცია აქტიურად იბრძვის თბილისში უნივერსიტეტის გახსნისთვის. საქართველოში უნივერსიტეტის დაარსების იდეა ჯერ კიდევ XIX საუკუნის დასაწყისში წარმოიშვა, მაგრამ იმ დროს შექმნილ პოლიტიკურ ვითარებაში ამის განხორციელება შეუძლებელი აღმოჩნდა. მხოლოდ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, 1918 წლის 26 იანვარს (8 თებერვალს, დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს), ქართველ მეცნიერთა ჯგუფის: ივანე ჯავახიშვილის, პეტრე მელიქიშვილის, კორნელი კეკელიძის, შალვა ნუცუბიძის, იოსებ ყიფშიძის, ექვთიმე თაყაიშვილის, აკაკი შანიძის, გრიგოლ გველესიანის, გიორგი ახვლედიანის, დიმიტრი უზნაძის, გრიგოლ წერეთლის, ანდრია რაზმაძისა და იოსებ ყიფშიძის ძალისხმევის შედეგად თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში საზეიმოდ გაიხსნა ქართული უნივერსიტეტი, პირველი უმაღლესი სასწავლებელი კავკასიაში.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არსებობამ ხელსაყრელი პირობები შექმნა საქართველოში სხვა უმაღლესი სასწავლებლების გახსნისთვის. 1922 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამი განყოფილების – სამშენებლო, მექანიკური და სამთო განყოფილებების გაერთიანებით შეიქმნა პოლიტექნიკური ფაკულტეტი, რომელიც 1928 წელს გადაკეთდა თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტად. აქ პედაგოგიურ და სამეცნიერო საქმიანობას ეწეოდნენ ანდრია რაზმაძე, ნიკო მუსხელიშვილი, გიორგი ნიკოლაძე, ალექსანდრე ბენაშვილი და სხვები.

1929 წელს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან გამოყოფილი აგრონომიული ფაკულტეტის ბაზაზე იქმნება სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, რომელშიც მემინდვრეობის, მევენახეობა-მებაღეობის, ზოოტექნიკური, სატყეო, კოლექტიური მიწათმოქმედების ფაკულტეტები შედიოდა.

1930 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის ბაზაზე შეიქმნა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი.

1932 წელს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ბაზაზე დაარსდა ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტი.

თბილისში გაიხსნა სხვა უმაღლესი სასწავლებლებიც: 1922 წელს - თბილისის სამხატვრო აკადემია; 1938 წელს – სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი; 1939 წელს – თეატრალური ინსტიტუტი, რომელიც 1923-26 წლებში თბილისში არსებული სასცენო ხელოვნების ინსტიტუტის საფუძველზე შეიქმნა; 1948 წელს – თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტი.

უმაღლესი მუსიკალური სასწავლებლის, კონსერვატორიის ისტორია საქართველოში 1917 წლიდან იწყება. 1924 წელს მას სახელმწიფო კონსერვატორიის სტატუსი მიენიჭა. თბილისში არსებობდა საოპერო სტუდიაც, რომელიც სამჯერ გაიხსნა - 1924, 1926 და 1952 წლებში. აღსანიშნავია, რომ ვოკალურ-სცენური ოსტატობის სკოლა დღემდე წარმატებით აგრძელებს თავის საქმიანობას.

უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები იხსნება ქუთაისშიც: 1952 წელს დაარსდა სოფლის მეურნეობის ინსტიტუტი, რომელსაც 1959 წელს სოხუმში გადატანის შემდეგ, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის (სსრკ) სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქარ-

თველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი ეწოდა. 1974 წელს იხსნება ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი.

ამავე პერიოდში, უმაღლესი სასწავლებლების გვერდით, იქმნება სხვადასხვა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები და სადგურები: ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების, მეცხოველეობის, მცენარეთა დაცვის, აგროქიმიისა და მელიორაციის და სხვ.

საინტერესო ფაქტია, რომ 1959 წლის საკავშირო აღწერის მონაცემებით უმაღლესი განათლების მქონე მოსახლეობის რიცხვით საქართველოს ერთ-ერთი მოწინავე ადგილი ეჭირა საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებს შორის, ყოველი ათასი მცხოვრებიდან 38-ს უმაღლესი განათლება ჰქონდა მიღებული და ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო გაიზარდა შემდეგ წლებში.

XX საუკუნის მიწურულიდან, დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, საქართველოში მკვეთრად იმატა საჯარო და კერძო სკოლების, კოლეჯების, პროფესიული სასწავლებლების, სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტების და სხვ. საგანმანათლებლო დაწესებულებების რიცხვმა. აღსანიშნავია, რომ დღეს საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში, საქართველოს ახალგაზრდობასთან ერთად, ბევრი უცხო ქვეყნის მოქალაქე იღებს განათლებას.

1.3.2. სტამბები

საქართველოში განათლების სფეროს განვითარებას დიდად შეუწყო ხელი XIX საუკუნის და XX საუკუნის დასაწყისში წიგნის ბეჭდვის საქმის განვითარებამ და ბიბლიოთეკა-სამკითხველოების დაარსებამ. თუ 1801-1815 წლებში ქართულ ენაზე არცერთი წიგნი არ გამოსულა (1782-1795 წლებში, მარტო თბილისში, 20-ზე მეტი წიგნი დაიბეჭდა), XIX საუკუნის 40-იანი წლებიდან სურათი იცვლება და ქართული წიგნის ბეჭდვას ადრინდელთან შედარებით მეტი თავისუფლება მიეცა.

საქართველოში პოლიგრაფიის ისტორია XVII საუკუნიდან იწყება, როდესაც ქართლის მეფემ ვახტანგ VI-მ თბილისში პირველი სტამბა დააარსა. ვახტანგის დაწყებულ საქმე 1749 წელს ქართლ-კახეთის მეფემ ერეკლე II-ემ განაგრძო – მოახდინა სტამბის განახლება, რომელიც თავდაპირველად საპატრიარქოსთან არსებობდა, ხოლო 1764 წლიდან „ეზოსა სამეფოისა“ გადაუტანიათ. სტამბას ხელმძღვანელობდა მღვდელი კეჟერაშვილი, რომელმაც მოახერხა 7400 წიგნის დაბეჭდვა. 1790 წლამდე კი ამ სტამბაში 60-მდე დასახელების წიგნი დაიბეჭდა. 1795 წელს თბილისის აოხრებისას სამეფო სტამბის მხოლოდ მცირე ნაწილი გადაურჩა სრულ განადგურებას. ზოგიერთი ცნობით, 1800 წელს ქართლ-კახეთის კანასკნელი მეფის გიორგი XII -ის დროს, თბილისის სტამბაში მცირე რაოდენობით ჯერ კიდევ იბეჭდებოდა სამეფო დავთრები და ლექსები, მაგრამ გიორგის გარდაცვალებისა და საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ საგამომცემლო საქმისთვის აღარავის ეცალა და 1801 წელს სტამბის საქმიანობა შეწყდა.

1805 წელს, ქართული სამეფო სტამბის გადარჩენილი ხელსაწყოებით, რუსულმა მმართველობამ თბილისში ბეჭდვითი საქმიანობა აღადგინა. საქართველოს მთავარმართებელმა რუსეთიდან გამოიწერა სტამბისთვის საჭირო ზოგიერთი იარაღი, ქაღალდი, რუსული ასოები და ძველი სტამბა ისევ გახსნა. აქ რუსულ-ქართულ ენებზე იბეჭდებოდა ოფიციალური განცხადებები, მთავარმართებლის ბრძანებები და სხვ. პირველი სტამბა 1810 წელს გაუქმდა და მთელი აღჭურვილობა „თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელს“ გადაეცა. ცნობილია, რომ სასწავლებლის კერძო სტამბაში სკოლის მოსწავლეებიც მუშაობდნენ, ქართული ასოებიც ჰქონდათ და წიგნებსაც ბეჭდავდნენ. მალე სასწავლებლის სტამბა სამხედრო უწყების მფლობელობაში გადავიდა.

1805 წლიდან 1825 წლამდე თბილისში საგამომცემლო საქმიანობას ეწეოდნენ უცხოელები. ამ დროს თბილისში რამდენიმე სტამბა იყო. ერთ-ერთ სტამბაში 1819 წელს პირველი ქართული გაზეთი „საქართველოს გაზეთი“ დაიბეჭდა. აქვე გამოდიოდა საკვირაო გაზეთი „წმინდა გიორგი“. გაზეთმა 1921 წლამდე იარსება. 1820-1841 წლებში თბილისში ძირითა-

დად სამხედრო პირებს ჰქონდათ სტამბები, რომლებიც გახსნიდან მალევე იხურებოდა. მხოლოდ 1849 წელს თბილისში გახსნილმა დუბლერის სტამბამ იმუშავა დიდი ხნის განმავლობაში.

XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან საგამომცემლო საქმეში უკვე ქართველებიც არიან ჩაბმულნი. 1829 წელს რუსეთში მოღვაწე ბერის ივანე ხელაშვილის შეწევნით თბილისში სტამბა გახსნა სოლომონ დოდაშვილმა, სადაც ქართულ წიგნებსა და ჟურნალ-გაზეთებს გამოსცემდა. აქ იბეჭდებოდა „ტფილისის უწყებანი“ და მისი ორკვირეული დამატება „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“. გამომცემლობა და სტამბა 1832 წლის შეთქმულების შემდეგ დახურა მთავრობამ.

1846 წელს საქართველოს მთავარმართებლის მიხეილ ვორონცოვის ბრძანებით სამხედრო შტაბის სტამბა მთავარმართებლის სტამბად გადაკეთდა. აქ გამოსცემდნენ სახელმწიფო კვირის გაზეთს „Кавказ“ („კავკაზს“) და მის დამატებას ქართულ ენაზე.

1850-1854 წლებში თბილისში, მიხეილ ვორონცოვის დახმარებით, გიორგი ერისთავი ხსნის სტამბას, რომელშიც ქართულენოვანი წიგნებს ბეჭდავენ. 1852-1875 წლებში აქ გამოდიოდა ჟურნალი „ცისკარი“.

1860 წელს გაიხსნა თბილისში ეფიანჯიანისა და როტინოვის სტამბა, სადაც ქართულ წიგნებთან ერთად ილია ჭავჭავაძის რედაქტორობით 1863 წელს პირველად გამოვიდა ჟურნალი „საქართველოს მოამბე“.

1869 წლიდან ნიკოლოზ ავალიშვილის სტამბაში გამოდის ყოველთვიური სამეცნიერო ჟურნალი „მნათობი“.

1864 წელს თბილისში ნიკოლოზ ღოღობერიძის თაოსნობით იხსნება ახალი ქართულ სტამბა, რომელიც სტეფანე მელიქიშვილის და ამხანაგობის სახელით იყო ცნობილი. აქ წიგნებს ქართულ, რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე გამოსცემდნენ. 1890 წლიდან სტამბა „ქართული წიგნის გამომცემელი ამხანაგობის“ საკუთრება გახდა და დიდი ამაგი დასდო ქართული პოლიგრაფიული საქმის განვითარებას. 1866 წლიდან ქართულ სტამბაში დაიწყო გაზეთ „დროების“ გამოცემა, გიორგი წერეთლის რედაქტორობით. 1890 წელს აქვე იბეჭდებოდა ჟურნალი „მოამბე“.

პატარა ქართული სტამბა ჰქონდა 1874-1905 წლებში ექვთიმე ხელაძეს.

თბილისში სხვადასხვა დროს სასტამბო-საგამომცემლო საქმიანობას ეწეოდნენ ივანე კერესელიძე, გრიგოლ ჩარკვიანი, მიხეილ კიკნაძე და სხვ. ქართული სტამბის განვითარებაში დიდი დამსახურება მიუძღვით დიომიდე კილაძეს, სიო თავართქილაძეს, ნიკო ხვინგიასა და სხვ.

ქართულის გარდა მრავლად იყო უცხოელთა – სომეხთა, რუსთა და სხვ. სტამბები, რომელშიც რუსულისა და სომხურის გარდა ქართულ ენაზეც გამოდიოდა წიგნები. მაგალითად, მდიდარი სომეხი ვაჭრების, ძმები არზანოვების სტამბაში გამოსცა პლატონ იოსელიანმა ჩახრუხაძისა და შავთელის ლექსები. აქვე ბეჭდავდა დავით ჩუბინაშვილიც თავის ნაშრომებს. მარტიროსიანცის სტამბაშია დაბეჭდილი „ვეფხისტყაოსნის“ ძვირფასი გამოცემა.

ქართული წიგნის ბეჭდვით დიდად იყო დაინტერესებული „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება”, რომელმაც 1890 წელს ჩამოაყალიბა „წიგნის გამომცემელი ქართველთა ამხანაგობა”. ამხანაგობა თავისი არსებობის პერიოდში აქტიურად ცდილობდა მხარში ამოდგომოდა საქართველოში პოლიგრაფიულ საქმეს.

თბილისის გარდა სტამბები საქართველოს სხვადასხვა ქალაქებშიც არსებობდა. პოლიგრაფიის განვითარებასთან ერთად საგრძნობლად გაიზარდა სტამბების რაოდენობა. გორში მოღვაწეობდნენ არსენ კალანდაძე, მაჭავარიანი და ამხანაგობა. სტამბები მრავლად იყო ქუთაისში. 1810 წელს იმერეთის სამეფოს რუსეთთან შეერთების შემდეგ სოლომონ მეფის სტამბის ნაცვლად, რომელიც 1803 წელს იყო დაარსებული, მთავრობამ საგუბერნიო სტამბა გახსნა 1840 წელს. პირველი რუსულ-ქართული სტამბა ქუთაისში 1860 წლით თარიღდება. გამრეკელისა და წულუკიძის სტამბაში 1881-1883 წლებში დაიბეჭდა პირველი კვირის გაზეთი

„შრომა“. ცნობილი იყო ვარლამ ჭილაძის, ილია ჭყონიას და სხვ. სტამბები. ქართული სტამბები არსებობდა 1809-1811 წლებში რაჭაში, სოფელ წესში და 1815-1817 წლებში საჩხერეში.

XIX საუკუნის მიწურულისთვის იხსნება სტამბები: გორში 1889 წელს, თელავში 1890 წელს, ოზურგეთში 1891 წელს (პირველი ლეგალური სტამბა), ხონში 1898 წელს, სენაკში 1890 წელს, სიღნაღში 1893 წელს, ზუგდიდში 1897 წელს.

ბათუმში სტამბების არსებობის მიუხედავად 1880 წლამდე ქართულ ენაზე არაფერი გამოდიოდა. ალექსანდრე მახარაძე იყო პირველი ქართულ-რუსული სტამბის დამაარსებელი ბათუმში 1880 წელს. ქართულ ენაზე ბეჭდავდნენ კილაძე-თავართქილაძისა და კოწია თავართქილაძის სტამბები. აქედან მხოლოდ კილაძე-თავართქილაძის სტამბას ჰქონდა თავისი წიგნის მაღაზია.

1890 წელს ფოთის სტამბას აარსებს ლავრენტი ტუღუში. მან საგამომცემლო ხელობა ალექსანდე მახარაძესთან შეისწავლა ბათუმში და შემდეგ ფოთში გადავიდა საცხოვრებლად. თანამედროვეთა დახასიათებით, ლავრენტი ტუღუში მწიგნობარი, ქართული წიგნის დიდი მოყვარული იყო და მწერლობასაც მისდევდა. მისმა სტამბამ პირველმა გამოსცა ფოთში ქართული წიგნები, რომელთა შორის ბევრი უძველესი იყო, მაგალითად XI საუკუნის. ცნობილია, რომ წიგნების გამოცემასთან ერთად ლავრენტი ტუღუშმა ბევრს ბეჭდვის ხელობაც შეასწავლა.

აღსანიშნავია, რომ ქართული წიგნის ისტორიაში გარკვეული როლი შეასრულა სხვადასხვა დროს უცხოეთში გამოცემულმა ლიტერატურამ. საქართველოს გარდა ქართულ ენაზე წიგნები იბეჭდებოდა რუსეთში, საფრანგეთში, ინგლისში, გერმანიაში, იტალიასა და სხვ. ქვეყნებში. მათ თეორიული და პრაქტიკული ცოდნა შეჰქონდათ ქართველ ხალხში და უდიდესი როლი ითამაშეს ქართული კულტურის განვითარებაში (პირველი ქართულენოვანი ნაბეჭდი წიგნი იყო ქართულ-იტალიური ლექსიკონი, რომელიც 1629 წელს გამოიცა რომში კახეთის მეფის თეიმურაზ I-ის ელჩის ნიკიფორე ირბახის (ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის) მონაწილეობით).

ბეჭდვითი საქმიანობის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ლითოგრაფიის საამქროების დაარსებამ საქართველოში. ლითოგრაფია (ბეჭდვის სახეობა) ჩვენს ქვეყანაში XIX საუკუნეში გაჩნდა და პირველი სახელოსნო თბილისში გაიხსნა 1860 წელს გერმანელი ჯეიმს უოლტერ ტომპსონის მიერ. აქ შეისწავლა ხელობა და შემდეგში საკუთარი ლითოგრაფიები გახსნა თბილისში, სამარყანდსა და აშხაბადში ცნობილმა ქართველმა ლითოგრაფმა გიორგი დემურიშვილმა (დემუროვი). მას ბაქოშიც ჰქონდა ფილიალი, რომელსაც სათავეში მისი სიძე ოთარ ზანდუკელი ედგა.

თბილისში თავისი სალითოგრაფიო საქმიანობით ცნობილი იყო კონსტანტინე მესხიშვილი (მესხიევი), რომელმაც გერმანიაში შეისწავლა ლითოგრაფიის ხელოვნება და ფოტოტიპის საქმე, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული წიგნის გამოცემისთვის. მის სახელოსნოში იბეჭდებოდა საქართველოს ისტორიული სურათები, რუკები და სხვ. უდიდესი დამსახურების გამო 1901 წელს თბილისის დიდ გამოფენაზე კონსტანტინე მესხიშვილი ოქროს მედლით იქნა დაჯილდოვებული.

XX საუკუნის დამდეგიდან თბილისში ახალი სტამბები იხსნება. 1903 წელს ბათუმიდან თბილისში გადმოაქვთ სტამბა „იმედი“, ცნობილია სტამბა „შორაპანი“, რომელიც 1906 წელს მიხეილ გაჩეჩილაძემ გახსნა მადათოვის კუნძულზე. 1907 წელს იხსნება ასლან კალანდაძის სტამბა. თბილისში ფუნქციონირებდა „გუტენბერგის სტამბა“, „იდეალი“, „ცისკარი“, „შრომა“ და სხვ.

XX საუკუნის დასაწყისში სტამბები გაიხსნა: გორში 1907 წელს (მეორე სტამბა), ახალციხეში 1910 წელს, ხაშურში 1913 წელს, სამტრედიაში 1913 წელს, 1907 ქართული სტამბა იხსნება ბაქოში და ამავე წელს გამოსცემენ აქ ქართულ წიგნებს.

საბჭოთა პერიოდში პოლიგრაფია მთლიანად ხელისუფლების ხელში გადადის. იქმნება მსხვილი სახელმწიფო გამომცემლობები და სტამბები.

1921 წელს დაარსდა საქართველოს სსრ სახელწიფო გამომცემლობა „სახელგამი“, რომელიც მთელი რესპუბლიკის მასშტაბით სასწავლო-სამეცნიერო და პოლიტიკურ-მხატვრული ლიტერატურის გამოცემაზე ოყო პასუხისმგებელი. 1957 წელს „სახელგამს“, რეორგანიზაციის შემდეგ, ეწოდა „საბჭოთა საქართველო“.

1929 წელს იქმნება საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა და სტამბა.

1934 წლიდან ყველა საგამომცემლო თემატურ გეგმას რესპუბლიკის მასშტაბით „საქწიგნი“ განაგებდა.

მსხვილი საბჭოთა გამომცემლობები იყო: „მერანი“, „განათლება“, „ნაკადული“, „ხელოვნება“, „მეცნიერება“ და სხვ.

1965 წელს იქმნება ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი რედაქცია.

1990-იანი წლებიდან წარმატებით საქმიანობენ სტამბები: გამომცემლობა „ინტელექტი“, საგამომცელო სახლი „ტრიასი“, „კარტოგრაფია“, „უნივერსი“, გამომცემლობა „პოლიგრაფ +“, „მერიდიანი“, „გლობუსი“, „საქართველოს მაცნე“, „სეზანი“ და სხვ.

1997 წლიდან თბილისში ყოველწლიურად იმართება წიგნის საერთაშორისო ფესტივალი, სადაც მონაწილეობას იღებენ გამომცემლობები, სტამბები, წიგნების გამავრცელებელი საზოგადოებები, სარეკლამო სააგენტოები.

1.3.3. ბიბლიოთეკები

პოლიგრაფიის განვითარებამ ხელი შეუწყო საქართველოში წიგნსაცავების რიცხვის გაზრდას. იმ დროს წიგნის გამოცემა საკმაოდ ძვირი ჯდებოდა და მისი შეძენა მხოლოდ შეძლებულ ადამიანებს შეეძლოთ, ამიტომ ბიბლიოთეკები მხოლოდ სკოლებს და ზოგიერთ რუსულ დაწესებულებას ჰქონდა. პირველი კერძო საჯარო სამკითხველო 1842 წელს ქართველ მოღვაწეთა დიმიტრი ყიფიანის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ვახტანგ ორბელიანის, ზაქარია ფალავანდიშვილის და სხვათა თაოსნობით მოეწყო. 1846-1850 წლებში ამ სამკითხველოსა და სხვა წიგნსაცავების საფუძველზე თბილისში, მთავარმართებლის კანცელარიის ბიბლიოთეკის ბაზაზე დაარსდა „ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკა“, რომელიც ყველა სოციალური ფენისთვის გახდა ხელმისაწვდომი.

თბილისში ცნობილი იყო ალადათოვის წიგნის მაღაზია თავისი ბიბლიოთეკით, ივანოვის ბიბლიოთეკა და სამკითხველო დარბაზი, თამამშევის საკითხავი კაბინეტი, სოლოდოვას ბიბლიოთეკა და საკითხავი კაბინეტი.

ქუთაისში სახელგანთქმული ბიბლიოთეკა ჰქონდა ანტონ ლორთქიფანიძეს. 1873 წელს გაიხსნა ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკა, რომელსაც წიგნები გადასცეს ანტონ და კირილე ლორთქიფანიძეებმა, სერგო ბახტაძემ და სხვ.

XIX საუკუნის მუწურულს საქართველოში ჩნდება სახალხო ბიბლიოთეკებიც. პირველი სახალხო ბიბლიოთეკა თბილისის ქარვასლაში 1892 წელს გაიხსნა ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლის და ქალთა წრის მზრუნველობით. მოგვიანებით მათი თაოსნობით დაარსდა იაფფასიანი ბიბლიოთეკები კუკიასა და ნაძალადევის რაიონებშიც. 1892-1907 წლებში სახალხო ბიბლიოთეკები იქმნება ქუთაისში, ხონში, ახალციხესა და სხვ. ქალაქებში.

1880 წელს საფუძველი ეყრება „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ბიბლიოთეკას, რომლის ფონდები შეივსო დავით დადიანის, დავით ჩუბინაშვილის და სხვათა მდიდარი წიგნსაცავებით.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა, საქართველოში არსებობდა უწყებრივი ბიბლიოთეკები: საიმპერატორო, კავკასიის საზოგადოების, სოფლის მეურნეობის, ექიმთა საზოგადოებისა და სხვ.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცა საბიბლიოთეკო დაწესებულებებს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. მთავრობისთვის ბიბლიოთეკა-სამკითხველოები დიდ საგან-

მანათლებლო და პოლიტიკურ მნიშვნელობას იძენენ. მათი დახმარებით უნდა გამხდარიყო ეროვნული იდეოლოგია და სახელმწიფოებრიობა მისაღები და გასაგები საქართველოს მოსახლეობისათვის. ყველა სკოლასთან იქმნება ბიბლიოთეკა-სამკითხველოები. ამ პროცესის გაღრმავებას ხელი საქართველოში მიმდინარე საერობო რეფორმამაც შეუწყო. 1918 წლის ოქტომბერში საქართველოს პარლამენტმა განიხილა და დაამტკიცა „წიგნსაცავ-სამკითხველოების გახსნის შესახებ“ კანონპროექტი, რომელიც ქვეყნის მასშტაბით 500 წიგნსაცავ-სამკითხველოს გახსნას გეგმავდა.

საბჭოთა საქართველოში იზრდება და ფართოვდება ბიბლიოთეკებისა და სამკითხველოების ქსელი. სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით 1923 წლის 30 მაისს, თბილისის საჯარო ბიბლიოთეკისა და 1918 წელს შექმნილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის ბიბლიოთეკის ბაზაზე დაარსდა სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა, რომელსაც 1955-დან 1990 წლამდე სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკა ეწოდებოდა, ხოლო 1990 წელს საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა. 1996 წლიდან მას „საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა“ ეწოდა. 2000 წლიდან ბიბლიოთეკა ილია ჭავჭავაძის სახელს ატარებს.

საბჭოთა საქართველოში სხვა დიდი ბიბლიოთეკებიც იქმნება. 1941 წელს დაარსდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო ბიბლიოთეკა. 1965 წელს გ. მიქელაძის სახელობის სამეცნიერო-ტექნიკური ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკები ჰქონდათ საშუალო სკოლებს, უმაღლეს სასწავლებლებს, სპეციალიზებულ სასწავლო და სამეცნიერო ორგანიზაციებს.

დღეს ქვეყნის ძირითადი სამეცნიერო ბიბლიოთეკაა საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. მასში დაცულია საქართველოს და უცხო ქვეყნების სამეცნიერო და უნივერსალური ხასიათის ბეჭდური გამოცემები და სხვ. დოკუმენტები. 1991 წლიდან პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა საბიბლიოთეკო ასოციაციების საერთაშორისო ფედერაციაშია (IFLA) გაერთიანებული. მდიდარი საბიბლიოთეკო ფონდები აქვთ ასევე საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებს: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტსა და სხვ.

1.3.4. პერიოდული გამოცემები

საქართველოში პირველი ყოველკვირეული „საქართველოს გაზეთის“ გამოცემა 1819 წელს დაიწყო. შემდეგში მას სახელი შეუცვალეს და „ქართული გაზეთი“ უწოდეს. კავკასიის კორპუსის შტაბთან არსებული განსაკუთრებული კომიტეტის რედაქციით გამომავალი გაზეთი მთავრობის ოფიციალური გამოცემა იყო. გაზეთის ქართული ტექსტი რუსულიდან იყო ნათარგმნი და მასში მთავრობის განკარგულებები, საშინაო და უცხოეთის ამბები, პატარა ფელეტონები და სხვადასხვა განცხადებები იბეჭდებოდა. „ქართული გაზეთი“ 1921 წელს დაიხურა. ის იყო პირველი პერიოდული გამოცემა, არა მარტო საქართველოში, არამედ მთელს კავკასიაში.

ყოველკვირეული რუსული გაზეთი „Тифли́сские ве́домости“ („ტიფლისკიე ვედომოსტი“) თბილისში 1828 წლიდან გამოდიოდა. რუსულის გარდა გაზეთს ქართული და სპარსული რედაქციებიც ჰქონდა. მთავრობის განცხადებების გარდა, გაზეთში ქვეყნდებოდა ისტორიული, ეთნოგრაფიული და სტატისტიკური მასალები, შუქდებოდა კავკასიის ხალხთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ცხოვრება. ქართული „ტფილისის უწყებანი“ და ჟურნალი „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი”, რომლის რედაქტორიც სოლომონ დოდაშვილი იყო, თანდათან დამოუკიდებელ ხასიათს იღებდა. ორიგინალურ ტექსტებთან ერთად აქ იბეჭდებოდა რუსი მწერლებისა და პოეტების ნათარგმნი ნაწარმოებები. 1832 წლის შეთქმულების შემდეგ გაზეთი დაიხურა.

1837-56 წლებში რუსული დამოუკიდებელი გაზეთის სახით გამოდიოდა „Закавка́зский ве́стник“ („ზაკავკაზსკი ვესტნიკ“). 1837-44 წლებში გაზეთს ერთი ოფიციალური ნაწილი ჰქონდა, ხოლო 1845 წლიდან არაოფიციალურიც (სალიტერატურო). აქ იბეჭდებოდა სტატიები

საქართველოს ისტორიიდან, ეკონომიკიდან და კულტურიდან. გაზეთის რედაქტორი ცნობილი პუბლიცისტი და ისტორიკოსი პლატონ იოსელიანი იყო. 1856 წელს „Закавка́зский ве́стник“-მა დამოუკიდებელი გამოცემის სტატუსი დაკარგა და 1846 წელს მიხეილ ვორონცოვის ინიციატივით დაარსებული „Кавказ“-ის („კავკაზ“) ოფიციალურ დამატებად იქცა. გაზეთმა, როგორც პოლიტიკურ-ლიტერატურულმა ორგანომ, 1918 წლამდე იარსება. მისი მიზანი საქართველოში და საერთოდ კავკასიაში რუსიფიკატორული პოლიტიკის გატარება იყო.

1852 წლიდან გამოდის გიორგი ერისთავის პირველი ყოველთვიური ქართული ჟურნალი „ცისკარი“. მკაცრი ცენზურის პირობებში ჟურნალის რედაქციას განსახილველად გამოჰქონდა საზოგადოებისთვის აქტუალური საკითხები, აქვეყნებდა ქართველ მწერალთა შემოქმედებას, მკითხველს აცნობდა რუს და უცხოელ კლასიკოსთა ნათარგმნ ლიტერატურას. „ცისკარმა“ ორი წლის შემდეგ უსახსრობის გამო შეწყვიტა არსებობა და მხოლოდ 1857 წელს აღდგა ივანე კერესელიძის რედაქტორობით. გამოდიოდა 1876 წლამდე. ჟურნალში იბეჭდებოდა ძველი და ახალი თაობის ქართველ მწერალთა ნაწარმოებები. აქ იმართებოდა თაობათა პოლემიკა, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა და დასაბამი მისცა ახალ ეტაპს საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ქართული ჟურნალისტიკის განვითარება თერგდალეულთა სახელთანაა დაკავშირებული. XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან ეროვნული მოძრაობის გამოცოცხლებით ქართული პერიოდული გამოცემების რაოდენობა იზრდება.

1863 წელს თბილისში გამოდის სამოციანელთა პირველი ბეჭდური ორგანო, ილია ჭავჭავაძის საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალი „საქართველოს მოამბე“, რომელიც თერგდალეულთა პოლიტიკურ-ლიტერატურულ იდეათა გავრცელებას ემსახურებოდა. მიუხედავად თავისი ხანმოკლე არსებობისა (მხოლოდ ერთი წელი იარსება), მას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული ჟურნალისტიკის განვითარებისათვის.

„საქართველოს მოამბის“ ტრადიციის გამგრძელებელი იყო პროგრესულ-დემოკრატიული მიმართულების გაზეთი “დროება” (1866-1885). გაზეთს 1877 წლიდან ყოველდღიური ფორმატი ჰქონდა. აქ იბეჭდებოდა გამოჩენილი ქართველი მწერლებისა და მოაზროვნეების მხატვრულ-პუბლიცისტური ნაწარმოებები, რომელშიც აქცენტი სოციალურ და ეროვნულ პრობლემებზე იყო გაკეთებული. სხვადასხვა დროს მისი რედაქტორები იყვნენ გიორგი წერეთელი, სერგეი მესხი და ივანე მაჩაბელი. 1871-1873 წლებში „დროებასთან“ ერთად გამოდიოდა სალიტერატურო ჟურნალი „კრებული“, ნიკო ნიკოლაძის თაოსნობით. დაახლოებით ამავე დროს იბეჭდებოდა ჟურნალი „მნათობიც“. სოფლის მეურნეობის საკითხებს აშუქებდა „სასოფლო გაზეთი“.

1877 წელს ილია ჭავჭავაძე აარსებს გაზეთ „ივერიას“. პერიოდული გამოცემის მიზანი ქართველთა ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძება იყო. გაზეთი თემატური მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. აქ შუქდებოდა ისტორიის, გეოგრაფიის, ენათმეცნიერების, სოციოლოგიის, განათლების საკითხები, განიხილებოდა მთავრობის პოლიტიკა განათლების სფეროში, მკითხველს აცნობდნენ იმ დროის უცხოური ლიტერატურის ნიმუშებს. გაზეთში თანამშრომლობდნენ იმ დროის საქართველოს ცნობილი მწერლები, პოეტები, პუბლიცისტები და ჟურნალისტები. განუზომლად დიდია მისი ღვაწლი ქართული მწერლობის განვითარების საქმეში. 1881 წელს ხდება „დროების“ და „ივერიის“ რედაქციების გაერთიანება. გაზეთი დაიხურა 1906 წელს. 90-იან წლებში ქართულ პერიოდიკას შეემატა გაზეთი „კვალი“ და ჟურნალი „მოამბე“.

XIX საუკუნის 80-90-იანი წლებიდან გამოდის პოლიტიკურ-ლიტერატურული, სამეცნიერო და დარგობრივი ჟურნალ-გაზეთები: „შრომა“ (1881-1883 წლები. პირველი ქართული პოლიტიკურ-ლიტერატურული გაზეთი ქუთაისში. რედაქტორი დ. დადიანი), „ქართული ბიბლიოთეკა“ (1883-1884 წლები. ქუთაისის ლიტერატურული ჟურნალი. რედაქტორ-გამომცემელი ე. ლორთქიფანიძე), „მეურნე“ (1888-1894 წლები. ერთ-ერთი ძველი სასოფლო-სამეურნეო მიმართულების ჟურნალი. სხვადასხვა დროს რედაქტორ-გამომცემლები იყვნენ ვ. სულხანიშვილი და ი. ჭყონია), „კვალი“ (1893-1904 წლები. ეროვნულ-ლიბერალური მიმართუ-

ლების. 1897 წლიდან „მესამე დასელთა“ გაზეთი, შემდეგ მენშევიკური ფრაქციის ორგანო. რედაქტორ-გამომცემლები იყვნენ ა. თუმანიშვილი-წერეთლისა და ა. ალექსი-მესხიშვილი), „მოამბე“ (1894-1905 წლები. ლიბერალურ-ეროვნული მიმართულების ჟურნალი. რედაქტორი ალ. ჭყონია), „ცნობის ფურცელი“ (1896-1906 წლები. სხვადასხვა დროს რედაქტორ-გამომცემლები იყვნენ: ვ. გუნია, ალ. ჭყონია, ალ. ჯაბადარი. 1904 წლიდან საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის გაზეთი), „იმედი“ (1881-1883 წლები. ქართველი ხალხოსნების ჟურნალი. რედაქტორ-გამომცემელი მ. გურგენიძე), „მწყემსი“ (1883-1910 წლების. სასულიერო გაზეთი. რედაქტორი დეკანოზი დავით ღამბაშიძე), „თეატრი და ცხოვრება“ (1910-1926 წლები. თეატრალურ-ლიტერატურული ჟურნალი. დამაარსებელი და რედაქტორ-გამომცემელი ი. იმედაშვილი) და სხვ. ამავე პერიოდში გამოდის პირველი საბავშვო ჟურნალებიც „ნობათი“ (1883-1885 წლები. რედაქტორ-გამომცემელი ანდრია ღულაძე) და „ჯეჯილი“ (გამოდის 1890 წლიდან. რედაქტორი ა. თუმანიშვილი-წერეთლისა).

1901 წლიდან საქართველოში იწყება ახალი ხანა, რომელიც პოლიტიკურ მოვლენათა ხშირი ცვალებადობით გამოირჩევა. 1900-1921 წლებში ქართული კულტურის წარმომადგენლები კვლავ იბრძვიან მშობლიური ენის, საქართველოს წარსულის, ეროვნული ტრადიციების შენარჩუნება-განმტკიცებისათვის. ლიტერატურაში მთავარ ადგილს სამშობლოს თემა იჭერს. მშობლიური მიწა, მისი ბუნება, ადგილი სადაც საქართველოს გმირი წინაპრები იბრძოდნენ და წმინდანები მოღვაწეობდნენ საკრალურ მნიშვნელობას იძენს.

საზოგადოებრივი აზრის ფორმირების ერთ-ერთ მძლავრ საშუალებას კვლავ პრესა წარმოადგენდა. ქართულ ჟურნალ-გაზეთებში რეგულარულად ქვეყნდებოდა საქართველოს ისტორიის, გამოჩენილ ქართველ საერო და სასულიერო პირთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ სტატიები; იბეჭდებოდა ხალხური პოეზიის ნიმუშები, ეთნოგრაფიული მასალა, ყურადღება ეთმობოდა თანამედროვე ქართველ მწერალთა შემოქმედებას. საზოგადოების მოწინავე ძალებს – საზოგადო მოღვაწეებს, მწერლებს, მეცნიერებს კარგად ჰქონდათ გააზრებული ხალხისთვის საკუთარი ქვეყნის კულტურის ისტორიის გაცნობის მნიშვნელობა. თავიანთ პუბლიკაციებში ისინი აღნიშნავდნენ, რომ ისტორია ერის კონსოლიდაციის ერთ-ერთი მძლავრი საშუალებაა და არა უბრალოდ ისტორიული ფაქტების კონსტატაცია.

1900-1921 წლების პერიოდული გამოცემები ძალზე მრავალრიცხოვანი და თემატურად მრავალფეროვანია. გამოდის ლიტერატურული, მეცნიერული, იუმორისტული ჟურნალ-გაზეთები. განსაკუთრებული სიმრავლით პოლიტიკური მიმართულების ბეჭდური მედია გამოირჩევა. ესენია: ეროვნულ-დემოკრატთა, სოციალ-დემოკრატთა, სოციალისტ-ფედერალისტთა და სოციალისტ-რევოლუციონერთა (ესერთა), ანარქისტთა და ბოლშევიკთა გაზეთები. XX საუკუნის დასაწყისში გამოდიოდა: „სხივი“ (1905-1906), „წინ“ (1906-1907), „თემი“ (1911-1915), „სამშობლო“ (1915-1917), „საქართველო“ (1915-1921), „იმერეთი“ (1915-1915), „ჩვენი ქვეყანა“ (1917-1918), „ერთობა“ (1917-21), „ეშმაკის მათრახი“ (სხვადასხვა სახელწოდებებით იბეჭდებოდა 1907-08; 1915-17; 1919-21 წლებში), „მუშათა რვეული“(1913), ჟურნალები „მოგზაური“ (1901-1905), „ცისარტყელა“ (1919-1921), „ქართული სამკურნალო ფურცელი“ (1908) და სხვ. კვლავ აგრძელებს გამოსვლას გაზეთები „ივერია“ (1877-1906) და „კვალი“(1893-1904).

იყო მრავალრიცხოვანი გამოცემები, რომლებიც იხსნებოდა და სხვადასხვა მიზეზით, მთავრობის განკარგულებით მალევე იხურებოდა. 1906 წელს გამოდიოდა გაზეთები „განთიადი“, „ლახვარი“, „ელვა“, „ტალღა“, „გრიგალი“, 1908 წელს „დასაწყისი“ და სხვ.

რუსეთის 1917 წლის რევოლუციის შემდეგ საქართველოს ბეჭდური მედია განთავისუფლდა ცენზურისაგან. ამ დროიდან, 1921 წელს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებამდე, მოიხსნა ყოველგვარი შეზღუდვები ბეჭდვით ორგანოებზე. გამომცემლობები სრული თავისუფლებით სარგებლობდნენ. საინტერესო ფაქტია, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას მხოლოდ ერთი ოფიციალური გამოცემა „საქართველოს რესპუბლიკა“ ჰქონდა. დანარჩენი პარტიული, პროფესიული ან თვითმმართველობის გაზეთები იყო. მაგალითად: ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის გაზეთი იყო „საქართველო“, ფედერალისტების „სახალხო საქმე“, „შრომა“ ესერთა პარტიის. საკუთარი გაზეთი „ერთობა“

ჰქონდა მმართველ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას. მიუხედავად სიტყვის სრული თავისუფლებისა, ბოლშევიკური პარტიის გაზეთებს მთავრობის საწინააღმდეგო მოწოდებებისა და ქმედებების გამო ხშირად ჰქონდათ პრობლემები ხელისუფლებასთან. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამავე მიზეზების გამო, შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით სხვადასხვა დროს დაიხურა ,,Тифлисская газета“ (1906. „ტფილისის გაზეთი“), „Новости дня“ (1918-1920. „ნოვოსტი დნია“), „საქართველო“ (1915-1921), „სალი კლდე“ (1919) და სხვ.

1918-1921 წლების ჟურნალ-გაზეთების მთავარი თემა სახელმწიფოს მშენებლობის პრობლემებთან ერთად იყო ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკაში შექმნილი რთული ვითარება და მათი გამომწვევი მიზეზები. ამ დროის პრესასთან თანამშრომლობდნენ გამოჩენილი პუბლიცისტები: გერონტი ქიქოძე, შალვა ამირეჯიბი, სამსონ ფირცხალავა, სამსონ დადიანი, ლეო შენგელია, არჩილ ჯაჯანაშვილი და სხვ.

1921 წელს საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ახალი მთავრობის მითითებით დაიხურა ბევრი ჟურნალ-გაზეთი. საბჭოთა იდეოლოგიას თავისი პერიოდიკა ესაჭიროებოდა, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებისა და კომუნისტური პარტიის სამსახურში ჩადგებოდა.

საბჭოთა საქართველოში პოპულარული ჟურნალ-გაზეთები იყო: „თბილისი“, „კომუნისტი“, „სოფლის ცხოვრება“, „ლელო“, „ეკრანის ამბები“, „ლიტერატურული საქართველო“, „სახალხო განათლება“, „ქუთაისი“ და სხვ. ჟურნალებიდან „დილა“, „ეკონომისტი“, „მნათობი“ (გამოდიოდა 1924 წლიდან), „საბჭოთა ქალი“, „მეცნიერება და ტექნიკა“, „ნიანგი“, „დროშა“, „საბჭოთა ხელოვნება“ და სხვ. აზერბაიჯანულ ენაზე გამოდიოდა „სოვეტ გიურჯისტანი“, სომხურზე „სოვეტიკან ვრასტანი“, რუსულენოვანი გაზეთი „Заря Востока“ (ზარია ვოსტოკა) გამოდიოდა 1922-1991 წლებში. 1991 წლიდან მას შეეცვალა დასახელება და ეწოდა ჯერ „Вестник Грузии“ (ვესტნიკ გრუზიი), ხოლო შემდეგ „Свободная Грузия“ (სვობოდნაია გრუზია) და სხვ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს ორგანო „კომუნისტი“ 1921 წლიდან 1990 წლამდე აშუქებდა საქართველოში მიმდინარე ყველა საკითხს – პოლიტიკურს, ეკონომიკურს, სოფლის მეურნეობის, მრეწველობის, ლიტერატურის, ხელოვნებისა და განათლების. „კომუნისტის“ დამატებების სახით გამოდიოდა ჟურნალები: „ჩირაღდანი“ 1923-25 წლებში, 1925-1926 წლებში „მეცნიერება და ტექნიკა“, 1929-1934 წლებში „დროშა“.

აღსანიშნავია, რომ 1917 წლის რუსეთის რევოლუციამდე, საქართველოს რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ყოფნისას, თბილისის ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტის მიერ სანკტ-პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკაში გამოცემათა სავალდებულო ეგზემპლარები იგზავნებოდა. რევოლუციის შემდეგ საქართველოში გაუქმდა ბეჭდვითი საქმის თბილისის კომიტეტი, რის შემდეგაც შეწყდა ბეჭდური პროდუქციის, როგორც ბიბლიოგრაფიული, ისე სტატისტიკური აღრიცხვა. ამ მდგომარების გამოსასწორებლად და ბეჭდვით ორგანოებზე კონტროლის მიზნით 1922 წელს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის რევოლუციური კომიტეტის დეკრეტით მიიღეს დადგენილება განათლების კომისარიატში ბეჭდური ნაშრომების სავალდებულო ეგზემპლარების წარდგენის შესახებ მუზეუმებში, წიგნსაცავებსა და არქივებში შესანახად. დადგენილების გამოტანიდან ერთი თვის შემდეგ ბეჭდური ნაწარმისა და ბიბლიოგრაფიული ნაშრომების რეგისტრაციის მოსაწესრიგებლად 1924 წელს დაარსდა საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატა.

1991 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ვითარდება ბეჭდური და ციფრული მედია. პრესა თავისუფლდება კომუნისტური იდეოლოგიის მარწუხებიდან. იხურება საბჭოური პერიოდული გამოცემების უმრავლესობა და მათ ადგილს უკვე თავისუფალი საქართველოს ჟურნალ-გაზეთები იკავებს. „ალია“, „ასავალ-დასავალი“, „რეზონანსი“, „ლელო“ და სხვ.; ჟურნალები: „ცხელი შოკოლადი“, „თბილისელები“, „ტაბულა“, „ინტელექტუალი“ და მრავალი სხვა. დღეს საქართველოში დიდი რაოდენობითაა გამოცემები, რომლებიც ქართულ და მსოფლიოს ხალხთა ენებზე გამოდის.

საქართველოში პოლიგრაფიისა და საგამომცემლო დარგში სახელმწიფო პოლიტიკის გატარების მიზნით, 1997 წელს საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით, შეიქმნა საქართველოს პოლიგრაფიისა და საგამომცემლო საქმის სამსახური (საქპოლიგრაფგამომცემლობა), რომელიც პასუხისმგებელია დარგის მდგომარეობასა და მის განვითარებაზე.

1.3.5. მეცნიერება

ქართლ-კახეთის დიდი ქართველი მეფისა და მამულიშვილის ერეკლე II მოღვაწეობის პერიოდში (XVIII საუკუნის მეორე ნახევარი) ფართოდ გაიშალა სამეცნიერო და საგანმანათლებლო საქმიანობა. 1756 წელს თბილისში დაარსდა ფილოსოფიის სემინარია (რექტორი მღვდელი ფილიპე ყაითმაზაშვილი), 1782 წელს კი გაიხსნა თელავის სემინარია. საინტერესო ფაქტია: ფილოსოფიის ლექციებს თელავის სემინარიაში, როცა ამის დროს გამონახავდა, თურმე თვით მეფე ერეკლეც ესწრებოდა.

საქართველოს კულტურული ცხოვრება საგრძნობლად გამოცოცხლდა XIX საუკუნის შუა წლებიდან, რასაც დიდად შეუწყო ხელი ქართველ მეცნიერთა ახალი თაობის გაჩენამ. 1840-50-იანი წლებში სამოღვაწეო ასპარეზზე გამოდიან რუსეთის უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებული ახალგაზრდა ქართველი მეცნიერები. მათ მჭიდრო კავშირი აქვთ პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიასთან და იმპერიის სხვა უმაღლეს სასწავლებლებთან.

XIX საუკუნის დასაწყისში, საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, თბილისის სამეცნიერო ცენტრი თითქმის განადგურდა. რუსეთში გადასახლებული ქართველები მოსკოვსა და პეტერბურგში განაგრძობდნენ სამეცნიერო მოღვაწეობას. პეტერბურგში ცხოვრობდნენ ძმები იოანე და დავით ბაგრატიონები. იოანეს კალამს ეკუთვნის დიდი ენციკლოპედიური ნაშრომი „კალმასობა“, ანუ როგორც მას ავტორი უწოდებდა „ხუმარსწავლა“, რომელშიც თხრობის თავშესაქცევი მანერით ასახულია მაშინდელი ცოდნის თითქმის ყველა დარგი. დავით ბაგრატიონმა, რომელიც თავისი დროისთვის უაღრესად განათლებული ადამიანი იყო, 1818 წელს შეადგინა „შემოკლებული ფიზიკის“ სახელმძღვანელო. 40-იან წლებში რუსეთში მოღვაწეობდა ცნობილი მეცნიერი პეტრე რომანის ძე ბაგრატიონი, სახელოვანი სარდლის პეტრე ბაგრატიონის ძმისშვილი, რომლის სახელსაც უკავშირდება რამდენიმე მსოფლიო მნიშვნელობის აღმოჩენა: მის მიერ შემუშავებული ოქროს მოპოვება-დამუშავების ახალი ხერხი ფართოდ გამოიყენებოდა მაშინდელ მეცნიერულ-ტექნიკურ სამყაროში. დიდი წვლილი შეიტანა ფიზიკის განვითარების ისტორიაში მისმა გამოგონებამ, ახალმა გალვანურმა ელემენტმა. პეტრე ბაგრატიონს ეკუთვნის აგრეთვე მინერალ ორტიტის ახალი სახეობის აღმოჩენა, რომელსაც 1845 წლიდან „ბაგრატიონი“ ეწოდება.

ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდნენ ქართველი მეცნიერები ფილოსოფიის დარგში. იმ დროისთვის სერიოზული ნაშრომს და ფილოსოფიის კურსის შესავალს წარმოადგენდა სოლომონ დოდაშვილის „ლოგიკა“.

XIX საუკუნის და XX საუკუნის დასაწყისის მოწინავე ქართული საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი სამეცნიერო კვლევის საგანს წარმოადგენდა საქართველოს ისტორიის, ენისა და ლიტერატურის საკითხები. დავით ბატონიშვილმა, ნიკოლოზ დადიანმა არაერთი ნაშრომი მიუძღვნეს სამშობლოს წარსულის მეცნიერულ შესწავლას.

დავით ბატონიშვილი იკვლევდა ამა თუ იმ მოვლენის გამომწვევ რეალურ მიზეზებს. მისი ნაშრომებია: „საქართველოს ისტორია“, „ახალი ისტორია“ და სხვ.

საინტერესო ნაშრომი დაგვიტოვა ნიკოლოზ დადიანმა. „ქართველთ ცხოვრებაში“ მან სცადა, მთლიანობაში გაეაზრებია ქართველი ხალხის ისტორიული განვითარების პროცესი.

პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრს თეიმურაზ ბაგრატიონს ეკუთვნის ნაშრომი „ივერიის ისტორია“. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მისი ხელმძღვანელობით ეზიარა საქართველოს ისტორიასა და ლიტერატურას ფრანგი მეცნიერი, შემდგომ რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრი მარი ბროსე. საქართველოს მდიდარი წარსული ევროპელებისთვის სწორედ მარი ბროსეს ფრანგულ ენაზე დაწერილი ნაშრომებით გახდა ცნობილი.

დიდი დამსახურება მიუძღვის მას ქართველ მეცნიერებთან ზაქარია ფალავანდიშვილთან და დავით ჩუბინაშვილთან ერთად, 1841 წელს შოთა რუსთაველის უკვდავი პოემის გამოცემის საქმეში (ეს გამოცემა „ბროსეს გამოცემის“ სახელითაა ცნობილი). ვახტანგ მეფის 1712 წელს დაბეჭდილი „ვეფხისტყაოსნის“ შემდეგ ეს რუსთაველის პოემის მეორე გამოცემა იყო.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში განსაკუთრებით განვითარდა საზოგადოებრივი მეცნიერებები. ამ დროს ნამდვილ მეცნიერულ საფუძველზე დგას საზოგადოებრივი მეცნიერების მრავალი დარგი, რასაც ქართული აზროვნების განვითარებამაც შეუწყო ხელი. აღსანიშნავია, რომ ქართველ მეცნიერთა ახალ თაობაზე გარკვეული გავლენა იქონია იმ დროის ცნობილი მწერლებისა და მოაზროვნეების პუბლიცისტურმა ნაშრომებმა. განსაკუთრებით მაღალ დონეს მიაღწიეს საზოგადოებრივი მეცნიერებების დარგებმა: ფილოსოფიამ, ენათმეცნიერებამ, ლიტერატურათმცოდნეობამ, ისტორიოგრაფიამ და ეთნოგრაფიამ. საბუნებისმეტყველო დარგებიდან განვითარდა ქიმია და ბიოლოგია.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში სერიოზული სამუშაოები ჩატარდა ქართული ენისა და ლიტერატურის მეცნიერული კუთხით შესასწავლად. თერგდალეულთა მიერ ლიტერატურულ ქართულში საერთო-სახალხო ენის დამკვიდრების შემდეგ ძლიერდება ენათმეცნიერების საკითხებისადმი ინტერესი. ქართული ენის და ლიტერატურის პრობლემებია განხილული ცნობილი მეცნიერების დავით ჩუბინაშვილის, ნიკო მარის, ალექსანდრე ხახანაშვილის შრომებში. ქართული ენის საკითხების დასამუშავებლად მნიშვნელოვანი შრომა გასწიეს აგრეთვე დიმიტრი ყიფიანმა, თედო ჟორდანიამ, მოსე ჯანაშვილმა, იაკობ გოგებაშვილმა, სილოვან ხუნდაძემ და სხვა მეცნიერ-მოღვაწეებმა.

XIX საუკუნის საქართველოში უმაღლესი სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულების უქონლობის გამო ქართველი მეცნიერები იძულებულნი იყვნენ სამუშაოდ რუსეთში დარჩენილიყვნენ და იქ გაეგრძელებინათ სამეცნიერო საქმიანობა. პეტერბურგის უნივერსიტეტში მოღვაწე ქართველ მეცნიერთა შორის გამორჩეული ადგილი უჭირავს აღმოსავლური ენების ფაკულტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის (1853 წ.) პროფესორ დავით ჩუბინაშვილს. მას ეკუთვნის ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, ქართული ენის გრამატიკა. დავით ჩუბინაშვილის მრავალრიცხოვანი ნაშრომებიდან განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია მის მიერ შედგენილი ქართულ-რუსული, ქართულ-რუსულ-ფრანგული და რუსულ-ქართული ლექსიკონები. მისივე რედაქციით 1860 წელს რუსულ ენაზე გამოიცა „ვეფხისტყაოსანი“.

პროფესორი ალექსანდრე ხახანაშვილი მოსკოვის უნივერსიტეტში ეწეოდა სამეცნიერო მოღვაწეობას. მან ოთხტომიანი ნაშრომი მიუძღვნა ქართული ლიტერატურის ისტორიას. მნიშვნელოვანი და მრავალმხრივი იყო პროფესორ ალექსანდრე ცაგარელის მოღვაწეობა ჯერ პეტერბურგის უნივერსიტეტში, ხოლო შემდეგ თბილისში. პეტერბურგის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მან ცოდნა გერმანიაში გაიღრმავა.

ალექსანდრე ცაგარელი პირველი ქართველი მეცნიერი იყო, რომელიც სპეციალურად ქართველოლოგიური მიზნებით ეწვია ახლო აღმოსავლეთს. მან 1883 წელს პირველმა მოინახულა ათონის ივერთა მონასტერი, ჯვრის მონასტერი, საბაწმინდის ლავრა. აღმოაჩინა და აღწერა ხელნაწერები, გადმოიღო წარწერები, შეადგინა ქართულ ხელნაწერთა კატალოგი, მოიპოვა ცნობები ახლო აღმოსავლეთში ქართველთა კულტურული საქმიანობის შესახებ. მისმა კვლევებმა საგრძნობლად გაამდიდრა ქართულ სიძველეთა შესახებ ცოდნა, ამ მასალების დიდი უმრავლესობა სრულიად უცნობი იყო მეცნიერებისთვის. ალექსანდრე ცაგარელი იყო ქართული ენის, ლიტერატურის და საქართველოს ისტორიის მცოდნე. მისი ფილოლოგიური ნაშრომებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია კვლევა „მეგრული ეტიუდები“, რომლისთვისაც მას მიენიჭა მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი. ქართული ლიტერატურისთვის მნიშვნელოვანი ნაშრომია ალექსანდრე ცაგარელის სამტომეული „ცნობები ქართული მწერლობის ძეგლების შესახებ“, ხოლო ქართული ისტორიოგრაფიას ფასდაუდებელი სამსახური გაუწია მისმა გამოცემულმა დოკუმენტებმა, რომლებიც ასახავენ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას XVIII საუკუნეში.

საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის დარგში მუშაობდნენ: დიმიტრი ბაქრაძე, სულხან ბარათაშვილი, მოსე ჯანაშვილი, თედო ჟორდანია, ალექსანდრე ყიფშიძე (ფრონელი), ნიკოლოზ ხიზანიშვილი (ურბნელი), რაფიელ ერისთავი, ექვთიმე თაყაიშვილი, თედო სახოკია, სოლომონ ზვანბა და სხვები. საქართველოს ისტორიის საკითხების მეცნიერულ შესწავლაში განსაკუთრებული დამსახურება დიმიტრი ბაქრაძეს მიუძღვის. მისი კვლევებიდან აღსანიშნავია: „კავკასია ქრისტიანობის ძველ ძეგლებში“, „ქართული პალეოგრაფია“ და „არქეოლოგიური მოგზაურობა აჭარასა და გურიაში“, „ისტორია საქართველოსი უძველესი დროიდან X საუკუნემდე“ და სხვ. მეცნიერულ მუშაობასთან ერთად დიმიტრი ბაქრაძე ნაყოფიერ საზოგადოებრივ საქმიანობასაც ეწეოდა. მისი ინიციატივით ქართული ისტორიული ძეგლებისა და უნიკალური ხელნაწერების დასაცავად დაარსდა საეკლესიო მუზეუმი. მისი მონაწილეობით შეიქმნა „კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოება“. ამ საზოგადოების ინიციატივით თბილისში 1881 წელს ჩატარდა არქეოლოგთა V ყრილობა. ძველი ქართული მწერლობის ძეგლთა გამოცემაზე დიდი შრომა გასწია პროფესორმა მოსე ჯანაშვილმა. მისი ისტორიის სახელმძღვანელო 1884 წელს გამოვიდა.

სხვა პირობებში უხდებოდათ მოღვაწეობა საბუნებისმეტყველო დარგის ქართველ მეცნიერებს. XIX საუკუნეში ამ დარგის განვითარებისთვის არანაირი პირობები არ იყო საქართველოში, რის გამოც ქართველი მეცნიერები იძულებულნი იყვნენ სამშობლოს გარეთ ეცხოვრათ და ემუშავათ. საბუნებისმეტყველო დარგში ცნობილი იყვნენ ფიზიოლოგი ივანე თარხნიშვილი, ქიმიკოსები ვასილ პეტრიაშვილი და პეტრე მელიქიშვილი.

ფიზიოლოგი ივანე თარხნიშვილი სხვადასხვა დროს ლექციებს კითხულობდა პეტერბურგის სამედიცინო-ქირურგიულ აკადემიაში, პეტერბურგის უნივერსიტეტში, ბრიუსელში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სხვადასხვა გაღიზიანების საპასუხოდ და ფსიქოლოგიური ზემოქმედებისას მის მიერ ადამიანის კანში ელექტრომამოძრავებელი ძალების აღმოჩენა. კანში აღმოცენებულ ნელი ელექტრონული ეფექტები მსოფლიო ლიტერატურაში „თარხანოვის ფენომენადაა“ ცნობილი. ივანე თარხნიშვილი იყო პარიზის ბიოლოგიური საზოგადოების წევრ-კორესპონდენტი, ჰალეს აკადემიის წევრი. პარიზის საერთაშორისო გამოფენაზე 1900 წელს დაჯილდოვებული იყო „საპატიო ლეგიონის“ ორდენით.

გამოჩენილი ქართველი ქიმიკოსი ვასილ პეტრიაშვილი ოდესის უნივერსიტეტის ფიზიკისა და მათემატიკის ფაკულტეტის დეკანი იყო 1905-07 წლებში, ხოლო 1907 წელს არჩეულ იქნა უნივერსიტეტის რექტორად. მას ეკუთვნის მნიშვნელოვანი შრომები ორგანულ ქიმიაში. კვლევების შედეგად მის მიერ აღმოჩენილ მოვლენას, რომელსაც შემდგომში ტაუტომერია უწოდეს, დიდი შეფასება მისცა იმ დროის უდიდესმა ინგლისელმა ქიმიკოსმა, ინგლისის ქიმიური საზოგადოების პრეზიდენტმა უილიამ პარკერ უინმა. უცხოეთში მოღვაწეობის დროს ვასილ პეტრიაშვილი სამშობლოს არ ივიწყებდა. იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა თბილისის უნივერსიტეტის დაარსებაში.

გამოჩენილი ქართველი ქიმიკოსი, თბილისის უნივერსიტეტის პირველი რექტორი პეტრე მელიქიშვილი ნოვოროსიის (დღევანდელი ოდესის) უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, 1885-1917 წლებში იყო ამავე უნივერსიტეტის აგრონომიული ქიმიის კათედრის პროფესორი. მან პირველმა მიიღო ორგანულ ნაერთთა კლასი, რომელსაც უწოდა გლიციდმჟავები. მონოგრაფიისთვის ზემჟავებისა და ზეჟანგების შესახებ, პეტრე მელიქიშვილს, ლევ პიზარჟევსკისთან ერთად, 1900 წელს მიენიჭა პეტერბურგის აკადემიის უმაღლესი ჯილდო ლომონოსოვის სახელობის პრემია და დიდი ოქროს მედალი. პეტრე მელიქიშვილის დამსახურებაა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არაორგანული, ორგანული და აგრონომიული ქიმიის კათედრების, ქიმიის ოთხი ლაბორატორიის შექმნა. თავად პეტრე მელიქიშვილი 1918 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე ორგანული ქიმიის კათედრას ხელმძღვანელობდა.

XX საუკუნის დასაწყისში დიმიტრი უზნაძის მიერ ქცევის მიზანშეწონილობის ასახსნელად შემუშავებული „განწყობის თეორია“, რომელსაც საზღვარგარეთის სამეცნიერო წრეებში „უზნაძის ეფექტის“ სახელით მოიხსენიებენ, ითვლება თანამედროვე ფსიქოლოგიის ერთ-ერთ უმთავრეს მონაპოვრად.

საბჭოთა საქართველოში „სოციალისტური კულტურის“ მშენებლობისას, მიუხედავად იდეოლოგიური შეზღუდვებისა, ქართული კულტურა მაინც ვითარდებოდა. 1941 წელს საქართველოში იქმნება მეცნიერებათა აკადემია, რომელმაც ხელი შეუწყო ქართველ მეცნიერთა ახალი თაობის აღზრდას. შეიქმნა სხვადასხვა დარგის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები. მეცნიერებათა აკადემიის პირველ პრეზიდენტად არჩეულ იქნა ნიკოლოზ მუსხელიშვილი.

მათემატიკის დარგში გაითქვეს სახელი ქართული მათემატიკური სკოლის შემქმნელებმა ანდრია რაზმაძემ, არჩილ ხარაძემ, გიორგი ნიკოლაძემ, ნიკოლოზ მუსხელიშვილმა.

განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია ნიკო მუსხელიშვილის მოღვაწეობა. ის იყო 1933 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე მათემატიკის, ფიზიკისა და მექანიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დაარსების ინიციატორი. ნიკო მუსხელიშვილის დამსახურებაა დრეკადობის თეორიაში, მათემატიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დარგში, ახალი მიმართულების შექმნა.

მათემატიკის დარგის განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანეს ილია ვეკუამ, ვიქტორ კუპრაძემ, ანდრია ბიწაძემ, დავით დოლიძემ და სხვ.

დიდ წარმატებას აღწევენ ქართველი მეცნიერ-მკვლევარები ფიზიკაში (ელეფთერ ანდრონიკაშვილი, ვაგან მამასახლისოვი), გეოფიზიკაში (მ. ნოდია, ბ. ბალავაძე), ასტრონომიაში (ევგენი ხარაძე), გეოლოგიაში (ა. ჯანელიძე, ა. თვალჭრელიძე, პ. გამყრელიძე, პ. ქომეთიანი), ფიზიოლოგიაში (ივანე ბერიტაშვილი), მედიცინაში (ავლიპ ზურაბიშვილი, კონსტანტინე ჩაჩავა, სიმონ ხეჩინაშვილი, იოსებ ჟორდანია, ეგნატე ფიფია, დიმიტრი მურვანიძე, ოთარ ღუდუშაური და სხვ.).

ამ დროს აქტიურად წარმოებს არქეოლოგიური კვლევა-ძიებები, რის შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე იქნა მიკვლეული მრავალფეროვანი უძველესი და ანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები. ქართველ არქეოლოგთა დიდი მიღწევებით აღინიშნა XX საუკუნის 90-იანი წლები, როდესაც დმანისის ნაქალაქარის მახლობლად აღმოჩდა უძველესი ადამიანების ნაშთები, რომელთა ასაკი 1,7-1,8 მილიონი წელია. მნიშვნელოვანი აღმოჩენები გაკეთდა კახეთში, დავით გარეჯის უდაბნოში, შირაქში, ნეკრესში. არქეოლოგიაში დიდი დამსახურება მიუძღვით: გიორგი ნიორაძეს, ალექსანდრე კალანდაძეს, ანდრია აფაქიძეს, ოთარ ჯაფარიძეს, ლევან ჭილაშვილს, გიორგი ლომთათიძეს, ოთარ ლორთქიფანიძეს, გურამ ლორთქიფანიძეს, ჯუმბერ კოპალიანს, იულონ გაგოშიძეს, ვახტანგ ლიჩელს, გელა გამყრელიძესა და სხვ.

ფასდაუდებელია ქართველი ისტორიკოსების: ივანე ჯავახიშვილის, ნიკო ბერძენიშვილის, გიორგი წერეთლის, სიმონ ჯანაშიას, გიორგი მელიქიშვილის, აკაკი სურგულაძის, იური კაჭარავას, მამია დუმბაძის, ვალერიან გაბაშვილის, შოთა მესხიას, მარიკა ლორთქიფანიძის და სხვ. ღვაწლი. მათ არაერთი მეცნიერული ნაშრომი შექმნეს საქართველოს ძველი და ფეოდალური ხანის, ახალი და უახლესი ისტორიის დარგში 1970-80-იან წლებში გამოცემულ რვატომეულში „საქართველოს ისტორიული ნარკვევები“ ასახვა პოვა იმ დროის ქართული ისტორიული მეცნიერების მიღწევებმა.

უდიდესი მნიშვნელობისაა ენათმეცნიერების: არნოლდ ჩიქობავას, გიორგი ახვლედიანის, აკაკი შანიძის, ვარლამ თოფურიას, გიორგი წერეთლის, ქეთევან ლომთათიძის, მზექალა შანიძის და სხვ. მოღვაწეობა. დიდი დამსახურება მიუძღვით აღმოსავლეთის ენების, ინდოევროპული, სემიტური და ქართველური ენების სტრუქტურული და თეორიული ენათმეცნიერების საკითხების შესწავლის საქმეში თამაზ გამყრელიძეს და გივი მაჭავარიანს.

აღსანიშნავია ხელოვნებათმცოდნეების (გიორგი ჩუბინაშვილი, შალვა ამირანაშვილი და სხვ.), ლიტერატურის ისტორიკოსების (კორნელი კეკელიძე, ალექსანდრე ბარამიძე და სხვ.) მიერ წარმოებული სამეცნირო კვლევები და ფუნდამენტური ნაშრომები.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ 1946-1952 წლებში გამოიცა ქართველი კლასიკოსი მწერლების თხზულებათა სრული კრებულები, ორთოგრაფიული და რამდენიმე დარგობრივი ტერმინოლოგიური ლექსიკონი.

მსოფლიო დონეზე იქნა აყვანილი ფილოსოფიური აზროვნება, რასაც მოჰყვა 1946 წელს ფილოსოფიის ინსტიტუტის დაარსება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში. ცნობილი ქართველი ფილოსოფოსები არიან: შალვა ნუცუბიძე, კონსტანტინე (კოტე) ბაქრაძე, მერაბ მამარდაშვილი, სერგი დანელია, სავლე წერეთელი, ნიკო ჭავჭავაძე და სხვ.

ქართულ სახელოვნებათმცოდნეო მეცნიერებას საფუძველი გიორგი ჩუბინაშვილმა ჩაუყარა. 1941 წელს მისი თაოსნობით დაარსდა ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი, რომელმაც უდიდესი წვლილი შეიტანა ქართული ხუროთმოძღვრების, სახვითი და დეკორატიული გამოყენებითი ხელოვნების ძეგლების ფუნდამენტური შესწავლის საქმეში. ქართული ხელოვნებათმცოდნეობის სკოლის უდიდესი წარმომადგენლები არიან ვახტანგ ბერიძე, თინათინ ვირსალაძე, ვახტანგ ცინცაძე, ლეო რჩეულიშვილი, რენე შმერლინგი, რუსუდან მეფისაშვილი, ირაკლი ციციშვილი, შალვა ამირანაშვილი და სხვ.

დიდია თამაზ გამყრელიძისა და გივი მაჭავარიანის დამსახურება აღმოსავლეთის ენების, ინდოევროპული, სემიტური და ქართველური ენების სტრუქტურული და თეორიული ენათმეცნიერების საკითხების შესწავლის საქმეში.

1946 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში შეიქმნა სამშენებლო საქმის, მეტალურგიის, სამთო საქმის ინსტიტუტები, 1956 წელს – არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის, ელექტრონიკისა და ტელემექანიკის ინსტიტუტები, გამოთვლითი ცენტრი; 1958 წელს – გ. წულუკიძის სახელობის სამთო მექანიკის, დავითაშვილის სახელობის პალეობიოლოგიის, ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები; 1959 წელს ამოქმედდა ფიზიკის ინსტიტუტის ბირთვული რეაქტორი; 1960 წელს დაარსდა კიბერნეტიკის ინსტიტუტები.

მნიშვნელოვანია ტექნიკური ინტელიგენციის წვლილი ქართული სამშენებლო მეცნიერების განვითარების საქმეში. ამ დარგის ცნობილი წარმომადგენლები იყვნენ: კირიაკ ზავრიევი, შიო ნაფეტვარიძე, ოთარ ონიაშვილი, მერაბ მიქელაძე, ირაკლი ღუდუშაური, გიორგი ქარცივაძე, ნიკოლოზ დანელია, ნიკოლოზ მოწონელიძე, ალექსანდრე კაკუშაძე, ანდრო ლოსაბერიძე, დიმიტრი დოლიძე, ალექსანდრე რაზმაძე, ნოდარ ვალიშვილი, ნიკოლოზ თევზაძე, იოსებ ხარატიშვილი, თამაზ ჟორდანია, გაბრიელ ნინუა, ნინო ნინუა, დავლოსტი კერესელიძე, მერაბ ყურაშვილი, მირონ წულეისკირი, გივი დარჩია, ალექსანდრე ზედგინიძე, გივი კიზირია, პარმენ ურიდია, ვახტანგ ჯავახიშვილი, ოთარ ფაღავა, იური მელაშვილი, გიორგი მსხილაძე, ნოდარ ბერიშვილი, ზურაბ გედენიძე, როინ იმედაძე, რეზო ცხვედაძე, გურამ გაბრიჩიძე და სხვ. მათ საქმეს წარმატებით აგრძელებენ ელგუჯა მეძმარიაშვილი, გუგა ჭოხონელიძე, ლევან კლიმიაშვილი, არჩილ მოწონელიძე, დავით გურგენიძე, ტარიელ კვიციანი, ლალი ღოღელიანი, გივი გავარდაშვილი, მირიან ყალაბეგაშვილი, თამაზ შილაკაძე, ბექა სურგულაძე, ირაკლი შეყილაძე, შოთა მესტვირიშვილი, გურამ აბაშიძე, მერაბ ნიკოლაიშვილი, ნუგზარ რურუა, ირაკლი კიზირია, შალვა გაგოშიძე, ზურაბ გვიშიანი, თამაზ ბაციკაძე, მურმან კუბლაშვილი, თამაზ ხმელიძე, გაიოზ ფარცხალაძე, ზურაბ მეგრელიშვილი, ომარ კიკვიძე, გელა ყიფიანი, კონსტანტინე ჩხიკვაძე, მიხეილ ჯანიკაშვილი, მამუკა სანიკიძე, მალხაზ წიქარიშვილი, სერგო ესაძე, თეიმურაზ მელქაძე, ალექსანდრე წაქაძე, ამირან საყვარელიძე, არჩილ ჩიქოვანი, ალექსი ბურდულაძე, თამაზ ცვარიანი, ნინო მსხილაძე, რევაზ მახვილაძე, ირაკლი ქვარაია, ბორის მაისურაძე, ალექსანდრე ლებანიძე, ზურაბ კაპანაძე, ბადრი გვასალია, გურამ ლეკიშვილი, პაატა რეკვავა, სეით ბლიაძე, ნოდარ მარდალეიშვილი, პარმენ ყიფიანი, ნოდარ ცირეკიძე და სხვ.

დღეს მეცნიერების განვითარებას ხელს უწყობენ სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციები. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (SRNSFG) მიზანი ქვეყანაში მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციური სისტემების განვითარებაა. სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას ეწევიან საქართველოს უმაღლეს სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებებში მოღვაწე ქართველი მეცნიერები.

დიდი წარმატებით მოღვაწეობს ქართველ მეცნიერთა ახალი თაობა ქვეყნის საზღვრებს გარეთ, ევროპისა და ამერიკის ცნობილ უნივერსიტეტებსა და კვლევით ლაბორატორიებში. ბევრი მათგანი დღეს მსოფლიოს უდიდეს მეცნიერთა შორისაა დასახელებული. ესენი არიან:

ფიზიკოსი გიორგი (გია) დვალი, მსოფლიოში პრესტიჟული სამეცნიერო პრემიის, ალექსანდრე ფონ ჰუმბოლდტის პრემიის ლაურეატი, რომელიც მას 2008 წელს მიენიჭა. გიორგი დვალი არის მაქს პლანკის ფიზიკის ინსტიტუტის (Max Planck Institute for Physics. მიუნხენი) სამეცნიერო დირექტორი, ნიუ-იორკის უნივერსიტეტის კოსმოლოგიისა და ნაწილაკების ფიზიკის ცენტრის (Center for Cosmology and Particle Physics) და მიუნხენის ლუდვიგ მაქსიმილიანის უნივერსიტეტის პროფესორი თეორიულ ფიზიკაში, ჟენევის ბირთვული კვლევების ევროპული ცენტრის (CERN) მეცნიერ-თანამშრომელი. ამავე დროს, არის თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის პროფესორიც. გიორგი დვალს მიღებული აქვს: 1999 წელს დ. და ლ. პაკარდების, 2000 წელს ა. სლოუნის ჯილდოები. 2001 წელს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების დარგში განსაკუთრებული დამსახურებისთვის მას ნიუ-იორკის მერის მიერ დაწესებული ჯილდო გადაეცა. 2007 წელს გიორგი დვალს მიენიჭა ნიუ-იორკის უნივერსიტეტის „ვერცხლის პროფესორის“ წოდება.

მსოფლიოში ერთ-ერთ უდიდეს მეცნიერად ითვლება ბიოლოგი ზაზა კოკაია. ის 2010 წლიდან არის შვედეთის მთავრობის მიერ დაფინანსებული ღეროვანი უჯრედებისა და უჯრედული თერაპიის სტრატეგიული კვლევითი დარგის ხელმძღვანელი. 2011 წლიდან ზაზა კოკაია ევროკავშირის მიერ დაფინანსებული „ჩარჩო პროგრამები კვლევისა და ტექნოლოგიური განვითარებისათვის“ (შემოკლებით „მეშვიდე ჩარჩო პროგრამა“ - FP7) ევროპული სამეცნიერო კვლევითი კონსორციუმის კოორდინატორი და ლუნდის ღეროვანი უჯრედების ცენტრის დირექტორია. მეცნიერი საქართველოშიც ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას, არის ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოწვეული პროფესორი.

ალექსი ბაიდოშვილი ჰოლანდიაში 2009 წლიდან მუშაობს და ერთ-ერთი ცნობილი პათოლოგ-ანატომია. მისი ხელმძღვანელობით აღმოსავლეთ ჰოლანდიის ქალაქ ენსხედეს პათოლოგიის ლაბორატორია (LabPON) მსოფლიოში პირველი გადავიდა სრულ ციფრულ ტექნოლოგიაზე. ალექსი ბაიდოშვილი 2014 წლიდან ახორციელებს სამეცნიერო კვლევებს ციფრულ ტექნოლოგიაში.

საქართველოს საზღვრებს გარეთ სხვადასხვა დარგში წარმატებით მოღვაწე ქართველ მეცნიერთა ახალი თაობის წარმომადგენლები არიან: ირაკლი მინაშვილი (ფიზიკოსი, ბირთვული კვლევების ევროპული ცენტრი CERN, ATLAS ექსპერიმენტის კალორიმეტრის მომსახურების ჯგუფის ხელმძღვანელი), მერაბ კოკაია (ფიზიოლოგი, შვედეთის ვალენბერგის ნევროლოგიის ცენტრის ექსპერიმენტული ეპილეფსიის კვლევითი ლაბორატორიის გამგე, ეპილეფსიის ცენტრის დირექტორი), თეიმურაზ ფირაშვილი (მათემატიკოსი, დიდი ბრიტანეთის ლესტერის უნივერსიტეტის პროფესორი, ჰუმბოლტის საზოგადოების პრემიის ლაურეატი), გაბრიელ ჯინჯიხაშვილი (ისრაელის ელექტროკომპანიის სამმართველოს უფროსი ექსპერტ-ინჟინერი), დავით ყოლბაია (ენათმეცნიერი, ვარშავის უნივერსიტეტის პროფესორი, აღმოსავლეთ ევროპის კვლევების კავკასიის მიმართულების ცენტრის ხელმძღვანელი), ზურაბ გუგუჩია (ფიზიკოსი, აშშ-ს კოლუმბიის უნივერსიტეტის მეცნიერ-თანამშრომელი, მაღალტემპერატურულ და ტოპოლოგიურ ზეგამტარებში ახალი ეფექტის აღმომჩენი), ალექსი მესტვირიშვილი (ფიზიკოსი, ამერიკის აიოვას უნივერსიტეტის უფროსი მეცნიერი, ბირთვული კვლევების ევროპული ცენტრი CERN-ის CMS ექსპერიმენტის ავტორი), შალვა მარჯანიშვილი (მშენებელი, ფირმა „ჰინმანის“ ტექნიკური დირექტორი, სან ფრანცისკო, აშშ), ლერი დათაშვილი (მშენებელი, კონსტრუქტორი, მიუნჰენის აეროკოსმოსური ინსტიტუტი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) და სხვ.

1.3.6. მწერლობა

XIX საუკუნე ქართული ლიტერატურის დიდი ეპოქაა. უნდა ითქვას, რომ ყველაზე მეტად ეროვნული შემოქმედება მწერლობაში გამოვლინდა. XIX საუკუნის პირველ მესამედში ეროვნული ლიტერატურის მთავარ მიმართულებად რომანტიზმი ჩამოყალიბდა, რომელიც სამ-

შობლოს სახელმწიფოებრიობის დაკარგვით გამოწვეულ გულისტკივილს გამოხატავდა. ამ მიმდინარეობის მამამთავრად ითვლება ალექსანდრე ჭავჭავაძე, რომლის შემოქმედებაშიც ორგანულადაა გაერთიანებული ძველი ქართული პოეზია და რუსულ-ევროპული რომანტიზმი. ქართული მწერლობის იმ დიდი ეპოქის რომანტიკოს პოეტთა უდიდესი წარმომადგენლები იყვნენ გრიგოლ ორბელიანი და ნიკოლოზ ბარათაშვილი.

XIX საუკუნის 40-50-იან წლებში პოეზიასთან ერთად ვითარდება დრამატურგია და პროზა, საფუძველი ეყრება ახალ ქართულ რეალისტურ მწერლობას. გიორგი ერისთავის, ლავრენტი არდაზიანის, დანიელ ჭონქაძის შემოქმედებამ ნიადაგი მოამზადა საუკუნის ბოლოს საქართველოში კრიტიკული რეალიზმის განვითარებისთვის. 1880-90-იან წლებში ლიტერატურულ ასპარეზზე მწერალთა ახალი თაობა გამოდის, თუმცა, მათი შემოქმედების განვითარება უფრო შემდეგ ეპოქაში ხდება.

ქართული მოწინავე საზოგადოებრივი აზრის, მხატვრული ლიტერატურისა და პუბლიცისტიკის განვითარებისთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა XIX საუკუნის 60-იან წლებში „თერგდალეულების“ ან როგორც მათ უწოდებდნენ „სამოციანელების“ გამოსვლას სამოღვაწეო ასპარეზზე. ეს იყო ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა ახალი თაობა, რომელთაც საუკეთესო განათლება ჰქონდათ მიღებული რუსეთის იმპერიის და ევროპის ქვეყნების უმაღლეს სასწავლებლებში. მათ სამშობლოში ჩამოიტანეს უახლესი ევროპული პოლიტიკური და ეკონომიკური მოძღვრებები, განმათავისუფლებელი ბრძოლის დასავლური გამოცდილებები და მთელი ძალისხმევით შეუდგნენ ამ იდეების განხორციელებას. სამოციანელებს კარგად ესმოდათ, რომ ქვეყნის გადარჩენის უმთავრესი ამოცანა ეროვნული ერთიანობის მიღწევა, საერთო იდეის გარშემო მთელი ერის კონსოლიდაცია იყო. ამ ახალი, პროგრესული თაობის წარმომადგენლები იყვნენ: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, ვასილ ბარნოვი, ნიკო ნიკოლაძე, იაკობ გოგებაშვილი, გიორგი წერეთელი, ივანე მაჩაბელი, დავით კლდიაშვილი, კირილე ლორთქიფანიძე, სერგეი მესხი, ეგნატე ნინოშვილი და სხვ.

XIX საუკუნის მეორე ნახევარი ისტორიული მოვლენებით იყო სავსე. ამ დროს მიეკუთვნება ახალი ქართული მწერლობის ბრწყინვალე ნიმუშები, ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში აქტიურ ძალად ერთვება ქართული პრესა.

XX საუკუნის დამდეგს ზენიტს აღწევს თერგდალეულთა შემოქმედებითი მოღვაწეობა. ეს დრო დიდი ტკივილის დროც იყო ქართული მწერლობისთვის: 1907 წელს კლავენ ილია ჭავჭავაძეს. 1912 წელს ქართველი ხალხი იაკობ გოგებაშვილს, ხოლო 1915 წელს აკაკი წერეთელს და ვაჟა-ფშაველას გამოეთხოვა.

XX საუკუნის დასაწყისში გამოდიან ასპარეზზე შემოქმედთა ახალი თაობის, ნოვატორული ქართული პოეტური სიტყვის წარმომადგენლები: გალაკტიონ ტაბიძე, პაოლო იაშვილი, კოლაუ ნადირაძე, ტიციან ტაბიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, ლადო ასათიანი, ტერენტი გრანელი და სხვები.

„ცისფერყანწელების“ სახელით ცნობილი ქართველ პროზაიკოსთა და პოეტთა გაერთიანება 1916 წელს ქუთაისში, ჟურნალი „ცისფერი ყანწების“ ირგვლივ შეიქმნა. 1918 წელს „ცისფერყანწელთა“ ჯგუფმა თბილისში გადმოინაცვლა, სადაც კაფეებსა და კლუბებში ნამდვილი შემოქმედებითი ატმოსფერო იყო გაბატონებული. დღევანდელი რუსთაველის თეატრის სარდაფში განთავსებული კაფე „ქიმერიონი“ გახდა „ცისფერყანწელთა“ თავშეყრის მთავარი ადგილი. სამყაროს პოეტური ათვისების ახალი ფორმების ძიება, ევროპული სიმბოლიზმის პრინციპების გათავისება, ქართული კულტურის ევროპისკენ მიმართვა, პოეტის როგორც იდუმალ კოსმიურ სამყაროს თანაზიარი პიროვნების როლის აღდგენა და წინ წამოწევა იყო „ცისფერყანწელთა“ შემოქმედებისა და მოღვაწეობის უმთავრესი მიზანი.

ახალი ქართული მწერლობის განვითარებისთვის უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა იყო 1917 წელს ქართველი მწერლების შემოქმედებითი გაერთიანების, მწერალთა კავშირის დაარსება, რომლის პირველი თავმჯდომარე პოეტი კოტე მაყაშვილი გახდა.

ქართველ მწერალთა საზოგადოების შექმნის საკითხი XX საუკუნის დამდეგს მომწიფდა. საზოგადოების მიზანი მწერალთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, მათი ნაწარ-

მოებების გამოცემა იყო. ჯერ კიდევ საუკუნის დასაწყისში რამდენიმე საზოგადოებრივი გაერთიანება არსებობდა: 1908 წელს შეიქმნა „ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის საზოგადოება“; მწერალთა ახალი ნაწარმოებების კითხვა-განხილვა, ლექცია-მოხსენებები ტარდებოდა ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოებაში; ბაქოში ფუნქციონირებდა ქართული ტექსტების რუსულ ენაზე მთარგმნელთა საზოგადოება. სწორედ ამ ორგანიზაციათა გაერთიანებით 1917 წელს თბილისში ქართველ მწერალთა პირველ კონფერენციის გადაწყვეტილებით იქმნება „ქართველ მწერალთა საზოგადოების კავშირი“. 1919 წელს მწერალთა საზოგადოების საბჭომ ქალაქის გამგეობისგან შეიძინა არტისტული საზოგადოების (დღეს რუსთაველის) თეატრის საგარდერობოში განთავსებული რესტორანი „ანონა“ და იქ მხატვრული კლუბი „ქიმერიონი“ გახსნა. აქ იყრიდნენ თავს ქართველ მწერლები, აწყობდნენ შემოქმედებით საღამოებს. 1920 წელს „ქართველ მწერალთა საზოგადოების კავშირს“ „მწერალთა კავშირი“ ეწოდა.

1921 წლის თებერვალში საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ქართული მწერლობა მკაცრ იდეოლოგიურ მარწუხებში მოექცა.

XX საუკუნის დიდმა ქართველმა მწერალმა მიხეილ ჯავახიშვილმა პირველმა ჩაუყარა საფუძველი ქართულ რეალისტურ რომანს. მისი ნაწარმოებებიდან უნდა აღინიშნოს: „კვაჭი კვაჭანტირაძე“, „ჯაყოს ხიზნები“, „გივი შადური“, „არსენა მარაბდელი“, „თეთრი საყელო“. 1970-იან წლებში დიდი პოპულარობა მოიპოვა მწერალ ჭაბუა ამირეჯიბის რომანმა „დათა თუთაშხია“. მის საფუძველზე მოსკოვის ცენტრალური ტელევიზიის დაკვეთით გადაიღეს მრავალსერიანი ფილმი, რომლის კოლექტივს (გიგა ლორთქიფანიძეს, გიზო გაბესკირიას, ოთარ მეღვინეთუხუცესს, თენგიზ არჩვაძეს და სხვ.) 1981 წელს მიენიჭათ საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემია.

მიუხედავად საბჭოთა ლიტერატურაში გაბატონებული „სოციალისტური რეალიზმისა“ და მწერლობის პარტიულობისა მაინც იქმნებოდა მაღალმხატვრული ღირებულებების მქონე ნაწარმოებები. საბჭოთა ეპოქაში მოღვაწეობდნენ ქართული პოეზიის დიდი ოსტატები: გალაკტიონ ტაბიძე, გიორგი ლეონიძე, ტიციან ტაბიძე, იოსებ გრიშაშვილი, პაოლო იაშვილი, სიმონ ჩიქოვანი, ლადო ასათიანი, მირზა გელოვანი, გიორგი ნაფეტვარიძე, ირაკლი აბაშიძე, რევაზ მარგიანი, იოსებ ნონეშვილი, ალიო მირცხულავა, ვალერიან გაფრინდაშვილი, ტერენტი გრანელი, ხუტა ბერულავა, ანა კალანდაძე, მურმან ლებანიძე, მუხრან მაჭავარიანი, შოთა ნიშნიანიძე, მორის ფოცხიშვილი, ზაურ ბოლქვაძე, კარლო კალაძე, მედეა კახიძე, სანდრო შანშიაშვილი, ვახტანგ ჯავახაძე, ფრიდონ ხალვაში, მიხეილ ქვლივიძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, ტარიელ ჭანტურია და სხვ. წარმატებით ვითარდებოდა პროზა, რომლის უდიდესი წარმომადგენლები არიან: გრიგოლ რობაქიძე, კონსტანტინე გამსახურდია, ნიკო ლორთქიფანიძე, მიხეილ ჯავახიშვილი, ლეო ქიაჩელი, ლევან გოთუა, ვასილ ბარნოვი, აკაკი ბელიაშვილი, გრიგოლ აბაშიძე, ოთარ და თამაზ ჭილაძეები, ნოდარ დუმბაძე, ოთარ ჩხეიძე, ჭაბუა ამირეჯიბი, რევაზ ინანიშვილი, გურამ ფანჯიკიძე, გურამ დოჩანაშვილი, ოტია იოსელიანი, რეზო ჭეიშვილი, ლევან სანიკიძე, ნოდარ წულეისკირი, გურამ რჩეულიშვილი, გოდერძი ჩოხელი, ზვიად გამსახურდია, მერაბ ელიოზიშვილი და სხვ.

თანამედროვე ქართულ პოეტებსა და მწერლებში გამოირჩევიან: ნიკო გომელაური, ზვიად რატიანი, დავით მაღრაძე, ტარიელ ხარხელაური, რატი ამაღლობელი, ბაღათერ არაბული; რეზო მიშველაძე, აკა მორჩილაძე, ლაშა ბუღაძე, დავით ტურაშვილი, ზურაბ ქარუმიძე, ზაზა ბურჭულაძე, რეზო კლდიაშვილი, მანანა ჩიტიშვილი, პაატა შამუგია, სალომე ბენიძე, ნატო დავითაშვილი და სხვ.

ქართული მწერლობის განვითარებაში მნიშვნელოვან როლი შეასრულა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ 1964 წლის 10 მარტს რუსთაველის სახელობის პრემიის დაწესებამ ლაურეატის დიპლომით, მოწმობით, ოქროს მედლით და ფულადი ჯილდოთი. რუსთაველის პრემიის კომიტეტის თავმჯდომარე გახდა ამ უმაღლესი ჯილდოს შემოღების ინიციატორი, იმ დროის მწერელთა კავშირის თავმჯდომარე ირაკლი აბაშიძე.

საქართველოს მინისტრთა საბჭოს 1968 წლის თებერვლის დადგენილებით რუსთაველის რესპუბლიკურ პრემიას ახალი სტატუსი, სახელმწიფო პრემიის სტატუსი მიენიჭა. დღეს ორივე პრემიას საქართველოს პრეზიდენტთან არსებული ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის სახელმწიფო პრემიების კომიტეტი გასცემს. სახელმწიფო პრემიას 2010 წლიდან შეეცვალა სახელწოდება და ეროვნული პრემია ეწოდა.

1.3.7. თეატრი

XIX საუკუნის ქართული კულტურის ისტორიაში განსაკუთრებული მოვლენა იყო პროფესიონალური თეატრის აღორძინება, რასაც მნიშვნელოვანად შეუწყო ხელი XIX საუკუნეში ქართული მწერლობის განვითარებამ. ამ პერიოდის საქართველოში მშობლიურ ენაზე საჯაროდ სიტყვით გამოსვლა მხოლოდ თეატრის სცენიდან იყო ნებადართული. თეატრი იყო ადგილი, რომელიც იცავდა ქართულ ენას გადაგვარებისაგან, ხალხში აღვივებდა ეროვნულ-პატრიოტულ გრძნობებს, იბრძოდა ახალი ქართული კულტურის განვითარებისათვის.

ქართველი საზოგადო მოღვაწეები მუდმივ მცდელობაში იყვნენ, აღედგინათ 1795 წელს ირანის გამგებლის აღა-მაჰმად ხანის გამანადგურებელი შემოსევის შედეგად მოშლილი პროფესიული ქართული თეატრი. XIX საუკუნის დასაწყისში, მუდმივი თეატრის არქონის გამო სპექტაკლებს ოჯახურ სალონებში მართავდნენ. ცნობილი იყო თეკლა ბატონიშვილის და მისი ვაჟების, ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანების, აგრეთვე მანანა ორბელიანის სალონები. საშინაო სპექტაკლები იმართებოდა ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლშიც, რომელშიც მონაწილეობას ღებულობდნენ იმ დროის ცნობილი პოეტები და მწერლები. 1832 წელს თბილისში, რომან ბაგრატიონის სალონში „თეატრი-სახელოსნოში“ სცენის მოყვარულთა წრემ დადგა ალექსანდრე გრიბოედოვის ცნობილი პიესა „ვაი ჭკუისაგან“. მართალია, იმ დროს მუდმივი ქართული თეატრი ვერ შექმნეს, მაგრამ ხალხში თეატრალური წარმოდგენებით გატაცება არ ჩამცხრალა. ცნობილია, რომ თბილისის გარდა სპექტაკლები გაიმართა სოფელ მეჯვრისხევში, 1840-იან წლებში. აქ დაიდგა ინგლისურიდან ნათარგმნი შექსპირის „ოტელო“. ამავე პერიოდს ეკუთვნის იმერეთშიც, სოფ. გორისაში გათამაშებული ოქროპირ წერეთლის კომედია „ქორწინება იმერეთის თავადისა“.

XIX საუკუნის დასაწყისში თეატრალური წარმოდგენები თბილისში, მთავარმართებლის სასახლეში იმართებოდა. საქართველოში მუდმივი რუსული დასის შექმნა 1845 წელს მეფისნაცვალის მიხეილ ვორონცოვის სახელთანაა დაკავშირებული. თეატრისთვის დროებით მანეჟის შენობა იქნა გამოყენებული. მოსკოვიდან და პეტერბურგიდან მოწვეული მსახიობები სპექტაკლებს თავდაპირველად „მანეჟის თეატრში“ მართავდნენ, ხოლო 1851 წლიდან მუდმივი სახაზინო თეატრის, „ტფილისის თეატრის“ სცენაზე, რომელიც თბილისელი სოვდაგრის გაბრიელ თამამშევის ქარვასლაში იყო განთავსებული.

თბილისში რუსული თეატრალური დასის შექმნამ გამოაცოცხლა ქართული საზოგადოება. 1850 წლის 2 იანვარს თბილისის ქართული გიმნაზიის დარბაზში საზოგადოებას უჩვენეს გიორგი ერისთავის კომედია „გაყრა“. სცენისმოყვარულთა დადგმამ დიდი რეზონანსი გამოიწვია და ხელი შეუწყო მუდმივი ქართული დასის ჩამოყალიბებას. კავკასიის მთავარმართებლის, გრაფ მიხეილ ვორონცოვის განკარგულებით ყოველწლიურად ქართული დასის შესანახად გარკვეული თანხაც იქნა გამოყოფილი.

პროფესიული ქართული თეატრი 1851-1856 წლებში არსებობდა და უდიდესი როლი შეასრულა, მწერლობასთან ერთად, ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძების საქმეში. სპექტაკლები, უმთავრესად კომედიები, „მანეჟის თეატრში“, ზოგჯერ კი „ტფილისის თეატრში“ იმართებოდა. დაარსების დღიდან თეატრი რეალისტური ხელოვნების გზას დაადგა. დასის რეპერტუარი მთლიანად ქართული იყო. თამაშობდნენ გიორგი ერისთავის, ზურაბ ანტონოვის, ივანე კერესელიძის, იოსებ ელიოზიშვილის და სხვათა ორიგინალურ და ნათარგმნ პიესებს, რომელშიც გადაგვარებულ თავადაზნაურობას, ვაჭარ-მევახშეებს, მეფის მოხელეებს დასცინოდნენ.

მიხეილ ვორონცოვის საქართველოდან წასვლის შემდეგ, 1854 წელს, ქართულ თეატრს დაფინანსება შეუწყდა. გიორგი ერისთავის დასი განაგრძობდა მოღვაწეობას სხვადასხვა კლუბებსა და კერძო სახლებში. სამწუხაროდ, თეატრში შექმნილი მძიმე მდგომარეობის გამო, ქართული მუდმივი დასი 1856 წელს დაიშალა და 70-იანი წლების ბოლომდე მხოლოდ მოყვარულთა დონეზე ახერხებდა არსებობას.

70-იანი წლიდან ქართულ თეატრალურ ხელოვნებაში განვითარების ახალი ეტაპი იწყება. ჯერ კიდევ 1867 წელს ქართველ სცენისმოყვარეთა წრეს სათავეში ჩაუდგა შემდგომში ცნობილი მთარგმნელი, მწერალი და ჟურნალისტი ნიკო ავალიშვილი, რომლის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბებული სცენისმოყვარეთა მუდმივი დასის საქმიანიობა 1878 წლიდან უკვე რეგულარულ სახეს იღებს.

1879 წლის აპრილში მუდმივი დასის კრებაზე არჩეული თეატრალური კომიტეტის დავალებით გიორგი თუმანიშვილმა ჩამოაყალიბა მუდმივი დრამატული დასი. 1 სექტემბერს, თბილისის სახაზინო თეატრში, აღდგენილი პროფესიული ქართული დრამატული თეატრის სეზონი გახსნა ბარბარე ჯორჯაძის კომედიამ „რას ვეძებდი და რა ვპოვე“ და რაფიელ ერისთავის გადმოკეთებულმა პიესამ „იჭვიანი“. ქართულ თეატრში იდგმებოდა გიორგი ერისთავის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ალექსანდრე გრიბოედოვის, ნიკოლოზ გოგოლის, ალექსანდრე ოსტროვსკის, უილიამ შექსპირის, ფრიდრიხ შილერის და სხვ. ავტორთა ორიგინალური და ნათარგმნი პიესები. ქართულ საზოგადოებაში დიდი წარმატებით სარგებლობდა დავით ერისთავის „სამშობლო“, რომელიც ავტორმა ფრანგული პიესის საფუძველზე შექმნა, ასევე მოწონება დაიმსახურა ალექსანდრე სუმბათაშვილ-იუჟინის ისტორიულმა დრამამ „ღალატი“ და სხვ. ქართული თეატრალური ხელოვნების წარმატება განპირობებული იყო იმ დროის თეატრის გამოჩენილი რეჟისორების და მსახიობების: ვასო აბაშიძის, ლადო მესხიშვილის, ნატო გაბუნიას, მაკო საფაროვა-აბაშიძის, კოტე ყიფიანის, კოტე მესხის, ვალერიან გუნიას მოღვაწეობით. აღსანიშნავია, რომ ქართველი მსახიობები და რეჟისორები პროფესიონალურ თეატრალურ განათლებას რუსეთში იღებდნენ. ქართული თეატრი მჭიდროდ იყო დაკავშირებული მოსკოვის მცირე თეატრთან, სადაც ხანგრძლივი დროის მანძილზე მოღვაწეობდა დრამატურგი, რეჟისორი და მსახიობი ალექსანდრე სუმბათაშვილ-იუჟინი.

თბილისის შემდეგ პროფესიული დასი ქუთაისშიც ჩამოყალიბდა. ქუთაისის თეატრალური ცხოვრება XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან იწყება. სახელი გაითქვა აკაკი წერეთლის თაოსნობით შექმნილმა სცენისმოყვარულთა წრემ, სადაც თეატრალურ წარმოდგენებში დიდი პოეტიც აქტიურ მონაწილეობას იღებდა როგორც რეჟისორი და მსახიობი. ქუთაისში მუდმივი თეატრალური დასი 1880 წელს შეიქმნა. 1885 წელს მას სათავეში ედგა ცნობილი მსახიობი და რეჟისორი კოტე მესხი. დასმა იმდენად გაითქვა სახელი, რომ თბილისში გასტროლებზეც იყო მიწვეული. 1894-1905 წლებში ქუთაისის თეატრალურ დასს ხელმძღვანელობდა გამოჩენილი მსახიობი, რეჟისორი და საზოგადო მოღვაწე ლადო ალექსი-მესხიშვილი.

XIX საუკუნის მიწურულს თეატრალურმა ცხოვრებამ საქართველოს თითქმის ყველა კუთხე მოიცვა. თეატრები დაარსდა გორში, ბათუმში, სენაკსა და სხვ. ქუთაისის მსგავსად გასტროლებს ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში მართავდა თბილისის ქართული თეატრიც.

პროფესიული თეატრების გვერდით, საქართველოს ქალაქებსა და დაბებში იქმნება ქართული სახალხო თეატრები. ისინი დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ ხალხში და დიდძალ მაყურებელს იზიდავდნენ. ამ თეატრების სპექტაკლებში, სცენისმოყვარეთა გარდა, ზოგჯერ პროფესიული თეატრის ცნობილი მსახიობებიც იღებდნენ მონაწილეობას. თეატრების რეპერტუარში იყო, როგორც ქართული ორიგინალური, ისე ნათარგმნი პიესები.

XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისის თბილისის თეატრალურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა თბილისის ერთ-ერთ ისტორიულ უბანში, სოლოლაკში მდებარე პიტოევების ოჯახის კერძო თეატრმა. დღევანდელი ლერმონტოვის (ყოფილი საინსტიტუტო) ქუჩაზე პიტოევების სახლში იკრიბებოდა იმ დროის თეატრალური საზოგადოება. აქვე 1887 წელს დაარსდა თბილისის არტისტული საზოგადოება. 1897 წელს საოჯახო თეატრის დაწვის შემდეგ პიტოევების ოჯახმა დიდი თანხა გამოყო არტისტული საზოგადოები-

სთვის შენობის ასაგებად. 1901 წლის 6 თებერვალს საზეიმოდ აკურთხეს არტისტული საზოგადოების (დღევანდელი რუსთაველის) თეატრის შენობა, რასაც იმ დროის თბილისის რჩეული საზოგადოება დაესწრო. 8 თებერვალს ცნობილმა სცენის მოყვარულებმა ოპოჩინინმა, ბენიამინმა, პოხომოვმა, ტულუბეევამ და სხვ. წარმოადგინეს პირველი სპექტაკლი, ალექსანდრე გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან“.

1909 წელს თბილისში გაიხსნა ძმები ზუბალაშვილების ხარჯით აგებული სახალხო სახლი, რომელიც საჩუქრად გადაეცა ქალაქს. მალე ის ქალაქის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კულტურულ ცენტრად იქცა, სადაც ქართული, რუსული, სომხური, აზერბაიჯანული და სხვ. სახალხო თეატრების სპექტაკლების გარდა იმართებოდა კონცერტები, ეწყობოდა ლიტერატურული საღამოები.

ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარებისთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა 1881 წელს ქართული დრამატული საზოგადოების დაარსებას. არსებითად, ის წარმოადგენდა ქართული თეატრალური ხელოვნების ხელმძღვანელ ორგანოს, რომელსაც განყოფილებები ჰქონდა საქართველოს ბევრ ქალაქში: ქუთაისში, ბათუმში, ჭიათურაში. საზოგადოების პირველი თავმჯდომარე ილია ჭავჭავაძე იყო. საზოგადოება ზრუნავდა თეატრის საერთო დონის, მსახიობთა და რეჟისორთა პროფესიონალიზმის ამაღლებაზე, თეატრის მოღვაწეთა მატერიალური პირობების გაუმჯობესებაზე, დახმარებას უწევდა ქართულ სცენისმოყვარეთა წრეებს და სხვ. საზოგადოებამ 1921 წლამდე იარსება და უდიდესი როლი ითამაშა ქართული ეროვნული თეატრალური ხელოვნების განვითარებაში.

XX საუკუნის დასაწყისიდან ახალი ეტაპი იწყება ქართული თეატრის ისტორიაში. სამოღვაწეო ასპარეზზე გამოდიან პროფესიონალი ქართველი რეჟისორები. მიუხედავად თავისი ხანმოკლე არსებობისა თეატრალურ ცხოვრებაში ღრმა კვალი დატოვა გიორგი ჯაბადარის დრამატულმა თეატრალურმა სტუდიამ, რომელიც მან სამშობლოში დაბრუნების შემდეგ 1918 წელს დააარსა თბილისში. ჯაბადარის სტუდია 1921 წლამდე არსებობდა. მასში იყვნენ გაერთიანებული შემდეგში სახელგანთქმული მსახიობები ვერიკო ანჯაფარიძე, უშანგი ჩხეიძე, აკაკი ვასაძე, მიხეილ გელოვანი და სხვ. 1920-21 წლებში იქმნება რუსთაველის სახელობის თეატრი.

20-30-იანი წლებში ქართული თეატრის აღმავლობა ორი უდიდესი რეჟისორის სანდრო ახმეტელისა და კოტე მარჯანიშვილის სახელს უკავშირდება. მათ შექმნეს განსაკუთრებული ეპოქა ქართულ თეატრში. მათი რეფორმატული ძიებები, მიმართული ახალი თეატრალური ფორმებისა და პროფესიული რეჟისურის პრინციპების დამკვიდრებისკენ, დღესაც განაპირობებს სასცენო ხელოვნების განვითარების მიმართულებებსა და ტენდენციებს.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში დაიწყო სარეჟისორო მოღვაწეობა სანდრო ახმეტელმა. 1923 წელს კოტე მარჯანიშვილის მიწვევით ის მუშაობას იწყებს რუსთაველის თეატრში, ჯერ მთავარ რეჟისორად, ხოლო 1926-1935 წლებში სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობაზე. უნიჭიერესი რეჟისორის სანდრო ახმეტელის შექმნილმა სასცენო შედევრებმა ქართულ თეატრს პირველად მოუპოვა მსოფლიო თეატრალური საზოგადოების აღიარება.

1920-იან წლებიდან აღმავლობას განიცდის ქუთაისის, ბათუმის, სოხუმის, თელავის, გორის, ჭიათურის, სენაკის და სხვ. დრამატული თეატრები. აქ მოღვაწე ნიჭიერი რეჟისორებისა და მსახიობების თავდაუზოგავი შრომის შედეგია, რომ ეს თეატრები დღესაც წარმატებით განაგრძობენ თავიანთ საქმიანობას.

XX საუკუნის 60-70-იანი წლები ნოვატორული ძიებების, სხვადასხვა ესთეტიკური მიმართულების დამკვიდრების ხანაა ქართული თეატრის ისტორიაში. ამ დროიდან სამოღვაწეო ასპარეზზე გამოდიან თანამედროვეობის გამოჩენილი ქართველი რეჟისორები მიხეილ თუმანიშვილი, რობერტ სტურუა, ლილი იოსელიანი, თემურ ჩხეიძე, გოგი ქავთარაძე, გიზო ჟორდანია, ლეილა კუჭუხიძე და სხვ., რომელთა ნამუშევრების მაღალმა შემოქმედებითმა ხარისხმა ქართველებს საერთაშორისო თეატრალურ სამყაროში დაუმკვიდრა ადგილი.

განსაკუთრებით წარმატებული იყო XX საუკუნის 70-90-იანი წლებში რეჟისორ რობერტ სტურუას შემოქმედებითი მოღვაწეობა რუსთაველის თეატრში. მისმა სპექტაკლებმა „კავკასიური ცარცის წრე“, „რიჩარდ III“ და სხვ. მსოფლიო აღიარება მოუპოვა რეჟისორს. განუმეორებელი სცენური სახეები შექმნეს ამ სპექტაკლებში მსახიობებმა რამაზ ჩხიკვაძემ, ეროსი მანჯგალაძემ, გურამ საღარაძემ, იზო გიგოშვილმა, ჟანრი ლოლაშვილმა.

1978 წელს გაიხსნა კინოსტუდია „ქართული ფილმის“ თეატრალური სახელოსნო, რომლის სამხატვრო ხელმძღვანელად მიხეილ თუმანიშვილი დაინიშნა. სასწავლო-ექსპერიმენტული „კინომსახიობთა თეატრის“ ამოცანა ახალგაზრდა კადრების აღზრდა იყო. სახელოსნოს შემოქმედებით ცხოვრებაში ყველას მონაწილეობა ერთნაირი ფუნქციებით განისაზღვრებოდა. აქ არ უნდა ყოფილიყო წამყვანი და ეპიზოდური როლების შემსრულებელი. კომპოზიციური შეკრულობა, ანსამბლურობის პრინციპი, სპექტაკლის თითოეული მონაწილის ზუსტად განსაზღვრული ადგილი და ფუნქცია საერთო ანსამბლში ეს არის თუმანიშვილის თეატრის წარმოდგენების ამოსავალი წერტილი. მიხეილ თუმანიშვილის დაწყებულ საქმეს დღეს ღირსეულად აგრძელებენ მისი მოწაფეები.

XX საუკუნის 80-90-იან წლებში დაიწყეს მოღვაწეობა ახალი თაობის რეჟისორებმა: ოთარ ეგაძემ, ლევან (ჭოლა) წულაძემ, დავით საყვარელიძემ, ავთო ვარსიმაშვილმა და სხვ. თავისი წვლილი შეიტანეს ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარებაში.

სახელმწიფო დრამატულ თეატრების გვერდით XX საუკუნის მიწურულს იქმნება თეატრალური სახელოსნოები, ესპერიმენტული სივრცეები, კერძო პროფესიული თეატრები, რომელთაც გასაოცრად მცირე დრო დასჭირდათ, რომ ქართულ თეატრალურ სამყაროში მყარად დაემკვიდრებინათ ადგილი.

70-80-იან წლებში თბილისში დიდი წარმატებით მიდიოდა თენგიზ ჩანტლაძის მინიატურების თეატრის სპექტაკლები. 1981 წელს რეჟისორმა ლერი პაქსაშვილმა დააარსა სანდრო ახმეტელის სახელობის თეატრი. 1987 წელს კოტე მახარაძე ხსნის ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობის თეატრს, სადაც სოფიკო ჭიაურელთან ერთად დგამს მონო სპექტაკლებს. 1997 წელს გამოდის თეატრალურ ასპარეზზე სამეფო უბნის თეატრი. 1981 წელს დრამატურგი, რეჟისორი, მხატვარი და მოქანდაკე რეზო გაბრიაძე აარსებს ყველა თბილისელისთვის, და არა მარტო მათთვის, საყვარელ „მარიონეტების თეატრს“, რომლისთვისაც თავად წერს პიესებს, სცენაზე აცოცხლებს თავისსავე შექმნილ თოჯინებს და ეპიკურ პრობლემებს მარიონეტების პატარა მასშტაბით წარმოადგენს.

საბჭოთა პერიოდიდან დაიწყო მოზარდ მაყურებელთა (1928 წ.), თოჯინების (1934 წ.), პანტომიმის (1965 წ.) თეატრების ისტორია. ქართული კოლექტივები წარმატებით იღებენ მონაწილეობას საერთაშორისო პროექტებში, ფესტივალებში. საქართველოში გასტროლებით ჩამოდიან უცხოური თეატრები და მსახიობები.

1.3.8. კინო

ხელოვნების დარგად აღიარებულმა ტექნიკურმა სიახლემ – კინემატოგრაფიამ კაცობრიობის ყურადღება მიიპყრო თავისი ორიგინალური გამომსახველობითი საშუალებებით, მხატვრული შესაძლებლობებითა და სპეციფიკური თავისებურებებით.

საქართველოში კინოს ისტორია ძმები ლუმიერების ფილმების ჩვენებით იწყება თბილისში, სათავადაზნაურო თეატრში 1896 წლის 16 ნოემბერს. ქართული საზოგადოება დიდი ინტერესით შეხვდა ხელოვნების ახალი დარგის გამოჩენას. მალევე, საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში ჩნდება სტაციონარული კინოთეატრები, რომლებშიც ლუმიერების „ცოცხალ სურათებს“ უჩვენებდნენ. მართალია, ეს ფილმები უფრო დოკუმენტური რეპორტაჟების სახეს ატარებდნენ და მხოლოდ მოძრაობას ასახავდნენ, მაგრამ მათ ძლიერი ბიძგი მისცეს კინოხელოვნების განვითარებას საქართველოში.

ქართული კინემატოგრაფია მსოფლიო კინოს გამოცდილებამ და ეროვნული ხელოვნების ტრადიციებმა განსაზღვრეს. მხატვრული მრავალფეროვნებითა და თვითმყოფადობით გამორჩეული ქართული კინოს ისტორია 1908-1910 წლებში იწყება, როდესაც ეკრანებზე

გამოდის ქართველი რეჟისორების ვასილ ამაშუკელის, ალექსანდრე დიღმელოვის (დიღმელაშვილი) და სხვ. მიერ შექმნილი ქართული ყოფის ამსახველი პირველი დოკუმენტური ფილმები.

ვასილ ამაშუკელი გახდა ქართული პროფესიონალური კინოს პირველი წარმომადგენელი. 1908 წელს ის იღებს დოკუმენტურ ფილმებს ბაქოში. სამწუხაროდ, ბაქოს კინოქრონიკებს ჩვენამდე არ მოუღწევია. პირველი ქართული სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი ვასილ ამაშუკელმა 1912 წელს გადაიღო. „აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“ დიდი პოეტის მოგზაურობას და ამ მოვლენით გამოწვეული სახალხო დღესასწაულის შთამბეჭდავ სურათს წარმოგვიდგენს. ვასილ ამაშუკელის გარდა, 1910-იან წლებში მოღვაწეობდა ოპერატორი ივანე ნაცვლიშვილიც, რომლის ფილმები დღეს დაკარგულად ითვლება. ცნობილია, რომ 1940 წელს გამართულ აკაკი წერეთლის იუბილეზე ნაჩვენები იყო 1915 წელს მის მიერ გადაღებული აკაკის დაკრძალვის სამგლოვიარო პროცესი.

ქართული დოკუმენტური კინოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენელი იყო სიმონ ესაძე, სამხედრო ისტორიკოსი და კავკასიის ომების მკვლევარი. მას ეკუთვნის 1908-1909 წლებში გადაღებული კავკასიის არმიის ცხოვრების ამსახველი კინოქრონიკა. რეჟისორმა აღბეჭდა 1915 წელს კავკასიაში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებები. მისი ფილმები: „არზრუმის დაცემა“, „ტრაპეზუნდის აღება“, „დაპყრობილი თურქული ქალაქები“ უშუალოდ ბრძოლის დროსაა გადაღებული. სიმონ ესაძის ფირმა შემოინახა საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანესი მოვლენა, 1921 წლის ბათუმის სამშვიდობო კონფერენცია. დღეს დაკარგულად ითვლება სიმონ ესაძისა და რეჟისორ ლუდვიგ ჩერნის ერთობლივი სრულმეტრაჟიანი მხატვრულ-დოკუმენტუ რი ფილმი „კავკასიის დაპყრობა“ (ოპერატორი ვლადიმერ კერესელიძე). ფილმის ჩვენება 1915 წელს მოეწყო სამეფო ოჯახისთვის.

მოგვიანებით საფუძველი ეყრება მხატვრული კინოს განვითარებას საქართველოში. პირველი ქართული მხატვრული ფილმი რეჟისორ ალექსანდრე წუწუნავას მიერ ეგნატე ნინოშვილის მოთხრობის „ქრისტინეს“ ეკრანიზაცია გახდა 1916-1918 წლებში. ფილმის გადაღების ინიციატორი იყო იმ დროის ცნობილი ქართველი პროდიუსერი გერმანე გოგიტიძე. „ქრისტინეს“ კინოპრემიერა 1919 წელს გაიმართა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან ერთი წლის თავზე. უნდა აღინიშნოს, რომ ქართული კინო შემდგომშიც, თავისი განვითარების სხვადასხვა ეტაპებზე, არაერთხელ მიმართავს ეროვნულ ლიტერატურას. გერმანე გოგიტიძის ხელმძღვანელობით გადაღებულ დოკუმენტურ ფილმებში თბილისში მიმდინარე 1921 წლის პოლიტიკური მოვლენებიცაა ასახული.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ კინემატოგრაფია ხელისუფლების პროპაგანდის ეფექტურ იარაღად იქცა. 1921 წლის 11 აპრილს განათლების სახალხო კომისარიატში შეიქმნა კინოსექცია. მოხდა ქართული კინოთეატრებისა და კინოლაბორატორიების ნაციონალიზაცია. 1918 წელს ბელგიური კინოფირმის „ფილმეს“ ბაზაზე თბილისში მოქმედი საქართველოში პირველი კინოსტუდია გასაბჭოების შემდეგ 1921 წელს კინოკონცერნად გარდაიქმნა. 1923 წლიდან მას „სახკინმრეწვი“ ეწოდა. „თბილისის კინოსტუდია“ 1938 წლიდან არსებობს, ხოლო 1953 წლიდან მას სახელი გადაერქვა და „ქართული ფილმი“ ეწოდა.

1921 წლის თებერვლიდან საქართველოში ახალი ხელისუფლების დამყარების შემდეგ ქართულ კინემატოგრაფიაში აქტიურ მოღვაწეობას იწყებენ რუსი რეჟისორები: ივანე პერესტიანი, ვლადიმერ ბარსკი და ამო ბეკ-ნაზაროვი. მათი შემოქმედება, მიუხედავად ქართული და რუსული ლიტერატურული ნაწარმოებების ეკრანიზაციისა, შორს დგას ეროვნული თვითმყოფადობისგან. ივანე პერესტიანის სახელთანაა დაკავშირებული ქართულ კინოში რევოლუციური თემატიკის შემოტანა. მისი ფილმები – „არსენა ოძელაშვილი“ (1921 წელი) და „წითელი ეშმაკუნები“ (1923 წელი) – საბჭოთა მუნჯი კინოს მნიშვნელოვან ნაწარმოებებადაა აღიარებული.

ქართულ კინოს ეროვნული სახე ალექსანდრე წუწუნავამ შექმნა, რომელიც კინემატოგრაფიას 20-იან წლებში დაუბრუნდა. 1925 წელს იგი იღებს ფილმს „ვინ არის დამნაშავე“, 1926 წელს გამოდის პირველ ქართულ კომედია „ხანუმა“, 1928 წელს „ჯანყი გურიაში“ და სხვ.

აღსანიშნავია, რომ ალექსანდრე წუწუნავას უკავშირდება პირველი ქართველი კინოვარსკვლავის ნატო ვაჩნაძის, როგორც მსახიობის ინდივიდუალურობის ჩამოყალიბება და დახვეწა.

ქართული კინოხელოვნების განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანა ქართული თეატრის გამოჩენილმა რეჟისორმა კოტე მარჯანიშვილმა. მისი ფილმები ქართული ხელოვნების საეტაპო და მნიშვნელოვანი მოვლენა იყო, ისევე როგორც მისი თეატრალური მოღვაწეობა. მართალია, თავად რეჟისორი კრიტიკულად უყურებდა თავის ნაშრომებს, მაგრამ მიუხედავად ამისა, კინოში მის მოღვაწეობას უკვალოდ მაინც არ ჩაუვლია ქართული კინოსთვის, ხოლო მსახიობებთან კოტე მარჯანიშვილის მუშაობის გამოცდილებამ პრინციპული მნიშვნელობა შეიძინა ქართველ კინომსახიობთა მომზადების საქმეში. აღსანიშნავია, რომ თუ კინოში ე.წ. სტანისლავსკის მეთოდით მუშაობის გამო, ალექსანდრე წუწუნავა სამართლიანად ითვლება სამსახიობო ოსტატობის ფუძემდებლად, კოტე მარჯანიშვილს ეკუთვნის ქართულ კინოხელოვნებაში თეორიული დასაბუთება კინომსახიობის მომზადების აუცილებლობის შესახებ. რეჟისორის აზრით, კინოხელოვნება სპეციალურად მომზადებულ, განსაკუთრებული მონაცემების მქონე კადრების არსებობას მოითხოვდა, რომელსაც უსიტყვოდ, მუსიკის თანხლების გარეშე შეეძლებოდა მაყურებლამდე მიეტანა პერსონაჟის განცდები და გრძნობები, მისი ტრაგიზმი თუ კომიზმი.

კოტე მარჯანიშვილი კინოში 1924-1929 წლებში მოღვაწეობდა. 1927 წელს გამოდის მისი „სამანიშვილის დედინაცვალი“, რომელშიც აშკარად იგრძნობა თეატრის გავლენა. კოტე მარჯანიშვილს ზღუდავდა უხმო კინო. იგი თანდათან ჩაწვდა ახალი ხელოვნების სპეციფიკას. ხმის კომპენსაციის მიზნით რეჟისორი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ახლო ხედებსა და დეტალებს. ასეა ფილმში „სამანიშვილის დედინაცვალი“, რომელშიც ზუსტადაა მონახული რეალური ცხოვრების ამსახველი ქმედითი დეტალები: წაქცეული ღობე, სახლის დამსკდარი კედლები, მორყეული მაგიდა, ძველი ტახტი და ა.შ.

ქართული კინემატოგრაფიის ახალი ჟანრებითა და ორიგინალური გამომსახველობითი საშუალებით გამდიდრება 20-იანი წლების მეორე ნახევარში კინოში ახალი თაობის მოსვლას უკავშირდება. ახალი თაობის ერთ-ერთი წარმომადგენელი იყო ნიკოლოზ შენგელაია, რომელიც ფუტურისტული ლიტერატურის დაჯგუფებასთან იყო დაკავშირებული. ფუტურისტულმა პოეზიამ დიდი გავლენა მოხდინა ნიკოლოზ შენგელაიას სტილზე, მის პოეტურრიტმულ მონტაჟზე. დინამიურობით და ექსპრესიულობით გამოირჩევა რეჟისორის ყველაზე ცნობილი ნამუშევარი „ელისო“, რომელიც ალექსანდრე ყაზბეგის ამავე სახელწოდების ნაწარმოების მიხედვითაა გადაღებული 1928 წელს. ეს ფილმი სამართლიანად ითვლება ქართული კინოს საეტაპო ნაწარმოებად. ნიკოლოზ შენგელაიას ფილმებია: „გიული“, რომელშიც ქალის ტრაგიკული სახე შექმნა ნატო ვაჩნაძემ; „26 კომისარი“ ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლებისთვის ბრძოლის ამსახველი ფილმი. აქტიური შემოქმედებითი ძიებები ჩანს ნიკოლოზ შენგელაიას ხმოვან ფილმებშიც.

1930 წელს გამოდის ქართული კინოს უდიდესი წარმომადგენლის მიხეილ კალატოზოვის (კალატოზიშვილი) ფილმი „ჯიმ შვანთე“ („მარილი სვანეთს“). ფილმი აღირებულ იქნა „ყველა დროისა და ქვეყნის საუკეთესო დოკუმენტურ ფილმად“. მან ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა საფრანგეთის, იტალიის, ამერიკისა და სხვ. ქვეყნების სინემატიკაში. აღსანიშნავია, რომ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის სასწავლებლები მონტაჟის ხელოვნებას, კადრის კომპოზიციას, ფილმის არქიტექტონიკას მიხეილ კალატოზიშვილის ფილმის „ჯიმ შვანთეს“ მიხედვით ასწავლიან. სტილის თვალსაზრისით ფილმი დოკუმენტური და მხატვრული ჟანრების სინთეზია (გადამღები ჯგუფში შედიოდა ცნობილი მხატვარი დავით კაკაბაძე). ასევითვე საეტაპო ნაწარმოებადაა მიჩნეული მიხეილ კალატოზიშვილის „მიფრინავენ წეროები“, რომელმაც 1958 წელს კინოს სამყაროს ერთ-ერთი პრესტიჟული ჯილდო, კანის საერთაშორისო კინოფესტივალის „ოქროს პალმის რტო“ დაიმსახურა. რეჟისორმა თავისი მოღვაწეობის მანძილზე შექმნა არაერთი ისეთი ნამუშევარი, რომელმაც მთელი მიმდინარეობები წარმოქმნა კინოხელოვნებაში. აღსანიშნავია აგრეთვე მისი ფილმები „გაუგზავნელი წერილი“ (1960

წ.) და „წითელი კარავი“ (1970 წ.), სადაც მთავარი თემაა ადამიანთა ურთიერთობის დრამა უზარმაზარ შთამბეჭდავ, მაგრამ ამავე დროს პირქუში ბუნების ფონზე.

30-40-იანი წლების ქართული კინო საბჭოთა იდეოლოგიითაა გაჯერებული და უფრო სააგიტაციო ხასიათს ატარებს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ამ პერიოდს მიეკუთვნება ქართველ რეჟისორთა მთელი პლეადა, რომელთაც დიდი წვლილი შეიტანეს ქართული კინემატოგრაფიის განვითარებაში. ასეთებია: კოტე მიქაბერიძე, მიხეილ ჭიაურელი, დავით რონდელი, სიკო დოლიძე, ვახტანგ ტაბლიაშვილი და სხვ.

1950-იანი წლების მეორე ნახევარში და 60-იანი წლების დასაწყისში მოღვაწეობას იწყებენ ქართული კინოს ახალი თაობის წარმომადგენლები, რომლებიც უარყოფენ წარსულში დამკვიდრებულ პომპეზურობასა და ტრადიციის გაგრძელებას. ცხოვრების რეალისტური, დოკუმენტური სიზუსტით ასახვა ხდება ქართული კინოს მთავარი დამახასიათებელი თვისება. შემთხვევითი არაა, რომ ქართული კინემატოგრაფიის თვითმყოფადობის დაბრუნება ეროვნული ლიტერატურული ნაწარმოების ეკრანიზაციით იწყება. 1955 წელს გამოდის ახალგაზრდა რეჟისორების თენგიზ აბულაძისა და რეზო ჩხეიძის ერთობლივი ნამუშევარი „მაგდანას ლურჯა“, ეკატერინე გაბაშვილის ამავე სახელწოდების მოთხრობის მიხედვით.

მრავალი საერთაშორისო კინოფესტივალის პრემიებით და საპატიო დიპლომებითაა დაჯილდოებული ქართული კინოს ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელი თენგიზ აბულაძე. მისი პირველი დამოუკიდებელი ნაწარმოებია „სხვისი შვილები“ (1958). მას ეკუთვნის ფილმები: „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, „სამკაული სატრფოსათვის“, „სვანური ჩანახატები“ და სხვ. საერთაშორისო კინოსამყაროს აღიარება მას მოუტანა ფილმებმა „ვედრება“, „ნატვრის ხე“ და „მონანიება“, რომელიც ნათელსა და ბნელს, სიკეთესა და ბოროტებას შორის ჭიდილის მარადიული, ზოგადსაკაცობრიო თემის მხატვრულ-ვიზუალური წარმოჩენა, მისი ეკრანული გახსნაა. განსაკუთრებული სიმძაფრით ეს ტრილოგიის უკანასკნელ ფილმში ჩანს. თუკი „ვედრება“ და „ნატვრის ხე“ ლიტერატურული ნაწარმოებების ეკრანიზაციაა, მესამე ფილმი ორიგინალური სცენარის მიხედვითაა გადაღებული. „მონანიება“ დიდი ემოციური სიძლიერის, საოცარი სიმართლის ეპიკური ტილოა, რომელშიც ფილოსოფიურად გააზრებული და განზოგადოებულია საბჭოთა ტოტალიტარიზმის მსხვერპლად ქცეული ადამიანის დრამა.

მთავარი გმირების უშუალობა, ხასიათების მასშტაბურობა, მსახიობის ინდივიდუალობის გახსნის უნარი ახასიათებს ქართული საბჭოთა კინორეჟისორის რეზო ჩხეიძის კინოშემოქმედებას. მისმა ფილმებმა „ჩვენი ეზო“ (1956 წელი), „ჯარისკაცის მამა“ (1964 წელი), „ღიმილის ბიჭები“ (1968 წელი), „ნერგები“ (1972 წელი), „მშობლიურო ჩემო მიწავ“ (1980 წელი), „მაცხოვრის საფლაფზე დანთებული სანთელი“ (2007 წელი) და სხვ. წარუშლელი კვალი დატოვეს ქართული კინოს ისტორიაში. ქართველი კაცის მძლავრი ემოციური სახეა შექმნილი სამამულო ომის თემაზე გადაღებულ ფილმში „ჯარისკაცის მამა“, რომელშიც მთავრ როლს ბრწყინვალედ ასრულებს მსახიობი სერგო ზაქარიაძე.

ქართული კინოს წარმატება 1960-70-იან წლებს უკავშირდება. ტოტალიტარიზმის პირობებშიც ქართველი რეჟისორები ახერხებდნენ თავიანთ ფილმებში განეხილათ უბრალო ადამიანური პრობლემები, წარსულისა და აწმყოს მტკივნეული საკითხები, გამოეხატათ ინტერესი მწვავე ზნეობრივი საკითხებისადმი, ქართული ეროვნული ტრადიციებისა და მისი ფესვებისადმი. სწორედ ეს მიდგომა გამოარჩევს ქართველ რეჟისორთა ნამუშევრებს საბჭოთა კინოს დანარჩენი მოღვაწეებისგან.

აღსანიშნავია, რომ ქართული კინო აქტუალური საკითხების დამუშავების დროს ხშირად მიმართავდა კომედიურ ჟანრს. ელდარ შენგელაიას 1968 წელს გადაღებული ფილმი „არაჩვეულებრივი გამოფენა“ ირონიული ტრაგიკომედიაა. სიყვარულითა და თანამგრძნობი იუმორითაა გადმოცემული ნიჭიერი ხელოვანის სახე, რომელიც ცხოვრებამ ხელოსნად აქცია. ექსცენტრული, გროტესკული, სატირული იუმორით შენიღბულმა ფილმებმა „შერეკილები“ (1973 წელი) და „ცისფერი მთები ანუ დაუჯერებელი ამბავი“ (1983 წელი) ქართველი მაყურებლის არაერთი თაობის სიმპათია დაიმსახურა.

60-იან წლებში იწყებენ მოღვაწეობას რეჟისორები თამაზ მელიავა, რამაზ (ბუბა) ხოტივარი, ბაადურ წულაძე, ირაკლი კვირიკაძე, ნანა მჭედლიძე, გურამ პატარაია, გიორგი შენგელაია, ოთარ იოსელიანი, ქეთი დოლიძე, მერაბ კოკოჩაშვილი, სოსო ჩხაიძე, ირაკლი კვირიკაძე, ლიანა ელიავა, ლანა ღოღობერიძე, გელა კანდელაკი, გიგა ლორთქიფანიძე, გიზო გაბესკირია, სერგო ფარაჯანოვი და სხვ.

საინტერესოა და თვითმყოფადია ოთარ იოსელიანის შემოქმედება. ფილმები „იყო შაშვი მგალობელი“, „გიორგობის თვე“, „პასტორალი“, „მთვარის ფავორიტები“ კონტრასტების პრინციპზეა აგებული. როგორც რეჟისორი თავად აღნიშნავდა, მისი კინოსურათები „დრამატული კომედიის“ თვისებების მატარებელია. აღსანიშნავია, რომ ოთარ იოსელიანი დღესაც წარმატებით აგრძელებს მოღვაწეობს საქართველოს ფარგლებს გარეთ.

გამორჩეულია ალექსანდრე რეხვიაშვილის შემოქმედება. მის განსხვავებულ კინოსამყაროს ქმნის ფილმების თავისებური სტილისტიკა, რიტმის სპეციფიკურობა, კადრების აგების ორგანული კომპოზიცია, გამომსახველობითი ესთეტიკა და კულტურა.

ცალკე დგას ქართული და რუსული კინოს აღიარებული დიდოსტატის გიორგი დანელიას შემოქმედება. მისი სევდანარევი კომედიები სიკეთით, ადამიანისადმი უსაზღვრო სიყვარულითაა გაჟღენთილი. გიორგი დანელიას ფილმები ყველა თაობისთვის ახლობელი და საყვარელია. მიუხედავად რუსეთში მოღვაწეობისა, მას არ გაუწყვეტია კავშირი საქართველოსთან. მის ფილმებში ქართველებს, ქართულ თემას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. რეზო გაბრიაძე იყო მისი არაერთი სცენარის თანაავტორი. გია ყანჩელის მუსიკა ჟღერს გიორგი დანელიას ფილმების უმრავლესობაში, ხოლო კინოფილმები „არ დაიდარდო“ და „მიმინო“ საბჭოთა კინემატოგრაფიის შედევრებადაა აღიარებული.

1980-90-იან წლებში ქართველ რეჟისორთა პლეადას შეუერთდნენ: ალეკო ცაბაძე, ზაზა ურუშაძე, ერეკლე ბადურაშვილი, ლევან ზაქარეიშვილი, და სხვ.

ქართული კინო მრავალფეროვანი, საინტერესო და მრავლისმომცველი მოვლენაა. ამოუწურავია მისი სტილისტური და თემატურ-ჟანრული ძიებანი. დღეს თანამედროვე კინორეჟისორები დავით ფირცხალავა, ლაშა ცქვიტინიძე, გიგა ლიკლიკაძე, ვაჟა ჩაჩხიანი, ირინე ჟორდანია და სხვ. კვლავ აგრძელებენ ქართული კინოხელოვნების ტრადიციებს - ახალი თემატიკის, ახალი ჟანრების შესაბამისი მხატვრული გამომსახველობითი ხერხების ძიებას.

მხატვრული კინოს გარდა უნდა აღინიშნოს სატელევიზიო ფილმისა და კინოდოკუმენტალისტიკის განვითარება. საინტერესო ნამუშევრები შექმნეს ამ ჟანრში რეჟისორებმა: ირაკლი კანდელაკმა, გიორგი ასათიანმა, ლეო ბაქრაძემ და სხვ.

დოკუმენტური ფილმებიდან აღსანიშნავია გურამ პატარაიას 1968 წელს გადაღებული „რუსთაველის ნაკვალევზე“ და 1970 წელს – „შორია გურჯისტანამდე“. 1980-81 წლებში გამოდის ეკრანებზე რეზო თაბუკაშვილის ნამუშევრები „ქართველები იტალიაში“ და „მთანი მაღალნი“. ამ ფილმებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ქართული ეროვნული საგანძურის გამდიდრების საქმეში.

ქართული კინოკულტურის დამამშვენებელი იყო მულტიპლიკაცია, რომელიც XX საუკუნის ქართული კინემატოგრაფიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს. 1930-იანი წლებიდან, მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებთან ერთად, საქართველოშიც დაიწყო მულტიპლიკაციური ხელოვნების ანუ „მოძრაობის შემსწავლელი საიდუმლოს“ ათვისება. ქართული მულტიპლიკაციის სკოლის შექმნა ვლადიმერ მუჯირის სახელს უკავშირდება. 1935 წელს მან გადაიღო პირველი ქართული მხატვრული ანიმაციური ფილმი „არგონავტები“, რომლის მხატვარი იყო ლადო გუდიაშვილი, ხოლო მუსიკა ფილმისთვის დაწერა შალვა აზმაიფარაშვილმა. ვლადიმერ მუჯირი ავტორია ფილმების: „გაიძვერა“, „ჩიორა“ (პირველი ფერადი ანიმაცია), „ოქროს ბიბილო“ და სხვ. მულტიპლიკაციის ათვისება-განვითარება შემდგომშიც გაგრძელდა. ვლადიმერ მუჯირის შემდეგ მოდიან რეჟისორები: მიხეილ ჭიაურელი („ქილა ერბო“ – დამსხვრეული ოცნებები), არკადი ხინთიბიძე („მამაცი მთამსვლელები“, „წუნა და წრუწუნა“, „ჩხიკვთა ქორწილი“, „მტრობა“, „წავი ჩუკა“, „ნახევარ-წიწილა“ და სხვ.), შალვა გედევანიშვილი („გმირი“, „როგორ ააშენეს სახლი“. პირველი ქართული თოჯი-

ნური ფილმი „ნიკო და სიკო“), ვახტანგ ბახტაძე („ყურშა“, „ო, მოდა, მოდა“, „გოგონა და ბატი“ და სხვ. მასვე ეკუთვნის პოპულარული მულტიპლიკაციური სერიალი ხელმარჯვე ოსტატზე) და სხვ. მულტიპლიკაციის ჟანრში მუშაობდნენ რეჟისორები: მერაბ სარალიძე, გოგი კასრაძე, გივი კასრაძე, კოტე მიქაბერიძე, კარლო სულაკაური, გელა კანდელაკი, დავით სულაქველიძე, დავით თაყაიშვილი, ლევან ჭყონია და სხვ. უნდა აღინიშნოს, რომ მათ მიერ შექმნილი ანიმაციური ფილმების უმრავლესობა თავისი დონით არ ჩამოუვარდება მსოფლიოს წამყვანი მულტიპლიკაციური სტუდიების ნამუშევრებს.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, 1990-იან წლებში ანიმაციური ხელოვნება, ქართული კინემატოგრაფიის მსგავსად, დაქვეითებას განიცდის. ამჟამად მულტიპლიკაციურ ჟანრში მუშაობას სტუდია „არტვიზიონი“ აგრძელებს.

ქართული სამსახიობო ხელოვნება

საქართველოში მსახიობთა მომზადების აუცილებლობა ჯერ კიდევ XIX საუკუნეში იდგა. ქართული თეატრალური პედაგოგიკის ისტორია, შეიძლება ითქვას, 1850 წელს, გიორგი ერისთავის თეატრის დაარსებით იწყება. ცნობილია, რომ თეატრის გახსნამდე გიორგი ერისთავმა თავისთან ქართლში შეკრიბა მსახიობები და იქ საგანგებოდ ამზადებდა მათ. ილია ჭავჭავაძე მას ქართული სამსახიობო პედაგოგიკის მამამთავრად მიიჩნევდა. გიორგი ერისთავი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა მსახიობის მეტყველებას, ცდილობდა დაემუშავებინა სასცენო სალაპარაკო დიალექტი. მსოფლიოს მოწინავე თეატრების მიღწევების გამოყენებით გიორგი ერისთავს სურდა გამოეყვანა ქართული თეატრი რეგიონალური ჩარჩოებიდან. მართალია, გიორგი ერისთავის თეატრს ხანმოკლე ისტორია აქვს, მაგრამ აქ ჩაეყარა საფუძველი მსახიობთა აღზრდის იმ პრინციპებს, რომელსაც მოგვიანებით, 1881 წელს ავითარებს ილია ჭაჭავაძის და აკაკი წერეთლის ინიციატივით შექმნილი დრამატული საზოგადოება. XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან მომავალ ქართველ მსახიობთა აღზრდის საქმეში უკვე ცნობილი მსახიობები ვასო აბაშიძე, ლადო მესხიშვილი და ვალერიან გუნია ერთვებიან.

სამსახიობო ხელოვნების შემსწავლელი პირველი დრამატული კურსების გახსნის მცდელობა, 1911 წელს ლადო მესხიშვილის და ვალერიან გუნიას სახელებს უკავშირდება, მაგრამ კურსებმა დიდხანს ვერ იარსება.

1918 წელს ევროპიდან საქართველოში ბრუნდება გიორგი ჯაბადარი და თბილისში აარსებს პირველ პროფესიულ ქართულ დრამატულ სტუდია-თეატრს, რომლის მიზანიც პროფესიონალი მსახიობების მომზადება და ქართული თეატრის განახლება იყო. 1918 წელს გამოდის მისი წიგნი „დიქცია მსახიობთა და ორატორთათვის“, რომელიც ქართული სასცენო მეტყველების პირველი სრულყოფილი სახელმძღვანელოა. აღსანიშნავია, რომ თავისი ხანმოკლე არსებობის მანძილზე (1918-1920 წლები) „ჯაბადარის სტუდიამ“ აღზარდა ქართული სცენის დიდოსტატთა მთელი თაობა: ვერიკო ანჯაფარიძე, უშანგი ჩხეიძე, აკაკი ვასაძე, შალვა ღამბაშიძე, დოდო ანთაძე, მიხეილ გელოვანი, მიხეილ ჭიაურელი და სხვ.

1922 წლის იანვარში სახელმწიფო დრამის (დღევანდელი რუსთაველის თეატრი) სარკეებიან დარბაზში საზეიმოდ გაიხსნა აკაკი ფაღავას სტუდია. გახსნაზე მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვეს კოტე მარჯანიშვილმა, მიხეილ ქორელმა, ალექსანდრე ახმეტელმა, ტიციან ტაბიძემ, კონსტანტინე გამსახურდიამ და სხვ. სტუდიაში პედაგოგებად მიწვეულნი იყვნენ იმ დროის გამოჩენილი მოღვაწეები: მიხეილ ქორელი, ალექსანდრე წუწუნავა, სანდრო ახმეტელი, კონსტანტინე დავითაშვილი, ვალენტინა ბენდეროვიჩი-ჟღენტი, იაკობ კრუჩინინი და ნიკო შიუკაშვილი.

გიორგი ჯაბადარისა და აკაკი ფაღავას სტუდიებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ქართული თეატრის ისტორიაში. მათი წყალობით განვითარდა საქართველოში სათეატრო პედაგოგიკა და ნიადაგი მომზადდა უმაღლესი თეატრალური სასწავლებლის შესაქმნელად.

1923 წელს სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით აკაკი ფაღავას სტუდიის ბაზაზე გაიხსნა „სასცენო ხელოვნების ინსტიტუტი“, რომლის პირველ რექტორად აკაკი ფაღავა დაინიშნა. ინსტიტუტი, რომელიც სტუდიის მსგავსად რუსთაველის თეატრში იყო განთავსებუ-

ლი, შემდეგი სტუდიებისა და კლასებისგან შედგებოდა: 1) დრამატული სტუდია; 2) დრამატული სკოლა; 3) საოპერო სტუდია; 4) საოპერო გუნდის კლასი; 5) პლასტიკური და რითმული გიმნასტიკის კლასი. ამ ინსტიტუტის კურსდამთავრებულნი იყვნენ შემდგომში ცნობილი მსახიობები აკაკი ხორავა, ვასო გოძიაშვილი, სესილია თაყაიშვილი, თამარ წულუკიძე, ნინო (გოგუცა) კუპრაშვილი და სხვ.

1927 წელს „სასცენო ხელოვნების ინსტიტუტის“ დახურვის შემდეგ ყალიბდება ახალი სტუდიები: 1927-35 წლებში რუსთაველის თეატრის სტუდია, რომელიც 1939 წლამდე არსებობდა; 1933 წელს აკაკი ფაღავას „სასცენო ხელოვნების უმაღლესი კურსები“; კოტე მარჯანიშვილის თეატრის სტუდია; ამავე პერიოდში გაიხსნა სახკინმრეწვის კინომსახიობთა კურსები.

თეატრალური ინსტიტუტი, მთავრობის დადგენილებით, 1939 წელს აღდგა, რაშიც დიდი დამსახურება მიუძღვით აკაკი ხორავასა და აკაკი ფაღავას. ინსტიტუტს 1992 წელს სახელი შეეცვალა და „თეატრისა და კინოს სახელმწიფო ინსტიტუტი“ ეწოდა, ხოლო 2002 წელს „შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტად“ გარდაკეთდა.

დიდია უნივერსიტეტის როლი თეატრისა და კინოს, ესტრადის, თოჯინებისა და მარიონეტების, პანტომიმის და სხვ მსახიობთა პროფესიული კადრების მომზადებაში. ქართული თეატრისა და კინოს სტუდენტები წარმატებით გამოდიან მსოფლიოს სხვადასხვა ფესტივალსა და კონკურსში.

ბევრმა ქართველმა მსახიობმა ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა მსოფლიო კინოსა და თეატრის განვითარების საქმეში, რომელთაგან შეიძლება გამოიყოს სერგო ზაქარიაძე, აკაკი ხორავა, ვერიკო ანჯაფარიძე, აკაკი ვასაძე, ნატო ვაჩნაძე, ვასო აბაშიძე, ტასო აბაშიძე, სპარტაკ ბაღაშვილი, გიორგი შავგულიძე, სოფიკო ჭიაურელი, ბუბა კიკაბიძე, ვასო გოძიაშვილი, ოთარ მეღვინეთუხუცესი, რამაზ ჩხიკვაძე, ეროსი მანჯგალაძე, გურამ საღარაძე, სესილია თაყაიშვილი, იპოლიტე ხვიჩია, ლია ელიავა, მედეა ჩახავა, ავთანდილ მახარაძე, თენგიზ არჩვაძე, მედეა ჯაფარიძე, ბელა მირიანაშვილი, კახი კავსაძე, გივი ბერიკაშვილი, დოდო აბაშიძე, კარლო საკანდელიძე და სხვ.

1.3.9. მუსიკა

თავისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე ქართველმა ხალხმა უაღრესად მდიდარი, ორიგინალური და მრავალფეროვანი მუსიკა შექმნა. სწორედ ხალხური მუსიკა დაედო საფუძვლად XIX საუკუნის 70-იან წლებში ახალ საერო პროფესიულ მუსიკალურ ხელოვნებას, რომელმაც, დასავლური მუსიკალური კულტურის მიღწევებთან სინთეზში, XX საუკუნეში განვითარების მაღალ დონეს მიაღწია.

XIX საუკუნის დასაწყისში საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ, ქართული მუსიკალური კულტურა, ხანგრძლივი დროის მანძილზე, რუსეთის კულტურასთან მჭიდრო კავშირში ვითარდებოდა. მყარდება მუდმივი კავშირები რუსულ და ევროპულ მუსიკალურ კულტურებთან. თბილისი არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი ამიერკავკასიის მუსიკალური განათლების ცენტრი ხდება.

საქართველოში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნების კვალდაკვალ შეიცვალა საუკუნეების მანძილზე დამკვიდრებული ქართველთა ცხოვრების წესიც. XIX საუკუნის დასაწყისის ქართულ კულტურაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ არისტოკრატული სალონები – ლიტერატურული, დრამატული ხელოვნებისა და შინაური მუზიცირების ერთერთი უმთავრესი კერები. საქართველოს მთავარმართებლის, გენერალ ალექსი ერმოლოვის სახლში სისტემატურად ეწყობოდა მეჯლისები, საშინაო წარმოდგენები, იმართებოდა მუსიკალურ-ლიტერატურული საღამოები. ამ დროს ცნობილი იყო მამია გურიელის, გრიგოლ ორბელიანის, სოლომონ დოდაშვილის, ვახტანგ ორბელიანის, მარიამ ორბელიანის, მანანა ორბელიანის, რომან ბაგრატიონის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ალექსანდრე ორბელიანის, ალექსანდრე ჭავჭავაძის, დავით დადიანისა და სხვათა მუსიკალურ-ლიტერატურული სალონები. აქ ეცნობოდა ქართული საზოგადოება დასავლურ მუსიკას, ავლენდა ადგილობრივ შემსრუ-

ლებლებს, პოპულარიზაციას უწევდა ახალ საკრავს ფორტეპიანოს და ხელს უწყობდა ახალი მუსიკალური ჟანრის – რომანსის განვითარებას. სალონების მუსიკალურ რეპერტუარში შედიოდა ქართული ქალაქური, აღმოსავლური და რუსულ-ევროპული სიმღერები. ცნობილია, რომ პოეტის ალექსანდრე ჭავჭავაძის ქალიშვილები ეკატერინე და ნინო კარგად უკრავდნენ ფორტეპიანოზე. ნინო ცნობილ კომპოზიტორთა ნაწარმოებებთან ერთად ასრულებდა მეუღლის, ალექსანდრე გრიბოედოვის ნაწარმოებებსაც, რომელიც მუსიკასაც წერდა. მიუხედავად არაპროფესიონალიზმისა, კომპოზიტორის მიხეილ გლინკას დახასიათებით ალექსანდრე გრიბოედოვი ძალიან კარგი მუსიკოსი ყოფილა.

XIX საუკუნე ქართული მუსიკალური კულტურის ერთ-ერთი საინტერესო მოვლენის, ქალაქური სიმღერის აყვავების ხანაა. ქართული მუსიკის ისტორიაში ის ორი სხვადასხვა სტილისტური ხაზითაა წარმოდგენილი. პირველი მგოსანთა შემოქმედებაა, რომლის ფორმირებაც, სავარაუდოდ, თბილისის დაარსებიდანვე უნდა დაწყებულიყო. საქართველოს დედაქალაქი ოდითგანვე იყო მთელი ამიერკავკასიის პოლიტიკურ-კულტურული და მსხვილი ეკონომიკური ცენტრი. მეზობელ ქვეყნებთან მუდმივი კულტურული კავშირები და თბილისის მრავალეთნიკურობა გავლენას ახდენდა ქალაქურ ფოლკლორზე. ეს უფრო მეტად თვალშისაცემი XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან ხდება. ქართული, სპარსული, სომხური ეროვნული მუსიკის ინტონაციური, რიტმული და სხვა თავისებურებების სინთეზის შედეგად შეიქმნა ორიგინალური ეროვნული მუსიკალური კულტურის საინტერესო მოვლენა „ძველი თბილისის სიმღერები“.

განსხვავებული გზა გაიარა ქართული ქალაქური მუსიკალური ფოლკლორის მეორე ხაზმა. ის XIX საუკუნის მეორე ნახევარში ჩაისახა. ნეაპოლური რომანსებისა და იტალიური საოპერო მელოდიების თავისებურებებთან ქართული სასიმღერო ხელოვნების თანდათანობითი შეზავების შედეგად თბილისში, ქუთაისში და დასავლეთ საქართველოს სხვა ქალაქებში ფართოდ ვრცელდება ეროვნული კოლორიტის მქონე, თემატურად მრავალფეროვანი, მელოდიური ქალაქური სიმღერები, რომელიც გიტარის თანხლებით სრულდება. ქართულ ქალაქურ სიმღერას უკავშირდება საინტერესო ფაქტი – პეტერბურგში მყოფმა ალექსანდრე გრიბოედოვმა მიხეილ გლინკას იმ დროს საქართველოში პოპულარული ქალაქური სიმღერა „ახალ აღნაგო სულო“ გააცნო, რომელზეც კომპოზიტორმა რომანსი „ქართული სიმღერა“ („Грузинская песня“) შექმნა. რომანსის მელოდიამ იმდენად დიდი ემოციური ზეგავლენა იქონია ცნობილ რუს პოეტზე ალექსანდრე პუშკინზე, რომ თავისი ლექსი „ნუ იმღერ ტურფავ“ („Не пой, красавица, при мне“) დაუწერია უკვე მზა მუსიკალური ნაწარმოებისათვის, რაც უჩვეულო და გამონაკლისი შემთხვევა იყო პოეტის შემოქმედებაში (აღსანიშნავია, რომ ლექსის დაწერამდე, 1829 წელს ალექსანდრე პუშკინის თბილისში სტუმრობისას, პოეტი აღფრთოვანებული იყო მის საპატივსაცემოდ გამართულ საზეიმო სადილზე მოსმენილი ქართული სიმღერებით).

ეროვნული მუსიკალური კულტურის შემდგომი განვითარება საზოგადოებრივ ცხოვრებაში XIX საუკუნის დასაწყისში მიმდინარე მოვლენებს უკავშირდება. მუსიკის მოყვარულთა წრეები უკვე აღარ სჯერდებიან მხოლოდ სალონურ მუზიცირებას და იწყებენ საჯარო გამოსვლებს, სადაც ფართო საზოგადოებას აცნობენ რუსულ და დასავლურ-ევროპულ მუსიკას. ამ დროს საქართველოში უკვე ვრცელდება ევროპული მუსიკალური ინსტრუმენტები - კლარნეტი, ფლეიტა, ვიოლინო, გიტარა, ჩელო, ფორტეპიანო.

1829 წლის აპრილში თბილისში პირველად მოეწყო საქველმოქმედო მუსიკალური საღამო ღარიბთათვის. ადგილობრივ მოყვარულთა ძალებით გამართულ ორგანყოფილებიან კონცერტზე შესრულდა: რომბერგის უვერტიურა, მაურერის სავიოლინო კონცერტი, ბლეზის კონცერტი კლარნეტისთვის, დიუმონის კონცერტი ფლეიტისთვის, მეჰიულის არია, მოცარტის ოპერა „დონ-ჟუანის“ უვერტიურა, როდეს სავიოლინო კონცერტი, ქართული ქალაქური სიმღერა „ახალ აღნაგო სულო“ და სხვ. აღსანიშნავია, რომ „მოყვარულთა წრეში“ უკრავდნენ საქართველოსა და მთელს ამიერკავკასიაში კარგად ცნობილი, საკმაოდ მაღალი დონის მუსიკოსები.

მიხეილ ვორონცოვის საქართველოში ჩამოსვლით ქართულ მუსიკალურ ცხოვრებაში ახალი ფურცელი იშლება. დაპყრობილი ხალხის გულის მოსაგები მისი ერთ-ერთი დიპლომატიური ნაბიჯი გახდა საოპერო თეატრის დაარსება თბილისში.

1845 წელს თბილისში ჩამოდის სტავროპოლის თეატრის მსახიობთა დასი ანტრეპრენიორ გ. იაცენკოს ხელმძღვანელობით. მიხეილ ვორონცოვის ბრძანებით თეატრის საჭიროებისთვის გადაკეთდა ყოფილი მანეჟის შენობა და უკვე 1845 წლის 20 სექტემბერს გაიმართა პირველი თეატრალური წარმოდგენა.

1851 წელს იხსნება სახაზინო „ტფილისის თეატრი“, რომლისთვისაც, დირექტორის პოეტ ვლადიმერ სოლოგუბის რეკომენდაციით, მიხეილ ვორონცოვმა იტალიიდან მოიწვია საოპერო დასი, იმ დროის ცნობილი დირიჟორის ბარბიერის ხელმძღვანელობით. თბილისის თეატრი გაეტანო დონიცეტის ოპერა „ლუჩია დი ლამერმურით“ გაიხსნა. საოპერო დადგმებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს თბილისის მოსახლეობაზე. სამი თვის განმავლობაში ბარბიერის დასმა თორმეტი ოპერა წარმოადგინა, რომელთა შორის იყო ჯუზეპე ვერდის „ერნანი“, ვინჩენცო ბელინის „ნორმა“, ჯოაკინო როსინის „სევილიელი დალაქი“ და სხვ. ცნობილია, რომ საოპერო თეატრის პირველ სპექტაკლებს ესწრებოდნენ ლევ ტოლსტოი და ჰაჯი მურატი. 1852 წელს პეტერბურგიდან რუსული საბალეტო ჯგუფის მოწვევის შემდეგ თეატრში ყალიბდება საბალეტო დასიც, რომლის პირველი წარმოდგენა 5 ოქტომბერს გაიმართა. ეს იყო კომპოზიტორ ჟან შნეიცხოფერის ბალეტის „სილფიდას“ მეორე მოქმედება და „პოლკა-ვენგერკა“. პირველი სრული სპექტაკლი, ობერ შმიდტის „გიტანა“, საბალეტო დასმა იანვარში ითამაშა. ორაქტიანი ბალეტი, ცნობილი ქორეოგრაფის ტალიონის მიხედვით იყო დადგმული. თბილისის თეატრს მრავალფეროვანი რეპერტუარი ჰქონდა – ჯუზეპე ვერდის, ჯოაკინო როსინის, ვინჩენცო ბელინის, ჯაკომო მეიერბერის, დანიელ ობერის და სხვათა საოპერო ნაწარმოებები. მოგვიანებით დიდი მოწონება დაიმსახურა გერმანელი კომპოზიტორის რიჰარდ ვაგნერის მუსიკამ.

აღსანიშნავია, რომ თბილისში დაიწყო სასიმღერო კარიერა ბევრმა შემდგომში ცნობილმა მუსიკოსმა: 1857 წელს პირველად შედგა სახელგანთქმული სოპრანოს ტერეზა შტოლცის დებიუტი. აქ გამოდიოდა სახელგანთქმული ჩეხი მევიოლინე და კომპოზიტორი იან კუბელიკი, იტალიელი საოპერო მომღერალი ანჯელო მაზინი, მოსკოვის დიდი თეატრის სოლისტი რუსი მომღერალი და პედაგოგი დიმიტრი უსატოვი. 1896 წელს აქ იწყება უდიდესი რუსი ტენორის ფიოდორ შალიაპინის საშემსრულებლო კარიერა და სხვ. თბილისის ოპერის სცენაზე უკრავდნენ მსოფლიო მნიშვნელობის კომპოზიტორები და ვირტუოზი პიანისტ-შემსრულებლები ანტონ რუბინშტეინი და სერგეი რახმანინოვი. თბილისის თეატრში დიდხანს მოღვაწეობდა გამოჩენილი რუსი კომპოზიტორი მიხეილ იპოლიტოვ-ივანოვი. აქ ხშირი სტუმარი იყო უდიდესი რუსი კომპოზიტორი პეტრე ჩაიკოვსკი. 1905-1907 წლებში თბილისის ოპერის სცენაზე მღეროდა მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი მომღერალი ტიტა რუფო. თბილისის ოპერის სცენა სხვადასხვა დროს მასპინძლობდა ცნობილ საოპერო და საბალეტო დასებს: ვენის საიმპერატორო ოპერეტას, იტალიურ ოპერას, მოსკოვისა და პეტერბურგის კომიკურ ოპერებს, პეტერბურგის საიმპერატორო ბალეტს.

იტალიური საოპერო დასის შემდეგ თეატრში რუსული დასი მკვიდრდება. თბილისის სცენაზე დგამენ მიხეილ გლინკას, ალექსანდრე დარგომიჟსკის, პეტრე ჩაიკოვსკის, ნიკოლოზ რიმსკი-კორსაკოვის, ანტონ რუბინშტეინის და სხვათა ოპერებს. ცნობილი რუსი კომპოზიტორის მიხეილ იპოლიტოვ-ივანოვის მუშაობამ თეატრში ხელი შეუწყო თეატრის დონის ამაღლებას. პეტრე ჩაიკოვსკი, რომელიც 1886-90 წლებში ხუთჯერ ესტუმრა თბილისს, მაღალ შეფასებას აძლევდა თბილისის საოპერო თეატრს და მის წარმოდგენებს. აქ მოღვაწეობდნენ ცნობილი რუსი მომღერლები და პედაგოგები: ვ. ზარუდნაია, ლ. იაკოვლევი, დ. უსატოვი. კონცერტებით გამოდიოდა თეატრის სიმფონიური ორკესტრი, სადაც სრულდებოდა ცნობილ კომპოზიტორთა ნაწარმოებები. პირველი დამოუკიდებელი კონცერტი ორკესტრმა 1860 წელს გამართა შენინგისა და კატანის ხელმძღვანელობით. ხშირი იყო სიმფონიური ორკესტრის გამოსვლები თეატრის შენობის გარეთაც, მუშთაიდის ბაღსა და სხვა შენობებში.

1874 წელს „ტფილისის თეატრი“ ანუ როგორც მას უწოდებდნენ „ქარვასლის თეატრი“ ძლიერი ხანძრისგან განადგურდა. 1875 წლიდან თბილისის საოპერო დასი 22 წლის მანძილზე „საზაფხულო თეატრის“ სცენაზე განაგრძობს მოღვაწეობას. საოპერო თეატრმა გაახალისა დედაქალაქის მუსიკალური ცხოვრება, ქართველებს გააცნო ევროპული და რუსული კლასიკური ოპერები და ნიადაგი მოამზადა ეროვნული პროფესიონალური მუსიკალური ხელოვნების განვითარებისთვის.

თბილისის თეატრალურ ცხოვრებაში ახალი სიცოცხლე დაიწყო 1896 წელს. ახალი, ე.წ. „სახაზინო თეატრის“ სცენაზე იდგმებოდა ევროპული და რუსული კლასიკური მუსიკალური ნაწარმოებები. პირველი სეზონი გახსნა მიხეილ გლინკას ოპერამ „ცხოვრება მეფისთვის“ (საბჭოთა პერიოდში ოპერას სახელი შეუცვალეს და „ივან სუსანინი“ დაარქვეს).

თბილისის გარდა მძლავრი მუსიკალური ცენტრები იყო ქუთაისში, სოხუმში. სადაც კონცერტებს მართავდნენ იტალიელი მუსიკოსები. კლასიკური მუსიკა ისმოდა ზაფხულობით ქუთაისის „ბულვარში“, სამხედრო ორკესტრის რეპერტუარში მარშებთან ერთად საოპერო მუსიკალური ნაწარმოებებიც იყო.

თბილისის ოპერის სცენაზე სხვადასხვა დროს ბრწყინავდნენ ქართული მუსიკალური საშემსრულებლო ხელოვნების უბადლო წარმომადგენლები: ვანო სარაჯიშვილი, სანდრო ინაშვილი, ნიკო ქუმსიაშვილი, პეტრე ამირანაშილი, დავით ანდღულაძე, დავით გამრეკელი, დავით მჭედლიშვილი, ბათუ კრავეიშვილი, ვერა დავიდოვა, ნადეჟდა ხარაძე, მერი ნაკაშიძე, ნადეჟდა ცომაია, ზურაბ ანჯაფარიძე, ზურაბ სოტკილავა, ცისანა ტატიშვილი, მედეა ჭყონია, ალექსანდრე ხომერიკი და სხვ.

XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან საქართველოში ვითარდება სიმფონიური მუსიკის ჟანრი. 1883 წელს მიხეილ იპოლიტოვ-ივანოვის ხელმძღვანელობით იქმნება რუსული მუსიკალური საზოგადოების თბილისის განყოფილება, რომლის თაოსნობით იმართება სიმფონიური და კამერული მუსიკის კონცერტები. ისინი მალე რეგულარულ ხასიათს იღებს.

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან „თერგდალეულთა“ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დაწყებით იზრდება ინტერესი ეროვნული მუსიკისადმი. უკვე სამოღვაწეო ასპარეზზე გამოდიან პროფესიონალი ქართველი კომპოზიტორები და შემსრულებლები, პედაგოგები რომელთაც ნიადაგი მოუმზადეს ახალი ეროვნული მუსიკალური ხელოვნების განვითარებას.

ალოიზ მიზანდარი (1838-1912) კომპოზიტორი, პედაგოგი და საერთაშორისო მნიშვნელობის ვირტუოზი პიანისტი, რომელსაც თავისი შესრულების მოხდენილი მანერით განცვიფრებაში მოჰყავდა მსმენელი სამშობლოში, პარიზში, ვენასა და პეტერბურგში, ავტორია პირველი ქართული ნაბეჭდი რომანსის „ჩვენ დავშორდით“, რომელიც 1863 წელს დაწერა. ალოიზ მიზანდარი არის ქართული პროფესიული მუსიკის პირველი ნიმუშების: საფორტეპიანო და საორკესტრო ნაწარმოებების ავტორი. იგი აქტიურად ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას, იყო სამუსიკო სკოლის ერთ-ერთი დამაარსებელი კავკასიაში და ქართული საფორტეპიანო სკოლის ფუძემდებელი.

ერთ-ერთი პირველი ქართველი პროფესიონალი კომპოზიტორი, პედაგოგი და გამოჩენილი მევიოლინე ანდრია ყარაშვილი (1857-1925), ფილარმონიული საზოგადოების ერთ-ერთი დამაარსებელი, ავტორია მთელი რიგი ცნობილი რომანსების „ისევ შენ“, „დავრდომილი“, „სნეული“ და სხვ, სავიოლინო პიესებისა და საგუნდო სიმღერების, ვიოლინოსთვის ქართულ ხალხურ სიმღერებზე დაყრდნობით შედგენილი სავარჯიშოების კრებულის. მან ერთ-ერთმა პირველმა დაარსა მოსწავლეთა სიმებიანი კვარტეტი. მისი მოწაფეები იყვნენ შალვა ასლანიშვილი, გრიგოლ კილაძე, იონა ტუსკია, გრიგოლ ჩხიკვაძე და სხვ.

1905 წელს ფილარმონიული საზოგადოების შექმნით ახალი ეტაპი დგება ქართული მუსიკალური კულტურის განვითარებაში. აღნიშნული საზოგადოების წევრები იყვნენ: ია კარგარეთელი, ზაქარია ფალიაშვილი, ანდრია ყარაშვილი, ფილიმონ ქორიძე, პეტრე მირიანაშვილი, ივანე სულხანიშვილი და სხვ. ისინი მიზნად ისახავდნენ ქართული ხალხური და სასულიერო მუსიკის ნიმუშების შეკრება-გავრცელებას, ქართველ პროფესიონალ მუსიკოსთა აღზ-

რდას, ქართული მუსიკალური კოლექტივებისთვის გასტროლების მოწყობას, აგრეთვე ქართული მუსიკალური ხელოვნების მეცნიერულ შესწავლასა და სამეცნიერო ნაშრომთა გამოცემას. ფილარმონიულმა საზოგადოებამ 1919 წლამდე იარსება. აღსანიშნავია, რომ საზოგადოების წევრთა ძალისხმევით ოპერის თეატრის სცენაზე იდგმებოდა გადმოქართულებული რუსული და ევროპული მუსიკალური ნაწარმოებები, რამაც საოპერო ხელოვნება უფრო დემოკრატიული გახადა და მოსახლეობის ფართო ფენებს გაუღო თეატრის კარი.

XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე საქართველოში შეიქმნა ქართული საკომპოზიტორო სკოლა. შემოქმედებით ასპარეზზე გამოდიან პირველი ქართველი კომპოზიტორები, შეიქმნა პირველი რომანსები, ოპერები, საგუნდო ნაწარმოებები.

ქართული ოპერის შექმნა იყო არა მხოლოდ ქართველ მუსიკოსთა, არამედ მწერლებისა და პუბლიცისტების ოცნებაც. საოპერო ჟანრის განვითარებას წინ უძღოდა ხალხური სიმღერისადმი, ქვეყნის ისტორიული წარსულისადმი ძლიერი ინტერესი. სწორედ ისტორიული და ხალხური თქმულებების სიუჟეტები დაედო საფუძვლად ამ პერიოდის ყველა ქართულ ოპერას.

სცენაზე დადგმული პირველი ქართული ოპერის ავტორი რევაზ გოგნიაშვილი იყო. 1918 წლის 21 მაისს ოპერა „ქრისტინე“ ჯერ თბილისის ქართულ კლუბში, ხოლო ერთი თვის შემდეგ თბილისის ოპერის თეატრის სცენაზე დაიდგა. იასონის პარტიას ვანო სარაჯიშვილი ასრულებდა. რევაზ გოგნიაშვილის „ქრისტინეს“ პრემიერის შემდეგ, 1919 წელს თითქმის ერთდროულად აჟღერდა სამი ქართული კლასიკური ოპერა: 5 თებერვალს დიმიტრი არაყიშვილის „თქმულება შოთა რუსთაველზე“, 21 თებერვალს ზაქარია ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“ და 11 დეკემბერს ვიქტორ დოლიძის „ქეთო და კოტე“.

საქართველოში მუსიკალური ჟანრების განვითარებაზე დიდი გავლენა მოახდინა ქართულმა კლასიკურმა პოეზიამ. აკაკი წერეთელი იყო პირველი მწერალი, რომლის ნაწარმოებებმაც მძლავრი ბიძგი მისცა რომანსისა და საოპერო ხელოვნების განვითარებას. მუსიკაზე იქნა გადატანილი აკაკი წერეთლის მრავალი ნაწარმოები – მელიტონ ბალანჩივაძემ შექმნა „თამარ ცბიერი“, ნიკო სულხანიშვილმა „პატარა კახი“ და სხვ. აკაკი წერეთლის ლექსი დაედო საფუძვლად ბარბარე (ვარინკა) წერეთლის სიმღერას „სულიკოს“, რომელსაც დღეს მთელი მსოფლიო იცნობს.

უფროსი თაობის კომპოზიტორების დამსახურებაა კლასიკური მუსიკის ის ნიმუშები, რომელმაც საფუძველი მოუმზადეს ქართული პროფესიული მუსიკის შემდგომ განვითარებას. ქართული მუსიკალური ხელოვნების წინაშე დიდი დამსახურება მიუძღვით დიმიტრი არაყიშვილს, ნიკო სულხანიშვილს, გიორგი ნატრაძეს, ფილიმონ ქორიძეს, ია (ილია) კარგარეთელს, ივანე ფალიაშვილს, ნიკოლოზ ქართველიშვილსა და სხვ.

ახალი ქართული მუსიკის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა მელიტონ ბალანჩივაძემ დასაბამი მისცა ქართული მუსიკის ორ უმთავრეს ჟანრს - რომანსსა და ოპერას. ქართული ხალხური სიმღერა ასაზრდოებდა მელიტონ ბალანჩივაძის შემოქმედებით ნიჭს. მისი ქართული კამერული ვოკალური ლირიკის პირველი ნიმუშებია 1889 წელს დაწერილი რომანსები: „ოდეს გიცქერ“, „შენ გეტრფი მარად“, „ნანა შვილო“. მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ პეტერბურგში 1897 წელს პირველად შეასრულეს ნაწყვეტები მელიტონ ბალანჩივაძის ოპერიდან „თამარ ცბიერი“ (1936 წელს მესამე რედაქციის შემდეგ ოპერის სახელი გადააკეთეს და მას „დარეჯან ცბიერი“ უწოდეს). დიდია მელიტონ ბალანჩივაძის საშემსრულებლო, საზოგადოებრივი და შემკრებლობითი მოღვაწეობის მნიშვნელობაც. მართალია, მისი ნაწარმოებები არ არის მრავალრიცხოვანი, მაგრამ იმ მცირემ რაც შექმნა, მას მყარად დაუმკვიდრა ადგილი ქართული მუსიკის ისტორიაში.

ქართული მუსიკალური კულტურის ისტორიაში გამორჩეული ფიგურაა ქართული პროფესიული მუსიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი დიმიტრი არაყიშვილი. ის მთელი სიცოცხლის მანძილზე ეწეოდა მეცნიერულ-ეთნოგრაფიულ, მუსიკალურ-პედაგოგიურ საქმიანობას. ქართული მუსიკალური კულტურის ისტორიაში დიმიტრი არაყიშვილი შევიდა როგორც ავტორი პირველი ქართული რომანსულ-არიოზული სტილის ლირიკული ოპერის „თქმულება შოთა

რუსთაველზე“, როგორც ქართული სიმფონიური ჟანრის პირველი წარმომადგენელი. ქართველ ვოკალისტთა არაერთი თაობა აღიზარდა დიმიტრი არაყიშვილის რომანსებზე, რომელთა ერთ-ერთი პირველი შემსრულებლები იყვნენ უბრწყინვალესი ქართველი მომღერლები ვანო სარაჯიშვილი და სანდრო ინაშვილი.

საქართველოში არც ერთ მუსიკოსს არ ჰქონია ასეთი საყოველთაო აღიარება, როგორიც ზაქარია ფალიაშვილს. მას ცენტრალური ადგილი უკავია პირველი თაობის კომპოზიტორთა შორის. ქართული მუსიკის ისტორიაში მან სახელი დაიმკვიდრა როგორც ნოვატორმა, ქართული კლასიკური ოპერის ფუძემდებელმა. ზაქარია ფალიაშვილს განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის ნაციონალური საკომპოზიტორო სკოლის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში, მისი ესთეტური და სტილისტური თავისებურებების ფორმირებაში. თავისი ფართო შემოქმედებითი დიაპაზონი ზაქარია ფალიაშვილმა საოპერო მუსიკის სფეროში გამოავლინა, სადაც შექმნა სამი განსხვავებული ტიპის ოპერა: ტრაგიკული ოპერა „აბესალომ და ეთერი“, ლირიკულ-დრამატული „დაისი“, გმირულ-პატრიოტული ოპერა „ლატავრა“. ზაქარია ფალიაშვილი ბუნებით ეროვნული კომპოზიტორია. მის მიერ შექმნილი მუსიკალური ენის საფუძველს ქართული ხალხური მუსიკა წარმოადგენს, რამაც მას განუმეორებელი ინდივიდუალურობის მქონე კომპოზიტორის სახელი დაუმკვიდრა მსოფლიო მუსიკის ისტორიაში.

ქართველ კომპოზიტორთა პირველი თაობის წარმომადგენელთა შორის ღირსეული ადგილი უჭირავს ნიკო სულხანიშვილის (1871-1919) შემოქმედებას. მისი ნიჭის თავისებურება საგუნდო ჟანრში გამოვლინდა, რომელიც ერთ-ერთი უძველესია ქართულ მუსიკალურ ხელოვნებაში. ნიკო სულხანიშვილმა მოგვცა ამ ჟანრის პირველი კლასიკური ნიმუშები და თავისი შემოქმედებით საფუძველი შეუქმნა ქართულ პროფესიულ საგუნდო მუსიკას შემდგომი წინსვლისთვის.

ვიქტორ დოლიძე ერთ-ერთი პოპულარული კომპოზიტორია საქართველოში. ის ფაქტობრივად თვითნასწავლი მუსიკოსი იყო. მან მრავალ დარგში მოსინჯა ძალები, მაგრამ ცენტრალური ადგილი მის შემოქმედებით მოღვაწეობაში საოპერო ჟანრს უჭირავს. ვიქტორ დოლიძეს ეკუთვნის ოთხი ოპერა: „ქეთო და კოტე“, „ცისანა“, „ლეილა“, „ზამირა“ . იგი ავტორია ოცზე მეტი რომანსის, საფორტეპიანო კონცერტის, სინფონიური ფანტაზიის „ივერიადა“, საორკესტრო ცეკვების და სხვ., მაგრამ ქართული მუსიკის ისტორიაში ვიქტორ დოლიძე შევიდა, როგორც პირველი ქართული კომედიური ოპერის „ქეთო და კოტეს“ შემქმნელი.

XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს მუსიკალური ცხოვრება გადატვირთულია სხვადასხვა მოვლენებით. იქმნება კავკასიის სამუსიკო საზოგადოება და ქართული მუსიკალური სასწავლებელი, ჩამოყალიბდა გუნდები, იმართებოდა კონცერტები. ერთ-ერთი ასეთი გუნდი იყო ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწის, ლადო აღნიაშვილის ინიციატივითა და მატერიალური დახმარებით 1885 წელს შექმნილი ქართული ეთნოგრაფიული გუნდი „ქართული ქორო“. ამავე პერიოდში დაიწყო მოღვაწეობა სანდრო კავსაძის გუნდმაც, რომელიც კონცერტებს მთელი საქართველოს მასშტაბით მართავდა.

ქართული პროფესიული მუსიკის განვითარებისთვის უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა იყო მუსიკალური სასწავლებლების გახსნა. პირველი ასეთი სასწავლებელი იყო ხარლამპი სავანელის სასიმღერო კურსები, სადაც სიმღერასთან ერთად მოსწავლეები თეორიულ ცოდნასაც ეუფლებოდნენ. 1876 წელს შეიქმნა პირველი სამუსიკო სკოლა, რომელიც 1886 წელს გადაკეთდა პირველ ქართულ მუსიკალურ სასწავლებლად. მის საფუძველზე 1917 წელს დაარსდა საქართველოს სახელმწიფო კონსერვატორია.

XX საუკუნის დასაწყისში მუსიკალური სასწავლებლები იხსნება საქართველოს სხვა ქალაქებშიც. 1916 წელს ქუთაისში ორი კერძო სამუსიკო სკოლა იყო. მელიტონ ბალანჩივაძის სახელს უკავშირდება 1918 წელს ქუთაისის სახელმწიფო მუსიკალური სასწავლებლის დაარსება. 1919 წელს მუსიკალური სკოლა გაიხსნა სოხუმშიც. აღსანიშნავია, რომ სპეციალური სკოლების გარდა მუსიკალურ განათლებას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეებიც ეუფლებოდნენ. მაგალითად, მუსიკა ისწავლებოდა წმინდა ნინოს სასწავლებელში, თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ 1921 წელს იწყება ქართული საბჭოთა მუსიკის ისტორია. 1922 წელს დაარსდა „ახალგაზრდა ქართველ მუსიკოსთა საზოგადოება“, რომლის მიზანიც ხალხთა ფართო მასებში ეროვნული პროფესიული მუსიკის პროპაგანდა იყო. საზოგადოებასთან დაარსდა სიმებიანი ორკესტრი, ხოლო 1924 წელს – სიმფონიური ორკესტრი და სიმებიანი კვარტეტი. ისევე როგორც ადრე, საბჭოთა პერიოდშიც ქართველ კომპოზიტორთა შემოქმედებაში მთავარი ადგილი ოპერას უკავია. ერთდროულად ვითარდება რომანსის ჟანრი.

ნაციონალური კლასიკური ოპერის ეპოქის დასრულების შემდეგ, ქართულ მუსიკაში წამყვან ადგილს დიდი ხნით იკავებს სიმფონიური ჟანრი. 1920-30-იან წლებში სამოღვაწეო ასპარეზზე გამოდიან ახალგაზრდა კომპოზიტორები: იონა ტუსკია, გრიგოლ კილაძე, შალვა თაქთაქიშვილი, ივანე გოკიელი, შალვა მშველიძე, ანდრია ბალანჩივაძე და სხვ. მათ საფუძველი ჩაუყარეს ქართული სიმფონიური და კამერული მუსიკის ჟანრს.

XIX საუკუნეში ქართული ეროვნული პროფესიული მუსიკის ჩასახვასა და განვითარებაში მნიშვენლოვანი როლი ითამაშა სასულიერო მუსიკამ. გასაოცარი პოლიფონიური ოსტატობით, მელოდიურ-ჰარმონიული ენის სიმდიდრითა და ორიგინალობით გამორჩეული ქართული საგალობლები ეროვნული მუსიკალური კულტურის განუყოფელი, ძვირფასი ნაწილია.

რუსეთის კოლონიზატორული პოლიტიკა საქართველოში, არ იძლეოდა ქართული სასულიერო მუსიკის დარგში ნაყოფიერი მუშაობის შესაძლებლობას. მძიმე შედეგი მოჰყვა 1811 წელს ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის გადაქცევას რუსეთის სინოდის საეგზარქოსოდ. ახალი ხელისუფლების ბრძანებით დაიხურა თელავის, თბილისის სასულიერო სემინარიებთან და მეტეხის, სიონის, ქაშვეთის, ანჩისხატის, კალოუბნისა და ნეკრესის ეკლესიებთან არსებული საგალობლო სკოლები. მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მქონე ქართული მუსიკის შედევრი – გალობა ეკლესიიდან განდევნის შემდეგ განადგურების საფრთხის წინაშე დადგა. ის არსებობას მხოლოდ ქართულ ოჯახებს შეფარებული და ცალკეული პატრიოტენთუზიასტთა დამსახურებით აგრძელებდა. ქართული სასულიერო გალობის აღორძინების პირობები მხოლოდ 60-იანი წლებიდან, ეკლესიის კედლებს მიღმა შეიქმნა. საქართველოს მოწინავე საზოგადო მოღვაწეებისთვის ეროვნული მუსიკალური მემკვიდრეობის შეგროვება, ჩაწერა და მათი შემდგომი დამუშავება, ხალხური პოეზიის და მუსიკალური ნაწარმოებების საუკეთესო ნიმუშთა პოპულარიზაცია, ქართველ ერში პატრიოტული გრძნობის გაღვივების ერთ-ერთ მძლავრ საშუალებად გადაიქცა.

1860 წელს თბილისში დაარსდა „ქართული საეკლესიო გალობის აღმადგინებელი კომიტეტი“ რომლის ძირითადი მიზანიც ქართული საგალობლების შეკრება და მათი ნოტებზე გადაღება იყო. ქართული საგალობლების აღდგენაში დიდი დამსახურება მიუძღვით რომან ძამსაშვილს, მიხეილ მაჭავარიანს, ანდრია მრევლიშვილს, ია (ილია) კარგარეთელს, ზაქარია ჩხიკვაძეს და სხვ.

ქართული საგალობლების შესწავლის საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საზოგადო მოღვაწემ და მუსიკათმცოდნემ დავით მაჩაბელმა. აღსანიშნავია, რომ ქართული ხალხური სიმღერისა და გალობის ძირეულ საკითხებს მიძღვნილ ნაშრომში „ქართველთა ზნება“ (გალობა), რომელიც დაიბეჭდა ჟურნალ „ცისკარში“ 1864 წელს, მის მიერ შემოთავაზებული გალობის განმარტება დღესაც სამაგალითოდაა მიჩნეული ქართული მუსიკის სპეციალისტთა მიერ.

შუა საუკუნეების ქართული სასულიერო საგუნდო საგალობლების ჩაწერა-გავრცელებაში უდიდესი დამსახურება მიუძღვის ფილიმონ ქორიძეს (1829-1911), რომელმაც თავისი ცხოვრება მთლიანად ქართული საგალობლების გადარჩენას მიუძღვნა.

საგალობლების შეკრება ჩაწერაში თავისი წვლილი შეიტანა ცნობილმა სასულიერო მოღვაწემ მამა ვასილ კარბელაშვილმა. მან ჩაწერა ქართლ-კახური გალობა „მწუხრი“, „ცისკარი“ (ამ გალობებს „ „კარბელაანთ კილოსაც“ უწოდებენ).

დიდია ზაქარია ფალიაშვილს ღვაწლი ეროვნული მუსიკის შესწავლისა და განვითარებაში. 1901 წელს, ჯერ კიდევ მოსკოვის კონსერვატორიის პირველი კურსის სტუდენტმა, პირ-

ველი ფოლკლორული ექსპედიცია ჩაატარა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, რის შედეგადაც ქართული ხალხური სიმღერების ძვირფასი ნიმუშები ჩაწერა. ეს ნაშრომი საფუძვლად დაედო ზაქარია ფალიაშვილის, მელიტონ ბალანჩივაძის, დიმიტრი არაყიშვილის, კოტე ფოცხვერაშვილისა და სხვათა შემდგომ მოღვაწეობას ქართული ფოლკლორის დარგში.

საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკად გამოცხადებამ ახალი სირთულეები შეუქმნა ქართული საგალობლების შესწავლას (მისგან განსხვავებით ქართული ხალხური ფოლკლორული მასალის შემკრებლობითი ტრადიცია საბჭოთა პერიოდშიც გრძელდებოდა. ამ დარგში დიდი სამუშაო გასწიეს იმ დროის გამოჩენილმა კომპოზიტორებმა და მუსიკისმცოდნეებმა ანდრია ბალანჩივაძემ, შალვა მშველიძემ, გრიგოლ ჩხიკვაძემ და სხვ.). გარკვეული დროის მანძილზე რელიგიასთან ხელისუფლების ბრძოლამ ქართული გალობაც განადგურების საფრთხის წინაშე დააყენა. დაიხურა ეკლესია-მონასტრების დიდი ნაწილი, აიკრძალა სასულიერო მუსიკა. სიონის საკათედრო ტაძარში ისმოდა რუსული საგალობლები, ქალაქური მუსიკის ჟღერადობის გალობა. 1970-იანი წლების ბოლოდან თანდათან ჩნდება მცდელობები პროფესიონალ მუსიკოსთა შექმნილი საგალობლების შესრულების. ერთ-ერთი ასეთი მცდელობის შედეგი იყო, კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის თხოვნით, კომპოზიტორ იოსებ კეჭაყმაძის ტრადიციულ კილოზე დაწერილი სამხმიანი საგალობლები.

ძველი ქართული კანონიკური მუსიკის აღდგენა 90-იან წლებში ანჩისხატის მგალობელთა გუნდმა ითავა. ხელნაწერთა ინსტიტუტში მოძიებული საგალობლების სანოტო ჩანაწერების მიხედვით საქართველოს მართლმადიდებლურ ტაძრებში კვლავ აჟღერდა უძველესი საეკლესიო ჰანგები.

საგალობელთა შესწავლის ისტორიაში განსაკუთრებით დასაფასებელია XX საუკუნის იმ მეცნიერ-მკვლევართა შემოქმედება, რომელნიც საქართველოს ეკლესიისთვის რთულ პერიოდში სწავლობდა ქართულ საეკლესიო მუსიკას. ესენია: ვაჟა გვახარია, ოთარ ჩიჯავაძე, შალვა ასლანიშვილი, მზია იაშვილი.

პირველი სერიოზული ნაშრომი იყო კონსერვატორიის კრებული „ძველი ქართული პროფესიული მუსიკა, ისტორიისა და თეორიის საკითხები“, რომელშიც თავმოყრილი იყო სხვადასხვა თაობის მუსიკათმცოდნეთა კვლევები. კრებული 1991 წელს გამოვიდა და მასში განხილულია ძველი ქართული სანოტო დამწერლობა, ქართულ საგალობელთა რვა ხმიანი კომპოზიციური სისტემა, მისი აღმოსავლურ-დასავლური ხაზების, ბგერების წყობისა და მუსიკალური ენის თავისებურებანი და სხვ.

მკვლევართათვის ბევრ საინტერესო და აქამდე უცნობ ისტორიულ დოკუმენტებს შეიცავს ქართული საეკლესიო გალობის მოამაგეთა დამსახურების ამსახველი მონოგრაფიები. უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქართული მუსიკის ისტორიისთვის ქართულ მუსიკათმცოდნეობაში დღეს უკვე ტრადიციად ქცეული ხელნაწერების შესწავლა-გამოცემა და მათი პრაქტიკაში დანერგვა.

ძველი ქართული სასულიერო მუსიკის შესახებ საუბრისას ცალკე აღნიშვნის ღირსია ძველი ქართული მუსიკალური დამწერლობის, ქართული ნევმური (ძველი სამუსიკო ნიშნები) სისტემის თავისებურებათა მეცნიერულად შესწავლის მცდელობები XIX-XX საუკუნეებში. უძველეს ქართულ ხელნაწერებში მუსიკალურ „ნოტებს“ ყურადღება XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან მიექცა. 1890 წელს გაზეთში „Новое обозрение“ („ნოვოე ობოზრენიე“) გაჩნდა შენიშვნა, სადაც საზოგადოებას მოუწოდებდნენ სათანადო ყურადღება გამოეჩინათ ქართული ხელნაწერი „ნოტების“ მიმართ.

ძველი ქართული სამუსიკო დამწერლობის საკითხებით იყვნენ დაინტერესებული XIX და XX საუკუნეების მეცნიერები: ძმები პოლიექტოს და ვასილ კარბელაშვილები. მღვდელმა პოლიექტოს კარბელაშვილმა 1898 და 1903 წლებში კრებულში „Весь Кавказ“ („ვეს კავკაზ“) გამოაქვეყნა წერილები, სადაც განიხილავდა საერო-სასულიერო კილოებს და მიქაელ მოდრეკილის ქართული საგალობლების კრებულს, რომელიც თანდართული ქართული სამუსიკო ნიშნებით, ნევმებით ძველი ქართული სამუსიკო მწერლობის უნიკალურ ძეგლს წარმოადგენს.

ქართულ „ნოტებს“ იკვლევდნენ: ია კარგარეთელი, დიმიტრი არაყიშვილი, რომელსაც ამ საკითხზე მიმოწერა ჰქონდა ოსკარ ფლაიშერთან, სამუსიკო დამწერლობის ცნობილ გერმანელ სპეციალისტთან. ამ კუთხით საგულისხმო სამუშაო აქვს ჩატარებული ფრანგ მეცნიერს ჟან ტიბოს, მოსაზრებები აქვთ გამოთქმული ნიკო მარს, მიხეილ ჯანაშვილს, ივანე ჯავახიშვილს, კორნელი კეკელიძეს, საბჭოთა და თანამედროვე პერიოდის მუსიკათმცოდნეებს შალვა ასლანიშვილს, ვაჟა გვახარიას, კახი როსებაშვილს, ნოდარ მამისაშვილს, ოთარ ჩიჯავაძეს, ალექსანდრე მაჭავარიანს. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ქართული ლიტერატურისა და სასულიერო პოეზიის მკვლევარის პავლე ინგოროყვას ღვაწლი, რომელიც ქართული სამუსიკო დამწერლობის ამოხსნაზე დიდი ხნის მანძილზე მუშაობდა.

უნდა ითქვას, რომ მიუხედავად ამ საკითხზე ხანგრძლივად მიმდინარე მეცნიერული კვლევებისა, ძველი ქართული სასულიერო მუსიკალური ნიშნები დღესაც არ არის წაკითხული. არ არსებობს ერთი გარკვეული მოსაზრება ქართული ნევმების წარმოშობისა და სხვა ქვეყნების სანოტო ნიშნებთან მათი დამოკიდებულებისა თუ დამოუკიდებლობის საკითხებზე. ამიტომ, ეს პრობლემა დღესაც ქართული მუსიკალური კულტურის ისტორიის მკვლევართა მეცნიერული შესწავლის საგანს წარმოადგენს.

ქართული ბალეტი

თბილისის მუსიკალური ხელოვნების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია საბალეტო ხელოვნება, რომლის ისტორიაც თბილისში 1852-53 წლებში, მოსკოვის დიდი თეატრის ცნობილი ქორეოგრაფისა და პედაგოგის ფიოდორ მანოხინის ხელმძღვანელობით თბილისში ჩამოსული პატარა დასის გამოსვლებით დაიწყო. თბილისში სხვადასხვა დროს გასტროლებს მართავდნენ პეტერბურგის საიმპერატორო საბალეტო დასი (1894, 1907-08, 1915, 1915 წლებში), ვარშავის ბალეტი (1893,1898 წლებში), მოსკოვის ბალეტი (1912 წელს), აგრეთვე ცნობილი მოცეკვავეები ე. გელცერი, ტ. კარსავინა, მ. კშესინსკაია, მ. მორდკინი, მ. და ვ. ფოკინები და სხვ. სერიოზული ყურადღება საცეკვაო ხელოვნებას მხოლოდ XX საუკუნის დასაწყისში მიექცა. თბილისის სცენაზე განსაკუთრებული მოწონებით სარგებლობდა სპექტაკლები „გედების ტბა“, „მძინარე მზეთუნახავი“, „შელკუნჩიკი“, „რაიმონდა“. გლაზუნოვის ბალეტი „დამისის გამოცდა“ (იგივე „ქალბატონი-მოახლე“) მაყურებელს იზიდავდა მუსიკისა და ქორეოგრაფიის ერთიანობით, დრამატურგიის დასრულებულობით, რეალიზმით. რუსული მუსიკალური ქორეოგრაფიული ხელოვნების ამ თვისებებს შემდგომში ფართოდ იყენებდნენ ქართული ნაციონალური ბალეტის შემქმნელები.

XX საუკუნის დასაწყისში თბილისში რამდენიმე ცეკვის შემსწავლელი სკოლა არსებობდა: ალექსი ალექსიძის ქართული ცეკვის სტუდია (1902-34 წლებში), ი. როინიშვილის ცეკვისა და პლასტიკის სკოლა (დაარსდა 1915 წელს), მარია პერინის ქორეოგრაფიული სტუდია (დაარსდა 1916 წელს). სწორედ პერინის სტუდიის კურსდამთავრებულები მარია ბაუერი, ვახტანგ და თამარ ჭაბუკიანები, ელენე გვარამაძე, მარია კაზინეცი, ელენე ჩიკვაიძე და სხვ. ხდებიან უკვე 20-30 წლებში ქართული ეროვნული საბალეტო ხელოვნების გამოჩენილი წარმომადგენლები.

1920 წელს პერინის ქორეოგრაფიული სტუდია გადაკეთდა ოპერისა და ბალეტის თეატრთან არსებულ საბალეტო სკოლად. 1935 წელს გაიხნა თბილისის ქორეოგრაფიული სკოლა, რომელსაც 1951 წელს ქორეოგრაფიული სასწავლებლის სტატუსი მიენიჭა. დღეს მსოფლიოს თეატრების სცენაზე წარმატებით გამოდიან ქართული საბალეტო სკოლის აღზრდილები.

ქართული მრავალსაუკუნოვანი ხალხური მუსიკალური და ქორეოგრაფიული კულტურის არსებობამ, ნაციონალურ ოპერებში შექმნილმა შესანიშნავმა საბალეტო სცენებმა, ნიჭიერ მოცეკვავეთა აღზრდამ ხელსაყრელი პირობები შუქმნა ქართული ეროვნული ბალეტის, როგორც თვითმყოფადი მუსიკალურ-ქორეოგრაფიული ხელოვნების არსებობას. ანდრია ბალავანჩივაძის ბალეტი „მზეჭაბუკი“ (ბოლო რედაქციით „მთების გული“) გახდა საეტაპო ნაწარმოები, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე ქართული ქორეოგრაფიის განვითარებას. ვახტანგ ჭაბუკიანმა, როგორც მას უწოდებდნენ „ცეკვის ჯადოქარმა“, ამ ბალეტში

განახორციელა თავისი როგორც ბალეტმაისტერის ნოვატორული მისწრაფებები. „მზეჭაბუკში“ ქორეოგრაფი წარმატებით ქმნის კლასიკური ბალეტის საუკეთესო მიღწევებისა და ქართული ხალხური ცეკვების თვითმყოფადი თავისებურებების სინთეზს. ვახტანგ ჭაბუკიანმა გაზარდა მამაკაცის, როგორც სპექტაკლის მთავარი გმირის როლი ბალეტში, გააძლიერა სპექტაკლის ჯგუფურ და მასობრივ ცეკვებში მამაკაცის დრამატურგიული ფუნქცია, რისი წყალობითაც მიაღწია ბალეტის ჰეროიკულობას. ეს თვისებები განვითარდა და მთელი სიღრმით იჩინა თავი მის 40-50-იან წლებში დადგმულ ბალეტებში, როგორებიცაა ოთარ კილაძის ზღაპრულ-გმირული „სინათლე“ (1947), დავით თორაძის გმირულ-პატრიოტულ ნაწარმოები „გორდა“ (1949) და სხვ. ქართული ქორეოგრაფიის უდიდესი მიღწევა იყო ალექსი მაჭავარიანის ბალეტი „ოტელო“, რომელიც 1957 წელს დაიდგა. მონუმენტალურ დადგმაში ფართოდაა გამოყენებული დამოუკიდებელი საცეკვაო ეპიზოდები (პა-დ’აქსიონი), როგორც სცენის შინაარსისა და პერსონაჟთა ფსიქოლოგიური ხასიათების გახსნის მნიშვნელოვანი საშუალება.

დიდია ვახტანგ ჭაბუკიანის როლი ქართული ნაციონალური საბალეტო ხელოვნების განვითარებაში. 1941-1973 წლებში ის ხელმძღვანელობდა ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის საბალეტო დასს. 1950-73 წლებში იყო თბილისის ქორეოგრაფიული სასწავლებლის დირექტორიც. ვახტანგ ჭაბუკიანის შემდეგ საბალეტო დასს ხელმძღვანელობდა გიორგი ალექსიძე. მან კლასიკურ ბალეტთან ერთად ნეოკლასიკური ბალეტი შეიტანა თეატრში. 1982-85 წლებში ქართულ ბალეტს სათავეში ედგა რუსეთის დიდი თეატრის ცნობილო მოცეკვავე და ქორეოგრაფი მიხეილ ლავროვსკი. 2004 წლიდან თბილისის ოპერის თეატრის საბალეტო დასის სამხატვრო ხელმძღვანელია გამოჩენილი ქართველი ბალერინა ნინო ანანიაშვილი.

სხვადასხვა დროის თბილისის ოპერის თეატრის მოცეკვავეებიდან ცნობილნი არიან: მარია ბაუერი, ირინე ალექსიძე, ალა აბესაძე, ეთერ ჭაბუკიანი, ირინე ჯანდიერი, ალა ანთაძე, ანა წერეთელი, ეკატერინა ლენჩევსკაია, რუსუდან აბაშიძე, ლილი გვარამაძე, მარგარიტა გრიშკევიჩი, ვერა წიგნაძე, ლილიანა მითაიშვილი, ცისია ჩოლოყაშვილი, ვალერი აბულაძე, ზურაბ კიკალეიშვილი, კონსტანტინე ლოლაძე, სერგო ნონიშვილი, ბექარ მონავარდიშვილი, ჯარჯი მაღალაშვილი, ზაქრო ამონაშვილი და სხვ.

მსოფლიო აღიარება მოიპოვეს თბილისის ქორეოგრაფიული სასწავლებლის კურსდამთავრებულებმა – მოცეკვავეებმა და ქორეოგრაფებმა ნინო ანანიაშვილმა, ირმა ნიორაძემ, იგორ ზელენსკიმ, ელენე გლურჯიძემ, ნიკოლოზ ცისკარიშვილმა, დავით მახათელმა, ვასილ ახმეტელმა, დავით და ლაშა ხოზაშვილებმა და სხვ.

1.3.10. ფოტოგრაფია

საქართველოში, ხანგრძლივი დროის მანძილზე, ფოტოგრაფია ხელოსნობის დარგად იყო შეფასებული. შესაბამისად, უგულებელყოფილი იყო ფოტოგრაფის როგორც შემოქმედის როლი. საქართველოში ფოტოგრაფიის მიმართ პროფესიული ინტერესი, მისდამი დამოკიდებულება მხოლოდ გარკვეულ პერიოდებში ჩნდებოდა და ძირითადად, რომელიმე კონკრეტულ პიროვნებას უკავშირდებოდა. ისტორიამ შემოგვინახა ფოტოხელოვანთა: ალექსანდრე როინაშვილის, დიმიტრი ერმაკოვის, ევტიხი ჟვანიას, გურამ თიკანაძის, ალექსამდრე სააკოვის სახელები, რომელთა შემოქმედებამ დიდი როლი ითამაშა ქართული ფოტოგრაფიის განვითარების ისტორიაში.

ჩვენს ქვეყანაში ფოტოგრაფია გამოგონებიდან (1839 წ.) მალევე ხდება ცნობილი. ამაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ ფოტოგრაფმა სერგეი ლევიცკიმ 1843 წელს პარიზის საერთაშორისო გამოფენაზე წარადგინა 5 დაგეროტიპული სურათი (კამერა-ობსკურით ვერცხლის ფირფიტაზე დაშუქებით მიღებული, მხოლოდ ორიგინალის სახით არსებული პოზიტიური

გამოსახულება), რომელიც 1842 წლის კავკასიის სამეცნიერო ექსპედიციის დროს იყო გადაღებული.

მსოფლიოში ფოტოგრაფიის განვითარებასთან ერთად ფოტოსახელოსნოები საქართველოშიც იხსნება. გაზეთ „კავკაზში“ გამოქვეყნებული განცხადებით ცნობილია, რომ პირველი ფოტოგრაფიული ატელიე თბილისში 1856 წელს სიმონ მორიცმა გახსნა.

XIX საუკუნის 40-50-იან წლებში თბილისში უკვე რამდენიმე ფოტო ატელიეა ცნობილი. ჩვენამდე მოღწეული 1858 წლის პირველი ფოტოები, რომელზეც მცხეთისა და ძველი თბილისის ცალკეული უბნებია აღბეჭდილი, ალექსანდრე ივანიცკის ეკუთვნის. მისი ხელმძღვანელობით 1863 წელს იხსნება კავკასიის არმიის შტაბის პირველი ფოტოგრაფიული განყოფილება, რომლის მიზანიც იყო ფოტოგრაფიის საშუალებით კავკასიის შესწავლა, სამხედრო პირთა, საწვრთნელი და საომარი მოქმედებების და არმიის ცხოვრების გადაღება. 1863 წელს გახსნილ კავკასიის მუზეუმში დიდი ადგილი სწორედ კავკასიის არმიის შტაბის ფოტოგრაფთა სურათებს დაეთმო.

საქართველოში ფოტოგრაფია მოდურ საქმედ რუსეთის იმპერიის ერთ-ერთმა პირველმა ფოტომოყვარულმა გენერალმა, გრაფმა ივანე ნოსტიცმა აქცია. საზოგადოების სხვადასხვა სოციალური ფენისა და პროფესიის წარმომადგენელთა გატაცებად ფოტოგრაფია XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან იქცა. ფოტოგრაფიით მოჯადოებულნი იყვნენ: მხატვრები გიგო გაბაშვილი, დავით გურამიშვილი, კოტე ქავთარაძე და დიმიტრი შევარდნაძე; ინჟინერი იოსებ ანდრონიკაშვილი; ცნობილი ლოტბარი ლადო აღნიაშვილი; საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე ნიკო ნიკოლაძე და სხვ.

ფოტოგრაფიული საქმის პოპულარობაზე მეტყველებს „თბილისის ფოტოგრაფ-მოყვარულთა საზოგადოების“ შექმნა, რომელიც მოგვიანებით „კავკასიის ფოტოგრაფიულ საზოგადოებად“ გარდაიქმნა. 1893 წელს ალექსანდრე როინაშვილის, პირველი ქართველი ფოტოგრაფის ფოტოატელიეში შედგა „თბილისის მოყვარულ ფოტოგრაფთა საზოგადოების“ პირველი შეკრება. საზოგადოების მიზანი ფოტოგრაფიის შესწავლა, მისი პოპულარიზაცია, ფოტოკოლექციის შედგენა და გამოფენების მოწყობა იყო.

1895 წელს თბილისელი მხატვრის ლევ არტაზოვის ნამუშევრების გამოფენაზე წარმოდგენილმა 150-ზე მეტმა ფოტომ პირველი დიდი წარმატება მოიპოვა, რამაც შესაძლებლობა მისცა საზოგადოებას დამოუკიდებელი ფოტო გამოფენა მოეწყო.

1897 წლის 23 აპრილს თბილისში, სამხედრო ისტორიულ მუზეუმში (ახლანდელი ეროვნული გალერეა) შედგა კავკასიაში პირველი ფოტოგამოფენა, სადაც ფოტოებთან ერთად ფოტოგრაფიული აპარატები, ხელსაწყოები, „რენტგენის ხერხით გადაღებული სურათები“ იყო გამოფენილი. საექსპერტო კომისიამ 18 მედალი და 13 სიგელი გასცა. ჯილდოები გადაეცა ფოტოგრაფ-მოყვარულთა საზოგადოების წევრებს, ალექანდერე როინაშვილსა და სხვ. ფოტოგრაფებს.

1901 წელს გაიმართა საქართველოს რუსეთთან შეერთების 100 წლისადმი მიძღვნილი მეორე დიდი ფოტოგამოფენა, რომელშიც „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ფოტოგრაფს, ალექსანდრე როინაშვილს მონაწილეობა აღარ მიუღია.

ქართული ფოტოგრაფიის განვითარებაში დიდი დამსახურება მიუძღვით XIX საუკუნის II ნახევარში და XX საუკუნის დასაწყისში თბილისში მოღვაწე ვლადიმერ ბარკანოვს (1826-1892), ალექსანდრე ენგელს (1848-1918), დიმიტრი ერმაკოვს (1846-1916), კონსტანტინე ზანისს (1864-1947), ედურდ კლარს (1861-1922). ამ თაობის ფოტოგრაფებმა საინტერესო ფოტომემკვიდრეობა დაგვიტოვეს. ჩვენამდე მოღწეული საქართველოს სხვადასხვა კუთხის არქიტექტურული და არქეოლოგიური ძეგლების, თბილისის, ახალციხის, ქუთაისის, სურამის, ანანურის, თერგის ხეობისა და სხვ. ამსახველი ფოტოები ფასეულია ისტორიულ-ეთნოგრაფიული, ასევე ფოტოგრაფიული მხატვრული თვალსაზრისით.

1880 წელს საკუთარი ფოტოსახელოსნო გახსნა თბილისში დიმიტრი ერმაკოვმა. ის ბევრს მოგზაურობდა საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის, ჩრდილო კავკასიის რეგიონებში. იღებდა ქალაქების ხედებს, პეიზაჟებს, არქიტექტურულ ძეგლებს და ეთნოგრაფიულ მასა-

ლას. როგორც ფოტოგრაფი მონაწილეობდა სხვდასხვა სამეცნიერო ექსპედიციაში სვანეთში, იმერეთში. მის სურათებს განსაკუთრებული ისტორიული ღირებულება გააჩნია. მათში თბილისის განვითარების ნახევარსაუკუნოვანი ისტორიაა ასახული. დიდია დიმიტრი ერმაკოვის დამსახურება ალექსანდრე როინაშვილის უზარმაზარი ფოტოარქივის შენახვასა და შენარჩუნებაში, რომელიც მას „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ გადასცა.

ქართული ფოტოგრაფიის ისტორიისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი პიროვნება, პირველი ქართველი ფოტოგრაფი ალექსანდრე როინაშვილი 1846-98 წლებში მოღვაწეობდა და მდიდარი მემკვიდრეობის შექმნასთან ერთად ხელს უწყობდა საქართველოში ფოტოგრაფიის განვითარებას. ალექსანდრე როინაშილი 1860-65 წლებში თბილისში ცნობილ ფერმწერ-ფოტოგრაფთან ხლამოვთან სწავლობდა ფოტოგრაფიის ხელობას. თავისი სახელოსნო - სასურათხატო ალექსანდრე როინაშვილმა მასწავლებლისგან საჩუქრად მიღებული ფოტოაპარატითა და სხვა საჭირო ხელსაწყოებით გახსნა. ამ დროიდანვე იწყება ახალგაზრდა როინაშვილის გატაცებაც სიძველეებითა და არქეოლოგიური ნივთებით. ალექსანდრე როინაშვილი საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში მოგზაურობის დროს იღებდა ციხესიმაგრეებს, ტაძრებს, ხატებსა და სხვ. მან შექმნა საზოგადო მოღვაწეების, მწერლების, სასულიერო პირთა, მსახიობთა პორტრეტები. ალექსანდრე როინაშვილის „სასურათხატო“ ქართველ მოღვაწეთა შეკრების, ქართული თეატრის მსახიობთა სარეპეტიციო ადგილი იყო. 1875 წელს მან მხატვარ გრიგოლ გაგარინის ცნობილი ფრანგული გამოცემიდან „Caucase Pullore due” დაბეჭდა თამარ მეფისა და შოთა რუსთაველის ფოტორეპროდუქციების მხატვრულად დამუშავებული სურათები და უსასყიდლოდ გაავრცელა საქართველოში. 1880-იანი წლისთვის ალექსანდრე როინაშვილი, ისტორიული ნივთების ცნობილი კოლექციის გამო, პეტერბურგის საიმპერატორო არქეოლოგიური საზოგადოების წევრად აირჩიეს. 1889-98 წლებში ალექსანდრე როინაშვილი თბილისში ეწევა საზოგადოებრივ და საქველმოქმედო საქმიანობას - ერთერთ სახელოსნოსთან (თბილისის ცენტრში მას სამი ფოტოატელიე ჰქონდა: სასურათხატო, რემბრანდტი და ამხანაგობა) მან გახსნა სკოლა, სადაც ჩვიდმეტ ობოლ და უპატრონო ბავშვს უსასყიდლოდ ასწავლიდა ფოტოხელოვნებას; დახმარებას უწევდა ქალთა ორგანიზაციებს; კრებდა ქართული ეროვნული ხელოსნობის ნიმუშებს; ტრადიციული ხელსაქმის აღსადგენად სამუშაოდ იწვევდა ხელოსან ქალებს. ის მიზნად ისახავდა გაეხსნა ქართული ეროვნული მუზეუმი, რომლისთვისაც არქიტექტორ პაულ შტერნს პროექტიც კი შეუკვეთა. სამწუხაროდ, მისი ეს ოცნება განუხორციელებელი დარჩა.

უნდა აღინიშნოს, რომ თბილისის გარდა ფოტოგრაფიული სახელოსნოები იყო ქუთაისშიც. აქ მოღვაწეობდნენ საზოგადოება „ფოტოსხივის“ ფოტოგრაფები: ვასილ ცხომელიძე, ნიკოლოზ საღარაძე, დავით აბაშიძე, სამსონ დათეშიძე, კონსტანტინე ლორთქიფანიძე და სხვ. საზოგადოების თავმჯდომარეს ნიკოლოზ საღარაძეს ქუთაისში მიმდინარე უამრავი მნიშვნელოვანი მოვლენა, ცნობილ ქართველ საზოგადო მოღვაწეთა ფოტოები აქვს გადაღებული.

1921 წლიდან, საქართველოში საბჭოთა წყობის დამყარების შემდეგ ფოტოგრაფიისადმი ინტერესი ნელდება. 20-30-იანი წლებში საქართველოში მასკულტურის ხანაა. ძირითადი თემა საბჭოთა დღესასწაულები და მშრომელი ხალხის სახეებია. ამ პერიოდის ქართულ ფოტოგრაფიაში ცნობილია ევტიხი ჟვანია (1890-1975), რომელიც თავისი შემოქმედების დასაწყისში ისტორიული მოვლენების ამსახველ ფოტოებს იღებს. შემდეგში მისი მთავარი თემა ხდება პორტრეტი.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან XX საუკუნის 80-იან წლებამდე საქართველოში, ისევე როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, ფოტოგრაფიის განვითარება პუბლიცისტიკასთანაა დაკავშირებული და ძირითადად საილუსტრაციო ფუნქცია აქვს.

ქართული ეროვნული ფოტოგრაფიის განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვის 1968 წელს სიმონ კილაძის ხელმძღვანელობით შექმნილ ფოტოკლუბ „საქართველოს“, რომელსაც უკავშირდება 60-70-იანი წლების ქართველ პროფესიონალ ფოტოგრაფთა უდიდესი ნაწილი.

სიმონ კილაძის ძალისხმევით 1980 წელს ჩატარდა საქართველოს ფოტოხელოვანთა ყრილობა. 1992 წელს საქართველო მხატვრული ფოტოგრაფიის საერთაშორისო ფედერაციის (FIAP) წევრი გახდა.

XX საუკუნის 50-60-იან წლების ფოტოგრაფებს შორის აღსანიშნავია შალვა ალხანაიძე, მიხეილ ხერხეულიძე, რეზო კეზერელი. ამ პერიოდის ყველაზე მნიშვნელოვანი და პოპულარული ფოტოგრაფია ალპინისტი გურამ თიკანაძე (1932-1963), რომელიც პირველი ქართული ფერადი ფოტოგრაფიის შემქმნელია. 1962 წელს გურამ თიკანაძე გახდა საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის თბილისის ფოტოსექციის თავმჯდომარე. ის მონაწილეობას იღებდა საერთაშორისო გამოფენებში, მისი ფოტოები იბეჭდებოდა პოლონეთში, გერმანიასა და ჩეხოსლოვაკიაში. გურამ თიკანაძემ ტოტალიტარული რეჟიმის პირობებშიც შეძლო თავი დაეღწია იდეოლოგიური ჩარჩოებისთვის და საბჭოთა ცენზურის მიერ დასაშვებ ვიზუალურ დოკუმენტებთან ერთად შეექმნა მაღალი მხატვრული ხარისხის ფოტოხელოვნების ნიმუშები. ამიერიდან ფოტო აღარ წარმოადგენდა მხოლოდ საგაზეთო ტექსტის ილუსტრაციას.

80-იან წლებში ქართულ მხატვრობაში ავანგარდიზმის შემოჭრასთან ერთად იზრდება ინტერესი ფოტოგრაფიისადმი. ქართული კონცეპტუალური ფოტოგამოფენის პირველი მაგალითი 1985 წელს შექმნილ ფოტოკლუბ „თვალსაზრისთანაა“ დაკავშირებული. ამ კლუბში იყვნენ გურამ წიბახაშვილი და ბორის შავერდიანი. 1987 წელს ეწყობა გამოფენა „ატატური“. „თალსაზრისის“ გაუქმების შემდეგ 1997 წელს იქმნება გაერთიანება „ფოტობანკი“, რომელმაც რამდენიმე წელიწადი იარსება. მასში შედიოდნენ დღეს ცნობილი დამოუკიდებელი ფოტოგრაფები: გოგი ცაგარელი, იური მეჩითოვი, გურამ წიბახაშვილი, ირინა აბჟანდაძე და სხვ.

90-იანი წლებიდან ფოტოგრაფია ხელოვნების ერთ-ერთი პოპულარული დარგი ხდება. ეწყობა მხატვართა და ფოტოგრაფთა ერთობლივი გამოფენები. თუ მანამდე მხოლოდ ერთი ქალი ფოტოგრაფი ნინო ჯორჯაძე იყო ცნობილი (1884-1968), ახლა ფოტოხელოვანი ქალების მთელი გუნდია: ნათელა გრიგალაშვილი, ლიზა ოსეფაიშვილი, ირინა კურმაევა და სხვ.

90-იანი წლების ავანგარდული ფოტოხელოვნების საინტერესო ნიმუშებს ქმნიან გიო სუმბაძე, თავისი სინთეზური ნამუშევრებით; ბესო შონჰარდტი პრესიდან ამოღებული სურათებისა და საკუთარი ფოტოპერსონაჟების კომბინირებით. ქართული ფოტოგრაფიის ყველაზე პოპულარულ დოკუმენტურ ჟანრში ქმნის თავის ნამუშევრებს ლევან ხერხეულიძე.

ქართული ფოტოგრაფიისთვის მნიშვნელოვანი მოვლენა იყო 2000 წელს თბილისში კულტურის განვითარების კავკასიური ცენტრის შექმნა, რომელსაც მოგვიანებით ეწოდა მედია არტ ფერმა (MAF). ცენტრის მთავარი მიზანი ფოტოგრაფიის, ახალი მედია საშუალებების განვითარება და პოპულარიზაცია იყო. მედია არტ ფერმის ინიციატივით მოწყობილი გამოფენებიდან მნიშვნელოვანი იყო 2001 წლის ექსპოზიცია “APPENDIX” (დანართი). 2003 წელს APPENDIX უკვე სცდება საქართველოსა და კავკასიის ფარგლებს და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ფოტო ხელოვანებს მასპინძლობს.

დღეს საქართველოში ფოტოგრაფიის თითქმის ყველა ჟანრია განვითარებული. მხატვრული, დოკუმენტური, კონცეპტუალური ფოტოგრაფიის გვერდით კომერციული, სარეკლამო და მოდის ფოტოგრაფიაც ვითარდება.

1.3.11. ხელოვნება

IV საუკუნიდან, როდესაც ქრისტიანობა ქვეყნის ოფიციალური რელიგია გახდა, ქართულმა ხელოვნებამ განვითარების რამდენიმე ეტაპი განვლო: 1. IV-VII საუკუნეები – ადრექრისტიანული ხანა (შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების პირველი აყვავებული ხანა. განვითარდა ლითონის მხატვრული დამუშავება, მინიატურული ფერწერა); 2. VIII-IX – გარდამავალი ხანა (მიმდინარეობდა ანტიკური მხატვრული მემკვიდრეობის ძირეული გადამუშავება ადგილობრივი ტრადიციების საფუძველზე. ეკლესია-მონასტრებში გაჩნდა ფრესკული მხატვრობა); 3. X-XIII საუკუნის I ნახევარი – განვითარებული შუა საუკუნეები (საერთოდ ქარ-

თული სახელმწიფოებრიობის, კულტურისა და ხელოვნების განუმეორებელი აყვავების ხანა); 4. XIII საუკუნის II ნახევარი - XVIII საუკუნე – გვიანი შუა საუკუნეები; 5. XIX – XX საუკუნის I ნახევარი – გარდატეხის ხანა (ჩამოყალიბდა სახვითი ხელოვნების ახალი დარგები, დაზგური ფერწერა, პორტრეტული ტილო, გაბატონდა რეალისტური ხელოვნება); 6. XX საუკუნის II ნახევარი - დღემდე – თანამედროვე ხანა.

XIX საუკუნეში საქართველოს რუსეთთან შეერთებით ფეოდალურ სისტემასა და მართლმადიდებლურ-ქრისტიანულ ტრადიციებზე დაფუძნებულმა ქართულმა ხელოვნებამ დაკარგა ის მნიშვნელობა, რომელიც შუა საუკუნეებში ჰქონდა ქართველი ხალხის ცხოვრებასა და კულტურაში. საზოგადოებაში თავი იჩინა ძველისგან განსხვავებულმა კულტურულმა და მხატვრულმა მოთხოვნილებებმა.

მხატვრობა, დაზგური ფერწერა და გრაფიკა

ქართული მხატვრობის ისტორია თითქმის თვრამეტ საუკუნეს ითვლის. შემორჩენილი ნიმუშები გვიანანტიკურ ეპოქას განეკუთვნება (ახ. წ. III საუკუნე, ძალისის მოზაიკა). ქრისტიანული ხელოვნების უძველესი ნიმუშია V-VI საუკუნეების ბიჭვინთის ბაზილიკური ტაძრის იატაკის მოზაიკა, წრომის ჯვარგუმბათოვანი ტაძრის საკურთხევლის კონქის მოზაიკა (VII ს.) და სხვ. უმნიშვნელოვანესია ფერწერული ხატების, მინიატურებისა და კედლის მხატვრობის ადრეული ნიმუშები (ანჩისხატი, VI ს.; წილკნის ღვთისმშობლის ხატი, ადიშის სახარების მინიატურები, IX ს.; ჭრუჭის I ოთხთავის მხატვრული გაფორმება, X ს.; დავით გარეჯის ფრესკები, IX-X სს.; ატენის სიონის ფრესკული მხატვრობა, XI ს.; გელათის ღვთისმშობლის შობის ტაძრის საკურთხევლის აფსიდის მოზაიკა, ნარტექსის მოხატულობა, XII ს.), შთამბეჭდავია შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების შედევრები: სვეტიცხოველი, ბაგრატი, ნიკორწმინდა, სამთავრო, ბეთანია, ვარძია, ტიმოთესუბანი და ა.შ. თავისი მხატვრობითა და ფრესკებით; ასევე, ტაო-კლარჯეთის ოშკის, ოთხთა ეკლესიის, იშხნის, ხახულის, ტბეთის მოხატულობები, რომელთა გავლენა იგრძნობა კუმურდოსა და მანგლისის ტაძრების მოხატულობებში. საინტერესო მხატვრობითაა შექმნილი სვანეთის XI-XII საუკუნის ეკლესიები (ლაგურკა, იფრარი, ნაკიფარი, მაცხვარიში, ზემო კრიხი და სხვ.).

XVI-XVIII საუკუნეებში მთელ საქართველოში მიმდინარეობს ინტენსიური მხატვრული მოღვაწეობა, იწერება ახალი ფრესკები, მოიხატა გელათის მთავარი ტაძარი, წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი, ტაბაკინი, ნიკორწმინდა, სამთავრო, სვეტიცხოველი, გრემი, ნეკრესი, ახალი შუამთა, ალვანი, ალავერდი, მარტვილი; ხობისა და წალენჯიხის ეკლესიათა ეგვტერები. შეიქმნა ახალი მინიატურები და ფერწერული ხატები, გამოჩნდა დაზგური მხატვრობის პირველი ნიმუშები.

დაზგური მხატვრობის განვითარების ძირითადი ეტაპი კი XIX საუკუნიდან იწყება. უკვე XVIII საუკუნის დასასრულს და XIX საუკუნის პირველ წლებში იწერება სამეფო ოჯახის, არისტოკრატიისა და უმაღლესი სამღვდელოების წარმომადგენელთა პარადული პორტრეტები. ამ ჟანრის მხატვრობისათვის დამახასიათებელ მანერაშია შექმნილი კახეთისა (1744-1762 წწ.) და ქართლ-კახეთის მეფის (1762-1798 წწ.) ერეკლე II-ის, ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის (1798-1800 წწ.) გიორგი XII-ის, ქართლ-კახეთის დედოფლის (1750-1762 წწ.) დარეჯან დედოფლის (დარეჯან დადიანი), იმერეთის მეფის (1789-1810 წწ.) სოლომონ II-ის და მათი ოჯახის წევრების ფერწერული სურათები. ისინი თითქმის ნატურალურ ზომაშია შესრულებული და ინდივიდუალური სახის ნაკვთებით და ხასიათით გამოირჩევა. სავარაუდოდ, მათი ავტორები რუსი და უცხოელი მხატვრები არიან, თუმცა, სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ზოგიერთი მათგანი, შესაძლოა, ჩვენთვის უცნობ ქართველ მხატვრებსაც შეექმნათ.

XIX საუკუნის დასაწყისში თბილისში ვითარდება საკუთარი ფერწერული სკოლა, რომლის ერთადერთი ჟანრიც პორტრეტია. კამერული ხასიათის ე.წ. „ტფილისური სკოლის“ პორტრეტული გალერეა ნათელ წარმოდგენას გვიქმნის XIX საუკუნის ქალაქის სახესა და მის საზოგა-

დოებაში მიმდინარე პროცესებზე. ქართველ არისტოკრატთა პორტრეტებთან ერთად შესრულებულია სახელმწიფო მოხელეთა, თბილისის მოქალაქეთა, ახალი ბურჟუაზიის წარმომადგენელთა ინდივიდუალური, ჯგუფური და საოჯახო პორტრეტები, რომლებიც არაერთგვაროვანია შესრულების ხარისხისა და ხასიათის მხრივ. ერთმანეთისგან ისინი „ძველის“ და „ახლის“ თანაფარდობით, პირობითობითა და რეალიზმით გამოირჩევიან. ბევრი მათგანი, უდავოდ, მაღალი მხატვრული ღირებულების მატარებელიცაა. ამ დროის პორტრეტებისთვის დამახასიათებელია ჰარმონიულობა, თავშეკავებული კოლორიტი, დიდი ოსტატობა არა მარტო გარეგნული მსგავსების, არამედ ხასიათის გადმოცემაშიც. თბილისური სკოლის ნამუშევრებს შორის გამორჩეული ადგილი უჭირავთ დავით ზაზას ძე თარხნიშვილის, გრიგოლ ჩოლოყაშვილის, გრიგოლ ყარანგოზაშვილის, თინათინ ჩოლოყაშვილის, ალექსანდრე ჩოლოყაშვილისა და ხუთი უცნობი თავადის პორტრეტებს. მართალია, ბევრი თბილისური პორტრეტის ავტორთა წარმომავლობა არ არის ცნობილი, მაგრამ ხელოვნების ისტორიკოსები მიიჩნევენ, რომ ისინი ადგილობრივი, მათ შორის ქართველი მხატვრები უნდა ყოფილიყვნენ. მაგალითად, დანამდვილებითაა ცნობილია, რომ ნიკოლოზ მუხრან-ბატონის ოჯახური პორტრეტის ავტორი ეროვნებით ქართველი იყო.

დაზგურ ფერწერასთან ერთად უნდა აღინიშნოს 1820-30-იან წლებში საქართველოში მინიატურული პორტრეტული ჟანრის განვითარება. სპილოს ძვლის მედალიონებში ჩასმული მაღალი საზოგადოებისა და დიდმოხელეთა მცირე ზომის სურათები ფაქიზი წერის მანერით გამოირჩევა. მინიატურულ პორტრეტებს იყენებდნენ გულსაბნევ სამკაულად, ინახავდნენ ბუდეებში, რთავდნენ ბეჭდებს, მარაოებს. ხშირად ხმარობდნენ ავეჯის, წარჩინებულთა საცხოვრებელი სახლების კედლების მოსართავადაც. აღსანიშნავია, რომ მინიატურული პორტრეტის ჟანრში, სავარაუდოდ, XIX საუკუნის ქართველი ოსტატებიც მუშაობდნენ.

1860-70-იანი წლებიდან საქართველოში მომზადდა ნიადაგი, რომელმაც საუკუნის ბოლოს არსებითი ცვლილებები გამოიწვია ქართულ კულტურაში. გაფართოვდა მხატვართა შემოქმედების საზღვრები, პორტრეტის გვერდით გაჩნდა პეიზაჟი, ნატურმორტი, ე.ი. ყველა ჟანრი, რომელიც იმ დროის ევროპულ რეალისტურ ხელოვნებაში იყო დამკვიდრებული. ამ დროისთვის ძველმა „ტფილისურმა პორტრეტულმა სკოლამ“ საბოლოოდ დაასრულა თავისი არსებობა და ასპარეზი ნაციონალური თემატიკითა და შინაარსით გაჯერებულ ახალ ქართულ რეალისტურ მხატვრობას დაუთმო.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ქართული კულტურის განვითარება ეროვნულ-განმათავისუფლებელი ნიშნით მიმდინარეობდა. ამ იდეით იყო მოცული ქართული ხელოვნების ყველა დარგი. ერის „გამოღვიძების“ პერიოდში, ნაციონალური თვითშეგნების განმტკიცებისას, ბუნებრივია, ძლიერდება მშობლიური ქვეყნის წარსულისადმი, ეროვნული მატერიალური კულტურის ძეგლთა და ხალხური შემოქმედების მიმართ ინტერესი. ქართველ მეცნიერთა ინიციატივით დაიწყო ძველი ქართული ხელოვნების ნიმუშთა შეგროვება-შესწავლა, რასაც მოწმობს იმ დროის მდიდარი გრაფიკული და ფოტო მასალები. XIX საუკუნის შუა წლებიდან საქართველოში ჩნდება საქველმოქმედო და სამეცნიერო საზოგადოებები: „კავკასიის კაზმულ ხელოვნებათა წამახალისებელი საზოგადოება“, „საიმპერატორო არქეოლოგიური საზოგადოების კავკასიის განყოფილება“, „ისტორიისა და ეთნოგრაფიის საქართველოს საზოგადოება“, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“, „ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოება“, „ტფილისის სამხატვრო საზოგადოება“ და სხვ., რომელთაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ქართული მხატვრული ცხოვრების გამოცოცხლებაში.

1879 წელს, „კავკასიის კაზმულ ხელოვნებათა წამახალისებელი საზოგადოების“ ინიციატივით, საქართველოში დაარსდა პირველი სამხატვრო პროფესიული სკოლა. მალე იხსნება სხვა სასწავლებლებიც. სკოლებში ხატვას ძირითადად უცხოელი პედაგოგები ასწავლიდნენ დასავლური მეთოდიკით. უნდა აღინიშნოს, რომ თავიანთი საქმიანობით მათ დიდი წვლილი შეიტანეს ახალი ქართული მხატვრობის ჩამოყალიბების საქმეში. იმ დროს თბილისში მო-

ღვაწეობდნენ: პ. ფრანკენი, ლ. პრემაცი, ლ. ლონგო, ვ. ვერეშჩაგინი, პ. კოლჩინი, ფ. რუბო, ლ. ლაგო რიო, ფ. ხოდოროვიჩი, რ. ზომერი და სხვ.

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან საზოგადოებრივ ცხოვრებაში ხელოვნებას ერთ-ერთი წამყვანი მნიშვნელობა ენიჭება. გაჩნდა ქართველ პროფესიონალ მხატვართა მომზადების მოთხოვნილება. სამოღვაწეო ასპარეზზე უკვე გამოსვლას იწყებენ რუსეთსა და ევროპაში განათლებამიღებული ქართველი მხატვრები.

ქართული ხელოვნების ისტორიაში პირველ ქართველ პროფესიონალ მხატვრად გრიგოლ მაისურაძეა მიჩნეული (1817-1885 წწ.). ალექსანდრე ჭავჭავაძის ყმადყოფილმა გრიგოლ მაისურაძემ განათლება პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში პროფესორ კარლ ბრიულოვის კლასში მიიღო. აკადემიის საბჭოს გადაწყვეტილებით მას „კლასგარეშე თავისუფალი მხატვრის“ წოდება მიენიჭა. მხატვრის ადრეული სურათები „ტფილისურ პორტრეტული სკოლის“ მანერაშია შესრულებული, მაგრამ მოგვიანებით მან უარი თქვა ამ სკოლის სტილზე და შექმნა ახალი რეალისტური მხატვრობის ნიმუშები. სამწუხაროდ, გრიგოლ მაისურაძის ხელოვნება არ გახდა ცნობილი ფართო საზოგადოებისთვის, მას მონაწილეობა არ მიუღია გამოფენებში. მისი შემოქმედებიდან ჩვენამდე მხოლოდ რამდენიმე სურათმა მოაღწია.

XIX საუკუნის 80-იანი წლებში სამოღვაწეო ასპარეზზე ქართველ მხატვართა ახალი თაობა გამოდის: რომანოზ გველესიანი, ალექსანდრე ბერიძე, დავით გურამიშვილი, გიგო გაბაშვილი, ალექსანდრე მრევლიშვილი, მოსე თოიძე. მათ განათლება რუსეთსა და ევროპაში მიიღეს. ერთი მხრივ, თერგდალეულთა მოწინავე იდეებმა და საუკუნის დასასრულის პროგრესულმა მოძრაობამ, ხოლო მეორე მხრივ, რუსული დემოკრატიული ხელოვნების, პერედვიჟნიკთა იდეებმა გადამწყვეტი როლი ითამაშეს მათი მსოფლმხედველობისა და მხატვრული გემოვნების ჩამოყალიბებაში. ქართველ მხატვართა ამ თაობამ პრინციპული სიახლეები ჩამოიტანა სამშობლოში. მათ საბოლოოდ გაწყვიტეს კავშირი ტრადიციულ ფორმასთან და მნიშვნელოვნად გააფართოვეს თემატური დიაპაზონი, გააღრმავეს თავიანთი ხელოვნების იდეური დატვირთვა.


ახალი ქართული ფერწერის უფროსი თაობის მხატვართა თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო რომანოზ გველესიანი (1859-1884). მან მხოლოდ პირველი ნაბიჯების გადადგმა მოასწრო ხელოვნებაში. იშვიათი ნიჭის მქონე ფერმწერი სრულიად ახალგაზრდა, პეტერბურგის საიმპერატორო სამხატვრო აკადემიის დამთავრების წელს გარდაიცვალა. შემორჩენილია მისი სტუდენტური ნამუშევრები: რამდენიმე პორტრეტი, ილუსტრაცია და ჩანახატი, რომლებსაც ფერწერული თავისუფლება და არტისტიზმი გამოარჩევს. რომანოზ გველესიანი სამართლიანადაა მიჩნეული თავისი თაობის ყველაზე ნიჭიერ მხატვრად, რომლის შემოქმედებამ გზა გაუკვალა მთელ ახალ ქართულ მხატვრობას. მარტივი კომპოზიციის „კახელი დოქით“, მხატვრების ა. ბერიძის, გ. გაბაშვილის, ქ. მაღალაშვილის ფსიქოლოგიური პორტრეტები უშუალობითა და სიმართლით გამოირჩევა, ყოველგვარი ეთნოგრაფიული და ეგზოტიკური შელამაზებების გარეშე. უნდა აღინიშნოს, რომ რომანოზ გველესიანი იყო ერთ-ერთი პირველი ქართველი მხატვარი, რომელმაც თბილისისა და კახეთის ჩანახატები შეასრულა.

პორტრეტისტმა ალექსანდრე ბერიძემ (1858-1917) განათლება პეტერბურგისა და ნეაპოლის სამეფო სამხატვრო აკადემიებში მიიღო. საქართველოში დაბრუნების შემდეგ იგი ქმნის გამოჩენილ ქართველ პოეტთა და მწერალთა: შოთა რუსთაველის, ალექსანდრე ჭავჭავაძის, გიორგი ერისთავის, ილია ჭავჭავაძის და აკაკი წერეთლის გრაფიკულ პორტრეტებს, რომლებიც ჟურნალ „თეატრში“ დაიბეჭდა 1885-1887 წლებში. ალექსანდრე ბერიძეს მჭიდრო თანამშრომლობა ჰქონდა ქართულ პერიოდულ გამოცემებთან. იყო ქართული დრამატული საზოგადოების ერთ-ერთი დამფუძნებელი. ქმნიდა თეატრალურ დეკორაციებს, იყო ავტორი ქართული თეატრისთვის შექმნილი ფარდის. სამწუხაროდ, დღესდღეობით ალექსანდრე ბერიძის შემოქმედებითი მემკვიდრეობიდან მცირედია შემორჩენილი: „მოღიმარი მოხუცი“, „მოხუცი მამაკაცი“, „ვასო აბაშიძე“, „უცნობი ქალის პორტრეტი“, „ბიჭი სალამურით“, „წინდის მქსოველი გოგონა“, „მაკო საფაროვა ოფელიას როლში“, „მწყემსი ბიჭი“ და სხვ. ალექსანდრე ბერიძე გრაფიკაშიც მუშაობდა. 1880 წელს იტალიაში შექმნა ნახატების სერია

„ხმა“, რომელიც ჯუზეპე გარიბალდს, იტალიის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გმირს ეძღვნებოდა.

გიორგი (გიგო) გაბაშვილი (1862-1936) გამორჩეულად მნიშვნელოვანი და მასშტაბური ფიგურაა ამ თაობის ქართველ მხატვრებს შორის. მისი შემოქმედება წინ უსწრებდა თავის დროს. მხატვარმა ცხოვრების ხანგრძლივი გზა განვლო და დაგვიტოვა მდიდარი მემკვიდრეობა - 2000-ზე მეტი ფერწერული და გრაფიკული ნამუშევარი, რომლის უდიდესი ნაწილი, მხატვრის ანდერძის თანახმად, საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმშია დაცული. მისი ცალკეული სურათები ინახება რუსეთის, ევროპისა და ამერიკის მუზეუმებში, აგრეთვე კერძო კოლექციებში. თბილისის კ. კეპენის კერძო სამხატვრო სკოლაში სწავლისა და სამხედრო-ისტორიულ მუზეუმში ბატალისტ ფ. რუბოსთან თანამშრომლობის შემდეგ, გიგო გაბაშვილმა მხატვრობის შესწავლა პეტერბურგისა და მიუნხენის სამხატვრო აკადემიებში განაგრძო. დიდია მისი როლი ახალი ქართული ხელოვნების ჩამოყალიბებისა და განვითარების საქმეში. გიგო გაბაშვილის დამსახურებაა ქართულ დაზგურ ფერწერაში ჟანრობრივი მრავალფეროვნებისა და რეალისტური მხატვრობის დამკვიდრება. აღსანიშნავია, რომ ის პირველი იყო ქართველ მხატვრებს შორის, რომლის პერსონალური გამოფენაც 1891 წელს გაიმართა თბილისში.

გიგო გაბაშვილის როგორც მხატვრის მოღვაწეობა 1888 წელს დაიწყო, მაგრამ XX საუკუნის პირველი წლები მისი შემოქმედების უდიდესი აყვავების ხანაა. მხატვრის ყველა საუკეთესო ნაწარმოები ამ პერიოდს განეკუთვნება. ფართოა გიგო გაბაშვილის ნამუშევართა თემატური დიაპაზონი. მან შექმნა ქართული კულტურის მოღვაწეთა და არისტოკრატიის წარმომადგენელთა მთელი პორტრეტული გალერეა. მისი შემოქმედებიდან აღსანიშნავია ავტოპორტრეტები, ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ნ. ნიკოლაძის, გენერალ გაბაშვილისა და სხვ. პორტრეტები. განსაკუთრებით იზიდავდა მას სახე-ტიპაჟები, რაღაც საშუალოს ქმნიდა პორტრეტსა და ყოფით ჟანრს შორის. გიგო გაბაშვილმა ასეთ ნამუშევართა ორი სერია შექმნა: ხევსურული - „მთვრალი ხევსური“, „მძინარე ხევსური“ და სხვ. და ქალაქური, სადაც ძველი თბილისის ტიპაჟებია წარმოდგენილი: „სამი მოქალაქე“, „ყასაბი“, „სამი გენერალი“, „უცნობი ქართველი თავადის პორტრეტი“ და სხვ. გიგო გაბაშვილი პიონერი იყო პეიზაჟისა და ნატურმორტის ჟანრში. მაღალი პროფესიონალური ოსტატობის დონით გამოირჩევა სამარყანდისა (სურ. 1.18) და ბუხარის სურათების სერია. გიგო გაბაშვილი აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობასაც ეწეოდა, მონაწილეობას იღებდა ყველა ეროვნულ წამოწყებაში: იყო საქართველოში სამხატვრო აკადემიის დაარსების მონაწილე და ერთ-ერთი ინიციატორი. მას უდიდესი წვლილი მიუძღვის ქართული ეთნოგრაფიული მუზეუმის შექმნაშიც, რომელსაც მხატვარმა წლების მანძილზე შეგროვილი მდიდარი ეთნოგრაფიული მასალა შესწირა, ხოლო საზღვარგარეთ მოგზაურობისას შეძენილი უძვირფასესი ხელოვნების ნიგნები უსასყიდლოდ გადასცა საქართველოს ეროვნულ გალერეას. გიგო გაბაშვილი აქტიურ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა. ჯერ კიდევ 1897 წელს მან თბილისში დაარსა სამხატვრო სტუდია, რომელშიც დაახლოებით 20–30 მოსწავლე იღებდა განათლებას. გიგო გაბაშვილი ასწავლიდა „კავკასიის კაზმულ ხელოვნებათა საზოგადოების“ ფერწერისა და ქანდაკების სკოლაში 1900-1920 წლებში, ხოლო 1930-იან წლებში იყო თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორი. გიგო გაბაშვილის შემოქმედების ხიბლი მის უბრალოებაშია. მისი სურათები სიხალისითა და სიცოცხლითაა აღსავსე. რამ-



სურ. 1.18. გიგო გაბაშვილი. „ბაზარი სამარყანდში“

დენჯერმე მოეწყო მხატვრის პერსონალური გამოფენა. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში არ ჩატარებულა გამოფენა, რომელშიც გიგო გაბაშვილს თუნდაც ერთი ნამუშევრით მაინც არ მიეღო მონაწილეობა. ის იყო პირველი ქართველი მხატვარი, რომელმაც თვალსაჩინო ადგილი დაიკავა თბილისის სამხატვრო ცხოვრებაში (საინტერესო ფაქტია, რომ 2006 წელს ნიუ-იორკის „კრისტის“ აუქციონზე წარმოდგენილ ჩარლზ კრეინის კერძო კოლექციაში გიგო გაბაშვილის სამი ფერწერული ტილოც შედიოდა: სურათი „მეომართა ბანაკი კავკასიაში“ 96 000 დოლარად, „ბუხარა“ 508 800 დოლარად, ხოლო „სამარყანდის ბაზარი“ 1 136 000 დოლარად იქნა გაყიდული).

ალექსანდრე მრევლიშვილის (1866-1933 წწ.) შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი სოციალურ პრობლემებს ეთმობა. ამ თემას ქართულ მხატვრობაში მანამდე საერთოდ არ ექცეოდა ყურადღება. მან განათლება ჯერ მოსკოვის ფერწერის, ქანდაკებისა და ხუროთმოძღვრების სასწავლებელში, ხოლო შემდეგ პარიზში, ჟულიენის კერძო აკადემიაში მიიღო. ხელოვნების ნაწარმოებთა შესწავლის მიზნით ალექსანდრე მრევლიშვილმა იმოგზაურა იტალიასა და გერმანიაში. იდეური ჩანაფიქრითა და გამომსახველობითი საშუალებებით მხატვრის ნაწარმოებები ყველაზე ახლოს პერედვიჟნიკებთან დგას (პერედვიჟნიკები – მოძრავი სამხატვრო გამოფენების ამხანაგობა რუსეთში). პეტერბურგში 1870 წელს შექმნილმა მხატვართა შემოქმედებითმა გაერთიანებამ გაწყვიტა კავშირი კლასიციზმთან და თავის შემოქმედებას საფუძვლად კრიტიკული რეალიზმი დაუდო). ალექსანდრე მრევლიშვილის სურათების კომპოზიციები არ არის პრეტენზიული, მიმზიდველია თავისი უშუალობითა და ყოველთვის თხრობითი ხასიათისაა. მისი ყველაზე ცნობილი სურათებია „სოფლის კანცელარიასთან“ და „დაბალი ღობე“ (სურ. 1.19). სოციალური შინაარსის სურათების გარდა ალექსანდრე მრევლიშვილი ქმნის კომპოზიციებს რელიგიურ თემაზე და პორტრეტებს, რომელთა შორის გამოირჩევა მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძის ძალიან ცოცხალი პორტრეტი.



სურ. 1.19. ალექსანდრე მრევლიშვილი. დაბალი ღობე

უფროსი თაობის ნიჭიერი ფერმწერი მოსე თოიძე (1871-1953) პირველი მიმართავს რევოლუციის თემას. მისი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშა მისმა წარმომავლობამ და მუშათა წრეებთან სიახლოვემ, რომელმაც განსაზღვრა მხატვრის შემოქმედებითი ძიებების მიმართულება. უკვე ადრეულ ნამუშევრებში გამოჩნდა ფერმწერის ინტერესი რევოლუციისა და „დაბალი“ სოციალური ფენის მიმართ, რაც მოსე თოიძის შემოქმედების ძირითადი თემა ხდება. მისი შემოქმედების მნიშვნელოვანი ნაწარმოებებია: „ვიწრო ქუჩა“, „მაწვნის გამყიდველი“, „მრეცხავი“, „თბილისის სახურავები“, „ნავი მტკვარზე“, „თბილისი ომის დროს“, „თბილისი, მთვარიანი ღამე“, „რევოლუცია“, „დედის პორტრეტი“, ი. გრიშაშვილის, მ. ჭიაურელის პორტრეტები და სხვ.

დავით გურამიშვილმა (1857-1926) დიდი როლი ითამაშა თბილისის მხატვრულ ცხოვრებაში. განათლება მან 1880-90-იან წლებში მიუნხენში მიიღო, რომელიც იუგენდსტილის მიმდინარეობის ცენტრი იყო (იუგენდსტილი – XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ევროპის გერმანულენოვან რეგიონებში არქიტექტურისა და ხელოვნების სტილი, რომელიც საქართველოში მოდერნის, იგივე „არტნუვოს“ სახელითაა ცნობილი). დავით გურამიშვილი იყო ერთ-ერთი პირველი ქართველი კრიტიკოსი მხატვრობაში. დახვეწილი გემოვნების, შემოქმედებითი ინდივიდუალურობით გამორჩეული მხატვრის მცირე მემკვიდრეობიდან ცნობილია რამდენიმე პორტრეტი, აღმოსავლური პეიზაჟები, ჟანრული სურათები, კარიკატურები და ჩანახატები.

XX საუკუნის დასაწყისში გამოდიან შემოქმედებით ასპარეზზე გიგო გაბაშვილის მოსწავლეები ტარას მომცემლიძე (1874-1904), ალექსანდრე პირტახია (1880-1923). შემოქმედებითი პრინციპებითა და ოსტატობის დონით მათთან ახლოს დგას თვითნასწავლი მხატვარი გიგო ზაზიაშვილი (1868-1952). ცნობილია, რომ გიგო ზაზიაშვილი ერთხანს ფიროსმანთან ერთად მუშაობდა. გიგო ზაზიაშვილი ავტორია პორტრეტების, ჟანრული ფერწერული სურათების. მისი შემოქმედებითი მემკვიდრეობიდან აღსანიშნავია ქართული კულტურის მოღვაწეთა ზაქარია ჭიჭინაძის, იოსებ იმედაშვილისა და სხვ. პორტრეტები.

ქართულ ფერწერასთან ერთად ვითარდება ახალი ქართული გრაფიკული ხელოვნება, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა ქართულ ეროვნულ-საგანმანათლებლო მოძრაობაში. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ნაციონალური თვითშეგნების ამაღლებით ქართული წიგნებისა და სახელმძღვანელოების გამოცემამ ზოგადეროვნული მნიშვნელობა შეიძინა. 1868 წელს გამოდის იაკობ გოგებაშვილის ბუნების კარი, ხოლო 1876 წელს პირველად იბეჭდება „დედა ენა ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი სახალხო შკოლებისთვის“. სახელმძღვანელო რამდენჯერმე გამოიცა. ერთ-ერთი საუკეთესო გამოცემის, 1912 წლის „დედა ენის“ სურათების შექმნაში მონაწილეობას უცხოელებთან ერთად ქართველი მხატვრები ალექსანდრე ბერიძე და ალექსანდრე მრევლიშვილი იღებდნენ. 1888 წელს გამოდის ე.წ. ქართველიშვილისეული „ვეფხისტყაოსანი“ (გიორგი ქართველიშვილი – საზოგადო მოღვაწე, მეწარმე და ქველმოქმედი, 1827-1901 წწ.), ცნობილი უნგრელი მხატვრის მიხაი ზიჩის ბრწყინვალე ილუსტრაციებით. ეს იყო შოთა რუსთაველის უკვდავი პოემის პირველი ნაბეჭდი დასურათებული გამოცემა. უნდა აღინიშნოს, რომ წიგნის მხატვრული გაფორმება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მხარე იყო და მხატვარს გარკვეული პირობები უნდა დაეკმაყოფილებინა. მაგალითად, „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემისას მთავარი მოთხოვნა იყო წიგნისთვის „ქართული“ იერის შექმნა.

საინტერესოა, რომ ახალი ქართული გრაფიკის შემქმნელები თვითნასწავლი მხატვრები იყვნენ, განსხვავებით უცხოეთში განათლებამიღებული ფერმწერებისგან. ერთ-ერთი პირველი მათ შორის იყო გრავიორი მხატვარ-ქსილოგრაფი გრიგოლ ტატიშვილი (1838-1911), რომელმაც დამოუკიდებლად შეისწავლა ქსილოგრაფიის ტექნიკა. გრიგოლ ტატიშვილი ასრულებდა გრავიურებს როგორც სხვისი, ასევე საკუთარი ესკიზების მიხედვით, მაგრამ საზოგადოებისთვის ის ცნობილი გახდა, უპირველეს ყოვლისა, როგორც იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოების „დედა ენისა“ და „ბუნების კარის“ მხატვრული გამფორმებელი. გრიგოლ ტატიშვილის სახელოსნო თბილისში 1868 წელს გაიხსნა და განსაკუთრებული როლი ითამაშა ქართული წიგნის განვითარების საქმეში. XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ამ სახელოსნოში შესრულდა თითქმის ყველა მნიშვნელოვანი გამოცემა. გრიგოლ ტატიშვილის გრავირებული ორნამენტები ამშვენებდა ქართველიშვილისეული ვეფხისტყაოსნის, აგრეთვე ბევრი თანამედროვე პოეტის წიგნების ყდებს, სატიტულო გვერდებს და ა.შ. მისი გაფორმებული იყო მთელი რიგი ჟურნალებიც. საზოგადოებაში დიდი პოპულარობით სარგებლობდა გრიგოლ ტატიშვილის ალბომი, სადაც ძველი ქართული რელიეფებიდან აღებული ორნამენტების საფუძველზე შექმნილი ქართული ინიციალების, მონოგრამების და ცალკეული დეკორატიული ასოების ნიმუშები იყო წარმოდგენილი. გრიგოლ ტატიშვილი სამართლიანადაა მიჩნეულია თანამედროვე ქართული წიგნის სახის შემქმნელად. მანვე ჩაუყარა საფუძველი ქართული სარეკლამო ხელოვნების განვითარებას. გრიგოლ ტატიშვილის პირველი ქართული ილუსტრირებული აფიშა 1863 წელს ქსილოგრაფიის რთულ ტექნიკაშია შესრულებული და საცირკო წარმოდგენისთვის იყო განკუთვნილი.

საქართველოში საჟურნალო გრაფიკა XIX საუკუნის მიწურულს ყალიბდება. ჟურნალ „კვალში“ თანამშრომლობდნენ მოსე თოიძე, ალექსანდრე მრევლიშვილი, ალექსანდრე ბერიძე, შალვა ქიქოძე და სხვ. ქართული გრაფიკის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მხატვარ ილუსტრატორმა ანტონ გოგიაშვილმა (1878-1907). მას არ მიუღია სპეციალური განათლება, მხოლოდ რამდენიმე წელი სწავლობდა თბილისში, 1901 წელს პეტერბურგის სამხატვრო აკადემიის დაარსებულ საშუალო სამხატვრო სასწავლებელში. ანტონ გოგიაშვილი ჟურნალების „კვალის“ და „ცნობის ფურცლის“ აქტიური თანამშრომელი იყო. გაზეთის რე-

დაქტორის თხოვნით მან შემოიარა სამეგრელო, გურია, აფხაზეთი და კახეთი. მოგზაურობის შედეგად დიდი ოსტატობით შექმნილ დოკუმენტურ-ეთნოგრაფიულ ჩანახატებში საქართველოს სხვადასხვა კუთხის პეიზაჟები, იქ მკვიდრთა ყოფა-ცხოვრება და ზნე-ჩვეულებებია ასახული.

უნდა აღინიშნოს, რომ ახალი ქართული გრაფიკა განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებოდა საყმაწვილო ლიტერატურას. კულტურის მოწინავე წარმომადგენლები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ საბავშვო ჟურნალებისა და წიგნების გამოცემას. ჟურნალები „ნობათი“, „ჯეჯილი“, „ნაკადული“, აგრეთვე საბავშვო წიგნები იმ დროის ცნობილი მხატვრების მიერ იყო ილუსტრირებული. XX საუკუნის დასაწყისში გამოცემული საბავშვო წიგნებიდან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია 1905 წელს ოსკარ შმერლინგის დასურათებული ქართული ხალხური ზღაპრების კრებული.

XIX საუკუნის განმავლობაში საქართველოში მიმდინარე შემოქმედებითმა პროცესებმა ნიადაგი მოამზადა XX საუკუნის დასაწყისში ევროპიდან ახალი მხატვრული მიმდინარეობების მისაღებად. 1910-20-იან წლებში საქართველოს დედაქალაქი თანადროული ევროპული ავანგარდული ხელოვნების შესაფერისი კულტურული ცენტრი ხდება. ხელოვანთა გაერთიანებები – „ნატიფი ხელოვნების კავკასიური საზოგადოება“, „ქართველ მხატვართა საზოგადოება“, „ფუტურისტთა სინდიკატი“, გაერთიანება „მალი კრუგი“ და სხვ. – მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ იმ დროის ქალაქის მხატვრულ-ლიტერატურულ ცხოვრებაში. თბილისის განსაკუთრებული ავანგარდული გარემოს შექმნა 1915 წელს ქუთაისში ჩამოყალიბებულმა შემოქმედებითი ჯგუფის „ცისფერყანწელების“ მოღვაწეობამ განაპირობა. მხატვრებთან და მსახიობებთან ერთად ისინი ხშირად იკრიბებოდნენ არტისტულ კაფეებში, რომლებიც პეტერბურგის კაფე-კაბარეების მიბაძვით გაიხსნა თბილისში.

რუსეთში მომხდარი ოქტომბრის რევოლუციისა და სამოქალაქო ომის შემდეგ თბილისის ცხოვრებაში მძლავრ ნაკადად შემოიჭრა საქართველოს თავშეფარებული რუსი ინტელიგენცია და არისტოკრატია. თბილისში დაფუძნებულმა ავანგარდული მიმართულების რუსმა მხატვრებმა და პოეტებმა აქ განაგრძეს თავიანთი ლიტერატურულ-კულტურული მოღვაწეობა. დაარსეს წრეები, გამოსცეს ჟურნალ-გაზეთები, პეტერბურგისა და მოსკოვის მსგავსად ხატავდნენ თბილისის არტისტული კაფე-კლუბების კედლებს, მართავდნენ კონცერტებს, თეატრალურ წარმოდგენებს, ლიტერატურულ საღამოებს და სხვ. ბუნებრივია, ამ პროცესების აქტიური მონაწილეები იყვნენ „ცისფერყანწელები“ და ახალი ავანგარდული მიმართულების ქართველი ხელოვანები, მაგრამ რუსებისთვის დამახასიათებელი მძაფრი, რადიკალური იდეები მათ ბოლომდე მაინც ვერ გაითავისეს, განსაკუთრებით კი მხატვრებმა, რომელთა ნაწილი მალევე გაემგზავრა ევროპაში და უპირატესობა მიანიჭა ევროპულ ავანგარდს. აქვე უნდა ითქვას, რომ 1917-1921 წლები ქართული კულტურის ისტორიაში ყველაზე აქტიურ პერიოდად, ხოლო ქართული და რუსული ავანგარდიზმისთვის ყველაზე ნაყოფიერ წლებადაა მიჩნეული. თბილისის არტისტული კაფეები „ქიმერიონი“, „არგონავტების ნავი“, „ფანტასტიკური დუქანი“, „ფარშევანგის კუდი“, „იმედი“ მასპინძლობდა მხატვრებსა და პოეტებს. აქ საუბრობდნენ ახალი მიმდინარეობის საკითხებზე, მოხსენებებს კითხულობდნენ და კამათობდნენ ახალი ხელოვნების პრობლემებზე. პოეზიისა და ფერწერის კავშირზე დისკუსიებს მართავდნენ „ფუტურისტების სინდიკატის“ შეკრებებზე. პოეტები და მხატვრები ხშირად ერთად აწყობდნენ გამოფენებს, ლიტერატურულ საღამოებს. თბილისის ლიტერატურული კაფე-სალონების კედლები ჩამოსული და ადგილობრივი მხატვრების ლ. გუდიაშვილის, დ. კაკაბაძის, კ. ჭდანევიჩის, ს. სუდეიკინის, ი. ნიკოლაძის, ს. ვალიშევსკის, ი. თოიძის და სხვ. ნახატებით იყო დაფარული.

XX საუკუნის დასაწყისი ძიებების ხანაა ქართულ ხელოვნებაში. მიუხედავად რუსული და ევროპული ხელოვნების ავანგარდული მიმართულებების გაზიარებისა, ახალგაზრდა ქართველი მხატვრების შემოქმედებაში ჩნდება ნამუშევრები, სადაც ნათლად ჩანს ახალი ხელოვნების შემოქმედებითად გააზრების, ფორმით ახალი ეროვნული ხელოვნების შექმნის მცდელობა. ნაციონალური თვითშეგნების ამაღლებასთან ერთად გაიზარდა ქართველ მხატ-

ვართა ინტერესი საქართველოს სიძველეების მიმართ. ისინი აქტიურად ერთვებიან ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის გადარჩენის საქმეში. 1916 წელს მოწყობილი ქართველ ხელოვანთა და ისტორიისა და ეთნოგრაფიის საზოგადოებების ერთობლივი ექსპედიციის წევრები იყვნენ მხატვრები მოსე თოიძე, დიმიტრი შევარდნაძე, გიორგი ერისთავი, ლადო გუდიაშვილი, მიხეილ ჭიაურელი. ექსპედიციის მიზანი სოფელ ნაბახტევის ტაძრის XV საუკუნის კედლის მხატვრობის ასლების გადაღება იყო. დიმიტრი შევარდნაძე, ლადო გუდიაშვილი და მიხეილ ჭიაურელი მონაწილეობდნენ 1917 წელს ექვთიმე თაყაიშვილის მიერ საქართველოს ისტორიულ სამხრეთ პროვინციებში მოწყობილ დიდ ექსპედიციაში. დიდი ინტერესით სწავლობდა XII საუკუნის ოქრომჭედლობასა და ოპიზრების შემოქმედებას დავით კაკაბაძე. ახალგაზრდა მხატვრებს იზიდავდა ძველი ქართული ხელნაწერი წიგნების ორნამენტული სამკაულები და მინიატურები. სწორედ ეს მიზანი, გადაერჩინათ ეროვნული ფასეულობები და შეექმნათ ერთდროულად თანამედროვე, მაგრამ ნაციონალური ხელოვნება, გამოარჩევდა იმ დროის ქართველ მხატვრებს ევროპული ავანგარდული მოძრაობისგან. ქართულ ხელოვნებაში განსაკუთრებული მოვლენა იყო ნიკო ფიროსმანიშვილი (ფიროსმანი) (1862-1918 წწ.). საქართველოსა და მსოფლიოში დღესაც დიდი ინტერესითა და აღფრთოვანებით ეკიდებიან მის შემოქმედებას, რომელსაც ანალოგი არ გააჩნია. პირველად ფიროსმანი მხატვრებმა მიშელ (მიხეილ) ლე-დანტიუმ და ძმებმა ჟდანევიჩებმა აღმოაჩინეს. საქართველოდან გამგზავრებისას ლე-დანტიუმ ნიკო ფიროსმანიშვილის რამდენიმე სურათი წაიღო თან და საფრანგეთში სტატიებიც გამოაქვეყნა მხატვრის შემოქმედებაზე. 1913 წელს მისი და ძმები ჟდანევიჩების ძალისხმევით ფიროსმანის სამი სურათი მოსკოვში იყო ექპონირებული გამოფენაზე „Мишень“, მაგრამ ქართულ საზოგადოებას მხატვარი პირველმა გრიგოლ რობაქიძემ გააცნო, რომელმაც 1913 წელს ფიროსმანიშვილს წერილი მიუძღვნა რუსულ ენაზე. ფიროსმანის შემოქმედება ფართო საზოგადოებამ მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ, 1919 წელს გაიცნო პირველ საერთო ქართველ მხატვართა გამოფენაზე. მხატვრის „ნაივური“ ფერწერით აღტაცებული ავანგარდისტი მხატვრები ძმები ილია და კირილე ჟდანევიჩები ფიროსმანის ნამუშევრებს დიდი ხნის მანძილზე აგროვებდნენ თბილისის მივიწყებულ სარდაფებში. შემდგომში მხატვრის სურათების კოლექცია ჟდანევიჩებმა საჩუქრად გადასცეს თბილისის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმს. ინტენსიურ შემოქმედებით მოღვაწეობას ფიროსმანი 1895-1915 წლებში ეწეოდა. მის არაორდინალურ ფერწერაში ნათლად იკითხება შუა საუკუნეების ქართულ მხატვრობასთან კავშირი, განსაკუთრებული სულიერება, რომელიც ერთნაირად გამოსჭვივის ადამიანების, ცხოველების გამოსახულებებში, მის ულამაზეს პეიზაჟებსა და ნატურმორტებში. აღსანიშნავია, რომ ის იყო თავისი დროის ერთადერთი ქართველი ანიმალისტი მხატვარი. ფიროსმანის შემოქმედება კარგად ესადაგებოდა XX საუკუნის პირველი ათეული წლების მხატვრობის წინაშე მდგარ ამოცანებს: ინტუიციის წინ წამოწევა, ფერი, საგნის სიბტყობრივ-



სურ. 1.20. ნ. ფიროსმანი. ხუთი თავადის ქეიფი



სურ. 1.21. ნ. ფიროსმანი. მებადური

სამგანზომილებიანი ასახვა. მისი უნიკალურობა ვლინდება მხატვრის უნარში მცირედი ფერწერული დამუშავებით, ლაკონიზმით მიაღწიოს მაქსიმალურ გამომსახველობით ეფექტს, წარმოაჩინოს გამოსახულების მნიშვნელობა, შექმნას მისი მონუმენტური მხატვრული სახე. ნიკო ფიროსმანიშვილის შემოქმედება მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ იქნა სათანადოდ დაფასებული. მხატვრის ხელოვნებას იცნობდა პაბლო პიკასო. ფიროსმანის ნამუშევართა პოპულარობამ უდიდესი გავლენა მოახდინა XX საუკუნის მხატვართა გატაცებაზე „პრიმიტიული“, „ნაივური“ ხელოვნებით. ნიკო ფიროსმანის გამორჩეული ნამუშევრებია: „ვერის ხიდი“, „ხუთი თავადის ქეიფი“ (სურ. 1.20), „ქეიფი რთველში“, „მეეზოვე“, „მებადური“ (სურ. 1.21), „უშვილო მილიონერი და ღარიბი ქალი შვილებით“, „ცხოვრების სტილი“, „დათვი მთვარიან ღამით“, „კალოზე“, „თამარ მეფე“, „აქტრისა მარგარიტა“, „ლომი და მზე“, „ჟირაფი“ და სხვ.

ფიროსმანის ხატვის სტილი განუმეორებელია, მისი ნებისმიერი სურათის ნახვისას თვალწინ წარმოგიდგება მირზაანელი გენიოსი, რომელმაც გოგენის, ვან გოგის, ველასკესის, რუბენსის, სეზანის, მურილიოს და სხვათა მსგავსად კაცობრიობას დაუტოვა კედლებსა და ტილოებზე გადმოღვრილი სამყაროს რეალური სიყვარულის განცდა, რომელიც მნახველის გულის სიღრმეში იდებს ბინასა და მარადისობისთვისაა განკუთვნილი.

XX საუკუნის დასაწყისში, თბილისის ბოჰემური მხატვრული ცხოვრების წლებში შემოქმედებით მოღვაწეობას იწყებენ ახალი თაობის მხატვრები, ქართული მოდერნიზმის უდიდესი წარმომადგენლები ვალერიან სიდამონ-ერისთავი, დიმიტრი შევარდნაძე, დავით კაკაბაძე, ლადო გუდიაშვილი და სხვ.

ვალერიან სიდამონ-ერისთავი (1889-1943) ერთ-ერთი მრავალმხრივი ინტერესების მქონე მხატვარია. მან განათლება მოსკოვის ფერწერის, ქანდაკებისა და ხუროთმოძღვრების სასწავლებელში მიიღო. ვალერიან სიდამონ-ერისთავის შემოქმედებაში მთავარი ადგილი ისტორიულ თემას უჭირავს, რაც გამოწვეული იყო იმ პერიოდის ქართველ მხატვართა წინაშე მდგარი უმთავრესი ამოცანით, ეროვნული ფორმის ძიებით. 1922 წლიდან ვალერიან სიდამონ-ერისთავი თეატრსა და კინოში მუშაობდა. მისი გაფორმებული იყო 1923 წელს ზაქარია ფალიაშვილის ოპერის „დაისის“ პირველი დადგმა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში, 1924 წელს კი იყო დიმიტრი არაყიშვილის ოპერის „შოთა რუსთაველის“ სპექტაკლის მხატვარი.

ქართული მოდერნიზმის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი დიმიტრი შევარდნაძე (1885-1937 წწ.) გერმანიიდან 1916 წელს ბრუნდება სამშობლოში. ახალი ქართული დაზგური მხატვრობის განვითარებისთვის უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა იყო ამავე წელს დიმიტრი შევარდნაძის მიერ „ქართველ ხელოვანთა საზოგადოების“ დაარსება, რომელშიც სხვადასხვა თაობის წარმომადგენლები იყვნენ გაერთიანებულნი. ახალი ქართული ხელოვნების პოპულარიზაციის მიზნით საზოგადოებამ 1919-1920 წლებში თანამედროვე მხატვართა ნამუშევრების სამი გამოფენა მოაწყო „დიდების ტაძარში“. მათ შორის, 1919 წლის დიდი გამოფენა, რომელშიც მონაწილეობდნენ სხვადასხვა თაობის ქართველი მხატვრები: გიგო გაბაშვილი, მოსე თოიძე, ალექსანდრე მრევლიშვილი, იაკობ ნიკოლაძე, ვალერიან სიდამონ-ერისთავი, დავით კაკაბაძე, შალვა ქიქოძე, თამარ თავაძე. აქვე იყო წარმოდგენილი ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდა ელენე ახვლედიანის და უკვე გარდაცვლილი ნიკო ფიროსმანიშვილის სურათები. „ქართველ ხელოვანთა საზოგადოება“ განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებოდა ახალგაზრდა მხატვრების პროფესიულ განვითარებას. საზოგადოების ხელშეწყობით დავით კაკაბაძემ, ლადო გუდიაშვილმა, შალვა ქიქოძემ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სტიპენდიები მოიპოვეს პარიზში სწავლის გასაგრძელებლად. მოგვიანებით მათ შეუერთდნენ ელენე ახვლედიანი და ქეთევან მაღალაშვილი.

დიმიტრი შევარდნაძე ქართული კულტურის ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურაა. მისი დაარსებულია საქართველოს ეროვნული სამხატვრო გალერეა, რომელშიც წარმოდგენილი იყო მისივე ქართული, ევროპული და აღმოსავლური ხელოვნების ნაწარმოებების კოლექცია. 1933 წელს ეროვნული სამხატვრო გალერეის გადატანით მეტეხის ციხეში დიმიტრი შევარ-


დნაძემ დასაბამი მისცა ქართულ მუზეუმს. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი დიმიტრი შევარდნაძის მუზეუმის ბაზაზეა დაფუძნებული.

1920-იან წლებში ქართულ დაზგურ მხატვრობაში ახალი ძალები გამოჩნდნენ. ესენი იყვნენ საფრანგეთიდან დაბრუნებული ლადო გუდიაშვილი, ელენე ახვლედიანი, დავით კაკაბაძე და ქეთევან მაღალაშვილი. ეს ახალგაზრდა მხატვრები ჯერ კიდევ პარიზში გამგზავრებამდე გამოირჩეოდნენ მკვეთრად გამოვლენილი თვითმყოფადობით. თავისი შემოქმედებითი მოღვაწეობით, მათ ღირსეული ადგილი დაიმკვიდრეს ახალი ქართული ხელოვნების ისტორიაში.

უდიდესი პეიზაჟისტი დავით კაკაბაძე (1889-1952 წწ.) ერთადერთი თეორეტიკოსი მხატვარი იყო იმ დროის ქართველ ხელოვანთა შორის. პარიზში ყოფნისას ის სწავლობდა ხელოვნების თანამედროვე ფორმებსა და მიმდინარეობებს, მეცნიერულად აანალიზებდა ავანგარდული ხელოვნების მნიშვნელოვან საკითხებს. დავით კაკაბაძის ნამუშევრები მხატვრულ სტილთა და მიმართულებათა მრავალფეროვნებით გამოირჩევა. მხატვარმა შეძლო მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი მხატვრული ენით შეექმნა უბრწყინვალესი პეიზაჟები, პორტრეტები, კუბისტური, კონტრუქციულ-დეკორატიული კომპოზიციების მთელი სერიები. დიდია დავით კაკაბაძის, როგორც პეიზაჟისტის როლი ქართულ მხატვრობაში. მან შექმნა დასრულებული დაზგური პეიზაჟი-სურათი. მხატვრის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი იმერეთის ბუნებას უჭირავს. ეს თემა ხელოვანისთვის ყველაზე ახლობელი და ღვიძლია, ბოლომდე გააზრებული და მხატვრულ სრულყოფილებამდე მიყვანილი. მისი ნამუშევრებიდან შეიძლება დასახელდეს „იმერეთი-დედაჩემი“, „იმერული ნატურმორტი“, „ავტოპორტრეტი“, „აბსტრაქტული ნატურმორტი“, „აბსტრაქცია“ და სხვ. დავით კაკაბაძემ რთული შემოქმედებითი გზა გაიარა. საბჭოთა პერიოდში მას აკრიტიკებდნენ აბსტრაქციონისტობისთვის, ბრალად უყენებდნენ ცხოვრებისგან მოწყვეტას. მხატვარი კინაღამ ემსხვერპლა 1930-იანი წლების საბჭოთა რეპრესიებს. დღეს დავით კაკაბაძის შემოქმედებას სათანადო ადგილი უჭირავს თანამედროვე ქართული ხელოვნების ისტორიაში. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კაკაბაძის მოღვაწეობა მხოლოდ მხატვრობით არ შემოიფარგლებოდა. მას ეკუთვნის „უსათვალო სტერეოკინემატოგრაფიის“ გამოგონება, რომლის პატენტი მოგვიანებით შეისყიდა ამერიკამ, იტალიამ, გერმანიამ, ბელგიამ, ესპანეთმა და უნგრეთმა.

ლადო გუდიაშვილი (1896-1980) განსაკუთრებული თვითმყოფადი ხელოვანია. ის სრულიად განსხვავებული მხატვარია და მისი შემოქმედება ყოველთვის არ იყო სწორად გაგებული. 1918-1919 წლები ლადო გუდიაშვილის მხატვრული ინდივიდუალურობის ფორმირების პერიოდია. ამ წლებს განეკუთვნება ძველი თბილისის თემაზე შექმნილი პირველი სურათები, მთელი რიგი ნახატები, საარტისტო კაფეების „ფანტასტიკური დუქნის“ და „ქიმერიონის“ კედლების მხატვრობა. 1919 წელს თბილისში მოწყობილ ქართველ მხატვართა გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ლადო გუდიაშვილის ზეთში, აკვარელში და ფანქარში შესრულებული ოთხმოცამდე ნამუშევარი. 1919 წელს ახალგაზრდა მხატვარი პარიზში მიემგზავრება სასწავლებლად. პარიზის შვიდი წელი დატვირთული იყო შემოქმედებითი მუშაობით. საფრანგეთში ყოფნისას ის ყურადღებას იქცევს თავისი ორიგინალური ხელოვნებით. 1922-1925 წლებში პარიზის სამხატვრო გალერეებში „ლა ლიკორნში“ და „ბილიეში“ ეწყობა ლადო გუდიაშვილის პერსონალური გამოფენები. მისი შემოქმედების შესახებ წერენ ცნობილი კრიტიკოსები ანდრე სალმონი და მორის რეინალი. ლადო გუდიაშვილის ნამუშევრებს იძენენ პრადოს და პარიზის მუზეუმები, კერძო გალერეები. ლადო გუდიაშვილის პარიზელ მეგობრებს შორის იყვნენ პ. პიკასო, ა. მოდილიანი, ა. მატისი, ა. ბრეტონი და სხვ. საფრანგეთში ლადო გუდიაშვილის თემატიკაში მთავარი ადგილი თბილისს უჭირავს. აქ შეასრულა მხატვარმა თავისი ცნობილი სურათები „თევზი ცოცხალი“, „სადღეგრძელო ალიონზე“, „ტყუპები“ და სხვ. პარიზულ პერიოდში ჩნდება „ფანტაზიების“ ხაზი მხატვრის შემოქმედებაში. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ლადო გუდიაშვილი ნაყოფიერად მუშაობს, ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას თბილისის სამხატვრო აკადემიაში, მუშაობს თეატრალურ-დეკორაციულ ჟანრში. 30-იან წლებში მხატვრის შემოქმედებაში მნიშვნელოვან ადგილს პორტრეტი იკავებს.

ნატურიდან შესრულებული პორტრეტები ზღაპრულ-რომანტიკულ ხასიათს ატარებს. ასეთია, მაგალითად, მსახიობის თამარ ციციშვილის, მანანა შოთაძის, ნათელა ახვლედიანის, ნინო გუდიაშვილის პორტრეტები. მხატვრის გრაფიკული ნამუშევრებიდან აღსანიშნავია „ვეფხისტყაოსნის“, სულხან საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“ და სხვ. ილუსტრაციები. ლადო გუდიაშვილის ულამაზესი ფრესკები ამშვენებს თბილისის ქაშვეთის წმინდა გიორგის ეკლესიის საკურთხეველს, რომელიც ხელოვანმა 1946 წელს მოხატა. ლადო გუდიაშვილის ხელოვნებამ მხოლოდ 1950-იანი წლებიდან მოიპოვა ოფიციალური წრეების აღიარება. ათწლიანი „განკვეთის“ შემდეგ, რაც ქაშვეთის მოხატვას მოყვა, მისი პერსონალური გამოფენები 1957 წელს ჯერ თბილისში, შემდეგ კი მოსკოვშიც მოეწყო. ამ პერიოდის მხატვრის შემოქმედება იცვლება მოდერნისტულ პერიოდთან შედარებით. თავის ნამუშევრებში ლადო გუდიაშვილი ისევ მიმართავს ალეგორიას, სურეალისტურ და სიმბოლისტურ თემებს, ქმნის ზღაპრული სამყაროს სურათებს. თავისებური ესთეტიკით და სტილიზაციით აცოცხლებს ლეგენდებსა და მითოლოგიურ სიუჟეტებს. ამ პერიოდის ლადო გუდიაშვილის შემოქმედებაში ვხედავთ სოციალისტურ თემატიკასაც, რომელსაც დიდი ხელოვანი ინდივიდუალურ, ორიგინალურ ინტერპრეტაციას აძლევს. ლადო გუდიაშვილის ცნობილი ნამუშევრებია: „ყეენობა თბილისში“, „სიმღერა მშვიდობაზე“, „ნიკო ფიროსმანი“ (სურ. 1.22), „ბოროტი ოჯახი“, „გოგონები საყვარელ ნაკადულთან“, „ზღაპარი“ (სურ. 1.23), „ახალი და ძველი“, „საქორწინო განბანა“ და სხვ.



სურ. 1.22. ლ. გუდიაშვილი ნიკო ფიროსმანი

ქეთევან მაღალაშვილის (1894-1973 წწ.) შემოქმედება მთლიანად პორტრეტს ეძღვნება. ის დახვეწილი გემოვნების მხატვარია. მისი პირველი ნამუშევრებია ე. ახვლედიანის, პროფესორ ალ. მაჭავარიანის და მოქანდაკე ი. ნიკოლაძის პორტრეტები, რომელმაც ქეთევან მაღალაშვილს ნიჭიერი მხატვრის სახელი მოუპოვა. პარიზში სწავლისას მხატვარი ქმნის თავის საუკეთესო სურათებს – პიანისტ ირაკლი ორბელიანისა და ელენე ახვლედიანის ორ პორტრეტს. საქართველოში დაბრუნების შემდეგ ქეთევან მაღალაშვილი წერს მწერალთა, მსახიობთა, მხატვართა და მუსიკოსთა პორტრეტებს, იშვიათად ნატურმორტებს. მისი შემოქმედება მოკლებულია დრამატიზმსა და მით უმეტეს პათეტიკურობას. მხატვარი ცდილობს გადმოსცეს ადამიანის შინაგანი სამყარო. ის არ ალამაზებს მას, მაგრამ ყოველთვის ცდილობს მოძებნოს მოდელში საუკეთესო თვისებები, სიკეთე და კეთილშობილება.



სურ. 1.23. ლ. გუდიაშვილი. ზღაპარი

ელენე ახვლედიანი (1901-1975) ემოციურად სრულიად განსხვავებული ფერმწერი, გრაფიკოსი, ილუსტრატორი და თეატრალური მხატვარია. ის ერთერთი გამორჩეული ინდივიდუალური შემოქმედი პიროვნებაა ქართულ საბჭოთა ხელოვნებაში. ელენე ახვლედიანის ფერწერაში მთავარი პეიზაჟია. თბილისის სამხატვრო აკადემიაში ის გიორგი გაბაშვილის კლასში სწავლობდა. ჯერ კიდევ სტუდენტი, 1922 წელს საბჭოთა მთავრობის სტიპენდიით მიემგზავრება სწავლის გასაგრძელებლად იტალიასა და საფრანგეთში. პარიზში ელენე ახვლედიანი სწავლობს კოლოროსის „თავისუფალ აკადემიაში“. ახალგაზრდა მხატვრის ყურადღების ობიექტია პარიზის გარეუბნების მყუდრო ქუჩები, პეიზაჟები. ის ხატავს ნიუს დიდ გრაფიკულ სერიას. პარიზში მისი ნამუშევრები მოწონებით სარგებლობს. მათ ყიდულობენ ცნობილი კოლექციონერები, მათ შორის, პოლ სინიაკი. „დამოუკიდებელთა სალონსა“ და „შემოდგომის სალონ-

ში“ გამოფენილ ახალგაზრდა მხატვრის სურათებს კრიტიკოსთა დადებითი გამოხმაურება მოჰყვა. პარიზში ელენე ახვლედიანი აწყობს პირველ პერსონალურ გამოფენას, რომლის მთავარი თემა საქართველოა, მისი ზღაპრული, ფანტასტიკურად ლამაზი, უამრავი შთაბეჭდილებების მორევიდან ამოტივტივებული მშობლიური პეიზაჟები. პარიზიდან მხატვარი ნამუშევრებს აგზავნის ამერიკაში. მას იწვევენ ჰოლანდიაში. უცხოეთიდან დაბრუნებული ელენე ახვლედიანი 1927-1928 წლებში მართავს საზღვარგარეთ ჩატარებული სამუშაოს საანგარიშო გამოფენებს თბილისში, თელავსა და ქუთაისში. კოტე მარჯანიშვილის მიწვევით 1928 წლიდან ის მუშაობას იწყებს ქუთაისში თეატრის მხატვრად. თეატრალურ-დეკორაციული ფერწერა მხატვრის შემოქმედებითი მოღვაწეობის ერთ-ერთი ძირითადი სფერო ხდება. აღსანიშნავია, რომ 1928-1941 წლებში მან გააფორმა ოთხმოცამდე სპექტაკლი საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ. მისი გასაოცარი, ღვთივმიმადლებული ნიჭი თავისებურად დაენახა ავტორისეული თხრობა, აეგო სასცენო მოედანი, ფერის საშუალებით გადმოეცა საკუთარი გრძნობა და აზრი, ყოველი დადგმისთვის საგანგებოდ შეერჩია ფერადოვანი გამა და ჰარმონიულად, კანონზომიერად შეეხამებინა ერთმანეთისთვის გამოყენებული ფერადოვანი ლაქები, უნარი მომგებიანად გამოეყენებინა ეპოქის, ეროვნული და სოციალური, ჟანრული მომენტების მიმანიშნებელი დეტალები ელენე ახვლედიანს აბსოლუტური გემოვნების თეატრალურ მხატვრად წარმოაჩენს. 1930-იანი წლებიდან მხატვარი უმთავრესად პეიზაჟებს ხატავს, რომელიც განსაზღვრავს მის თვითმყოფადობას. ბუნება მხატვარს მის მრავალსახეობასა და სისადავეში აქვს გადმოცემული, ხან სადღესასწაულო და ბრწყინვალე, ხან კი უაღრესად ინტიმური, მაგრამ ყოველთვის ფერწერული და დეკორატიული. საინტერესო ნამუშევრები შექმნა ელენე ახვლედიანმა წიგნის გრაფიკაში. ის უპირატესობას ანიჭებდა ქართველი და უცხოელი კლასიკოსების ნამუშევართა ილუსტრირებას, რომელიც მხატვრის დაუშრეტელი ფანტაზიის გაღვივებისათვის დიდ შესაძლებლობას იძლეოდა. მისი დასურათებულია ე. ნინოშვილის „მოსე-მწერალი“, დავით კასრაძის „ქალ-პეპელა“, ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებები და სხვ. აგრეთვე, მ. ტვენის „ტომ სოიერის თავგადასავალი“, გ. ლონგფელოს „სიმღერა ჰაიავათზე“, ვ. ჰიუგოს „ადამიანი რომელიც იცინის“ და. სხვ.

XX საუკუნის 20-იანი წლებიდან, ისევე როგორც XIX საუკუნეში, ქართული მხატვრობის განვითარება კვლავ უშუალოდ დაუკავშირდა ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ ცვლილებებს. საბჭოთა ხელისუფლების საბოლოო გამარჯვების შემდეგ ხელოვნებას სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა მიენიჭა, ის კომუნისტური პოლიტიკის მძლავრ პროპაგანდისტულ იარაღად გადაიქცა. მთავრობის ბრძანებით კულტურა, განსაკუთრებით გამომსახველობითი ხელოვნება სახალხო კომისარიატთან შექმნილი სპეციალური განყოფილებების მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ მოექცა. შექმნილი იდეოლოგიური ზეწოლის გამო ქართული მოდერნიზმი 1920-იანი წლებიდან თეატრში აგრძელებს არსებობას. სწორედ ამ დროიდან იწყებს თეატრში მუშაობას ბევრი ცნობილი მხატვარი. სპექტაკლების გაფორმებაზე მუშაობდნენ მოდერნისტი მხატვრები: ვალერიან სიდამონ-ერისთავი, დავით კაკაბაძე, ელენე ახვლედიანი, თამარ აბაკელია, ლადო გუდიაშვილი, სერგო ქობულაძე, კლარა კვეესი, სერაპიონ ვაწაძე და სხვ. ძირითადად თეატრთან იყო დაკავშირებული სოლიკო ვირსალაძის, დიმიტრი თავაძის, მიხეილ გოცირიძის, მიხეილ შავიშვილისა და სხვა მხატვართა შემოქმედება. მათი დამსახურებაა თანამედროვე ქართული თეატრის სახის შექმნა. განსაკუთრებით აღსანიშნავია კირილე ზდანევიჩის (1892-1969), ირაკლი გამრეკელის (1894-1943), პეტრე ოცხელის (1907-1937) როლი თეატრის მხატვრობის განვითარებაში. მათ რადიკალური, ავანგარდული ცვლილებები შეიტანეს თეატრის სასცენო სივრცესა და კოსტიუმების დიზაინში.

1921 წლიდან კომუნისტური პარტია შეუდგა ქვეყანაში „მონუმენტური პროპაგანდის“ ლენინური გეგმის განხორციელებას. დღის წესრიგში დადგა „ქართველ ხელოვანთა საზოგადოების“ გარდაქმნის საკითხი. საბჭოთა ხელისუფლება ცდილობდა დაჩქარებული ტემპით გაეტარებინა ხელოვნებაში სოციალისტური რეალიზმის პრინციპების დანერგვა. ძლიერი მოდერნისტული ტენდენციების აღმოსაფხვრელად 1921 წელს თბილისში ახალი სამხატვრო სტუდიები შეიქმნა. ახალი საბჭოთა ხელოვნების მოთხოვნებს პასუხობდა სტუდია „პროლეტკუ-

ლტურა“, კომუნისტური აღზრდის სახლთან არსებული სტუდია. 1922 წელს იხსნება მოსე თოიძის სახალხო სამხატვრო სტუდია.

მიუხედავად შექმნილი ვითარებისა, დიმიტრი შევარდნაძე და მოწინავე საზოგადოების წარმომადგენლები მაინც აგრძელებდნენ წინა წლებში დაწყებულ საქმიანობას. 1920-30-იან წლებში დაარსდა სამხატვრო აკადემია, ეროვნული გალერეა, ხელოვნების მუზეუმი „მეტეხი“, „ქართველ მხატვართა საზოგადოების“ ინიციატივით უფრო მეტი ქართველი მხატვრის გამოფენა ეწყობა, სამოღვაწეო ასპარეზზე გამოდის სამხატვრო აკადემიაში აღზრდილ ქართველ მხატვართა ახალი თაობა: აპოლონ ქუთათელაძე, ივანე ვეფხვაძე, უჩა ჯაფარიძე, კორნელი სანაძე, შალვა მამალაძე, კონსტანტინე (კოტე) გრძელიშვილი, ვახტანგ ჯაფარიძე, შალვა მაყაშვილი, იორამ მამალაძე და სხვ. ამიერიდან, ისინი წამყვან ადგილს იკავებენ ქვეყნის მხატვრულ ცხოვრებაში.

აპოლონ ქუთათელაძე (1900-1972) მხატვართა გაერთიანება „სარმას“ ერთ-ერთი აქტიური წევრი იყო. მრავალფიგურიანი კომპოზიციის უბადლო ოსტატის შემოქმედებაში ისტორიულ-რევოლუციურ და შრომის თემატიკას წამყვანი ადგილი უჭირავს. ცხოვრების ემოციური აღქმა განსაზღვრავდა მხატვრის ისტორიული სურათების რომანტიკულ ხასიათს. აპოლონ ქუთათელაძე მუშაობდა წიგნის გრაფიკაშიც, შექმნილი აქვს ილუსტრაციები ქართველ მწერალთა ნაწარმოებებისთვის. 1943 წელს სამშობლოში დაბრუნებული აპოლონ ქუთათელაძე ეწეოდა აქტიურ პედაგოგიურ საქმიანობას სამხატვრო აკადემიაში, რომლის რექტორიც გახლდათ 1959-1972 წლებში.

1930-იანი წლებიდან იწყება საბჭოთა პროპაგანდისტული მანქანისთვის შეუსაბამო ხელოვნების ნებისმიერ ფორმის დევნა. საინტერესო ფაქტია, რომ ნიკო ფიროსმანიშვილიც აღმოჩნდა იმ არასასურველ მხატვართა ნუსხაში, რომელთაც საბჭოთა ხელისუფლებამ დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა. მხატვრის შემოქმედება სრულიად იგნორირებული იყო 1930-იან წლებში მხოლოდ იმ მიზეზით, რომ მისი ხელოვნებით აღტაცებულნი იყვნენ მთავრობისთვის მიუღებელი მხატვრები. მხოლოდ 1950-იანი წლების შუა ხანებში ცნო საბჭოთა მთავრობამ ფიროსმანის შემოქმედება. მხატვრის ნამუშევრების გამოფენები მოეწყო მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში, რამაც ნიკო ფიროსმანაშვილს საერთაშორისო აღიარება მოუტანა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი იყო ახალი ხელოვნების ერთიანი თეორიული საფუძვლები. საქართველოში, ისევე როგორც საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებში, კომუნისტური პროპაგანდისთვის აქტუალურ თემაზე შესრულებულ სურათებში ჯერ კიდევ ჭარბობდა მოდერნისტული მხატვრული ფორმები. საბჭოთა ხელისუფლების უკმაყოფილებას, ფორმასთან ერთად, იწვევდა ქართულ საბჭოთა ფერწერაში შექმნილი თემატური კრიზისიც. ამ პერიოდის ქართული ხელოვნება არ გამოირჩევა რევოლუციური და საბჭოთა ცხოვრების ამსახველი ნაწარმოებების სიმრავლით. გამონაკლისია მოსე და ირაკლი თოიძეების შემოქმედება, რომელთა ნამუშევრებში საბჭოთა თემატიკას წამყვანი ადგილი უჭირავს. სოციალისტური თემა მხოლოდ 1930-იანი წლებიდან იკავებს მტკიცე პოზიციას ქართულ ხელოვნებაში.

„ქართველ მხატვართა საზოგადოების“ გაუქმების შემდეგ იქმნება მხატვართა რამდენიმე ორგანიზაცია. 1929 წელს ირაკლი და მოსე თოიძეების ინიციატივით საქართველოში ყალიბდება რევოლუციონერ მხატვართა ასოციაცია „რევმასი“ (რევოლუციის მხატვართა ასოციაცია), რომელმაც 1931 წლამდე იარსება. მასში შედიოდნენ რეალისტური სკოლის წარმომადგენლები: ივანე ვეფხვაძე, გრიგოლ მესხი, ალექსანდრე ციმაკურიძე და სხვა ქართველი და არაქართველი მხატვრები. მათი მიზანი რეალისტური ხელოვნების და ახალი თემატიკის დამკვიდრება იყო. 1930 წელს „რევმასის“ მოწყობილმა გამოფენამ ხელისუფლების უკმაყოფილება დაიმსახურა წვრილბურჟუაზიული გამოვლინებების გამო, საბჭოთა თემატური სურათების გვერდით გამოფენაზე წარმოდგენილი იყო პეიზაჟი და ნატურმორტი.

„რევმასზე“ მეტი მნიშვნელობა შეიძინა 1929 წლის ბოლოს ქართველ მხატვართა საზოგადოებას გამოყოფილმა საქართველოს რევოლუციონერ მხატვართა ასოციაცია „სარმამ“.

1930 წელს ასოციაციამ გამოაქვეყნა დეკლარაცია, რომლის მიხედვითაც ხელოვნებას, როგორც სოციალისტური მშენებლობის მნიშვნელოვან იარაღს, მასათა ფსიქიკა და ნება უნდა ემართა. მხატვარს აქტიური როლი დაეკისრა რევოლუციური იდეების პროპაგანდასა და ახალი საბჭოთა ადამიანის ჩამოყალიბებაში. დეკლარაციას ხელს აწერდნენ სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებული ცნობილი მხატვრები და სტუდენტები.

XIX საუკუნის 30-იანი წლებში საბჭოთა კავშირში მკვიდრდება ე.წ. „საწარმოო ხელოვნება“, მოსკოვში შექმნილმა გაერთიანებამ „ოქტომბერი“ თავი მოუყარა ხელოვნების სხვადასხვა მიმართულების წარმომადგენლებს, მათ შორის ავანგარდისტებსაც. გაერთიანებამ ბრძოლა გამოუცხადა დაზგურ ფერწერას. მის ნაცვლად უნდა დაემკვიდრებინათ მხატვრული შემოქმედების გამოყენებითი ფორმები: პოლიგრაფია, საწარმოო ხელოვნება, ფოტომონტაჟი. მთელი კავშირის მასშტაბით უმაღლეს სახელოვნებო სასწავლებლებში განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. რეფორმის შედეგად 1929-33 წლებში მძიმე ვითარება შეიქმნა საქართველოს სამხატვრო აკადემიაში. ის გარდაიქმნა საწარმოო განხრის სამხატვრო-ტექნიკურ ინსტიტუტად, „უსტექინი“. გრაფიკის ფაკულტეტი პოლიგრაფიის ფაკულტეტად გადაკეთდა. დღის წესრიგში დადგა დაზგური ფერწერის სწავლების სრული ლიკვიდაციის საკითხი. 1931 წელს „უსტექინი“ დაიხურა, ნაწილი ფაკულტეტებისა სხვა სასწავლებლებში გადაიტანეს, ნაწილი გააუქმეს. რეფორმის შედეგად უმაღლესი სამხატვრო სკოლა ფაქტობრივად განადგურებული იყო. სამხატვრო აკადემიაში სწავლა 1933 წელს აღდგა. სახელი შეეცვალა და თბილისის სამხატვრო აკადემია ეწოდა.

საბჭოთა ხელოვნების განვითარების თვალსაზრისით კომუნისტური პარტიის იდეოლოგებისთვის 1934 წელი „მნიშვნელოვან ეტაპადაა“ მიჩნეული. საბჭოთა მწერალთა კავშირის პირველ საკავშირო კონგრესზე სოციალისტური ხელოვნების პრინციპებმა უკვე საბოლოოდ ჩამოყალიბებული სახე მიიღო. ხელოვნება კაპიტალიზმის წინააღმდეგ კლასობრივი ბრძოლის მთავარ იარაღად იქნა აღიარებული. სოციალისტურ რეალიზმს პროლეტარიატის, პარტიისა და ბელადების ძლევამოსილებაში უნდა დაერწმუნებინა საბჭოთა მშრომელი ხალხი. ამ მიზნების მისაღწევად და საბჭოთა იდეოლოგიის გასაძლიერებლად საჭირო იყო კულტურის მოღვაწეთა მობილიზაცია. გაუქმდა მანამდე შექმნილი ხელოვანთა ორგანიზაციები – მხატვრების („სარმა“), პროლეტარი მწერლების, მუსიკოსების, არქიტექტორების გაერთიანებები და მათ ნაცვლად შემოქმედებითი კავშირები დაარსდა, მათ შორის საქართველოს საბჭოთა მხატვართა კავშირიც.

სამწუხაროდ, 1930-იანი წლებში საბჭოთა მთავრობა მხოლოდ საზოგადოებებისა და უმაღლესი სასწავლებლების დახურვით არ შემოიფარგლა. 30-იანი წლების რეპრესიებს ქართული კულტურის არაერთი ბრწყინვალე წარმომდგენელი შეეწირა. მათ შორის აღმოჩნდნენ: დიმიტრი შევარდნაძე, ვახტანგ კოტეტიშვილი, პეტრე ოცხელი, ჰენრიხ ჰრინევსკი, ევგენი მიქელაძე, მიხეილ ჯავახიშვილი, სანდრო ახმეტელი და სხვ. გამოჩენილი მეცნიერები, ხელოვნების მუშაკები, პედაგოგები, მწერლები. ამიერიდან, საბჭოთა კავშირში ხელოვნება და ზოგადად კულტურა ტოტალიტარული რეჟიმის „ტუსაღად“ იქცა და ძველი თუ ახალი თაობის ხელოვანები ახალი საბჭოთა კულტურის შექმნაში აღმოჩნდნენ ჩართულნი. სოციალისტური რეალიზმი უკვე საბოლოოდ „იმარჯვებს“ ყველა სფეროში. მაგრამ ხელისუფლების დაკვეთის პირობებშიც ზოგიერთი ნამუშევარი მხატვრის ინდივიდუალური ხელწერით გამოირჩევა. ახალი თაობის მხატვრები არიან: სევერიან მაისაშვილი, შალვა მამალაძე, ნინო წერეთელი. რევოლუციურ თემაზე ქმნიან თავიანთ სურათებს კორნელი სანაძე და უჩა ჯაფარიძე. სოციალისტური რეალიზმი, ოღონდ თავისებურად გადამუშავებული, შეაქვთ თავიანთ შემოქმედებაში 1930-წლებში პარიზიდან სამშობლოში დაბრუნებულ დავით კაკაბაძეს, ლადო გუდიაშვილს, ელენე ახვლედიანსა და ქეთევან მაღალაშვილს.

მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ საბჭოთა ქვეყნებსა და დანარჩენ სამყაროს შორის ჩამოშვებულმა „რკინის ფარდამ“ რამდენიმე ათწლეულის მანძილზე საქართველო, სხვა საბჭოთა რესპუბლიკებთან ერთად, იზოლაციაში მოაქცია და სრულიად ჩამოაცილა ევროპაში მიმდინარე კულტურულ პროცესებს. გაძლიერდა იდეოლოგიური ზეწოლა საზოგა-

დოებრივი მოღვაწეობის ყველა სფეროზე. საბჭოთა ხელოვნებაში მიმდინარე პროცესებს პირადად სტალინი და პარტიის სხვა იდეოლოგები აკონტროლებდნენ. ახლა პოლიტიკური შეხედულებები განსაზღვრავდა მხატვრის კარიერას. საბჭოთა ადამიანის განსაკუთრებული აღმშენებლობითი უნარის დემონსტრირება, სახალხო დღესასწაულები, შრომის პროცესის სიხალისე, გამარჯვებული ხალხის ბედნიერი ცხოვრება იქცა ფერწერული ტილოების ძირითად თემად.

სტალინის გარდაცვალების შემდეგ 1953 წელს, საბჭოთა ტოტალიტარულმა რეჟიმმა ოდნავ შერბილებული სახე მიიღო. სოციალისტური რეალიზმის ფარგლებში ძველი და ახალი თაობის ნიჭიერი მხატვრები ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ ან შეექმნათ საკუთარი ინდივიდუალური გამომსახველობითი ენა. ისინი ხშირად მიმართავდნენ პეიზაჟის, ნატურმორტის და პორტრეტის ჟანრს, ვინაიდან საკუთარი გემოვნების, ხედვისა და პროფესიონალიზმის გამოვლენა ამ ჟანრებში უფრო დასაშვები იყო. ჟანრულ სურათებს, სადაც მნიშვნელოვანი ადგილი პეიზაჟს, საქართველოს დიდებულ ბუნებას უჭირავს, ქმნიდნენ უჩა ჯაფარიძე, ალექსანდრე ციმაკურიძე, ელენე ახვლედიანი, კორნელი სანაძე, შალვა მამალაძე, ნიკოლოზ მეტონიძე, ვახტანგ ჯაფარიძე, ბეჟან შველიძე და სხვ. თანამედროვე ყოფას ასახავდნენ ჟანი (ჟანგო) მეძმარიაშვილი, გურამ გელოვანი, ნანა მესხიძე, გოგი თოთიბაძე, ოთარ სულავა, დიმიტრი ერისთავი, ზურაბ ნიჭარაძე, რადიშ თორდია და სხვ.

1965 წელს საქართველოს ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით ხელოვნების დარგებიდან უპირატესობა მონუმენტურ-დეკორაციული და გამოყენებითი ხელოვნების განვითარებას მიენიჭა, რაშიც უდიდესი როლი შეასრულა თბილისის სამხატვრო აკადემიამ. აქ ასწავლიდნენ: რ. თურქია, დ. ხახუტაშვილი, კ. მახარაძე, გ. ოჩიაური, გ. თოთიბაძე, ზ. ნიჭარაძე და სხვ. აღსანიშნავია, რომ მონუმენტური მხატვრობის ნიმუშები საქართველოში ჯერ კიდევ 1940-იანი წლების მიწურულიდან იქმნებოდა. მონუმენტურ-დეკორაციული კომპოზიციები სრულდებოდა სხვადასხვა დანიშნულების შენობებისთვის - სანატორიუმების, კულტურის სახლების, რესტორნების და სხვ. მართალია, მხატვრული თვალსაზრისით ისინი დიდ ღირებულებას არ წარმოადგენენ, მაგრამ თავისთავად სოციალისტური რეალიზმის საინტერესო კულტურული ფენომენია. მონუმენტურ-დეკორაციული ჟანრის ქართველ მხატვრებს შორის გამორჩეული ადგილი უკავიათ კონსტანტინე (კოკი) მახარაძეს (1929-1992) ისტორიული მრავალფიგურიანი ფერწერული სურათებით და ნიკოლოზ (კოკა) იგნატოვს (1937-2002) თავისი დაზგური და მონუმენტური მხატვრობით.

როგორც უკვე ითქვა, 1920-1930-იანი წლების ქართულ ხელოვნებაში დამოუკიდებელ დარგად განვითარდა წიგნის და დაზგური გრაფიკა, რაშიც გადამწყვეტი როლი ითამაშა სამხატვრო აკადემიამ. წიგნის გაფორმების პირველი სერიოზული მცდელობა იყო 1920-იან წლებში ეგნატე ნინოშვილის ორტომეული. მასზე მუშაობდნენ როგორც იმ დროის დიდი მხატვრები, ასევე აკადემიის სტუდენტები. თანამედროვე ქართული გრაფიკის ჩამოყალიბებასა და შემდგომ განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სამხატვრო აკადემიის გრაფიკის კათედრის პირველმა ხელმძღვანელმა იოსებ შარლემანმა (1880-1957), რომელმაც აღზარდა მაღალპროფესიონალ ქართველ გრაფიკოსთა არაერთი თაობა. შარლემანის მოწაფეებს შორის, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია წიგნის გაფორმების უბადლო ოსტატის ვლადიმერ (ლადო) გრიგოლიას შემოქმედება (1903-1977). 1930-იანი წლებიდან ის აქტიურად მუშაობდა შრიფტზე და წიგნების მხატვრულ გაფორმებაზე. ლადო გრიგოლია არასდროს ტვირთავდა წიგნს სამკაულებით. მისი ოსტატობა ორი შემადგენელი კომპონენტის - შრიფტისა და ორნამენტის არაჩვეულებრივ შეხამებაში ვლინდება.

ამავე წლებში წიგნის გრაფიკაში მუშაობდნენ დავით ქუთათელაძე, ვლადიმერ (ლადო) ქუთათელაძე, ვლადიმერ წილოსანი, კირილე-ჟდანევიჩი. ძირითადად გრაფიკაში ქმნიდა თავის ნაწარმოებებს შალვა ძნელაძე. ქართული წიგნის გრაფიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურა იყო იოსებ (სოსო) გაბაშვილი (1908-1973). მის სახელს უკავშირდება საბავშვო წიგნის ილუსტრაციის განვითარება საქართველოში. იოსებ გაბაშვილის გაფორმებულია ქართული ხალხური ზღაპრები „რწყილი და ჭიანჭველა“, „თხა და ვენახი“, „ნაცარქექია“, ვაჟა-ფშავე-

ლას „ჩხიკვთა ქორწილი“ და „შვლის ნუკრის ნაამბობი“, ალ. პუშკინის ზღაპრები და სხვ. 1930-იან წლებიდან წიგნის გრაფიკაში მუშაობდნენ სერგო ქობულაძე, თამარ აბაკელია, სევერიან მაისაშვილი, სამსონ ნადარეიშვილი, სევერიან კეცხოველი და სხვ. მეორე მსოფლიო ომის შემდეგდროინდელი ქართული გრაფიკა კვლავ აგრძელებს ხელოვნების დამოუკიდებელ დარგად განვითარებას. ამ დროის ქართველ გრაფიკოსთა შემოქმედება ინდივიდუალური ხელწერის მანერით გამოირჩევა და ეპოქის გემოვნებასა და ხედვას პასუხობს.

XX საუკუნის 50-60-იან წლების გრაფიკაში წამყვანი კვლავ წიგნის ილუსტრაცია რჩება. მართალია, 1980-იან წლებამდე სახვით ხელოვნებაში მიმდინარე პროცესებს ჯერ კიდევ სახელმწიფოს იდეოლოგია განსაზღვრავდა და ზუდავდა მხატვართა დამოუკიდებელ შემოქმედებით მუშაობას, მაგრამ ასეთ პირობებშიც ხელოვანთა ნაწილი ინარჩუნებდა თვითმყოფადობას და ქმნიდა მაღალი მხატვრული ღირებულების ნამუშევრებს. ამ პერიოდში წიგნის გრაფიკაში მომუშავე ირაკლი თოიძისა და თამარ აბაკელიას შემოქმედების მთავარი თემა ქართველი კლასიკოსების ნაწარმოებებია. ომის შემდგომ პერიოდში ნაყოფიერად მოღვაწეობს გრაფიკოსი, ფერმწერი და თეატრის მხატვარი სერგო ქობულაძე (1909-1978). წიგნის ილუსტრაცია მნიშვნელოვან ადგილს იჭერს მის შემოქმედებაში. სერგო ქობულაძეს ეკუთვნის უილიამ შექსპირის ნაწარმოებების, ქართული ხალხური ზღაპრების, შალვა დადიანის ისტორიული რომანის „იური ბოგოლუბსკის“, ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანის?!“ ილუსტრაციები და სხვ.. 1935-37 წლებში იგი ქმნის სურათების სერიას შოთა რუსთაველის პოემისთვის „ვეფხისტყაოსანი“. სერგო ქობულაძე მუშაობდა „მეფე ლირის“ ილუსტრაციებზე და ერთდროულად ქმნიდა შოთა რუსთაველის თეატრისთვის ესკიზებს შექსპირის ამავე ნაწარმოების სპექტაკლისთვის. ის არაჩვეულებრივად დახვეწილი მხატვარია, ჩვეული განზოგადების მიუხედავად, მას შეუძლია გადმოსცეს ადამიანის ყველაზე არსებითი თვისებები. განსხვავებული მიდგომა აქვთ ზურაბ ლეჟავას და იოსებ გაბაშვილს. მათი წიგნის ილუსტრაციები თხრობითი ხასიათისაა, იუმორით გაჯერებული. 1950-1960-იან წლებში ალექსანდრე ბანძელაძე მუშაობს რადიარდ კიპლინგის „მაუგლის“ დასურათებაზე, ჯემალ ლოლუა ქმნის ილუსტრაციებს ნოდარ დუმბაძის წიგნისთვის „მე ვხედავ მზეს“ და სხვ.

ქართული წიგნის გაფორმებისთვის უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა იყო 1961 წელს ვაჟა-ფშაველას 100-წლისთავის და 1966 წელს შოთა რუსთაველის იუბილე. ვაჟა-ფშაველას ლექსის მიხედვით შექმნილ ლინოგრავიურაში „ახალგაზრდა მგოსნებს“, მწერლის მონუმენტურ-ჰეროიკული და მეტაფორული სახე გვიჩვენა მოქანდაკემ და გრაფიკოსმა გიორგი ოჩიაურმა (1927-2017). ქართული კედლის მხატვრობის ასლებზე მუშაობის გამოცდილებას იყენებდა ლევან ცუცქირიძე (დ.1926) ვაჟა-ფშაველასა და შოთა რუსთაველის სახეების შექმნისას. თეიმურაზ ყუბანეიშვილი (1924-1993) საინტერესო ილუსტრაციებს ქმნის ილია ჭავჭავაძისა და ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებებისთვის. მის „ოთარაანთ ქვრივში“ შენარჩუნებულია რეალისტური წერის მანერა და თხრობითობა, ყურადღება გამახვილებულია პერსონაჟთა ფსიქოლოგიურ დახასიათებაზე. განზოგადებული და მინიმალისტურია ვაჟა ფშაველას „მინდია“.

1950-1960-იანი წლებიდან ქართულ ხელოვნებაში თავს იჩენს ხალხური თემატიკის, ეთნოგრაფიის მიმართ ინტერესი. რევაზ თარხანმოურავის (1923-1993) შემოქმედება თავისებური ხედვითა და ინდივიდუალური მხატვრული სტილითაა გამორჩეული. მის მიერ შექმნილი ილუსტრაციების, დაზგური და მონუმენტურ-დეკორაციული ნაწარმოებების გვერდით ჩნდება ეროვნულ ფოლკლორული სერიები „ქართული ხალხური ცეკვები“, „ქართული ხალხური სიმღერები“, „ქართული ხალხური თამაშობები“, სადაც მხატვრის ჩვეულ მანერაში, გაზვიადებულადაა წარმოჩენილი ეროვნული თვისებები, სახასიათო მოძრაობები. რევაზ თარხან-მოურავის შემოქმედების საინტერესო მაგალითია 1974 წელს შექმნილი ყვარლის ღვინის სადეგუსტაციო დარბაზის მხატვრობა.

ქართულ მხატვრობაში პეიზაჟური ჟანრი განსაკუთრებულ პოპულარობას 1950-1960-იან წლებში იძენს. ჟანრის პოპულარიზაციას ხელს უწყობდა ხელისუფლებისგან თავსმოხვეული სიუჟეტური მოტივებისგან მხატვრის თავისუფლება. ამ მხრივ აღსანიშნავია თენგიზ მირზაშ-

ვილის შემოქმედება (1934-2008). მისი თავისებური მხატვრული სახე ესთეტური, იოლად გასაგები და მისაღებია. მარტივი გამომსახველობითი ხერხებით შესრულებული თენგიზ მირზაშვილის ნაწარმოებები გამორჩეული მხატვრული გემოვნებით ხასიათდება.

1960-იან წლების ქართული ხელოვნება მხატვართა შემოქმედებითი ინდივიდუალიზმის მრავალსახეობით გამოირჩევა. სტილების, მანერის, ხელწერის მრავალფეროვნებაში სულ უფრო და უფრო ნათლად იგრძნობა სხვადასხვა თაობის მხატვრების შემოქმედებითი ძალისხმევა თავისებურად, მათი ესთეტიკური და ცხოვრებისეული გამოცდილების მიხედვით გადაჭრან საერთო შემოქმედებითი პრობლემები. ქართული ხელოვნების პატრიარქების მიერ შემუშავებული მხატვრული პრინციპები ახლებურად განავითარეს შემდგომი თაობის მხატვრებმა.



სურ. 1.24. გ. ქუთათელაძე. პეიზაჟი ლურჯი ცით

ქართულ მხატვრობაში პეიზაჟური ჟანრი განსაკუთრებულ პოპულარობას 1950-1960-იან წლებში იძენს. ამ ჟანრში ქმნიდნენ: ელენე ახვლედიანი, რუსუდან ჯავრიშვილი, ეთერ ანდრონიკაშვილი, ნატალია ფალავანდიშვილი, ვერა ბელეცკაია, თეონა ასიტაშვილი და სხვ. პეიზაჟური ჟანრის პოპულარიზაციას ხელს უწყობდა ხელისუფლებისგან თავსმოხვეული სიუჟეტური მოტივებისგან მხატვრის თავისუფლება. ამ მხრივ აღსანიშნავია თენგიზ მირზაშვილის შემოქმედება (1934-2008). მისი თავისებური მხატვრული სახე ესთეტური, იოლად გასაგები და მისაღებია. მარტივი გამომსახველობითი ხერხებით შესრულებული თენგიზ მირზაშვილის ნაწარმოებები გამორჩეული მხატვრული გემოვნებით ხასიათდება.

უნდა აღინიშნოს, რომ 1960-იან წლების ქართული ხელოვნება მხატვართა შემოქმედებითი ინდივიდუალიზმის მრავალსახეობით გამოირჩევა. სტილების, მანერის, ხელწერის მრავალფეროვნებაში სულ უფრო და უფრო ნათლად იგრძნობა სხვადასხვა თაობის მხატვრების შემოქმედებითი ძალისხმევა თავისებურად, მათი ესთეტური და ცხოვრებისეული გამოცდილების მიხედვით გადაჭრან საერთო შემოქმედებითი პრობლემები. ქართული ხელოვნების პატრიარქების მიერ შემუშავებული მხატვრული პრინციპები ახლებურად განავითარეს შემდგომი თაობის მხატვრებმა.

1950-იანი წლების მიწურულდან საბჭოთა გამომსახველობით ხელოვნებაში ოფიციალურად იქნა დაშვებული დასავლური მიმდინარეობები: იმპრესიონიზმი და პოსტიმპრესიონიზმი, რომლებსაც კარგად იცნობდნენ საუკუნის დასაწყისში მოღვაწე ქართველი მოდერნისტი მხატვრები და ახლა, ამდენი წლის დაყოვნების შემდეგ, საბჭოთა იზოლაციაში მოქცეული და მსოფლიო ხელოვნებას ჩამორჩენილი ქართული მხატვრობისთვის ევროპული მიმდინარეობების ტექნიკურ-ფერწერული საშუალებები უნდა გამხდარიყო აღორძინების ერთგვარი მცდელობა. საბჭოთა კავშირში სხვა ევროპულ მიმდინარეობებთან ერთად მოდური ხდება პუანტელიზმი (პუანტელიზმი – ფერწერის სტილი, სადაც სიუჟეტის შექმნა ხდება წერტილებით, წვრილი სამკუთხედებითა და ვიწრო ზოლებით, რომელიც მაყურებლის თვალში იწვევს ოპტიკურ შერევა-შეზავებას). ამ მხატვრულმა სტილმა გარკვეული როლი ითამაშა საქართველოს ახალგაზრდა მხატვართა ნაწილის ევროპული ავანგარდული ხელოვნების შემდეგი მიმდინარეობებით დაინტერესებაში. მათ განვითარების თავისებური გზა გაიარეს პოსტიმპრესიონიზმიდან აბსტრაქციონიზმამდე. დაიწყო ახალი მხატვრული გამომსახველობითი ხერხების დამკვიდრების მცდელობები, რომელიც უფრო თამამი ხდება 1970-1980-იან წლებში. ალექსანდრე ბანძელაძის, ჯიბსონ ხუნდაძის, გურამ ქუთათელაძის, ედმონდ კალანდაძის, ზურაბ ნიჟარაძის, თემურ გოცაძისა და სხვათა შემოქმედება ეხმაურება დასავლურ სახელოვნებო ტენდენციებს, თუმცა თითოეული მხატვარი თავის ინდივიდუალურ გამომსახველობით ხერხს მიმართავს.



სურ. 1.26. ავთო ვარაზი. მანანა შალით



სურ. 1.25. გ. ქუთათელაძე. ფიროსმანის სერიიდან თბილისი და ფიროსმანი

ეპიკური პეიზაჟის მდიდარი ტრადიციების განვითარება ჩანს გურამ (ხიტა) ქუთათელაძის შემოქმედებაში (1924-1979 წწ.). დახვეწილი მხატვრული გემოვნების ხელოვანი ქმნის საქართველოს ბუნების განზოგადებულ-დეკორაციულ მხატვრულ ტილოებს ინტენსიურ ფერთა ფაქიზი, თუმცა თამამი შეხამებით და ჰაერით უსაზღვროდ გაჯერებული სივრცის შეგრძნებით (სურ. 1.24, სურ. 1.25). მდიდრული ფერადოვანი გამით გამოირჩევა მისი ნატურმორტებიც, რომელშიც იგრძნობა პოსტიმპრესიონიზმისა და კუბისტური ხელოვნების გავლენა.

ხატვის ბრწყინვალე ოსტატი ედმონდ კალანდაძე (1923-2014) არაჩვეულებრივი თავისუფლებით ფლობს ნახატის სპეციფიკას. მისი სურათები ერთმანეთში შერეული მკვეთრი ფერებით გამოირჩევა. ედმონდ კალანდაძე ძირითადად პორტრეტისტია. ლევან დავითაშვილის, ბუბა სვიმონიშვილის, ნანა შერვაშიძის, ტარიელ სისაურის, იგორ ჩხეიძისა და სხვ. პორტრეტებს ხაზგასმული პიროვნული თავისებურებანი ახასიათებთ. მხატვარი ყოველთვის აღწევს მოდელის ზუსტ გარეგნულ თუ შინაგან დახასიათებას. მისი წერის მანერა, სურათების გამომსახველობის სიღრმე გვიჩვენებს ინდივიდუალობით გამორჩეულ შემოქმედს, რომელმაც დამოუკიდებელი სიტყვა თქვა თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში.

ფერწერული ხერხებით მოქმედების თანამედროვე მეთოდებს მიმართავს ჯიბსონ ხუნდაძე (დ.1926). პეიზაჟის წამყვანი ჟანრია მხატვრის შემოქმედებაში. მის ტილოებს თავისუფალი წერის მანერა გამოარჩევს. შორეული, დეკორაციული მთის ლანდშაფტი თანდათან განყენებულ, უკიდურესად განზოგადებულ სახეს იძენს. 1970-იან წლებიდან ჯიბსონ ხუნდაძე ხატავს თამამი, პასტოზური მონასმებით და ფერთა კონტრასტებით ფერადოვან აფეთქებებს ქმნის, რომელიც ახლოს დგას აბსტრაქტული ექსპრესიონიზმის ნაწარმოებებთან.

ალექსანდრე ბანძელაძე (1927-1992) ქართული აბსტრაქტული მხატვრობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი წარმომადგენელია. მისმა შემოქმედებამ დიდი გავლენა მოახდინა შემდგომი თაობის მხატვრებზე, რომელთაგან უნდა გამოიყოს ავთო ვარაზის ფერწერა (1926-1977). პორტრეტი და ნატურმორტი წამყვანი ჟანრებია ავთო ვარაზის შემოქმედებაში. მათში არეკლილია მხატვრის სულის ყოველი მოძრაობა, განცდა, დამოკიდებულება ცხოვრების მიმართ. მის მეტყველ კამერულ პორტრეტებს გამოარჩევს მხატვრის მცდელობა გადმოსცეს ადამიანის სულიერი სამყარო, მისი ზნეობრივი მხარე პლასტიკური ხერხების მეშვეობით (სურ. 1.26). ავთო ვარაზი მრავალმხრივი ინტერესების მხატვარია. ის ქმნის მხატვრულ მეთოდს, რომელიც 1950-1960-იან წლების ახალი რეალიზმისა და პარიზის სკოლის ნაწარმოებებს ენათესავება, ესაა სასურათე სიბრტყეზე სხვადასხვა მასალის შერწყმა. კოლაჟი მისი შინაგანი სამყაროს შემოქმედებითი ასახვაა. აღსანიშნავია, რომ საქართველოში მან პირველმა დაიწყო მუშაობა პოპ-არტის სტილში. სამწუხაროდ, ავთო ვარაზის პირველი

პერსონალური გამოფენა მხოლოდ მისი გარდაცვალებიდან ორი თვის შემდეგ, 1977 წლის მაისში შედგა.




სურ. 1.27. თენგიზ მახარაშვილი. თამარ მეფე (ფრაგმენტი)

XX საუკუნის ქართველ მხატვართა ბრწყინვალე პლეადას მიეკუთვნებიან: გოგი ალექსი-მესხიშვილი, სოლიკო ვირსალაძე, პეტრე ოცხელი, მერაბ აბრამიშვილი, ლევან ლაღიძე, შალვა მატუაშვილი, მურაზ მურვანიძე, ირაკლი ფარჯიანი, გიორგი შხვაცაბაია, ოლეგ ტიმჩენკო, გიორგი კუხალაშვილი და სხვ.

1980-1980-იანი წლები უმნიშვნელოვანესი პერიოდი იყო ქართული ხელოვნების შემდგომი ეტაპის ჩამოყალიბებისა და განვითარებისთვის. ჯერ კიდევ საბჭოთა დროს დაწყებულმა მხატვრულმა ძიებებმა, ახალი ფერწერული ენის ათვისებამ საფუძველი მოუმზადა ქართველ მხატვართა ახალ თაობებს. 1970-იანი წლების მიწურულს გამართულ არაოფიციალურ გამოფენებზე უკვე ჩანს საბჭოთა იდეოლოგიისგან განთავისუფლების ნიშნები. ამ დროის მხატვართა ნამუშევრებში ახალი გამომსახველობითი და სტილისტიკური თვალსაზრისით ნოვატორულ მიდგომებთან ერთად, მანამდე აკრძალული თემატიკაც ჩნდება.

1991 წელს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ახალგაზრდა ქართველი მხატვრებისთვის დასავლური ხელოვნების უშუალო გაცნობისა და კულტურული გაცლის პირობები შეიქმნა. საერთაშორისო გამოფენებზე ქართველ ხელოვანთა ახალი თაობის ინდივიდუალური ორიგინალური ხედვა „ქართული ავანგარდის“ სახელით ხდება ცნობილი. XX საუკუნის მიწურულს მსოფლიოს სახელოვნებო სივრცეში მიმდინარე მოვლენებმა, ისევე როგორც საუკუნის პირველ მეოთხედში, ქართველი მხატვრების წინაშე კვლავ დააყენა თანამედროვე დასავლური მხატვრული ენის სწრაფი ტემპით ათვისებისა და საკუთარი ინდივიდუალურობის წარმოჩენით თანამედროვე მსოფლიო ხელოვნების სამყაროში ადგილის დამკვიდრების ამოცანა.



სურ. 1.28. გივი სიფროშვილი. მზე, მთვარე და ვარსკვლავები

XX საუკუნის ბოლოს მოღვაწე ქართველი მხატვრებიდან შეიძლება დასახელდეს: ლევან ცუცქირიძე, თენგიზ მირზაშვილი, ეთერი ჭკადუა, ლორეტა შენგელია-აბაშიძე, მამია ახობაძე, გიორგი წერეთელი, თამაზ ხუციშვილი, ბელა ბერძენიშვილი, დავით გაბიტაშვილი, გიორგი გუნია, დიმიტრი ერისთავი, ზურაბ წერეთელი, ნინო ჩაკვეტაძე, თამაზ ვარვარიძე, დიმიტრი თავაძე, გიორგი (გოგი) თოთიბაძე, ნათელა იანქოშვილი, რუსუდან ფეტვიაშვილი, გია ბუღაძე, ლევან მოსიაშვილი, კარლო კაჭარავა, გია ლორია, მამუკა ცეცხლაძე, კოკა რამიშვილი, ლადო თევდორაძე, ლევან სონღულაშვილი, თენგიზ მარი, თუთუ კილაძე, კოკა ცხვედიანი, ელენე თულაშვილი, დინარა ნოდია, თენგიზ მახარაშვილი (სურ. 1.27), თენგიზ სამსონაძე, გია გუგუშვილი, ოთარ სულავა, ნატალია ფალავანდიშვილი, ნათელა ღიბრაძე, ანა (ნანი) შალიკაშვილი, ია გიგოშვილი, ირაკლი სუთიძე, თემო ჯაფარიძე, თაზო ხუციშვილი, ნიკო ცეცხლაძე, გოგი ჩაგელიშვილი, გოგი ლაზარაშვილი, გურამ დოლენჯაშვილი, გივი სიფროშვილი (სურ. 1.28), ეკატერინე თეთრაძე და სხვ. 1990-იანი წლებიდან დაწყებული ქართველ ხელოვანთა დიდი ნაწილი საქართველოს ფარგლებს გარეთ აგრძელებს თავის შემოქმედებით მოღვა-

წეობას, რამაც ერთგვარად ხელი შეუწყო საქართველოს დასავლეთთან კულტურულ ინტეგრაციას. ხელოვნების მკვლევართა აზრით, უცხოეთში დამკვიდრებულ ქართველ მხატვართა აქტიური კავშირები საქართველოს სახელოვნებო წრეებთან, შემოქმედებითი გაცვლის პროცესები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ქართული ხელოვნების განვითარებაში და საერთაშორისო ასპარეზზე თანამედროვე ქართული მხატვრობის წარმატებაში.

ქანდაკება

ქვაზე კვეთის ხელოვნებას საქართველოში მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს, მაგრამ ქართული მრგვალი ქანდაკების როგორც დარგის განვითარება მაინც საბჭოთა ხელოვნებასთანაა დაკავშირებული.

რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მყოფ საქართველოში ძეგლების დადგმა XIX საუკუნის შუა წლებიდან, 1867 წელს მეფისნაცვლის მიხელ ვორონცოვის ძეგლიდან დაიწყო. ეს იყო პირველი ქანდაკება თბილისში, რომლის შემქმნელებიც უცხოელი მოქანდაკეები პიმენოვი და კრეიგანი იყვნენ (არქიტექტორი ოტო სიმონსონი).

ქართული მრგვალი ქანდაკების ისტორია XIX საუკუნის მიწურულიდან კამერული პლასტიკით დაიწყო. ამ დროს ცნობილია ორი ქართველი მოქანდაკის სერაფიმე პოლოლიკაშვილისა და ალექსანდრე თარხნიშვილის სახელი, მაგრამ მათმა მოღვაწეობამ თითქმის უკვალოდ ჩაიარა ქართული მრგვალი ქანდაკების ისტორიაში. სერაფიმე პოლოლიკაშვილმა განათლება თბილისის სამხატვრო სკოლაში მიიღო. ცნობილია, რომ ის ძირითადად შენობის ფასადების გაფორმებაზე მუშაობდა, მაგრამ ქმნიდა პორტრეტებსაც. მის ნამუშევრებს – შოთა რუსთაველისა და ალექსი-მესხიშვილის ბიუსტებს ჩვენამდე არ მოუღწევია. სერაფიმე პოლოლიკაშვილი ბათუმში, თურქების ოკუპაციის დროს დაიღუპა 1918 წელს. ალექსანდრე თარხნიშვილი პლასტიკის ხელოვნებას ჯერ თბილისში მოღვაწე ცნობილ მოქანდაკესთან ფ. ხოდოროვიჩთან ეუფლებოდა, შემდეგ სწავლა პეტერბურგში, ალ. შტიგლიცის ტექნიკური მხატვრობის ცენტრალურ სასწავლებელში განაგრძო. შენობის ფასადების დეკორისა და მცირე პლასტიკის ნიმუშების გარდა მას შესრულებული ჰქონდა შოთა რუსთაველისა და ილია ჭავჭავაძის პორტრეტები, რომლებიც არ შემორჩენილა, ბიუსტების ესკიზები მოქანდაკეს მასალაში არ განუხორციელებია.



სურ. 1.29. იაკობ ნიკოლაძე. „მწუხარე საქართველო“

ქართული რეალისტური პორტრეტული ქანდაკების ჟანრის განვითარებას საფუძველი ჩაუყარა იაკობ ნიკოლაძემ, რომელიც პირველი პროფესიონალი ქართველი მოქანდაკე იყო (1876-1951 წლები). მისი, როგორც ხელოვანის ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი როლი ითამაშა უდიდესმა ფრანგმა მოქანდაკემ ოგიუსტ როდენმა, რომლის სახელოსნოშიც მან ერთი წელი დაჰყო.

მოქანდაკის შემოქმედებითი მოღვაწეობა ჯერ კიდევ 1897 წელს იწყება, როდესაც ი. ნიკოლაძემ მონაწილეობა მიიღო კავკასიის კაზმულ ხელოვნებათა საზოგადოების მოწყობილ გამოფენაში. შოთა რუსთაველის ქანდაკებამ პირველი აღიარება მოუტანა დამწყებ მოქანდაკეს. პროფესიონალური დონის ასამაღლებლად მან სწავლა განაგრძო ჯერ მოსკოვის სტროგანოვის, შემდეგ ოდესის სამხატვრო სასწავლებელში. 1899 წელს ცნობილი მეწარმეებისა და მეცენატების სარაჯიშვილისა და ზუბალაშვილის დაფინანსებით იაკობ ნიკოლაძე განათლების მისაღებად პარიზში გაემგზავრა და კაზმული ხელოვნების უმაღლეს სკოლაში შევიდა. აღორძინების ხანის ოსტატთა შედევრების გაცნობის მიზნით 1903 წელს იაკობ ნიკოლაძე რამდენიმე თვით იტალიაში გაემგზავრა, საიდანაც კვლავ პარიზში ბრუნდება. ქართული საზოგადოება დიდი ინტერესით ადევნებდა თვალს ახალგაზრდა ქართველი მოქანდაკის საქმიანობას.

1909 წელს მისმა მაღალ პროფესიონალურ დონეზე შესრულებულმა ილია ჭაჭავაძის საფლავის ძეგლმა, ქალის ალეგორიულმა ფიგურამ „მწუხარე საქართველო“, დიდი რეზონანსი გამოიწვია ქართულ საზოგადოებაში და სახელი გაუთქვა ძეგლის ავტორს (სურ. 1.29). ღრმად დამწუხრებული ქალის აშკარად ქართული ტიპაჟის შექმნით მოქანდაკემ ბრწყინვალედ გადმოსცა ქართველი ერის უდიდესი ტკივილი. აღსანიშნავია, რომ იაკობ ნიკოლაძემ ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ამბის გაგების შემდეგ თავად შესთავაზა მემორიალური ძეგლისთვის ესკიზი წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას.

იაკობ ნიკოლაძის შემოქმედებაში პორტრეტ-ბიუსტს ძირითადი ადგილი უჭირავს. მან შექმნა ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა არაერთი პორტრეტული ქანდაკება. 1922 და 1923 წლებში თბილისში საზეიმოდ იხსენება იაკობ ნიკოლაძის შესრულებული აკაკი წერეთლისა და ეგნატე ნინოშვილის ბიუსტები. ეს იყო უდიდესი საზოგადოებრივი მნიშვნელობის მოვლენა, საქართველოს დედაქალაქში პირველად დაიდგა ქართველ მწერალთა ძეგლები. კამერული ხასიათის, ფსიქოლოგიური სიღრმით გამორჩეული პორტრეტების სახის დამუშავებაში უპირატესობა ძერწვის მხატვრულ მანერას ენიჭება. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ნიშნები ახასიათებს იაკობის ნიკოლაძის შექმნილ ყველა პორტრეტს. ხელოვანს მთელი შემოქმედების მანძილზე იზიდავდა ისტორიული პირები. ბრწყინვალე ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის მხატვრული სახის შექმნას ის სიცოცხლის ბოლომდე არაერთხელ დაუბრუნდა. გარდა პორტრეტებისა, მოქანდაკე ქმნიდა კომპოზიციებს სხვადასხვა თემაზე: „აკაკი“, „შოთა რუსთაველი“, „ჩრდილოეთის ასული“, „ხევსური“, „სალომე“, „პარიზელი ქალი“, „ქარი“, „შემოდგომა“. 1920-1940-იან წლებში იაკობ ნიკოლაძე ასრულებს იმ დროის ცნობილი პოლიტიკური ლიდერების ვ. ლენინის, კ. მარქსის, ს. წულუკიძის, რ. ლუქსემბურგის და სხვ. ბიუსტებს. ქმნის ქართველი საზოგადო მოღვაწეებისა და მეცნიერთა ქიმიკოს პ. მელიქიშვილის, ექიმ მ. ღამბარაშვილის, აკადემიკოს ი. ბერიტაშვილის და სხვ. პორტრეტებს. ქართული საზოგადოების დიდი მოწონება დაიმსახურა შოთა რუსთაველის ორმა ბარელიეფმა, რომელიც მოქანდაკემ დიდი პოეტის იუბილესთან დაკავშირებით შეასრულა. შესრულების ტექნიკის მაღალი დონით და დიდი გამომსახველობითი ძალით გამოირჩევა „ჩახრუხაძე“, 1948 წელი. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ იაკობ ნიკოლაძის ესკიზით იყო შექმნილი 1918-1921 და 1990-2004 წლების დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნული დროშა, რომელიც ხუთჯვრიანი დროშით შეიცვალა 2004 წელს.

1921 წლიდან ქართულ ხელოვნებაში ახალი ეტაპი დგება. საბჭოთა ხელისუფლებამ მიზანდასახულად და თანამიმდევრულად დაიწყო ხელოვნების ყველა დარგის იდეოლოგიურ იარაღად გადაქცევის პოლიტიკის გატარება. საქართველოში ახალი მთავრობის მოსვლის პირველ წლებში ქართველი ხელოვანები კვლავ აგრძელებდნენ შემოქმედებითი პრობლემების გადაწყვეტისას თავისი მხატვრული პოზიციების, თავისუფალი არჩევანის უფლების დაცვას და სჯეროდათ, რომ ხალხისა და ქვეყნის სამსახურში იდგნენ. მათ აზრადაც არ მოსდიოდათ, რომ შემოქმედებითი პროცესების მართვა დირექტივებით იყო შესაძლებელი. ე.წ. ლენინის „მონუმენტური პროპაგანდის გეგმის“ თანახმად, ხალხში რევოლუციური იდეების დანერგვაში უპირატესობა მონუმენტურ ქანდაკებას მიენიჭა. საზოგადოებრივ ადგილებში უნდა აღმართულიყო ცნობილ რევოლუციონერთა და ბელადთა ძეგლები. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მონუმენტური პროპაგანდის გეგმამ საქართველოში ოდნავ იცვალა სახე, პარტიულ მუშაკთა პორტრეტების გვერდით საქართველოში იდგმებოდა ქართული კულტურის ცნობილ მოღვაწეთა სკულპტურული ქანდაკებებიც.

1930-იან წლები მნიშვნელოვანი ეტაპია ქართული საბჭოთა პლასტიკური ხელოვნებისთვის. სოციალისტური რეალიზმის დამკვიდრების წლებში ხდება ქართული ქანდაკების, როგორც დარგის საბოლოო ფორმირება. ამ დროს მოღვაწეობენ მოქანდაკეები გიორგი სესიაშვილი და ნიკოლოზ კანდელაკი, რომელთა შემოქმედებაც სავსებით ჩამოყალიბებულ, ინდივიდუალურ სახეს ამ წლებში იღებს.

მოქანდაკე გიორგი სესიაშვილმა ერთ-ერთმა პირველმა შეიტანა ქართულ ხელოვნებაში რევოლუციის თემა. ის იყო 1922 წელს დაარსებული სამხატვრო აკადემიის ერთ-ერთი პირ-

ველი სტუდენტი. ქვაზე კვეთის ხელოვნებას გიორგი სესიაშვილი იაკობ ნიკოლაძის კლასში ეუფლებოდა. მისი პირველი შრომის თემაზე შექმნილი ნამუშევარი „ადამიანი თოხით“ ექსპონირებული იყო 1922 წელს ხელოვნების სახლში გამართულ გამოფენაზე. 1924 წელს ლენინის ძეგლის ასაგებად თბილისის აღმასკომის მიერ გამოცხადებულ კონკურსზე გიორგი სესიაშვილის ესკიზმა, რომელზეც ბელადი და ალეგორიული ჯგუფი იყო წარმოდგენილი, მეორე პრემია დაიმსახურა (პირველი პრემია იაკობ ნიკოლაძის ესკიზს მიენიჭა). ჯგუფურ ქანდაკებაში კარგად ჩანს ძირითადი ამოცანა, ძლიერი მოძრაობის გადმოცემა, რაც მოქანდაკის შემოქმედებას შემდგომ წლებშიც შემორჩა. გიორგი სესიაშვილის შემოქმედებაში შრომის თემა ერთდროულად დროის მოთხოვნილებითაც იყო ნაკარნახევი, მშრომელების გამოსახვა იმ დროის ყველაზე აქტუალური იყო და იმავე დროს, პასუხობდა მოქანდაკის მხატვრულ ამოცანასაც. ამ თემაზეა შექმნილი „მაღაროელი“, „შრომის ენთუზიასტები“, „მეისრე ქალი“ და სხვ. შრომის თემასთან ერთად მნიშვნელოვანი იყო მოქანდაკის შემოქმედებაში სპორტული თემა. მისი იდეალური სილამაზის, სპორტული აღნაგობის შიშველი ქანდაკებები მოძრაობაში, დინამიკაშია მოცემული. მათში ადამიანის პლასტიკური შესაძლებლობების მთელი სიმდიდრეა გადმოცემული. ქართული ქანდაკების ამ სფეროშიც გიორგი სესიაშვილი პიონერად გვევლინება. პორტრეტულ ჟანრს მნიშვნელოვანი ადგილი არ ენიჭება მოქანდაკის შემოქმედებაში. ამ ჟანრში შესრულებული ნამუშევრებიდან ყველაზე საინტერესო ირაკლი თოიძის ბიუსტია, რომელშიც ჩანს ბელგიელი მოქანდაკისა და მხატვრის კონსტანტინ მენიეს რეალისტური ხელოვნების გავლენა. გიორგი სესიაშვილი ქმნიდა რელიეფურ კომპოზიციებსაც, რისთვისაც სხვადასხვა ტექნიკას იყენებდა, მაგრამ მცირე ქანდაკება, დეკორატიული და გამოყენებითი პლასტიკა ხელოვანს ყველაზე მეტად იზიდავდა. გიორგი სესიაშილი აქტიური პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ეწეოდა, სამხატვრო აკადემიის გარდა ის დიდი ხნის მანძილზე ასწავლიდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის (დღეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი) არქიტექტურის ფაკულტეტზე.

იაკობ ნიკოლაძის მოწაფეებიდან აღნიშვნის ღირსია აგრეთვე ივანე პატარიძე, მისი მცირერიცხოვანი შემორჩენილი ნამუშევრები თავისებური ეტაპი იყო ქართული ქანდაკების განვითარებაში, და ნინო წერეთელი, უაღრესად ინდივიდუალური მოქანდაკე, რომლის შექმნილი პორტრეტებიც მაღალი პროფესიული ოსტატობით გამოირჩევა.

1920-იან წლებში მოღვაწეობას იწყებს ნიკოლოზ კანდელაკი და 1930-იან წლებში უკვე გვევლინება როგორც ბრწყინვალე პორტრეტისტი და გამოჩენილი პედაგოგი. მან განათლება რუსეთში, პეტერბურგში მიიღო, სადაც საბჭოთა საქართველოს მთავრობის სტიპენდიით ჩაირიცხა სამხატვრო აკადემიაში ცნობილი რუსი საბჭოთა მოქანდაკის ა. მატვეევის კლასში. აღსანიშნავია, რომ ცნობილ სკულპტორთან ურთიერთობამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ნიკოლოზ კანდელაკის როგორც ხელოვანის ჩამოყალიბებაზე.

ნიკოლოზ კანდელაკის ნამუშევრებს გამოარჩევს ძალიან მაღალი ოსტატობა და შემოქმედებითი თვითმყოფადობა. სამწუხარო ფაქტია, რომ ამ უდიდესი მოქანდაკის არცერთი ნამუშევარი არსად არ დადგმულა. მან შექმნა უამრავი ესკიზი ძეგლებისთვის, ფიგურები სპორტულ თემაზე, იშვიათად მუშაობდა რელიეფზეც, ძირითადი ადგილი კი მაინც პორტრეტს უჭირავს მის მემკვიდრეობაში. ქართველ მწერალთა, მეცნიერთა, ხელოვნების მუშაკთა, სპორტსმენთა, სამხედრო და პოლიტიკურ მოღვაწეთა პორტრეტებს ის ყოველთვის ნატურიდან ძერწავდა, მხოლოდ დიდი საბჭოთა ბელადის ი. სტალინისა და ს. ორჯონიკიძის ქანდაკებების შექმნის დროს მოუხდა მას ამ წესიდან გადახვევა. ნიკოლოზ კანდელაკისთვის უცხო იყო ალეგორიები და სიმბოლოები, გამოგონილი კომპოზიციები. მოქანდაკის ნამუშევრებში პლასტიკური საწყისია უმთავრესი. მისი პორტრეტები ყოველთვის მტკიცედ „სკულპტურულადაა“ აგებული. ასეთია ლადო გუდიაშვილის, ვახტანგ ბერიძის, აკაკი ხორავას და სხვათა ბიუსტები. ნიკოლოზ კანდელაკის ნამუშევრებში ჭარბობს გარეგნული დინამიკა, მათში თითქოსდა მაყურებელთან კავშირის ელემენტებია. მოქანდაკის შემოქმედებითი მეთოდი პლასტიკური ძერწვის პრინციპს ემყარება და მატერიალური, ხელით შესახები ფორმის შექმნას გულისხმობს. შემთხვევითი არაა, რომ ნიკოლოზ კანდელაკის მეთოდს დიდი მნი-

შვნელობა ჰქონდა არა მხოლოდ მოქანდაკეებისათვის, არამედ იმ მხატვრებისთვისაც ვისაც აინტერესებდა ფორმის სიმყარე და სიმტკიცე.

უნდა აღინიშნოს, რომ თავიანთი პედაგოგიური საქმიანობით თბილისის სამხატვრო, აკადემიაში იაკობ ნიკოლაძემ და ნიკოლოზ კანდელაკმა შექმნეს მტკიცე საფუძველი ქართული მრგვალი ქანდაკების შემდგომი განვითარებისთვის. მათი განსხვავებული მეთოდები, პაექრობა ამდიდრებდა სასწავლებლის შემოქმედებით ატმოსფეროს, სტუდენტებს უქმნიდა ფიქრისა და თავისუფალი არჩევანის საშუალებას, რაც უზრუნველყოფდა ჟანრული მრავალფეროვნებისა და მკვეთრად გამოხატული თავისებური სახის შემოქმედთა მოღვაწეობას საქართველოში.

1922 წლის მაისში სამხატვრო აკადემიის გახსნამ თბილისში უდიდესი როლი შეასრულა ეროვნული მხატვრული კადრების მომზადებაში. მის კედლებში აღზრდილთა პირველი თაობის მოქანდაკეებმა მალევე შეძლეს დაეკავებინათ წამყვანი პოზიციები ქართულ პლასტიკურ ხელოვნებაში. მათი შემოქმედებით საგრძნობლად ფართოვდება დიაპაზონი და საბოლოოდ მტკიცდება ქანდაკების, როგორც დამოუკიდებელი ჟანრის მნიშვნელობა ქართულ ხელოვნებაში. ტრადიციული სკულპტურული პორტრეტი-ბიუსტის გვერდით ვითარდება მონუმენტურ-დეკორატიული პლასტიკა, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული არქიტექტურასთან. თბილისში იდგმება შოთა რუსთაველის, ლადო კეცხოველის, კომუნისტური პარტიის ლიდერთა მონუმენტები. ქანდაკებებით შეიმკო კინოთეატრ რუსთაველის ფასადი. ამ ახალი პლეადის მოქანდაკეები იყვნენ: ვ. თოფურიძე, ს. კაკაბაძე, შ. მიქატაძე, კ. მერაბიშვილი, ნ. წერეთელი, რ. თავაძე, ი. პატარიძე, თ. აბაკელია. ქართული საბჭოთა ქანდაკების ამ ბრწყინვალე ოსტატებთან ერთად უნდა დასახელდეს მიხეილ ჭიაურელი და ვახტანგ კოტეტიშვილიც. მართალია, ისინი არ გამხდარან პროფესიონალი მოქანდაკეები, მაგრამ მთელი რიგი ნამუშევრებით მათ დიდი ყურადღება მიიქციეს თავის დროზე.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში ქართული ქანდაკება საგრძნობ აღმავლობას განიცდის. 1940-იან წლებში დარგის განვითარება უპირველეს ყოვლისა პორტრეტულ ჟანრს უკავშირდება. ახალი და მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ტრადიციული ისტორიული პორტრეტის დახვეწა, სრულყოფილება, არამედ თანამედროვე მოღვაწეთა სახეების მიმართ ინტერესის გაძლიერება, რომელმაც 30-იან წლებთან შედარებით უფრო ღრმა ინტერპრეტაცია განიცადა. 1950-იან წლებში პორტრეტზე მუშაობისას გადამწყვეტი მნიშვნელობა პიროვნების რთული შინაგანი სამყაროს გახსნას ენიჭება. ადამიანის სახე უფრო სიღრმისეული და შინაარსიანი ხდება.

1950-იანი წლებიდან ქართული ქანდაკების წამყვანი დარგი ხდება მონუმენტური და მონუმენტურ-დეკორაციული პლასტიკა. ამ დარგების განვითარებას ბიძგი მისცა ომის შემდგომ პერიოდში საბჭოთა რესპუბლიკებში ფართოდ გაშლილმა ქალაქმშენებლობის პროცესებმა, რომელიც მკაცრად შემუშავებული გენერალური გეგმის მიხედვით მიმდინარეობდა. ქალაქგეგმარებაში წინა პლანზე გამოდის არქიტექტურული ანსამბლის როლი და მასში ძეგლის მნიშვნელობა, მისი იდეურ-აღმზრდელობითი და ესთეტური ფუნქციების ამაღლება. ეს გამოწვეული იყო საბჭოთა იდეალების უფრო ფართო პროპაგანდის აუცილებლობით. ამ იდეების გადმოცემისთვის ზოგჯერ აუცილებელი ხდებოდა ალეგორიული სახეების შექმნა, რამაც თავისთავად ხელი შეუწყო პლასტიკის ახალი სახის, ალეგორიული ქანდაკების განვითარებას.

1950-იან წლებში მონუმენტურ-დეკორაციული პლასტიკის წინაშე მდგარი დიდი ამოცანების გადაჭრას ეხმარება ქანდაკების ფერწერასა და არქიტექტურასთან, ასევე ამ პერიოდში განვითარებული ლითონზე კვეთის ხელოვნებასთან სინთეზი. პორტრეტში მრავალფეროვანი ძიებებია. მცირე ფორმის სკულპტურაში შესამჩნევი ხდება განზოგადებისკენ, ნათელი არქიტექტონიკისკენ სწრაფვა. მდიდრდება ქანდაკების ჟანრები. მონუმენტური ქანდაკებების გვერდით ჩნდება ლირიული მცირე პლასტიკის ნიმუშები. ამ წლებიდან ქართული ქანდაკების განვითარების ახალი ეტაპი განპირობებული იყო არა მარტო უფროსი თაობის სკულპტორთა შემოქმედებითი ევოლუციითა და ოსტატობის დახვეწით, არამედ ახალგაზ-

რდა მოქანდაკეთა ახალი თაობის გამოჩენითაც, რომელთა ძიებების სითამამემ და ფართო ხასიათმა, ინდივიდუალური თვისებებისა და მანერის მრავალფეროვნებამ მალე განსაზღვრა ახალი ქართული საბჭოთა ქანდაკების სახე.

1950-იანი წლების უაღრესად საინტერესო და მრავალფეროვანი ქართული ქანდაკების ფორმირებაში მონაწილეობდა ყველა თაობის ხელოვანი. ისტორიულ პორტრეტზე კვლავ აგრძელებდა მუშაობას იაკობ ნიკოლაძე, თუმცა, უკანასკნელ პერიოდში ქმნიდა თანამედროვეთა პორტრეტებსაც. ნიკოლოზ კანდელაკი ერთგული დარჩა 30-იან წლებში შემუშავებული მკაცრი, ლაკონური ძერწვის მანერის, მაგრამ მის ფარგლებშიც ხელოვანი აღწევს მეტ ინდივიდუალობასა და პორტრეტისთვის დამახასიათებელი ნიშნების მრავალფეროვნებას. ნიკოლოზ კანდელაკის შემოქმედებითი კრედო, რომელიც ამკვიდრებდა მონუმენტურობას დაზგურ პორტრეტულ პლასტიკაში, საფუძვლად დაედო მის პედაგოგიურ სკოლას, რომელიც ქართველ მოქანდაკეთა არაერთმა თაობამ გამოიარა. შემოქმედებითად აღქმული, ის სხვადასხვაგვარად ვითარდებოდა და მდიდრდებოდა მისი მოწაფეების - უფროსი თაობის მოქანდაკეების ვ. თოფურიძის, შ. მიქატაძის, თ. აბაკელიას, ე. მაჩაბლს და შემდგომი თაობის ე. ამაშუკელის, მ. ბერძენიშვილის, გ. ოჩიაურის, ჯ. მიქატაძის, გ. კალანდაძის, ბ. ციბაძის, ო. ფარულავას, გ. ქაჯაიას და სხვ. შემოქმედებაში.

პორტრეტული პლასტიკის ტრადიციებს სხვადასხვაგვარად და საინტერესოდ ავითარებენ მოქანდაკეები, რომელთა შემოქმედებითი ჩამოყალიბება ომის შემდგომ წლებზე მოდის. ესენი არიან: ი. ოქროპირიძე, ვ. ჩხეიძე, ბ. ავალიშვილი, კ. შილაკაძე, მ. ყიფიანი, ნ. ქუთათელაძე, ტ. სიხარულიძე, რ. შეროზია, მ. სარაული და სხვ.

სკულპტურული პორტრეტის აღმავლობა XX საუკუნის მეორე ნახევრის ახალგაზრდა თაობის მოქანდაკეთა მოღვაწეობასთანაცაა დაკავშირებული. პორტრეტული ჟანრის ამოცანების გადაჭრას ისინი თამამად შეუდგენენ, იაკობ ნიკოლაძის ისტორიული პორტრეტის ტრადიციები მათ ცხოვრების ყმაწვილურად ენერგიული და თამანედროვე გაგებით გაამდიდრეს. საინტერესოდაა გარდაქმნილი ისტორიული პორტრეტული ტრადიციები ბიძინა ავალიშვილის შემოქმედებაში. რომანტიული ნიშნებით გამოირჩევა გურამ კორძახიას ნამუშევრები. უკვე 1950-იან წლებში მკაფიოდ გამოიკვეთა ახალგაზრდა მოქანდაკეთა წრე, რომელიც უპირატესობას თავისი დროის თემებს ანიჭებს და არა მხოლოდ პორტრეტულ ჟანრს. მათ რიცხვს განეკუთვნება თ. ასათიანი, თ. ღვინიაშვილი, ფ. მზარეულაშვილი, ე. კაკაბაძე და სხვ. ამ მოქანდაკეთა შემოქმედება ნათელი მაგალითია 1950-1960-იან წლებში ქართული პორტრეტული პლასტიკის განვითარებაში მიმდინარე ძიებების მრავალფეროვანი გზების, რომელიც იძლეოდა ზოგჯერ ამაღლებულ რომანტიულ, ზოგჯერ მკვეთრი ხასიათის, ზოგჯერ კი ლირიკულ-პოეტურ გადაწყვეტას.

1950-იანი წლებიდან, ისევე როგორც სახვით ხელოვნებაში, ქანდაკებაშიც წინ იწევს განზოგადებისა და ტიპიზაციისკენ სწრაფვა. უპირატესობა ენიჭება თავად პლასტიური ფორმებისა და მასალის ესთეტური თვისებების გამომსახველობითი შესაძლებლობების გამოყენებას. ხელოვანთა სწრაფვამ გადმოსცენ ადამიანის სულიერი სახე ბუნებრივია, შეცვალა მხატვრული ენა. ამ წრის ნამუშევრებში ქრება კომპოზიციური გადაწყვეტის დინამიკა, სილუეტის მკვეთრი ექსპრესია. ადამიანის ხასიათი ვლინდება ნათელ, უბრალო მონუმენტურ ფორმებში. ახლა ხელოვანის უმთავრეს ამოცანას კონსტრუქციული ლოგიკისა და მოცულობის ურთიერთშეფარდებათა მკაცრი სიზუსტის დაცვა წარმოადგენს, ყოველი მოცულობა ერთი მთლიანის ნაწილის შემადგენელი უნდა იყოს. ქართველ მოქანდაკეთა წინაშე უკვე ქანდაკებისა და გარემოს ურთიერთმიმართების ამოცანები დგება. ეს ტენდენციები ყველაზე ადრე ნიჭიერი მოქანდაკისა და გრაფიკოსის გიორგი ოჩიაურის შემოქმედებაში გამოვლინდა.

1960-იან წლებში გიორგი ოჩიური ბევრს და ნაყოფიერად მუშაობს მონუმენტურ და მონუმენტურ-დეკორაციულ პლასტიკაში. განზოგადებული, თავისი ხასიათით მონუმენტური სახეების პოეტიზირების მცდელობა, რომელიც თავს იჩენს პორტრეტებზე მუშაობისას, მისი როგორც მონუმენტალისტი მოქანდაკის დამახასიათებელი თვისება ხდება. ამ წლებში

მოღვაწეობენ აგრეთვე მოქანდაკეები ვ. ონიანი, კ. გრიგოლია, ვ. ჭუმბურიძე, ბ. ციბაძე, გ. ქაჯაია, ჯ. ჯაფარიძე და სხვ.

ჯერ კიდევ 1920-იან წლებში მონუმენტური პროპაგანდის გეგმის განხორციელებისას საქართველოში ჩამოყალიბებული და დიდი ხნით დამკვიდრებული ქანდაკების ფორმა ძეგლი-ბიუსტი, რომლითაც არსებითად დაიწყო ქართული მონუმენტური პლასტიკის ისტორია, ყოველთვის არ პასუხობდა ომის შემდგომ წლებში მონუმენტური ხელოვნების წინაშე დასახულ რთულ ამოცანებს. ქართული ქანდაკების შემდგომი წინსვლისთვის ფიგურული პლასტიკის ჟანრის განვითარება, მხატვრული გამომსახველობის უფრო მრავალმხრივი და სრულყოფილი საშულებების ძიება გახდა მთავრი ამოცანა. ამ ჟანრში მუშაობდა მონუმენტური პლასტიკის ერთ-ერთი უდიდესი ოსტატი ვახტანგ თოფურიძე. მის სახელთანაა დაკავშირებული ფიგურული ქანდაკების დამკვიდრება საქართველოში.

ომის შემდგომ წლებშიც ქართულ პლასტიკურ ხელოვნებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემა კვლავ დიდი ბელადის ლენინის სკულპტურული სახე იყო. სახელმწიფოს დაკვეთით საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში დადგმული დიდი ბელადისადმი მიძღვნილ მთელ რიგ ქანდაკებებს შორის ერთ-ერთი სერიოზული მცდელობა, შეექმნათ ლენინის მონუმენტური სახე, იყო ვახტანგ თოფურიძის ძეგლი, რომელიც 1956 წელს აღიმართა თბილისის ცენტრში, ლენინის სახელობის მოედანზე (დღეს თავისუფლების მოედანი).

1950-იანი წლების მეორე ნახევრიდან საბჭოთა საქართველოში ფართოდ იშლება ახალი ქალაქების მშენებლობისა და ძველის სარეკონსტრუქციო სამუშაოები. სახელმწიფოებრივი ამოცანების გადაჭრისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობას იძენს ანსამბლური დაგეგმარება, დიდი არქიტექტურული კომპლექსების შექმნა. ახლებურად და კიდევ უფრო ფართოდ დადგა არქიტექტურის, მხატვრობის, ქანდაკებისა და გარემოს სინთეზის საკითხი. დასმული ამოცანების გადასაჭრელად მონუმენტურ-დეკორატიული ხელოვნება თამამად გამოდის მოედნების, ქუჩების სივრცეში და მათი განუყოფელი ნაწილი ხდება. სკულპტურული მონუმენტები, მოხატულობები, მოზაიკები, დეკორატიული კედლები აქტიურად ერთვება თანამედროვე ქალაქის ცხოვრებაში.



სურ. 1.30. ე. ამაშუკელი. ქართლის დედა

სინთეზის პრობლემამ ქართველი მხატვრების წინაშე პირველად იჩინა თავი 1957-1958 წლებში, თბილისის 1500 წლისთავის აღსანიშნავად ქალაქის რეკონსტრუქციისა და დეკორატიული გაფორმების სამუშაოების შესრულების დროს. საიუბილეო თარიღს მიეძღვნა საქართველოს დედაქალაქში დადგმული თემატურად ერთმანეთთან დაკავშირებული მთელი რიგი მონუმენტურ-დეკორატიული ნაგებობები და ძეგლები. ისინი ერთ საერთო თემას, თბილისის დარსებისა და ისტორიის თემას ასახავდნენ. 1958 წელს კომკავშირის ხეივანში (ბოტანიკური ბაღი), ქალაქის ერთ-ერთ მაღალ წერტილში დაიდგა ელგუჯა ამაშუკელის „ქართლის დედა“ (სურ. 1.30), ალეგორიული ქანდაკება, მოქანდაკის მიერ ვიზუალურ ფორმაში გადმოტანილი საქართველოს ისტორია და ორი ობელისკი ქალაქის აღმოსავლეთ და დასავლეთ შესასვლელებში. ეს ნამუშევრები, ქართულ ხელოვნებაში ახალი ფორმების სინთეზის პირველ და წარმატებულ მცდელობად ითვლება.

ახალი ფორმების სინთეზის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ვახტანგ გორგასლის ძეგლის კონკურსი 1957 წელს, რომლის მონაწილეებსაც სუფთა ქალაქმშენებლობითი ამოცანები უნდა გადაეჭრათ. ქანდაკებისთვის შეირჩა მეტეხის პლატო, ტაძრის ჩრდილო-დასავლეთი მხარე. XIII საუკუნის ხუროთმოძღვრული ძეგლი რთული რელიეფის ბუნებრივ-არქიტექტურულ აქცენტს წარმოადგენდა და აქ ორგანულად უნდა ჩაწერილიყო ქალაქის დამაარსებლის ცხენოსანი ფიგურა. კონკურსის პირველი

პრემია დაიმსახურა მოქანდაკე ელგუჯა ამაშუკელის პროექტმა (არქიტექტორები თეიმურაზ კანდელაკი და დავით მორბედაძე).

ელგუჯა ამაშუკელის მონუმენტური შემოქმედებით ახალი სივრცული აზროვნება შემოდის ქართულ ხელოვნებაში. იგი ავტორია არაერთი ძეგლისა, რომელიც თბილისსა და საქართველოს სხვა ქალაქებშია აღმართული. მისი ნამუშევრებიდან აღსანიშნავია „ნიკო ფიროსმანაშვილის ქანდაკება“, „ვეფხი და მოყმე“, „დედაენის ძეგლი“ თბილისში, „დიდების მონუმენტი“ ქალაქ ფოთში და სხვ.

მერაბ ბერძენიშვილი მიეკუთვნება ქართველ ხელოვანთა იმ თაობას, რომელმაც ქანდაკებაში ენერგიულად გაკვალა ახალი გზები ელგუჯა ამაშუკელის მსგავსად. მისმა შემოქმედებამ გაამდიდრა ქართული მონუმენტური პლასტიკა. მერაბ ბერძენიშვილის ნამუშევრები ღრმა ფსიქოლოგიზმით, რომანტიკული მღელვარებით ხასიათდება. „დავით გურამიშვილის“ ქანდაკებაში მოქანდაკემ უკვდავყო პოეტის სულიერი დრამა, მისი სევდით სავსე ბედი. ტრაგიკულია მისი „მედეა“ ბიჭვინთაში, ერთდროულად მწუხარე ქალი და შვილების მოსიყვარულე დედა. მისი ნამუშევრებიდან შეიძლება დავასახელოთ აგრეთვე „შოთა რუსთაველი“, „გიორგი სააკაძე“ (კასპი), „მუზა“, „იეთიმ გურჯი“ (თბილისი), „კიდევაც დაიზრდებიან“ (მარნეული) და სხვ.

უნდა აღინიშნოს, რომ ელგუჯა ამაშუკელი და მერაბ ბერძენიშვილი არიან მონუმენტური და მონუმენტურ-დეკორატიული პლასტიკის ამოცანების თანამედროვე გაგების ყველაზე აქტიური და თანამიმდევრული პროპაგანდისტები ქართულ ხელოვნებაში. მათი და სხვა ნიჭიერი მოქანდაკეების: გიორგი ოჩიაურის, ჯუანშერ (ჯუნა) მიქატაძის და სხვათა ძალისხმევით სინთეზის ახალი ფორმები უფრო სწრაფად გავრცელდა საქართველოში. ქართული ქანდაკების იდეური და ხატოვან-ესთეტური დიაპაზონის გაფართოებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ამ ხელოვანთა შემოქმედებაში ალეგორია-სიმბოლოების, პოეტური მეტაფორების მიმართვას.

1960-იანი წლებიდან ვითარდება სიუჟეტური და მცირე ფორმების ქანდაკება. მათში ძალიან ორიგინალურად, თავისებურად მუშავდება მონუმენტურ და პორტრეტულ პლასტიკაში არსებული ფორმათა განზოგადებისა და მონუმენტურობის ძიებები, რაზეც მეტყველებს ვ. მიზანდარის, გ. თოიძის, რ. გვაზავას, გ. გელაშვილის, თ. გიგაურის, გ. კალაძის, ა. კიკნაველიძის, ი. ქოიავას, კ. ტაბატაძის, გ. გურასპაშვილის, ა. მჭედლიშვილის ნამუშევრები.

მრავალი წლის მანძილზე მცირე ფორმის ქანდაკებაში მუშაობდა მორის თალაკვაძე. მან შექმნა სატირული პორტრეტების და კომპოზიციების ორიგინალური სერია, რომელიც მახვილი ჩანაფიქრით გამოირჩევა. 1960-იანი წლების დასაწყისის გამოფენებზე ყურადღება მიიქცია ნელი ალექსიძის პატარა ფიგურებმა სერიიდან „ქართული ბალეტის ოსტატები“. დაზგური ქანდაკების სხვადასხვა სფეროებში მუშაობენ: ა. ბილანიშვილი, ბ. ყაზაიშვილი, ვ. მაღრაძე, თ. დევდარიანი, ა. ჟორდანია, მ. სარაული, გ. დარჩია, ა. თოფურიძე და სხვ.

რელიეფი ყოველთვის იზიდავდა ქართველ მოქანდაკეებს, მაგრამ მხოლოდ ზოგიერთ მათგანის შემოქმედებაში დაიმკვიდრა მან მუდმივი ადგილი, უბიძგა სკულპტორებს ამ პლასტიკური ხელოვნების თავისებურებებისა და სეციფიკის ღრმა, ყოველმხრივი შესწავლისაკენ. რელიეფმა, როგორც მონუმენტურ-დეკორატიული პლასტიკის დამოუკიდებელმა სახეობამ ვერ ჰპოვა მნიშვნელოვანი განვითარება საბჭოთა ხელოვნებაში. 1930-იანი წლებიდან, მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის შენობის რელიეფური ფრიზიდან 1960-იან წლებამდე შეიძლება მხოლოდ რამდენიმე ნიმუშის დასახელება, მაგრამ მიუხედავად ამისა, აქაც ჩანს დადებითი ტენდენციები. 1950-იან წლებში გამოფენაზე წარმოდგენილი იყო რელიეფური ნამუშევრები: ჰორელიეფები ელგუჯა ამაშუკელის ციკლიდან „ქართული ხალხური ტრადიციები“ და გიორგი ოჩიაურის ციკლი „წელიწადის დრონი“. აღსანიშნავია, რომ შემდგომ წლებშიც ეს ოსტატები პერიოდულად მუშაობენ ამ დარგში. ახალგაზრდა მოქანდაკეებიდან რელიეფით არიან დაინტერესებულნი თ. ასათიანი, ა. გორგაძე, გ. მიქაძე, ა. რატიანი.

ქართველი სახელოვანი მოქანდაკეების ტრადიციებს წარმატებით აგრძელებენ ახალი თაობის წარმომადგენლები, რომელთა შორის შეიძლება დასახელდეს: გია ჯაფარიძე, რევაზ

ხასია, ჯემალ ბჟალავა, ავთანდილ მონასერიზე, ნუგზარ მანჯაფარაშვილი, ჯონი გოგობერიშვილი, გენო ზაქარაია, მიხეილ წოწორია, მალხაზ ცისკაძე და სხვ.

1964 წელს ანთიმოზ გორგაძე ლითონში ასრულებს სამი რელიეფისგან შემდგარ სერიას - „საბჭოთა არმია“, „ინდუსტრია“, „სოფლის მეურნეობა“. ეს კომპოზიციები გახსნილი სიმბოლური მნიშვნელობისაა. ამ ჭედური ბარელიეფებით იწყება ანთიმოზ გორგაძის თანამიმდევრული მუშაობა ლითონქანდაკების დარგში. მან პირველმა, ქართველ ხელოვანთა შორის, მიმართა თავისი დროის თემატიკას სერიაში „კოსმოსი“. ახალ თემასთან ერთად ანთიმოზ გორგაძემ ქართული ჭედურობის ხელოვნებაში თავისი გამომგონებლური მანერაც შემოიტანა.

ქართული სკულპტურული რელიეფის აღორძინება მჭიდრო კავშირშია ჭედური ხელოვნების განვითარებასთან, რომლისთვისაც რელიეფი, განსაკუთრებით კი მონუმენტური, ძირითადი ჟანრი ხდება. პირველი, ჭეშმარიტად მხატვრული ნამუშევრები, რომლებმაც პრაქტიკული გამოყენება ჰპოვეს არქიტექტურაში, არის მოქანდაკის ირაკლი ოჩიაურის 1964 წელს თბილისის ქორწინების სახლისთვის შექმნილი ჭედური რელიეფები.

უნდა აღინიშნოას, რომ საქართველოში ლითონზე კვეთის ხელოვნების აღორძინება შემთხვევითი მოვლენა არ ყოფილა. ერთი მხრივ, ის დაკავშირებული იყო ქვეყნაში ამ სახეობის დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების საერთო აღმავლობასთან, ხოლო მეორე მხრივ, ქართული ხელოვნების მოთხოვნილებასთან, განავითაროს საკუთარი ტრადიციები. იმ ფაქტმა, რომ ლითონმქანდაკებლობის აღორძინება დაზგური ხელოვნების წიაღში მოხდა და ძირითადად მოქანდაკეთა ძალებით განხორციელდა, განაპირობა მისი შემდგომი განვითარების თავისებურება – მჭიდრო კავშირი ფერწერასთან, გრაფიკასა და განსაკუთრებით კი ქანდაკებასთან, ზოგჯერ კი ერთობლივად ხელოვნების ყველა დარგთან. ყოველივე ამან ხელი შეუწყო ლითონის მხატვრული დამუშავების გადასვლას მისთვის ტრადიციული საიუველირო ხელოვნების სფეროდან დაზგურ და მონუმენტურ ხელოვნებაში, სადაც მან უფრო ფართო გამოყენება ჰპოვა.

ქართული ქანდაკების წიაღიდან გამოსული და განვითარებული ლითონის მხატვრული დამუშავების ხელოვნებამ შეინარჩუნა მისთვის დამახასიათებელი მოცულობითობა. მისი ძირითადი სახეობა ხდება დაზგური სიუჟეტური და მონუმენტური რელიეფი, რომელიც განკუთვნილია შენობის ინტერიერისთვის. ჩვეულებრივ მათში გადმოცემულია ალეგორიული, სიმბოლური ხასიათის სიუჟეტები. ზოგჯერ ლიტერატურული ნაწარმოებების მიხედვითაც შექმნილი. ასეთია შოთა რუსთაველის პოემის „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით შექმნილი ნამუშევრები, რომელთა არაჩვეულებრივი მხატვრული და დეკორატიული ეფექტი მასალის ბუნებრივი თვისებების გამოყენებითაა მიღწეული.

ირაკლი ოჩიაურის ჭედურობაში ყოველთვის იკითხება მოქანდაკის ხელი. მისი ნამუშევრები უფრო ლითონში შესრულებული პლასტიკაა, ქანდაკებისა და ჭედური ხელოვნების სპეციფიკური თვისებების ერთიანობაა. ასეთებია: „დილა“, „სამაია“, „ხორუმი“. მოქანდაკის ბრწყინვალე ხელოვნების ნიმუშები ამშვენებს არაერთი ნაგებობის ინტერიერს. ჟანრული მრავალფეროვნებით გამოირჩევა კობა (კუკური) გურულის შემოქმედება. ლითონის მხატვრული დამუშავების ოსტატთა შორის აღსანიშნავია გ. გაბაშვილი, დ. ყიფშიძე, ი. ქოიავა, ლ. ბუხაიძე, დ. ქობალია და სხვ. მათ დახვეწილი გემოვნება შემოიტანეს ქართულ ლითონმქანდაკებლობაში და ხელი შეუწყვეს ამ დარგის სპეციფიკის ფართო გაგებასა და მისი ესთეტური შესაძლებლობების გამოვლენას.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგაც ქართულ ხელოვნებაში არ შეწყვეტილა ახალი პლასტიკური ფორმების ძიებისა და განვითარების პროცესი. ახალგაზრდა ქართველი მოქანდაკეები დღეს სრულიად განსხვავებული მხატვრული ენით მეტყველებენ. მკვიდრდება ხელოვნების ახალი ფორმა – საჯარო ხელოვნება, რომელიც ურბანული სივრცის განუყოფელი ნაწილი ხდება. მცირე პლასტიკის თუ მონუმენტური სკულპტურული კომპოზიციები აქტიურ როლს თამაშობენ თანამედროვე ქალაქების საჯარო სივრცეებში, შთამბეჭდავ მხატვრულ სახეებს ქმნიან. ახალი თაობის ქართველი მოქანდაკეებიდან შეიძლება დასახელდეს: დავით ტაბა-

ტაძე, ლევან ბუჯიაშვილი, მალხაზ ცისკაძე, გენო ზაქარაია, ერეკლე წულაძე, თამარ კვესიტაძე, დარეჯან ბერეკაშვილი, ვალერი ჯიქია და სხვ. ბევრი მათგანის ნამუშევარი საერთაშორისო გამოფენების ექსპოზიციებს, მუზეუმებსა და კერძო კოლექციებს ამშვენებს.

1.3.12. სპორტი

სპორტს, ფიზიკურ მომზადებას ოდითგანვე უმნიშვნელოვანესი ადგილი ეჭირა ქართველი ხალხის ცხოვრებაში. საქართველოში ფიზიკური ვარჯიში სამხედრო მომზადებას, ფიზიკური აღზრდის სისტემა - საბრძოლო ხელოვნების დაუფლებას უკავშირდებოდა. ვარჯიშთა სისტემა თანდათან, სამხედრო საქმის განვითარებასთან ერთად იცვლებოდა და იხვეწებოდა. სპორტის ისტორიის მკვლევარები აღნიშნავენ, რომ საქართველოში ფართოდ იყო გავრცელებული მხედრული თამაშები: შუბის და მშვილდ-ისრის სროლა, ფარიკაობა, ჭიდაობა, მუშტი-კრივი, ლელო-ბურთი, დოღი, ყაბახი, ჩოგანბურთი, ნიჩბოსნობა, ნადირობა, შურდულით ქვის სროლა და სხვ. სპეციალურ სავარჯიშო ადგილებში სამხედრო-ფიზიკური მომზადება ყოველთვის გამოცდილი აღმზრდელის მეთვალყურეობის ქვეშ მიმდინარეობდა. საერო თუ საეკლესიო დღესასწაულებზე გამართული ასეთი შეჯიბრება-თამაშობები დადგენილი ორგანიზაციული ფორმის და წესის დაცვით ეწყობოდა და დიდი მოწონებით სარგებლობდა საზოგადოების ყველა ფენაში.

1801 წელს საქართველოს რუსეთის იმპერიაში შესვლის შემდეგაც ქართველ ხალხს არ დავიწყნია საუკუნეების მანძილზე არსებული ტრადიციები. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველოში კვლავ იწყება სპორტის აღმავლობა. 90-იან წლებში უკვე ეწყობა შეჯიბრებები თბილისის ველოტრეკზე, რომლის აგებაშიც აქტიურ მონაწილეობას იღებდა ქართული ველოსპორტის ერთ-ერთი ფუძემდებელი ვასილ ჯორჯაძე. თბილისში სხვა სპორტული ბაზებიც არსებობდა. მაგალითად, ახლანდელი რკინიგზის სადგურის ტერიტორიაზე იპოდრომი ანუ საჯირითო იყო, სადაც ცხენოსნობის გარდა, სხვადასხვა სპორტული და მასობრივი სანახაობები იმართებოდა. დიდი პოპულარობით სარგებლობდა ჭიდაობა, რომლის მოედნებით მოფენილი იყო მთელი თბილისი. ყველა დღესასწაული, იქნებოდა ეს საერო თუ საეკლესიო, ჭიდაობითა და მუშტი-კრივში შეჯიბრით სრულდებოდა. XIX საუკუნის ქართული ჟურნალ-გაზეთებში („დროება“, „ივერია“, „ცისკარი“, საქართველოს მოამბე“ და სხვ.) ხშირად შეხვდებოდით ინფორმაციას ქართული ტრადიციული ასპარეზობებისა და სახელოვანი ათლეტების შესახებ.

XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე საქართველოში ვითარდება სპორტის სხვადასხვა სახეობა, რომლებიც ფართოდ იყო გავრცელებული რუსეთისა და ევროპის ქვეყნებში. XIX საუკუნის მიწურულს თბილისის გიმნაზიის მესვეურთა ინიციატივით ინერგება სპორტის ახალი სახეობა ტანვარჯიში, რომლისთვისაც ახლანდელი ვაკის ტერიტორიაზე გამოყვეს სავარჯიშო ადგილები. XX საუკუნის დასაწყისიდან თანდათან ფეხს იკიდებს ევროპაში პოპულარული სპორტის სახეობა ფეხბურთი. ამავე საუკუნის 20-იანი წლებიდან იწყებს გავრცელებას კალათბურთიც.

ალპინიზმს მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა საქართველოს სპორტის სახეობებს შორის. ქვეყნის რთული რელიეფი ყოველთვის გულისხმობდა ამ სახეობის არსებობას საქართველოს მთიანეთში. ისტორიულად დადასტურებულია, რომ ჯერ კიდევ ერეკლეს მეფობის დროს XVIII საუკუნეში (ზუსტი თარიღი უცნობია) მთამსვლელმა იოსებ მოხევემ მყინვარწვერზე შედგა ფეხი.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენლებსა და ქართულ მოწინავე საზოგადოებას კარგად ესმოდა ახალგაზრდა თაობის ფიზიკური მომზადების მნიშვნელობა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროს 1918-21 წლებში ფიზიკური აღზრდა, როგორც სასწავლო საგანი, უნივერსიტეტსა და ყველა სკოლაში სავალდებულოდ გამოცხადდა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ სპორტს დიდი ყურადღება ექცევა. 1931 წელს იხსნება ფიზიკური კულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი; 1933 წელს – ტექნიკუმი; 1955 წელს უნივერსიტეტთან იქმნება ფიზკულტურის ფაკულტეტი, რომელიც შემდეგ სახელმწიფო ინსტიტუტად გადაკეთდა.

მეორე მსოფლიო ომის მოახლოების საშიშროებამ საბჭოთა მთავრობას მოსახლეობის ფიზიკური მომზადების აუცილებლობა დაანახა. ამ მიზნით შეიქმნა სპეციალური საკავშირო საზოგადოებრივი ორგანიზაცია („დოსააფი“), რომელსაც ყველა პირველად ორგანიზაციაში ჰქონდა ფილიალები. ამავე პერიოდს, 30-იან წლებს უკავშირდება ქართულ ეროვნულ ტრადიციებთან დაკავშირებული სექციების: ჭიდაობა, ცხენოსნობა, ჭადრაკი, ალპინიზმი და სხვ. განვითარებაც. ეროვნული სპორტის სახეობების გვერდით ჩნდება ახლებიც, იქმნება სპორტული სკოლები. მეორე მსოფლიო ომამდე ქვეყანაში 70-მდე სკოლა მუშაობდა. სპორტული სექციები ჰქონდა საქართველოს ფაბრიკებსა და ქარხნებს, უმაღლეს სასწავლებლებს. უკვე 1941 წელს რესპუბლიკაში 21 465 ფიზკულტურული კოლექტივი არსებობდა, რომელშიც 87 000 სპორტსმენი იყო გაწევრიანებული. ეწყობოდა საშინაო და საკავშირო სპორტული შეჯიბრებები, ამხანაგური შეხვედრები, ერთობლივი ღონისძიებები.

საქართველოს სპორტსმენთა ტექნიკური დონის ამაღლებაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ 1935 წელს 21 საკავშირო რეკორდი დამყარდა. საქართველოს მოასპარეზეებმა ამიერკავკასიის პირველობაზე გამარჯვება მოიპოვეს სათხილამურო სპორტში, კალათბურთში, ველოსპორტში, ფეხბურთში, ჩოგბურთში, მძლეოსნობაში, სროლაში, ჭიდაობაში, ჭადრაკსა და შაშში. უკვე ომამდე სსრ კავშირსა და მის ფარგლებს გარეთ ცნობილნი იყვნენ სპორტის დამსახურებული ოსტატები გ. რცხილაძე, ა. ჯორჯაძე, ელ. გოკიელი, დ. იოსელიანი. სახელი გაითქვეს ქართველმა ტანმოვარჯიშეებმა: გ. ბაბილოძემ, ნ. თაყაიშვილმა, ლ. ყანჩელმა; მოჭიდავეებმა: ა. მეკოკიშვილმა და შ. ჩიხლაძემ; მძლეოსნებმა ნ. დუმბაძემ, გ. ათანელიშვილმა, ბ. დიაჩკოვმა, მოკრივემ ლ. ღუდუშაურმა, ფეხბურთელმა ბ. პაიჭაძემ და სხვა სპორტსმენებმა. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ არ გვყავს იმ პერიოდის ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონები, ვინაიდან სსრ კავშირი მონაწილეობას არ იღებდა ოფიციალურ საერთაშორისო ტურნირებში.

ქართულმა სპორტმა დიდ წარმატებას 1952 წლის ოლიმპიურ თამაშებში მიაღწია, ეს იყო პირველი საერთაშორისო სპორტული ღონისძიება, რომელშიც სსრ კავშირმა მიიღო მონაწილეობა. ბრწყინვალე გამარჯვებას მიაღწიეს ქართველმა მოჭიდავეებმა. მძიმე წონაში ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი გახდა არსენ მეკოკიშვილი.

ქართველი სპორტსმენები დიდი წარმატებით გამოდიოდნენ სხვადასხვა საერთაშორისო ასპარეზობებზე. უნდა აღინიშნოს, რომ 1952 წლიდან 1996 წლამდე გამართულ ოლიმპიურ თამაშებში საქართველოს სპორტსმენებმა სხვადასხვა სახეობებში 36 ოქროს, 28 ვერცხლის და 43 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. უდიდესი მიღწევები აქვთ ჩვენი ქვეყნის მოასპარეზეებს მსოფლიო ჩემპიონატებშიც, სადაც 1946 წლიდან იღებენ მონაწილეობას და 28 სახეობაში 140 ოქროს მედალი, 79 ვერცხლის და 78 ბრინჯაო აქვთ მოპოვებული.

საქართველოს ოლიმპიურ და მსოფლიო ჩემპიონთა შორის აღსანიშნავია: ქართველ სპორტსმენთა შორის პირველი მსოფლიო ჩემპიონი ლეგენდარული გივი კარტოზია, ოლიმპიური და მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში; ავთანდილ ქორიძე – ამავე სახეობის ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონი; რომან რურუა – ბერძნულ-რომაული სტილის ჭიდაობაში ოლიმპიური და ოთხგზის მსოფლიოს ჩემპიონი; ვახტანგ ბლაგიძე – ოლიმპიური და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, მსოფლიო თასის მფლობელი და ევროპის ორგზის გამარჯვებული ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში; ლევან თედიაშვილი – თავისუფალ ჭიდაობაში ორგზის ოლიმპიური და ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონი; დავით გობეჯიშვილი – ოლიმპიური და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი თავისუფალი სტილით ჭიდაობაში; ზურაბ საკანდელიძე – ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონი კალათბურთში; ქეთევან ლოსაბერიძე – ოლიმპიური და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, მსოფლიოს ხუთგზის რეკორდსმენი მშვილდოსნობაში; ნინო სალუქვაძე – ოლიმპიური და მსოფლიოს ექვსგზის ჩემპიონი ტყვიის

სროლაში, ექვსგზის რეკორდსმენი; არსენ მეკოკიშვილი – ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონი თავისუფალი სტილით ჭიდაობაში; გალინა შარაბიძე – ტანვარჯიშში ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონი; ვლადიმერ აფციაური – ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონი ფარიკაობაში; ალექსანდრე ანპილოგოვი – ხელბურთელი, ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონი; ვიქტორ სანეევი – მძლეოსანი, სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი სამხტომში; რობერტ შავლაყაძე – მძლეოსანი, ოლიმპიური ჩემპიონი სიმაღლეზე ხტომაში; აღსანიშნავია აგრეთვე, ჩოგბურთელი ალექსანდრე მეტრეველი, რომელიც ოცდაერთგზის იყო ევროპის პირველობის გამარჯვებული და ძიუდოისტი ანზორ კიკნაძე – ცხრაჯერ ევროპის ჩემპიონი, მოკრივე გიორგი კანდელაკი – ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი სუპერ-მძიმე წონაში, მსოფლიო ჩემპიონი WBU (world boxing union) ვერსიით.

მათ გარდა 1952 წლიდან დღემდე ოლიმპიური ჩემპიონები გახდნენ: ტანმოვარჯიშეები: მედეა ჯუღელი (პირველი ქალი ოლიმპიური ჩემპიონი), ვლადიმერ გოგოლაძე; ფრენბურთელი ვაჟა კაჭარავა, კალათბურთელი მიხეილ ქორქია, ფეხბურთელი გელა კეტაშვილი, ნიჩბოსანი ვიქტორ კრატასიუკი; მოჭიდავეები: დავით ციმაკურიძე (პირველი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი), მირიან ცალქალამანიძე, ლერი ხაბელოვი, მანუჩარ კვირკველია, რევაზ მინდორაშვილი, ვლადიმერ ხინჩეგაშვილი; ძალოსნები: რაფაელ ჩიმიშკიანი, გიორგი ასანიძე, კახი კახიაშვილი, ლაშა ტალახაძე; ძიუდოისტები: შოთა ჩოჩიშვილი, შოთა ხაბარელი, დავით ხახალეიშვილი, ლაშა შავდათუაშვილი, ირაკლი ცირეკიძე, ზურაბ ზვიადაური (პირველი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში); მოფარიკავე ნუგზარ ასათიანი.

1960-იანი წლებიდან უდიდეს წარმატებას აღწევს ქართული საჭადრაკო სკოლა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ქალ მოჭადრეკათა დამსახურება ქართული სპორტის ისტორიაში. ნონა გაფრინდაშვილი 1962-1978 წლებში ხუთჯერ გახდა მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მფლობელი, მის შემდეგ მაია ჩიბურდანიძე ხუთჯერ ხდება ამ წოდების მფლობელი. მსოფლიოში ცნობილნი არიან ქართული საჭადრაკო სკოლის ბრწყინვალე წარმომადგენლები, გროსმაისტერები: ნანა ალექსანდრია, ნანა იოსელიანი, ნინო გურიელი, ქეთევან არახამია. მათ საქმეს წარმატებით აგრძელებენ ახალგაზრდა მოჭადრაკეები: ნანა ძაგნიძე, ბელა ხოტენაშვილი, ლელა ჯავახიშვილი, სალომე მელია, ნინო ბაციაშვილი, მერი არაბიძე, ქეთი წაწალაშვილი, სოფიკო ხუხაშვილი, ნინო ხომერიკი, სოფო გვეტაძე, თეა ლანჩავა და სხვ. საერთაშორისო ტურნირებში წარმატებით ასპარეზობდნენ მოჭადრაკე ვაჟებიც, გროსმაისტერები ბუხუტი გურგენიძე, გია გიორგაძე, რომან ჯინჯიხაშვილი, თამაზ გიორგაძე, ელიზბარ უბილავა, ზურაბ აზმაიფარაშვილი, იგორ ეფიმოვი, გენადი ზაიჩიკი და სხვ.

საქართველოში ყოველთვის განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა ჭიდაობის ყველა სახეობა, კალათბურთი, ხელბურთი, რაგბი, მაგრამ ფეხბურთს გამორჩეული ადგილი უჭირავს.

ფეხბურთი

საქართველოში ფეხბურთის ისტორია XX საუკუნის დასაწყისში ქალაქ ფოთიდან იწყება, თუმცა არსებობს ვერსია, რომ სპორტის ეს სახეობა ქართველებმა ჯერ კიდევ XIX საუკუნის 60-იან წლებში გაიცნეს. ზოგიერთის ვარაუდით, ფეხბურთს პირველად 1864 წელს ფოთის შუქურას მშენებელი ინგლისელი ინჟინრები თამაშობდნენ შესვენების დროს. სხვა ვერსიით კი, ფოთელებმა პირველად პორტში ნახეს ბურთით როგორ ირთობდნენ თავს ინგლისელი მეზღვაურები. რომელი ვერსიაც არ უნდა იყოს ჭეშმარიტი, ორივე შემთხვევაში ფეხბურთის შემოსვლა საქართველოში დიდ ბრიტანეთს უკავშირდება.

1905-1907 წლებში, ნავსადგურის ამოქმედების შემდეგ, ფოთის პორტის საშუალებით საქართველოში ინგლისელმა ვაჭრებმა იწყეს შემოსვლა. მათ შორის იყო ყოფილი ფეხბურთელი და მარგანეცის კონცერნის წარმომადგენელი ოსკარ ზივერტი. 1907 წელს მან შეკრიბა ფეხბურთის მოყვარულთა პირველი გუნდი საქართველოში. ის არა მარტო მფარველობდა გუნდს, ფეხბურთელებისთვის შემოჰქონდა ბუცები და ბურთი, არამედ თვითონაც თამაშობ-

და მათთან ერთად. ოსკარ ზივერტის გუნდის წევრები იყვნენ ქართული ფეხბურთის პირველი მერცხლები: ალექსანდრე კაჭარავა, ვიქტორ რურუა, ვიაჩესლავ ობიანსკი, ვანიჩკა დიდია, ვლადიმერ პაიჭაძე, რუბენ ალხაზოვი, შერე ქავთარაძე.

მამის წამოწყებული საქმე შვილმა ედვარდ ზივერტმა გააგრძელა, რომელიც ფოთის საფეხბურთო გუნდ „ურანში“ თამაშობდა 1920-იან წლებში. მან გუნდისთვის ინგლისიდან გამოიწერა ფეხბურთის ფორმა და ბუცები, მაგრამ როდესაც გემი ფოთში ჩამოვიდა ქალაქის ხელმძღვანელობამ ამ საჩუქრის მიღებაზე უარი განაცხადა. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ფოთელმა ფეხბურთელებმა ეს გზავნილი მაინც მიიღეს. ინგლისელებმა ღამით ტვირთი მაშველი რგოლებით ჩაუშვეს ზღვაში, საიდანაც „ურანის“ წევრებმა ნაპირზე ნავებით გადაიტანეს.

მალე ფოთში სხვა მოყვარულთა საფეხბურთო გუნდებიც გამოჩნდა. კაპიტან კოლია გოგინავას გუნდ „უნიტაში“ თამაშობდნენ: გრიგოლ ხორავა, შალიკო დარჩია, გოგი გოგინავა, იონა რურუა, გრიგოლ ღოღობერიძე, ვალოდია ცომაია, ეფრემ ლაითაძე (პაპაშა), პეტია ლუკიანსკი, ლადო გაბუნია, მოგვიანებით მათ შეემატა ვანო მიქაძე (სუხუმსკი). 1913 წელს ფოთის მეორე ვაჟთა გიმნაზიაში შეიქმნა ქართველებით დაკომპლექტებული გუნდი „კოლხიდა“.

ფოთიდან ფეხბურთი სწრაფად იწყებს გავრცელებას საქართველოს სხვა ქალაქებში: თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, ზესტაფონსა და სხვ. თბილისში პირველი ოფიციალური კლუბი „კომეტა“ 1907 წლის 23 თებერვალს ჩამოყალიბდა. საკუთარი ფორმა, სახსრები, წესდება და მოედანიც ჰქონდა. იმის გამო, რომ სხვა საფეხბურთო კლუბების დაარსების უფრო ადრეული დოკუმენტი არ მოიპოვება, ეს თარიღი მიჩნეულია ქართული ფეხბურთის ოფიციალურ დაარსების დღედ.

სპორტის ამ სახეობის ქართული ტერმინი 1920 წელს გაჩნდა. ქართველ მეცნიერთა რვაკაციანმა ჯგუფმა პირველ დარგობრივ ლექსიკონში („რუსულ-ქართული ტექნიკური ლექსიკონი (სიტყვარი) საშევარდნო ტანვარჯიშის ტერმინოლოგიის დამატებით“) რუსულ ტერმინს „футбол“ ქართული შესატყვისი „ფეხბურთი“ მოარგო.

ქართული ფეხბურთის მთელი ისტორიის ერთ-ერთი მთავარი მოვლენა თბილისის დინამოს დაარსება იყო. ამ კლუბმა ქვეყანას ყველაზე დიდი წარმატება მოუტანა სსრ კავშირშიც და საერთაშორისო ასპარეზზეც. თბილისში სპორტსაზოგადოება „დინამოს“ ხელმძღვანელობის ინიციატივით 1925 წლის შემოდგომაზე შეიქმნა საფეხბურთო გუნდი „დინამო“. ახლად შექმნილი გუნდის პირველი ამხანაგური თამაში 1926 წლის 6 იანვარს ბაქოში გაიმართა.

თავდაპირველად თბილისის „დინამო“ ქალაქის პირველობაზე მეორე ჯგუფში გამოდიოდა, მაგრამ მალე დინამოელებმა პირველ ჯგუფში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს. სპორტსაზოგადოების ხელმძღვანელებმა გაძლიერების მიზნით გუნდი ახალგაზრდა ნიჭიერი ფეხბურთელებით შეავსეს. ესენი იყვნენ: ა. ფოჩხუა, ნ. ქოიავა, ა. გალპერინი, ვ. ამკობაძე, ვ. ცომაია, ა. გონელი, ნ. ბლანკმანი, დ. ქსენოფონტოვი, გ. თედეევი, ვ. შებოლდაევი და სხვ. დინამოელთა პირველი კაპიტანი გახდა ანდრო ჟორდანია.

1936 წელი ისტორიული თარიღია ქართული ფეხბურთის ისტორიაში. თბილისის „დინამოს“ დებიუტი საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში წარმატებული გამოდგა, გუნდმა მესამე საპრიზო ადგილი მოიპოვა. 1937 წელს თბილისის დინამო“ პირველ საერთაშორისო მატჩს ატარებს ბასკეთის ნაკრებთან.

1940-იან წლებში ქართულ ფეხბურთში ახალი ვარსკვლავები გამოჩნდნენ: ბორის პაიჭაძე, ავთანდილ ღოღობერიძე, გაიოზ ჯეჯელავა, ნიაზ ძიაპშიპა, ანდრეი ზაზროევი, ვლადიმერ ელოშვილი, ავთანდილ ჭკუასელი, ვლადიმერ მარღანია, გიორგი ანთაძე და სხვ.

ბორის პაიჭაძე ყველა დროის ერთ-ერთ უდიდეს ქართველ ფეხბურთელადაა აღიარებული. ის თბილისის „დინამოს“ შემადგენლობაში 1936-57 წლებში თამაშობდა, იყო საბჭოთა კავშირის ორგზის ვიცე-ჩემპიონი, ოთხგზის ბრინჯაოს პრიზიორი. 1944 წელს მიენიჭა სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატის, ხოლო 1974 წელს საქართველოს ფიზიკური კულტუ-

რისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწის წოდება. 1988 წელს ბორის პაიჭაძე თბილისის საპატიო მოქალაქე გახდა. ის არის საპატიო ნიშნის, შრომის წითელი დროშის და ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენის კავალერი. მისი სახელი ქვია ყველაზე დიდ სტადიონს საქართველოში – თბილისის „დინამოს“, საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრების და საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრების მოედანს თბილისი – „ბორის პაიჭაძის სახელობის დინამო არენა“.

ქართული ფეხბურთის ერთ-ერთი უდიდესი მოთამაშე ავთანდილ ღოღობერიძე 1945-61 წლებში იცავდა თბილისის დინამოს ღირსებას. იყო სსრკ ეროვნული ნაკრების წევრიც. 1951 წელს მიენიჭა სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება. რვაჯერ დასახელდა სსრ კავშირის წლის 33 საუკეთესო ფეხბურთელთა შორის. უმაღლეს ლიგაში ჩატარებული თამაშებისა და გოლების მიხედვით ავთანდილ ღოღობერიძე თბილისის „დინამოს“ რეკორდსმენი იყო. 1951-54 წლებში დაასახელეს სსრკ ჩემპიონატების ორგზის საუკეთესო ბომბარდირად. მოგვიანებით, ავთანდილ ღოღობერიძე თბილისის „დინამოს“ და „ლოკომოტივის“ მწვრთნელი, ხოლო 1962-65 წლებში თბილისის „დინამოს“ გუნდის უფროსი იყო. მინიჭებული აქვს ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენის კავალერის წოდება.

1960 წელს ქართველი ფეხბურთელები გივი ჩოხელი, სლავა მეტრეველი და მიხეილ მესხი სსრკ ნაკრების შემადგენლობაში ევროპის ჩემპიონები ხდებიან. ეს ქართული საფეხბურთო სკოლის პირველი დიდი მიღწევა იყო საერთაშორისო ასპარეზზე.

გივი ჩოხელი იყო თბილისის „დინამოს“ და სსრ კავშირის ნაკრების წევრი, რომლის შემადგენლობაშიც მან 19 მატჩი ჩაატარა. მან მონაწილეობა მიიღო 1960 წლის ევროპის ჩემპიონატში სსრკ ნაკრების შემადგენლობაში, სადაც ოქროს მედალი მოიპოვა. ასევე ითამაშა 1962 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე. გივი ჩოხელი არის 1964 წლის სსრკ ჩემპიონი „დინამოს“ შემადგენლობაში, რისთვისაც 1965 წელს მას მიენიჭა სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება. 1997 წელს გივი ჩოხელმა საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელის წოდება დაიმსახურა.

სლავა მეტრეველი ყველა დროის მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავთა შორის მოიხსენიება. ის გახდა პირველი ქართველი ფეხბურთელი, რომელმაც ფიფას მსოფლიო ნაკრების შემადგენლობაში ითამაშა. სლავა მეტრეველი იცავდა მოსკოვის „ტორპედოს“ და თბილისის „დინამოს“ ღირსებას სსრკ ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში, იყო სსრკ ჩემპიონატის ორგზის გამარჯვებული და თასის მფლობელი. სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაში მონაწილეობა აქვს მიღებული ორი მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში 1962 და 1966 წლებში. არის 1960 წლის ევროპის ჩემპიონი სსრკ ნაკრების შემადგენლობაში. სლავა მეტრეველი იყო 1968 წლის 6 ნოემბერს ბრაზილიაში „მარაკანას“ სტადიონზე გამართულ ბრაზილიასა და დანარჩენი მსოფლიოს ნაკრები გუნდების ისტორიული შეხვედრის მონაწილე. 1960 წელს ის გახდა სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი, 1964 წელს საქართველოს საუკეთესო სპორტსმენი. სლავა მეტრეველს 1976 წელს მიენიჭა საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელის ტიტული, 1996 წელს ღირსების ორდენის კავალერის წოდება.

მიხეილ მესხი მსოფლიო სპორტული პრესის აღიარებით ფენომენალური, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი თამაშის სტილითა და საფეხბურთო ტექნიკით გამოირჩეოდა. მან წარუშლელი კვალი დატოვა ქართული ფეხბურთის ისტორიაში. მსოფლიო საფეხბურთო სამყარომ ქართული ფეხბურთი მიხეილ მესხის და სლავა მეტრეველის ბრწყინვალე თამაშით გაიცნო. როგორც ფეხბურთელი, ის გამორჩეული სიყვარულითა და პოპულარობით სარგებლობდა ხალხში. მიხეილ მესხი შვიდჯერ იყო დასახელებული საბჭოთა კავშირის წლის 33 საუკეთესო ფეხბურთელთა შორის, ექვსჯერ აღიარეს სსრკ წლის საუკეთესო მარცხენა გარემარბად. 1965 წელს მიენიჭა სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება, არის საპატიო ნიშნის ორდენის და ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენის კავალერი. განსაკუთრებული დამსახურებისთვის ქართული ფეხბურთის განვითარებაში 2005 წელს თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონს მიხეილ მესხის სახელი ეწოდა. 2014 წელს სტადიონზე დაიდგა მიხეილ მესხის ძეგლი (მოქანდაკე გიორგი შხვაცაბაია).

თბილისის „დინამოს“ გარდა წარმატებას აღწევს ქუთაისის „ტორპედოც“. 1961 წელს გუნდმა საკავშირო ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში მონაწილეობის უფლება მოიპოვა. აღსანიშნავია, რომ პირველად სსრკ ფეხბურთის ჩემპიონატების ისტორიაში ერთდროულად ორი ქართული გუნდი, თბილისის „დინამო“ და ქუთაისის „ტორპედო“ ასპარეზობდა.

ქართული ფეხბურთის ტრიუმფი იყო 1964 წელს თბილისის „დინამოს“ მიერ საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ტიტულის მოიპოვება. „ოქროს მატჩში“ საქართველოს ღირსებას იცავდნენ: შოთა იამანიძე (კაპიტანი), მიხეილ მესხი, სლავა მეტრეველი, ჯემალ ზეინკლიშვილი, ბორის სიჭინავა, სერგო კოტრიკაძე, ვახტანგ რეხვიაშვილი, გიორგი სიჭინავა, ვლადიმერ ბარქაია, გურამ ცხოვრებოვი და ილია დათუნაშვილი. „ოქროს გუნდის“ მთავარი მწვრთნელი იყო გავრიილ კაჩალინი.

1960-იან და 1970-იან წლებში ქართულ და საბჭოთა ფეხბურთში უდიდესი კვალი დატოვეს მურთაზ ხურცილავამ (სსრკ ნაკრების კაპიტანი), რევაზ ძოძუაშვილმა, კახი ასათიანმა, ვლადიმერ ბარქაიამ, სერგო კუტივაძემ, რამაზ ურუშაძემ, გურამ პეტრიაშვილმა, გოჩა გავაშელმა, გივი და ლევან ნოდიებმა, ფირუზ კანთელაძემ, შოთა ხინჩაგაშვილმა, დავით გოგიამ, თამაზ სტეფანიამ და სხვ.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ თბილისის „დინამოს“ ყველა დიდი წარმატება ნოდარ ახალკაცის სახელს უკავშირდება, რომლის მოსვლით გუნდში ახალი ფურცელი იშლება ქართულ ფეხბურთის ისტორიაში.

ქართული ფეხბურთის განვითარება წარმოუდგენელია ნოდარ ახალკაცის გარეშე. მან მთელი ეპოქა შექმნა ფეხბურთში და ისტორიაში შევიდა, როგორც ყველა დროის საუკეთესო მწვრთნელი. თბილისის „დინამოს“ მთავარ მწვრთნელად ის 1976 წელს დაინიშნა, სწორი ტაქტიკური და სტრატეგიული დაგეგმვით მან არნახული წარმატება მოუტანა გუნდს.

ნოდარ ახალკაცი „დინამოს“ 1976-83 და 1985-86 წლებში ხელმძღვანელობდა. ამ წლებში მოიპოვა თბილისის „დინამომ“ სსრ კავშირის პირველობის ოქროს და ვერცხლის მედლები, ხოლო 1978 წელს გახდა სსრკ თასის მფლობელი. 1981 წლის 13 მაისს პირველად გუნდის და საერთოდ საქართველოს ისტორიაში, „დინამო“ უეფას თასების მფლობელთა თასს დაეუფლა. ფეხბურთის განვითარებაში შეტანილი დიდი წვლილისთვის ნოდარ ახალკაცმა ფიფას ჯილდო დაიმსახურა.

იმ პერიოდის დინამოს შემადგენლობაში თამაშობდნენ საყოველთაოდ აღიარებული ფეხბურთელები: მანუჩარ მაჩაიძე, ოთარ გაბელია, დავით ყიფიანი, ალექსანდრე ჩივაძე, შოთა ხინჩაგაშვილი, დავით გოგია, რამაზ შენგელია, ვახტანგ ქორიძე, ვიტალი დარასელია, ვლადიმერ გუცაევი, თენგიზ სულაქველიძე, რევაზ ჩელებაძე, თამაზ კოსტავა, გოჩა მაჩაიძე, ფირუზ კანთელაძე, ნოდარ ხიზანიშვილი, ზაურ სვანაძე და სხვ.

1986 წელს კიდევ ერთი ქართული გუნდი ასპარეზობს სსრ კავშირის უმაღლეს ლიგაში. პირველად სსრკ ჩემპიონატში, თბილისის „დინამოს“ გარდა, მონაწილეობს ლანჩხუთის „გურია“. 1924 წელს დაარსებულმა გუნდმა პირველ წარმატებას 1961 წელს მიაღწია, ის რესპუბლიკის ჩემპიონი გახდა. ეს საპატიო ტიტული მან კიდევ ორჯერ, 1966 და 1971 წლებში მოიპოვა. ლანჩხუთის „გურია“ საქართველოს თასის მფლობელი იყო 1965, 1966 და 1971 წლებში.

სსრკ პირველი ლიგაში თამაშობდა ქუთაისის ტორპედო და ბათუმის დინამო. 1989 წელს სსრკ მეორე ლიგაში ასპარეზობდნენ გორის, ოზურგეთის, ფოთის, რუსთავის, სამტრედიის და ხობის გუნდები, აგრეთვე თბილისის „შევარდენი“.

1990 წელს, ჯერ კიდევ სსრ კავშირის დაშლამდე, ქართულმა ფეხბურთმა დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ის პირველი იყო საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებს შორის, რომელმაც დატოვა საბჭოთა კავშირის ფეხბურთის ფედერაცია. 1990 წლის 15 თებერვალს თბილისში, ჭადრაკის სასახლეში ჩატარდა ყრილობა, რომელზეც დაარსდა საქართველოს დამოუკიდებელი ფეხბურთის ფედერაცია. პირველ პრეზიდენტად არჩეული იყო ნოდარ ახალკაცი.

1990 წლის 30 მარტს თბილისის დინამოს სტადიონზე შედგა საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატის პირველი ოფიციალური თამაში. ამ ისტორიულ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის „იბერია“ („დინამო“) და ფოთის „კოლხეთი-13“.

სახელმწიფოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართველო მსოფლიო საფეხბურთო სამყაროს შემადგენელი ნაწილი ხდება. 1992 წლიდან საქართველო ფიფას და უეფას სრულუფლებიანი წევრია, ხოლო 1993 წლიდან ქართული საფეხბურთო კლუბები ევროპის საკლუბო ტურნირებში იღებენ მონაწილეობას. 1994 წლიდან საქართველოს ეროვნული და სხვადასხვა ასაკობრივი ნაკრებები ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატების შესარჩევ ეტაპებზე ასპარეზობენ.

ძველი თაობის საფეხბურთო ელიტის დაწყებულ საქმეს 1990-იანი წლებიდან დღემდე წარმატებით აგრძელებდნენ და აგრძელებენ ქართულ თუ უცხოურ საფეხბურთო კლუბებში მოთამაშე ფეხბურთელები: კახა კალაძე, გიორგი ქინქლაძე, თემურ ქეცბაია, შოთა არველაძე, კახაბერ ცხადაძე, მურთაზ შელია, ლევან კობიაშვილი, ალექსანდრე იაშვილი, არჩილ არველაძე, რევაზ არველაძე, ლევან ცქიტიშვილი, ზურაბ ხიზანიშვილი, მიხეილ ყაველაშვილი, გიორგი დემეტრაძე, ოთარ ხიზანეიშვილი, რატი ალექსიძე, გიორგი გახოკიძე, ჯაბა კანკავა, გურამ კაშია, ლევან ყენია, ლევან მჭედლიძე, თორნიკე ოქრიაშვილი, საბა კვირკველია, ჯანო ანანიძე, ვაკო ყაზაიშვილი, გიორგი ჩაკვეტაძე, ვაკო გვილია, ლაშა დვალი, გიორგი ლორია, გიორგი ჭანტურია, გიორგი ქვილითაია, ხვიჩა კვარაცხელია და სხვ.

დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრების მთავარი მწვრთნელები იყვნენ: გივი ნოდია, გიგა ნორაკიძე, ალექსანდრე ჩივაძე, ვლადიმერ გუცაევი, დავით ყიფიანი, გიგლა იმნაძე, იოჰან ბოსკამპი (ნიდერლანდები), რევაზ ძოძუაშვილი, ივო შუშაკი (ხორვატიის რესპუბლიკა), მერაბ ჟორდანია, გოჩა ტყებუჩავა, ალენ ჟირესი (საფრანგეთის რესპუბლიკა), გაიოზ დარსაძე, კლაუს ტოპმიულერი (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა), პეტარ სეგრტი (ხორვატიის რესპუბლიკა), ექტორ კუპერი (არგენტინის რესპუბლიკა), თემურ ქეცბაია, კახაბერ ცხადაძე, ვლადიმერ ვაისი (სლოვაკეთის რესპუბლიკა), ვილი სანიოლი (საფრანგეთის რესპუბლიკა).

ჭიდაობა

ჭიდაობას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქართულ სპორტში. ეს უძველესი სახეობა ყოველთვის დიდი პოპულარობით სარგებლობდა როგორც სოფლად ასევე ქალაქებშიც. მის გარეშე არცერთი დღესასწაული არ ტარდებოდა. ფალავნების გამოსაცდელად გამართულ ტურნირებს ყოველთვის უამრავი ხალხი ესწრებოდა.

სპორტული ორთაბრძოლის ამ უძველესი ეროვნული სახეობის შესახებ არა ერთი ცნობა მოიპოვება ისტორიულ წყაროებში. სპორტის ამ სახეობის მნიშვნელობაზე მეტყველებს XV საუკუნის რელიეფი, რომელიც ალავერდის ტაძრის დასავლეთის შესასვლელს ამკობს. XVII-XIX საუკუნეების წყაროები ფასდაუდებელ ინფორმაციას შეიცავენ ქართული ჭიდაობის წესების, ცალკეული ასპარეზობების, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გავრცელებული ჭიდაობათა ნაირსახეობების: რაჭული „ლოჯურის“, იმერული „საბეჭურით ჭიდაობის“, მეგრული „ოგორდიას“, სვანური „ლიბრგიელის“, მთიულური „იღლიღორას“, ხევსურული „მოშ და მოშის“ და სხვ. შესახებ.

თავდაპირველად ქართული ჭიდაობა სოფლად იყო გავრცელებული, მაგრამ XIX საუკუნიდან ის ქალაქებშიც თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, გორში, ფოთში, თელავში მკვიდრად იკიდებს ფეხს. თბილისში თითქმის ყველა უბანში იყო გამართული საჭიდაო „კრუგები“. მთაწმინდაზე, დიდუბეში, ავლაბარში, ფიქრის გორაზე, ხუდადოვის ტყეში ასპარეზობდნენ ცნობილი ფალავნები: დათა ხიზამბარელი, ნესტორ ესებუა, კულა გლდანელი, კოსტა მაისურაძე, იოსებ ცერაძე, დათა ავლაბრელი, ვანო ქიზიყელი (კამბეჩუა), ალექსანდრე ეგნატაშვილი, ვანო მიდელაური, სანდრო კანდელაკი, ირაკლი კახელი, შაშო და გიორგი ვერელები, კოლია ქვარიანი, გიორგი ჯიბგირი და სხვ.

წინათ ქართულ ჭიდაობას ამ სპორტში დახელოვნებული მასწავლებელი ასწავლიდა, რომელსაც „ჩოხების შემნახველს“ უწოდებდნენ. სწორედ მის მოვალეობაში შედიოდა ჭიდაობის პატრონობა. ის აწყობდა შეჯიბრებებს, ინახავდა საჭიდაო ჩოხებს, უვლიდა და აწესრიგებდა საჭიდაო მოედანს. ასპარეზობის გასამართად უმთავრესად უქმე დღეებს არჩევდნენ. საჭიდაო წრეში წესრიგის დამყარება საგანგებოდ შერჩეული ახალგაზრდა ბიჭების მოვალეობას შეადგენდა, რომლებიც სახრეებით ხელში თვალყურს ადევნებდნენ, რომ მაყურებლები წრეში წინ არ წამოწეულიყვნენ. ჭიდაობას წარმართავდა შუამავალი მსაჯი. შეჯიბრს მოზარდები იწყებდნენ, რომელთაც ჭაბუკები ცვლიდნენ. ასპარეზობას აგვირგვინებდნენ გამოცდილი ფალავნები. ჭიდაობას თან ახლავს მუსიკალური აკომპანიმენტი, რომელიც ქართული ჭიდაობის განუყოფელი ნაწილია. მოჭიდავის მოძრაობა – შემართული მკლავებით მისვლა, მიხვრა-მოხვრა, ბრძოლის ტემპი თანხვედრაშია მუსიკის რიტმთან და ამით ქართული ჭიდაობა ცეკვას ემსგავსება.

ქართულ ჭიდაობაში 200-მდე ილეთი და კონტრილეთია ცნობილი. ჭიდაობენ წელში გამართულნი. ილეთები სწრაფი, ელვისებურია. მკაცრად იკრძალება მტკივნეული და მახრჩობელა ფანდების გამოყენება, ფეხებში ხელის ჩავლება, წაქცეულ ან დაჩოქილ მოწინააღმდეგეზე მისვლა, მისი ძალის გამოყენებით წამოყენება, სარბიელიდან გაქცევა. უნდა აღინიშნოს, რომ ქართული ჭიდაობის ილეთები ჭიდაობის სხვა სახეობებში: ძიუდოში, სამბოში, ბერძნულ-რომაულ და თავისუფალ ჭიდაობაშია დამკვიდრებული.

მთელი მსოფლიო იცნობს და პატივს სცემს ჭიდაობის ისეთ კორიფეებს, როგორებიც არიან გივი კარტოზია, ვახტანგ ბალავაძე, მირიან ცალქალამანიძე, დავით ციმაკურიძე, რომან რურუა, ლევან თედიაშვილი, ავთანდილ ქორიძე, ვლადიმერ რუბაშვილი, შოთა ჩოჩიშვილი, შოთა ლომიძე, ვარლამ ლიპარტელიანი, ირაკლი ცირეკიძე, ზურაბ ზვიადაური, დავით გობეჯიშვილი, ლერი ხაბელოვი, შოთა ხაბარელი, ვახტანგ ბლაგიძე, ლაშა შავდათუაშვილი, დავით ხახალეიშვილი, მანუჩარ კვირკველია, რევაზ მინდორაშვილი, ლაშა ბექაური, გურამ თუშიშვილი, ბექა ღვინიაშვილი, ავთანდილ ჭრიკიშვილი, გენო პეტრიაშვილი, ტოჩინოშინი (ლევან გორგაძე) და სხვ.

კალათბურთი

ქართული კალათბურთის ისტორია მე-20 საუკუნის 20-იანი წლებიდან იწყება, როდესაც ინდუსტრიული ინსტიტუტის თანამშრომელმა ალექსანდრე ჭელიძემ „მუშფაკის“ (Всенародное военное обучение) ეზოში (ახლანდელი უშანგი ჩხეიძის ქუჩა) კალათბურთის სათამაშო პირველი მოედანი მოაწყო, სადაც პირველი ოფიციალური მატჩი გაიმართა 1923 წელს. პირველ კალათბურთელთა რიგებში იყვნენ: მიხეილ ცხვედაძე, გიორგი საყვარელიძე, მიხეილ იზაშვილი, ბორის გერასიმოვი, ალექსანდრე დავიდოვი და სხვ. 1925 წელს თბილისის ჩემპიონატი მოიგო საკალათბურთო გუნდმა „სინათლემ“. ამ გუნდის კაცთა და ქალთა გუნდების გამარჯვებით დასრულდა საქართველოს პირველი ჩემპიონატიც ქ. ქუთაისში (1927 წ.). თბილისისა და ქუთაისის გარდა საკალათბურთო გუნდები ჩამოყალიბდა ბათუმსა და აფხაზეთში. 1930-იანი წლების დასაწყისში საქართველოში რამდენიმე საკმაოდ ძლიერი გუნდი იყო, სადაც თამაშობდნენ: ლევან ფალავანდიშვილი, ვლადიმერ და რობერტ მდივნები, ვახტანგ ციციშვილი, არჩილ წერეთელი, ლეონიდ ძეკონსკი, შალვა ყიასაშვილი, გიორგი ავალიშვილი, შალვა დიასამიძე, სურენ ოგანეზოვი და სხვ. 1934 წელს ჩვენი გუნდები ჩაებნენ სსრკ ჩემპიონატში. 1944 და 1946 წლებში სსრკ ჩემპიონი გახდა თბილისის ოფიცერთა სახლის გუნდი, რომლის წევრებიც იყვნენ უკვე ცნობილი კალათბურთელები: ნოდარ ჯორჯიკია, ლეონიდ ძეკონსკი, ბორის სარქისოვი, გივი ახვლედიანი, მიხეილ ფილიპოვი, ოთარ სულაბერიძე და სხვ. შემდეგ წლებში ქართული კალათბურთის ლიდერი გახდა თბილისის „დინამო“, რომელმაც 1950, 1953, 1954 და 1968 წლებში მოიპოვა სსრკ ჩემპიონობა, ხოლო !949, 1950, 1951 და 1969 წლებში – სსრკ თასი. 1962 წელს თბილისის „დინამომ“ ფინალში დაამარცხა მადრიდის „რეალი“ და დამსახურებულად მოიპოვა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი (მთავარი მწვრთნელი ოთარ ქორქია).

ცალკე გამოყოფის ღირსია ქუთაისის საკალათბურთო სკოლა, რომელსაც 1950-70-იან წლებში სათავეში ედგა სახელოვანი მწვრთნელი და მოქალაქე სულიკო თორთლაძე, რომელიც თბილისის „დინამოს“ შემადგენლობაში იყო სსრკ ჩემპიონი და თასის მფლობელი. მან საქართველოს აღუზარდა ორი ოლიმპიური ჩემპიონი (ზურაბ საკანდელიძე და მიხეილ ქორქია), ორი მსოფლიოს ჩემპიონი (ზურაბ საკანდელიძე, ნიკოლოზ დერიუგინი), თბილისის „დინამოს“ წამყვანი კალათბურთელები გელა დარსაძე და ზურაბ გრძელიძე, აგრეთვე ქუთაისის კოლორიტული სპორტსმენები და ადამიანები, როგორებიც იყვნენ: ზაურ ჩარკვიანი, დათო ქელბაქიანი (პაპუჩია), გივი ხაზარაძე, ზაურ ტყეშელაშვილი, მურმან ხაჭაპურიძე, ცეზარ და ნესტორ (ოლნესტი) ჩოგოვაძეები, ვაჟა იმნაძე, ვაჟა მხეიძე, ანზორ საკანდელიძე, გურამ საკანდელიძე, ზურაბ მხეიძე, გერასიმე ჭეიშვილი, თამაზ ვაშაკიძე, იური სანიკიძე, თამაზ ჩიხლაძე, გენო გოგლიჩიძე, თერმურ ჭაჭიაშვილი, როლანდ გურეშიძე, პალიკო ყიფიანი, თამაზ ხმელიძე, თემურ ნემსაძე, თემურ კოხრეიძე, გოგილო სამხარაძე, დათო თვალთაძე და სხვ.

სულიკო თორთლაძის პარალელურად ქართველი კალათბურთელების აღზრდაში დიდი წვლილი მიუძღვით მწვრთნელებს: გიორგი ავალიშვილს, ლეონიდ ძეკონსკის, შალვა დიასამიძეს, მიხეილ კეკელიძეს, გერონტი ბაბახანიდს, გრიგოლ მეუნარგიას, ალექსანდრე მესხს, ოთარ ქორქიას, ლევან ინწკირველს, ლევან მოსეშვილს, მერაბ კეკელიძეს, თამაზ კაკაურიძეს, ზაურ დოლაბერიძესა და სხვ.

ქართველ კალათბურთელებს სსრკ ნაკრების შემადგენლობაში არაერთ საერთაშორისო ტურნირში გაუმარჯვიათ, მათ შორის ოლიმპიურ თამაშებში (ზურაბ საკანდელიძე, მიხეილ ქორქია), მსოფლიოს (ზურაბ საკანდელიძე, ნიკოლოზ დერიუგინი) და ევროპის (ოთარ ქორქია, ნოდარ ჯორჯიკია, გურამ მინაშვილი, ვლადიმერ უგრეხელიძე, ზურაბ საკანდელიძე, ამირან სხიერელი, სერგო კოვალენკო, მიხეილ ქორქია, ნიკოლოზ დერიუგინი) ჩემპიონატებში. აღსანიშნავია, რომ 1958-1972 წლებში საქართველოს ოთხჯერ ეწვია კალათბურთის მექის აშშ-ის კაცთა და ქალთა სამოყვარულო ნაკრებები.

გარდა ზემოთ ნახსენები მოთამაშეებისა, ქართულ კალათბურთზე საუბრისას შეუძლებელია არ მოვიხსენიოთ ისეთი დიდებული კალათბურთელები, როგორებიც იყვნენ: ანზორ ლეჟავა, ილარიონ ხაზარაძე, რეზო გოგელია, ალექსანდრე კილაძე, ლევან ინწკირველი, ალექსანდრე გლურჯიძე, ვალერი ალთაბაევი, თამაზ ჩიხლაძე, გივი ბიჭიაშვილი, სერგო მაღალაშვილი, ვალერი ლომაძე, ლევან ჩხიკვაძე, ბესო ლიპარტელიანი, იური ძიძიგური, იური პულავსკი, ნოდარ ქორქია, ანტონ კაზანჯიანი, ზურაბ ქარაბაკი, გიორგი ჯუღელი, რამაზ მანაგაძე, გია სანაძე, ლევან გულდედავა, პაატა გურასპაული, თენგიზ ფიცხელაური, ვახტანგ ნაცვლიშვილი, ვიქტორ სანიკიძე, ვლადიმერ ბოისა, გიორგი ცინცაძე, ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი, მამუკა ტურაშვილი, გიორგი შერმადინი, ბექა ბურჯანაძე, ლევან ფაცაცია, თორნიკე შენგელია, გიორგი ცინცაძე, მანუჩარ მარკოიშვილი, ვაჟა ქუთათელაძე, დავით მაღალთაძე და სხვ.

დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ოქროს ასოებით შევიდა ზაზა ფაჩულია, რომელიც ორჯერ გახდა აშშ-ის ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის ჩემპიონი კლუბ „გოლდენ სტეიტის“ შემადგენლობაში. მის გარდა ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის სხვადასხვა გუნდებში თამაშობდნენ: ვლადიმერ სტეფანია, ნიკოლოზ ცქიტიშვილი, თორნიკე შენგელია, გოგა ბითაძე, სანდრო მამუკელაშვილი.

1930-იან წლებში შეიქმნა პირველი ქალთა გუნდები, რომელთაგან საუკეთესო იყო თბილისის „ბურევესტნიკი“ (1965-1966 წლებში სსრკ ჩემპიონატის მეორე პრიზიორი), რომელშიც გამოდიოდნენ: ელზა დურმიშიძე, ლიანა ქველიძე, ნელი ჯაფარიძე, ციალა ჯანელიძე, მედეა სურგულაძე, ალექსანდრა კოვზირიძე-რუსკინა და სხვ., ხოლო ალისა ასიტაშვილი სსრკ ნაკრებთან ერთად 1954, 1956 წლებში ორჯერ გახდა ევროპის ჩემპიონი.

1991 წელს დაფუძნდა საქართველოს კალათბურთის ფედერაცია, რომლის პრეზიდენტები იყვნენ: ალექსანდრე ჩხეიძე, ავთანდილ საყვარელიძე, გიორგი ქათამაძე, ბესიკ ლიპარტელიანი, მიხეილ გაბრიჩიძე, პაატა გურასპაული, ვიქტორ სანიკიძე.

რაგბი

საქართველოში რაგბის პირველი გუნდი 1959 წლის 15 ოქტომბერს დააფუძნა ფრანგმა იმიგრანტმა ჟაკ ასპეკიანმა პოლიტექნიკური ინსტიტუტის ბაზაზე. 1961 წლის ბოლოს გივი მრელაშვილის თაოსნობით შეიქმნა თბილისის რაგბის საქალაქო სექცია, რომელიც 1964 წელს თბილისის რაგბის ფედერაციად გადაკეთდა. თბილისის პირველი ჩემპიონატი ოთხი გუნდის მონაწილეობით 1962 წელს ჩატარდა და გამარჯვება მოიპოვა პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდმა. 1963 წელს თბილისში ჩატარდა პირველი საკავშირო ტურნირი – პროფკავშირების პირველობა, რომელშიც თბილისის „განთიადმა“ მესამე ადგილი დაიკავა. 1966 წელს გიორგი ყუფარაძისა და შალვა ქურციკიძის ძალისხმევით ქუთაისში დაარსდა რაგბის პირველი კლუბი „დინამო“, რომელმაც 1966 წელს სსრკ პირველ ჩემპიონატში მეორე ადგილი დაიკავა (მწვრთნელი გივი მრელაშვილი). 1967 წელს ეს გუნდი ტურნირზე გაემგზავრა პოლონეთში, სადაც სამი გამარჯვება მოიპოვა.

1968 წელს მეორე ქართულმა გუნდმა თბილისის „ლოკომოტივმა“ მესამე ადგილი დაიკავა სსრკ ჩემპიონატში, რომელიც შემდეგ კიდევ სამჯერ გაიმეორა (1972, 1978 და 1981 წლებში). 1980-იანი წლებიდან დაიწყო ქუთაისის „აიას“ აღმასვლა დუგლას კავთელაშვილის ხელმძღვანელობით – 1984 წელს ვერცხლის, 1985 ბრინჯაოს მედლები სსრკ ჩემპიონატში, ხოლო 1987, 1988 და 1989 წლებში სამჯერ ზედიზედ გახდა სსრკ ჩემპიონი, ხოლო ორჯერ (1987, 1990 წწ.) - თასის მფლობელი. ამ თაობის მორაგბეთა აღზრდაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს მწვრთნელებმა ნოდარ ყიფიანმა, გელა მიქაბერიძემ, გოგი ტონიამ, რამაზ სვანიძემ, ბათუ კევლიშვილმა, გურამ მოდებაძემ, მალხაზ ჭეიშვილმა, ლაშა გეგენავამ.

ამ წლებში საქართველოს გუნდებში და პარალელურად სსრ კავშირის ნაკრებში თამაშობდნენ: თამაზ მგელაძე, ვლადიმერ აბაშიძე, მიხეილ თუშიშვილი, ზურაბ ხარშილაძე, თემურ ბენდიაშვილი, მიხეილ ჯვარიძე, დავით კილასონია, მიხეილ ხარშილაძე, ავთანდილ გიორგაძე, ავთანდილ ღიბრაძე, ნუკრი წერეთელი, ვლადიმერ პეტუხოვი, რამაზ სანებლიძე, ოლეგ ლიპარტელიანი, გაიოზ მონიავა, ალექსანდრე ნაჭყებია, ბესარიონ ლილუაშვილი, თენგიზ ტურძელაძე, სერგო უგრეხელიძე, ნუგზარ ძაგნიძე, მამუკა ლოსაბერიძე, მალხაზ ჭეიშვილი, ზაზა ბაკურაძე.

1989 წელს შეიქმნა საქართველოს პირველი ეროვნული ნაკრები, რომელმაც 12 სექტემბერს ქ. ქუთაისში პირველ საერთაშორისო მატჩში დაამარცხა ზიმბაბვეს ნაკრები ანგარიშით 16:3. გუნდის მწვრთნელი იყო დავით კილასონია, კაპიტანი - ოლეგ ლიპარტელიანი.

1991 წლის 27 მაისს დაფუძნდა საქართველოს რაგბის კავშირი.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, 1992 წლის 27 თებერვალს რაგბის საერთაშორისო საბჭომ საქართველოს რაგბის კავშირი 52-ე წევრად მიიღო. ერთი წლის შემდეგ (პეზიდენტი ბიძინა გეგიძე) საქართველოს ნაკრები პირველად ჩაება მსოფლიოს თასის გათამაშების შესარჩევ ტურნირში. 1997 წელს ეროვნული ნაკრების მწვრთნელად დაინიშნა ფრანგი კლოდ სორელი. 2001 წელს საქართველოს ნაკრებმა მოიგო “ევროპის ერთა თასი”, რითაც ოფიციალურად გახდა ევროპის მეშვიდე გუნდი. 2002 წლის 13 ოქტომბერს თბილისში, ეროვნულ სტადიონზე, საქართველოს ნაკრებმა დაამარცხა რუსეთის ნაკრები და 2003 წლის მსოფლიოს თასის ფინალური ტურნირის საგზური მოიპოვა. ამით მორაგბეთა ნაკრები გახდა პირველი ქართული გუნდი სათამაშო სპორტის სახეობებიდან, რომელმაც მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ასპარეზობის უფლება მოიპოვა.

საქართველოს ნაკრები 2007, 2011, 2015 და 2019 წლების მსოფლიო თასის გათამაშების ჯგუფურ ეტაპზე მოხვდა. მათ შორის 2019 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე საკვალიფიკაციო ეტაპის გარეშე.

2023 წლის 20 მარტის მონაცემებით საქართველოს მორაგბეთა ნაკრები მსოფლიოს რეიტინგში მეთერთმეტე ადგილზეა.

ქართველი მორაგბეები წარმატებით ასპარეზობენ ქართულ და უცხოურ კლუბებში (ძირითადად საფრანგეთში) და მსოფლიო რაგბის ისტორიაში ანგარიშგასაწევ ძალას წარმოად-

გენენ. მათ შორის შეიძლება დავასახელოთ შემდეგი მორაგბეები: მამუკა გორგოძე, დავით კაჭარავა, მერაბ კვირიკაშვილი, ლაშა მალაღურაძე, დავით ზირაქიშვილი, ალექსანდრე თოდუა, ლაშა ხმალაძე, ზურაბ ჟვანია, მიხეილ ნარიაშვილი, ლევან ჩილაჩავა, მერაბ შარიქაძე, ვასილ ლობჟანიძე, გელა აფრასიძე, იოსებ მათიაშვილი, მერაბ შარიქაძე, შალვა მამუკელაშვილი, კოტე მიქაუტაძე, გიორგი თხილაიშვილი, შალვა სუთიაშვილი, დავით კილასონია, მალხაზ ურჯუკაშვილი, ირაკლი აბუსერიძე, ირაკლი კიზირია, ილია ზედგინიძე, გია ლაბაძე, ბესიკ ხამაშურიძე, გია რაფავა და სხვ.

საქართველოს რაგბის ნაკრების მთავარი მწვრთნელები იყვნენ: კლოდ სორელი (საფრანგეთი), მალხაზ ჭეიშვილი (საქართველო), ტიმ ლეინი (ახალი ზელანდია), რიჩარდ დიქსონი (შოტლანდია), მილტონ ჰეიგი (ახალი ზელანდია), ლევან მაისაშვილი (საქართველო).

1991 წლიდან დღემდე საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტები იყვნენ ნუგზარ ენდელაძე, მურმან ომანიძე, ბიძინა გეგიძე, მერაბ ანთაძე, გიორგი ნიჟარაძე, გოჩა სვანიძე, გიორგი გორგასლიძე, თორნიკე გოგებაშვილი, ირაკლი აბუსერიძე, იოსებ ტყემალაძე.

თავი 2. ქართული ხუროთმოძღვრების განვითარების მოკლე ისტორიული მიმოხილვა

უძველესი კულტურისა და ცივილიზაციის მქონე საქართველოს, რომლის ტერიტორიაზე სახლობდნენ სხვა ეროვნების ტომებიც, მუდმივად უხდებოდა არსებობისათვის ბრძოლა უცხო დამპყრობლების (სპარსელები, თურქები, არაბები, მონღოლები, ლეკები) წინააღმდეგ, რამაც გარკვეული კვალი დააჩნია ქართული არქიტექტურის განვითარებასაც. პრაქტიკულად, საქართველოში არ მოიძებნება არცერთი კუთხე, ხეობა, სოფელი სადაც წარსულის რაიმე ნაშთი არ იყოს დარჩენილი (ციხესიმაგრე, მცირე ეკლესია, ტაძარი, ბაზილიკა, სამრეკლო, სადარაჯო კოშკი და სხვ.). საკულტო ნაგებობების კედლებმა შემოგვინახა შესანიშნავი წარწერები, ფრესკები, მოზაიკები, რომელშიც არა მარტო საღვთო წერილის სიუჟეტებს ვხვდებით, არამედ ისტორიულ პირთა – მეფეთა, ფეოდალთა, სასულიერო მოღვაწეთა სახელებსა და პორტრეტებსაც. საქართველოს მუზეუმებში ინახება ოქრომჭედლობის, დეკორატიული ქანდაკების, სახვითი ხელოვნების ოსტატურად შესრულებული ნიმუშები, ათასობით ხელნაწერი წიგნები მორთული ბრწყინვალე სამკაულებითა და მინიატურებით. არქეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ უკვე ჩააღწია ძვ. წ.-ის მეხუთე ათასწლეულამდე, როდესაც ქართველთა წინაპრები პირველ ნაბიჯებს დგამდნენ სამშენებლო ხელოვნების დარგში.

ქართულ ხელოვნებაში განსაკუთრებული ადგილი ეჭირა ხუროთმოძღვრებას. საქართველოს ტერიტორიაზე უამრავი ხუროთმოძღვრული ნაგებობაა აღრიცხული. შემონახულია „ქრისტიანული არქიტექტურის“ ძალიან ადრეული ნიმუშები; გვხვდება კონსტრუქციები, რომლებიც უფრო გვიან რომანულმა არქიტექტურამ შეითვისა. საქართველოს საერო, საკულტო, სასიმაგრო, საქალაქო და საეკლესიო ძეგლების მშენებლობის შესახებ მნიშვნელოვანი ცნობებია დაცული ქართულ, ბერძნულ, რომაულ და ბიზანტიურ საისტორიო წყაროებში. უძველეს ქართულ ხელნაწერებში „მოქცევაი ქართლისაი“ (ერთ-ერთი პირველი ისტორიულ-ჰაგიოგრაფიული ხასიათის თხზულება) და „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“ (ძველი ქართული საისტორიო თხზულებათა კრებულის, „ქართლის ცხოვრების“, პირველი წიგნი) აღწერილია ქართველთა ნათესავთმთავრებისა და მეფეების სამშენებლო მოღვაწეობა. მათი მიხედვით ქართლოსს და მის მეუღლეს აუშენებიათ ქალაქები: ქართლი, ხუნანი (ახლანდელი გარდაბანი) და რუსთავი; გაჩიოსს – გაჩიანი; მცხეთოსს – მცხეთა; ოძრხოსს – ოძრხე (ისტორიული ციხე-ქალაქი სამხრეთ საქართველოში, ახლანდელი ადიგენის მუნიციპალიტეტი) და თუხარისი (ციხესიმაგრე ისტორიული ქართული პროვინციების ტაოსა და კლარჯეთის საზღვარზე); ჯავახოსს – წუნდა (ისტორიული ქალაქი სამხრეთ საქართველოსი, ჯავახეთში, ახლანდელი ასპინძის მუნიციპალიტეტი) და არტანისა (ციხესიმაგრე მდ. მტკვრის სათავეებთან; ამჟამად თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორია); უფლოსს – უფლისციხე, ურბნისი, კასპი და ა.შ. ამ ჩამონათვალიდან კარგად ჩანს, რომ ძველ საქართველოში ქალაქებისა და ციხესიმაგრეების მშენებლობა დაკავშირებულია მეფეების ან ნათესავთმთავრების სახელთან.

უცხოელ ავტორთაგან პირველმა ბერძენმა მწერალმა, ისტორიკოსმა, მხედართმთავარმა და პოლიტიკურმა მოღვაწემ ქსენოფონტმა (ძვ. წ. 427-355 წწ.) მიაქცია ყურადღება ქართველური ტომების (ხალიბები, მოსინიკები, ტაოხები და სხვ.) გამაგრებულ საცხოვრისებს. მისი აღწერთ ძვ. წ. V-IV საუკუნეების საცხოვრებელი სახლები, გალავნები და კოშკები უმეტესად ხისგან ყოფილა აგებული. თუ ქალაქს, დაბას, სოფელს გარშემო მდინარე არ უვლიდა, მაშინ მაღალ თხრილს შემოავლებდნენ ხოლმე და თხრილის თავზე ხის ბოძების მესერს განათავსებდნენ ხის სათვალთვალო კოშკებით. მისივე გადმოცემით, ამ დროისათვის ქართველურ ტომებს – მოსინიკებს შიდაციხით („აკროპოლი“) გამაგრებული „მთავარი ქალაქიც“ ჰქონიათ.

ბერძენი ისტორიკოსისა და გეოგრაფის სტრაბონის (ძვ. წ. 63/64 – ჩვ. წ. 23/24 წწ.) თანახმად, იბერიის (ქართლის) უმეტესი ნაწილი მჭიდროდ იყო დასახლებული და საცხოვრებელი სახლების სახურავებზე გამოყენებული იყო კრამიტი, ეს იმ დროს, როცა რომაელი ისტორიკოსის ვიტრუვიუსის (ძვ. წ. I ს.) ტრაქტატით იმავე ხანებში გალიასა და ესპანეთში სახლებს ჩალითა და ყავრით ხურავდნენ. სტრაბონს საკმაოდ კარგად ცოდნია ქართლისა და

კოლხეთის გეოგრაფია. ის თავის თხზულებაში „გეოგრაფია“ მოიხსენიებს მდინარეების მტკვრისა და არაგვის შესართავთან ერთმანეთისგან 16 სტადიონით დაშორებულ კლდეებზე გამაგრებულ ქალაქებს არმაზციხესა (ჰარმოზიკე) და წიწამურს (სისამორა, სევსამორა), შავი ზღვისპირა ქალაქებს ბიჭვინთას, დიოსკურიასა და ფასიდს, აგრეთვე შორაპნის ციხეს [23].

იგივე ვიტრუვიუსი აღწერს ძელებით ნაშენ პირამიდულ სახურავიან, შვეულკედლიან, ცენტრალურგვირგვინიან კოლხურ სახლს, რომელსაც ზემო ხვრელი აქვს განათებისა და შუა ცეცხლის კვამლის გასასვლელად. კოლხეთში გავრცელებული ასეთი გვირგვინებიანი სახლები მასობრივად ყოფილა დასავლეთ საქართველოს ტყით მდიდარ რეგიონებში.

II საუკუნის დასაწყისში ბერძენმა ისტორიკოსმა, გეოგრაფმა და სახელმწიფო მოღვაწემ ფლავიუს არიანემ (87/90-169/180 წწ.), რომელმაც რომის იმპერატორ პუბლიუს ელიუს ტრაიანუს ადრიანეს (76-138 წწ.) დავალებით იმოგზაურა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე (131 წ.), თავისი ნაშრომის „მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო“ („Periplus Pontou Euxeinu“) I ნაწილში აღწერა შავი ზღვის სანაპირო ტრაპეზუნტიდან დიოსკურიამდე, ჩამოთვლის აქ მოსახლე ტომებს (სანები, მაკრონები, ჰენიოხები, ზიდრიტები, ლაზები, სანიგები, აფშილები, აბაზგები), აგრეთვე ზღვის სანაპიროზე განლაგებულ ციხესიმაგრეებს. ნაშრომში ნახსენებია აფსაროსის (გონიო) ციხის კედლები, ფაზისის (ფოთი) ციხესიმაგრის თიხისა და გამომწვარი აგურის კედლები, ხის კოშკები, სებასტოპოლისის (სოხუმი) ციხესიმაგრე და სხვ.

ბერძნული წარმომავლობის რომაელი კონსულისა და ისტორიკოსის დიონ კასიუს კოკკეიანის (ლათ. Lucius Claudius Cassius Dio Cocceianus) (155/164-230/235 წწ.) უდიდეს ნაშრომში „რომის ისტორია“ ნახსენებია მცხეთის აკროპოლი, სიმაგრეები, ხის ხიდები მდ. მტკვარზე, არაგვზე და სხვ.

კოლხეთის ანტიკური ხანის (ძვ. წ. VII - ახ. წ. V სს.) ქალაქების, ციხეებისა და ციხე-ქალაქების შესახებ მდიდარი მასალაა შემორჩენილი ბიზანტიურ საისტორიო წყაროებში, რომელთაგან გამოსარჩევია ბიზანტიელი ჟამთააღმწერლის, იმპერატორ იუსტინიანე I-ის (527-565 წწ.) კარის ისტორიკოსის, წარმოშობით ებრაელი წარჩინებულის პროკოპი კესარიელის (507-562 წწ.) თხზულებები, სადაც მას ნახსენები აქვს გონიოს (აფსაროსი) ციხე-ქალაქის ძველი გალავნის საძირკვლები, თეატრი, ჰიპოდრომი და სხვა ნაგებობები, რომლებიც მიუთითებენ ქალაქის სიდიადეზე. წყაროებში გადმოცემულია საყურადღებო ცნობები სებასტოპოლის (სოხუმი), პიტიუნტის (ბიჭვინთა), ლაზეთის მთავარი ქალაქის – არქეოპოლისის, სკანდეს, შორაპნისა და ქუთაისის ციხეების, ვარდციხის (როდოპოლისი) და სხვა მნიშვნელოვანი ნაგებობების მშენებლობის შესახებ. ხაზგასმულია ის, რომ ეს ციხე-ქალაქები აგებულია საკუთრივ ლაზთა და კოლხთა მიერ.

ანტიკურ ხანაში საქართველოს ტერიტორიებზე მშენებლობის ხელოვნების შესწავლით ნათლად ჩანს რამდენიმე პირობა, რომელიც აუცილებელი იყო ქალაქების, დაბების, სოფლების, სასიმაგრო ნაგებობების მშენებლობისათვის. ეს პირობებია: თავდაცვისათვის მოხერხებული მდებარეობა; გზების, მდინარეების, უხვმოსავლიანი ხეობებისა და მინდვრების სიახლოვე; საძოვრების, ტყეებისა და სამშენებლო ქვების არსებობა. სწორედ ამ მოთხოვნების გათვალისწინებით ხდებოდა ქვეყნის განაშენიანება, განვითარება და თავდაცვის გაძლიერება. ეს პირობები წარმატებით იქნა გაგრძელებული და მკაფიოდ დამახასიათებელია ფეოდალური ხანის საქართველოსთვისაც.

ძვ. წ. VI-III საუკუნეებში ჯერ კიდევ არ სცოდნიათ კირხსნარისა და დუღაბის გამოყენება, ამიტომ ამ დროის ნაგებობები (ციხეები, გალავნები, თავდაცვის ზღუდეები, კოშკებისა და ბურჯების საძირკვლები და ზეძირკვლები) თლილი ქვებით (ქვათლილი) უდუღაბოდ არის ნაშენები. მშენებლობის ტექნოლოგია შემდეგი იყო: კლდეზე ამოიკვეთებოდა საგანგებო ფოსოები, რომელშიც ისმებოდა თლილი ქვების პირველი რიგი. მომდევნო რიგების ქვათლილები ერთმანეთს უერთდებოდა უწყვეტად გამირის (კავი, ჩანგალი, რკინის რკალი) მეშვეობით (არმაზციხე, წიწამურის სერი, გორისციხე, უფლისციხე, ვანი). არმაზციხეზე და წიწამურის სერზე გამოყენებულია ხის გამირები, არმაზციხის ნაწილზე და ვანში – რკინის. გამოვლენილია ორგვარი გამირები – გვერდიგვერდ მდებარე რიგებისა და ქვედა და ზედა

რიგების გადასაბმელად (წიწამურის სერი). რკინის გამირების (კავების) გამოყენების შემთხვევებში მოკაუჭებული ბოლოების ჩასამაგრებლად ქვაში გამოიყენებოდა მდნარი ტყვია (არმაზციხე, ვანის კარიბჭე, მცხეთის სარკოფაგები და მდიდრული აკლდამები). საძირკვლისა და ზეძირკვლის ზევით ამოჰყავდათ ალიზ-აგურის კედლები. აღწერილი წესით ნაშენი ხუროთმოძღვრული ძეგლები ძირიდად არმაზციხეზე იყო გამოვლენილი და ქართულ სპეციალურ ლიტერატურაში მას არმაზციხე I ჰქვია და მოიცავს ძვ. წ. IV-III საუკუნეებს.

საქართველოში ადრეანტიკური ხანის სამშენებლო ხელოვნების ძეგლები მრავლად არის აღმოჩენილი „დიდ მცხეთაში“ (არმაზციხე, წიწამურის სერი, სარკინე, არმაზისხევი, დედოფლის მინდორი და სხვ.), აგრეთვე ვანის ნაქალაქარსა და საირხეში (აქამენიანთა რიგის სვეტისთავები). საერო (საქალაქო) მშენებლობის გამორჩეულ ძეგლს წარმოადგენს უფლისციხის კლდეში ნაკვეთი კომპლექსის ერთი ადრინდელი ნაწილი. საყურადღებოა კლდეში ნაკვეთი დარბაზის ჭერის კონსტრუქციები – გაწყვილებული ხის მოროვანი კოჭების სისტემა, რაც მიუთითებს ხითხუროობის მაღალმხატვრულ დონეზე. ხითხუროობის ძეგლები აღმოჩენილია აგრეთვე ფოთის სიახლოვეს, ჭალადიდსა და საქორქიოში [23].

ძველი საქართველოს სამშენებლო ხელოვნებაში ნამდვილი რევოლუცია იყო ქვითკირის გავრცელება („ქართლის ცხოვრების“ მიხედვით დაკავშირებულია არდამ ერისთავის სახელთან), რომელიც დაიწყო ძვ. წ. III საუკუნიდან და ფართოდ გამოიყენებოდა სამოქალაქო და სასიმაგრო ნაგებობების მშენებლობაში, რაც I საუკუნის შემდეგ კარგად გამოჩნდა ისეთი ძეგლების მშენებლობაში, როგორებიც იყო: მცხეთა, არმაზციხე, არმაზისხევი, წიწამური, სარკინეთი, უჯარმა, ნოქალაქევი, სკანდა, შორაპანი, ბიჭვინთა, აფსაროსი (გონიო), ცხუმი (სოხუმი), ციხისძირი, რუსთავი და სხვ. ამავე ეპოქაში გაჩნდა ორფერდა სახურავებიც, რომელიც დაემატა ვიტრუვიუსის მიერ აღწერილ გვირგვინულ სახურავს, საქართველოში საკმაოდ გავრცელებულ ბანურ სახურავებსა და უფლისციხის კლდეში ნაკვეთი დარბაზის კესონურ გადახურვებს.

ქვითკირის შემოღებამ დასაბამი მისცა საქართველოში რომაული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულების – აბანოთმშენებლობის განვითარებას. მცხეთის, თბილისის, გონიოს, ბიჭვინთის, ნოქალაქევის, ვანისა და სხვა ნაქალაქარების არქეოლოგიურმა კვლევა-ძიებებმა გამოავლინეს ამ ნაგებობების მომსახურების მაღალი დონე, კერძოდ ცივი და ცხელი წყლის მიწოდების სისტემებისა და ვენტილაციის სრულყოფილება, იატაკების გასათბობად მათში ჩამონტაჟებული კერამიკული მილები, ცხელი, თბილი და გრილი განყოფილებების არსებობა და ა.შ. აბანოებში ხშირად გამოიყენებოდა ქვისა და მოზაიკური იატაკები.

ფერადი მოზაიკები დამახასიათებელია ძველი ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლების იატაკების მოსაწყობად (ბიჭვინთა, ძალისი, შუხუთი). განსაკუთრებით საყურადღებოა პალესტინაში იტალიელი არქეოლოგის ვირჯილიო კორბოს მიერ იუდეის უდაბნოში (ბირ-ელ-ყუთის უდაბნო) 1952 წელს წმ. თევდორეს სახელობის საღვთო სახლის საკურთხევლის გათხრისას აღმოჩენილი მოზაიკის იატაკი ასომთავრული წარწერებით. პირველი წარწერა 430 წლით თარიღდება (ყოფილა 2 წარწერა, რომელთაგან ერთი დაკარგულია) (სურ. 2.1), ხოლო მეორე წარწერა (ანა ანტონის და იოსიას) 532 წლისაა (სურ. 2.2). პირველი წარწერა 70-75 წლით უსწრებს ცნობილ ბოლნისის წარწერას (V-VI საუკუნეების მიჯნა).

ქართული ხუროთმოძღვრებისთვის მეტად მნიშვნელოვანია სახურავებში კრამიტის გამოყენება. მართალია ბერძენმა ისტორიკოსმა სტრაბონმა კოლხეთის კრამიტიანი სახლები ძვ. წ. I საუკუნის ბოლოს აღწერა, მაგრამ, ბუნებრივია, ქართულ კრამიტს უფრო მეტი ხნის ისტორია აქვს. ქართული ბრტყელი კრამიტი (ბერძნულად მას კალიპტერს ეძახდნენ), განსაკუთრებით, მცხეთური ღარისებრი კრამიტი, ნამდვილად თავისთავადია და ორიგინალური წესით არის დამზადებული. კერძოდ, მეთუნე ნედლი თიხისგან ჯერ ამზადებდა მილს, რომელსაც გამოშრობის შემდეგ ორ ნაწილად ჭრიდნენ, გამოწვავდნენ და აჰქონდათ სახურავზე ბრტყელი კრამიტის აკეცილი გვერდების დასაფარავად.

ქართული ხუროთმოძღვრების ანტიკური (განსაკუთრებით გვიანანტიკური) ხანის მიმოხილვა გვიჩვენებს, რომ მშენებლობის ხელოვნება დიდად განვითარებული ყოფილა და არაფრით ჩამოუვარდებოდა ხმელთაშუაზღვის სახელმწიფოების ცივილიზაციის დონეს.



სურ. 2.1. უძველესი ქართული წარწერა, 430 წ., წმ. თევდორეს სახ. საღვთო სახლი, პალესტინა

ბუნებრივია, რომ V-VI საუკუნეთა შესანიშნავი ტაძრების შექმნამდე ქართულმა არქიტექტურამ საკმაოდ გრძელი და რთული გზა გაიარა. XX საუკუნის 30-იან წლებში საქართველოს ძველ დედაქალაქ მცხეთაში ჩატარებულმა გათხრებმა ბრწყინვალედ დაადასტურა ეს მოსაზრებებიც და ანტიკური დროის ავტორთა ცნობებიც.

მცხეთასა და მის შემოგარენში, სხვადასხვა დროს, არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი იქნა: სამაროვნები და ნამოსახლარები (ადრინდელი ბრინჯაოს ხანიდან ადრინდელ რკინის ხანამდე), ანტიკური ხანის (ძვ. წ. VII - ახ. წ. III ს.) შუა წლების (ძვ. წ. I ს. – ჩვ. წ. I ს.) სათავდაცვო (აკროპოლი) და საქალაქო ნაგებობები (იბერიის მმართველთა სასახლის, აბანოების ნანგრევები), სამაროვნები და მავზოლეუმის ტიპის აკლდამის ნაშთები (არმაზისციხე, არმაზისხევი, მოგვთაკარის უბანი); ადგილობრივი და შემოტანილი წარმოების ოქროს, ვერცხლის, ძვირფასი ქვების მაღალმხატვრული ნაკეთობანი, მინისა და კერამიკული ჭურჭელი, მეთუნეთა, კერამიკული სახელოსნოსა და მარნის ნანგრევები (კარსნისხევი) ადრინდელი ფეოდალური ხანის სამაროვნები (ქ. მცხეთა, სამთავრო, კოდმანი, მუხათგვერდი, არმაზისხევი, კარსანი, არაგვის მარცხენა ნაპირი); რკინის სადნობი სახელოსნო, საკულტო და საცხოვრებელ ნაგებობათა ნაშთები (სარკინე, გრძელი მინდორი, ნასტაკისი, მთა-ქართლი); სათავდაცვო და საკულტო ნაგებობები (ავჭალისკარი, წიწამურის სერი, ღართისკარი, ძალისი); ეპიგრაფიული ძეგლები ბერძნულ-ებრაული და არმაზულ-არამეული წარწერებით (არმაზისხევი, სამთავრო, ავჭალისკარი); მცხეთის კარიბჭე, კათოლიკოსის სასახლე, ტაძრის ნაშთები და სხვ. ამის შემდეგ მცხეთა შუა საუკუნეთა დიდებული ტაძრებით – ჯვრისა და სამთავროს მონასტრები, სვეტიცხოველი; ბარბარეთის, ახალქალაქური, კალოუბნის წმ. გიორგის, ღვთისმშობლის, კარსანის წმ. ნინოს, არმაზის ღვთისმშობლის, წმ. დემეტრეს, მგალობლიანთკარის ეკლესიებით, ბებრისა და არმაზის ციხეებითა და სხვა ნაგებობებით მოექცა მსოფლიოს ყურადღების ცენტრში და 1994 წელს ერთობლივად მცხეთის ჯვარი, სვეტიცხოველი და სამთავრო შეტანილი იქნა UNESCO-ს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა სიაში.



სურ. 2.2. ანა ანტონის და იოსიას წარწერა, 532 წ., წმ. თევდორეს სახ. საღვთო სახლი, პალესტინა

მცხეთის გარდა ანტიკური ხანის ძეგლებს განეკუთვნება: ყორღანები ბედიანში, სამთავროსა და სამგორში, აფხაზეთის დოლმენები, ვანის ნაქალაქარი ციხესიმაგრეებით, სასახლეებითა და საკულტო ნაგებობებით, უფლისციხის კლდეში ნაკვეთი ქალაქი და სხვ.

საინტერესო ფაქტია: პირველი ქრისტიანული ეკლესიები მცირე ზომისა ყოფილა, რომელიც მხოლოდ შემდეგ, მრევლის მატებასთან ერთად, თანდათანობით იქცა ტევადად. V საუკუნის ბოლოს დიდი ტაძრების მშენებლობაც დაიწყეს. ეს იყო ბაზილიკური ტიპის წაგრძელებული (უგუმბათო) შენობები (ჩვეულებრივი ეკლესიები, რომლებშიც რეგულარული ყოველდ-

ღიური წირვა-ლოცვა წარმოებდა) ან ცენტრული – მრგვალი (ჩვეულებრივ რვაწახნაგა), ჯვრისებრი შენობა, რომელიც უმეტესად (და არა ყოველთვის) გუმბათით გვირგვინდებოდა. აკადემიკოს ვ. ბერიძის აზრით „ქართული ცენტრალური ტაძრების ბირთვს (სულ მცირე გამონაკლისით) შეადგენს კვადრატი, რომელზეც აღმართულია გუმბათი და რომლის გარშემოც ვითარდება ჯვრისებრი გეგმა (სხვა ტიპები – გამონაკლისია, ან გარდამავალ საფეხურს შეადგენს). კვადრატზე დამყარებული გუმბათის თემა გენეტიკურად უკავშირდება, ერთის მხრივ, ანალოგიურ კომპოზიციას წინა აღმოსავლეთის ქვეყნების ძველ ხუროთმოძღვრებაში (მაგ., სასანური სასახლეებს ირანში), მერე მხრივ – ეს ძალიან არსებითია – ქართული ხალხური არქიტექტურის ტრადიციებს, კერძოდ, გლეხური „დარბაზის“ ტიპს (რომელიც ქრისტიანობის გავრცელებამდე ბევრად ადრე შემუშავდა). ამგვარად, „კვადრატზე დასმული გუმბათის თემა, რომელმაც, არსებითად, გადამწყვეტი როლი შეასრულა მთელი აღმოსავლურ-ქრისტიანული საკულტო არქიტექტურის განვითარებაში, საქართველოსათვის ღვიძლი და ტრადიციული იყო“. მართალია საქართველო იზიარებდა პალესტინიდან (საღრმთო წერილის თანახმად, ქრისტეს ამქვეყნიური ცხოვრების ასპარეზი) წამოსულ საეკლესიო დოგმებს, მაგრამ სამნავიანი და სამეკლესიიანი ბაზილიკის პარალელურად, საქართველოში იმთავითვე შემუშავდა უგუმბათო ნაგებობათა უმარტივესი სახე: ერთნავიანი (ცალნავიანი) ეკლესია, რომელიც დღესაც საკმაოდ გავრცელებული არქიტექტურული ნაგებობაა [1].

ქართველურ ტომებსა და მათ მეზობლად დამკვიდრებულ კავკასიელებს სჭირდებოდათ გზებისა და ხიდების კარგად განვითარებული ინფრასტრუქტურა. გზები საჭირო იყო არა მარტო ერთმანეთთან კომუნიკაციისათვის, არამედ სავაჭრო ქარავნებისა და მოგზაურების გასატარებლად. გზების უმეტესი ნაწილი მიჰყვებოდა მდინარეების (მტკვარი, არაგვი, ქსანი, ლიახვი, ალაზანი, იორი, რიონი, ცხენისწყალი, ენგური, ტეხურა, ჭოროხი, სუფსა, ბზიფი, კოდორი და სხვ.) ხეობებს. ამ გზებით გადიოდა სხვა ქვეყნებში ადგილობრივ მკვიდრთა ნაწარმი – სამურნეო და საბრძოლო იარაღები, ხელოსნობისა და დასავლეთში საკმაოდ კარგად ცნობილი ბრინჯაოს კოლხური კულტურის ძეგლები და მონეტები, საიუველირო სამშვენისები, მატყლი, ტყავეულობა, ხე-ტყე და სხვ. შემოჰქონდათ ეგვიპტურ-ფინიკიური მინისა და ჭიქურა ჭურჭელი, ფაიფურის ნაწარმი, ქსოვილები, ეგზოტიკური ხილი, ზეთი, საყოფაცხოვრებო ნივთები და ა.შ. მთავარი გზების პარალელურად ვითარდებოდა დამხმარე გზების, გადასასვლელებისა და მთის ბილიკების მშენებლობა, რასაც მოითხოვდა მთიან რეგიონებში ადგილობრივი მოსახლეობის სიმჭიდროვე, ხოლო ომიანობის დროს – ბარის მოსახლეობის მასობრივი გახიზვნა მტრისთვის მიუდგომელ სოფლებში. დიდ ქალაქებში ქუჩები ძირითადად მოკირწყლული იყო და ზოგჯერ გაყვანილი იყო დახურული ღვარსადენები (მაგ., ბიჭვინთა). 1966 წელს ვანის ნაქალაქარზე წარმოებული გათხრების შედეგად აღმოჩნდა ქვაფენილით დაფარული შიდასაქალაქო ქუჩები.

ანტიკურ პერიოდში გავრცელებული ყოფილა კლდეში ნაკვეთი გასასვლელები (კლდეკარები) და კარიბჭეები: არმაზისციხისა, უფლისციხისა, ნოქალაქევისა, თრიალეთისა, ვანისა და სხვ. კლდეკარების მშენებლობა, შემდეგ საუკუნეებშიც, ფართოდ იყო გავრცელებული (ვარძია, ვანის ქვაბები, დავითგარეჯა და სხვ.).

გზებთან ერთად შენდებოდა ხიდებიც. სტრაბონის ცნობით მდ. რიონზე და შორაპნის ზემოთ 120 ხიდი ყოფილა აგებული (ავტ. ვფიქრობთ ეს ციფრი ცოტა გაზვიადებულია, რადგან მდ. რიონზე ათეულობით ხიდის არსებობა ძველი და ახალი საუკუნეების მიჯნაზე თითქმის წარმოუდგენელია თუ მდ. რიონის კალაპოტსა და მოსახლეობის მაშინდელ სიმჭიდროვეს მივიღებთ მხედველობაში. გვაქვს მოსაზრება, რომ სტრაბონის მიერ ნახსენები ხიდების აბსოლუტური უმრავლესობა, ალბათ, განლაგებული იყო მდ. ძირულას ხეობაში შორაპნიდან რიკოთის უღელტეხილამდე). სავარაუდოდ ქვისა და ხის ხიდები ყოფილა გადებული მდ. მტკვარზე თბილისთან, სამადლოსთან, უფლისციხესთან, გორთან, კასპთან, ურბნისთან. ქართველებს ძველთაგან ყავდათ განსწავლული ხიდმშენებლები, რაზედაც თვალნათლივ მიუთითებს ხიდები ჭოროხზე, ალაზანზე, ენგურზე, კოდორზე, ბზიფზე, ტეხურაზე და სხვ. საინ-

ტერესო ფაქტია ის, რომ 65 წელს ქართლის მეფე არტაგი, რომაელ დამპყრობელს პომპეუსს ზავის სანაცვლოდ, მდ. მტკვარზე დანგრეული ხიდის აღდგენას სთავაზობდა (სურ. 2.3).



სურ. 2.3. „პომპეუსის ხიდის“ ნარჩენები, ქ. მცხეთა, ძვ. წ. I ს, საქართველო

ქართული ხუროთმოძღვრების ხელშესახები ძეგლები ძირითადად შემორჩენილია IV საუკუნიდან, ამიტომ შუა საუკუნეების საქართველოს არქიტექტურას (და მთელ ხელოვნებასაც) შემდეგ ძირითად პერიოდებად ჰყოფენ (აკადემიკოს ვახტანგ ბერიძის მიხედვით):

1. ადრეული შუა საუკუნეების არქიტექტურა – IV საუკუნიდან VII საუკუნის შუა წლებამდე. ეს პერიოდი ნაწილობრივ ემთხვევა ევროპული და წინააღმოსავლური ხელოვნების ე. წ. „ძველქრისტიანულ ხანას“. იგი შუა საუკუნეთა ქართული არქიტექტურის პირველი ბრწყინვალე ხანაა. ამ პერიოდის ღირსშესანიშნაობებია: უჯარმის ციხე (III-IV საუკუნეების მიჯნა), ნარიყალას, შხეფის, ასკანის ციხეები; ბოდბის მონასტერი (IV ს.), წინარეხის ეკლესია (IV-IX სს.); მეტეხის ტაძარი; თბილისის სიონი, ბოლნისის სიონი, ნიქოზი; მატანის ცხრაკარას მონასტერი; ხაშმის სამების ეკლესია; არტანუჯის ციხე (V ს.); ზემო ნიქოზის ღვთაების ეკლესია, კაწარეთის სამება (V-VI სს.); ძველი შუამთა (V-VII სს.); ანჩისხატი, შიომღვიმე, დმანისის სიონი; ალავერდის, მარტყოფის, ტაბაკინის, ნინოწმინდის მონასტრები; დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსი; ტეხისის ეკლესია (VI ს.); ურბნისის, ჯავახეთის წყაროსთავის, ვაზისუბნის დავითიანის, მცხეთის ჯვრის მონასტრები (VI–VII სს.); ატენის სიონი, ძველი შუამთა; წრომის, სამწევრისის ტაძრები; ანაკოფიის ციხე (VII ს.); დიდი ატენის ეკლესია (VII-IX სს.) და სხვ.;

2. ე.წ. გარდამავალი ხანის არქიტექტურა – VII საუკუნის მეორე ნახევრიდან X საუკუნის ნახევრამდე. დამახასიათებელია წინა პერიოდის შემუშავებული სტილისტიკური პრინციპების თანდათანობითი უკუგდება და ახალი სტილის ჩამოყალიბება. ეს პერიოდი ემთხვევა საქართველოში არაბთა ბატონობას, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა საეკლესიო და საერო ხუროთმოძღვრების განვითარება, თუმცა ამ პერიოდშიც შესაძლებელია გამოვყოთ რამდენიმე ღირსშესანიშნავი ძეგლი: რკონის მონასტერი (VII ს.), ანაკოფიის ციხე (VII-VIII სს.), ქოზიფის მონასტერი, რუისის ფერისცვალების ტაძარი (VII-IX სს.), უფლისციხე, ბანას ტაძარი (VII ს.), ზედაზნის მონასტერი, გორის ციხე, გორიჯვარი, ვანის ქვაბები (VIII ს.), ხანძთა (VIII-X სს.), გურჯაანის ყველაწმინდის ტაძარი; გეგუთის ციხე-დარბაზი, შორეთის მონასტერი (VIII-IX სს.), იშხანი; რაბათის ციხე, მწვანე მონასტერი (IX ს.), უბისა (IX-XII სს.), ათონის ივერთა მონასტერი (X ს.), მირზაანის ეკლესია, ჟალეთის ბაზილიკა (IX-X ს.) და სხვ.

3. განვითარებული შუა საუკუნეების არქიტექტურა – ქართული ხუროთმოძღვრების მეორე აყვავების ხანა – X საუკუნის მეორე ნახევრიდან XIV საუკუნის დასაწყისამდე. ეს არის საქართველოს გაერთიანებული სამეფოს უდიდესი მეფეების ბაგრატ III-ს, დავით აღმაშენებლისა და თამარის ხანა. ქრონოლოგიურად იგი ემთხვევა დასავლეთ ევროპაში რომანული ხელოვნების საუკუნეებს და გოტიკური ხელოვნების დასაწყისს. ამ პერიოდში შეიქმნა ახალი სტილისტიკური ნიშნების მქონე გუმბათოვანი ტაძრები (ძირითადად აღმოსავლეთი საქართველო). ისინი შენდებოდა მეგაპოლისებიდან მოშორებით – ტყიან ხეობებში. წინა საუკუნის გრანდიოზულ ტაძრებთან შედარებით მომცრო ზომებისაა, მაგრამ დეკორატიულობა და რაფინი-

რება მწვერვალს აღწევს. ფასადებზე თაღნარებს სარკმლების მოჩუქურთმებული საპირეები ცვლის, შეიცვალა ტაძრის პროპორციებიც, გუმბათის ყელი ძლიერ აზიდული გახდა (იკორთა, ბეთანია, წუღრუღაშენი, ფიტარეთი, ქვათახევი, ერთაწმინდა და სხვ.), გამოჩნდა მთლიანად აგურით ნაშენი ეკლესიები (ტიმოთესუბანი, ყინწვისი, ქურმუხი), განახლდა ძველებური ერთნავიანი ბაზილიკების მშენებლობა (ლამაზი საყდარი, კაზრეთი, ლურჯი მონასტერი, გუდარეხი, საორბისე და სხვ.). X-XIV საუკუნეების ქართული არქიტექტურის მნიშვნელოვანი ძეგლებია: ოშკი, ხევის სიონი, ლაგურკა, ბეთლემი; ბიჭვინთის, კუმურდოს ტაძრები; ბედიის, საფარის, ათონის ივერთა, ხახულის, აგარის, მზოვრეთის, ტბეთის მონასტრები; გიშის, კაბერის, მაცხვარიშის, სათხის ეკლესიები; თმოგვის, ხიხანის, ატენის, მანავის ციხეები (X ს.); ბაგრატის, ალავერდის (VI-XI ს.), სვეტიცხოვლის, ნიკორწმინდის, სამთავისის, მრავალძალის ტაძრები; სამთავროს, მოწამეთას, იერუსალიმის ჯვრის, იყალთოს, კაცხის, ფოკას მონასტრები: სურამის, კვეტერას, აწყურის, ბირთვისის, პანკისის, შავშვეთის ციხეები (XI ს.); ქვათახევის, იკორთის, სხალთის ტაძრები; გელათის (შეტანილია UNESCO-ს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა სიაში), ვარძიის, ბეთანიის, ყინწვისის, ტიმოთესუბნის, ლურჯი, წერაქვის, გუდარეხის, თიღვის მონასტრები; სავანის, მაღალაანთ ეკლესიები; ხერთვისის, ბებრის, მინდა, დრისის ციხეები (XII ს.); წუღრუღაშენის, მეტეხის ღვთისმშობლის, ქურმუხის ტაძარები; კაცხის სვეტი; მღვიმევის, ხობის, ზარზმის, ფიტარეთის, გუდარეხის, თირის, კაბენის, შემოქმედის მონასტრები; ნარიყალას წმინდა ნიკოლოზის, კაზრეთის სამების, ლაშარის წმინდა გიორგის ეკლესიები; ოქროს, არმაზის, კოპის ციხეები (XIII ს.); გერგეტის სამება, სხვილოს ციხე, დაბის ეკლესია (XIV ს.);

4. გვიანი შუა საუკუნეების არქიტექტურა – XV-XVIII საუკუნეები. ეს ის ხანაა, როდესაც ფეოდალურად დაქუცმაცებული და დაუძლურებული საქართველო დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის გააფთრებით ებრძვის გარშემორტყმულ დამპყრობლებს, დასავლეთ ევროპაში კი რენესანსის ბრწყინვალე კულტურა ვითარდება. მიუხედავად ამისა, ქვეყანაში მაინც მიმდინარეობს სასახლეების, ტაძრების, მონასტრების, კოშკების მშენებლობა. ამ პერიოდის ნაგებობებია: გრემი (XV ს.); ახალი შუამთა; ალის, გრემის, ეკლესიები; სნოს, არშის, ჩაილურის, ქსნის ციხეები (XVII ს.); ანანური, მჭადიჯვრის ეკლესია (XVII ს.); ბარაკონი, შავნაბადა; ზემო და ქვედა ბეთლების ეკლესიები (XVIII ს.).

დიდებული ტაძრებისა და ციხესიმაგრეების მშენებლობა ვერ განხორციელდებოდა, თუ ქართველებს არ ეყოლებოდათ მაღალი კვალიფიკაციის ქვითხუროები – არქიტექტორები, ინჟინრები, ქვის მთლელები, ქვის მკვეთელნი, ხელოსნები, ფერმწერები, მხატვრები, ოქრომჭედლები, მეთუნეები და სხვ. სამშენებლო საქმიანობის შესასწავლად ქართველი მეფეები (ფარსმანი, მირიანი, ვახტანგ გორგასალი, დავით აღმაშენებელი, თამარი და სხვ.) სისტემატურად აგზავნიდნენ ახალგაზრდებს ბიზანტიასა და სპარსეთში განათლების მისაღებად და ხელობის შესასწავლად.

ძველი ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლებიდან უმნიშვნელოვანესია ბოლნისის სიონი – V საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი სამნავიანი ბაზილიკა საქართველოში, რომლის კედლებმა შემოგვინახა უძველესი ქართული ასომთავრული (მრგვლოვანი) წარწერები, რომლებიც უძველესია იტალიელი არქეოლოგის ვირჯილიო კორბოს მიერ იუდეის უდაბნოში 1952 წელს აღმოჩენილი პალესტინის ქართული მონასტრის წარწერების შემდეგ. აქვე, ტაძრის ფასადის ქვაზე გამოსახულია საქვეყნოდ ცნობილი ბოლნური ჯვარი, რომელიც დღეს ერთ-ერთი ქართული ეროვნული სიმბოლოა და გამოყენებულია ეროვნულ სიმბოლიკაში (მათ შორის, ბოლნისის მუნიციპალიტეტის გერბსა და დროშაზე). მისი მცირედ სახეცვლილი ფორმა კი საქართველოს ხუთჯვრიანი დროშის შემადგენელი ნაწილია. გამოსარჩევია ტაძრის ინტერიერიც, სადაც პირველად გამოჩნდა სკულპტურული და ორნამენტული სამკაულები, ბარელიეფები და ჩუქურთმები.

ისტორიული მნიშვნელობისაა V საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი უძველესი ძეგლი მანგლისის სიონი – მანგლისის ღვთისმშობლის სახელობის ქართული მართლმადიდებლური საკათედრო ტაძარი. გეგმით ტეტრაკონქის ტიპის ტაძარი აიგო V საუკუნის II

ნახევარში ქართლის მეფე ვახტანგ გორგასლის მიერ. გადაკეთდა და გაფართოვდა XI საუკუნეში საქართველოს მეფის გიორგი I-ის დროს. ტაძრის კედლებზე ძველი ლაპიდარული წარწერებია შემორჩენილი. ქრისტიანული ტრადიცია მანგლისის სიონს რამდენიმე მნიშვნელოვან სიწმინდეს უკავშირებს, მათ შორის უფლის სამსჭვალსა და წმინდა ჯვრის ნაწილებს.

ქართველი მართლმადიდებლებისათვის უდიდესი რელიგიური მნიშვნელობა აქვს ქ. ქუთაისთან ახლოს, VI საუკუნის ციხე-ქალაქის უქიმერიონის ტერიტორიაზე განთავსებულ მოწამეთას სამონასტრო კომპლექსს, რომლის დაარსების ისტორია არგვეთის მთავრების – დავით და კონსტანტინე მხეიძეების სახელს უკავშირდება. VIII საუკუნეში, როცა საქართველოს მურვან ყრუს მოძალადე ლაშქარი შემოესია, მათ დიდი წინააღმდეგობა გაუწევიათ არაბთა სარდლისთვის, მაგრამ უთანასწორო ბრძოლაში დამარცხებულან. განრისხებულმა სარდალმა დაუმორჩილებელი თავადები ტანჯვა-წამებით გამოასალმა სიცოცხლეს. ეკლესიამ ისინი წმინდანად შერაცხა. მათი უხრწნელი წმინდა ნაწილები თავდაპირველად ხარების დანგრეულ ეკლესიის კრიპტაში იყო დასვენებული. შემდეგ აქ მონასტერი ააგეს და წმინდა მოწამეთა საფლავი მოაწყვეს. ადგილსაც მოწამეთა ეწოდა. XI საუკუნეში საქართველოს პირველმა მეფემ ბაგრატ III ააშენა დანგრეული ეკლესია და მასში გადაასვენა სამშობლოსა და სარწმუნოებისათვის თავდადებული გმირები.

ქართველების უპირველესი ტაძარი, ქართული ხუროთმოძღვრების უბრწყინვალესი ძეგლი, სვეტიცხოველი, საქართველოს ყოფილ დედაქალაქ მცხეთაში 1010-1029 წლებში ქართლის კათოლიკოს მელქისედეკის თაოსნობით ხუროთმოძღვარ არსუკიძეს (არსაკიძეს) აუგია. მან გამოიყენა ძველი, მეფე ვახტანგ გორგასლის დროინდელი (V-VI სს.) ეკლესიის ნანგრევების ცალკეული ნაწილები და შექმნა სრულიად ახალი დამოუკიდებელი საეკლესიო ნაგებობა, რომელშიც ახალ საფეხურზეა აყვანილი X საუკუნის II ნახევარში ტაო-კლარჯეთში დამკვიდრებული ჯვარგუმბათოვანი კონსტრუქციები – მაღალი გუმბათითა და უფრო დაბალი ჯვრის მკლავებით. სვეტიცხოველის არქიტექტურა და სამშენებლო ხელოვნება მოწმობს იმდროინდელი ქართული ხუროთმოძღვრების მხატვრულ სიდიადესა და თვით არქიტექტორის უბადლო ნიჭს, განსწავლულობას, პრაქტიკულ გამოცდილებასა და ოსტატობას. სავარაუდოდ, არსუკიძის აგებული უნდა იყოს აგრეთვე ტაძრის თანადროული დასავლეთის კარიბჭე.



სურ. 2.4. გონიოიანი ხელის რელიეფური გამოსახულება და წარწერა სვეტიცხოველის ჩრდილოეთ ფასადზე

ტაძრის ჩრდილოეთის ფასადის მთავარი სარკმლის ზემოთ ქვაზე ამოკვეთილია ადამიანის ხელისა და გონიოს რელიეფური გამოსახულება, რომელიც ლეგენდის თანახმად არსუკიძეს უნდა ეკუთვნოდეს (სურ. 2.4). დასავლეთის ფასადის ცენტრალური თაღის ქვევით ცენტრალური სარკმლის პერანგად გამოყენებულია ქალის თმის ნაწნავის მსგავსი ჩუქურთმა, რომელიც მსოფლიო ხუროთმოძღვრებაში ცნობილია ქართული წნულის სახელწოდებით. ტაძრის ფასადები და ინტერიერები მორთულია შესანიშნავი რელიეფებითა და ჩუქურთმებით, რომლებიც განუმეორებელ სილამაზესა და მომხიბვლელობას მატებენ მას. ისტორიული წყაროების მიხედვით ტაძარში დაკრძალულია ათზე მეტი ქართველი მეფე.

გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფის ბაგრატ III-ის (975-1014 წწ.) მეფობაში, 1103 წელს დამთავრდა ქუთაისის საკათედრო ბაგრატის ტაძრის მშენებლობა, რომელიც წარმოადგენს ქართულ საეკლესიო არქიტექტურაში საეტაპო მნიშვნელობის ტაძარს, როგორც თავისი არქიტექტურული გადაწყვეტით, ისე ისტორიული და სიმბოლური მნიშვნე-

ლობითაც. ბაგრატის ტაძრის დახვეწილი პროპორციები, გარე მასების ჰარმონიულობა, გრანდიოზული შიგა სივრცე, ფასადების კომპოზიცია, მრავალფეროვანი მორთულობა და რთული ტექნიკური ამოცანების დაძლევა მოწმობს შუასაუკუნეების ქართული არქიტექტურის მაღალ დონესა და მშენებლების ოსტატობას. ბაგრატის ტაძარი მრავალჯერ იქნა დანგრეული და იავარქმნილი მომხვდური მტრების მიერ, თუმცა ყოველთვის ხდებოდა მისი აღდგენა. XXI საუკუნის დასაწყისში, საქართველოს მთავრობის ძალისხმევით, მოხდა ტაძრის სრული რეაბილიტაცია და დიდებული ბაგრატის ტაძარი კვლავ ამაყად გადაჰყურებს ქუთაისსა და მთელ საქართველოს უქიმერიონის გორიდან, როგორც, განვითარებული შუა საუკუნეებიდან დღემდე, გაერთიანებული საქართველოს სიმბოლო.

მცხეთისა და ქუთაისის ტაძრებს ენათესავება ალავერდის კათედრალი, რომელიც დაარსდა VI საუკუნეში 13 ასურელ მამათაგან ერთ-ერთის, იოსებ ალავერდელის მიერ (იქვეა დაკრძალული). დღეს არსებული წმ. გიორგის ტაძარი XI ს-ის პირველ მეოთხედში ააგო კვირიკე კახთა მეფემ ძველი პატარა ეკლესიის ადგილზე. იგი ერთ-ერთი უდიდესი საკათედრო ტაძარია (41,7 მ x 26,4 მ) საქართველოში, სიმაღლით 50 მ. ალავერდი XI საუკუნიდან საეპისკოპოსო ცენტრი და ეპარქიის მღვდელმთავართა რეზიდენცია იყო. ამავე საუკუნიდან ალავერდის ტაძარი კახეთის სამეფო სახლის საძვალედაც იქცა. ალავერდში ყოველწლიურად (14 სექტემბერს) ღამისთევით იმართება ტაძრის დღეობა „ალავერდობა“, რასაც ახლავს სახალხო დღესასწაული და რასაც საუკუნოვანი ტრადიცია აქვს.

ფაქტობრივად პირვანდელი სახითაა შემორჩენილი ქართული ხუროთმოძღვრების უმშვენიერესი ძეგლი სამთავისის ტაძარი. დასავლეთ ფასადზე არსებული წარწერის თანახმად, 1030 წელს ააგო სამთავნელმა ეპისკოპოსმა ილარიონ სამთავნელმა. ტაძარი დაშენებულია VI საუკუნის ბაზილიკის ნანგრევებზე. ტაძრის არქიტექტურა გამოირჩევა პროპორციათა ჰარმონიულობითა და ვირტუოზულად შესრულებული მორთულობით. მას ახასიათებს ზოგი თავისებურება, რომელიც საფუძვლად დაედო ქართულ ხუროთმოძღვრების შემდგომ განვითარებას. მოპირკეთებულია სუფთად გათლილი მოყვითალო და მონაცრისფრო-მომწვანო კვადრებით, ფასადები მორთულია ჩუქურთმებითა და დეკორატიული ბარელიეფებით. განსაკუთრებით შთამბეჭდავია აღმოსავლეთი ფასადის ერთ შვეულ ღერძზე წარმოდგენილი კომპოზიცია მდიდრულად მოჩუქურთმებული ჯვრის რელიეფური გამოსახულებით – ქართული ასომთავრული წარწერებით, ფაქიზი ჩუქურთმის წნულით დამშვენებული წრით, სარკმლითა და ორი რომბით. ფასადის საზეიმო განწყობას კიდევ უფრო აძლიერებს მარჯვენა კუთხეში გამოსახული ფასკუნჯის ბარელიეფი.

XI საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია იშხნის ტაძარს (ახლანდელი თურქეთის რესპუბლიკა, ართვინის პროვინცია). თავდაპირველი ეკლესია (ბანის ტაძრის ტიპის წრიულ გარშემოსავლელში მოქცეული ტეტრაკონქი) VII საუკუნის 30-იან წლებში ტაოელი სომეხი ეპისკოპოს-ქალკედონიკის ნერსეს მიერ იყო აშენებული (ტაო „ტაიქის“ სახელით, რამდენიმე საუკუნის განმავლობაში, ძველი სომხეთის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა). IX საუკუნის დასაწყისში, არაბების შემოსევის შედეგად მიტოვებული ეკლესიის ნანგრევებზე, გრიგოლ ხანძთელის ნათესავმა და მოწაფემ საბა იშხნელმა ახალი ტაძარი ააგო, რომელმაც დასრულებული სახე XI საუკუნეში, 1032 წელს, ბაგრატ IV-ის მეფობის დროს მიიღო, თვით საბა კი გახდა ამ ტაძრის პირველი ქართველი ეპისკოპოსი. ტაძარი მდიდარია უნიკალური ქართული ჩუქურთმებითა და ხვეულებით, რომლებიც იშხანის ტაძარს საოცარ ხიბლს მატებენ. იშხნის მონასტერში ილარიონ იშხნელის დაკვეთით გადაიწერა სახარება, შემდგომში ე. წ. მესტიის სახარება. აქვე 973 წელს, ეპისკოპოს ილარიონის შეკვეთით, შესრულდა ჭედური, მოოქროვილი ვერცხლის ჯვარი, რომელიც ახლა საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში ინახება.

ეროვნული ხუროთმოძღვრების ნამდვილი შედევრია რაჭის მხარეში მდებარე ნიკორწმინდის გუმბათოვანი ტაძარი. აგებულია XI საუკუნის დასაწყისში, 1010-1014 წლებში, ერთიანი ფეოდალური საქართველოს პირველი მეფის ბაგრატ III-ის ბრძანებით რაჭის საერისთავოს შექმნის აღსანიშნავად, რომელიც შემდეგ ამ საერისთავოს კულტურულ ცენტრად იქცა. სახე-

ლი „ნიკორწმინდა“ დაკავშირებულია წმინდა ნიკოლოზის სახელთან. ნიკორწმინდის ტაძარი უამრავი ჩუქურთმით, რელიეფური ქანდაკებითა და ბრწყინვალედ შესრულებული ფრესკებით ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი საუკეთესო ძეგლია და ნათლად მიანიშნებს იმ ქართული მართლმადიდებლური ტაძრების სიდიადეზე, რომლებმაც ბედის უკუღმართობის გამო პირვანდელი სახით ჩვენამდე ვერ მოაღწიეს. ნიკორწმინდის ჩუქურთმა თუ რელიეფი, დეკორი, ფასადების მორთულობა სამართლიანად ითვლება ქართული მონუმენტური პლასტიკის საგანძურად.

ქართულ ხუროთმოძღვრებაში გამორჩეული ნაგებობაა ქ. მცხეთის ცენტრში მდებარე სამთავროს მონასტერი (XI ს.). ისტორიული წყაროების მიხედვით მცხეთაში ყოფილა ქართლის ერისმთავრის სამყოფელი, საიდანაც წარმომდგარა სახელი – სამთავრო. ამ მონასტერში უცხოვრია საქართველოში ქრისტიანობის პირველ მქადაგებელს წმ. ნინოს. ამ ადგილზე საქართველოს პირველ ქრისტიან მეფეს მირიანს აუგია ეკლესია. სავარაუდოდ, აქვეა დაკრძალული მეფე მირიანი და დედოფალი ნანა, აგრეთვე ერთ-ერთი 13 ასურელ მამათაგანი – აბიბოს ნეკრესელი. მონასტრის ღირსშესანიშნაობაა მთავარი ტაძრის ფასადების ბრწყინვალე დეკორატიული მორთულობა და გუმბათოვანი ტიპის, IV საუკუნის, რიყის ქვითა და აგურით ნაგები წმ. ნინოს სახელობის მცირე ეკლესია, რომელიც დგას ეზოში, დიდი ტაძრის აღმოსავლეთით. ისტორიული წყაროებით, მცხეთაში მოსული წმ. ნინო პირველი სამი წლის განმავლობაში სწორედ ამ ეკლესიაში იდგა. სამთავროს მონასტერი სვეტიცხოველთან და მცხეთის ჯვრის მონასტერთან ერთად შეტანილია UNESCO-ს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა სიაში.

XI საუკუნის ცნობილი ძეგლებია, აგრეთვე, იერუსალიმის ჯვრის, იყალთოს, კაცხის მონასტრები, მრავალძალის ტაძარი, სურამის, კვეტერას, აწყურის, ბირთვისის, შავშვეთის ციხეები, ილორის, ფოკის, პატარა ონის, რაკეთის ეკლესიები და სხვ.

XII საუკუნის ქართულ ხუროთმოძღვრებას გელათის სამონასტრო კომპლექსი უდგას სათავეში. დაარსებულია 1106 წელს საქართველოს მეფის დავით აღმაშენებლის თაოსნობით. მანვე იმავე წელს დააარსა ქართული განათლების ცენტრი და ფილოსოფიური აზროვნების კერა – გელათის აკადემია. XVI საუკუნის 20-იან წლებში ბაგრატ III-მ გელათის მონასტერში საეპისკოპოსო კათედრა დააარსა, ხოლო ამავე საუკუნის II ნახევარში დასავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის რეზიდენცია ბიჭვინთიდან გელათში გადმოიტანეს. ღვთისმშობლის მიძინების სახელობის მთავარი ტაძარის საკურთხევლის კონქში XII საუკუნის, ბრწინვალედ შესრულებული, მსოფლიო მნიშვნელობის მოზაიკაა (1125-1130 წწ.), რომელზეც გამოსახულია ღვთისმშობელი ყრმით და მთავარანგელოზები მიქელი და გაბრიელი. დასავლეთ სტოაში XII საუკუნის უნიკალური ფრესკაა. მასში გადმოცემულია მსოფლიოს შვიდი საეკლესიო კრების ამსახველი სიუჟეტები, რომელიც უნიკალური მსოფლიო სამხატვრო ხელოვნებაში. ტაძრის ჩრდილოეთ კედელზე შემონახულია დავით აღმაშენებლის ერთადერთი ფრესკა, ხოლო სამხრეთი ეკვდერის კედელზე – საქართველოს მეფის (1246-1259 წწ.) დავით ნარინის ორი პორტრეტია, რომელიც XIII საუკუნეშია შესრულებული. გელათის მონასტერი 1994 წლიდან შეტანილია UNESCO-ს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა სიაში.

საქართველოს მეფის დავით აღმაშენებლის ბრძანებით იქნა აგებული შიომღვიმის მონასტრის ზემო ეკლესია (ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი), მის შვილს თამარს შიდა ქართლში აუგია თიღვის ეკლესია.

საქართველოს მეფე ლაშა-გიორგის მოღვაწეობის პერიოდში (1213-1223 წწ.) აგებული ძეგლებიდან გამოსარჩევია წუღრუღაშენისა და ფიტარეთის ტაძრები. ამ ეპოქის ქართველ ხუროთმოძღვართა მაღალი ოსტატობის მაჩვენებელია დმანისის ეკლესიის კარიბჭე, სათხის ეკლესიის ქვის კანკელი, გრიგოლ მაწყვერელის ბრძანებით აშენებული ქარზამეთის ეკლესიის შესანიშნავი ორნამენტებით შემკობილი სამხრეთის შესასვლელი. ეკლესიებისა და ტაძრების კედლებზე არსებული სამშენებლო წარწერები მოწმობენ, რომ „თათართა“ ბატონობის ხანაშიც, მიუხედავად დიდი სიდუხჭირისა, ქართლში ეკლესია-მონასტრების მშენებლობა

გრძელდებოდა. XIII საუკუნეში, საქართველოს მეფე დემეტრე II თავდადებულის დროსაა (1270-1289 წწ.) აგებული თბილისის მეტეხის ტაძარი, რომელიც აღმართულია V საუკუნის ეკლესიის ნანგრევებზე, სადაც ქართული ტრადიციით წმინდა შუშანიკი იყო დაკრძალული. XI საუკუნეში ფარავნის ტბასთან (სომხეთის საზღვართან), იმ ადგილას, სადაც წმინდა ნინომ პირველად დადგა ფეხი ქართულ მიწაზე (323 წ.; ზოგი მეცნიერის აზრით 316-317 ან 319-320 წწ.) განლაგებულია გათლილი ქვის მემორიალური მცირე ობელისკი შესაბამისი წარწერით, ხოლო იქვე აგებულია ფოკას ეკლესია. იგი მნიშვნელოვანია მასზე დატანილი წარწერებიდან გამომდინარე, რადგან საშუალებას გვაძლევს დავათარიღოთ ტაძრის აგება და შემდგომი შეკეთების პერიოდები. ადრეფეოდალურ ხანაში, წმინდა ნინოს დაკრძალვის ადგილზე, სოფელ ბოდბეში აშენდა სამონასტრო კომპლექსი, რომლის ტაძრის დასავლეთის ფასადზე ამოკვეთილი წარწერის თანახმად იგი განუახლებია მეფე დიმიტრი თავდადებულს. მეფის ასულს, დედოფალ რუსუდანსა და მის მეუღლეს თაყა ფანასკერტელ-ციციშვილს აღუდგენიათ გუდარეხის ეკლესია (არქიტექტორი ჭიჭაფორისძე). XIII საუკუნეშია აგებული სხალთის (ხულოს რაიონი) ბრწყინვალე ეკლესია.

XIII- XIV საუკუნის ძეგლებიდან ყურადღებას იპყრობს სამცხე-საათაბაგოში ზარზმისა და საფარის (არქიტექტორი ფარეზას ძე) სამონასტრო კომპლექსები. ზარზმის ტაძრის შესასვლელის თავზე ჩასმულია წარწერიანი ქვა (აღებულია ამ ადგილას ადრე არსებული ძველი ეკლესიის ნანგრევებიდან), რომელშიც გადმოცემულია იმიერტაოსა და ბასიანის მეფის დავით III კურაპალატის ძლევამოსილი ლაშქრობა (979 წ.) ბიზანტიის იმპერატორ ბასილი II-ის დასახმარებლად აჯანყებული ბარდა სკლიაროსის წინააღმდეგ. აღსანიშნავია ზარზმის სამრეკლო, რომელიც ერთ-ერთი უდიდესია საქართველოში. ზარზმისა და საფარის ტაძრების ხუროთმოძღვრულ ჯგუფს მიეკუთვნება ჭულეს წმინდა გიორგის გუმბათიანი ეკლესია (ადიგენის მუნიციპალიტეტი), რომელშიც 1381 წლით დათარიღებული სამცხის ათაბაგთა პორტრეტებია განთავსებული.

XIV- XV საუკუნეებში განახლდა სოფელ დორეთკარის (ახალგორის მუნიციპალიტეტი) წმინდა ბარბარეს სახელობის ეკლესია, რომელიც გამოირჩევა შესანიშნავი მოხატულობით; აიგო თავად ფალავანდიშვილთა საგვარეულო მონასტრები ოჭორასა და გომართაში (ყორნისის რაიონი), თირის მონასტერი (ცხინვალის მუნიციპალიტეტი), მოიხატა უბისის (იმერეთი), წალენჯიხის, ხობის (სამეგრელო), სორის (რაჭა) ეკლესიები, აღადგინეს რუისის ღვთაების ტაძარი, დავითგარეჯა (მეფე ალექსანდრე დიდის ძალისხმევით). ცალკე აღნიშვნის ღირსია ალექსანდრე დიდის ღვაწლი ქართველების უპირველესი კათედრალის – სვეტიცხოველის რესტავრაციაში. ფაქტობრივად ხელახლა იქნა აგებულის ულუმბის მონასტერი. XV საუკუნის დასაწყისშია აგებული ნაბახტევის ეკლესია (ხაშურის მუნიციპალიტეტი), რომლის კედლებზე შემორჩენილია მეფე ალექსანდრე დიდის, მისი მეუღლის, ქტიტორის, მსხვილი ფეოდალის, ბიზანტიაში საქართველოს ელჩის ქუცნა ამირეჯიბისა და მისი ოჯახის წევრების გამოსახულებები.

XV-XVIII საუკუნეები საქართველოსათვის ხვარაზმელების, ყიზილბაშების, ოსმალების, ლეკების დაუსრულებელი შემოსევების ხანაა. მიუხედავად ასეთი მძიმე ყოფითი და პოლიტიკური მდგომარეობისა, ჩვენი წინაპრები მაინც ახერხებდნენ თავდაცვითი სიმაგრეებისა და ხუროთმოძღვრული ძეგლების მშენებლობას (გრემი, ანანური, ბარაკონი, შავნაბადა; სნოს. არშის, ჩაილურის, ქსნის ციხეები და სხვ.).

გრემის სამონასტრო კომპლექსი მდებარეოს კახეთის მხარეში, ყვარლის მუნიციპალიტეტში. გრემის ტერიტორიაზე პირველი დასახლება, სავარაუდოდ, გვიან ბრინჯაოს ხანაში (ძვ.წ. 1500-1000 წწ.) გაჩნდა, თუმცა ქალაქი გრემი კახეთის სამეფოს ხანმოკლე, მაგრამ მძლავრი განვითარების პერიოდში (XV-XVII ს.) შეიქმნა, როცა გრემი კახეთსის პირველმა მეფემ – გიორგიმ (1466-1476 წწ.) კახეთის დედაქალაქად აქცია. იგი მთელი ორი საუკუნის განმავლობაში ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი, კეთილმოწყობილი, ხალხმრავალი ქალაქი იყო არა მარტო პოლიტიკური და ეკონომიკური, არამედ კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრებითაც (გადმოცემით აქ გრემის აკადემიაც ფურქციონირებდა). გრემის კომპლექსის მთავა-

რი ნაგებობა – მთავარანგელოზის ტაძარი აიგო XV საუკუნის 60-იან წლებში. მანამდე აქ მიქელისა და გაბრიელის სახელობის ეკლესია მდგარა (გ. ჩუბინაშვილი). ამჟამად, გრემის კომპლექსში ფუნქციონირებს გრემ-ნეკრესის ისტორიულ-ხუროთმოძღვრული სახელმწიფო მუზეუმ-ნაკრძალი.

ანანურის ციხე გვიანფეოდალური ხანის ერთ-ერთი საუკეთესო ხუროთმოძღვრული ძეგლია მცხეთა-მთიანეთის მხარეში. არქიტექტურული ანსამბლის მთავარი ნაგებობა – ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარი 1689 წელს აუგია არაგვის ერისთავის შვილის მდივანბეგ ბარძიმის დაკვეთით ბოქაულთუხუცეს ქაიხოსრო ბაღსარაშვილს. ციხის ძირითადი ნაგებობები მდიდრულადაა გაფორმებული ჩუქურთმებით, მორთულობებით, ჯვრებით, ლილვებით, რელიეფებით, კარნიზებით, არშიებით და კომპლექსი მთლიანობაში, არქიტექტურულად და უნიკალური ადგილმდებარეობით, წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე. 1791 წელს მეფე ერეკლე II-ის მიერ ძეთათვის დაწერილ განწესებაში ანანურის ციხე საქართველოს შვიდ უძლიერეს ციხეს შორის არის მოხსენიებული.

ქართულ ხუროთმოძღვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს კლდეში გამოკვეთილ სამონასტრო კომპლექსებს – დავითგარეჯას, ვარძიას, ვანის ქვაბებსა და სამსარის გამოქვაბულს. დავით გარეჯი საქართველოს ერთ-ერთი თვალსაჩინო რელიგიურ-კულტურული ცენტრი იყო. დაარსდა VI საუკუნის I ნახევარში ერთ-ერთი ასურელი მამის დავითის მიერ. პირველად აშენდა წმ. დავითის ლავრა. დროთა ვითარებაში მას განშტოებები შეემატა შორიშორს მდებარე გამოქვაბულ-მონასტერთა სახით: თეთრი უდაბნო, მრავალწყარო, წამებული, ნათლისმცემელი, ჩიჩხიტური, დოდოს რქა, უდაბნო, თეთრი სენაკები, დავითის ლავრა, ბერთუბანი, საბერეები, მღვიმე (მაღაზანა), პირუკუღმარი, ბერების სერი, ვერან-გარეჯა, ქოლაგირი, დიდი ქვაბები, პატარა ქვაბები და სატორგე [მათგან ბერთუბანი და ჩიჩხიტური აჟამად მდებარეობს აზერბაიჯანის (სადაო) ტერიტორიაზე]. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დავითგარეჯას მხატვრობას, რომლის საშუალებით შემორჩენილია ქტიტორთა მრავალრიცხოვანი გამოსახულებები, მათ შორის საქართველოს მეფეთა პორტრეტები (თამარ მეფე და მისი ძე გიორგი IV ლაშა – ბერთუბნის ეკლესია, ამჟამად – ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი, თბილისი; მეფე დემეტრე II თავდადებული – უდაბნოს მონასტრის ხარების ეკლესიის მოხატულობა).

ვარძიის სამონასტრო კომპლექსი (1156-1203 წწ.) გამოკვეთილია ერუშეთის მთის კალთაზე ტუფბრექჩიების შერეულ კლდეში (სიგრძე 500 მ-მდე), განლაგებულია ცამეტ სართულად. შედგება ისტორიულად ჩამოყალიბებული 2 ნაწილისგან – ვარძიის მონასტრისა და უფრო ადრინდელი ხანის (X-XII საუკუნეები) კლდის სოფლის ანანაურისგან. ვარძიის ხუროთმოძღვრება დაფუძნებულია წინასწარ შემუშავებულ კომპოზიციურ იდეაზე – მრავალსართულად გამოკვეთილი ანსამბლი განლაგებულია კლდის უბის სიღრმეში ჩასმული ცენტრის – ტაძრის გარშემო. მთელი მონასტერი სამხრეთ მხარესაა მიმართული და საცხოვრებლები კლდის სიღრმეში სამხრეთიდან ჩრდილოეთითაა გამოკვეთილი. მონასტერში 120 საცხოვრებელი კომპლექსის 420 სათავსია, მათ შორის 25 მარანი 185 ქვევრით. საცხოვრებელი თუ საზოგადო დანიშნულების სათავსები ტექნიკურად მაღალ დონეზეა შესრულებული. ვარძია არ გამოირჩევა მდიდრული მორთულობით, ერთადერთი სამკაულია სამლოცველოთა კედლის მხატვრობა. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ტაძრისა და კარიბჭის მოხატულობა (1184-1186 წწ.), სადაც ქრისტეს ცხოვრების ამსახველ სცენებთან ერთად გამოსახულია მეფე გიორგი III-ისა და თამარ მეფის პორტრეტები (აღსანიშნავია, რომ თამარ მეფის პორტრეტი საქართველოში ვარძიის გარდა მხოლოდ სამგან გვხვდება – ყინწვისში, ბეთანიასა და ბერთუბანში). ვარძიის კომპლექსი ქართველი ხალხის მიერ შექმნილი გენიალური ქმნილებაა, რომელსაც დღესაც აღტაცებაში მოჰყავს თანამედროვე მსოფლიო საზოგადოება. ამჟამად ვარძიის სამონასტრო კომპლექსი ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალის სტატუსის მატარებელია.

ვანის ქვაბები მდებარეობს ისტორიულ ჯავახეთში (ასპინძის მუნიციპალიტეტი). წარმოადგენს თექვსმეტ სართულად განლაგებულ 200-მდე გამოქვაბულს. სამონასტრო კომპლექსში

შედის: კლდეში ნაკვეთი სადგომები, ქვაბები და სამეურნეო დანიშნულების სათავსები, ეგვტერ-სამარხები, საძვალე, თავშესაფარი, სამიმოსვლო გვირაბები და 6 ეკლესია. შემორჩენილია წყალსადენის 3 ტრასისა და წყალსაცავის ნაშთი, მხატვრობის ფრაგმენტები და ისტორიული ხასიათის მნიშვნელოვანი წარწერები. სამონასტრო ანსამბლში სამონაზვნო სენაკებს შორის დაცულია, როგორც უდაბნოსათვის დამახასიათებელი უძველესი სამყოფი ქვაბები, ასევე შემდეგდროინდელი სამონასტრო ცხოვრების შესაფერი კლდის საცხოვრებლები სამეურნეო დამხმარე სადგომებით. ვანის ქვაბების ხუროთმოძღვრებაში მკვეთრად ჩანს კლდეში ნაკვეთ ადრეულ ქვაბთა თავისებურებანი; ამავე დროს იგი კლდის არქიტექტურის შუალედური ძეგლია, რომელმაც ვარძიის ხუროთმოძღვრული ფორმების ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი.

სამსარის კლდეში ნაკვეთი გუმბათიანი ეკლესია და მის გასწრივ გამოკვეთილი ქვაბები აშენებულია VIII-XII საუკუნეებში სამხრეთ საქართველოს ისტორიულ მხარე სამცხე-ჯავახეთში (ახალქალაქის მუნიციპალიტეტი). ეკლესია სავარაუდოდ XII საუკუნისაა. მის კედლებზე შემორჩენილია ძველი ქართული წარწერები.


ქართული კულტურის განვითარებაში დიდი როლი ჰქონდათ იერუსალიმისა და პეტრიწონის მონასტრებს. იერუსალიმის ჯვრის მონასტერი, XI საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების მნიშვნელოვანი ძეგლი, რელიგიური და კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი იყო წმინდა მიწაზე, პალესტინაში (ახლანდელი ისრაელის ტერიტორია). მონასტრის ტერიტორიაზე სულ 270-მდე სათავსი და დამხმარე ნაგებობაა. გადმოცემის მიხედვით მონასტრის ტერიტორია V საუკუნეში შეუსყიდია აქ ჩამოსულ საქართველოს პირველ ქრისტიან მეფე მირიანს (წმინდა ნინოს რჩევით) და იქ სამლოცველო აუშენებია. იმავე საუკუნის მეორე ნახევარში იერუსალიმში ჯარით შევიდა ქართლის მეფე დავით გორგასალი. მან გააფართოებინა და დაამშვენა სამლოცველო და მის მცველად 600 მეომარი დატოვა. შემდეგ საუკუნეებში მონასტრის შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება. დღემდე მოღწეული სამონასტრო კომპლექსი, ძველი სამლოცველოს ადგილზე, XI საუკუნეში ააშენა ბერ-მონაზონმა გიორგი-პროხორემ მეფე ბაგრატ IV კურაპალატისა და დედამისის – მარიამის ხელშეწყობითა და ექვთიმე მთაწმინდელის კურთხევით. 1960 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ექსპედიციის წევრებმა აკაკი შანიძემ, ირაკლი აბაშიძემ და გიორგი წერეთელმა მთავარი ტაძრის სვეტზე აღმოაჩინეს დიდი ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის ფრესკა შესაბამისი ასომთავრული წარწერით.

XIV-XV საუკუნეების მიჯნაზე ქსნის ერისთავებს შალვას, ვირშელს და ივანეს იერუსალიმში აუგიათ წმინდა დიმიტრის მონასტერი, ხოლო ამილღამბარ ფანასკერტელ-ციციშვილს (სიმონ-ხანის სახლთუხუცესი, 1622 წ.) და თავად მაჩაბლებს – წმინდა ეკატერინეს მონასტერი. იერუსალიმის მონასტრებისა და წმინდა მიწის სხვა ქართული სანეებისადმი დიდი ღვაწლი აქვთ გაწეული სამეგრელოს მთავარების – დადიანების საგვარეულოს წარმომადგენლებს.

XVIII საუკუნის ძეგლებიდან ყურადღებას იქცევს ქ. სიღნაღის გალავანი, თელავის ციხე და სამეფო რეზიდენცია, ნინოწმინდის (საგარეჯოს მუნიციპალიტეტი) ტაძრის ეზოში ირანულ სტილში ნაგები სასახლე, დარეჯან დედოფლის ციხე-კოშკი თბილისში, მდიდრულად მოჩუქურთმებული ბარაკონის ტაძარი სოფელ წესში (რაჭა), ქოლაგირის ციხე და მრავალი სხვ. ამავე პერიოდში რესტავრირებული და აღდგენილი იქნა ცაიშის ტაძარი, გელათის წმინდა ნიკოლოზის ეკლესია, აგრეთვე ბაილეთის, შემოქმედის (გურია), ნარიყალას, დედა-ციხის, მეტეხის (თბილისი), ერეკლე მეფის, ვახვახიშვილის, ახმეტის, ბოჭორმის, რუისპირის, საბუეს, ალავერდის, ყვარელის, ლალისყურის, შილდის, ნაფარეულის, იყალთოს და სხვ. ციხეები. ცნობილმა მხატვარმა ნიკოლოზ აფხაზმა მოხატა ანანურის ეკლესია, მესხიშვილებმა – ანჩისხატის ტაძარი.

(განხილული ეკლესია-მონასტრებისა და სხვა ქართული კულტურული ძეგლების დეტალური აღწერა იხ. წინამდებარე ნაშრომის მესამე და მეოთხე თავებში).

ქართული ხუროთმოძღვრებისთვის მეტად მნიშვნელოვანია მრავალი საუკუნის განმავლობაში თბილისში აღმოცენებული ხის აივნის ტიპი, ე.წ. „თბილისური აივანი“, რომელიც აზიისა და ევროპის გზაშესაყარზე მდებარე ქალაქის სავიზიტო ბარათს წარმოადგენდა და დღემდე შეინარჩუნა თვითმყოფადობა. თითქმის წარმოუდგენელია თბილისის ძველი უბანი ამ აივნების გარეშე (სურ. 2.5. ძველი თბილისის აივნები). ქართველმა მშენებლებმა და ხით ხუროებმა ეს აივნები ქალაქის მეტყველი მხატვრულ-ხუროთმოძღვრული ელემენტი გახადეს. გადმოკიდებული და გადახურული ხის აივნები შორეული წარსულიდან იყო ფეხმოდგმული (იხ. XII საუკუნის უბისის მონასტრის „სვეტის“ მესამე სართულის გადმოკიდებული აივანი). აივნის სვეტები, ქვედა მხარეს, ერთმანეთთან ყრუ ფიცრული, ძელური ან რიკულებიანი, მოაჯირითაა დაკავშირებული, ხოლო ზედა ნაწილში – ხშული ან აჟურული არქიტრავებია, რომელშიც გაცოცხლებულია შესანიშნავი ქართული ორნამენტული მოტივები. სვეტები ზოგჯერ სადაა, ზოგჯერ – ხვია, რაც საოცარ სიმსუბუქეს ანიჭებს ნაგებობას. შენობაში ჩადგმულ აივნებს ენაცვლება ტექტონურად სრულყოფილი დეკორატიული კონსოლებიანი აივნებიც. სახურავი მარტივია ან „ანტაბლემენტითაა წარმოდგენილი, რომელსაც გარს უვლის თუნუქის ფესტონების ან გადაბმული წრეების არშია“(კ. მელითაური). აივნის სვეტი ხშირად ცვლადკვეთიანია. ქვედა მსხვილი ბოლო ოთხკუთხა პლინტიან მრგვალ ტორუსს ეყრდნობა, ხოლო ზედა ბოლო, ტოსკანური ორდერის კაპიტელს ჩამოგავს. კაპიტელი რვაწახნაგოვანია (განსხვავებით წრიული ტოსკანურისგან), ასეთივეა კაპიტელის ექინი და მასზე დაყრდნობილი აბაკი. საყურადღებოა აბაკზე დაფუძნებული მთლიანკვეთიანი თაღები, რაც მდორე გადასვლას იძლევა. მთლიანად კაპიტელი ხეზე კვეთის შესანიშნავი ნიმუშია.



სურ. 2.5. ძველი თბილისის აივნები

როგორც ჟურნალისტი თეა ცაგურიშვილი წერს – „ხის აივნები და შუშაბანდები ჯერ კიდევ მხნედ იყურებიან მრუდე ქუჩებიდან და შესახვევებიდან, მაგრამ უკვე აღარ სხედან ტახტებზე დარბაისელი ჩოხოსანი მოხუცები და ჩიხტიკოპიანი ქალები, გაქრნენ გალიფეებიანი და ულვაშიანი ოფიცრები გიტარებითა და ყანწებით ხელში... აღარ თამაშობენ ნარდს მეორე მსოფლიო ომიდან დაბრუნებული, კიტელშეხსნილი დაღლილი მამაკაცები და აღარ ჩანან დარდით სავსე თვალცრემლიანი ქალები... დაცარიელებული აივნები დუმან... ქალაქის ხუროთმოძღვრული ხალიჩა ძველად, ძირითადად, ხისგან იქსოვებოდა და ხის აივნებში ქართული ხეზე კვეთილობა რბილად გადაედინება საუკუნეების განმავლობაში უკვე თბილისური სპეციფიკით გაჟღენთილ აღმოსავლურ მაქმანებში...“

XIX-XX საუკუნეებში, როდესაც საქართველო შევიდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში, გრძელდება ის უაღრესად საინტერესო პროცესი არქიტექტურის განვითარებისა და ქალაქების ფორმირებისა, რომელიც გვიანი შუა საუკუნეების ბოლოდან საზოგადოებრივ-პოლიტიკური თვალსაზრისით ძალზე რთულ პერიოდში იღებს სათავეს და რომელიც სრულიად ახლებურ იერს ანიჭებს ამ დროისთვის მნიშვნელოვნად დაკნინებულ ქალაქებს. დასავლური თუ აღმოსავლური არქიტექტურა სწრაფად ასიმილირდება ქართულთან და ისე სწრაფად მკვიდრდება ყოფაში, რომ შიდა ეზოები, სათავსების „ანფილადური“ განლაგება, დაკიდებული რიკულებიანი აივნები და სხვა მრავალი მეტად თუ ნაკლებად მნიშვნელოვანი ელემენტი, წმინდა ქართულ მოვლენად აღიქმება, ისევე, როგორც დასავლეთ საქართველოში მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში გავრცელებული „ოდა“ სახლები. იზრდება

მშენებლობის მასშტაბები, უმჯობესდება ნაგებობების არქიტექტურის ხარისხი. ამ პერიოდში აგებული მრავალი შენობა დღესაც საქართველოს ქალაქების უკეთეს ნაგებობათა შორისაა. არქიტექტურული შემოქმედება კვლავ ეკლექტიზმისა და სტილიზაციის გზით მიდის, უმთავრესად – კლასიკური არქიტექტურის ფორმების ვარიაციებით, უფრო იშვიათად კი – გოტიკური, ისლამური, ბიზანტიურ-რუსული ტრადიციული არქიტექტურის ელემენტებით. საყურადღებოა, რომ ამავე დროს ჩნდება ინტერესი ქართული ხუროთმოძღვრების მემკვიდრეობის მიმართ, რაც პრაქტიკულ მოღვაწეობაში ცალკეული არქიტექტურული, უმთავრესად, საეკლესიო არქიტექტურული ფორმების თუ დეკორატიული ელემენტების გამოყენებაში ვლინდება.



სურ. 2.6. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, I კორპუსი, 1906 წ.



სურ. 2.7. სასტუმრო „თბილისი“ (ახლანდელი „მარიოტი“), 1915 წ.

XX საუკუნის დასაწყისში გამეფებული სტილისტური სიჭრელის ფონზე აღსანიშნავია ახალი სტილის „მოდერნის“ შემოსვლა, რომელიც ხელოვნებათა სინთეზს და ინდივიდუალიზაციის უდიდეს შესაძლებლობას შეიცავდა. ამ სოლიდური, დახვეწილი არქიტექტურის ნიმუშების ხილვა საქართველოს ყველა ქალაქში შეიძლება. მდიდრული ორ-ოთხსართულიანი საცხოვრებელი სახლების პარალელურად, შენდება სახელმწიფო, საზოგადოებრივი და საეკლესიო დანიშნულების ნაგებობები, რომლის საყურადღებო ნიმუშთა შორისაა: თბილისის სახაზინო თეატრი (ახლანდელი ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი), სამუსიკო სასწავლებელი, სათავადაზნაურო სასწავლებელი, სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკი, ქაშვეთის ეკლესია, ზუბალავერც ერთი შვილის სახალხო სახლი (ახლანდელი მარჯანიშვილის თეატრი), უნივერმაღის შენობა, ოფიცერთა სახლი, კინოთეატრი „აპოლო“ და სხვ. ამ პერიოდში უფრო მრავალრიცხოვანია „კლასიკური“ არქიტექტურის ნიმუშები, როგორიცაა: თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის (ახლანდელი უნივერსიტეტის პირველი კორპუსის შენობა 1906 წ., სურ. 2.6) შენობა, რომლის ფუნქცია იმთავითვე მიზანშეწონილად და მოხერხებულად იყო გააზრებული. სიმეტრიული, წარმოსადეგი სამსართულიანი შენობა, თავისი ქალაქური მასშტაბით, დახვეწილი პროპორციებით, სოლიდურობით, რენესანსულ-ბაროკოს სტილით, ქალაქის ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი ნაგებობაა. ასევე, კლასიკური ტრადიციის ხაზის გაგრძელებაა სასტუმრო „მაჟესტიკი“ (ყოფილი სასტუმრო „თბილისი“, დღევანდელი „მარიოტი“). ის დღესაც რუსთაველის გამზირის განაშენიანებაში ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი შენობაა (სურ.2.7. სასტუმრო „თბილისი“), რომელიც მდებარეობითა და მოცულობის საერთო კონფიგურაციით გამზირს ანიჭებს მომხიბვლელ პლასტიკას. ფასადთა მორთულობაში რენესანსულ-ბაროკოული ფორმები ჭარბობს (რუსტიკა, კორინთულ-კაპიტელიანი ნახევრადწრიული და ბრტყელი პილასტრები, ქვის კრონშტეინებზე დაყრდნობილი სამკუთხა და რკალური ფრონტონები, მეოთხე სართულის მძლავრი ანტაბლამენტი და ატიკის სართული, რომელსაც ნაძერწრიკულებიანი პარაპეტი აგვირგვინებს. ამავე მიმართულების ადრეული ნიმუშთაგანია (1901 წ.) არტისტული საზოგადოების სახლი (დღევანდელი რუსთაველის სახელმწიფო დრამატული თეატრი, სურ. 2.8). შენობის არქიტექტურა

უაღრესად ეკლექტიკურია, თუმცა ფასადების გადაწყვეტაში წამყვანი თემა, როკოკოს დეკორატიულ ელემენტებთან ერთად, ორდერული ფორმებია. თეატრის შენობა ქუჩის განაშენიანებაშია ჩართული, მაგრამ მისი ინდივიდუალური, ძალზე „ჟღერადი“ არქიტექტურული იერი მას თვალნათლივ გამოარჩევს მისი მეზობელი ნაგებობებისგან. ეს სავსებით ევროპული, დედაქალაქური ნაგებობაა, ორიგინალური კომპოზიციითა და პროფესიულად მაღალ დონეზე გადაწყვეტილი ფასადით. საინტერესოა სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის, ანუ, ქართული ბანკის შენობა (ამჟამად საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის პირველი კორპუსი), რომელიც 1913-1916 წლებში აშენდა. შენობა გამორჩეულია მთლიანი მოცულობისა და ფასადთა გადაწყვეტის ძალზე საინტერესოდ გააზრებული თავისუფალი კომპოზიციიდ, განსხვავებული სიძლიერის აქცენტების განაწილების ოსტატობით, პროპორციულ შეფარდებათა კარგად მონახული სისტემით, მასალის ბუნების გამოვლენითა და ტექტონიკურობით. ყოველივე ეს შთამბეჭდავ, მონუმენტურ იერს ანიჭებს მას და ისტორიული არქიტექტურული ფორმების, აგრეთვე დეკორის ეკლექტური ნაკრების მიუხედავად, მთლიანობაში, უდაოდ ქართულ არქიტექტურულ ტრადიციასთან სიახლოვეს ამჟღავნებს. ამავე ტრადიციას ეხმიანება რუსთაველის გამზირის განაშენიანებაში კარგად ჩაწერილი და მის სივრცესთან შეთანხმებული ქაშვეთის ეკლესია (1910 წ.).

XIX-XX საუკუნეებში თბილისში საერო დანიშნულების შენობების პარალელურად შენდებოდა ეკლესია-მონასტრები, რომელთაგან გამოსარჩევია: კათოლიკური ეკლესია (1804 წ.), მამადავითი (1859-1871 წწ.), ალექსანდრე ნეველის სახელობის რუსული ეკლესია (1864 წ.), დიდუბის ეკლესია (1889 წ), თბილისის სამება (1995-2004 წწ.) და სხვ.




სურ. 2.8. რუსთაველის თეატრი ქ. თბილისში, 1910 წ.



სურ. 2.9. ქ. ქუთაისის კლასიკური გიმნაზია, 1878 წ.

თბილისის გარდა, საქართველოს სხვა ქალაქებშიც ძველი თუ თანამედროვე სტილის საერო და საეკლესიო დანიშნულების ბევრი შენობაა აგებული, რომელთაგან აღსანიშნავია: ნინოწმინდის ტაძრის ოთხსართულიანი სამრეკლო (XVI ს.), ბატონის ციხე თელავში, „ოქროს ჩარდახი“ ქუთაისში (XVII-XVIII ს.), ქუთაისის ღვთისმშობლის ხარების ეკლესია (1823 წ.), დადიანების სასახლე ზუგდიდში (XIX ს.), ქუთაისის კლასიკური გიმნაზია (1878 წ.) (სურ. 2.9), ბათუმის პორტი (1878 წ.), ქუთაისის რეალური სასწავლებელი (1897 წ., ამჟამად შენობაში განთავსებული ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი), იოსებ სტალინის სახელმწიფო მუზეუმი გორში (1937 წ.), საქართველოს პარლამენტის შენობა ქუთაისში (2010-2012 წწ.) (სურ. 2.10), ანბანის კოშკი ბათუმში (2010-2011 წწ.), ბათუმის იუსტიციის სახლი (2011 წ.) (სურ. 2.11), ქუთაისის (კოპიტნარის) საერთაშორისო აეროპორტი (2012 წ.), ქალაქების თელავისა და სიღნაღის ურბანული უბნები (სურ. 2.12); გორის საკათედრო ტაძარი (1806-1810 წწ.), ქუთაისის სობორის ტაძარი (1852-1871 წწ.); ბათუმის სინაგოგა (1904 წ.); ბათუმის ღვთისმშობლის შობის სახელობის საკათედრო ტაძარი (1898-1903 წწ.); შენაქოს ეკლესია ახმეტის მუნიციპა-

ლიტეტში (XIX ს.), ულუმბოს მონასტერი ხაშურის მუნიციპალიტეტში (XIX ს.), ფოთის საკათედრო ტაძარი (1906-1907 წწ.), სურამის კვირაცხოვლობის ტაძარი (1998წ.), ბოლნისის ელიას მთის წმ. პეტრე და პავლე მოციქულთა სახელობის მამათა მონასტერი (2008-2015 წწ.), რუსთავის სიონი (2011 წ.) და სხვ.



სურ. 2.10. საქართველოს პარლამენტის შენობა ქ. ქუთაისში, 2012 წ.



სურ.2.11.ბათუმის იუსტიციის სახლი, 2011

საერო დანიშნულების ნაგებობათა შორის აღსანიშნავია გეგუთის სასახლე (XI ს.), რომელიც ქ. ქუთაისის მახლობლად გეგუთის ციხის (VIII-IX სს.) ტერიტორიაზე იყო აგებული. სასახლეს სააგარაკო და სანადირო დანიშნულება ჰქონდა. შემორჩენილი ნანგრევებიდან ჩანს სასახლის გრანდიოზული ზომები, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ძირითადი სამეფო სასახლეები სატახტო ქალაქებში (თბილისი, ქუთაისი) რა მასშტაბების იქნებოდა. საქალაქო სახლების ნაშთები აღმოჩნდა დმანისისა და სამშვილდის ნაქალაქარებში, გუდარეხის სამონასტრო კომპლექსში, გელათისა და იყალთოს სამონასტრო კომპლექსებში.



სურ. 2.12. ქ. სიღნაღის ურბანული უბანი

განვითარებულ შუა საუკუნეებში შეინიშნება საინჟინრო ნაგებობათა მომრავლება. ასეთი იყო თამარ მეფის დროს აგებული შიომღვიმე-სხალთის წყალსადენი, ბესლეთისა (სოხუმთან) (სურ. 2.13) და დონდალოს (აჭარა) (სურ. 2.14) ხიდები, მონუმენტური ციხეები სამხრეთ საქართველოში: ხერთვისი, თმოგვი, აწყური, ატენი, ბირთვისი, ოქროს ციხე და სხვ.

ქართული არქიტექტურული ძეგლების აგებულება მუდამ ტექტონიკური, რაციონალური, კლასიკურად ნათელი და მკაფიოა. თავისი აყვავების ეპოქებში ქართული ხუროთმოძღვრება ყოველთვის მოწინავე იდეების მატარებელი იყო და ბევრი მშვენიერი ნაწარმოები შექმნა. ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე საკულტო, საერო, თავდაცვითი ნაგებობები ყოველ ნაბიჯზე გვხვდება, მაგრამ, სამწუხაროდ, თითქმის ყველა დანგრეული, დაზიანებულია ან აღდგენილია საუკუნეების შემდეგ. ყოველ შემთხვევაში, არ მოიძებნება არცერთი ისტორიული ნაგებობა, თავდაპირველი სახე რომ ჰქონდეს შენარჩუნებული (განსხვავებით დასავლური ფეოდალური ციხე-დარბაზებისა და სამეფო რეზიდენციებისგან), რაც შედეგია არაბ-თურქ-სპარსელთა და სხვათა გამანადგურებელი შემოსევებისა, რასაც

მუდმივად ჰქონდა ადგილი ჩვენი ქვეყნის ისტორიის მთელ პერიოდში. მიუხედავად ამისა, საქართველოს უმშვენიერესი არქიტექტურა, წარმოდგენილი უძველესი ტაძრებით, მონასტრებითა და ციხესიმაგრეებით, ეროვნული თვითმყოფადობით, ფორმების სიმარტივით, ეფექტური დიზაინით, ჰარმონიული პროპორციებით, უმშვენიერესი ჩუქურთმებითა და ბუნებასთან იდეალური შერწყმით, ქართული კულტურის უდიდესი მიღწევაა და დამსახურებულად მუდმივად იმყოფება კაცობრიობის განვითარების ისტორიის თვალთახედვის არეში.



სურ.2.13. ბესლეთის ხიდი, XIII ს.,
აფხაზეთი, საქართველო



სურ. 2.14.დონდალოს ხიდი, XIII ს.,
აჭარა, საქართველო

თავი 3. ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრების მნიშვნელოვანი ძეგლები

ძვ. წ. VI-IV საუკუნე

3.1. უფლისციხე (ინგლ. Uflistsikhe) – კლდეში ნაკვეთი ქალაქი, კავკასიის ერთ-ერთი უძველესი დასახლება და საქალაქო ცენტრი (სურ. 3.1.1 - სურ. 3.1.3). მდებარეობს შიდა ქართლის მხარეში, გორის მუნიციპალიტეტში, ქ. გორის აღმოსავლეთით 10 კმ-ში, სოფელ ქვახვრელის ჩრდილოეთით, კვერნაქის ქედის სამხრეთ ფერდობზე, მდინარე მტკვრის მარცხენა ნაპირას. კომპლექსში შემავალი ნაგებობებია: დიდი კლდეკარი (გრძელი ნაგებობა ანუ გვირაბი), მცირე კლდეკარი, დასავლეთის ეკლესია, ეზოიანი და ერდოიანი სახლები, ერთსვეტიანი (სურ. 3.1.4) და კესონებიანი (სურ. 3.1.5) დარბაზები, მაღალტახტიანი ოთახის კომპლექსი, მთავარი ქუჩის თავში მდებარე ნაგებობა, მიუვალი ნაგებობა, კოხტა სახლი, სადა ოთახი, მთავარი ტაძრის ორსვეტიანი და ოთხსვეტიანი (სურ. 3.1.6) დარბაზების კომპლექსი, უფლისწულის ეკლესია (სურ. 3.1.7; სურ. 3.1.8), ქარაფისპირა სახლი, ქუჩისპირა ბაქანი, შეწყვილებულ კოჭებიანი დარბაზი, წითელი ოთახის კომპლექსი, მაგისტრალური და დამხმარე გზების სისტემა, წყალსაწრეტი არხების ქსელი, ეკლესია და სხვ.




სურ. 3.1.1. ადგილმდებარეობის რუკა



სურ. 3.1.2. პანორამული ხედი



სურ. 3.1.3. საერთო ხედი



სურ. 3.1.4. ერთსვეტიანი დარბაზი

უფლისციხე წერილობით წყაროებში პირველად VII საუკუნეში იხსენიება, თუმცა ნაქალაქარში დაცულია არქეოლოგიურ და ხუროთმოძღვრულ ძეგლთა ჯგუფი, რომელთაგან უძველესი ადრინდელი ბრინჯაოს ხანისაა და მტკვარ-არაქსის კულტურის წრეს განეკუთვნება. ძვ. წ. I ათასწლეულის I ნახევრიდან იქმნებოდა ეს უნიკალური ხუროთმოძღვრული კომპლექსი, რომლის ძირითადი ნაწილი უმთავრესად გამოკვეთილია ადრინდელ ანტიკურ ხანაში (ძვ.წ. VI-IV საუკუნეები), როცა იგი შიდა ქართლის ერთ-ერთი უძლიერესი პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული ცენტრი და დიდხანს სამეფო ქალაქიც იყო. ძვ. წ. II-I სს. უფლისციხე ტიპური ელინისტური ქალაქია თავისი ციტადელით, ქალაქით, საგარეუბნო

სასოფლო-სამეურნეო სავარგულებით, სოციალური იერით, ვაჭრობით, ხელოსნობითა და ა.შ. IV ს. 30-იან წლებში, მეფე მირიანის მმართველობის პერიოდში, საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიათ გამოცხადების შემდეგ, უფლისციხეში საქალაქო ცხოვრება გაფერმკრთალდა, მაგრამ ფეოდალურ ხანაში მაინც უძლიერეს ციხესიმაგრედ ითვლებოდა. იგი VIII ს. ქართლის ქალაქებს შორის ერთ-ერთი მთავარი დასაყრდენი იყო საქართველოს არაბებისგან განთავისუფლებისთვის ბრძოლაში. IX-X სს. ციხე-ქალაქი პოლიტიკური მოვლენების ცენტრში მოექცა. მის დასაუფლებლად იბრძოდნენ ქართველი ბაგრატიონები, ტაო-კლარჯეთისა და სომხეთის მეფეები, აფხაზეთისა და კახეთის მთავრები, არაბი სარდლები. ფეოდალური საქართველოს გაერთიანების შემდეგ, ერთი პერიოდი, უფლისციხე საქართველოს პირველი მეფის, ბაგრატ III-ის რეზიდენცია გახდა და იქ შიდა ქართლის მმართველად, რამდენიმე წლის განმავლობაში, დედამისი, გიორგი II აფხაზთა მეფის ასული, გურანდუხტ დედოფალი იჯდა. მონღოლების მრავალგზისი შემოსევების (XIII ს. პირველი ნახევარი) შედეგად უფლისციხე ძლიერ დაზიანდა, ხოლო XV ს. საბოლოოდ დაეცა და გვიანდელ ფეოდალურ ხანაში თითქმის მთლიანად დაიცალა მოსახლეობისგან.



სურ. 3.1.5. კესონებიანი დარბაზი



სურ. 3.1.6. ოთხსვეტიანი დარბაზი



სურ. 3.1.7. უფლისწულის ეკლესია



სურ. 3.1.8. უფლისწულის ეკლესიის ინტერიერი

უფლისციხის საერთო ფართობი 9,5 ჰექტარია. შედარებით უკეთაა დაცული შიდა ქალაქი (ფართობი 4 ჰა), რომელიც მთელი ძეგლის კომპოზიციურ ცენტრს წარმოადგენს. იგი დასავლეთის და სამხრეთის მხრიდან ბუნებრივადაა დაცული. აღმოსავლეთის და ჩრდილოეთის მხრიდან კი შემოვლებული ჰქონდა კლდეში გაჭრილი დიდი თხრილი, რომელსაც შიდა მხარეს ოთხკუთხაკოშკებიანი განიერი კედელი მიუყვებოდა. ქალაქი დასერილი იყო კლდეში ნაკვეთი ქუჩების ქსელით, რომელთაგან ერთი მაგისტრალური, ხოლო დანარჩენი – გვერდითი იყო. გამოქვაბულები განლაგებულია ცალკე ჯგუფებად, ზოგი ერთმანეთთან დაკავშირებულია ფართო გასასვლელებითა და გზა-ბილიკებით. ქალაქის ზედა ნაწილის დარბაზების კომპლექსიდან გამოსაყოფია კლდეში ნაკვეთი დიდი დარბაზი, რომლის ნახევარწრიული კამარა დამუშავებულია კლდეშივე ნაკვეთი რვაკუთხა კესონებით (სურ. 3.1.5). საცხოვრებელი და საზოგადოებრივი დანიშნულების სათავსები ტერასებადაა განლაგებული. ქალაქს

შემოვლებული ჰქონდა მძლავრი ქვის გალავანი რამდენიმე შესასვლელით. ჩრდილოეთით მდებარე მთავარი შესასვლელი (დიდი კლდეკარი) წარმოადგენს კლდეში ამოკვეთილ თავგახსნილ გვირაბს (სიგრძე 150 მ, სიგანე 2,5 მ, სიმაღლე 10 მ-მდე). თარიღდება ძვ. წ. IV-III საუკუნეებით. ის იყო შავი და კასპიის ზღვების დამაკავშირებელი უძველესი სავაჭრო-სატრანსპორტო გზის ნაწილი. ქალაქის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში შემორჩენილია მცირე კლდეკარი, რომელიც მთლიანად კლდეშია ჩაკვეთილი (სიგრძე 60 მ, სიგანე 1,5 მ) და წარმოადგენს შიდა ქალაქის ძირითად შესასვლელს. არსებობდა აგრეთვე, სამხრეთით მდებარე, საიდუმლო გვირაბი (პოტერნა) დიამეტრით 3 მ, რომელიც მდ. მტკვრის ნაპირზე ჩადიოდა.

შიდა ქალაქის შუა უბანში, ამაღლებული კლდის მასივზე მდებარეობს აგურით ნაშენი უფლისწულის ეკლესია (სამეკლესიიანი ბაზილიკა) გეგმაში ზომებით 18,5x13,8 მ, რომელიც სტილისტიკური ნიშნებით IX-X საუკუნეებს მიეკუთვნება. იგი თითქმის თავდაპირველი სახითაა შემონახული (სურ. 3.1.7). დაგეგმარების მხრივ აღსანიშნავია დაახლოებით ერთი სქემით განლაგებული კომპლექსები: ეზო, წინიდან პორტალის მსგავსი ღია სადგომი, სიღრმეში კი სიგრძივი (თუ ერთი ან ორი ოთახია) ან სიგრძივი და განივი ღერძების მიხედვით (თუ ოთახთა რაოდენობა მეტია) დაჯგუფებული ოთახები. ეს კომპლექსები თავისი სტრუქტურით ვანის ქვაბებს ენათესავება.

უფლისციხესა და მის ცივილიზაციაზე გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევს არქეოლოგიური გათხრებით გამოვლენილი არტეფაქტები: გვიანდელი ბრინჯაოსა (ძვ. წ. XV-VII სს.) და ადრინდელი რკინის ხანის (ძვ. წ. X-VI სს.) წარმართული სალოცავის ნანგრევები ყათლანიხევის ბორცვზე, კლდეში ნაკვეთი საწნახლები, მარნები, ვაზის სასხლავი დანები, ბრინჯაოსა და კაჟის ნამგლები, ანტიკური კერამიკული მილები, რიტუალური დანიშნულების ნივთები, ოქროს, ვერცხლის, რკინის, ძვლის, ქვის, თიხის სამკაულები და სამშვენისები, ქანდაკებები, რკინის სახნისები, კევრები, ყურძნის მარცვლის წიპწები და ა.შ. ხელოსნური ნაწარმის სიმრავლით, მრავალფეროვნებითა და მხატვრული სინატიფით უფლისციხე ძველი დროის ხელოსნური წარმოების მნიშვნელოვან ცენტრად ითვლება. ამჟამად, უფლისციხის კომპლექსი საქართველოს ისტორიულ-არქიტექტურულ მუზეუმ-ნაკრძალს წარმოადგენს.

ძვ. წ. III საუკუნე

3.2. ნოქალაქევი (ინგლ. Nokalakevi) – ისტორიული ციხე-ქალაქი დასავლეთ საქართველოში, სენაკის რაიონის სოფ. ნაქალაქევში, მდ. ტეხურის მარცხენა სანაპიროზე (სურ. 3.2.1). ადრინდელ ქართულ ქრონიკებში ნოქალაქევს ციხეგოჯს (ქუჯის ციხეს) უწოდებდნენ; ბერძნულ წყაროებში კი მისი სახელია არქეოპოლისი (ძველი ქალაქი). სავარაუდოდ, ნოქალაქევის ტერიტორიაზე მდებარეობდა მითური ქალაქი აია, საიდანაც არგონავტებმა ოქროს საწმისი წაიღეს. ისტორიული ცნობების თანახმად (XI საუკუნეში მოღვაწე ისტორიკოსი ლეონტი მროველი), ააგო ეგრისისა და სვანეთის ერისთავმა ქუჯიმ (ძვ. წ. III საუკუნის დასაწყისი). ციხე-ქალაქის აგება განპირობებული იყო სტრატეგიული მოსაზრებითა და მოსახლეობის სიმრავლით. ნოქალაქევში ყველაზე ადრეული მშენებლობის კვალი შემორჩენილი ნანგრევების მიხედვით, ძვ. წ. VIII-VII საუკუნეებით თარიღდება. ყურადღებას იპყრობს ამ პერიოდის ცხენის, ცხვრის, ღორის კერამიკული ქანდაკებები. ძვ. წ. VI-IV საუკუნეების ფენებში გამოვლენილია აღგილობრივი და იმპორტული წარმოების თიხის ჭურჭელი, ხოლო ძვ. წ. III-I საუკუნეებში – ელინისტური ხანის ქვევრსამარხები ოქროსა და ვერცხის მდიდრული ნიმუშებით (ბეჭდები, საყურეები, სამაჯურები და სხვ.). IV საუკუნეში ნოქალაქევში შენდება ციხე-ქალაქი, რომელიც მალე ლაზიკის სამეფოს (დასავლეთ საქართველოს) დედაქალაქი ხდება (ამის შესახებ წერილობითი ცნობები შემორჩენილია VI საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსების პროკოფი კესარიელისა და აგათია სქოლასტიკოსის მიერ ბიზანტია-ირანის ომის აღწერის მასალებში). V-VI საუკუნეებში 19 ჰა-ზე გაშლილი ქალაქი განვითარებას განიცდის – სრულ-

დება 3 კმ სიგრძის გალავანი (სურ. 3.2.2), შენდება სასახლეები, ეკლესიები (სურ. 3.2.3), აბანოები, წყალსაცავი, გვირაბი და სხვა სახის სამეურნეო თუ საფორტიფიკაციო ნაგებობები.



სურ. 3.2.1. ნოქალაქევის შემორჩენილი ნანგრევები



სურ. 3.2.2. გალავნის აღმოსავლეთი კარიბჭე

განსაკუთრებით მაღალი არქიტექტურული დონით არის ნაშენები ქალაქის მდინარესთან დამაკავშირებელი გვირაბი, რომელიც გარდა წყლით მომარაგებისა, ქალაქის ერთ-ერთი (სამდინარო) ჭიშკრის ფუნქციასაც ასრულებდა. საგანგებო აღნიშვნის ღირსია ნოქალაქევის ძლიერი საფორტიფიკაციო სისტემა. ქალაქს სამი მხრიდან მდინარე და ციცაბო კლდეები იცავდა, ხოლო აღმოსავლეთ ნაწილშ აღმართული იყო ერთდროულად სამი გალავანი, ამასთან კოშკებისა და ჭიშკრების გონივრული განლაგება ქალაქს აუღებელ ციხესიმაგრედ აქცევდა. სამწუხაროდ, VIII საუკუნის 30-იან წლებში, მთელი ამიერკავკასიის დარად, ნოქალაქევის ციხე არაბ სარდალს მურვან ყრუს (მერვან იბნ მუჰამედი) შეუმუსრავს და, ბუნებრივია, ციხემაც დაკარგა სტრატეგიული მნიშვნელობა. XVI-XVIII საუკუნეებში ნოქალაქევი სამეგრელოს მთავართა რეზიდენციაა. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით იმ პერიოდში ნოქალაქევის ტერიტორიაზე იყო ციხე და დადიანების სასახლე, რასაც ადასტურებს შემორჩენილი ნანგრევები და ძველ გალავანსა და კოშკებზე შედარებით ახალი სამშენებლო ფენებიც. ამჟამად საქართველოს მთავრობის დაფინანსებით მიმდინარეობს ნოქალაქევის ციხე-ქალაქის რეაბილიტაცია.



სურ. 3.2.3. V საუკუნის ორმოც მოწამეთა სამნავიანი ბაზილიკა

3.3. შორაპნის ციხე – ანტიკური ხანის (ძვ. წ. VII - ახ. წ. V სს.) ციხესიმაგრე ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, დაბა შორაპნის ტერიტორიაზე, მდინარეების ყვირილასა და ძირულას შესართავში (სურ. 3.3.1). წყაროებში პირველად მოხსენებულია ბერძენი ისტორიკოსისა და გეოგრაფის სტრაბონის შრომებში (ძვ. წ. I – ახ. წ. I სს.). XI საუკუნის ქართველი ისტორიკოსის ლეონტი მროველის ცნობით, ციხესიმაგრე ძვ. წ. III საუკუნის დასაწყისში ააგო ქართლის მეფე ფარნავაზ I-მა. სტრაბონისეული ცნობით, ციხესიმაგრე იმდენად დიდი იყო (დაახლოებით 25 ჰა), რომ მასში თავისუფლად ეტეოდა ქალაქის მოსახლეობა. VI საუკუნეში, ირან-ბიზანტიის ომის დროს, შორაპნის ციხე ხელიდან ხელში გადადიოდა. გვიანდელ ეპოქაშიც ეს ციხე მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი იყო. 1730 წელს ოსმალებმა დაიკავეს. 1770 წელს კი იმერეთის მეფე სოლომონ I-მა გაათავისუფლა.

ანტიკურ პერიოდში შორაპანი იყო პუნქტი, სადაც სანაოსნო გზა მთავრდებოდა და სახმელეთო იწყებოდა. იგი ვაჭრებსა და მგზავრებს უზრუნველყოფდა ქარვასლებით, სურსათით, გადასაზიდი სახმელეთო ტრანსპორტით, სამჭედლო სახელოსნოებით, ბაზრითა და სხვ. ვარაუდობენ, რომ აქვე უნდა ყოფილიყო ნავმისადგომი, საბაჟო, უნდა ჰყოლოდათ მცველი რაზმიც, რადგან სავაჭრო გზით მტერსაც შეეძლო მოსვლა და მოყვარესაც. შორაპანი იყო დასავლეთ და აღმოსავლეთ ქვეყნებს შორის სავაჭრო ერთ-ერთი დამაკავშირებელი რგოლი.

შორაპნის ციხის ნანგრევებში შეიმჩნევსა ორი სამშენებლო ფენა: გვიანი ფეოდალური – რიყის ქვის წყობა კირის ხსნარზე და ადრე ფეოდალური – უხეშად გათლილი კვადრების წყობა კირის ხსნარზე. კვადრების სამი-ოთხი რიგის შემდეგ მორიგეობს ხუთრიგიანი აგურის



სურ. 3.3.1. ციხის ნაშთი



სურ. 3.3.2. გალავნის კედლის ნანგრევები

წყობა. წყობის ეს სახე მიეკუთვნება VI საუკუნის რომაულ არქიტექტურას. ციხეს გარს ერტყა მძლავრი გალავანი ნაგები რიყის ქვითა და გამომწვარი აგურით კირის ხსნარზე, რომლის ნაშთი დღესაც შემორჩენილია (სურ. 3.3.2). ციხე მდ. ყვირილას აუზს უკავშირდებოდა 60 მ სიგრძის გვირაბით. სასმელი წყლით მარაგდებოდა მიწაში დაფლული ორი სხვადასხვა დიამეტრის მქონე თიხის მილების წყალსადენით. XX საუკუნის ბოლოს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრებით გამოვლინდა ოთხკუთხა ბურჯისებრი კოშკი, იატაკის ფრაგმენტები, კიდევ უფრო ძველი ნაგებობების ნაშთები, წყლის ავზი, ადგილობრივი და უცხოური წარმოების თიხისა და მინის ჭურჭელი, ანტიკური ხანის ნაგებობათა ნანგრევები, რომლებიც ბრტყელი და ღარიანი კრამიტით ყოფილა დახურული, კოლხური ამფორები, ჭურჭელი, იმპორტული შავლაქიანი კერამიკული ნაკეთობანი და სხვ. გამოვლენილი არტეფაქტები ნათლად ადასტურებს შორაპნის ციხის დიდ სავაჭრო გზაზე მდებარეობასა და მის ეკონომიკურ და პოლიტიკურ მნიშვნელობას არა მარტო კოლხეთის, არამედ იბერიისთვისაც.

I საუკუნე

3.4. გონიოს ციხე (აფსაროსი) (ინგლ. Gonio Fortress) – უძველესი ციხესიმაგრე აჭარაში, ბათუმის უბან გონიოში, შავი ზღვის ნაპირზე, მდინარე ჭოროხის შესართავთან, მარცხენა მხარეს (სურ. 3.4.1). ამ რეგიონში აღმოცენდა კოლხური ბრინჯაოს კულტურა და პირველი ქართული სახელმწიფოებრივი გაერთიანებები – დაიაენი და კულხა (ძვ. წ. XIII-VIII სს.). ანტიკური წყაროების თანახმად აფსაროსის დაარსება არგონავტების ექსპედიციას უკავშირდება. მათ მიერ აიეტის ვაჟის აფსირტეს მოკვლას და ამ ადგილას დაკრძალვას. თუმცა არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით უძველესი დასახლება აქ ძვ. წ. VIII-VII საუკუნეებით თარიღდება. საკუთრივ ციხე რომაელებმა I საუკუნის 70-იან წლებში ააგეს. II საუკუნეში აქ რომაელთა ლეგიონები იდგა და იგი საკმაოდ ძლიერი, კეთილმოწყობილი, გამაგებული ციხე-ქალაქი იყო. გონიოს ციხე XII საუკუნის შემდეგდროინდელი სახელწოდებაა. ძველი ქართული, რომაული და ბერძნული წყაროებით მანამდე გონიოს სახელი ყოფილა: აბსარი, აფსაროსი, აფსარუ, აფსარუნტი, აფსარეა, აფსარონი [11]. ციხის ტერიტორიაზე აღმოჩენილია I–III საუკუნეების ნაგებობები: აბანოები, ყაზარმები, პრეტორიუმი, წყალარინებისა და წყალგაყვანილობის

სისტემები, ჭები და ა.შ. საუკუნეების მანილზე ჯერ რომის იმპერია, შემდეგ ბიზანტია და იტალიის ქალაქ-რესპუბლიკები (გენუა და სხვ.) დიდ ინტერესს იჩენდნენ ამ სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ციხესიმაგრისადმი. 1547 წელს ციხე ოსმალებმა დაიკავეს და მათ მფლობელობაში იყო 1878 წლამდე, როდესაც სან-სტეფანოს ზავით აჭარასთან ერთად რუსეთის იმპერიას გადაეცა.



სურ. 3.4.1. საერთო ხედი




სურ. 3.4.2. კუთხის კოშკი

ციხე გეგმით დიდი ზომის მართკუთხედია (195×245 მ). ყოველ მხარეს თითო ჭიშკარი აქვს, გალავანი 18 კოშკითაა (სურ. 3.4.2) გამაგრებული. კუთხის კოშკები უფრო დიდია. გონიოს ციხე უხეშად გათლილი ქვის კვადრებითაა ნაგები. შეინიშნება რამდენიმე სამშენებლო ფენა. პირველი ფენა (III-V სს.) გამოირჩევა კარგი დაბუშავებითა და წყობით, მეორე ფენის კოშკებიანი კედლები (VI-VII სს.) შედარებით დაბალი ხარისხისაა, მესამე ფენა კი ოსმალების ბატონობის პერიოდს განეკუთვნება (XVI ს.).

სავარაუდოდ გონიოს ციხეში მდებარეობს ქრისტეს 12 მოციქულიდან ერთ-ერთის, წმინდა მათეს საფლავი.

III საუკუნე

3.5. უჯარმის ციხე-ქალაქი – ქართული ხუროთმოძღვრების უძველესი ძეგლი, ისტორიული ციხე-ქალაქი კახეთის მხარეში, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ უჯარმის ჩრდილოეთით 4 კმ-ის დაშორებით, გომბორის უღელტეხილის მახლობლად, მდინარე ივრის მარჯვენა ნაპირზე (სურ. 3.5.1). აშენებულია III-IV საუკუნეთა მიჯნაზე, ფარნავაზიანთა დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენლის, მეფე ასფარუგის მეფობის დროს (ზუსტი თარიღი უცნობია). მის მშენებლობაში დიდი ღვაწლი მიუძღვით ქართლის მეფე ვახტანგ გორგასალსა და მის შვილს, მეფე დაჩის (V საუკუნის მეორე ნახევარში ცოტა ხნით უჯარმა ქართლის სამეფოს დედაქალაქიც კი იყო). მათ ააგეს ციტადელი კოშკებითა და გალავნით, სასახლეები, ეკლესიები და სხვ. V საუკუნის მეორე ნახევარში უჯარმა ვახტანგ მეფის რეზიდენცია იყო, რამაც კიდევ უფრო განამტკიცა და გაამშვენიერა იგი. ზოგადად, IV-VIII საუკუნეებში, არაბების შემოსევამდე, უჯარმის ციხე-ქალაქმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ქართლის სამთავროს ისტორიაში.



სურ. 3.5.1. უჯარმის ციხე-ქალაქის რეკონსტრუქცია. (ავტ. აკად. ი. ციციშვილი)

უჯარმის კომპლექსი ორი ნაწილისგან შედგება: ქვედა ციხე (გალავანი, კოშკები) და შიდა-ციხე (სასახლე, კუთხის კოშკი, ეკლესია „ჯვარ-

პატიოსანი“, დიდი შენობა, დიდი და მცირე წყალსაცავები, ჩრდილო-დასავლეთის კოშკი, მცირე გალავანი კოშკებით). გამოვლენილია ძეგლის მშენებლობის სამი ძირითადი პერიოდი: 1. (III-X ს.) მიმდინარეობდა ციხე-ქალაქის მშენებლობა ერთიანი გეგმის მიხედვით; 2. (X-XIII ს.) აღადგინეს დაზიანებული გალავნები და კოშკები, აიგო საცხოვრებელი სახლები, დარბაზები, სამეურნეო დანიშნულების ნაგებობები; 3. (XVI-XVIII ს., გვიანი ფეოდალური ხანა) მოხდა შიდა ციხის ნაგებობათა და კოშკების ნაწილობრივი შეკეთება, აშენდა ახალი ოთხკუთხა კოშკი წყალსაცავის თავზე, გალავანს დაემატა ერთი შესასვლელი კარიბჭე (ძველი რამდენიმე შესასვლელი უსაფრთხოების მიზნით ამოქოლეს), კედლებში მოეწყო სათოფურები, ეკლესიას გაუკეთდა თავისი გალავანი და სხვ. გალავანი (სიგრძით დაახლოებით 700 მ) და მასში ჩაშენებული 17 კოშკი აგებული იყო ადგილობრივი ქვის მართკუთხედის ფორმის, გათლილი კვადრებით, რომლებიც დაწყობილია ჰორიზონტალურ რიგებად კირის დუღაბის თხელ ფენაზე. ქვების ზომებია 12-26 სმ (გვხვდება უფრო დიდი ზომის კვადრებიც). ქვების წყობის ხასიათის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ უჯარმაში გვაქვს ელინისტური სამშენებლო ტექნიკის ე. წ. იზოდომის თვალსაჩინო მაგალითი [8]. ამჟამად ციხის მხოლოდ ნანგრევებია შემორჩენილი (სურ. 3.5.2). საინტერესო ფაქტია, რომ უჯარმის ციხეში გარდაცვლილა მძიმედ დაჭრილი ვახტანგ გორგასალი.



სურ. 3.5.2. ციხის ნანგრევები

უჯარმის ციხე-ქალაქისთვის ადგილმდებარეობის გონივრული შერჩევა, საერთო კომპოზიცია, ნაგებობათა დიადი, სადა, ხალისიანი ფორმები, არქიტექტურული დეტალების დახვეწილი გემოვნება და მშენებლობის სრულყოფილი ტექნიკა საფუძველს იძლევა უჯარმა საქართველოს ციხესიმაგრეთა შორის ერთ-ერთ საუკეთესო და თავისებურ ძეგლად განვიხილოთ.

IV საუკუნე

3.6. ნეკრესი (ინგლ. Nekresi) – ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი უძველესი ძეგლი – IV-VI საუკუნის სამონასტრო კომპლექსი კახეთში (სურ. 3.6.1). მდებარეობს ყვარლის რაიონის სოფელ შილდის მახლობლად, კავკასიონის ქედის განშტოებაზე, ნეკრესის მთაზე. კომპლექსში შემავალი ნაგებობებია: სამლოცველო (IV ს.), სამეკლესიანი ბაზილიკა (VII ს.), გუმბათიანი ეკლესია (VIII-IX ს.), საეპისკოპოსო სასახე (IX ს.), კოშკი (XVI ს.), მარანი, სატრაპეზო, სენაკები, მცირე სამლოცველოები და სხვა დამხმარე ნაგებობები.

საქართველოში ქრისტიანობის შემოსვლის შემდეგ, IV საუკუნის 60-70-იან წლებში, პირველი ქართველი ქრისტიანი მეფის მირიანის შვილიშვილმა მეფე თრდატმა (მირდატი, მითრიდატე V), სწორედ აქ, ნეკრესის მთაზე ააგო ეკლესია, რომელიც ახლანდელი სოფ. შილდასთან გადაშლილ ვაკეზე გაშენებულ ძველთაძველ ნაქალაქარს (მეფე ფარნაჯომის მიერ ძვ. წ. II–I საუკუნეებში დაარსებული ქ. ნეკრესი) გვირგვინივით თავს ედგა და ქრისტიანობის წარმართობაზე უპირატესობის სიმბოლოს წარმოადგენდა.



სურ. 3.6.1. საერთო ხედი

ნეკრესის სამონასტრო კომპლექსი რამდენიმე ძეგლს აერთიანებს, რომელთაგან IV საუკუნის II ნახევრის მცირე ზომის სამლოცველო ერთ-ერთი უძველესია საქართველოში დღემდე

მოღწეულ ეკლესიათაგან. ეკლესია, გეგმაში ზომებით 4,6×3,8 მ, მსგავსად ამ რეგიონის სხვა ძეგლებისა, ნაგებია ფლეთილი ქვით და დგას საგანგებოდ შექმნილ საყრდენზე (სუბსტრუქციაზე), რომელშიც კრიპტაა (საძვალე) მოწყობილი. ეს მცირე თავისებური ნაგებობა გარეთა სივრცისკენ თაღებით იხსნება. ეკლესიის ცენტრალური ნავი ძალიან ვიწრო და მაღალია. აღმოსავლეთით ნალისებრი ფორმის აფსიდით მთავრდება. ასევე ნალისებრია ფართო ფორმის თაღები, რომლითაც ცენტრალური ნავი გვერდითებს უკავშირდება. მკაფიოდ გამოვლენილი ნალი, ქართული ხუროთმოძღვრების ეს ერთ-ერთი ადრეული ფორმა, არაერთგზის არის გამოყენებული ამ სამლოცველოშიც. ასეთივე ნალისებრი ფორმის თაღით სრულდება ყველა სარკმელი.

ნეკრესის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის სამეკლესიანი ბაზილიკა VII საუკუნის დასაწყისს განეკუთვნება და ამ ტიპის ეკლესიათა ჩამოყალიბებული, კლასიკური ნიმუშია (სურ. 3.6.2). ნაგებია თლილი ქვითა და შირიმით. იგი გეგმით მართკუთხაა. მონასტრის მთავარი ტაძრის საკურთხეველი სამნაწილიანია (შესაძლებელი იყო სამი წირვის ერთდროულად ჩატარება). გვერდითი ეკლესიები ცენტრალურზე პატარაა. შესასვლელები დასავლეთით (მთავარი), ჩრდილოეთითა და სამხრეთითაა. ეკლესია XVI საუკუნეში მოუხატავთ და თითქმის სრულადაა შემონახული ბაზილიკის ცენტრალურ ნაწილიში. შემორჩენილია ქართული და, ნაწილობრივ, ბერძნული ფრესკული წარწერები.



სურ. 3.6.2. სამეკლესიანი ბაზილიკა

VIII-IX საუკუნეებში (ქართული ხუროთმოძღვრების განვითარების ე.წ. გარდამავალი პერიოდი) კომპლექსს ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან დაემატა გუმბათიანი ეკლესია (სურ. 3.6.3), რომელიც გეგმის თავისებურებით გამოირჩევა. ეკლესია ნაგებია ფლეთილი ქვით, კუთხეებსა და ყველა კონსტრუქციულ ნაწილებში შირიმია გამოყენებული. ფასადები სადაა. ნეკრესის გუმბათიანი ეკლესია აღიქმება როგორც ანსამბლის კომპოზიციის დამასრულებელი წერტილი.

VIII-IX საუკუნეებში, გუმბათიანი ეკლესიის აღმოსავლეთით, ხევის პირას აუგიათ გრძელი,



სურ. 3.6.3. გუმბათიანი ეკლესია



სურ. 3.6.4. ეპისკოპოსის სასახლე

ორსართულიანი საეპისკოპოსო სასახლე (სურ. 3.6.4). სასახლის ოთახები ანფილადური წესით არის განლაგებული; პირველი სართულის მთავარ დარბაზში შემორჩენილია რვაწახნაგა სვეტი, რომელსაც ზედა სართულის იატაკის სისტემის მთავარი კოჭები ეყრდნობა. მოგვიანებით, ამ სვეტის ორივე მხარეს, კედელი ჩაუშენებიათ. სასახლის დარბაზში უამრავი ნიშა და უზარმაზარი ბუხრებია მოწყობილი. სასახლის გაგრძელებაზე აღმოსერთსართულიანი შენობა, რომელშიც მარანია მოწყობილი (სურ. 3.6.5; სურ. 3.6.6). მარნის თავზე XVI საუკუნეში აააშენეს ოთხსართულიანი ოთხკუთხა თავდაცვითი დანიშნულების მქონე კოშკი (სურ. 3.6.7),

რომელშიც მოხვედრა უშუალოდ მარნიდანაა შესაძლებელი. კოშკი მაღალია, სართულშუა გადახურვები ხისაა. ანსამბლი გარშემორტყმულია ქვის გალავნით. შემოსასვლელი გალავანს სამხერთ-დასავლეთით ჰქონდა. გვიან შუა საუკუნეებში კომპლექსს მცირე ზომის, კოხტა დარბაზული სამლოცველო შეემატა (სურ. 3.6.8. მცირე სამლოცველო). ნეკრესის მონასტერი საუკუნეთა განმავლობაში ქართული კულტურის უმნიშვნელოვანეს საეკლესიო და საგანმანათლებლო ცენტრს წარმოადგენდა.



სურ. 3.6.5. მარანი ქვევრებით



სურ. 3.6.6. მარანი საწნახლით



სურ. 3.6.7. კოშკი



სურ. 3.6.8. მცირე ეკლესია

3.7. ბოდბის მონასტერი (ინგლ. Bodbe Monastery) – IV საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების უმშვენიერესი ძეგლი, წმინდა ნინოს სახელობის დედათა მონასტერი და საეპისკოპოსო ცენტრი (სურ. 3.7.1, სურ. 3.7.2). მდებარეობს კახეთის მხარეში, სიღნაღის მუნიციპალიტეტში, სოფ. ბოდბეში, ქ. სიღნაღიდან 2 კმ-ის დაშორებით (სურ. 3.7.3). კომპლექსში შემავალი ნაგებობებია: ტაძარი, სამრეკლო, გალავანი, მონაზონთა სენაკები, აგრეთვე წმინდა ნინოს წყარო, რომელსაც მორწმუნეები სამკურნალო თვისებებს ანიჭებენ (ნაკურთხი წყლის ძალა აქვს).


ბოდბის მონასტერს გამორჩეული ადგილი უკავია საქართველოს სულიერ ცხოვრებაში, რადგან აქ განისვენებს ქართველთა განმანათლებელი, მოციქულთა სწორი წმინდა ნინო. წმინდა ნინოს დროიდან მოყოლებული ბოდბის მონასტერი ქართველ მეფეთა და დიდებულთა ზრუნვის საგანი იყო. ჩვენამდე მოღწეული ერთ-ერთი პირველი ქართული ისტორიულ-ჰაგიოგრაფიული ხასიათის თხზულების „მოქცევაი ქართლისაის“ II ნაწილის („ნინოს ცხოვრება“) მიხედვით წმინდანის საფლავი ეკლესიის ქვეშაა მოქცეული, რასაც ადასტურებს მირიან მეფის ანდერძი და XI-XII საუკუნის ცნობილი საეკლესიო მოღვაწე, მეფე დავით აღმაშენებლის სულიერი მოძღვარი არსენ ბერის მონათხრობი.



სურ. 3.7.1. საერთო ხედი



სურ. 3.7.2. საერთო ხედი



სურ. 3.7.3. ადგილმდებარეობის რუკა



სურ. 3.7.4. დედათა საცხოვრებელი სენაკი

ბოდბეში მეფე მირიანის მიერ IV საუკუნეში აგებულ თავდაპირველ სალოცავს (ეკლესიას) ჩვენამდე არ მოუღწევია. V საუკუნეში ვახტანგ გორგასალმა გაამშვენა და გააფართოვა ტაძარი, ხოლო სამნავიანი ბაზილიკის სახე მან VIII-IX საუკუნეებში მიიღო. მონასტერის გამშვენიერებაში დიდი წვლილი მიუძღვის დავით აღმაშენებლის ძეს, მეფე დემეტრე I. აქ ხდებოდა კახთა მეფეების კურთხევა. სხვათა შორის, ბოდბის ტაძარში თეიმურაზ I კურთხევას თავად ირანის მმართველი შაჰ-აბასიც კი დასწრებია. ბოდბის მონასტერი დაარსებიდან დღემდე ქვეყნის სულიერ და კულტურულ-საგანმანათლებლო კერასაც წარმოადგენდა. XVII საუკუნიდან აქ მოქმედებდა სასულიერო სასწავლებელი, რომელშიც გარდა საღვთისმეტყველო საგნებისა, საერო მეცნიერებებიც ისწავლებოდა. აქვე იყო საქართველოში ერთ-ერთი უმდიდრესი წიგნთსაცავი. XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან ბოდბეში დიდი მამათა მონასტერი არსებობდა. 1889 წელს რუსეთის იმპერატორი (1881-1894 წწ.) ალექსანდრე III ეწვია ამ მონასტერს და მისი ბრძანებით დედათა მონასტერი გაიხსნა. აქვე ამოქმედდა ქალთა სასწავლებელი. 1906 წელს რუსეთის იმპერატორის ნიკოლოზ II-ის განკარგულებით ბოდბეს I კლასის მონასტრის წოდება მიენიჭა. 1924 წელს კომუნისტებმა მონასტერი დახურეს, რომელიც კვლავ აღდგა 1991 წელს.

მონასტრის ეზო გალავნითაა შემოზღუდული, რომელშიც შესასვლელი დასავლეთის მხრიდანაა. მთავარი ტაძარი ქვედა ტერასაზე მდებარეობს, ხოლო სამონასტრო ნაგებობები მისგან ჩრდილოეთით – ზედა ტერასაზე. ბოდბის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი (სურ. 3.7.2). სამნავიან ბაზილიკას წარმოადგენს. ნაგებობის გეგმა აღმოსავლეთით სრულდება სამი შვერილი ნახევარწრიული აფსიდით, დასავლეთიდან ბაზილიკას აკრავს ნართექსი. საშენ მასალად ძირითადად გამოყენებულია სხვადასხვა ზომის აგური (27x27x6, 26x26x6 და 24x24x6 სმ). ფასადებზე ბაზილიკის კუთხეები გამოყვანილია შირიმის გრძელ-მოკლედ დალაგებული კვადრებით. ტაძრის სადა და მკაცრი ფასადები ხასიათდება მასათა პროპორ-

ციული შეთანხმებითა და სისადავით. ინტერიერის კედლების ზეთის საღებავებით შესრულებულ მოხატულობაზე წარმოდგენილია წმინდა გიორგისა და წმინდა ნინოს ცხოვრების ამსახველი სიუჟეტები. მონასტრის ერთ-ერთ უდიდეს სიწმინდედ ითვლება ივერიის ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედი ხატი.



სურ. 3.7.5. მონასტრის ბაღი




სურ. 3.7.6. კოშკი

მონასტრის ტერიტორიაზე განთავსებულია დედათა საცხოვრებელი სენაკები (სურ. 3.7.4) და დამხმარე ნაგებობები. ეზოს ამშვენებს არაჩვეულებრივი ბაღი (სურ. 3.7.5), რომელიც თავისუფლად შეიძლება ჩაითვალოს ქართული საბაღე არქიტექტურის წარმატებულ ნიმუშად. 1862-1885 წლებში მონასტრის ტერიტორიაზე ააგეს სამსართულანი სამრეკლო (სურ. 3.7.6), რომელიც, ასევე, გამორჩეულია ქართულ საეკლესიო არქიტექტურაში.

XX და XXI საუკუნეების მიჯნაზე ბოდბეში ეტაპობრივად მიმდინარეობდა სარესტავრაციო სამუშაოები, რის შედეგადაც შენობა განთავისუფლდა გვიანდელი სამშენებლო ფენებისგან და შესაძლებლობის ფარგლებში მოხდა ტაძრის ავთენტურობის აღდგენა. ამჟამად ბოდბის მონასტერი საქართველოს ღირსშესანიშნავ ადგილად ითვლება.

3.8. ნარიყალას ციხე (ინგლ. Narikala Fortress) – IV საუკუნის უძველესი ციხესიმაგრე (სურ. 3.8.1; სურ. 3.8.2) თბილისში, ორთაჭალის უბანში, მთაგორიანი რელიეფის ციტადელზე, გოგირდის აბანოებსა და ახლანდელ ბოტანიკურ ბაღს შორის. ციხე ცნობილია სხვადასხვა სახელით: დედა ციხე, ნარიყალა, შურის ციხე და კალას ციხე. აშენებულია IV საუკუნეში, როგორც შურის ციხე. საქართველოში არაბთა ბატონობისას (VIII-XI სს.) ციხე მათ მფლობელობაში იყო. იგი 1122 წელს გამოიხსნა მეფე დავით აღმაშენებელმა, მაგრამ მალევე დაიკარგა XIII საუკუნის დასაწყისში მონღოლების შემოსევისას. 1386 წელს შუააზიელმა ემირმა თემურ ლენგმა (1370-1405 წწ.) მიწასთან გაასწორა ციხე. XVII საუკუნეში ციხე სპარსელების ხელში გადავიდა. 1747 წელს მეფე ერეკლე II-მ ნარიყალა გა-



სურ.3.8.1. საერთო ხედი

ანთავისუფლა სპარსელებისგან, მაგრამ ისევ დაიკარგა 1795 წელს ირანის გამგებლის აღა-მაჰმად-ხანის მეომრების შემოსევისას. დღემდე მოღწეული ძირითადი გამაგრებები XVI და XVII საუკუნეებით თარიღდება. 1827 წელს ციხის გალავნის დიდი ნაწილი მიწისძვრამ დააზიანა და დაანგრია. ყველაზე ძველი შემორჩენილი ნაწილია ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში მდებარე, თლილი ქვით ამოყვანილი, კოშკის ფრაგმენტი. ნარიყალას კოშკებს შორის გამოირჩეოდა ე.წ. „თავრიზისა“ და „სტამბულის“ კოშკები. ციხესიმაგრე რთული სისტემის თავდაცვითი ნაგებობა იყო, მტკიცე კედლებით, კოშკებითა და ბასტიონებით გამაგრებული, ძნელად მისადგომი და ასაღები. ნარიყალაში შესასვლელი მოთავსებული იყო ჩრდილო–აღმოსავლეთის კუთხეში ამოყვანილ კოშკის თაღში. აქ იწყებოდა ცილინდრული კამარით გადახურული გასასვლელი, რომელიც ახლა ჩახერგილია. შედარებით ადვილად შესაღწევი გზა დასავლეთის მხრიდან იყო, რის გამოც ამ მხრიდან ციტადელი ყველაზე მეტადაა გამაგრებული. ნარიყალას ქვედა ეზოში ახლად აღდგენილი წმ. ნიკოლოზის სახელობის ეკლესიაა (იხ. ნარიყალას წმინდა ნიკოლოზის ეკლესია).




სურ.3.8.2. პანორამული ხედი

ნარიყალას ციხე ისტორიულ ძეგლთა შორის ერთ-ერთ უძველეს ციხესიმაგრედ არის მიჩნეული და საქართველოს მნიშვნელოვანი კულტურულ-ისტორიული ძეგლია.

3.9. შხეფის ციხე (ინგლ. Shkhepi Castle) – IV საუკუნის მნიშვნელოვანი ციხესიმაგრე დასავლეთ საქართველოში, სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში, ისტორიული ეგრისის სამეფოში, ახლანდელი სენაკის მუნიციპალიტეტში, მისგან 5 კმ-ში, სოფელ შუა ნოსირში, მთის ერთ-ერთ პატარა გორაკზე (სურ. 3.9.1; სურ. 3.9.2). კომპლექსში შემავალი ნაგებობებია: მთავარი ციხე, გალავანი, ორი კოშკი, საცხოვრებელი სათავსები, წყალსაცავი და მარანი.

ციხე უძველესი დროიდან ლაზიკის (ეგრისის) სამეფოს მომხვდურთაგან დაცვის საერთო ჯაჭვის ერთ-ერთი რგოლი იყო. თავდასხმები ძირითადად ზღვის ან სამხრეთის მხრიდან იყო მოსალოდნელი, ამიტომ თუ ეგრისელები მტერს კოლხეთის დაბლობზე ვერ შეაჩერებდნენ, მაშინ ჩრდილოეთით იხევდნენ და მთებსა და ხეობებს აფარებდნენ თავს, რომელთა დაცვას ემსახურებოდა მთის ქიმზე გადმომდგარი შხეფისა და მისი მსგავსი სხვა ციხეები.



სურ. 3.9.1. ადგილმდებარეობის რუკა



სურ.3.9.2. საერთო ხედი

შხეფის ციხეს მეტად მოხერხებული მდებარეობა უკავია. ციხე მრავალჯერ გადაკეთებულა. კარგადაა შემორჩენილი კოშკები (სურ. 3.9.3; სურ. 3.9.4) და გალავანი (სისქე 120-180 სმ). გალავნისა და კოშკების სქელი კედლები ნამტვრევი ქვის დიდი კვადრებითაა ნაწყობი და შესანიშნავი პროპორციები აქვს. ადრე ოთხწახნაგოვანი წაკვეთილი პირამიდის ფორმის ოთხსართულიანი მთავარი კოშკიც არსებულა ციტადელის შუაში, მაგრამ მას, სამწუხაროდ,

ჩვენამდე არ მოუღწევია. ციხის ეზოში ბლომადაა მიწაში ჩამარხული სხვადასხვა ზომის ქვევრები. ჩრდილო-აღმოსავლეთის მონაკვეთში პატარა ეკლესიის ნაშთია. აღმოსავლეთის მონაკვეთის ცენტრში კი მოზრდილი წყალსაცავია. გვიან საუკუნეებში აუზის წყალი ციხისათვის საკმარისი არ ყოფილა და სპეციალური წყალსადენი გამოუყვანიათ. წყალსადენის სათავე ჩრდილო-დასავლეთით თითქმის ერთ კილომეტრზეა, მაღალი მთის ფერდობზე. წყალსადენი ნაგებია კერამიკული მილებით, რომლებიც ერთმანეთთან კირის დუღაბითაა დაკავშირებული. იგი ზიარჭურჭლის პრინციპზეა აგებული – ჯერ დაღმა მიდის შედარებით მოკლე, განიერი და თხელი მილებით და შემდეგ მაღლა ციხეზე ადის უფრო გრძელი, ვიწრო და სქელი მილებით.



სურ. 3.9.3. ოთხკუთხა კოშკი



სურ. 3.9.4. ცილინდრული კოშკი

გალავანი მრავალჯერაა გადაკეთებული, რასაც ადასტურებს გალავნის ჩრდილო ხაზზე აღმოჩენილი სხვადასხვა დროის სამშენებლო ფენები, ხოლო სამხრეთის ხაზზე XVI-XVIII საუკუნეების ახალი კედლებია სათოფურებით. ციხის ეზოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში შემორჩენილია საცხოვრებელი კომპლექსის სათავსების (6 სათავსი) ნანგრევები (დარჩენილია კედლები სიმაღლით 2-3,5 მ.) და ერთი 2 მ-ის სიგანის ბუხარი თავისი საკვამლე არხით. არსებობს მოსაზრება, რომ შხეფის ციხე იგივე ციხესიმაგრე ონოგურისია [11], სადაც 554 წელს გაიმართა ბრძოლა ირანისა და ბიზანტიის ლაშქარს შორის (ონოგურისის ბრძოლა).

3.10. ასკანის ციხე (თამარის ციხე) (ინგლ. Askana Castle) – ფეოდალური ხანის ციხესიმაგრე გურიის სოფ. მთისპირში, მაღალ ფრიალო კლდეზე, ოზურგეთიდან 17 კმ-ზე, ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეს, მდ. ბახვისწყლის მარცხენა ნაპირზე, დელემურისა და თაფურიათის მთებს შორის (სურ. 3.10.1; სურ. 3.10.2). სავარაუდოდ, ასკანის ციხე IV საუკუნეშია აგებული. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით VIII საუკუნეში ციეზე ულაშქრია არაბთა სარდალს მურვან ყრუს, მაგრამ ციხე ვერ აუღია. 1774 წელს ციხე ოსმალების ხელში იყო. 1804-1805 წლებში იგი გურიის მთავარმა მამია გურიელმა და იმერეთის მეფემ სოლომონ I-მა დაიბრუნეს. 1828 წლიდან კი ასკანის ციხე რუსეთის ჯარმა დაიკავა.

ციხე ნაგებია ქვითა და კირხსნარით. შესასვლელის მარცხნივ გვირაბია, რომელიც მდინარე ბახვისწყლისკენ ეშვება. ციხეში შემავალი კარიბჭის მარჯვნივ, კლდოვან ქანში, გამოკვეთილია ძველი ნაგებობების საფეხურები; იქვეა ძველი მარანიც. ასკანის ციხე ორი კოშკის, წითელი მარმარილოთი ნაშენი სამლოცველოსა (V-VII საუკუნეების ბაზილიკა) და რამდენიმე ხის ქოხისგან შედგებოდა. სამლოცველო საკმაოდ დაზიანებულია, ხის ქოხები დანგრეულია. შიდა და გარე ზღუდეთა ირგვლივ მეომართა სადგომი ბაქნებია მოწყობილი; შეინიშნება ციხის კედლებში გამოჭრილი სათოფურები. ციხის გარე ზღუდის დაქანებული კლდოვანი

ფერდობის ძირში დიდი ზომის ხის ზედაპირი მოჩანს. აქედან იწყება ბახვის ხეობასთან დამაკავშირებელი, ციხიდან გამავალი საიდუმლო გვირაბი.



სურ. 3.10.1. ციხის ნანგრევები



სურ. 3.10.2. ციხის ფრაგმენტი

3.11. წინარეხის ეკლესია – წინარეხის წმინდა თევდორეს სახელობის ეკლესია (სურ. 3.11.1). მდებარეობს შიდა ქართლის მხარეში, კასპის მუნიციპალიტეტში, სოფელ წინარეხის ჩრდილოეთით, ბორცვზე. თარიღდება ადრინდელი ფეოდალური ხანით (იგივეა, რაც ადრეული შუა საუკუნეები – IV-IX სს.). ეკლესია (ტაძარი) დარბაზული მომცრო ნაგებობაა (6,75x4,3 მ), რომელიც ნაგებია ნატეხი ქვით, გამოყენებულია ქვიშაქვის ლოდები, ფიქალი და აგურიც. სამხრეთიდან არქიტრავით გადახურული შესასვლელია. ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე თაღოვანი სარკმელია. მის ქვემოთ კედელზე მიდგმულია სატრაპეზო ქვა შუაში წრიული ნახვრეტით. მსგავსი ფორმის ქვა, ოღონდ ოთხკუთხა ნახვრეტით, საკურთხევლის ამბიონის ჩრდილოეთითაც დევს. აბსიდა კონქით სრულდება, რომელიც მხრებზე გადასულ თაღს ეყრდნობა. კამარა ორ შეკიდულ და მუზარადისებრ თაღს ეყრდნობა. საკურთხევლის კედელში დატანებულია ორი ნიში, რომელთაგან სამხრეთისა ორი ბრტყელი ქვით პირამიდულადაა გადახურული, ჩრდილოეთისა კი მართკუთხაა. ტაძარი განათებულია დასავლეთისა და აღმოსავლეთის თაღოვანი სარკმლებით. განირჩევა სამშენებლო სამი დონე: ადრეული შუა საუკუნეების (მშენებლობა), გვიანი შუა საუკუნეებისა (რესტავრაცია, კარის თაღი და სარკმლები ამოყვანილია ქართული აგურით) და მე-20 საუკუნის (ახალი სახურავის მოწყობა). წინარეხის წმინდა თევდორეს სახელობის ეკლესიას მინიჭებული აქვს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი. (აღსანიშნავია, რომ სოფელ წინარეხის ძველ უბანში ანალოგიური, 1588 წელს აგებული, ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიაც მდებარეობს).



სურ. 3.11.1. საერთო

V საუკუნე

3.12. თბილისის სიონი (ინგლ. Sioni Cathedral of the Dormition) – ქართული ხუროთმოძღვრების ბრწყინვალე ძეგლი, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის (სიონის) საკათედრო ტაძარი (სურ. 3.12.1; სურ. 3.12.2). მდებარეობს ქ. თბილისში მტკვრის მარჯვენა

დაბალ ნაპირზე, ზემო კალაში, სიონის ქუჩაზე კომპლექსში შემავალი ნაგებობებია: საკათედრო ტაძარი, გალავანი, ორი სამრეკლო.

გადმოცემით სიონი ერთ-ერთი იმ ტაძართაგანი იყო, რომელიც ქართლის მეფე ვახტანგ გორგასალმა ააგო თბილისში V ს-ის II ნახევარში. ტაძარს საფუძვლად დაედო ღვთისმშობლის მიძინების ადგილზე გეთსამანიის ბაღში აღმართული ტაძრის გეგმა. სიონი არაერთხელ დაინგრა და აღდგა. სავარაუდოდ, ტაძარი საფუძვლიანად განაახლეს მას შემდეგ, რაც 1122 წელს საქართველოს მეფე დავით IV აღმაშენებელმა თბილისი აიღო და საქართველოს სამეფო ტახტი აქ გადმოიტანა.



სურ. 3.12.1. საერთო ხედი

1226 წელს ხვარაზმის იმპერიის სულთანმა ჯალალ ად-დინმა ჩამოანგრია ეკლესიის გუმბათი, რომელიც მალევე აღადგინეს. შუააზიელი ემირის თემურ ლენგის 1386 წლის შემოსევის დროს დაზიანებული შენობა შეაკეთა საქართველოს მეფე ალექსანდრე I-მა. 1556 წელს ტაძარში კვლავ გაანადგურა ირანის სეფიანთა დინასტიის მეორე შაჰმა თამაზ I-მა, ხოლო 1616 წელს კი – ირანის სეფიანთა დინასტიის უდიდესმა მმართველმა შაჰ-აბასმა. ირანელთა მიერ თბილისის რამდენიმეგზის აოხრების შედეგად დანგრეული ტაძარი 1667 წელს აღადგინა მთავარეპისკოპოსმა ელისე საგინაშვილმა. 1668 წლის მიწისძვრამ შენობა ისევ დააზიანა. 1710 წელს ქართლის მეფე ვახტანგ VI განაახლა ტაძრის გუმბათი, საპირე წყობა და სახურავი. უკანასკნელი დიდი დაზიანება შენობამ განიცადა 1795 წლის ირანის გამგებლის აღა მაჰმად ხანის მიერ თბილისის აოხრების დროს. 1803 წელს ტაძარი საფუძვლიანად აღადგინეს და 1861 წლის 17 დეკემბერს მოხდა სიონის ტაძრის ხელახალი კურთხევა.

სიონის ტაძარი "ჩახაზული ჯვრის" ტიპის შენობაა. ნაგებია ალგეთის თლილი ქვით. გუმბათი ეყრდნობა ორ ბურჯსა და აფსიდის კედლებს. საკურთხევლის აქეთ-იქით ასევე აფსიდიანი დამატებითი სათავსებია. აღმოსავლეთ ფასადზე აფსიდები ხუთწახნაგად არის შვერილი. ტაძრის გეგმა XII საუკუნის შემდეგ არსებითად აღარ შეცვლილა. 1657 წლის აღდგენის დროინდელია მკლავების კამარები, აფრები და შეისრული გუმბათქვეშა თაღები, აგრეთვე კედლების მნიშვნელოვანი ნაწილი. მოყვითალო-ქვიშისფერი ტუფის ფილების საფასადო პერანგი მეტწილად XIX საუკუნისაა, თუმცა შემორჩა უფრო ძველი მოპირკეთების ნათებიც, კერძოდ, ჩრდილოეთი ფასადის ზედა ნაწილში, სადაც არის 1710 წლის წარწერა. წარწერის ირგვლივ რელიეფებია: ზემოთ – სოლარული სიმბოლო, გარდიგარდმო – ფასკუნჯების გამოსახულებები. სხვა ფასადები გლუვია, მხოლოდ სარკმლებს აქვს სადა საპირეები.


შედარებით მდიდრულადაა გაფორმებული ტაძრის მთავარი შესასვლელი დასავლეთიდან, რომელსაც მოჩუქურთმებული თაღოვანი ჩარჩო აქვს (სურ. 3.12.3). სამხრეთ დასავლეთ ფასადებზე სარკმლებს ზემოთ ორნამენტული ჯვრებია გაკეთებული. გუმბათი თავისი ყელით მთლიანად 1710 წელს არის ამოყვანილი (სურ. 3.12.4). ის გარედან თექვსმეტწახნაგაა. ყოველ წახნაგში თითო ვიწრო, მოჩუქურთმებული საპირიანი სარკმელია. დასავლეთ მხარეს ორ წახნაგზე გამოსახულია ჯვარი და მიჯაჭვული ლომი, ჩრდილოეთ მხარეს – წმ. მთავარანგელოზი და მაკურთხეველი წმინდანი წიგნით ხელში.

1850 წელს კავკასიის მეფისნაცვლის მიხეილ ვორონცოვის ბრძანებით გადაწყდა ტაძრის მოხატვა, რომელიც 1851-1855 წლებში შესრულდა გრიგოლ გაგარინის მიერ (სურ. 3.12.5; სურ. 3.12.6). მხატვრობა შესრულებულია ცვილის საღებავებით. ტაძრის დასავლეთი ნაწილი 1978-1979 წლებში ხელახლა მოხატა ლევან ცუცქირიძემ. საკურთხევლის წინ მდგომი კანკელი გაკეთდა 1980-იან წლებში ძველი ქართული ნიმუშების მიხედვით.

სიონის ტაძარში მრავალი ხატი თუ წმინდა ნაწილია, მაგრამ ყველაზე მთავარი, რომელიც ეხმაურება თავად ტაძარს, ესაა სიონის ღვთისმშობლის ხატი (დამზადებული 1762

წელს რუსეთში ქართლის მეფე ვახტანგ VI-ის შვილის გიორგი ბაგრატიონისა და მისი მეუღლის მარიამ დოლგორუკოვას დაკვეთით), საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის უდიდესი სიწმინდე – წმ. ნინოს ჯვარი, რომელიც დაბრძანებულია ტაძრის კანდელის ჩრდილოეთ მხარეს მისთვის გამოყოფილ სპეციალურ ნიშიში 1802 წლიდან, მაცხოვრის ხელთუქმნელი, ბარბარეს, წმინდა ნინოს, წმინდა გიორგის, წმინდა ნიკოლოზის, წმინდა სერაფიმეს ხატები და სხვ.

ტაძრის ჩრდილოეთით დგას აგურის სამიარუსიანი ძველი სამრეკლო (სურ. 3.12.7) აშენებული 1425 წელს, რომლის ზედა იარუსი დანგრეული იქნა 1795 წელს აღა მაჰმად ხანის შემოსევის დროს. იგი შეაკეთეს 1939 წელს და თავიდან ააგეს ფანჩატური. მეორე სამრეკლო – წვეტით დაგვირგვინებული მაღალი სამსართულიანი შენობა ტაძრის ჩრდილო-დასავლეთით, აშენდა 1812 წელს და თბილისის ხუროთმოძღვრებაში კლასიციზმის ერთ-ერთი უადრესი ნიმუშია (სურ. 3.12.8).



სურ. 3.12.2. ხედი ჩრდილო-აღმოსავლეთიდან



სურ. 3.12.3. მთავარი შესასვლელი



სურ. 3.12.4. გუმბათის ყელი

ტაძარს გააჩნია საძვალე, სადაც დაკრძალული არიან ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ცნობილი სასულიერო პირები, საზოგადოებრივი მოღვაწეები, სამეფო ოჯახის წევრები და თავადიშვილები. მათ შორის: წმ. იოანე მანგლელი ეპისკოპოსი (1666-1751 წწ.);



სურ. 3.12.5. ინტერიერის მოხატულობა



სურ. 3.12.6. ინტერიერის მოხატულობა

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები: კირიონ მეორე, ლეონიდე, ამბროსი, ქრისტეფორე, კალისტრატე, მელქისედეკ III, ეფრემ II, დავით V; სიონის ტაძრის განმაახლებელი მთავარეპისკოპოსი ელისე საგინაშვილი, პოეტი ვახტანგ ორბელიანი, ანა ბატონიშვილი (ქართლის მეფე ვახტანგ VI-ის ქალიშვილი), სოლომონი (ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-ის შვილი), პავლე ციციანოვი (საქართველოს მთავარმართებელი) და სხვ.



სურ. 3.12.7. ძველი სამრეკლო



სურ. 3.12.8. ნეოკლასიკური სტილის სამრეკლო

3.13. ბოლნისის სიონი (ინგლ. Bolnisi Sioni Cathedral) – ქართული ხუროთმოძღვრების უბრწყინვალესი ძეგლი, V საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი ბაზილიკა საქართველოში (სურ. 3.13.1). ტაძარზე არსებული წარწერების მიხედვით აშენებულია 479-493/494 წლებში. მდებარეობს ქვემო ქართლის მხარეში, ბოლნისის მუნიციპალიტეტში, ბოლნისიდან 8 კმ-ის დაშორებით, მდ. ფოლადაურის მარცხენა ნაპირზე, სოფელ ბოლნისში. კომპლექსში შემავალი ნაგებობებია: გალავანი, ეკლესია, სამრეკლო.



სურ. 3.13.1. საერთო ხედი




სურ. 3.13.2. ხედი აღმოსავლეთიდან

VIII საუკუნეში ტაძარზე აღმოსავლეთის მხრიდან პატარა სამლოცველო მიუშენებიათ, რომელიც მშვენივრადაა შეწყმული ბაზილიკასთან (სურ. 3.13.2). შემდეგ საუკუნეებში ჩამოშლილია ტაძრის ჩრდილოეთის თაღებიანი სტოა-გალერეა. გვიან შუა საუკუნეებში (1634 წელს), სპარსელების შემოსევის შედეგად ტაძრის კამარები და დასავლეთის კედელი ძლიერ დაზიანებულა, რომელიც XVII საუკუნეში აღუდგენიათ როსტომ მეფისა (ქართლის მეფე 1633-1658 წლებში; მანამდე ირანის მმართველის შაჰ აბასის გვარდიის სარდალი, ისპაჰანის მოურავი) და მარიამ დედოფლის ძალისხმევით. ამ დროსაა გაჭრილი დასავლეთის კარიც. ამავე საუკუნის ბოლოს ქართლის მეფის გიორგი XI-ის ბრძანებით ეკლესია შეაკეთა და მოახატვინა ბოლნისელმა ეპისკოპოსმა ნიკოლოზმა. მანვე ტაძრის სამხრეთ-დასავლეთით მასიური სამრეკლოც აღმართა (სურ. 3.13.3), რაც გადმოცემულია სამრეკლოზე

განთავსებულ სამშენებლო წარწერაში (ეს წარწერიანი ფილა ამჟამად საქართველოს ხელოვნების მუზეუმშია გადატანილი, ადგილზე კი მისი ასლია ჩასმული).



სურ. 3.13.3. სამრეკლო



სურ. 3.13.4. ტაძრის გეგმა

ბოლნისის სიონი ქართულ ქრისტიანულ ხუროთმოძღვრებაში უძველესი და უდიდესი სამნავიანი ბაზილიკაა, ჩრდილოეთით შვერილი აფსიდით, თაღოვანი გალერეით და ბაპტისტერიუმით (სანათლავი ოთახით). ტაძრის ასაგებად გამოყენებულია მომწვანო ფერის კარგად გათლილი კვადრები. მხოლოდ დასავლეთის კედელის ნაწილში შეინიშნება ქართული აგური, ნავებს ერთმანეთისგან ყოფს ჯვრისებრი განივკვეთის სვეტების ხუთი წყვილი (სურ. 3.13.4). შუა მაღალი ნავი გადახურულია ორქანობიანი სახურავით, ხოლო განაპირა ნავებისათვის ერთქანობიანი სახურავებია გამოყენებული. ნავები ქვის კამაროვან კონსტრუქციებზა დაყრდნობილი, რაც შიდა სივრცეს მსუბუქსა და ნათელს ხდის.

ტაძარში ნალისებრი მოხაზულობის მთავარი შესასვლელი დასავლეთიდანაა (გაჭრილია XVII საუკუნეში; თავდაპირველად შესასვლელები სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან ყოფილა), რომლის თავზე ღია ლუნეტია. ტრადიციულად აფსიდის ორივე მხარეს, ტაძრის შიგნით, საკურთხევლის გაყოლებაზე, სადიაკვნე და სამკვეთლო ოთახებია. ბოლნისის ტაძრის ინტერიერში (სურ. 3.13.5) პირველად გამოჩნდა სკულპტურული და ორნამენტული სამკაულები, ბარელიეფები და ჩუქურთმები, დიდი ყურადღება აქვს დათმობილი შიდა სივრცის მხატვრულ გადაწყვეტას. ტაძარი მორთულია გასაოცარი რელიეფური ქანდაკებებით: ხარის თავით, ფრინველთა თუ ცხოველთა გამოსახულებებით, აგრეთვე სხვადასხვაგვარი გეომეტრიული და მცენარეული (სურ. 3.13.6) ორნამენტებით (სურ. 3.13.7).



სურ. 3.13.5. ინტერიერი



სურ. 3.13.6. ჩუქურთმა

ბოლნისის ტაძრის ფასადებმა შემოგვინახა დღეისათვის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილი უძველესი ქართული ასომთავრული წარწერები, რომლებიც უძველესია იტალიელი არქეოლოგის ვირჯილიო კორბოს მიერ იუდეის უდაბნოში 1952 წელს აღმოჩენილი პალესტინის ქართული მონასტრის წარწერების შემდეგ. ერთი წარწერა მოთავსებულია აღმოსავლეთის ფასადზე, საკურთხევლის სარკმლის თავზე, მედალიონში ჩასმული ბოლნური ჯვრის გარშემო (სურ. 3.13.8). წარწერა აკადემიკოსმა ივანე ჯავახიშვილმა V საუკუნის დამლევითა და VI საუკუნის დასაწყისით დაათარიღა, რაც დაადასტურა 1937 წელს გათხრების დროს აღმოჩენილმა ოთხსტრიქონიანმა მეორე წარწერამაც. ეს წარწერა მოთავსებული ყოფილა ჩრდილოეთით მარცხენა კარის თავზე გადებულ ქვაზე. ამჟამად ეს ქვა ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმშია დაცული (ადგილზე კი ასლია ჩასმული). მესამე წარწერა მოთავსებულია ჩრდილოეთით მარჯვენა კარის თავზე და ეხება ტაძარზე კარის შებმის ამბავს. ყველა წარწერა ლაპიდარულია და შესრულებულია მსხვილი მთავრული (მრგლოვანი) ასოებით [11].



სურ. 3.13.7. ჩუქურთმა




სურ. 3.13.8. ბოლნისის სიონის V საუკუნის წარწერა


3.14. მეტეხის ტაძარი (ინგლ. Metekhi Temple) – ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და ცნობილი ძეგლი, მეტეხის ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძარი (თბილისელთათვის უბრალოდ მეტეხი) (სურ. 3.14.1, 3.14.2). მდებარეობს თბილისის ისტორიულ უბანში ავლაბარში (სურ. 3.14.3), ძველი თბილისის მუნიციპალიტეტში, მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, მეტეხის ციხის ტერიტორიაზე, რომელიც V-VI საუკუნეებში ქართლის მეფე ვახტანგ გორგასლის მიერ იქნა აგებული. გადმოცემის თანახმად მეტეხის ტაძრის სადიაკვნეშია დაკრძალული წმინდა შუშანიკ წამებული (სომეხ-ქართველთა საეკლესიო განხეთქილების შემდეგ გადმოუსვენებიათ დაბა ცურტავიდან). ასევე, გადმოცემის თანახმად, მეტეხის კლდე თბილისის მფარველი წმინდანის აბოს წამების ადგილი უნდა ყოფილიყო (VIII ს.), რომლის სახელზეც აშენებული იყო მცირე ეკლესია მეტეხის ტაძრის ქვევით კლდის ძირში (ამჟამად მიმდინარეობს ამ ეკლესიის აღდგენითი სამუშაოები).

მეტეხი აშენებიდან დღემდე თბილისის ყველაზე მნიშვნელოვანი და ცნობილი ძეგლია. ის ახლად დაარსებული ქალაქის შუაგულში მდებარეობდა. ვახტანგ გორგასალმა აქ ეკლესია და ციხესიმაგრე აღმართა, რომელიც მეფის რეზიდენციის ფუნქციასაც ასრულებდა. ტოპონიმ „მეტეხის“ ირგვლივ არსებული მრავალი ვერსიიდან (ნ. ჩუბინაშვილი, ზ. ჭუმბურიძე, ი. მაისურაძე), ერთ-ერთის თანახმად სახელი მეტეხი ძველქართულად „არემარეს სასახლი ირგვლივ“ ნიშნავს. თამარ მეფის დროს აქ სამეფო სასახლე და კარის ეკლესია იყო. VII-VIII საუკუნეებში (627, 628, 764 წლები) ხაზართაგან დანგრეული ძველი ტაძრის ნაცვლად, XII საუკუნეში ღვთისმშობლის შობის სახელობის ახალი ტაძარი ააგეს. XIII საუკუნის პირველ ნახევარში კი მონღოლებმა დაანგრიეს სასახლე და ეკლესიის შენობა. XIII საუკუნის შუა წლებში სასახლე აღდგენილ იქნა, ხოლო 1278-1289 წლებში წმინდა მეფე დემეტრე თავდადე-

ბულმა განაახლებინა მეტეხის ციხე და აქ მონასტერიც დააარსა. XVII საუკუნის II ნახევარში მეტეხის ტაძარი მიტოვებული და დაზიანებული ყოფილა. 1661 წელს მეფე ვახტანგ V შაჰნავაზმა ტაძარი აღადგინა. XVIII საუკუნის I ნახევარში მეტეხის ციხეში ჯერ თურქთა, შემდეგ სპარსთა გარნიზონი იდგა. 1748 წელს ერეკლე მეორემ მეტეხი ბრძოლით მოიპოვა, აღადგინა ეკლესია, შეაკეთა გუმბათი (ფაქტს ადასტურებს ტაძრის აღმოსავლეთის კედელზე შემორჩენილი წარწერა). XIX საუკუნის შუა პერიოდში ტაძარი კვლავ შეუკეთებიათ. XIX საუკუნის დასაწყისში აქ რუსული სამხედრო ნაწილი იდგა, შემდეგ ციტადელი დაშალეს, ახალი უსახური ნაგებობები ჩადგეს და მეტეხი 1934 წლამდე სატუსაღოდ გადააქციეს. 1837 წელს მეტეხის გარშემო აშენებული ყაზარმების შენობები დაანგრიეს, შემდეგ კი ხანგრძლივი დროით ტაძარი უმოქმედოდ იყო. გვიანდელ საბჭოთა პერიოდში ეკლესიაში განათავსეს „მეტეხის თეატრი“ (1989-1988 წწ.). 1988 წელს ტაძარს ახალი ჯვარი დაადგეს, განახლდა წირვა-ლოცვა და ეკლესია საქართველოს საპატრიარქოს დაუბრუნდა.



სურ. 3.14.1. პანორამული ხედი



სურ. 3.14.2. ადგილმდებარეობის რუკა

მეტეხის ტაძარი ცენტრალურგუმბათოვანია. მისი კედლების წყობა კლასიკურ ქართულ ტრადიციებს ემყარება და ნაშენია აგურით, გარედან კი მოპირკეთებულია თლილი მომწვანო-რუხი კვადრებით. ტაძარი გეგმით მართკუთხედის ფორმისაა შუაში ჯვრისებრი განივკვეთის ოთხი სვეტით, რომელზეც დაყრდნობილია გუმბათი. აღმოსავლეთით, საკურთხევლის მხარეს, სამი შვერილი აფსიდია, რაც იმ ეპოქისათვის უჩვეულოა და ალბათ, ამ ადგილზე მანამდე მდგარი ეკლესიის გეგმას იმეორებს. შვერილი აფსიდის გვერდებზე მცირე ზომის სამსხვერპლო და სადიაკვნეა, ხოლო მათ თავზე მეორე სართულზე – სადგომები. ჩრდილოეთის, სამხრეთისა და დასავლეთის გუმბათქვეშა მკლავები ერთნაირი სიღრმისაა, აღმოსავლეთის კი დაგრძელებულია ბემით, რის გამოც გუმბათი ტაძრის ცენტრში კი არაა, არამედ გადანაცვლებულია დასავლეთისკენ. აღმოსავლეთის ფასადის შუა აფსიდს დიდი ჯვარი და სარკმლის ქვემოთ ორი ნატიფად მოჩუქურთმებული რომბი ამშვენებს, რაც ეხმაურება სამთავისის ტაძრის ცნობილ სქემას (იხ. სამთავისის ტაძარი, სურ. 3.77.2; 3.77.3; 3.77.4). საუკუნეთა მანძილზე ტაძრის არქიტექტურამ ბევრი ცვლილება განიცადა და მასში მკაფიოდ აღინიშნება სხვადასხვა ეპოქის კვალი: XIII საუკუნის ტაძრიდან შემორჩენილია აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთის კედლები კამარებამდე, დასავლეთის კედლის აღმოსავლეთი ნაწილი. XVI-XVII საუკუნეებში აგურითაა აღდგენილი ოთხივე სვეტი, დასავლეთის პატრონიკე, კამარები, გუმბათის ყელი და სხვ. მეფე ერეკლე II-ის დროსაა აღდგენილი სამხრეთი კედლის დიდი ნაწილი. შეინიშნება XIX საუკუნის სამშენებლო ფენებიც. მეტეხის ტაძრის წინ, მაღალ კვარცხლბეკზე, აღმართულია ქართლის მეფე ვახტანგ გორგასლის ცხენოსანი ფიგუ-

რა (სურ. 3.14.4. მეფე ვახტანგ გორგასლის ძეგლი მეტეხის ტაძრის წინ) (ავტორი ელგუჯა ამაშუკელი, 1967 წ.).



სურ. 3.14.3. საერთო ხედი



სურ. 3.14.4. მეფე ვახტანგ გორგასლის ძეგლი მეტეხის ტაძრის წინ

3.15. მატანის ცხრაკარას მონასტერი (გერმ. Matanier Zchrakara) – V საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი. მდებარეობს კახეთის მხარეში, ახმეტის მუნიციპალიტეტში, სოფელ მატანის დასავლეთით 3-4კმ-ზე, მთებში (სურ. 3.15.1; სურ. 3.15.2). კომპლექსში შემავალი ნაგებობებია: რამდენიმე ეკლესია, გალავანი, სამრეკლო, დარბაზი.



სურ. 3.15.1. ადგილმდებარეობის რუკა



სურ. 3.15.2. საერთო ხედი

მთავარი ნაგებობა – სამნიანი ბაზილიკა, აშენებულია V საუკუნის შუა წლებში. იგი გეგმით მართკუთხაა (10x8,7 მ), ნაგებია რიყისა და ნატეხი ქვით. კონსტრუქციულად საპასუხისმგებლო ნაწილები გამოყვანილია მოყვითალო ფერის შირიმით. შუა ნავი, გვერდით ნავებთან შედარებით, ვიწრო და მაღალია. მას აღმოსავლეთით კონქით გადახურული აფსიდა აქვს, რომლის ნახევარწრიული თაღი შირიმის მარტივი პროფილის (თარო და დახრილი სიბრტყე) იმპოსტებს ეყრდნობა. კედლების დასავლეთი ნაწილი და მათ ზემოთ კამარა თავდაპირველი ფორმითაა შემორჩენილი და დაყრდნობილია საბჯენ თაღზე. ბაზილიკაში განთავსებულია სამკვეთლო, საკურთხეველი და ტრაპეზი. ღიობებისა და გადახურვების კონსტრუქციებისათვის ძირითადად გამოყენებულია ნახევარწრიული თაღები, გუმბათოვანი და სხმული კამარები. ბაზილიკის შუა ნავის საკურთხეველსა და დასავლეთ კედელზე შემონახულია XVI საუკუნის მხატვრობა, რომელიც ძლიერ დაზიანებულია.



სურ. 3.15.3. დასავლეთის ეკლესიის აღმოსავლეთი ფასადის ფრაგმენტი



სურ. 3.15.4. დასავლეთის ეკლესიის დასავლეთი ფასადი

ბაზილიკაზე სამხრეთიდან მიშენებულია ეკლესია, რომელიც გეგმით მართკუთხაა (6,9x3,6 მ), ხოლო ჩრდილოეთიდან – დარბაზული ეკლესია (8,2x5,3 მ). ორივე ეკლესია ნაგებია ნატეხი ქვით. გარეთა კუთხეებში და შესასვლელის წირთხლებად გამოყენებულია თლილი ქვები. ბაზილიკის დასავლეთით 4 მ-ზე დგას გათლილი კვადრებით მოპირკეთებული, განვითარებული შუა საუკუნეების (XIV–XV ს.) დარბაზული ეკლესია (7,3x5,2 მ), რომლის სამხრეთით პატარა კამარაჩამოქცეული შენობაა (სავარაუდოდ ბიბლიოთეკა). აღმოსავლეთით საკურხევლის აფსიდია. ჩრდილო-აღმოსავლეთით 7-8 მეტრზე კი მეორე დარბაზული ეკლესიის (7,9x5 მ) ნაშთია. ბაზილიკის სამხრეთ ნავისა და მასზე სამხრეთიდან მიშენებული ეკლესიის წინ აგურით ნაგები, გეგმით კვადრატული, დარბაზის (7,67x5 მ) ნანგრევებია. ტერიტორიაზე ყოფილა კვადრატული აგურისაგან აგებული რვაწახნაგა სამრეკლო, რომლის მხოლოდ მცირე ნაწილია შემორჩენილი.

მთავარი ბაზილიკის გარდა, მონასტრის დაბალი გალავნის შიგნით, პირვანდელი სახით, შემორჩენილია დასავლეთის ეკლესია, რომელსაც უძველესი რელიეფური გამოსახულებები ამშვენებს (სურ. 3.15.3; სურ. 3.15.4).

3.16. არტანუჯის ციხე (ინგლ. Artanuji Fortress) – ქართული ხუროთმოძღვრების V საუკუნის ძეგლი ართვინის პროვინციაში (სურ. 3.16.1; სურ. 3.16.2), ისტორიულ მხარე კლარჯეთში (ამჟამინდელი თურქეთის ტერიტორია). მდებარეობს ქალაქ არტანუჯის სიახლოვეს მდინარე არტანუჯის წყლის მარცხენა ნაპირზე. კომპლექსში შემავალი ნაგებობებია: ციხე-გალავანი, წმიდა პეტრესა და პავლეს ეკლესია, ადაქალეს ეკლესია, ჯამედ გადაკეთებული ეკლესია და სხვა ნაგებობანი.

”ქართლის ცხოვრების” მიხედვით, ციხე ქართლის მეფე ვახტანგ გორგასლის ბრძანებით აუგიათ. VIII საუკუნის I ნახევარში არტანუჯის ციხე არაბი სარდლის მურვან ყრუს შემოსევების შემდეგ დაინგრა და გაპარტახდა. IX საუკუნის დასაწყისში ქართლისა (809-813 წწ.) და ტაო-კლარჯეთის (813-826 წწ.) მეფემ აშოტ I კურაპალატმა აღადგინა. მანვე აღადგინა ქალაქი არტანუჯი, იქ თავისი რეზიდენცია დააარსა და ქალაქი სამხრეთ საქართველოსა და მცირე აზიის აღმოსავლეთ ნაწილის მნიშვნელოვან სავაჭრო ცენტრად აქცია.

პიტალო კლდის თავზე მდგარი ციხე – არტანუჯის ბობოქარი ისტორიის ყველაზე თვალსაჩინო მატერიალური ნაშთია. იგი განლაგებულია კლდის ზედა მოედანზე, სამხრეთ-ჩრდილოეთის ღერძზე ძლიერ წაგრძელებული ფორმა აქვს და ციტადელიც, შესაბამისად, სიგრძეშია გაჭიმული დაახლოებით 220 მეტრზე, სიგანე ყველაზე ფართო ადგილას 55 მეტრს აღ-

წევს. ციხის კედლები რელიეფის შესაბამისად ციცაბო კლდის ნაპირებს მიჰყვება და იმდენად მიუვალია, რომ კედლებში სათავდაცვო კოშკებიც კი არ ჩაუტანებიათ. ციხის ირგვლივ ბევრი ბუნებრივი გამოქვაბულია, რომლებიც გვირაბების მეშვეობით ჩართული ყოფილა თავდაცვით სისტემაში.



სურ. 3.16.1. საერთო ხედი




სურ. 3.16.2. ციხის გალავნის ფრაგმენტი

ციხის ტერიტორიაზე შემორჩენილია IX საუკუნით დათარიღებული წმიდა პეტრესა და პავლეს დარბაზული ეკლესიის ნაშთი, აგრეთვე ციხე-ქალაქის უძველესი ნაგებობა – ადაქალეს ჯვარ-გუმბათოვანი აფსიდიანი ეკლესია, რომლის ჩრდილოეთის კედელი და დასავლეთის კედლის ნაწილია გადარჩენილი. ტერიტორიაზე მდგარა სხვა ნაგებობებიც: ჯამედ გადაკეთებული ეკლესია, მედრესე, ქარვასლა (დაიწვა XIX საუკუნის II ნახევარში), სომხური ეკლესია (აშენდა 1790 წელს, დაანგრიეს 1920 წელს), ჰამამი (აბანო) და სხვ.

3.17. ნიქოზი (ზემო ნიქოზის ღვთაების ეკლესია) (ინგლ. Nikozi) – სამონასტრო კომპლექსი შიდა ქართლის მხარეში, გორის მუნიციპალიტეტში, სოფელ ზემო ნიქოზში, მდინარე ლიახვის მარჯვენა ნაპირზე (სურ. 3.17.1). კომპლექსში შემავალი ნაგებობებია: ღვთაების ეკლესია (სურ. 3.17.2), სამრეკლო (სურ. 3.17.3), ეპისკოპოსის სასახლე და გალავანი.




სურ. 3.17.1. ადგილმდებარეობის რუკა



სურ. 3.17.2. ღვთაების ეკლესია

ღვთაების ეკლესია აგებულია V-VI საუკუნეებში ქართლის მეფე ვახტანგ გორგასლის დაკვეთით. ნაგებობა თავდაპირველად სამნავიანი ბაზილიკა ყოფილა. ეკლესიაშ ამჟამად ჯვარ-

გუმბათოვანია (16,7×11,15 მ), შიგნით და გარეთ შემოსილია თლილი ქვით. შესასვლელი დასავლეთით, სამხრეთით და ჩრდილოეთით აქვს, რომელთაგან ჩრდილოეთის შესასვლელი ამჟამად ამოქოლილია). ტაძრის აღმოსავლეთის და დასავლეთის მკლავები დანარჩენთან შედარებით დაგრძელებულია. ოთხივე მკლავში თითო სარკმელია გაჭრილი. საკურთხევლის აფსიდის გვერდებზე, ტრადიციულად, სამკვეთლო და სადიაკვნეა. ორივე სათავსი მართკუთხაა. აფსიდის წინ ღრმა ბემაა, რომელიც გვერდებზე დიდი თაღებითაა გახსნილი. დასავლეთის მკლავი კამარით გადახურულ გვერდის ნავებს უკავშირდება შეისრული თაღით. გუმბათი აღმოსავლეთ კედლის კუთხეებსა და დასავლეთის კედლის დიდ შვერილ პილონებს ეყრდნობა. გუმბათქვეშა კვადრატიდან გუმბათის წრეზე გადასვლა აფრების მეშვეობით ხდება.



სურ. 3.17.3. სამრეკლო



სურ. 3.17.4. ქართული წარწერები ფასადზე

გუმბათის ყელში რვა სარკმელია, რომლებიც ჩუქურთმებითაა დამშვენებული. იატაკისათვის გამოყენებულია ნატეხი ქვა და ძველი ქართული აგური. ფასადებზე ძნელად გასარჩევი ასომთავრული, ნუსხური და მხედრული წარწერებია (სურ. 3.17.4). სამრეკლო დგას გალავნის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში. თარიღდება XVI-XVII საუკუნეებით. ნაგებობა ორსართულიანია (5,45×5,35 მ), ფასადები შემოსილია რუხი ფერის თლილი ქვით. დასავლეთის კედელზე ჯვრის სამი გამოსახულებაა. ეპისკოპოსის სასახლე დგას გალავნის გარეთ, სამხრეთ-აღმოსავლეთით. თარიღდება IX-X საუკუნეებით. სასახლე გეგმით მართკუთხაა (11,2×21 მ), ორსართულიანი, ნაგებია რიყის ქვითა და აგურით.

3.18. ხაშმის სამების ეკლესია (კაწარეთის სამება) – ძველი ქართული ხუროთმოძღვრების მნიშვნელოვანი ძეგლი (სურ. 3.18.1). მდებარეობს საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, სოფელ ხაშმში, მდინარე იორის მარცხენა ნაპირას. მიეკუთვნება V-VI საუკუნეების მიჯნას. იგი ფეოდალური ხანის კახეთში საეპისკოპოსო ცენტრს წარმოადგენდა. კომპლექსის ძირითადი ნაგებობებია: სამების ეკლესია (ტაძარი), ეპისკოსის სასახლე, სამრეკლო, მარანი და გალავანი.

ტაძარი ბაზილიკის ტიპის სამნავიანი გეგმით წაგრძელებული მართკუთხა ნაგებობაა, რომელსაც შესასვლელი სამი მხრიდან აქვს. აფსიდით დასრულებული შუა ნავის ორივე მხარეს, მთელ სიგრძეზე, სვეტებზე ამოყვანილია 5-5 ნალისებრი ფორმის თაღი. საშენ მასალად გამოყენებულია უხეშად გათლილი ნატეხი და რიყის ქვა, თაღებისათვის – სუფთად გათლილი ქვის კვადრები. ტაძარში შემონახულია მე-16 საუკუნის დასაწყისის უნიკალური ფრესკები (სურ. 3.18.2). გარედან შემოსილია მომწვანო-მოვარდისფრო ქვიშაქვის კვადრებით. აღმოსავლეთის ფასადზე, შუა სარკმლის თავზე, დიდი ქვის ჯვარია გამოყვანილი (სურ. 3.18.3). ქვის გალავანს შესასვლელი გალავნის კედელში ჩართული საცხოვრებელი კოშკიდან აქვს (სურ. 3.18.4). გადმოცემის თანახმად ხაშმის ეკლესია, სავარაუდოდ, მეფე ვახტანგ გო-

რგასლის მიერაა აშენებული. დროთა განმავლობაში ტაძარი რამდენიმეჯერ არის გადაკეთებული. ამჟამად იქ ფუნქციონირებს მამათა მონასტერი.




სურ. 3.18.1. ეკლესიის საერთო ხედი



სურ. 3.18.2. ფრესკა




სურ. 3.18.4. კოშკი



სურ. 3.18.3. ჯვარი აღმოსავლეთის ფასადზე

VI საუკუნე

3.19. ანჩისხატი (ინგლ. Anchiskhati Basilica) – ქართული ხუროთმოძღვრების თვალსაჩინო ძეგლი, ანჩისხატის ღვთისმშობლის ტაძრადმიყვანების ეკლესია, მარიამწმინდა ეკლესია, ზარის ეკლესია – დარბაზული ტიპის სამნავიანი ქრისტიანული ტაძარი (სურ. 3.19.1; სურ. 3.19.2). მდებარეობს თბილისში, ძველი თბილისის მუნიციპალიტეტში, უძველეს ისტორიულ



სურ. 3.19.1. ადგილმდებარეობის რუკა



სურ. 3.19.2. საერთო ხედი

უბან ზემო კალაში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, იოანე შავთელის ქუჩაზე.


ტაძარს ანჩისხატი მას მერე ეწოდა, რაც 1675 წელს (ზოგიერთი მონაცემებით 1664 წელს) ანჩის ტაძრიდან (სამხრეთი საქართველო) აქ ბექა ოპიზრის (XII საუკუნე) მიერ მოჭედილი, ქართული ჭედურობის ბრწყინვალე ნიმუში, მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატი (ამჟამად დაცულია საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში) გადმოასვენეს (სურ. 3.19.3). ეს ხატი მნიშვნელოვან როლს თამაშობდა საქართველოს ისტორიაში და მჭიდროდაა დაკავშირებული ქართველი ერის სულიერ ცხოვრებასთან. ხატი შემკულია ვედრების კომპოზიციით. მისი თავსართი და დასაკეცი ფრთები მოჭედილია XIV საუკუნეში.



სურ. 3.19.3. მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატი

ისტორიული ცნობების მიხედვით ტაძარი აგებულია ქართლის მეფე ვახტანგ გორგასლის შვილის, დაჩი უჯარმელის მეფობის დროს (494-506 წწ.) ღვთისმშობლის შობის სახელზე VI საუკუნეში (გ. ჩუბინაშვილის მოსაზრებით). ეს ბაზილიკა თბილისში შემორჩენილი ყველაზე ძველი საეკლესიო ნაგებობაა. არაბთა ბატონობის პერიოდში ანჩისხატი იყო საქართველოში ერთადერთი ტაძარი, სადაც ეკლესიის მსახურთ ეძლეოდათ ზარების დარეკვის უფლება, ამიტომ მას „ზარის ეკლესიასაც“ ეძახდნენ [11]. მის ტერიტორიაზე 634 წელს აუშენებიათ საქართველოს კათოლიკოსების სასახლე, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია. ანჩისხატის უბანი ქართველ წარჩინებულთა სამოსახლო იყო. ტაძრის სამხრეთით მეფის სასახლე იყო აგებული. ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II-ის მეფობაში ანჩისხატთან საერო სკოლა და სასულიერო სემინარია ჩამოყალიბდა. ირანის გამგებლის აღა-მაჰმად-ხანის შემოსევებისას ტაძარი დაზიანდა, რომელიც აღადგინეს XIX საუკუნის დასაწყისში და შენობას დაუბრუნეს XVII საუკუნის სახე.

ანჩისხატის ტაძარი სამნავიანი ბაზილიკაა (გარე ზომები: 21,5x13,5 მ), ნაშენია ტუფის თლილი ქვით (თავდაპირველი ფენა), ხოლო კედლების ზედა ნაწილები და ყველა შიგნითა სვეტი აგურისაა (XVII საუკუნის რესტავრაცია). ეკლესია ნავებად იყოფა თაღების საშუალებით. აფსიდი, ნავებს შორის ამოყვანილი ერთერთი თაღედი და ღია ლუნეტები დასავლეთ და ჩრდილოეთ შესასვლელების თავზე ნალისებრი ფორმისაა. თავდაპირველად აქ სამი წყვილი სვეტი ყოფილა (ნაცვლად ახლანდელი ორისა). კედლების ამოსაყვანად გამოყენებულია მოყვითალო ტუფის დიდი კვადრები, ხოლო XVII საუკუნეში აღდგენილი კამარები, თაღები, სვეტები, კედლების ნაწილები და კარნიზები აგურისაა. ტაძრის გეგმა წაგრძელებული მართკუთხედის ფორმისაა, რომელიც შიგნით, ბურჯების ორი წყვილით იყოფა სამ ნაწილად (თავდაპირველად აქ ბოძების სამი წყვილი იყო). შუა ნავი განაპირებზე ორჯერ განიერი და მაღალია. იგი გადახურულია ცალკე ორქანობიანი სახურავითა და აღმოსავლეთით ნახევარწრიული მოხაზულობის საკურთხევლით მთავრდება, რომლის მარჯვნივ და მარცხნივ, ტრადიციულად, მოთავსებულია სადგომები (სამკვეთლო და სადიაკვნე). ისინი გვერდით ნავებს თითო ვიწრო თაღით უკავშირდებიან. ეკლესიაში შესასვლელი სამივე კარი კარგად გათლილი მართკუთხა ძელით – არქიტრავრით არის გადახურული. ჩრდილოეთისა და დასავლეთის შესასვლელების (სურ. 3.19.4) თავზე ადრეული ხანის ქართული ხუროთმოძღვრებისთვის დამახასიათებელი ნალისებრი მოხაზუ-



სურ. 3.19.4. შესასვლელი

ლობის ღია ლუნეტებია (სურ. 3.19.5). ასევე ნალისებრი მოხაზულობისაა ფასადებზე გამომავალი ყველა სარკმელი.



სურ. 3.19.5. კარის თავის ლუნეტი



სურ. 3.19.6. „ჯვრის ამაღლების“ კომპოზიცია



სურ. 3.19.7. სამრეკლოს სამშენებლო



სურ. 3.19.8. სამრეკლოს კარიბჭის გასასვლელის თაღი

საინტერესო დეტალია დასავლეთის ფასადის წყობაში ჩადგმული „ჯვრის ამაღლების“ კომპოზიციის ფრაგმენტიანი რელიეფი (სურ. 3.19.6). მასზე შერჩენილია ე. წ. ბოლნური ჯვრისა და ანგელოზის ძლიერ დაზიანებული გამოსახულებები. ეს რელიეფი მნიშვნელოვანია მასზე მიკვლეული ასომთავრული წარწერითაც.

აგურის ორსართულიანი სამრეკლო გვიან ფეოდალურ ხანას მიეკუთვნება და ორგანულადაა შერწყმული გალავანსა და ქუჩას. სამრეკლოს კედელში მორთულობის ელემენტის როლს ასრულებს კონტრასტული ყვითელი ფერის ფილა ზედა ამოკვეთილი სამშენებლო წარწერით (სურ. 3.19.7), რომლის მიხედვით დასტურდება, რომ სამრეკლო 1675 წელს აუშენებია დომენტი კათოლიკოსს. სამრეკლოს პირველ სართულზე განთავსებულია მცველთა სადგომები. კიდევ ერთი საცხოვრებელი ოთახი გასასვლელის თაღის (სურ. 3.19.8) ზემოთაა მოთავსებული.

მიუხედავად მრავალი განახლებისა, ტაძარმა ძირითადად შეინარჩუნა პირვანდელი არქიტექტურული კომპოზიცია და დღესაც თბილისის ერთ-ერთ ღირსშესანიშნაობას წარმოადგენს.

3.20. დავით გარეჯის მონასტერი (დავით გარეჯი; დავითგარეჯა; დავითის ლავრა) (ინგლ. David Gareja monastery complex) – ფეოდალური ხანის საქართველოს ერთ-ერთი თვალსაჩინო რელიგიურ-კულტურული ცენტრი, კლდეში ნაკვეთი სამონასტრო გამოქვაბულთა კომპლექსი

(სურ. 3.20.1).მდებარეობს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, თბილისიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 60-70 კმ-ში, გარეჯის სერზე. კომპლექსი დაარსდა VI საუკუნის I ნახევარში ერთ-ერთი ასურელი მამის დავითის მიერ. დავითის ლავრა გარეჯის სამონასტრო ცხოვრების ცენტრი იყო. დროთა ვითარებაში მას განშტოებები შეემატა. თანდათან ჩამოყალიბდა შორიშორს მდებარე გამოქვაბულ-მონასტერთა კომპლექსების ქსელი: „უდაბნოს“ კომპლექსი მდებარეობს ლავრის ზემოთ, გარეჯის მთის სამხრეთით მიმართულ გაშიშვლებულ კლდეებში (სურ. 3.20.2; სურ. 3.20.3); „აღდგომისა წამებულის“ დარბაზული ეკლესია გარეჯის მთის სერზეა; მისგან სამხრეთ-აღმოსავლეთით შვიდი კილომეტრითაა დაშორებული „ბერთუბანი“; „დოდოს რქა“ (სურ. 3.20.4) მოჩანს ლავრიდან ჩრდილო-დასავლეთით, ოთხი კილომეტრის მანძილზე; „იოანე ნათლისმცემელი“ ლავრის დასავლეთითაა, მისგან 12 კილომეტრით დაშორებული (სურ. 3.20.5); „ჩიჩხიტური“ თავისი დამახასიათებელი მაღალი კოშკით ლავრასა და ნათლიმსცემელს შორის მთის თხემზე მდებარეობს (სურ. 3.20.6), რაც შეეხება „თეთრ სენაკებს“, მდებარეობს დადოს რქის დასავლეთით, „რომანტიული“ ხევის ბოლოში; „მღვიმე“ მდებარეობს ლავრის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ბერთუბნიდან 8-10 კმ-ის დაშორებით. ის წარმოადგენს საკმაოდ მკვრივ ქვიშაქვებში გამოკვეთილ დარბაზულ და ცენტრალურგუმბათიან ეკლესიათა ჯგუფს – სატრაპეზოებით, საცხოვრებელი და სამეურნეო ხასიათის სათავსებით. ზოგ მათგანში შემორჩენილია კედლის მხატვრობის ძალზე საინტერესო ნიმუშები; მღვიმის აღმოსავლეთით, იმავე ქედზე, რომელსაც „ბერების სერი“ ეწოდება გაშიშვლებულ ქვიშაქვის ფენებში ერთიორი კილომეტრის ინტერვალით გვხვდება კომპლექსები თითო ეკლესიით, სატრაპეზოთი და დამხმარე სათავსებით; სამონასტრო კომპლექსი „ქოლაგირი“ მდებარეობს მღვიმედან



სურ. 3.20.1. საერთო ხედი



სურ. 3.20.2. „უდაბნოს“ კომპლექსი



სურ. 3.20.3. „უდაბნოს“ კომპლექსი



სურ. 3.20.4. ეკლესია „დოდოს რქა“



სურ. 3.20.5. ეკლესია „იოანე ნათლისმცემელი“

ჩრდილო-აღმოსავლეთით, იმავე ბერების სერად წოდებული ქედის ბოლოში, ექვსი კილომეტრის მანძილზე, ივრის ჭალის ნაპირას; ქოლაგირის გადასწვრივ ივრის მარცხენა ნაპირზე ხუთიოდე კილომეტრის მოშორებით მაღალი მთის კონგლომერატოვან ფლატეში სართულებად გამოკვეთილია მონასტერი „დიდი ქვაბები“, რომელიც საკმაოდ ვრცელ კომპლექსს წარმოადგენს; დიდი ქვაბებიდან აღმოსავლეთით, თორმეტი კილომეტრის მანძილზე, ივრის მარცხენა შენაკად „მწარე ხევთან“, შედარებით მცირე კლდეში გამოკვეთილია „პატარა ქვაბებად“ წოდებული მონასტერი, რომელიც მოიცავს ერთგუმბათიან ეკლესიას სატრაპეზოთი და მცირე ზომის სხვა სათავსებით. ეს მონასტერი გარეჯის მრავალმთის უკიდურესი განაპირა კომპლექსია; „ვერანგარეჯად“ წოდებული მონასტერი კახეთის ხუროთმოძღვრებისათვის დამახასიათებელი რიყის ქვის წყობით ნაგები ტლანქი ფორმების მქონე დარბაზული ტიპის ეკლესიაა, რომელიც მდებარეობს დიდი ქვაბების მთის ჩრდილოეთით ზეგანზე, რვა კილომეტრის დაშორებით; ქოლაგირიდან აღმოსავლეთით ოთხი კილომეტრის დაშორებით, მდებარეობს მცირე, თითქმის მთლიანად განადგურებული კომპლექსი ე.წ. „პირუკუღმარი“. შემორჩენილია მხოლოდ რამდენიმე დამხმარე, სამეურნეო ხასიათის სათავსი. დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით გარეჯის მრავალმთის მონასტრები განლაგებულია შემდეგი თანამიმდევრობით: თეთრი უდაბნო, მრავალწყარო, წამებული, ნათლისმცემელი, ჩიჩხიტური, დოდოს რქა, უდაბნო, თეთრი სენაკები, დავითის ლავრა, ბერთუბანი, საბერეები, მღვიმე (მაღაზანა), პირუკუღმარი, ბერების სერი, ვერან-გარეჯა, ქოლაგირი, დიდი ქვაბები, პატარა ქვაბები და სატორგე (სურ. 3.20.7).




სურ. 3.20.6. ეკლესია „ჩიჩხიტური“



სურ. 3.20.7. დავით-გარეჯის სამონასტრო კომპლექსის განლაგება

დავითგარეჯის სამონასტრო მშენებლობამ თავის მწვერვალს საქართველოს საერთო ეროვნულ და კულტურულ-პოლიტიკური აღმავლობის დროს, XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე, მიაღწია. აქ გამომუშავდა სამონასტრო ცხოვრებისა და მშენებლობის საკუთარი წესი, ფრესკული მხატვრობის საკუთარი სკოლა. ამ პერიოდის დავითგარეჯას მონასტრების სახე მკვეთრად განსხვავდება ადრინდელი პერიოდის მონასტრებისაგან. მთავარ ეკლესიებსა და სატრაპეზოებში ადრინდელი უბრალოებისა და უშუალობის ნაცვლად თავი იჩინა დიდებულებამ, გრანდიოზულობამ, ინტერესმა ფართო, თავისუფალი სივრცისადმი. შთაბეჭდილე-

ბას კიდევ უფრო აძლიერებდა მთავარი ეკლესიებისა და საერთო სატრაპეზოების კედლების მოხატულობა. დავითგარეჯას მხატვრობას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ქტიტორთა მრავალრიცხოვანი გამოსახულებები, მათ შორის საქართველოს მეფეთა პორტრეტები (თამარ მეფე და მისი ძე გიორგი IV ლაშა – ბერთუბნის ეკლესია, ამჟამად – ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი, თბილისი; მეფე დემეტრე II თავდადებული – უდაბნოს მონასტრის ხარების ეკლესიის მოხატულობა). ქტიტორთა პორტრეტები ზომით ბევრად ჭარბობს რელიგიური პერსონაჟების გამოსახულებებს, რაც მოწმობს ქართველი ოსტატის დამოუკიდებლობას ბიზანტიური ხელოვნების მიერ დაკანონებული სქემებისაგან. აღსანიშნავია ბერთუბნის სატრაპეზოს მოხატულობა, რომელიც საზეიმო და დიდებულ შთაბეჭდილებას ტოვებს. უდაბნოს მთავარ ეკლესიაში გამოსახულია სცენები დავით გარეჯელის ცხოვრებიდან.



სურ. 3.20.8. დავით გარეჯის ლავრის პანორამული ხედი

საინტერესოა უდაბნოს მონასტრის ამაღლების ეკლესიის აფსიდის მოხატულობაც, რომელიც გამოირჩევა მეტყველი სახეებითა და დინამიკურობით, აგრეთვე XVII-XVIII საუკუნეების ცალკეული გამოქვაბულები, რომლებიც გაჯის ნაძერწი მორთულობითაა გაფორმებული. დავითგარეჯაში მოღვაწეობდნენ ცნობილი ქართველები: სულხან-საბა ორბელიანი, დემეტრე I, ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი, ონოფრე გარეჯელი, ანტონ I და სხვ. დავით გარეჯი ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრების ნამდვილი მშვენებაა (სურ. 3.20.8).

3.21. შიომღვიმე (ინგლ. Siomgvime) – ადრეფეოდალური ხანის საქართველოს ერთ-ერთი თვალსაჩინო ხუროთმოძღვრების ძეგლი, სამონასტრო კომპლექსი (სურ. 3.21.1). მდებარეობს ქართლში, მცხეთის მუნიციპალიტეტში, ქ. მცხეთის დასავლეთით 8 კმ-ში, მდინარე მტკვრის მარცხენა ნაპირზე (სურ. 3.21.2). კომპლექსში შემავალი ნაგებობებია: იოანე ნათლისმცემლის ეკლესია, სამრეკლო, შიოს სასაფლაო-ეკლესია, ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი კოშკით, სატრაპეზო, კლდეში ნაკვეთი მღვიმეები, ჯვრის ამაღლების ეკლესია, წყარო, წყალსადენი და ბერების საცხოვრებელი სენაკები.

დააარსა VI საუკუნის II ნახევარში ერთ-ერთმა ასურელმა მამამ შიომ (სურ. 3.21.3). როგორც წყაროები გადმოგვცემენ, შიოს თავისი სიცოცხლის უკანასკნელი წლები ბნელ და ღრმა მღვიმეში გაუტარებია. გარდაცვალების შემდეგ, თანახმად ანდერძისა, იქვე დაუსაფლავებიათ (აქედანაა სახელწოდება „შიოს მღვიმე“, „შიომღვიმე“). მისი საფლავი შიომღვიმეში წმინდა ადგილად მიიჩნევა.

XI საუკუნის შუაწლებში მონასტერი თურქ-სელჩუკებმა იავარქმნეს. საუკუნის ბოლოს კი მეფე ბაგრატ IV მამულების ბოძებით დაეხმარა მონასტერს. 1123 წელს საქართველოს მეფემ

დავით აღმაშენებელმა მონასტერს დამოუკიდებლობა, სასამართლო შეუვალობა და დიდძალი ქონება უბოძა. XI-XIV საუკუნეებში შიომღვიმე სამეცნიერო-მწიგნობრივი მოღვაწეობის ერთ-ერთი ცენტრი გახდა. XII საუკუნეში აქ მოღვაწეობდა ცნობილი ქართველი ფილოსოფოსი, მთარგმნელი და მეცნიერი არსენ იყალთოელი. XIV საუკუნეში მეფე გიორგი ბრწყინვალემ შიომღვიმე მეფისადმი თავდადებისთვის დიდგვაროვან ფეოდალს ზევდგინიძე-ამილახვარს გადასცა საკუთრებად და XIX საუკუნემდე იგი ამილახვრების მფლობელობაში იყო. დაწყებული XIII საუკუნიდან დამთავრებული XVII საუკუნემდე მონასტერი ბევრჯერ დაარბიეს ხორეზმელებმა, სპარსელებმა, ლეკებმა, ოსმალებმა (ყოველთვის მოღალატე ქართველი დიდებულების დახმარებით) და სხვებმა, მაგრამ ქართველი ხალხისა და მეფეების ძალისხმევით იგი კვლავ ცოცხლდებოდა, თუმცა ძველი სიძლიერე აღარ შერჩა. ამჟამად აქ მამათა მონასტერი ფუნქციონირებს.



სურ. 3.21.1. საერთო ხედი



სურ. 3.21.2. ადგილმდებარეობის რუკა

კომპლექსში შემავალი იოანე ნათლისმცემლის ეკლესია VI საუკუნის ჯვარგუმბათოვანი ნაგებობაა გეგმაში ზომებით 13,5x7,8 მ. ნაშენია რიყისა და ნატეხი ქვით (სურ. 3.21.4). გეგმას საფუძვლად უდევს ჯვარი, რომლის მოხაზულობა გარედანაც იკითხება. აღმოსავლეთით აფსიდია. ჯვრის მკლავების კამარები ნალისებრი მოხაზულობისაა. შეკრული კამარებით შედგენილი გუმბათი დაფუძნებულია ოთხსარკმლიან, რვაწახნაგოვან გუმბათის ყელზე, რომელიც თავის მხრივ ეყრდნობა ჯვრის მკლავების კედლებს. კედლებიდან გუმბათის ყელზე გადასვლა განხორციელებულია ორრიგა თაღების მეშვეობით. ეკლესიაზე სამხრეთით მიშენებულია ორი პატარა სამწირვლო. ეკლესიის დასავლეთის მკლავში, სამხრეთით გაჭრილია გასასვლელი, რომელიც ერთნიშიან მართკუთხა საკურთხეველში გადის. ნიშში შემორჩენილია შუა საუკუნეებში შესრულებული წმინდანის გამოსახულება.



სურ. 3.21.3. წმინდა შიო

ჩრდილოეთიდან ეკლესიას კარიბჭე, ორი საძვალე-სამლოცველო და სამრეკლო ეკვრის. კარიბჭე თაღებიანი ნაგებობაა. ცალკე აღნიშვნის ღირსია 1010-1033 წლებში კათოლიკოს მელქისედეკ I-ის მიერ მოჩუქურთმებული ქვის ფილებისგან გაკეთებული კანკელი რელიეფური გამოსახულებებით,



სურ. 3.21.4. იოანე ნათლისმცემლის ეკლესია

რომლებიც შუა საუკუნეების ქართული ქანდაკებისა და ორნამენტების საუკეთესო ნიმუშთა შორისაა (კანკელი ამჟამად განთავსებულია საქართველოს ხელოვნების მუზეუმში).



სურ. 3.21.5. ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი

იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის ჩრდილო-აღმოსავლეთით დგას ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი (ზემო ეკლესია) აგებული XII საუკუნის დასაწყისში (1103-1133 წწ.) მეფე დავით აღმაშენებლის განკარგულებით (სურ. 3.21.5). იგი თავდაპირველად გუმბათიანი ყოფილა. 1612-1614 წლებში ირანის მმართველის შაჰ-აბასის შემოსევების შედეგად პირწმინდად დანგრეული ტაძარი, არსებულ საძირკვლებზე ახლად ააშენეს, ხოლო 1733 წელს განაახლეს ამილახვრებმა. ნაგებობა სამნავიანი ბაზილიკაა აღმოსავლეთით სამი აფსიდით, კონქით, სამკვეთლოთი და სადიაკვნეთი. დიდი ზომის მაღალ საკურთხეველს ეკვრის განიერი ბემა. დასავლეთით ნართექსია, ხოლო მის თავზე მონასტრის წინამძღვრის ოთახი, რომელიც ტაძრის შიდა სივრცეს სარკმლით უკავშირდება. დასავლეთისა და სამხრეთის ფასადებზე გამოდის მორთული კარი. დასავლეთ კარიბჭეზე მიშენებულია ორსართულიანი კოშკი.

1901-1903 წლებში იოანე ნათლისმცემლისა და ღვთისმშობლის ეკლესიები ლეონიდე ეპისკოპოსის დაკვეთით მოხატა რუსმა მხატვარმა ნიკოლაი ანდრეევმა.

მონასტრის სამხრეთ-აღმოსავლეთით დგას XII საუკუნის ჯვრის ამაღლების, აგურით ნაგები, დარბაზული ეკლესია (8,5x5 მ). კედლებზე შემორჩენილია თავდაპირველსი მოხატულობისა და XIII საუკუნის ფრესკების ფრაგმენტები, რომლებსაც ახლავს შინაარსის ამსახველი ასომთავრული წარწერა. ფრესკები ნათელი მკაფიო ფერებითაა შესრულებული. ეკლესიაზე ჩრდილოეთით მიშენებულია აგურის ორსართულიანი ნაგებობა (4,6x3,8 მ), რომლის პირველი სართულის კედელში შესასვლელი კარია გაჭრილი. მეორე სართულზე ოთხივე მხრივ თაღებით გახსნილი სამრეკლოა კონუსური სახურავით. 1733 წელს აშენებული სამრეკლო ორსართულიანია. პირველი სართული კვადრატული ფორმისაა ნაგები ნატეხი ქვითა და აგურით, ხოლო მეორე სართული აგურის შეისრული თაღებით გახსნილი ექვსწახნაგა ფანჩატურია (სურ. 3.21.6). XI საუკუნეში მღვიმეს, სადაც პირველად შიო დაბინავდა, ეკლესია დააშენეს (1,85x1,77 მ) კარითა და ერთი პატარა სარკმლით, რომელიც მოგვიანებით იოანე ნათლისმცემლის ეკლესიას შეუერთეს.



სურ. 3.21.6. სამრეკლო

იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის სამხრეთით დგას სატრაპეზო (19,5x9,92 მ), რომელზეც VII-IX, XII და XVII საუკუნეების სამშენებლო ფენა შეიმჩნევა. კედლები მორთულია დეკორატიული თაღებით. ჩრდილო-დასავლეთის თაღთან, კედელში ჩასმულია მცირე ზომის ფილა ჯვრის რელიეფური გამოსახულებითა და ასომთავრული წარწერით. ბერების საცხოვრებელი სენაკები კლდეში ნაკვეთი, გარკვეული სისტემით განლაგებული, მღვიმეები იყო, რომლებიც ერთმანეთს უკავშირდებოდნენ გვირაბებითა და აივნისებრი გასასვლელებით (ამჟამად ჩანგრეულია). ქვევიდან ქვაბებში ვერტიკალური გვირაბებით და ხის ასატანი კიბეებით ადიოდნენ. მონასტერი წყლით მარაგდებოდა სოფელ სხალტბიდან თიხის მილებით გაყვანილი წყალსადენით (შიომღვიმის წყალსადენი).

3.22. დმანისის სიონი (ინგლ. Dmanisi Sioni) – დმანისის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი, VI საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების უმნიშვნელოვანესი ძეგლი (სურ. 3.22.1). მდებარეობს ქვემო ქართლის მხარეში, დმანისის მუნიციპალიტეტში, სოფელ პატარა დმანისის მახლობლად, მდინარეების მაშავერასა და ფინეზაურის შესართავთან აღმართულ კონცხზე, დმანისის ნაქალაქარის ცენტრში, შიდა ციხის ქვემოთ (სურ. 3.22.2).



სურ. 3.22.1. საერთო ხედი

დმანისის რაიონი საქართველოში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რეგიონია, რომელიც უძველესი ხანიდან მჭიდროდ დასახლებული იყო. არქეოლოგიური გათხრების შედეგად (ხელმძღვანელები ლ. მუსხელიშვილი და ვ. ჯაფარიძე) გამოვლინდა გვიანბრინჯაო-ადრერკინის (ძვ.წ. XV-VII სს.), ანტიკური (ძვ.წ. VII – ახ.წ. V სს.) და ადრეული შუა საუკუნეების ხანის ფენები (IV-X სს.). შუა საუკუნეების ნანგრევების ქვეშ აღმოჩნდა განმარხებული ჰომინიდებისა და ცხოველთა ნაშთები. ნაპოვნი იქნა 1,8-1,7 მილიონი წლის წინანდელი ჰომიდთა თავის ქალები და ყბის ძვლები (დაფიქსირებულია ზეზვასა და მზიას სახელით; დაცულია თბილისის ოკუპაციის მუზეუმში), რითაც დადასტურდა, რომ დმანისის ტერიტორიაზე ცხოვრობდა დედამიწაზე უძველესი ადამიანი (აფრიკის გარეთ). ჩამოყალიბდა აზრი, რომ დმანისი პირველი ევროპელის სამშობლოა.



სურ. 3.22.2. ადგილმდებარეობის რუკა

VI-VII საუკუნეებში დმანისში ქალაქური ტიპის დასახლება და საეპისკოპოსო კათედრალი იყო (ამ დროს აშენდა ღვთისმშობლის სახელობის სიონის ტაძარი). IX საუკუნეში მას არაბები დაეპატრონენ. XI საუკუნის ბოლოს – თურქ-სელჩუკები (შუა აზიაში მომთაბარე ოღუზთა ტომების გაერთიანება). დმანისი 1123 წელს საქართველოს მეფე დავით აღმაშენებელმა გაანთავისუფლა. შემდეგ, მცირე ხნით, ისევ მტრის ხელში აღმოჩნდა. 1125 წელს კი მეფე დემეტრე I-მა დაიბრუნა. XII-XIII საუკუნეები, ისევე როგორც მთელი საქართველოსათვის, აყვავების ხანაა, ვიდრე ქვეყანა XIV საუკუნის ბოლოს ხვარაზმელი მოძალადის თემურ-ლენგის ჯარებმა არ დაარბიეს. 1482 წელს დმანისი თურქმანმა იაყუბ ყაენმა დალაშქრა. ამის შემდეგ ქალაქი დაცემის გზაზეა, თუმცა XVI საუკუნეში ბარათაშვილების საგვარეულომ აქ ციხე აღადგინა, მაგრამ ამავე საუკუნის ბოლოს ოსმალებმა, ხოლო XVII საუკუნის დასაწყისიდან სპარსელებმა დაიკავეს დმანისი და მთელი სამცხის ტერიტორია, სიცოცხლე შეწყდა და ერთდროს აყვავებული ქალაქი ნაქალაქარად იქცა. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ ხელახლა დაიწყო დმანისის ტერიტორიის ათვისება. აქ ჩამოსახლდნენ ჯავახეთიდან აყრილი ლტოვილები, სხვადასხვა კუთხიდან მოსული ქართველები, ბერძნები, გერმანელები, რუსები და სხვ.



სურ. 3.22.3. კარიბჭე

დმანისის ნაქალაქარის ტერიტორიაზე განთავსებული დმანისის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი სამეკლესიანი ბაზილიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნიმუშია. ეკლესიის გარე ზომებია: სიგრძე დასავლეთის კარიბჭის გარეშე – 23 მ, სიგანე

– 20,5 მ (მარტო შუა ეკლესიისა – 11,5 მ)].



სურ. 3.22.4. ინტერიერი

როგორც ყველა სამეკლესიან ბაზილიკაში, შიგნით ნავები ერთმანეთისგან კედლებითაა გამოყოფილი. სამი წაგრძელებული სადგომი ერთმანეთთან დაკავშირებულია კარებით. შუა სადგომი დანარჩენ ორზე რამდენადმე მაღალი და ფართოა, რის გამოც გარედან შენობას ნამდვილი ბაზილიკის იერი აქვს. თავდაპირველი სახით მხოლოდ შუა ნავმა მოაღწია, გვერდითი ნაწილები მნიშვნელოვნად არის გადაკეთებული. ნაგებია მცირე ზომის რუხი ფერის მქისედ დამუშავებული ქვით, გამოუყენებიათ აგური და რიყის ქვაც. კონსტრუქციულად მნიშვნელოვანი ნაწილები ამოყვანილია სუფთად გათლილი კვადრებით. სახურავისთვის გამოყენებულია ბრტყელი ქვის ფილები. სარკმლები შემოსილია წითელი თირის კვადრებით. სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში ჩასმულია წითელი ქვა, რომლის ცალ პირზე გამოქანდაკებულია ბოლნური ჯვარი კვარცხლბეკიან მედალიონში. სამხრეთიდან ტაძარს მიშენებული აქვს კარიბჭე და სანათლავი, ჩრდილოეთის მხრიდან – სამკვეთლო. ტაძარი შიგნიდან მოხატული ყოფილა – საკურთხეველში შემორჩენილია XIII-XIV საუკუნეების მოხატულობა: წმინდანთა გამოსახულებანი და წარწერები. საკურთხევლის სამხრეთ კედელში პატარა თლილი ფილაქანია საინტერესო ბარელიეფით. მათ შორის მოთავსებულია თითქმის ადამიანის სიმაღლის კვარცხლბეკიანი ჯვარი. ყველაფერი ჩასმულია სადა ჩუქურთმიან ჩარჩოში. მოგვიანებით, 1213-1222 წლებში, ლაშა-გიორგის მეფობაში, დასავლეთიდან ტაძრისთვის მდიდრულად მორთული კარიბჭე მიუშენებიათ (სურ. 3.22.3. კარიბჭე). იგი ძირითადი ნაგებობისგან განსხვავდება სტილითა და მორთულობის ხასიათით. კარიბჭის სამივე ფასადი, ყველა სვეტი და თაღი მოპირკეთებულია ღია მწვანე თლილი ქვის ფილებით. გადახურულია ოთხ სვეტზე ამოყვანილი, თაღებზე დაყრდნობილი კამარით (სურ. 3.22.4). შესასვლელი დასავლეთიდან აქვს, ხოლო სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან პატარა სარკმლებია კარიბჭის გასანათებლად. შესასვლელის თაღი შეისრულია. კარიბჭეს სამი ასომთავრული წარწერა აქვს (სურ. 3.22.5), რომელთაგან ერთ-ერთში მოხსენიებულია მეფე ლაშა. კარიბჭის ფასადს ამშვენებს ქვაში ნაკვეთი ჯვრის რელიეფური გამოსახულება (სურ. 3.22.6).



სურ. 3.22.5. კარიბჭის წარწერები

დმანისის სიონის აღმოსავლეთ მხარეს აღმართულია გეგმით ოთხკუთხა ქვის სამრეკლო, რომელიც მრავალჯერ არის გადაკეთებული. ტაძარი უხვადაა შემკული ქვაზე ნაკვეთი უძველესი ქართული რელიეფური ჩუქურთმებით (სურ. 3.22.7 – სურ. 3.22.9), რაც კიდევ ერთხელ იქცევს მნახველის ყურადღებას და საღად აჩვენებს კაცობრიობას უძველესი ქართული ჩუქურთმის დახვეწილობას, სიდიადესა და მშვენიერებას.



სურ. 3.22.6. ჯვრის რელიეფი კარიბჭის ფასადზე



სურ. 3.22.7. ჩუქურთმა



სურ. 3.22.8. ჩუქურთმა



სურ. 3.22.9. ჩუქურთმა

3.23. ალავერდის მონასტერი (ინგლ. Alaverdi Monastery) – ქართული ხუროთმოძღვრების ბრწყინვალე ძეგლი, საკათედრო ტაძარი და მონასტერი (სურ. 3.23.1). მდებარეობს კახეთის მხარეში, ახმეტის მუნიციპალიტეტში, ალაზნის ველზე, ახმეტის აღმოსავლეთით 15 კმ-ში. დაარსდა VI საუკუნეში 13 ასურელ მამათაგან ერთ-ერთის, იოსებ ალავერდელის მიერ (იქვეა დაკრძალული). კომპლექსში შემავალი ნაგებობებია: ალავერდის წმ. გიორგის საკათედრო ტაძარის, გალავანი, სამრეკლო, პალატი (სურ. 3.23.2), ფეიქარ-ხანის სასახლე, მარანი და აბანო.

წმ. გიორგის ტაძარი XI ს-ის პირველ მეოთხედში ააგო კვირიკე III კახთა მეფემ (1014-1037 წწ.) ძველი პატარა ეკლესიის ადგილას. იგი ერთ-ერთი უდიდესი საკათედრო ტაძარია (41,7 მ x 26,4 მ) საქართველოში, სიმაღლით 50 მ. ალავერდი XI საუკუნიდან საეპისკოპოსო ცენტრი და ეპარქიის მღვდელმთავართა რეზიდენცია იყო. ამავე საუკუნიდან ალავერდის ტაძარი კახეთის სამეფო სახლის საძვალეც იყო [აქ დაკრძალულნი არიან კახეთის მეფენი – ალექსანდრე I და თეიმურაზ I; აქვეა დასვენებული კახეთის მეფის დავით I-ის მეუღლე ქეთევან დედოფლის (1605-1624 წწ.) ნეშტის ნაწილი]. XV საუკუნის ბოლოს ტაძარი ძლიერ დაზიანებულა და მისი გაწმენდა-განახლება-აღდგენა მოუხდენიათ კახთა მეფე (1476-1511 წწ.)

ალექსანდრე I-ს, დედამისს ნესტან-დარეჯანსა და დედოფალ ანას. 1616 წელს, ირანის მმართველის შაჰ-აბასის მიერ დარბევის შემდეგ, მონასტერი როსტომ მეფემ (ქართლის მეფე 1633-1658 წწ., ქართლ-კახეთის მეფე 1648-1656 წწ.) აღადგინა. ამავე საუკუნეში ალავერდი



სურ. 3.23.1. პანორამული ხედი

თურქმენთა მომთაბარე ტომებმა ისე მოაოხრეს, რომ საუკუნის ბოლომდე საეპისკოპოსოს აღდგენა ვერ მოხერხდა. XVII საუკუნის ბოლოსა და XVIII საუკუნეების დასაწყისში ტაძარი ლეკებმა დაარბიეს. 1721 წელს, მთავარეპისკოპოსის ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის თაოსნობით ტაძარი და გალავანი შეაკეთეს. 1735 წელს ტაძარი ირანის მმართველმა შაჰ-თამაზმა ააოხრა, რაც 1742 წლის მიწისძვრამ დააბოლოვა. XVIII საუკუნის II ნახევარში აღდგენითი სამუშაოები დაიწყო მეფე თეიმურაზ II-ის მეუღლემ დედოფალმა თამარმა და დაასრულა მისმა ძემ – ქართლ-კახეთის დიდმა მეფემ ერეკლე II. ალავერდის საკათედრო ტაძარი აგებიდან რამდენიმე საუკუნე მამათა მონასტრის ფუნქციებსაც ითავსებდა, XVII-XVIII საუკუნეებში კი დედათა მონასტერი იყო. ქართლ-კახეთის სამთავროს რესეთთან შეერთების შემდეგ (1801 წ.) უმოწყალოდ დაანგრიეს ტაძრის სამხრეთის და დასავლეთის ღია გალერეები, ჩრდილოეთისა და სამხრეთის კარიბჭეები, კირდუღაბით შელესეს ტაძრის ინტერიერი და გარე ფასადები, საკურთხევლის ადგილზე რუსული „იკონოსტასი“ მოაწყვეს [8] და ამ დიდებულ ძეგლს იერსახე დაუკარგეს (ამჟამად იგი მოხსნილია და შეცვლილია კანკელით).



სურ. 3.23.2. გალავანში ჩაშენებული პალატი კონტრფორტებით



სურ. 3.23.3. მოხატულობა

საკათედრო ტაძარი ნაშენია რიყის ქვით. გარედანაც და შიგნიდანაც მოპირკეთებულია მოყვითალო ტუფის ფილებით (ამჟამად შეთეთრებულია თეთრი კირხსნარით). შენობის გეგმას საფუძვლად უდევს ჯვარი, რომლის სამი, ერთმანეთის ტოლი მკლავი ნახევარწრიული აფსიდებით მთავრდება და ქმნის ე.წ. ტრიკონქს. დასავლეთის მკლავი წაგრძელებულია, აქვს გვერდითი ნავები, რომელთაც ელიფსური ფორმის თაღების წყვილი უკავშირდება. თაღები ვარსკლავისებურ სვეტზეა დაყრდნობილი. საკურთხევლის აფსიდის ორივე მხარეს, როგორც ქრისტიანულ ტაძარს შეეფერება, მოთავსებულია სამკვეთლოსა და სადიაკვნეს ოთახები. გარედან შენობას მართკუთხა მოხაზულობა აქვს. ჯვრის მკლავების გადაკვეთაზე აღმართული გუმბათი ოთხ ბურჯს ეყრდნობა. შიგა სივრცე გამოირჩევა გრანდიოზულობითა და დახვეწილი პროპორციებით. ინტერიერს კარგად ანათებს ფართო კარ-სარკმელებიდან უხვად შემოსული სინათლე (გუმბათს 16 სარკმელი აქვს). მონუმენტური ფასადები ძუნწად არის მორთული (ეს კახეთის ძეგლების საერთო თავისებურებაა). დამახასიათებელია აღმოსავლეთი ფასადის აგებულება – ხუთი დეკორატიული თაღი და ორი ღრმა სამკუთხა ნიში. ნაგებობა გადახურული ყოფილა ცისფრად მოჭიქული დიდი ზომის კრამიტის ფილებით, რომელთა ფრაგმენტები დღემდეა შემორჩენილი. შემორჩენილია აგრეთვე წარწერები. ტაძარი სხვადასხვა პერიოდშია მოხატულია. საკურთხევლის კონქში გამოსახულია ტახტზე მჯდომი ღვთისმშობელი ყრმით (სურ. 3.23.3). ღვთისმშობლის მარცხნივ და მარჯნივ გამოსახულნი არიან მთავარანგელოზები – მიქაელი და გაბრიელი. კონქის მხატვრობა XV საუკუნეს განეკუთვნება. ზემოდან მეორე და მესამე რეგისტრებში ეკლესიის მამების მონუმენტური ფიგურებისა და გრანდიოზული ორნამენტის ფრაგმენტებია. ეს მხატვრობა XI საუკუნისაა. სამხრეთ მკლავში თითქმის მთლიანადაა გადარჩენილი მოხატულობა. სარკმლებს შორის ორ-ორი რეგისტრია, სადაც ნაწილობრივ შემორჩენილია მოხატულობები. ამ მხატვრობის ძირითადი ნაწილი XV-XVI საუკუნეების მიჯნას განეკუთვნება. ტაძრის გარეთა ფორმები სავსებით შეესაბამება შიდა სივრცის სტრუქტურას. ფორმათა ურთიერთგანლაგება და პროპორციები ექვემდებარება წამყვან ელემენტს – ცენტრში აღმართულ მაღალ გუმბათს, რომელიც ორფერდა სახურავით გადახურული ჯვრის მკლავების გადაკვეთაზეა აღმართული. მკლავებს შორის – დაბალი ცალფერდა სახურავით გადახურული ნაწილებია. ტაძრის ფასადების დეკორი ძალზე თავშეკავებულია, უზარმაზარი კედლის სიბრტყეები მხოლოდ თაღებითა და ნიშებითაა დანაწევრებული, რაც ხელს უწყობს ტაძრის დიდებულების აღქმას.



სურ. 3.23.4. გალავნის ფრაგმენტი

რთული მოხაზულობის გალავანი (სურ. 3.23.4) ორიარუსიანია შიდა მხრიდან საბრძოლო ბაქნითა და კედელში დახრილი სათოფურებით. გალავანში ჩართულია 5 ცილინდრული კოშკი, რომლებიც გალავნის გარეთაა გასული. ტაძრის მოპირდაპირედ ქვით ნაგები ორი პალატი მდგარა. შემორჩენილია მხოლოდ ერთი, რომელიც ორსართულიანი მოგრძო ნაგებობაა (27 მ x 11 მ), დგას შესასვლელის დასავლეთით. იგი ჩართულია გალავნის კედელში და გარედან გამაგრებულია ხუთი მძლავრი კონტრფორტით. მასში განთავსებული ყოფილა სატრაპეზო (I სართული) და საცხოვრებელი სათავსები (II სართული).



სურ. 3.23.5. მარანი

ტაძრის ჩრდილო-დასავლეთით დგას ირანის შაჰის ნაცვლის (ფეიქარ-ხან იგირმი დორთლუ) სასახლე. იგი აგებულია XVII საუკუნის დასაწყისში. სასახლე რვაწახნაგა, ორიარუსიანი კოშკისაგან და მის ჩრდილო-აღმოსავლეთ წახნაგზე მიდგმული დაბალი, კვადრატული სათავსისაგან შედგება. კოშკის ქვედა იარუსის ყოველ კუთხეში თითო მძლავრი ბურჯი დგას, რომელთა შორის თითო ფართო შეისრულთაღოვანი ღიობია. მარანი (სურ. 3.23.5) ტაძრის ჩრდილოეთ კედლის პარალელურად, 50 მ-ზე დგას, ხოლო ტაძრის ჩრდილო-აღმოსავლეთით 80 მეტრზე, გალავნის გარეთ, მდებარეობს აგურითა და რიყის ქვით ნაგები აბანო, რომლის ცენტრალური ნაწილი გუმბათოვანი კამარით ყოფილა გადახურული.

სამხრეთის კარიბჭის თავზე XIX საუკუნეში სამრეკლოსათვის ქვის ცილინდრული ფანჩატური დაუშენებიათ. ალავერდში ყოველწლიურად (14 სექტემბერს) ღამისთევით იმართება ტაძრის დღეობა „ალავერდობა“, რასაც ახლავს სახალხო დღესასწაული და რასაც საუკუნოვანი ტრადიცია აქვს.

3.24. მარტყოფის მონასტერი (ინგლ. Martkopi Monastery) – VI საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი უძველესი ძეგლი, მარტყოფის ღვთაების მონასტერი (სურ. 3.24.1). მდებარეობს ქართლში, გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფელ მარტყოფის მახლობლად, თბილისიდან აღმოსავლეთით 25-27 კილომეტრზე, ტყით დაფარულ იალნოს ქედზე. დაარსებულია საქართველოში მოსული 13 ასურელ მამათაგან ერთერთის, მამა ანტონ მარტყოფელის მიერ. სამონასტრო კომპლექსის ძირითადი ნაგებობებია: ღვთაების (სურ. 3.24.2; სურ. 3.24.3) ღვთისმშობლის მიძინების, წმინდა გიორგისა და მამა ანტონის სახელობის ტაძრები, სამრეკლო (სურ. 3.24.4), საბერეები, გალავანი.



სურ. 3.24.1. მონასტრის პანორამული ხედი

მონასტერი სამხედრო დანიშნულებისა იყო. მას გარს ერტყა სათოფურებიანი გალავანი, რომლის სიგრძე 1400 მეტრს აღწევდა, სიმაღლე – 8 მ, სიგანე – 2 მ. 1752 წელს იგი დაუნგრევიათ ლეკების მარბიელ რაზმებს. მონასტრის ტაძრებიდან უმთავრესია გუმბათიანი ტაძარი, რომლის თავდაპირველი ნაგებობა უფრო დიდი ზომის ყოფილა. ტაძარმა მრავალგზის განიცადა ნგრევა. სწორედ ამ დროს იქნა განადგურებული ქართულ-ბიზანტიური ფერწერის ნაშთები. მათ შორის სვეტებზე მოთავსებული მეფეების ვახტანგ გორგასლისა და დავით აღმაშენებლის პორტრეტები. მონასტრის ნაგებობათა კედლებზე შემორჩენილია მეტად ორიგინალური ჩუქურთმები (სურ. 3.24.5; სურ. 3.24.6) და მორთულობები (სურ. 3.24.7). ტაძრის ჩრდილოეთ ნაწილში ანტონ მარტყოფელის საფლავია. ტაძრის აღმოსავლეთით დგას 1629 წელს აგებული სამსართულიანი სამრეკლო, რომელც ანჩისხატის, ნინოწმინდისა და ურბნისის სამრეკლოთა მსგავსი ნაგებობაა. მონასტრის აღმოსავლეთით მთის წვერზე აღმართულია მამა ანტონის გზისმკვლევი ქვის სვეტი (სურ. 3.24.3), სადაც სიცოცხლის ბოლო 15 წელი გაატარა მამა ანტონმა (სვეტის დანიშნულება იყო მრევლისა და მგზავრებისათვის ღამით გაადვილებულიყო მონასტერში ასვლა).



სურ. 3.24.2. ღვთაების ტაძარი. მთის წვერზე ჩანს მამა ანტონის ქვის სვეტი



სურ. 3.24.3. ღვთაების ტაძრის ფრაგმენტი



სურ. 3.24.4. სამრეკლო



სურ. 3.24.5. ჩუქურთმა



სურ. 3.24.6. ჩუქურთმა




სურ. 3.24.7. მორთულობა

თავისი არსებობის განმავლობაში მარტყოფის მონასტერმა ბევრჯერ განიცადა რბევა-დაწიოკება მომხვდური მტრის მიერ (არაბები, სპარსელები, მონღოლები, ლეკები და სხვ.), მაგრამ ქართველი ხალხისა და მათი მეფეების ძალისხმევით კვლავ შენდებოდა და დღესაც მოქმედი მონასტერია.

3.25. მცხეთის ჯვრის მონასტერი (ინგლ. Jvari Monastery) – VI საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების ბრწყინვალე ძეგლი. მდებარეობს მცხეთის აღმოსავლეთით, მდინარეების მტკვრისა და არაგვის შესართავთანის, კლდოვანი მთის წვერზე (სურ. 3.25.1; სურ. 3.25.2). კომპლექსში შედის: დიდი ტაძარი, მცირე ეკლესია, გალავანი და სხვა ნაგებობანი.


ტაძრის სახელწოდებას ისტორიული საფუძველი აქვს. IV საუკუნის 30-იან წლებში, ქრისტიანობის მიღებისთანავე, ამ ადგილას ქართლის მეფე მირიან III-მ ხის ჯვარი აღამართინა, რომელსაც მოგვიანებით გარდა ქართველებისა, თაყვანს სცემდნენ მთელი კავკასიის ქრისტიანებიც. VI საუკუნის II ნახევარში (545-586 წწ.) ქართლის ერისმთავარმა გუარამმა ჯვრის ჩრდილოეთით პატარა ეკლესია ააშენა. ამავე საუკუნის მიწურულსა და VII საუკუნის დასაწყისში (586-605 წწ.) გუარამის ძემ – ერისმთავარმა სტეფანოზ I-მა ძმების – დემეტრეს და ადარნასეს (604-635 წწ.) და ერისმთავართა სახლობის სხვა წევრების თანამონაწილეობით მცირე ტაძრის გვერდით ააგო დიდი ტაძარი, რომელიც ზედ გადაეხურა ხის ჯვარს (ჯვრის კვარცხლბეკი დღემდეა დარჩენილი ეკლესიაში). დიდი ტაძარი ჯვარგუმბათოვანი ტიპის ნაგებობაა, მისი გარეთა პირი და ინტერიერი ამოყვანილია ვარდისფერი ქვით, ზოგ ადგილას კი მუქი ღვინისფერი ქვის კარგად გათლილი კვადრებით. ქვებს შორის ნაკერების სწორხაზოვნება, ყველგან მკაცრადაა დაცული. ტაძარი თავისი მასშტაბითა და დანაწევრებით, ორგანულად ერწყმის მთას. აღმართულია მოსწორებულ, მართკუთხა მოედანზე. აქვს ორსაფეხურიანი ცოკოლი, რომელიც დასავლეთით ეყრდნობა ხელოვნურად გამაგრებულ ვერტიკალურ კლდეს.



სურ. 3.25.1. პანორამული ხედი



სურ. 3.25.2. საერთო ხედი



სურ. 3.25.3. ინტერიერი


ტაძარში შესასვლელი სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდანაა. გუმბათის ნახევარსფეროში გამოსახულია რელიეფური ჯვარი. რომელსაც აქვს, როგორც მხატვრული, ისე კონსტრუქცი-

ული დანიშნულება. გუმბათქვეშა სივრცე ოთხივე მხრივ გახსნილია აფსიდებით, რომლებიც გეგმაში ჯვარს ქმნის, ჯვრის მკლავებს შორის ყოველ კუთხეში ჯვაროვანი კამარით გადახურული თაღია (სურ. 3.25.3). ნიშებში გაჭრილია სამკვეთლოსა და სადიაკვნეში შესასვლელები. ტაძრის გარეგნული სახე ნათლად ასახავს სივრცის შიგა დანაწევრებას. აქ გვაქვს შიგა და გარე ფორმების მხატვრულად გააზრებული შესაბამისობა. ეს პირველი მაგალითია შუა საუკუნეების ქართულ ხუროთმოძღვრებაში, როცა ფასადის სახე დამოუკიდებელი, შეგნებულად დასახული მხატვრული ამოცანის მნიშვნელობას იძენს. მიუხედავად იმისა, რომ შენობა დიდი არ არის (სიმაღლე 25 მ არ აღემატება), იგი მონუმენტურ შთაბეჭდილებას ტოვებს. ფასადთა დამუშავებაში სრული კანონზომირებაა.

ტაძარი არა მარტო ფორმებით, მასშტაბით და პროპორციებით ეხამება გარემოს, არამედ ფერითაც. მორთულობიდან მთავარია აღმოსავლეთის ფასადზე გამოხატულ ქტიტორთა სამი რელიეფი. ცენტრალურ რელიეფზე გამოსახულია მუხლმოყრილი სტეფანოზ ერისმ-



სურ. 3.25.4. ბოლნური ჯვრის გამოსახულება კარის თავზე



სურ. 3.25.5. მთავარი ტაძრის გეგმა

თავარი, მარცხნივ – დემეტრე, მარჯვნივ – ადარნასე. სამხრეთის კარის ზემოთ არაჩვეულებრივი სიცხოველითაა გამოსახული ჯვრის ამაღლების სცენა (სურ. 3.25.4). ხოლო ზემოთ, სარკმლის თავზე ქობულ სტეფანოზის გამოსახულებაა. თუ ერისმთავრების გამოსახულებაში დიდებულება ჩანს, იგივე არ ითქმის გუმბათის ყელზე განმარტოებით მოცემულ რელიეფზე. აქ ვედრების პოზაში ხუროთმოძღვარმა თავისი თავი გამოსახა. ერისმთავართა ბარელიეფებს მრავალმხრივ საინტერესო წარწერები გააჩნია. ისინი ძველი ქართული ასომთავრული დამწერლობის ადრეული ნიმუშებია. მცხეთის ჯვრის ტაძარი საქართველოში ჯვარგუმბათოვანი არქიტექტურის პირველი და საუკეთესო ნიმუშია. მასში გამოვლინდა ქართველ არქიტექტორთა რამდენიმე თაობის შემოქმედებითი ძიება. ასეთი სრულყოფილი ნაწარმოები სანატრელია ყველა ქვეყნისთვის. იგი ჭეშმარიტად ამშვენებს არქიტექტურის საგანძურს.

მცხეთის ჯვრის მცირე ეკლესია (8,3×5,5 მ) მდებარეობს დიდი ტაძრის ჩრდილოეთით. გარედან იგი ორფერდა სახურავიანი ნაგებობაა (სურ. 3.25.5), შიგნით ჯვრისებრი მოხაზულობა აქვს (1 აფსიდითა და 3 მართკუთხა მკლავით). შუაში კვადრატია, რომელსაც გუმბათისებრი გადახურვა ჰქონია (მხოლოდ ყელის გარეშე). ნაშენია კარგად გათლილი, მომწვანო ფერის ქვიშაქვის დიდი კვადრებით. წყობის ჰორიზონტალური ნაკერების სწორხაზოვნება ფასადებზე და ინტერიერში მკაცრადაა დაცული. ტაძრის სამხრეთითა და ჩრდილოეთით განლაგებულია კარიბჭეები. სამხრეთის კარიბჭე დიდსა და მცირე ტაძარს აერთებს. ტაძრის ჩრდილო-დასავლეთით თაღოვანი ნიშაა, რომელშიც გამოსახულია განედლებული ჯვარი. აფსიდის იატაკი ერთი საფეხურით არის აწეული, საკურთხევლის კონქი თავიდან მოზაიკით ყოფილა შემკული, რომელიც დღეს უკვე წაშლილია. ეკლესია დგას მაღალ თლილი ქვით ნაგებ სუბსტრუქციაზე, რომელიც შენობას საზეიმო იერს ანიჭებს. აფსიდში, სარკმლის ორივე მხარეს, ნიშებია. აღმოსავლეთისა და დასავლეთის კედლებში მოზრდილი სარკმლებია, ხოლო დანარჩენ ორ კედელში – ტიმპანებიანი გასასვლელები.

აღსანიშნავია ის, რომ მცხეთის ჯვრის მთავარი ტაძარი – კუთხისოთახებიანი ტეტრაკონქი, ძველი ქართული ხუროთმოძღვრების ძიებათა დამაგვირგვინებელი და ყველაზე სრულად განმასახიერებელი ნაწარმოებია, რომელმაც თავის დროზე საფუძველი ჩაუყარა ხუროთმოძღვრების განვითერების მთელ საფეხურს. VII საუკუნეში შენდება ანალოგიურ ძეგლთა მთელი ჯგუფი (ატენის სიონი, ძველი შუამთა, მარტვილი), რომელიც ნაგებობის გეგმითა და საერთო აგებულებით დიდად უახლოვდება მცხეთის ჯვარს.

როდესაც მტკვრის ხეობიდან გასცქერი მცხეთის თავზე აღმართულ მთასთან ორგანულად შერწყმულ ცადატყორცნილ ჯვრის მონასტერს, ხვდები რომ ქართული ქრისტიანული სამყაროს ეს გენიალური ნააზრევი, ხუროთმოძღვრული ტაძრის სახით, ათეული საუკუნეების განმავლობაში მითოლოგიური ფასკუნჯივით თავზე ედგა ქართველობას და ეხმარებოდა მას მამულის, ენისა და სარწმუნოების შენარჩუნებაში. სწორედ ამიტომაა, რომ მცხეთის ჯვრის მონასტერმა მსოფლიო ხელოვნების საგანძურში დაიმკვიდრა ადგილი.

მცხეთის ჯვრის მონასტერი სვეტიცხოვლის ტაძართან და სამთავროს მონასტერთან ერთად შეტანილია UNESCO-ს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა სიაში.

3.26. ტაბაკინის მონასტერი – VI-VII საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, ძლევის წმინდა გიორგის სახელობის მამათა მონასტერი. მდებარეობს ზემო იმერეთის მხარეში, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ტაბაკინში, მდინარე აჯამურის ხეობაში, ზესტაფონიდან 7 კმ-ის დაშორებით. მონასტრის ძირითადი ნაგებობებია: წმინდა გიორგის სახელობის ორნავიანი ეკლესია კრიპტითა და მინაშენით, სამრეკლო, ბერების სენაკები, თორმეტი მოციქულის სახელობის ერთნავიანი ტაძარი. წმინდა გიორგის ეკლესია (სურ. 3.26.1) ორნავიანი ბაზილიკაა (12,09x8,18 მ). ნაშენია თლილი ქვითა და კირხსნარით. თავდაპირველად დახურული ყოფილა კრამიტით, 1980-86 წლებში ჩატარებული რეკონსტრუქციის შემდეგ – თუნუქით. ინტერიერი მთლიანად მოხატული და ასომთავრული, ნუსხური და მხედრული წარწერებით დაფარული იყო, რომელთა ნაწილი დღემდეა შემორჩენილი. კედლებზე გამოსახულია ქრისტეს, ღვთისმშობლის, წმინდა გიორგის ცხოვრების ამსახველი სურათები. აქვეა ეკლესიის ქტიტორის, იმერეთის მეფე ბაგრატ II-ის (1510-1565 წწ.) გამოსახულება. ეკლესიის ჩრდილოეთი ნავი დარბაზთან დაკავშირებულია ოთხკუთხა ბოძზე დაყრდნობილი განიერი ორთაღედით. ნავის აღმოსავლეთ ნაწილში აფსიდიანი სათავსია. ეკლესიას სამხრეთით აქვს დამოუკიდებელი სტოა (ნართექსი, კარიბჭე), რომელსაც ჩვეულებრივი კავშირი ეკლესიასთან არ გააჩნია, თუმცა დასავლეთის კედელი ფართო თაღითაა გახსნილი. ე.ი. შეიძლება ვიფიქროთ, რომ კავშირი შესაძლებელია ამ ღიობისა და ეკლესიის დასავლეთის კარის საშუალებით ხორციელდებოდა. სტოად გაფორმებული დამოუკიდებელი ეკვდერის ასეთი შეთავსება ეკლესიასთან ქართულ ხუროთმოძღვრებისათვის ერთადერთია და უნიკალურად ითვლება. ტაძარში მშენებლობის ოთხი ფენა შეიმჩნევა: პირველი VI–VII საუკუნეების; მეორე, დაახლოებით, X საუკუნის; მესამე განახლებისა



სურ. 3.26.1. წმინდა გიორგის ეკლესია



სურ. 3.26.2. სამრეკლო

და მოხატვის – 1510-1529 წწ. და მეოთხე 1529 წლის შემდეგ. ქვიტკირის ორსართულიანი სამრეკლო (სურ. 3.26.2), სავარაუდოდ, XVI-XVII საუკუნეთა მიჯნაზეა აგებული და ყურადღებას იპყრობს არქიტექტურული ფორმის სიმკაცრითა და დახვეწილი პროპორციებით. სამონასტრო კომპლექსის ახალ ნაწილს წარმოადგენს 1990 წელს აგებული თორმეტი მოციქულის სახელობის ერთნავიანი ტაძარი და ბერების საცხოვრებელი სახლი.


3.27. მარტვილის მონასტერი (ინგლ. Martvili Monastery) – VI-VII საუკუნეების ქართული ხუროთ-მოძღვრების მნიშვნელოვანი ძეგლი, მარტვილის სამონასტრო კომპლექსი (სურ. 3.27.1). მდებარეობს სამეგრელოს მხარეში, მარტვილის მუნიციპალიტეტში, ქ. მარტვილში (სურ. 3.27.2). კომპლექსში შემავალი ნაგებობებია: ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი, გალავანი, ოთხკუთხა სათავსი („სვეტი“), ჩიქვანების ეკლესია, სამრეკლო, ეგვტერი.




სურ. 3.27.1. საერთო ხედი

სიტყვა მარტვილი წარმოსდგება ბერძნული სიტყვისგან, რომელიც ნიშნავს წამებულს, ხოლო მეგრული სახელწოდება ჭყონდიდი წარმოიშვა „დიდი ჭყონის“ – დიდი მუხისგან. გადმოცემის თანახმად, ძველად დღევანდელი ტაძრის ადგილას დიდი მუხის ხე მდგარა, რომელზედაც კერპთაყვანისმცემლების კერპი იყო მიმაგრებული, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა თაყვანს სცემდა, ხოლო აქაური ქურუმები-ჭყონდარები ჩვილ ბავშვებსაც კი სწირავდნენ. პირველი ეკლესია სწორედ ამ მუხის ადგილას აშენებულა VII საუკუნის დასაწყისში (ზუსტი თარიღი უცნობია) სამეგრელოში ქრისტიანობის მქადაგებლის ანდრია პირველწოდებულის სახელზე. ეკლესიის ტრაპეზი დაფუძნებული იყო დაფლულ სიწმინდეზე – მოჭრილ მუხის ფესვებზე.

არაბი სარდლის მურვან ყრუს ურდოს შემოსევისას (735-737 წწ.) ტაძარი გადაწვეს. X საუკუნეში აფხაზეთ-ქართლის მეფემ გიორგი II-მ (922-957 წწ.) ტაძარი აღადგინა და საეპისკოპოსო კათედრა ზღვისპირა ფაზისიდან ქვეყნის სიღრმეში, მარტვილში გადაიტანა. საუკუნის ბოლოს ტაძარს დასავლეთი კარიბჭე მიუშენეს. მონასტერში არსებობდა გადამწერ ბერთა სამყოფი (კრიპტერია), სადაც ითარგმნებოდა წიგნები და ითხზებოდა ორიგინალური ნაწარმოებები. XI საუკუნის დასასრულს მონასტერი აოხრებული იქნა თურქ-სელჩუკების შემოსევების შედეგად (XI საუკუნის 80-იანი წლები), რომელიც შემდეგ საუკუნეში კვლავ აღადგინეს.



სურ. 3.27.2. ადგილმდებარეობის რუკა



სურ. 3.27.3. გეგმა


კოპლექსის მთავარი ნაგებობა – ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი აგებულია VI-VII საუკუნეების მიჯნაზე და თავისი არსებობის მანძილზე ბევრჯერაა გადაკეთებულ-აღდგენილი. ტაძრის თავდაპირველი გეგმა (სურ. 3.27.3) ჯვრისებრი იყო და ძალიან ჰგავდა მცხეთის ჯვრის ტაძრის გეგმას, თუმცა არ იმეორებდა მას. ხუროთმოძღვარს მიუმართავს თავისუფალი გეგმარებისათვის და ფაქტობრივად ახალი დამოუკიდებელი ძეგლი შეუქმნია. მართვილის ტაძარი ზომით მცხეთის ჯვრის ტაძარზე პატარაა, შემცირებულია გუმბათის დიამეტრიც. შეცვლილია კვადრატიდან თექვსმეტწახნაგოვან გუმბათის ყელზე გადასვლის ტრომპების სისტემა (საფეხურისებრი ფორმა აქვს) (სურ. 3.27.4). კუთხის ნიშები გაზრდილია, გაზრდილია აგრეთვე აფსიდების მკლავების სიღრმე. გადიდებულია კუთხის სათავსების ზომა. შეცვლილია ფასადთა რელიეფებიც. ამჟამად უცვლელი სახით შემორჩენილიაშვერილს ამშვენებს ერთ კომპოზიციურ ჩარჩოში ჩასმული ლავგარდანი (სურ. 3.27.6). დასავლეთის ფასადი დაფარულია X საუკუნეში მინაშენი კარიბჭითა და ორი ეგვტერით (სურ. 3.27.7). ტაძრის შიგა კედლებში დატანებულია საიდუმლო ხვრელები ქვის საფეხურებით, რომლებიც შვერილთა სხვენზე განთავსებულ საიდუმლო ოთახებში შედის. ტაძრის იატაკს ამშვენებს წრიულად დაწყობილი უძველესი ქვაფენილი. ტრაპეზი გაკეთებულია XVIII საუკუნეში. ტაძარს ამშვენებდა ფრესკული მხატვრობა, რომლის ორიოდე ფრაგმენტია შემორჩენილი. უკეთ გამოიყურება ჩრდილოეთი კედლის XVI-XVII საუკუნეების მხატვრული მორთულობა, სადაც რამდენიმე რეგისტრზე დაცულია ჩიქოვან-დადიანთა ოჯახის წევრების ფრესკული სურათები.



სურ. 3.27.4. გუმბათის ყელი საფეხურისებრი ტრომპებით



სურ. 3.27.5. აღმოსავლეთი ფასადი



სურ. 3.27.6. აღმოსავლეთი ფასადის აფსიდის ლავგარდანი



სურ. 3.27.7. ეგვტერის კარი დასავლეთიდან

მონასტერს იცავს მაღალი, მძლავრი ბურჯებით გამაგრებული რიყის ქვით ნაგები გალავანი, რომლის ჩრდილოეთ კედელთან დგას სამსართულიანი ჯვრის ტიპის პატარა გუმბათიანი ჩიქვანების ეკლესია (სურ. 3.27.8) აგებული X საუკუნეში. სავარაუდოდ იგი მცირე სენაკი – სამლოცველო იყო. მეორე სართულის ჩრდილოეთ, აღმოსავლეთ და სამხრეთის მკლავებს დატანებული აქვს თითო სარკმელი. სათავსის შიგნით, აღმოსავლეთით დგას ქვის ტრაპეზი. აფსიდებში შეჭრილ თაღებზე დადგმულია მაღალყელიანი, ექვსსარკმლიანი გუმბათი.

მთავარი ტაძრის სამხრეთ-დასავლეთით დგას გეგმით ოთხკუთხა (დაახლოებით 5,0x5,0 მ) ე.წ. „სვეტი“ (სურ. 3.27.9), რომლის სიმაღლე 20 მეტრია. მისი ჩრდილოეთი და სამხრეთი კედლები მასიურია, ხოლო დასავლეთი და აღმოსავლეთი – თაღებითაა გახსნილი. აგებულია X-XI საუკუნეებში. სვეტის ქვედა ნაწილში გასასვლელია მოწყობილი, ზევით კი სენაკი და ეკლესია ყოფილა. გადმოცემის თანახმად XI საუკუნეში აქ მესვეტე ცხოვრობდა, ხოლო XIX საუკუნის შუა წლებში – მეუდაბნოე. მონასტრის ძველ კომპლექსს ამკობდა მოდილიონებით შემკული ულამაზესი სამსართულიანი სამრეკლო, რომელიც სამწუხაროდ 1930 წელს დაინ-



სურ. 3.27.8. ჩიქვანების ეკლესია



სურ. 3.27.9. ოთხკუთხა სათავსი „სვეტი“



სურ. 3.27.10. სამრეკლო

გრა და შემდეგ ააგეს ახალი ორსართულიანი ფანჩატურიანი სამრეკლო (სურ. 3.27.10).

მარტვილის მონასტერში მოღვაწეობდნენ ქართული სულიერების მატარებელი განმანათლებლები: ჰიმნოგრაფი იოანე მინჩხი (X ს.), სტეფანე სინაოისძე ჭყონდიდელი (X ს.), მეფე დავით აღმშენებლის აღმზრდელი, მწიგნობართუხუცესი გიორგი ჭყონდიდელი (XI ს.), საქართველოს მეფე ბაგრატ IV-ის ელჩი ბიზანტიის იმპერატორის კარზე იოანე ჭყონდიდელი (XI ს.), ცნობილი კალიგრაფი სვიმონ ჭყონდიდელი, წიგნი „სააქიმიოს“ მთარგმნელი, თამარ მეფის თანამედროვე ანტონ ჭყონდიდელი, საქართველოს სამეფოს ვაზირთუპირველესი, არსენ ჭყონდიდელი (XIII ს.), ქართველი საეკლესიო მოღვაწე, სამეგრელოს მთავრის ოტია დადიანის ვაჟიშვილი, ფილოსოფოსი ანტონ ცაგარელ-ჭყონდიდელი (XVIII ს.), მწიგნობარი რომანოზ მესვეტე (XIXს.).

მონასტრის მთავარ ტაძარში ჯვარი დაიწერა საქართველოს მეფემ ბაგრატ IV (1027-1072 წწ.). აქვე დაკრძალულნი არიან: სამეგრელოს მთავარი ლევან დადიანი, დედოფალი ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანისა, სამეგრელოს უკანასკნელი მთავარი დავით დადიანი, აგრეთვე დადიანთა საგვარეულოს ოჯახის წევრები.

საბჭოთა პერიოდში მარტვილის მონასტერში ხანგრძლივი დროით შეწყვეტილი იყო ღვთისმსახურება, რომელიც საქართველოს პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით აღდგა 1998 წელს, ხოლო 2007 წლიდან ისევ სამონასტრო კომპლექსად იქცა, ტაძრის მიმდებარედ აიგო საპატრიარქო რეზიდენცია, დაარსდა წმ. ანდრია პირველწოდებულის მამათა და წმინდა ნინოს სახელობის დედათა მონასტრები, აშენდა ახალი კარიბჭე, გალავანი და განახლდა ბერ-მონაზონთა ცხოვრება.

3.27.1. ტეხისის ეკლესია – ტეხისის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი, VI-VII საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი (ზუსტი თარიღი უცნობია). მდებარეობს ქვემო რაჭაში, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ თლუღში შემაღლებულ ადგილზე. აქედან ხელისგულივით მოჩანს ნიკორწმინდისა და ხოტევის მთავარანგელოზის ტაძრები. ეს სამი საყდარი თითქოს ღვთიურ სამკუთხედს ჰქმნის და მცველად ადგას საქართველოს ერთ-ერთი

ულამაზესი კუთხის, ქვემო რაჭის ძირძველ მოსახლეობას. ადრეფეოდალური ხანის ტეხისის ერთნავიანი ეკლესია (გეგმით 5x8,8 მ) ნაგები იყო თლილი ქვით და შემკული ყოფილა ჩუქურთმებითა და მოხატულობით. დროთა განმავლობაში დანგრეული ნაგებობა აღადგინეს XVII საუკუნეში (ისტორიკოს გ. ბოჭორიძის აზრით), ხოლო XIX საუკუნეში გადაკეთებული იქნა (მიემატა დასავლეთი ნაწილი და სამრეკლო). 1926 წლის აღწერით ეკლესიაში ჯერ კიდევ შემორჩენილი იყო ჩუქურთმებიანი ტრაპეზის მთლიანი ქვა, სამხრეთისა და დასავლეთის კარი, მხატვრობის ნაწილი, წარწერები და სხვ. 1927 წელს საბჭოთა მთავრობის მითითებით ეკლესია ახალგაზრდობას დაუქცევია და თლილი (ნაწილობრივ შირიმის) ქვების დიდი ნაწილი სკოლის მშენებლობისთვის გამოუყენებიათ, ხოლო ნაწილი მოსახლეობას დაუტაცია. 1980-იანი წლების ბოლოს საქართველოში მომხდარი ძლიერი მიწისძვრის შედეგად დანგრეული სკოლის ეზოდან, მოსახლეობას კი საკუთარი კარ-მიდამოდან, ქვები ეკლესიის ტერიტორიაზე დაუბრუნებიათ.



სურ. 3.27.1.1. საერთო ხედი



სურ. 3.27.2. ინტერიერი

ნანგრევებადქცეული ტაძრის აღდგენა (სურ. 3.27.1.1; სურ. 3.27.1.2) რამდენიმე წლის წინ რაჭის ეპისკოპოსის მეუფე ელისეს (ჯოხაძე) ლოცვა-კურთხევითა და სოფლის მკვიდრის დავით გურგენიძის თანადგომით განხორციელდა. ტაძარი ბაზილიკური ტიპის ერთნავიანი ნაგებობაა, რომელსაც შესაძლებლობის ფარგლებში ავთენტურობა შეუნარჩუნდა. ეკლესიას მამა სერაფიონის ძალისხმევით დაუბრუნდა გადარჩენილი სიწმინდეები – უძველესი სამღვდელმსახურო რკინის ჯვრები და ხატი.

VII საუკუნე

3.28. ატენის სიონი (ინგლ. Ateni Sioni Church) – ქართული ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ძეგლი, ატენის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარი (სურ. 3.28.1). მდებარეობს ისტორიულ შიდა ქართლში, გორის მუნიციპალიტეტში, ქ. გორიდან 12 კმ-ის დაშორებით, მდინარე ტანას შუა წელზე, მის მარცხენა ნაპირზე (სურ. 3.28.2). VII საუკუნის მეორე ნახევრის ეს ნაგებობა იმეორებს მცხეთის ჯვრის არქიტექტურულ ტიპს, თუმცა რამდენადმე შეცვლილი პროპორციებით. ცენტრალურგუმბათოვანი ტაძარი (სიმაღლე 22 მ, სიგრძე 24 მ, სიგანე 19 მ) აგებულია გრანდიოზულ ხელოვნურ ბაქანზე, რომლის ფართობი 800 მ^2-ია. ნაგებობის ეზო, კონტრფორტებით გამაგრებული გალავნით სამი მხრიდან არის შემოვლებული, ხოლო ჩრდილო კედელი ქარაფოვანი კლდის მძლავრ მასივს გასდევს და ტაძრის ხელოვნურ ბაქანს უერთდება. ნაგებობის ფასადები მოპირკეთე-



სურ. 3.28.1. საერთო ხედი

ბულია მომწვანო-მონაცრისფერო ქვიშაქვის თლილი კვადრებით. ფასადები და გუმბათის ყელი გამშვენებულია სარკმე-ლთა ჩუქურთმიანი თავსართებითა და რელიეფური ქანდაკებებით. ტაძარში შესვლა შესაძლებელია სამხრეთისა და ჩრდილოეთის კარით. შიგა სივრცე იმკობა ორი სხვადასხვა პერიოდის მხატვრობით. ატენის სიონის ფასადზე და ინტერიერში შემორჩენილია მრავალრიცხოვანი ლაპიდარული (ქვაზე ამოკაწრული) და ფრესკული წარწერები, რომელთაგან უძველესი VIII ს. პირველი ნახევით თარიღდება. არის IX და XI საუკუნეთა. მოხატულობის შესრულების დრო XI-XIII ს. მიეკუთვნება და მკაფიოდ ეროვნული ხასიათისაა. რადგან ტაძარი ღვთისმშობლის მიძინების სახელობისაა, ამიტომ ღვთისმშობლის სახეს მთავარი ადგილი უჭირავს, მისი ცხოვრების ფრაგმენტები კი სცენების ვრცელი ციკლით არის წარმოდგენილი (სურ. 3.28.3; სურ. 3.28.4). ატენის სიონი არა მარტო ხუროთმოძღვრების, არამედ მასში დაცული კედლის მხატვრობის თვალსაზრისითაც სრულიად გამორჩეული ძეგლია. ატენის სიონის მოხატულობა ფეოდალური ხანის ქართული მონუმენტური მხატვრობის ერთ-ერთი უბრწყინვალესი ნაწარმოებია. ტაძარში დაცულია საქართველოს მეფის ბაგრატ IV-ის (1027-1072 წწ.) ფრესკის ფრაგმენტი.



სურ. 3.28.2. ადგილმდებარეობის რუკა



სურ. 3. 28.3. ხარების ფრესკის ფრაგმენტი – გაბრიელ მთავარანგელოზი



სურ. 3. 28.4. ფრესკა იოსების სიზმარი

3.29. დიდი ატენის ეკლესია (ორბელიანების ეკლესია) – დიდი ატენის ღვთისმშობლის მცირე გუმბათოვანი ეკლესია (სურ. 3.29.1. საერთო ხედი), სავარაუდოდ VII-IX საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი. მდებარეობს შიდა ქართლში, გორის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ატენის ცენტრში. ჯვარგუმბათოვანი ეკლესია გეგმით (7,2x7,9 მ) მარტივი თანაბარმკლავებიანი ტაძარი, ნაგებია რიყისა და მწვანე ტუფის ქვით. აქვს ორი კარი – სამხრეთითა და დასავლეთით. სამი მკლავი მართკუთხაა, ხოლო მეოთხე, აღმოსავლეთისა, აფსიდით მთავრდება. ყოველ მკლავში თითო სარკმელია, გუმბათი რვაწახნაგიანია, რომლის ყელში ოთხი ვიწრო სარკმელია. გუმბათქვეშა კვადრატიდან გუმბათის ყელზე გადასვლა ტრომპების ორი რიგით ხორციელდება. აღმოსავლეთის ფასადზე საკურთხევლის ფანჯარა დასრულებულია თლილ ქვაში ამოკვეთილი ნალისებ-




სურ. 3.29.1. საერთო ხედი

რი თაღით. სამხრეთ ფასადის ფრონტონზე, სარკმლის ორივე მხარეს, სიმეტრიულად, ორი საკმაოდ ღრმა ნახევარწრიული ნიშია. კარის დეკორირებულ ტიმპანში და ნიშებში მოგვიანებით მომწვანო ქვები ჩაუსვამთ. ქვებზე ამოკვეთილი წარწერები დაზიანებულია და მათი წაკითხვა შეუძლებელია. დასავლეთის ფასადის კარის ტიმპანზე ამოკვეთილია რელიეფური კომპოზიცია და ასომთავრული წარწერსა (თარიღდება X საუკუნით), სადაც ნახსენებია ლიპარიტის ძე რატი ერისთავი. კონუსური გუმბათი გადახურულია კარგად გამოყვანილი ქვის ლორფინებით. ტაძარს დასავლეთით აქვს მინაშენი (5,7x3,9 მ), რომელიც, სამხრეთის კარის არქიტრავზე მოთავსებული მხედრული წარწერის თანახმად, თარიღება 1870 წლით. ძირითადი ტაძარი, პრაქტიკულად, პირვანდელი სახითაა მოღწეული.

3.30. რკონის მონასტერი – VII საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების მნიშვნელოვანი ძეგლი, სამონასტრო კომპლექსი (სურ. 3.30.1). მდებარეობს შიდა ქართლის მხარეში, კასპის მუნიციპლიტეტში, სოფელ ჩაჩუბეთის მიდამოებში, ნასოფლარ რკონის ტერიტორიაზე, მდინარე თეძმის მარცხენა ნაპირზე. კომპლექსში შემავალი ნაგებობებია: ღვთისმშობლის ეკლესია, კარიბჭე, ეგვტერი, ნათლისმცემლის ეკლესია, სამლოცველო, სატრაპეზო, კოშკი, სამრეკლო, ბერების სენაკები და ხიდი.

რკონის კომპლექსი საუკუნეების მანძილზე იქმნებოდა და მრავალჯერ გადაკეთდა. ძირითადად განირჩევა მშენებლობის სამი ფენა: VII საუკუნის II მეოთხედი; XIII-XIV საუკუნეების მიჯნა და XVII-XVIII საუკუნეები, რომლებიც სამონასტრო ცხოვრების პერიოდებს შეესაბამება.



სურ. 3.30.1. საერთო ხედი

კომპლექსის მთავარი ნაგებობა ღვთისმშობლის ეკლესიაა, რომელიც დგას კომპლექსის აღმოსავლეთ ნაწილში (სურ. 3.30.2). იგი პირველ სამშენებლო ფენას მიეკუთვნება და თარიღდება VII საუკუნის II მეოთხედით. ეკლესია სამნავიანი ბაზილიკაა (18,2×12,1 მ), სამი მხრიდან შესასვლელით (ჩრდილოეთის კარი ამოქოლილია), აფსიდის გვერდით სადიაკვნე და სამკვეთლოა (პასტოფორიუმი). სამივე სათავსს აღმოსავლეთით თითო სარკმელი აქვს. ნავები ერთმანეთისგან გამოყოფილია ორი წყვილი სვეტით. სვეტებზე დაყრდნობილი თაღები ნახევარწრიული მოხაზულობისაა. გადახურვა კამაროვანია. ადრეული საუკუნეებისთვის დამახასიათებელი ნალისებრი თაღები, რომლებიც ეკლესიას ამკობდა, ახლა მხოლოდ დასავ-



სურ. 3. 30.2. ღვთისმშობლის ეკლესია კარიბჭით



სურ. 3.30.3. სამრეკლო

ლეთ კარის თავზე და სადიაკვნის სარკმლის შიგა მხარეს გვხვდება. ინტერიერში შემორჩენილია სხვადასხვა დროის მოხატულობის მცირე ფრაგმენტები, ძირითად სივრცეში და სადიაკვნეში – XII, სამკვეთლოში X და XVII საუკუნეების მხატვრობა. ეგვტერი კი მოხატულია განვითარებულ ფეოდალურ ხანაში (XII-XIII სს.).

კარიბჭე (3,8×9,5 მ) ეკლესიისთვის XIII საუკუნის მეორე ნახევარშია მიშენებული, რომელიც დასავლეთით გახსნილია განიერი თაღით. იგი მეორე სამშენებლო ფენას განეკუთვნება. აქვეა აშენებული სამლოცველოც. იგი დარბაზული ეკლესიააა (5,8×3,6 მ). ფასადები თლილი ქვითაა მოპირკეთებული და დეკორატიული თაღებითა და ჩუქურთმებითაა შემკული. ინტერიერში შემორჩენილია XIII-XIV საუკუნეების მოხატულობის ფრაგმენტები.

სამრეკლო დგას ღვთისმშობლის ეკლესიიდან ჩრდილო-დასავლეთით (სურ. 3.30.3) და XVII–XVIII საუკუნეებით თარიღდება. იგი მესამე სამშენებლო ფენას განეკუთვნება. სამრეკლო ორსართულიანია. მეორე სართული რვა ღია თაღზე აგურით ამოყვანილი ცილინდრული ფანჩატურია, რომელსაც გარშემო თლილი ქვის ლავგარდანი შემოუყვება.

მთავარი ეკლესიის სამხრეთით შვიდ მეტრში დგას ნათლისმცემლის დარბაზული ეკლესია (სურ. 3.30.4) გეგმაში ზომებით – 7,3x4.3 მ. თარიღდება XIII–XIV საუკუნეებით. ნაგებია სუფთად გათლილი ქვის კვადრებით. გადახურულია ცილინდრული კამარით, რომლის საბჯენი თაღები პილასტრებს ეყრდნობა. ფასადების დიდი ნაწილი მორთულია დეკორატიული თაღედით, რომლის ნახევარსვეტების კაპიტელები და ბაზისები მოჩუქურთმებულია. ასევე ლამაზადაა მოჩუქურთმებული სარკმლის საპირეები. მოგვიანებით ეკლესიაზე დასავლეთის მხრიდან კარიბჭე (4,8x4.5 მ) მიუშენებიათ.



სურ. 3. 30.4. ნათლისმცემლის ეკლესია

კომპლექსის შემადგენლობაში შედის ასევე XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე აგებული თამარის ხიდი (სიგრძე 12,5 მ, სიგანე 2,2 მ), რომელიც სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიაზე მდინარე თეძამზეა გადებული (სურ. 3.30.5). ხიდის მშენებლობისას გამოყენებულია ქვა და მკვრივი დუღაბი. ხიდის სანაპირე ბურჯები ბუნებრივ კლდოვან ქანებს ეყრდნობა. ხიდი პირვანდელი სახითაა შემორჩენილი და ფეოდალური ხანის საქართველოში ხიდების საუკეთესო ნიმუშია. მნიშვნელოვანია ის, რომ სწორედ ამ ხიდზე გადადიოდა გზა, რომელიც შიდა ქართლს თრიალეთთან, სომხეთთან და მცირე აზიასთან აკავშირებდა.



სურ. 3. 30.5. თამარის ხიდი

მთავარი ეკლესიის ჩრდილო-დასავლეთით დგას XIII-XIV საუკუნეების მიჯნაზე აშენებული, ამჟამად ძლიერ დაზიანებული სატრაპეზო. გეგმაში მართკუთხედის ფორმის (16,6x5,2 მ) სათავსი დახურულია 6 საბჯენ თაღზე დაყრდნობილი შეისრული კამარით. აღმოსავლეთის შესასვლელი კი გადახურულია არქიტრავით. სატრაპეზოს მშენებლობისათვის ძირითადად გამოყენებულია ნატეხი ქვა. სატრაპეზოდან სამხრეთ-დასავლეთით 40 მ-ში, დგას ნატეხი ქვით აგებული სამსართულიანი კოშკი. კომპლექსის ფერდობზე აშენებული ბერების საცხოვრებელი ძველი სენაკებიდან მხოლოდ ნაშთებიღა შემორჩა.

რკონის სამონასტრო კომპლექსსა და ნასოფლარს შორის მდებარეობს რკონის ციხე (XVII საუკუნის შუა წლები). მის ტერიტორიაზე გალავნის, კოშკის, სასახლის, ერთნავიანი ეკლესი ისა და სხვა ნაგებობათა ნანგრევებია.

3.31. სამწევრისის ტაძარი (ინგლ. Samtsevrisi Orthodox Church) – VII საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, სამწევრისის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი, მდებარეობს შიდა ქართლის მხარეში, ქარელის მუნიციპალიტეტში, მისგან დასავლეთით 4,5 კმ-ში, სოფელ სამწერისის მახლობლად (სურ. 3.31.1).



სურ. 3.31.1. საერთო ხედი



სურ. 3. 31.2. საკურთხევლის სარკმელი არქიტექტურული დეტალით

ნაგებობა დგას სამსაფეხურიან ცოკოლზე, რომლის ქვეშ განიერი ბაქანი კლდეს ემყარება. სამწევრისის წმ. გიორგის ეკლესია თავისუფალი ჯვრის ტიპის ჯვარგუმბათოვანი ნაგებობაა (9,6×8,8 მ, სიმაღლე გუმბათქვეშ 10,6 მ), ნაშენია მონაცრისფრო-მოყვითალო ქვიშაქვის კარგად გათლილი მოზრდილი კვადრებით. გეგმის ჯვრისებრი მოხაზულობა მკაფიოდაა გამოვლენილი ინტერიერში და გარე მასებშიც. ნაგებობის აღმოსავლეთ-დასავლეთ ღერძი რამდენადმე წაგრძელებულია. შესასვლელი დასავლეთიდანაა. ეკლესიის ინტერიერი წარმოადგენს ერთიან სივრცეს. ცენტრალურ გუმბათქვეშა კვადრატში ყოველი მკლავის წინ დამატებულია განიერი თაღი. კვადრატიდან გუმბათზე გადასვლა განხორციელებულია ტრომპების სისტემით. ინტერიერში სარკმლები ერთი აღმოსავლეთითაა, საკურთხეველში, მეორე – სამხრეთით, შესასვლელის თავზე, მესამე – დასავლეთით, კამარასთან. სარკმლების განლაგების დონე თანდათან მაღლდება აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ. ამით მიღწეულია შიდა სივრცის თანაბარი განათება. ჯვრის მკლავები გადახურულია ცილინდრული კამარებით. გუმბათის სფეროში რელიეფური ჯვარია. ეკლესიის ფასადებისა და ინტერიერის მხატვრულ-ტექნიკური გამომხატველობა მიღწეულია ოსტატურად ამოყვანილი კედლის სიბრტყეებით. მკაცრად არის დაცული წყობის რიგების ჰორიზონტალური სწორხაზოვნება. ფასადებზე შემკულობით ხაზგასმულია მხოლოდ შესასვლელი და სარკმლები (სურ. 3.31. 2). გუმბათის ყელში გაჭრილი ვიწრო სარკმლები მოურთველია, რადგან ისინი ქვევიდან ძნელად იკითხება. ძეგლზე შემორჩენილია ორი წარწერა. პირველი (აღმოსავლეთ ფასადზე, სარკმლის სათაურის ქვემოთ) X საუკუნისაა და სოფელ სამწერისში არხის გაყვანას გვაუწყებს; მეორე (სამხრეთი ფასადის ზემო მონაკვეთში) უშუალოდ ტაძარს ეხება: „მეორედ მაშენებელსა ფანასკერტელს მერაბს შეუნდვნეს ღმერთმან. ზედამდეგს ცოდვილს საბას შეუნდვნეს ღმერთმან“.

XV–XVI საუკუნეების მიჯნაზე ამ ადგილის მფლობელებს – ფანასკერტელ-ციციშვილებს (კერძოდ, მერაბ ციციშვილს) ეკლესია შეუკეთებიათ და უკურთხებიათ წმინდა გიორგის სახელზე (თავდაპირველად წმ. ჯვარი ეწოდებოდა). წარწერაში მოხსენიებული ზედამდეგი საბა ეკლესიის განახლებას ხელმძღვანელობდა. ტაძარი გადახურული იყო კრამიტით. თავდაპირველ კრამიტთან ერთად გვხვდება XV–XVI საუკუნეების და XIX საუკუნის კრამიტიც. ძეგლი საგრძნობლად დააზიანა 1940 წლის ძლიერმა მიწისძვრამ, რის შემდეგაც მას სარესტავრაციო სამუშაოები ჩაუტარდა (ხელმძღვანელი არქიტექტორი ლევან ხიმშიაშვილი).

3.32. ანაკოფიის ციხე (ინგლ. Anacopia Fortress) – VII-VIII საუკუნეების ქართულ-აფხაზური ხუროთმოძღვრების ძეგლი (სურ. 3.32.1). მდებარეობს აფხაზეთში, სოხუმიდან 20 კმ-ის დაშორებით, ივერიის მთის ერთ-ერთ მონაკვეთზე, ახლანდელი ახალი ათონის ტერიტორიაზე.



სურ. 3.32.1. პანორამული ხედი



სურ. 3.32.2. ციხის კედლების ფრაგმენტი

VIII საუკუნის ბოლოდან ანაკოფია ახლად შექმნილი აფხაზთა სამეფოს მთავარი ქალაქი იყო. 1032 წელს იგი ბიზანტიელებმა დაიპყრეს. 1074 წელს კვლავ საქართველოს დაუბრუნდა. XIV-XV საუკუნეებში გენუელებმა ანაკოფია დაიკავეს და ზღვის პირას, მდ. ფსირცხას შესართავთან ციხე ააგეს და ახალშენი (ფაქტორია) დააარსეს. XV საუკუნის მიწურულს საქართველოს სახელმწიფო სამეფო-სამთავროებად დაიშალა. ანაკოფია ჯერ აფხაზთა ერისთავების, ხოლო მოგვიანებით აფხაზთა მთავრების რეზიდენცია გახდა. XVII საუკუნეში სამეგრელოს მთავარმა ლევან დადიანმა ანაკოფიას ზღუდე შემოავლო. XVIII საუკუნეში ანაკოფიას თურქები დაეუფლნენ და აფხაზთა მთავრების რეზიდენციამ ლიხნში გადაინაცვლა, ამის შემდეგ ანაკოფია ნანგრევებად იქცა და მას აფხაზებმა „ფსირცხა“ უწოდეს. XIX საუკუნის მეორე ნახევარში ისტორიული ანაკოფიის ტერიტორიაზე ააგეს წმ. პანტელეიმონის ტაძარი, როგორც ათონის მთის რუსული მონასტრის ფილიალი. სწორედ ამ დროს ეწოდა ანაკოფიას ახალი ათონი. ანაკოფიის ციხესიმაგრის გათხრების დროს აღმოჩნდა ერთიანი საქართველოს მეოთხე მეფის, გიორგი II-ის (1072-1089 წწ.) მონეტა წარწერით: „ქრისტე! ადიდე გიორგი აფხაზთა და ქართველთა მეფე და კეისარი“.

ანაკოფიის ციხესიმაგრეს 7 ჰა ტერიტორია ეკავა და ქვის გალავნით შეკრული, შეუვალი თავდაცვით ნაგებობა იყო. დღემდე შემორჩენილია ციხის გრანდიოზული კედლები სამეთვალყურეო კოშკებით (სურ. 3.32.2). საალყო აუზითა და კირის გამოსახდელი ღუმლით. ციხესიმაგრის მნიშვნელოვან ნაგებობას წარმოადგენს ანაკოფიის ტაძარი, რომელიც VII-VIII საუკუნეებით თარიღდება. მის ნანგრევებში ახლაც შეინიშნება შედარებით გვიანი პერიოდის შესანიშნავი ჩუქურთმის ნაკვალევი. საქართველოს გაერთიანების შემდეგ ანაკოფიის ციხესიმაგრე ქვეყნის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საფორტიფიკაციო ნაგებობას წარმოადგენდა, რომელიც რამდენჯერმე განახლდა ხელისუფლების მიერ და აქ სამეფო ჯარი იდგა, რომელიც ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთ საზღვარს იცავდა. 1957-1958 წლებში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად ციხე-ქალაქის ტერიტორიაზე აღმოჩნდა VII-XII საუკუნეების საკულტო, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების ნაშთი, საკირე, მინისა და თიხის ჭურჭელი, სამეურნეო იარაღები და სხვ. მიკვლეული იქნა აგრეთვე, ელინისტური ხანის ნამოსახლარის ნარჩენები.

3.33. ქოზიფის მონასტერი (ინგლ. Kozifa Monastery) – ქართული ხუროთმოძღვრების მნიშვნელოვანი ძეგლი, ქოზიფის მამათა მონასტერი. მდებარეობს შიდა ქართლის მხარეში, ქ. ქარელიდან 35 კმ-ის დაშორებით, მდ. ძამას ხეობაში (სურ. 3.33.1). დაარსებულია VII-IX საუკუნეებში. მონასტერში სულ შვიდი ტაძარია. ისინი ერთმანეთზე მჭიდროდაა მიდგმული და ერთიან კომპლექსს ქმნიან. დღესდღეობით ყველა ტაძარი აღდგენილია და მოქმედებაშია.

ქოზიფის მონასტერში თავდაპირველად ორი მცირე ზომის დარბაზული ეკლესია აუგიათ. XIII საუკუნის II ნახევარში აქ ფართოდ გაიშალა აღმშენებლობითი საქმიანობა. ამ პერიოდს განეკუთვნება მონასტრის გალავანი და ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების ტაძარი. ეს უკანასკნელი, ჩრდილოეთ და სამხრეთ მინაშენებით, კომპლექსის მთავარი ნაგებობაა. ტაძარი აშენებულია ბაზალტის კარგად დამუშავებული კვადრებით. XIV-XV საუკუნეებში კომპლექსს კიდევ ორი მცირე ზომის დარბაზული ეკლესია შეემატა. ტერიტორიაზე აღმოჩენილია წყლის თიხის მილები და ღვინის დიდი ქვევრები, რაც მეტყველებს იმაზე, რომ საუკუნეთა განმავლობაში აქ ბერმონაზვნური ცხოვრება ყვაოდა. ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების გარდა აქ არის წმ. შიო მღვიმელის, მართალი ლაზარესი, ყოველთა ქართველთა წმიდათა და წმ. გიორგის ეკლესიები.



სურ. 3.33.1. საერთო ხედი

3.34. ბანას ტაძარი (ინგლ. Bana Temple) – ქართული ხუროთმოძღვრების თვალსაჩინო ძეგლი. მდებარეობს ისტორიულ მხარე ამიერტაოში (სურ. 3.34.1), ერზერუმის პროვინციაში, შენკაიას რაიონში, სოფელ ფენეკის დასავლეთით 2 კმ-ში (ახლანდელი თურქეთის რესპუბლიკა) (სურ. 3.34.2). ტაძრის სტილისტიკური ანალიზი ადასტურებს, რომ აგებულია არაუგვიანეს VII საუკუნისა, რადგან ტაძარს ტეტრაკონქის ფორმა აქვს, რომელიც ქართულ ხუროთმოძღვრებაში შემდეგ აღარ გვხვდება. IX-X საუკუნეების მიჯნაზე ტაო-კლარჯეთის



სურ. 3.34.2. ადგილმდებარეობის რუკა



სურ. 3.34.1. მესხეთის მხარეები VIII-X საუკუნეებში

მთავრის დავით I კურაპალატის (876-881 წწ.) ვაჟს, ქართველთა სამეფოს დამაარსებელს ადარნასე II-ს კვირიკე ბანელის ხელით (ბანას პირველი ეპისკოპოსი) ტაძარი გადაუკეთებია. ტაძარი მრგვალ ბორცვზეა აგებული. ბანაც მრგვალად აღიქმება, თუმცა რეალურად მრავალწახნაგა იყო. სამსართულიანი და რთული კომპოზიციის ტაძარი ეკლესიისა და მრგვალი გალერეისგან შედგებოდა (სურ. 3.34.3). პირველი სართული 28-წახნაგა გახლდათ, რომელიც მოგვიანებით, სავარაუდოდ, XVI საუკუნეში, თურქების შემოსევის დროს შეუცვლიათ. დიდი ზომის მაღალ ტეტრაკონქს გარს ეკვრის თითქმის 40 მ. დიამეტრის მრავალწახნაგა გარშემოსავლელი. შუაში აღმართულია ცილინდრული გუმბათის ყელი. ტეტრაკონქის მკლავებს

შორის განლაგებულია გუმბათქვეშა ბურჯები – პილონები, სადაც სამ იარუსად მოწყობილი სადგომებია (პატრონიკენი), ხოლო ოთხივე აფსიდის ქვემოთა ნაწილი, ჩვეულებრივი მთლიანი კედლის ნაცვლად, გამჭოლი თაღებით გარშემოსავლელისაკენ იხსნება. შენობის სიმაღლე 30 მ-ს აღემატება. ტაძრის ხუროთმოძღვრული დეტალები და მორთულობა ტექნიკური ოსტატობითა და მაღალმხატვრულობით გამოირჩევა. აფსიდებისა და პატრონიკეთა მალებში მოთავსებული მრგვალი სვეტები შემკულია ვოლუტებიანი სვეტისთავებით, ფასადის მთელ პერიმეტს მისდევს დეკორატიული თაღები, თაღებს ზემოთ კი მცენარეული ჩუქურთმებია. დიდი თურქობის პერიოდიდან (XI საუკუნის 80-იანი წლები) ბანას ტაძარიც მტრის ხელში აღმოჩნდა, მხოლოდ თამარის მეფობის დროს (1184-1213 წწ.) მოხდა მისი



სურ. 3.34.3. ბანას ტაძარი აფეთქებამდე



სურ. 3.34.4. ბანას ტაძრის ნანგრევები

დაბრუნება. XVI საუკუნიდან ტაძარს ისევ თურქები დაეპატრონენ. ოსმალეთის იმპერიამ ყირიმის ომის დროს (1853-1856 წწ.) ბანას ტაძარი ციხესიმაგრედ და იარაღის საწყობად გადააქცია, რასაც მოჰყვა აფეთქებები და გუმბათის ჩამოქცევა. 1902 წელს კი ტაძარი პრაქტიკულად განადგურდა. ბანა თავის დროზე მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ, კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრსა და ზოგჯერ მეფეთა სამყოფსაც წარმოადგენდა [აქ დაკრძალულია საქართველოს მეფე ვახტანგ IV (1442-1446 წწ.)]. ამჟამად ბანას ტაძრის ნანგრევებია შემორჩენილი (სურ. 3.34.4).

3.35. წრომის ტაძარი – ადრეული შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების უძველესი ძეგლი (სურ. 3.35.1; სურ. 3.35.2). მდებარეობს შიდა ქართლის მხარეში, ხაშურის მუნიციპალიტეტში, ქ. ხაშურიდან 15 კმ-ში, სოფელ წრომში (სურ. 3.35.3).



სურ. 3.35.1. საერთო ხედი. სამხრეთი ფასადი

ტაძარი აგებულია 626-634 წლებში ერისმთავარ სტეფანოზ II დაკვეთით. ის XI-XII და XVI-XVII საუკუნეებში რამდენჯერმე დაზიანდა და გადაკეთდა. 1731 წელს ლეკთა შემოსევის დროს დაინგრა გალავანი, 1940 წლის 8 მაისის მიწისძვრამ კი ძალზე დააზიანა ტაძარი – გუმბათი, გუმბათქვეშა კვადრატის კედლები, ნართექსისა და დასავლეთ-სამხრეთ მკლავების ცილინდრული თაღების დიდი ნაწილი, გადაიხარა დასავლეთის კედელი. 1949-1975 წლებში ჩატარებულმა სარესტავრაციო სამუშაოებმა ტაძარს პირვანდელი სახე დაუბრუნა.




სურ. 3. 35.2. აღმოსავლეთის ფასადი

წრომის ტაძარი გეგმით ჩახაზული ჯვრის ტიპის (ჯვარგუმბათოვანი) ნაგებობაა (25,6x19,85 მ) (სურ. 3.35.4). ტაძრის გეგმის ასეთი ფორმა ახალი იყო იმ დროის ქართულ ხუროთმოძღვრებაში და, აკადემიკოს ვ. ბერიძის მოსაზრებით, შემდეგი საუკუნეების ტაძრების ძირითადი გეგმა გახდა. ტაძარი დგას ორ სამსაფეხურიან ცოკოლზე. ნაშენია კარგად გათლილი ქვიშაქვის კვადრებით (ნაწილობრივ გამოყენებულია მუქი ნაცრისფერი და მოყვითალო პორ-



სურ. 3.35.3. ადგილმდებარეობის რუკა



სურ. 3.35.4. ტაძრის გეგმა

ფირი). წყობა მკაცრად ჰორიზონტალურია. შესასვლელი სამი მხრიდან აქვს: დასავლეთიდან, ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან. გუმბათი ეყრდნობა ცენტრალურ სივრცეში მოთავსებულ ოთხ ცალკე მდგომ ბურჯს (და არა კედლებს, როგორც ადრე საუკუნეებში ხდებოდა), რაც ტაძრის შიდა სივრცეს უფრო ადიდებს. კვადრატული სივრციდან გუმბათის ყელზე გადასვლა ხდება ტრომპების მეშვეობით. ინტერიერში გამოკვეთილია სიგრძივი ღერძი, რომელიც აღმოსავლეთით ტაძარში ჩახაზულ აფსიდასა (უარყოფილია შვერილი აფსიდა და იგი ტაძარშია შეტანილი, რაც, გარკვეულწილად, შენარჩუნა ქართულმა ეკლესიამ და გამოეყო ბიზანტიის, შუა ევროპისა და რუსეთის ეკლესიებს) და დასავლეთით მოთავსებულ პატრონიკეზე გადის, რითაც პატრონიკეს არქიტექტურული დატვირთვა გაზრდილია და იგი აფსიდასთან მიმართებაში ერთგვარ გამაწონასწორებელის ფუნქციასაც ასრულებს შიდა სივრცეში. პატრონიკეს ქვეშ არის განთავსებული წაგრძელებული ნართექსი [ქრისტიანულ ტაძარში დასავლეთით მოთავსებული სადგომი, რომელიც განკუთვნილი იყო მათთვის, ვისაც მლოცველთა მთავარ სივრცეში შესვლის უფლება არ ჰქონდა. ძირითადად – კათაკმევლებისთვის (მოუნათლავებისთვის)], რომლის შუა ნაწილი გადახურულია ცილინდრული კამარით, ხოლო გვერდითები – ჯვრისებრი კამარით. საკურთხევლის ორივე მხარეს მდებარე ოთახებში სადიაკვნე და სამკვეთლოა. განათების მთავარი წყარო გუმბათის ყელში გაჭრილი ოთხი და მკლავებში გაჭრილი თითო დიდი სარკმელია, რასაც რამდენიმე მრგვალი სარკმელიც ემატება. ფასადები სადაა, მოურთავი, რაც მკაცრ მონუმენტურ იერს აძლევს. აღმოსავლეთის ფასადი სამნაწილიანია, კედელში ამოკვეთილია კონსტრუქციული დანიშნუ-

ლების ორი სამკუთხა ნიშა და საკურთხევლის სარკმლის ნიშა, რომლებიც ერთმანეთთან სამი თაღით არის დაკავშირებული. ნიშები საკმაოდ ღრმაა, რაც თავისებურ კონტრასტს ქმნის მზით განათებულ ფასადზე ამავდროულად ამცირებს კედლის მასას.. შესასვლელის ტიმპანებს და შუა სარკმლებს შემოვლებული აქვს თაღი და არშია. სამხრეთის ფასადის ტიმპანზე გამოსახულია ჯვარი, ხოლო ფრონტონის ქვეშ განედლებული ჯვრის რელიეფია, მის ზემოთ ლავგარდნის ქვებზე – ვარდულები და აკანთოს ფოთლების რელიეფური ორნამენტული მოტივებია. სამხრეთ ფასადზე, შუა სარკმლის მარცხნივ, ასომთავრული წარწერაა, რომელშიც მოხსენიებულია ქართლის ერისმთავარი სტეფანოზ II ადარნასეს ძე. საკურთხევლის სარკმლის თაღში – სამი მედალიონია, ცენტრალურ მედალიონში ჯვარია გამოსახული. ქვემოთ ორნამენტული ზოლი გასდევს აკანთოს ფოთლების მოტივით. ფასადებისთვის დამახასიათებელია ფართო თაღოვანი და მრგვალი სარკმლები. საკურთხევლის კონქი შემკული ყოფილა მოზაიკით (VII საუკუნის I ნახევარი), რომლის მხოლოდ ფრაგმენტებია დარჩენილი (გადატანილია საქართველოს ხელოვნების მუზეუმში).

წრომის ტაძრის ჰარმონიული პროპორციები, მასების ნათელი წონასწორობა, განსაკუთრებული ოსტატობით ნაშენი მკაცრი კედელი, ფასადთა დასრულებული კომპოზიციები, თაღების ფართო გაქანება, მარტივი პროფილების სიზუსტე, საშენი მასალის სპეციფიკისა და მხატვრულ შესაძლებლობათა განსაკუთრებული შეგრძნება ხუროთმოძღვრის მიერ, თუ შეიძლება ასე ითქვას „ქვის გრძნობა" (რაც იმდროინდელი არქიტექტურის თვისებაა) – ღრმა და ამაღელვებელ შთაბეჭდილებას ტოვებს.

წრომის ტაძარს 2006 წელს მიენიჭა კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი.

3.36. რუისის ფერისცვალების ტაძარი – VII-IX საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების მნიშვნელოვანი ძეგლი. მდებარეობს შიდა ქართლის მხარეში, ქარელის მუნიციპალიტეტში, მისგან აღმოსავლეთით მდებარე სოფელ რუისის ცენტრში (სურ. 3.36.1). კომპლექსში შედის: ტაძარი, კოშკი-სამრეკლო და გალავანი.

რუისთან დაკავშირებულია ფეოდალური ხანის საქართველოს არა ერთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენა. რუისის ღვთისმშობლის ეკლესიაში ქართლის მეფედ აკურთხეს გიორგი II (1072-1083 წწ.). ამ დროს რუისი ქართლის დედაქალაქის როლს ასრულებდა. 1104 წელს საქართველოს მეფე დავით IV აღმაშენებლის (1089-1125 წწ.) თაოსნობით მოწვეულ იქნა რუის-ურბნისის საეკლესიო კრება. რუისის საეპისკოპოსო წარმოადგენდა მძლავრ კულტურულ-საგანმანათლებლო კერას. აქ მოღვაწეობდნენ ეპისკოპოსი ანტონ მროველი (IX-X სს.), ისტორიკოსი და აგიოგრაფი ლეონტი მროველი (XII-XIII სს.), დიონისე ლარაძე (XVI ს.), დიდი ქართველი პატრიოტი დომენტი ავალიშვილი (XVI-XVII სს.), მწიგნობარი, ჰიმნოგრაფი და მთარგმნელი, სულხან-საბას ძმა ნიკოლოზ ორბელიანი (1672-1732 წწ.), საეკლესიო მოღვაწე (წინამძღვარი), მოგზაური და მწერალი იონა გედევანიშვილი (1737-1821 წწ.) და სხვა. აქ იყო დიდი წიგნთსაცავი, სადაც ინახებოდა ბევრი ხელნაწერი. მათგან განსაკუთრებული მნიშვნელობისაა რუისის სახარება (XI ს.).



სურ. 3.36.1. საერთო ხედი

მთავარი ტაძარი ჯვარგუმბათოვანი ნაგებობაა გეგმით 27,3x19,6 მ, სიმაღლით – 23,2 მ. თავდაპირველი ნაგებობიდან შემორჩენილია გეგმის ძირითადი მონახაზი და შენობის აღმოსავლეთი ნაწილი. ტაძარი თავდაპირველად ნაგები ყოფილა კარგად გათლილი, თანაბარი ზომის მოყვითალო-მომწვანო და იასამნის ფერი ქვიშაქვის კვადრებით. აღდგენა-შეკეთები-

სას გამოყენებული იყო მონაცისფრო-მოშავო ბაზალტის კვადრები, შირიმი და აგური. ტაძარში სამი მართკუთხა შესავლელია: დასავლეთით, სამხრეთით და ჩრდილოეთით. თორმეტწახნაგა მაღალი გუმბათი ეყრდნობა ოთხ თავისუფლად მდგომ სვეტს. გუმბათში 12 სარკმელია (6 ამოაშენეს XV საუკუნეში). 1781 წელს საკურთხევლის წინ აჟურული კანკელი დაუდგამთ. ამჟამად ინტერიერი შელესილი და შეღებილია. აქა იქ შემორჩენილია მოხატულობის ფრაგმენტები. შენობის ძირითადი მასა გუმბათის ყელთან შედარებით დაბალია. ეს განსაკუთრებით ჩანს აღმოსავლეთიდან. ფასადი შესამჩნევად ფართო, დამჯდარი და თითქმის მოურთველია. ტაძრის გუმბათის ყელი XI საუკუნეში აუმაღლებიათ და მოურთავთ. სარკმლების ნაირგვარი ორნამენტით მორთულ საპირეებს შემოვლებული აქვს ორმაგლილვებიანი დეკორატიული თაღები და ნახევარსვეტები. გუმბათი, ისე როგორც ფასადები, დასრულებულია ლილვისა და მეოთხედი წრეთარგისაგან შედგენილი ლავგარდნით. ტაძრის ჯვრის მკლავების ფრონტონების ქვეშ მოთავსებული იყო მოჩუქურთმებული ჯვრები (შემორჩენილია სამხრეთის და დასავლეთის ფასადებზე). ფასადებზე გაფანტულია X-XI საუკუნეების ორნამენტირებული ფრაგმენტები. კოშკი-სამრეკლო მდებარეობს ტაძრის დასავლეთით, ჩაშენებულია გალავანში. თარიღდება გვიანდელი ფეოდალური ხანით. შენობა სამსართულიანია (7,4x6,8 მ), ნაგებია ქვიშაქვისა და შირიმის კვადრებით, ნატეხი და შირიმის ქვებით, აგურით. კომპლექსს შემოვლებული გალავანი თარიღდება გვიანდელი ფეოდალური ხანით. ნაგებია რიყის ქვით. კედლის სიმაღლეა 1,5 მ. რელიეფის შესაბამისად, გალავანი ბევრგან დანაწევრებულია საფეხურებად, ზოგან შეტეხილია. შემორჩენილია გალავანზე მიშენებულ ნაგებობათა ნაშთები.



სურ. 3.36.2. სამრეკლო

კოშკი-სამრეკლო (სურ. 3.36.2) მდებარეობს ტაძრის დასავლეთით, ჩაშენებულია გალავანში. თარიღდება გვიანდელი ფეოდალური ხანით. შენობა სამსართულიანია (7,4X6,8 მ), ნაგებია ქვიშაქვისა და შირიმის კვადრებით, ნატეხი და შირიმის ქვებით, აგურით. I სართულის კომპლექსის ეზოში შესასვლელს წარმოადგენს და მთელ სიგანეზეა გახსნილი. გადახურულია ნახევარწრიულიკამარით. სამხრეთისა და ჩრდილოეთის კედლებზე მასიური კონტრფორსებია მიშენებული. სავარაუდოა აქ ზედა სართულზე ასასვლელი კიბე იყო. II სართული საცხოვრებელია, მის კედელში ბუხარი (ამოშენებულია მოგვიანებით) და თახჩა ნიშებია. დასავლეთით და ჩრდილოეთით თითო კარია. III სართული საკუთრივ სამრეკლოს წარმოადგენს. დასავლეთით და აღმოსავლეთით იგი წყვილ-წყვილი თაღით იხსნება, ხოლო დანარჩენ ორ მხარეს თითო თაღი აქვს. გადახურვა დეფორმირებულია. ტაძარი საკმაოდ მდიდარია ორნამენტებითა და მხატვრობით, რომლის კოლორიტში ჭარბობს მოწითალო-ყავისფერი, ლურჯი და მწვანე ფერები.

3.37. ურბნისის სიონი (ინგლ. Urbnisi Cathedral) – V-VI საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების მნიშვნელოვანი ძეგლი (სურ. 3.37.1; სურ. 3.37.2). მდებარეობს ქარელის მუნიციპალიტეტში, ქალაქიდან აღმოსავლეთით 10 კმ-ში მდებარე სოფ. ურბნისის ტერიტორიაზე (სურ. 3.37.3). კომპლექსში შემავალი ნაგებობებია: გალავანი, ბაზილიკა, აბანო, მარანი, წყალსადენი, წყლის არხები, სამრეკლო და სხვ.

ქალაქს VI საუკუნის მეორე ნახევარში 23 ჰა ტერიტორია ეკავა, რომელსაც შემოვლებული ჰქონდა რიყის ქვით ნაგები (სისქით 4,5 მ) გალავანი, რომელიც ძლიერი ხანძრის შედეგად დანგრეულა. გალავნის კედლის საერთო სიგრძე 2 კმ-მდე ყოფილა. კედელში ჩართული იყო 18 კოშკი ქონგურებითა და სამზერებით.



სურ. 3.37.1. საერთო ხედი




სურ. 3.37.2. პანორამული ხედი

ურბნისის სიონი (კათედრალი) სამნავიანი ბაზილიკაა გეგმაში ზომებით 32,1x22,4 მ (სურ. 3.37.4). ეკლესიის ინტერიერში და ფასადებზე ნათლად იკითხება პირვანდელი (VI-VII სს.) და შემდგომი (IX ს. II ნახ. ან X ს. და 1668 წელი) შეკეთება-აღდგენის სამშენებლო ფენები. ადრინდელი ნაწილი ამოყვანილია კარგად გათლილი და ურთიერთმორგებული ქვიშაქვის კვადრებით, ქვები სხვადასხვა ზომისაა, მაგრამ ჰორიზონტალობა დაცულია. მომდევნო პერიოდებში აღსადგენად სხვადასხვა ფორმის ქვაა გამოყენებული, წყობა ირეგულარულია. ტაძარში სამი შესასვლელია. პირველი სამშენებლო ფენიდან მხოლოდ სამხრეთის შესასვლელზეა შემორჩენილი არქიტრავის ქვის ჩამონატეხები და ნალისებრი ლუნეტის ნაშთი. ეკლესიის ინტერიერში ნავები ერთმანეთისგან გამოყოფილია ოთხი წყვილი, გეგმით ჯვრისებრი ბოძით. საკურთხევლის იატაკი ერთი საფეხურით იყო ამაღლებული. შუა ნავის სამხრეთ ბოძების რიგმა და მათზე გადაყვანილმა თაღებმა პირვანდელი სახით მოაღწია. თაღების მარტივ პროფილიანი იმპოსტები მთლიან ოთხკუთხა ქვაშია გამოკვეთილი, ბაზისები კი კუბურია. ეკლესიის სახურავი კრამიტისაა. ტაძარს სამხრეთით და ჩრდილოეთით მინაშენები ჰქონდა. სამხრეთის მინაშენი, რომელიც აღმოსავლეთით ეგვტერით მთავრდება, პირვანდელი ნაგებობის თანადროულია. მინაშენების დანარჩენი ნაწილი გვიანდელია.

ურბნისი საქართველოს ისტორიაში შესულია იმით, რომ აქ 1104 წელს საქართველოს უდიდესმა მეფემ დავით აღმაშენებელმა მოიწვია რუის-ურბნისის ცნობილი საეკლესიო კრება



სურ. 3.37.3. ადგილმდებარეობის რუკა



სურ. 3.37.4. კათედრალის გეგმა

3.38. ძველი შუამთა (ინგლ. Old Shuamta) – V-VII საუკუნეების ქართული მართლმადიდებლური მონასტერი (სურ. 3.38.1). მდებარეობს კახეთში, თელავის მუნიციპალიტეტში, ქ. თელავიდან 7 კმ-ის დაშორებით, ტყეში. სამონასტრო კომპლექსში შედის: V საუკუნის ბაზილიკა, VII საუკუნის გუმათოვანი ეკლესია და VII საუკუნის მცირე გუმბათოვანი ეკლესია.

V საუკუნის სამნავიანი ბაზილიკა ქრისტიანული არქიტექტურის ადრეული საფეხურის ერთ-ერთი საყურადღებო ნიმუშია საქართველოში (სურ. 3.38.2). ზომები გარედან მინაშენების გარეშე: სიგრძე - 10,8 მ; სიგანე - 9,2 მ და სიმაღლე 5,7 მ.

VII საუკუნის გუმბათოვ ანი დიდი ეკლესია მცხეთის ჯვრის ტიპისაა (იხ. მცხეთის ჯვრის მონასტერი), თუმცა მცხეთის ჯვართან შედარებით უფრო პატარაა – შემცირებულია აფსიდისა და ბემების სიღრმე, რის გამოც შენობის ფართობისა და მასის მიმართ გუმბათის ყელის მნიშვნელობა გაზრდილია, ტრომპების კონსტრუქცია უფრო ნათლად არის გამოვლენილი და სხვ. ეკლესიის ზომებია: სიგრზე - 11,5 მ; სიგანე - 9,2 მ; სიმაღლე შიგნით - 12,0 მ. ეკლესია პრაქტიკულად პირვანდელი სახითაა შემორჩენილი.



სურ. 3.38.1. საერთო ხედი

VII საუკუნის მცირე გუმბათოვანი ეკლესია (სურ. 3.38.3) გეგმით ჯვრის ტიპისაა, რომლის ორივე ღერძი ტოლია (რადგან აფსიდების წინ არა აქვს ბემები). შუა კვადრატს ოთხივე მხარეს აფსიდები აკრავს, არის კუთხის ნიშებიც, მაგრამ აღარ არის კუთხის ოთახები. ეკლესიის ზომებია: სიგრძე 7,5 მ; სიგანე - 7,0 მ; სიმაღლე შიგნით - 7,5 მ.

ძველი შუამთის ეკლესიებს არ აქვთ რაიმე მორთულობა და წარწერები, როგორც ეს კახეთის ძეგლებს ახასიათებს. სამივე ეკლესია ნაგებია რიყის ქვით, კუთხეებში კი შირიმია გამოყენებული. XVI საუკუნეში ეს მონასტერი დაცარიელდა და მის მახლობლად კახთა მეფე ლევან II-ის (1520-1574 წწ.) მეუღლემ, თინათინ გურიელმა, დააარსა შუამთის ახალი მონასტერი.



სურ. 3.38.2. სამნავიანი ბაზილიკა



სურ. 3.38.3. მცირე ეკლესია

VIII საუკუნე

3.39. გორის ციხე (ინგლ. Gori Fortress) – VIII-XVIII საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ძეგლი, ისტორიული ციხესიმაგრე შიდა ქართლის მხარეში, ქ. გორის ცენტრში, მაღალ კლდოვან ბორცვზე (სურ. 3.39.1 - სურ. 3.39.3). კომპლექსში შემავალი ნაგებობებია: ციტადელი, „ცხრაკარა“ და ციხის ეკლესია.




სურ. 3.39.1. საერთო ხედი

გორის ციხის ნანგრევებზე სხვადასხვა დროის მრავალი ფენა განირჩევა, მაგრამ თვით ძველი ქალაქის კვალი თითქმის მთლად წაშლილია ახალი განაშენიანებით. გორის ადრეული ხანის ისტორიაზე ცნობები არ მოგვეპოვება, მაგრამ 1946 წელს ჩრდილოეთის ფერდობის ჩამოზვავებამ ისტორიის ერთი მეტად საყურადღებო ფურცელი გადაგვიშალა: გამოჩნდა ანტიკური ხანის კედლის შესანიშნავი წყობა, რომელიც ძვ. წ. პირველი ათასეულის ბოლო საუკუნეებით თარიღდება. ისტორიულ წყაროებში გორი პირველად VII საუკუნის პირველი ნახევრიდან იხსენიება. ზოგიერთი ისტორიული წყაროს მიხედვით ქალაქი გორი მეფე დავით აღმაშენებლის დროს აშენდა (XII საუკუნის დასაწყისი).



სურ. 3.39.2. პანორამული ხედი



სურ. 3.39.3. ადგილმდებარეობის რუკა

XIII საუკუნის მეორე ნახევარში მონღოლებთან ბრძოლით დასუსტებულ საქართველოს კავკასიის მთების გაღმა ბინადარი ოსები შემოესიენ და გორი აიღეს. ისინი XIV საუკუნის 20-იან წლებში განდევნა საქართველოს მეფემ გიორგი ბრწყინვალემ. შემდეგ პერიოდში გორის ციხე მრავალჯერ იქნა დარბეული სპარსელებისა თუ ოსმალების მიერ. გორის ციხე ზარბაზნებითაც ყოფილა შეიარაღებული. 1474 წლიდან გორი სპარსელების ხელშია, თუმცა მალევე,



სურ. 3.39.4. ციხის კედელი კონტრფორტებით



სურ. 3.39.5. კარიბჭე

ქართლის მეფე კონსტანტინე II-მ (1478/79-1505 წწ.) სხვა ციხეებთან ერთად გორის ციხეც დაიბრუნა. XVI საუკუნეში სპარსეთის სეფიანთა დინასტიის მეორე შაჰმა თამაზმა (1524-1576 წწ.) მეოთხე შემოსევისას (1554 წ.) აიღო იგი, მაგრამ მომდევნო წლებში დაიბრუნა ქართლის მეფე სიმონ I-მა (1556-1569 და 1578-1599წწ.). შემდეგი საუკუნის დასაწყისში ციხეს კვლავ სპარსელები დაეპატრონენ (შაჰ-აბასი), თუმცა მათ მიერ დანიშნულმა გამაჰმადიანებულმა როსტომ მეფემ (ქართლის მეფე 1633-1658, კახეთის მეფე 1648-1656 წწ) ციხე სწრაფად აღადგინა, გაამაგრა და დღეს არსებული ციხის მეტი ნაწილი სწორედ როსტომის დროს არის აგებული. 1633 წელს იტალიელი კრისტოფორო დე კასტელის (1597-1659 წწ.) ნახატის მიხედვით ირკვევა, რომ დღეს არსებული ციხის მეტი ნაწილი სწორედ როსტომისეულია. XVIII საუკუნის დასაწყისში გორის ციხე ოსმალებს ეჭირათ. იგი დაიბრუნა ზემო ქართლის სადროშოს სარდალმა და გორის მოურავმა გივი ამილახვარმა (1689-1754 ან 1757 წწ.). შემდეგ ისევ სპარსელებმა (ნადირ-შახი) დაიპყრეს. XVIII საუკუნის 40-იანი წლების ბოლოს კი დაიბრუნა კახეთისა (1733-1744 წწ.) და ქართლის (1744-1762 წწ.) მეფემ თეიმურაზ II-მ. XIX საუკუნიდან (საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ) გორის ციხემ პრაქტიკულად დაკარგა სტრატეგიული მნიშვნელობა.

ციხეს ოთხი მეტრის სიმაღლისა და ხუთი მეტრის სიგანის, წყლით სავსე თხრილიც ჰქონია შემოვლებული. ციხის კედლები გორაკის რელიეფს მიჰყვება, რის გამოც მას უსწორო ფორმა აქვს. გეგმა დაგრძელებულია აღმოსავლეთ-დასავლეთის ღერძზე. მდინარე ლიახვი წინათ გორაკს აღმოსავლეთის მხარეს ჩაუდიოდა, ეს გამოუყენებიათ მშენებლებს და სიმაგრის კედლები მდინარემდე ჩამოუყვანიათ. გორის ციხის შემორჩენილ ქვედა ყრუ კედლებს გასამაგრებლად სხვადასხვა დროს გარედან მიაშენეს კონტრფორტები (სურ. 3.39.4). დღევანდელი სახე ციხემ 1774 წელს მიიღო, როდესაც იგი საფუძვლიანად შეაკეთა მეფე ერეკლე მეორემ.



სურ. 3.39.6. ციხის კედელი



სურ. 3.39.7. ციხის კედელი


გორის ციხე შედგება ორი ძირითადი ნაწილისგან: ზედა პლატოზე მდებარე ოვალური ფორმის ციტადელისა და დასავლეთის ფერდობზე ნაგები „ცხრაკარასაგან“. ციტადელის სამხრეთით და აღმოსავლეთით დამხმარე გალავნებია. სამხრეთის კედლის შუაში მოთავსებულია გვიანდელი ხანის კამაროვანი ჭიშკარი (სურ. 3.39.5). ციხესიმაგრე ნაგებია რიყისა და ნატეხი ქვით (სურ. 3.39.6; სურ. 3.39.7). ადრინდელ ფენებში თლილი ქვაა ნახმარი. ზოგან აგურიცაა გამოყენებული. გეგმით ოვალურ ციტადელს (180x40 მ; კედლების სიმაღლე შიგნიდან 1-3 მ, გარედან 10 მ-მდე; კედლის სისქე საშუალოდ 2 მ) დასავლეთიდან შედარებით უკეთ შემონახული ნაწილი – „ცხრაკარა“-ს ერთმანეთისაგან 15 მ-ით დაშორიშორებული კედლები ეკვრის (სურ. 3.39.8). იგი ფერდობს ჩაუყვება, მდ. ლიახვისკენ ეშვება და ქვემოთ ნახევარწრედ იკვრება. ციხის ეს



სურ. 3.39.8. „ცხრაკარას“ კედელი

მონაკვეთი შვიდ არათანაბარ ნაწილადაა გაყოფილი, რომლებიც ერთმანეთს საფეხურებიანი გასასვლელებით უკავშირდება (სურ. 3.39.9). ციხის მასიურ კედლებში ჩაშენებული იყო ნახევარწრიული ფორმის კოშკები (სურ. 3.39.10), რომელთა პირველი სართული საცხოვრებლად, ხოლო მეორე და მესამე სართულები საბრძოლველად (გაჭრილი იყო სათოფურები) გამოიყენებოდა.

„ცხრაკარას“ აღმოსავლეთ მონაკვეთში განთავსებული მცირე დარბაზული ტიპის ეკლესია (12,0x7,0 მ) თარიღდება XI-XII საუკუნეებით. ნაგებია თლილი ქვით. გადახურული ყოფილა ცილინდრული კამარით, რომლის საბჯენი თაღი ჩრდილოეთით გრძივი კედლების წყვილ პილასტრებს ეყრდნობოდა. აქვე შემორჩენილია მაღალი დეკორატიული თაღის ფრაგმენტები. ციხეს ჰქონდა მდ. ლიახვზე ჩასასვლელი გვირაბი წყლის ამოსაზიდად და წყალსაცავი.



სურ. 3.39.9. ციხის გასასვლელები



სურ. 3.39.10. ციხის კედლის კოშკი

3.40. გორიჯვარი (გორიჯვრის წმინდა გიორგის სახელობის სალოცავი) (ინგლ. Goridzvari) – ქართული ხუროთმოძღვრების მნიშვნელოვანი ძეგლი, ქალაქ გორის პირისპირ, თრიალეთის მთებსა და მტკვრის სანაპიროზე, ამოზიდულ მთის წვერზე მდებარე ძველისძველი ტაძარი (სურ. 3.40.1; სურ. 3.40.2).



სურ. 3.40.1. პანორამული ხედი




სურ. 3.40.2. საერთო ხედი

გადმოცემის თანახმად, გორიჯვრის მონასტერი აგებულია IV საუკუნეში და მის საძირკველში წმინდა გიორგის თავის ქალა განისვენებდა. გორიჯვარი ცნობილია საკურთხევლის ხის ჯვრით, რომელიც IV საუკუნის დასაწყისში მთის წვერზე აღუმართავთ. ჯვრის სიგრძე 188 სმ-ია, სიგანე 94 სმ. შეძერწილია ვერცხლის ოქროცურვილი ფირფიტებით, რომლებზეც ჭედური სურათებია (სურ. 3.40.3). ჯვარს აქვს საბურავი (ქუდი), რომელიც შექმნილია XIII საუკუ-

ნეში. ჯვრის ცენტრალური ხატება ეძღვნება იესო ქრისტეს ჯვარცმას, ხოლო დანარჩენ ნაწილებზე გამოხატულია წმინდა გიორგის ცხოვრებისა და წამების კომპოზიციები. თითოეულს თან ახლავს მოკლე განმარტებები ასომთავრული წარწერებით. ჯვარზე კიდევ 14 კომპოზიციაა. ეს ჯვარი წმინდა ნინოს სახელს უკავშირდება. წმინდა ნინოს დიდი მონდომებით სამი ხის ჯვარი აღიმართა მცხეთას, თხოთის მთაზე და უჯარმას; ამ ჯვრების მონარჩენი ნაჭრებიდან კი შეიქმნა გორიჯვრის ჯვარი. საქართველოს მეფე ალექსანდრე პირველმა (მეფობდა 1411-1442 წწ.) გორიჯვრის ხის ჯვარი ვერცხლის ფირფიტებით შეამკობინა. ჯვარი ამჟამად საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმშია დაცული. გორიჯვრის აღდგენილ ეკლესიაში კი ამ ჯვრის გალვანური პირია მოთავსებული.

ისტორიული მასალების თანახმად, გორიჯვარზე ორი სალოცავი მდგარა, რომელთაგან ერთი VIII-IX საუკუნის ნაგებობა იყო. მეორე კი – გვიანი ხანის ნაგებობას წარმოადგენდა (დასტურდება არქეოლოგიური გათხრების შედეგად). 1920 წლის მიწისძვრამ პრაქტიკულად მთლიანად დაანგრია გორიჯვარი და 1978-1988 წლებში მოხდა მონასტრის ტაძრის, სამრეკლოსა (სურ. 3.40.4) და გალავნის აღდგენა დღევანდელი სახით. ტაძრის მოხატულობა ეკუთვნის მხატვარ ნოდარ აბრამიშვილს.



სურ. 3.40.3. გორიჯვრის ჯვარი



სურ. 3.40.4. სამრეკლო

3.41. გეგუთის ციხე-დარბაზი (გეგუთის სასახლე) (ინგლ. Geguti Royal Palace; Geguti Palace) – ფეოდალური ხანის საქართველოს საერო არქიტექტურის VIII საუკუნის ძეგლი (სურ. 3.41.1 – სურ. 3.41.4). მდებარეობს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, სოფელ გეგუთში, ქ. ქუთაისის სამხრეთით, მე-7 კმ-ზე, რიონის ნაპირას. ნანგრევებს 2000 მ^2-ზე მეტი ფართობი უჭირავს. 1953-1956 წლებში სარესტავრაციო-კვლევით სამუშაოთა შედეგად, შესაძლებელი გახდა სასახლის ხუროთმოძღვრული ფორმების დადგენა. ციხე-დარბაზში რამდენიმე სამშენებლო ფენა გამოირჩევა. ყველაზე ადრინდელი ნაწილი (VIII-IX საუკ.) გეგმით მარტივი, ერთოთახიანი, დიდ-




სურ. 3.41.1. სასახლის ნანგრევების საერთო ხედი

ბუხრიანი ე.წ. ზამთრის "სანადირო სასახლეა" (სურ. 3.41.5). მოგვიანებით, იგი მრავალ ფუნქციას ასრულებდა.

აგურით ნაგები ოთხიარუსიანი მეფეთა სადგომი აღმართული იყო ქვით ნაგებ სამმეტრიან ცოკოლზე (XII ს.). მთავარ ნაწილს წარმოადგენდა 14 მ-იანი გუმბათით დაგვირგვინებული ოთხმკლავიანი დარბაზი, რომლის ირგვლივ საცხოვრებელი და სამეურნეო დანიშნულების სათავსები (საწოლი ოთახი, სალარო, საგანძური, აბანო და სხვ.) იყო განლაგებული. ნაგებობას გარედან ეკვროდა კედლებიდან გამოწეული მასიური ბურჯები. XIII–XIV საუკუნეებს განეკუთვნება მთავარი ნაგებობის დასავლეთით მდებარე შენობა და სასახლის ეკლესია. გადმოცემის თანახმად, გეგუთი თამარ მეფის საზაფხულო რეზიდენციას წარმოადგენდა.



სურ. 3.41.2. სასახლის ნანგრევების საერთო ხედი



სურ. 3.41.3. სასახლის ნანგრევების ფრაგმენტი



სურ. 3.41.4. სასახლის ნანგრევების ფრაგმენტი



სურ. 3.41.5. „სანადირო სასახლის“ ესკიზი

3.42. ზედაზნის მონასტერი (ინგლ. Zedazeni Monastery) – ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, სამონასტრო კომპლექსი. მდებარეობს შიდა ქართლის მხარეში, მცხეთის მუნიციპალიტეტში, ხშირი ტყით დაფარულ ზედაზნის მთის კენწეროზე (ზღ. დ. 1390 მ), საგურამოს სამხრეთით ექვს კილომეტრზე (სურ. 3.42.1). კომპლექსში შემავალი ნაგებობებია: იოანე ნათლისმცემლის ეკლესია, ციხე-გალავანი და კლდეში ნაკვეთი სენაკები.

ზედაზნის მთის სახელწოდება დაკავშირებულია ოდესღაც აქ აღმართული ზადენის კერპის სახელთან [ამ პერიოდში ქართველები თაყვანს სცემდნენ ქართლის დიდ ღმერთებს – არმაზს, ზადენს, გაცსა და გაიმს (იხ. ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრება“)]. ისტორიული ცნობებით, ზედაზნის მთაზე ჯერ კიდევ II საუკუნის დასაწყისში (109 წელს) მდგარა ციხესიმაგრე (არ შემორჩენილა). VI საუკუნის შუა წლებში სირიიდან სამშობლოში დაბრუნებულმა ქართველთა საეკლესიო მოღვაწეთა ჯგუფის, ე.წ. ასურელთა მამების, მეთაურმა იოანემ ზედაზენზე შეარჩია ადგილი წმინდა ეკლესიისათვის, სადაც გარდაცვალების შემდეგ საგანგებოდ აუშენეს ეგვტერი და იქ დაკრძალეს.

VIII საუკუნის მესამე მეოთხედში კათოლიკოსმა კლემენტოსმა აქ ააგო სამნავიანი ბაზილიკა და იოანეს ეგვტერი მასში ჩართო, როგორც ბაზილიკის ჩრდილოეთ ნავის შემადგენელი ნაწილი. წინამძღვარ გაბრიელის დროს, IX საუკუნის პირველ ნახევარში, აშენდა ბაზილიკის კარიბჭე, მიქაელის დროს – სადიაკვნე. ზედაზნის ციხე და მონასტერი XI საუკუნემდე კახეთის სამეფოს მისადგომებს იცავდა. 1101 წელს მეფე დავით აღმაშენებელმა ზედაზნის ციხეში თავშეფარებული თურქ-სელჩუკთა და კახეთის მეფის კვირიკეს ლაშქარი დაამარცხა და ციხე თავის თანამებრძოლს ნიანია ბაკურიანს გადასცა. 1479 წლიდან ზედაზნის მონასტე-




სურ. 3.42.1. ადგილმდებარეობის რუკა




სურ. 3.42.2. იოანე ნათლისმცემლის ეკლესია

რი ზედგინიძე-გურამიშვილების მფლობელობაშია. XVIII საუკუნეში აიგო სამრეკლო და ბერების საცხოვრებელი სენაკი. 1889 წელს ეკლესია შეაკეთა გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა ალექსანდრემ. 1970-1971 წლებში მონასტერს ჩაუტარდა აღდგენითი, სარესტავრაციო და კეთილმოწყობის სამუშაოები, მათ შორის გაიხსნა იოანე ზედაზნელის საფლავი და დაედვა ახალი ქვა.



სურ. 3.42.3. რელიეფი



სურ. 3.42.4. კარიბჭე სამრეკლოთი



სურ. 3.42.5. რელიეფი

ნათლისმცემლის ეკლესია სამნავიანი ბაზილიკაა (სურ. 3.42.2). ნაგებია რიყისა და ნატეხი ქვით; გამოყენებულია აგური და შირიმი. ეკლესია გეგმით თითქმის კვადრატულია (13,5x13,4 მ). შესასვლელი ორი აქვს, სამხრეთისა კარიბჭიანი, დასავლეთისა კი XIX საუკუნეშია გაჭრილი. შუა ნავი ვიწრო და მაღალია, აქვს ნახევარწრიული ღრმა აფსიდა. მის კედელს ეკლესიის მსახურთა დასაჯდომი გასდევს. ჩრდილოეთის ნავი გრძელი და დაბალია. მისი აღმოსავლეთი ნაწილი დარბაზული ეკლესიაა, რომელიც ნაგებია ქვიშაქვითა და შირიმის თლილი კვადრებით. სამხრეთის ნავის აღმოსავლეთ ნაწილში სამკვეთლო და სადიაკვნეა.

ეკლესიაში შემორჩენილია ფეოდალური ხანის მოხატულობის ძლიერ დაზიანებული ფრაგმენტები. არის რელიეფური ორნამენტებიც (სურ. 3.42.3) ეკლესიას სამხრეთიდან თლი-

ლი ქვით მოპირკეთებული XVIII საუკუნის კვადრატული კარიბჭე ეკვრის, რომელზეც აგურით ნაგები, ოთხმხრივ თაღოვანი სარკმლებით გახსნილი, სამრეკლოს რვაწახნაგა ფანჩატური დგას (სურ. 3.42.4). თაღები ნახევრადწრიულია და მართკუთხა ჩარჩოებშია ჩასმული. 1956 წელს იოანე ზედაზნელის საფლავის გახსნისას საფლავის საბურველში აღმოაჩინეს მონაცისფრო ტუფის ქვა რელიეფური გამოსახულებით (სურ. 3.42.5), რომელშიც გამოხატულია ადრექრისტიანული ხელოვნების დამახასიათებელი ნიშნები.

ციხე-გალავანი (28x134,5 მ) (სურ. 3.42.6) ძირითადად XVII საუკუნით თარიღდება (ზოგიერთი ნაწილი განვითარებულ ფეოდალურ ხანას მიეკუთვნება). ნაგებია რიყის ქვით. გამოყენებულია თლილი კვადრები და აგური. ეკლესიის ჩრდილო-დასავლეთ მხარეს კოშკითა ბურჯით შექმნილი ვიწრო შესასვლელია. გალავნის ჩრდილო-დასავლეთის კუთხეში გეგმით უწესო მართკუთხედის ფორმის კოშკია. გალავნის კედლებს გარედან იჭერდა ნახევარწრიული კონტრფორტები. მონასტრის აღმოსავლეთ ნაწილში შემორჩენილია ციტადელის კვალი.



სურ. 3.42.6. გალავანი

სენაკები გამოკვეთილია ციცაბო მთის ფერდში, ნათლისმცემლის ეკლესიის სამხრეთ-აღმოსავლეთით, თარიღდება ფეოდალური ხანით. სენაკებთან მისვლა ვიწრო ბილიკებით შეიძლება. თითოელი სენაკის საფასადო კედლის ქვედა ნაწილი რიყის ქვით არის ნაგები, ზედა – აგურით.

3.43. ხანძთა – VIII-X საუკუნეების ქართული მონასტერი თურქეთში, ართვინის პროვინციაში, ისტორიულ კლარჯეთში, ართვინის აღმოსავლეთით 40 კმ-ში, ისტორიულ სოფელ ხანძთაში (სურ. 3.43.1). კომპლექსში შემავალი ნაგებობებია: გუმბათიანი ეკლესია, სამრეკლო, სატრაპეზო, სამლოცველო, წყარო, პატარა დარბაზული სამლოცველო.



სურ. 3.43.1. ადგილმდებარეობის რუკა


მონასტერი დაახლოებით 782 წელს დაარსა ცნობილმა ქართველმა სასულიერო მოღვაწემ გრიგოლ ხანძთელმა. გადმოცემით, VII საუკუნის დასასრულს აქ ხის ეკლესია აუგიათ, შემდეგ კი ადგილობრივი ფეოდალის გაბრიელ დაფანჩულის მატერიალური დახმარებით დაიწყო ქვის ტაძრის მშენებლობა (ხუროთმოძღვარი ამონა). 918 წელს ერისთავთერისთავმა აშოტ კუხმა დიდი სახსრები გამოუყო მშენებლობას, რომელიც 941 წელს დაასრულა ერისთავთერისთავმა გურგენ IV-მ. საბოლოოდ, ხანძთის მთავარი რიგით მესამე ეკლესიის აგება დასრულდა 918-941 წლებში და საუკუნეების განმავლობაში მნიშვნელოვანი კულტურულ-საგანმანათლებლო კერა იყო. მთავარი ეკლესიის მშენებლობა დაწვრილებით აქვს აღწერილი გიორგი მერჩულეს.

მთავარი ეკლესია – მთავარმოწამის გიორგის სახელზე აგებული გუმბათიანი ტაძარი, დღემდე შემოინახა, თუმცა ძლიერ დაზიანებულია (სურ. 3.43.2). ტაძარი ერთ-ერთი ყველაზე სრულად დაფიქსირებული ქართული ძეგლია თურქეთის ტერიტორიაზე. იგი ყველაზე დიდი და მაღალი შენობაა ართვინის პროვინციაში. გეგმით მართკუთხედის ფორმის (სურ. 3.43.3) ტაძრის ზომებია 12×18 მ. მისი ფასადები გამოირჩევა კარგად დამუშავებული ქვის ზედაპირით, ხოლო ნაგებობის სივრცითი პროპორციები, ნახევრადდანგრეულ მდგომარეობაშიც კი, არქიტექტურულად შესანიშნავ შთაბეჭდილებას ტოვებს მნახველზე. ძეგლი გამორჩეულია

მშენებლობის ხარისხითა და ტიპოლოგიური აგებულებით. იგი ჩახაზული ჯვრის ტიპის ნაგებობაა. სადა, რელიეფებითა და ორნამენტაციისგან თავისუფალი ტაძრის მხატვრულ ეფექტს მისი გუმბათი ქმნის (სურ. 3.43.4). გუმბათის თორმეტწახნაგა ყელს ყოველი წახნაგის კიდეში აღმართული და შეწყვილებულ ლილვებზე გადასროლილი უწყვეტი თაღნარი მიუყვება. გუმბათის ყელში ოთხი სარკმელია. გუმბათი ნახევრადგაშლილი ქოლგის მსგავსი კონუსითაა დახურული, შესაბასად, ყოველი წახნაგის თავზე პატარა და მაღალი ფრონტონები იქმნება. სწორედ ეს, რიტმული და საზეიმო განწყობის გუმბათი ქმნის ხანძთის მთავარ ეფექტს. ჯვარედინად განლაგებული მკლავებიდან დასავლეთისა შედარებით დაგრძელებულია, როგორც ეს კლარჯული არქიტექტურისათვის იყო დამახასიათებელი; ერთი წყვილი მართკუთხა და შედარებით დაბალი სვეტების საშუალებით მკლავი სამ ნავად იყოფა. გუმბათქვეშა კვადრატიდან გუმბათის წახნაგებზე გადასვლა ტრომპების სამი მწკრივის საშუალებით ხდება. ტაძარი კარგად გათლილი და სწორ რიგებად დაწყობილი ქვის პერანგითაა შემოსილი ისე, რომ ექსტერიერში დუღაბი არსად არ მოსჩანს. ტაძრის აღმოსავლეთი აფსიდის წინ მოზრდილი ბემაა. საკურთხევლის ორივე მხარეს კი ორი ერთნაირი უაფსიდო დამატებითი სათავსებია, რომლებიც თითო კარით შესაბამის განივ მკლავებს უკავშირდება. ნაგებობის უმაღლესი დონის სამშენებლო ხარისხი, რომელიც მხოლოდ იმხანად იკიდებდა ფეხს, X–ის მეორე ნახევარში უკვე სახეზეა. კლარჯეთის არქიტექტურა, განსხვავებით მეზობელი ტაოს არქიტექტურისგან, სადაც უხვადაა ფიგურული თუ ორნამენტული რელიეფები, უფრო სადა და ასკეტურია. რელიეფები არ არის, ერთადერთი ჯვარი, რომელიც მხოლოდ წითელი ქვითაა გამოყვანილი და არ გააჩნია არანაირი ორნამენტაცია, აღმოსავლეთი ფასადის ფრონტონის ქვეშ სარკმლის თავზე იყო ჩასმული.



სურ. 3.43.2. საერთო ხედი



გეგმა სურ. 3.43.3.



სურ. 3.43.4. მთავარი ტაძრის გუმბათი



სურ. 3.43.5. ინტერიერი

ტაძრის ინტერიერი (სურ. 3.43.5) გამოირჩევა დეტალების დახვეწილი დამუშავებითა და სისადავით. გაწყობილია მრგვალი ფორმის შვეული ლილვებითა და პილასტრებით. კედლე-

ბის უხეში წყობა, როგორც ჩანს, თავიდან შელესილი იყო, რასაც ადასტურებს ზოგ ადგილას შემორჩენილი ბათქაშის ფრაგმენტები და კედლის მხატვრობის ნაშთი.

ეკლესიის დასავლეთით დგას XVI საუკუნეში აგებული, კარგად შემონახული, ორიარუსიანი სამრეკლოს შენობა. ქვედა იარუსი კუბურია, შიგნიდან კამაროვანი. შესასვლელი დასავლეთიდანაა. მეორე სართული წარმოადგენს თექვსმეტწახნაგოვან ფანჩატურს (სურ. 3.43.6). სამრეკლოს ფასადები შემკულია ლილვებით და მოპირკეთებულია კარგად თლილი ქვით. სამრეკლოს კედლებზე შემორჩა ოთხი წარწერა, რომლებშიც იხსენიებიან სამრეკლოს მშენებლობის ქტიტორი მარკოზი, ხანძთის მონასტრის დეკანოზი ანტონი და კალატოზები აბესალმა კლდელი (ჩანს უფროსი კალატოზი), ქმირი, ყაზანი და მსახურა (სურ. 3.43.7).



სურ. 3.43.6. სამრეკლოს



სურ. 3.43.7. სამრეკლოს კედელის წარწერა



სურ. 3.43.8. წყაროზე დაშენებული სამლოცველო

კომპლექსის ყველაზე ადრეულ ნაგებობებს, მიეკუთვნება უხეშად დამუშავებული ქვებით ნაგები სატრაპეზო, რომელმაც ალბათ პირველი ხის სატრაპეზო შეცვალა. ეკლესიასა და სატრაპეზოს შორის ჩაშენებულია მცირე ზომის სამლოცველო. მონასტრის გალავნის გარეთ არის არქიტექტურულად გაფორმებული წყარო, მასზე ქვის ლოდებით დაშენებული მასიური პატარა დარბაზული სამლოცველოთი(სურ. 3.43.8), რომელსც ამჟამად გადახურვა და კედლების ზედა ნაწილები მონგრეული აქვს.

ხანძთის მონასტერში სხვადასხვა დროს მოღვაწეობდნენ: არსენ დიდი, ეფრემ მაწყვერელი, მაკარი ლეთელი, გიორგი მერჩულე („გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ავტორი), მოსე ხანძთელი (XI ს.), სტეფანე დიაკონი, ბერი საბა, ეპისკოპოსი თევდორე, მოსე ხუცესი (XII-XIII სს.) და სხვა ქართველი მამულიშვილები. ხანძთის მონასტრის წარმომავლობის, ხუროთმოძღვრებისა და ისტორიის კვლევაში დიდი წვლილი მიუძღვით ქართველ მეცნიერებს ა. ქუთათელაძეს, ე. თაყაიშვილს, ნ. მარს, ვ. ჯობაძეს, დ. ხოშტარიას, გ. კალანდიას, პ. ინგოროყვას, ლ. მენაბდეს, ნ. შოშიაშვილს.

3.44. გურჯაანის ყველაწმინდის ტაძარი – VIII-IX საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების გამორჩეული ძეგლი, საქართველოში ერთადერთი ორ გუმბათოვანი ტაძარი (სურ. 3.44.1). მდებარეობს გურჯაანის მუნიციპალიტეტში, სოფ. გურჯაანის მახლობლად, ტყეში, ქ. გურჯაანიდან ორი კმ-ის დაშორებით. ტაძარი ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძირების სამონასტრო კომპლექსის მთავარი ნაგებობაა. საკმაოდ რთული აგებულების ტაძარი, შიდა სივრცის გადაწყვეტის მიხედვით, სამნავიანი ბაზილიკაა, მაგრამ გუმბათოვანი გადახურვა აქვს, თანაც ტაძარს ერთის ნაცვლად ორი ადგას, რაც მას მკვეთრად გამოარჩევს



სურ. 3.44.1. საერთო ხედი

სხვა ქართული ძეგლებისგან. ტაძრის ასაგებად გამოყენებულია სამი ტიპის საშენი მასალა: რიყის ქვა, შირიმი და კვადრატული აგური. გვხვდება საგანგებო ფორმის აგურებიც სვეტისთავებისა და სხვა სპეციფიკური დეტალებისათვის. ნავებიცა და გუმბათებიც დახურულია ღარისებრი კრამიტით. ტაძრის ინტერიერი სამ ნავად იყოფა. შუა, მაღალი ნავი ორფერდა სახურავითაა გადახურული, ნალისებრი აფსიდით სრულდება და სამი კვადრატისგან შედგება. პირველსა და მესამე კვადრატებზე ამოყვანილია რვაწახნაგა გუმბათები ტრომპების მეშვეობით. დასავლეთი გუმბათი ოდნავ მაღალი და განიერია, ვიდრე აღმოსავლეთი. ნალისებრი აფსიდის გვერდით საკურთხევლის დამხმარე სათავსებია – სამკვეთლო (ჩრდილოეთით) და სადიაკვნე (სამხრეთით). მთავარ ნავს სამხრეთსა და ჩრდილოეთიდან ეკვრის კამარებით გადახურული ორი გვერდითი ნავი, რომლებიც ერთმანეთს თავიანთივე სიგანის ნავით უკავშირდებიან დასავლეთის მხრიდან. სამივე ნავი ორსართულიანია, აღმოსავლეთ ბოლოებში დამატებითი სამლოცველოა ეკვდერებით, ხოლო დასავლეთი ნაწილი სამ იარუსად განლაგებული თაღებით იხსნება და წარმოქმნის პატრონიკეს, ანუ საგანგებო ადგილს საზოგადოების მაღალი წრის წარმომადგენლებისთვის ლიტურგიის მოსასმენად (სურ. 3.44.2).



სურ. 3.44.2. პატრონიკე

3.45. ვანის ქვაბები (ვაჰანის ქვაბები) (ინგლ. Vanis Kvabebi) – გამოქვაბულების კომპლექსი, უდაბნო-მონასტერი, VIII-XVI საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრებისა და კულტურის ძეგლი ისტორიულ ჯავახეთში, ასპინძის მუნიციპალიტეტში (ასპინძიდან 27 კმ დაშორებით), მდინარე მტკვრის ზემო დინებაში, მის მარჯვენა ნაპირზე (სურ. 3.45.1 – სურ. 3.45.3). ვანის ქვაბების კლდეში ნაკვეთი 200-მდე გამოქვაბული 16 სართულადაა განლაგებული. სამონასტრო კომპლექსში შედის კლდეში ნაკვეთი სადგომები, ქვაბები და სამეურნეო დანიშნულების სათავსები, ეგვტერ-სამარხები, საძვალე, თავშესაფარი, სამიმოსვლო გვირაბები და 6 ეკლესია. შემორჩენილია წყალსადენის 3 ტრასისა და წყალსაცავის ნაშთი, მხატვრობის ფრაგმენტები და ისტორიული ხასიათის მნიშვნელოვანი წარწერები. ოვალური კლდის უბეში ტერასულად განლაგებული ქვითკირის ზღუდით გამაგრებული სენაკები მონასტრის წინ ჩაკეტილ შიგა ეზოს ჰქმნის. კომპლექსის ცენტრია წმ. გიორგის სახელობის გუმბათოვანი ტაძარი მოჩუქურთმებული ქვითკირის კარიბჭით და ორსართულიანი სამარხი ეგვტერით. კარიბჭის ქვეშ ქვაბსაძვალეა. აქვე აღმოჩნდა კანკელის მოჩუქურთმებული დეტალები და კარიბჭესთან შერწყმული სამრეკლოს ორნამენტიანი ქვები. კარიბჭესთან ჩრდილოეთით, იმავე ტერასაზე, ქვითკირის დარბაზული ეკლესიაა, ხოლო ქვემოთ, ანსამბლის მარცხენა ფრთის ტერასებზე, 3 სართულად განლაგებულია ქვაბსამარხი და ქვის სახლები. არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილია რვაქვევრიანი მარანი, მოჭიქული კერამიკული ჭურჭლის დასამზადებელი სახელოსნო, სამეურნეო დანიშნულების ნაგებობა, კლდეში ნაკვეთი საწნახლით და მცირე წყალსადენი ტრასით, ქვით ნაშენი ორი სახლი და სხვ. ქვითკირის ზღუდის გარეთ, ტერასაზე გამოვლინდა ოვალური კოშკი, რომელიც რთული თავდაცვითი ნაგებობის ნაწილს შეადგენდა და ზღუდის მისადგომებს იცავდა.



სურ. 3.45.1. საერთო ხედი



სურ. 3.45.2. საერთო ხედი



სურ. 3.45.3. საერთო ხედი

IX-XI სს. ვანის ქვაბების ცენტრში წმ. გიორგის ტაძარი (სურ. 3.45.4) და ქვაბ-სენაკების ახალი ჯგუფები გამოკვეთეს. 1089 წელს ძლიერი მიწისძვრის შედეგად ვანის ქვაბების ცენტრალური ნაწილი ტაძრიანად დაინგრა. XII საუკუნის მანძილზე, 1191 წლამდე ვანის ქვაბები გურგენისძეთა ფეოდალური სახლის საგვარეულო მონასტერია. 1191-1204 წლებში ვანის ქვაბები მეფის ხელშია. თამარის მეფობის ხანაში (1184-1213) დაიწყო ვანის ქვაბების რეკონსტრუქცია. 1186-1191 წლებში მონასტრის პატრონმა იჩქით გურგენისძემ განაახლა მონასტერი, აღადგინა და ძვირფასი ხატებით შეამკო წმ. გიორგის ტაძარი; მის გვერდით ადრე ააგო საგვარეულო ეგვტერი და ორივე შესასვლელში თავისი მოღვაწეობის ამსახველი წარწერა გაუკეთა. მწიგნობართუხუცესმა ანტონ ჭყონდიდელმა 1204 წელს აღადგინა ძველი ქვითკირის ზღუდე.1204-1283 წლებში ვანის ქვაბებს თმოგველთა ფეოდალური საგვარეულო ფლობდა. 1265-1283 წლებში ააშენეს წმ. გიორგის ტაძრის კარიბჭე, სამრეკლო და დარბაზული ეკლესია. 1283 წლის მიწისძვრის შედეგად ვანის ქვაბები კვლავ დაინგრა. XIV-XVI საუკუნეებში აქ კვლავ გამოცოცხლდა სამონასტრო ცხოვრება. 1551 წელს სპარსელებმა, ხოლო 1576 წელს ოსმალებმა აიღეს და დაარბიეს, რის შემდეგაც იგი გაუკაცრიელდა.



სურ. 3.45.4. წმინდა გიორგის ტაძარი

სამონასტრო ანსამბლში სამონაზვნო სენაკებს შორის დაცულია უდაბნოსათვის დამახასიათებელი უძველესი სამყოფი ქვაბები და შემდეგდროინდელი სამონასტრო ცხოვრების შესაფერი კლდის საცხოვრებლები სამეურნეო დამხმარე სადგომები. ვანის ქვაბების ხუროთმოძღვრებაში მკვეთრად ჩანს კლდეში ნაკვეთ ადრეულ ქვაბთა თავისებურებანი; ამავე დროს იგი კლდის არქიტექტურის შუალედური ძეგლია, რომელმაც XII-XIII საუკუნეებში კლდეში ნაკვეთი ქალაქის – ვარძიის ხუროთმოძღვრული ფორმების ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი.

3.46. შორეთის მონასტერი (ინგლ. Shoreti Monastery) – VIII-IX საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, უძველესი სამონასტრო კომპლექსი სამხრეთ საქართველოში, ასპინძის მუნიციპალიტეტში, ოთხი ისტორიული პროვინციის – სამცხის, ჯავახეთის, თორისა და თრიალეთის საზღვარზე, ასპინძისხევში, დაბა ასპინძიდან 11 კილომეტრში. კომპლექსში შედის: მთავარი ტაძარი, კარიბჭე, სამრეკლო, სკრიპტორიუმი, მცირე სამლოცველოიანი ციხე, კლდეში ნაკვეთი სენაკები და მართკუთხა ნაგებობები. რომელთაგან მხოლოდ ნანგრევებია შემორჩენილი.

მთავარი ტაძარი (სურ. 3.46.1), სავარაუდოდ, VI-VII საუკუნეების ქრისტიანული ეკლესიის ნაშთებზეა აგებული VIII საუკუნეში, რასაც მოწმობს საძვალეებისა და სატრაპეზოს კედლების

წყობა და საკურთხევლის ქვეშ კარში ჩაშენებული ქვის სვეტი სტილიზებული ჯვრით. XII-XIII საუკუნეებში მიწისძვრითა და მტერთა შემოსევების შედეგად დაქცეული ტაძარი გააფართოეს და გადააკეთეს მონასტრად – სამხრეთის და დასავლეთის მხრიდან მიაშენეს მცირე ეკლესია და სკრიპტორიუმი. XIV-XV საუკუნეებში მიაშენეს კარიბჭე, საძვალეზე დააშენეს ეკლესია და სამრეკლო.



სურ. 3.46.1. საერთო ხედი

ორსართულიანი ტაძრის ძირითადი ნაწილი (II სართული) შიგნით ჯვაროვან სივრცეს ქმნის. ეს არის გეგმით წაგრძელებული დარბაზი. I სართულს სამხრეთით აქვს კარიბჭე, რომელიც XV საუკუნეში სამხრეთი მიმართულებით გაუდიდებიათ და ზედ ცხრათაღიანი სამრეკლო დაუდგამთ (სურ. 3.46.2) სამრეკლოს ორივე სართული ქვიშისფერი თლილი ქვითაა ნაგები. სამხრეთ ფასადზე სამი თაღით შექმნილი კომპოზიციაა, რომელიც წარმოადგენს რვაწახნაგა ბოძზე დაყრდნობილი ორი თაღოვანი მალით შექმნილ შესასვლელს, რომლის ზემოთ მესამე თაღია. თაღები ჩუქურთმებითაა დამშვენებული. საინტერესო ისტორიული ფაქტია ის, რომ შორეთის მონასტერში (სკრიპტორიუმში) თამარ მეფის მიერ ჰრომანის მონასტერში შეკვეთილი, ივერონში დაცული გიორგი ათონელის (მთაწმინდელის) ეტალონური თარგმანიდან საგანგებოდ გადმოღებული „ვანის ოთხთავი“ იქნა გადაწერილი და სათანადოდ შემკული მინიატურებითა და ჭედურობით.



სურ. 3.46.2. კარიბჭე სამრეკლოთი



სურ. 3.46.3. ბოლნური ჯვარი სამხრეთი კედლის შესასვლელის ზღუდარის ქვაზე



სურ. 3.46.4. სამრეკლოს ფრაგმენტი

სამონასტრო კომპლექსის ნაგებობები შემკული ყოფილა ძვირფასი ჩუქურთმებით (სურ. 3.46.3; სურ. 3.46.4) უნიკალური მოზაიკით (რაც იშვიათი მოვლენაა ფეოდალური ხანის საქართველოს ძეგლებისათვის), წარწერებით, ფრესკებითა და სხვა არქიტექტურული დეტალებით. ამჟამად მიმდინარეობს შორეთის სამონასტრო კომპლექსის აღდგენითი სამუშაოები.

IX საუკუნე

3.47. უბისა (უბისის სამონასტრო კომპლექსი) (ინგლ. Ubisa Monastery) – IX-XII საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების მნიშვნელოვანი ძეგლი, წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი და სამონასტრო კომპლექსი (სურ. 3.47.1; სურ. 3.47.2). მდებარეობს იმერეთში, ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, ქ. ზესტაფონიდან აღმოსავლეთით 15 კმ-ის დაშორებით, სოფელ უბისას ჩრდილო-აღმოსავლეთით (სურ. 3.47.3). კომპლექსში შემავალი ნაგებობებია: წმინდა გიორგის ეკლესია მინაშენებით, კოშკი ("უბისის სვეტი"), კარიბჭე და ახალი გალავანი.



სურ. 3.47.1. საერთო ხედი



სურ. 3.47.2. საერთო ხედი

უბისის სამონასტრო კომპლექსის მშენებლობას საფუძველი ჩაეყარა IX საუკუნეში და იგი ცნობილი მწიგნობრისა და საეკლესიო მოღვაწის გრიგოლ ხანძთელის სახელთანაა დაკავშირებული, რომელმაც აფხაზთა მეფის მოწადინებით, მშენებლობის ადგილად უბისა შეარჩია. 1141 წელს, საქართველოს მეფე დიმიტრი I-ის დროს, მონასტერი განახლდა, ხოლო გვიან შუა საუკუნეებში (XIV ს.) წმ. გიორგის სახელობის მთავარი ტაძარი უნიკალური ფრესკებით შეიმკო. XVI-XIX საუკუნეებში უბისას სამონასტრო კომპლექსის მოვლისა და განახლების ეტაპი დაკავშირებულია იმერეთის მთავრების – აბაშიძეების მოღვაწეობასთან.



სურ. 3.47.3. ადგილმდებარეობის რუკა



სურ. 3.47.4 წმინდა გიორგის ეკლესია

კომპლექსის გალავნის ცენტრში აღმართული მთავარი ნაგებობაა წმინდა გიორგის სახელობის დარბაზული ეკლესია (სურ. 3.47.4), რომელსაც გეგმაში მართკუთხა ფორმა აქვს მინაშენებით სამხრეთიდან, დასავლეთიდან და ჩრდილოეთიდან. შირიმის ქვით ნაგები ეკლესიის კედლები სადაა გადაწყვეტილი, რაც კომპლექსის მშენებლობის ეპოქის დამახასიათებელი ნიშანია. კარგად თლილი მოყვითალო ქვების წყობა ზუსტი და სიმეტრიულია. ეკვდერები უშუალოდ ტაძარზეა შემოყოლებული და სამეკლესიანი ბაზილიკის ტიპის ნაგებობის შესახედაობას ანიჭებს მას. ჩრდილო ეგვტერი თავისი შესასვლელით უშუალოდ ეკლესიასთან არის დაკავშირებული, ხოლო სამხრეთ ეკვდერში დამოუკიდებელი კარით შეიძლება მოხვედრა. თავად ტაძარი მაღალია, მინაშენები კი მასზე ბევრად დაბალი. შიდა დანაწევრებული სივრცე შექმნილია პილასტრებზე დაყრდნობილი თაღედით. აღმოსავთის ფასადი შემკულია ლომის ბრტყელი რელიეფური გამოსახულებიანი ჩადგმული ფილით. სამხრეთის ეკვდერის სარკმლის თავსართი გამშვენებულია სადა, ქვაზე ამოტვიფრული, ბადისებრი ნაქარგობის მსგავსი ჩუქურთმით (სურ. 3.47.5).



სურ. 3.47.5. სამხრეთის ეკვდერის სარკმლის თავსართის რელიეფი



სურ. 3.47.6. ფრესკა „ხარება“

უბისის ტაძრის მხატვრობამ ქართული ფერწერული სკოლის უნიკალური ნიმუშები შემოგვინახა. იგი XIV საუკუნეშია შესრულებული და მხატვარ დამიანესა და მის მოსწავლეს გერასიმეს ეკუთვნის. ამაზე მეტყველებს ერთ-ერთი კომპოზიციის („საიდუმლო სერობა“) ქვედა ნაწილში შემორჩენილი წარწერა (შ. ამირანაშვილი, ვ. ბერიძე). ტაძრის ფრესკულ ბაში ლია რეალისტური ახალი სტილი, მიმართულება. წმინდანთა სახის ტაში რაფიული მეთოდი ადგილს უთმობს უფრო ცხოვრებისეულ მანერას, პეიზაჟი უფრო ემსგავსება ნამდვილს. მოხატულობაში წარმოდგენილია ყველა საუფლო დღესასწაულის კომპოზიციები: ხარება (სურ. 3.47.6), ბზობა, ჯვარცმა, აღდგომა, ნათლისღება, მამა ყოვლისმპყრობელი (სურ. 3.47.7) და სხვ. ფრესკებს შორის გამოირჩევა „უბისის წმინდა გიორგის ფრესკა“ (სურ. 3.47.8) და „საიდუმლო სერობა“ (სურ. 3.47.9). გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ უბისას ტაძრის ფრესკები ქართული საეკლესიო მხატვრობისა და კულტურის ფასდაუდებელი ნიმუშია.



სურ. 3.47.7. ფრესკა „მამა ყოვლისმპყრობელი“




სურ. 3.47.8. უბისის „წმინდა გიორგის ფრესკა“

სამონასტრო კომპლექსში გამორჩეულია კოშკი („უბისის სვეტი“) (სურ. 3.47.10), რომელიც ჩვენამდე გადაუკეთებლადაა მოღწეული. სვეტში შესასვლელი პირველი სართულიდან ყოფილა. პირველ სართულშია საკუჭნაო (2,20×2,20 მ), ღრმა და ფართო დარაბებიანი განჯინებით. იქ მისადგმელი კიბით ჩადიოდნენ მეორე სართულიდან, რომელიც საცხოვრებელ ოთახს წარმოადგენდა (2,55×3,00 მ), დიდი ბუხრით, განჯინებითა და საპირფარეშოთი. კარგად ყოფილა გაშუქებული სამი სარკმელითა და ფართო კარით. ამ ოთახიდან ქვის მოსახერხებელი კიბის საშუალებით მესამე სართულის ოთახში (3,05×3,30 მ) ადიოდნენ, რომელიც სალოცავად და სამუშაოდ იყო განკუთვნილი. მის სამ კედელში თითო სარკმელია დატანებული. აქვე ყოფილა ღრმა ნიშები, ალბათ, სქელტანიანი ხელნაწერი წიგნების დასაწყობად. ამ სართულის ოთახის კუთხეში მეოთხე სართულზე ასასვლელი ხვრელია. ეს თავდა-

საცავად განკუთვნილი სართულია სალოდეებით. ცნობილია, რომ თამარ მეფეს დიდად ჰყვარებია უბისის სამონასტრო კომპლექსი და მუდმივად ზრუნავდა მის კეთილმოწყობაზე. მონასტერში საუკუნეების განმავლობაში ხდებოდა წიგნების გადაწერა, არსებობდა ჭედურობისა და ხატწერის სკოლები.



სურ. 3.47.9 ფრესკა „საიდუმლო სერობა“



სურ. 3.47.10. კოშკი

ყურადღებას იქცევს მდ. ძირულას მარცხენა მხარეს, ტაძრის სიახლოვეს, „ყინყიბოურის“ მაღალ გორაკზე შემორჩენილი ნანგრევები, სადაც დაცულია წყლისა და ღვინის შესანახი 100-200 ფუთიანი ტევადობის ქვევრები.

3.48. რაბათის ციხე (ინგლ. Rabati Castle) – ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, ისტორიული ციხე სამხრეთ საქართველოში, სამცხის ქ. ახალციხეში (სურ. 3.48.1 - სურ. 3.48.3). მდებარეობს მდ. ფოცხოვოს ორივე ნაპირზე. მარცხენა მთაგორიან ნაპირზე განლაგებული იყო რაბათი (ძველი ქალაქი) და დიდი ციხესიმაგრე სასახლით.



სურ. 3.48.1. საერთო ხედი



სურ. 3.48.2. პანორამული ხედი


აგებულია აგებულია IX საუკუნეში გვარამ მამფალის მიერ. ციხე-ქალაქი იმდროინდელ ქართულ წყაროებში ამ სახელით არ მოიხსენიებოდა, ვახუშტი ბატონიშვილის განმარტებით კი მას სავარაუდოდ სხვა სახელი – „ლომსია“ ერქვა. XII-XIII საუკუნეებში განახლებული და ახალციხედ წოდებული, თამარ მეფის ხანის ცნობილი პოლიტიკური მოღვაწეების შალვა და ივანე ახალციხელების სამფლობელო, შემდეგ კი, XIV-XVII საუკუნეებში, სამცხის ათაბაგ ჯაყელთა რეზიდენცია იყო; XVIII საუკუნიდან, ოსმალთა ხელში გადასული, ახალციხის საფაშოს ცენტრს წარმოადგენდა, რომლის მცველი იანიჩრები XIX საუკუნის დასაწისიდან რუსმა ჯარმა შეცვალა.



სურ. 3.48.3. პანორამული ხედი



სურ. 3.48.4. ჰაჯი ახმედ–ფაშა ჯაყელის სახელობის მეჩეთი



სურ. 3.48.5. მედრესე



სურ. 3.48.6. ციტადელი



სურ. 3.48.7. ფანჩატური



სურ. 3.48.8. ქვედა გალავანი კარიბჭით

ამჟამად, ციხესიმაგრე განთავსებულია 7,0 ჰა ფართობის ტერიტორიაზე და წარმოადგენს ერთგვარ ქალაქს ქალაქში. ციხის ისტორიულ ნაწილში წარმოდგენილია მეჩეთი (სურ. 3.48.4), მედრესე (სურ. 3.48.5), მეცხრე საუკუნის მართლმადიდებლური ეკლესია, ციტადელი (სურ. 3.48.6), თურქული აბანოები და მუზეუმი. თანამედროვე ნაწილში ფუნქციონირებს სასტუმრო, რესტორანი, კაფე, ღვინის მაღაზია, ფანჩატური (სურ. 3.48.7), სუვენირების მაღაზია და ქორწინების სახლიც კი. რაბათის ციხე-ქალაქის ტერიტორიაზე ქართული, თურქული და

რუსული არქიტექტურის ნიმუშები ერთადაა თავმოყრილი და ეს, ერთი შეხედვით ეკლექტური სანახაობა, სამხრეთ საქართველოს რეალურ ისტორიას ასახავს.

2011 წელს საქართველოს მთავრობის ძალისხმევით რაბათის ციხის რესტავრაცია დასრულდა და ის სამხრეთ საქართველოს ერთ-ერთ მთავარ ღირსშესანიშნაობად იქცა. რეაბილიტირებული ციხე ახალციხის ციხე-კომპლექსის ნაწილია, რომელიც შუა საუკუნეების სხვადასხვა პერიოდის ნაგებობისგან შედგება. ციხესიმაგრეს შემოვლებული ჰქონდა სამი გალავანი კარიბჭეებით (სურ. 3.48.8), ხოლო შემოგარენს მიწისქვეშა გვირაბით (პოტერნით) უკავშირდებოდა.

3.49. მწვანე მონასტერი – (ინგლ. Green Monastery) – წმინდა გიორგის სახელობის მამათა მონასტერი. მდებარებს სამცხე-ჯავახეთის მხარეში, ბორჯომის მუნიციპალიტეტში, სოფ. ჩითახევის ულამაზეს ხეობაში. მონასტერს ხალხმა სიყვარულით მწვანე მონასტერი შეარქვა (სურ. 3.49.1). აქ არცერთი ხე ერთნაირად მწვანე არ არის. ასევეა ქვებიც, რომლითაც ტაძარია აგებული – ყველა მწვანეა, მაგრამ ზოგი მუქი და ზოგი – ღია. მეცნიერთა აზრით მონასტერი წმ. გრიგოლ ხანძთელის მოწაფეების, ქრისტეფორესა და თევდორეს აუშენებიათ IX საუკუნეში. სამონასტრო კომპლექსში შედის უხეშად დამუშავებული ქვით ნაგები ბაზილიკის ტიპის ეკლესია და სამრეკლო. სამრეკლო ორსართულიანია, პირველი სართული სამლოცველოა, მეორე სართული კი მდიდრულად მოჩუქურთმებულ ფანჩატურს წარმოადგენს. აღმოსავლეთის ერთ-ერთ წახნაგზე, თაღის ქვემოთ, მოთავსებულია რელიეფი, რომელიც წმინდა გიორგის ვეშაპთან ბრძოლას გამოხატავს. XVI საუკუნეში ირანის მმართველის შაჰ-თამაზის შემოსევების დროს, მონასტერი დაურბევიათ. XX საუკუნის 80-იან წლებში ტაძარს რესტავრაცია ჩაუტარდა და იქ 2002 წლიდან მამათა მონასტერი აღდგა.



სურ. 3.49.1. საერთო ხედი

3.50. იშხანი (ინგლ. Ishkhani) – ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, შუა საუკუნეების საქართველოს ერთ-ერთი დიდი სამონასტრო და საეპისკოპოსო ცენტრი (სურ. 3.50.1). მდებარეობს ისტორიულ ამიერტაოში (სურ. 3.50.1), ართვინის პროვინციაში, იუსუფელის რაიონში, მდინარე ოლთისისწყლის მარჯვენა ნაპირზე, სოფელ იშხანში (ახლანდელი თურქეთის რესპუბლიკა) (სურ. 3.50.2). კომპლექსში შემავალი ნაგებობებია: მთავარი ტაძარი, მცირე ეკლესია.

თავდაპირველი ეკლესია (ბანას ტაძრის ტიპის წრიულ გარშემოსავლელში მოქცეული ტეტრაკონქი) VII საუკუნის 30-იან წლებში ტაოელი სომეხი ეპისკოპოს-ქალკედონიკის ნერსეს მიერ იყო აშენებული (ტაო „ტაიქის“ სახელით, რამდენიმე საუკუნის განმავლობაში, ძველი სომხეთის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა). IX საუკუნის დასაწყისში, არაბების შემოსევის შედეგად, როგორც ჩანს საფუძვლიანად დანგრეული და მიტოვებული ეკლესიის ნანგრევებზე, გრიგოლ ხანძთელის ნათესავმა და მოწაფემ საბა იშხნელმა ახალი ტაძარი ააგო, თვით საბა კი გახდა ამ ტაძრის პირველი ქართველი ეპისკოპოსი. კათედრალმა დასრულებული სახე XI საუკუნეში, 1032 წელს, ბაგრატ IV-ის მეფობის დროს მიიღო. განახლებისა და „განსრულების“ მოთავე ანტონ მთავარეპისკოპოსი იყო, ხოლო ხუროთმოძღვარი ივანე მორჩაისძე. საეპისკოპოსო კათედრამ იშხანში XVII საუკუნის მეორე ნახევრამდე იარსება.



სურ. 3.50.1. საერთო ხედი



სურ. 3.50.2. ადგილმდებარეობის რუკა

ახლანდელი ტაძარი წარგძელებული ჯვარ-გუმბათოვანი ნაგებობაა, რომლის ჯვრისებრი მოხაზულობა თითქმის მთლიანად იკითხება გარედანაც მიწის დონეზე. დასავლეთი, სამხრეთი და ჩრდილოეთი მკლავები მართკუთხაა. საკურთხევლის აფსიდის ორივე მხარეს მცირე აფსიდებით დასრულებული სადიაკვნე და სამკვეთლოა. დასავლეთის მკლავი წარმოადგენს მართკუთხა დარბაზს, რომლის გრძივი კედლები პლასტიკურადაა დანაწევრებული სამსაფეხურიანი პილასტრებით. ჩრდილოეთით მას გრძელი, უაფსიდო სადგომი ეკვრის. სფერული გუმბათი ეყრდნობა მასიურ 4 სვეტს, რომელთაც არქიტექტურულად დახ-



სურ. 3.50.3. ფასადის ფრაგმენტი




სურ. 3.50.4. ფასადის ფრაგმენტი

ვეწილი ბაზისები და სვეტისთავები აქვს. მდიდრულად მორთული აღმოსავლეთის სვეტები მრავალწახნაგაა, დასავლეთის კი რთული ფორმის ჯვრისებრი დამატებული ლილვებით. გადასვლა გუმბათქვეშა კვადრატიდან გუმბათის ყელის წრეზე აფრების მეშვეობით ხდება. გუმბათის თექვსმეტწახნაგა ყელზე, მონაცვლეობით, 8 გრძელი და 8 მრგვალი მდიდრულად ორნამენტირებული სარკმელია. ყელი შიგნიდან და გარედან გრეხილ ლილვებზე დაყრდნობილი თაღებითაა შემკული. მეტად ორიგინალურია გუმბათის ყელის ზედა ნაწილის მორთვა. კარნიზის კბილანა ორნამენტი მის ქვედა ხაზზე კედელს მოწყვეტილია, ჰაერშია (ასეთი დაკიდებული ფოთლები არის კაცხში და მანგლისში და სხვა ქართულ ეკლესიებშიც). ამ კარნიზს ქვემოთ ფრიზად გაჰყვება ფერადი წრეები. კარნიზი სამკუთხა დაკიდული ფოთლების მწკრივისგან შედგება, რომლის ქვეშ წითელი საღებავით დაფარულ ფონზე დისკოების ფრიზია. თაღებისა და სარკმლების დეკორაციული შემკულობის გარდა გუმბათის ყელს ძირშიც წვრილი დისკოებისა და გრეხილისგან შემდგარი სარტყელი შემოუყვება.

ტაძარი მდიდარია უნიკალური ქართული ჩუქურთმებითა და ხვეულებით, რომლებიც იშხანის ტაძარს საოცარ ხიბლს მატებენ (სურ. 3.50.3 - სურ. 3.50.6.) ტაძრის ინტერიერსა და გუმბათის ყელში პირვანდელი, XI საუკუნის, მხატვრობა და ფრესკებია შემორჩენილი. ტაძარში უამრავი მხედრული წარწერაა, რომლებშიც მრავალი ქართველი მეფე და მთავარია მოხ-

სენიებული. 2017 დასრულებული რესტავრაციის დროს აღმოჩენილი იქნა მდიდრულად გაფორმებული მოზაიკური იატაკი (სურ. 3.50.7).



სურ. 3.50.6. გუმბათის ყელის ფრაგმენტი



სურ. 3.50.7. მოზაიკური იატაკი



სურ. 3.50.8. მცირე ეკლესია


მცირე ზომის დარბაზული ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია (სურ. 3.50.8), ჩრდილოეთი შესასვლელის ტიმპანზე მოთავსებული კიდურწერტილოვანი წარწერის თანახმად (სურ. 3.50.9), 994-1008 წლებში აუშენებია მეფეთ-მეფეს გურგენს (საქართველოს მეფე ბაგრატ III-ის მამა). ეკლესია ამჟამად აღდგენილია. იგი შედგება დარბაზისა და აფსიდისაგან. დარბაზი გადახურული იყო კოლოფა (მრავალცენტრიანი) კამარით. ეკლესიის ინტერიერის კედლებზე შემორჩენილია ფრესკების ნაშთები. ეკლესია განათებულია აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან, შესასვლელი კი ერთი აქვს – ჩრდილოეთიდან, რაც იშვიათობაა ქართულ ხუროთმოძღვრებაში. ფასადები და ღიობები მორთული იყო ორნამენტული საპირეებით. აღმოსავლეთის ფასადზე შემორჩენილია წნულებისგან შემდგარი გეომეტრიული ორნამენტებით.

იშხნის მონასტერში ილარიონ იშხნელის დაკვეთით გადაიწერა სახარება, შემდგომში ე.წ. მესტიის სახარება. აქვე 973 წელს, ეპისკოპოს ილარიონის შეკვეთით, შესრულდა ჭედური, მოოქროვილი ვერცხლის ჯვარი, რომელიც ახლა საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში ინახება.



სურ. 3.50.9. კიდურწერტილოვანი წარწერა მცირე ეკლესიის სამხრეთი შესასვლელის ტიმპანზე

3.51. მირზაანის ეკლესია (ინგლ. Mirzaani Basilica) – ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, IX-X საუკუნეების ალავერდის ეკლესია (სურ. 3.51.1). მდებარეობს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში, სოფელ მირზაანში. ეკლესია დარბაზული ტიპისაა, აღმოსავლეთით შვერილი აფსიდით, რომლის თავზე აგურით ამოყვანილი რვაღიობიანი გუმბათიანი სამრეკლოა მოწყობილი. შესასვლელი დასავლეთის მხრიდანაა. ნაშენია ადგილობრივი რიყის ქვისა და ქართული აგურის შერეული წყობით. ძველი ქართული წარწერები ძირითადად საფლავის ქვებზეა შემორჩენილი, რომლებიც დასავლეთის კარის ირგვლივაა განლაგებული. ძეგლი საკმაოდ დაზი-



სურ. 3.51.1. საერთო

ანებული იყო. რესტავრაცია ახლახან დამთავრდა ავთენტურობის სრული შენარჩუნებით. საინტერესოა ის, რომ სოფელ მირზაანში ფუნქციონირებს დიდი ქართველი მხატვრის ნიკო ფიროსმანის სახლ-მუზეუმი.


3.51.1. ჟალეთის ბაზილიკა (ინგლ. Zhaleti Basilica) – ჟალეთის IX-X საუკუნის სამნავიანი ბაზილიკა (სურ. 3.51.1.1). ადგილობრი მოსახლეობა მას წმ. გიორგის ხატს უწოდებს. მდებარეობს თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფ. საყარაულოს ჩრდილო-აღმოსავლეთით.

გეგმაში წაგრძელებული, ბურჯების ორი წყვილით სამ ნავად გაყოფილი ოთხკუთხა ეკლესია ადგილობრივი ქვითა და კირის ხსნარითაა ნაგები, ხოლო ცალკეული კონსტრუქციული და დეკორაციული ელემენტებისთვის შირიმია გამოყენებული. ბაზილიკა აღმოსავლეთით ღრმა ბემიანი ნახევარწრიული აფსიდით სრულდება, რომლის ორივე მხარეს სადიაკვნე და სამკვეთლოა განთავსებული. ეკლესიას შესასვლელები სამხრეთი და დასავლეთი მხრიდან აქვს გაჭრილი. ამავე ფასადებზეა მიშენებული ვიწრო გარშემოსავლელიც. ინტერიერში, აღმოსავლეთ ბურჯებს შორის რიყის ქვით აგებული სექსაგონიაა (ექვსკუთხედი), კუთხეებში კარგად გათლილი შირიმის ქვის მრგვალი სვეტებით. ნაგებობას აღმოსავლეთი და დასავლეთი მხრიდან მიდგმული აქვს ქვის საფეხურები. სავარაუდოდ, განკუთვნილი იყო ჯვრისთვის.



სურ. 3.51.1.1. საერთო ხედი

XX საუკუნის სამოციან წლებში, ძეგლის გაწმენდითი-სარესტავრაციო სამუშაოების ჩატარების დროს (ხელმძღვანელი ნ. ქადეიშვილი), ბაზილიკის გვერდზე, აღმოჩენილი იქნა სანათლავი, რომელიც წარმოადგენს მაგარი ჯიშის ერთი ქვიშაქვისაგან გამოთლილ დიდი ზომის



სურ. 3.51.2. სანათლავის კედლის რელიეფი



სურ. 3.51.3. სანათლავის კედლის რელიეფი

(85x60x45 სმ) ოთხკუთხა ფორმის ყუთს. მისი გარე სამი კედელი მორთულია რელიეფებით. ყველაზე მნიშვნელოვანი რელიეფია ერთ-ერთ კედელზე წარმოდგენილი ნათლისღების სცენა (სურ. 3.51.1.2). იგი ოთხფიგუროვანი კომპოზიციაა ქრისტეს, იოანე ნათლისმცემლის, ორი ანგელოზისა და ბოლნური ჯვრის გამოსახულებით. სხვა რელიეფებიც (სურ. 3.51.1.3) სხვადასხვა კომპოზიციებისგან შედგება. VIII-IX საუკუნეების ეს სანათლავი ხელოვნების უნიკალური ნიმუშია და ამჟამად სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს ეროვნულ მუ-

ზეუმშია დაცული. ეკლესიაში, საკურთხევლის წინ შემორჩენილია ქვის კვარცხლბეკი, რომელზეც, სავარაუდოდ, ქვის ჯვარი უნდა ყოფილიყო აღმართული. ჯვრის ერთი, ჩუქურთმებიანი ფრთაც მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ინახება.

X საუკუნე

3.52. თმოგვის ციხე (ინგლ. Tmogvi Castle) – ქართული ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ძეგლი, ისტორიული ციხე-ქალაქი საქართველოში (სურ. 3.52.1; სურ. 3.52.2), ჯავახეთში, ასპინძის მუნიციპალიტეტში, მტკვრის მარცხენა ნაპირზე. პირველად იხსენიება X საუკუნეში. კონტროლს უწევდა გზას, რომელიც წინა აზიიდან მტკვრის ხეობით საქართველოში შემოდიოდა.



სურ. 3.52.1. საერთო ხედი

X საუკუნეში ციხის აღება არაბებმა სცადეს, მაგრამ უშედეგოდ. XI საუკუნის დასაწყისიდან იგი სამეფო ხელისუფლებას ემორჩილებოდა. XI ბოლოდან XVI საუკუნის დასასრულამდე თმოგვის ციხეს მონაცვლეობით ფლობდნენ: ნიანია ქუაბულისძე და მისი მემკვიდრეები, მსხვილი ფეოდალური საგვარეულოები – თორელები, მხარგრძელები, შალიკაშვილები და ჯაყელები. 1578 წელს ციხეს ოსმალები დაეუფლნენ. რუსეთ-ოსმალეთის ომის (1828-1829 წწ.) შემდეგ, ანდრიანოპოლის საზავო ხელშეკრულების (1829 წ.) თანახმად, ოსმალეთმა საქართველოს სხვა ტერიტორიებთან ერთად თმოგვის ციხეც დაუბრუნა.

ციხე აგებულია მაღალ კლდოვან მთაზე. რელიეფის თავისებურების გამო მისი ზღუდეები სხვადასხვა სიმაღლეზეა ამოყვანილი. შედარებით უკეთ არის შემონახული ციხის დასავლეთი ნაწილი. აქ იგი კლდის დამრეც ფერდობზე სამ საფეხურად არის ამოშენებული კედელ-ბურჯებით. სამხრეთ-აღმოსავლეთით კედელი ებჯინებოდა ქვაბს, რომელიც კლდეში გაყვანილი საიდუმლო გვირაბით უკავშირდებოდა ზემოთ ციტადელს და ქვემოთ მდ. მტკვარს. ციხის შუაგულში მცირე ფართობი მთლიანად ნაგებობებს ეჭირა. ციხის კედლების საშენ მასალად გამოყენებულია ტუფი და ნატეხი ქვა. ციხის კედლებს გარეთ, დასავლეთით ხევში, კლდის მასივში გამოკვეთილია წმ. ეფრემის ეკლესია, კლდეშივე გამოკვეთილი კანკელით, მეორე, გუმბათოვანი ეკლესიის ნანგრევებში შემორჩენილია XIII საუკუნის კედლის მხატვრობის ფრაგმენტები. ციხე-ქალაქი რამდენიმეჯერ დაანგრია ძლიერმა მიწისძვრამ (1089, 1283, 1319 წწ.).



სურ. 3.52.2. პანორამული ხედი

3.53. ბეთლემის გამოქვაბული (ინგლ. Bethlehem Cave) – გამოქვაბული ხევში (სტეფანწმინდის მუნიციპალიტეტი), მყინვარწვერის მასივზე, მწვერვალიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ განშტოებულ ბეთლემის ქედზე (გერგეთისა და აბანოს მყინვარების აუზთა გამყოფი), სადაც მოწყობილია წმიდა სამების სახელობის მცირე მართლმადიდებლური სამლო-

ცველო. 1999 წელს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის ლოცვა-კურთხევით, მყინვარწვერზე მთასვლელთა დახმარებით, მთავარეპისკოპოს ნიკოლოზის წინამძღვრობით, სასულიერო პირები ავიდნენ და იქ, ზღვის დონიდან დაახლოებით 4000 მეტრზე (ერთი მონაცემით დაახლ. 4100 მ, მეორით კი 3800 მ), წმიდა სამების სახელობის მცირე ტაძარი მოაწყვეს (სურ. 3.53.1). იქვე პირველი წირვაც აღავლინეს. იკურთხა 2000 წლის ქრისტეშობის დღესასწაულზე. სამ;ოცველო მდებარეობს მსოფლიოში არსებულ მართლმადიდებელ ტაძართა შორის ზღვის დონიდან ყველაზე მაღალ ადგილას. გამოქვაბული გამოკვეთილია ციცაბო, მოწითალო ანდეზიტის კლდეში (კლდის ძირიდან 300 მ სიმაღლეზე). ძველად, გამოქვაბულში ასასვლელად კარიდან გადმოკიდებული იყო 5,5 მ სიგრძის რკინის ჯაჭვი. სტეფანწმინდის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ინახება რკინის ფირფიტებით შეჭედილი კარი, სპილენძის შანდალი, საეკლესიო ინვენტარი, მონეტები. ტაძრის კედელზე ამოკვეთილი წარწერის ფრაგმენტები პალეოგრაფიულად X-XI საუკუნით თარიღდება.



სურ. 3.53.1. ბეთლემის მცირე

ბეთლემის შესახებ ხალხში შემონახული თქმულება საფუძვლად დაედო ილია ჭავჭავაძის პოემა „განდეგილს“. არსებობს გადმოცემა, რომ ბეთლემის გამოქვაბულში მოსეს კარავი და მაცხოვრის აკვანი ინახებოდა. იქ წმინდა და ღმერთშემოსილი მამები VI საუკუნიდან აღასრულებდნენ ბერულ ღვაწლს. საინტერესოა, რომ მცხეთის მახლობლად მდებარეობს მეორე „ბეთლემის გამოქვაბული“. ეს არის კლდეში ნაკვეთი სამლოცველო. ძველი თქმულების თანახმად, აქ ლოცულობდა წმ. ნინო და აქვე იყო მისი მოსასვენებელი.

3.54. ბიჭვინთის ტაძარი (ინგლ. Pitsunda Cathedral) – X საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, ბიჭვინთის საეპისკოპოსოს ღვთისმშობლის სახელობის საკათედრო ტაძარი (სურ. 3.54.1). მდებარეობს აფხაზეთში, გაგრის მუნიციპალიტეტში, დაბა ბიჭვინთაში. კომპლექსში შემავალი ნაგებობებია: გუმბათიანი ტაძარი, ნაქალაქარი, დარბაზული ეკლესია, პატარა ეკლესიები, სამლოცველოები, საცხოვრებელი და სამეურნეო შენობები.



სურ. 3.54.1. საერთო ხედი სამხრეთ–აღმოსავლეთიდან

გადმოცემის თანახმად, ბიჭვინთაში (ბერძენი ჰეროდოტეს ნაწერების მიხედვით „დიდი პიტიუნტი“) ჯერ კიდევ I საუკუნეში არსებობდა საეპისკოპოსო კათედრა (წმინდა ანდრიას საყდარი). III საუკუნის ბოლოსა და IV საუკუნის დასაწყისში ბიჭვინთა მნიშვნელოვანი საეკლესიო ცენტრი იყო, რასაც მოწმობს ბიჭვინთის ეპისკოპოსის სტრატოფილეს მონაწილეობა 325 წელს ქ. ნიკეაში გამართულ პირველ მსოფლიო საეკლესიო კრებაზე. საუკუნეების განმავლობაში ბიჭვინთაში მდებარეობდა დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ცენტრი (აფხაზეთის საკათოლიკოსოს რეზიდენცია), რომელიც XVI საუკუნის შუა ხანებში, ჩრდილო კავკასიელ მთიელთა შემოსევების შემდეგ, გელათში გადაიტანეს. გელათში გადაიტანეს ბიჭვინთის ტაძრის საგანძურიც. კერძოდ, ბიჭვინთის ღვთისმშობლის ვერცხლის ჭედური ხატი (ზომები: 41x33 სმ), რომელიც შემკობილია ძვირფასი ქვებით. მასზე გაკეთებული წარწერის მიხედვით, ხატი მორთულია კათოლიკოს ევდემონ ჩხეტიძის მიერ 1568 წელს, ასევე ლევან დადიანისა (1661-1680 წწ.) და მისი მეუ-

ღლის, თამარის მიერ (1661-1668 წწ.). მეორე ხატი (ბიჭვინთის ღვთისმშობელი), ინახებოდა ქუთაისის საკათედრო ტაძარში. ის ოდნავ დიდია პირველ ხატზე და მთლიანად მარგალიტითა და ძვირფასი ქვებითაა შემკული იმავე ლევან დადიანის მიერ. XVII საუკუნეში ტაძარი მიტოვებული იყო და არ ფუნქციონირებდა. XVIII საუკუნეში ტაძარს მეხი დაეცა და ძლიერ დაზიანდა.

ბიჭვინთაში ჯერ კიდევ IV საუკუნეში არსებულა მდიდრულად მორთული ბაზილიკური ტიპის ეკლესია. V საუკუნეში ამ ბაზილიკის ნანგრევებზე აუგიათ დიდი, სამნავიანი ბაზილიკა, რომელსაც შვერილი ხუთწახნაგოვანი აფსიდი ჰქონია. მის დასავლეთით ყოფილა უფრო მცირე მოცულობის ტაძარი, რომელიც მკვლევართა აზრით, VI-VII საუკუნეებში უნდა აეგოთ.



სურ. 3.54.2. აღმოსავლეთი აფსიდის ფასადის ფრაგმენტი

ბიჭვინთის ტაძარი, ისევე როგორც აფხაზეთის ტერიტორიაზე მდებარე სხვა ძეგლები, ორგანულადაა ჩართული ქართული ხუროთმოძღვრების განვითარებაში, მაგრამ მისი გარეგნული სახე, საქართველოს სხვა ძეგლებისაგან განსხვავებით, გარკვეულ მსგავსებას ამჟღავნებს ბიზანტიურ არქიტექტურასთან. ტაძარი წარმოადგენს გეგმით წაგრძელებულ ჯვაროვან-გუმბათოვან ნაგებობას, დასავლეთით ნართექსით, ხოლო აღმოსავლეთით სამი შვერილი აფსიდით (სურ. 3.54.2). აღსანიშნავია, რომ ნართექსი საქართველოში იშვიათად გვხვდება, შვერილი აფსიდები კი ახასიათებს საქართველოს ადრინდელი პერიოდის ეკლესიებს, უფრო გვიან პერიოდში კი შავი ზღვის სანაპიროს ძეგლებს. გვხვდება აღმოსავლეთ საქართველოს ხუროთმოძღვრებაშიც. ტაძრის დასავლეთი მკლავი სამმხრივი პატრონიკეთია აღჭურვილი.

ფართო და მრგვალი გუმბათი ეყრდნობა საკურთხევლის აფსიდის კედლების შვერილ კედლებსა და თავისუფლად მდგარ ორ სვეტს. ტაძარი ნაგებია მონაცვლეობით ნაწყობი აგურისა და გათლილი ქვის ჰორიზონტალური რიგებით. გუმბათის ყელი მთლიანად აგურითაა ამოყვანილი. ტაძრის ინტერიერი (სურ. 3.54.3; სურ. 3.54.4) მთლიანად მოხატული ყოფილა, მაგრამ XIX საუკუნის 30-იან წლებში რუსეთის იმპერატორის ბრძანებით ის შელესეს, შეათეთრეს ფასადები, შეცვალეს გუმბათის ფორმა, რის გამოც ნაგებობამ სახე იცვალა, დამახინჯდა და ძველი მოხატულობა განადგურდა, განადგურდა ასევე ნართექსის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში ჩაშენებული პატარა, აფსიდიანი საძვალე და მის კედლებზე იმდროისათვის შემონახული მოხატულობა, რომელიც XVI საუკუნის II ნახევრით არის დათარიღებული. XX საუკუნის 60-იან წლებში ქართველი სპეციალისტების (გ. ჩუბინაშვილი, ვ. ცინცაძე) ხელმძღვანელობით, ტაძარში ჩატარდა სარესტავრაციო სამუშაოები, მოიხსნა შელესილობა, გამოიცვალა სახურავი, მოწესრიგდა ეზო და ტაძრის თავდაპირველი იერსახე აღდგა.



სურ. 3.54.3. ინტერიერი



სურ. 3.54.4. გუმბათის ყელის ფრაგმენტი შიდა მხრიდან

3.55. ბედიის მონასტერი – ბედიის ვლაქერნის წმინდა ღვთისმშობლის სახელობის მონასტერი, ქართული ხუროთმოძღვრების X საუკუნის მნიშვნელოვანი ძეგლი მდებარეობს აფხაზეთის ავტონომიურ ოლქში, ოჩამჩირის მუნიციპალიტეტში, გალიდან ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით, 25 კმ-ის დაშორებით სოფ. ბედიაში. ააგო გაერთიანებული საქართველოს პირველმა მეფემ ბაგრატ III (978-1014 წწ.) 999 წელს. ამ ტაძარს ჩვენამდე არ მოუღწევია. ამჟამინდელი ნაგებობა ბაგრატისეულის ნაშთებზეა დაშენებული XIII საუკუნის მეორე ნახევარში. კომპლექსში შემავალი ნაგებობებია: გალავანი, ეპისკოპოსის საცხოვრებელი, კარიბჭე-სამრეკლო და ჯვარგუმბათოვანი ტაძარი.



სურ. 3.55.1. საერთო ხედი

ბედიის ტაძარი სამი მხრიდან კლდეებით შემოსაზღვრული გორაკის თავზეა აღმართული. მეოთხე მხარეს, დასავლეთით, გორაკის ფერდობს გავაკებული მოედანი უერთდება, რომელზედაც აგებული იყო ეპისკოპოსის სასახლე და კარიბჭე-სამრეკლო. კომპლექსს გარშემო დაახლოებით 300 მ სიგრძისა და 0,6-0,8 მ სისქის გალავანი შემოუყვებოდა (გალავნის უმეტესი ნაწილი ამჟამად დანგრეულია).



სურ. 3.55.2. ოქროს ბარძიმი

მონასტრის ცენტრალური ნაგებობაა ე.წ. „ჩაწერილი ჯვრის“ სახის ცენტრალურ-გუმბათოვანი ტაძარი (სურ. 3.55.1), რომელსაც გეგმაში მართკუთხედში ჩაწერილი ჯვრის ფორმა აქვს. ტაძრის ცენტრში, ჯვრის მკლავების გადაკვეთით შექმნილ კვადრატზე, აფრების საშუალებით ამოყვანილია თოთხმეტწახნაგა გუმბათი, რომელშიც ამავე რაოდენობის სარკმელებია გაჭრილი. გარედან ტაძარი სუფთად გათლილი ქვიშაქვითაა ნაგები კირის ხსნარზე. ტაძრის დასავლეთის მხარეს შემორჩენილია მინაშენის ნაშთები. ტაძარი მნიშვნელოვნად გადაკეთებულია XIII-XIV საუკუნეთა მიჯნაზე და XV საუკუნეში. სამრეკლო XII-XIV საუკუნეების ნაგებობას წარმოადგენს, ხოლო ეპისკოპოსის სასახლე აშენდა XV საუკუნეში. ტაძრის ინტერიერში შემორჩენილია ფრესკული მხატვრობის სამი ფენა, რომელიც X-XI, XIII-XIV და XVI-XVII საკუნეებით თარიღდება. ტაძრის მდიდრული სამკაულიდან შემორჩენილია ლითონზე პლასტიკის იშვიათი ნიმუში, ბაჯაღლო ოქროს ბარძიმი (თასი) (სურ. 3.55.2), რომელიც დაცულია საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში. მხატვრულ-სტილისტური ანალიზით ბარძიმი დამზადებული უნდა იყოს საქართველოში 989-999 წლებში (გ. ჩუბინიშვილი).




სურ. 3.55.3. ფასადის მორთულობა ჯვრით

ბედიის მონასტერში შემონახული ლაპიდარული, ფრესკული, ჭედური წარწერები, მორთულობები (სურ. 3.55.3) რომლებიც ტაძრის ფასადებზე, ინტერიერში, სამონასტრო კომპლექსის სხვადასხვა დანიშნულების შენობა-ნაგებობებსა და საეკლესიო ნივთებზეა მოთავსებული, ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების უმნიშვნელოვანეს მოვლენებს ასახავენ. ბედიის საეპისკოპოსო საუკუნეების განმავლობაში შუა საუკუნეების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საეკლესიო და კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრს წარმოადგენდა.


ბედიის მონასტერში დასაფლავებულია გაე-

რთიანებული საქართველოს პირველი მეფე ბაგრატ III და დედამისი – დედოფალი გურანდუხტი.

3.56. ოშკი (ინგლ. Oshki) – X საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების უმნიშვნელოვანესი ძეგლი, წმინდა იოანე ნათლიმცემლის სახელობის ქართული სამონასტრო ცენტრი. მდებარე-



სურ. 3.56.1. ადგილმდებარეობის რუკა სამხრეთიდან




სურ. 3.56.2. საერთო ხედი

ობს თურქეთში, ერზერუმის პროვინციაში, უზუნდერეს რაიონში, ისტორიულ მხარე იმიერტაოში, თორთუმის ტბის მახლობლად, თორთუმისწყლის მარცხენა მაღალ ნაპირზე, სოფელ ჩემლიიამაჩში (სურ. 3.56.1). საქართველოს ოთხ დიდ კათედრალთაგან პირველი (იხ. სვეტიცხოველი, ბაგრატის ტაძარი, ალავერდი). კომპლექსში შემავალი ნაგებობებია: მთავარი ტაძარი, სემინარია-სატრაპეზო, ორი მცირე ეკლესია.

მთავარი ტაძრის სამხრეთი მკლავის კარის ტიმპანზე არსებული ლაპიდარული წარწერის თანახმად, ოშკის ტაძრის ამშენებლები იყვნენ ტაოს ბაგრატიონები, ადარნასე III კურაპალატის შვილები – ბაგრატ ერისთავთერისთავი (გარდაიცვალა 966 წელს) და დავით მაგისტროსი (იგივე დავით III დიდი კურაპალატი, გარდაიცვალა 1001 წელს). სავარაუდოდ ტაძრის მშენებელი იყო გრიგოლ ოშკელი). მშენებლობის ზუსტი თარიღი უცნობია. მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, ყველაზე რეალურია პროფესორ ვ. ჯობაძის (ლოს-ანჯელესი, აშშ) მიერ აღმოჩენილი წარწერა, რომელიც აკონკრეტებს ტაძრის მშენებლობის დაწყებას (963 წ.). აღმოსავლეთის ფასადზე არსებული ბარელიეფის წარწერით ირკვევა, რომ ტაძრის მშენებლობა გრძელდებოდა 10 წელი.

ოშკის მონასტერი (სურ. 3.56.2) 963-1023 წლებში ტაოს დიდი ფეოდალური გვარის, ჩორდვანელების, მფლობელობაში იყო. ამ დიდებული გვარის ორი წარმომადგენელი, თორნიკე ერისთავი (იოვანე-თორნიკე სვინგელოზად წოდებული) და მისი ძმა იოვანე-ვარაზვაჩე სწორედ ოშკის სავანეში აღიკვეცნენ ბერად. სავარაუდოა, რომ გარკვეულ პერიოდში ვარაზვაჩე ოშკის სკრიპტორიუმს ხელმძღვანელობდა. თორნიკე ერისთავის ღვაწლი ძალიან დიდია: მის მიერ ბარდა სკლიაროსზე მოპოვებულმა ბრწყინვალე გამარჯვებამ (979 წ.) დააჩქარა და გააადვილა დაქსაქსულ ქართულ სამეფოთა და სამთავროთა გაერთიანების პროცესი, რომელიც, საბოლოოდ, ბაგრატ III-ის ტახტზე ასვლითა და ერთიანი, ძლიერი ქართული სამეფოს შექმნით დასრულდა.



სურ. 3.56.3. გეგმა

ტაძრის არქიტექტურა იმეორებს მისი წინამორბედების სახასიათო მოტივებს და უფრო გამდიდრებული და გართულებული სახით წარმოგვიდგენს მას. ოშკის ტაძარი აგებულია საგანგებოდ ამოყვანილ სუბსტრუქციაზე, რომელშიც სამარხებია მოწყობილი. ის წარმოადგენს ტეტრაკონქს, თავისუფალი გუმბათით. ტაძრის ჯვრისებრი მოხაზულობა შენარჩუნებულია გარესახეშიც, თუმცა აფსიდების სიმრგვალე არ ვლინდება (მოქცეულია მართკუთხა მკლავებში). ოშკის ტაძრის გეგმა (სურ. 3.56.3) იმეორებს იშხნის ტაძრის გეგმას, მაგრამ უფრო დიდი მასშტაბით და ამასთან გართულებულია. მისი სიგრძე აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ 38,5 მ-ია (დასავლეთ ეგვტერის გამოკლებით); სიგანე შუა ნაწილში ≈ 36 მ, ხოლო სიმაღლე ≈ 34,0 მ. ოშკი უხვად იყო შემკული ჩუქურთმებით, ხოლო რელიეფის სიმდიდრით ერთ-ერთი უპირველესი ადგილი უჭირავს შუა საუკუნეების ქართულ ტაძართა შორის (სურ. 3.56.4 - სურ. 3.56.6). კედლებზე ყველგან არის მონუმენტური ფრესკების კვალი, მაგრამ ცალკეული კომპოზიციები მხოლოდ საკურთხეველშია შენარჩუნებული.



სურ. 3.56.4. რელიეფი



სურ. 3.56.5. რელიეფი



სურ. 3.56.6. რელიეფი

ინტერიერში ჯვრის მკლავების გადაკვეთაზე აღმართულია ოთხ სვეტზე დაყრდნობილი გუმბათი. გადასვლა გუმბათქვეშა კვადრატიდან გუმბათის წრეზე ხდება მარაოსებურად დამუშავებული აფრების დახმარებით. გუმბათის ყელის ცილინდრული მასა კარგად არის შეთავსებული ტაძრის ქვედა კორპუსთან. ის ბოლოვდება მუზარადისებრი გუმბათით, სიმაღლით 6,86 მ. გუმბათის ყელის სიმაღლე 6,4 მეტრია, ხოლო რადიუსი 5,66 მ (კედლების ჩათვლით). გუმბათის ყელი დაფარულია ერთიანი თაღედით. ოცდაოთხი თაღის საერთო გადაწყვეტა ერთიანია, მაგრამ განსხვავდება დეტალებში. თაღები ეყრდნობა ორმაგ ხვეულ სვეტებს, რომლებიც ბოლოვდება ფოთლოვანი ორნამენტებით მორთული კაპიტელებითა და რელიეფური ბაზებით (სურ. 3.56.7. რვაწახნაგა სვეტის ბაზისის ფრაგმენტი).

ტაძარი კარგად იყო განათებული მრავალრიცხოვანი სარკმლებით. გუმბათის ყელში 12 სარკმელია (სურ. 3.56.8), საკურთხეველში – 3, სამკვეთლოსა და სადიაკვნეში – თითო. ტაძარი სიდიდითა და პროპორციებით გამოირჩევა წინა ხანის ძეგლთაგან, იგი ახალი დროის ტიპური ნაწარმოებია: კედლების სიმაღლე შენობის კორპუსის სიგანესთან შეფარდებით გაზრდილია, გუმბათის ყელი ამაღლებულია, წახნაგებმა ადგილი დაუთმო ცილინდრს, რომელიც ტეხილი ლილვებითა და დეკორატიული თაღებით 24 არედ არის დაყოფილი. ტაძრის ფასადები (სურ. 3.56.9; სურ. 3.56.10) და ინტერიერი ბრწყინვალედ ყოფილა გაფორმებული

ბარელიეფებით, ჰორელიეფებით, ჩუქურთმებითა და მოხატულობით, რომელთა მხოლოდ ნაწილია შემორჩენილი.



სურ. 3.56.7. რვაწახნაგა სვეტის ბაზისის ფრაგმენტი



სურ. 3.56.8. გუმბათის ყელი



სურ. 3.56.9. დასავლეთი ფასადის ფრაგმენტი



სურ. 3.56.10. სამხრეთი ფასადის ფრაგმენტი

ტაძრის კედლებისა და სვეტების საშენ მასალად ძირითადად გამოყენებულია თლილი ქვა, ხოლო სახურავისათვის – წითელი და ყვითელი მოჭიქული აგური. საკურთხევლის შუა ნაწილში დაცულია ქვისგან გამოკვეთილი ოთხკუთხა ტრაპეზი, აღმოსავლეთი კედლიდან 2 მეტრის მანძილზე. მისი სიგრძეა 173 სმ, სიგანე – 86 სმ, სიმაღლე – 85 სმ. საკურთხევლის იატაკი 0,75 მეტრით არის ამაღლებული.

მთავარი ტაძრის ჩრდილო მკლავის სიახლოვეს განლაგებულია სემინარია-სატრაპეზო. მას სამნავიანი ბაზილიკის გეგმარება აქვს. ნაშენია უხეშად დამუშავებული რუხი ფერის ქვით. ნაგებობაში ორი დარბაზია: დიდი და სფერულ გუმბათიანი, დღემდე კარგად შემონახული, მცირე დარბაზი. ტაძრის სიახლოვეს, ფერდობზე მდებარეობს ძლიერ დაზიანებული ორი მცირე ეკლესია (5,11x3,43 მ და 6,11x3,1 მ).

ოშკი ძველი ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო კერა იყო ტაოში. ჩვენამდე მოღწეულია ოშკის მონასტერში შექმნილი ხელნაწერები, მათ შორის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ოშკის ბიბლია (978 წ.), რომელიც ამჟამად ათონის მთაზეა დაცული. ოშკში მოღვაწეობდნენ მწიგნობრები და მღვდელმთავრები: გრიგოლ ოშკელი (X ს.), სტეფანე დეკანოზი (X ს.), იოანე ჩირაი (X ს.), ოშკის ბიბლიის გადამწერი – მიქაელ ვარაზვაჩეს ძე, სტეფანე მწერალი, გიორგი გელასის ძე, გაბრიელ ოშკელი (XI ს.) და სხვა. აღსანიშნავია ექვთიმე თა-

ყაიშვილის სამი უმნიშვნელოვანესი ექსპედიცია ტაო-კლარჯეთში, რომლის დროსაც მთლიანად იქნა აღწერილი და აზომილი ოშკის მონასტერი.

3.57. საფარის მონასტერი (ინგლ. Safari Monastery) – X საუკუნის მნიშვნელოვანი არქიტექტურული ძეგლი, საფარის სამონასტრო კომპლექსი. მდებარეობს საქართველოში, ისტორიულ მესხეთში, ახალციხის მუნიციპალიტეტში, ახალციხიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით ათიოდე კილომეტრის დაშორებით, მაღალი მთის ტერასაზე ტყით დაბურულ ვიწრო ხეობაში (სურ. 3.57.1; სურ. 3.57.2), რომლის ქვემოთ ჩრდილო-აღმოსავლეთით მდინარე ურავლისწყალი მიედინება. სამონასტრო კომპლექსში შემავალი ნაგებობებია: წმ. საბა განწმენდილის მთავარი ტაძარი, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია, მცირე სამლოცველოები, სამრეკლო, ჯაყელთა სასახლე და ციხე-გალავანი (სურ. 3.57.3), რუსი ბერების დროინდელი სენაკები.



სურ. 3. 57.1. საერთო ხედი



სურ. 3.57.2. ადგილმდებარეობის რუკა

დღემდე მოღწეულ ნაგებობებიდან უძველესია ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარი. იგი X საუკუნით თარიღდება. მას მოგვიანებით მიადგეს წმიდა საბას სახელობის ეკლესია, რომლის თანადროულია იქვე, დასავლეთით მდგარი სამრეკლო.

წმ. საბა განწმენდილის მთავარი ტაძარი XIII-XIV საუკუნეების მიჯნაზეა აგებული. იგი დიდებულ გრანდიოზულ შთაბეჭდილებას ტოვებს. გეგმაში მისი ზომებია: 21,6x16,6 მ, სიმაღლე გუმბათის წვერამდე – 22,5 მ. ნაგებობა შვეული კლდის პირზეა აღმართული და ირგვლივ მერცხლის ბუდეებივით ეკვრის დანარჩენი მცირე ეკლესიები: სამხრეთით – მიძინების ტაძარი (ყველაზე ძველი შენობა მონასტრის ტერიტორიაზე), აღმოსავლეთით – წმ. დიმიტრის სახელობის სამლოცველო, აქვეა წმ. გიორგის სახელობის პატარა ეკლესია და ჩრდილო-აღმოსავლეთით – იოანე ოქროპირის სამლოცველო. მთავარი ტაძრის ასაშენებლად საჭირო გამხდარა არა მარტო ადგილის მოშანდაკება, არამედ კლდის ქიმზე საგანგებო საყრდენის ამოყვანაც. რთულ რელიეფიან ხევში მშენებლებს საგანგებო ბაქანი შეუქმნიათ და ამისთვის ხელსაყრელ ადგილად უკვე არსებული მიძინების ეკლესიის მიმდებარე ტერიტორია მიუჩნევიათ, ამიტომაც წმინდა საბას ტაძარი უშუალოდ არის მიდგმული ძველ საყდართან. ახალი ტაძრისთვის სამი მხრიდან – დასავლეთიდან, სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან მშენებლებს დაუტოვებიათ შესასვლელები, მაგრამ ხატმწერს სამხრეთის კარი ამოუშენებია და მთელი ფასადი ერთიან მოსახატ სიბრტყედ გადაუქცევია (სურ. 3.57.4). ტაძრის შიდა სივრცის მთავარი ნაწილი შექმნილია ცენტრალური ჯვრით, რომლის აღმოსავლეთის მკლავი აფსიდით მთავრდება, დანარჩენი კი მართკუთხაა. ამათგან სამხრეთის და ჩრდილოეთის მკლავები მოკლეებია, ხოლო დასავლეთისა მათ თითქმის ორჯერ აღემატება. აფსიდისა და ბემისაგან შემდგარი საკურთხეველი შეისრული კონქითა და კამარითაა გადახურული. საკურთხევლის ცენტრში ტრაპეზია. საკურთხევლის სამხრეთით და ჩრდილოეთით სადიაკ-

ვნო და სამკვეთლოა. ორივე სათავსო ერთნარია. მათი ძირითადი სივრცის საფუძველი კვადრატს უახლოვდება და აღმოსავლეთით ღრმა აფსიდით მთავრდება. ამ სათავსოთა განათება აღმოსავლეთის მხრიდან არსებული თითო სარკმლით ხდება. სადიაკვნესა და სამკვეთლოს თავზე ე.წ. საიდუმლო ოთახებია განლაგებული. სადიაკვნისა და სამკვეთლოს შესასვლელები დარბაზიდანაა, სამკვეთლო საკურთხეველთან კარითაა დაკავშირებული. ტაძრის



სურ. 3.57.3. გალავნის ფრაგმენტი



სურ. 3.57.4. წმინდა საბას ტაძრის მოხატულობა


ცენტრალური სივრცე გვირგვინდება გუმბათით, რომელიც საკურთხევლის კუთხეებსა და დასავლეთის კოლონებს ეყრდნობა. ტაძრის შიდა სივრცე საშუალოდაა განათებული. სინათლის ძირითადი წყარო გუმბათის ყელში არსებული რვა სარკმელი (სურ. 3.57.5) და ჯვრის ყოველ მკლავში განლაგებული თითო სარკმელია. გუმბათის ყელი დადაბლებული და გაფართოებულია, რის შედეგადაც შენობის კორპუსი უფრო მაღალი ჩანს. დასავლეთი კარიბჭე უჩვეულოდ მაღალია. მისი შიგა სივრცე, ღია თაღები, ვარსკვლავისებრი კამარები უხვადაა შემკული ჩუქურთმებით (სურ. 3.57.6, სურ. 3.57.7). შენობაზე ბევრი წარწერაა.



სურ. 3.57.5. გუმბათის ყელი



სურ. 3.57.6. რელიეფი



სურ. 3.57.7. რელიეფი

სამრეკლო ადრინდელი ქართული სამრეკლოების ტიპისაა. მონასტრის ტერიტორიაზე გაფანტული სხვა სამლოცველოები XIV-XVI საუკუნეებს მიეკუთვნება. აღსანიშნავია, რომ საფარის ტაძრის შიდა სივრცე წარმოადგენს, ერთი მხრივ ტრადიციების გაგრძელებას, ხოლო მეორე მხრივ, მასში ძალიან ბევრი რამ ახლებურადაა გადაწყვეტილი. ექსტერიერშიც დაახლოებით ასეთივე სურათია და სწორედ ეს მხარე ქმნის მას ეპოქალურ ტაძრად. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ტაძრის არცერთი ფასადი მორთულობით გადატვირთული არ არის. ორიგინალური გადაწყვეტით კი აღმოსავლეთის ფასადი გამოირჩევა, რომლის პირდაპირი ანალოგია არ მოიძებნება. მისი დამახასიათებელი ნიშანი ფასადის ცენტრალურ შვერილ ნაწილზე არსებული სამი სარკმელია, რომელთაგან პირველი და მესამე ცენტრში არსებული

მოზრდილი მაღალი სარკმლის ზემოთ, მარჯვნივ და მარცხნივ არიან განლაგებული და მათი ზომები ძალზე მცირეა, რის გამოც „ხარისთვალა“ სარკმლებადაა სახელდებული. საფარის ტაძრის ოსტატის მიერ შექმნილ აღნიშნულ კომპოზიციას არც წინამორბედი ჰყოლია და არც მიმდევარი. ფასადებიდან თავის ხანას ყველაზე უკეთ ჩრდილო ფასადი წარმოადგენს. ჩრდილო ფასადზე ჯვრის მოთავსების ტრადიცია მანამდე არ არსებობდა.

მიძინების ეკლესია X ს-შია აგებული. მიძინების ეკლესია ერთნავიანი, დარბაზული ტიპის, კრამიტით გადახურული, უგუმბათო შენობაა. რაც შეეხება საქართველოში ერთ-ერთ უძველეს, თლილი ქვით ნაგებ სამრეკლოს, მას არავითარი მორთულობა არ აქვს და, ჩვეულებისამებრ, ორსართულიანია. მონასტერს თავს დაჰყურებდა ციხე, რომელსაც გარშემო დიდი გალავანი ერტყა.

საფარის მონასტერი ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი გამორჩეული ტაძარია. მასში, ერთი მხრივ, ნათლად ჩანს წინა საუკუნეების დიდებული მემკვიდრეობითობა და, მეორე მხრივ, იმ დაღმართის საწყისი ეტაპი, რაც შემდეგდროინდელი ქართული სატაძრო არქიტექტურისთვის იყო დამახასიათებელი.

3.58. ხიხანის ციხე (ხირხათის ციხე) (ინგლ. Khikhani castle) – შუა საუკუნეების (X-XIII საუკ.) ციხესიმაგრე აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა თხილვანაში. ციხე (სურ. 3.58.1) მდებარეობს სხალთის ხეობის სათავეში, ხიხანის მთის ერთერთ კალთაზე. კომპლექსის ძირითადი ნაგებობებია: გალავანი, კოშკები, ეკლესია და სხვადასხვა დანიშნულების შენობათა ნაშთები.

ციხეს სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრიდან ერთადერთი საცალფეხო მისადგომი აქვს. გადმოცემით, ციხეს ბევრი მიწისქვეშა საიდუმლო გზები ჰქონია, რომელთა საშუალებით ციხეში მყოფნი, ბლოკადის ან სხვა გაჭირვების დროს, ახლომახლო სოფლებს უკავშირდებოდნენ. XIII საუკუნის 30-იან წლებში ერითავთ-ერისთავების აბუსერისა და ვარდანის დავალებით, მათმა ძმამ ტბელმა (ცნობილი ქართველი მწერალი და მეცნიერი), წმინდა გიორგის ქვის ეკლესია ააგო.

ციხის ფართობი თითქმის ერთ ჰექტრამდეა. მისი მხოლოდ მცირე ნაწილია მოვაკებული. დანარჩენი დამრეც და ციცაბო ფერდობზეა განლაგებული. ალაგ-ალაგ გადარჩენილი ციხის გალავნის კედლების სიმაღლე 5-6 მ-ს აღწევს, სისქე 90-95 სმ-ია. გალავანში ჩაშენებული იყო ოთხი კოშკი, რომელთაგან მხოლოდ ნანგრევებია შემორჩენილი. წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის ნაშთები ციხის უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთ მონაკვეთში მდებარეობს. შემორჩენილია საძირკველი. ეკლესია პატარა ზომისაა (5,5×3,5 მ) და დარბაზული ტიპის ნაგებობას წარმოადგენს. ორსაფეხურიან ცოკოლზე აღმართული ყოფილა საკმაოდ სქელი კედლები (სისქე 55 სმ). შედარებით უკეთაა შემონახული აღმოსავლეთის და სამხრეთის კედლები (სიმაღლე 1,5-1,7 მ). კედლების როგორც გარეთა, ასევე შიგა ზედაპირი მოპირკეთებულია ბრტყელზედაპირიანი ქვებით, ხოლო მათ შორის მდებარე არე შევსებულია კირხსნარიანი ქვა-ღორღით. შესასვლელი სამხრეთიდან ჰქონდა.



სურ. 3.58.1. პანორამული ხედი




სურ. 3.58.2. პირველი კოშკი

2014-2015 წლებში არქეოლოგიური გათხრების შედეგად (ხელმძღვანელი დავით მინდორაშვილი) ხიხანის ციხეზე ჯერ 28, ხოლო შემდეგ 43 ქვევრი (მარანი) აღმოაჩინეს, რომელიც თარიღდება XI-XIII საუკუნეებით. ერთ-ერთ კოშკში ნაპოვნია, აგრეთვე, მცირეკალიბრიანი ზარბაზნის ჭურვები.

ხიხანის ციხე ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ციხეა აჭარაში დღემდე არსებულ სხვა ციხეებთან შედარებით. ხალხი მას თამარ მეფესთან აკავშირებს და ზოგჯერ ხიხანის ციხეს თამარის ციხესაც უწოდებენ. ამჟამად მიმდინარეობს ციხის პირველი კოშკის (სურ. 3.58.2) რეაბილიტაცია.

3.59. ათონის ივერთა მონასტერი [ინგლ. Athos Monastery Iviron (or Iveron)] – ქართული ხუროთმოძღვრების მნიშვნელოვანი ძეგლი, ღვთისმშობლის სახელობის ისტორიული ქართული მონასტერი (სურ. 3.59.1 - სურ. 3.59.3). მდებარეობს საბერძნეთში, ქალკედონის ნახევარკუნძულის აღმოსავლეთ შვერილზე, აიონ-ოროსის ვიწრო, გრძელი და მთაგორიანი ნახევარკუნძულის აღმოსავლეთ ნაწილში, ათონის მთის ქვედა კალთაზე, ეგეოსის ზღვის პირას (სურ. 3.59.4). კომპლექსის მთავარი ნაგებობებია: მიძინების, ღვთისმშობლის, მთავარანგელოზისა, წმ. ნიკოლოზ სასწაულმოქმედის ტაძრები, გალავანი და 16 პატარა ეკლესია. დაარსდა იოანე ათონელის მიერ 980-983 წლებში.



სურ. 3.59.1. პანორამული ხედი

მონასტრის აშენებასა და კეთილმოწყობას ხელი შეუწყო ერთმა გარემოებამ: საბერძნეთის ახალგაზრდა იმპერატორებმა ბასილმა და კონსტანტინემ სთხოვეს დავით კურაპალატს აჯანყებული ბარდა სკლიაროსის წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარება. დ. კურაპალატმა 12000 ქართველთა ჯარი გაუგზავნა დასახმარებლად, რომელსაც ყოფილი მთავარსარდალი და იმჟამად ბერი თორნიკე (თორნიკე ერისთავი) სარდლობდა. გამარჯვებულმა ქართველებმა დამარცხებული ქვეყნიდან წამოღებული დიდძალი ქონება ნადავლის სახით თორნიკეს მიაკუთვნეს. თორნიკემ კი მთელი ქონება ათონზე წაიღო, რითაც ქართველებისათვის საგანგებო მონასტერი ააშენეს, მშვენიერი, ჰაეროვანი, რომლის მსგავსი იქ არ მოიპოვებოდა. თავისი



სურ. 3.59.2. საერთო ხედი



სურ. 3.59.3. ათონის ივერთა მონასტერი XVIII საუკუნეში

სიდიდით, სიმდიდრითა და მნიშვნელობით, ივერთა მონასტერს მესამე ადგილი უკავია ათონის მონასტრების იერარქიაში.

მონასტრის მთავარი ტაძარი (სურ. 3.59.5) ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელზეა ნაკურთხი. მისი კედლები მარმარილოსია, კანკელი და საკურთხეველი მოოქროვილია. ასევეა წინამძღვრის დასაჯდომი ადგილი. მონასტერს გარედან მაღალი ქვის კედელი აკრავს.

საქართველოს ხელისუფალთა ჩარევით, ქართველები XIII საუკუნის ბოლომდე, ასე თუ ისე, ინარჩუნებდნენ მონასტერს, მაგრამ XIV საუკუნის დასაწყისისათვის, როცა თანდათან შესუსტდა საქართველოს პოლიტიკური სიძლიერე, ათონის სავანეშიც შესამჩნევად შემცირდა ქართველობა. მართალია XIX საუკუნემდე მონასტრის ოფიციალურ პატრონებად ქართველები ითვლებოდნენ, მაგრამ რეალურად ბერძნები განაგებდნენ ყოველივეს და, ბოლოს, XIX საუკუნეში, ბერძნებმა საბოლოოდ გამოდევნეს ქართველები ათონის მთიდან და დაეპატრონენ ქართული კულტურის ამ შესანიშნავ ძეგლს.

ათონის ივერთა მონასტერი ბიზანტიაში ქართული სულიერი კულტურის მძლავრ კერას წარმოადგენდა და ქართული ეროვნული იდეის მატარებელი იყო. მონასტერში თავი მოიყარეს ქართველ მოღვაწეთა საუკეთესო ძალებმა. ჩამოყალიბდა განსაკუთრებული სალიტერატურო, საგრამატიკო და საკალიგრაფიო სკოლა, რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა ჩვენი მწიგნობრობის ისტორიაში. ათონის ივერთა მონასტერში დაიწერა ბევრი ორიგინალუ-



სურ. 3.59.4. ადგილმდებარეობის რუკა



სურ. 3.59.5. მთავარი ტაძარი

რი თხზულება, ბერძნულიდან ქართულად ითარგმნა ბიზანტიური ლიტერატურის მნიშვნელოვანი ძეგლები (მაგ. ბიბლია), ხოლო ქართულიდან ბერძნულად – აგიოგრაფიულ-მორალური და ასკეტურ-დოგმატური ხასიათის თხზულება „სიბრძნე ბალავარისი“. სხვადასხვა დროს ივერთა მონასტერში მოღვაწეობდნენ ცნობილი ქართველები: იოანე, ექვთიმე, სტეფანე ათონელები, გიორგი მთაწმინდელი, არსენ ნინოწმინდელი, იოანე გრძელისზე და სხვანი, რომლებიც დიდი ენთუზიაზმით ეწეოდნენ საეკლესიო-საგანმანათლებლო საქმიანობას და ერთდროულად წარმატებით ხელმძღვანელობდნენ საქართველოდან ბიზანტიაში გაგზავნილი ახალგაზრდების განათლების საქმეს.

3.60. ხახულის მონასტერი (ინგლ. Khakhuli Monastery) – შუა საუკუნეების მონასტერი, ხუროთმოძღვრების ძეგლი, ქართული კულტურის მნიშვნელოვანი კერა (სურ. 3.60.1). მდებარეობს ამჟამინდელი თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე, ერზერუმის პროვინციაში, თორთუმის რაიონში, ისტორიულ მხარე თორთომში, სოფელ ხახულთან (ბაყბაში) (Bağbaşı), მდინარე თორთუმის წყლის მარხცხენა შენაკადზე, ხახულის წყლის ხეობაში (სურ. 3.60.2). კომპლექსის ძირითადი ნაგებობებია: მთავარი ტაძარი, გალავანი, გალავნის შიგნით და გარეთ მდებარე მცირე ეკლესიები.

ისტორიული წყაროებით დადგენილია, რომ ხახულის მონასტერი დააარსა ტაოს მეფე დავით III კურაპალატმა (961-1001 წწ.) X საუკუნის II ნახევარში. XVI საუკუნეში კომპლექსი ქართლის კათოლიკოსის საგამგებლოში შედიოდა, ამ საუკუნის ბოლოდან კი, ოსმალეთის მიერ ტაო-კლარჯეთის დაპყრობის შემდეგ, იგი თურქების საკუთრებაში გადავიდა. მაჰმადიან ქართველებს ტაძარი ჯამედ გადაუკეთებიათ და ამით გადაურჩენიათ იგი დანგრევისაგან. კედლებზე შემორჩენილია რამდენიმე ასომთავრული წარწერა, ხოლო ფრესკებიდან ძალიან მცირე რაოდენობაა გადარჩენილი.




სურ. 3.60.1. საერთო ხედი



სურ. 3.60.2. ადგილმდებარეობის რუკა

ხახულის მთავარი ტაძარი დიდი მასშტაბის თავისუფალი ჯვრის ტიპის, ცენტრალურ გუმბათოვანი, წაგრძელებული ნაგებობაა (სურ. 3.60.3). მისი სიგრძეა 34,43 მ, სიგანე – 24,0 მ. სამხრეთი ფასადის სარკმლის თავზე ორი ფერის ქვით გამოყვანილი რადიალურად გაშლილი სხივია, ხოლო მათ ფონზე შეწყვილებული სარკმლის თაღებსშუა ჩასმულია არწივის ჰორელიეფური გამოსახულება (სურ. 3.60.4). ტაძრის საკმაოდ კარგადაა განათებული. სარკმლების რაოდენობა ბევრი არ არის, მაგრამ ისინი განიერია. საკურთხეველი სამნაწილიანია. ცენტრალურ ნაწილში ღრმა ბემა დაბოლოებულია აფსიდით. ბემის კედლებში თითო-თითო პატარა ნიშია, აფსიდაში კი ცხრა. ტაძრის შიდა კედლები, ისევე როგორც ფასადები, მოპირკეთებულია თლილი ქვით. საკურთხევლის ფრესკებზე ჩანან მოციქულები, რომელთაც ხელში სახარება უჭირავთ. ტაძრის იატაკი თლილი ქვისაა. ფასადები მოპირკეთებულია ქვით და, შესაბამისად, შემკულია მორთულობებით. დეკორი უმეტესად სარკმლების და კარებების ირგვლივ არის განლაგებული. მდიდრულად არის დეკორირებული გუმბათის ყელი (სურ. 3.60.5). ცილინდრულ ყელზე განლაგებულია თექვსმეტი თაღი, რომლებიც ეყრდნობა შეწყვილებულ პილასტრებს. პილასტრები ბოლოვდება ორნამენტირებული ბაზებით და კაპიტელებით. თექვსმეტი თაღიდან მხოლოდ რვაშია სარკმელი. ისინი საპირეების გარეშეა და მორთულია ორმაგი თავსართით, რომელიც წყობაშია გამოყვანილი. ქვედა თავსართი მოყ-



სურ. 3.60.3. მთავარი ტაძარის გეგმა



სურ. 3.60.4. ჰორელიეფი სამხრეთ ფასადზე

ვითალო ქვისაა და დაფარულია ორნამენტით, ხოლო ზედა – წითელი ქვის და სადა. კონუსური გუმბათი გადახურულია მოჭიქული კრამიტით. სარკმლები ბოლოვდება ორმაგი ქუდებით. ქვედა ქუდი მოყვითალო ქვისაა და დაფარულია ორნამენტით, ზედა – წითელი ქვის და სადაა. კონუსური გუმბათი გადახურულია მოჭიქული კრამიტით.


მონასტერს მთის რელიეფის გაყოლებაზე შემოვლებული ჰქონდა მაღალი მასიური ქვის გალავანი. სამწუხაროდ გალავნიდან შემორჩენილია ძალიან მცირე ფრაგმენტები, მათ შორის კარიბჭე, რომელზეც სამრეკლო ან კოშკი ყოფილა დაშენებული.

ეზოში განლაგებული ეკლესიებიდან ყველაზე დიდი იყო ტაძრის ჩრდილოეთით მდგომი ერთნავიანი სამაფსიდიანი ეკლესია, რომლის მხოლოდ ნაშთია შემორჩენილი. ეკლესიის ქვეშ აკლდამაა. სიდიდით მეორე მცირე ერთნავიანი დარბაზული ეკლესია (სამლოცველო) ტაძრიდან სამხრეთითაა რამდენიმე მეტრზე (ზომები გარედან: 7,31x4,71 მ). მოპირკეთებულია თლილი კვადრებით და დეკორირებულია (განსაკუთრებით აღმოსავლეთი ფასადი). სარკმლები აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან აქვს. სარკმლის გვერდებზე განლაგებულია განიერი და დაბალი სამკუთხა ნიშები, რომლებიც ბოლოვდება მარაოსებრი კამარით (სურ. 3.60.6). სტილისტური მონაცემებით ეს ეკლესია, სავარაუდოდ, აშენებულია X საუკუნეში. კომპლექსის ტერიტორიაზე და მის გარეთ, კიდევ ყოფილა რამდენიმე მცირე ეკლესია (5 გალავანს შიგნით, 3 – გარეთ), რომლებიც ისეა დანგრეული, რომ მათი ანაზომების აღებაც კი ვერ ხერხდება.


ხახული ძველი საქართველოს განათლების ერთ-ერთი კერა იყო. აქ მოღვაწეობდნენ გამოჩენილი მწიგნობრები, საეკლესიო მოღვაწენი, ღვთისმეტყველნი, მქადაგებელნი, მთარგმნელნი და კალიგრაფები (იოვანე ხახულელი, ბასილ ბაგრატის ძე, გრიგოლ ხახულელი და სხვ.). ხახულის მონასტრის საგანძურში იყო ხახულის ღვთისმშობლის კარედი ხატი (ტრიპტიქი), რომელიც ამჟამად საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის მუდმივ უნიკალურ ექსპოზიციაშია გამოფენილი (სურ. 3.60.7). ხატი XII საუკუნეში საქართველოს მეხუთე მეფეს დავით IV აღმაშენებელს (1089-1125 წწ.) ხახულის მონასტრიდან გადმოუსვენებია გელათის მონასტერში, სადაც იგი ახლად მოუჭედიათ და შეუმკიათ ოქროთი, ვერცხლით, ტიხრული მინანქრითა და პატიოსანი თვლებით (სურ. 3.60.8; სურ. 3.60.9). ხატზე ღვთისმშობელი ყრმა იესოს გარეშეა გამოსახული და მუქი ელფერი დაჰკრავს. გამოსახულება ზუსტად ემთხვევა პეტერბურგის ზამთრის სასახლის ხატს. ის წმიდა ოქროს პერანგითაა შემკული და ძვირფასი ქვებითაა მოჭედილი. ძვირფასებულობის უმრავლესობა თამარ მეფის შემოწირულობაა. გადმოცემა მოგვითხრობს, რომ ერთხელ მეფე თამარი თურმე გელათის მონასტერში წირვაზე წასასვლელად ემზადებოდა. თავის თავსარქმელის შესამკობად ლალი ამოირჩია. ამ დროს მას მოახსენეს, რომ მათხოვარი იყო მოსული და მას მოწყალებას სთხოვდა. თამარმა მსახურებს უბრძანა, გადაეცათ მათ-



სურ. 3.60.5. გუმბათის ყელი




სურ. 3.60.6. სამხრეთი ეკლესიის სამკუთხა ნიშა მარაოსებრი კამარით




სურ. 3.60.7. კარედი ხატი (ტრიპტიქი)

ხოვრისათვის, რომ მოეცადა მანამ, სანამ მეფე შემოსვას მორჩებოდა. როდესაც თამარი წასასვლელად მოემზადა და გარეთ გამობრძანდა, მათხოვარი იქ აღარ დახვდა. მსახურებმა ბევრი ეძებეს, მაგრამ ვეღარ იპოვეს. წმიდა მეფე თამარი ძალზედ შეაშფოთა იმან, რომ მან წყალობაზე უარი უთხრა თვით მაცხოვარს, რომელიც მათხოვრის სახით იყო მასთან მისული. დამწუხრებულმა წმიდა მეფემ სამოსიდან ყველა ძვირფასეულობა მოიხსნა, რამაც იგი წყალობის გაცემაში შეაფერხა და სინანულის ნიშნად ხახულის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატს შესწირა. 1859 წელს გელათის მონასტერი გაძარცვეს და გაიტაცეს ხახულის ღვთისმშობლის მინანქრის ხატი. ვედრების მინანქრის ხატიდან შემორჩენილია მხოლოდ ღვთისმშობლის სახე და ხელები.


ხახულის კარედი 1952 წლამდე ინახებოდა გელათის მონასტერში. ამჟამად კი საქართველოს ხელოვნების მუზეუმის საგანძურშია დაცული. ხახულის განთქმულ ტრიპტიქონს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, განსაკუთრებული ადგილი უკავია შუა საუკუნეების ტიხრული მინანქრის ისტორიაში. იგი წარმოადგენს შეკრულ ერთიან ანსამბლს, რომელშიც გაერთიანებულია სხვადასხვა დროისა და წარმომავლობის ტიხრული მინანქრების დიდძალი რიცხვი და რომელიც სავსებით ეპასუხება ეპოქის აღმატებულ დეკორაციულ ამოცანებს. მთელი ხატი დაფარულია მდიდრულად ორნამენტირებული ჭედური ფურცლებით (სურ. 3.60.10). შუა ნაწილის ჭედურობა შესრულებულია ბაჯაღლო ოქროს ფურცელზე. გვერდითი ფრთებისა კი – ცხელი წესით მოოქროვილ ოქროსა და ვერცხლის შენადნობზე.



სურ. 3.60.8. ხატის ფრაგმენტი. მიხეილ VII დუკასი და მისი მეუღლის მედალიონი – ჯვარცმა (მინანქარი)



სურ. 3.60.9. ხატის ფრაგმენტი. მაცხოვრის ფირფიტა წმინდა მარიამის გამოსახულებით




სურ. 3.60.10. ხახულის კარედის ფრაგმენტი

ხახულის ხატის მოჭედილობა დღემდე უცვლელი სახით არის მოღწეული. გაშლილი კარედის ზომაა – 2,0x1,47 მ, ცალკე ფრთებისა კი – 1,15x0,52 მ. ხახულის კარედის ცენტრში მოთავსებულია ღვთისმშობლის ვედრების ხატი – „დეისუსი“ (54x41 სმ). მთელი კარედის ფონი მორთულია ჭედური ფოთლოვანი ორნამენტებით. ორნამენტი ზევით მიმართული მცენარეული ყლორტებითაა წარმოდგენილი, იშლება მთელ ზედაპირზე და ქმნის დეკორატიულ ხვეულებს. ყოველ ხვეულში ჩასმულია რელიეფური მრავალფურცელა. კარედის მოჭედილობის ერთიანი ჩანაფიქრის მიუხედავად, სამივე ნაწილის ჭედურობის მანერა განსხვავდება, რაც მიგვანიშნებს იმაზე, რომ ტრიპტიქის მოჭედილობაზე მუშაობდა სამი სხვადასხვა ოსტატი. ხახულის ტრიპტიქონის ჭედურობის ორნამენტული მოტივი შედგება I-II საუკუნეებში ქართული ჭედური ხელოვნებისათვის კარგად ცნობილი ცალკეული ელემენტებისაგან, რაც მიგვანიშნებს იმაზე, რომ კარედის ხატის ჭედურობა შესრულებულია ძველი ქართული ტრადიციებით. ხატის მთლიანი შინაარსი ირკვევა რელიგიურ კომპოზიციათა სიუ-

ჟეტების ამსახველი მინანქრული ფირფიტებით, ქტიტორების მინანქრული გამოსახულებებითა და წმიდანების გამოსახულებიანი მინანქრის მედალიონებით. იგი უხვადაა შემკული ტიხრული მინანქრის ულამაზესი გამოსახულებებით. ხახულის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატი წარმოადგენს ქართული ისტორიის უმნიშვნელოვანეს სულიერ და კულტურულ შედევრს. მისი დღესასწაული 15 აგვისტოს აღესრულება.


3.61. კუმურდოს ტაძარი (Kumurdo Cathedral) – X საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ქართული საკათედრო ტაძარი (სურ. 3.61.1). მდებარეობს სამხრეთ საქართველოში, ჯავახეთში, ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, ახალქალაქიდან – 14 კმ-ში, მაღალ პლატოზე, ზღვის დონიდან – 1740 მეტრზე (სურ. 3.61.2). ტაძრის კედლებზე შემორჩენილი წარწერებიდან ირკვევა, რომ აფხაზთა მეფის ლეონ III-ს დროს (964 წ.), იოვანე ეპისკოპოსის (ზოსიმე კუმურდოელის) თაოსნობით ქართველ ხუროთმოძღვარს საკოცარს, დაუწყია ტაძრის მშენებლობა. XI საუკუნეში საქართველოს მეფის ბაგრატ IV-ის (1027-1072 წწ.) დედამ მარიამ დედოფალმა ტაძარს დასავლეთის მკლავის სამივე მხრიდან მიაშენა დეკორატიული კამარებით შემკული ნართექსი, სამხრეთის მხრიდან კი – სტოა. დასავლეთი შესასვლელის წარწერის მიხედვით, ტაძარი საფუძვლიანად გადააკეთეს, თუმცა მალევე დაზიანდა (სავარაუდოდ მიწისძვრისაგან), გუმბათი ჩამოიშალა, ხოლო დასავლეთი ნაწილი ჩაშენებებით დაამახინჯეს.




სურ. 3.61.1. საერთო ხედი

ქვით ნაშენი ტაძარი, აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ წაგრძელებული ჯვარგუმბათოვანი ნაგებობაა თავისებური, გარდამავალი ხასიათის გეგმით: გარედან ჯვრისებრი მოხაზულობისაა, შიგნით კი აქვს ხუთი ნახევარწრიული აფსიდი და ერთი (დასავლეთი) მართკუთხა მკლავი. საკურთხევლის ორივე მხარეს აფსიდებიანი სადიაკვნე და სამკვეთლოა, ხოლო სამხრეთისა და ჩრდილოეთის აფსიდები განლაგებულია არა რადიალურად (როგორც ექვსაფსიდიან ეკლესიებში, რომლებთანაც ტაძარი გენეტიკურად არის დაკავშირებული), არამედ წყვილ-წყვილად და ერთმანეთის პარალელურად (სურ. 3.61.3). ტაძრის ზომებია (კარიბჭისა და სტოების გარეშე): სიგრძე – 29 მ, სიგანე - 20 მ, სიმაღლე გუმბათის ყელის ძირამდე – 15.3 მ, გუმბათის დიამეტრი – 9 მ.

ფასადთა დამუშავების დროს არ არის გამოყენებული დეკორატიული თაღედი, რომელიც X–XI საუკუნეების მიჯნიდან ქართული ეკლესიების გარემორთულობის საფუძველს შეადგენდა, მაგრამ ახალი ეპოქის სხვა ნიშნები უკვე თვალსაჩინოა: ადრინდელი ხანის ძეგლებთან



სურ. 3.61.2. ადგილმდებარეობის რუკა



სურ. 3.61.3. გეგმა

შედარებით საერთო პროპორციები უფრო აზიდულია, არსებითი მნიშვნელობა ენიჭება მორთულობას (სარკმელთა მოჩუქურთმებული საპირეები), ფასადთა წყობაში ჩართულია გარკვეული ფერადოვანი მახვილები (მაგ., აღმოსავლეთი ფასადის სარკმლის სათაური და კაშკაშა წითელი ფერის ჯვარი, რომლებიც მკაფიოდ გამოიყოფა კედლის საერთო მოვარდისფრო სიბრტყეზე), ხოლო სამკუთხა ნიშები (მოტივი, რომელიც შემდეგ საუკუნეებში დიდად გავრცელდა) ფასადთა საერთო კომპოზიციის საფუძველს შეადგენს. მცენარეული და გეომეტრიული ჩუქურთმის გარდა გვხვდება რელიეფური გამოსახულებებიც, ხოლო შიგნით, გუმბათქვეშა აფრებში – საქართველოს მეფის ბაგრატ III-ის დედის გურანდუხტ დედოფლისა და მისი ძმის, ლევან მეფის გამოსახულებანი. გარდა ამისა, კუმურდოს ტაძარი მიეკუთვნება იმ იშვიათ ქართულ ძეგლთა რიცხვს, რომელთაც თავისსავე კედლებზე აქვთ საკუთარი „პასპორტი“ – სამშენებლო წარწერა (სურ. 3.61.4), რომელშიაც მოხსენებული არიან ქტიტორი (მშენებლობის მოთავე, ხარჯის გამღები) და ხუროთმოძღვარი, მითითებულია აგების თარიღი; არის სხვა წარწერებიც, რომლებიც ძეგლის შემდგომ ისტორიულ თავგადასავალს ასახავს. გუმბათი ეყრდნობა შვერილ აბსიდებზე წაბმულ წახნაგოვან სვეტებს, მაგრამ ექვსაფსიდიან ეკლესიებისგან განსხვავებით, გარედან ეს შიგა გეგმა ჩასმულია ჯვრის ფორმაში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ „კუმურდოს გეგმაში თითქოს შეთავსებულია წარსული და მომავალი – მრავალაფსიდიანობა, რომელსაც არ გადმოუღწევია X-XI საუკუნეთა მიჯნის აქეთ, და წაგრძელებული მართკუთხა გეგმა, დამახასიათებელი მთელი მომდევრო ხანის საეკლესიო არქიტექტურისათვის“ (ვ. ბერიძე).



სურ. 3.61.4. ძველი ქართული სამშენებლო წარწერები



სურ. 3.61.5. ბაგრატ III-ის დედის დედოფალ გურანდუხტის გამოსახულება გუმბათქვეშა აფრა-ტრომპში



სურ. 3.61.6. კარის მორთულობა



სურ. 3.61.7. ორნამენტი



სურ. 3.61.8. ბოლნური ტოლმკლავა ჯვარი

კუმურდოს ტაძრის ტექნიკური შესრულების ხარისხი, მზიდ კონსტრუქციებში გამოყენებული სუფთად გათლილი ქვების ზუსტი წყობა, პროპორციები, უმაღლესი მხატვრული ღირსებანი, შიდა სივრცის მონუმენტურობა იშვიათი სიფაქიზითაა შესრულებული (სურ. 3.61.5 -

სურ. 3.61.8). ჩუქურთმები და ფასადთა სიბრტყეების ფერადოვნება განსაკუთრებულ ადგილს ანიჭებს კუმურდოს ტაძარს ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიაში და დამსახურებულად ითვლება განვითარებული შუასაუკუნეების უნიკალურ ძეგლად.

3.62. ხევის სიონი (ინგლ. Sioni Basilica) – IX-X საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, სამნავიანი ბაზილიკა (სურ. 3.62.1). მდებარეობს დარიალის ხეობაში, სტეფანწმინდის მუნიციპალიტეტში, სოფელ სიონში. ნაგებია სხვადასხვა ზომის უხეშად დამუშავებული შავი ქვით. გარედან შეთეთრებული იყო. ორი მასიური ბოძი და სამ-სამი თაღი ნაგებობას სამ ნავად ჰყოფს. ეკლესიას სპეციფიკური ნიშნები ახასიათებს: დასავლეთის თაღები სხვებზე ბევრად ვიწროა და გვერდით ნავებში გასასვლელი კარის შთაბეჭდილებას ტოვებს; შუა ნავი სხვებისგან თავისი დიდი ზომებით გამოირჩევა; მართკუთხა პასტოფორიები საკურთხეველს არ უკავშირდება; ღრმა ბემიან აფსიდს ნაოსისგან ძველი ექვსსვეტიანი კანკელი გამოჰყოფს. საკუთრივ აფსიდის სივრცეში კედლებს საფეხური შემოუყვება, რომელიც სასულიერო პირთა დასაჯდომადაა განკუთვნილი. ცენტრში, სარკმლის ქვეშ მღვდელმთავრის დასაჯდომია, მის გვერდით აღმართული მრგვალი სახატე სვეტით. დეკორაციული გაფორმება ბაზილიკას მხოლოდ აღმოსავლეთით, საკურთხევლის ფასადზე აქვს. ცენტრში განთავსებულია სარკმელი სათაურით, რომელსაც გვერდებზე ჰორიზონტალური გადანაკეცები აქვს გაკეთებული. ზემოთ ძლიერად შვერილი უბრალო თაროა. ამ შვერილსა და სარკმელს შორის კედელში სამკუთხა წვერით დასრულებული ბრტყელი და დაბალი ნიშია ჩასმული. ეკლესიას შერჩენილი აქვს ქვის ფილებიანი ძველი სახურავი, რომელსაც ფრონტონების წვერში ქვისგან გამოკვეთილი ჯვრები ადგას. სავარაუდოდ, სამხრეთ და ჩრდილოეთ ფასადებს თავდაპირველად ღია თაღოვანი გალერეა ჰქონდა მიშენებული, რომელიც დღესდღეობით აღარ იკითხება. ფასადების მორთულობა ღარიბულია. ტაძარში დასავლეთ კედელზე შემორჩენილია მოხატულობის კვალი. ეკლესიის მახლობლად, ციცაბო კლდის პირას დგას ოთხსართულიანი, ზემოთ საგრძნობლად შევიწროვებული სადარაჯო კოშკი (სურ. 3.62.2). იქვე, კვარცხლბეკზე აღმართულია მემორიალური ქვა – სტელა, რომელსაც თავდაპირველად ჯვარი აგვირგვინებდა. ერთ ქვაზე შემორჩენილია ღვთისმშობლისა და ჩვილის გამოსახულების ნაშთი. ხოლო ფუძის რვაკუთხა ქვაზე ასომთავრული წარწერაა ამოკვეთილი. ეზოს ამშვენებს წითელი კრამიტით დახურული სამრეკლო. ეკლესიის შესასვლელთან ხევის უხუცესთათვის განკუთვნილი ქვის სავარძლები და სკამებია.



სურ. 3.62.1. საერთო ხედი



სურ. 3.62.2. სადარაჯო კოშკი

3.63. აგარის მონასტერი (ინგლ. Agara Monastery) – X საუკუნის მეორე ნახევრის ქართული ხუროთმოძღვრების თვალსაჩინო ძეგლი, სამონასტრო კომპლექსი (სურ. 3.63.1). მდებარეობს სამცხე-ჯავახეთის მხარეში, ახალციხის მუნიციპალიტეტში, მდ. მტკვრის შენაკად ურაველის მარჯვენა ნაპირზე, სოფელ ურაველის ზემოთ, მთის თხემზე. კომპლექსში შემავალი ნაგებობებია: დარბაზული ეკლესია, სამრეკლო, სატრაპეზო, მცირე სამლოცველოები, სამეურნეო დანიშნულების და საცხოვრებელი სადგომების ნანგრევები.



სურ. 3.63.1. საერთო ხედი


ყვლაზე დიდი ნაგებობა კომპლექსში მთავარი ეკლესიაა – თლილი ქვით ნაშენი, ერთ-ერთი უდიდესი ერთნავიანი ეკლესია საქართველოში (გარეთა ზომები 8,0x17,0 მ). შიგნით კედლები და კამარა თავდაპირველი სახითაა მოღწეული გადაკეთების გარეშე. ყურადღებას იქცევს საკურთხევლის აფსიდის დამუშავება. მცხეთის სვეტიცხოვლის და ხახულის მსგავსად აგარის ეკლესიის აფსიდში ერთიმეორის მიყოლები 9 ნახევარწრიული თაღოვანი ნიშია გაკეთებული. შუა მათგანი, სარკმლის ქვეშ, სხვებზე დაბალი და მორთულობის გარეშეა. დანარჩენი ნიშები – მაღალი, მარტივი პროფილით და იმპოსტებით საგანგებოდ მოჩარჩოებული. ასეთი მღვდელმსახურთა დასაჯდომები საეპისკოპოსო ტაძრებში კეთდებოდა და იქაც ძალიან იშვიათად, ამიტომ აქ მათი არსებობა გაოცებას იწვევს. კედლებს აქა-იქ შერჩენილი აქვს ძველი მხატვრობის კვალი. აღმოსავლეთის ფასადის შუა ადგილას ჩუქურთმით მორთული სარკმელია (სურ. 3.63.2), რომლის ზემოთ არის წარწერა და რელიეფური ქანდაკება, რომელიც მოგვიანებით უნდა იყოს ჩასმული (სავარაუდოდ, იგი უფრო ადრინდელი შენობიდანაა ნასესხები). უჩვეულოა ფასადის ნაპირზე თითო ღრმა მაღალი ნიშის არსებობა. ამგვარ ნიშებს ჩვეულებრივ დიდგუმბათიანი (პასტფორებიანი) ტაძრების აღმოსავლეთის ფასადზე ათავსებდნენ. ისინი თითქოს აღნიშნავენ მიჯნას საკურთხეველსა და მის მეზობელ ორ ოთახს შუა.



სურ. 3.63.2. აღმოსავლეთი ფასადის მორთულობა

მათ კონსტრუქციული დანიშნულებაც აქვთ – შეამციროს კედლის მასა. ამ პერიოდისათვის ქართულ ერთნავიან ტაძრებში ნიშების გამოყენება იშვიათად გვხვდება. აგარის ნიშები ძალიან ღრმაა და გეგმაში წვეტიან სამკუთხედებს წარმოადგენენ. შენობას ეტყობა გადაკეთების კვალი (XIV ს.), რასაც ადასტურებს დასავლეთის კედელზე სარკმლისა და შესასვლელის მორთულობა, რომელიც მკვეთრად განსხვავდება სამხრეთისა და აღმოსავლეთის სარკმელთა მორთულობისაგან. ტაძრის გვერდით, სამხრეთის კედლის პარალელურად, ძველი კედლის ნანგრევია. სამხრეთიდან დარბაზს ეკვროდა გრძელი ერთაფსიდიანი ეგვტერი, რომლისგანაც დღეს ნაშთებია შემორჩენილი. ერთ ადგილას შემორჩენილია კარნიზის ქვა მშვენიერი ჩუქურთმით, რომელიც აგრეთვე X ან XI საუკუნეს ეკუთვნის. სამხრეთით ძველი სამრეკლოს (XIII-XIV სს.) ნანგრევია (მხოლოდ პირველი სართულია გადარჩენილი), მის გვერდით კი მდგარა დიდი შენობა (ამჟამად სანახევროდ დანგრეულია), რომელიც ბერების სასადილოს (სატრაპეზოს) წარმოადგენდა. იგი ერთი დიდი დარბაზისა და მასზე მიშენებული გრძელი სადგომისაგან შედგებოდა. აგარის მონასტერი საფუძვლიანად შეაკეთეს XIV-XV საუკუნეებში.

3.64. ატენის ციხე (საცივის ციხე, ორბელიანის ციხე) (ინგლ. Ateni Fortress) – X-XI საუკუნეების ციხესიმაგრე გორის მუნიციპალიტეტში, ატენის ხეობაში, სოფ. ატენში (სურ. 3.64.1). X საუკუნეში ციხე კლდეკარის ძლიერი ერისთავების საკუთრება იყო. XI საუკუნის დასაწყისიდან, ბაგრატ III-ის გამეფების შემდეგ, იგი მეფის გამგებლობაში გადადის. მრავალი საუკუნის განმავლობაში, შინაურმა თუ გარეშე მტრებმა ბევრჯერ სცადეს ციხის დაუფლება, მაგრამ ვერავინ შეძლო მისი აღება (თვით ირანის შაჰმა თამაზმა 1554 წელს საქართველოზე მეოთხე ლაშქრობისას ციხე ბრძოლით ვერ აიღო. მხოლოდ შინაური გამცემლის დახმარებით, მას შემდეგ, რაც მეციხოვნეებს გადაუკეტეს წყალსადენი, ციხე დანებდა). XVII საუკუნის ოცდაათიან წლებში გამაჰმადიანებულმა ქართლისა (1633-1658 წწ.) და ქართლ-კახეთის (1648-1656 წწ.) მეფემ როსტომმა, შინაურ ფეოდალებთან ბრძოლისას, აიღო ციხე და პრაქტიკულად მიწასთან გაასწორა. ამის შემდეგ მას მეპატრონე აღარ ჰყოლია და დაკარგა თავისი ისტორიული ღირებულება.



სურ. 3.64.1. საერთო ხედი

გეგმით მართკუთხედის ფორმის (38,4x17,2 მ) ციხე ნაგებია ნატეხი ქვით. შედგება ჩრდილოეთის პატარა და სამხრეთის დიდი ნაწილებისაგან. შესასვლელი ჩრდილოეთის მხრიდანაა. აგებულია კლდის მიუვალ ქიმზე, რომელსაც ერთ მხარეს საცივისხევი ჩამოუდის, მეორე მხარეს კი – აბანოსხევი. იგი ძნელად მისადგომია, ზომით კი დიდი არ არის. კედლები მაღალი და მტკიცე ჰქონია. ციხის ქვედა ნაწილში საკმაოდ მოზრდილი წყალსაცავები ყოფილა მოწყობილი. წყალი თიხის მილებით ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ხევიდან მოედინებოდა. შესასვლელი ჩრდილოეთითაა. ბურჯებით გამაგრებული გალავნის შიგნით მეციხოვნეთა სადგომები, წყალსაცავი და სხვა ნაგებობებია.

3.65. გიშის ეკლესია (გიშის ღვთისმშობლის საყდარი) (ინგლ. Gishi Church) – X-XI საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლი, ქრისტიანული ტაძარი ისტორიულ ჰერეთში (სურ. 3.65.1). მდებარეობს საქართველოს ყოფილ ტერიტორიაზე საინგილოში, სოფელ გიშის აღმოსავლეთით მაღლობზე, მდ. გიშის (ახლანდელი ქიშჩაი) წყლის ხეობაში, ქ. შაქიდან 4-5 კმ-ის დაშორებით (აზერბაიჯანის რესპუბლიკა). თვით გიში, საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული მხარის, ჰერეთის შემადგენელი ნაწილი იყო და წუქეთის საერისთაოს ცენტრი გახლდათ, იგივე გრიგოლისძეთა, რეზიდენცია. მეცნიერული კვლევების თანახმად (პ. იოსელიანი) მეფე ვახტანგ გორგასალს V საუკუნეში გაუხსნია აქ ეპარქია, ხოლო VII საუკუნეში არჩილ მეფეს დაუარსებია გიშის საეპისკოპოსო კათედრა.

კუპელჰალეს მცირე ზომის (7,7x6,9 მ) ერთნავიანი ტაძარი ერთგანყოფილებიანი წაგრძელებული დარბაზია, რომელიც წრიული მოხაზულობის აბსიდითაა დაბოლოებული. ეკლესიის კედლის სისქე ერთ მეტრს აღემატება. ნაშენია უხეშად დამუშავებული ადგილობრივი ფორებიანი თლილი ქვით და კირის დუღაბით. საშენ მასალად ნაწილობრივ რიყის ქვებიცაა გამოყებული.


სურ. 3.65.1. საერთო ხედი

ნაგებობა შიგნით და გარეთ მთლიანად შელესილი ყოფილა კირის ხსნარით. დასავლეთიდან კარიბჭის კედელზე მიშენებული ყოფილა სამრეკლო, რომლის მასიური კვადრატული კვეთის (1,0x1,0 მ) პილონები დღესაცაა შემორჩენილი. საყდარს გარშემო ქვის დიდი გალავანი ჰქონია შემოვლებული. სა-


ყდრისა და გალავნის შემოგარენში სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობათა ნაშთებია შემორჩენილი.

გუმბათის ცილინდრული ყელი ტაძრის პროპორციებთან შედარებით მაღალია და მასში 6 სარკმელია გაჭრილი. სარკმლის საპირეები ყელზეც და კედლებზეც მარტივი სწორხაზოვანი ლილვებითაა მორთული. ანალოგიური დეკორაციული ლილვებითაა დამშვენებული გუმბათის ყელის ზედა და ქვედა ნაწილებიც. ტაძარში შესასვლელი და გუმბათი XIX საუკუნეშია განახლებული. გადაკეთებისა და შელესილობის მიუხედავად, შეინიშნება ძველი ეკლესიის კვალი.

3.66. კაბერის ეკლესია − X-XI საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, გოსტიბეს წმინდა გიორგის ეკლესია (სურ. 3.66.1). მდებარეობს შიდა ქართლის მხარეში, კასპის მუნიციპალიტეტში, კასპიდან 30 კმ-ში, სოფელ გოსტიბედან 1 კმ-ში, ძველ სასაფლაოზე (სურ. 3.66.2). ეკლესიის დასავლეთის ფასადზე არსებული ასომთავრული წარწერის თანახმად (სურ. 3.66.3) ეკლესია აგებულია 1014-1027 წლებში ასად სანივაჯის ძის მიერ.



სურ. 3.66.1. საერთო ხედი



სურ. 3.66.2. ადგილმდებარეობის რუკა

კაბერის ეკლესია დარბაზულია (11,9x12,7 მ). ჩრდილოეთით სამკვეთლო, ხოლო სამხრეთით − ეგვტერი აქვს მიშენებული. ნაგებია არათანაბარი ზომის უხეში რუხი ფერის ქვით. ინტერიერის კონსტრუქციული ნაწილებისთვის კარგად დამუშავებული კვადრებია გამოყენებული, ხოლო კედლები ამოყვანილია მცირე ზომის ქვებით და შელესილია. შიგნიდან თაღოვანი, გარედან არქიტრავით გადახურული შესასვლელი სამხრეთ კედლის დასავლეთ ნაწილშია. ოდნავ შემაღლებული ნალისებრი აფსიდის ღერძზე თაღოვანი სარკმელია, გვერდებზე − მართკუთხა ნიშები. კამარა ეყრდნობოდა ქვემოთკენ მომრგვალებულ კონსოლებზე შეკიდულ საბჯენ თაღებს. სატრიუმფო და დასავლეთ კედლის თაღები ოდნავ შეისრული ფორმისაა. სამხრეთ კედელში გაჭრილია ორი სარკმელი. დარბაზის ჩრდილოეთ კედლის დასავლეთ ნაწილში სარკოფაგია. ეკლესიის კედლებზე შემორჩენილია მოხატულობის ფრაგმენტები. აღმოსავლეთი ფასადის სარკმლის სათაურზე გამოსახულია სამი რელიეფური ჯვარი; დასავლეთი ფასადის ცენტრში ჩასმულ, ამობურცული განიერი ლილვით მოჩარჩოებულ, ყვითელ ქვაზე შვიდსტრიქონიანი ასომთავრული სამშენებლო წარწერაა, რომელშიც გარდა ეკლესიის აშენების თარიღის და აღმშენებლის სახელისა, ნახსენები არიან გიორგი მეფე და მელქისედეკ კათოლიკოსი, სოფრონ ბედიელი მთავარეპისკოპოსი. ამ ქვის წარწერის თავზე, ვიწრო მართკუთხა ლილვიან ყვითელ ქვაზე, ამოკვეთილია შეღრმავებული ჯვარი, მარჯვნივ, ოდნავ ქვემოთ, კედელში ჩასმულია საკმაოდ დიდი ქვა ჯვრის გამოსახულებით (სურ. 3.66.4).




სურ. 3.66.3. დასავლეთი ფასადის წარწერა



სურ. 3.66.4. რელიეფური ჯვარი დასავლეთის ფასადზე

3.67. ლაგურკა – ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, X საუკუნის კალას წმინდა კვირიკესა და წმინდა ივლიტას სახელობის მონასტერი (სურ. 3.67.1; სურ. 3.67.2). მდებარეობს სვანეთში, მესტიის მუნიციპალიტეტში, კალას თემის სოფელ ხეში, მდ. ენგურის მარცხენა ნაპირზე. ძირითადი ნაგებობებია: ეკლესია, სამხრეთისა და ჩრდილოეთის მინაშენები, სამრეკლო, გალავანი.

მოყვითალო ფერის შირიმის ქვით ნაგები ეკლესია დარბაზული ტიპისაა. ინტერიერში ნახევარწრიული საკურთხევლის აფსიდი, დარბაზის ძირითადი სივრცისგან გამოყოფილია ქვის კანკელით (სურ. 3.67.3). ცილინდრული კამარა ერთ საბჯენ თაღს ეყრდნობა. გრძივი კედლები დანაწევრებულია ორ-ორი თაღით. სარკმლები გაჭრილია აფსიდასა და დასავლეთ კედელში. ეკლესიას დასავლეთით მიშენებული აქვს სამრეკლო, სამხრეთით – უბრალო ქვის ოთახი, საიდანაც ეკლესიაში შესასვლელია გაკეთებული. ტერიტორია შემოზღუდული ყოფილა ქვითკირის მაღალი კბილოვანი გალავნით, რომლის მხოლოდ ნაწილია შემორჩენილი. სატრაპეზო, ოთახები და სენაკები, ქვემოთ ფერდობზეა გაშენებული.



სურ. 3.67.1. საერთო ხედი



სურ. 3.67.2. პანორამული ხედი

ეკლესია 1112 წელს მოიტახა მეფის კარის მხატვრის თევდორეს მიერ, კალის ხევის ფეოდალთა დაკვეთით, რაც ასომთავრული ფრესკული წარწერით დასტურდება. ეკლესიაში სახარების კომპოზიციების გვერდით, დიდი ადგილი უჭირავს წმ. კვირიკესა და ივლიტას ცხოვრების ამსახველ სცენებს. მიწისძვრისგან დაზიანებული ფრესკები ნაწილობრივ გადაწერილია გვიან შუასაუკუნეებში. აქცენტირებულია კვირიკესა და ივლიტეს ფიგურები დასავლეთ კედელსა და კანკელზე. ხოლო მათი ცხოვრების სცენები (კვირიკეს სიკვდილი, ივლიტეს თავის კვეთა) გამოსახულია სამხრეთ კედლის თაღებში. მხატვრობა მონუმენტური



სურ. 3.67.3. ინტერიერი



სურ. 3.67.4. ეკლესიისთვის შეწირული ზარი

ხასიათისაა. მისი განაწილება კედლებზე მკაცრად შეესატყვისება ინტერიერის არქიტექტურულ დანაწევრებას. გამოსახულებათა ექსპრესიით და ემოციური გამომხატველობით, სცენათა თემატიკური შინაარსის ინტერპრეტაციით ლაგურკის მხატვრობა უნიკალურია არა მარტო ამ პერიოდის ქართულ მონუმენტურ მხატვრობაში, არამედ, საერთოდ, შუა საუკუნეების მხატვრობაში. იგი ერთ-ერთი ადრინდელი ნიმუშია იმ მიმართულებისა, რომელმაც თავი იჩინა ხელოვნებაში XII საუკუნის II ნახევრიდან. ლაგურკაში დაცულია კალას თემის ეკლესიების X-XIII საუკუნეების მთელი საგანძური – ჭედური და ფერწერული ხატები (აღსანიშნავია, რომ წმ. კვირიკეს ხატები მხოლოდ სვანეთშია დაცული. შემორჩენილია ათი ხატი, რომელთა შორის უძველესი, XI საუკუნის, შესრულების მაღალი ოსტატობით გამოირჩევა). აქვე ინახება მინანქრებით შემკული ბიზანტიური ხელოვნების სანაწილე ხატი, რომელსაც სვანები „შალიანის ხატს“ უწოდებენ. ეკლესიის ეზოს ამშვენებს საჯილდაო ქვა და შეწირული ლითონის ზარი (სურ. 3.67.4). ლაგურკა სვანეთის ყველა თემს აერთიანებს და ყველაზე მნიშვნელოვანი ტაძარია სვანებისთვის. მას დღედაღამ დარაჯობდა ორი შეიარაღებული კაცი.

ლაგურკის ეკლესიაში ყოველი წლის 28 ივლისს, წმინდა კვირიკესა და ივლიტას წამების დღეს, სვანები და მათი სტუმრები აღნიშნავენ რელიგიურ დღესასწაულს – კვირიკობას.

3.68. მანავის ციხე (ინგლ. Manavi Fortress) – ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, ციხესიმაგრე გარეკახეთში. მდებარეობს საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, სოფელ მანავის ახლოს, მა-



სურ. 3.68.1. პანორამული ხედი

ღალ მთაზე. ზოგადი ნიშნებით ციხის ძველი ფენა X-XI საუკუნეებით თარიღდება, ახალი კი XVI-XVIII საუკუნეებით. კომპლექსში შემავალი ნაგებობებია: შიდაციხე ანუ ციტადელი (სურ.3.68.1) (წყალსაცავიანი სასახლე, დიდი ზომის კოშკოვანი სახლის ნანგრევები, მცირე კოშკი, მოზრდილი კოშკოვანი სახლი, ორსართულიანი შენობის ნანგრევები), სამი დარბაზუ-

ლი ეკლესია (სურ. 3.68.2) წყალსაცავითურთ, მესამე წყალსაცავი, ქვედა ციხე (სურ. 3.68.3) საყარაულო კოშკით და გალავანი (სურ. 3.68.4). ციხე სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ნაგებობა იყო, რადგან სრულად აკონტროლებდა თბილისიდან კახეთში მიმავალ ხეობას. XVIII საუკუნის დასაწყისიდან კახეთის მეფეს დავით II-ს (იმამ-ყული ხანი) მანავი რეზიდენციად გაუხდია და აქედან მართავდა კახეთს. მასვე აუგია სასახლეც. მანავის ციხის მნიშვნელობაზე ისიც მიუთითებს, რომ 1712 წელს აქ დაიწერა ჯვარი და იქორწინა თეიმურაზ II-მ, რომელიც 1732 წელს კახეთის, ხოლო 1744 წლიდან ქართლის მეფე გახდა.



სურ. 3.68.2. დარბაზული ეკლესიები



სურ. 3.68.3. ქვედა ციხე საყარაულო კოშკით




სურ. 3.68.4. ზედა ციხის გალავანი

მანავის ციხე მიუდგომელია დასავლეთის მხრიდან. სხვა მხარეებიდან კი გალავანი იცავს. იგი ძირითადად ორი ნაწილისაგან შედგება: შიდაციხე ანუ ციტადელი და ქვედა ციხე. ციტადელი გეგმით უსწორო ოთხკუთხედია, რომლის სიგრძე დაახლოებით ორჯერ აღემატება სიგანეს. გარე კედლებიდან შემორჩენილია დასავლეთისა და ჩრდილოეთის, ხოლო დანარჩენის მხოლოდ კვალი ჩანს. ციტადელის ტერიტორიაზეა განლაგებული ქვედა ციხის (მეფის რეზიდენციის) ნაგებობებიც. ციტადელის ჩრდილოეთის კედლის შუა ნაწილში მეფის სამსართულიანი სასახლე მდგარა, რომლის ერთი, 6-7 მ სიგრძის კედელია შემორჩენილი. პირველ სართულზე შეინიშნება მცირე ზომის მართკუთხა წყალსაცავის კვალი. გალავნის ჩრდილო-აღმოსავლეთის კუთხე ბურჯს ეჭირა. აქვე უნდა ყოფილიყო მცირე კოშკიც. მოზრდილი კოშკოვანი სახლი მდგარა გალავნის დასავლეთი, 8 მ სიმაღლის, კედლის სამხრეთ ბოლოში (ნანგრევებია დარჩენილი). გალავნის შუაში ორსართულიანი შენობის ნანგრევებია. ციტადელის შუაში ჯგუფად დგას სამი ერთნავიანი დარბაზული ეკლესია, რომელთაგან ყველაზე დიდი ეკლესიის ქვეშ მოთავსებული ყოფილა წყალსაცავი. ამ ეკლესიის ჩრდილო-აღმოსავლეთით ციხეს მესამე წყალსაცავიც ჰქონდა. ციტადელის აღმოსავლეთით მიდგმულია ქვედა ციხე, რომელიც ზომით თითქმის ორჯერ აღემატება ზედა ციხეს. აქ მეფის რეზიდენცია იყო განლაგებული. ციხის ჭიშკარი მდებარეობდა ქვედა ციხის ჩრდილო კედლის შუა-

ში, სადაც საყარაულო კოშკიც მდგარა. გალავანი ძლიერ დაზიანებულია. იგი ადგილ-ადგილ გამაგრებული ყოფილა ნახევარწრიული მოყვანილობის ბურჯებითა და კონტრფორტებით.

3.69. მაცხვარიშის ეკლესია – ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, მაცხვარიშის მაცხოვრის (ამაღლების) ეკლესია, X-XI საუკუნეების ქვით ნაგები ეკლესია სვანეთში, მესტიის მუნიციპალიტეტში, ლატალის თემში, სოფელ მაცხვარისში (სურ. 3.69.1).



სურ. 3.69.1. საერთო ხედი

დარბაზულ ეკლესიას მინაშენები აქვს. შესასვლელი დასავლეთ მხარესაა განთავსებული. მართკუთხა კარის თავზე საპირიანი თაღოვანი სარკმელია. ტაძარი მოხატულია მეფე დემეტრე I-ის დროს მიქაელ მაღლაკელიძის მიერ 1140 წელს. ისტორიული თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩრდილოეთ კედელზე გამოსახულ დემეტრე I-ის მეფედ კურთხევის ცერემონიას. მსგავსი სცენა არ გვხვდება არცერთი ტაძრის მხატვრობაში. ეკლესიაში შემორჩენილია ორნამენტებით შემკობილი ძველი ხის კარი. ეკლესიის გვერდით აღმართული სამრეკლო XVII-XVIII საუკუნეებს მიეკუთვნება. ტაძარში დაცულია მრავალი სიწმინდე, მათ შორის ვერცხლის ჯვარი მეთორმეტე საუკუნის ტიხრული მინანქრებით და სევადით შესრულებული მედალიონებით შემკული. რომელიც ითვლება ბიზანტიური ოქრომჭედლობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნიმუშად. ეკლესიას მინიჭებული აქვს ეროვნული მნიშვნელობის კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსი.

3.70. მზოვრეთის მონასტერი – ასურელ მამათა სახელობის მზოვრეთის მამათა მონასტერი, X საუკუნის ქართული ეროვნული მნიშვნელობის ხუროთმოძღვრული ძეგლი მძოვრეთის, (ზოვრეთის) ციხე-დარბაზის კომპლექსი (სურ. 3.70.1; სურ. 3.70.2). მდებარეობს ქართლში ნაქალაქარ მძოვრეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ მონაკვეთში, ზღვის დონიდან 1037 მ-ზე, მდ. ძამის მარჯვენა ნაპირზე. სახელი მზოვრეთი (ზოვრეთი, მძოვრეთი) წარმოდგება სიტყვა „საზუერედან“ (ზუერის ადგილი), რაც საბაჟოს ნიშნავს.



სურ. 3.70.1. საერთო ხედი

ქალაქს სტრატეგიული თვალსაზრისით მოხერხებული ადგილი ეკავა, შიდა, ქვემო და ზემო ქართლის გზების შესაყარზე მდებარეობდა. X საუკუნეში ზოვრეთში ძამელი მთავრის ადარნესეს რეზიდენცია იყო, XIV საუკუნეში – გამრეკელ კახას ძის და მისი მემკვიდეების. XVI-XVII საუკუნეებში ზოვრეთი უკვე ფანასკერტელ-ციციშვილების მფლობელობაშია. სამწევრისიდან რეზიდენციის გადმოტანის შემდეგ ქალაქი მათი საფეოდალოს პოლიტიკური ცენტრი ხდება. XVIII საუკუნიდან ქალაქი დაქვეითებას განიცდის, ხოლო XIX საუკუნეში წყვეტს არსებობას და მის ნანგრევებზე ახალი სოფელი ორთუბანი აღმოცენდა.

ციხე-დარბაზის კომპლექსი გაშენებული იყო მაღალი მთის ფერდობის ძირას გრძელ მონაკვეთზე და გალავნით იყო შემოზღუდული (სურ. 3.70.3). ის შუა საუკუნეების ერთ-ერთ მიუვალ სიმაგრეს წარმოადგენდა. მის ტერიტორიაზე განლაგებული იყო დარბაზული ეკლესია



სურ. 3.70.2. პანორამული ხედი



სურ. 3.70.3. გალავნის ფრაგმენტი



სურ. 3.70.4. დარბაზული ეკლესია

(სურ. 3.70.4), კოშკი (სურ. 3.70.5), სამრეკლო (სურ. 3.70.6). ზოვრეთის ციხე-დარბაზის კომპლექსი მრავალგზის იქნა იავარქმნილი მომხვდური მტრების მიერ და ჩვენს დრომდე ნანგრევების სახით მოაღწია (გრძელი მართკუთხა სასახლის, საცხოვრებელი და სამეურნეო დანიშნულების შენობების მხოლოდ კვალი შემორჩა). შუა საუკუნეების ციხე-დარბაზის ნაშთებზე 2008 წელს დაარსდა ასურელ მამათა სახელობის მზოვრეთის მამათა მონასტერი, ადგილობრივი ბერ-მონაზვნების ძალისხმევით განახლდა არქიტექტურული ძეგლის გალავანი და მასში შემავალი ნაგებობები, აიგო ახალი სამონასტრო შენობები (სურ. 3.70.7; სურ. 3.70.8). დღეს მზოვრეთის მონასტერი თავისი სიდიადით კვლავ ამშვენებს სამხრეთიდან ქართლში შემომავალ ძამის ხეობას.



სურ. 3.70.5. კოშკი



სურ. 3.70.6. სამრეკლო



სურ. 3.70.7. შიდა ეზოს ფრაგმენტი



სურ. 3.70.8. შიდა ეზოს ფრაგმენტი

3.71. ტბეთის მონასტერი – ტბეთის ღვთისმშობლის სახელობის X საუკუნის ქართული მართლმადიდებლური მონასტერი ისტორიულ სამხრეთ საქართველოში. მდებარეობს თანამედროვე თურქეთში, მდინარე იმერხევის მარჯვენა ნაპირზე, ახლანდელი ქ. შავშათიდან 15

კილომეტრში, სოფელ ტბეთის (თურქული სახელწოდება *Cevizli*, ჯევიზლი, ნიშნავს „კაკლიანს“) შუაგულში. მონასტრის მთავარი ტაძარი წარმოადგენდა შავშეთის საერისთავოს მთავარ ჯვარგუმბათოვან ეკლესიას, რომელიც ერისთავთერისთავის აშოტ კუხის მიერ იყო აგებული [აშოტ ბაგრატიონი (კუხი) გარდაიცვალა 918 წელს]. მანვე დანიშნა ტბეთის პირველი ეპისკოპოსი სტეფანე მტბევარი, რომელმაც X საუკუნის პირველ ნახევარში ააგო ციხესიმაგრე და დაიცვა მხარე ბიზანტიის აგრესიისაგან. ტბეთის მონასტერი რამდენიმე სამონასტრო ნაგებობას მოიცავდა, რომელთაგან დღეისათვის მხოლოდ მთავარი ტაძრის ნანგრევებია შემორჩენილი (სურ. 3.71.1).

სავარაუდოდ აშოტ კუხის აშენებული თავდაპირველი ნაგებობა რვამკლავიან ტაძარს წარმოადგენდა, რომელიც მალევე დაინგრა და მის ნაცვლად აიგო იმავე გეგმის ახალი ეკლესია. შესაძლებელია მოხდა ნაწილობრივი (მხოლოდ ფასადების) რეკონსტრუქცია, რომლის დროს არ დარღვეულა ტაძრის სივრცობრივ-მოცულობითი სტრუქტურა.

X საუკუნის ბოლოს რვააფსიდიანი ნაგებობის ადგილას მესამე, უფრო მოზრდილი და განსხვავებული ტიპის კათედრალი აიგო, რომლის ზოგადი კომპოზიცია არსებითად არ შეუცვლია მომდევნო საუკუნეების აღდგენა-გადაკეთებას. დღეს ტბეთის დიდებული ტაძარი დანგრეული და გაძარცულია.



სურ. 3.71.1. საერთო ხედი



სურ. 3.71.2. ექსტერიერის ორნამენტი

რვამკლავიანი ტაძრის ნაშთები გარედან მოპირკეთებულია მოწითალო-მონარინჯისფრო ქვიშაქვის დიდი კვადრატული ფორმის ფილებით. ზოგ ადგილებში გვხვდება ღია ქვიშისფერი ან უფრო მუქი მოშავო-მოწითალო ქვებიც. მათი წყობა მკაცრად მოწესრიგებულია, რიგები დაცულია და ძირითადად წახნაგიდან წახნაგზე გადადის. შიდა მოპირკეთება ჩრდილოეთის კედელზე შემოძარცვულია. შემორჩენილია მხოლოდ ქვების ბუდეები, რომელთა მოწესრიგებული წყობაც შიდა პერანგის სისუფთავესა და აკურატულობაზე მეტყველებს (დ. ხოშტარია).

მესამე ტაძრის გეგმა წარმოადგენს ჯვარს ოთხი მკლავით, რომელთაგან აღმოსავლეთისა აფსიდიანია, ხოლო დანარჩენი სამი მართკუთხაა. მიუხედავად არაერთი გადაკეთებისა, მესამე მშენებლობის დროინდელი ზოგიერთი დეტალი ტბეთის მთავარი ტაძრის ინტერიერში დღემდეა შემორჩენილი, მათ შორისაა სატრიუმფო თაღის იმპოსტები, რომლებსაც ხვეული ჩუქურთმებით მორთული ქვედა ნაწილი და მის თავზე გამოწეული ლილვი გააჩნია, ასევე თარო, რომელიც შემკულია დისკოების მწკრივით. მესამე მშენებლობის დროინდელია ასევე ჩრდილოეთისა და სამხრეთის მკლავების წინა თაღების იმპოსტები, რომლებიც ნატიფი დამუშავებით და მდიდრულობით გამოირჩევა (დ. ხოშტარია). ინტერიერისგან განსხვავებით ტაძრის ექსტერიერის დეტალები ნაკლებადაა შემონახული, თუმცა წნული და ხვეული ჩუქურთმებით შემკული არქიტექტურული ორნამენტები დღესაც ყურადღებას იქცევს შესრულების საოცარი დონითა და მიმზიდველობით (სურ. 3.71.2).

მთავარი ტაძრის მომდევნო რეკონსტრუქცია შესრულებული XI საუკუნის მეორე ნახევარში, მიზნად ისახავდა მოცულობის გაზრდასა და ფასადების უფრო მდიდრულად მორთვას. ამ პერიოდში ტაძარს ჩრდილოეთის მკლავზე მიაშენეს ეგვტერი და მის თავზე მოაწყვეს

პატრონიკე. გადაკეთდა საკურთხეველიც. დააგრძელეს პასტფორიუმები, რის გამოც დაიკარგა აფსიდის გარე შვერილობა და აღმოსავლეთიდან შეიქმნა ღრმა თაღნარიანი ერთიანი ფასადის სიბრტყე, რომლის სამი თაღიდან შუა უფრო ფართო და მაღალია, ვიდრე ორი გვერდითი თაღი. ანალოგიური თაღნარებია სამხრეთისა და ჩრდილოეთის ფასადებზეც.

XI საუკუნეში მშენებლობა განახლდა და უფრო დამშვენდა საფასადო მორთულობა (მრგვალი სარკმლების საპირეები, განედლებული ჯვრის რელიეფი, აღმოსავლეთის მკლავის დახვეწილი ჩუქურთმებით (სურ. 3.71.3) წარმოდგენილი კარნიზები და სხვ. (შემორჩენილია დღემდე).



სურ. 3.71.3. აღმოსავლეთი ფასადის ჩუქურთმა



სურ. 3.71.4. მორთულობა სამხრეთ ფასადზე

XIII საუკუნეში აღადგინეს სამხრეთი მკლავი (მეხუთე მშენებლობა) (სურ. 3.71.4. მეხუთე მშენებლობის დროინდელი მორთულობა სამხრეთ ფასადზე: თაღები და შეწყვილებული სარკმლები), ხოლო XIV საუკუნეში აღადგინეს დანგრეული გუმბათი (მეექვსე მშენებლობა). აღდგენილი გუმბათი თექვსმეტწახნაგას წარმოადგენდა, რომელშიც ერთმანეთს ენაცვლებოდა სარკმლიანი და უსარკმლო წახნაგები. პ. ზაქარაიას აზრით ეს გუმბათი პროპორციებით, გაფორმებითა და ცალკეული დეტალებით ყველაზე ახლოს გერგეტის სამების გუმბათთან დგას და მისი თანადროული უნდა იყოს. სამწუხაროდ ტბეთის გუმბათმა ჩვენამდე ვერ მოაღწია.

შემორჩენილი ფრაგმენტებით დასტურდება, რომ ტაძარი ძალიან მაღალი ხარისხის ფრესკებითა და წარწერებით ყოფილა დამშვენებული.

უნდა აღინიშნოს, რომ ტბეთის ტაძარი მშენებლობის ხარისხით, დახვეწილი ქართული ჩუქურთმებით, ინტერიერისა და ექსტერიერის მორთულობით უცილობლად შედის შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების საუკეთესო ძეგლთა სიაში.

3.72. სათხის ეკლესია – X საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი. მდებარეობს ქვემო ქართლში, ბოლნისის მუნიციპალიტეტში, დაბა კაზრეთის სამხრეთით 4 კმ-ში, ტყეში (სურ. 3.72.1; სურ. 3.72.2). ეკლესია გეგმით ერთნავიანი, გართულებული მოხაზულობის, უგუმბათო ნაგებობაა სამმხრივი მინაშენებით.



სურ. 3.72.1. ეკლესიის ადგილმდებარეობის რუკა



სურ. 3.72.2. ეკლესიის ნანგრევების ფრაგმენტი



სურ. 3.72.3. კედელი უხეში ქვებით



სურ. 3.72.4. კედლების წყობა ბოლნური ჯვრით

ჩვეულებრივზე საგრძნობლად დაგრძელებული მთავარი ეკლესიის მართკუთხა კორპუსი აღმოსავლეთით გამოწეულია გვერდითი სადგომების მიმართ, ხოლო დასავლეთით ერთ ხაზს ქმნის მათ კედლებთან. მთავარი ნაგებობის ზომები გარედან 6,6x15,0 მ., ხოლო სიმაღლე შიგნით 8,3 მ. ეკლესიას სამხრეთიდან ეკვრის სტოა (მინაშენი) კარიბჭით, ხოლო დასავლეთით - სტოასთან კუთხით ორგანულად დაკავშირებული ფრონტონიანი სადგომი. ყველა სადგომის კამარა სიძველისაგან ჩაქცეულია. სტოა საკმაოდ დანგრეულია, მაგრამ შენარჩუნებული აქვს ყველა არქიტექტურული ელემენტის ფორმა. კარიბჭე-ეგვტერი XIII საუკუნის პირველ ათეულ წლებშია მიშენებული და იმ დროის კარიბჭის ფართოდ გავრცელებულ ტიპს წარმოადგენს. ეკლესიაზე რაიმე შეკეთება-გადაკეთების კვალი არ შეინიშნება (გამონაკლისია ჩრდილო ეკვდერი). ეს ადრინდელი შუა საუკუნეების მცირე ერთნავიანი კაპელა ჩართულია მასზე მიშენებული დიდი ეკლესიის კომპოზიციაში. წარწერის თანახმად აღდგენილია XVII საუკუნეში.



სურ. 3.72.5. ფასადის ფრაგმენტი

საქართველოს მრავალრიცხოვან დარბაზულ ნაგებობებთან შედარებით სათხეს თავისებურებაა საკურთხევლის კომპოზიციური გადაწყვეტა – გვერდითი სადგომების (სამკვეთლოს და სადიაკვნეს აფსიდიანი კამერების) განლაგება საკურთხევლის ორივე მხარეს კედლის სისქეში. ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიაში მხოლოდ რამდენიმე ასეთი ანალოგიაა ცნობილი. უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად გართულებული გეგმისა, ეკლესიის ინტერიერი მნახველზე ორგანულად მთლიანობის შთაბეჭდილებას ტოვებს.



სურ. 3.72.6. ორნამენტული მოტივი


სათხის ძირითადი დარბაზული ტაძარი მაშინდელი სამშენებლო ხელოვნების საერთო მაღალი დონის კიდევ ერთი მაჩვენებელია. ფასადები კარგად გათლილი და ნაწყობი პერანგითაა შემოსილი. ქვის დამუშავებისა და მოპირკეთების უნაკლო ტექნიკა ჩანს ინტერიერის კედლების და კონქის წყობაშიც. ბრწყინვალედაა შესრულებული ტაძრის ჩუქურთმები.

მთავარი ტაძრის ფასადები მოპირკეთებულია მაღალი სამშენებლო ხარისხის ტუფბრექჩიისა და ტუფქვიშაქვის სუფთად გათლილი მოყავისფრო კვადრებისაგან (სურ. 3.72.5). მთავარი კორპუსის ფასადებზე დაუზიანებელი, ძველი ასომთავრული წარწერებია შემორჩე-

ნილი, რომლებიც თავის დროზე შეუსწავლიათ მარი ბროსესა და ექვთიმე თაყაიშვილს. ჩრდილოეთის ფასადი შეუმკობელია, ხოლო დანარჩენ ფასადებზე მრავლადაა მორთულობები და ორნამენტები (სურ. 3.72.6 – სურ. 3.72.9). ეკლესიის ქვების წყობაში რამდენიმე ადგილზეა გამოყენებული ქვაზე ამოკვეთილი ბოლნური ტოლმკლავა ჯვრის გამოსახულება (სურ. 3.72.3, 3.72.4, 3.72.7, 3.72.9). შემორჩენილია კედლის მხატვრობის ფრაგმენტები. მოქმედების პერიოდში ეკლესიის ინტერიერს შესანიშნავი, ქვაში ნაკვეთი კანკელი ამკობდა, რომელიც ექვთიმე თაყაიშვილის ძალისხმევით განადგურებას გადაურჩა და ახლა საქართველოს ხელოვნების მუზეუმშია დაცული. ამჟამად მიმდინარეობს სათხის ეკლესიის რეაბილიტაცია.



სურ. 3.72.7. გეომეტრიული და მცენარეული ორნამენტი




სურ. 3.72.8. გეომეტრიული ორნამენტი და წარწერა



სურ. 3.72.9. ორნამენტული მოტივი

XI საუკუნე

3.73. სვეტიცხოველი (სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარი) (ინგლ. Svetitskhoveli Cathedral) – XI საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების უბრწყინვალესი ძეგლი, ერთ-ერთი ოთხ დიდ კათედრალთაგან (სვეტიცხოველი, ოშკი, ბაგრატის ტაძარი, ალავერდი). მდებარეობს თბილისიდან 20 კილომეტრის დაშორებით, საქართველოს ყოფილ დედაქალაქ მცხეთაში (სურ. 3.73.1, სურ. 3.73.2). სამონასტრო კომპლექსში შედის: ტაძარი, გალავანი (სურ. 3.73.3), კარიბჭე (სურ. 3.73.4), სამრეკლო (სურ. 3.73.5), სასახლეები და სასულიერო პირთა საცხოვრისები.



სურ. 3.73.1. საერთო ხედი



სურ. 3.73.2. პანორამული ხედი

სვეტიცხოველში დაკრძალულია უფლის კვართი და წმ. ელია წინასწარმეტყველის მოსასხამი. ერთ-ერთი მთავარი სიწმინდე ყოფილა საქადაგო ხატი – კარედში ჩაბრძანებული სვეტიცხოვლის ჭედური გამოსახულება, რომლის ზემოთა ნაწილი მოოქროვილია. ხატში 44 წმინდა ნაწილი ყოფილა ჩატანებული. ხატი ამჟამად შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების მუზეუმშია ჯერ კიდევ IV საუკუნეში გაქრისტიანებულ მირიან მეფეს წმინდა ნინოს რჩევით აქ პირველი ეკლესია აუშენებია, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწე-

ვია. 1970-1971 წლების სარემონტო-სარესტავრაციო სამუშაოების დროს გამოვლინდა ადრეული ნაგებობის საძირკვლები, რომლებიც მეცნიერებმა პირველი ეკლესიის კვალად მიიჩნიეს. ნაშთების მიხედვით წმ. ნინოს დროინდელი ნაგებობა მართკუთხა (დაახლოებით 6,0×12,0 მ. ზომის) ნაგებობა უნდა ყოფილიყო, რომელიც ერთი მთლიანი სათავსის და მის წინ მდებარე ანტებიანი ტალანისგან შედგებოდა. წმ. ნინოს ეკლესიის დანგრევის შემდეგ, ქართლის მეფემ ვახტანგ გორგასალმა V საუკუნის II ნახევარში აქვე სამნავიანი ბაზილიკა ააშენა, რომლის მოხაზულობა დადგინდა XX საუკუნის 70-იანი წლებში ხსენებული სამუშაოების ჩატარებისას. უნდა აღინიშნოს, რომ ვახტანგისეული ბაზილიკა ამის შემდეგაც შეუკეთებიათ თუ გადაუკეთებიათ ახლანდელი საკათოლიკოსო ტაძრის აგებამდე. XI საუკუნეში დაზიანებული ბაზილიკის ადგილზე გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფის ბაგრატ III-ის (1001-1014 წწ.) მეფობის დროს ქართლის კათოლიკოსმა მელქისედეკმა ახალი ტაძარი ააგო. მან ხუროთმოძღვრად არსუკისძე მიიწვია. სვეტიცხოვლის ტაძრის მშენებლობა 1010 დაიწყო. ძირითადი სამუშაოები მიმდინარეობდა გიორგი I-ის (1014-1027 წწ.) მეფობის პერიოდში, ხოლო დასრულებული სახე ტაძარმა მიიღო ბაგრატ IV-ის (1027-1072 წწ.) დროს. მშენებლობა დასრულდა 1029 წელს.




სურ. 3.73.3. გალავანი

არსებობის მანძილზე ტაძარი მრავალჯერ გადაკეთდა. 1283 წელს იგი მიწისძვრამ დააზიანა. XIV საუკუნეში საქართველოს მეფე გიორგი ბრწყინვალემ (1318-1346 წწ.) აღადგინა გუმბათი. იმავე საუკუნის ბოლოს შუა აზიელი დამპყრობელის თემურ-ლენგის ურდოებმა დაანგრიეს დასავლეთის მკლავის ბურჯები, დააქციეს გუმბათის ყელი, ფასადებს ჩამოაცალეს პერანგის ნაწილი (მთელი ნაგებობის დანგრევა ვერ შეძლეს). XV საუკუნის დასაწყისში სვეტიცხოვლის განახლებაზე ზრუნვას შეუდგა ალექსანდრე I-ის ბებია დედოფალი რუსა. 1412 წელს ტახტზე ასულმა საქართველოს მეფე ალექსანდრე I დიდმა (1412-1442 წწ.), ტაძარი კაპიტალურად შეაკეთებინა. ჩრდილოეთიდან ეგვტერი მიაშენა და „საუკუნოდ საყოფელად“ განიმზადა.


ტაძრის აღდგენაში დიდი ღვაწლი მიუძღოდა აგრეთვე კათოლიკოს-პატრიარქს მიქაელსაც. კიდევ ერთი სამლოცველო მიაშენა ჩრდილოეთიდან 1526 წელს დავით VIII-მ. 1656 წელს ქართლისა (1633-1658 წწ.) და ქართლ-კახეთის (1648-1656 წწ.) მეფე როსტომისა და მისი მეუღლის მარიამ დედოფლის თაოსნობით კვლავ აღადგინეს გუმბათის სფერო. სვეტიცხოველი შემდგომშიც XVII-XVIII საუკუნეებშიც არაერთხელ შეუკეთებიათ და განუახლებიათ, რასაც გვამცნობს ტაძარზე არსებული წარწერები. დიდი ზიანი მიადგა ნაგებობას XIX საუკუნეში ახალი საეკლესიო ხელისუფლების მხრიდან. ტაძრის „მოწესრიგების“ მიზნით ააფეთქეს სამლოცველო-ეგვტერები, ძველი მხატვრობის დიდი ნაწილი შელესეს, ხოლო ნაწილი ახალი ფერწერით დაფარეს, რამაც უფრო მეტად შელახა ინტერიერის მხატვრული სახე.



სურ. 3.73. 4. XI საუკუნის დასავლეთი კარიბჭე




სურ. 3.73.5. სამრეკლო



სურ. 3.73.6. მირონმდინარე ხის სვეტი საბურვლით

სვეტიცხოველი ყველაზე დიდი საეკლესიო ნაგებობაა საქართველოში დღემდე გადარჩენილთა შორის. ის საუკუნეთა მანძილზე ქრისტიანულ საქართველოს სარწმუნოებრივ ცენტრს წარმოადგენდა – იყო საპატრიარქო ტაძარი, საქართველოს ეკლესიის მეთაურთა კათოლიკოს-პატრიარქთა რეზიდენცია. სვეტიცხოველში ხდებოდა საქართველოს მეფეთა და ეკლესიის მეთაურთა კურთხევა, ჯვრისწერა, ქართველ უფლისწულთა მონათვლა. აქ კრძალავდნენ ქართველ მეფეებს, დედოფლებს, ბატონიშვილებსა და კათოლიკოს-პატრიარქებს. ტაძარს გააჩნდა უმდიდრესი ბიბლიოთეკა. გადმოცემის თანახმად, მცხეთელი ებრაელი ელიოზი იერუსალიმში ქრისტეს ჯვარცმას დასწრებია. იქიდან მაცხოვრის კვართი ჩამოუტანია საქართველოში. მცხეთის შესასვლელში მას შეგებებია მისი და სიდონია, რომელსაც დიდი სიხარულით ჩაუკრავს გულში კვართი და სული განუტევებია. იგი პერანგიანად დაუკრძალავთ. სიდონიას საფლავზე ამოვიდა ლიბანის კედარი. ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ (337 წ.), მეფე მირიანმა ბრძანა სიდონიას საფლავის ადგილას ტაძარი აეგოთ. მოკვეთეს კედარი, მისგან შვიდი სვეტი დაამზადეს. ექვსი სვეტი რომ აღმართეს, მეშვიდე ჰაერში გაჩერდა. ვერავინ შეძლო მისი ადგილიდან დაძვრა. წმინდა ნინო მთელი ღამე ლოცულობდა და მოხდა სასწაული – „სვეტი ძირთავე მისთა ზედა დაემყარა და მტკიცედ შეერწყა შეუხებლად ხელისაგან კაცთასა“. სვეტი გაიფოთლა და მისგან მირონმა იწყო დენა, რომელიც კურნავდა სნეულთ. სვეტს უწოდეს „სვეტი ცხოველი“, სიცოცხლისა და სიხარულის მომნიჭებელი (სურ. 3.73.6). ტაძრის სახელიც სწორედ აქედან მომდინარეობს.



სურ. 3.73.7. გეგმა




სურ. 3.73.8. ინტერიერი


სვეტიცხოვლის ტაძარი გეგმით (სურ. 3.73.7) აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ ძლიერ წაგრძელებული მართკუთხედია შვერილების გარეშე (ზომები: სიგრძე – 51,0 მ, სიგანე – 30,0 მ, სიმაღლე შიგნით – 41 მ, გარედან – 48,5). ჯვრის სახე სივრცეშია შექმნილი გუმბათის ოთხივე მხარეს გაწვდილი ოთხი მკლავით. მკლავები მართკუთხაა, გარდა აღმოსავლეთის

მკლავისა, რომელიც საკურთხევლის აფსიდით არის დაბოლოებული. საკურთხევლის სამხრეთითა და ჩრდილოეთით ორ სართულად განლაგებულია სათავსები. გუმბათი ოთხ მძლავრ სვეტს ეყრდნობა, გუმბათის ყელში 16 სარკმელია. ტაძრის გარეგანი ფორმებისა და მასების განაწილება, პროპორციები ექვემდებარება შუაში აღმართულ მაღალ გუმბათს, რომლის ქვემოთ ორფერდა სახურავებით გადახურული ჯვრის მკლავებია, ხოლო მკლავებს შორის დაბალი ცალფერდა სახურავით გადახურული სადგომები. ფასადების მორთულობაში ძირითადად გამოყენებულია კედლის დეკორატიული თაღედებისა და შეწყვილებული პილასტრების განვითარებული სისტემა, აგრეთვე სარკმელთა მოჩუქურთმებული საპირეები. ჩუქურთმები მდიდარი და მრავალფეროვანია (მოაღწია მხოლოდ ნაწილმა).

ტაძრის ინტერიერში (სურ. 3.73.8) არის მხატვრობის ფრაგმენტებიც, რომელიც სხვადასხვა პერიოდს განეკუთვნება. ტაძარი თავდაპირველად XI საუკუნეში მოუხატავთ, თუმცა იმდროინდელი მოხატულობიდან თითქმის აღარაფერი შემორჩა (თუ არ ჩავთვლით საკურთხევლის მონუმენტურ კომპოზიციებს, რომელიც თავდაპირველი მხატვრობის ნაშთია). დღეს არსებული ფრაგმენტები XVI-XVIII საუკუნეებს განეკუთვნება, რომელთაგან ნაწილი განახლებულია XIX საუკუნეში. (ამავე დროს გადაწერეს საკურთხევლის უძველესი მხატვრობაც). მოხატულობას თან ახლავს ბერძნულ-ქართული წარწერები. მხატვრობაში აქა-იქ ჩართულია გაურკვეველი შინაარსის ფიგურები, რომლებიც დამატებით შესწავლას საჭიროებს (სურ. 3.73.9 - სურ. 3.73.11). გვიანდელ მოხატულობებს შორის განსაკუთრებით საყურადღებოა ინტერიერში მდგომი, „სვეტიცხოველად“ წოდებული კოშკური ნაგებობის ფრესკები, რომლებზეც ქართლის მოქცევის ამბებია გამოსახული. ტაძრის შიგნით სამხრეთ კედელთან დგას XIII-XIV საუკუნის მცირე ნაგებობა – ქვის გუმბათოვანი ეკლესია. სავარაუდოდ, იგი არის მოდელი იერუსალიმში გოლგოთას მთაზე არსებული ტაძრისა (თუმცა ეს ტრადიციული



სურ. 3.73.9. მოხატულობა



სურ. 3.73.10. მოხატულობა



სურ. 3.73.11. მოხატულობა

ქართული მოტივებით შემკული შენობაა და საერთო არაფერი აქვს ქრისტეს საფლავის ეკლესიასთან). ეს სიმბოლური ეკლესია თითქოს განკუთვნილი იყო იმ ქართველი მორწმუნეთათვის, რომელთაც იერუსალიმში მოსალოცად წასვლა არ შეეძლოთ. ტაძრის შესასვლელთან ქართლის მოქცევის დროინდელი ემბაზია, რომელიც სავარაუდოდ, თავდაპირველად ოქროთი იყო მოპირკეთებული. ეს სიწმინდე XIV საუკუნეში თემურ-ლენგმა გაძარცვა და მისი ოქროს საფარი სხვა უამრავ ძვირფასეულობასთან ერთად წაიღო საქართველოდან.

დასავლეთი ფასადი, თითქმის პირვანდელი სახითაა შემორჩენილი. ფასადის მაღალი ნაწი-

ლის ფართო დეკორატიული თაღი ნახევარსვეტებს ეყრდნობა. ცენტრალური დიდი სარკმლის მდიდრულ მორთულობას კედლის მთელი არე უჭირავს. ჩუქურთმა მრავალფეროვანია, პლასტიკური, ოსტატურად შესრულებული. ვიწრო სიბრტყეებზე მარჯვნივ და მარცხნივ სიმეტრიულად გამოსახულია დიდი ზომის დეკორატიული სტილიზებული ვაზები. ფასადის კომპოზიცია დასრულებულია სამფიგურიანი რელიეფით – ტახტზე მჯდომი მაცხოვარი და ორი ანგელოზი აქეთ-იქით. ფასადის ქვედა ნაწილში, მარჯვნივ, მოწითალო ქვის დიდი, რელიეფური, მოჩუქურთმებული, XI საუკუნის დროინდელი ჯვარია განთავსებული (სურ. 3.73.12). აქვე, ტაძრის გალავნის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში, გათხრების შედეგად აღმოჩენილი, ამავე საუკუნის, მელქისედეკ კათოლიკოსის სასახლის ნაშთია.

სამხრეთ ფასადზე ყველაზე უკეთ ჩანს ტაძრისათვის დამახასიათებელი ასიმეტრიულობა. შემორჩენილია რელიეფურ-სკულპტურულ გამოსახულებათა კომპოზიციები: ვაზი, წმინდა გიორგი, ჯვარი აყვავებული მკლავებით, ვარდული – ქრისტიანობის მარადიული სიმბო-



სურ. 3.73.12. ჯვარი დასავლეთის ფასადზე



სურ. 3.73.13. ხუროთმოძღვარ არსუკიძის მკლავის რელიეფი გონიოთი (ჩრდილოეთი ფასადი)

ლო, ექვსფრთიანი სერაფიმი და ქრისტეს ჯვარცმა. ცენტრალურ თაღს შიგნით მშვენიერი ჩუქურთმით შემკული სამი სარკმელია. საყურადღებოა მარჯვენა სარკმლის ირგვლივ სვასტიკის ნიშნიანი ორნამენტი (სვასტიკა უძველესი დროიდანაა ცნობილი საქართველოში, როგორც მარადიული ცეცხლისა და მზის სიმბოლო).

ჩრდილოეთი ფასადი მორთულობებით ნაკლებადაა დამშვენებული, თუმცა ყურადღებას იქცევს ცენტრალური თაღის ქვეშ მოთავსებული(ა) ადამიანის მარჯვენა მკლავის რელიეფური გამოსახულება გონიოთი (სურ. 3.73.13). სვეტიცხოველი არ არის ერთადერთი ტაძარი, რომლის კედელზეც მსგავსი რელიეფია წარმოდგენილი, მაგრამ საკათოლიკოსო ტაძარში ხუროთმოძღვრის ხელის გამოსახულება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მის თანმხლებ და აღმოსავლეთის ფასადის წარწერებთან კომბინაციაში. ის XI სუკუნის საქართველოში ხუროთმოძღვრის მაღალი სოციალური სტატუსის მაჩვენებელია. უნდა აღინიშნოს, რომ ჩრდილოეთი ფასადის რელიეფისა და წარწერის აზრის არასწორმა გაგებამ გვიან შუა საუკუნეებში წარმოშვა თქმულება მშენებელ ოსტატზე, რომელსაც ხელი მოჰკვეთეს იმის გამო, რომ თავის მასწავლებელს აჯობა (აღმოსავლეთი ფასადის წარწერის თანახმად არსუკი(ს)ძე ვეღარ მოესწრო სვეტიცხოვლის დასრულებას). ეს ლეგენდა დაუდო საფუძვლად კონსტანტინე გამსახურდიამ თავის რომანს „დიდოსტატის მარჯვენა“). რომანში გამოყენებული უძველესი ლეგენდა ოსტატის მოჭრილი მარჯვენის შესახებ, ხალხის მდიდარი ფანტაზიის ნაყოფია, რადგან ისტორიული წყაროები ამ ფაქტის შესახებ რაიმე ინფორმაციას არ შეიცავს.

ჩრდილოეთი ფასადი მორთულია დეკორატიული თაღების სისტემით, რომელთაგან ცენტრალური თაღი ამაღლებულია, რითაც ხაზს უსვამს ტაძრის სიმაღლეს. ფასადის ზედა

ნაწილში შუა თაღის ზემოთ, ფრონტონში გამოსახულია ჯვარი, მის მარცხნივ – ქრისტე, მარჯვნივ კი უნიკალური სამშენებლო ამოკვეთილი წარწერაა (ნახსენებია იესო ქრისტე და მელქისედეკი). თაღს ქვემოთ ცენტრალური სარკმლის პერანგად გამოყენებულია ქალის თმის ნაწნავის მსგავსი ჩუქურთმა, რომელიც მსოფლიო ხუროთმოძღვრებაში ცნობილია ქართული წნულის სახელწოდებით. ფასადის ძირში შემორჩენილია ოდესღაც არსებული სტოების ნანგრევები.

სიმეტრიული აღმოსავლეთი ფასადი გამოირჩევა ჩუქურთმების მრავალფეროვნებით და ხარისხით. ფასადების თაღოვან სისტემაში ჩართულია მაღალი სამკუთხა ნიშები, რომლებიც ხაზს უსვამენ საკურთხევლის კედლის სამ ნაწილად დაყოფას და ერთდროულად განტვირთავენ კედლის წყობას ჭარბი მასისაგან. სავარაუდოდ, ამ ნიშებს ანტისეიმური დატვირთვაც ჰქონდათ. ცენტრალური თაღის შიგა ზედა ნაწილი დამშვენებულია მარაოსებრ გაშლილი 12 სხივით (სურ. 3.73.14), რომლებიც დისკოებითაა დასრულებული. მათზე განთავსებულია ცნობილი სამშენებლო წარწერა მელქისედეკ კათოლიკოსისა და ხუროთმოძღვარ არსუკისძის სახელებით. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი, რომ ეს დისკოები წარმოადგენენ ქრისტეს თორმეტი მოციქულის სიმბოლოს, რომელთა სახელზეც აიგო ტაძარი. ოსტატურად არის გამოყენებული პოლიქრომული ეფექტიც. ძირითადი ქვიშისფერი კედლების ფონზე გამოიყოფა საკურთხევლის სარკმლის კაშკაშა წითელი ფერის ქვით აწყობილი მოჩუქურთმებული საპირე, რომელიც ზემოდან გამოყოფილია მდიდრულად მორთული ჰორიზონტალური სარტყლით. ფასადის ზედა ნაწილში გამოსახულია ხარის თავების, ანგელოზების, ლომისა და არწივის (სურ. 3.73.15) ვაზის მტევნების (სურ. 3.73.16) რელიეფები, ხოლო ქვედა ნაწილში – ღვთისმშობლის, ქრისტესა და იოანე ნათლისმცემლის რელიეფური სახეები. ეს ფასადი ბოლოს 1674 წელს შეუკეთებიათ. ფასადის მარცხნივ, გალავნის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში, მდებარეობს XVIII საუკუნის ორსართულიანი ქვის შენობა, რომელიც კათოლიკოს-პატრიარქის ანტონ I-ის რეზიდენცია იყო.



სურ. 3.73.14. აღმოსავლეთი ფასადის მორთულობა 12 სხივით

სვეტიცხოვლის ტაძრის ფასადები და ინტერიერები მორთულია შესანიშნავი რელიეფებითა და ჩუქურთმებით, რომლებიც განუმეორებელ სილამაზესა და მომხიბვლელობას მატებენ მას.

სვეტიცხოვლის ტაძარს გარს აკრავს გალავანი (121,6×110,5 მ). იგი აგებულია 1787 წელს მეფე ერეკლე II-ის ბრძანებით, რასაც ადასტურებს სამხრეთის კარიბჭის თავზე ამოკვეთილი წარწერა. ამავე წარწერიდან ირკვევა, რომ სვეტიცხოველს ადრეც ჰქონია გალავანი, რომლის ფრაგმენტები ჩართულია თანამედროვე გალავნის ჩრდილოეთის კედელში. ნაგები ყოფილა რიყის ქვითა და აგურით. გალავანი ორიარუსიანია: ქვედა ნაწილი მთლიანად ყრუა, ზედას კი გასდევს საბრძოლო ბილიკი, კედელში განლაგებული სათოფეები და სალოდეები. გალავანში ჩაშენებულია 6 ცილინდრული და 2 მართკუთხა ფორმის კოშკი. სამხრეთ კედელში გაჭრილია კარიბჭე, დასავლეთ კედელში კი ჩართულია XI საუკუნის მელქისედეკ კათოლიკოსის კარიბჭე (სურ. 3.73.4) (პროფესორ ლ. რჩეულიშვილს კარიბჭესთან დაკავშირებით გამოთქმული აქვს მოსაზრება, რომ ეს ნაგებობა VIII-IX საუკუნეებშია აგებული. კათოლიკოსმა კი, მხოლოდ მისი დასავლეთი ფასადი გააკეთებინა და კარიბჭეს საბოლოო სახე მისცა),

სამრეკლო (სურ. 3.73.5) და სხვადასხვა დროს მიშენებული საცხოვრებელი და სამეურნეო დანიშნულების ნაგებობები.

ისტორიული წყაროების მიხედვით ტაძარში დაკრძალულნი უნდა იყვნენ: დავით ულუ, მისი პირველი ცოლი ჯიგდა-ხათუნი და ვაჟი გიორგი, დავით VIII, ლუარსაბ I, სვიმონ I-ის ძვლები, რომელიც სტამბოლიდან ჩამოასვენეს. სვეტიცხოველში დარჩენილია როსტომ მეფის, ვახტანგ V-ის მეუღლის დედოფალ მარიამის და მისი ვაჟის ოტიას, ვახტანგისავე მეუღლის როდამ დედოფლის, ერეკლე II-ის მეუღლის ანნას, თვითონ ერეკლე II-ის და ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ის საფლავები. ტრადიციის თანახმად, სვეტიცხოვლის კათედრალშია დაკრძალული ვახტანგ გორგასალიც (აღსანიშნავია, რომ ვახტანგის, ერეკლე II-ის და გიორგი XII-ის საფლავის ქვები საბჭოთა დროსაა გაკეთებული), დემეტრე თავდადებული, გიორგი ბრწყინვალე, გიორგი VII, გიორგი VIII, ალექსანდრე დიდი, სიმონ I და სხვ., მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენამდე მხოლოდ ვახტანგ გორგასლის, ერეკლე II-ისა და გიორგი XII-ის საფლავებმა მოაღწიეს.



სურ.3.73.15. აღმოსავლეთი ფასადის მორთულობა „ლომი და არწივი“



სურ. 3.73.16. სამხრეთი ფასადის მორთულობა „ვაზის მტევანი“

სვეტიცხოველი განვითარებული შუა საუკუნეების ერთ-ერთი უდიდესი ნაგებობაა. სწორედ ამ დროს იქმნება საქართველოს ხუროთმოძღვრების ისეთი შესანიშნავი ძეგლები, როგორებიცაა: ბაგრატის ტაძარი, ალავერდი, სამთავისი, სამთავრო, ნიკორწმინდა, მანგლისი, იშხანი და სხვ. ამ შედევრებს შორის სვეტიცხოველს გამორჩეული ადგილი უკავია. დღეს იგი აღმართულია, როგორც ქართველი ხალხის შემოქმედების, კულტურის, ხელოვნების, არქიტექტურის მდიდარი ფანტაზიის მღაღადებელი ძეგლი, რომელიც გამოირჩევა არა მარტო მხატვრული ღირსებით, დიდებულებითა და ჰარმონიულობით, არამედ იმ განსაკუთრებული როლითაც, რომელიც მან ქართველი ერის ისტორიაში შეასრულა. საუკუნეების მანძილზე სვეტიცხოველი იყო საქართველოს ქრისტიანული ეკლესიის მეთაური და სარწმუნოებრივი ცხოვრების ცენტრი. მტრის მიერ მრავალგზის ხელყოფილი ის ყოველთვის მკვდრეთით აღსდგებოდა ხოლმე, როგორც ჩვენი ქვეყნის უკვდავების სიმბოლო.

სვეტიცხოველი მცხეთის ჯვრისა და სამთავროს მონასტრებთან ერთად შეტანილია UNESCO-ს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა სიაში.

3.74. ბაგრატის ტაძარი (ინგლ. Bagrati Cathedral) – XI საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების ბრწყინვალე ძეგლი, ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარი (სურ. 3.74.1). მდებარეობს იმერეთის მხარეში, ქ. ქუთაისში, უქიმერიონის მთაზე (სურ. 3.74.2). კომპლექსში შემავალი ნაგებობებია: ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარი, გალავანი, სამსართულიანი კოშკი, ტაძარზე მიშენებული დასავლეთისა და სამხრეთ მკლავების კარიბჭეები. ეზოში გაბნეულია ტაძრის ფასადებისა და შიდა კედლების ორნა-

მენტით შემკული დეტალები და ფრაგმენტები. (არქეოლოგიურმა გათხრებმა ტაძრის გარშემო გამოავლინა სხვადასხვა დროის მნიშვნელოვანი ნაგებობების ნაშთები: აქ იყო ციტადელი, სამეფო სასახლე, სხვადასხვა დანიშნულების შენობები.




სურ. 3.74.1. პანორამული ხედი

ბაგრატის ტაძარი აგებულია 1003 წელს, გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფის ბაგრატ III-ის (975-1014 წწ.) მეფობაში, რასაც ადასტურებს ჩრდილოეთ კედლის წარწერა, სადაც იატაკის დაგების თარიღია მითითებული („...ქორონიკონი იყო 223“). ეს წარწერა იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ მასში არაბული ციფრების ხმარების უძველესი ნიმუშია წარ-



სურ. 3.74.2. ადგილმდებარეობის რუკა



სურ. 3.74.3. გეგმა

მოდგენილი. ტაძარი ბაგრატ მეფისა და მისი დედის, ეგრის-აფხაზეთის მეფის გიორგი II-ის ასულის, გურანდუხტ დედოფლის შემწეობით აშენდა. XVII საუკუნემდე ძეგლი უვნებლად იდგა (ცნობებს გვაწვდის რუსი ელჩების, ტოლოჩანოვისა და იევლევის ჩანაწერები). ტაძარი დამშვენებული ყოფილა ოქრო-ვერცხლის, იაგუნდისა და სხვა ძვირფასი ქვებით მოჭედილი ძვირფასი ხატებით. დღესასწაულებზე მეფე-დედოფალი ამალითურთ დასავლეთის პატრონიკეზე (მეორე სართულზე) იმყოფებოდნენ და წირვას ისმენდნენ. 1669 წელს ახალციხიდან შემოსულმა ოსმალებმა ხელში ჩაიგდეს ქუთაისის ციხე, მიიტაცეს ბაგრატის ტაძრის სიმდიდრე და მერე, 1691 წელს, როცა არჩილ მეფის



სურ. 3.74. 4. დასავლეთი კარიბჭე

მეთაურობით ქართველებმა ციხის განთავისუფლება განიზრახეს, თოფის წამლის გამოყენებით ააფეთქეს, ჩამოიქცა გუმბათი, შეირყა კედლები, ტაძრის მოკაზმულობა და მარმარილოს პერანგი მოხსნეს და ოსმალეთში გაზიდეს, ხოლო რაც ნგრევას გადაურჩა, 1740 წლიდან, იარაღის საწყობად გადააქციეს. 1770 წელს იმერეთის მეფემ სოლომონ I-მა ციხე დაიბრუნა, მაგრამ ბრძოლების დროს ტაძრის ძველ დაზიანებებს ახალიც დაემატა, რაც რუსი გენერლის ტოტლებენის არტილერიის „დამსახურება“ იყო. ოსმალებმა ღამით, ქართველი ტყვეების გარეშე, ჩუმად დატოვეს ციხე, ქართველი ტყვეები კი ოსმალეთის ნაცვლად რუსეთის გზას გაუყენეს. აღსანიშნავი ფაქტია, რომ ამ ტყვეებს შორის ერია, მოგვიანებით ბოროდინოს ბრძოლის გმირის, რუსეთის არტილერიის სარდლის, გენერალ ალექსანდრე კუტაისოვის მამა.

ძეგლი წარმოადგენს ქართულ საეკლესიო არქიტექტურაში უდიდესი მნიშვნელობის ტაძარს, როგორც თავისი არქიტექტურული გადაწყვეტით, ისე ისტორიული და სიმბოლური მნიშვნელობითაც. ეს იყო ზოგადეროვნული მნიშვნელობის ნაგებობა. „ამან [ბაგრატმა] აკურთხა ეკლესია ქუთათისა განგებითა დიდითა და მიუწდომელითა, რამეთუ შემოიკრიბა მახლობელნი ყოველნი ჴელმწიფენი და კათოლიკოსნი, მღვდელთმოძღუარნი და ყოველთა მონასტერთა წინამძღუარნი და ყოველნი დიდებულნი ზემონი და ქუემონი, მამულისა და სამეფოსა მისისა მყოფნი და სხუათა ყოველთა საჴელმწიფოთაგანი“. ბაგრატის ტაძარი ტრიკონქის ტიპის ჯვარგუმბათოვანი ნაგებობაა (სურ. 3.74.3). თექვსმეტწახნაგა გუმბათი თავისუფლად მდგარ ოთხ მძლავრ სვეტს ეყრდნობოდა, ჯვრის შვერილი მკლავები გარედან მართკუთხა, შიგნით კი (აღმოსავლეთ, სამხრეთ და ჩრდილოეთ მხარეს) – ნახევარწრიული აფსიდებით იყო დასრულებული. შიგნითვე დასავლეთის მკლავს შემოუყვებოდა პატრონიკე – გალერეა, სადაც წირვა-ლოცვისა და დღესასწაულების დროს მეფედედოფალი და დიდებულები იდგნენ. საკურთხევლის ორივე მხარეს სამკვეთლო და სადიაკვნე იყო. მშენებლობის დამთავრებამდე ძეგლს ჩრდილო-დასავლეთიდან სამსართულიანი საცხოვრებელი კოშკი, ხოლო XI საუკუნის I ნახევარში სამხრეთიდან და დასავლეთიდან მდიდრულად მოჩუქურთმებული კარიბჭეები მიაშენეს. ფასადების გასაფორმებლად გამოყენებული დეკორატიული თაღების სისტემა ფასადებს ერთმანეთთან აკავშირებდა.



სურ. 3.74.5. დასავლეთი კარიბჭის ფრაგმენტი



სურ. 3.74.6. კარიბჭის სვეტის კაპიტელი



სურ. 3.74.7. კარიბჭის ფრაგმენტი



სურ. 3.74.8. საკურთხევლის იატაკის მოზაიკა

აღსანიშნავია აღმოსავლეთი ფასადი – ხუთი დეკორატიული თაღითა და ორი ღრმა ნიშით. დასრულებული სახე აქვს სარკმელთა მოჩუქურთმებულ საპირეებსა და „სათაურებს“. უხვადაა მოჩუქურთმებული კარიბჭეები (სურ. 3.74.4 - სურ. 3.74.7). ძირითადი ნაგებობის ორნამენტს გრაფიკულობა, ხოლო კარიბჭეთა შემკულობას ღრმა, პლასტიკური კვეთა ახასი-


ათებს. შიგნითა ბაზისები და სვეტისთავები რელიეფური გამოსახულებებითა და ჩუქურთმებით იყო შემკული, კედელ-კამარებსა და იატაკს მოზაიკა ამკობდა (იატაკზე დღესაც მოჩანს მისი ფრაგმენტები, რომელიც ძალიან ჰგავს იშხნის ტაძრის იატაკის მოზაიკას) (სურ. 3.74.8). სამხრეთ კარიბჭეში შემორჩენილია ფრესკის კვალი – ღვთისმშობლის გამოსახულება. ტაძრის ინტერიერსა და ეზოში აწყვია ქვაზე ნაკვეთი, რელიეფებითა და ორნამენტით შემკული დეტალები და ფრაგმენტები, რომლებიც ტაძრის შიგა კედლებსა და ფასადებს ამშვენებდა. ბაგრატის ტაძრის დახვეწილი პროპორციები, გარე მასების გრანდიოზულობა, შიდა სივრცის შემკულობის ჰარმონიულობა, ფასადების უნიკალური კომპოზიცია, მრავალფეროვანი მორთულობა (სურ. 3.74.9 - სურ. 3.74.13) და რთული ტექნიკური ამოცანების დაძლევა მოწმობს შუასაუკუნეების ქართული არქიტექტურის მაღალ დონესა და მშენებლების ოსტატობას. ბაგრატის ტაძარი მრავალჯერ იქნა დანგრეული და იავარქმნილი მომხვდური მტრების მიერ, თუმცა ყოველთვის ხდებოდა მისი აღდგენა (სურ. 3.74.14).



სურ. 3.74.9. ჩუქურთმა




სურ. 3.74.10. ჩუქურთმა



სურ. 3.74.11. ჩუქურთმა

XXI საუკუნის დასაწყისში, საქართველოს მთავრობის ძალისხმევით, მოხდა ტაძრის სრული რეაბილიტაცია და დიდებული ბაგრატის ტაძარი კვლავ ამაყად გადაჰყურებს ქუთაისსა და მთელ საქართველოს უქიმერიონის გორიდან, როგორც, განვითარებული შუა საუკუნეებიდან დღემდე, გაერთიანებული საქართველოს სიმბოლო. 1994 წელს ბაგრატის ტაძარი გელათის მონასტერთან ერთად შეტანილ იქნა UNESCO-ს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა სიაში, მაგრამ 2017 წელს, ძეგლის რესტავრაციისას დაშვებული გადაცდომების გამო სიიდან ამოიღეს.



სურ. 3.74.12. ჩუქურთმა



სურ. 3.74.13. მორთულობა




სურ. 3.74.14. განახლებული კამარის ფრაგმენტი

3.75. ნიკორწმინდა (ინგლ. Nikortsminda Cathedral) – ქართული ეროვნული ხუროთმოძღვრების შედევრი, წმინდა ნიკოლოზის სახელობის გუმბათოვანი ტაძარი (სურ. 3.75.1). მდებარეობს რაჭის მხარეში, ამბროლაურის მუნიციპალიტეტში, სოფელ ნიკორწმინდაში (სურ.

3.75.2). დასავლეთის შესასვლელი კარის წარწერის თანახმად, აშენებულია XI საუკუნის დასაწყისში, 1010-1014 წლებში, ერთიანი ფეოდალური საქართველოს პირველი მეფის ბაგრატ III-ის ბრძანებით რაჭის საერისთავოს შექმნის აღსანიშნავად, რომელიც შემდეგ ამ საერისთავოს კულტურულ ცენტრად იქცა. სახელი „ნიკორწმინდა“ დაკავშირებულია წმინდა ნიკოლოზის სახელთან. XI-XIII საუკუნეებში ნიკორწმინდა რაჭის ერისთავ კახაბერიძეთა საგვარეულო სალოცავს წარმოადგენდა, რაც დასტურდება ტაძარში არსებული მრავალრიცხოვანი წარწერებით. XVI საუკუნემდე ნიკორწმინდა მონასტერი იყო. 1534 წელს იმერეთის მეფე ბაგრატ III-მ განაახლა ტაძარი და იქ საეპისკოპოსო კათედრა დააარსა, რის შემდეგაც ნიკორწმინდა რაჭის საეპისკოპოსო ტაძრად მოიხსენიება. გვიან შუასაუკუნეებში (XVI-XVIII სს.) ტაძარი ადგილობრივი თავადების, წულუკიძეების საძვალე იყო. ეზოში მდგარი სამსართულიანი სამრეკლო XIX საუკუნის მეორე ნახევარშია აგებული. ტაძარში შესასვლელი სამხრეთის და დასავლეთის კარიბჭე-ეგვტერები, ოდნავ მოგვიანებით, XI საუკუნის შუა წლებში, მიუშენეს. ძეგლს არსებობის განმავლობაში დიდი ცვლილებები არ განუცდია, რაც იშვიათი შემთხვევაა საქართველოს ისტორიაში. ტაძრის გუმბათი პირვანდელი სახითაა შემორჩენილი (მანგლისის სიონის ტაძრის გუმბათის მსგავსად).


გარედან მოკლემკლავა ჯვრის ფორმის, შიგნიდან კი ხუთ აფსიდიანი ნიკორწმინდის ტაძარი ცენტრალურგუმბათოვანია (ზომები გარედან კარიბჭეების გარეშე: სიგრძე – 17,3 მ, სიგანე – 13,3 მ, სიმაღლე შიგნით – 22,0 მ). გეგმით (სურ. 3.75.3) იგი უახლოვდება კუმურდოს ტაძარს (ორივე ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიაში ცნობილი გუმბათოვანი ტაძრების იშვიათ სახეს მრავალაფსიდიან ტაძართა ტიპს განეკუთვნება), თუმცა აქ აფსიდები ვარსკვლავისებრივადაა განაწილებული გუმბათქვეშა სივრცის მიმართ (კუმურდოში აფსიდთა განლაგება სხვაგვარადაა გადაწყვეტილი). აღმოსავლეთის აფსიდის გვერდებზე მოთავსებულია სამკვეთლო და სადიაკვნო, ხოლო დასავლეთის მკლავის გვერდებზე ეკვდერებია. გუმბათის ყელი აფსიდების შვერილებს ეყრდნობა, ხოლო გუმბათიდან ყელზე გადასვლა აფრების მეშვეობით ხდება. ინტერიერის შიდა სივრცე საგრძნობლად დაგრძელებულია მთავარი



სურ. 3.75.1. საერთო ხედი



სურ. 3.75.2. ადგილმდებარეობის რუკა



სურ. 3.75.3. გეგმა



სურ. 3.75.4. ტაძრის ჩრდილოეთის შესასვლელი



სურ. 3.75.5. სამხრეთის ფასადის კიდურყვავილოვანი წარწერით

ღერძის გასწვრივ აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ საკურთხევლის აფსიდის ბემისა და დასავლეთის დაგრძელებული მკლავის ხარჯზე. მშვენივრად გააზრებული შიგა სივრცე უხვად არის განათებული გუმბათის ყელზე არსებული 12 სარკმლიდან. შესასვლელების წინ ტაძარს ახლავს მდიდრულად მორთული კარიბჭეები (სურ. 3.75.4).

ცალკე უნდა აღინიშნოს ტაძრის გარე გაფორმების სიმდიდრე. ნიკორწმინდის მორთულობა წარმოადგენს ერთიან სისტემას, რომელიც მოიცავს ტაძრის ყველა ნაწილს. გაფორმების ძირითად გამაერთიანებელ მოტივს შეადგენს ორმაგ ნახევარსვეტებზე დაყრდნობილი თაღები. ორნამენტული მორთულობა მდიდარია და მრავალფეროვანი. ყველა კარი და სარკმელი შემკულია სხვადასხვა ჩუქურთმოვანი საპირეებით და თავსართებით. ყველა ფასადზე თაღების ზემოთ ფრონტონებში მოთავსებულია ნაკვთიანი რელიეფებისაგან შედგენილი კომპოზიციები. განსაკუთრებითაა მორთული გუმბათის ყელი, რომლის არა მარტო სარკმლების საპირეები, არამედ თვით დეკორატიული თაღების ლილვები, რთული ლავგარდანი და სარკმლების ქვემოთ დატოვებული არე მთლიანად ხალიჩისებრ დაფარულია ჩუქურთმებით და რელიეფური ნაკვთებით. ჩუქურთმების სიუხვე, მრავალფეროვნება, შესრულების ძალიან მაღალი ხარისხი მნახველზე ძლიერ შთაბეჭდილებას ტოვებს. ქრისტიანული სიუჟეტების გვერდით ბევრია ისეთი მოტივიც, რომლებიც ხალხურ წინარექრისტიანულ რწმენასთან უნდა იყოს დაკავშირებული.


სურ. 3.75.6. სამრეკლო

ნიკორწმინდის ფასადები და ეკვდერები, ჩუქურთმათა გარდა, მორთულია უაღრესად მნიშვნელოვანი რელიეფური ქანდაკებებით: აქ არის წმინდანთა გამოსახულებები, მრავალფიგურიანი სცენები, რეალური და ფანტასტიკური ცხოველები. აღმოსავლეთის ფასადზე წარმოდგენილია ფერისცვალების სცენა, ხოლო სამხრეთ ფრონტონზე ქრისტეს მეორედ მოსვლა და ჯვრის ამაღლების კომპოზიციები, რომლებიც შინაარსობრივად ატარებს უფლის ძლევამოსილების იდეას. კომპოზიციის თავზე კიდურყვავილოვანი წარწერაა (სურ. 3.75.5). განსაკუთრებით გამოირჩევა ტაძრის კამარა, რომელზეც გამოსახულია ორნამენტულად მორთული სხივი და მასში ჩასმული ჯვარი. ეკლესიის ფასადები შემოსილია კარგად გათლილი ქვითა და დამუშავებულია უწყვეტი თაღედით. ასეთივე თაღედით არის დამუშავებული გუმბათის ყელიც. სარკმლებს ირგვლივ შემოუყვება ჩუქურთმიანი არშიები. ტაძრის გვერდით ამაყად დგას თლილი ქვით აგებული სამსართულიანი სამრეკლო (სურ. 3.75.6). ტაძარს დიდი გალავანიც ჰქონია, მაგრამ ამჟამად მისგამ მხოლოდ ნაკვალევია დარჩენილი.


სურ. 3.75.7. სამხრეთის ფასადის ფრონტონის ფრაგმენტი


სურ. 3.75.8. აღმოსავლეთის ფასადის ფრონტონი

ნიკორწმინდის ტაძარი ფასადებსა და გუმბათის ყელზე ნაკვეთი უამრავი ჩუქურთმით, რელიეფური ქანდაკებითა და ბრწყინვალედ შესრულებული ფრესკებით (სურ. 3.75.7 - სურ. 3.75.15) ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი საუკეთესო ძეგლია და ნათლად მიანი-

შნებს იმ ქართული მართლმადიდებლური ტაძრების სიდიადეზე, რომლებმაც ბედის უკუღმართობის გამო პირვანდელი სახით ჩვენამდე ვერ მოაღწიეს. ნიკორწმინდის ჩუქურთმა და ფასადების მორთულობა ერთ მთლიან, მხატვრულად დასრულებულ სისტემად გვევლინება და სამართლიანად ითვლება ქართული მონუმენტური პლასტიკის შედევრად.




სურ. 3.75.9. აღმოსავლეთის ფასადი



სურ. 3.75.10. ფასადის ფრაგმენტი



სურ. 3.75.11. ფასადის მორთულობა



სურ. 3.75.12. ჩუქურთმა



სურ. 3.75.13. ჩუქურთმა



სურ. 3.75.14. ინტერიერი. მოხატულობის რელიეფური კომპოზიციის ფრაგმენტი



სურ. 3.75.15. ინტერიერი. მოხატულობის ფრაგმენტი

3.76. სამთავროს მონასტერი (ინგლ. Samtavro Monastery) – XI საუკუნის პირველი ნახევრის ქართული ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ძეგლი, სამთავროს დედათა მონასტერი (სურ. 3.76.1; სურ. 3.76.2). მდებარეობს შიდა ქართლის მხარეში, მცხეთის მინიციპალიტეტში, ქ. მცხეთის ცენტრში (სურ. 3.76.3). კომპლექსში შემავალი ნაგებობებია: მაცხოვრის ფერისცვა-

ლების სახელობის საეპისკოპოსო ტაძარი (მთავარი ტაძარი), წმ. ნინოს ეკლესია, სამრეკლო და გალავანი კოშკით.

ისტორიული წყაროების მიხედვით მცხეთაში ყოფილა ქართლის ერისმთავრის სამყოფელი, საიდანაც წარმომდგარა სახელი – სამთავრო. ამ მონასტერში უცხოვრია საქართველოში ქრისტიანობის პირველ მქადაგებელს წმ. ნინოს. ადგილზე საქართველოს პირველ ქრისტიან მეფეს მირიანს აუგია ეკლესია. მიიჩნევენ, რომ აქვეა დაკრძალული მეფე მირიანი და დედოფალი ნანა (XIX საუკუნეში ქართველ თავადაზნაურთა სახსრებით სამხრეთ შესასვლელთან, მარცხნივ გაკეთდა მათი საფლავის ქვები, რომელიც დაშალეს 2000-იანი წლების დასაწყისში), აგრეთვე ერთ-ერთი 13 ასურელ მამათაგანი – აბიბოს ნეკრესელი.




სურ. 3.76.1. პანორამული ხედი

მთავარი ტაძარი წარმოადგენს ჯვარგუმბათოვან გეგმით მართკუთხა (27x23 მ) ნაგებობას (სურ. 3.76.4). ნაგებია მოყვითალი-მოყავისფრო კარგად გათლილი კვადრებით. შესასვლელი სამხრეთ კარიბჭიდანაა. გუმბათი ეყრდნობა თავისუფლად მდგარ ორ სვეტსს და საკურთხევლის შვერილებს. აღმოსავლეთის ნახევარწრიულ აფსიდს განიერი ბემა ეკვრის. საკურთხევლის აფსიდის ორივე მხარეს ორ სართულად განლაგებულია გვერდითი სათავსები – სადიაკვნე და სამკვეთლო. ტაძარს სამხრეთიდან მიშენებული აქვს კამარებით გადახურული დიდი ეგვტერი – კარიბჭე. მეორე მინაშენი ჩრდილოეთის მხარესაა. ცამეტწახნაგა გუმბათის ყელში (1283 წელს დაინგრა მიწისძვრის შედეგად და აღადგინეს XIII-XIV საუკუნეებში) გაჭრილი ცამეტი სარკმლიდან შემოსული შუქით განათებულია ტაძრის ცენტრალური სივრცე, გვერდის ნაწილები კი დაჩრდილულია. საკურთხეველსა და გუმბათზე შემონახულია XVII საუკუნის მოხატულობის ფრაგმენტები.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ტაძრის დეკორატიული მორთულობა. სადა და ლაკონურ აღმოსავლეთის ფასადზე გამოყენებულია უწყვეტი ხუთთაღიანი კომპოზიცია (სურ. 3.76.2),




სურ. 3.76.2. საერთო ხედი



სურ. 3.76.3. ადგილმდებარეობის რუკა

რომლის შუა, ამაღლებულ თაღში მოთავსებულია ორნამენტულსაპირიანი ცენტრალური სარკმელი. მის გვერდებზე კი აჟურული ფესტონებით მორთული მაღალი და ღრმა ნიშებია. მთისკენ მიმართული დასავლეთის სადა თაღებიანი ფასადი თითქმის მოურთველია. მასში ადრე კარიბჭე ყოფილა, რომელიც ამჟამად გაუქმებულია. დასავლეთის ფასადზე მიდგმული დახრილსახურავიანი შენობა ორგანულადაა ჩართული ტაძრის საერთო კომპოზიციაში. უფ-

რო ინტენსიურად და ბრწყინვალედაა დამუშავებული სამხრეთისა (სურ. 3.76.5) და ჩრდილოეთის ფასადები, რომლებიც გაფორმებულია შესანიშნავი ჩუქურთმებითა და მორთულობებით.



სურ. 3.76.4. გეგმა



სურ. 3.76.5. სამხრეთი ფასადის ფრაგმენტი

სამთავროს სამონასტრო კომპლექსიდან ყველაზე ძველია გუმბათოვანი ტიპის, IV საუკუნის, რიყის ქვითა და აგურით ნაგები წმ. ნინოს სახელობის მცირე ეკლესია (სურ. 3.76.6). იგი დგას ეზოში, დიდი ტაძრის აღმოსავლეთით. ისტორიული წყაროებით, მცხეთაში მოსული ნინო პირველი სამი წლის განმავლობაში სწორედ აქ „ილოცვიდა ფარულად ადგილსა ერთსა შებურვილსა ბრძამლითა მაყუალისაითა...“. ეკლესია არაერთხელ შეუკეთებიათ. ეკლესიის შესასვლელში მოთავსებული წარწერა გვამცნობს, რომ 1879 წელს ტაძარი შეაკეთებინა სამთავროს მონასტრის წინამძღვარმა დედა ნინომ (ამილახვარი). 1981 წელს მას სარესტავრაციო სამუშაოები ჩაუტარდა, რის შედეგადაც გაიწმინდა ერთ მეტრამდე სიღრმის მიწაში ჩამჯდარი ეკლესია, აღდგა მისი დაზიანებული ცოკოლი, კედლები, გუმბათი, ლავგარდანი და გადაიხურა კრამიტით. მისი ინტერიერი მოხატულია.


სამსართულიანი სამრეკლო აგებულია XV-XVI საუკუნეებში (სურ. 3.76.7; სურ. 3.76.8). გეგმაში მისი ზომებია 5,8x4,7 მ. საშენ მასალად გამოყენებულია მოყვითალო-მონაცრისფრო ქვიშაქვის კვადრები. მესამე სართულის ფანჩატური აგურისაა. სამრეკლოს ჩრდილოეთი კედელი მონასტრის გალავანშია ჩაშენებული. გუმბათს, მთავარი ტაძრის გუმბათის ანალოგიურად, მრავალწახნაგა პირამიდული სახურავი აქვს.



სურ. 3.76.6. წმ. ნინოს ეკლესია



სურ. 3.76.7. სამრეკლო



სურ. 3.76.8. სამრეკლოს მორთულობის ფრაგმენტი

მონასტრისათვის გალავანი XVIII საუკუნეში შემოურტყამთ, რომლისაგან მხოლოდ დაზიანებული ცილინდრული კოშკი შემორჩა. არსებული გალავანი XIX საუკუნისაა.

სამთავროს მონასტერი სვეტიცხოველთან და მცხეთის ჯვრის მონასტერთან ერთად შეტანილია UNESCO-ს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა სიაში.

3.77. სამთავისის ტაძარი (ინგლ. Samtavisi Cathedral) – XI საუკუნის პირველი ნახევრის ქართული ხუროთმოძღვრების უმშვენიერესი ძეგლი, სამთავისის უფლის ამაღლების სახელობის საკათედრო ტაძარი (სურ. 3.77.1; სურ. 3.77.2). მდებარეობს შიდა ქართლის მხარეში, კასპის მუნიციპალიტეტში, ქ. კასპიდან 11 კმ-ის დაშორებით, მდინარე ლეხურის მარცხენა ნაპირზე, სოფელ სამთავისის ცენტრში (სურ. 3.77.3). კომპლექსში შემავალი ნაგებობებია: მთავარი ტაძარი, გალავანი, სამრეკლო, მცირე ეკლესია და ეპისკოპოსის რეზიდენცია.



სურ. 3.77.1. პანორამული ხედი

გადმოცემის მიხედვით სამთავისის ტაძარი თბილისის სიონის, წილკნის, ერთაწმინდისა და მეტეხის ტაძრებთან ერთად V საუკუნეში აუგია ქართლის მეფე ვახტანგ გორგასალს. სამთავისის ძველი ეკლესიის აშენების თარიღად 472 წელია მიჩნეული. მისგან აღარაფერია შემორჩენილი. დღევანდელი ტაძარი, დასავლეთ ფასადზე არსებული წარწერის თანახმად, 1030 წელს ააგო ილარიონ ვაჩეს ძე ყანჩაელმა, ანუ იგივე ილარიონ სამთავნელმა, რომელიც სამთავნელი ეპისკოპოსი იყო. მასვე 1050 წელს სამთავისის კათედრალისათვის აუშენებია მარანი და საწნახელი. 2005 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრებით დადგინდა, რომ XI საუკუნის ტაძარი დაშენებულია ძველი ეკლესიის ადგილზე VI საუკუნეში აგებულ ბაზილიკაზე. XII-XIII საუკუნეებში სამთავისი ჯერ ქართლის კათოლიკოსს მიქაელს ეკავა, ხოლო შემდეგ მწიგნობართუხუცესის ანტონ ეპისკოპოსის სამფლობელო იყო. XIV საუკუნის დასაწყისიდან ტაძარი ზევდგინიძე-ამილახვრებს ებოძათ (გიორგი ბრწყინვალეს მეფობის დროს). XV საუკუნეში ძეგლი სერიოზულად დაზიანდა (ჩამოინგრა გუმბათი, თაღები, პილონები, ფასადის ნაწილი). XV-XVI საუკუნეების მიჯნაზე იგი აღადგინეს ადგილობრივმა ფეოდალებმა ამილახვრებმა. 1679 წელს განახლდა მოხატულობა (ქტიტორები იყვნენ გივი ამილახვარი და მისი მეუღლე თამარი, მხატვარი მელიტონ სამთავნელი). XIX საუკუნის 40-იან წლებში ჩატარდა ძეგლის რესტავრაცია: გააუქმეს სამხრეთის შესასვლელი, მოხსნეს დაზიანებული კარიბჭეები, შეაკეთეს ფასადები, ინტერიერში შელესეს კედლების ნაწილი და სხვ.




სურ. 3.77.2. საერთო ხედი


თავიდანვე უნდა ითქვას, რომ სამთავისში შეიქმნა ხუ-

როთმოძღვრული კომპოზიციის გარკვეული ტიპი და ხუროთმოძღვრული დეკორის გარკვეული ფორმულა, რომელიც შემდგომში არსებით ცვლილებას აღარც განიცდის. ფორმა, რომელიც მოძებნილია სამთავისში, კანონიკური ხდება ქართველი ხუროთმოძღვრების შემდეგი თაობებისათვის XIX საუკუნემდე.

მთავარი ტაძარი ჯვარგუმბათოვანი ნაგებობაა (სურ. 3.77.4) ზომებით: სიგრძე – 25 მ; სიგანე – 18 მ; სიმაღლე გუმბათის წვერამდე – 27 მ; მკლავების სიმაღლე გარედან ფრონტონის წვერამდე – 20 მ. ტაძრის არქიტექტურა გამოირჩევა პროპორციათა ჰარმონიულობითა და ვირტუოზულად შესრულებული მორთულობით. მოპირკეთებულია სუფთად გათლილი მოყვითალო და მონაცრისფრო-მომწვანო კვადრებით, ფასადები მორთულია ჩუქურთმებითა და დეკორატიული ბარელიეფებით.



სურ. 3.77.3. ადგილმდებარეობის რუკა



სურ. 3.77.4. გეგმა


განსაკუთრებით მიმზიდველია აღმოსავლეთი ფასადი, რომელიც პირვანდელი სახითაა შემორჩენილი. სამთავისის აღმოსავლეთი ფასადის ცენტრის შვეული ღერძის გასწვრივ, კედლის შუა თაღის მთელი არე უჭირავს დეკორაციული გაფორმების თავისებურ კომპოზიციურ სქემას, რომელიც პირველად სამთავისის ოსტატმა შეიმუშავა და ის ერთგვარ მზა ფორმულად იქცა.



სურ. 3.77.5. აღმოსავლეთი ფასადის რელიეფი



სურ. 3.77.6. აღმოსავლეთი ფასადის რელიეფი



სურ. 3.77.7. აღმოსავლეთი ფასადის ფრაგმენტი

აღმოსავლეთი ფასადი ხუთი თაღითა და ორი, 25 სმ-ის სიღრმის ნიშითაა დანაწევრებული. შუა მაღალი თაღით შემოსაზღვრულ სიბრტყეზე, ერთ შვეულ ღერძზე წარმოდგენილია კომპოზიცია მდიდრულად მოჩუქურთმებული ჯვრის რელიეფური გამოსახულებით (სურ. 3.77.5 - სურ. 3.77.7) ქართული ასომთავრული წარწერებით, ფაქიზი ჩუქურთმის წნულით დამშვენებული წრე, სარკმელი და ორი რომბი. კომპოზიცია ასახავს სიცოცხლის ხეს – ჯვარი წარმოადგენს სიცოცხლის ხეს, რომელიც აღმოცენებულია მყარ ფუძეზე, ფუძე წარმოდგენილია გეომეტრიული ფიგურებით: წრე ანუ დედამიწა, მართკუთხედი და რომბები – ფესვები (რომბი მარადისობის სიმბოლოცაა). ფასადის საზეიმო განწყობას კიდევ უფრო აძლიერებს მარჯვენა კუთხეში გამოსახული ფასკუნჯის ბარელიეფი (სურ. 3.77.8), ყურძნისა და ბროწეულებისგან შედგენილი ორნამენტული მოტივები. სავარაუდოდ, ფასკუნჯის ბარელიეფი ფასადის მარცხენა კუთხეშიც უნდა ყოფილიყო.



სურ. 3.77.8. აღმოსავლეთ ფასადის ფასკუნჯის ბარელიეფი



სურ. 3.77.9. ტაძრის სამხრეთი ფასადი

თაღნარებით მორთული სამხრეთი ფასადი (სურ. 3.77.9) სამ ნაწილად იყოფა. სამი მაღალი თაღი ტაძრის სამხრეთი მკლავის მთელ სიმაღლეზეა ატყორცნილი. სამ-სამი თაღი კი ფასადის გვერდითი კალთების ლავგარდნის ქვემოთაა განაწილებული, თანაც აღმოსავლეთის სამი თაღი ერთნაირი განისა და სიმაღლისაა, დასავლეთის კი სხვადასხვა განისა და სიმაღლის (სიმეტრია დარღვეულია). ტაძარს ამ მხარეს, თავის დროზე კარიბჭე-ეგვტერი ჰქონდა მიშენებული და თაღნარის ასეთი ასიმეტრიულობა, შესაძლოა, ამით ყოფილიყო გამოწვეული. ფასადზე შემორჩენილია კარიბჭის პილასტრებიანი ლილვების კონა (სურ. 3.77.10). აღმოსავლეთის მკლავის სამხრეთი ფასადის ზედა სიბრტყე დანაწევრებულია ხუთი ნახევარწრიული თაღით, დასავლეთის მკლავის სამხრეთი სიბრტყე კი თავისუფალია (სავარაუდოდ დაზიანების შემდეგ თაღები აღარ აღუდგენიათ).



სურ. 3.77.10. სამხრეთი კარიბჭის ნაშთი




სურ. 3.77.11. დასავლეთი ფასადის ფრაგმენტი

ჩრდილოეთი ფასადი სამხრეთი ფასადის ზუსტ პირს წარმოადგენს, იმ განსხვავებით, რომ ქვედა თაღები ყველა ერთნაირი ზომისაა და სიმეტრიულობა დარღვეული არაა, ზედა ნაწილში კი ყველა (ათივე) თაღი ადგილზეა.

დასავლეთი ფასადი, დანარჩენ ფასადებთან შედარებით, მორთულობებით ნაკლებად საყურადღებოა, რაც იმით აიხსნება, რომ ბოლო რესტავრაციის დროს სრულად აქვს დაკარგული პირვანდელი სახე. აქ გამოსარჩევია მხოლოდ პორტალი, ჯვრის ქვედა მკლავი და მის გვერდებზე არსებული მოჩუქურთმებული საპირეებით შემკული ორი სარკმელი (სურ. 3.77.11).

ტაძრის ჩამოშლილი გუმბათი აღდგენილი იქნა XV-XVI საუკუნეების მიჯნაზე. მასში არცერთი ძველი ფრაგმენტი არ არის ჩატანებული. არსებულ ცამეტწახნაგა გუმბათის ყელში 7 ნამდვილი და 6 ცრუ სარკმელია, მაგრამ მათი მორთულობა იმდენად ერთნაირია, რომ განსვავება მათ შორის არ იგრძნობა. გუმბათის ყელის დიამეტრი და სიმაღლეც 8 მეტრის ტოლია. ამავე სიმაღლეზეა აზიდული გუმბათის კონუსიც. ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ სამთავისის გუმბათი პირვანდელ ზომებში უნდა იყოს აღდგენილი, რასაც ვერ ვიტყვით მის მორთულობაზე, რომელიც სრულიად განსხვავდება XI საუკუნის ტაძრების გუმბათის კომპოზიციისგან.

სამთავისის ინტერიერი მოხატულია 1679 წელს, 1964 წელს კი მოხდა მისი რესტავრაცია. საკურთხევლის კონქში, ბემის ორსაფეხურიან თაღში, მეორე, მესამე, მეოთხე რეგისტრებში წარმოდგენილია ვედრების კომპოზიცია, ქერუბიმები, ძუელი დღეთაი, საყდარნი, მთავარანგელოზები. გამოსახულია მოციქულთა ზიარება, წმინდანები. სარკმლის წირთხლები დათმობილი აქვს მთავარანგელოზთა ფიგურებს. გუმბათის საყრდენ სვეტებზე წინასწარმეტყველებია გამოსახული, რომელსაც თან ახლავს ქართული ასომთავრული,



სურ. 3.77.12. სამრეკლო



სურ. 3.77.13. მცირე ეკლესია

ბერძნული და არაბული წარწერები. გუმბათის სამივე რეგისტრი დატვირთულია ქრისტეს, მახარებელთა, ღვთისმშობელი ყრმით, წინასწარმეტყველთა, მთავარანგელოზთა და წმინდანთა გამოსახულებებით.

გალავანი, რომელიც გეგმით მრავალგვერდაა და სიმაღლით 3-დან 5 მ-მდე მერყეობს, თარიღდება XVII საუკუნის II ნახევრით. ნაგებია რიყის ქვითა და აგურით. კედელი ორიარუსიანია და ქონგურებით მთავრდება. გალავანში ჩართულია XVII საუკუნის სამრეკლო (სურ. 3.77.12), რომლის პირველი სართული გამჭოლი თაღებიანი შესასვლელი ჭიშკარია, მეორე – საყარაულო, მესამე კი სამრეკლო. იქვეა ორსართულიანი საეპისკოპოსო პალატის ნაშთები, რომელიც ტაძრის ჩრდილო-აღმოსავლეთით გალავანშია ჩართული. კომპლექსში ასევე არის მცირე ზომის დარბაზული ეკლესია (სურ. 3.77.13), რომელიც დიდი ტაძრის სამხრეთით გა-

ლავანს ეკვრის. იგი ნაგებია რიყისა და თლილი ქვით. XV საუკუნეში ტაძარი მიწისძვრის შედეგად ძლიერ დაზიანდა, ჩამოინგრა გუმბათი, მოიშალა კედლის მხატვრობა, თუმცა XVI საუკუნის დასაწყისში კი კვლავ აღდგენილ იქნა ადგილობრივი ფეოდალების, გაიანე და სიაუშ ამილახვრების მიერ, რომელთა სახელები დასავლეთის ფასადზეა შემორჩენილი. ხელმეორედ ტაძრის მოხატულობა 1679 წელს მელიტონ სამთავნელის მიერ იქნა შესრულებული.

2007 წლის 24 ოქტომბრიდან სამთავისის კომპლექსი შეტანილია UNESCO-ს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა საცდელ სიაში.

3.78. მოწამეთას მონასტერი (ინგლ. Motsameta Monastery) – ქართული ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ძეგლი, მოწამეთას სამონასტრო კომპლექსი (სურ. 3.78.1 - სურ. 3.78.3). მდებარეობს იმერეთის მხარეში, ქ. ქუთაისის აღმოსავლეთით 6 კმ-ზე, მდინარე წყალწითელას ხეობაში, სოფელ მოწამეთაში. ისტორიულ-არქეოლოგიური კვლევებით დადგენილია, რომ მოწამეთას მონასტერი განთავსებული იყო VI საუკუნის ციხე-ქალაქის უქიმერიონის ტერიტორიაზე (ო. ლანჩავა, ნ. ქარციძე). კომპლექსში შემავალი ნაგებობებია: ეკლესია, სამრეკლო, ორი კოშკი, გალავანი და წინამძღვრის სახლი.



სურ. 3.78.1. პანორამული ხედი

მონასტრის დაარსების ისტორია არგვეთის მთავრების – დავით და კონსტანტინე მხეიძეების სახელს უკავშირდება. VIII საუკუნეში, როცა საქართველოს მურვან ყრუს მოძალადე ლაშქარი შემოესია, მათ დიდი წინააღმდეგობა გაუწევიათ არაბთა სარდლისთვის, მაგრამ უთანასწორო ბრძოლაში დამარცხებულან. განრისხებულმა სარდალმა დიდი ტანჯვა მიაყენა ძმებს, მაგრამ მათ საშინელი წამება გმირულად აიტანეს. ეკლესიამ ისინი წმინდანად შერაცხა. მათი უხრწნელი წმინდა ნაწილები თვდაპირველად ხარების დანგრეულ ეკლესიის კრიპტაში იყო დასვენებული. შემდეგ აქ მონასტერი ააგეს და წმინდა მოწამეთა საფლავი მოაწყვეს. ადგილსაც მოწამეთა ეწოდა. XI საუკუნეში საქართველოს მეფემ ბაგრატ III ააშენა დანგრეული ეკლესია და მასში გადაასვენა სამშობლოსა და სარწმუნოებისათვის თავდადებული გმირები. თავდაპირველად ტაძარი უგუმბათო იყო. 1844-1865 წლებში იმერეთის ეპისკოპოსის დავით წერეთლის ძალისხმევით ლევან, მოსე და ფილიპე ბერიკაშვილებმა შეაკეთეს და გააფართოვეს მონასტერი – ტაძარს დაედგა გუმბათი, დაიგო ქვის იატაკი, შეიცვალა კანკელი. საბჭოთა პერიოდში გმირების ნეშთები ეკლესიიდან გამოიტანეს, მაგრამ ადგილობრივ ქრისტიანთა თავდადებით წმინდანთა სხეულები საბოლოო განადგურებას გადაურჩა და ისინი ქუთაისის მუზეუმში გადაასვენეს. 1954 წელს



სურ. 3.78.2. საერთო ხედი

კი, როდესაც მონასტერი მოქმედი გახდა, წმინდანების ნეშტი მუზეუმიდან კვლავ მონასტერში დააბრუნეს და იქ მიუჩინეს სამარადისო სამკვიდრებელი.

წყალწითელას ხეობა, სადაც მოწამეთას მონასტერი მდებარეობს, მდინარის მიერ შექმნილი ნახევარკუნძულია და ყოველი მხრიდან ციცაბო კლდეებითაა დაცული. მონასტრის მთავარი ნაგებობა – ტაძარი, ჯვარგუმბათოვანი ტიპისაა (სურ. 3.78.4). ჯვრის ოთხივე მკლავი თანაბარია. გუმბათი ეყრდნობა ორ თავისუფლად მდგარ სვეტსა და აფსიდის შვერილებს. ეკლესიას აქვს ორი კარი – დასავლეთისა და სამხრეთის. განსხვავებით სხვა ქართული ტაძრებისგან, საკურთხეველი ჩრდილოეთ მხარეს აქვს. სავარაუდოდ ეს განაპირობა იმან, რომ ყველაზე საპატიო აღმოსავლეთის მხარეს დაკრძალული იყვნენ წმინდა მოწამე დავითი და კონსტანტინე. საკურთხევლის მარცხენა მხარეს, შემაღლებულ ადგილზე, მწოლიარე ძუ ლომის ორ ხის ქანდაკებაზე მოთავსებულია ხის ლუსკუმი წმინდანების ნეშტით (სურ. 3.78.5).



სურ. 3.78.3. მონასტრის მთავარი შესასვლელი



სურ. 3.78.4. მთავარი ტაძარი

ეკლესიის ექსტერიერში გამოყენებულია შუა საუკუნეების არქიტექტურული ელემენტები. გუმბათის ყელს შემოწერს სამმაგ ლილვურ ნახევარსვეტებზე გადაყვანილი თაღნარი. ნახევარსვეტების კაპიტელები და ბაზისები ბურთულებით არის გაფორმებული. სამხრეთი კარის ზევით ფართო მოჩუქურთმებული საპირის მქონე ჯვარია გამოკვეთილი. განსაკუთრებით მდიდრული გაფორმებით გამოირჩევა დასავლეთი ფასადი. მის შუა, რუსტირებული წყობით გამოყოფილ არეს დიდი პროფილირებული თაღი შემოწერს, რომელშიც ორი უფრო მცირე თაღი და ჰორელიეფური ვარდულია ჩაწერილი, ხოლო ზემოდან ჯვარია აღმართული. ამ ფასადის წინ არის მონასტრის შიდა ეზო. ქარაფი ეკლესიის ჩრდილოეთით მაღალი საყრდენი კედლითაა ამოშენებული და ფასადის წინ ვიწრო გასასვლელია შექმნილი. ეკლესიის საკურთხეველიც ნაწილობრივ სუბსტრაქციაზე დგას.



სურ. 3.78.5. ხის ლუსკუმი დავით და კონსტანტინეს ნეშტებით



სურ. 3.78.6. სამრეკლო

ეკლესიის სამხრეთით ორსართულიანი სამრეკლოა (სურ. 3.78.6), რომლის წარწერა გვაუწყებს, რომ იგი აგებულია მიტროპოლიტ დავითის განკარგულებით 1845-1947 წლებში. ნაშენებია თლილი ქვით. მონასტრის ტერიტორიაზე შემორჩენილია ორი კოშკის ნაშთი. ერთი მათგანი ტაძრიდან სამხრეთ-აღმოსავლეთითაა, ხოლო მეორე – ჩრდილო-აღმოსავლეთით. 1884 წლის ამ კოშკების აღწერილობაში ჩანს, რომ მათ კედლებში ყოფილა ვიწრო სანათურები და სათოფურები. ჩრდილო-აღმოსავლეთის კოშკში გამართული იყო სანახები, სადაც დაცული იყო მონასტრის ძვირფასი ნივთები. მონასტერი ქვის გალავნით არის შემოსაზღვრული. ტაძრის დასავლეთ მხარეს ძველი ეკლესიის ნანგრევებზე აშენებულია წაგრძელებული ფორმის წინამძღვრის სახლი (მოსაცდელი). მონასტრის გარეთ სასტუმროს ნაშთი და XVI საუკუნის სამსართულიანი კოშკია. მის კედელში ჩართულია ორმაგ წრეში ჩასმული რელიეფური ტოლმკლავა ბოლნური ჯვარი. მედალიონის კვადრი მიწის დონიდან 2,5 მ-ის სიმაღლეზეა ჩაშენებული და ძირითადი წყობის ქვებისგან სრულიად განსხვავებულია. შესაძლებელია ეს მედალიონი თავდაპირველი ხარების ეკლესიის (V-VI საუკუნეები) დეტალს წარმოადგენდეს.

წმინდა მოწამე დავით და კონსტანტინე მხეიძეების ხსენების დღეს, 15 ოქტომბერს, მონასტერში ყოველწლიურად იმართება სახალხო დღესასწაული მოწამეთობა (ორწიფობა).

3.79. იერუსალიმის ჯვრის მონასტერი (ინგლ. Monastery of the Cross) – XI საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების მნიშვნელოვანი ძეგლი, რელიგიური და კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი წმინდა მიწაზე, პალესტინაში (ახლანდელი ისრაელის ტერიტორია). მდებარეობს იერუსალიმის პრესტიჟულ რაიონში – მალხაში (ისრაელის პარლამენტის – ქნესეთის მეზობლად) (სურ. 3.79.1; სურ. 3.79.2) მონასტერი შემოსაზღვრულია მაღალი გალავნით, რომელსაც ტერიტორიაზე შესასვლელად მხოლოდ ერთი კარი აქვს. გალავნის შიგნით განლაგებულია 270-მდე სათავსი და დამხმარე ნაგებობა. კომპლექსის ძირითადი ნაგებობაა ჯვარ-გუმბათოვანი ტაძარი, დატვირთული მოზაიკით, ფრესკებითა და ქართული წარწერებით (სურ. 3.79.3; სურ. 3.79.4).



სურ. 3.79.1. საერთო ხედი



სურ. 3.79.2. პანორამული ხედი

გადმოცემის მიხედვით მონასტრის ტერიტორია IV საუკუნეში, წმინდა ნინოს რჩევით, შეუსყიდია აქ ჩამოსულ საქართველოს პირველ ქრისტიან მეფე მირიანს (დ. 261 - გ. 342 წ.) და იქ სამლოცველო აუშენებია. V საუკუნის მეორე ნახევარში იერუსალიმში ჯარით შევიდა ქართლის მეფე (449-502 წწ.) ვახტანგ გორგასალი (დედისა და დის თანხლებით). მან გაადიდებინა და დაამშვენა სამლოცველო და მის მცველად 600 მეომარი დატოვა. შემდეგ საუკუნეებში მონასტრის შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება. დღემდე მოღწეული სამონასტრო კომპლექსი, ძველი სამლოცველოს ადგილზე, XI საუკუნეში ააშენა ბერ-მონაზონმა გიორგი-პროხორემ მეფე ბაგრატ IV კურაპალატისა და დედამისის – მარიამის ხელშეწყობითა და ექვთიმე მთაწმინდელის კურთხევით. XII საუკუნის ბოლოს იერუსალიმი აიღო ეგვიპტის სულთანმა სალადინმა (სალაჰ ად-დინ იუსუფ იბნ აიუბი) და 1187 წელს მიიტაცა ამ დროისათვის საკმაოდ




სურ. 3.79.3. წარწერა მონასტრის კედელზე



სურ. 3.79.4. ქართული და ბერძნული წარწერები მონასტრის შესასვლელში

მდიდარი ჯვრის მონასტერი. მემატიანის გადმოცემით, 1192 წელს თამარ მეფემ 200 ათას დინარად გამოისყიდა ჯვრის მონასტერი. 1273 წელს, ისლამისტ შეიხ ხიდრის ბრძანებით, მონასტერი მეჩეთად გადაკეთდა. 1299 წელს ვახტანგ III-ის ძალისხმევით (ქართველთა ჯარით თან ახლდა მონღოლებს იერუსალიმის დალაშქვრისას) და 1305 წელს მეფე დავით VIII-ის დიპლომატიით (მოლაპარაკება აწარმოა ეგვიპტის სულთანთან) დაკარგული მონასტერი დაბრუნებული იქნა. აღმავლობის ხანა იწყება XVI საუკუნის დასაწყისიდან, როცა იქ მოღვაწეობას იწყებს ბეენა ჩოლოყაშვილი. XVII საუკუნეში ქართველთა ყურადღება მონასტრისადმი გაიზარდა. დიდი აღდგენითი სამუშაოები ჩაატარა ნიკოლოზ ჩოლოყაშვილმა (ნიკიფორე ირბახი). სამეგრელოს მთავარმა ლევან II დადიანმა მოახატვინა კედლები (სურ. 3.79.5), გუმბათი. ქართლის მეფე გიორგი XI-მ ვალებისგან გაანთავისუფლა (დაიხსნა) მონასტერი. XVIII საუკუნის დასაწყისიდან მონასტერი ბერძნების ხელში გადავიდა (ქართველებმა ვერ შეძლეს თურქ-ოსმალების მიერ დაწესებული არარეალური გადასახადების გადახდა). არსებობს იერუსალიმის პატრიარქ დოსითეოზის ანდერძი, რომელშიც ის წერს, რომ ჯვრის მონასტერი ქართველებს ეკუთვნით და თუ ოდესმე ფინანსურად შეძლებენ გამოსყიდვას, მონასტერი მათ უნდა დაუბრუნდესო.

1960 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ექსპედიციის წევრებმა აკაკი შანიძემ, ირაკლი აბაშიძემ და გიორგი წერეთელმა მთავარი ტაძრის სვეტზე აღმოაჩინეს დიდი ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის ფრესკა შესაბამისი ასომთავრული წარწერით (სურ. 3.79.6).



სურ. 3.79.5. ტაძრის ინტერიერი



სურ. 3.79.6. შოთა რუსთაველის ფრესკა

3.80. სურამის ციხე (ინგლ. Surami Fortress) – XI-XII საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ცნობილი ძეგლი (სურ. 3.80.1; სურ. 3.80.2). მდებარეობს შიდა ქართლში, ხაშურის მუნიციპალიტეტში, დაბა სურამში, მდინარე სურამულის მარცხენა ნაპირზე, კლდოვან გორაკზე (სურ. 3.80.3). კომპლექსში შემავალი ნაგებობებია: ციხე, გალავანი, წმინდა გიორგის ეკლესია, სასახლე.



სურ. 3.80.1. პანორამული ხედი




სურ. 3.80.2. საერთო ხედი

ციხის აგების მრავალი ვერსია არსებობს (ქართული, სპარსული, თურქული), რომელთაგან რეალობასთან ყველაზე ახლოსაა თანამედროვე ქართველი ისტორიკოსების მოსაზრება, რომლის მიხედვით ციხე აგებულია ქართლის საერისთაოს მთავრების სურამელთა საგვარეულოს მიერ. მიჩნეულია, რომ სურამის ციხესიმაგრე მათ რეზიდენციას წარმოადგენდა. ქართულ ისტორიულ წყაროებში იგი როგორც ძლიერი ციხესიმაგრე პირველად მოხსენიებულია 1625 წელს გიორგი სააკაძესთან (1570-1629 წწ.) დაკავშირებით. 1692 წელს ციხე



სურ. 3.80.3. ადგილმდებარეობის რუკა



სურ. 3.80.4. გეგმა: 1-შესასვლელი, 2-გალავანი, 3-ქვედა ეზო, 4-შიდაციხე, 5-კოშკი, 6-წმინდა გიორგის ეკლესია, 7-სასახლე

თურქების ხელშია. 1701 წლიდან მას მეფისწული ვახტანგი ფლობს, შემდეგ კი ყიზილბაშები. 1742-45 წლებში ირანის წინააღმდეგ ბრძოლის დროს სურამის ციხე ზემო ქართლის სადროშოს უფროსის გივი ამილახვრის ძირითადი დასაყრდენი იყო. ხანგრძლივი ბრძოლისა და მოლაპარაკებების შემდეგ აჯანყებული გივი ამილახვარი დანებდა მეფე თეიმურაზს. 1750-იან წლებში ციხე ირანის მმართველმა ნადირ შაჰმა დაანგრია (კეხვის ციხესთან ერთად). 1756 წელს კახეთისა და ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-მ (დ. 1720 - გ. 1798 წ.) აღადგინა. შემდეგ ხან იტრიელი მხეიძეების ხელში იყო, ხან სურამელი მურვანიშვილები ფლობდნენ. 1764 წელს ერეკლე II-მ სურამის ციხე ოსიაურის ციხესთან ერთად დროებით სარგებლობაში გადასცა თარხანოვებს. XVIII საუკუნის 80-90-იან წლებში იგი ზემო ქართლში

ლეკიანობის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი დასაყრდენი პუნქტია. 1829 წლიდან ახალციხის მხარის შემოერთების შემდეგ სურამის ციხემ დაკარგა ძირითადი ფუნქცია და მხოლოდ ისტორიულ ძეგლად იქცა.

ციხე მნიშვნელოვანია, როგორც ისტორიული მონუმენტური ხელოვნების ნიმუში. იგი ორი მთავარი გზის შესაყარზე მდებარეობს; ერთი მიემართება ლიხის გადასასვლელებით დასავლეთისაკენ, მეორე კი – ბორჯომის ხეობით სამხრეთისაკენ. გალავანი რელიეფს მიჰყვება (სურ. 3.80.4). მას რთული მოხაზულობა აქვს, რადგან მშენებლებს კლდოვანი კონცხის ყველა ადგილი გამოუყენებიათ. ნაგებია ნატეხი და თლილი ქვით. გაირჩევა რამდენიმე სამშენებლო ფენა. შესასვლელი ჩრდილოეთ კედლის შუა ნაწილშია. აქ კლდეში ამოკვეთილია საფეხურები. გალავნის ამ მონაკვეთის ზედა ნაწილში ვიწრო სათოფურებია, ჩრდილო-დასავლეთით ყრუ კედელია. გალავნის დასავლეთი ნაწილი დანგრეულია, შემორჩენილია მხოლოდ 8 მ სიგრძისა და 2 მ სიმაღლის კედელი, რომელზეც ეზოს მხრიდან სასახლე იყო მიშენებული (აღადგინეს 1980-იან წლებში). გალავანში აღმოსავლეთით ჩართულია შიდაციხის კედელი, რომელიც ნაკლებადაა დაზიანებული (სურ. 3.80.5). გვიანდელი სამშენებლო ფენა (XVII ს.) თხელია, მის აღმოსავლეთ კედელში ერთ რიგად განლაგებულია სათოფურები. ციხის თავდაპირველი კედლის ქონგურები გამოყვანილია უხეშად და განაწილებულია არათანაბრად; უფრო გვიან ნაშენი კედლებისა კი, პირიქით ხშირი, ვიწრო და მომრგვალებულია, ქონგურები განლაგებულია თანაბრად. ციხის ფართობია 1200 კვ. მ. იგი შედგება ორი ნაწილისაგან: შიდაციხისა (ციტადელი) და ქვედა ეზოსაგან. შიდაციხეს უჭირავს მთის ზედა ნაწილი, ქვედა ეზოს კი მთის ფერდობები. შიდაციხე გეგმით არასწორი მრავალგვერდაა (52,4×29,3 მ). შედგება გალავნისა და პირამიდული კოშკისაგან (21,2×12,7 მ). მისი ტერიტორია ნანგრევებითაა დაფარული. კოშკის მხოლოდ ორი სართული იყო შემორჩენილი, მაგრამ XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს მას რესტავრაცია ჩაუტარეს და მთლიანად აღადგინეს კოშკი, ციხის დასავლეთისა და აღმოსავლეთის კედლები. კოშკს ეზოდან აქვს შესასვლელი. მე-2 სართულის სქელ კედლებში ვიწრო სარკმლებია. ნაგებობა მოპირკეთებულია თლილი ქვით.



სურ. 3.80.5. შიდაციხის კედელი და ქვედა ეზო

წმინდა გიორგის ეკლესია, აგებული XI-XII საუკუნეებში, მდებარეობდა ქვედა ეზოს სამხრეთ-აღმოსავლეთის ნაწილში. დაშენებული იყო პირდაპირ კლდის კონცხზე. იგი 1991 წლის აპრილის მიწისძვრამ დააზიანა, მთლიანად ჩამოიქცა მისი გადახურვა და განადგურდა შემორჩენილი მხატვრობის ფრაგმენტები. დარბაზული ტიპის ეკლესია (5,9×6,1 მ), ნაგები იყო თლილი ქვით. მას ორი შესასვლელი ჰქონდა – დასავლეთითა და ჩრდილოეთით. ეკლესიას განიერი თაღი ორ თანაბარ ნაწილად ყოფდა. სამხრეთი ნაწილი აფსიდით მთავრდებოდა, ჩრდილოეთი ნაწილი კი მართკუთხა იყო. ორივე ნაწილი გადახურული იყო ერთი ცილინდრული კამარით, რომელიც აერთიანებდა მათ ერთ დიდ დარბაზად. თითოეულ დარბაზს თითო სარკმელი ჰქონდა აღმოსავლეთითა და დასავლეთით.

სასახლე მდებარეობდა ქვედა ეზოს სამხრეთ მონაკვეთში. იგი ძლიერ დაზიანებულია: შემორჩენილია მხოლოდ ორი სართულის ნანგრევი.

უძველესი დროიდან სურამის ციხეზე არსებობს თქმულება, თითქოს მისი უძლეველობის მიზეზი ისაა, რომ შიდაციხის აღმოსავლეთის კედელში ცოცხლად არის ჩაკირული დედისერთა ვაჟი ზურაბი. ანალოგიური ლეგენდა არსებობს რაჭაში, სოფელ წესში არსებულ მინდა ციხის, სიღნაღის ციხის, ილორის წმინდა გიორგის ეკლესიის, კელასურის კედლის შესახებაც. მსგავსი შინაარსის თქმულებები გავრცელებულია მსოფლიოს სხვა ხალხის ფოლკლორშიც. მას იცნობს: რუმინული, უნგრული, სერბული, გერმანული, ბერძნული, ბულგარული, სპარსული, იაპონური, ინდური, ბირმული და სხვ. ფოლკლორი.

3.81. იყალთოს მონასტერი (ინგლ. Ikalto Monastery) – XI-XII საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, იყალთოს სამონასტრო კომპლექსი – ფერისცვალების მონასტერი. მდებარეობს კახეთის მხარეში, თელავის მუნიციპალიტეტში, გომბორის ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთ კალთაზე, სოფელ იყალთოში (სურ. 3.81.1). კომპლექსში შემავალი ნაგებობებია: 3 ეკლესია, აკადემიის ნანგრევები, სატრაპეზო, მარანი, საწნახელი, გალავანი, დამხმარე ნაგებობები.



სურ. 3.81.1. ადგილმდებარეობის რუკა

გადმოცემით, სოფელ იყალთოში სამონასტრო კომპლექსი ჯერ კიდევ IV საუკუნეში არსებულა. VI საუკუნეში ერთ-ერთმა ასურელმა მამათაგანმა ზენონმა აქ სამების მცირე ეკლესია ააშენა, რომელიც ჯვარ-გუმბათოვანი ნაგებობა ყოფილა. ნაგებობა მრავალჯერ გადაკეთდა (ბოლოს XI საუკუნეში) და ჩვენამდე მოაღწია ერთნავიანი დარბაზული ეკლესიის სახით (სურ. 3.81.2). XII-XIII საუკუნეებში კომპლექსს დაემატა ყველაწმინდის ერთნავიანი დარბაზული ტიპის ეკლესია (სურ. 3.81.3). კომპლექსის მთავარი ნაგებობაა ფერისცვალების ტაძარი, რომლის აგების თარიღი უცნობია (სავარაუდოდ სახელდება VIII-IX საუკუნეები). XI-XII საუკუნეებში ტაძარი საფუძვლიანად გადაუკეთებიათ და ჩვენამდე ამ სახით მოაღწია (სურ. 3.81.4).


სურ. 3.81.2. სამების ეკლესია


სურ. 3.81.3. ყველაწმინდის ეკლესია

აკადემიისა და სატრაპეზოს ორსართულიანი ერთმანეთზე გადაბმული კორპუსის ფართობი (765 კვ. მ.) და საწნახელისა (სიგრძე 15 მ) და მარნის მოცულობები გვაფიქრებინებს, რომ VIII-IX საუკუნეებში იყალთო ქვეყნისათვის დიდი, მნიშვნელოვანი სამონასტრო ცენტრი იყო. 1104 წელს, როცა საქართველოს მეფემ (1089-1125 წწ.) დავით აღმაშენებელმა რანთა და კახთა სამეფო გააუქმა, იყალთოს კომპლექსის წონადობა ქვეყანაში შემცირდა და სრულად რომ არ მიეტოვებინათ, დიდმა მამულიშვილმა არსენ იყალთოელმა (მაყაშვილი) გელათის აკადემია დატოვა და დავით აღმაშენებლის თანადგომით, თავის მშობლიურ კახეთში იყალთოს აკადემია (სურ. 3.81.5; სურ. 3.81.6) დააარსა (იხ. იყალთოს აკადემია), რომელიც XVII საუკუნის დასაწყისამდე წარმატებით ემსახურებოდა საქართველოს მოსახლეობის განსწავლულობის საქმეს.

არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩნდა, რომ აკადემიის მთავარი შენობის ირგვლივ არსებობდა მრავალი სახელოსნო, მარანი, სამჭედლო, სამეურნეო ნაგებობა და სათავსი.

1965 წლიდან ღვთაების ეკლესიის შენობაში გახსნილია მუზეუმი. 1991 წელს ღვთაებისა და სამების ტაძრებში ღვთისმსახურება აღსდგა.

ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით, ცნობილია, რომ იყალთოს აკადემიაში სწავლობდა გენიალური ქართველი პოეტი შოთა რუსთაველი.



სურ. 3.81.4. ფერიცვალების ტაძარი



სურ. 3.81.5. აკადემიის ნაშთი



სურ. 3.81.6. აკადემიის ნაშთი

3.82. კვეტერას ციხე-ქალაქი (კვეტერა, კვეტარი, კუეტერი) (ინგლ. Kvetera fortress city) – XI საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი (სურ. 3.82.1). მდებარეობს კახეთის მხარეში, ახმეტის მუნიციპალიტეტში, მისგან ჩრდილო-დასავლეთ მიმართულებით 10 კმ-ში, მდ. ილტოს მარჯვენა ნაპირზე (სურ. 3.82.2). კომპლექსში შემავალი ნაგებობებია: შიდაციხე (გუმბათოვანი ტაძარი, დარბაზული ეკლესია, სასახლე, გალავანი, სამეურნეო დანიშნულების სათავსები) და ქვედა ციხე.




სურ. 3.82.1. პანორამული ხედი



სურ. 3.82. 2. ადგილმდებარეობის რუკა

კვეტერას ციხე-ქალაქი კახეთის სამთავროს (შემდგომში სამეფოს) ერთ-ერთი ცენტრი იყო. მის დაწინაურებას ხელი შეუწყო ხელსაყრელმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ. წყაროებში პირველად კახთა მეფის კვირიკე III-ის მეფობის (1010-1037 წწ.) დროიდან იხსენიება, თუმცა გადმოცემით (ვახუშტი ბატონიშვილი) VIII საუკუნეში უნდა არსებულიყო. საქალაქო ცხოვრების კვალი კვეტერაში XIII საუკუნიდან ისპობა და გვიანდელი ხანის საისტორიო წყაროებში იგი აღარ იხსენიება.


1968 წელს ჩატარებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა (ხელმძღვანელი გ. ლომთათიძე) ზედა ციხის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში, ბურჯის ქვეშ გამოავლინა ადრინდელი შუა საუკუნეების დარბაზული ეკლესიის ნაშთი, სასახლე, გუმბათოვანი ეკლესია, ციხის წყალსაცავი, მთავარი (დასავლეთის) კარიბჭე, რვაწახნაგა კოშკი, დადგინდა წყალსადენის ტრასა. დიდი რაოდენობით აღმოჩნდა მოუჭიქავი და მოჭიქული ჭურჭელი, მოჭიქული კრამიტი, ფაიფურის ნატეხები, მინის ჭურჭელი და სამაჯურები, სპილენძის მონეტა და სხვ., რაც ადასტურებს კვეტერაში საკუთარი სამეურნეო წარმოების არსებობას.



სურ. 3.82.3. გეგმა: ა-შიდაციხე, ბ-ქვედა ციხე

ციხის ყველაზე მაღალი და შედარებით სწორი ადგილი უჭირავს შიდაციხეს (ციტადელი), რომელიც დანარჩენი ნაწილისგან ზღუდითაა გამოყოფილი. მეორე ნაწილი (ქვედა ციხე) ბევრად უფრო დიდია (ფართობი დაახლოებით 25 000 კვ. მ). შიდა და ქვედა ციხეებს შორის დონეთა სხვაობა 35 მეტრია. შიდაციხე გეგმით აღმოსავლეთ-დასავლეთის მიმართულებით წაგრძელებული მრავალგვერდა (ფართობი დაახლოებით 3500 კვ.მ.) ნაგებობაა (სურ. 3.82.3), რომლის კედლებში ჩადგმულია მრგვალი და ოთხკუთხა კოშკები გამაგრებული კონტრფორტებით. შიდაციხეს ორი შესასვლელი აქვს: ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან. ამ უკანასკნელით იგი ქვედა ციხეს უკავშირდება. გალავანში ჩართულია ათი სხვადასხვა გეგმის კოშკი, რომლებმაც ჩვენამდე ძლიერ დაზიანებულებმა მოაღწიეს.


სურ. 3.82.4. გუმბათოვანი ტაძარი


სურ. 3.82.5. გუმბათოვანი ტაძარის გეგმა

X საუკუნის I ნახევრის გუმბათოვანი ტეტრაკონქის ტიპის ტაძარი (10,5x9,8 მ) დგას ზედა ციხის აღმოსავლეთ ნაწილში (სურ. 3.82.4). შიგნიდან და გარედან მოპირკეთებულია შირიმის კარგად გათლილი, დიდი ზომის (100x60, 100x80 სმ) ფილებით, რომლებიც სწორ ჰორიზონ-

ტალურ რიგებს ქმნიან. ტიპის თვალსაზრისით ის ტეტრაკონქია. გენეტიკურად კი მცხეთის ჯვართანაა დაკავშირებული და ამ თემის ვარიაციას წარმოადგენს. ტაძრის გეგმის (სურ. 3.82.5) კომპოზიციური ცენტრია გუმბათქვეშა კვადრატი, მასზე აღმართული ნახევარსფერული გუმბათით დასრულებული ცილინდრული ყელით. მკლავებს შორის, გუმბათქვეშა კვადრატის ოთხივე კუთხეში გეგმით წრის სამი მეოთხედი მოხაზულობის თითო მაღალი თაღოვანი ნიშია. აღმოსავლეთ და დასავლეთ აფსიდების ბემები ჩრდილო და სამხრეთ ბემებზე ორჯერ უფრო ღრმაა, რის გამოც ჯვრის აღმოსავლეთ-დასავლეთის ღერძი რამდენამდე აღემატება სამხრეთ-ჩრდილოეთის ღერძს. შესასვლელები სამხრეთისა და დასავლეთის აფსიდებშია გაჭრილი. ორივე კარი გარედან მართკუთხაა, შიგნიდან – თაღოვანი. საკურთხეველში თანაბარი სიმაღლის სამი თაღოვანი სარკმელია. დანარჩენ აფისდებში კი – თითო.

გუმბათის ყელს მარტივი პროფილის სარტყელი შემოუყვება. გუმბათის ყელში ექვსი თაღოვანი სარკმელია გაჭრილი.

გეგმით მართკუთხა დარბაზული ეკლესია (ზომები აფსიდების გარეშე: 6,1x3,1 მ) განეკუთვნება ადრინდელ შუა საუკუნეებს. მდებარეობს შიდა ციხის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში. ნაშენია რიყისა და ნატეხი ქვით. შემორჩენილი კედლები შიგნით და გარედან ბათქაშითაა დაფარული. შესასვლელი სამხრეთის და ჩრდილოეთის მხრიდან აქვს. ორივე კარი ხის ძელებით იყო გადახურული (შემორჩენილია ძელების საყრდენი ბუდეები). კონქით გადახურული აფსიდა ნალისებრი ფორმისაა. დარბაზის სახურავის ცილინდრული კამარის ქუსლები გრძივ კედლებზეა შემორჩენილი. კედლების სისქე სხვადასხვაა (1,07-დან 2,05 მ-მდე). ეკლესიას სამხრეთიდან მცირე ზომის, გეგმით სამკუთხა მოხაზულობის სათავსი ეკვრის (შემორჩენილია 1,5 მ სიმაღლის კედლები).



სურ. 3.82.6. სასახლე

სასახლე დგას გალავნის ჩრდილოეთ კედელთან (სურ. 3.82.6). განეკუთვნება X-XI საუკუნეებს. ნაგებია რიყისა და ნატეხი ქვით. შედგება გეგმით მართკუთხა ორი ნაწილისგან. მათგან ერთი ორსართულიანია (16,5x9,2 მ), ხოლო მეორე, რომელიც ძირითად ნაწილზე ჩრდილოეთიდანაა მიდგმული – ერთსართულიანი. ეს უკანასკნელი ძირითად ნაწილზე ოდნავ გრძელია. ერთსართულიან ნაწილს დასავლეთიდან მთელ სიგანეზე გეგმით მართკუთხა სამსართულიანი კოშკი ეკვრის, რომელიც მთლიანად ფარავს სასახლის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეს. ამ კუთხეშია მოწყობილი კოშკის ერთადერთი შესასვლელი.

კვეტერას ციხეს გარს აკრავს რიყისა და ნატეხი ქვით ნაგები, მძლავრი გალავანი, რომლის კედლებში დატანებულია კონტრფორტები, მრგვალი და ოთხკუთხა კოშკები. მისი მოხაზულობა უსწორმასწოროა და წაგრძელებულია აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით (მიახლოებითი ზომებია: 308x85 მ).

ქვედა ციხეს მთის დასავლეთ-ჩრდილოეთის ფერდის ნაწილი უჭირავს. გალავნის კედლების უმეტესი ნაწილი დანგრეულია. შემორჩენილი კედლების საშუალო სიმაღლე 4,5 მ-ია, სისქე – 1,1 მ. ქვედა ციხის დასავლეთ ნაწილში, კარიბჭესთან ახლოს, დგას შერეული რიყისა და ნატეხი ქვით ნაგები რვაკუთხა კოშკი (სურ. 3.82.7) სიმაღლით 9 მ. კოშკი შიგნით მრგვალია და მთელ სიმაღლეზე აქვს ოსტატურად ნაგები ქვის ხვეული კიბე (სურ. 3.82.8), რომელიც განათებულია ხუთი პატარა სარკმლით. კოშკს თავი მონგრეული აქვს. კოშკის სამხრეთ-აღმოსავლეთით, გალავნის კედელთან ახლოს, შემორჩენილია პატარა დარბაზული ეკლესიის ნანგრევები.

1987-1991 წლებში კვეტერას ციხესიმაგრეს ჩაუტარდა სარესტავრაციო სამუშაოები.



სურ. 3.82.7. გალავნის რვაკუთხა კოშკის საერთო ხედი



სურ. 3.82. 8. გალავნის რვაკუთხა კოშკის შიდა ხედი

3.83. აწყურის ციხე (ინგლ. Atskuri Castle) – XI საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, ფეოდალური ხანის ციხესიმაგრე (სურ. 3.83.1). მდებარეობს სამცხეში, ახალციხის მუნიციპალიტეტში, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, სოფელ აწყურთან, ბორჯომიდან 30 კილომეტრში (სურ. 3.83.2).



სურ. 3.83.1. საერთო ხედი



სურ. 3.83.2. ადგილმდებარეობის რუკა

შუა საუკუნეების მანძილზე აწყურის ციხე დიდ როლს თამაშობდა საქართველოს ცხოვრებაში. ისტორიულ წყაროებში ქალაქი აწყური IX საუკუნიდან მოიხსენიება. ის გუარამ მამფალის საკუთრება იყო, მთელ მესხეთ-ჯავახეთთან ერთად. აქ მდებარეობდა სახელგანთქმული აწყურის საეპისკოპოსო კათედრა, რომლის დაარსებაც, სავარაუდოდ, VIII-IX საუკუნეში უნდა მომხდარი. გუარამის ძის ნასრის დაღუპვის შემდეგ ამ მხარეს და ციხე-ქალაქს ტაოელი ბაგრატიონები ეპატრონებიან, ხოლო საუკუნის შემდეგ საქართველოს მეფეების მფობელობაში გადადის. XIII-XVI საუკუნეებში აწყური სამცხის მთავრების ჯაყელების ხელშია, რომელთა შემდეგ, XVI საუკუნის ბოლოდან XIX საუკუნის 30-იან წლებამდე, სამცხე-საათაბაგოში თურქები ბატონობენ. მხოლოდ 1828 წელს დაუბრუნდა ეს ძირძველი მხარე, აწყურის ციხესთან ერთად, საქართველოს.

ისტორიის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, აწყური ბევრჯერ გამხდარა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ ქართველთა გმირული ბრძოლის ასპარეზი და მრავალი თავდასხმისათვის გაუძლია.

1259-1260 წლებში, მეფე დავით ულუ მონღოლებთან დამარცხების შემდეგ, როცა ის თავშესაფრად სამცხეს გადავიდა, ილხანთა საყაენოს (ჰულაგუიდური ირანი) ამირა არღუნი ამ მხარეს შეესია და აყწურის ციხე ააოხრა. XIII საუკუნის ბოლოს მომხდარმა მიწისძვრამ სხვა ციხეებთან ერთად აწყურიც დაანგრია, მაგრამ მალევე აღადგინეს, როგორც მესხეთის მთავარი სალოცავი. 1477 წელს მესხეთი (მათ შორის აწყურის ციხეც) ირანის შაჰმა უზუნჰასანმა დაარბია. იგივე გაიმეორა 1486 წელს ირანის შაჰმა იაყუბ ყაენმა, რომელმაც უამრავი ტყვე წაასხა ირანს და ნადავლის სახით მთელ საქართველოში განთქმული სასწაულთმოქმედი ღვთისმშობლის ხატიც (სურ. 3.83.3) წაიღო. სამცხის მთავარს მანუჩარ ათაბაგს ამ ხატის აწყურში დასაბრუნებლად დიდძალი ვერცხლი გადაუხდია. XVI საუკუნის 40-იან წლებში ციხე ოსმალეთის იმპერიამ დაიპყრო. 1546 წელს იმერეთის მეფე ბაგრატ III-მ სამხრეთისკენ გაილაშქრია; სამცხე ვერ დაიბრუნა, მაგრამ აწყურის ღვთისმშობლის ხატი გამოიტაცა და ციხისჯვარში დაასვენა, 1553 წელს კი იმერეთში გადააბრძანა. 1770 წელს აწყურის ციხეს რუს-ქართველთა გაერთიანებული ლაშქარი შემოეწყო, მაგრამ მისი აღება ვერ მოხერხდა (რუსმა გენერალმა ტოტლებენმა ბრძოლის დროს მოღალატურად მიატოვა ერეკლე II). 1829 წლის 2 სექტემბრის ადრიანოპოლის საზავო ხელშეკრულების დადების შემდეგ აწყური, ახალციხის საფაშოს ნაწილთან ერთად, კვლავ შემოუერთდა საქართველოს (რუსეთის იმპერიის ფარგლებში) და განთავისუფლდა ოსმალთა ბატონობისაგან.



სურ. 3.83.3. აწყურის ღვთისმშობლის ხატი



სურ. 3.83.4. აწყურის საკათედრო ტაძრის ნანგრევები

ციხე აღმართულია უზარმაზარ კლდეზე, საიდანც თავს დაჰყურებსა და აკონტროლებს მთელ მიდამოს. უდავოა, რომ მშენებლებმა მოხერხებულად გამოიყენეს მაღალი და ძნელად მისადგომი კლდოვანი რელიეფი და შექმნეს სამშენებლო თვალსაზრისით რთული და მტრისთვის ძნელად ასაღები ნაგებობა. ციხეში შესვლა კლდეში გამოკვეთილი ვიწრო გვირაბით შეიძლებოდა. კლდეებთან შერწყმული ციხის კედლები ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებენ მნახველზე, თითქოს ისინი ბუნებრივი, განუყოფელი ნაწილებია და ძნელი გასაგებიც კია, როგორ მოახერხეს ძველმა კირით-ხუროს ოსტატებმა ასეთი ამოცანის პრაქტიკული გადაწყვეტა.



სურ. 3.83.5. ტაძრის საკურთხევლის მორთულობები



სურ. 3.83.6. ტაძრის სვეტების მორთულობები

ციხედან ოდნავ მოცილებით მდებარე აწყურის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარი პრაქტიკულად დანგრეულია (სურ. 3.83.4). იგი თავის დროზე მთელ საქართველოში უდიდესი იყო ფართობის მხრივ (თვით სვეტიცხოველს ჭარბობდა. ამჟამად გუმბათი და კამარები ჩამოქცეულია, კედლების გარე პერანგი შემოძარცულია და სხვ. საბედნიეროდ გადარჩენილია კედლების გარე რელიეფების ნაწილი, საკურთხევლის კუთხეების მორთულობა (სურ. 3.83.5), კედლის შიდა სვეტები ბურთულებიანი თავსამკაულებით (სურ. 3.83.6) და სხვ. ამჟამად მიმდინარეობს აწყურის ციხისა და ტაძრის სარესტავრაციო სამუშაოები.

3.84. ბირთვისის ციხე (ინგლ. Birtvisi Castle) – XI საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების მნიშვნელოვანი ძეგლი, ციხის კომპლექსი (სურ. 3.84.1). მდებარეობს ქვემო ქართლის მხარეში, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, დაბა თეთრიწყაროს ჩრდილო-აღმოსავლეთით 13 კმ-ში სოფელ ტბისიდან 3,5 კმ-ში (სურ. 3.84.2). კომპლექსში შემავალი ნაგებობებია: ციხე, კოშკები, ეკლესია, წყალსაცავი, სამეურნეო და საცხოვრებელი ნაგებობები.

ბირთვისი აუღებელ ციხესიმაგრედ ითვლებოდა, მისი მფლობელები (ბარათაშვილები)



სურ. 3.84.1. პანორამული ხედი



სურ. 3.84.2. ადგილმდებარეობის რუკა

კი პოლიტიკურად ბატონობდნენ მთელ ალგეთის ხეობაზე. მიუვალ კლდეებს შორის შექმნილი ბუნებრივი სიმაგრე დაცულია ციხის კედლებით და დაახლოებით ერთ კვადრატულ კილომეტრს მოიცავს. ყველაზე მაღალ კლდეზე სათვალთვალო ცილინდრული კოშკი, ე.წ. „შეუპოვარი“ (სურ. 3.84.3) დგას, რომლის კედლები სათოფურებითაა აღჭურვილი. ციხეში შესასვლელი ისეთი ვიწროა, რომ ერთი ადამიანი ძლივს ეტევა, თანაც ჩაკეტილია კარიბჭით.

ბირთვისის ციხე არ არის მარტო ერთი ნაგებობა. ძნელად მისადგომი მაღალი მთების შუაში ხელოვნურად შექმნილია სივრცე, რომელიც დაცულია მთებს შორის ამოშენებული კედლებით. ციხეს, ნაგებობების გარდა, გააჩნდა პატარა ეზო და წყალსაცავი, რაც ციხის მცველებს საშუალებას აძლევდა დიდი ხნით გაეძლოთ ნებისმიერი ალყისათვის. არსებობის განმავლობაში ციხეს უამრავი გადამთიელი და დამპყრობელი ესხმოდა თავს, მაგრამ ციხის აღება მხოლოდ შუააზიელმა ემირმა თემურ ლენგმა და ირანის სეფიანთა დინასტიის მმართველმა შაჰ-თამაზმა შეძლეს (ისიც გამცემლის დახმარებით).



სურ. 3.84.3. კოშკი „შეუპოვარი“

3.85. ილორის ეკლესია (ინგლ. The Church of St. George of Ilori) – XI საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების მნიშვნელოვანი ძეგლი, ილორის წმ. გიორგის სახელობის ეკლესია. მდე-

ბარეობს აფხაზეთში, ოჩამჩირის რაიონში, სოფელ ილორში. ის შუა საუკუნეების საქართველოს უმნიშვნელოვანეს სალოცავს წარმოადგენდა. გამოირჩევა პროპორციათა მოხდენილობითა და შესრულების მაღალი ტექნიკური დონით. ეკლესია აფსიდით დასრულებული ერთნავიანი ნაგებობაა (სურ. 3.85.1), რომელსაც ჩრდილოეთიდან, სამხრეთიდან და დასავლეთიდან სხვადასხვა ხანის მინაშენები აქვს. აღმოსავლეთ ფასადზე შემონახულია ძველი ქართული წარწერებიანი 5 ქვა, რომლებიც ასევე XI საუკუნის I მეოთხედით თარიღდება. XVII საუკუნეში ილორის ეკლესია ოდიშის მთავარმა (1611-1657 წწ.) ლევან II დადიანმა შეაკეთა. 1736 წელს დაწვეს თურქებმა, თუმცა მალევე აღადგინეს ოდიშის მთავრებმა.

ილორის ტაძარს მინიჭებული აქვს საქართველოს ეროვნული მნიშვნელობის ძეგლის სტატუსი.



სურ. 3.85.1. საერთო ხედი

3.86. კაცხის მონასტერი (ინგლ. Katskhi Monastery) – ქართული ხუროთმოძღვრების ერთერთი გამორჩეული და ორიგინალური ძეგლი. მდებარეობს იმერეთის მხარეში, ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ კაცხში, მდინარე კაცხურას ხეობაში, გზის პირას. კომპლექსში შემავალი ნაგებობებია: მაცხოვრის შობის სახელობის ტაძარი, გალავანი, სამრეკლო.



სურ. 3.86.1. საერთო ხედი



სურ. 3.86.2. გარშემოსავლელი

აშენებულია 1010-1014 წლებში საქართველოს მეფის ბაგრატ IV კურაპალატისა და მისი მეუღლე ელენეს (საბერძნეთის იმპერატორის რომან არგირის ძმისშვილი) დროს (დასტურდება ტაძრის სამხრეთ-დასავლეთი შესასვლელის ტიმპანის წარწერით). კაცხის ტაძრის ორიგინალურობას განაპირობებს ის, რომ მსგავსი ფორმების არქიტექტურული ძეგლი სხვაგან არ გვხვდება (ყოველ შემთხვევაში ჩვენამდე მოღწეული არაა არც ძეგლი და არც ძეგლის აღწერილობა). ნაგებობა საფეხურებად განლაგებული სამი წახნაგოვანი მოცულობისგანაა შემდგარი (სურ. 3.86.1). ესენია: გარშემოსავლელი, საკუთრივ ტაძრის კორპუსი და გუმბათის

ყელი. ტაძარი ექვსაფსიდიანია. შენობის გარეთა ზომებია (გარსშემოსავლელის გარეშე): სიგრძე – 13,5 მ, სიგანე – 12 მ, სიმაღლე შიგნით – დაახლოებით 17,5 მ. წახნაგები დასრულებულია ფრონტონით, რაც ქმნის ტეხილს – ხერხისებრ ლავგარდანს. გუმბათის სახურავი კი ნახევრადგაშლილ ქოლგას ჰგავს. გუმბათის ქვეშ მოქცეულია ექვსი ნახევარწრიული აფსიდი, რომლებიც გარდა საკუთხევლის აფსიდისა, უბემოდ, სხივებივით უერთდებიან ცენტრალურ სივრცეს. საკურთხევლის აფსიდი მცირედ შვერილია და გარედან ხუთწახნაგოვანი მოხაზულობა აქვს. თორმეტსარკმლიანი გუმბათის ყელი აფსიდების კუთხეებს ებჯინება და ამრიგად, მას ექვსწახნაგოვანი საყრდენი აქვს. წახნაგებიდან გუმბათის ყელზე გადასვლა განხორციელებულია ბრტყელი ტრომპების ორი რიგის საშუალებით; ქვემო რიგის ექვსი უფრო დიდი ტრომპი უშუალოდ კონქის თაღს უკავშირდება. ეკლესიის ყველა შესასვლელის თავზე განლაგებულია ბარელიეფები (ლომის და წვეროსანი ანგელოზის გამოსახულებები). ტაძრის ყველა ბარელიეფი შემკულია ასომთავრული წარწერებით, რომელთა უმრავლესობა დაქარაგმებულია.

გარშემოსავლელი (სურ. 3.86.2) ტაძრის მშენებლობის დამთავრებიდან 30 წლის შემდეგაა აგებული და მას სამი მხრიდან აკრავს. თავდაპირველად, მის სამხრეთ-აღმოსავლეთ (მარჯვენა) ნაწილს გარედან ღია თაღები ჰქონდა. მისი მარცხენა ნაწილი, რომელსაც მარტო ეკლესიის შიგნიდან აქვს შესასვლელი, მლოცველთა ფართო მასებისთვის არ ყოფილა განკუთვნილი. გარშემოსავლელის მორთულობა ყველაზე უკეთაა შემორჩენილი. რელიეფიდან გადარჩა მისი მდიდარი საპირეები (სურ. 3.86.3) და კარნიზი. აღმოსავლეთ სადგომში შემორჩენილია ქართული პლასტიკური ხელოვნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნიმუში – რელიეფური ქანდაკება, ოთხი ანგელოზის მიერ ჯვრის ამაღლების სიმბოლური სცენა, რომელიც ჩასმულია მოჩუქურთმებულ მრგვალ ჩარჩოში (სურ. 3.86.4).



სურ. 3.86.3. გარშემოსავლელის ფრაგმენტი



სურ. 3.86.4. ჯვრის ამაღლების რელიეფი



სურ. 3.86.5. სამრეკლო

ტაძარს გარს უვლის ხუთკუთხა გალავანი (აღადგინეს 1937 წ.), რომლის აღმოსავლეთ კუთხეშია ჩაშენებული, სავარაუდოდ, XVI-XVII საუკუნეების ორსართულიანი სამრეკლო (სურ. 3.86.5). მისი პირველი სართული გალავნის შიგნით შესასვლელის (კარიბჭის) ფუნქციასაც ითავსებს.

კაცხშია დაკრძალული საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი და გამორჩეული ფეოდალი ლიპარიტ IV ბაღვაში (ბერობაში ანტონი).

3.87. მრავალძალი – XI საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, წმინდა გიორგის სახელობის დარბაზული ეკლესია (სურ. 3.87.1). მდებარეობს რაჭაში, ნახევრადალპურ ზონაში, ზღვის დონიდან 2000 მ სიმაღლეზე, ონის მუნიციპალიტეტში, სოფელ მრავალძალში, კვინჭიხის მთის ფერდობზე (სურ. 3.87.2).



სურ. 3.87.1. საერთო ხედი



სურ. 3.87.2. ადგილმდებარეობის რუკა

გადმოცემის თანახმად, მრავალძალის ეკლესიის აგება დაკავშირებულია საქართველოს პირველი მეფის ბაგრატ III-ის (დ. 960 - გ. 1014 წ.) მიერ რაჭის საერისთაოს დააარსებასთან. ამ პერიოდში რაჭაში ბევრი ეკლესია-მონასტერი, ციხესიმაგრე და სასახლე აიგო, მათ შორის: ნიკორწმინდა, პატარა ონი, ზემო კრიხი, ხიმში და სხვ. თავდაპირველად მრავალძალი საშუალო ზომის ერთნავიანი დარბაზული ტიპის ეკლესია ყოფილა (10,75x6,75 მ), რომელიც სახელგანთქმული იყო სილამაზით, მოჩუქურთმებული ქვის კანკელით, ძვირფასი ჯვარ-ხატებით, წიგნებითა და ეკლესიისათვის შეწირული საერო თუ ისტორიული ნივთებით. აღსანიშნავია, რომ აქ ინახებოდა ხვარაზმის სულთანის ჯალალ-ედ-დინის მუზარადი (რუსუდან დედოფლის ნადავლი), ირანის მმართველის შაჰ-აბასის ხმალი და ქარახსები (ყანწები), რომელიც თვით შაჰ-აბასს შეუწირავს მონასტრისათვის (ვახუშტი ბატონიშვილი).

1894 წელს დეკანოზ მიხეილ სხირტლაძის ხელმძღვანელობით დარბაზული ეკლესია გუმბათოვან ტაძრად გადააკეთეს, რაზეც მიუთითებს ტაძარზე დასავლეთის მხრიდან მიშენებული სამრეკლოს სარკმელზე ამოკვეთილი თარიღი. 1991 წლის 29 აპრილის მიწისძვრამ მნიშვნელოვნად დააზიანა ეკლესიის ძველი და ახალი ნაწილები. ეკლესიის აღდგენა-რესტავრაცია დასრულდა 2009 წელს და ეკლესიამ თავდაპირველი სახე დაიბრუნა.



სურ. 3.87.3. რელიეფი „წმინდა მეომრები“



სურ. 3.87.4. რელიეფი „ჯვარცმა“

ახალი ეკლესია დიდი ზომის (18,75x13,10 მ), წაგრძელებული ჯვარ-გუმბათოვანი ნაგებობაა, რომელსაც ტაძრის პროპორციებთან შედარებით უჩვეულოდ დიდი ათწახნაგა გუმბათი ადგას, რომელიც უხვადაა შემკული რელიეფებით. აღმოსავლეთის ფასადის რელიეფური დეკორი, საკურთხევლის სარკმლის გარშემოა თავმოყრილი.

თავად სარკმლის ღიობს უშუალოდ ეკვრის წნულის სახის ორნამენტი, რომელიც ზემოდან შემკულია ჯვრიანი თავსართით. სარკმლის ღიობის ორივე მხარეს წმინდა მეომართა (წმ. გიორგი და წმ. თევდორე), ფრონტალურად მდგომი რელიეფური გამოსახულებებია ზეაღმართული ჯვრით დაგვირგვინებული შუბებით, ოვალური მოყვანილობის მოგრძო სახეებითა და სწორი, მხრებამდე ჩამოშლილი თმებით (სურ. 3.87.3). რელიეფური გამოსახულების ზედა თაღოვან არეზე ამოკვეთილია ეკლესიის მაშენებელთა სავედრებელი ასომთავრული წარწერა. სარკმლის მორთულობის ზედა თაღოვან ჩარჩოს უშუალოდ ებჯინება მცირე ზომის მართკუთხა ფორმის ფილაზე ამოკვეთილი და რთულ, მრავალსახიან ჩარჩოებში მოქცეული „ჯვარცმის“ კომპოზიცია – მაცხოვრის დიდი ზომის ფიგურა, რომლის ორივე მხარეს, ჯვრის განივი მკლავების ქვემოთ, ღმრთისმშობელისა და იოანე ღმრთისმეტყველის ფიგურებია თავზე მფრინავი ანგელოზებით (სურ. 3.87.4). ამავე ფილაზე, ჯვარცმის კომპოზიციის ქვემოთ რელიეფური ვიწრო ზოლით ცალკე გამოყოფილ არეზე, გამოკვეთილია ადამის დიდი ზომის თავი, რომელიც აქვე გამოსახულ ჯვარცმული მაცხოვრის სახეს იმეორებს. როგორც პირველი, ასევე მეორე რელიეფური კომპოზიციები სრულიად თავისებური ორიგინალური დახვეწილი დეკორატიულობით გამოირჩევა, რაც დამახასიათებელია რაჭის ქვის არქიტექტურისათვის. ფასადზე არის XI საუკუნის ლაპიდარული კიდურწაისრული წარწერაც (სურ. 3.87.5). ეკლესიის ექსტერიერის კედლები ნაწილობრივ დატვირთულია მორთულობებითა და რელიეფებით (სურ. 3.87.6; სურ. 3.87.7)



სურ. 3.87.5. კიდურწაისრული წარწერა

ნაგებობა შესანიშნავად ერწყმის გარემოს. ეკლესიის სამრეკლოდან მზიან ამინდში რაჭა-ლეჩხუმის მომხიბლავი ხედი ჩანს; ჩრდილოეთით – კავკასიონის შესანიშნავი პანორამა იშლება; დასავლეთით – მზის სხივებით წითლად შეფერილი რიონის ფართო ხეობა და ფერდობებზე შეფენილი სოფლები. სამხრეთით ჭოლევის კლდეები მოჩანს. იქმნება შთაბეჭდილება თითქოს ტაძარი უხილავი სხივებითაა დაკავშირებული გარემოს და ირგვლივ ყველაფერი მის გამგებლობაშია.

მრავალძალის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიას მინიჭებული აქვს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი.



სურ. 3.87.6. ღვთისმშობლის ბარელიეფი



სურ. 3.87.7. წმინდა გიორგის ბარელიეფი

3.88. მანგლისის სიონი (ინგლ. Manglisi Sioni Cathedral) – ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი უძველესი ძეგლი, მანგლისის ღვთისმშობლის სახელობის ქართული მართლმადიდებლური საკათედრო ტაძარი (სურ. 3.88.1). მდებარეობს თეთრი წყაროს მუნიციპალიტეტის დაბა მანგლისთან.

მანგლისი ერთ-ერთი პირველი ქრისტიანული ცენტრი იყო საქართველოში. რომის იმპერატორ კონსტანტინეს მიერ ქართლში წარმოგზავნილ ეპისკოპოს იოანეს აქ ეკლესია აუგია IV საუკუნეში და მისთვის ბიზანტიიდან საგანგებოდ ჩამოტანილი წმინდა ჯვრის ნაწილი შეუწირავს - „დაუტევნა ფიცარნი იგინი უფლისანი“. ამ ეკლესიას ჩვენამდე არ მოუღწევია. ისტორიკოს ჯუანშერის ცნობით, ვახტანგ გორგასალმა მანგლისის საეპისკოპოსოს დაარსების შემდეგ აქ ახალი, გეგმით ტეტრაკონქის ტიპის ტაძარი ააგო V საუკუნის II ნახევარში. XI საუკუნის I მეოთხედში, გიორგი I-ის მეფობის დროს (1014-1027 წწ.), იგი საფუძვლიანად გადააკეთეს და გააფართოვეს, აღმოსავლეთ აფსიდს ღრმა ბემა გაუკეთეს და საკურთხევლის სივრცე საგრძნობლად გაზარდეს. გალავანს შიგნით ტაძარს სამი მხრიდან სწორი მოედანი ეკვრის, ჩრდილოეთიდან კი – ფერდობი, რომელიც ჩრდილოეთ ფასადიდან ორიოდე მეტრის დაშორებით წყდება. მანგლისის ტაძარი დიდი გუმბათიანი ნაგებობაა, რომელიც დღევანდელი სახით არ წარმოადგენს ერთი რომელიმე ეპოქის მხატვრული შემოქმედების ნაყოფს. ამის გამო ის ძლიერ გართულებულია, როგორც გარედან, ისე შიგნით. ტაძარი გარედან მრავალწახნაგა ფორმისაა, აღმოსავლეთით საგრძნობლად წაგრძელებული ბემისა და საკურთხევლის შვერილი აფსიდის წყალობით. შესასვლელი ორი აქვს – სამხრეთითა და დასავლეთით, რომელთა წინ კარიბჭეებია.




სურ. 3.88.1. საერთო ხედი

ტაძრის ინტერიერის ცენტრალური ნაწილი საკმაოდ კარგად არის განათებული გუმბათის ყელში მოთავსებული ექვსი დიდი სარკმლით, საიდანაც უხვად იღვრება შუქი. ამავე დროს, ტაძრის ყველა მოცულობას თავისი დამოუკიდებელი განათების წყარო აქვს (გარდა დასავლეთი აფსიდის ორივე მხარეს, კედლის სისქეში გამოყვანილი პატარა სათავსებისა. შესასვლელები მათ დასავლეთი აფსიდიდან აქვთ გაჭრილი. გამოთქმულია ვარაუდი, რომ, თავდაპირველ ნაგებობაში ისინი გარეთ იყვნენ გახსნილნი და კედლის ნიშებს წარმოადგენდნენ).


გარედან ტაძრის ცენტრალური ნაწილის რვაწახნაგა კორპუსი, რომლის თითოეული მოცულობა დამოუკიდებელი ორკალთიანი სახურავითაა გადახურული და ფრონტონებს ქმნის, თაღედით გაფორმებული თორმეტწახნაგა გუმბათის ყელით სრულდება. შიგნით გუმბათქვეშა კვადრატიდან გუმბათის ყელზე გადასვლა აფრების საშუალებით ხორციელდება (თავდაპირველად აქ ტრომპები ყოფილა გამოყენებული.) (სურ. 3.88.2). უნდა აღინიშნოს, რომ მანგლისში გუმბათი ტაძრის მთლიანი მასის ცენტრიდან დასავლეთით არის გადანაცვლებული, რაც ქართულ ძეგლებზე გუმბათის მოთავსების საუკუნეთა განმავლობაში შემუშავებულ და განმტკიცებულ ტრადიციას რადიკალურად ეწინააღმდეგება (ქართულ ტაძრებში გუმბათი თუ ცენტრში არ არის მოთავსებული, მაშინ, პირიქით აღმოსავლეთითაა გაწეული). გუმბათის ყელი მძლავრი, ფართო მოჩუქურთმებული კარნიზით და კრამიტის კონუსისებრი სახურავით მთავრდება. კონუსის წვერში ჩამაგრებულ მძლავრ ქვის ბაზისზე აღმართულია დიდი რკინის ჯვარი (ეს ჯვარი XIX საუკუნეში რემონტის დროს გაუკეთეს).

აღსანიშნავია გუმბათზე და სამხრეთ კარიბჭის აღმოსავლეთ ნაწილში შემორჩენილი ამოზნექილზურგიანი ნაპირა კრამიტები, რომელთა შუბლზე ზუსტად გამოყვანილი ლამაზი ტოლმკლავებიანი რელიეფური ჯვრებია გამოსახული. კარიბჭეები გამოირჩევა მდიდრული ორნამენტული შემკულობით. მანგლისის ტაძარზე ჩუქურთმა დიდი თავდაჭერით არის მოხმარებული, ის გამოყენებულია მხოლოდ ამა თუ იმ არქიტექტურული ნაწილის ხაზგასასმელად, და ისიც არა ყველგან. ნაგებობას მოწყვეტილი, მოჩუქურთმებული ქვა ტაძარზე არ არის. ყველა არქიტექტურულ დეტალს თავისი შესაფერისი ზომის ჩუქურთმა აქვს შერჩეული, სიმშვიდე და წონასწორობა ყველგანაა დაცული. მანგლისის ტაძარზე გამოყენებულია რუხი ბაზალტის ქვა. გუმბათზე მოთავსებული ორნამენტები გამოირჩევა ღრმა რელიეფითა და შესრულების მაღალი ოსტატობით.

აღმოსავლეთ ფასადზე მხატვრულ სახეს ქმნის კედელში ღრმად შეჭრილი, წყობის შემამსუბუქებელი ორი ნიში, რომელთა შუაშიც საკურთხევლის საკმაოდ დიდი და მოჩუქურთმებული სარკმელია მოთავსებული. თაღოვანი კარიბჭე დასავლეთ ფასადის მთავარი აქცენტია. მის ორივე მხარეს ამოყვანილია სამმაგ დეკორატიულ ნახევარსვეტზე დაფუძნებული თაღები და შემკულია რამდენიმე სახის ჩუქურთმით (სურ. 3.88.3; სურ. 3.88.4). სამხრეთის მხრიდან კარგად ჩანს ყველა მინაშენი და მათ შორის განსხვავებული სიმაღლის დონეები. აქაც აქცენტი გადადის თაღოვან კარიბჭესა და მის დეკორატიულ დეტალებზე, რომელიც დასავლეთის მსგავსია, მაგრამ უფრო მასშტაბური და პომპეზური. სამხრეთ ფასადიდან აღსანიშნავია ორთავიანი არწივის ჰერალდიკური გამოსახულება შესასვლელის მაღლა მდებარე ჯვრის თავზე, რომელსაც ერთ კლანჭში ჯვარი უჭირავს, ხოლო მეორეში - სკიპტრა (სურ. 3.88.5). ჩრდილოეთი კედელი არ არის დატვირთული მხატვრული დეტალებით, მისი მუდმივად ჩრდილში ყოფნის გამო.



სურ. 3.88.2.გუმბათის ყელის თაღების საყრდენი კაპიტელი



სურ. 3.88.3. ჩუქურთმა



სურ. 3.88.4. ჩუქურთმა

XI საუკუნეში შესრულებული ფრესკული მხატვრობა (ზოგ ადგილას მხატვრობის ორი ფენა შეიმჩნევა) შუა საუკუნეების ქართული ფრესკული მხატვრობის გამორჩეული ძეგლია. ძველი მხატვრობის ნაშთი მხოლოდ გუმბათის სფეროშია შემორჩენილი ქრისტიანული მხატვრობისთვის ტრადიციული ვედრების კომპოზიციის სახით, ხოლო გუმბათის ყელის კომპოზიცია აგებულია ყელის არქიტექტურის გათვალისწინებით – ქრისტეს, ღვთისმშობლის, იოანე ნათლისმცემელისა და წმინდანების გამოსახულებები მთლიანად ავსებენ ფანჯრებს შორის მოთავსებულ სიბრტყეებს.

ტაძრის კედლებზე ძველი ლაპიდარული წარწერებიცაა, რომელთაგან გამოსარჩევია ტაძრის სამხრეთ-დასავლეთი ფასადის სარკმლის თავზე ამოკვეთილი აბოლირას წარწერა (სურ.

3.88.6), გალავნის აღმოსავლეთ კედელში არსებული მხედრული წარწერა შესასვლელის თავზე (სურ. 3.88.7) და სხვ.



სურ. 3.88.5. სამხრეთი ფასადის ფრაგმენტი



სურ. 3.88.6. სამხრეთ-დასავლეთი ფასადის მხედრული წარწერა

ტაძარს სამი მეტრი სიმაღლის არაწესიერი მოყვანილობის გალავანი უვლის გარს. ჩრდილოეთის კედელი უფრო მოკლეა, ვიდრე სამხრეთის, ანალოგიურად – აღმოსავლეთისა და დასავლეთის. დღეს არსებული გალავანი აგებულია 1667 წელს. გალავანს ჩრდილო-აღმოსავლეთ, სამხრეთ-აღმოსავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ კუთხეებში მრგვალი კოშკები აქვს დატანებული. ეტყობა მეოთხე კოშკი ისე ძლიერ იყო დანგრეული, რომ 1861 წელს, როდესაც გალავნის კედლებისა და კოშკების შეკეთება ჩაატარეს მისი აღდგენა აღარ სცადეს და სრულიად მოშალეს. საინტერესოა გალავნის კედლებში ჩატანებული სათოფურების კონსტრუქცია: ორ-ორი ვიწრო სათოფურის ხვრელი ისეა კედელში გაჭრილი, რომ გარეთ გასვლისას ერთდებიან. ასე ისინი მეტ ფართობს უწევენ კონტროლს. გალავანში ჩაშენებული სამრეკლო (სურ. 3.88.8) XIX საუკუნის 50-იან წლებში ტაძრის რემონტის დროს აუგიათ. იგი ორსართულიანია. თლილი ქვით მოპირკეთებულ მასიურ პირველ სართულში ეზოში შესასვლელი კარიბჭეა გაჭრილი, მის თავზე კი ექვსკუთხა, აგურით ნაგები, ექვს სვეტზე დაყრდნობილი, კონუსურ სახურავიანი ფანჩატურია (სამრეკლო) მოწყობილი.



სურ. 3.88.7. აღმოსავლეთი ფასადის წარწერა



სურ. 3.88.8. სამრეკლო

ქრისტიანული ტრადიცია მანგლისის სიონს რამდენიმე მნიშვნელოვან სიწმინდეს უკავშირებს, მათ შორის უფლის სამსჭვალსა და წმინდა ჯვრის ნაწილებს. აქვეა დაბრძანებული წმინდა იოანე მანგლელის (სააკაძე) თანმხლები სასწაულთმოქმედი ხატი – მანგლისის ღვთისმშობელი. გადმოცემის თანახმად, სამხრეთ შესასვლელის პირდაპირ მდებარე ქვის ჯვრის ქვეშ ოსმალ დამპყრობთა წინააღმდეგ მებრძოლი ქართველი გმირის თევდორე კველთელის (თევდორე მღვდელი) ნაწილები განისვენებს.

3.89. პატარა ონის ეკლესია – XI საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, პატარა ონის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია (სურ. 3.89.1). მდებარეობს ქვემო რაჭაში, ამბროლაურის მუნიციპალიტეტში, სოფელ პატარა ონში. ბაზილიკური ტიპის ერთნავიანი შენობა (8,2x7,4 მ) ნაგებია ქვითკირით. აქვს ორი კარი – სამხრეთით და დასავლეთით, რომელთა თავზე თითო ვიწრო სარკმელია განთავსებული. დასავლეთის კარის თავზე ჩაშენებულია ამავე სოფლის რაკეთის ეკლესიის დასავლეთი კარიბჭიდან გადმოტანილი ქვა ძველი ქართული ჩუქურთმითა და ასომთავრული წარწერით (სურ. 3.89.2), რომელშიც ნახსენებია კახა ერისთავი და დედოფალი დალიდა (ისტორიკოს გ. ბოჭორიძის აზრით, შესაძლებელია კახა ერისთავი რაჭის ერისთავთა – კახაბერთა წინაპარი იყოს). ბაზილიკა დამშვენებული ყოფილა ორნამენტებით, რომელთა ნაწილია შემორჩენილი (სურ. 3.89.3). XX საუკუნის ბოლოს პატარა ონის წმინდა გიორგის ეკლესია სოფლის ძალისხმევითა და თანადგომით აღდგენილი იქნა დღევანდელი სახით და კეთილად ემსახურება ამ სოფლის მართლმადიდებელ მრევლს.



სურ. 3.89.1. საერთო ხედი



სურ. 3.89.2. ქვა ძველი ქართული ჩუქურთმითა და ასომთავრული წარწერით



სურ. 3.89.3. ჩუქურთმა

3.90. პატარა ონის რაკეთის ეკლესია – პატარა ონის რაკეთის წმინდა ნიკოლოზის ეკლესია, XI საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი. მდებარეობს ქვემო რაჭაში, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფ. პატარა ონში (სურ. 3.90.1). გარედან მართკუთხედში მოქცეული




სურ. 3.90.1. საერთო ხედი. დასავლეთი ფასადი



სურ. 3.90.2. ჩუქურთმა. დასავლეთის კარის ტიმპანი და სათაური

პატარა ზომის (7,5×7,0 მ.) დარბაზული ტიპის ნაგებობას შიგნით ნახევარწრიული ფორმის აფსიდი აქვს, რომლის ორივე მხარეს მაღალი ნიშებია გაკეთებული. დარბაზი ცილინდრული კამარითაა გადახურული, რომელიც ორ ნაწილად იყოფა პილასტრებზე დაბრჯენილი თაღით. ეკლესიას შესასვლელები სამივე მხრიდან ჰქონდა (დღეს ჩრდილოეთის კარი გაუქმე-

ბულია). წმ. ნიკოლოზის ტაძარი, თავის დროზე, მდიდრულად იყო მორთული ქვაზე ნაკვეთი ჩუქურთმებით და რელიეფებით, მათგან დღეს მცირე ნაშთებია გადარჩენილი. ნაგებობა გარედან შირიმის ქვითაა მოპირკეთებული. განსხვავებულ მასალაშია შესრულებული სამხრეთი და დასავლეთი კარის ტიმპანები, სარკმლის საპირეები, მათი სათაურები, კარნიზი და აღმოსავლეთი ფასადის ჯვრის კომპოზიცია. აქ მოთეთრო ფერის კირქვაა გამოყენებული). (სურ. 3.90.2 - სურ. 3.90.4). ეკლესიას დასავლეთით ჰქონია კარიბჭე (დღესდღეობით აღარ არსებობს), რომლის ტიმპანის წარწერიანი დიდი ქვა გადაუტანიათ ამავე სოფლის წმინდა გიორგის ეკლესიის დასავლეთი კარის თავზე (იხ. პატარა ონის ეკლესია, სურ. 3.89.2). ნაწილობრივ აღდგენილია ბრწყინვალე ოსტატობით შესრულებული კანკელი, რომლის ნაწილებიც ეკლესიაშივეა დაცული. ჩუქურთმებიანი ქვიტკირის კანკელის მარტო ნაშთია შემორჩენილი (1919 წელს, როდესაც ექვთიმე თაყაიშვილი მოგზაურობდა რაჭაში, ეს კანკელი მთელი ყოფილა). ამჟამად ეკლესია რესტავრირებულია (1975 წ.). გადახურულია თუნუქის სახურავით. კედლებიც შეკეთებულია და გარეგნულად მისი ასაკიდან გამომდინარე არც თუ ურიგო შთაბეჭდილებას ტოვებს. ეკლესიის ეზოში დგას ორსართულიანი სამრეკლო, რომლის პირველი სართული გეგმაში კვადრატის ფორმისაა, ხოლო მეორე სართული რვაწახნაგოვანი კონუსური გუმბათია (სურ. 3.90.5).



სურ. 3.90.3. ჩუქურთმა. სარკმლის საპირე თავსართით



სურ. 3.90.4. ჯვრის რელიეფი წარწერით აღმოსავლეთ ფასადზე



სურ. 3.90.5. სამრეკლო

3.91. ფოკას მონასტერი (ინგლ. Foka Monastery) – ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, ფოკას წმინდა ნინოს მონასტერი (სურ. 3.91.1). მდებარეობს სამხრეთ საქართველოში, ისტორიულ ჯავახეთში, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, ფარავნის ტბის სამხრეთ ნაპირას, სოფელ ფოკაში. მონასტრის დაარსება საქართველოში ქრისტიანობის გამავრცელებელ წმიდა ნინო კაბადოკიელის სახელთანაა დაკავშირებული. წმიდა ნინო საქართველოში სომხეთიდან შემოვიდა და ფარავნის ტბასთან შეჩერდა. ამ ადგილას XI საუკუნეში მისი სახელობის ტაძარი ააგეს (სურ. 3.91.2).

მიუხედავად მცირე ზომისა (გარედან 8,00×15,00 მ.), ფოკა ჯავახეთის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, მხატვრული ღირსებებითაც გამორჩეული ძეგლია. ეკლესია დარბაზული ტიპისაა მინაშენების გარეშე. შესასვლელი მხოლოდ სამხრეთიდან აქვს. ნაგებია ადგილობრივი მოვარდისფრო ანდეზიტური ტუფის კვადრებით, რაც მხატვრული ზემოქმედების ძლიერ ფაქტორს განაპირობებს როგორც გარეთ, ისე ტაძრის შიგნითაც. სუფთად გათლილი და დაწყობილი ქვის კვადრები ძალიან დიდია (ქვედა რიგებში ზოგიერთის სიგრძე 2,50 მ-მდეა). უზარმაზარი მართკუთხა ლოდია გადებული სამხრეთი კარის თავზეც (3,87×1,27 მ). თავისი სიდიდით და ფორმით ის თრიალეთურ ტრადიციას უკავშირდება. ეს უზარმაზარი არქიტრა-

ვი ქმნის მთავარ დეკორაციულ აქცენტსაც. ძეგლის თავისებურებას სარკმლები შეადგენს. უჩვეულოა სამხრეთი კედლის ორი სარკმლის კონსტრუქცია: შიგნით ღიობის მალი 1 მეტრზე მეტია მაშინ, როდესაც გარეთა ხვრელის სიგანე მხოლოდ 15 სანტიმეტრია. ისინი სამკუთხა ნიშების შთაბეჭდილებას ქმნიან, რაც ტაძრის ინტერიერს მეტ პლასტიკურობას ანიჭებს. საკურთხევლის აფსიდში სარკმლის ორივე მხარეს თითო მაღალი, გეგმით ნახევარწრიული თაღოვანი ნიშაა.



სურ. 3.91.1. პანორამული ხედი

დეკორატიული მორთულობა ეკლესიას მხოლოდ სამხრეთ ფასადზე, კარის არქიტრავზე აქვს. ის ჩუქურთმის სახეებით და წარწერებითაა შევსებული. შვეულ პარალელურ ზოლებად დაყოფილ კომპოზიციაში განაპირა ზოლები ჩუქურთმებს აქვთ დათმობილი, ორ მომდევნოში წარწერებია. კომპოზიციის შუა ღერძზე ორანმენტული ჯვარია გამოსახული მაღალი ქვემო მკლავით. დახელოვნებული ოსტატის ხელი ჩანს სარკმლების საპირეების ჩუქურთმებშიც. აღსანიშნავია დასავლეთის და ჩრდილოეთის ყრუ ფასადები, რომლებიც ფოკას ეკლესიის კიდევ ერთ თავისებურებას წარმოადგენს.

ეკლესია დარბაზული ტიპისაა, ნაგებია ადგილობრივი მოვარდისფრო ანდეზიტური ტუფის კვადრებით. საკურთხევლის აფსიდში ორი მაღალი ნახევარწრიული ნიშია. დეკორატიული მორთულობა მხოლოდ სამხრეთ ფასადზეა შემონახული. შესასვლელი სამხრეთიდან აქვს. კარ-სარკმლები შემკულია ჩუქურთმებით. ინტერიერში შემონახულია ძველი მხატვრობის ფრაგმენტები.



სურ. 3.91.2. საერთო ხედი



სურ. 3.91.3. წმინდა ნინოს ობელისკი

ფოკას ეკლესია მნიშვნელოვანია მასზე დატანილი წარწერებიდან გამომდინარე, რადგან ისინი საშუალებას გვაძლევს დავათარიღოთ ტაძრის აგება და შემდგომი შეკეთების პერიოდები. რელიეფური ასოებით შესრულებული წარწერებიდან ირკვევა, რომ ტაძარი ხუროთმოძღვარ ბავრელს აუგია 1033-1048 წლებში, ბაგრატ IV კურაპალატის და ქართლის კათოლიკოს იოანე ოქროპირის დროს. ტექნიკური შესრულების და ჩუქურთმათა ღირსების მიხე-

დვით ფოკას ეკლესია ჯავახეთის ერთ-ერთი საუკეთესო ძეგლთაგანია. დროთა განმავლობაში დაზიანებული ტაძარი ამჟამად მთლიანად აღდგენილია.

ტაძრის აღმოსავლეთი ფასადის წინ, იმ ადგილას სადაც წმიდა ნინომ პირველად დადგა ფეხი ქართულ მიწაზე, განთავსებულია გათლილი ქვის მემორიალური მცირე ობელისკი (სურ. 3.91.3) შესაბამისი წარწერით. წმიდა ნინოს საქართველოში შემოსვლის ადგილას 1989 წელს დაარსდა მამათა მონასტერი, ხოლო 1992 წელს ახლოსვე გაიხსნა დედათა მონასტერიც.

3.92. შავშეთის ციხე (სათლეს ციხე, სუეტის ციხე) – XI საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, თავდაცვითი ნაგებობების კომპლექსი (სურ. 3.92.1; სურ. 3.92.2). მდებარეობს ახლანდელი თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე, ართვინის პროვინციაში, ისტორიულ მხარე შავშეთში, სოფელ სათლეს მახლობლად კლდოვან ბორცვზე. კომპლექსში შემავალი ნაგებობებია: გალავანი, ეკლესია, დასავლეთის კოშკი, მართკუთხა კოშკი, დამატებითი ზღუდე, სხვადასხვა ნაგებობები.



სურ. 3.92.1. საერთო ხედი



სურ. 3.92.2. ადგილმდებარეობის რუკა

ციხე 1028 წელს აუგია ეპისკოპოს საბა მტბევარს. ციხის მშენებლობა დაკავშირებულია საქართველო-ბიზანტიის გართულებულ ურთიერთობებთან X-XI საუკუნეებში. მძიმე პოლიტიკური ვითარება მოითხოვდა საქართველოს განაპირა ციხეებისა თუ სხვა სასიმაგრო მნიშვნელობის ნაგებობათა აგებას. შეიძლება ითქვას, რომ შავშეთის ციხემ და საბა მტბევარმა, თავისი საეპისკოპოსოს მცხოვრებლებისაგან შექმნილი ჯარით, გადაარჩინა ტაო-კლარჯეთი ბერძენთა მძლავრობისაგან. ციხეს საკმაოდ კარგი სტრატეგიული მდებარეობა ეკავა და აკონტროლებდა აჭარისწყლის ხეობის სხვადასხვა პუნქტებზე გამავალ და კლარჯეთთან დამაკავშირებელ უძველეს გზებს. სწორედ ამ გზებზეა განლაგებული IX-X სს. აშენებული კლარჯეთის ქვის თაღიანი ხიდების დიდი ნაწილიც (მდ. იმერხევი და ჭოროხი).

ციხის ფართობი დაახლოებით 3400 კვ. მ.-ს შეადგენს. გრანიტისა და ბაზალტის კვადრებით ნაგები ციხის გაბატონებულ ელემენტს წარმოადგენს დასავლეთის კოშკი, რომელიც 19 მ სიმაღლისაა და 6 სართულს მოიცავს. კედლების სისქე იცვლება 2-დან 5 მ-მდე. კოშკის შიგა ნაწილი ნახევარწრიული მოყვანილობისაა, ხოლო გარე მხარე დაკუთხულია. ციხე სამხრეთ-დასავლეთით დამატებით ზღუდესაც შეიცავდა. ციხეში მოხვედრა მხოლოდ ამ დამატებითი ზღუდის გადალახვის შემდგომ შეიძლებოდა. ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, ოდნავ წინ გაზიდული კედელი ნახევარწრიულია და მას სამხრეთიდან ედგმის დახლოებით ასეთივე 18-19 მ სიმაღლის მართკუთხა კოშკი. იგი ციხის კედლის სიმაღლეს 5 მეტრითაა აცილებული. სავარაუდოდ, ისიც 6-სართულიანი უნდა ყოფილიყო. მისი დანიშნულება, ძირითადად, ციხის შიდა ტერიტორიის გაკონტროლება იყო. ციხის შიდა სამხრეთი კედელი საკმაოდ მძლავრ კონტრფორტებსაც შეიცავდა. ციხის ტერიტორიაზე უხვადაა უძვე-

ლესი სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობათა ნაშთები (მათ შორის მცირე ეკლესიის). ამჟამად ციხეზე სარესტავრაციო სამუშაოები მიმდინარებს.

XII საუკუნე

3.93. გელათის მონასტერი (ინგლ. Gelati Monastery) – შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ბრწყინვალე ძეგლი, სამონასტრო კომპლექსი (სურ. 3.93.1; სურ. 3.93.2). მდებარეობს იმერეთის მხარეში, ქ. ქუთაისის ჩრდილო-აღმოსავლეთით 11 კმ-ზე, მდინარე წყალწითელას ხეობაში. კომპლექსში შემავალი ნაგებობებია: ღვთისმშობლის მიძინების სახელობის მთავარი ტაძარი, წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია, წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესია, სამრეკლო, აკადემია, გალავანი.



სურ. 3.93.1. საერთო ხედი



სურ. 3.93.2. პანორამული ხედი

სიტყვა „გელათი“ დაკავშირებულია ბერძნულ სიტყვასთან „ღენიპი“ – ანუ „გენა“. რაც ნიშნავს შობას. აქედან გადმოვიდა ქართულში სახეცვლილებით – „გაენატოს“. გაენათი წამოსულია „გენა“-დან და პირდაპირ უკავშირდება ღვთისმშობლის შობას. ცნობილია, რომ ქუთათური მღვდელმთავარი ატარებს გაენათელის ტიტულს (დეკანოზი იოსებ გოგოლაძე).


მონასტერი დაარსებულია 1106 წელს საქართველოს მეფის დავით აღმაშენებლის (დ. 1073 - გ. 1125 წ.) თაოსნობით. მანვე იმავე წელს დააარსა ქართული განათლების ცენტრი და ფილოსოფიური აზროვნების კერა – გელათის აკადემია, რომელიც, ამავე დროს, საერთაშორისო კულტურული ცენტრი იყო (იხ. გელათის აკადემია). ცნობა ტაძრის აგების შესახებ შემორჩენილია დავით აღმაშენებლის ანდერძში. გელათის მონასტერი სამეფო სახლის საკუთრება და საძვალე იყო, ტერიტორიულად ახლოს მდებარეობდა სამეფოს პოლიტიკურ ცენტრთან – ქუთაისთან. აქ დასაფლავებული არიან სრულიად საქართველოს მეფეები: დავით IV აღმაშენებელი, დემეტრე I (დ. 1093 - გ. 1156 წ.) და გიორგი III (დ. ? - გ. 1184 წ.); იმერეთის მეფეები: ბაგრატ III (დ. 1495 - გ. 1565 წ.), გიორგი II (დ.1514 - გ. 1583 წ.), გიორგი III (დ. 1604 - გ. 1639 წ.), გიორგი VI (დ. - გ. 1720 წ.), ალექსანდრე V (დ. 1703/1704 - გ. 1752 წ.), სოლომონ I (დ. 1735 - გ. 1784 წ.) და სხვ. XII-XV საუკუნეებში გელათის მონასტერს მინიჭებული ჰქონდა სრული ავტონომია, აღიარებდა მხოლოდ მეფის უმაღლეს უფლებას. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქსაც კი არ ჰქონდა არავითარი სახელისუფლო ძალა (გარდა მღვდლების კურთხევისა). გელათის მონასტერში მეფეს ჰყავდა თავისი პირადი წარმომადგენელი. მონასტრის უფროსი მონაზვნები და მოძღვართმოძღვარი სამეფო დარბაზის წევრებად ითვლებოდნენ. XIII-XIV საუკუნეებში ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური დაკნინების გამო (მონღოლების, თემურლენგის შემოსევები, გამწვავებული შინაფეოდალური საადგილმამულო ბრძოლები) გელათის მონასტრის ეკონომიური და კულტურული ცხოვრება შეფერხდა. მისი ძველი მდგომარეობა ნაწილობრივ აღადგინა საქართველოს მეფემ (1299-1302; 1318-1346 წწ.) გიო-

რგი ბრწყინვალემ. საქართველოს პოლიტიკური დაშლის (XV საუკუნის II ნახევარი) შემდეგ გელათის მონასტერი დასავლეთ საქართველოს მეფეების ხელში გადავიდა. 1510 წლის 23 ნოემბერს იგი გადაწვა იმერეთში შემოჭრილმა ოსმალთა ჯარმა. იმერეთის მეფეებმა ბაგრატ III-მ და გიორგი II-მ გელათის მონასტერში დიდი მასშტაბის სამეურნეო და სამშენებლო სამუშაოები ჩაატარეს – კაპიტალურად შეაკეთეს და მოხატეს ტაძრები, განაახლეს გაუქმებული და მიტოვებული ეკლესია-ეკვდერები, შესწირეს მონასტერს ახალი მამულები. ბაგრატ III-ს თანამედროვენი გელათის "მეორედ აღმშენებელს" უწოდებდნენ. მას მხარში ედგნენ გელათის ეპისკოპოსი მელქისედეკ საყვარელიძე და დასავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ევდემონ ჩხეტიძე. XVI საუკუნის 20-იან წლებში ბაგრატ III-მ გელათის მონასტერში საეპისკოპოსო კათედრა დააარსა, რამაც გარკვეულად აამაღლა მონასტრის პოლიტიკური-მორალური და ეკონომიური მდგომარეობა.

XVI საუკუნის II ნახევარში დასავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის რეზიდენცია ბიჭვინთიდან გელათში გადმოიტანეს. XVIII საუკუნიდან გელათის მონასტერში დიდი მასშტაბის აღდგენითი სამუშაოები გასწიეს იმერეთის მეფეებმა გიორგი VI-მ, ალექსანდრე V-მ, სოლომონ I-მა, სოლომონ II-მ და გელათის ეპისკოპოსებმა. რუსეთის იმპერიის მიერ იმერეთის სამეფოს გაუქმების (1810) შემდეგ გელათის მონასტერი საეკლესიო სენიორიიდან სახელმწიფო დაწესებულებად – გუბერნიის მონასტრად იქცა.

ჯერ კიდევ XII საუკუნეში, დავით აღმაშენებლის თაოსნობით, გელათის მონასტერში დიდი შემოქმედებითი საქმიანობა გაჩაღდა. სხვადასხვა დროს აქ მოღვაწეობდნენ ცნობილი ქართველი მამულიშვილები: არსენ იყალთოელი (1050-1127 წწ.), იოანე პეტრიწი (XI-XII სს.), არსენ ბულმაისიმისძე (XIII ს.), პეტრე გელათელი (XII ს.), ევდემონ ჩხეტიძე (1557-1578 წწ.), ექვთიმე საყვარელიძე (1578-1616 წწ.), გედეონ ლორთქიფანიძე (XVII ს.), ანტონ I (1720-1788 წწ.), ზაქარია გაბაშვილი (დაახლოებით 1705-1780 წწ.) და სხვ. გელათის მონასტერში ინახებოდა მდიდრულად მორთული და მინიატიურებით შემკული ქართული ხელნაწერები, რომელთა დიდი ფონდი აქ ძველთაგანვე არსებობდა, აგრეთვე ქართული ჭედური ხელოვნების ბევრი შესანიშნავი ნიმუში (მაგ. ხახულის ღვთისმშობლის ხატი).

ღვთისმშობლის მიძინების სახელობის მთავარი ტაძარი ცენტრალურ-გუმბათოვანი ნაგებობაა (სურ. 3.93.3) სიმაღლით 34 მ, ფართობით 1260 კვ. მ. მთავარი ეკლესიის გარეთა ზომები კარიბჭეების გარეშე 21,0×30,0 მ; კარიბჭეებიანად 35,0×35,0 მ. თექვსმეტწახნაგა განიერი და მაღალი გუმბათი, მკლავებზე გარდამავალი თაღების მეშვეობით, დაყრდნობილია აღმოსავლეთის აფსიდის შვერილებსა და დასავლეთის მძლავრ ბურჯებზე. გუმბათქვეშა კვადრატიდან გუმბათის წრეზე გადასვლა აფრებითაა განხორციელებული. გუმბათის ყელში თანაბარი დაშორებებით 16 სარკმელია გაჭრილი, საიდანაც შუქი უხვად იჭრება ტაძრის შთამბეჭდავ შიდა სივრცეში. ცენტრალური სივრცის შემქმნელი ჯვრის მკლავები განსხვავებულადაა გადაწყვეტილი. აღმოსავლეთ მხარეს სამი წახნაგოვანი შვერილი აფსიდაა. შუა განიერ აფსიდში საკურთხეველია განთავსებული, რომელიც ღრმა ბემისა და ნახევარწრიული აფსიდისაგან შედგება. მარჯვნივ სადიაკვნეა, მარცხნივ – სამკვეთლო. საკურთხევლის მსგავსად, ეს ვიწრო პასტოფორიებიც აფსიდებით არის აღჭურვილი. დასავლეთი მკლავის მეორე სართულზე ორი განცალკევებული პატრონიკეა მოწყობილი, რომლებიც ერთმანეთს დასავლეთი კედლის გაყოლებაზე გაკეთებული საფეხურის მსგავსი ვიწრო ღია გადასასვლელით უკავშირდებოდნენ. სამხრეთ-დასავლეთი და ჩრდილო-დასავლეთი კუთხეების ეს კომპარტიმენტები მთავარ სივრცესთან იატაკის დონიდან დაწყებული ღია თაღოვანი სარკმლებით იყო დაკავშირებული. აღსანიშნავია, რომ გელათის ინტერიერი შუქითაა სავსე, რაც გამოარჩევს მას ბევრი ქართული ტაძრიგან. გუმბათის 16 სარკმლის გარდა, სინა-



სურ. 3.93.3. მთავარი ტაძრის გეგმა

თლე საკურთხევლის და სამივე მკლავში გაჭრილი სამ-სამი უზარმაზარი ღიობიდან, აგრეთვე პატრონიკეებიდანაც იღვრებოდა და ინტერიერს, რომლის კედლებიც მთიანად იყო მხატვრობით დაფარული, უფრო მეტ ბრწყინვალებას აძლევდა. ტაძრის გარეგნულ სახეს ორგანულად ეხამება სამმხრივი მინაშენები, რომლებიც ძირითადი კორპუსს XII-XIII საუკუნეებში ცალ-ცალკეა აქვს გაკეთებული და მისი მთლიანი მხატვრული სახის ორგანულ, განუყოფელ ნაწილებად აღიქმება. დროთა განმავლობაში მათ გარკვეული ცვლილებები განიცადეს.

სამხრეთის მკლავზე მიშენებულია ეგვტერი და კარიბჭე. საერთოდ, სამხრეთი მინაშენის ფასადი გამოირჩევა თავისი საზეიმო იერითა და მორთულობებით. ჩრდილოეთი მკლავის მინაშენი ყველაზე რთული ნაწილია ტაძრისა, რადგან აქ ოთხი სამშენებლო ფენა შეინიშნება გარედან ტაძარი მოპირკეთებულია ეკლარის თლილი ქვით. რთული რიტმის დეკორატიული თაღედი ფასადთა კედლების დამუშავების საფუძველს წარმოადგენს. ტაძარი თითქმის სრულიად მოკლებულია ჩუქურთმებს, რაც კიდევ მეტად ზრდის თაღედის მნიშვნელობას.



სურ. 3.93.4. ინტერიერის მოხატულობა



სურ. 3.93.5. კედლის მოხატულობა



სურ. 3.93.6. მარიამ ღვთისმშობლის პორტრეტი



სურ. 3.93.7. ინტერიერი



სურ. 3.93.8. დავით აღმაშენებლის მოზაიკა

ინტერიერის კედელ-კამარები ერთიანად დაფარულია სხვადასხვა დროის მონუმენტური მხატვრობის ნიმუშებით (სურ. 3.93.4; სურ. 3.93.5). საკურთხევლის კონქში XII საუკუნის, ბრწყინვალედ შესრულებული, მსოფლიო მნიშვნელობის მოზაიკაა, რომელზეც გამოსახულია ღვთისმშობელი ყრმით და მთავარანგელოზები მიქაელი და გაბრიელი (სურ. 3.93.6; სურ. 3.93.7). დასავლეთ სტოაში XII საუკუნის უნიკალური ფრესკაა. მასში გადმოცემულია მსოფ-

ლიოს შვიდი საეკლესიო კრების ამსახველი სიუჟეტები, რომელიც უნიკალურია მსოფლიო სამხატვრო ხელოვნებაში. ტაძრის ჩრდილოეთ კედელზე შემონახულია დავით აღმაშენებლის ერთადერთი ფრესკა (სურ. 3.93.8), რომელსაც ერთ ხელში ეკლესიის მოდელი უჭირავს, ხოლო მეორეში – გრაგნილი. აქვეა იმერეთის სამეფო ოჯახის წევრების ფრესკები, ხოლო სამხრეთი ეკვდერის კედელზე – საქართველოს მეფის (1246-1259 წწ.) დავით ნარინის ორი პორტრეტი, რომელიც XIII საუკუნეშია შესრულებული. მოხატულობა რამდენჯერმეა განახლებული. არის ჭედურობისა და მინანქრული ხელოვნების ნიმუშები.

მთავარი ტაძრის აღმოსავლეთით დგას XII საუკუნის წმ. გიორგის სახელობის გუმბათიანი ეკლესია. დასავლეთი ეგვტერი მას მოგვიანებით აქვს მიშენებული. გეგმით და ფორმებით იგი ღვთისმშობლის ტაძრის რეპლიკაა, მაგრამ უფრო მცირე ზომისა (სიგანე 11,0 მ., სიგრძე კარიბჭის გარეშე 15,5 მ., კარიბჭიანად 18,5 მ. სიმაღლე შიგნით 18,5 მ.) (სურ. 3.93.9). გუმბათი დასავლეთით ორ მრგვალ ბოძსა და აღმოსავლეთით ბემის კუთხეებზეა დამყარებული. ნაგებობის სიმცირის გამო მხოლოდ ერთი შესასვლელია, დასავლეთით. პატრონიკე არ აქვს და განსხვავებულია სარკმელთა რაოდენობა და განლაგება. ტაძრის ფასადებზე დეკორაციული თაღედი მხოლოდ გუმბათის ყელზე და საკურთხევლის შვერილ აფსიდზეა გამოყენებული. დიდ ტაძართან შედარებით აქ სიახლეა შესასვლელისა და სარკმლის ორნამენტული საპირეებით მორთვა. დასავლეთის თაღის ქვეშ შესრულებული წარწერა გვაუწყებს, რომ ეკლესიის კედლები მოუხატვინებია დასავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ევდემონ I ჩხეტიძეს (XV ს.). მისი ფრესკა დასავლეთის კედელზეა იმერეთის მეფის ბაგრატ III-სა და მისი მეუღლის გვერდით. ტაძრის შესასვლელი მოჩარჩოებულია ლამაზი რელიეფური ორნამენტით. მხატვრობის ნაშთი შეინიშნება კარიბჭის სამხრეთ ნაწილში.

მთავარი ტაძრიდან დასავლეთით, მისსავე ღერძზე, აღმართულია XIII–XIV საუკუნეების მიჯნის წმ. ნიკოლოზის სახელობის (საქართველოში ნაკლებად გავრცელებული) ორსართულიანი ეკლესია (სურ. 3.93.10). გეგმით მართკუთხა ქვედა სართული ოთხივე მხარეს გამჭოლი თაღებითაა გახსნილი, ხოლო მეორე სართული „თავისუფალი ჯვრის“ მოხაზულობის პატარა შვერილ აფსიდიანი ეკლესიაა. აქ მოსახვედრად ქვედა სათავსს ჩრდილოეთ მხარეს ქვის კიბე აქვს გარედან მიდგმული. წმ. ნიკოლოზის რვასარკმლიანი გუმბათი (აქედან ოთხი ყრუა) უშუალოდ კედლებს ეყრდნობა. ტაძარს ერთი შესასვლელი დასავლეთ მხრიდან აქვს განთავსებული. მაღალ საფუძველზე აღმართული ეს პატარა ეკლესია გარედან ზემოთ ატყორცნილი ნაგებობის შთაბეჭდილებას ახდენს, ხოლო შიგნით მოხვედრისას კი სულ სხვა განწყობა იქმნება გუმბათის ყელის სიმაღლეზე დაბალი ქვედა ნაწილის გამო. ფასადები მხოლოდ თითო სარკმლითაა აღჭურვილი. მათი სიბრტყე გლუვი და მოურთველია. გამონაკლისს წარმოადგენს საკურთხევლის შვერილი აფსიდი, რომელიც ლილვებზე დაყრდნობილი დეკორაციული თაღედითაა შემკული. წმ. ნიკოლოზის ეკლესიის მეორე სართულის ინტერიერის ზომებია: 5,0×6,5 მ., სიმაღლე შიგნით 11 მ.



სურ. 3.93.9. წმინდა გიორგის ეკლესია



სურ. 3.93.10. წმ. ნიკოლოზის ეკლესია

მთავარი ტაძრის ჩრდილო-დასავლეთით დგას სამსართულიანი სამრეკლო, ეს ქართული სამრეკლოების ერთ-ერთი ადრინდელი ნიმუშია. მისი ქვედა ნაწილი, თაღებით გახსნილი ქვის ფანჩატური, წყაროზეა დაშენებული. წყარო უკვე XII საუკუნეში არსებობდა, ხოლო XIII

საუკუნის II ნახევარში მას ზემო ნაწილი დაადგეს. თავისი ტიპით გელათის სამრეკლო ადრეულ ხანებში გავრცელებულ სახეობას განეკუთვნება. პირველი სართულის გამჭოლთაღებიანი მოცულობის თავზე კუბური პატარა სათავსია, ხოლო სულ ზემოთ დაშენებულია ღია თაღებიანი რვაბოძიანი გუმბათიანი სამრეკლო (სურ. 3.93.11).

გელათის სამონასტრო კომპლექსში შედის აგრეთვე აკადემია, რომელმაც ჩვენამდე ნანგრევების სახით მოაღწია (ამჟამად რესტავრირებულია). გალავნის გასწვრივ განლაგებულია ბერების საცხოვრებელი, სატრაპეზო და სხვა დამხმარე სამეურნეო ნაგებობები. გელათის მონასტრის გალავნის სამხრეთით, კარიბჭეში დავით აღმაშენებლის საფლავია (სურ. 3.93.12).

გელათის მონასტრის ზღუდის გარეთ დაახლოებით 150 მ-ზე, მის ჩრდილო-აღმოსავლეთით, შემორჩენილია სოხასტერის მონასტრის (დაყუდებულ ბერთა სამყოფელი) ეკლესიების, კოშკის ტიპის საცხოვრებელი სახლებისა და სხვა შენობათა ნანგრევები.



სურ. 3.93.11. სამრეკლო

სოხასტერის კომპლექსი რამდენიმე მონაკვეთისგან შედგება, რომელთაც მეცნიერებმა პირობითად: „წინა ეზო“, „ეკლესიის ნაწილი“ და „შიდა - მთავარი ეზო“ უწოდეს. მონასტერში შესასვლელი ორ კოშკს შუა მოქცეული საკმაოდ დიდი კარიბჭიდან იყო, საიდანაც დიდ, მართკუთხა, ყველა მხრიდან შემოზღუდულ „წინა ეზოში“ ხვდებოდნენ. შესასვლელიდან დაწყებული მთელი კედლის გასწვრივ, მიწის დონიდან 35-40 სმ. სიმაღლეზე, გაკეთებული იყო 40 სმ. სიგანის სკამი, რომელიც, სავარაუდოდ, მონასტერის სტუმრებთან შეხვედრებისთვის უნდა ყოფილიყო განკუთვნილი და თავიდანვე იყო გათვალისწინებული მშენებელთა მიერ. ამრიგად, წინა ეზო წარმოადგენდა კომპლექსის იმ ნაწილს, რომელიც არ აძლევდა საშუალებას უცხო პირებს შესულიყვნენ მონასტრის ყოველდღიურ ცხოვრებაში, ხოლო სოხასტერის „დაყუდებულნი უდაბნოსანი“ არასასურველი კონტაქტებისგან იყვნენ დაცულნი. წინა ეზოში შესასვლელის პირდაპირ განთავსებული იყო დაახლოებით ოთხი საფეხურის სიმაღლეზე აწეული ბაქანი, რომლის არქიტრავით გადახურული კარი კომპლექსის „ეკლესიის ნაწილში“ შესასვლელი იყო. მონასტრის ეს მთავარი ნაწილი 1,5 მეტრით მაღალი იყო ორივე, წინა და უკანა ეზოზე. 1 მეტრის სიმაღლის ღობით შემოზღუდული ეკლესია იდგა ფართო, საგანგებოდ შექმნილ კვარცხლბეკზე, ის გვირგვინივით ედგა და კრავდა მთელ კომპლექსს. მისგან აღმოსავლეთით, გალავნის სამხრეთ კუთხეში საცხოვრებელი კოშკი იდგა, რომლის მეორე სართულის კარი ეკლესიის ეზოში შესასვლელის ფუნქციას ასრულებდა. ტაძრის ჩრდილოეთ მხარეს ეზოში ბერების სასაფლაო იყო მოწყობილი. ასეთივე სასაფლაო იყო ეკლესიის აღმოსავლეთ და სამხრეთ ეზოშიც. სოხასტერის ეკლესია დარბაზული ტიპის მცირე ნაგებობაა, რომელიც დიდი ზომის სუფთად გათლილი ქვებითაა ნაშენი. მისი სამმხრივი გარსშემოსავლელიდან დღეს მხოლოდ დასავლეთის მხარის ღია თაღოვანი გალერეის ნაშთებია შემორჩენილი. სავარაუდოოდ, ეს დასავლეთი მინაშენი გვიანი ხანის უნდა იყოს, რაზეც მიუთითებს მისი სვეტების გაფორმების ხასიათი. 1600 $მ^2$ ფართობის „შიდა მთავარ ეზოს“ კომპლექსის აღმოსავლეთი ნაწილი ეკავა. მართკუთხა ფორმის, სამხრეთიდან ჩრდილოეთით გადაჭიმული ეზო გალავნითაა შემოზღუდული. გალავნის აღმოსავლეთი კედლის გასწვრივ სენაკები იყო განთავსებული. დღეს მხოლოდ ზოგიერთი მათგანის გეგმის წაკითხვაა შესაძლებელი, ზოგის კი მარტო



სურ. 3.93.12. დავით აღმაშენებლის საფლავი

საძირველი შემორჩა. შიდა ეზოს დასავლეთის მონაკვეთის ცენტრში აღმართული იყო კოშკის ტიპის სამიარუსიანი საცხოვრებელი ნაგებობა, შემორჩა მხოლოდ სამხრეთის კედელი და პირველი სართული. გამოთქმულია ვარაუდი, რომ, შესაძლოა, კოშკში მონასტრის წინამძღვარი ცხოვრობდა. შიდა ეზოში განლაგებული იყო სხვა სამონასტრო ნაგებობებიც, რომლებმაც ჩვენს დრომდე მხოლოდ მცირე ნაშთების სახით მოაღწიეს. ძეგლის არქიტექტურული ანალიზის საფუძველზე მეცნიერთა მიერ გამოთქმულია მოსაზრება, რომ სოხასტერი კომპლექსი გელათის მონასტრის მშენებლობის პერიოდს უნდა განეკუთვნებოდეს.(XII-XIII სს.).

მონასტრის სამხრეთ-დასავლეთით მაღალ კონცხზე წმ. საბას სახელობის დარბაზული ეკლესიის (X-XI სს.) ნანგრევებია. მის მახლობლად, გზის გაღმა, წმ. ილიას სახელობის ეკლესიაა. მოშორებით, მდინარე წყალწითელას ხეობაში, ე.წ. „დავითის კონცხზე“, მტრის თავდასხმისაგან მონასტრის დამცველი დიდი მრგვალი კოშკის ნანგრევებია.

გელათის მონასტერი 1994 წლიდან შეტანილია UNESCO-ს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა სიაში.

3.94. ხერთვისის ციხე (ხერთვისი) (ინგლ. Khertvisi Fortress) – შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ბრწყინვალე ძეგლი, ციხესიმაგრე (სურ. 3.94.1; სურ. 3.94.2). მდებარეობს სამხრეთ საქართველოში, ჯავახეთში, ასპინძის მუნიციპალიტეტში, სოფელ ხერთვისში, არტაანის მტკვრისა და ჯავახეთის მტკვრის შესაყართან მაღალ კლდოვან მთაზე. კომპლექსში შემავალი ნაგებობებია: გალავანი, ციტადელი, მცირე ეკლესია, კოშკები.

ხერთვისი, თმოგვის, აწყურის ციხეებთან ერთად მნიშვნელოვან როლს ასრულებდა შუა საუკუნეების საქართველოს ცხოვრებაში. ისტორიულ წყაროებში იხსენიება, როგორც საქართველოს ერთ-ერთი უძველესი ციხეთაგანი.



სურ. 3.94.1. პანორამული ხედი



სურ. 3.94.2. საერთო ხედი



სურ. 3.94.3. ციტადელი



სურ. 3.94.4. ციტადელი და კოშკი

ხერთვისის ციხე, სავარაუდოდ, ადრევე იყო დაარსებული (ზუსტი ცნობები არ არსებობს), ქართველი ისტორიკოსის ლეონტი მროველის ცნობით, ხერთვისი ანტიკური პერიოდის ქართლის პირველ ქალაქთა შორის სახელდებოდა. ზეპირი გადმოცემის მიხედვით, რომელსაც ლეონტი მროველი ეყრდნობოდა, ძვ. წ. IV საუკუნის ბოლო წლებში, ალექსანდრე მაკედონელის აღმოსავლეთში ლაშქრობის დროს, საქართველოს სხვა ციხე-ქალაქებთან ერთად, მას ხერთვისიც უნახავს და მაღალი შეფასებაც მიუცია ციხისთვის (ისტორიულად ეს ფაქტი დადასტურებული არაა). ადრეული საუკუნეების ხერთვისის შესახებ ცოტა რამაა ცნობილი. მართალია, ძვ. წ. IV საუკუნის დროინდელი ციხე-ქალაქის კვალი მიწის ზემოთ არ იკითხება, მაგრამ, გამოთქმულია ვარაუდი, რომ ანტიკური პერიოდის ნაშთები შესაძლოა მიწის ქვეშ იქნეს მიკვლეული. ხერთვისის ანსამბლი მრავალფეროვანია. მშენებლობა აქ საუკუნეების მანძილზე გრძელდებოდა.



სურ. 3.94.5. ციხის კედელი

დღესდღეობით შემორჩენილი ნაგებობები X-XIV საუკუნეებით თარიღდება. უფრო გვიან, XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც ხერთვისი ოსმალებს ეკავათ, ის ისევ ქალაქად იხსენიება.

ციხესიმაგრე ორი მთავარი ნაწილისაგან შედგება: პირველია ციტადელი, მეორე – ციხის გალავანი. პირველი მათგანი მაღლაა, მეორე მას აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან აკრავს. ციტადელში საკმაოდ მოზრდილი მიწის ფართობია მოქცეული, მაგრამ გალავნით გაცილებით ვრცელი ტერიტორიაა შემოსაზღვრული. ციტადელს მთის ვიწრო კლდოვანი ქიმი უკავია (სურ. 3.94.3; სურ. 3.94.4). ჩრდილო-აღმოსავლეთიდან მას იცავს მაღალი, თითქმის შვეული კლდე, ხოლო იქ, სადაც ფეხის მოკიდება შეიძლება, კედელია აღმართული. ციხეს კლდის კეხის გაყოლებით წაგრძელებული და კომპაქტური გეგმა აქვს. ციტადელი რამდენიმე მონაკვეთისაგან შედგება. მაღალი კედლები ქონგურებით მთავრდება (სურ. 3.94.5). კედლებს მიჰყვება ბურჯები და კოშკები. დასავლეთით დგას შედარებით გვიანდელი ხანის პრიზმული კოშკი – დონჟონი, კვადრატული გეგმის მქონე, ოდნავ მომრგვალებული კუთხეებით, მაღალი და მძლავრად აზიდული (სურ. 3.94.6). მისი კედლები კარგად დამუშავებული და წესიერად დაწყობილი ქვითაა ნაშენი, ფორმები მკაფიოდ ჩამოყალიბებულია. სიმაგრის აღმოსავლეთის ბოლოში დგას უფრო ადრეული პერიოდის ხუთგვერდა კოშკი (სურ. 3.94.4). არ ჩანს, თუ როგორ იყო გადაჭრილი ციხის წყლით მომარაგების საკითხი ადრეულ საუკუნეებში. მოგვიანებით ციტადელის ჩრდილო-დასავლეთის მონაკვეთზე მდინარეზე ჩასასვლელად გვირაბი მიუშენებიათ. მარჯვე სტრატეგიულ ადგილზე აგებულ ციხეს მშფოთვარე ცხოვრება ექნებოდა და ხშირად საჭიროებდა რესტავრაციას. XIX ს-ის დასაწყისში ციხის შესასვლელის კარზე ჯერ კიდევ შემორჩენილი იყო XIV ს-ის წარწერა, რომელიც გვამცნობდა, რომ ციხის გალავანი და კოშკი 1354-1356 წლებში აუშენებია მეფის მოლარეთუხუცესს (უპირველესი მოლარე, ხაზინის უფროსი), ზაქარია ქამქამის ძეს (წარწერა ამჟამად დაკარგულია). თუმცა, როგორც უკვე ითქვა, ციხე გაცილებით უფრო ადრინდელი პერმონაცვლეობით ყოფილან ხერთვისარნი, ამატაკიანნი ან შალიკაშვილნი. იმავე XIV საუკუნეში,



სურ. 3.94.6. დონჟონი

თურქების შემოსევის დროს, ციხე რამდენჯერმე გადავიდა ხელიდან ხელში. მომდევნო საუკუნეებში ხერთვისის ციხის ისტორია უშუალოდ დაკავშირებულია სამცხე-საათაბაგოს ისტორიასთან; ის ჯაყელი ათაბაგების საიმედო სიმაგრეს წარმოადგენდა. ცნობილია, რომ მანუჩარ II ათაბაგმა 1588 წელს ხერთვისის ციხე ირანის მმართველს შაჰ-აბასს დაუთმო. უფრო გვიან, სამცხეს შეფარებულმა ქართველთა მხედართმთავარმა გიორგი სააკაძემ (დ. 1580 - გ. 1629 წ.), ჯერ ყორჩიბაშის მიერ გამოგზავნილი დიდი ჯარი სასტიკად დაამარცხა ასპინძასთან, შემდეგ კი ხერთვისი და სხვა ციხეებიც აიღო. სამწუხაროდ, ქართველთა ხმლით დაბრუნებული ეს ციხეები საქართველოს კი არ შემოუმტკიცდა, არამედ ხონთქარს გადაეცა. XVI საუკუნის მიწურულიდან მთელ მესხეთს თურქები დაეპატრონენ. ის მხოლოდ 1828 წელს, თურქეთ-რუსეთის ომის შემდეგ დაუბრუნდა საქართველოს. აღსანიშნავია, რომ გიორგი სააკაძემ და კახეთისა და ქართლ-კახეთის მეფემ ერეკლე II-მ ორჯერ (1624 და 1771 წწ.) გაანთავისუფლეს ციხე ოსმალებისაგან, მაგრამ ორივეჯერ მისი დატოვება მოუხდათ. XIX საუკუნის დასაწყისიდან ხერთვისის ციხემ, სხვა ციხეების მსგავსად, დაკარგა თავისი ფუნქცია, თუმცა უდავოა, რომ ის ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი საუკეთესო ქმნილებაა. ციხის მთელი ანსამბლი ისეა შერწყმული კლდესთან, რომ მას მნახველი აღტაცებაში მოჰყავს.

ხერთვისის ციხე ვარძიის კომპლექსთან ერთად 2007 წლის 24 ოქტომბრიდან შეტანილია UNESCO-ს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა საცდელ სიაში.

3.95. ბეთანია (ინგლ. Betania) – ქართული ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ძეგლი, სამონასტრო კომპლექსი (სასულიერო სტატუსი – მამათა მონასტერი) (სურ. 3.95.1; სურ. 3.95.2). მდებარეობს ქართლში, ქ. თბილისიდან სამხრეთ-დასავლეთით, ნასოფლარ კვესეთთან, ტყეში, მდინარე ვერეს ხეობაში (სურ. 3.95.3). კომპლექსში შემავალი ნაგებობებია: მთავარი ტაძარი, მცირე ეკლესია, ბერების საცხოვრებელი სენაკები.



სურ. 3.95.1. პანორამული ხედი



სურ. 3.95.2. საერთო ხედი

ბეთანიის მონასტერი უკვე არსებობდა XI საუკუნეში (აქ იყო ორბელთა საგვარეულო საძვალე). ღვთისმშობლის შობის სახელობის მთავარი გუმბათოვანი ტაძარი აიგო XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე იმ ადგილას, სადაც X-XI საუკუნეებში პატარა აგურის ეკლესია იდგა. (თუმცა, არსებობს მოსაზრებაც, რომ ბეთანიის ეკლესია უკვე 1150 წლებში დღევანდელი სახით უნდა მდგარიყო.) ტაძარი სუმბატ ორბელმა ააგო [დემეტრე I-ის დროს საქართველოს ამირსპასალარის თანამდებობები ეკავა, ხოლო სიცოცხლის ბოლო წლები ბერი სიმონის სახელით (სუმბატ სვიმონქმნილი) მოღვაწეობდა ბეთანიის მონასტერში]. მისი ფრესკა ეკლესიის მოდელით ხელში დღესაცაა შემორჩენილია მთავარი ტაძრის სამხრეთ კედელზე. 1196 წელს თამარის მეფობის ხანაში, ივანე II ორბელის მეუღლემ რუსუდანმა მთავარი ტაძრის დასავლეთ ფასადთან ახლოს წმინდა დიდმოწამე გიორგის სახელობის მცირე ერთნავიანი სამლო-

ცველო აიგო (სურ. 3.95.4). XIII საუკუნიდან მონასტერი სამეფო კუთვნილებაში გადავიდა. ისტორიული ცნობები მონასტრის შესახებ ძალზე მწირია, მხოლოდ შემორჩენილი ჩუქურთმები, ფრესკები და წარწერები გვაუწყებენ იმას, რომ მონასტერი მრავალჯერ დანგრეულა და აღდგენილა. ერთი პერიოდი სრულიად მიტოვებულიც ყოფილა. 1851 წელს გრიგოლ ორბელიანს (ქართველი თავადი და პოეტი) ნადირობისას შემთხვევით აღმოუჩენია ბეთანიის სამონასტრო კომპლექსი, ხოლო რუს მხატვარს გრიგოლ გაგარინს (თავადი, მხატვარი, ხელოვნებათმცოდნე, რუსეთის იმპერატორის კარის ობერგოფმეისტერი) თავისი ხარჯებით ჩაუტარებია გაწმენდითი სამუშაოები და მიუკვლევია თამარ მეფის ფრესკისთვის.



სურ. 3.95.3. ადგილმდებარეობის რუკა




სურ. 3.95.4. მცირე ეკლესია

მონასტრის მთავარი ჯვარ-გუმბათოვანი ტაძარი გეგმაში მართკუთხედის ფორმისაა. გუმბათი ოდნავაა გადანაცვლებული აღმოსავლეთისკენ და მნიშვნელოვნადაა ზემოთ აზიდული. სამხრეთი შესასვლელის წინ ვარსკვლავისებრი კამარით გადახურული კარიბჭეა. ტაძარი გარედან მოპირკეთებულია თლილი ქვით, ხოლო კედლებისა და გუმბათის ყელის აგურის წყობა გვიანდელი რესტავრაციის დროინდელია. ამ დროის ძეგლებში (ბეთანია, ქვათახევი, ფიტარეთი და სხვ.) უკვე საბოლოოდ ჩამოყალიბებული სტერეოტიპის სახე მიიღო ქართული გუმბათოვანი ეკლესიის ტიპმა, რომელიც შემდეგ საუკუნეთა მანძილზე მხოლოდ უმნიშვნელო ცვლილებებს განიცდის: ტაძრის გეგმა დამოკლდა და კვადრატს მიუახლოვდა, ოთხი ცალკე მდგომი სვეტის ნაცვლად დარჩა ორი გუმბათქვეშა დასავლეთი ბურჯი, აღმოსავლეთის სვეტების წყვილი კი საკურთხევლის კედლებს შეერწყა შეიცვალა ნაგებობის პროპორციები როგორც გარეთ, ასევე შიგნითაც. ამ დროის საკულტო შენობებში პროპორციათა შეფარდებაში მომხდარი ცვლილებები განსაკუთრებით თვალშისაცემია ბეთანიის ტაძრის ინტერიერში მოხვედრისას. აქ, ადრეული პერიოდის ძეგლებთან შედარებით, გუმბათის ყელის სიმაღლე დიამეტრის ხარჯზე გაზრდილი (დიამეტრი 4 მ-ზე ოდნავ მეტია, ხოლო სიმაღლე - 10 მ), ხოლო თავად ყელის სიმაღლე ტაძრის ქვედა კორპუსის იატაკიდან მკლავების კამარების ზურგამდე სიმაღლის ტოლია. ინტერიერში გუმბათის დიამეტრის შემცირებას გუმბათქვეშა კვადრატის შედარებით, ხელი შეუწყო მრავალსაფეხურიანი პროფილის მქონე გუმბათქვეშა თაღებმა (გუმბათის ყელის პროპორციებით და სიმაღლით, ზემოთ დასახელებული ბეთანიის ჯგუფის ტაძრებს წინა დროის ნაგებობებიდან მხოლოდ ალავერდი უახლოვდება). ბეთანიის გუმბათის აზიდულობის შთაბეჭდილებას აძლიერებს გუმბათის ყელის ვერტიკალური სარკმლების სიმჭიდროვეც.

გუმბათის სარკმელთა რიცხვი 12 დიდი ხნის განმავლობაში სტანდარტულიც კი ხდება ქართულ არქიტექტურაში. საერთოდ, გუმბათის ასეთი კოშკისებრი ატყორცნილობა და პროპორციები ბუნებრივია კახეთის ხუროთმოძღვრებისათვის და განსაკუთრებით თვალშისაცემი ხდება XVI საუკუნეში. შენობას ახლებური პროპორციები აქვს გარედანაც. გუმბათის ყელისა და ტაძრის კორპუსის გარდა სხვაობაა შუა ფრონტონიანი ნაწილსა და გვერდითი ფრთების სიმაღლეებს შორისაც. ფრონტონების სახურავები გვერდითი ფრთების სახურავებზე

ციცაბოა, რაც გამოარჩევს ბეთანიას სხვა ძეგლებისგან (მსგავსი წაწვეტებული ფრონტონების მაგალითები სხვაგან არსად მოიპოვება).



სურ. 3.95.5. აღმოსავლეთის ფასადის მოჩუქურთმებული სარკმელი



სურ. 3.95.6. სამხრეთის ფასადის სარკმელის ქვედა საპირეს კვანძი

ბეთანიის ინტერიერში განათების მთავარ წყაროს გუმბათის ყელში განლაგებული თორმეტი სარკმელი წარმოადგენს. ამას ემატება ოთხივე მკლავში მოთავსებული სამ-სამი სარკმელი (ორი დიდი შეწყვილებული და მათ შორის, ზემოთ მრგვალი სარკმელი). ბეთანიაში ტაძრის ფასადთა მორთულობა უკვე სცილდება დეკორაციული თაღებით დანაწევრების შემუშავებულ სისტემას. ცალკეული ორნამენტული მახვილები – შეწყვილებული და მრგვალი სარკმლების ჩანართები მოჩუქურთმებული სარკმლის საპირეებით – მძლავრ აქცენტებს ქმნიან თავისუფალი კედლის ზედაპირზე. გამორჩეულია აღმოსავლეთის ფასადის მორთულობა. აქ დეკორის ძირითადი ელემენტები მშვიდად და თანაბარზომიერადაა განთავსებული. აღმოსავლეთ ფასადზე შემორჩენილი ტრადიციული ნიშები მოჩუქურთმებული თავსართით უკავშირდება შუა სარკმელს, რომლის თავზე დასმული თაღოვანი სათაურის ჰორიზონტალურად აკეცილი ბოლოები ნიშების მომჩარჩოებელ ლილვებს ებჯინება და თავისებურად გადაბმულ სამთაღედს ქმნის. კომპოზიციის შუა ღერძს, სათაურის ზემოთ, აგრძელებს თავისებური ორნამენტული ფიგურა, რომელიც ტრიკონქის მსგავსი მოხაზულობის სარკმელია ასეთივე ფორმის საპირით. ამ ორიგინალური სარკმლის ჩარჩო ჰორიზონტალურად გაშლილ ფუძეზე ამოსულ შვეულს ეფუძნება. სარკმლის საპირე მთლიანად შევსებულია ოთხლენტოვანი წნულით. საკურთხევლის ფასადის მხატვრულ კომპოზიციის დამასრულებელი ელემენტია ფრონტონში ჩასმული მცირე მრგვალი სარკმლის საპირე-როზეტი. დამატებით თითო-თითო სარკმელი და მათ ზემოთ თითო მრგვალი სარკმელი – როზეტი აქვს აღმოსავლეთი ფასადის განაპირა ფრთებსაც. ტაძრის მორთულობის კულმინაციაა უხვად შემკული გუმბათის ყელი. ნატიფი, მაღალი ოსტატობით შესრულებული ჩუქურთმები და ორნამენტული ხვეულები განუმეორებელ ხიბლს მატებენ



სურ. 3.95.7. აღმოსავლეთის ფასადის მოჩუქურთმებული ჯვრისებრი სარკმელი

ტაძარს (სურ. 3.95.5 – სურ. 3.95.8) და მნახველს უმძაფრებენ მშვენიერების აღქმისა და შეცნობის სურვილს.



სურ. 3.95.8. მონასტრის წყარო

ბეთანიის მხატვრობა 1207 წლით თარიღდება. ტაძარი მთლიანად მოხატული ყოფილა, რაზეც მიუთითებს შემორჩენილი ფრესკების ნაშთები. ოდესღაც ბეთანიის მხატვრობა არაჩვეულებრივად მდიდრული და მშვენიერი იყო – ფრესკების საღებავები ძალზე ძვირფასია, ფერები ცოცხალი და ღრმაა: მკვეთრი ალისფერი სინგური, მუქი-ლურჯი ფერის ლილა-ქვა (ამ ფერითაა შევსებული თითქმის ყველა ფრესკის ფონი ტაძრის აღმოსავლეთ ნაწილში), აური-პიგმენტი, ჟანგმიწის მდიდრული ნაკრები, ოქრო – მეფეთა პორტრეტებზე. საერთოდ ღრმა, მრავალგვაროვან ფერთა დიდებული პალიტრაა. თავის დროზე აქ მხოლოდ ათორმეტი დღესასწაული კი არ იყო წარმოდგენილი, არამედ ზედმიწევნით იყო გამოსახული უფლის ვნებისა და ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის დღესასწაულთა ციკლები. ბეთანიის ფრესკებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანია ჩრდილოეთის კედლის ფრესკა, რომლის მოხატულობა შესრულებულია თამარ მეფის სიცოცხლეში, გიორგი-ლაშას თანამოსაყდრედ გამოცხადების ხანაში. კედელზე გამოსახულია მეფე გიორგი III, წმიდა თამარ მეფე და მეფე ლაშა-გიორგი (სურ. 3.95.9; სურ. 3. 95. 10). ბეთანიის ეკლესიაში არსებული თამარ მეფის ფრესკა ერთ-ერთია საქართველოში არსებული მისი ოთხი ფრესკიდან (ვარძია, ბეთანია ყინწვისი, ბერთუბანი).



სურ. 3.95.9. ლაშა-გიორგის, თამარ მეფის და გიორგი III-ის ფრესკა (რესტავრაციამდე)



სურ. 3.95.10. ლაშა-გიორგის, თამარ მეფისა და გიორგი III-ის ფრესკა (რესტავრაციის შემდეგ)

3.96. ვარძია (ინგლ. Vardzia) – XII-XIII საუკუნეების ქართული მხატვრული კულტურის უბრწყინვალესი ძეგლი, კლდეში ნაკვეთი სამონასტრო კომპლექსი (სურ. 3.96.1). მდებარეობს ისტორიულ სამცხე-ჯავახეთის მხარეში, მესხეთში, ასპინძის მუნიციპალიტეტში, საქართველოს უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთით, მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე (სურ. 3.96.2). კომპლექსში შემავალი ნაგებობებია: საცხოვრებელი და სხვა დანიშნულების გამოქვაბული ოთახები, ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია, სამრეკლო და კლდის სოფელი ანანაური.

სამონასტრო კომპლექსი შენდებოდა 1156-1203 წლებში. დასახლება 1185 წლის 15 აგვისტოს თამარის მეფობის ხანაში (1184-1210 წწ.) აკურთხეს. ადგილის შერჩევა განპირობებუ-

ლი იყო კლდის საუკეთესო სამშენებლო თვისებებით, ხელსაყრელი ადგილმდებარეობით, საყოფაცხოვრებო, სამხედრო თვალსაზრისით და, აგრეთვე, სასმელი წყლის არსებობით.



სურ. 3.96.1. ვარძიის სამონასტრო კომპლექსის პანორამული ხედი

მშენებლობის პირველი ეტაპი მოიცავს საქართველოს მეფის გიორგი III-ის (1156-1184 წწ.) მეფობის წლებს. ამ დროსაა გამოკვეთილი პირველი საცხოვრებელი სახლები წყაროს მახლობლად. მშენებლობის მეორე ეტაპი თავსდება გიორგი III-ის სიკვდილისა და თამარ მეფის ქორწინებას შორის (1184-1186 წწ.). მშენებლობის მესამე ეტაპი მოიცავს წლებს ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის მოხატვასა და ბასიანის ბრძოლას შორის (1186-1208 წწ.) და ტაძრის გარშემო მონაზონთა კლდის სახლების, თავდაცვითი სამალავის, წყალსადენის გვირაბისა და სარწყავი არხის გამოკვეთით. თამარ მეფის მითითებით თავდაპირველი გეგმა ნაწილობრივ შეიცვალა. წყაროსთან, უკვე იქ არსებულ გამოქვაბულთა ადგილზე, შეიქმნა მონასტრის ცენტრი – კლდეში გამოკვეთილი ეკლესია (სურ. 3.96.3), მოხატული ქართლის ერისთავის რატი სურამელის ინიციატივითა და სახსრებით.



სურ. 3.96.2. ადგილმდებარეობის რუკა



სურ. 3.96.3. ღვთისმშობლის მიძინების დიდი დარბაზული ეკლესიის სამხრეთი ფასადი

1203 წელს ვარძიაში შეიკრიბა ქართველთა ლაშქარი, რომელმაც ბასიანის ბრძოლაში, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შეწევნით. გაანადგურა ოთხასათასიანი მუსლიმთა კოალიციის არმია. დიდი ხნის განმავლობაში ვარძიის მონასტერში ესვენა ცნობილი ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედი ხატი. XII-XIII საუკუნეებში ვარძია ქართველთა მნიშვნელოვანი პოლიტიკური, კულტურული და რელიგიური ცენტრი იყო. აქ მოღვაწეობდა ცნობილი ქართველი სასულიერო მოღვაწე იოანე შავთელი. მონღოლთა ბატონობის ხანაში (1230-იანი წლებიდან) მონასტერი სამცხელი ფეოდალების, ჯაყელთა გვარიდან გამოსული ათაბა-

გების გავლენაში მოექცა. 1283 წლის მიწისძვრამ საგრძნობლად დააზიანა მონასტერი (ჩამოინგრა გამოქვაბულები, გვირაბები, წყალსადენი, ტაძრის სტოას წინა ნაწილი და სხვ.), რომელიც 1285-1306 წლებში აღადგინეს ბექა ჯაყელი-ციხისჯვარელის ათაბაგობის დროს. 1391-1444 წლებში იოანე ათაბაგის ძალისხმევით მონასტერს შეემატა სატრაპეზოს შენობა.


საქართველოს მუდამ უხდებოდა გარეშე მტრის მოგერიება. XIII-XIV საუკუნეებში მონღოლთა შემოსევების დროს გაძარცვული ვარძიის მონასტერი XVI საუკუნეშიც იმდენად სახელოვანი და მდიდარი იყო, რომ 1551-1552 წლებში ირანის შაჰმა თამაზმა აქედან ურიცხვი განძი გაიტანა. XVII საუკუნის ქართველი ისტორიკოსის ფარსადან გორგიჯანიძის ცნობით, ირანელებს წაუღიათ - ოქროს კარი, ძვირფასი ქვებით მოოჭვილი ხატები, ეკლესიის მთელი მოკაზმულობა. ჩამოუხსნიათ და დაუმტვრევიათ სამრეკლოს დიდი ზარი. თავად მონასტერი დაუზიანებიათ, ხოლო მკვიდრნი კი ამოუხოციათ. ასეთი დარბევის შემდეგ მონასტერი დასუსტდა და წელში ვეღარ გაიმართა. 1578 წლიდან მესხეთი და მათ შორის ვარძიაც, თურქეთის ბატონობაში მოექცა, მონასტერი დაცარიელდა და დიდებულმა სავანემ არსებობა შეწყვიტა. 1828-1829 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ, მესხეთი ვარძიითურთ, კვლავ საქართველოს დაუბრუნდა.

ვარძიის სამონასტრო კომპლექსი გამოკვეთილია ერუშეთის მთის კალთაზე ტუფბრექჩიის შერეულ კლდეში (სიგრძე 500 მ-მდე; სიმაღლე 40 მ.), განლაგებულია ცამეტ სართულად (სართულთა რაოდენობა სხვადასხვა ნაწილში იცვლება). სამხრეთისკენ მიმართული, მტკვრისკენ დაშვებული მცირე ფერდის თავზე აღმართული შვეული კლდოვანი მასივის შუაში გამოკვეთილი ანსამბლი შედგება ისტორიულად ჩამოყალიბებული 2 ნაწილისაგან – ვარძიის მონასტრისა და უფრო ადრინდელი ხანის (X-XII საუკუნეები) კლდის სოფლის ანანაურისაგან. ანსამბლის ეს ნაწილები ერთმანეთისგან მთავარი ეკლესიითაა გამოყოფილი.

ვარძიის კომპლექსში 15 ეკლესიაა, რომელთაგან მთავარია ანსამბლის შუაგულში მდებარე ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარი. მასში კამარა, საკურთხეველი და იატაკი გამოკვეთილია კლდეში, ხოლო სამხრეთის, ჩრდილოეთის და დასავლეთის კედლები ამოყვანილია თლილი ქვით. ასეთივე ქვითაა ნაგები სამხრეთი ფასადის წინ მდებარე ორთაღიანი კარიბჭეც. სხვა კლდეში ნაკვეთი ნაგებობების მსგავსად, ვარძიის ეკლესიაც აგებულ შენობათა ფორმებს იმეორებს – კამარით გადახურული დიდი დარბაზული ტაძრის კედლები პილასტრებითა და მათზე დამყარებული კლდეში გამოყვანილი გამბრჯენი თაღებითაა დანაწევრებული. თაღებს კამარის მზიდის ფუნქცია არ გააჩნიათ და მხოლოდ ქვის ნაგები ეკლესიების კონსტრუქციული ფორმების იმიტაციას წარმოადგენს. დარბაზი უხვადაა განათებული სამხრეთი შესასვლელის ღიობიდან და სარკმლებიდან შემოსული სინათლით. ეკლესიას ჩრდილოეთიდან სრულიად ბნელი სათავსი აკრავს, სადაც კლდის სიღრმეში აუზია ამოკვეთილი (ბუნებრივი წყაროს წყლის დონე აუზში მუდამ უცვლელი რჩება. მლოცველები მას აიაზმის წყალს უწოდებენ და სასწაულთმოქმედ ძალას მიაწერენ). ეკლესიის გვერდით კლდეში გამოკვეთილია სამარხები, ჩრდილოეთით აგურით ნაგები აკლდამაა, ფასადზე



სურ. 3.96.4. ვარძიის კომპლექსის ფრაგმენტი




სურ. 3.96.5. ვარძიის კომპლექსის ფრაგმენტი

შემორჩენილია მოჭიქული შორენკეცის ნაშთები. აქვე, ეკლესიის მახლობლად, ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხესთან იწყება სამალავ-გვირაბთა რთული სისტემა. მთელი მონასტერი სამხრეთ მხარესაა მიმართული და სადგომები კლდის სიღრმეში სამხრეთიდან ჩრდილოეთითაა განვითარებული (სურ. 3.96.4 - სურ. 3.96.6). მონაზონთა საცხოვრებელი და საზოგადოებრივი პალატები ფასადის პერპენდიკულარულად კლდის სიღრმეში შეჭრილ ორ, სამ და ოთხი ოთახისგან შემდგარ სისტემას წარმოადგენენ და ერთმანეთს საგანგებო გასასვლელებით, ტალან-კარაპნებით უკავშირდებიან. მონასტერში 120 საცხოვრებელი კომპლექსის 420 სათავსია, მათ შორის 25 მარანი 185 ქვევრით. საცხოვრებელთა ეს ერთობლიობა შედგება ერთ ღერძზე განლაგებული კარიბჭის, საცხოვრებლისა და საკუჭნაოსაგან. სენაკებს განსხვავებული ზომები აქვთ, გვხვდება მცირე და მოზრდილი (7,0×7,0 მ; 7,0×10,0 მ.) ოთახები, რომელთა შორის ზოგიერთი, სავარაუდოდ, წარჩინებულთათვის უნდა ყოფილიყო განკუთვნილი. კარიბჭე მთავარი არქიტექტურული ელემენტია, რომელიც ვარძიას მის წინამორბედ უდაბნო-მონასტრებისაგან განასხვავებს. კარიბჭის ფართო მთავარი თაღი არქიტექტურულ-მხატვრული ელემენტია მონასტრის ფასადის გაფორმებაში. საცხოვრებელი თუ საზოგადო დანიშნულების სათავსები ტექნიკურად მაღალ დონეზეა შესრულებული.



სურ. 3.96.6. ვარძიის კომპლექსის ფრაგმენტი სამრეკლო-კარიბჭე

ვარძიის ანსამბლში გარკვეულ არქიტექტურულ მახვილს ქმნის ეკლესიისკენ მიმავალ გზაზე, მთავარი კლდოვანი მასივის წინ ტერასაზე განცალკევებით მდგარი XIII-XIV საუკუნეების მიჯნის სამრეკლო, რომლის ქვედა მოცულობა, ამავე დროს, თაღოვანი კარიბჭის ფუნქციას ასრულებს. სუფთად გათლილი ქვით ნაგები სამრეკლოს მეორე სართული, ფანჩატური არ გადარჩენილა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მთელ ანსამბლში მხოლოდ სამრეკლო და მთავარი ეკლესიის პორტიკი არაა კლდეში ნაკვეთი და კარგად დამუშავებული ქვითაა აგებული. ვარძია არ გამოირჩევა მდიდრული მორთულობით, რაც ბუნებრივია ქართული კლდის ხუროთმოძღვრებისთვის. აქ სადგომთა კედელ-კამარები გლუვია. კედლის დანაწევრება-დამუშავების ელემენტია თითქმის იატაკის დონესთან დაწყებული თაღოვანი ნიშები. მაღლა გამოკვეთილია მცირე მართკუთხა ან თაღოვანი ნიშები, საჭრაქეები. შიდა ოთახებში



სურ. 3.96.7. მთავარი ტაძრის ჩრდილოეთი კედლის ფრესკა: მეფე გიორგი III და თამარ მეფე



სურ. 3.96.8. მაცხოვრის გამოსახულება ინტერიერში, ტაძრის შესასვლელის თავზე

გასასვლელები ლუნეტიანია ან მართკუთხა მოხაზულობის. ვარძიაში ძალიან ძუნწი მორთულობებიც გვხვდება: ზოგ თაღს საფეხურიანი პროფილი აქვს, ზოგან ჩარჩო შეწყვილებული ლილვებითაა გამოყვანილი. ზომისა და მდებარეობის მიხედვით გამოარჩევენ ჭურჭლის, წიგნების შესანახ ნიშებს, ზოგი უფრო დიდი ზომის საწოლადაც კი გამოიყენებოდა.



სურ. 3.96.9. გვირაბი

ვარძიის კომპლექსის ერთადერთი სამკაულია სამლოცველოთა კედლის მხატვრობა. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძრის მოხატულობა (1184-1185 წწ.), სადაც ქრისტეს ცხოვრების ამსახველ სცენებთან ერთად გამოსახულია მეფე გიორგი III-ისა და თამარ მეფის პორტრეტები (სურ. 3.96.7), აგრეთვე ქართლის ერისთავი რატი სურამელი (აღსანიშნავია, რომ თამარ მეფის პორტრეტი საქართველოში ვარძიის გარდა მხოლოდ სამგან გვხვდება – ყინწვისში, ბეთანიასა და ბერთუბანში. აქედან, ვარძიის ყველაზე უადრესადაა მიჩნეული. შესრულებულია მის გათხოვებამდე). ტაძრის მოხატულობა (სურ. 3.96.8) ქართული მონუმენტური ფერწერის მნიშვნელოვანი ძეგლია. მთელ სამონასტრო კომპლექსში უკეთაა დაცული აღმოსავლეთი ნაწილი. აქ მთლიანად ან ნაწილობრივ გადარჩენილია 242 გამოქვაბული-ოთახი. მათ შორის გვხვდება 5,6×8 მ ფართობის დარბაზი. ამავე აღმოსავლეთ ნაწილშია "სადარბაზო" საკრებულო – მცირე ეკლესიით, თამარისთახი, სალხინო (მარნით) და სხვ. დასავლეთ ნაწილში – სატრაპეზო, ხოლო ცენტრალურ ნაწილში – საგანგებო თავშესაფარი (სამალავი ოთახები). გვირაბები მომარაგებული იყო წყლით. კლდეში გამოკვეთილი გვირაბების (სურ. 3.96.9) საერთო სიგრძე შეადგენს 3,5 კმ-ს.

X-XII საუკუნეების კლდის სოფელი ანანაური კომპლექსის უძველეს ნაწილადაა მიჩნეული. სოფელს საკმაოდ დიდი ტერიტორია უკავია. გამოქვაბული კომპლექსის გარდა, მასში შედის ყოფილი ბაღებისა და ვენახების ჩამოწოლილი ტერასები და ეს ტერიტორია ვრცელდება სარწყავი არხის ნანგრევებამდე. აქ ყურადღებას იპყრობს საერო კლდის სახლები – მათ შორის რთული ორსართულიანი სახლი ბოსლით, კლდის ლოდში გამოკვეთილი საწნახელი და წყალსაცავი. ზემო ტერასაზე მდებარეობს ანანაურის კლდეში გამოკვეთილი ეკლესია შექმნილი არა უგვიანეს X საუკუნისა. ეკლესია დარბაზული ტიპისაა, მისი შიგა ზომები საკურთხევლის ჩათვლით 2,2×4,5 მეტრია. კედლები და კამარა მთლიანად მოხატულია, რომელიც სავარაუდოდ XV საუკუნეს განეკუთვნება.

ვარძიის კომპლექსი ქართველი ხალხის მიერ შექმნილი გენიალური ქმნილებაა, რომელსაც დღესაც აღტაცებაში მოჰყავს თანამედროვე მსოფლიო საზოგადოება. ამჟამად ვარძიის სამონასტრო კომპლექსი წარმოადგენს ისტორიულ-არქიტექტურულ მუზეუმ-ნაკრძალს.

3.97. ბებრის ციხე (ბელტის ციხე) (ინგლ. Bebris Castle) – XII საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, ციხესიმაგრე (სურ. 3.97.1; სურ. 3.97.2). მდებარეობს შიდა ქართლის მხარეში, მცხეთის მუნიციპალიტეტში, ქ. მცხეთის ჩრდილოეთით 2 კმ-ში, მდინარე არაგვის მარჯვენა სანაპიროზე (სურ. 3.97.3). კომპლექსში შემავალ ნაგებობებია: ზედა ციხე (ციტადელი) და ქვედა ციხე. ციხესიმაგრის საერთო ფართობი დაახლოებით 1500 კვ.მ-ია, შიდა ეზოსი კი 600 კვ.მ. მცხეთის ირგვლივ არმაზციხის, წიწამურისა და სარკინეს გარდა, შესაძლოა, სხვა ციხესიმაგრეებიც იყო, მაგრამ ჩვენამდე მხოლოდ ბებრის ციხემ მოაღწია; მისი ნანგრევებში დღესაც ამაყად გადასცქერის არაგვის ხეობას. ციხე მეტად კომპაქტურად არის აგებული შემაღლებულ კონცხზე. კომპლექსში განლაგებული შენობებიდან ძირითადია მთავარი ციტადელი, რომელსაც სამხრეთით პატარა ეზო აკრავს. ციტადელის გეგმა სამკუთხედის მსგავსია. მის ყოველ კუთხეში თითო კოშკი დგას, ყველაზე დიდი, სამხრეთ-დასავლეთის კოშკისაგან შემორჩენილია სამი სართული. სამივე დაზიანებულია. ჩრდილოეთის და აღმოსავლეთის

კოშკები თითქმის ტოლია. ჩრდილოეთის კოშკის სამი სართულია შემორჩენილი, აღმოსავლეთისა – მხოლოდ საძირკველი. აღმოსავლეთ კოშკის შიგნით მოგვიანებით ცილინდრული კოშკი ჩაუშენებიათ, კოშკებში სართულშუა გადახურვა ხის იყო. სამხრეთ-დასავლეთისა და ჩრდილოეთის კოშკებს აქვს თავისებური (სავარაუდოა ისრის სატყორცნი) საბრძოლო ხვრელები, რომლებიც შიდა მხრიდან განიერი (საშუალოდ 2 მ), მაღალი (დაახლოებით 2,5 მ) და ღრმაა (საშუალოდ 1,5 მ), გარედან კი ვიწრო (0,3 მ) და დაბალი (1 მ). ციხის ქვედა ეზოს აღმოსავლეთ კუთხეში ციტადელის კოშკების მსგავსი ოთხკუთხა კოშკი დგას. ქვედა ციხის ეზო ფერდობზე იყო მოთავსებული და ვრცელი ტერიტორია ეკავა. გალავნის აღმოსავლეთის ბოლოში მდგარა ოთხკუთხა კოშკი, რომელიც ზემოთ აღწერილი კოშკების მსგავსი იყო. ციხის კედლები, ადრეული ციხეების მსგავსად, გემოვნებითაა აშენებული თანაბარი ზომის ნატეხი ქვით კირის ხსნარზე.



სურ. 3.97.1. საერთო ხედი




სურ. 3.97.2. პანორამული ხედი



სურ. 3.97.3. ადგილმდებარეობის რუკა

3.98. ქვათახევი (ქვაბთახევი) (ინგლ. Kvatakhevi) – ქართული ხუროთმოძღვრების მნიშვნელოვანი ძეგლი, XII–XIII საუკუნეების მიჯნის მონასტერი (სურ. 3.98.1). მდებარეობს ქართლში, კასპის მუნიციპალიტეტში, სოფელ წინარეხიდან 5 კმ-ზე, მდ. კავთურის სათავესთან (სურ. 3.98.2). კომპლექსში შემავალი ნაგებობებია: ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი, გალავანი, კოშკი, სატრაპეზო, სამრეკლო, საცხოვრებელი სენაკები.

ქვათახევი ქართლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მონასტრად ითვლებოდა და დიდებულთა მფარველობის ქვეშ იყო. ქართული საისტორიო წყაროების (ქართლის ცხოვრების გაგრძელების) თანახმად თავდაპირველად იგი XV საუკუნემდე დედათა მონასტერი იყო. 1386 წელს ხვარაზმის ემირის თემურ-ლენგის ლაშქრის შემოსევის დროს მონასტერი გაძარცვეს, და დაარბიეს, ხოლო იქ შეფარებული ხალხი და მღვდელ-მონაზონნი ცეცხლს მისცეს ეკლესიაში. არსებობს გადმოცემა, რომ მონასტერი ხალხმა წმინდა ადგილად შერაცხა და მის ტერიტორიაზე ქალს ფეხი აღარ დაუდგამს. XVI საუკუნის ისტორიული საბუთებიდან ცნობილია, რომ ქვათახევის მონასტერი XIV საუკუნის შემზარავი მოვლენის შემდეგ კვლავ აღორძინდა. XV საუკუნეში მონასტერი აღადგინა საქართველოს მეფემ ალექსანდრე I დიდმა (1412-1442 წწ.). XVII საუკუნეში ქვათახევი მდიდარი და სახელოვანი მამათა მონასტერიa. ვახუშტის დროს აქ არქიმანდრიტი იჯდა. 1735-1740 წლებში მონასტერი დაიკეტა და იქ დაცული სიწმინდეები გამოქვაბულში გადამალეს. XVIII საუკუნის ბოლოს მონასტერი ისევ მოქმედი გახდა. 1809 წელს არქიმანდრიტ დოსითეოსის ძალისხმევით გადამალული განძი აღმოჩენილი იქნა და კვლავ მონასტერს დაუბრუნდა. გადმოცემით ტაძრის საძირკველში ჩატანებულია ღვთისმშობლის სამოსლის მცირე ნაწილი (ტაძარიც მისი სახელობისაა). აქვე დავანებულია ქრისტიანული ეკლესიის უდიდესი სიწმინდე წმ. იოანე ნათლისმცემლის წმინდა ნაწილი და ღვთისმშობლის მიძინების სასწაულთმოქმედი ხატი.



სურ. 3.98.1. საერთო ხედი



სურ. 3.98.2. ადგილმდებარეობის რუკა

საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ის შვილიშვილმა, მონასტერს რესტავრაცია ჩაუტარა. განახლდა პერანგის დიდი ნაწილი, ხოლო შიგნით კედლები შეთეთრდა. კედლების დაზიანებული ნაწილების აღსადგენად XIX საუკუნის რესტავრატორებმა ძველი ტაძრის ქვის მსგავსი მასალა გამოიყენეს, რის გამოც შენარჩუნებულია ნაგებობის საერთო მხატვრული მთლიანობა. ქვათახევის მონასტერი ძევლი ქართული მწიგნობრობის კერა იყო, სადაც სხვადასხვა დროს მოღვაწეობდნენ ცნობილი საეკლესიო პირები, მწერლები და კალიგრაფები: XVI საუკუნეში ფილიპე ბარათაშვილი, XVI-XVII საუკუნეებში იოანე (IX) ავალიშვილი (1612-16 წწ-ში აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი), XIX საუკუნეში ბერი იონა (იოანე) ხელაშვილი, მთავარეპისკოპოსი დოსითეოს (ერისკაცობაში დიმიტრი) ფიცხელაური, 1854-1874 წლებში ქართული კულტურის აქტიური მოღვაწე, კალიგრაფი და მწერალი არქიმანდრიტი ტარასი ალექსი-მესხიშვილი და სხვ.



სურ. 3.98.3. სარკმლის საპირეები

ქვათახევის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარი (ზომები გეგმით გარედან 13,8×20,4 მ.; სიმაღლე შიგნით – 22,3 მ.) ხუროთმოძღვრული ფორმებითა და მორთულობით ახლოს დგას ბეთანიის ტაძართან. ის მიეკუთვნება იმ ძეგლთა ჯგუფს, რომლებშიც საბოლოოდ შემუშავდა ქართული ჯვარგუმბათოვანი ეკლესიის კანონიკური ფორმები. შიგა სივრცე შექმნილია ჯვრის მკლავებითა და მათ გადაკვეთაზე აღმართული გუმბათით. სამხრეთიდან და დასავლეთიდან კარიბჭეებით გაფორმებული თითო შესა-

სვლელია. ფასადები შემოსილია სუფთად გათლილი თეთრი ქვის კვადრებით (თიხისფერ-მოყვითალო ნიჟაროვანი კირქვის პერანგით). ტაძარი უხვადაა შემკული მდიდრული ჩუქურთმებით. მორთულობა თავმოყრილია სარკმლის ირგვლივ (სურ. 3.98.3 – სურ. 3.98.5). აღმოსავლეთ ფასადზე მეორდება სამთავისის კომპოზიცია კუთხით დაყენებული კვადრატები (სურ. 3.98.6), დიდი ჯვარი. უხვადაა მორთული ჩრდილოეთი, დასავლეთი და სამხრეთი ფასადების დიდი შეწყვილებული სარკმლები. მათი მიჯრილი საპირეები მდიდრული სამკაულივით ამშვენებს გლუვი კედლის ზედაპირს. ამ კომპოზიციის შემადგენელი ნაწილია სარკმლებს შორის ამოზრდილი დიდი ჯვარი, რომელიც ზემოთ ფრონტონის წვერომდე აღწევს. განსხვავებული მორთულობა აქვს ტაძრის ჩრდილოეთ ფასადს. აქაც წყვილი სარკმლია, მხოლოდ ჯვრის გარეშე. დამატებით, ჩრდილოეთ ფასადზე შექმნილია ტეხილ საფეხურებად აღმავალი ლილვების კომპოზიცია, რომელიც მხოლოდ ფრონტონის ქვეშ ქმნის თაღოვან მოხაზულობას. გუმბათის ყელი დაგვირგვინებულია მდიდრული ჩუქურთმებით შემკული მაღალი ფრიზითა და ორმაგი კარნიზით, მოჩუქურთმებული სარკმლებით, რომლებიც ერთიანად მორთულ ზედაპირს ქმნის (სურ. 3.98.7).



სურ. 3.98.4. ჩუქურთმები



სურ. 3.98.5.გუმბათის ყელის მორთულობა



სურ. 3.98.6. აღმოსავლეთი ფასადის მორთულობის ფრაგმენტი

ტაძარს სამხრეთით და დასალეთით მინაშენები აქვს. სამხრეთის ეკლესიის თანადროულია, ხოლო დასავლეთი კარიბჭე, წარწერის თანახმად, XVII საუკუნეშია აგებული წინამძღვარ ნიკოლოზ ჩხეიძის მიერ ქართლის მეფის ვახტანგ V შაჰნავაზის და დედოფალ მარიამის მმართველობის დროს (მეფობდა 1658-1675 წწ.). ქვათახევის გალავანი, სიგრძით დაახლოებით 230 მ, რთულ რელიეფს მიუყვება, ამიტომ მისი კედლები სხვადასხვა სიმაღლისაა (2-6 მ). ჭიშკარი სამხრეთითაა. დასავლეთით და სამხრეთით განლაგებულია სხვადასხვა დროის ნაგებობანი. კოშკი (XVII-XVIII სს.) – გალავანშია ჩართული (სურ. 3.98.8), ორსართულიანია (5,5x8,2 მ). დგას მთავარი ტაძრის სამხრეთით. ნაგებია ნატეხი ქვით. კოშკის ორივე სართული საცხოვრებელი იყო. სამრეკლო დგას ორსაფეხურიან ცოკოლზე; აგებულია 1872 წელს. გეგმით ხუთწახნაგაა, სვეტებიანი, რომლებიც ნახევარწრიული თაღებითაა შეკრული. აქვს დაპროფილებული ლავგარდანი. გადახურულია ქვის კონუსური სახურავით. სატრაპეზო – (6,7x10,2 მ) დგას გალავნის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში; ნაგებია ნატეხი ქვით. დასავლეთ კედელში შემორჩენილია ორი დიდი ბუხარი. ჩრდილოეთ კედელში ერთი მართკუთხა სარ-

კმელია. საცხოვრებელი სენაკები – გალავანზე დასავლეთიდანაა მიშენებული. თარიღდება XIX საუკუნით. წინ აქვთ საერთო გალერეა (სურ. 3.98.9). აღსანიშნავია, რომ ქვათახევის ტაძარში დაიწერა ჯვარი (1611 წ.) ქართლის მეფე ლუარსაბ II-მ დიდი მოურავის – გიორგი სააკაძის დაზე.

ქვათახევის მონასტერი თავისი ხუროთმოძღვრებით, მორთულობითა და რომანტიკული მდებარეობით უძლიერეს ემოციურ ზემოქმედებას ახდენს მნახველზე.



სურ. 3.98.7.გუმბათის ყელი



სურ. 3.98.8. კოშკი



სურ. 3.98.9. სენაკები საერთო გალერეით

3.99. ყინწვისის (ყინცვისის) მონასტერი (ინგლ. Kintsvisi Monastery) – ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, სამონასტრო ანსამბლი. მდებარეობს შიდა ქართლში, ქარელის მუნიციპალიტეტში, ძამას ხეობაში, სოფელ ყინწვისის აღმოსავლეთით 3 კმ-ში (სურ. 3.99.1). ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით, „აღწერა სამეფოსა საქართველოჲსა“, XVIII საუკუნეში სოფლის სახელი ყოფილა „ყინცვისი“, ხოლო მელქისედეკ კათოლიკოსის 1020 წლის სიგელში მას „ყინცუისად“ მოიხსენიებენ. კომპლექსში შემავალი ნაგებობებია: წმინდა ნიკოლოზის ეკლესია, ღვთისმშობლის ეკლესია, მცირე ეკლესია, გალავანი, კოშკი-სამრეკლო.




სურ. 3.99.1. ადგილმდებარეობის რუკა



სურ. 3.99.2. საერთო ხედი

მონასტერი დაარსებულია XII–XIII საუკუნეების მიჯნაზე სამეფო კარის ბრძანებით. მთავარ ნაგებობას წარმოადგენს მთლიანად აგურით ნაგებობაშ წმ. ნიკოლოზის სახელობის ჯვარგუმბათოვანი ტაძარი (სურ. 3.99.2; სურ. 3.99.3). ის ტიმოთესუბანთან ერთად ე.წ. „აგურის

ხუროთმოძღვრების“ ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშებს განეკუთვნება და იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენს იმ დროის ქართლში გავრცელებულ ქვის ტაძართმშენებლობაში. მისი ზომებია: სიგრძე – 19,7 მ, სიგანე – 14,0 მ (მინაშენების გარეშე), სიმაღლე შიგნიდან – 24,3 მ. ეკლესიის გეგმა, ზოგიერთი თავისებურებით, კუპელჰალეს ტიპს ენათესავება, თუმცა ეს გარეგნობაში რაიმე განსაკუთრებულ ასახვას არ პოულობს. შიგა სივრცეს ქმნის ჯვრის ოთხი მკლავი, რომელთაგან აღმოსავლეთი მკლავი აფსიდებიანია, დანარჩენი – მართკუთხა. დასავლეთი მკლავი სხვებთან შედარებით გრძელია, ჩრდილოეთის და სამხრეთის – მოკლე. საერთო იერით უახლოვდება ტიმოთესუბანს. სამშენებლო მასალად აგურის გამოყენების გამო, სხვა ქართული ტაძრებისგან განსხვავებით, ყინწვისს არ აქვს დამახასიათებელი ჩუქურთმები და მორთულობები.



სურ. 3.99.3. გეგმა



სურ. 3.99.4.გუმბათის ყელი

საკურთხევლის აფსიდა ერთსაფეხურიანი ბემითაა ამაღლებული. საკურთხევლის გვერდებზე ტრადიციულად სამკვეთლო და სადიაკვნეა. გუმბათქვეშა კვადრატიდან წრეზე გადასვლა განხორციელებულია აფრებით, რომლებზეც ამოყვანილია 12-სარკმლიანი გუმბათის ყელი (სურ. 3.99.4). მაღალი გუმბათის ყელის ზემოთკენ მცირეოდენი დავიწროება და გუმბათქვეშა თაღების შეისრული მოხაზულობა აზიდულობის შთაბეჭდილებას ქმნის ტაძრის ინტერიერში. გუმბათი დასავლეთის ორ, თავისუფლად მდგარ კვადრატულ სვეტსა და საკურთხევლის ბემის შვერილებს ეყრდნობა. ტაძარს სამი შესასვლელი აქვს – ჩრდილოეთის, სამხრეთის და დასავლეთის მხრიდან. ძეგლის თანადროულია დასავლეთი ფასადის მთელ სიგანეზე, ძირითადი კორპუსის გარეთ, დანამატის სახით მიშენებული ნართექსი, სამთაღიანი სტოა და პატრონიკე. მისი შიდა კედლები ზაზა ფანასკერტელის დაკვეთით ჩაუშენებიათ XV საუკუნის II ნახევარში. ნართექსი მთლიანად იყო მოხატული გვიანი შუასაუკუნეების სხვადასხვა პერიოდში. აქ არის ცნობილი მოღვაწის ზაზა ფანასკერტელის ფრესკა. სამხრეთისა და ჩრდილოეთის ეგვტერები, სავარაუდოდ, XIV საუკუნეს განეკუთვნებიან. გარედან, აგურის ფასადები მარტივია, მოკლებულია დეკორს. აღმოსავლეთი ფასადი გაფორმებულია ორი ტრადიციული ნიშითა და ვიწრო მაღალი სარკმლებით. სამკაულით მხოლოდ გუმბათის ყელია შემკული – ლეკალური აგურის ლილვებით გამოყვანილი თაღების რიგი ქვემოთ ლილვისმაგვარ საყრდენებზე აღმოცენებულ შვეულ კედლის სვეტებს ეყრდნობა. ფასადებზე გარკვეულ ეფექტს ქმნის მოვარდისფრო აგურის კედლებისა და დუღაბის ფენათა მონაცვლეობა. თავის დროზე ეკლესია გადახურული იყო მოჭიქული კრამიტით.

ყინწვისის წმ. ნიკოლოზის ტაძარი შიგნით თავიდანვე შეულესავთ და მთლიანად მოუხატავთ, ფრესკების დიდი ნაწილი დაზიანებულია, მაგრამ რაც დარჩა, მხატვრული ღირსებით შუა საუკუნის ქართული მონუმენტური ფერწერის ერთ-ერთ საუკეთესო და მნიშვნელოვან ძეგლს წარმოადგენს. ჩრდილოეთ კედელზე გამოსახული არიან საქართველოს მეფე გიორგი III (1156-1184 წწ.), თამარ მეფე (1184-1210 წწ.) და გიორგი-ლაშა (1210/1213-1223 წწ.). საკურთ-

ხევლის კონქში ღვთისმშობლის მონუმენტური ფრესკაა მჯდომარე ოდიგიტრიას სახით (ბერძ. ოდიგიტრია – გზის მაჩვენებელი). ჩრდილოეთ კედელზე მაცხოვრის აღდგომის კომპოზიციიდან აღსანიშნავია ანგელოზის გამოსახულება (სურ. 3.99.5).



სურ. 3.99.5. ფრესკა. ანგელოზის ფიგურა ჩრდილოეთ კედელზე (სცენა „წმ. დედანი მაცხოვრის საფლავთან“)



სურ. 3.99.6. ინტერიერი

მომხიბლავია მხატვრობის კოლორიტი, ფერთა ჰარმონიულობა. ფონისათვის გამოყენებულია მოცისფრო-მოლურჯო ტონი, შარავანდებისათვის – ოქრო. ფიგურები პლასტიკურია, სამოსის ნაოჭები მსუბუქი, სახეები – მეტყველი. ეკლესიის მოხატულობა შესრულებულია XIII საუკუნის დასაწყისში თამარ მეფის პირველი ვაზირის, მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის ანტონ გლონისთავისძის დაკვეთით, რომლის გამოსახულება ეკლესიის მოდელით ხელში შემორჩენილია სამხრეთი კედლის დაბალ რეგისტრში. ტაძარში გვხვდება ქართული ასომთავრული და ბერძნული ფერწერული წარწერები. საკურთხევლის კანკელის ორნამენტის ფრაგმენტები XVII საუკუნეს მიეკუთვნება. ტაძრის კედლის მხატვრობა რესტავრირებულია 1950, 2000-2002 წლებში (სურ. 3.99.6).



სურ. 3.99.7. ღვთისმშობლის ეკლესია



სურ. 3.99.8. მცირე ეკლესია

ღვთისმშობლის დარბაზული ეკლესია (11,2x7,8 მ) დგას წმ. ნიკოლოზის ეკლესიის ჩრდილო-დასავლეთით, მდ. ძამის ნაპირთან, ფერდობზე. თარიღდება XII-XIII საუკუნეების მიჯნით.

მოხატულობიდან უმნიშვნელო ფრაგმენტებია შემორჩენილი. ნაგებია უხეშად დამუშავებული ქვით (სურ. 3.99.7).

მთავარი ტაძრის დასავლედ კედელთან დგას გვიანდელი ფეოდალური ხანის მცირე დარბაზული ეკლესია (5,1x4,5 მ), ნაგები სხვადასხვა ზომის თლილი ქვის კვადრებით (აგური გამოყენებულია მხოლოდ ინტერიერში) (სურ. 3.99.8). ნაგებობა დგას ორსაფეხურიან დაბალ ცოკოლზე. უსწორმასწორო მოყვანლობის აფსიდი უშუალოდ ებმის დარბაზს. ერთადერთი სამკაულია აღმოსავლეთი ფასადის სარკმლის თავზე გამოსახული ცალმკლავა რელიეფური ჯვარი. თარიღდება გვიანი შუასაუკუნეებით.

ყინვისის მონასტერი თითქმის ყველა ქართველისათვის ცნობადი ძეგლია, რასაც განაპირობებს ტაძარში შემორჩენილი მოხატულობა, კერძოდ კი ფრესკა, რომელზეც ყინწვისის ანგელოზია გამოსახული.

3.100. ტიმოთესუბნის (კიმოთესუბნის) მონასტერი (ინგლ. Timotesubani Monastery) – XII-XIII საუკუნეების მიჯნის ქართული ხუროთმოძღვრების მნიშვნელოვანი ძეგლი, ტიმოთესუბნის მონასტერი (სურ. 3.100.1). მდებარეობს სამხრეთ საქართველოში, ისტორიული თორის შუაგულში, ბორჯომის მუნიციპალიშ, დაბა წაღვერიდან 3 კმ-ში, მტკვრის მარჯვენა შენაკადის მდ. გუჯარეთისწყლის მარჯვენა ნაპირზე. სამონასტრო შენობები განლაგებულია ტერასებზე, ტყიანი მთის ფერდობზე. კომპლექსში შემავალი ნაგებობებია: ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის მთავარი ტაძარი, წმ. ბარბარეს სახელობის მცირე ეკლესია, სატრაპეზო, გალავანი, აგურის კამაროვანი ნაგებობა, რომელსაც გალავანში შესასვლელის ფუნქცია აქვს, საძვალე, სამონასტრო ნაგებობათა ნაშთი.



სურ. 3.100.1. პანორამული ხედი

კომპლექსის მთავარი ნაგებობა – ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარი აიგო თამარის მეფობის ეპოქაში (XII-XIII საუკუნეების მიჯნა) თორის ერისთავთ-ერისთავის, დიდი ქართველი პოლიტიკური მოღვაწის, მეჭურჭლეთუხუცესისა და მანდატურთუხუცესის შალვა თორელი-ახალციხელის მიერ ძველი მონასტრის ნანგრევებზე. მანვე საგრძნობლად გააფართოვა მონასტერი. ტაძარი აშენებულია მოვარდისფრო ქართული აგურით. ტაძრის ზომებია: სიგრძე 13,8 მ, სიგანე – 20,0 მ, სიმაღლე (ჯვართან ერთად) – 28 მ. ჩახაზული ჯვრის ტიპის ცენტრალურ-გუმბათოვან ნაგებობას აღმოსავლეთ მხარეს საკურთხევლისა და პასტოფორიების სამი შვერილი აფსიდა აქვს. შიგნით გუმბათქვეშა კვადრატი დაყრდნობილია დასავლეთით ორ თავისუფლად მდგარ გეგმით რვაწახნაგა ბოძს და აღმოსავლეთით აფსიდის შვერილებს. მოგვიანებით, სხვადასხვა დროს, მხრიდან აგურის, ხოლო სამხრეთის მხრიდან – გათლილი ქვის კარიბჭეები მიუშენებიათ (სურ. 3.100.2). საყურადღებოა, რომ ინტერიერში თაღებს მკვეთრი შეისრული ფორმა აქვთ. პროპორციების მხრივ ტიმოთესუბანი უფრო თანაბარზომიერია, ვიდრე ამ ჯგუფის სხვა ძეგლები. მისი ფასადები სრულიად მოკლებულია დეკორს, ისევე როგორც აგურით ნაშენი სხვა ტაძრები. გარკვეულ მხატვრულ შთაბეჭდილებას აქ ნაგებობის ფერი ქმნის, ფასადები მოვარდისფრო აგურისა და დუღაბის ფენების მონაცვლეობითაა შედგენილი. ტაძრის „სუფთა“ პერანგთან კონტრასტს ქმნის გუმბათის ყელი, ლეკალური აგურის ლილვებით გამოყვანილი თაღებით და კედლის შვეული სვეტებით. სარკმლების გარშემო ჩარჩოები კედლის სიბრტყეების ჩაღრმავებითაა მიღებული. ძლიერ მხატვრულ ეფექტს ქმნის ფირუზისფერი კერამიკული ჩანართები

გუმბათის ყელზე – ჯვრები და მძივივით ასხმული სხვადასხვა ზომის დისკოების სარტყლები შორიდან ძვირფასი ქვებივით ბრწყინავს. დიდი ფირუზისფერი დისკოებია ჩასმული მკლავების ფრონტონების კეხსა და სარკმელს შორისაც. აღსანიშნავია, რომ ტიმოთესუბანში გუმბათის ყელისა და სამხრეთის ფასადის სარკმლებში შემორჩენილია თავდაპირველი ალათები, კერამიკული მთლიანი დაფა შუაში შვეულ ხაზზე ამოჭრილი მრგვალი ნახვრეტებით. ალათები სარკმლის მთელ ღიობს ავსებდა, რის გამოც ეკლესიაში თავდაპირველად ნაკლები შუქი იყო ვიდრე ახლაა.



სურ. 3.100.2. სამხრეთი კარიბჭის ფრაგმენტი



სურ. 3.100.3. ბარბარეს სახ. ეკლესია

ტიმოთესუბნის ტაძარი უფრო მეტად თავისი ფრესკებითაა ცნობილი. ინტერიერი თავიდანვე ერთიანად იყო მოხატული. მხატვრობა შესრულებულია XIII საუკუნის დასაწყისში და თამარ მეფის ეპოქის ბრწყინვალე ძეგლთა რიცხვს მიეკუთვნება. შეიძლება ითქვას, რომ ტიმოთესუბნის ტაძარში ერთ-ერთი ყველაზე რთული მხატვრობაა თავისი პერიოდისათვის. მისი იკონოგრაფიული პროგრამა არაჩვეულებრივად მდიდარი და ტიპურად ქართულია.

ტაძრის ჩრდილოეთით სამონასტრო ნაგებობათა ნაშთია. ზედა ტერასაზე დგას XI საუკუნის თლილი ქვით ნაგები წმინდა ბარბარეს სახელობის მცირე დარბაზული ეკლესია (სურ. 3.100.3.). მონასტრის ტერიტორიაზე შემორჩენილია სხვადასხვა საყოფაცხოვრებო და საცხოვრებელი შენობების ნანგრევი. ცენტრალური ტაძრის ჩრდილო-აღმოსავლეთით ქვისგან ნაგები თაღოვანი საძვალეა. გამოთქმულია ვარაუდი, რომ ეკლესიის ტერიტორიაზე უნდა იყოს დაკრძალული შალვა თორელ-ახალციხელი.

3.101. ლურჯი მონასტერი – XII-XIII საუკუნეების მიჯნის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ტაძარი (სურ. 3.101.1). მდებარეობს ქ. თბილისის ცენტრში, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, ახლანდელი ვერის პარკის მიმდებარედ, ლ. ქიაჩელის ქუჩის ბოლოს. თავდაპირველად, „ლურჯი მონასტერი“ ქალაქიდან მოშორებით, განმარტოებულ ადგილას იდგა და საკმაოდ ვრცელი ფართობი ეჭირა. ამჟამად ტაძარი საცხოვრებელ სახლებსა და ვერის პარკის (ძველი გაბაანთხევის) ტერიტორიას შორისაა მოქცეული. იქვე, სამხრეთით, რამდენიმე მეტრის დაშორებით დგას 1898-1901 წწ-ში კავკასიის მეფისნაცვლის გ. გოლიცინის ინიციატივით აგებული იოანე ღმრთისმეტყველის სახელობის მოზრდილი რუსული ეკლესია. სახელწოდება „ლურჯი“ მონასტერს ცისფერი ჭიქურით დაფარული კრამიტის გამო შეერქვა, რომლითაც თავის დროზე ყოფილა გადახურული მთავარი ტაძარი (მათ ნაშთებს მიაკვლიეს 1948 წელს ტაძრის ეზოში ჩატარებული გათხრებისას). დღეს ეკლესია მოჭიქული კრამიტის ნაცვლად ლურჯად შეღებილი თუნუქის სახურავითაა გადახურული.

„ლურჯი მონასტერი“ აგებულია ძველი ეკლესიის ადგილზე, მისი ცალკეული ნაწილების ჩართვით. გადმოცემით, VII საუკუნეში აქ წმ. იოანე ღვთისმეტყველის სახელობის მამათა მონასტერი იყო. XII საუკუნის მიწურულს ქართლის ყოფილმა მთავარეპისკოპოსმა და თამარ მეფის დროინდელი პოლიტიკური მოღვაწის, ქართლის ერისთავის აბულასანის ძმამ ბასილიმ თავისი საგვარეულო საძვალედ აქ მოზრდილი გუმბათოვანი ტაძარი დადგა, რაზეც სამხრეთი კარის ტიმპანში შემორჩენილი ცხრასტრიქონიანი ასომთავრული წარწერა მოგვითხრობს. საერთო აგებულებით თავდაპირველი ტაძარი უახლოვდებოდა XII–XIII საუკუნეების მიჯნის ქართლის სხვა ეკლესიებს (ბეთანია, ქვათახევი და სხვ.).

წმინდა ანდრია პირველწოდებულის ტაძარი გეგმით მართკუთხა მოხაზულობის, საკურთხევლის შვერილი აფსიდიანი ნაგებობაა. გუმბათი საკურთხევლის ბემის კუთხეებსა და დასავლეთით თავისუფლად მდგომ ორ რვაწახნაგა ბურჯს ეყრდნობა. ღრმა ბემიანი აფსიდის ორივე მხარეს სადიაკვნე და სამკვეთლოა, რომელთა თავზეც მეორე სართულია გამართული. ინტერიერში ცილინდრული კამარები და ისრული ნახევარკამარებია გამოყენებული. შესასვლელი დასავლეთიდან და სამხრეთიდან აქვს. დღესდღეობით თავდაპირველი ტაძრიდან მხოლოდ გეგმა, კედლების ქვედა ნაწილი, წარწერები და აფსიდის სარკმლების მოჩუქურთმებული საპირეებია შემორჩენილი. სამწუხაროდ, ძველი მხატვრობის კვალი არსად შემორჩა. ინტერიერის მოხატულობა მთლიანად ახალია. ტაძარი ნაგებია თლილი ქვითა და აგურით.



სურ. 3.101.1. საერთო ხედი

ლურჯი მონასტერი მრავალჯერ იქნა დარბეული მომხვდური მტრების მიერ. XVII საუკუნეში ტაძარი სპარსელებმა დაანგრიეს. 100 წლის შემდეგ, გაბაშვილთა საგვარეულოს მიერ აღდგენილ იქნა გუმბათის გარეშე. აგურით თითქმის მთლიანად განახლდა ძეგლის პერანგი, ხოლო ინტერიერმა ბაზილიკის სახე მიიღო, ამ დროისაა გვერდითი ნავების შეისრული ნახევარკამარები. დიდი ცვლილებები განიცადა ტაძარმა რუსული მმართველობის დროს. XIX საუკუნის 70-იან წლებამდე აქ რუსული არმიის დენთის საწყობი იყო განთავსებული. 1873 წელს არქიტექტორ ა. ჩიჭოვის პროექტით, ქართული საეკლესიო არქიტექტურის ტრადიციების გაუთვალისწინებლად, ტაძარს სრულიად უცხო ფორმითა და პროპორციებით გაუკეთეს ე.წ. „ხახვისებრი გუმბათი, ხოლო დასავლეთ ფასადზე სამრეკლო მიაშენეს, რასაც საქართველოს ეკლესია ვერ ურიგდებოდა. საბჭოთა ხელისუფლების დროს, 1950-იან წლებში ლურჯ მონასტერში სამხერხაო იყო გახსნილი, მოგვიანებით კი სამედიცინო ისტორიის მუზეუმად გადაკეთდა. ეკლესიაში ღვთისმსახურება 1990-იან წლებში აღსდა. 1997 წელს ტაძარს მოეხსნა რუსული გუმბათი და დაედგა ქართული სტილის გუმბათი ცილინდრული ყელითა და კონუსური ფორმის სახურავით. დაანგრიეს დასავლეთ ფასადზე მიშენებული შეუსაბამო სამრეკლოც, რამაც ლურჯ მონასტერს შეძლებისდაგვარად დაუბრუნა ძველი იერი.




სურ. 3.101.2. ტრაპეზი

თანამედროვე ტაძრის ინტერიერში ყურადღებას იქცევს ტექნიკურად დახვეწილი, მეტად ორიგინალური, ეკლესიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სიწმინდე – ტრაპეზი (სურ. 3.101.2), რომლის ნოვატორული შინაარსი და ფორმათმაძიებლობა გამოარჩევს მას ქართულ ტაძრებში არსებული დანარჩენი ნიმუშებისგან. იგი შინაარსს მორგებული, ფორმაში გამოთქმული ღვთის სიტყვაა. ტრაპეზზე გამოსახული ქერუბიმები, სამოთხის ხეები, ყურძნის მტევნები, მდინარეები ადრეული ნიმუშებიდან არ არის გადმოღებული და ახლებურად და განსხვავე-


ბულადაა მორგებული მარადიულ შინაარსს. მოქანდაკე თავისი ქმნილებით თითქოს გვახსენებს, რომ ტრაპეზი არის „საყდარი, სადაც ქერუბიმთა ზედა მარადის განისვენებს მაცხოვარი, რომელსაც ადიდებენ ანგელოზნი“.

3.102. იკორთა (ინგლ. Ikorta) – XII საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, იკორთის მთავარანგელოზის ტაძარი (სურ. 3.102.1. საერთო ხედი). მდებარეობს შიდა ქართლის მხარეში, გორის მუნიციპალიტეტში, სოფელ იკორთას განაპირას, მთის კალთაზე (სურ. 3.102.2. ადგილმდებარეობის რუკა).

ისტორიული წყაროებით ცნობილია, რომ იკორთის ტაძრის ადგილზე ადრე სამონასტრო კომლექსი ყოფილა გალავნით, კოშკებით, სატრაპეზოთი, წინამძღვრის საცხოვრებლით, ბერების სენაკებით, დამხმარე ნაგებობებით და სხვ. გვიანი შუა საუკუნეებიდან მონასტერი და, საერთოდ, ეს მხარე ქსნის ერისთავებს ეკუთვნოდათ. მათ კი მონასტერი და მისი მიმდებარე ტერიტორიები სიმაგრეებად უქცევიათ. იკორთის სამონასტრო კომპლექსიდან აღარაფერია შემორჩენილი მთავარი ტაძრის გარდა. მისი მშენებლობის შესახებ ცნობებიც მხოლოდ ძეგლის კედლებმა შემოინახეს. ეკლესიაზე რამდენიმე წარწერაა: ტაძრის დასავლეთი ფასადის დიდ წარწერაში მითითებულია, რომ იკორთის ტაძარი აიგო 1172 წელს. ქტიტორთა სახელები იკითხება წარწერაში აღმოსავლეთი ფასადის დიდი ჯვრის ჰორიზონტალური მკლავების ქვეშ. ტაძრის შესახებ ცნობებს შეიცავს დასავლეთ ფასადზე განთავსებული სხვადასხვა დროის წარწერებიც. XIII საუკუნეში მტრის შემოსევების შედეგად ტაძარი ძლიერ დაზიანებულა, რომლის მცირე აღდგენითი სამუშაოები XIV საუკუნეში ჩაუტარებია იოანე ქსნის ერისთავს. ახალი მშენებლობა ქართლის მეფე (1658-1675 წწ.) ვახტანგ V-ის (შაჰნავაზი) დროს, 1672 წელს დაწყებულა და მასში აქტიურად მონაწილეობდა იესე ქსნის ერისთავი. მას საკმაოდ დიდი სამუშაოები ჩაუტარებია – აუგია ბევრი დამხმარე ნაგებობა, სამრეკლო, განუახლებია მთავარი ტაძარი. სამწუხაროდ ამ ნაგებობებიდან არაფერი არ შემორჩენილა. 1739 წელს მტერს სამრეკლოც დაუქცევია, ხოლო XVIII საუკუნის ბოლოს გალავანიც აღარ არსებობდა. რუსეთის მთავრობამ 1811 წლიდან მონასტერი გააუქმა და იკორთის დიდებული ტაძარი ჩვეულებრივ სასოფლო ეკლესიად აქცია. ხუროთმოძღვრული ძეგლი რესტავრირებული იყო საბჭოთა დროს. 1991 წლის ძლიერი მიწისძვრის შემდეგ იკორთაში ჩატარდა აღდგენითი სამუშაოები. (ამჟამად ტაძარი დაზიანებულია ბოლო წლებში ამ ტერიტორიაზე მიმდინარე საომარი კონფლიქტის შედეგად).




სურ. 3.102.1. საერთო ხედი



სურ. 3.102.2. ადგილმდებარეობის რუკა

ცენტრალურ-გუმბათოვანი იკორთის ტაძარს გეგმით არცთუ ძალიან წაგრძელებული მართ-

კუთხედის ფორმა აქვს. გუმბათი საკურთხევლის ბემის რვაწახნაგა ფორმის კუთხეებსა და ორ თავისუფლად მდგარ ასევე რვაწახნაგა სვეტს ეყრდნობა. შიდა სივრცეს აღმოსავლეთით ნახევარწრიული აფსიდი აქვს, რომელშიც საკურთხეველია განთავსებული. აღმოსავლეთის მკლავს აფსიდის კონქი ამთავრებს, დანარჩენი კი კამარებითაა გადახურული. აფსიდის გვერდებზე სადიაკვნე და სამკვეთლოა, მათ თავზე კი მცირე ოთახებია მოწყობილი, ისინი შიდა სივრცეში თაღოვანი მალებით არიან გახსნილნი. გარდა გუმბათის საყრდენი ბოძებისა, დასავლეთ მკლავს დამატებით სვეტების წყვილი, ხოლო მეორე სართულზე სამმხრივი პატრონიკე აქვს გამართული. უნდა აღინიშნოს, რომ იკორთაში პარტონიკეს უკვე აღარ აქვს პრაქტიკული გამოყენება, ეს ნახევრადბნელი ხუროთმოძღვრული ელემენტი თითქმის გამოთიშულია მთავარი სივრცისგან და მას არც ასასვლელი კიბე გააჩნია (აქ მხოლოდ მისადგმელი კიბით შეიძლებოდა მოხვედრა). ტაძარი უხვად ნათდება გუმბათის მაღალ ყელში დატანებული 12 სარკმლიდან. აგრეთვე, აღმოსავლეთის, სამხრეთისა და ჩრდილოეთის მკლავების სამ-სამი, ხოლო დასავლეთის ორი სარკმლიდან შემოსული შუქით. კედელ-კამარები თავიდანვე შელესილი და მოხატული იყო (ფრაგმენტები შემორჩენილია აფსიდში, ჩრდილოეთ კედელსა და გუმბათზე), შესასვლელი აქვს სამხრეთი და დასავლეთი მხრიდან. ახლანდელი დასავლეთი კარიბჭე გვიანდელი მინაშენია. ტაძრის ფასადები და გუმბათის ყელი მდიდრულადაა მოჩუქურთმებული და გამოირჩევა შესრულების მაღალი ოსტატობით (სურ. 3.102.3. გუმბათის ყელი). იკორთის აღმოსავლეთი ფასადის დეკორი თითქმის იმეორებს ფორმულასავით ჩამოყალიბებულ სამთავისის საკურთხევლის ფასადის კომპოზიციას. ორნამენტაციის სიმდიდრით ტაძარს ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია იმ დროის საეკლესიო ნაგებობებს შორის. აღსანიშნავია ფასადებზე გამოყენებული ათამდე გეომეტრიული მოტივი, რომელიც XI საუკუნეში გაჩნდა და ასეული წლების განმავლობაში გასდევდა ქართულ ხუროთმოძღვრებას. კედლები აშენებულია თლილი, ფლეთილი ქვითა და აგურით. ეკლესიის გარეთა ზომებია: 14,0×19,0 მ., სიმაღლე შიგნით 20 მ-მდე.



სურ. 3.102.3. გუმბათის ყელი

იკორთას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქართულ ხუროთმოძღვრების ისტორიაში. ქრონოლოგიურად და მხატვრული სტილისტიკური თავისებურებებით უადრესი ნიმუშია XII–XIII საუკუნეების მიჯნაზე შექმნილი ქართლის გუმბათოვანი ტაძრებისა, რომლებშიც საბოლოოდ შემუშავდა ქართული გუმბათოვანი ეკლესიის კანონიკური სახე.

იკორთა გვიანი შუა საუკუნეებიდან ქსნის ერისთავთა საძვალე იყო. აქ განისვენებენ კახეთის აჯანყების (1659 წ. ბახტრიონის ბრძოლა ყიზილბაშთა წინააღმდეგ) მეთაურები ბიძინა ჩოლოყაშვილი, შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავები., რომელთა ნაწამები ნეშტებიც, საკმაო ხნის გასვლის შემდეგ, ირანიდან გადმოასვენეს და მალულად დაკრძალეს ტაძარში. იკორთაშია აგრეთვე, ცნობილი დრამატურგის, პოეტის, თეატრის მოღვაწის გიორგი ერისთავისა და ქსნის ერისთავების საგვარეულოს სხვა წარმომადგენელთა საფლავები.

3.103. მინდა ციხე (ინგლ. Minda Castle) – ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, XII–XIII საუკუნეების ციხესიმაგრე დასავლეთ საქართველოში. მდებარეობს ამბროლაურის მუნიციპალიტეტში, მდ. რიონისა და ლუხუნის შესართავთან, ლუხუნის მარცხენა ნაპირზე, სოფ. წესის ტერიტორიაზე (სურ. 3.103.1).

XIII-XIV სს-ში მინდა ციხე სამეფო ხელისუფლებას ეკუთვნოდა. იმერეთის მეფე ბაგრატ III-მ (1510-1565 წწ.) ის რაჭის ერისთავს გადასცა. 1769 წ. რაჭის ერისთავის დასჯის შემდეგ იმერეთის მეფე სოლომონ I-მა (1752-1784 წწ.) მინდა ციხე თავის საკუთრებად გამოაცხადა. იმერეთის მეფე სოლომონ II-მ (1789-1810 წწ.) ციხე ცნობილ ქართველ საზოგადო მოღვაწეს სო-

ლომონ ლიონიძეს (1754-1811 წწ.) გადასცა, ხოლო იმერეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ ის რუსეთის ხელისუფლებამ როსტომ ერისთავის შთამომავლებს დაუბრუნა.

იგი რაჭის საერისთავოს მნიშვნელოვანი ციხე იყო. მასზე გადიოდა ონიდან ქვემო რაჭაში და ქვემო სვანეთიდან რაჭაში მიმავალი გზები. შემორჩენილია გალავანი და სამი კოშკი, რომელთაგან დასავლეთისა ცილინდრულია, ჩრდილოეთის და სამხრეთ-აღმოსავლეთისა – ოთხკუთხა. შესასვლელი სამხრეთიდანაა. ციხის აღმოსავლეთით ადრე შუა საუკუნეების მცირე ზომის დაზიანებული ეკლესიაა. ლეგენდის თანახმად, მინდა ციხე თამარ მეფის სურვილით აუგიათ.



სურ. 3.103.1. პანორამული ხედი

3.104. სხალთა (ინგლ. Skhalta Cathedral) – XII-XIII საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, სამონასტრო კომპლექსი (სურ. 3.104.1; სურ. 3.104.2). მდებარეობს აჭარაში, ხულოს



სურ. 3.104.1. საერთო ხედი



სურ. 3.104.2. პანორამული ხედი

მუნიციპალიტეტში, მდ. სხალთის (ხიხანის) ხეობაში, სოფელ ყინჩაურში. კომპლექსში შემავალი ნაგებობებია: ტაძარი, მცირე ეკლესია, მარანი, სამარხები.

დიდი დარბაზული ტიპის ტაძარი შუა საუკუნეების საკულტო არქიტექტურისა და მონუმენტური კედლის მხატვრობის ერთადერთი ნიმუშია აჭარაში. გადმოცემის თანახმად მონასტრის აგება თამარ მეფისა და აჭარის მმართველების აბუსერისძეთა სახელებთანაა დაკავშირებული. სხალთის ტაძარი დარბაზული ტიპისაა საკურთხევლის შვერილი წახნაგოვანი აფსიდით. შესასვლელი სამხრეთიდან (სურ. 3.104.3) და დასავლეთიდან (გაუქმებულია) აქვს. ამჟამად ტაძარს სამივე მხრიდან აქვს მინაშენი. როგორც ჩანს, რესტავრაციამდე მხოლოდ სამხრეთის ფასადის ფართო თაღებით სამმხრივ გახსნილი კარიბჭე იყო შემორჩენილი (არსებული ფოტოების მიხედვით).

ნაგებია თლილი ქვის კვადრებითა და რიყის ქვით. შენობის ფართო და მაღალი შიდა სივრცე ნახევარწრიული კამარით არის გადახურული. ნაგებობის გრძივი კედლები სამსაფეხურიანი პილასტრებითაა დანაწევრებული. კედლიდან მძლავრად გამოწეულ პილასტრებს კედლის თაღები და კამარის საბჯენი თაღები ეყრდნობა. თაღების ზემოთ, პილასტრების იმპოსტების დონეზე ვიწრო სარტყელია გავლებული. უკანასკნელი აფსიდზეც გადის. თაღის მალებში კარები და სარკმლებია გაჭრილი. ამის გარდა, აქ მოწყობილია ფართო, ღრმა ნიშები. ტაძრის საკურთხევლის ნაწილი გამოყოფილია დამატებითი განიერი თაღით, რომელიც სქელ, მძიმე, წაკვეთილ პილასტრებს ეყრდნობა. აფსიდის სამი თანაბარი სიდიდის სარკმელი მოთავსებულია ერთ დონეზე. სარკმლების ქვემოთ სამი ნიშაა, რომელთაგან შუა გა-

მოირჩევა თავისი სიდიდით. მარჯვენა ნიშას თაღის ერთი ქვა ჩუქურთმით არის დაფარული. ასეთივე მოჩუქურთმებული ქვები ჩაყოლებულია კიდევ ძეგლის კედლების სხვადასხვა ადგილას. საინტერესოა ჩრდილოეთ ფასადის კედელში ჩატანებული ქვა, რომლის ჩუქურთმის მოტივი X-XI საუკუნეთა მიჯნით თარიღდება. ტაძრის გარეგანი ფორმები მასიურია და მძიმე. დარბაზული სივრცის ძირითადი მასივი დახურულია მაღალი ორქანობიანი სახურავით, ხოლო საკურთხევლის აფსიდი – კონუსური სახურავით.



სურ. 3.104.3. სამხრეთის შესასვლელი



სურ. 3.104.4. სარკმლის მორთულობა

ფასადების დიდი გლუვი სიბრტყეები მხოლოდ კარ–სარკმლების მოჩუქურთმებული საპირეებით არის მორთული (სურ. 3.104.4). სარკმელთა თავზე, მხოლოდ ერთი რიგის საპირე ქვების გამოტოვებით, გავლებულია კარნიზი. ფასადს აგვირგვინებს მაღალი, კონუსისებური სახურავი. კარის მოჩარჩოება სარკმელთა საპირეებთან საერთო ხასიათისაა. ტაძარი კარიბჭითურთ მთლიანად იყო მოხატული. დღეისათვის ფრესკები ძირითადად საკურთხეველში, კამარაზე და დასავლეთ კედელზე შემორჩა. 1997 წელს ჩატარებული ფართო მაშტაბის სარესტავრაციო სამუშაოების შემდეგ (რესტავრატორი გ. ჭეიშვილი) წარმოჩნდა, რომ სხალთის მოხატულობა ქართული მონუმენტური ფერწერის ერთ–ერთი საინტერესო და თავისი დროის გამორჩეული ნიმუშია. მხატვრულ-სტილისტური თავისებურებებით ტაძრის მხატვრობა XIV-XV საუკუნეებს უნდა განეკუთვნებოდეს. მარანი, რომელიც გზის პირას, ტაძრიდან მოშორებით მდებარეობს, მართკუთხა ფორმის მოზრდილი ნაგებობაა. მისი შიდა გადახურვა კამაროვანია. აქ დღესაც ინახება ძველი საწნახელი და მიწაში ჩამარხული უზარმაზარი ქვევრები. სხალთის ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე, განსაკუთრებით კი მცირე ეკლესიის მახლობლად, შუა საუკუნეებშივე გაჩნდა სასაფლაო, რომელიც რამდენიმე ასეული წელი ფუნქციონირებდა. სამაროვანის სიდიდე და მრავალფეროვანება მოწმობს, რომ განვითარებულ შუა საუკუნეეში სხალთის მოსახლეობა საკმაოდ მრავალრიცხოვანი იყო. 1981 წელს წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად სამარხთა ოთხი ძირითადი ტიპი გამოვლინდა: ორმო–სამარხები, ამოშენებულკედლიანი სამარხები, ქვის სამარხები და აკლდამა. მოსახლეობის სოციალურად დაწინაურებული ფენის ნაწილი ტაძარში და მის გარეთ, აღმოსავლეთის კედელთან იყვნენ დაკრძალული. საინტერესოა, რომ წარმართული რელიგიისათვის დამახასიათებელი სამარხეული ინვენტარის ჩაყოლების წესი აქ ქრისტიანულ საფლავებშიც შემორჩა: სასმისები, რკინის და ბრინჯაოს ჯვრები, ზანზალაკები, მონეტები და ა.შ.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ჩატარებული სარესტავრაციო სამუშაოების შედეგად განახლებული ტაძარი მოქმედ ეკლესიათა რიგში ჩადგა და, ამჟამად, წარმოადგენს სხალთის ეპარქიის საკათედრო ტაძარს.

3.105. წერაქვის მონასტერი (ქალაფა) – XII-XIII საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, ქვემო წერაქვის სამონასტრო კომპლექსი (სურ. 3.105.1). მდებარეობს ქვემო ქართლში, მარნეულის მუნიციპალიტეტში, მდინარე შულავერის წყლის მარცხენა შენაკადის ხევში, სოფელ წერაქვიდან 2,5 კმ-ის დაშორებით. კომპლექსში შემავალი ნაგებობებია: ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესია, ორი მომცრო ზომის წმინდა გიორგისა და მიქაელ მთავარანგელოზის დარბაზული ტიპის ეკლესია, სამრეკლო, სატრაპეზო, მარანი, სენაკები, გალავანი და სხვადასხვა სამეურნეო დანიშნულების ნაგებობები.

მთავარი ნაგებობა – ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ორნავიანი დარბაზული ეკლესია, შემაღლებულ, დატერასებულ გორაკზე დგას. ადგილის სიმცირის გამო ეკლესიას სამხრეთით სუბსტრუქცია აქვს გაკეთებული, აღმოსავლეთით ახლოს კლდოვანი ფერდია, ხოლო ჩრდილოეთი ნავის ჩრდილოეთი ფასადი, მთავარი ნავის ზემო ნაწილის გარდა, მთის ფერდს ებჯინება. ნაგებია კარგად გათლილი ქვის კვადრებით. ინტერიერის კედლებისთვის გამოყენებულია გასწორებული წინა პირიანი უხეშად დამუშავებული ქვა. კამარა და კონქი ნატეხი ქვითაა გამოყვანილი. მოხატულობის კვალი, ფრაგმენტის სახით, შემორჩენილია ეკლესიის დასავლეთ კედელზე. ღვთისმშობლის ტაძარს სამხრეთ-აღმოსავლეთი მხრიდან, აქვს მინაშენი, მცირე სამლოცველო, ერთი სათავსით და აფსიდით, რომელში მოხვედრაც მხოლოდ მთავარი ნავიდანაა შესაძლებელი, სხვა შესასვლელი მას არ გააჩნია. სამხრეთ მინაშენს გარედან მართკუთხა მოხაზულობა აქვს. ნაგებობას სამხრეთიდან და დასავლეთიდან აქვს ღია თაღოვანი კარიბჭეებიანი შესასვლელი.



სურ. 3.105.1. საერთო ხედი


წერაქვის ეკლესია ერთმანეთისგან საკმაოდ განსხვავებული ორი ნავისგან შედგება. მთავარი სივრცე ბევრად ფართო და მაღალია, ჩრდილოეთის კი მოკლებულია დამოუკიდებელ მნიშვნელობას. ის ორი კვადრატული ბოძითა და სამი თაღითაა გამოყოფილი მთავარი სივრცისგან და ვიწრო ბნელი დერეფნის სახე აქვს. ორივე ნავი შვერილი აფსიდით სრულდება. აქედან საკურთხევლის დიდი აფსიდი გარედან ხუთწახნაგოვანია, ხოლო ჩრდილოეთის მცირე - სამი. აფსიდსა და დასავლეთ კედელში თითო სარკმელია გაჭრილი, სამხრეთის მინაშენში ორი (ერთი სარკმელი აქვს ჩრდილოეთი ნავის სადგომსაც). ინტერიერში თაღები, ბოძები და კედლის სვეტები თლილი ქვითაა ამოყვანილი. გარედან ტაძრის სამხრეთი და დასავლეთი ფასადები უფრო გულდასმითაა დამუშავებული ვიდრე აღმოსავლეთის (ჩრდილოეთის ფასადის კედელი გლუვია). ორი მცირე ზომის ტოლმკლავა რელიეფური ჯვარი ამკობს საკურთხევლის სარკმლის სათაურს. აღსანიშნავია, რომ ეს სარკმელი საპირის გარეშეა. მისგან განსხვავებით, სამხრეთი და დასავლეთი სარკმლები წნული ლენტოვანი ორნამენტებით მოჩუქურთმებულ არშიებშია ჩასმული. ტაძრის მთავარი ხუროთმოძღვრული აქცენტი მაინც კარიბჭეებია, რომელთაც მხოლოდ ორი ღია თაღი აქვთ სამხრეთით და დასავლეთით. მესამე მხარეს დასავლეთ კარიბჭეს ყრუ კედელი აქვს (ჩრდილოეთით მთის ფერდოს გამო), ხოლო სამხრეთის კარიბჭე სამლოცველოს კედელს ებჯინება. ჩრდილოეთისა და სამხრეთის მხრიდან აქვს მინაშენი. ჩრდილოეთის მინაშენის აღმოსავლეთი მხარე აფსიდურია, სამხრეთის – მართკუთხა. სამხრეთიდან და დასავლეთიდან აქვს ღია თაღოვანი კარიბჭეებიანი შესასვლელი.

ორივე კარიბჭე მხატვრული თვალსაზრისით საკმაოდ მდიდრულადაა გაფორმებული. სამხრეთი კარიბჭის თავზე ორნამენტული გვირგვინია (სამხრეთის კარიბჭე თითქმის მთლიანად იყო დანგრეული. ამჟამად აღდგენილია). აღმოსავლეთ დიდი აფსიდის სარკმლის მარჯვენა მხარეს კედელში შემორჩენილია მთავრულ-ნუსხური წარწერიანი ქვა, სადაც მოხსენიე-

ბულია ქართლის ძლიერი ფეოდალური საგვარეულოს ფუძემდებელი „დიდი ფანასკერტელი“, ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილი, რომელსაც ღვთისმშობლის ეკლესია XV საუკუნის ბოლო მეოთხედში აღუდგენია და განუახლებია. XXI საუკუნის დასაწყისში წერაქვის მონასტერში ჩატარდა სარესტავრაციო სამუშაოები და ამჟამად აქ მოქმედი მამათა მონასტერია.

აღსანიშნავია, რომ სოფ. წერაქვში განთავსებულია ამ სოფლის მკვიდრის, ცნობილი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის მიხეილ ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმი.


3.106. თიღვის მონასტერი – XII საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, სამონასტრო კომპლექსი (სურ. 3.106.1). მდებარეობს შიდა ქართლის მხარეში, ქარელის მუნიციპალიტეტში (ზნაურის რაიონი), სოფელ თიღვის ტერიტორიაზე. კომპლექსში შემავალი ნაგებობებია: ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი, გალავანი, სამრეკლო, მარანი, ზეთის სახდელი, სამონასტრო ნაგებობები. მათგან მხოლოდ ტაძარი და გალავნის ნაშთია შემორჩენილი.



სურ. 3.106.1. საერთო ხედი. ჩრდილოეთი ფასადი

არსებული ქტიტორული წარწერის თანახმად, პატრონიკეს შესასვლელის ტიმპანში, ტაძარი ქართლის მეფე დავით აღმაშენებლის ასულს, თამარს, თავისი ქმრის შირვანის მეფის, გარდაცვალების შემდეგ აუგია 1150-1152 წლებში და იქვე მონაზვნად აღკვეცილა (გადმოცემის თანახმად იქვე უნდა იყოს დაკრძალული). ერთი მხრივ, თიღვის ტაძარი ქართული არქიტექტურის ტრადიციებს მისდევს, მაგრამ სხვა მხრივ, განსხვავებული და გამორჩეული ნაგებობაა.

ტაძარი ჯვარ-გუმბათოვანი ნაგებობაა. ძირითადი კორპუსი გეგმაში საკმაოდ წაგრძელებული და მართკუთხაა ზომებით (16,0x12,0 მ) (გარეთა ზომებია 14,5×24,0 მ. სიმაღლე შიგნით 22,0 მ.). აღმოსავლეთი მკლავი ნახევარწრიული აფსიდით და პასტოფორიებით ბოლოვდება, ხოლო დანარჩენი სამი მკლავი მართკუთხა ფორმისაა (სურ. 3.106.2). გუმბათის თორმეტწახნაგა ყელი აღმოსავლეთით აფსიდის კედლების შვერილებს ეყრდნობა, ხოლო დასავლეთით – თავისუფლად მდგომ ორ სვეტს. საყრდენებიდან გუმბათის წრიულ ყელზე გადასვლა ხორციელდება აფრების მეშვეობით. აფსიდის სივრცეში განთავსებული საკურთხეველი დარბაზიდან ქვის კანკელით ყოფილა გამოყოფილი, რომელიც შემდეგ ხის მოხატულმა კანკელმა შეცვალა. საკურთხეველი მორთული ყოფილა მოზაიკით, თუმცა მას დღემდე არ მოუღწევია (ისევე, როგორც ტაძრის ინტერიერის ფრესკებს). საკურთხევლის ორივე მხარეს ცილინდრული კამარით გადახურული სადიაკვნე და სამკვეთლოა, რომელთაც აფსიდური მომრგვალება აქვთ კონქური გადახურვით. მათ თავზე მართკუთხა ოთახებია გამართული. ინტერიერის ხუროთმოძღვრული დეტალები მარტივია და მოკლებულია სამკაულებს. აქ ყურადღებას იპყრობს პატრონიკეთა სვეტისთავები, რომელთაც გადაბრუნებული წაკვეთილი პირამიდის სახე აქვთ. ტაძრის თავისებურებაა დასავლეთით მოთავსებული ნართექსი და პატრონიკე მის თავზე. სამ ნაწილად გაყოფილი ნართექსი, მთავარ სივრცეს ერთი ფართო კარით უკავშირდება (გარეთ გასასვლელი სამი კარი ამოქოლილია). პატრონიკე დასავლეთ მკლავს სამი მხრიდან შემოუყვება. მის გვერდით მონაკვეთებს მეორე სართულის დონეზე მკლავების



სურ. 3.106.2. გეგმა

სამხრეთ-დასავლეთი და ჩრდილო-დასავლეთი კუთხეები უჭირავთ, ხოლო დასავლეთი ნაწილი პირდაპირ ნართექსის თავზეა გამართული. პატრონიკე ექვსი თაღითაა დაკავშირებული ტაძრის ძირითად ნაწილთან (სამივე მხარეს განლაგებულ დაბალ მრგვალ სვეტებს ორ-ორი ღია თაღი ეყრდნობა). თავის დროზე თიღვა ძალიან საინტერესო ხუროთმოძღვრული ანსამბლი უნდა ყოფილიყო. შიგნით ტაძარს არ განუცდია არსებითი ტრანსფორმაცია. სამაგიეროდ, გარედან აკლია მნიშვნელოვანი მინაშენები, სამხრეთის და ჩრდილოეთის ეგვტერები. დღეს უკვე აღარ არსებობს ტაძრის ჩრდილოეთ მხარეს აგებული შენობაც, რომელთანაც პატრონიკეს დასავლეთი მონაკვეთი ქვის საგანგებო გადასასვლელით იყო დაკავშირებული (ასეთი კავშირის დამადასტურებელია მეორე სართულის დონეზე შემორჩენილი მდიდრული საპირით მორთული კარი). თიღვის ტაძარი გამორჩეულია იმ დროის სხვა ქართული საკულტო ნაგებობებისგან. მისი თავისებურებაა ფასადების ასკეტიზმი. ამ პერიოდის გუმბათიან ეკლესიათა შორის ის ერთადერთია, სადაც არც ფასადებზე და არც გუმბათზე არ გამოიყენება დეკორაციული თაღები (თაღები აქვს მხოლოდ დასავლეთის სამთაღოვან შესასვლელს). ჩუქურთმის გარეშეა დარჩენილი გუმბათის ყელის სარკმლებიც, რომელიც, ჩვეულებრივ, განსაკუთრებით უხვად იყო მორთულ-მოკაზამული. ფასადების კედლების ასკეტურ „სიმყუდროვეს“ მხოლოდ პატრონიკედან სამონასტრო შენობაში გასასვლელი კარის, ჩრდილოეთი კარიბჭის და სამხრეთის ერთადერთი სარკმლის ჩუქურთმები არღვევს. ტაძრის მორთულობის ელემენტებს შორისაა მოსახსენიებელი დასავლეთი ნართექსის უჩუქურთმო, ვარსკვლავისებრი დამუშავებული სამი კამარა და მარაოსებრი აფრები.



სურ. 3.106.3.ორნამენტული მოტივი „ბაგირი“. სამხრეთის ფასადი

აღმოსავლეთი ფასადი სადაა. ნაგებია ყვითელი, სუფთად გათლილი ქვის კვადრებით. ფასადის ერთადერთი მორთულობა სარკმლის არშიებია, რომლებზედაც გვხვდება ორნამენტული მოტივი „ბაგირი“ (გრეხილი) (სურ. 3.106.3).



სურ. 3.106.4. ჩრდილოეთი ფასადი. პატრონიკეს შესასვლელი

დასავლეთი ფასადის სიუჟეტი აღმოსავლეთის ფასადის მოხაზულობას იმეორებს, მაგრამ ამასთან თავისებურ გადაწყვეტას იძლევა, წინ არის გამოწეული პატრონიკესა და სტოას მიერ შექმნილი, კარნიზით დამთავრებული მთლიანი სიბრტყე, რისთვისაც გამოყენებულია შედარებით დიდი, კარგად დამუშავებული ქვის ფილები. მათი უმეტესი ნაწილი დაზიანებულია და გვიან არის შეკეთებული.

სამხრეთის ფასადის წყობა შედარებით კარგად არის შენახული. ამ ფასადის დეკორაციული მორთულობა თავისებურია. პატრონიკეს სამი ვიწრო სარკმელი სადა და უბრალოა. მარჯვენა მხარის მრგვალი სარკმელი იმეორებს აღმოსავლეთის სარკმლის ჩარჩოს ცალფა ლილვაკს. მდიდრულად გაფორმებულია მხოლოდ შუაში გამოჭრილი ფართო და მაღალი სარკმელი (სურ. 3.106.4).

ჩრდილოეთით ტაძარს აქვს კარიბჭე. კარიბჭეზე მიდგმულია ეგვტერი და შენობის ნარჩენი, რომელიც თავის დროზე იყო დაკავშირებული პატრონიკეს ასასვლელთან. კარიბჭე ოთხკუთხაა, აქვს კარი, დგას ორსაფეხურიან საძირკველზე. მორთულია ჩუქურთმებით.

მონასტერს შემოვლებული ჰქონდა ნახევარწრიული ფორმის ბურჯებიანი გალავანი, რომლის სამხრეთში დიდი ალაყაფის კარი იყო ჩადგმული ზემოდან დაშენებული სამრეკლოთი. ეზოს ჩრდილოეთ მხარეს, გალავანსა და ტაძარს შორის სამონასტრო შენობათა ნანგრე-

ვებია, ხოლო მარანი და ზეთსახდელი გალავნის გარეთ, აღმოსავლეთით ყოფილა აშენებული. ბურჯებში, გარეთა მხრიდან თახჩებია მოწყობილი.

სამწუხაროდ, ტერიტორია სადაც განთავსებულია თიღვის მონასტერი, 2008 წლის შემდეგ ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის მიერ.

3.107. ხცისის ეკლესია – XI საუკუნის (1002 წ.) ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, ხცისის იოანე ნათლისმცემლის ეკლესია (წვიმოეთის ეკლესია) (სურ. 3.107.1), მდებარეობს შიდა ქართლის მხარეში, ხაშურის მუნიციპალიტეტში, სოფელ ხცისის (ძველი სახელწოდება წვიმოეთი) სამხრეთ-აღმოსავლეთით 1,5 კმ-ში, ტყეში (სურ. 3.107.2).




სურ. 3.107.1. საერთო ხედი

აღმოსავლეთ ფასადზე არსებული ასომთავრული სამშენებლო წარწერის მიხედვით ეკლესიის მშენებლობა დაუწყია სამეფო კართან (გურანდუხტ დედოფალთან) დაახლოებულ ძლიერ ფეოდალს ანანია მთავარეპისკოპოსს, გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფის ბაგრატ III-ის მმართველობის ხანაში (975-1014 წწ.). გადმოცემის თანახმად, სოფლის სახელწოდება წვიმოეთი უკავშირდება საქართველოს მეფეს (1089-1125 წწ.) დავით აღმაშენებელს, მელიც თავისი ამალით, ერთი კვირით გაჩერებულა ამ ადგილას და მთელი კვირის განმავლობაში წვიმას არ გადაუღია.



სურ. 3.107.2. ადგილმდებარეობის რუკა



სურ. 3.107.3. გეგმა

იოანე ნათლისმცემლის ეკლესია დარბაზული ტიპის, გეგმით თითქმის კვადრატული ფორმის ნაგებობაა. აზიდული პროპორციები დახვეწილობის, ელეგანტურობის შთაბეჭდილებას უქმნის მნახველს (ნაგებობის ზომებია: გარედან სიგანე 7,6 მ., მინაშენებიანად (15,5x14,3 მ) (სურ. 3.107.3). დარბაზის კედლები დანაწევრებულია ორ-ორი ძლიერად შვერილი სამსაფეხურიანი კედლის სვეტებით, რომლის განაპირა საფეხურს კედლის თაღები ეყრდნობა, ხოლო დანარჩენ ორს – კამარის საბჯენი თაღები. სამხრეთით მთელი ეკლესიის სიგრძეზე აფსიდით დაბოლოებული სტოა-ეგვტერია მიშენებული, ჩრდილოეთით მართკუთხა უაფსიდო სათავსი, რომელსაც შესასვლელი მხოლოდ შიდა სივრციდან აქვს. ამ მოკლე სათავსზე დასავლეთით დამოუკიდებელი კვადრატული ოთახია მიმატებული, რომელიც ტაძრის სივრცეს არ უკავშირდება. უნდა აღინიშნოს, რომ მინაშენები ნაგებობის თანადროულია ტაძარი შიგნიდანაც და გარედანაც ნაგებია კარგად გათლილი ქვიშისფერ-მოვარდისფრო ქვის კვადრებით. ეკლესიას ორი, სამხრეთის და დასავლეთის, შესასვლელი აქვს. ჩრდილოეთის კედელში გაჭრილია მინაშენში გასასვლელი კარი. აღმოსავლეთ, სამხრეთ და დასავლეთ

კედლებში თითო სარკმელია, აფსიდის სარკმლის ორივე მხარეს კედელში წყვილი მაღალი ნახევარწრიული ნიშია გაკეთებული. ეკლესიის ფასადთა დამუშავების მხრივ ხცისი თავისი დროის ერთ-ერთი მოწინავე ნაგებობაა. აქ გამოყენებულია იმ დროისთვის შემუშავებული რეპერტუარის ძირითადი მოტივები: ფასადების დეკორაციული თაღები, ფართო თაღოვანი საპირეები, კიდეებაკეცილი თაღოვანი სათაურები, მართკუთხა საპირეები, ტიმპანები, დამოუკიდებელი რელიეფიანი ფილები სხვადასხვაგვარი ჯვრების, ფანტასტიკურ არსებათა, ცხოველთა და ფრინველთა გამოსახულებებით. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა აღმოსავლეთის და დასავლეთის ფასადები, რომლებიც ხელუხლებლადაა შემორჩენილი (გარდა ზემო ნაწილისა). ხცისის ოსტატი თავისუფლად უდგება ფასადთა მხატვრული დამუშავების ამოცანას, არ ეშინია დადგენილ წესებიდან გადახვევის, ვერ ეგუება სტატიკურობას და თამამად ქმნის ცხოველხატულ ეფექტებს.

სარკმლების საპირეები ყველგან მოჩუქურთმებულია (სურ. 3.107.4) აღმოსავლეთ ფასადზე სამი თაღია. შუა თაღი ამაღლებულია. ასეთივე თაღებია დასავლეთ ფასადზეც. დეკორაციული, კრონშტეინებზე დაყრდნობილი თაღები ჰქონდა გაკეთებული სამხრეთ კედელსაც. თაღები მოჩუქურთმებული ყოფილა (სურ. 3.107.5. მორთულობა და წარწერები), ფასადებზე რელიეფებია - ჯვრის ვარიაციები, ცხოველთა და ფრინველთა გამოსახულებანი (სურ. 3.107.6- სურ. 3.107.9: აღმოსავლეთი ფასადის რელიეფები).



სურ. 3.107.4. ეკვდერის სარკმელი



სურ. 3.107.5. მორთულობა და წარწერები დასავლეთ ფასადზე



სურ. 3.107.6. რელიეფური ფილა აღმოსავლეთ ფასადზე



სურ. 3.107.7. რელიეფური ფილა აღმოსავლეთ ფასადზე



სურ. 3.107.8. რელიეფური ფილა აღმოსავლეთ ფასადზე




სურ. 3.107.9. რელიეფური ფილა აღმოსავლეთ ფასადზე

ხცისის ტაძარს მთავარი შესასვლელი სამხრეთიდან აქვს. კარიბჭის გარეთ გახსნილი მრგვალ სვეტზე დაყრდნობილი თაღები X საუკუნისთვის დამახასიათებელ ნიშნებს ატარებს. ფასადებს ამკობს ტაძრის თანადროული წარწერები. აღმოსავლეთ ფასადზე ნაგებობის დამათარიღებელი, ხოლო დასავლეთზე სამი მავედრებელი წარწერაა, სხვადასხვა ისტორიულ პირთა სახელებით. ისინი ძალაინ ლამაზი ასომთავრულითაა შესრულებული.

ხცისის ეკლესიას 2006 წელს მიენიჭა ეროვნული მნიშვნელობის უძრავი ძეგლის სტატუსი.

3.108. სავანის ეკლესია (ინგლ. Savane church) – XI საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, სავანის წმინდა გიორგის ეკლესია (სურ. 3.108.1). მდებარეობს იმერეთის მხარეში, საჩხერის მუნიციპალიტეტში, სოფელ სავანეში.


ეკლესიის სამხრეთისა და დასავლეთის შესასვლელების ტიმპანზე არსებული წარწერების თანახმად ეკლესია 1046 წელს აუგია ადგილობრივ ფეოდალს, ერისთავთერისთავ გიორგი გულზვიადის ძესა და ხუროთმოძღვარ ჰარაბას, ხოლო აღმოსავლეთი ფასადის წარწერაში ნათქვამია, რომ მშენებლობაში მთელი სოფელი იღებდა ნივთიერ მონაწილეობას. საინტერესო ცნობებს შეიცავს ტაძარზე არსებული სხვა წარწერებიც. უდავოდ, სავანის წმ. გიორგის ეკლესია XI საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი საუკეთესო ქმნილებათაგანია. შენობის პროპორციები ჰარმონიული და დახვეწილია. მოტივებით უხვი და მდიდარი მორთულობა ორგანულადაა შეხამებული ნაგებობის ხუროთმოძღვრულ ფორმებთან.




სურ. 3.108.1. საერთო ხედი

ეკლესია დარბაზული ტიპის ერთნავიანი ნაგებობაა, რომელსაც სამხრეთით მთელ სიგრძეზე გასდევს მოგვიანებით მიშენებული სტოა-კარიბჭე. კარიბჭე და „საქალებო“. ნაგებობა სიდიდით ბევრად სჭარბობს სხვა ერთნავიან ეკლესიებს, მაგრამ სადიაკვნე და სამკვეთლო მას არ აქვს. აფსიდში სარკმლის ორივე მხარეს თითო ღრმა ნახევარწრიული მოხაზულობის თაღოვანი ნიშია გაკეთებული. ეკლესიას ჩრდილოეთი კედელი ყრუ აქვს. საკურთხევლის გარდა შენობას სამხრეთით სამი, ხოლო დასავლეთით ერთი სარკმელი აქვს. სავანის ეკლესიის გარეგნობა სავსებით დასრულებულ, ჩამოყალიბებულ მხატვრულ სურათს წარმოგვიდგენს. უნდა აღინიშნოს, რომ შეკეთებულ და გადაკეთებულ „საქალებოს“ თუ არ მივიღებთ მხედველობაში, ნაგებობამ ხელუხლებლად მოაღწია ჩვენამდე. მთავარი სავანის წმინდა გიორგის ეკლესიაში მისი მხატვრული ღირსებაა. ტაძრის ფასადების პერანგისთვის თბილი, მსუბუქი „აქვარელური“ ფერის წმინდა მარცვლოვანი კრისტალური კირქვაა გამოყენებული. კედლის სიბრტყე აქ არსებით როლს ასრულებს. მიუსედავად თაღებისა და სარკმელებისა, კედლელბი არაა გადატვირთული. მორთულობის სისტემა არ ჩრდილავს მის მნიშვნელობას. სავანის ოსტატი სავსებით ჩამოყალიბებული პრინციპების, მკაცრი გემოვნების მქონე ხელოვანია. განსაკუთრებით ეს ჩანს აღმოსავლეთ და დასავლეთ ფასადებზე, სადაც არ არის დარღვეული სამთაღიანი კლასიკური კომპოზიციის ფორმულა. ორივე ფასადი სრულიად სიმეტრიულია, განაპირა თაღების არეები სუფთაა, ინტენსიურია შუა ღერძების შემადგენლობა: აღმოსავლეთით კიდეებაკეცილი თაღოვანი სათაურით დაგვირგვინებული სარკმელია (სურ. 3.108.2), რომლის საპირის ქვემო კუთხეებს ებმის ერთნაირი ზომის მცირე მოჩუქურთმებული დისკოები; სარკმლის ზემოთ საფეხურიან კვარცხლბეკზე აღმართული χვარია. ფრონტონის კეხის ქვეშ დიდი დისკოა, რომელიც ერთიანადაა შევსებული ცენტრიდან გამომავალი სხივებით. მსგავსი სარკმელი აქვს დასავლეთ ფასადსაც, მხოლოდ მის მაღლა კეხის ქვეშ დისკოს ნაცვლად ხახადა-

ღებული ლომის რელიეფური ფიგურაა ჩასმული. უხვად დაჩუქურთმებული ფართო საპირითაა მოჩარჩოებული ტიმპანიანი შესასვლელი (სურ. 3.108.3), რომელიც სამხრეთი კარიბჭის ფარგლებშია მოქცეული. მორთულობის მხრივ ის ერთ-ერთი უმდიდრესია საქართველოში. მდიდარია კარიბჭის ორნამენტაციაც, რომლის პარალელები XI საუკუნის პირველ ნახევარში გვაქვს. ინტერიერში XI საუკუნის მდიდრულად მოჩუქურთმებული თაბაშირის კანკელია, რომელიც XIX საუკუნეში რესტავრაციის დროს ძლიერ დაზიანებულა. ეკლესიის ჩუქურთმებით დამშვენებული კარნიზების, სარკმლებისა და ორი პორტალის საპირეების დეკორი ახლოსაა კაცხის ეკლესიის გარშემოსავლელთან და ნიკორწმინდის არქიტექტურასთან. ეკლესიის დასავლეთით აგებული სამრეკლო XIX საუკუნის II ნახევარს მიეკუთვნება. ეკლესიის ზომებია: სიგრძე 15,9 მ, სიგანე უკარიბჭეოდ – 8,35 მ, კარიბჭიანად – 14,5 მ, სიმაღლე შიგნით – 10,3 მ.



სურ. 3.108.2. აღმოსავლეთის ფასადის სარკმლის საპირე



სურ. 3.108.3. დასავლეთის ფასადის ტიმპანიანი შესასვლელი

3.109. მაღალაანთ ეკლესია – XII საუკუნის დასასრულის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, მაღალაანთ ეკლესიის კომპლექსი (სურ. 3.109.1). მდებარეობს შიდა ქართლის მხარეში, კასპის მუნიციპალიტეტში, სოფელ წინარეხიდან სამხრეთით 2,5 კმ-ზე, მდინარე კავთურას



სურ. 3.109.1. საერთო ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან



სურ. 3.109.2. ადგილმდებარეობის რუკა

ნაპირზე, გზის პირას (სურ. 3.109.2). კომპლექსში შემავალი ნაგებობებია: მაღალაანთ ეკლესია, სოლომონ მაღალაძის კოშკი-სამრეკლო, პაპუა მაღალაძის სამრეკლო-საძვალე, ზემო კოშკი (პაპუა მაღალაძის კოშკი), აფთიაქი, გალავანი, კოშკის და სხვა ნაგებობათა ნანგრევები გალავნის გარეთ.

XII-XIII საუკუნეებში სოფ. წინარეხის ტერიტორია ივანიძეების მფლობელობაში იყო. XIV საუკუნიდან კი სამეფო კართან და ქართლის კათოლიკოსებთან დაახლოებული ძლიერი აზნაურების – მაღალაძეების (მაღალაშვილების) საკუთრებაში გადავიდა. გვარმა განსაკუთრებულ სიძლიერეს XVII საუკუნის II ნახევარში მიაღწია. მაღალაძეებს მნიშვნელოვანი თანამდე-

ბობები ეკავათ ქართლის კათოლიკოსების კარზე. გვარის ცალკეულ წარმომადგენლებს საგვარეულოდ ჰქონდათ მცხეთის ქადაგის თანამდებობა, სახლთუხუცესობა და მდივან-მწიგნობრობა. ამ პერიოდში გვარის მეთაური ნიკოლოზ ქადაგის (მოხსენიებულია სვეტიცხოვლის საკურთხევლის სარკმლის ქვეშ არსებულ წარწერაში) ვაჟი პაპუა მაღალაძეა. მის დროს მაღალაძეებმა ახალი ნაგებობებით გააფართოეს მონასტერი, შეაკეთეს მაღალაანთ ეკლესია, დადგეს კანკელი და სხვ.

ეკლესია დარბაზულია (12,2x10,6 მ). ნაგებია მოყვითალო ფერის ქვიშაქვის კარგად გათლილი კვადრებით. პილასტრები, კაპიტელები, საბჯენი თაღები, კარის თაღი და წირთხლები თლილი ქვისაა. ეკლესია ორსაფეხურიან ცოკოლზე დგას. შესასვლელი სამხრეთი მხრიდანაა. გადახურვის ცილინდრული კამარის საბჯენი თაღი ეყრდნობა დარბაზის გრძივი კედლების წყვილ პილასტრებს. ინტერიერი მოხატული ყოფილა. განირჩევა ორი ფენა. პირველი – ნათელი, ხოლო მეორე – მუქი კოლორიტით. მოხატულობამ დიდი დაზიანებებით მოაღწია ჩვენამდე.



სურ. 3.109.3.
აღმოსავლეთის ფასადი



სურ. 3.109.4. დასავლეთის ფასადი

ფასადები მდიდრულადაა გაფორმებული (სურ. 3.109.3; სურ. 3.109.4). დეკორატიული მიზნით ფირუზისფერი ქვაცაა გამოყენებული. XI საუკუნის ერთნავიან ნაგებობებთან შედარებით მაღალაანთ ეკლესიას განსხვავებული გარეთა პროპორციები აქვს. ის მეტად აზიდული და მსუბუქია. ხუროთმოძღვრის არაჩვეულებრივ მხატვრულ ალღოს მოწმობს შეფარდებათა ჰარმონიულობა, ხოლო მორთულობის სისტემა მის შემოქმედებით დამოუკიდებლობას ადასტურებს. ოსტატი მექანიკურად კი არ იმეორებს დეკორაციული თაღედის გავრცელებულ სტერეოტიპს, არამედ საკუთარი ამოცანის შესაბამისად უცვლის სახეს. სამხრეთ ფასადზე (სურ. 3.109. 1) მიდგმულია ასიმეტრიული ფორმის ეგვტერი-კარიბჭე, რომელიც ფასადს მთელ სიგრძეზე ეკვრის და ამდიდრებს ტაძრის არქიტექტურის სივრცით კომპოზიციას. ერთადერთი შესასვლელიც აქედანაა. ეგვტერის შესასვლელი ნაწილი ტრადიციისამებრ შემაღლებული და ფრონტონიანია. მას მარცხნივ მოკლე უბე აქვს, ხოლო მარჯვენა ნაწილი გრძელია და აფსიდიანი. მთელ ნაგებობას ჩუქურთმიანი ფრიზით შემკული ორნამენტირებული კარნიზი აქვს შემოვლებული (სურ. 3.109.5). ფასადები და სარკმლის საპირეები დამშვენებულია ქვაზე ნაკვეთი ქართული ჩუქურთმებით (სურ. 3.109.6; სურ. 3.109.7).



სურ. 3.109.5. კარნიზი ჩუქურთმებიანი ფრიზით



სურ. 3.109.6. აღმ. ფასადის სარკმლის მორთულობა



სურ. 3.109.7. რელიეფური ჯვარი დასავლეთის ფასადზე

ტაძარი ერთიანად მხატვრულად გააზრებული ხუროთმოძღვრული ნაგებობაა მთლიანადაც და წვრილმანებშიც. მის დახვეწილ სილამაზეს და მიმზიდველობას აძლიერებს კედლის ფერადოვნებაც. გამოთქმულია მოსაზრება, რომ მაღალაანთ ეკლესია იმავე ოსტატების ნახელავი უნდა იყოს, რომელთაც იქვე ახლოს მდებარე ქვათახევის უმშვენიერესი ტაძარი ააგეს. ამის საფუძველს იძლევა ჩუქურთმების ზუსტი მოტივის დამთხვევა, მათი ერთანაირი გამოყენება, შესრულების მაღალი ხარისხი და მანერა.

ზემო კოშკი (პაპუა მაღალაძის კოშკი) მთელ კომპლექსს ზემოდან დაჰყურებს (სურ. 3.109.8). კოშკზე არსებული წარწერის თანახმად, იგი 1679 წელს აუგია პაპუა მაღალაძეს. კოშკი ხუთსართულიანია. მეხუთე თავღია იყო და მაღალი კედლით გარშემორტყმული. მეოთხე სართული გამოირჩეოდა სხვებისგან, მას აგურის კამაროვანი გადახურვა ჰქონდა. დანარჩენი სართულშუა ხის გადახურვა არ შემორჩენილა. კოშკს სარკმლების ნაცვლად სათოფურები ჰქონდა გაკეთებული. მიუხედავად I და III სართულზე კარებების არსებობისა, მას მუდმივი კიბე არ ჰქონდა. ნაგებობა არ იყო საცხოვრებლად აგებული, მაგრამ III და IV სართულებში ბუხრები მაინც იყო გაკეთებული. სათოფურებს და ბუხრის თაღებს შეისრული მოხაზულობა აქვთ, რაც გვიანი შუა საუკუნეებისთვისაა დამახასიათებელი. სვანური ტიპის დამაგვირგვინებელი, მაშიკულების მსგავსი გადმომჯდარი თაღების მწკრივი ყველაზე არსებითია ამ ნაგებობაში. XVII საუკუნისთვის დამახასიათებელი ხერხია, თუმცა არც თუ ისე ხშირი, კოშკის კედლების რელიეფებით შემკობა. მთავარი ფასადის მეორე სართულზე კედელში ჩართულია წმ. გიორგის რელიეფური გამოსახულებიანი ფირუზისფერი ქვა; მეორეზე ვეშაპის დამთრგუნავი ცხენოსანი წმ. გიორგია აგურისფერ ქვაში გამოკვეთილი; მესამეზე ირემზე მონადირე ვეფხვი და კიდევ ერთი კბილებდაკრეჭილი ცხოველია გამოსახულია. ნაგებობის ზომებია 6,0x6,0 მ; სიმაღლე – 13,0 მ. ნაგებია აგურითა და ნატეხი ქვით, დუღაბის სქელი ფენით.

გალავნის შიგნით დგას პაპუა მაღალაძის სამრეკლო-საძვალე (3,72x3,7 მ), რომელიც თავდაპირველად (XVI-XVII სს.) კოშკი იყო, შემდეგ კი პაპუა მაღალაძემ, სიკვდილის წინ (1681 წ.), საძვალედ გადააკეთა (სურ. 3.109.9). ორსართულიანი სამრეკლო თავდაპირველად ოთხივე მხარეს გახსნილი ყოფილა. ამოშენების შემდეგ ინტერიერი მთლიანად მოუხატავთ (შემორჩენილია ფრაგმენტები). მაღალაანთ ეკლესიის სამრეკლო ერთადერთია საქართველოში, რომელსაც არ აქვს ზარების ჩამოსაკიდი ფანჩატური (ან ჩვენამდე არ მოუღწევია).

სოლომონ მაღალაძის კოშკი-სამრეკლო გალავნის სამხრეთ კედელშია ჩაშენებული და მისი პირველი სართული კომპლექსის ტერიტორიაზე შესასვლელს წარმოადგენს. სამხრეთის ფასადზე არსებული წარწერის თანახმად აგებულია 1716 წელს რევაზ სახლთუხუცესის

შვილის, სოლომონის მიერ. სამსართულიანი კოშკი-სამრეკლო გეგმით კვადრატულია (5,0x5.0 მ). ნაგებია აგურითა და რიყის ქვით. მეორე სართულზე სათოფურების კვალი ჩანს; მესამე სართულიდან შემორჩენილია მხოლოდ წრიული იატაკის საფუძველი.



სურ. 3.109.8. პაპუა მაღალაძის კოშკი



სურ. 3.109.9. პაპუა მაღალაძის სამრეკლო-საძვალე

1937-1941 წლებში ეკლესიას საფუძვლიანი რესტავრაცია ჩაუტარდა – გამოიცვალა სახურავი, კარიბჭის კამარა, სამხრეთი ფასადის დიდი ნაწილი; აღდგა ფრონტონის მარჯვენა კუთხე, ჩრდილოეთის კედელი და სხვ. მაღალაანთ ეკლესია, წინარეხის სხვა ეკლესიებთან ერთად, კვლავ ამაყად გადმოგვყურებს XII საუკუნის გადმოსახედიდან და კიდევ ერთხელ შეგვახსენებს შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების დახვეწილობასა და სიდიადეს.

3.110. გუდარეხის მონასტერი – XII-XIII საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების მნიშვნელოვანი ძეგლი (სურ. 3.110.1). მდებარეობს ქვემო ქართლის მხარეში, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, სოფელ გუდარეხის მიდამოებში, ტყეში (სურ. 3.110.2). კომპლექსში შემავალი ნაგებობებია: მთავარი ტაძარი, სამრეკლო, საჭამნო, ჯვრიანი შენობა, ჩუქურთმიანი შენობა, ზღუდე, ჭიშკარი, სასახლე, საჯინიბო, მარანი, სენაკი I, სენაკი II, სენაკი III, შენობა I, შენობა II, პილასტრებიანი შენობა, კლდეში გამოკვეთილი ნაგებობები და შალვას ეკლესია.

სამონასტრო კომპლექსის ნაგებობათა ერთი ჯგუფი – სასახლე, საჯინიბო, მარანი, საჭამნო, სენაკები, ჯვრიანი შენობა, ჩუქურთმიანი შენობა, ზღუდე, ჭიშკარი, პილასტრებიანი შენობა, კლდეში გამოკვეთილი ნაგებობები მიეკუთვნება XII საუკუნეს, მთავარი ტაძარი და სამრეკლო – XIII საუკუნეს, ხოლო პილასტრებიანი შენობის მინაშენები – XVI-XVII საუკუნეებს.



სურ. 3.110.1. საერთო ხედი



სურ. 3.110.2. ადგილმდებარეობის რუკა

ტაძარს ორი მინაშენი ჰქონია. ჩრდილოთის მხრიდან მიშენებული აქვს აფსიდიანი ეგვტერი, რომელშიც რაღაც ძველი ნაგებობის (შესაძლოა X-XI საუკუნეების) ნაშთებია ჩართული. ეს მინაშენი ფარავს ტაძრის თლილი ქვით ნაშენ პერანგს, რაც მის


გვიანდელობაზე უნდა მიუთითებდეს (თუ თავდაპირველად ამ მხარეს ეგვტერის აშენება იყო გადაწყვეტილი, მაშინ ძირითად კედელს ქვის პერანგით არ შემოსავდნენ). ეგვტერის კედლებისთვის ძველი ქვებიც არის გამოყენებული, მათგან ორი ქვა წარწერიანია (წარწერები პალეოგრაფიულად X-XI საუკუნეებზე მიგვითითებს). ერთი მთავრული ასოებიანი წარწერიანი ქვა კედლის წყობაში შვეულად არის ჩასმული, რაც იმას, მოწმობს, რომ ქვა სხვა ადგილიდან არის მოტანილი და მეორედაა გამოყენებული. სხვა შემთხვევაში, ბუნებრივია, წარწერას შვეულად არავინ მოათავსებდა. მეორე გვიანი ხანის კარიბჭე ტაძარს სამხრეთის მხრიდან ჰქონდა. ორივე ეს მინაშენი ამჟამად დანგრეულია.

ტაძრის სამხრეთ კედელზე მოთავსებული წარწერის თანახმად გუდარეხის მთავარი ტაძარი აუგია ხუროთმოძღვარ ჭიჭაფორისძეს. თამარ მეფის ქალიშვილის რუსუდანის მეფობის (1223-1245 წწ.) დროს.


ტაძარი ერთნავიანი დარბაზული ნაგებობაა. ნაშენია კარგად გათლილი კვადრებით. აღმოსავლეთ ფასადზე იმ დროის გუმბათოვანი ტაძრებისთვის შემუშავებული, უკვე კანონიკურად ქცეული სქემაა გამოყენებული (მცირე ვარიაციით): საკურთხევლის სარკმლის ორივე მხარეს, კედელში ვიწრო, შუა ღერძისკენ გადაწეული, ლილვებითა და სამყურა კუწუბებით მორთული თითო სამკუთხა ნიშია ჩასმული, ამ ნიშებში გადის საკურთხევლის აფსიდის ორი სხვა სარკმელი. ნიშებს თავზე სამ-სამი რელიეფური კოპი აზის (სურ. 3.110.3); კომპოზიციის ცენტრში დიდი, ჩუქურთმიანი კვადრატული საპირით მოჩარჩოებული თაღოვანი სარკმელია. მას თავზე უზარმაზარი ჯვარი აზის (სურ. 3.110.4), ხოლო ქვემოთ რომბების წყვილი აქვს გამობმული (სურ. 3.110.5). აღსანიშნავია, რომ გუდარეხში ცვლილება განიცადა ფასადების გაფორმების დეკორაციულმა კომპოზიციამ, რომელიც სამთავისიდან მოყოლებული დიდი ხნის მანძილზე კანონად იყო ქცეული. გუდარეხში აღარ არის გარე კედლების დეკორაციული თაღედი. ამ დროიდან თანდათანობით მეტ მნიშვნელობას იძენს გლუვი ზედაპირიანი კედელი. აღმოსავლეთისგან განსხვავებით დანარჩენი ფასადების კედლები მცირედაა დანაწევრებული. ჩუქურთმები მაღალ პროფესიულ დონეზეა შესრულებული (სურ. 3.110.6). ინტერიერში აქა-იქ შემორჩენილია კედლის მხატვრობის ძლიერ დაზიანებული ფრაგმენტები. გუდარეხის მთა-



სურ. 3.110.3. აღმოსავლეთი ფასადის ნიში



სურ. 3.110.4. ჯვარი აღმოსავლეთის ფასადზე



სურ. 3.110.5. მოჩუქურთმებული კვადრატები აღმოსავლეთის ფასადზე



სურ. 3.110.6. რელიეფი. გუდარეხის მფარველი

ვარი ეკლესიის კანკელში ძველი, XII საუკუნის კანკელის ფრაგმენტები იყო ჩართული, რომელიც ამჟამად თბილისში, ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმშია დაცული.

კომპლექსის თვალსაჩინო ძეგლი – ორსართულიანი სამრეკლო (სურ. 3.110.7) ეკლესიის აღმოსავლეთით გალავანშია ჩართული. აგებულია 1278 წელს მეფე დემეტრე თავდადებულის (1259 - 1289 წწ.) ხანაში. იგი ყველაზე ადრინდელი დათარიღებული სამრეკლოა საქართველოში. გალავნის ხაზში ჩართული სამრეკლოს ქვედა სართული (კუბი) ფართო გამჭოლი თაღებით გახსნილ ეკლესიის ეზოში შესასვლელს წარმოადგენს. ზემოთ რვაღიობიანი ფანჩატურია, ხოლო მათ შუა – სადგომია გაკეთებული. ზემოთ ასასვლელი ქვის კიბე გუდარეხის სამრეკლოს გარედან ჰქონდა მიდგმული.



სურ. 3.110.7. სამრეკლოს რელიეფი

მთავარი ტაძრის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობს ქართული საერო ხუროთმოძღვრების საინტერესო ნაგებობა – სასახლე, რომელიც აშენებულია ხელოვნურად შექმნილ ბაქანზე. საშენ მასალად თლილი ქვა და ქვიტკირია გამოყენებული. სასახლის სიგრძეა 17,8 მ, სიგანე – 7,0 მ. მისი დარბაზი ორსართულიანია. სავარაუდოდ მას ორი მხრიდან მინაშენები ჰქონია. სასახლის პირველ სართულზე განთავსებულია მარანი საწნახლით, ტკბილის დასაგროვებელი აუზითა და ქვევრებით (სურ. 3.110.8; სურ. 3.110.9). სამონასტრო კომპლექსს გარს არტყია 400 მ სიგრძის გალავანი, რომელიც დიდი ზომის კირქვის თლილი ქვებითაა ნაგები. კედლის სიმაღლეა 1,75-4,0 მ, სისქე – 0.7-0.6 მ. გალავნის მთელ სიგრძეზე, ყოველ 8 მეტრში, ჩალაგებულია მრგვალი და წახნაგოვანი ბურჯები, რომლებშიც საბრძოლო ხვრელებია დატოვებული. სამოსახლოს დასავლეთ ნაწილში გალავნის კედელზე მიშენებულია საჯინიბო, რომლის ზომებია: სიგრძე – 13.2 მ, სიგანე 5,3-დან 5,8 მ-მდე. კედლების წყობა შესრულებულია თლილი საპირე ქვებითა და ქვითკირით და ისეთივე სისქისაა, როგორც გალავნის (0,8 მ). მონასტრის დანარჩენი ნაგებობები მხოლოდ ნანგრევების სახითაა შემორჩენილი.



სურ. 3.110.8. რელიეფი ქვევრით




სურ. 3.110.9. მარნის რელიეფი

3.111. დრისის ციხე – XII-XIII საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, თამარის ციხე, დრისის ჯავახაანთ ციხე (სურ. 3.111.1). მდებარეობს შიდა ქართლის მხარეში, კასპის მუნიციპალიტეტში, სოფელ ჭყოპიანის დასავლეთით 0,5 კმ-ში, მდ. თეძმის მარცხენა ნაპირას. კომპლექსში შემავალი ნაგებობებია: ციხე-გალავანი, ეკლესია, კოშკი, სასახლე, სამეურნეო დანიშნულების ნაგებობები.



სურ. 3.111.1. პანორამული ხედი



სურ. 3.111.2. გენგეგმა: 1-ეკლესია; 2-კოშკი; 3-სასახლე

ციხეს შემოვლებული ჰქონდა რთული მოხაზულობის გალავანი (სურ. 3.111.2). რომელიც ნაგებია ქვიშაქვითა და რიყის ქვით. ციხე-გალავანი ორიარუსიანია. ზედა იარუსზე, სამხრეთით კოშკი დგას, ჩრდილოეთით – სასახლე (ამჟამად დანგრეულია), ხოლო მათ შუაში წმინდა გიორგის სახელობის დარბაზული ეკლესიაა ჩასმული. ტრაპეციის ფორმის აფსიდიან ნაგებობას შესასვლელი დასავლეთით აქვს. იგი შიგნიდან თაღოვანია, გარედან გადახურულია არქიტრავის ქვით, რომელზეც გამოყვანილია არქივოლტით შემოსაზღვრული ნახევარწრიული ტიმპანი. ჩრდილოეთ კედელში სათოფურია გაჭრილი, ხოლო სამხრეთის ფასადზე კედელში ჩასმულ ფილაზე ამოკვეთილია მცენარეული ორნამენტი. ნატეხი ქვიშაქვით ნაგები ოთხსართულიანი კოშკი გეგმით მართკუთხედის ფორმისაა (5,8x3,9 მ). აქვს სათოფურები. ნაგებობის შიდა სივრცე ძლიერ დაზიანებულია – ჩამონგრეულია მეოთხე სართულის ზედა ნაწილი და სართულშუა გადახურვები.



სურ. 3.112.3. ადგილმდებარეობის რუკა



სურ. 3.112.4. დასავლეთის შესასვლელი

XIII საუკუნე

3.112. წუღრუღაშენი – XIII საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ძეგლი, წუღრუღაშენის წმ. გიორგის სახელობის ეკლესია (სურ. 3.112.1; სურ. 3.112.2). მდებარეობს ქვემო ქართლის მხარეში, ბოლნისის მუნიციპალიტეტში, სოფელ ქვემო ბოლნისიდან 2 კმ-ში, მდ. ბოლნისისწყლის მარჯვენა ნაპირას, მთის ფერდობზე (სურ. 3.112.3). კომპლექსში შემავალი ნაგებობებია: ეკლესია, გალავანი.

ისტორიული ცნობები ძეგლის შესახებ არ მოგვეპოვება. ტაძრის დასავლეთის კარის (სურ. 3.112.4) მარჯვნივ არსებული ათსტრიქონიანი წარწერის (ტაძარში სულ სამი წარწერაა) მიხე-




სურ. 3.112.1. პანორამული ხედი



სურ. 3.112.2. საერთო ხედი

დვით დადგენილია, რომ ტაძარი აუგია ვინმე ჰასან არსენის ძეს (საისტორიო წყაროებში ეს პიროვნება უცნობია) საქართველოს მეფის გიორგი ლაშას მმართველობის წლებში (1213-1223 წწ.). თითქმის იდენტურ ტექსტს შეიცავს მეორე წარწერა სამხრეთი კარის არქიტრავის მორთულ ქვაზე (მესამე, დასავლეთი კარის თავზე დაწყებული წარწერა, დაუსრულებელი დარჩა). მრავალი საუკუნის განმავლობაში ეკლესია უკაცრიელი ყოფილა. ადგილი, სადაც ტაძარი დგას და დღეს წუღრუღაშენის სახელითაა ცნობილი პირველად წერილობით წყაროებში XVII საუკუნის 20-იან წლებში, ორბელიანების შემოსავლის ნუსხაშია ნახსენები. ამ დროიდან მოყოლებული სოფელი წუღრუღაშენი (ამ სახელწოდებით ორი დასახლებული პუნქტი არსებობდა) რამდენჯერმე ფიგურირებს საბუთებში. ვახუშტი ბატონიშვილი თავის ნაშრომში (XVIII საუკუნის I ნახევარი) ამ ადგილების აღწერისას მოიხსენიებს იმ დროისთვის უკვე დიდი ხნის გაუქმებული და უკაცრიელი წუღრუღაშენის მონასტრის გუმბათიან ეკლესიას. როდის იყო აქ მონასტერი ან იყო თუ არა უცნობია, ეკლესიის გარშემო სხვა შენობების კვალი არ იკითხება. დღემდე გაურკვეველია, რა მიზეზებმა გამოიწვია ისტორიის ფურცლებიდან ამ მშვენიერი ნაგებობის ამოშლა. ტაძრის პირდაპირ, დასავლეთით, მდ. ფოლადაურის გაღმა მდებარეობს V საუკუნის სახელგანთქმული ბოლნისის სიონის ბაზილიკა. ოდნავ მოშორებით – VI საუკუნის ქვემო ბოლნისის სამეკლესიიანი ბაზილიკა (ბოლნის-ქაფანაქჩი), ხოლო მათ შუა – XVI-XVII საუკუნეების მცირე ზომის ეკლესიები და სამრეკლოები, რომელთა შესახებაც საკმაო მასალაა ქართულ წყაროებში.



სურ. 3.112.5. გეგმა

ტაძარი გეგმით ბეთანია-ქვათახევ-ფიტარეთის ჯგუფს მიეკუთვნება, თუმცა უფრო მცირე ზომისაა და გუმბათის ყელსაც ძლიერ აზიდული პროპორციები აქვს. ის ნაგებობის დომინანტია, მისი დამაგვირგვინებელი ნაწილია. აღსანიშნავია, რომ წუღრუღაშენის ტაძრის გუმბათის ყელი ყველაზე მაღალია ამ ჯგუფის ხუროთმოძღვრულ ნაგებობებს შორის. გუმბათის ყელის ატყორცნილობას ხელს უწყობს ტაძრის ქვედა კორპუსის ზომები - საკუთრივ შენობა ვიწროა, ხოლო განივი მკლავები მოკლე. მათ თავზე აღმართული ათსარკმლიანი გუმბათის ყელის სიგანის შეფარდება სიმაღლესთან 1:3-ია (მსგავსი პროპორცია სხვაგან უცნობია), რის გამოც გუმბათი შიგნიდან ნამდვილ ჭას ემსგავსება. ძეგლის გარეთა ზომებია: 8,8×12,8 მ., სიმაღლე შიგნით 16,7 მ.

ტაძარი ტიპური ქართული ჯვარ-გუმბათოვანი, გეგმით მართკუთხა (სურ. 3.112.5) ნაგებობაა. შიდა სივრცე შექმნილია ოთხი მკლავისაგან, რომელთაგან აღმოსავლეთის აფსიდიანია, ხოლო დანარჩენები – მართკუთხა. აღმოსავლეთის მკლავში განლაგებულია საკურთხეველი ნახევარწრიული მოხაზულობის ბემიანი აფსიდი პასტოფორიებით ორივე მხარეს. სადიაკვნე და სამკვთლოს თავზე სათავსები აქვს ჯვრის მკლავები დასავლეთით და აღმოსავლეთით გრძელია, ხოლო განივი სამხრეთის და ჩრდილოეთის – მოკლე,.



სურ. 3.112.6. აღმოსავლეთის ფასადის ფრაგმენტი


ტაძრის შიდა სივრცის გადაწყვეტის თავისებურებას წარმოადგენს სამხრეთის და ჩრდილოეთის გუმბათქვეშა ორსართულიანი თაღები, სადაც ზემო თაღების დონეზე, განივი მკლავების ფარგლებში, გაურკვეველი ფუნქციის, პატრონიკეების მსგავსი სადგომებია გამართული. ისინი ექვსი მეტრის სიმაღლეზეა მოწყობილი და იქ ასასვლელი კიბე ინტერიერში არაა (ალბათ ხის მისადგმელი კიბით სარგებლობდნენ). სამხრეთის მკლავის მეორე სართულის სათავსიდან სახურავზე გასასვლელი მცირე ზომის ხვრელებია დატოვებული. მკლავებში გადახურვა კამაროვანია და ისრული თაღებითაა გახსნილი. ინტერიერში იგრძნობა სივრცის სიმჭიდროვე და განათების ნაკლებობა. ტაძარი თავის დროზე ერთიანად ყოფილა მოხატული, გუმბათის ყელის გამოკლებით. ფერწერის ფრაგმენტები აქა-იქ დღესაცაა შემორჩენილი ინტერიერში. ჩრდილოეთით ტაძარს მიშენებული აქვს ეგვტერი, რომელიც აღმოსავლეთ ნაწილში აფსიდით ბოლოვდება. იგი სავარაუდოდ საგვარეულო საძვალეს წარმოადგენდა (სამხრეთი ეგვტერი ახლა დანგრეულია). მინაშენი გადახურულია უშუალოდ კედლებზე დაყრდნობილი ქვის კამარით. ფასადები მოპირკეთებულია მოყვითალო ფერის თლილი ქვის კვადრებით, ხოლო თაღები, პილასტრები, აფსიდისა და კარის წირთხლები გამოყვანილია თლილი ქვით. ძეგლი უხვადაა შემკული მდიდრული ქართული ჩუქურთმებით წუღრუღაშენის ტაძარი შუასაუკუნეების ქართული არქიტექტურის ერთ-ერთი უნიკალური ქმნილებაა (სურ. 3.112.6 - სურ.3.112.12). ამჟამად აქ აღდგენილია ღვთისმსახურება.



სურ. 3.112.7. სამხრეთი ფასადის ფრაგმენტი



სურ. 3.112.8. დასავლეთი ფასადის ფრაგმენტი



სურ. 3.112.9. სამხრეთი კარის არქიტრავის მორთულობა



სურ. 3.112.10. ჩუქურთმა




სურ. 3.112.11. ჩუქურთმა



სურ. 3.112.12. დასავლეთი კარის ტიმპანი

3.113. კაზრეთის სამება – XIII საუკუნის I ნახევრის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, კაზრეთის სამების ეკლესია (სურ. 3.113.1). მდებარეობს ქვემო ქართლში, ბოლნისის მუნიციპალიტეტში, დაბა კაზრეთის აღმოსავლეთით 2,5 კმ-ზე, ხშირტყიანი ხევის ფერდობზე, (სურ. 3.113.2). კომპლექსში შემავალი ნაგებობებია: ეკლესია, გალავანი, სატრაპეზოს ნანგრევები.

შემორჩენილი ნაგებობებისა და გალავნის ნაშთის მიხედვით დადგენილია, რომ აქ მნიშვნელოვანი სამონასტრო კომპლექსი არსებობდა. სამების ეკლესია აგებულია მეფე ლაშა გიორგის (1213-1223 წწ.) მმართველობის წლებში. ეკლესია გეგმით წაგრძელებული მართკუთხედის ფორმის დარბაზული ტიპისაა, რომლის შიდა სივრცე მძლავრ პილასტრებზე დამყარებული განმბჯენი თაღებითაა დანაწევრებული. ნაგებობას პორტალებით შემკული ორი შესასვლელი დასავლეთიდან და ჩრდილოეთიდან აქვს (სურ. 3.113.3). აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ტაძრის შესასვლელი ჩრდილოეთიდან ქართულ ხუროთმოძღვრებაში იშვიათად გვხვდება. ამ შემთხვევაში ეს თავისებურება ეკლესიის ადგილმდებარეობიდან გამომდინარეობს (ძეგლთან მისასვლელი ჩრდილო-დასავლეთიდანაა, საითკენაც კუთხის ბურჯებით გაძლიერებული გალავნის შესასვლელია. ტაძარს სხვადასხვა დროის დანამატები აქვს. ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრიდან მიშენებულია აფსიდიანი მცირე ზომის სადგომი-ეგვტერი, რომელ-



სურ. 3.113.1. საერთო ხედი

საც დამოუკიდებელი შესასვლელი აქვს და ტაძრის მთავარ სივრცეს არ უკავშირდება. სამხრეთ-დასავლეთიდან სხვა წაგრძელებული გეგმის მინაშენიც ყოფილა, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია. სხვა მიშენებებიც ყუფილა, რომლებსაც ჩვენამდე არ მოუღწევია. ტრადიციული საეკლესიო გეგმარებისგან განსხვავებითაა გადაწყვეტილი აღმოსავლეთი ნაწილი – აფსიდის გვერდებზე ორი სადგომის (სადიაკვნე, სამკვეთლო) ნაცვლად მოწყობილია – ერთი, ჩრდილოეთის მხარეს კედლის სისქეში, სამხრეთით კი ცრუ კამარაა.



სურ. 3.113.2. ადგილმდებარეობის რუკა



სურ. 3.113.3. დასავლეთი პორტალი

ეკლესია ძირითადად ნაგებია კარგად გათლილი მოყვითალო ფერის ტუფის კვადრებით. პერანგის წყობაში ჩართული ბაცი მომწვანო ქვები ფერადოვნებას ანიჭებს და აცოცხლებს ტაძარს. ფასადების მორთულობა მარტივადაა გადაწყვეტილი და დამახასიათებელია იმ პერიოდის ხუროთმოძღვრებისთვის. კედლის გლუვი სიბრტყეები შემკულია მოჩუქურთმებულ ჩარჩოში ჩასმული დიდი თაღოვანი და პატარა მრგვალი, საპირიანი სარკმლებით (სურ. 3.113.1; სურ. 3.113.4).



სურ. 3.113.4. სამხრეთის ფასადი



სურ. 3.113.5. ფანჯრის მოჩარჩოების ფრაგმენტი

აღმოსავლეთ ფასადს მოკრძალებული დეკორი აქვს – ცენტრში ერთი დიდი თაღოვანი სარკმელია. მორთულობის მხრივ გამოირჩევა დასავლეთი და ჩრდილოეთი ფასადები (ამ მხარესაა გაკეთებული ტაძართან მისასვლელი გზა). დასავლეთ ფასადს ორი სარკმელი და მათ შორის განთავსებული დიდი რელიეფური ჯვარი ამშვენებს. აქვეა მიჯაჭვული ლომის და სხვ. რელიეფები. მდიდრულადაა გაფორმებული ჩრდილოეთი და დასავლეთი პორტალები. ტაძარს მოჩუქურთმებული კარნიზები აქვს (სურ. 3.113.5; სურ. 3.113.6). რაც შეეხება ტაძრის

ინტერიერს იგი მოხატული ყოფილა. ჩვენამდე პირვანდელი მხატვრობის მხოლოდ ფრაგმენტებია შემორჩენილი – ეკლესიის მამათა რიგი და მოციქულთა ფიგურები საკურთხეველში.

საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს განმტკიცებისა და სიძლიერის ხანაში, ქართული არქიტექტურის მეორე აყვავების დროს, აგებული სამების მაღალი უგუმბათო ეკლესია თავისი არქიტექტურული პროპორციებით, ფერადოვნებით, ფაქიზად დამუშავებული ქვის წყობის ხასიათითა და კომპოზიციების მდიდრული დეკორით, წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე და კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს ჩვენი ქვეყნის კულტურისა და ხუროთმოძღვრების განვითარების მაღალ დონეზე. კაზრეთის სამება, სათხის ეკლესიასთან ერთად, არა მარტო კაზრეთის ხეობის, არამედ მთელი ქვემო ქართლის ერთ-ერთი თვალსაჩინო ისტორიულ-კულტურული ძეგლია. ამჟამად ეკლესია რესტავრირებული (სურ. 3.113.7) და მოქმედია.



სურ. 3.113.6. რელიეფი. დასავლეთი ფასადი



სურ. 3.113.7. ინტერიერი. კანკელი

3.114. ოქროს ციხე (ინგლ. Golden Fortres) – XIII-XIV საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, ციხესიმაგრე (სურ. 3.114.1). მდებარეობს ძველ სამცხე-საათაბაგოში, ადიგენის მუნიციპალიტეტში, სოფელ ბოლაჯურის მახლობლად, უზარმაზარ კლდოვან მასივზე.

ოქროს ციხე ჯაყელთა ერთ-ერთი უმთავრესი ციხესიმაგრეთაგანი იყო და აწყურის, ასპინძის, ხერთვისის, სლესის, წროხის, ოძრხის, ერემჭალისა და სხვა ციხეებთან ერთად დამცველ სიმაგრეთა მთელ სისტემას ქმნიდა ათაბაგთა სამფლობელოში. ციხის აშენების ზუსტი თარიღი უცნობია. სავარაუდოდ, იგი აგებულია XIII-XIV საუკუნის მიჯნაზე. ოქროს ციხე ხშირად იხსენიება ე.წ. მესხური დავითნის ქრონიკაში (XVI ს.), რომელშიც სამცხის სამთავროს არსებობის ბოლო ხანების ამბებია მოთხრობილი.



სურ. 3.114.1. პანორამული ხედი

ციხე უზარმაზარ კლდოვან მასივზე დგას და ძნელი მისადგომია (ზოგიერთი მხრიდან მიუდგომელიც). ციხის ზემო ნაწილი კლდოვანი ქედის კეხზეა. მისი კედლები ჩრდილოეთითაც და სამხრეთითაც ეშვება. ციხის უდიდესი ნაწილი სამხრეთის ფრთაზეა, სადაც კედლების რამდენიმე პარალელური მწკრივია. კედლები გამაგრებულია ბურჯებითა და კოშკებით. ერთი კოშკი უმაღლეს კლდეზე დგას და მთელ მიდამოს დაჰყურებს. ციხის გეგმა რთულია. დონე ყოველ ნაბიჯზე იცვლება. კედლები კლდეებთანაა შეზრდილი, მათი საძირკვლის ხაზი აღმა-დაღმა მისდევს კლდეებს. კედლები უხეშად დამუშავებული ლოდებითაა ნაშენი და ზოგან 10 მეტრზე მეტ სიმაღლეზეა შენარჩუნებული. შესასვლელი ჩრდილოეთიდანაა. იგი ოთხივე

მხრივ დიდი ლოდებითაა შემოფარგლული. კედლის სისქე შესასვლელთან ორ მეტრს აღემატება. შესასვლელის წინ დამატებითი კედელია აშენებული, ხოლო ზედ შესასვლელის თავზე გაკეთებულია დიდი სალოდე. შიდა ციხის ფარგლებში შეღწევის შემდეგაც თავდამსხმელს ბევრი სირთულე ეღობებოდა წინ. დამცველებს ცალკეულ კოშკებშიც შეეძლოთ გამაგრება.

ოქროს ციხე ერთ-ერთი ყველაზე დიდი ციხესიმაგრეა საქართველოში.

3.115. კაცხის სვეტი (ინგლ. Katskhi pillar) – ქართული ხუროთმოძღვრების უნიკალური ძეგლი, კაცხის სვეტის სამონასტრო კომპლექსი (სურ. 3.115.1; სურ. 3.115.2). მდებარეობს იმერეთის მხარეში, ჭიათურის მუნიციპალიტეტში, ქ. ჭიათურიდან 11 კმ-ში მდებარე სოფელ კაცხში, მდინარეების კაცხურისა (ყვირილის მარჯვენა შენაკადი) და ღვითორის (ბუჯის მარცხენა შენაკადი) წყალგამყოფზე (სურ. 3.115.3). კომპლექსში შემავალი ნაგებობებია: სვეტი, სვეტის თავზე არსებული ეკლესია,კრიპტა (აკლდამა), 3 სენაკი, მარანი, გალავანი, სვეტის ძირში არსებული სვიმონ მესვეტეს სახელობის ეკლესია გალავნის ნაშთითურთ, ძველი სამრეკლო.

კაცხის „სვეტი“ უძველესი დროიდან იქცევდა ადამიანების ყურადღებას. ქრისტიანობამდე „სვეტი“ ნაყოფიერების ღვთაების დანიშნულებას ასრულებდა. ქრისტიანობის შემოსვლის შემდეგ სვეტი წარმართულ ღვთაებათა პანთეონს სამუდამოდ გამოეყო, რასაც ადასტურებს VI საუკუნით დათარიღებული, კაცხის კლდოვანი სვეტის ძირში გამოკვეთილი, კერპთა შემმუსვრელი, ჯვრის გამოსახულება და X საუკუნის მცირე ეკლესია.




სურ. 3.115.1. პანორამული ხედი



სურ. 3.115.2. საერთო ხედი

ამჟამად ძეგლის დათარიღებისა და სვეტზე არსებულ ნაგებობებთან დაკავშირებით სხვადასხვა მოსაზრებაა გამოთქმული. ძეგლის პირველ მკვლევარებს მიაჩნდათ, რომ სვეტის თავზე მდგარი ორივე შენობა სამლოცველო იყო. აქედან, მცირე ზომის V საუკუნეს განეკუთვნებოდა, ხოლო მეორეს, უფრო დიდს და კრიპტიანს VI საუკუნით ათარიღებდნენ. 1999-2005 წლებში ჩატარებულმა სამუშაოებმა განსხვავებული ვერსია წარმოქმნა. ხელოვნებათმცოდნე გ. გაგოშიძემ გამოთქვა ვარაუდი, რომ კაცხის სვეტზე დგას არა ორი, როგორც მანამდე მიაჩნდათ, არამედ ერთი ეკლესია, ხოლო ნახევრადკლდეში გამოკვეთილი ნაგებობა კი ბერების სამყოფელია. მკვლევარს ასეთი დასკვნის გაკეთების საშუალება მისცა ქვის წყობის ანალიზმა, კაცხის ნაგებობები ძალიან ახლოს დგას იქვე მდებარე თირისა და რგანის XI საუკუნის II ნახევრის ეკლესიებთან. შესაბამისად, კაცხის სვეტი IX და უფრო X საუკუნის პირველ ნახევარში უნდა იყოს აგებული. კლდეში გამოკვეთილი ბერების საცხოვრებელი სენაკებიც IX-X საუკუნეებს მიეკუთვნება, თუმცა თხემზე ნანგრევებში 2007 წელს ნაპოვნ კირქვის ქვათლილზე აღმოჩენილი ასომთავრული წარწერა (მამა მაქსიმეს აღმოჩენა) პალეოგრაფიული ნიშნებით XIII საუკუნით თარიღდება.




სურ. 3.115.3. ადგილმდებარეობის რუკა

კაცხის სვეტი ტექტონიკური ძვრების შედეგად წარმოქმნილ კლდოვან მასას წარმოადგენს და როგორც ბუნებრივი წარმონაქმნი, წითელ წიგნშია შეტანილი. სვეტი დაახლოებით 40-45 მეტრის სიმაღლისაა, ხოლო მისი მართკუთხედის ფორმის თხემის ფართობი დაახლოებით 150 კვ. მ-ს შეადგენს. სვეტი ძირითადად შვეულად არის აღმართული. თუმცა, მის ზედა ნაწილში მცირე ზომის რამდენიმე ტერასაა მოთავსებული. ძირთან სვეტი გამოფიტულია და უფრო ვიწროა, ვიდრე მისი ზედა ნაწილი, რაც ქმნის უარყოფით დაქანებას და კიდევ უფრო მიუდგომელს ხდის მას.

სვეტის ზედა ბაქანზე დგას ორი ნაგებობა (ბაქნის ფართობია 10,0×17,0 მ): ერთი – ქვემოდან აზიდული კარგად გათლილი შირიმის ქვის კვადრებით აგებული ერთნავიანი ეკლესია



სურ. 3.115.4. ეკლესია



სურ. 3.115.5. აკლდამის შესასვლელი

(სურ. 3.115.4), გეგმაში ზომებით 4,5x3,5 მ (აღდგენილია ძველ სუბსტრუქციებზე) და მეორე – იქვე მოპოვებული უხეშად დამუშავებული ქვით უდუღაბოდ ნაშენი შენობა. მისი აფსიდი კლდეშია გამოყვანილი. სანახევროდ კლდეში ნაკვეთი, მშრალი წყობით აგებული ბერების საცხოვრებელი სენაკი (შემორჩენილია ნანგრევების სახით), მართკუთხედის ფორმის (2,0x1,0 მ) კამაროვან კრიპტას (ქვედა სართული – სამარხი) ტიმპანიანი შესასვლელი აქვს გაკეთებული. (სურ. 3.115.5). კრიპტა სიგრძით ეკლესიის საკურთხევლის აფსიდამდე გრძელდება და მისი ქვათა წყობა ეკლესიის წყობის იდენტურია. ბერების საცხოვრებელი თითოეული სენაკის ფართობი 15-20 კვ. მ-ია.

ასეთ ადგილებში სამლოცველოების აგებას მკვლევრები უკავშირებენ მესვეტეობას, რომელიც VI საუკუნეში გავრცელებული იყო წინა აზიასა და, უპირველეს ყოვლისა, სირიაში, რომელთანაც ქრისტიანულ საქართველოს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა. სვეტის აღმოსავლეთ მხარეს, ძირში, მიწის დონეზე, კლდის მოსწორებულ ზედაპირზე გამოკვეთილია ტოლმკლავა ბოლნური ჯვარი (სურ. 3.115.6). ასეთი ჯვრის მედალიონებს სირიაშიც მოეპოვებათ ანალოგები.



სურ. 3.115.6. ბოლნური ჯვარი

მნიშვნელოვანია ისიც, რომ კაცხის სვეტზე გამოვლენილი სამონასტრო მეურნეობა (განსაკუთრებით, ქვევრები), აბათილებს ვარაუდს იმის თაობაზე, რომ აქ უკიდურესად

ასკეტი მესვეტე იყო დამკვიდრებული. კაცხის სვეტის მცირე მონასტერი, სადაც სავარაუდოდ, ორი-სამი ბერი მოღვაწეობდა, კაცხის დიდი მონასტრიდან გამოყოფილი მარტოდსამყოფელია და იერით ძლიერ გავს თესალიაში (საბერძნეთი) არსებულ მეტეორას მონასტრებს, რომლებიც ამდაგვარ მიუდგომელ კლდეებზეა აშენებული. სიმბოლურად ისინი ცისა და მიწის შემაკავშირებელ ადგილს წარმოადგენენ.



სურ. 3.115.7. მარნის ფრაგმენტი

კაცხის სვეტის თხემზე სვეტის დასავლეთ კიდეში არსებობს მარანი. აქ მიწაში რამდენიმე (ამჟამად მიკვლეულია 8 ცალი) ქვევრია ჩადგმული (სურ. 3.115.7), რომელშიც, სავარაუდოდ, ღვინო და ალბათ, წყალიც ინახებოდა. თითოეული მათგანი დაახლოებით ხუთ-ხუთ ჩაფს იტევს. მარნის ჩასწვრივ, სვეტის დასავლეთ მხარეს, თხემიდან დაახლოებით 10 მეტრის ქვემოთ, შვეულ კლდეში, მცირე მართკუთხა სენაკია გამოკვეთილი.

2007 წლიდან დაიწყო სვეტზე არსებული ნაგებობების სარეაბილიტაციო სამუშაოები. კაცხის სვეტზე ასვლა აკრძალულია. გამონაკლის შემთხვევებში, ადგილობრივი ბერების ლოცვა-კურთხევით, სვეტზე მხოლოდ მამაკაცების ასვლაა შესაძლებელი. აღდგენილია სვეტის ძირში და თავზე არსებული სამლოცველოები.

3.116. მღვიმევის მონასტერი (ინგლ. Mgvimevi Monastery) – XIII საუკუნის II ნახევრის ქართული ხუროთმოძღვრების ულამაზესი ძეგლი, მღვიმევის დედათა მონასტერი. მდებარეობს იმერეთის მხარეში, ჭიათურის მუნიციპალიტეტში, მდ. ყვირილის ხეობაში, სოფელ მღვიმევის მახლობლად. კომპლექსში შემავალი ნაგებობებია: მაცხოვრის სახელობის მთავარი ტაძარი, მცირე ზომის დარბაზული ეკლესია, სამრეკლო, მონაზონთა სენაკები.

მონასტერში მოხვედრა შესაძლებელია ვიწრო და გრძელი კიბით, რომლის გავლის შემდეგაც შესაძლებელია ხელოვნურ გვირაბში შესვლა. გვირაბი ხელოვნურადაა გაყვანილი, საკმაოდ გრძელია და მისი გადახურვა გამაგრებულია საყრდენი თაღებით.

კომპლექსი, თავისი მდებარეობის გამო, ორ ნაწილად იყოფა: საკუთრივ მღვიმეში ცენტრალური ტაძარი და პატარა სამლოცველოა. მონასტრის სხვა ნაგებობები მღვიმიდან აღმოსავლეთით, კლდის ვიწრო ბაქანზეა გაშენებული, რომლისკენაც, ადგილის სივიწროვის გამო, სანახევროდ ქვაში გამოკაფული ვიწრო ბილიკი მიდის. სხვადასხვა დანიშნულების სათავსები მღვიმის ქვემოთაცაა გაკეთებული კლდეში. მღვიმევის თავდაპირველი ნაგებობები მაცხოვრის სახელობის ორნავიანი ეკლესია და მინიატურული „სამწირველოა“. ისინი XIII საუკუნის ბოლო ათეული წლებით თარიღდება და რაჭის ერისთავების კახაბერიძეთა გვარს უკავშირდება. არქიტექტურული ტიპის და მორთულობის გარდა, მღვიმევის ტაძრის სპეციფიკა მისი თავისებური მდებარეობაა. მთლიანად ქვაში აგებული ეკლესია მაღალი, შვეული კლდის ბუნებრივი ქვაბულის განაპირას ისეა დასმული, რომ ჩრდილოეთი ნავის აფსიდი თავით კლდეს ებჯინება, ხოლო სამხრეთი ფასადი მღვიმის პირას აქვს მოქცეული. ერთდროს, ტაძარს ამ მხარეს ხის გადახურული აივანი ჰქონდა გაკეთებული, რომელიც კომპლექსის რესტავრაციის შემდეგ რკინაბეტონით შეცვალეს.

მთავარი ტაძარი (სურ. 3.116.1) გეგმით ორნავიანი ნაგებობაა, რომლის ნავებიც ერთმანეთისგან მასიურ რთულპროფილიან, მოჩუქურთმებულ ბაზისზე (სურ. 3.116.2) დაყრდნობილი თაღებითაა გამოყოფილი. ორქანობა სახურავით გადახურულ ტაძარს აღმოსავლეთით ქოლგისებრი სახურავიანი ორი შვერილი აფსიდი აქვს. ინტერიერი საკმაოდ თავისებურია. ორნა-

ვიანობის მიუხედავად ნაგებობა შიგნით თითქოს მასიური ბურჯის გარშემო თავმოყრილი ერთიანი სივრცის შთაბეჭდილებას ტოვებს. უჩვეულოდ დაბალ ინტერიერში ერთ ბურჯზე დაყრდნობილი ნავების გამყოფი თაღები ფართოდაა გადაშლილი, ხოლო ჩრდილოეთის ნავი (იმ დროის სხვა ორნავიან ეკლესიებთან შედარებით) განიერია და სიმაღლით თითქმის უტოლდება ცენტრალურ ნავს.



სურ. 3.116.1. საერთო ხედი (მაცხოვრის სახელობის ტაძრის სამხრეთი ფასადი)



სურ. 3.116.2. სვეტის ბაზა

ნაგებობის მდებარეობით გამოწვეული შიგა სივრცის განათება ბუნდოვან, თითქოს „იდუმალ“ იერს აძლევს ტაძრის კედლებს შემორჩენილ სხვადასხვა დროის მხატვრობას (სურ. 3.116.5). აქ, მოხატულობის ძველ ფენაში მთელი პორტრეტული გალერეა იყო წარმოდგენილი. ამჟამად, ჩრდილოეთი ნავის აღმოსავლეთ კედელზე მხოლოდ ნაწილობრივ განირჩევა ქტიტორთა – კახაბერიძე რატის, მისი ძმის ნიანიას და მეუღლის რუსუდანის ფიგურები. უნდა აღინიშნოს, რომ კახაბერიძეთა საგვარეულო X საუკუნიდან XIII საუკუნის 80-იან წლებამდე ინარჩუნებდა რაჭის ერისთავის წოდებას, ვიდრე მეფე დავით ნარინმა ღალატისთვის გვარის მეთაური, ერისთავი კახაბერ კახაბერიძე სასტიკად არ დასაჯა, ხოლო მისი შვილები საქართველოდან კონსტანტინოპოლში არ გადაასახლა.

შენობის არქიტექტურული ანალიზის, წერილობითი ცნობების და ისტორიული პორტრეტების საფუძველზე მღვიმევის ეკლესია XIII ს-ის 80-იანი წლებით თარიღდება. ამავე პერიოდისაა მხატვრობის პირველი ფენაც. XV საუკუნის ან XVI სს-ის პირველ ნახევარში მხატვრობა განაახლეს და ზოგიერთი ადგილი ხელახლა მოხატეს.



სურ. 3.116.3. მთავარი ტაძრის საერთო ხედი



სურ. 3.116.4. მორთულობა

მაცხოვრის ტაძრის ფასადების მდიდრული ჩუქურთმები (სურ. 3.116.3) ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე. უნდა აღნიშნოს, რომ ფასადთა დეკორაციული დამუშავების

მხრივ მღვიმევი ერთ-ერთი უცნაური ძეგლია. ხუროთმოძღვრისთვის რთული იყო ნაგებობის უჩვეულო საფასადო სიბრტყეებისთვის კომპოზიციის შედგენა. ჩრდილოეთი ყრუ კედლის გარდა, ფასადები თავიდან ბოლომდე ეკორაციული ლილვებითაა დამუშავებული, რომელიც შევსებულია სახეცვლილი ძველი მოტივებით: ჯვრებით, კუთხით დაყენებული რომბებით, სარკმლის ქვეშ ჩაშვებული ჩუქურთმიანი არშიებით და სხვ. (სურ. 3.116.4; სურ. 3.116.6). ტექნიკური თვალსაზრისით ეკლესია ტრადიციულად მაღალი ოსტატობით გამოირჩევა. შიგნითაც და გარეთაც კედლები კარგად გათლილი ქვებითაა მოპირკეთებული. მაცხოვრის ტაძრის ერთ-ერთი ღირსშესანიშნაობა მთლიანად მოხატული ხის კანკელი, რომლის კარი ჭედური ფირფიტებითაა შემკული.

ცენტრალური ტაძრის უკან მდებარეობს მღვიმევის მღვიმე, სადაც დიდ დღესასწაულებზე წირვა ტარდება. სამონასტრო კომპლექსში შედის წმ. ეკატერინეს სახელობის მცირე ზომის დარბაზული სამლოცველო, „სამწირველო“ (სურ. 3.116.7; სურ. 3.116.8), რომელიც ტაძრიდან დასავლეთით რამდენიმე ნაბიჯზე მდებარეობს. მინიატურული ფორმის ნაგებობა კლდის ქვეშაა შეყუჟული, მისი ჭერი და დასავლეთის კედელი ბუნებრივი კლდეა. ამ ეკლესიის აღმოსავლეთ კედელზე გამოკვეთილია ვერძის თავის ბარელიეფი, ხოლო სამხრეთის ფასადზე შემორჩენილია ფრესკული მხატვრობა.



სურ. 3.116.5. მოხატულობა



სურ. 3.116.6. მორთულობა

მღვიმევის მონასტერში ინახებოდა უნიკალური ჭედური ხატები და ხეზე კვეთის ბრწყინვალე ნიმუში – XV საუკუნის ვაზის კარი. დღეისათვის ეს ნაკეთობები საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ფონდებშია დაცული. მღიმევის მონასტერი თავისი მდებარეობით ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ძეგლია საქართველოში. ამჟამად აქ წმინდა ეკატერინეს სახელობის დედათა მონასტერი ფუნქციონირებს.



სურ. 3.116.7. მცირე ზომის დარბაზული ეკლესია




სურ. 3.116.8. მორთულობა

3.117. ხობის მონასტერი (ნოჯიხევის მონასტერი) (ინგლ. Khobi Monastery) – XIII-XIV სუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების მნიშვნელოვანი ძეგლი, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების ხარების დედათა მონასტერი (სურ. 3.117.1). მდებარეობს სამეგრელოს მხარეში, ხობის მუნიციპალიტეტში, სოფელ ნოჯიხევის ტერიტორიაზე, ქ. ხობიდან 3 კმ-ის დაშორებით, მდ. ხობისწყლის მარცხენა ნაპირზე. კომპლექსში შემავალი ნაგებობებია: ტაძარი, სასახლე, სამრეკლო, გალავანი, სხვა ნაგებობათა ნაშთები.



სურ. 3.117.1. საერთო ხედი

დიდი ქართველი ისტორიკოსის, არქეოლოგისა და საზოგადო მოღვაწის ექვთიმე თაყაიშვილის აზრით მონასტერი აგებულია X-XI საუკუნეებში, თუმცა მკვლევართა უმეტესობა აკადემიკოს ვ. ბერიძეს უჭერს მხარს, რომელიც ხონის ტაძრის აგებას XIII-XIV საუკუნეების მიჯნით ათარიღებს. გადმოცემის მიხედვით ტაძრის აშენება უკავშირდება ეგრისის მეფის გუბაზ II-ის (VI საუკუნის 40-50-იანი წლები), საქართველოს მეფის დავით აღმაშენებლის (დ. 1073 - გ. 1125 წ.), თამარ მეფისა (დ. 1160 - გ. 1210/1213 წ.) და საქართველოს დიდგვაროვანი ფეოდალის ცოტნე დადიანის (დ. ? - გ. 1260 წ.) სახელებს. შუა საუკუნეებში ხობის მონასტერი დასავლეთ საქართველოს კათოლიკოსის რეზიდენციას წარმოადგენდა.



სურ. 3.117.2. გალერეა



სურ. 3.117.3. ინტერიერი



სურ. 3.117.4. გუმბათიანი სამრეკლო

ტაძრის შენობა ქართულ არქიტექტურაში გავრცელებულ რომელიმე ტიპს არ მიეკუთვნება: ის უგუმბათო შენობაა, რომლის შიგნით კამარები ჯვაროვან სივრცეს, გარედან კი მათი სახურავები ჯვაროვან მოცულობას ქმნიან. ჩრდილო-დასავლეთისა და სამხრეთ-დასავლეთის კუთხეები თავდაპირველად ცალკე ეკვდერებად იყო გამოყოფილი, უფრო გვიან კედლები გამოიღეს და ეკვდერები მთავარ სივრცეს დაუკავშირეს. დასავლეთისა და სამხრეთის ფასადებს მთელ სიგრძეზე მიჰყვება ღია გალერეა (სურ. 3.117.2), რომელიც სამხრეთ ფასადის აღმოსავლეთ ნაწილში დახურული ეგვტერით მთავრდება. ტაძარი შემკულია ჩუქურთმებითა და ფრესკებით (სურ. 3.117.3). ტაძრის მხატვრობა რამდენჯერმეა განახლებული. დღემდე მოღწეული მხატვრობა კი XVII საუკუნეში ლევან დადიანის დაკვეთითაა შესრულებული.

ყურადღებას იქცევს თლილი ქვისგან ნაგები გვიანი შუა საუკუნეების გუმბათიანი სამრეკლო (სურ. 3.117.4), რომელიც ერთ-ერთი უდიდესია საქართველოში. იგი ძველად მოხატული ყოფილა.

ქრისტიანი მრევლისთვის ხობის მონასტრის განსაკუთრებულ მისიას განაპირობებდა ის, რომ საუკუნეების განმავლობაში აქ ინახებოდა უდიდესი სიწმინდეები: ღვთისმშობლის კვართი, ძელი ცხოველის ნაწილი, წმ. იოანე ნათლისმცემლის ძვლის ნაწილი, წმ. გიორგის ბარძაყი, წმ. მარინეს მკლავი, წმ. კვირიკეს ხელის მტევანი და სხვა სიწმინდეები, რომელთაც თაყვანს სცემდნენ არა მარტო ქართველები, არამედ საქართველოში ჩამოსული მისიონერებიც (დასტურდება მათივე ჩანაწერებით). მონასტრის საგანძურში შედიოდა აგრეთვე თამარ მეფის გულსაკიდი ჯვარი, თამარ მეფის დედის – ბურდუხან დედოფლის მრავალნაწილიანი ვერცხლის ხატი (XII ს.), ხობის ღვთისმშობლის ხატი, მაცხოვრის ხატი, სხვადასხვა ხელნაწერები, ტიპიკონი (1756 წ.), სახარება (XVII ს.), სულხან-საბას ლექსიკონი (XIX ს.), უამრავი ნაბეჭდი წიგნი და ა.შ.

3.118. ზარზმის მონასტერი (ინგლ. Zarzma Monastery) – XIII-XIV საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების მნიშვნელოვანი ძეგლი (სურ. 3.118.1; სურ. 3.118.2). მდებარეობს სამცხე-ჯავახეთის მხარეში, ადიგენის მუნიციპალიტეტში, ისტორიულ მხარე სამცხეში, სოფელ ზარზმაში, მდინარე ქვაბლიანის ხეობაში (სურ. 3.118.3). კომპლექსში შემავალი ნაგებობებია: ტაძარი, სამრეკლო, სამლოცველოები, წყარო. მონასტერი დააარსა ფეოდალური ხანის ცნობილმა სასულიერო მოღვაწემ სერაპიონ ზარზმელმა.

ახლანდელი ტაძარი და სამრეკლო აგებულია XIV საუკუნის დასაწყისში. ტაძარი თლილი



სურ. 3.118.1. პანორამული ხედი




სურ. 3.118.2. საერთო ხედი

ქვით ნაგები გუმბათიანი შენობაა. ზარზმას მსუბუქი პროპორციები და დამახასიათებელი ელემენტი აქვს. ესაა მისი სამხრეთის გალერეა – კარიბჭე. მას ძირითადი კორპუსის მთელი სამხრეთის მხარე აქვს დაკავებული. შესასვლელი სამრეთიდან და დასავლეთიდანაა. შიდა სივრცე ჯვრის ოთხი მკლავისა და მათ შუა აღმართული გუმბათისგანაა მიღებული. ღრმა აფსიდის გვერდზე უაფსიდო სადიაკვნე და სამკვეთლოა. ინტერიერის საერთო გადაწყვეტიდან საინტერესო და სრულიად ორიგინალურია დასავლეთის გვერდითი ნავების ზემოთ გამართული პატრონიკე. ტაძრის ფასადები რუხი ფერის თლილი ქვით მაღალი ოსტატობითაა შესრულებული. ფასადებში სიცოცხლე და სიხალისე შეაქვს ფერადოვან ქვებს. ზოგან სხვა ფერის ქვა ძირითადი ქვის ფონზეა აქა-იქ მიმოფანტული, გუმბათის ყელზე კი (სარკმლებს ზემოთ) ორგვარი ქვის ჭადრაკული წყობაა. მორთულობა მხოლოდ კარ-სარკმლების ირგვლივაა თავმოყრილი. ხოლო რაც შეეხება დეკორის შესრულების ტექნიკას, იგი ორი ხერხითაა შესრულებული – უმრავლესობა ფასადის ზედაპირის ზემოთაა, დანარჩენი კი ჩაკვეთილია.

აღმოსავლეთის ფასადზე მთავარ ყურადღებას იპყრობს უზარმაზარი მოჩუქურთმებული ჯვარი (სურ. 3.118.4) მთავარი სარკმლის თავზე. ჯვრის მკლავები ფასადის თითქმის მთელ სიგანეს წვდება. ტაძარს ძალზე მოხდენილი გუმბათი ადგას. იგი თორმეტწახნაგაა და ამდენივე სარკმლის მქონეა. მაგრამ ეს მხოლოდ საერთო შთაბეჭდილებაა, სინამდვილეში მხოლოდ ექვსია ნამდვილი. გუმბათის წიბოები გამოყოფილია და წახნაგები თაღებით ცალ-ცალკეა დამუშავებული. აღსანიშნავია ზარზმის მხატვრობა, რომლის ყველა სურათი და ფიგურა პრაქტიკულად პირვანდელი სახითაა შემორჩენილი (სურ. 3.118.5; სურ. 3.118.6). ზარზმის ტაძარი ამჟამად სრულიად დაუზიანებლად დგას.



სურ. 3.118.3. ადგილმდებარეობის რუკა



სურ. 3.118.4. აღმოსავლეთი ფასადი

ცალკე უნდა გამოიყოს ზარზმის სამრეკლო (სურ. 3.118.7), რომელიც ერთ-ერთი ყველაზე ძველი და უდიდესია საქართველოში. ტაძრისა და სამრეკლოს საშენი მასალა და მისი დამუშავების ხასიათი ერთნაირი; მსგავსია მეორე სართულის სვეტებისა და ტაძრის სარკმელთა ჩუქურთმებიც. ზარზმის მონასტერში იყო განთავსებული შუა საუკუნეების ქართული ოქრომჭედლობის შესანიშნავი ნაწარმოები – ზარზმის ღვთისმშობლის ხატი (ამჟამად ინახება საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში).



სურ. 3.118.5. ფრესკა




სურ. 3.118.6. ფრესკა



სურ. 3.118.7. სამრეკლო

ზარზმის ტაძარი უმნიშვნელოვანესი ძეგლია, რომელშიც მკაფიოდ ჩანს მაშინდელი ქართული ხუროთმოძღვრების დამახასიათებელი ზოგი ახალი ნიშანი – ცვლილებები შენობის პროპორციებსა და ფასადთა მორთულობის სისტემაში. ტაძრის მრავალრიცხოვანი ჩუქურთმის მშვენიერება კარგი მაგალითია იმისა, თუ რა დონეზე იყო განვითარებული ფეოდალურ საქართველოში ქვაზე ჭრის ხელოვნება.

3.119. მეტეხის ღვთისმშობლის ტაძარი (ინგლ. Metekhi Temple of Virgin Merry's) – XIII საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების მნიშვნელოვანი ძეგლი, მეტეხის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი, სამონასტრო კომპლექსი (სურ. 3.119.1). მდებარეობს შიდა ქართლში, კასპის მუნიციპალიტეტში, სოფელ მეტეხის ცენტრში, მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე (სურ. 3.119.2). კომპლექსში შემავალი ნაგებობებია: ტაძარი, გალავანი, კოშკები, სამრეკლო.




სურ. 3.119.1. საერთო ხედი




სურ. 3.119.2. ადგილმდებარეობის რუკა


ისტორიული წყაროების მიხედვით (ვახუშტი ბატონიშვილი) ტაძრის მშენებლობა დაკავშირებულია ქართლის მეფე ვახტანგ გორგასლის (V ს.) სახელთან, რომელიც თეძმის ხეობის სოფლების აღწერაში სოფელ მეტეხის აღწერას ამ ტაძრით იწყებს. როგორც ჩანს თავდაპირველად აქ მცირე ზომის ეკლესია უნდა მდგარიყო, რომელიც საქართველოს აღორძინების ხანაში განუახლებიათ. ტაძარს ძლიერ ეტყობა მრავალჯერადი განახლება-გადაკეთების კვალი. განახლებული ფასადის ნაწილზე მხედრული წარწერაა, სადაც მოხსენებულია იოთამ ამილახვარი, რომელსაც XVII საუკუნის მეორე ნახევარში შეუკეთებია ტაძარი (ნიკოლოზ კათოლიკოსის შეწირულობის წიგნში მეტეხის ტაძრის განახლება 1687 წლით თარიღდება). გვიანდელ ფეოდალურ ხანაში აღდგენილია ტაძრის გუმბათი, კამარები, კედლების ზედა მონაკვეთები, ორნამენტიანი სამკაულები და სხვ.



სურ. 3.119.3. გეგმა



სურ. 3.119.4. შესასვლელი დასავლეთის მხრიდან



სურ. 3.119.5. სამრეკლო

ტაძარი გეგმით (სურ. 3.119.3) ჯვარგუმბათოვანი ნაგებობაა (15×20 მ). ნაგებია კარგად დამუშავებული ბაზალტის კვადრებით. ფასადებში ჩართულია მწვანე ფერის ქვებიც. შესასვლე-

ლი ორი აქვს – სამხრეთიდან და დასავლეთიდან (სურ. 3.119.4). გუმბათი აღმართულია აფსიდის შვერილ კედლებსა და დასავლეთით თავისუფლად მდგარ ორ სვეტზე. ნახევარწრიული აფსიდა იატაკის საერთო დონიდან ორი საფეხურითაა ამაღლებული. აფსიდში სამი სარკმელია. ტაძრის აღმოსავლეთ მკლავებშორისი მონაკვეთები გაყოფილია ორ სართულად. პირველ სართულზე, საკურთხევლის ორივე მხარეს, სამკვეთლო და სადიაკვნეა. აფსიდთან მხოლოდ სამკვეთლოა უშუალოდ დაკავშირებული. სამკვეთლოსა და სადიაკვნეს თავზე სამალავი საკნებია. ტაძრის განივი მკლავები ტოლია, ხოლო გრძივი მკლავები გათანაბრებულია საკურთხეველზე ღრმა ბემის დამატებით. გუმბათქვეშა თაღები ნახევარწრიულია და ორი საფეხურისგან შედგება. გუმბათის ყელი ზევით ძლიერ შევიწროებულია. მასში 12 სარკმელია. დასავლეთ მკლავის გრძივი კედლები არასწორი მოყვანილობის დაბალ თაღებზეა ამოყვანილი. ოთხივე ფასადზე ერთი და იმავე ძირითადი დეკორატიული მოტივი მეორდება: დიდი ჯვარი და სარკმლების მოჩარჩოება, უამრავი მედალიონი. ისინი უმთავრესად კედლების ცენტრალურ არეებზეა თავმოყრილი. აღმოსავლეთ ფასადის ჯვარი (სურ. 3.119.1), რომელსაც თითქმის მთელი ცენტრალური მკლავი უჭირავს, გლუვი ლილვებისგან შედგება. თითოეული მკლავის ბოლოში მრგვალი მედალიონია ჩასმული. მდიდრულად მორთული სამკუთხა ნიშების დეკორისაგან მხოლოდ ზედა თაღოვანი ნაწილებია შემორჩენილი. დანარჩენ ფასადებზე დეკორატიული ჯვრების ქვედა მკლავი წყვილ სარკმლებს შორისაა ჩაყოლებული. არშია დასავლეთ ფასადზე გლუვია, გრძივ ფასადებზე კი ორნამენტული წნულითაა შევსებული. გლუვია დასავლეთ და ჩრდილოეთ ფასადების სარკმლების მოჩარჩოებაც.

გალავანი (70 X 60 მ, კედლის სისქე 0,7 მ) კომპლექსს გარს უვლის. ნაგებია ნატეხი ქვით, ბევრგან ჩართულია მოზრდილი ზომის ლოდები, წყობაში გვხვდება აგური და რიყის ქვაც. მიეკუთვნება გვიანდელ ფეოდალურ ხანას. გალავანში ჩრდილო-დასავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩაშენებულია 4 კოშკი. ერთი მართკუთხა ყოფილა (მთლიანად დანგრეულია), მეორე ცილინდრულია და ზევით საგრძნობლად ვიწროვდება (დიამეტრი 4,4 მ). კოშკს ჩრდილოეთით მართკუთხა შესასვლელი აქვს.

სამრეკლო (სურ. 3.119.5) ტაძრის სამხრეთ-აღმოსავლეთითაა, ნაგებია აგურით. იგი XIX საუკუნეშია დაშენებული გალავანში ჩართულ ცილინდრულ კოშკზე. სამრეკლოს სახურავი გარედან პირამიდულია, შიგნიდან – ნახევარსფერული. ფანჩატური ოთხივე მხარეს თაღებითაა გახსნილი. თაღები ნახევარწრიულია და ოთხკუთხა დეკორატიულ ჩარჩოებშია ჩასმული.

3.120. ქურმუხის ტაძარი (ინგლ. Kurmukhi Temple) – ქართული ხუროთმოძღვრების მნიშვნელოვანი ძეგლი, წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი (სურ. 3.120.1; სურ. 3.120. 2). მდებარეობს ისტორიულ საინგილოში, აზერბაიჯანის რესპუბლიკაში, კახის რაიონში, ქ. კახიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 3 კმ-ში, მდ. ქურმუხის ხეობაში (სურ. 3.120.3).




სურ. 3.120.1. საერთო ხედი



სურ. 3.120.2. პანორამული ხედი ჩრდილო-დასავლეთიდან

ქართულ და უცხოურ საისტორიო წყაროებში ტაძრის აშენების ზუსტი თარიღი უცნობია, თუმცა მკვლევარების აზრით და ძეგლების შედარებითი ანალიზის მიხედვით, ქურმუხის ტაძარი სავარაუდოდ აგებულია XIII-XIV საუკუნეების მიჯნაზე. ძველ ჩანაწერებში ქურმუხის ეკლესია პირველად მოხსენიებულია მაღალაშვილისეული სახარების (1310 წ.) მინაწერში, რომლის მიხედვით საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ექვთიმე III უმოგზაურია გიშ-ქურმუხის ეპარქიაში და ქურმუხის მთავარეპისკოპოს კირილე დონაურისთვის ყველა ეკლესიისათვის სახარების გადაწერინება დაუვალებია. რადგან მთავარეპისკოპოსია ნახსენები, ეს იმას ნიშნავს, რომ ამ დროისათვის ქურმუხში საეპისკოპოსო კათედრა არსებობდა, რომლის გამგებლობაშიც მთელი მთიანეთის და წახურის (წუქეთის) ეკლესიები შედიოდა. ტაძრის შესახებ ცნობა შემონახულია VIII საუკუნის ანონიმურ მატიანეში, რომელიც ჩართულია ჯუანშერის ქრონიკაში. ქურმუხი ბევრჯერ იყო დანგრეული მომხვდური მტრის მიერ (მონღოლები, სპარსელები, ლეკები). 1968 წელს იგი საბოლოოდ ჩამოიქცა. 1891-1894 წლებში ტაძარი თავიდან ააგო კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენმა საზოგადოებამ (არქიტექტორი ლ. ბილფელდი), ხოლო 2004-2005 წლებში აზერბაიჯანის კულტურის სამინისტროს მიერ ჩატარდა სარესტავრაციო სამუშაოები.



სურ. 3.120.3. ადგილმდებარეობის რუკა



სურ. 3.120.4. გეგმა

ტაძრის ადგილმდებარეობა ბევრი ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლის მსგავსადაა შერჩეული. ტაძარი ისე დგას კანგარაკის მთის ქიმზე, რომ ერთი მხრიდან არ ჩანს, ხოლო მეორე მხრიდან მთელ ხეობას გადაჰყურებს. ტაძარი ჯვარგუმბათოვანი ნაგებობაა. გეგმა წარმოადგენს მთლიანად XIX საუკუნის საქართველოსთვის ტიპური "ჩაწერილი ჯვრის ტიპის" ძეგლს გარე კედლების მართკუთხედში მოქცეული განვითარებული სამნაწილიანი საკურთხევლით (სურ. 3.120.4). აქვს სამი შესასვლელი – დასავლეთიდან, სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან. დასავლეთის კარი ყველაზე ფართოა და შესასვლელთან კიბე და მცირე ბაქანია მოწყობილი. რვაწახნაგა გუმბათი (სურ. 3.120.5) ეყრდნობა გეგმაში მკვეთრად დაგრძელებული დასავლეთის მკლავის მქონე თავისუფლად მდგარ სვეტებსა და აღმოსავლეთის აფსიდის კედლის შვერილებს. გუმბათქვეშა კვადრატიდან გუმბათზე გადასვლა აფრებით ხორციელდება. საკურთხევლის სივრცე ნახევაწრიული აფსიდის წინ ჩართული ღრმა ბემითაა განვრცობილი. აფსიდში სარკმლის აქეთ-იქით ორი ნიშია გამართული. ჩრდილოეთის პასტოფორიუმი კარის მეშვეობით გახსნილია, როგორც საკურთხევლისაკენ, ისე დარბაზში. სამხრეთისაში მოხვედრა კი მხოლოდ საკურთხევლიდანაა შესაძლებელი. სადიაკვნეცა და სამკვეთლოც დასავლეთ-აღმოსავლეთის ღერძზე მკვეთრად წაგრძელებულ უაფსიდო სათავსებს წარმოადგენენ. ტაძრის ძირითადი საშენი მასალაა კარგად გამომწვარი კვადრატული ფორმის თხელი ქართული აგური (22 x22x4 სმ) კირის დუღაბზე (სურ. 3.120.6). კედლის წყობაში რიყის ქვაცაა გამოყენებული. ფასადები თითქმის მოკლებულია დეკორს. გლუვი კედლის სიბრტყეებს მხოლოდ უზარმაზარი, აგურის ლილვებით გამოყვანილი ჯვრები და ასეთივე ლილვოვანი თავსართებით შემკული კარ-სარკმელთა ღიობები აცოცხლებს.



სურ. 3.120.5. გუმბათის ყელი



სურ. 3.120.6. აგურის წყობა

3.121. ფიტარეთის მონასტერი (ინგლ. Pitareti Monastery) – XIII საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების მნიშვნელოვანი ძეგლი, სამონასტრო კომპლექსი (სურ. 3.121.1). მდებარეობს ქვემო ქართლის მხარეში, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, მდინარე ქციის ხეობაში, თბილისიდან 100 კმ-ის დაშორებით (სურ. 3.121.2). სამონასტრო კომპლექსში შემავალი ნაგებობებია: ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი, გალავანი, ბაქანი, საძვალე, მარანი და სხვადასხვა დამხმარე სამეურნეო შენობები. მონასტერი აგებულია საქართველოს მეფის ლაშა-გიორგის მეფობის მეფობის პერიოდში (1213-1222 წწ.).



სურ. 3.121.1. საერთო ხედი

ტაძრის სამხრეთ კარიბჭეზე შიგნით არსებული წარწერის თანახმად ტაძრის ქტიტორი ამირეჯიბი ქავთარ ქაჯიფაისძე ყოფილა. მას შეუძენია ტანძია და თევდორეწმინდანი და ფიტარეთის საყდრისათვის შეუწირავს. შემდეგ ამ გვარის შთამომავლები ბარათაშვილორბელიშვილები არიან. XVI ს. პირველ ნახევარში ფიტარეთი გიორგი ბარათაშვილს ეკუთვნოდა, 1536 წლიდან – ორბელი ბარათაშვილს, რომლის მემკვიდრეს ყაფლან ორბელის შვილს 1627-1671 წლებში, ქართლის მდივანბეგსა და სახლთუხუცესს, 61 სოფელი გაუშენებია და ფიტარეთის სამონასტრო კომპლექსიც საფუძვლიანად განუახლებია. XVII-XVIII საუკუნეების მიჯნაზე ფიტარეთის წინამძღვარს (1696-1730 წწ.) იობს აუშენებია მარანი. წინამძღვარი იობი ქართლის მეფე ვახტანგ VI-სა (დ. 1675 - გ. 1737 წ.) და დიდ ქართველ მწერალ და საზოგადო მოღვაწე სულხან-საბა ორბელიანთან (დ. 1658 - გ. 1725 წ.) დაახლოებული პირი იყო. მან გაამრავლა და გაამდიდრა ფიტარეთის ბიბლიოთეკა, ხელს უწყობდა მწიგნობრობისა და სულიერების განვითარებას. საბედნიეროდ, შემოსევებს გადაურჩა სახარება

(1673 წელს იესე ორბელაშვილისა და მისი მეუღლის თამარ დიასამიძის შეკვეთით დამზადებული და შეწირული ფიტარეთის მონასტრისათვის), რომელიც ამჟამად საქართველოს ხელნაწერთა ინსტუტუტში ინახება. XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან მომხვდური მტრების თარეშის გამო მონასტერი დაცარიელდა. ტაძრის ინტერიერში დაცული საფლავის ქვების წარწერების მიხედვით, აქ დაკრძალული არიან: საორბელოს პატრონები ყაფლან და პაპუნა ორბელიშვილები, ასევე საულხან-საბა ორბელიანის მეუღლე დარეჯან ბაგრატიონი და სხვ.



სურ. 3.121.2. ადგილმდებარეობის რუკა

ფიტარეთის ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის გეგმა კვადრატს უახლოვდება. აღსანიშნავია, რომ იმ დროის ძეგლებისგან ფიტარეთს ძირითადი ნაწილების ზომების შეფარდება გამოარჩევს, საკურთხევლის ნაწილის გამოკლებით, ნაგებობის სიგანე გაცილებით მეტია სიგრძივ ღერძზე. ტაძარს სამხრეთიდან აქვს კარიბჭე. ტაძრის შიდა სივრცეს აღმოსავლეთით ფარგლავს სამნაწილიანი საკურთხეველი, რომლის ცენტრში ბემიანი აფსიდია მოთავსებული. ღრმა და განიერ აფიდს კედლის გასწვრივ საფეხური შემოუყვება. ცენტრალური სარკმლის ქვემოთ მღვდელმთავრებისთვის განკუთვნილი სამსაფეხურიანი ჩამოსაჯდომია გაკეთებული. საკურთხევლის ორივე მხარე აფსიდიან პასტოფორიებს უჭირავს. სამკვეთლო მთავარ სივრცეს და საკურთხევლის ბემას უკავშირდება, ხოლო სადიაკვნე მხოლოდ დარბაზს (აქედან აფსიდში გამავალი კარი მოგვიანებით იყო გაუქმებული). პასტოფორიების თავზე მეორე სართულია გამართული, რომელიც მთავარ დარბაზში ღიობით იხსნება.

ტაძრის გუმბათი საკურთხევლის კუთხეებსა და დასავლეთით მდგარ ორ რვაწახნაგა პილონს ეყრდნობა. შეისრული მოხაზულობის გუმბათქვეშა თაღები გუმბათის ძირში გამავალ რთული პროფილის შვერილ სარტყლამდე სამ საფეხურს აკეთებს. მათი ზედა ლილვოვანი საფეხური ცენტრში მარყუჟს ქმნის. გუმბათის მაღალი ცილინდრი მარტივპროფილიანია და სარტყლით მთავრდება. ტაძარს დასავლეთით პატრონიკე არ გააჩნია. ეკლესია მოხატული იყო. დღესდღეობით მხატვრობის მხოლოდ ფრაგმენტებია შემორჩენილი.


სურ. 3.121.3. გუმბათის ყელის მორთულობა


სურ. 3.121.4. გუმბათიანი თაღების კოპების რიგი

ტაძარი სხვადასხვა სიმაღლეზე განლაგებული სარკმლებით ნათდება: საკურთხეველში სამი სარკმელია განთავსებული, სამხრეთ მხარეს ორი, ხოლო ჩრდილოეთ და დასავლეთ მკლავებში კი თითო-თითო. დასავლეთ კედელში დამატებით კიდევ თითო მცირე ზომის მრგვალი ღიობია გაკეთებული. მრგვალი სარკმელი აქვს კარიბჭე-ეგვტერს აღმოსავლეთი მხრიდან.


გუმბათის ყელში (სურ. 3.121.3) თორმეტი სარკმელია გაჭრილი. გარედან ტაძრის, უპირველესად, გუმბათის ყელის მორთულობის სიმდიდრე ახდენს ძლიერ შთაბეჭდილებას. ძვირფასი ჩუქურთმებით დაფარული კარნიზის ქვეშ გუმბათის ყელს ორლენტოვანი წნულის სარტყელი აქვს შემოვლებული. ფიტარეთის ოსტატი ცდილობს არ დატოვოს გუმბათის ყელზე თუნდაც მცირე თავისუფალი მონაკვეთი და ორნამენტული ფრიზის ქვეშ, სარკმლის თაღებს შორის შექმნილ სამკუთხა არეებს ადამიანის თავების სკულპტურული გამოსახულებებით ავსებს.

გუმბათის ყელის მაღალი და ვიწრო თაღოვანი სარკმლები მოარშიებულია ფართო ორნამენტებით. ყოველი სარკმლის არეს სამ-სამი ლილვისაგან შემდგარი გლუვზედაპირიანი პილასტრები შემოსაზღვრავს, თაღების ორნამენტული მოტივი „ბაგირი“ (გრეხილი) ლილვებითაა მიერთებული ცილინდრულ ყელთან. პილასტრების ბაზისები და კაპიტელები რთულია, ბურთულებით და მოჩუქურთმებული შეკრული სარტყლიანი კონებითაა მორთული. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ფიტარეთის გუმბათის ყელი უსაზღვრო დეკორაციული სიუხვის მაგალითს წარმოადგენს (სურ. 3.121.4).

ტაძრის ერთადერთი შესასვლელი სამხრეთი მკლავის ცენტრში განთავსებული ტრადიციული თაღოვანი კარიბჭეა. ის სამი ნაწილისგან შედგება. ცენტრი გარედან ღიაა და შიგნით ტაძრის კარს ესაზღვრება. შესასვლელის პარადულობას ხაზს უსვამს შუა ნაწილის კამარის დამუშავება რვა სხივით. კარიბჭის ცენტრალურ მონაკვეთს ორი მხრიდან სხვადასხვა ზომის უბე საზღვრავს. აღმოსავლეთის მონაკვეთი ღრმა უაფსიდო ეგვტერს უჭირავს. შედარებით მცირე ზომისაა დასავლეთის უბე. კარიბჭის შუა ფრონტონიანი ნაწილი ორფერდა სახურავითაა გადახურული. გვერდითი ფრთები კი ერთქანობიანია. კარიბჭეს მხოლოდ ფასადი აქვს დამუშავებული. დასავლეთის მხარე გლუვია, ხოლო აღმოსავლეთისაზე მხოლოდ წრიული მოჩუქურთმებული სარკმელია.

ტაძრის კარიბჭე ფართო ღია თაღით და ღრმა თაღოვანი ნიშებით ძლიერ მახვილს წარმოადგენს სამხრეთ ფასადზე. მისი ფასადის კონტური ეკლესიის ფასადისას იმეორებს. უნდა ითქვას, რომ აქ ხუროთმოძღვარმა შეძლო კარიბჭისა და მის თავზე განთავსებული ტრადიციული კომპოზიციისგან – მდიდრული საპირეებით მოჩარჩოებული შეწყვილებული სარკმელი შუაში აღმართული ჯვრით - შეექმნა ფასადის ერთიანი შეკრული სურათი (სურ. 3.121.5).

ფასადთა მორთულობის მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია აღმოსავლეთის ფასადი,



სურ. 3.121.5. ჯვარი სამხრეთ ფასადზე



სურ. 3.121.6. სამრეკლო



სურ. 3.121.7. ჩუქურთმა

რომლის თავისებურება დეკორის ელემენტთა ახლებური ურთიერთშეფარდებითაა მიღწეული. საერთოდ, ფასადზე მორთულობის ტრადიციული ელემენტებია გამოყენებული: თაღოვანი სარკმლის ფართო ორნამენტული საპირე, თაღოვანი ჩუქურთმიანი სათაური ჰორიზონტალური კიდეებით, საკურთხევლის ნიშები, ორნამენტული ჯვრები, როზეტები და კარნიზები, მაგრამ ჩნდება სიახლეც ამ კომპოზიციისთვის – მართკუთხა ორნამენტულ ჩარჩოში ჩასმული რელიეფები.

ტაძრის აღმოსავლეთი ფასადის მორთულობა კონცენტრირებულია ცენტრში, ჯვრის მკლავის არეში. საპირეს და თავისებურ სამთაღედს ქმნის. ფასადის დომინანტია მთავარი სარკმელი, რომელიც ნიშებზე მაღლაა განთავსებული. მისი სათაური, ჰორიზონტალურად ფართოდ გადაშლილი მკლავებით ერთად კრავს სარკმლის და ნიშების სამთაღედს, რაც სრული სიახლეა და ტაძრის თავისებურებას წარმოადგენს. სარკმლის სათაურის ზემოთ მოჩუქურთმებულ კვადრატულ კვარცხლბეკზე აღმართული ორნამენტული, ფართომკლავიანი ჯვარია გამოსახული, რომელიც თავით ფრონტონის კეხს ებჯინება. ჯვრის გულში და მკლავებში რელიეფური კოპებია ჩასმული. ჯვრის ძირში, ორივე მხარეს, მართკუთხა ორნამენტულ ჩარჩოში ჩასმული ლომების ჰერალდიკური გამოსახულებებია, რომლებიც ერთმანეთიკენ არიან მიმართული. ტაძარზე ბევრია წმინდა ლენტოვანი და მცენარეული მოტივები. აქ შექმნილია სახეების თავისებური ვარიაციებიც, ერთი საპირის ფარგლებში რამდენჯერმეა შეცვლილი მოტივის სახე. ადამიანთა და ცხოველთა გამოსახულებებს ორნამენტაციის სახე აქვთ და არა პლასტიკური გამოსახულებისა. პერანგისთვის სხვადასხვა ფერის (სოსანისფერი, ოქროსფერი, ლაჟვარდისფერი და მუქი წითელი) ქვის გამოყენებით ხუროთმოძღვარი ტაძრის მდიდრულობისა და მრავალფეროვნების ეფექტს ქმნის. საკმაოდ მაღალი ოსტატობით შესრულებული ჩუქურთმების სიუხვით ფიტარეთის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარს გამორჩეული ადგილი უჭირავს თავისი ეპოქის სხვა ძეგლებს შორის (სურ. 3.121.7-სურ. 3.121.11).



სურ. 3.121.8. დასავლეთის ფასადი

ტაძარი თავიდანვე ლორფინით იყო გადახურული. მას სხვადასხვა დროს რესტავრაციაც გაუკეთდა, მაგრამ აღდგენისას ყოველთვის მხოლოდ ქვას იყენებდნენ და ჩვენამდეც ასე მოაღწია. ტაძრის გარეთა ზომებია: 13,1x14,8 მ; სიმაღლე შიგნით – 16,7 მ.



სურ. 3.121.9. ჩუქურთმა



სურ. 3.121.10. ჩუქურთმა



სურ. 3.121.11. ჩუქურთმა

ფიტარეთის მონასტრის გალავნის სამხრეთ ნაწილში ჩაშენებულია სამსართულიანი სამრეკლო (სურ. 3.121.6). პირველ სართულზე სამონასტრო კომპლექსის შესასვლელია, მეორე სართულზე სათავსოა სამხრეთის კედელში ორი ვიწრო სარკმლით, ხოლო მესამე სართულზე სამრეკლოა ოთხივე მხრიდან ორთაღიანი გახსნილი კედლებით.

კომპლექსს შემოვლებული აქვს ორი გალავანი – ძველი და ახალი, რომელთაგან ახალი, სათოფურებიანი უკეთ არის შემონახული და XVII-XVIII სს. თარიღდება, ხოლო ძველი XII-XIII სს. განეკუთვნება და მისი დიდი ნაწილი დაზიანებულია.

3.122. ბაიები (ბაიოღლები) – სანახევროდ კლდეში ნაკვეთი ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლი (სურ. 3.122.1). მდებარეობს ახალციხეში, მდინარე ურავლის ხეობაში, სოფ. წყორძა-


დან დასავლეთით, სოფელ ქისათიბისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს. მესხეთისთვის მტრის შემოსევის მუდმივი საფრთხის გამო, ბუნებრივი და დამახასიათებელია ამგვარი ტიპის ძეგლები კლდეში ნაკვეთი გვირაბებითა და სამალავებით. თარიღდება დაახლოებით XII-XIII საუკუნეებით.

სახელი „ბაიები“-ის წარმომავლობა დადგენილი არ არის, თუმცა არსებობს მოსაზრება, რომ იგი აშენებული უნდა იყოს ბაიაშვილების გვარის წარმომადგენლებისგან. მოსაზრებას ამყარებს ისიც, რომ კომპლექსის ქვემოთ ნასოფლარია, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა „ბაიოღლებს“ ეძახის, რაც, ალბათ ბაიაშვილების თურქული ვარიანტია.



სურ. 3.122.1. საერთო ხედი

მცირე სიმაღლის შვეული კლდის შუა ნაწილში გამოკვეთილი ნახევრადგამოქვაბული ანსამბლი შორიდან ძნელად აღიქმება კლდის ფონზე. მესხეთის სხვა ქვაბულ კომპლექსებთან შედარებით მოკრძალებული ზომის, მაგრამ არქიტექტურული თვალსაზრისით ძალიან საინტერესო ძეგლი იმ ნაგებობათა რიცხვს განეკუთვნება, რომელთა ეკლესიებს და სხვა სათავსებს აშენებული საფასადო კედლები აქვთ. კომპლექსი შედგება გალავნისგან, რომლის შიგნითაც მოქცეულია თითქოს კლდეს შეფარებული ორი ერთმანეთზე გადაბმული ეკლესია (სურ. 3.122.2). ისინი მთელი ანსამბლის მხოლოდ ნაწილია. მათ ქვეშ სართულებად სადგომებია გამართული, ქვით ამოყვანილი წინა სამხრეთი კედლებით. ბაიებს, მესხეთის სხვა კლდეში ნაკვეთი კომპლექსების მსგავსად სამალავები აქვს მოწყობილი. მთაში გამავალი გვირაბი დიდ სამლოცველოში გაკეთებული ხვრელიდან იწყება. ანსამბლში შედის ასევე მცირე გამოქვაბულ-სალოცავი გასაძრომი გვირაბით, რომელიც ოვალური ფორმის ლოდით იხურებოდა. ეს ფილა დღესაცაა შემორჩენილი გვირაბში.



სურ. 3.122.2. ორი დარბაზული ეკლესია

ბაიების ანსამბლის ორი დარბაზული ტაძარი კლდეში ისეა შესმული, რომ გარეთ მხოლოდ თლილი ქვით მოპირკეთებული სამხრეთი ფასადი გამოდის. შენობები განსხვავებული ზომისაა, მარცხენა დაბალია და მთლიანად სუფთად გათლილი ქვითაა აგებული. მეორე უფრო მაღალ, ვრცელ ნაგებობას სამხრეთი და ჩრდილოეთი კედლები, კამარაც ქვით აქვს აშენებული, ხოლო დასავლეთი კედლის დიდი ნაწილი და მთელი საკურთხეველი კი კლდეშია გამოკვეთილი. ეკლესიებს გარედან ბრწყინვალე ოსტატობით შესრულებული ჩუქურთმიანი კარნიზი მიუყვება. ნაგებობები საკმაოდ ნათელია, შესასვლელები (სურ. 3.122.3) და სარკმლები ორივეს სამხრეთიდან აქვს გაკეთებული, ხოლო მოზრდილ ეკლესიას დამატებით პატარა თაღოვანი ღიობი აქვს გაჭრილი დასავლეთ ფრონტონში. ოდესღაც ეკლესიების ინტერიერები მხატვრობით იყო დაფარული. დღეს დიდი ტაძრის კედლებს ძველი მხატვრობის მხოლოდ უმნიშვნელო კვალიღა შემორჩა.



სურ. 3.122.3. მეორე ეკლესიაში შესასვლელი

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ბაიების გალავანში შესასვლელის კონსტრუქცია: ქვის წირთხლში ღარი და ღრმულია ამოჭრილი, ხოლო კარის ზღუდარს საგდულის (ურდულის) ჩასასმელი მრგვალი ფორმის ხვრელი აქვს გაკეთებული. თვითონ საგდული ერთიან სქელ ქვის ფილას წარმოადგენს, ცალ მხარეს ზემო და ქვემო კუთხეებში გამოყვანილი შვერილი „ქუსლებით“.

მათი საშუალებით საგდული კარის წირთხლის ღრმულებში ჯდება - ზემოთ ბუდეში, ხოლო ქვემოთ ღარში. გარდა ამისა, საგდულს საგანგებო ხვრელი – საჭვრეტიც ჰქონდა გაკეთებული. ბაიების ნახევრადგამოქვაბული ანსამბლი დღეს ძლიერაა დაზიანებული.

მესხეთ-ჯავახეთში კლდეში ნაკვეთი მრავალი ძეგლი არსებობს. მართალია ბაიები თავისი სიდიდით ვერ შეედრება უფლისციხეს, ვარძიასა და ვანის ქვაბებს, მაგრამ მეტად საინტერესო ძეგლია. კომპლექსი ჯერჯერობით საფუძვლიანად გამოკვლეული არ არის. იგი ძლიერაა დაზიანებული და საჭიროა მისი გაწმენდა ჩამოზვავებული მიწისაგან, დანგრეული და დაზიანებული კონსტრუქციების აღდგენა და უნიკალური ნაგებობის დაბრუნება მრავალჭირგამოვლილი ქართველი ხალხისათვის.

3.123. ერთაწმინდა (ინგლ. Ertatsminda Cathedral) – XIII საუკუნის პირველი ნახევრის ქართული ხუროთმოძღვრების მნიშვნელოვანი ძეგლი, სამონასტრო კომპლექსი (სურ. 3.123.1). მდებარეობს შიდა ქართლის მხარეში, კასპის მუნიციპალიტეტში, თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე, მდ. თეძმის ხეობაში, ქ. კასპიდან 20 კმ-ში (სურ. 3.123.2). კომპლექსში შემავალი ნაგებობებია: წმინდა ესტატეს სახელობის ტაძარი, გალავანი, სამრეკლო, სამონასტრო და სამეურნეო დანიშნულების ნაგებობების ნანგრევები.




სურ. 3.123.1. საერთო ხედი

ტაძრის სახელწოდება „ერთაწმინდა“ დაკავშირებულია ქრისტიანული ეკლესიის მრავალმოწამე წმ. ესტატესთან, რომლის სახელზეცაა იგი ნაკურთხი. „ესტატე წმინდა“ დროთა განმავლობაში ხალხის გამოთქმაში დამკვიდრებულა „ერთაწმინდად“ და სოფელსაც იმავე სახელწოდება უძველესი დროიდანვე მიუღია (პლატონ იოსელიანი). ამის დამამტკიცებელი უნდა იყოს აღნიშნული ძველი სახელწოდების მიახლოებული რედაქცია „ესტაწმინდა“ – რომელიც გვხვდება ერთაწმინდასთან დაკავშირებულ ძველ ისტორიულ საბუთებში.



სურ. 3.123.2. ადგილმდებარეობის რუკა



სურ. 3.123.3. გეგმა

ერთაწმინდის ტაძარი გეგმით (სურ. 3.123.3) ჯვარგუმბათოვანი, აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით წაგრძელებული მართკუთხა ნაგებობაა და ღრმა ბემიანი აფსიდით სრულდება. საკურთხევლის ორივე მხარეს აფსიდიანი დაგრძელებული პასტოფორიებია. სადიაკვნესა და სამკვეთლოს თავზე ოთახებია გამართული. ნაგებია კარგად გათლილი მოყვი-

თალო ფერის ქვით. გუმბათი აღმოსავლეთით ბემის კუთხეებს ეყრდნობა, დასავლეთით კი – ორ თავისუფლად მდგარ საკმაოდ მასიურ სვეტს. გუმბათქვეშა კვადრატიდან გუმბათის ყელზე გადასვლა ხდება აფრების საშუალებით. ტაძარს დასავლეთით პატრონიკე არ გააჩნია. შესასვლელი სამი აქვს. სამხრეთი და ჩრდილოეთი შენობის დასავლეთ მონაკვეთებშია გაჭრილი, ხოლო დასავლეთისა ცენტრში. სამნაწილიანი კარიბჭიდან, რომელიც ტაძარს დასავლეთი მხრიდან ჰქონდა, დღეს მხოლოდ სამხრეთი მონაკვეთია შემორჩენილი. ერთაწმინდა ნაგებია კარგად გათლილი მოყვითალო ფერის ქვით.



სურ. 3.123.4. აღმოსავლეთის ფასადი

ტაძარს რამდენიმე თავისებურება ახასიათებს. ყურადღებას იპყრობს კედლების სისქე, 1.5 მ-მდე. უჩვეულოა სარკმლების განლაგებაც და რაოდენობაც. საკურთხეველში ხუთი სარკმელია გაჭრილი: ქვემოთ სამი ერთნაირი, ხოლო მათ თავზე ორი მომცრო ზომის, რაც ერთადერთი შემთხვევაა ამ დროის ქართულ ხუროთმოძღვრებაში. დასავლეთის ფასადი სარკმლების სიუხვით გამოირჩევა – ცენტრში შეწყვილებული დიდი ღიობებია, ხოლო გვერდით კედლებში ორ იარუსად ორ-ორია განთავსებული. სამი სარკმელი აქვს სამხრეთ ფასადს (ორი ზემოთ და ერთი ქვემოთ), ჩრდილოეთით კი ოთხია (ზემოთ ორი დიდი, ხოლო ქვემოთ, ორი მცირე ზომის შეწყვილებული). გუმბათის ყელში თავდაპირველად 12 სარკმელი ყოფილა გაჭრილი, რვასარკმლიანი გუმბათის ყელი გვიანდელი აგებულია. ტაძარს აქვს მცირე ზომის მრგვალი სარკმლებიც. ნაგებობის თავისებურებას წარმოადგენს ჩრდილოეთის ფასადის ღრმა სამკუთხა ნიშაც (მსგავსი შემთხვევა მხოლოდ თბილისის მეტეხში გვაქვს).



სურ. 3.123.5. ნიშა აღმოსავლეთის ფასადის ფასადზე



სურ. 3.123.6. ჩრდილოეთის ფასადის შეწყვილებული სარკმლის მორთულობები მორთულობა

ტაძრის ფასადები მდიდრულადაა მორთული. ოთხივე ფასადს დიდი მოჩუქურთმებული ჯვარი ამშვენებს. ისინი მკლავების ფრონტონებიდან იწყება. განსაკუთრებით დასამახსოვრებელია აღმოსავლეთის ფასადი (სურ. 3.123.4), რომელსაც ტრადიციული მდიდრულად მორთული ორი ნიშა და შეწყვილებული სარკმლები ამშვენებს შუაში ჯვრით. ხუროთმოძღვარს

ახალი ელემენტებიც შეაქვს აღმოსავლეთი ფასადის მორთულობაში. ფრონტონის ქვეშ ლილვებით გამოყვანილი კლაკნილებია, რომლებიც შვეულ საფეხურიან ლილვებთანაა დაკავშირებული. (ასეთივე ტეხილი ლილვები მიუყვება ჩრდილოეთ ფრონტონსაც). გამორჩეულია აღმოსავლეთი ფასადის ორი ზემო სარკმელიც, რომელთა საპირის ქვედა ხაზი სამკუთხადაა შეტეხილი. ერთაწმინდის თავისებურებებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანია ჰორიზონტალური სარტყელი – ორ გლუვ ლილვს შორის მოქცეული ორნამენტული არშია. სარტყელი ტაძრის აღმოსავლეთ, სამხრეთ და ჩრდილოეთ ფასადებს ორ ნაწილად, ქვემო და ზემო არეებად ყოფს და კუთხის წიბოებს აყოლებულ შვეულ ლილვებთან ერთად თითქოს ჩარჩოებში აქცევს მათ. ჩრდილოეთ და სამხრეთ ფასადებზე, ცოკოლთან და ფრონტონებთან ერთად, ეს სარტყლები ჰორიზონტალების მთლიან სისტემას ქმნიან და ანელებენ ფასადების კომპოზიციების ზესწრაფვას (სურ. 3.123.5, სურ. 3.123.6).



სურ. 3.123.7. აღმოსავლეთის ფასადის ნიშის დეკორატიული ფრაგმენტი მორთულობა



სურ. 3.123.8. ჩუქურთმა (სარკმლის საპირე)



სურ. 3.123.9. რელიეფი

ტაძრის ფასადები საკმაოდ დატვირთულია ჩუქურთმებითა და რელიეფებით (სურ. 3.123.7 - სურ. 3.123.11). ტრადიციული კომპოზიციები აქვს ეკლწსიის პორტალებს. ერთაწმინდის ტაძარი სტილისტიკით იმეორებს XII-XIII საუკუნეების ძეგლებს იკორთას, ფიტარეთს, ბეთანიას, ქვათახევს, წუღრუღაშენს და სხვ. ხუროთმოძღვრულ ძეგლს არ გააჩნია არც სამშენებლო წარწერა და არც რაიმე დამათარიღებელი წერილობითი საბუთი, მაგრამ ძეგლის ფორმა და მორთულობა, შესაძლოა, რუსუდანის მეფობის პერიოდს, XIII საუკუნის შუა წლებს უკავშირდებოდეს. სავარაუდოდ, მისი მაშენებლები იყვნენ ქართლის მაშინდელი ერისთავები სურამელები.

სამრეკლო (სურ. 3.123.12) გალავნის ჩრდილოეთ ნაწილშია ჩართული. იგი რამდენიმე ათეული წლის წინ დაუნგრევიათ და ძველის ადგილზე ახალი, უფრო ფართო სამრეკლო აუშენებიათ (ძველ სამრეკლოში ახალი ზარი ვერ ჩაატიეს). ამჟამად სამრეკლოს ქვედა სართული დაფარულია მასზე მიდგმული გვიან აგებული შენობებით. ზედა სართული მრგვალია, ოთხი თაღოვანი ღიობით შემკული. თაღის ქუსლებს ზემოთ კედელი აგურისაა, ხოლო თაღების შეერთების ადგილზე გადაყვანილია აფრები, რასაც ეყრდნობა გუმბათის სფერული კამარა. კონუსური სახურავი დუღაბით არის გადახურული. სამონასტრო და სამეურნეო ნაგებობების ნაშთები არ შემორჩენილა.



სურ. 3.123.10. რელიეფი (სარკმლის საპირის დეტალი)



სურ. 3.123.11. რელიეფი

ერთაწმინდის ტაძარი შემოვლებულია განვითარებული ფეოდალური ხანის გვიანდელი პერიოდის გალავნით, რომელსაც თავდაპირველად 7 კოშკი ჰქონია. შემორჩენილია დასავლეთის ორი კოშკის ნანგრევები. ნაგები იყო ბრტყელი ნატეხი ქვით.

ტაძარშია დაკრძალული გიორგი სააკაძის ერთ-ერთი ვაჟის, მოწამებრივად დაღუპული პაატას მოკვეთილი თავი, რასაც გვამცნობს საფლავის ქვის აბრა (სურ. 3.123.13).

ტაძარს რესტავრაცია ჩაუტარდა XIX საუკუნის II ნახევარში და ამჟამად ამ სახითაა წარმოდგენილი.



სურ. 3.123.12. სამრეკლო




სურ. 3.123.13. აბრა პაატას საფლავის ქვაზე

3.124. არმაზის ციხე – ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი (სურ. 3.124.1; სურ. 3.124.2). მდებარეობს შიდა ქართლის მხარეში, მცხეთის მუნიციპალიტეტში, ქ. მცხეთიდან დასავლეთის მიმართულებით 3 კმ-ში, მდ. არმაზისხევის ხეობაში ერთ-ერთ მაღალ მთაზე (სურ. 3.124.3). თარიღდება XIII-XV საუკუნეებით. ციხე შედგება ნატეხი ქვით ნაგები გალავნისა და კოშკისგან. ნაგებობა ძლიერ დაზიანებულია. შესასვლელი, რომლის მხოლოდ კვალია შემორჩენილი, სამხრეთ–აღმოსავლეთიდანაა (სურ. 3.124.4). გეგმით ტრაპეციისმაგვარ (26,0x27,5 მ) გალავანში ჩაშენებული ქვის კოშკი სამხრეთ ნაწილში დგას და წარმოადგენს წიბოებმომრგვალებულ სამკუთხა პრიზმას (გვერდების სიგრძე 13,5 მ). პირველი სართული ყრუა. სამეურნეო დანიშნულებისთვის ამ სივრცის ერთი კუთხე ცერადაა გატიხრული. კოშკში შესასვლელი ჩრდილოეთიდანაა მეორე სართულზე. ამავე სართულს სამივე მხარეს

მოზრდილი სარკმლები აქვს გაკეთებული. ნაგებობას მესამე სართულიც ჰქონდა, მაგრამ დღეს მხოლოდ მისი ქვედა ნაწილია შემორჩენილი. სართულშუა გადახურვები ჩაქცეულია.



სურ. 3.124.3. ადგილმდებარეობის რუკა



სურ. 3.124.4. გენგეგმა



სურ. 3.124.1. საერთო ხედი



სურ. 3.124.2. პანორამული ხედი

არმაზის ციხეს, მოხერხებული ადგილმდებარეობის გამო, გაბატონებული მდგომარეობა ეკავა მცხეთისკენ მიმავალ გზებზე. ურიცხვი მტრის მიერ მრავალჯერ იყო დაქცეული და ქართველების ხელით კვლავ აღდგენილი. ისტორიული ცნობების მიხედვით ციხის მახლობლად, არმაზისხევში, XII საუკუნეში ღვთისმშობლის სახელობის სამონასტრო კომპლექსიც დაუარსებიათ. XV საუკუნის შემდეგ, სპარსელებისა და თურქების ბატონობის ხანაში, ციხე პრაქტიკულად განადგურდა და აღარც აღუდგენიათ.

საქართველოს უმნიშვნელოვანესი არმაზის ციხე ამჟამად მხოლოდ ნანგრევების სახითაა შემორჩენილი (სურ. 3.124.5-სურ. 3.124.6).



სურ. 3.124.5. ციხის ნაშთები



სურ. 3.124.6. ციხის ნაშთები

3.125. თირის მონასტერი (ინგლ. Thiri Monastery) – XIII საუკუნის მეორე ნახევრის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი (სურ. 3.125.1). მდებარეობს ისტორიულ შიდა ქართლში, ქ. ცხინვალის ჩრდილო-დასავლეთით 8 კმ-ზე. სოფელს, რომლის მახლობლადაც ძეგლი მდებარეობს, ამჟამად ქვემო მონასტერი ეწოდება. ის მდინარე თირისწყლის ნაპირზეა განლაგებული. კომპლექსის შემადგენლობაში შედის: სამხრეთ და დასავლეთ მინაშენებიანი დარბაზული ეკლესია, სამრეკლო, სატრაპეზო, კოშკი, გალავანი, საძვალე, კლდეში ნაკვეთი მღვიმეები და სენაკი-სამლოცველოები, აგრეთვე სხვა შენობათა ნანგრევები.



სურ. 3.125.1. საერთო ხედი

თირის ხუროთმოძღვრული ანსამბლი ვიწრო ტერასაზეა განლაგებული. რთული ლანდშაფტის გამო (ჩრდილოეთით მას შვეული ქარაფი საზღვრავს, ხოლო სამხრეთით ციცაბო ფერდობი აქვს) სამონასტრო ნაგებობები ძალიან მჭიდროდ, გრძივ ღერძზეა გაშენებული. ეკლესიას არ გააჩნია სამშენებლო წარწერა. ხუროთმოძღვრებისა და მორთულობის ანალიზის საფუძველზე მკვლევარები მას XIII საუკუნის 80-იანი წლებით ათარიღებენ.

მონასტრის ძირითადი ნაგებობა ანსამბლის ცენტრში აღმართული, გეგმით მართკუთხა (6,25x14,0 მ) (ვ. ბერიძესთან გარეთა ზომებია: 9.95×17.80 მ, სიმაღლე შიგნით 9.5 მ) ღვთისმშობლის ეკლესიაა საკურთხევლის აფსიდით, რომელსაც ნავისაგან ეკლესიის თანადროული კანკელი გამოყოფს (კანკელმა ჩვენამდე თავდაპირველი სახით ვერ მოაღწია). საკურთხეველში შემორჩენილია XIV-XV საუკუნეების მოხატულობის ნაშთი.

ეკლესია დარბაზული ტიპისაა, თითქოსდა ცალნავიანი. წაგრძელებული მართკუთხა ნაგებობა ორფერდა სახურავითაა გადახურული, რომელიც განივ ფასადებზე ფრონტონებს ქმნის, მაგრამ ინტერიერი რამდენიმე თავისებურებით გამოირჩევა. „შიგა სივრცე ორი დარბაზისაგან შედგება: დასავლეთისა, შედარებით ვიწრო და სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ მიმართული, ხოლო ცენტრალური, რომელიც აღმოსავლეთიდან ბემითა და საკურთხევლის აბსიდით ისაზღვრება, კვადრატული. გამოდის, რომ სამი სივრცობრივი ერთეული ერთიან სისტემაში მხოლოდ სახურავის კონსტრუქციას მოჰყავს“ (გ. ყიფიანი).

თავისებურებით გამოირჩევა ტაძრის აფსიდი. საკურთხეველს თითქმის გაბრტყელებული მოხაზულობა აქვს (რაღაც საშუალოა მართკუთხა და წრიულ აფსიდებს შორის). თავდაპირველი გეგმით აფსიდის ჩრდილოეთით, კედლის სისქეში ვიწრო მართკუთხა სამკვეთლოა გამართული, რომელიც გასასვლელით უკავშირდება ძალიან მცირე სიღრმის ბემას. თირის ტაძარს ორი შესასვლელი აქვს და ორივე სამხრეთ ფასადშია გაჭრილი. ერთი შესასვლელი საკუთრივ დარბაზისაა, ხოლო მეორეს ნავის დასავლეთით გამოყოფილ დამოუკიდებელ სათავსში - ეგვტერში შევყავართ. ნაგებობის ეს ნაწილი მთავარ დარბაზთან ფართო კარითაა დაკავშირებული, რომლის ორივე მხარეს მცირე სახატე ნიშებია გაკეთებული. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ეკლესიის ნავში ეგვტერის არსებობა ადგილის სივიწროვით უნდა ყოფილიყო გამოწვეული. აღსანიშნავია სარკმლების განლაგების თავისებურებაც. ისინი ძირითადად სამხრეთ ფასადზეა თავმოყრილი. საკურთხეველში სამი სარკმელია: ერთი, ტრადიციულად აღმოსავლეთით აფსიდის ცენტრში, მეორე აფსიდის სამხრეთ კედელში, ხოლო მის გვერდით (სამხრეთით) ბემაში მესამე. ამ ფასადზე კიდევ ერთი დიდი და ერთიც მცირე მრგვალი სარკმელია განთავსებული. დასავლეთ ეგვტერსაც სამხრეთ კედელში აქვს ორი ღიობი (ერთი მათ შორის მრგვალი), ხოლო დასავლეთ ფასადზე ერთი. განხვავებულია გარედან ტაძრის მორთულობა. კარნიზებსა და კვერცხლბეკის ჰორიზონტალებთან ერთად ნაგებობის წიბოებს აყოლილი ორმაგი შვეული ლილვები ფასადებს თი-

თქოს ჩარჩოებში აქცევენ. თავშეკავებულია აღმოსავლეთი და დასავლეთი ფასადების მორთულობა. დასავლეთით, მაღლა, ლილვებით შემოსაზღვრული მოჩუქურთმებულ საპირიანი ვიწრო და გრძელი სარკმელია განთავსებული. საპირის ლილვები ორნამენტულ ბაზისებს ეყრდნობა და კონებით და ბურთულებითაა გაფორმებული. სარკმლის თავზე სამი ჩუქურთმიანი კოპია. ფასადის ფრონტონის კეხთან მცირე ზომის ფილაა ჩასმული ჯვრის რელიეფით. აღმოსავლეთ ფასადსაც ცენტრში ორნამენტულსაპირიანი თაღოვანი სარკმელი (აქაც საპირეს ლილვები, ორნამენტული ბაზისები, კონები და ბურთულები აქვს), მის თავზე აღმართული დიდი რელიეფური ჯვარი და ორნამენტული კოპები ამშვენებს. არქიტექტურული და დეკორაციული ელემენტების სიუხვეა სამხრეთ ფასადზე. მას დეკორატიულ პანოსაც უწოდებენ (გ. ყიფიანი). აქ იყრის თავს: ორი კარი, ოთხი სხვადასხვა ზომის, ტიპისა და მორთულობის მქონე სარკმელი, მრგვალი ღიობები, ორნამენტული დისკოები, ჯვრის რელიეფი, ნიჭარები პორტალების თავზე. თირის ეკლესიის ორნამენტაციის რეპერტუარი ტრადიციულია, გამოყენებულია XI და XIII საუკუნეებისთვის დამახასიათებელი მოტივები. ტაძრის პერანგი ერთფეროვანი რუხი ფერის ბაზალტითაა ნაშენი, მაგრამ სამხრეთი კედლის წყობაში ჩართული მოყვითალო ქვიშაქვის კვადრები ფერადოვანს ხდის და აცოცხლებს ნაგებობას (უნდა აღინიშნოს, რომ ქვიშაქვის კვადრები გვიანი შეკეთების შედეგია). ტაძარს თავიდან ბოლომდე გასდევს პროფილირებული, ორნამენტით შემკული ლავგარდანი. ნაგებობა დახურულია ლორფინებით.



სურ. 3.125.2. სამხრეთი კარის შემკულობა



სურ. 3.125.3. რელიეფი



სურ. 3.125.4. წარწერა

XIV საუკუნეში, ისტორიული წყაროების მიხედვით, თირის მფლობელებად თავხელისძეები ჩანან, რომლებიც საუკუნის დასასრულიდან აქტიურ მოღვაწეობას ეწევიან მონასტერში. ეგვტერის დასავლეთ კედელზე არსებული წარწერიდან ცნობილია, რომ XV საუკუნის 20-იან წლებში მოლარეთუხუცეს ხელა თავხელიძეს ეკლესიისათვის სამხრეთი კარიბჭე და ეგვტერი-საძვალე მოუშენებია (ჩვენამდე მხოლოდ მინაშენის აღმოსავლეთმა მონაკვეთმა მოაღწია, რომელიც დამოუკიდებელი ნაგებობაა და მთავარ ტაძართან არ არის დაკავშირებული) (სურ. 3. 125.2, სურ. 3.125.3). ტაძრის კორპუსზე ჩრდილო-აღმოსავლეთით მიშენებული წმ. ნიკოლოზის საყდარი 1682 წელს მროველმა ეპისკოპოსმა ფილიპე თაქთაქიძემ ააგო როგორც თაქთაქიძეთა საგვარეულო სამარხი. ამის მაუწყებელი წარწერა მოთავსებულია ეგვტერის კარის ტიმპანზე (სურ. 3.125.4).

აღსანიშნავია, რომ ჩრდილეთიდან სამლოცველოს მიშენებამ სახე უცვალა ნაგებობას. ეგვტერის მთავარ ტაძართან დასაკავშირებლად ხუროთმოძღვარმა ეკლესიის ჩრდილოეთი კედელი გამოიღო და სამკვეთლოს დასავლეთი კედლიდან მთავარი ტაძრის დარბაზში გასასვლელი გაჭრა. XVIII საუკუნეში თირის მონასტერი და სოფელი ქართლის გამგებლისა (1703-1714 წწ.) და მეფის (1716-1724 წწ.) ვახტანგ VI-ის სამკვიდრო მამული იყო. აქ დაკრძალულია ვახტანგის შვილი როსტომი. 1811 წელს მონასტერი სამრევლო ეკლესიად გადაკეთდა.

ორსართულიანი სამრეკლო, რომელიც ღვთისმშობლის ტაძრიდან ოდნავ მოშორებით დასავლეთით დგას, ქართულ სამრეკლოთა ადრეულ ტიპს განეკუთვნება. ნაგებობის დაბალი დახურული კუბის თავზე ქვედა სართულის სიგანის ტოლი დიამეტრის მქონე მაღალი ცხრამალიანი ფანჩატურია აღმართული, რომელსაც ზემო და ქვემო ნაწილებში მარტივ ლილვიანი სარტყლები შემოუყვება. სამრეკლოს მორთულობას თაღების გრეხილი ლილვების გარდა დასავლეთით წიბოში ჩასმული რელიეფური ფილა და ორნამენტიანი კოპები წარმოადგენს. ნაგებობა თარიღდება XIV საუკუნის ბოლო მეოთხედით.



სურ. 3.125.5. სამრეკლო

ეკლესიისა და სამრეკლოს (სურ. 3.125.5) გარდა, სამონასტრო ნაგებობები ნანგრევების სახითაა მოღწეული. ძლიერაა დაზიანებული ტაძრის აღმოსავლეთით მდებარე კოშკი. თირის სატრაპეზო გეგმით მართკუთხა დარბაზს წარმოადგენდა. დღეს მისგან მხოლოდ ნაშთებია შემორჩენილი. მკვლევართა ვარაუდით, საცხოვრებელი სენაკები გალავნის ფარგლებს გარეთ უნდა ყოფილიყო განთავსებული, მათ კვალს მონასტრის გალავნის შიგნით ვერ მიაკვლიეს. თირის ერთ-ერთი გამორჩეული ნიშანი კლდეში ნაკვეთი სენაკი-სამლოცველოებია. შენობები ძირითადად ნაგებია ბაზალტის თლილი ქვით, გამოყენებულია აგური და რიყის ქვაც.

3.126. კაბენის მონასტერი (ინგლ. Monastery of Kaben) – XIII საუკუნის პირველი ნახევრის ქართული ხუროთმოძღვრების თვალსაჩინო ძეგლი, სამონასტრო კომპლექსი. მდებარეობს ქვემო ქართლის მხარეში, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, სოფელ კოჯრის მახლობლად,



სურ. 3.126.1. საერთო ხედი (კოჯრის კაბენი)



სურ. 3.126.2. სამხრეთი ფასადი (კოჯრის კაბენი)

მდინარე ასურეთისწყლის ხეობაში. მდებარეობის გამო, სამეცნიერო ლიტერატურაში ის კოჯრის კაბენის სახელითაა ცნობილი. კომპლექსში შემავალი ნაგებობებია: ღვთისმშობლის მიძინების დიდი გუმბათიანი ტაძარი (დღეს უკვე აღარარსებული), სვიმონ მესვეტისა და მიქაელ მთავარანგელოზის მცირე დარბაზული ეკლესიები.

კაბენის მონასტერი გამოჩენილი ქართველი გეოგრაფისა და ისტორიკოსის ვახუშტი ბატონიშვილის საქართველოს გეოგრაფიაშია („აღწერა სამეფოსა საქართველოსა“) მოხსენიებული. მეცნიერის ცნობით დედათა მონასტერი და გუმბათიანი ეკლესია თამარ მეფის დროსაა აგებული. XIX საუკუნის ფოტოსურათებზე დიდი ტაძარი უკვე ძლიერ იყო დაზიანებული: გუმბათის, კამარებისა და კარნიზის გარეშე იდგა. ჯერ კიდევ შემორჩენილი აღმოსავლეთი ფასადი სამთავისის მთავარი ფასადის კომპოზიციას უახლოვდებოდა. სამწუხაროდ, XX საუ-

კუნის დასაწყისში აქ დამკვიდრებულ რუს ბერებს დიდი მხატვრული ღირებულების მქონე ტაძრის ეს დარჩენილი ნაწილიც მთლიანად გაუნადგურებიათ.

ფოტოსურათის მიხედვით მთავარი ნაგებობა შიდა სივრცის გადაწყვეტით, ბეთანიის გუმბათოვანი ტაძრის ანალოგი ყოფილა მცირე ცვლილებებით. განსხვავდებოდა ფასადების მორთულობით. ინტერიერი მთლიანად მოხატული ყოფილა. ჟამთა სვლას მხოლოდ მიქაელ მთავარანგელოზის მცირე ერთნავიანი დარბაზული ეკლესია (სურ. 3.126.1; სურ. 3.126.2) გადაურჩა, რომელიც აგებულია კარგად დამუშავებული თლილი ქვით. სამშენებლო წარწერის მიხედვით ისიც თამარის დროსაა აგებული. შემორჩენილია აგრეთვე სვიმონ მესვეტეს ეკლესიის ნანგრევები.



სურ. 3.126.3. ყანჩაეთის კაბენის მონასტრის მორთულობა

ასეთივე დასახელების IX-XIII საუკუნის მონასტერი მდებარეობს შიდა ქართლში, ახალგორის მუნიციპალიტეტში, სოფელ ყანჩაეთის მახლობლად. ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიაში ის ყანჩაეთის კაბენის მონასტრის სახელითაა შესული, ხოლო ადგილობრივი მოსახლეობა მას გეთსიმანიას უწოდებს. ეკლესიის გარდა შემორჩენილია სატრაპეზოსა და სხვა შენობათა ნაშთები. სამხრეთ ფასადზე არსებულ წარწერაში დასახელებულ პირთა მიხედვით ნაგებობა თარიღდება IX საუკუნის პირველი ნახევრით. სამშენებლო ფენების მიხედვით კი ირკვევა, რომ იგი საფუძვლიანად გადაუკეთებიათ XII-XIII საუკუნეთა მიჯნაზე. (შეცვლილია ფასადთა მორთულობაც). შედარებით უფრო გვიანდელია აგურით მიშენებულ-შეკეთებული ნაწილები, ჩრდილოეთი კარიბჭე და სხვ. არქიტექტორ ვ. ცინცაძის გრაფიკული აღდგენის მიხედვით, გეგმით ის ახლოს დგას წირქოლის ეკლესიასთან, მაგრამ გამოირჩევა ეპოქის ტენდენციებით. ტაძარი თავდაპირველად „თავისუფალი ჯვრის“ ტიპის გუმბათოვანი ნაგებობა ყოფილა ოთხ სარკმლიანი, გარედან რვაწახნაგა გუმბათის ყელითა და მცირე სიღმის ნალისებრი ფორმის აფსიდით ბემის გარეშე. შიგნით, გუმბათის ცილინდრული ყელის კვადრატზე გადასაყვანად ტრომპებია გამოყენებული. საკურთხევლის ორივე მხარეს თითო დამხმარე სათავსია გამართული. დასავლეთის მკლავს გუმბათქვეშა სივრციდან მრგვალ სვეტზე დამყარებული ორი თაღი გამოჰყოფს. სამხრეთი და ჩრდილოეთი კედლები ორ-ორი ბრტყელი ნიშითაა დამუშავებული. კაბენის ერთ-ერთ თავისებურებას საკურთხევლის აფსიდის სამხრეთით მდებარე ოთახი წარმოადგენს. სადიაკვნეს ნაცვლად აქ დამოუკიდებელი პატარა სამლოცველოა მოწყობილი, რომელსაც ეკლესიის მთავარი სივრცისგან კედელი გამოყოფს, შესასვლელი მას გარედან აქვს გაჭრილი. ეპოქის ტენდენციების



სურ. 3.126.4. ყანჩაეთის კაბენის მონასტრის მორთულობა



სურ. 3.126.5. ყანჩაეთის კაბენის მონასტრის მორთულობა

ნათელი მაგალითია გუმბათი. რეკონსტრუქციის მიხედვით, გუმბათის ყელის მოჩარჩოებულ წახნაგებს შიგნით ამოღრმავებული თაღოვანი არეები აქვს (მათგან ოთხში სარკმლებია ჩასმული). სამხრეთ და ჩრდილოეთ ფასადებს ორ-ორი თაღოვანი არე ამშვენებთ, რომელთაც თავზე ჰორიზონტალური სარტყელი შემოუყვება. ტაძარი ნაგებია თეთრი, ფორებიანი ტუფითა და რიყის ქვით. ინტერიერსა და გუმბათის ყელზე არის ძველი მოხატულობის დაზიანებული ფრაგმენტები. ტაძარი გამორჩეული იყო მაღალი დონის ოსტატობით შესრულებული ჩუქურთმებითა და მორთულობებით (სურ. 3.126.3-სურ. 3.126.6).

აღსანიშნავია, რომ ძეგლის გაწმენდის დროს გამოვლინდა თავდაპირველი ნაგებობის სამხრეთ ფასადზე შესრულებული ფერწერული წარწერის ფრაგმენტი, სადაც საქართველოს ისტორიისთვის უცნობი პირები არიან დასახელებულნი. ყანჩაეთის კაბენის სამლოცველოსა და ვიწრო, უაფსიდო სამკვეთლოს ქვეშ კრიპტებია მოწყობილი.



სურ. 3.126.6. ყანჩაეთის კაბენის მონასტრის ჩუქურთმა

3.127. კოპის ციხე – (ინგლ. Kopi Castle) – XIII საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, კლდეში ნაკვეთი ძლიერი საფორტიფიკაციო ნაგებობა (სურ. 3.127.1; სურ. 3.127.2) და მის ქიმზე ჩაშენებული ეკლესია (სურ. 3.127.3). მდებარეობს ისტორიულ ტაოში, საქართველოს სამხრეთ საზღვართან, ბარდუსის ხეობაში (თურქეთის რესპუბლიკა, სოფელი კოპი, თანამედროვე თიმურყიშლა). კოპი პირველად ექვთიმე თაყაიშვილის ექსპედიციამ აღწერა 1907 წელს, ხოლო 2013 წელს ექსპედიციამ ბუბა კუდავას ხელმძღვანელობით ჩაატარა ციხის დეტალური აღწერა. ციხისა და ეკლესიის გარდა აღმოჩნდა საფორტიფიკაციო ნაგებობები, ქვევრები, წყლის ავზები, საცხოვრებელი ოთახების ნაშთები და სხვ.



სურ. 3.127.1. საერთო ხედი



სურ. 3.127.2. ეკლესია

ე. თაყაიშვილის ექსპედიციის დროს მაღალ კლდეში ნაკვეთ კოპის მღვიმეებს წინ სარკმლებიანი, ქვით ნაშენი კედლები ჰქონდათ, რომლისგანაც დღეს მხოლოდ მცირე ფრაგმენტებია შემორჩენილი. ციხის ქვედა ნაწილი გალავანით იყო დაცული, ხოლო ზემოთ წყლის ავზები, ოთახები და ეკლესიაა განთავსებული. გამოქვაბულებსა და კლდეში ჩაშენებულ ეკლესიასთან მისასვლელი გზა უკვე 1907 წლის ექპედიციის დროს ყოფილა ჩამოქცეული.

კოპის ციხის მღვიმეების აღმოსავლეთით, კლდის ნაპრალზე მოწყობილ მცირე ბაქანზე დგას თლილი ქვით ნაგები დარბაზული ეკლესია, ნაწილობრივ კლდეში შეჭრილი. გარეთ ის სამხრეთი ფასადით იხსნება. მისი ჩრდილოეთი და ნაწილობრივ აღმოსავლეთი მხარე

კლდეშია გამოკვეთილი. ეკლესიას ერთი შესასვლელი აქვს სამხრეთით. დასავლეთ, აღმოსავლეთ და სამხრეთ ფასადებზე თითო-თითო სარკმელია გაჭრილი.

ე. თაყაიშვილის ექსპედიციის დროს ნაგებობა ლორფინებით იყო გადახურული. ეკლესია შიგნით კამაროვანი დარბაზია, რომელიც აფსიდითაა დასრულებული. საკურთხეველში ძველი მხატვრობის ფრაგმენტებია შემორჩენილი.აქვეა ნუსხური, ასომთავრული და მხედრული წარწერები (სურ. 3.127.4). ამჟამად ფრესკები და წარწერები საკმაოდ დაზიანებულია და ძნელად იკითხება. აღსანიშნავია, რომ ე. თაყაიშვილი კოპის ეკლესიის აღწერისას მოიხსენიებს ულამაზეს ჩუქურთმიან ქვებს, რომლებიც, სამწუხაროდ, დღეს დაკარგულია. მეცნიერთა ვარაუდით, 1907 წლის ექპედიციის დროს დაფიქსირებული ორნამენტიანი ქვებით ეკლესიის კარის საპირე იყო მორთული.



სურ. 3.127.3. ადგილმდებარეობის რუკა



სურ. 3.127.4. ქართული წარწერა

კედლების საფასადე წყობით, სამშენებლო ტექნიკითა და მოხატულობით, სავარაუდოდ, ეკლესია, ისევე როგორც ციხე, XIII საუკუნით თარიღდება, რაზეც მეტყველებს მოხატულობის პირველი ფენა და ნაკაწრი წარწერები. მეორე ფენა XV-XVI საუკუნეების უნდა იყოს, როდესაც ამ ტერიტორიაზე სამცხე-საათაბაგო ყალიბდებოდა. შესაბამისად, კოპის ციხე გვიან შუა საუკუნეებში ჯაყელთა ერთ-ერთი რეზიდენციის ნაწილი უნდა ყოფილიყო. ამაზე მეტყველებს კლდის პირას აშენებული მცირე დარბაზული ეკლესია და მის მახლობლად შემორჩენილი დარბაზის ნანგრევები. კოპის ციხე თავისი სანახევროდ გადარჩენილი ეკლესიით, წარწერებითა და საისტორიო ლიტერატურისათვის უცნობი ფრესკული მხატვრობით, სერიოზულ შესწავლასა და კვლევებს მოითხოვს.

3.128. ლაშარის წმინდა გიორგი (ინგლ. Lashari St. George) – ლაშარის ჯვარი. შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, ფშავის მთავარი სალოცავი. მდებარეობს უკანა ფშავში, ფშავის არაგვის ხეობის ზედა ნაწილში, სოფელ ხოშარის მომიჯნავე მაღალ მთა „ხმელგორზე“. გორის თავზე ლაშარის ხატია დაბრძანებული, რომელიც ყორის გალავნით არის შემოსაზღვრული. ხატი დაჩრდილულია მუხისა და იფნის ხეებით. გალავანი წმინდა და შეუვალია, სადაც ხევისბრებისა და მოწმინდარების გარდა შესვლა არავის შეუძლია.

გალავნის გარეთ ხატის სასანთლეა აშენებული, სადაც ასვენია წმინდა გიორგის ხატები და ჯვრები (სურ. 3.128.1). გალავანში მოთავსებულია თუნუქის გუმბათიანი საზარე (სურ. 3.128.2). გალავნის სამხრეთიდ ქვის სახლია დეკანოზების დროშებისათვის, იქვეა ქვევრები ზედაშე ღვინით. ცალკე დგას




სურ. 3.128.1. ლაშარის ჯვარი

ლუდის გამოსახდელი სახლი. გალავანში ორი სამრეკლოა: ერთი ქვისაა, მეორე კი – ხის. გალავნის შესასვლელთან ასვენია ხატები, იქვეა სამსხვერპლო. ლაშარის ჯვარი ითვლებოდა მოლაშქრე ღვთაებად, რომელიც „გიშრის ფაფარიანი ნისლა ცხენით“ წინ მიუძღოდა საყმოს ლაშქრობებს, როგორც ფშავის თორმეტივე თემის მფარველს, მასვე შესთხოვდნენ სახნავნათესის ბარაქიანობას, ადამიანთა კეთილდღეობას, ავადმყოფობისა და ზიანისაგან დაცვას. ლაშარის ჯვრის კულტი, გარდა ფშავისა, გავრცელებული იყო თუშეთში, ხევსურეთში, მოსაზღვრე ბარის რაიონებში, მეზობელ ჩრდილოეთ კავკასიის მთიელებში. ლაშარის ჯვარი ითვლებოდა ერთ-ერთ ყველაზე მდიდარ ღვთაებად, რომელიც ფლობდა მრავალ შემოწირულ განძეულობას (მათ შორის საქართველოს მეფეებისგანაც), ადგილ-მამულს, ზვრებს კახეთში და სხვ. არსებობს შეხედულება (ვახუშტი ბატონიშვილი), რომ ლაშარის ჯვარი აგებულია საქართველოს მეფის ლაშა გიორგის მიერ (1210-1223 წწ.).



სურ. 3.128.2. ლაშარის საზარე


3.129. ნარიყალას წმინდა ნიკოლოზის ეკლესია – ქართული ხუროთმოძღვრების მნიშვნელოვანი ძეგლი, ქართული მართლმადიდებელი ეკლესია თბილისში, ნარიყალას ციხესიმაგრის ტერიტორიაზე (სურ. 3.129.1). თავდაპირველად აშენდა XIII საუკუნეში საქართველოს მეფე დემეტრი II თავდადებულის დროს (1270-1289 წწ.). საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ ნარიყალამ ადრინდელი მნიშვნელობა დაკარგა და 1818 წელს გენერალმა ერმოლოვმა ტაძარში დენთის საწყობად აქცია, სადაც მომხდარმა მძლავრმა აფეთქებამ ტაძარი თითქმის საძირკვლამდე დაანგრია. 1966 წელს დაწყებული არქეოლოგიური გათხრების დროს გამოვლინდა თლილი ქვით შემოსილი და უხვად მოჩუქურთმებული ტაძრის ნაშთი. გაირკვა, რომ ტაძარი იყო „ჩახაზული ჯვრის“ ტიპის ნაგებობა საკურთხევლის მხრეებსა და ორ მრგვალ ბურჯზე დაყრდნობილი გუმბათით. შიგნით, აგურის ერთ სვეტზე შელესილობის ნაშთი და მოხატულობის კვალი აღმოჩნდა. ტაძარს ემჩნეოდა ძლიერი ცეცხლისა



სურ. 3.129.1. საერთო ხედი



სურ. 3.129.2. წმინდა ნიკოლოზის ხატი



სურ. 3.129.3. ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების ხატი

და აფეთქების კვალი. ნარიყალას ციხის მთავარ შესავლელთან შემოინახა დიდი თლილი ქვებით ნაგები VI საუკუნის კედლის ფრაგმენტი, კანკელის ქვის ჩუქურთმიანი ნაწილი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ აქ მანამდეც იდგა ეკლესია. აღმოსავლეთ კედელში ჩართულია XVI საუკუნის მრგვალი კოშკი აგურის წყობაში გამოყვანილი რომბებით. 1996 წელს დაიწყო ძველ საძირკველზე ახალი ტაძრის მშენებლობა (ავთენტურობის შენარჩუნებით), რომელშიც XIII

საუკუნის გადარჩენილი ნაშთებია ჩართული. დედაციხის ჯვარგუმბათოვან ტაძარს გეგმით ოდნავ წაგრძელებული მართკუთხედის მოყვანილობა აქვს, ნაგებია ქართული აგურით, ბოლნისის ტუფითა და დაკუთხული ქვიშაქვებით. შენობა გარედან ღია ფერის ქვათლილებითაა შემოსილი და დამშვენებულია ჩუქურთმებით. ინტერიერი მთლიანად მოხატულია (მხატვრები დავით ხიდაშელი, ლადო თევდორაძე) და შემკულია ხატებით (სურ. 3.129.2 - სურ. 3.129.4), ფრესკებითა (სურ. 3.129.5) და სიძველეებით (სურ. 3.129.6). ტაძრის აღდგენის ინიციატორები იყვნენ რომან გვენცაძე და ბაკურ გულუა, რომელთაც თანადგომა გაუწიეს არქეოლოგმა ოთარ ტყეშელაშვილმა, არქიტექტორმა ტარიელ კიპაროიძემ და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტის 1971 წელს კურსდამთავრებულ მშენებელთა ჯგუფმა. ქტიტორია ბიზნესმენი თემურ კვარაცხელია. ტაძარი 1997 წელს აკურთხა ალავერდის მიტროპოლიტმა დავითმა (მახარაძე).

3.130. შემოქმედის მონასტერი (ინგლ. Shemokmedi monastery) – XII საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, შემოქმედის სამონასტრო კომპლექსი (სურ. 3.130.1). მდებარეობს გურიის მხარეში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, მდ. ბჟუჟის მარცხენა ნაპირას, დაბალ მთაზე, ოზურგეთიდან სამხრეთ-დასავლეთით 8 კმ-ის დაშორებით, სოფ. შემოქმედის ცენტრში. სამონსტრო კომპლექსში შედის: შუასაუკუნეების მაცხოვრის ეკლესია (სურ. 3.130.2), მასზე მიდგმული XVI საუკუნის გუმბათოვანი ეკლესია „ზარზმა“ და 1831 წელს აღდგენილი XVI საუკუნის სამრეკლო (სურ. 3.130.3). აქვეა სხვადასხვა დანიშნულების სამონასტრო ნაგებობები.



სურ. 3.130.1. საერთო ხედი



სურ. 3.130.2. ეკლესია



სურ. 3.129.4. წმინდა გიორგის ხატი



სურ. 3.129.5. ინტერიერი



სურ. 3.129.6. წმინდა ეკატერინეს ბეჭედი

შემოქმედის ეკლესია აიგო, როგორც გურიის მთავრების – გურიელების სალოცავ-საძვალე. XV საუკუნიდან აქ საეპისკოპოსო კათედრის გადატანის შემდეგ ტაძრის შემკობა-განახლებას შემოქმედელი ეპისკოპოსები და გურიელები დიდ ყურადღებას აქცევდნენ. მაცხოვრის ეკლესია XII საუკუნეს განეკუთვნება და მრავალჯერაა გადაკეთებული. ხელოვნების ისტორიკოსთა აზრით, თავდაპირველ ერთნავიან ნაგებობას მოგვიანებით (სავარაუდოდ XIII-XIV საუკუნეებში) სიგრძივი კედლები გამოუღეს, გვერდითი ნავები მიუშენეს და ბაზილიკად აქციეს. ამ დროს გამოცვალეს ტაძრის პერანგი და ფასადები სხვადასხვა ფერის ქვებით მოაპირკეთეს. ტაძარს ორი შესასვლელი აქვს დასავლეთით, ცენტრში განლაგებული კარიბჭე და მისგან მარცხნივ, ტაძრის კუთხეში გაჭრილი თაღოვანი კარი.



სურ. 3.130.3. სამრეკლო



სურ. 3.130.4. წარწერა ტაძრის კედელზე


გარედან მაცხოვრის ბაზილიკა ძუნწადაა შემკული, მხოლოდ დასავლეთი ფასადის ცენტრალურ სარკმელს აქვს ირგვლივ შემოვლებული წნულებისა და სვეტების ორი მწკრივისგან შედგენილი ჩუქურთმა. ამავე სარკმლის ორივე მხარეს კედლისან ამოზრდილია ქვის კოპები. დანარჩენი სარკმლები სადა ლილვებითაა მოჩარჩოებული. ფასადებზე პატარა ჯვრებია გამოსახული. დასავლეთის კარიბჭეს შიგნით ჩუქურთმიანი კამარა აქვს. მაცხოვრის ეკლესიაზე ორი ასომთავრული წარწერაა მოთავსებული (სურ. 3.130.4; სურ. 3.130.5). ნათელი შიგა სივრცე მთლიანად იყო დაფარული მხატვრობით. შემორჩენილია XVII-XVIII სს-ის მხატვრობა, აგრეთვე ქართული და ბერძნული ფრესკული წარწერები. იატაკი ძირითადად თეთრი მარმარილოსია. ტაძარში, საკურთხევლის წინ დღემდე დგას ქვის მაღალი, სვეტებიანი მიტროპოლიტის საყდარი.

ფერისცვალების ეკლესია „ზარზმა“ მაცხოვრის ტაძარს სამხრეთიდან ებმის. ვახტანგ I გურიელმა ის საგანგებოდ XVI საუკუნის 70-80-იან წლებში ზარზმის მონასტრიდან (სამცხე) გადმოსვენებული ფერისცვალების ხატისთვის ააგო. აქედან მოდის ტაძრის სახელწოდებაც „ზარზმა“. ტაძრის აშენებასთან დაკავშირებით არსებობს ლეგენდა: ზარზმაში თურქების შეჭრის შემდეგ ეკლესიის საგანძური ხარს აჰკიდეს და გადაწყვიტეს, სადაც ხარი გაჩერდებოდა იქ აღემართათ ტაძარი. ხარი შემოქმედში გაჩერდა და მაცხოვრის სახელობის ეკლესიას გვერდით შედარებით მცირე ზომის ფერისცვალების ხატის ტაძარი მიუშენეს.

„ზარზმა“ გუმბათოვანი ნაგებობაა აღმოსავლეთით ხუთწახნაგოვანი შვერილი აფსიდით და დარბაზით. მისი პატარა სათავსი-სალარო მაცხოვრის ტაძრის საკურთხევლის სამხრეთ კედელზეა მიშენებული. რვაწახნაგოვანი გუმბათის ყელი შიგნიდან მრგვალია. მასში რვა სარკმელია გაჭრილი. ქვის გარდა აქ გამოყენებულია აგური. ეკლესიის შესასვლელის თავზე, სამმედალიონში თანაბარმკლავებიანი ჯვარი, ექვსქიმიანი და ხუთქიმიანი ვარსკვლავებია გამოსახული. თავად გუმბათი კონუსური ფორმისაა. ეკლესია მოხატულია. აქ შემორჩენილია პირველი შემოქმედელი ეპისკოპოსის გამოსახულება.

XVI საუკუნის სამრეკლო XVI ქვის გალავანზეა დაშენებული. აქედანაა შესასვლელი სამონასტრო კომპლექსში. დაზიანებული სამრეკლო 1831 წელსაა აღდგენილი. შემოჩენილია ძველი ქართული წარწერა (სურ. 3.130.6).

შემოქმედის მონასტერი საქართველოს სინამდვილეში ერთ-ერთ უმდიდრეს მონასტრად



სურ. 3.130.5. წარწერა ტაძრის კედელზე



სურ. 3.130.6. წარწერა სამრეკლოს კედელზე

ითვლებოდა, სადაც დაცული იყო XVI-XVIII საუკუნის უნიკალური ხელნაწერები (მაგ., გულანი ანუ ლოცვანი და „ფუტკარი“ ანუ ბერძნული ეკლესიის ზოგი წმინდანის ცხოვრების კრებული) და მრავალი ძვირფასი საეკლესიო ნივთი, რომელთა უდიდესი ნაწილი ადგილობრივი წარმომავლობის იყო, ნაწილი კი საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან, უმთავრესად სამცხე-საათაბაგოდან გადატანილი. მონასტრის საგანძურს შეადგენდა მაცხოვრის ხატი, მაცხოვრის ოქროს ხატი, ოქროთი დაფერილი ვერცხლის ჯვარი, ღვთისმშობლის ხატი, ვერცხლის ხატი, წმინდა დემეტრეს მოოქროული ვერცხლის ხატი, წმინდა გიორგის ხატი ამაღლებიდან, წმინდა გიორგის ოქროს ხატი, ნიკოლოზ შემოქმედელის განახლებული ოქროს ბარძიმი 46 ძვირფასი ქვით, ოქროს ფეშხუმი, ოქროს მასიური დაფარნა, ღვთისმშობლის ხატის მოოქროვილი კუბო, 886 წლით დათარიღებული ფერისცვალების ხატი, XI საუკუნის ქართული ოქრომჭედლობის შედევრი – ლაკლაკიძეების ღვთისმშობლის ხატი გადმოსვენებული ზარზმის მონასტრიდან, 1008 წლის ვერცხლის ფირფიტა, ღვთისმშობლის ოქროს ხატი 87 ძვირფასი თვლით, მაცხოვრის ფერისცვალების ოქროს ხატი, ღვთისმშობლის ოქროს ხატი 32 ძვირფასი თვლით, მღვდელმთავრის კვერთხი 117 ძვირფასი ქვით, ღვთისმშობლის მოოქროვილი ვერცხლის ხატი და სხვ. სამწუხაროდ, XIX საუკუნის ბოლოსა და XX დასაწყისში შემოქმედის მონასტერი რამდენიმეჯერ გაიძარცვა (ბოლოს 1919 წელს) და დაახლოებით 30 მილიონი მანეთის სიმდიდრე, ჯერ ბათუმში, შემდეგ კი, სავარაუდოდ, ოსმალეთში გაიტანეს.

შემოქმედის ეპარქია 1995 წელს აღდგა. იგი მთელ გურიას მოიცავს. ამჟამად აქ კვლავ საეპისკოპოსო კათედრა და მამათა მონასტერია.

XIV საუკუნე

3.131. გერგეტის სამება (ინგლ. Gergeti Trinity Church) – XIV საუკუნის I ნახევრის ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრების გამორჩეული ძეგლი, გერგეტის ყოვლადწმიდა სამების სახელობის ტაძარი (სურ. 3.131.1; სურ. 3.131.2). მდებარეობს მცხეთა-მთიანეთის მხარეში, სტეფანწმინდის მუნიციპალიტეტში, ისტორიულ მხარე ხევში, მდ. ჩხერის ნაპირას, ზღვის დონიდან 1800 მ-ზე (სურ. 3.131.3). კომპლექსში შემავალი ნაგებობებია: ეკლესია, სამრეკლო, გალავანი.



სურ. 3.131.1. პანორამული ხედი

ისტორიული წყაროების თანახმად (თეიმურაზ ბაგრატიონი), ადრე, გერგეტის სამების ტაძრის ადგილას, სამების მთაზე ჯვარი ყოფილა აღმართული. ტაძრის აშენების შემდეგ საქართველოს მეფემ გიორგი ბრწყინვალემ (1318-1346 წწ.) ტაძრის მოვლა-პატრონობა გერგეტელებს დაავალა, რასაც ისისნი მრავალი საუკუნის განმავლობაში კეთილსინდისიერად ასრულებდნენ. გერგეტის სამება „მცხეთის სამკაულის“ სახიზარს წარმოადგენდა. ხანგრძლივი დროის მანძილზე აქ ესვენა ქართველი ქრისტიანების ერთ-ერთი უწმინდესი რელიკვია – წმინდა ნინოს ჯვარი, რომლის ფლობის პატივს ტაძარი სვეტიცხოველთან და თბილისის სიონთან ერთად ინაწილებდა. აქვე იწერებოდა მატიანე „მოსახსენებელი სულთაი“ – დოკუმენტების კრებული ხევისა და საქართველოს ისტორიის შესახებ.



სურ. 3.131.2. საერთო ხედი



სურ. 3.131.3. ადგილმდებარეობის რუკა


გერგეტის სამების ეკლესია (სურ. 3.131.4) გეგმით მართკუთხა (11.9x15.6 მ) ცენტრალურგუმბათოვანი ნაგებობაა (სურ. 3.131.5). ნაგებია გათლილი ანდეზიტის კვადრებითა და აგურით, აქვს ორი შესასვლელი – სამხრეთიდან და დასავლეთიდან.

ტაძრის შიდა სივრცეს ძირითადად ცენტრალური ჯვრის მკლავები და მათზე აღმართული გუმბათი ქმნის. ჯვრის მკლავებიდან გვერდითებს ორჯერ აღემატება აღმოსავლეთისა და დასავლეთის ღრმა მკლავები. თვითონ გუმბათი კი აღმოსავლეთით დაყრდნობილია საკურ-

თხევლის კედლის შვერილებსა და დასავლეთით თავისუფლად მდგარ ორ სვეტზე. სამი მკლავი ოთხკუთხაა, აღმოსავლეთის კი აფსიდითაა დასრულებული, სადაც განთავსებულია




სურ. 3.131.4. ტაძარი



სურ. 3.131.5. გეგმა

საკურთხეველი, რომლის ცენტრშიც დგას მართკუთხა ტრაპეზი. აფსიდის მარცხნივ და მარჯვნივ, ქრისტიანული ეკლესიის ტრადიციის თანახმად, სადიაკვნე და სამკვეთლოა. მათ ზემოთ, მეორე სართულზე კი სამალავი ოთახებია, რომლებშიც შესვლა სადიაკვნეს კამარებში მოწყობილი ხვრელიდანაა შესაძლებელი. სამალავების მოწყობამ გამოიწვია გუმბათის ყელის ამაღლება (სურ. 3.131.6), ტაძრის პროპორციებთან მიმართებაში, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ გარედან ასეთი ასიმეტრიულობა არ იგრძნობა. გუმბათის ყელი ათწახნაგოვანია. თითოეული წახნაგი ცალ-ცალკეა და თაღებითაა შემოფარგლული. სარკმლების შემომყოლ ორნამენტოვან არშიას გარს უვლის შეწყვილებული ლილვი, რომელიც ეყრდნობა ბურთულებიან კვადრატებს. გუმბათზე სარკმელთა რაოდენობა ხუთია, ისინი ათ წახნაგზე თითოს გამოტოვებით მდებარეობენ, მათ შორის კი ცრუ სარკმლებია განლაგებული.




სურ. 3.131.6. გუმბათის ყელი

სამრეკლო (სურ. 3.131.7), რომლის პირველი სართული გალავანში ჩაშენებულ კარიბჭესაც წარმოადგენდა, აგებულია XIV საუკუნის II ნახევარში. გეგმაში მისი ზომებია: 6,07x6,9 მ. მეორე სართული რვაწახნაგა თაღოვანი ფანჩატურია. თაღებს ზემოთ გასდევს ორ ლილვს შორის მოქცეული მოჩუქურთმებული არშია. არშიის ზემოთ, წიბოებზე, ჩუქურთმიანი კუწუბოებია დასმული. მათ ზემოთ გაყოლებულია ორ ლილვს შორის მოქცეული ფრიზი. ფრიზის თავზე მარტივი ლავგარდანია. გალავანი შედარებით გვიანი პერიოდისაა და ძველი გალავნის საძირკვლის გაყოლებაზეა აგებული.

ფასადები და გუმბათის ყელი, აგრეთვე ორსართულიანი სამრეკლოს ფასადებიც მოჩუქურთმებულია (სურ. 3.131.8- სურ. 3.131.10).

გერგეტის სამების ეკლესია ლანდშაფტთან შერწყმითა და მიმზიდველი კომპოზიციით იმგვარადაა განლაგებული მაღალი მთის წვერზე, რომ თერგის ხეობიდან შთამბეჭდავად იკითხება მყინვარწვერის ფონზე მკვეთრად გამოკვეთილი ტაძრისა და სამრეკლოს სილუეტები, რომლისთვის თვალის მოწყვეტა თითქმის შეუძლებელია. ამიტომაც, ადრიდანვე, ხევის უმთავრეს სამლოცველოს, რომელიც ხშირად მთის თეთრ ღრუბლებთანაა შენივთებული, თავისი მშვენიერების გამო „ხევის პატარძალს“ უწოდებენ.



სურ. 3.131.7. სამრეკლო



სურ. 3.131.8. ჩუქურთმა



სურ. 3.131.9. ჩუქურთმა



სურ. 3.131.10. ჩუქურთმა

3.132. სხვილოს ციხე – X-XIV საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, სხვილოს (ცხვილოს) ციხე-დარბაზის კომპლექსი (სურ. 3.132.1; სურ. 3.132.2). მდებარეობს შიდა ქართლის მხარეში, კასპის მუნიციპალიტეტში, სოფელ ქვემოჭალის ჩრდილო-აღმოსავლეთით 3 კმ-ში, მდ. ლეხურას ხეობაში, მაღალი მთის კალთაზე (სურ. 3.132.3). კომპლექსში შემავალი ნაგებობებია: გალავანი, მთავარი კოშკი, კოშკი, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები, წყალსაცავი.



სურ. 3.132.1. პანორამული ხედი




სურ. 3.132.2. საერთო ხედი

ციხე აგებულია XIV საუკუნეში, თუმცა ისტორიული წყაროების მიხედვით („მატიანე ქართლისა“) აქ ციხე არსებულა X საუკუნეშიც. ციხე ზევდგენიძეთა (ამილახვარნი) ფეოდალურ საგვარეულოს ეკუთვნოდა. აქ იყო მათი რეზიდენციაც. XVI-XVII საუკუნეებში ამილახვრებმა რეზიდენცია ქვემოჭალაში გადაიტანეს და სხვილოს ციხე-დარბაზმა მხოლოდ ციხესიმაგრის ფუნქცია მიიღო. XVII საუკუნის 30-იან წლებში ციხე მეფე როსტომმა ძალის გამოყენებით დაისაკუთრა. 40-იან წლებში სხვილოს ციხე ირანის აგრესიის წინააღმდეგ მებრძოლი ქართლის გამგებლის გივი ამილახვარის დასაყრდენი იყო. XVIII საუკუნის ბოლომდე სხვილოს ციხე ამილახვართა საგვარეულოს ეკუთვნოდა.

ციხე წარმოადგენს წაგრძელებული მართკუთხედის ფორმის ნაგებობას (18,4x37,3 მ) დასავლეთიდან ერთი შესასვლელით. ქონგურებიანი ციხის კედლების სიმაღლეა 11-14 მ, სისქე – 2 მ. კედლებს მთელ სიგრძეზე მიუყვებოდა საბრძოლო ბილიკი და გარედან 7 ბურჯით იყო გამაგრებული. კედლები მომარჯვებული იყო სათვალთვალოებით, სათოფურებით, სალოდეებითა და მეომრების სადგომი ბაქნებით. ციხის თავსა და ბოლოში თითო თავდაცვითი კოშკი დგას. მათგან მთავარი იყო ჩრდილოეთის კოშკი (8,4x8,9 მ) (სურ. 3.132.4). პირველი სართულის გადახურვა ქვის იყო, დანარენი სართულებისა კი – ხის. თავდაპირველად ორივე კოშკი ხუთსართულიანი ყოფილა. სამხრეთის, შედარებით პატარა კოშკის (7,0x6,8 მ) პირველი და მეორე სართულები გადახურული ყოფილა ქვის კამარებით, დანარჩენი – ხის კონსტრუქციებით. ორივე კოშკს ეზოს მხრიდან ჰქონდა შვერილი ხის აივნები.



სურ. 3.132.3. ადგილმდებარეობის რუკა



სურ. 3.132.4. მთავარი კოშკი

ეზოში მდგომი ეკლესია ორსართულიანი ნაგებობაა (7,5x5,1 მ). იგი თავდაპირველად ერთსართულიანი ყოფილა (წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია). მოგვიანებით ზედ დაუშენებიათ მეორე ეკლესია (წმინდა თევდორეს სახელობის ეკლესია). ორივე ეკლესია დარბაზულია. ნაგებია მოცისფრო ნატეხი ქვით. დასავლეთის ფასადზე შემორჩენილი ასომთავრული წარწერის თანახმად ეკლესია აუგიათ ზევდგენიძეებს საქართველოს მეფის ალექსანდრე I-ის (1412-1442 წწ.) დროს.

ეკლესიის დასავლეთით ციხის კედელთან დიდი ზომის წყალსაცავია (3,5x7,4 მ), რომელიც სავარაუდოდ ციხის მთელ შემადგენლობას წყლით ამარაგებდა. ნაპოვნია წყალსადენის კერამიკული მილებიც. რაც შეეხება საყოფაცხოვრებო და სამეურნეო დანიშნულების შენობა-ნაგებობებს, მათგან მხოლოდ ნანგრევებია დარჩენილი.

XV საუკუნე

3.133. გრემი (ინგლ. Gremi) – XV-XVI საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ძეგლი, ნაქალაქარი და გრემის მთავარანგელოზთა კომპლექსი (სურ. 3.133.1). მდებარეობს კახეთის მხარეში, ყვარლის მუნიციპალიტეტში, ქ. ყვარელიდან ჩრდილო-დასავლეთით 15

კმ-ში მდებარე სოფელ გრემთან, გზატკეცილის პირას, მაღალ გორაკზე (სურ. 3.133.2). კომპლექსში შემავალი ნაგებობებია: 1. მთავარანგელოზთა კომპლექსი: მთავარანგელოზთა ეკლესია, სამსართულიანი სასახლე-სამრეკლო, კოშკებიანი გალავანი, ქვით ნაგები საიდუმლო გასასვლელი მდ. ინწობისაკენ, სამეურნეო ნაგებობანი; 2. სამეფო რეზიდენცია: სამეფო სასახლეები, შადრევნიანი შენობა, რვაკუთხა კოშკი, აბანო და სხვ.; 3. სავაჭრო უბანი: დახურული ბაზარი (ქულბაქები), სასტუმრო (ქარვასლა), აბანო.



სურ. 3.133.1. პანორამული ხედი

გრემის ტერიტორიაზე პირველი დასახლება, სავარაუდოდ, გვიან ბრინჯაოს ხანაში (ძვ.წ. 1500-1000 წწ.) გაჩნდა, თუმცა ქალაქი გრემი კახეთის სამეფოს ხანმოკლე, მაგრამ მძლავრი განვითარების პერიოდშია (XV–XVII ს.) შექმნილი, როდესაც ერთიანი საქართველოდან ახლად გამოყოფილი კახეთის პირველმა მეფემ – გიორგიმ (1466-1476 წწ.) გრემი თავისი სამეფოს დედაქალაქად აქცია. იგი მთელი ორი საუკუნის განმავლობაში ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი, კეთილმოწყობილი, ხალხმრავალი ქალაქი იყო არა მარტო პოლიტიკური და ეკონომიკური, არამედ კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრებითაც (გადმოცემით აქ გრემის აკადემიაც ფუნქციონირებდა). XVII საუკუნის დასაწყისში ირანის მმართველის შაჰ-აბასის მრავალგზისმა შემოსევებმა ქართლ-კახეთი წელში გატეხა, აყვავებული მხარე თითქმის უდაბურად აქცია, მათ შორის გრემიც. 50 ჰექტარზე გაშლილი ქალაქი ისე განადგურდა, რომ მისი აღდგენა აღარც უცდიათ. შემდეგში, კახეთის დედაქალაქი თელავში გადაიტანეს, შესაბამისად, გრემმაც დაკარგა ძველი დიდება.

ქართული ქალაქების ესთეტიკური შთაბეჭდილება მხოლოდ ბუნებას და ცხოველხატულებას არ შეიძლება მიეწეროს. მართალია, ისინი დაპროექტებული არასდროს იყო, მაგრამ ცალკეული ხუროთმოძღვრული აქცენტების განლაგებას პრაქტიკულის გარდა გარკვეული ესთეტიკური მოსაზრებაც ედო საფუძვლად. ასეთი გააზრებული იყო, მთელი ქალაქის ასპექტში, მთავარანგელოზთა ეკლესიისა და მეფის საცხოვრებელი კოშკის განთავსებაც გრემის ციტადელში. აქ მფლობელის საცხოვრებლის გარდა, აუცილებელ ელემენტს ეკლესია წარმოადგენს.

გრემის კომპლექსის მთავარი ნაგებობის – მთავარანგელოზთა ტაძარში შემორჩენილი ფრესკებისა და წარწერების მიხედვით შეიძლება დასკვნის დაკეთება, რომ ეკლესია (სურ. 3.133.3) აიგო კახეთის მეფის ლევანის მმართველობის პერიოდში 1565 წელს. თესალონიკელი ბერძენი „იერომონაქის და პროტოსვინგელოზის“ საბას წინამძღვრობის დროს. ამის შესახებ გვამცნობს ტაძრის შიგნით, დასავლეთ კედელზე არსებული ბერძნული ფრესკული

წარწერა (თუმცა, არსებობს ვარაუდი, რომ აქ მიქელისა და გაბრიელის სახელობის ეკლესია მანამდეც იყო და მის ნაცვლად ახალი ააგეს). ის ფაქტი, რომ ნაგებობა მფლობელის საცხოვრებლის გვერდით, ციტადელის ყველაზე გამოსაჩენ ადგილას დგას და ანსამბლის დომინანტს წარმოადგენს მოწმობს, რომ მეფე მას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა, მთავარანგელოზთა ეკლესია ლევანს თავის საძვალედ უნდოდა. მისი საფლავი ტაძრის შიგნით სამხრეთ-დასავლეთ კუთხეშია, წარწერის გარეშე. ამ ადგილას იატაკის დონეც ოდნავ ამაღლებულია. დასავლეთ კედელზევეა მისი ფრესკული პორტრეტი ასომთავრული წარწერით „მეფე ლეონ აღმაშენებელი“. აქ ლევანი მარტოა გამოსახული თავზე შარავანდედით და ხელში ეკლესიის მოდელით.



სურ. 3.133.2. ადგილმდებარეობის რუკა




სურ. 3.133.3. მთავარანგელოზთა ტაძარი


მთავარანგელოზთა ჯვარგუმბათოვანი ტაძრის გეგმა (სურ. 3.133.4) კვადრატს მიახლოებულია. მისი შიგა გადაწყვეტა საერთო თვალსაზრისით ტიპურია ცენტრალურგუმბათოვანი ძეგლისთვის, მაგრამ განსაკუთრებულია თავისი შემართული პროპორციებით. ტაძარი ნაგებია ე.წ. ქართული კვადრატული აგურით კირის ხსნარზე, გამოყენებულია რიყის ქვებიც. ეკლესიას შესასვლელი აქვს ჩრდილოეთის, დასავლეთისა და სამხრეთის მხარეს. გუმბათი აღმოსავლეთით ეყრდნობა საკურთხევლის კედლის კუთხეებს, დასავლეთით კი თავისუფლად მდგარ ორ ცილინდრულ სვეტს. საკურთხევლის ბემიან აფსიდს აღმოსავლეთი ნაწილის ცენტრალური ადგილი უკავია. მის რომლის გვერდებზე სამკვეთლო და სადიაკვნოა მოწყობილი. ისინი კარით უკავშირდებიან ტაძრის ცენტრალურ ნაწილს. ინტერიერში გარდა სარკმლებისა, ყველგან გამოყენებულია შეისრული თაღი. ინტერიერის დამახასიათებელი ელემენტებიდან აღსანიშნავია გუმბათქვეშა საყრდენის გადაწყვეტა. საკურთხევლის კუთხეები მცირედ შვერილ პილასტრებზე გადასული თაღებითაა დამუშავებული. ანალოგიურია დასავლეთის საყრდენის ზედა ნაწილები, ხოლო ქვემოთ ცილინდრული სვეტებია მართკუთხა ბაზისებითა და ზევით კაპიტელის გარეშე. ტაძარში სასიამოვნო განათებაა. აქ არც ერთ მონაკვეთში არ ჭირს ფრესკული მხატვრობის სრული აღქმა, რაც საკმაო რაოდენობის სარკმლების კარგად განლაგების შედეგია. ინტერიერი მთლიანად ფრესკებითაა დაფარული. აქ გამოსახულია 12 საუფლო დღესასწაულის სცენები, ქრისტეს ვნებათა ციკლი, წინასწარმეტყველთა, მახარებელთა, წმინდანთა და წმინდა მეომართა, წამებულთა, წმინდა დედათა ფიგურები და სხვ. სამწუხაროდ, მოხატულობის ქვედა ნაწილები XVII საუკუნეში ძალიან მუქი ფერებით „განუახლებიათ“ ჩამოსულ რუს მხატვრებს. ნაგებობა კრამიტითაა დახურული. გათხრების დროს აღმოჩენილი მრავალრიცხოვანი მოჭიქული კრამიტის მიხედვით არ არის გამორიცხული, რომ თავის დროზე ეკლესია ასეთი კრამიტით ყოფილიყო დაფარული. ტაძრის იატაკი მოფენილია ყავისფერი ექვსკუთხა ფორმის შორენკეცით.

ფასადებიდან გამოირჩევა აღმოსავლეთის ფასადი, რომლის ერთ ღერძზე ორი ჯვარია გამოსახული (ჯვრის რელიეფი ოთხივე ფასადზეა გამოყენებული). გრემის ტაძრის რვასარკმლიანი გუმბათის ყელი (სურ. 3.133.5) პროპორციულად ძალიან კარგადაა შერწყმული ქვედა

ტანთან. ხუროთმოძღვარმა არა მარტო ნაგებობის ნაწილები შეუხამა ერთმანეთს, არამედ მთელი შენობა შეუფარდა მთის რელიეფს და მის გვირგვინად აქცია. გრემის მთავარანგელოზთა ტაძარი ერთ-ერთი იმ ნაგებობათაგანია, რომელიც ბრწყინვალედაა ჩაწერილი ლანდშაფტში და მნახველში ჰაეროვან, ამაღლებულ განწყობილებას ჰქმნის.



სურ. 3.133.4. გეგმა



სურ. 3.133.5. გუმბათის ყელი



სურ. 3.133.6. გვირაბი

მთავარანგელოზთა კომპლექსში განლაგებული იყო სხვა ნაგებობანიც – მეფის საცხოვრებელი სამსართულიანი სასახლე-კოშკი სამრეკლოთი, საწნახელიანი მარანი, ლითონის მცირე ზომის ნივთების დასამზადებელი ქურა და სხვ. ქალაქ გრემის ამ ნაწილს შეეძლო დამოუკიდებლად ეცხოვრა. ჰქონდა ქვით ნაგები საიდუმლო გასასვლელი (სურ. 3.133.6) მდინარე ინწობისკენ. შემოზღუდული იყო კოშკებიანი გალავნით (სურ. 3.133.7; სურ. 3.133.8).

გრემის სასახლე-კოშკი ლევან მეფის აშენებულია (XVI ს.). კოშკს ლევანმა მესამე სართულის კუთხეში სამრეკლო დაუმატა, რომელსაც XIX საუკუნეში სამრეკლო-ფანჩატური დააშენეს. სასახლე კოშკურა ტიპის სამსართულიანი ნაგებობაა. შესასვლელი მას ჩრდილოეთ მხარეს, ეკლესიის მხრიდან აქვს. პირველ სართულზე ჰორიზონტალურად გაშლილი ვრცელი და მაღალი „პალატია“, რომლიც ფართობით მეტია ზედა სართულებზე.



სურ. 3.133.7. მეფის სასახლე-კოშკი



სურ. 3.133.8. გალავანი

მეორე და მესამე სართულები ნაგებობის კოშკურა ნაწილს ქმნიან. პალატის მეორე მხარეს მდებარეობს დერეფანი საიდანაც კედლის სისქეში ზედა სართულებზე ასასვლელი ორი კიბეა გაკეთებული. ერთი მათგანი მეორე სართულისთვისაა განკუთვნილი, სადაც დამხმარე-სამეურნეო ოთახი იყო თონით და ცომის მოსაზელი საგანგებო ქვის მაგიდით. მეორე კიბე კი, მესამე სართულზე განთავსებულ მეფის საცხოვრებელ ნაწილში ადიოდა. მეორე სართულის დამხმარე ოთახი კვადრატული ფორმის გუმბათოვანი მოცულობაა სამი მართკუ-

თხა უბით. მესამე სართულის საცხოვრებელი ოთახი თავდაპირველად წაგრძელებული ფორმის იყო. მცირე სათავსი მიუშენეს ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში მოგვიანებით ჩამატებულ სამრეკლოსთან დასაკავშირებლად.

სასახლე-კოკშკი გარედან მოკლებულია რაიმე სამკაულს. ნაშენია ქვითა და აგურით. შიგა კედლები მთლიანად აგურისაა. დღეს ჩამოძარცულია, მაგრამ ჩანს ტიპური ირანული ფორმები და დეტალები: ისრული თაღები, მეორე სართულის აგურის სახეებიანი წყობის გუმბათიანი პანდატივები.

ამჟამად, გრემის კომპლექსში ფუნქციონირებს გრემ-ნეკრესის ისტორიულ-ხუროთმოძღვრული სახელმწიფო მუზეუმ-ნაკრძალი, რომლის ტერიტორია მოიცავს მთავარანგელოზის სახელობის ტაძარს, მარანს, სავაჭრო და მეფე-დიდებულთა უბნებს. გრემისა და ნეკრესის ტერიტორიაზე გათხრების შედეგად მოპოვებული მასალა ექსპონირებულია გრემის მუზეუმში, რომელიც წარმოადგენს სამეფო პალატს და სამსართულიან კოშკს სამრეკლოთი. ექსპონატებს შორისაა: ბრინჯაოს ხანის საომარი და შრომის იარაღები, სამკაულები, ზოომორფული გამოსახულებები, XII-XIII სს.-ის რკინის ცულები, XV ს-ის კერამიკის ნიმუშები, მოჭიქული კრამიტი და აგური, სასმელი წყლის მილები, XVI ს-ის ზარბაზანი და მშვილდ-ისარი, საეკლესიო ზარი სავაჭრო უბნიდან. აგრეთვე: სხვადასხვა პერიოდის ქვევრები, შუასაუკუნეების სპილენძის ჭურჭელი. მუზეუმში ექსპონირებულია მხატვარ ლევან ჭოღოშვილის მიერ 1985 წელს შესრულებული „მეფეთა პორტრეტების სერია“.

XVI საუკუნე

3.134. იტრიის მონასტერი – XVI საუკუნის მეორე ნახევრის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, იტრიის სამონასტრო კომპლექსი (სურ. 3.134.1; სურ. 3.134.2). მდებარეობს ხაშურის მუნიციპალიტეტის დაბა სურამში (ყოფილ სოფელ იტრიაში). კომპლექსში შემავალი ნაგებობებია: ღვთისმშობლის ტაძარი, სამრეკლო, გალავანი.




სურ. 3.134.1. საერთო ხედი დასავლეთიდან



სურ. 3.134.2. პანორამული ხედი (განახლებული)

ღვთისმშობლის ტაძარი აგებული იყო კათოლიკოს დოროთეოზის დაკვეთით და მდებარეობს მონასტრის ეზოს აღმოსავლეთ ნაწილში. ტაძარი სამნავიანი ნაგებობაა გეგმაში ზომებით 19,95x13,3 მ (სურ. 3.134.3). მშენებლობისთვის გამოყენებულია ქვიშაქვის კვადრები და აგური. შესასვლელები სამხრეთით და დასავლეთით აქვს. ტაძრის აღმოსავლეთ ნაწილში სამი ნახევარწრიული აფსიდია, რომელთაგან შუა ფართო აფსიდი შუა ნავის სივრცეს ბემით უკავშირდება. გვერდითა მომცრო აფსიდებში სამკვეთლო და სადიაკვნეა. ორივე სათავსს ნახევარწრიული გადახურვა აქვს და გარე სივრცეს თითო სარკმლით უკავშირდებიან, ხოლო შუა აფსიდში ასეთივე სამი სარკ-მელია.

შუა ნავი გადახურულია საბჯენ თაღზე დაყრდნობილი ნახევაწრიული კამარით, რომელიც გამაგრებულია კედლებში ჩაშენებული ხის კოჭებით. შიდა სივრცის გასანათებლად შუა ნავის ზედა ნაწილის სამხრეთ და ჩრდილოეთ მხარეს განთავსებულია ლილვებით მოჩარჩოებული სამ-სამი ფანჯარა. სახურავი კრამიტისაა. აღმოსავლეთის ფასადს ზევით ამშვენებს რელიეფური ჯვრის გამოსახულება, ხოლო ქვევით შიდა აფსიდების გამყოფი კედლების გასწვრივ ორი სამკუთხა ნიშია. დასავლეთი ფასადის შესასვლელის ორივე მხარეს მასიური დეკორატიული კრონშტეინებია, ცენტრში ლილვებით მოჩარჩოებული ოთხკუთხა ფანჯარაა, რომლის თავზე მოზრდილი რელიეფური ჯვარია.



სურ. 3.134.3. გეგმა

სამრეკლო (სურ. 3.134.4) სამსართულიანი კოშკისებრი ნაგებობაა (6,25x4,95 მ), აგებული თლილი ქვის კვადრებით 1656 წელს ბეჟან ჩხეიძისა და ეკლესიის წინამძღვრის ნიკოლაოზის დაკვეთით. პირველი სართული გახსნილია თაღოვანი კამარით. კედლებში ყველგან ნიშებია. მესამე სართული პატარაა და დასავლეთით ორმაგთაღიანი ღიობი აქვს. XIX საუკუნის ბოლოს სამრეკლოს თავზე ორმხივ გახსნილი პატარა ფანჩატური დაუშენებიათ.



სურ. 3.134.4. სამრეკლო

გალავანი კირქვის კვადრებით აუგიათ 1656 წელს. მისი სიმაღლეა საშუალოდ 2 მ. ტერიტორიის ფართობი დაახლოებით 1000 მ^2-ს შეადგენს. კედლის წყობა ირეგულარულია და ფერდობის რელიეფს მიჰყვება. შესასვლელი გალავნის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეშია გაჭრილი (ადრე სამხრეთის მხრიდან ყოფილა). გალავანზე კი მიშენებული ყოფილა სენაკები, რომლებიც ამჟამად აღარ არსებობს.

მონასტერს დიდ მატერიალურ დახმარებას უწევდნენ ქართლის მეფე როსტომი (1632-1658 წწ.) და დედოფალი მარიამი. 2017 წლამდე აქ იტრიის ღვთისმშობლის მიძინების დედათა მონასტერი იყო, ხოლო 2017 წლიდან – მამათა მონასტერია.

3.135. ახალი შუამთა (ინგლ. New Shuamta) – XVI საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების მნიშვნელოვანი ძეგლი, ხახულის ღვთისმშობლის სახელობის დედათა მონასტერი (სურ. 3. 135.1). მდებარეობს კახეთის მხარეში, თელავის მუნიციპალიტეტში, ქ. თელავის დასავლეთით 7 კმ-ში, ცივგომბორის მთის კალთაზე (სურ. 3.135.2). კომპლექსში შემავალი ნაგებობებია: მთავარი ტაძარი, სამრეკლო, გალავანი.

ახალი შუამთის მონასტრის ერთ-ერთი უმთავრესი სალოცავი ხახულის ღვთისმშობლის ხატი იყო. იგი დაბრძანებული ყოფილა ტაძრის კანკელის წინ. განკაცების და უბიწოდ ჩასახვის დოგმატის გამომხატველი (ოდიგიტრიის) ჩვილედი ღვთისმშობლის ფერწერული სახე ოქროთი და ძვირფასი ქვებითაა მოჭედილი (იაგუნდი, ფირუზი, ალმასები და მარგალიტები). ხატს ზურგზე 44 წმიდა ნაწილი აქვს. დღეს ეს ხატი თბილისში, საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის საგანძურშია დაცული.




სურ. 3.135.1. საერთო ხედი

მონასტერი დაფუძნდა XVI საუკუნის 40-იან წლებში, მას შემდეგ, რაც ძველი შუამთის მო-

ნასტერი დაცარიელდა. ახალი შუამთა კახეთის მეფის ლევანისა (1520-1574 წწ.) და მისი მეუღლის, მამია გურიელის ასულის თინათინის მიერაა აგებული. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ეპოქაში საქართველოში მონასტრების დაარსება ძალიან იშვიათი მოვლენა იყო და ახალი შუამთა ამ მხრივ ერთ-ერთი გამონაკლისია. მონასტერი ხახულის ღვთისმშობლის ხატის სასწაულის აღსანიშნავად აიგო. გადმოცემით, ახლად ჯვარდაწერილ ლევან II-ს და თინათინს ღამე ამ ადგილას გაუთენებიათ. დედოფლის ხახულის ღვთისმშობლის ხატი, რომელიც ხის ქვეშ იყო დაბრძანებული, დილით ადგილიდან ვერ დაუძრავთ ვიდრე თინათინს აქ ეკლესიის აშენების პირობა არ დაუდია. მოგვიანებით ის მონაზვნად აღიკვეცა ამავე მონასტერში და დაკრძალულიც აქვეა, გადმოცემის თანახმად ტაძრის ჩრდილოეთ მკლავში.



სურ. 3.135.2. ადგილმდებარეობის რუკა



სურ. 3.135.3. გეგმა

სახელწოდება მონასტერმა ადგილმდებარეობიდან მიიღო – მას სამი მხრიდან მთები აკრავს, თავად კი მთათაშუა მდებარე ვაკეზეა აგებული. XVI საუკუნის მიწურულს დედოფალ თინათინის ასულს თეკლა მონაზონს ეკლესიისათვის მთავარანგელოზთა ეგვტერი მიუშენებია და შეწირულობებიც უბოძებია. 1637 წელს კახეთისა (1733-1744 წწ.) და ქართლის (1744-1762 წწ.) მეფე თეიმურაზ II-ს მონასტრისათვის ბაჟი შეუწირავს (ბაჟი იმ სავაჭრო ქარავანთაგან, რომლებიც გომბორის გზას გაივლიდნენ). XVII საუკუნის II ნახევარში ტაძარი კახეთის (1744-1762 წწ.) და ქართლ-კახეთის (1762-1798 წწ.) მეფეს ერეკლე II-ს განუახლებია, რასაც მოწმობს ტაძრის კარის არქიტრავის ქვაზე არსებული მხედრული წარწერა. 1899 წელს მონასტერი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს – კირიონს აუღორძინებია, თუმცა მალევე დაუხურავთ და ბავშვთა სახლად გადაუკეთებიათ. მხოლოდ 1990 წელს აღდგა ახალ შუამთაში სამონასტრო ცხოვრება.

მთლიანად აგურით ნაშენი ღვთისმშობლის შობის სახელობის ჯვარგუმბათოვანი ტაძარი წინა საუკუნეებში საქართველოში შემუშავებულ ხუროთმოძღვრულ ტრადიციას იმეორებს: გეგმით მართკუთხედია, შვერილების გარეშე. დასავლეთით გუმბათქვეშა ორი ბურჯია. ბემიან და აფსიდიან საკურთხეველს ორივე მხარეს განთავსებული დამხმარე სათავსები აქვს. შესასვლელი სამია. ეკლესიის აგების თანადროული სამმხრივი გარშემოსასვლელიდან და მასში ხვადასხვა დროს გამოყოფილი სამლოცველოებიდან შემორჩა სამხრეთ-აღმოსავლეთის და ჩრდილო-აღმოსავლეთის პატარა, კამარით გადახურული აფსიდიანი ეგვტერები. ტაძრის ხილვისას, უწინარეს ყოვლისა, მისი აზიდული პროპორციები იპყრობს ყურადღებას (სურ. 3.135.3). ეკლესიის გარეთა ზომებია 12,9x17,8 მ, სიმაღლე შიგნით 24,2 მ. მთავარი კორპუსის შიდა სივრცის შემქმნელი ჯვრის მკლავების გადაკვეთაზე რვაწახნაგა პრიზმული გუმბათია აღმართული (სურ. 3.135.4), რომელიც აღმოსავლეთით საკურთხევლის კუთხეებს, ხოლო დასავლეთით თავისუფლად მდგომ უცნაურად მასიურ ოვალურ და არა წრიული გეგმის მქონე ორ სვეტს ეყრდნობა. უბრალო კვადრატული სვეტისთავები მათ ძალიან დაბალზე აქვთ გაკეთებული. კვადრატიდან გუმბათის წრეზე გადასვლა ხდება აფრების მეშვეობით, ზედ აფრებზე კი პატარა ტრომპებია გამოყვანილი.

აღმოსავლეთის მონაკვეთი სამნაწილიანი საკურთხევლისაგან შედგება. ცენტრში აფსიდია ბემით, გვერდებზე კი – სადიაკვნო და სამკვეთლო. სამივე სათავსე ერთმანეთთან კარებითაა დაკავშირებული. ასევე, გვერდითი სათავსები კარებითაა დაკავშირებული დარბაზთან. აღნიშნუკლი გვერდითი სათავსები ღრმა აფსიდებით მთავრდება და თითო სარკმლით ნათდება. ტაძარში შესასვლელი დასავლეთიდან (სურ. 3.135.5), სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდანაა.

ფასადები უხვადაა გაფორმებული ბრტყელი შეისრულ-თაღოვანი ნიშების სისტემით, აგურის წყობით გამოყვანილი დიდი და პატარა ჯვრებით, რომბებით. გუმბათის ყელის წახნაგების წიბოებს აგურით გამოყვანილი ლილვები მიუყვება. აქა-იქ გამოყენებულია კერამიკული ჩანართები, კაშკაშა ფირუზისფერი მოჭიქული აგურით გამოყვანილი პატარა ჯვრები, რომბები. რომლებიც ორიდან ძვირფასი ქვებივით აღიქმებიან, რაც ფერადოვნებას მატებს ტაძრის ფასადებს და ძლიერ მხატვრულ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე.



სურ. 3.135.4. გუმბათის ყელი



სურ. 3.135.5. დასავლეთის ფასადი



სურ. 3.135.6. სამრეკლო

ახალი შუამთის ტაძრის ინტერიერი XVI საუკუნეშია მოხატული და გვიანი შუა საუკუნეების ქართული მხატვრობის ერთ-ერთს საყურადღებო ნიმუშს წარმოადგენს. მხატვრობის ნაწილი დაზიანებულია. შემორჩენილი სცენების მიხედვით მეცნიერებმა დაასკვნეს, რომ აქ გამოსახული იყო თორმეტი საუფლო დღესასწაული, ქრისტეს ვნებანი, ღვთისმობლის აკათისტო (დაუჯდომელი); არის აგრეთვე წმინდანთა, მოწამეთა, წინასწარმეტყველთა გამოსახულებები. მათ გვერდით წარმოდგენილნი არიან კახეთის სამეფო ოჯახის წევრები: მეფე ლევანი, დედოფალი თინათინი და მათი ძე. მონასტრის ეზოს ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში ოთხსართულიანი სამრეკლოა (სურ. 3.135.6) აღმართული. აქ იყო თინათინ დედოფლის საცხოვრებელი. ის ტაძართან ერთადაა აგებული XVI ს.-ის 40-იან წლებში. კოშკისებრ, გეგმით კვადრატს მიახლოებულ ნაგებობაში ხაზგასმულია აღმოსავლეთ-დასავლეთის ღერძი. ექვსწახნაგა ფანჩატურით დაგვირგვინებული, 26 მ. სიმაღლის სამრეკლოს უმთავრესი დანიშნულება საცხოვრებელი იყო. ახალი შუამთა რთული აგებულებისაა. მისი ქვედა სართული ორმხრივ ფართოდ გახსნილ შეისრულ თაღებიან შესასვლელს წარმოადგენს. ნაგებობის ძირითადი კორპუსი სამსართულიანია. გაბრტყელებული გუმბათით გადახურული და დეკორაციული ისრული თაღებით მორთული პირველი სართული (5×5 მ), სავარაუდოდ, საზეიმო მისაღები დარბაზი იყო. მისი სიმაღლე 7 მეტრს აღემატება. მეორე სართული ოთხი დიდი სარკმლით განათებული კვადრატული, ბრტყელგუმბათიანი ოთახია, რომელსაც დამატებითი სათავსები აქვს. საინტერესოდაა გადაწყვეტილი მესამე სართული. მის ბირთვს შეადგენს მცირე ზომის ოთახი სამი მხრიდან ღია თაღოვანი გალერეით გარშემორტყმული. კუთხეებში განთავსებულ კვადრატულ სადგომებს საკუთარი გუმბათები აქვთ. აქ სართულებს შორის კიდევ რაღაც სათავსებია გამართული. შენობაში დიდი ადგილი უჭირავს კიბეს, რომ-

ლის სიგანე ერთი მეტრია. ოთახები კარგადაა განათებული. სამრეკლოს ფანჩატური დაბალი და მასიურია, თაღებს შორის ბოძების ნაცვლად კედლებია ამოყვანილი. ახალი შუამთის სამრეკლო მოკლებულია დეკორს, მაგრამ მაინც საკმაოდ შთამბეჭდავი შენობაა, გარეგნობას აცოცხლებს დიდი სარკმლებისა და მესამე სართულის თაღების რიტმი.

XIX საუკუნეში ახალი შუამთა ჭავჭავაძეების, მაყაშვილებისა და ანდრონიკაშვილების საძვალე იყო. მონასტრის ეზოში დაკრძალულია ცნობილი ქართველი პოეტი-რომანტიკოსი ალექსანდრე ჭავჭავაძე (დ. 1786 - გ. 1846 წ.).

მონასტერი ბევრჯერაა განახლებული. დღეს აქ ხახულის ღვთისმშობლის დედათა მოქმედი მონასტერია.

3.136. გრემის ეკლესია (ინგლ. Gremi Church) – XVI საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესია (სურ. 3.136.1 საერთო ხედი). მდებარეობს კახეთის მხარეში, ყვარლის მუნიციპალიტეტში, სოფელ გრემში სასაფლაოზე.

ტაძარი კახეთის „კუპელჰალეს“ (8,0×5,8 მ) უადრეს ნიმუშს წარმოადგენს. გეგმით მართკუთხა ნაგებობის სივრცე კედლის ერთი წყვილი შვერილით ორადაა გაყოფილი. დასავლეთის მკლავი წაგრძელებულია. გუმბათი აღმოსავლეთით აფსიდის, ხოლო დასავლეთით კედლის შვერილებს ეყრდნობა. გუმბათქვეშა კვადრატიდან გუმბათის ცილინდრულ ყელზე გადასასვლელად აფრებია გამოყენებული. სამნაწილიანი საკურთხევლის ცენტრში ერთი საფეხურით ამაღლებული ნახევარწრიული აფსიდია, რომლის ორივე მხარეს მართკუთხა ფორმის შეისრული კამარით გადახურული პასტოფორიუმებია მოწყობილი. სადიაკვნე და სამკვეთლო საკურთხეველში შიდა კარით იხსნება. სამხრეთი და ჩრდილოეთი სათავსებიდან დარბაზში გამავალი კარის თავზე სანიშეებია მოწყობილი, რომელთა ზემოთ ასომთავრულ წარწერებიანი მარმარილოს ფილებია ჩასმული. წარწერები დაზიანებულია – ჩრდილოეთისაზე მხოლოდ რამდენიმე ასოს გარჩევაა შესაძლებელი, ხოლო სამხრეთის საქტიტორო რვასტრიქონიანი წარწერის ფრაგმენტების წაკითხვა ჯერ კიდევ შესაძლებელია. ტაძრის შიდა სივრცე სადაა, არცერთი დეტალი არ გამოირჩევა, მხოლოდ გუმბათის ყელს აქვს ძირში შემოვლებული ერთლილვიანი სარტყელი. უნდა აღინიშნოს, რომ შიგნიდან გუმბათის ყელი ძალიან მაღალია, მისი სიმაღლე ნაგებობის ქვედა კორპუსის სიმაღლის ტოლია. როგორც ამ პერიოდის ძეგლების უმრავლესობას, გრემის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის თაღებს და კამარებს ოდნავ შეისრული მოხაზულობა აქვთ ტაძარი ძირითადად ნაგებია ნატეხი ქვით. კუთხეების, კარ-სარკმელთა ღიობების, დეკორის, ლავგარდანისა და გუმბათისთვის აგურია გამოყენებული. შესასვლელი დასავლეთიდან და ჩრდილოეთიდან აქვს. კარი გარედან ისრულთაღოვანია, ხოლო შიგნიდან არქიტრავული. დასავლეთის და სამხრეთის მკლავებში თითო, ხოლო აღმოსავლეთის კედელში სამი ვიწრო და თაღოვანი სარკმელია გაჭრილი. უმეტესი კახური ძეგლების მსგავსად გრემის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის ფასადები სისადავით გამოირჩევა. მთელი დეკორი ძირითადად გუმბათის ყელზეა თავმოყრილი. გუმბათის რვა ვიწრო თაღოვანი სარკმელის ორივე მხარეს ციფრად და იისფრად მოჭიქული ოთხ-ოთხი მრგვალი აგურია ჩასმული. ეს ფერადი აგურები შორიდან ჯვრებად იკითხება. ლეკალური აგურითაა გამოყვენილი წიბოებს აყოლილი ლილვები და მათზე დაყრდნობილი ნახევარწრიული თაღები. დასავლეთის და აღმოსავლეთის მკლავების ფასადის ფრონტონებში აგურის წყობით კვარცხლბეკზე აღმართული ჯვარია გამოსახული. სახურავისათვის გამოყენებულია ძვე-



სურ. 3.136.1. საერთო ხედი

ლი ქართული კრამიტი. ტაძარში შემორჩენილი სამარხების მიხედვით ის ჯორჯაძეების საძვალეს უნდა წარმოადგენდეს.

გრემის წმინდა ნიკოლოზის ეკლესიას მინიჭებული აქვს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი.

3.137. სნოს ციხე (ღუდუშაურის ციხე) – XVI საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი (სურ. 3.137.1). მდებარეობს ისტორიულ ხევში, სტეფანწმინდის მუნიციპალიტეტში, სოფელ სნოს განაპირას, მდინარე სნოსწყლის მარჯვენა ნაპირზე, კლდოვან გორაკზე. კომპლექსში შემავალი ნაგებობებია: კოშკი, გალავანი.

ძნელად მისადგომი ციხე შედგება თითქმის წრიული გალავნისა და ერთადერთი 20 მ-მდე სიმაღლის კოშკისგან, რომლის შესასვლელი მიწიდან 6 მ-ის სიმაღლეზე იყო. ორიარუსიანი გალავნის კედლები რელიეფის მიხედვით 4-10 მ სიმაღლისაა სათოფურებითა და სალოდეებით მომარჯვებული და, შესაბამისად, საბრძოლო დანიშნულება ჰქონდა. სოფ. სნო თერგის, მთიულეთისა და ფშავ-ხევსურეთის ხეობების თავშეყრის ადგილას მდებარეობდა და სნოს ციხე, არშის ციხესთან ერთად, საქართველოსათვის მნიშვნელოვან სტრატეგიულ საფორტიფიკაციო ნაგებობას წარმოადგენდა.



სურ. 3.137.1. საერთო ხედი

გადმოცემის მიხედვით სნოს ციხის მფლობელი ყოფილა არხოტის მხარის მმართველი შიოლა ღუდუშაური, საიდანაც მომდინარეობს შიოლაშვილების გვარი. სნო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსისა და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორის მშობლიური სოფელია.

3.138. არშის ციხე (არშას ციხე) (ინგლ. Arsh Castle) – XVI-XVII საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი (სურ. 3.138.1). მდებარეობს მცხეთა-მთიანეთის მხარეში, ისტორიულ ხევში, სტეფანწწდის მუნიციპალიტეტში, დაბა სტეფანწმინდიდან 5 კმ-ში, სოფ. არშის ჩრდილო-დასავლეთით, მდ. თერგის მარცხენა ნაპირზე, პლატოზე (სურ. 3.138.2). კომპლექსში შემავალი ნაგებობებია: ციხე, ეკლესია, საცხოვრებელი და სამეურნეო დანიშნულების ნაგებობები, გვირაბი, წყალსადენი, წმინდა გიორგის ხატი, მიწისქვეშა აკლდამები.



სურ. 3.138.1. საერთო ხედი

არშის ციხე, დარიალის და სნოს ციხესთან ერთად, სრულ კონტროლს ამყარებდა ხევზე. დარიალის ციხე ჩრდილოეთ საზღვარს იცავდა, სნო, სავარაუდოდ, ერთ-ერთ გვარს ემსახურებოდა, არშის ციხე კი ხევის ცენტრში იდგა და საქართველოში გავრცელებული სათავდაცვო ნაგებობების ერთ-ერთი სახეობის „გალავანის“ ფუნქციას ასრულებდა, ის ახლომდებარე სოფლების სახიზარს წარმოადგენდა. უნდა აღინიშნოს, რომ ძლიერი მტრის შემოსევის დროს სწორედ ამ ციხეს აფარებდა თავს ხევის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი. ისტორიულ წყაროებში იგი მოხსენიებულია 1623 წელს გიორგი სააკაძის მეთაურობით

შაჰ-აბასის წინააღმდეგ მოწყობილ აჯანყებასთან დაკავშირებით. XVII საუკუნიდან XVIII საუკუნის შუა წლებამდე ციხე არაგვის ერისთავების მფლობელობაში იყო. შემდეგ მას ქართლ-კახეთის სამეფო ხელისუფლება დაეპატრონა. არსებობს ცნობა, რომ ციხე ქართველთა საგანძურის სამალავს წარმოადგენდა. აღსანიშნავია ისიც, რომ არშის ციხესთან სოფ. გაიბოტენში მზადდებოდა თოფის წამალი, რომელიც იქვე ინახებოდა და საჭიროების შემთხვევაში სხვა ციხეების დამცველებს ურიგდებოდა. XIX საუკუნის დასაწყისში ციხე ჯერ კიდევ მოქმედი ყოფილა. საინტერესო ინფორმაციას შეიცავს 1888 წლის „ივერია“. გაზეთში გამოქვეყნებული წერილის მიხედვით არშა გამაგრებულ სოფელს ჰგავდა, სადაც მოხევეები საფუძვლიანად ყოფილან დამკვიდრებულნი. იმ დროისთვის არშას ტერიტორიაზე 80 ნასახლარიდან მთელი და დაურღვეველი 40-მდე სახლი იყო შემორჩენილი. ციხეში იყო წყალსადენი, საიდანაც წყალი დიდ ქვებში გაკეთებულ აუზებში გროვდებოდა. ციხის კარების გარეთ გაკეთებულ ქვის მოედანზე ყოფილა კალო. ციხის ბინადართ მახლობლად სასაფლაოც ჰქონიათ. XX საუკუნის 60-იან წლებში მოხევეების საამაყო ციხე საბჭოთა ხელისუფლებამ ააფეთქა და დღეისათვის ნანგრევების სახით არის შემორჩენილი.



სურ. 3.138.2. ადგილმდებარეობის რუკა

არშის ციხე პრაქტიკულად ბუნებრივი წარმოშობისაა. დიდ მთებს შორის აღმართული მაღალი, თითქოს ადამიანის ხელით შექმნილი ვერტიკალური კლდოვანი მთის პლატოზე მოთავსებული ციხე მიუდგომელი იყო, ამიტომ მას გალავანიც კი არ ჰქოდა შემოვლებული. მისი ნაშენი კედლები ბუნებრივი სიმაგრის მხოლოდ დანამატი და შემავსებელი იყო. სუსტი ადგილები, საიდანაც მტერს ციხეში შეღწევა შეეძლო, ნატეხი ქვითაა ამოშენებული და სქელი სათოფურებიანი კედლებით გამაგრებული. ციხე საკმაოდ რთულ რელიეფზეა განთავსებული. დასავლეთით მდებარე ყველაზე მაღალი წერტილიდან კლდის ზედაპირი მკვეთრად ეცემა აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით. ციხეში მისასვლელი ერთადერთი გზა ჩრდილო-დასავლეთიდანაა. ამ მხარესაა გაკეთებული კლდეზე ასასვლელი ვიწრო ბილიკი, რომელიც სოფელ არშადან იწყება, ჩხატი წყლის ზემოთ. ტერიტორიაზე შესასვლელი სქელი ფურცლოვანი რკინით მოჭედილი კარი ჩვენამდე კარგადაა მოღწეული. მისი ზომებია: 1,50x0,82 მ. ციხის კარს დაცვის რთული სისტემა ჰქონდა. შესასვლელის გვერდით კლდეში გამოკვეთილ საყარაულოსა და ციხის კარს შორის კიბე იყო გაკეთებული. ციხე წყლით მარაგდებოდა 2 კმ სიგრძის კერამიკული წყალსადენის მილებით. საცხოვრებელი და სამეურნეო დანიშნულების ნაგებობები ციხის ქვედა ნაწილშია განლაგებული. სახლები რამდენიმე ოთახისა და დამხმარე სათავსებისგან შედგებოდა. არის ცალკეული ოთახებიც. 1972 წელს ციხის ტერიტორიაზე გამოვლენილ იქნა მიწისქვეშა აკლდამები (მათი ზომებია: 2.1×1.4×1.4 მ). გეგმით ოთხკუთხა, უხეშად დამუშავებული ნატეხი ქვით დუღაბზე ნაგები აკლდამები აღმოსავლეთ-დასავლეთითაა დამხრობილი. ნაგებობები გადახურულია განივად დალაგებული ფიქლის ფილებით. ოთხკუთხა ფორმის ჩასასვლელი მათ დასავლეთ ნაწილში აქვთ გაკეთებული. აკლდამების ფუნქციონირების ქვედა თარიღად IX-X საუკუნეებია დადგენილი.

ციხის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში დგას IX-X საუკუნეების თლილი ქვით ნაგები პატარა უაფსიდო დარბაზული ეკლესია ზომით 9,6x5,2 მ. შესასვლელი ჩრდილოეთი მხრიდან აქვს. ნაგებობას მთელ სიგრძეზე გვიანდელი მინაშენი ჰქონდა, რომელმაც ნაშთის სახით მოაღწია ჩვენს დრომდე. დარბაზის შუაში შემორჩენილია ქვიშაქვის 1,3 მ სიმაღლის ოთხწახნაგა ქვასვეტი, რომელიც დაგვირგვინებული ყოფილა ქვის ჯვრით (ამჟამად დაკარგულია).

ციხის ტერიტორიაზე დგას წმინდა გიორგის ხატი, ოთხწახნაგა პრიზმის ფორმის ფიქლის ქვებით ნაშენი ნაგებობა. მის სამხრეთ-აღმოსავლეთით საზარეა – ქვების ორ გროვაზე რკინის ძელია გადებული, რომელზეც დიდი ზარია ჩამოკიდებული.

3.139. ჩაილურის ციხე (ნიახურას ციხე) – XVI საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი (სურ. 3.139.1). მდებარეობს კახეთის მხარეში, საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, სოფელ ჩაილურის სამხრეთით, მდინარე ჩაილურის ხევის მარცხენა სანაპიროზე.

ციხეს გეგმაში არათანაბარი ხუთკუთხედის ფორმა აქვს, რომლის კუთხეებშიც კოშკებია განლაგებული სათოფურებითა და იმ დროისათვის დამახასიათებელი ნისკარტა სალოდეებით (სურ. 3.139.2). კოშკებს შორის აღსანიშნავია აღმოსავლეთის კუთხეში მდგარი მასიური კოშკი, რომლის უდიდესი ნაწილიც თავდაპირველი სახითაა შემორჩენილი. მას საბრძოლო ბილიკის დონეზე მცირე ზომის ღია სადგომი აქვს, გალავნის კედლისკენ გაჭრილი სათოფურებით. ციხის გალავნისა და კოშკების კედლები ქონგურებით ბოლოვდება, რაც ნაგებობის არა მარტო თავდაცვითი ელემენტებია, არამედ არქიტექტურულადაც მომხიბვლელობასა და გრანდიოზულობას მატებს მთის თავზე ამაყად წამომდგარ ციხესიმარეს. ნაშენია რიყის ქვისა და კირის დუღაბის გამოყენებით. კარიბჭე (სურ. 3.139.3) ამოშენებულია ძველი ქართული აგურით. ციხის ეზოში ჩრდილოეთ კუთხეში, კოშკის წინ კვადრატული ნაგებობის კვალია შემორჩენილი, რომელიც სავარაუდოდ 3-4 სართულიანი უნდა ყოფილიყო ხის ბრტყელი სართულშუა გადახურვებით. ჩაილურის ციხეს სტრატეგიული დანიშნულება ჰქონდა – კეტავდა შემოსასვლელს იორის ხეობაში და მანავის ციხესთან ერთად წარმოადგენდა თბილისისკენ მიმავალი გზის ჩამკეტ თავდაცვით ნაგებობას. საკმაოდ დაზიანებული ციხესიმაგრე მთლიანადაა აღდგენილი 1980-1984 წლებში.



სურ. 3.139.1. საერთო ხედი



სურ. 3.139.2. ციხის ხედი შიგნიდან



სურ. 3.139.3. კარიბჭე

3.140. ქსნის ციხე (ინგლ. Ksani Castle) – XVI საუკუნის I ნახევრის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი (სურ. 3.140.1; სურ. 3.140.2). მდებარეობს ქართლში, მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ ციხისძირთან, მდინარეების ქსნისა და მტკვრის შესაყართა, მდ. ქსნის მარცხენა ნაპ-

ირზე (სურ. 3.140.3), სარკინეთის მთაზე. კომპლექსში შემავალი ნაგებობებია: გალავანი, პრიზმული კოშკი, ორი ცილინდრული კოშკი, ხუთსართულიანი კოშკი, წყალსაცავი, მარანი.



სურ. 3.140.1. პანორამული ხედი




სურ. 3.140.2. საერთო ხედი

ციხე აგებულია 1511-1513 წლებში ქართლის მეფე დავით X-ის (1505-1525 წწ.) ძმის ბაგრატ მუხრანბატონის მიერ. 1746 წელს ძლიერ დაზიანებული ციხე სახლთუხუცესმა კონსტანტინე მუხრანბატონმა თითქმის ხელახლა ააგო, რაც ირკვევა ციხის შესასვლელის თავზე ამოკვეთილი სამშენებლო წარწერით. ციხე ისტორიულ საბუთებში სხვადასხვა სახელითაა შესული: ერთგან მას „მტვერის ციხეს“ უწოდებენ (პ. ზაქარაია), სხვაგან „მტკვრის ციხის“ სახელით მოიხსენიებენ, ხოლო კონსტანტინემ მას (ირანული გავლენით) „კონსტანტილაბათი“ უწოდა. დღეს ის ხალხური „ქსნის ციხის“ სახელწოდებითაა ცნობილი.



სურ. 3.140.3. ადგილმდებარეობის რუკა




სურ. 3.140.4. ციხის გენგეგმა

ქსნის ციხეს თავდაპირველი სახე შეცვლილი აქვს და ამჟამად სანახევროდ დანგრეულია. იგი შესანიშნავად ყოფილა შერწყმული გარემოსთან და მთლიანად აკონტროლებდა მდ. მტკვრისა და ქსნის ხეობებს. მთის წვერზე აღმართული ციხის სამშენებლო ფენების გარჩევა სიძნელეს არ წარმოადგენს (პირველი სამშენებლო ფენა რიყის ქვითაა ნაგები, მეორეში კი აგურია შერეული), მაგრამ თავდაპირველი ნაგებობისგან ცოტა რამაა დარჩენილი. კლდის მორღვევის გამო ძნელია დასავლეთის მხარეს კედლების კვალის სწორად აღდგენა. სამხრეთით გალავანი დაახლოებით 2,5 მ-ზე, ხოლო ჩრდილოთით და აღმოსავლეთით უფრო მეტ სიმაღლეზეა შემორჩენილი. კედლები რელიეფის გაყოლებაზეა აგებული (სურ. 3.140.4) და ჩრდილო-სამხრეთ ღერძზე ოდნავ წაგრძელებული გეგმა აქვს. შიდა არაწესიერი ფორმის მრავალგვერდა ტერიტორია (39,5x26,4 მ) მოშანდაკებულია და თითქმის სწორია. XVI საუკუნის გალავანი სხვადასხვა ზომის და ფორმის ორი ბურჯით იყო გამაგრებული: ჩრდი-

ლო-აღმოსავლეთ კუთხეში კედლიდან გარეთ გაწეული ცილინდრული კოშკია (დარჩენილია ქვემო სართულის ოთხი მეტრის სიმაღლის კედლები. იატაკის დონე ციხის ეზოს დონეზე დაბალია), ხოლო ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში მთავარი, ოთხკუთხა გეგმის, მთლიანად გალავნის შიგნით მოქცეული ბურჯია (გარე კედლები გალავანში იყო ჩართული). სამწუხაროდ, ამჟამად მხოლოდ მისი კვალია შესამჩნევი. მათ გარდა, გალავანს რამდენიმე, არათანაბარი ინტერვალით დაცილებული მომრგვალებული კოშკიც ჰქონდა. ძველი კედლები მთლიანად რიყის ქვითაა აშენებული დუღაბზე. წყობა არაწესიერია, თუმცა დაცულია ჰორიზონტალურობა. საინტერესოა სათოფურთა სიმცირე, ზოგან კი საერთოდ მათი არქონა. ისინი არც მრგვალი კოშკის პირველ სართულზეა. მას შესასვლელი ეზოს მხრიდან ჰქონდა. აღსანიშნავია, რომ ბაგრატის დროინდელი ციხე არ იყო დიდი ზომის. აქ არც საცხოვრებელი და სამეურნეო შენობების და ეკლესიის კვალი იკითხება. სავარაუდოდ, საცხოვრებლად (ისიც მცირე ხნით) ოთხკუთხა კოშკის ერთ-ერთი ოთახი იქნებოდა შერჩეული. სამეურნეო მიზნებისთვის კი, ამავე ნაგებობის ქვედა სართული გამოიყენებოდა.



სურ. 3.140.5. ცილინდრული კოშკის ინტერიერი



სურ. 3.140.6. კოშკის ინტერიერი I სართულის გეგმა

1746 წელს ქსნის ციხე გადააკეთეს და გააფართოეს. ციხის მეორედ აშენებისას გალავნის აღმოსავლეთით და სამხრეთით დამატებითი კედლებია ამოყვანილი, რამაც საერთოდ დაფარა გარედან ძველი კედლები. ჩრდილოეთი კედელი გამაგრებულია და ზედ ახალია დაშენებული. ამ კედლებში სათოფურები და სალოდეებია მოწყობილი. ციხის მეორე ფენის დაზიანების მიუხედავად, გამაგრების სისტემა და ზოგი დეტალი აქ უკეთესად იკითხება. პრინციპულად ახალი იყო თავდაცვის გაძლიერება. გამაგრების გარდა კონსტანტინე მუხრანბატონმა სხვადასხვა ზომის და ფორმის კოშკები ააგო. დასავლეთის კედლის ცენტრში ყველაზე მაღალი, ექვსსართულიანი მართკუთხა კოშკია აღმართული (სიმაღლე 16 მ). პირველი სართული ეზოს დონეზე დაბლა იყო და სამურნეო დანიშნულებისთვის გამოიყენებოდა, მომდევნო ოთხი სართული საცხოვრებელ-საბრძოლო ფუნქციას ასრულებდა, ხოლო ზემოთ კბილანებით შემოზღუდული გადაუხურავი ბანი ჰქონდა. სართულების კედლებში სათოფურების გარდა თაღჩებია გაკეთებული, ხოლო მეოთხე სართულის კედლებზე შელესილობა ჩანს. აქ ბუხარი და აივანზე გასასვლელი კარიც იყო. კოშკის ყველაზე მაღალი სართულია მეორე, რომელშიც განთავსებული იყო ციხეში შესასვლელი კარი, დამუშავებული იმ დროისათვის ტრადიციული კომპოზიციით: მართკუთხა ჩარჩოში ჩასმული შეისრული თაღით. აღსანიშნავია, რომ ეს კოშკი მორთულობით გამოირჩევა - შეისრულ თაღიანი შესასვლელის ზემოთ აგურის წყობით გამოყვანილი კბილანების ორი რიგია, რომლის თავზეც საგანგებოდ დამზადებული მოგრძო ქვაა ჩასმული მხედრული სამშენებლო წარწერით.

ციხის კედლები დაზიანებულია, შემორჩენილია ჩრდილოეთი კედელი (სისქე 1,7 მ) და დასავლეთ კედლის ჩრდილოეთ ნახევარი. გალავნის ჩრდილო-დასავლეთ (სურ. 3.140.5) და ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეებში გარედან მიშენებულია ცილინდრული კოშკები, ხოლო სა-

მხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში დგას ხუთსართულიანი გეგმით წაგრძელებული უწესო მართკუთხედის ფორმის კოშკისებრი შვერილი ნაგებობა, რომელიც სამხრეთით მომრგვალებულია. ამ შენობის ფართობი ბევრად აღემატება სხვა კოშკებს. მრგვალი კოშკები განსაკუთრებული ღირებულებით არ გამოირჩევა. ჩრდილო-აღმოსავლეთ კოშკს სამი სართული და ბანი აქვს დაშენებული. მეორე სართულზე ბუხარია, მესამეზე დიდი სარკმლები, რომელსაც საზარბაზნედ იყენებდნენ. ჩრდილო-დასავლეთ კოშკის გადარჩენილ სართულებს ეკლესიის სარკმლების მსგავსი, გარეთ ძალიან მაღალი, ვიწრო და შიგნით გაგანიერებული, საფეხურებიანი რაფით დასრულებული სათოფურები აქვს. კოშკებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს სამხრეთ-აღმოსავლეთი მინაშენი, რომელიც საცხოვრებლად გამოიყენებოდა. ნაგებობის ინტერიერს დარბაზული ეკლესიის მოხაზულობა აქვს. პირველი სართული მარანია (შემორჩენილია 15 ქვევრის ნაშთი). ის ეზოს დონეზე დაბლა იყო განთავსებული. აქვე იყო მიწისქვეშა დიდი ცილინდრული ცისტერნა წყლისთვის. ნახევრადბნელი სართული სამი სათოფურით ნათდებოდა, ჩასასვლელი მეორე სართულიდან ჰქონდა გაკეთებული. მესამე სართული საცხოვრებელს წარმოადგენდა. მისი ფართობი ბევრად აღემატებოდა სხვა კოშკების საცხოვრებელ ოთახებს (შუა ღერძზე სიგრძე 11 მ-მდეა, სიგანე 4 მ). ოთახი კარგად იყო განათებული სათოფურებითა და ჩვეულებრივი სარკმლებით. აქ იყო ბუხარი და ბანზე ასასვლელი კიბე. ვარაუდობენ, რომ ეს მინაშენი მცირე სასახლესავით იყო, სადაც ფეოდალის ოჯახს შეეძლო ცხოვრება. აღსანიშნავია, რომ ყველა ახალი ნაგებობა ძველი გალავნის კონტურის გარეთაა გაწეული, რაც ზრდის გარემოს კონტროლს და ციხის დაცვასაც. ქსნის ციხის კოშკი აღჭურვილი იყო სათოფურებით, სალოდეებით, საზარბაზნეებით, საბრძოლო იარუსებითა და მეომრებისთვის სხვა დამხმარე მოწყობილობებით. ამჟამად სართულები აღარ არსებობს, თუმცა კედლებზე შემორჩენილია სხვადასხვა დანიშნულების ნიშები და სათავსები (სურ. 3.140.6). კოშკის მიწისქვეშა წყლის ცისტერნის გარდა (მოცულობით 30 კუბ.მ.) დიდი მოცულობის წყალსაცავია ეზოში. ციხის წყლით მომარაგება ხდებოდა კერამიკულ მილებიანი წყალსადენით, რომლის სათავე ციხიდან აღმოსავლეთით რამდენიმე კილომეტრის დაშორებითაა.

XVII საუკუნე

3.141. მჭადიჯვრის ეკლესია – XVII საუკუნის II ნახევრის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, მჭადიჯვრის მთავარანგელოზთა ეკლესიის კომპლექსი (სურ. 3.141.1). მდებარეობს მცხეთა-მთიანეთის მხარეში, დუშეთის მუნიციპალიტეტში, ქ. დუშეთიდან 14 კმ-ში, სოფ. მჭადიჯვრის ცენტრში (სურ. 3.141.2). კომპლექსში შემავალი ნაგებობებია: ეკლესია, სამრეკლო, ციხე-გალავანი, კოშკები.




სურ. 3.141.1. საერთო ხედი დასავლეთიდან




სურ. 3.141.2. ადგილმდებარეობის რუკა

ეკლესიის დასავლეთი შესასვლელის კარის ტიმპანზე არსებული ასომთავრული წარწერის თანახმად (სურ. 3.141.3) ეკლესია 1668 წელს აუგია დომენტი კათოლიკოსს, ხოლო ციხე-გალავანი – კონსტანტინე მუხრანბატონს 1746 წელს, რაზეც მოგვითხრობს სამხრეთის შესასვლელის თავზე განთავსებული წარწერა. ტაძარს მუხრან-ბატონთა ციხის ანსამბლის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი ეჭირა, ერთი კოშკი ზედ ეკლესიის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეზეა მიდგმული.



სურ. 3.141.3. მხედრული წარწერა სამხრეთის შესასვლელის ტიმპანზე



სურ. 3.141.4. გეგმა

გუმბათოვანი ეკლესია გეგმით მართკუთხაა ზომებით: 20,4x17,0 მ, სიმაღლე იატაკიდან გუმბათის წვერომდე 23 მ (სურ. 3.141.4). ძირითადად ნაშენია აგურით დუღაბზე. საბჯენი თაღები, იმპოსტი, შესასვლელების ტიმპანები, სარკმლების თაღები და კონსოლები თლილი ქვისაა. შესასვლელი სამხრეთიდან, დასავლეთიდან და ჩრდილოეთიდანაა (ამოქოლილია). შიგა სივრცე შექმნილია ჯვრის მკლავებით რომელთაგან აღმოსავლეთის მკლავი სამნაწილიანია. შუაში ღრმა საკურთხეველია მოწყობილი გვერდებზე აფსიდიანი სამკვეთლო და სადიაკვნე, რომლებიც გასასვლელებით უკავშირდება საკურთხეველსა და განივ მკლავებს. აფსიდში, სარკმლის ქვემოთ კედელში სამი ერთი სიმაღლის ისრულთაღიანი ნიშია გაკეთებული. ნაგებობას პატრონიკე არ გააჩნია. პასტოფორიების თავზე, მეორე სართულზე უაფსიდო და უსარკმლო კამარით გადახურული ორი ოთახია გამართული. მთავარ სივრცეში ისინი ორთაღიანი ღიობით გამოდიან. თორმეტწახნაგა გუმბათის ყელი ეყრდნობა საკურთხევლის ბემის შვერილებსა და დასავლეთით თავისუფლად მდგარ ორ ძალიან მასიურ რვაწახნაგა ბურჯს. გუმბათქვეშა კვადრატიდან გუმბათის წრიულ საფუძველზე გადასვლა აფრების მეშვეობით ხდება (სურ. 3.141.5; სურ. 3.141.6). ფართო, სინათლით სავსე (ეკლესია კარგადაა განათებული მრავალრიცხოვანი სარკმლით), სასიამოვნო პროპორციისა და მასშტაბის მქონე ინტერიერი წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე. შიგა სივრცეს განსაკუთრებით აცოცხლებს სადიაკვნესა და სამკვეთლოს ზემოთ მოწყობილი ოთახების თლილი ქვით გამოყვანილი შეწყვილებული ღია თაღები, რომლებიც მრგვალ სვეტებს ეყრდნობა. მათი ბაზისები და კაპიტელები გულდასმითაა დამუშავებული. მათგან განსხვავებით, მასიური და მარტივპროფილიანია გუმბათქვეშა სვეტისთავები და შეისრული თაღების საბჯენი კრონშტეინები. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ტაძრის მთლიანად დამთავრება ვერ მოასწრეს, ინტერიერი მოუხატავი და შეულესავია დარჩენილი. გუმბათის ყელი (სურ. 3.141.7) მაღალი და საკმაოდ განიერია, შემკულია ლეკალოსებრი აგურით გამოყვანილი თაღედით. გუმბათის ლავგარდანი ქვისაა – საფეხუროვანი. ფასადები კედლის ჩაღრმავებით მიღებული, ძირითადად ერთი სიმაღლის შეისრული თაღოვანი არეების მწკრივებითაა მორთული. აღმოსავლეთ ფასადზე ხუთთაღიანი კომპოზიციაა – ცენტრში ძალიან მაღალი და გვერდებზე დაბალი თაღები ორი ღრმა ნიშით. უნდა აღინიშნოს, რომ ნიშები (შესაბამისად მათი თაღებიც) განაპირა თაღებზე დაბალია. აქ მათ არა მარტო დეკორაციული, არამედ კონტრუქციული მნი-

შვნელობაც აქვთ. ტაძრის ფასადები დაგვირგვინებულია აგურის ლავგარდნით, რომლის პროფილს ჩვეულებრივად დაწყობილი აგურის სამი საფეხური შეადგენს.

ეკლესიის დასავლეთით დგას XIX საუკუნის ფანჩატურიანი სამრეკლო, რომელიც შესრულებულია ოთხ სვეტზე დაყრდნობილი თაღებით და თუნუქის სახურავითაა დასრულებული (ადრე მოჭიქული მომწვანო-ლურჯი კრამიტით ყოფილა დაფარული.



სურ. 3.141.5. ინტერიერი



სურ. 3.141.6. ინტერიერი



სურ. 3.141.7. გუმბათის ყელი




სურ. 3.141.8. გალავნის კარიბჭე

რიყის ქვითა და აგურით ნაგები გალავნით შემოზღუდული (49,5x34,4 მ), ტერიტორია ოთხკუთხედის ფორმისაა, რომლის კუთხეებში ცილინდრული კოშკებია ჩაშენებული. მათგან ყველაზე დიდია ჩრდილო-დასავლეთის კოშკი, რომელიც უშუალოდ ეკლესიაზეა მიშენებული. გალავნის ქვედა ნაწილი ყრუკედლიანია, ხოლო ზედა – გაწყობილია ქონგურებით, სათოფეებითა და სალოდეებით. კოშკების ზედა სართულებზე საბრძოლო ბაქნებია განთავსებული. სართულშუა გადახურვა ყველგან ხისა ყოფილა. გალავანს აღმოსავლეთის მხრიდან მიშენებული აქვს საცხოვრებელი სახლები. შესასვლელი სამხრეთიდანაა. კარიბჭე აგურითაა ამოყვანილი და გადახურულია სწორკუთხედში ჩასმული ისრული თაღით. კარის გვერდებზე პილასტრები და ერთმანეთის თავზე, ორ იარუსად განლაგებული სხვადასხვა სიმაღლის შეისრულთაღიანი ნიშებია (სურ. 3.141.8). კარიბჭის თავზე ქონგურების ნაშთებია შემორჩენილი. ამჟამად გალავ ნის ძირითადი ნაწილი დანგრეულია.

3.142. ანანურის ციხე (ინგლ. Ananuri Fortress) – საქართველოს გვიანფეოდალური ხანის ერთ-ერთი საუკეთესო ხუროთმოძღვრული ძეგლი (სურ. 3.142.1). მდებარეობს მცხეთა-მთიანეთის მხარეში, დუშეთის მუნიციპალიტეტში, ისტორიულ მხარე მთიულეთში, საქართველოს სამხედრო გზაზე, სოფ. ანანურში, თბილისიდან სამოციოდე კილომეტრზე, არაგვის მარჯვენა ნაპირზე, მთიდან დაშვებულ წამოზიდულ კონცხზე, იქ, სადაც მდ. არაგვს ერთვის მდ. ვეძათხევი (სურ. 3.142.2). მიუხედავად იმისა, რომ არაგვის ერისთავებს ანანურში არც სასახლე



სურ. 3.142.1. პანორამული ხედი



სურ. 3.142.2. ადგილმდებარეობის რუკა


ჰქონდათ და არც მუდმივი საცხოვრებელი, საერისთაოში ეს მაინც ყველაზე მნიშვნელოვანი სიმაგრე იყო. ანანური მრისხანე ფეოდალთა ძალაუფლების სიმბოლოს, ხოლო მტრის თავდასხმისას მათ უკანასკნელ თავშესაფარს წარმოადგენდა. აქ იყო არაგვის ერისთავთა მთავარი სალოცავი და საგვარეულო საძვალეც.

ანანურის ხუროთმოძღვრულ ანსამბლში საკულტო, სამხედრო და საერო დანიშნულების ნაგებობებია გაერთიანებული. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ეპოქიდან შემორჩენილ მრავალრიცხოვან ძეგლებს შორის ასეთი, შედარებით კარგად დაცული ანსამბლი საქართველოს ტერიტორიაზე სხვა არ მოიპოვება.

ანანურის ტიპური ფეოდალური ციხე შედგება ორი ძირითადი ნაწილისაგან – ქვედა ციხისა და ზედა ციხისაგან (ციტადელი). ქვედა ციხე (XVIII ს.) ზედაციხის ჩრდილოეთ და ჩრდილო-დასავლეთ მხარეზე მდებარეობდა. გალავანშემოვლებული მცირე საცხოვრებელი უბანი დაახლოებით სამკუთხა ტერიტორიას მოიცავდა (მისი უდიდესი სიგრძე 140 მეტრამდე იყო). ამჟამად ანსამბლის ეს ნაწილი სოფლის მოსახლეობას უკავია და ძველი ციხის ნაშთები თითქმის აღარ იკითხება. შემორჩენილია ყორე ქვითა და აგურით ნაგები გალავნის კოშკებისა და საცხოვრებელი სახლების კვალი. ზედა ციხე – ციტადელი (XVI-XVII სს.) დღემდე კარგადაა შემონახული.

ტერიტორიაზე, რომელსაც გეგმით ხუთგვერდა ფორმა აქვს, განლაგებულია ანსამბლის ძირითადი ნაგებობები. მძლავრ გალავანში ჩართულ სათავდაცვო კოშკებს შორის მთავარია ყველაზე მაღლა, გალავნის დასავლეთი კედლის შუაში მდგომი მართკუთხა გეგმის ექვსსართულიანი კოშკი ე.წ. „შეუპოვარი“. კოშკში საცხოვრებლად გამოსადექი ოთახებია გამართული (თითო-თითო ყველა სართულზე), რომლებიც ერთმანეთს კედელში დატანებული კიბით უკავშირდება. ციტადელში XVII საუკუნის ორი გუმბათოვანი ტაძარია – ე.წ. ღვთაება და ე.წ. ღვთისმშობელი. ანსამბლის აღმოსავლეთი ნაწილი უკავია გამჭოლთაღიან სამრეკლოს, რომლის რვასვეტიანი ფანჩატურის ქვეშ მცირე ზომის დარბაზული ეკლესია ე.წ. „მკურნალია“. დიდი ტაძრის დასავლეთი ფასადის სიახლოვეს აგებულია ხევსურული ტიპის კვადრატული კოშკი პირამიდული სახურავით. აღსანიშნავია, რომ ციხესიმაგრის ყველა მნიშვნელოვანი ნაგებობა – „შეუპოვარი“, ეკლესიები, ხევსურული კოშკი და სამრეკლო ერთ ღერძზეა განთავსებული. ანსამბლში შედის, აგრეთვე, რვაკუთხა საკანი, ორსათავსიანი წყალსაცავი

და წყარო. სიდიდის, დასახული მხატვრული ამოცანების გადაწყვეტისა და ტექნიკური შესრულების ხარისხის თვალსაზრისით ანსამბლის დომინანტი ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარია. სამხრეთ კედელში ჩატანებულ ქვაზე შესრულებული წარწერის მიხედვით, ტაძარი 1689 წელს აუგია არაგვის ერისთავის შვილის, მდივანბეგ ბარძიმის დაკვეთით ბოქაულთუხუცეს ქაიხოსრო ბაღსარაშვილს. ამ ნაგებობაში განსაკუთრებით მკაფიოდაა გამოხატული ეპოქის ხუროთმოძღვრებისა და დეკორის ბევრი დამახასიათებელი თავისებურება. ტაძარი გეგმით მარტივი მართკუთხა ჯვარგუმბათოვანი ნაგებობაა (გარედან მისი ზომებია: 23,1x17,2 მ., სიმაღლე შიგნით -27,0 მ), აშენებულია ქვიშისფერი (მოყვითალო) თლილი ქვის კვადრებით (სურ. 3. 142. 3). შესასვლელი ტაძარს სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან აქვს (დასავლეთი კედელი ყრუა). შიგა სივრცეს ქმნის ჯვრის ოთხი მკლავში და ცენტრში აღმართული გუმბათი, რომელიც აღმოსავლეთით ეყრდნობა აფსიდის კუთხეებსა და დასავლეთით თავისუფლად მდგარ ორ რვაწახნაგოვან სვეტს. უნდა აღინიშნოს, რომ გუმბათქვეშა საბჯენი თაღები კვადრატის ნაცვლად სამხრეთ-ჩრდილოეთი ღერძის გასწვრივ გაზიდულ მართკუთხედს ქმნიან. ამ მართკუთხედზე გუმბათის ყელის წრიული საფუძველის მოსარგებად ოსტატმა საინტერესო ხერხს მიმართა – სამხრეთ და ჩრდილოეთ გუმბათქვეშა თაღების ზემოთ დაქანებული სიბრტყეები შექმნა. ღრმა ნახევარწრიულ აფსიდს ბემა არ აქვს, რაც, ერთი მხრივ, იშვიათი მაგალითია და, მეორე მხრივ, ბემის უქონლობის გამო დამოკლებულია ნაგებობის აღმოსავლეთი მკლავი, რამაც, თავის მხრივ, გამოიწვია გუმბათის გადაადგილება ცენტრიდან აღმოსავლეთით. საკურთხევლის გვერდებზე ტრადიციული პასტოფორიებია: ჩრდილოეთით აფსიდიანი სამკვეთლოა, სამხრეთით – მართკუთხა სადიაკვანე. მათ თავზე საიდუმლო ოთახებია გამართული. ორივე სადგომში, საკურთხევლის მიმდებარე კედლებში მოწყობილია კიბეები მეორე სართულის ოთახებისაკენ, იქიდან კი საკურთხევლის კონქის თავზე ოთხკუთხა, ისრული კამარით დახურულ სადგომში ასასვლელად. ამ ოთახს აღმოსავლეთ მხარეს პატარა სარკმელი აქვს გაკეთებული. გუმბათის ყელში (სურ. 3.142.4) გაჭრილია თექვსმეტი სარკმელი.



სურ. 3.142.3. ღვთისმშობლის ტაძარი



სურ. 3.142.4. გუმბათის ყელი




სურ. 3.142.5. სამხრეთის პორტალი

ტაძრის კედლებზე შემორჩენილია მოხატულობის ფრაგმენტები: სამხრეთ კედელზე, სარკმლების ქვემოთ – დღე განკითხვისა, სვეტებზე – წმინდანების, ხოლო პილონებზე – ასურელ მამათა გამოსახულებები. ფასადები საკმაოდ მდიდრულადაა გაფორმებული - მოჩუქურთმებული ჯვრებით, სარკმლების და შესასვლელების საპირეებით, ლილვებით, მცენარეების, ცხოველების და ანგელოზების რელიეფური ფიგურებით, კარნიზებითა და არში-

ებით (სურ. 3.142.5 - სურ. 3.142.7). აღსანიშნავია, რომ ტექნიკურად ტაძარი კარგადაა შესრულებული. დიდი ოსტატობა ჩანს ქვის დამუშავებასა და წყობაში.



სურ. 3.142.6. სამხრეთ ფასადის ფრაგმენტი




სურ. 3.142.7. დასავლეთი ფასადის მორთულობა

ზედა ციხის დასავლეთ მონაკვეთში დგას ღვთაების ჯვარგუმბათოვანი ეკლესია (გარეთა ზომებია:16,4x13,3 მ (17,0×14,3 მ., სიმაღლე შიგნით - 13,0 მ.). გუმბათი აღმოსავლეთით საკურთხევლის ბემის კუთხეებს, ხოლო დასავლეთით ჯვრული გეგმის მქონე ორ ბოძს ეყრდნობა. აღსანიშნავია, რომ დასავლეთ მკლავში, გუმბათქვეშა ბოძების გარდა, კიდევ ერთი წყვილი ბურჯია განთავსებული, რაც იშვიათია იმ დროში. სადიაკვნე და სამკვეთლო მართკუთხა მოხაზულობისაა, აფსიდის გარეშე. ტაძარს შესასვლელი ორი აქვს - სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან. სამხრეთი კარის წინ კარიბჭეა მიშენებული. ტაძარი ნაშენია ძირითადად ნატეხი ქვითა და აგურით. გუმბათის ყელი და კედლების ნაწილი აგურითაა ამოყვანილი (სურ. 3.142.8). ინტერიერში, სამხრეთ კართან ახლოს დგას კარგად დამუშავებული ქვით ნაშენი ოთხსვეტიანი თაღოვანი სალხინებელი (ბალდაქინი), რომელიც მთლიანად მხატვრობითაა დაფარული. სალხინებლის კედელზე მოთავსებული წარწერის მიხედვით ტაძარი 1674 წელსაა აგებული. ბალდაქინის ქვეშ ასვენია არაგვის ერისთავის გიორგის ძე, „საქართველოს მდივანბეგი ედიშერი“.



სურ. 3.142.8. ღვთაების ეკლესია

ზედა ციხის აღმოსავლეთ კიდეში, ციტადელის შიგნით მდებარე შენობებზე უფრო დაბლა, დგას ეკლესია „მკურნალი“, რომლის თითქმის მთელი კორპუსი გალავანს გარეთ გადის (სურ. 3.142.9). თარიღდება XVI საუკუნის II ნახევრით. ეკლესია დარბაზული ტიპისაა (11,2x7,1 მ). შედგება ერთი ნავისა და ნახევარწრიული აფსიდისგან. დარბაზის კამარას და კონქის თაღს შეისრული მოხაზულობა აქვს. საშენ მასალად ნატეხი ქვა და აგურია გამოყენებული. თავდაპირველად ნაგებობას ორქანობიანი გადახურვა ჰქონდა, მაგრამ XVII საუკუნის II ნახევარში სახურავი ბანით შეცვალეს და ეკლესიის თავზე სამრეკლო დადგეს. ზედა ციხის ცენტრში დგას ისრულთაღიანი ხევსურული კოშკი (4,08x4,6 მ), რომელიც ანსამბლის ყველაზე ადრინდელი ნაგებობაა (თარიღდება XIV-XV საუკუნეებით). კოშკი ოთხსართულიანია. იგი მაღალი (18 მ) და ვიწროა, ნაგებია ნატეხი ქვით (სურ. 3.142.10). განსხვავდება ციხესიმაგრის დანარჩენი კოშკებისაგან პროპორციებით, გადახურვის ფორმითა და კონსტრუქციით (ასეთ კოშკებს საქართველოს მთიან ადგილებში აგებდნენ). ანსამბლის ტერიტორიაზე კიდევ 5 თავდაცვითი დანიშნულების კოშკია აგებული სათოფურებითა და სალოდეებით (სურ. 3.142.11).



სურ. 3.142.9. სამრეკლო „მკურნალი“



სურ. 3.142.10. ე.წ. ხევსურული კოშკი „შეუპოვარი“



სურ. 3.142.11. გალავნის კოშკი

ანანურის ციხე ძირითადად იცავდა საქართველოს ჩრდილო კავკასიასთან დამაკავშირებელ მაგისტრალს. ამავე დროს იგი საიმედო თავშესაფარს წარმოადგენდა მეფე-დიდებულთათვის მტრის შემოსევებისას. 1743 წელს, ფეოდალთა გაუთავებელი შუღლის გამო, ქართლ-კახეთის მეფეებმა თეიმურაზ I-მა და ერეკლე II-მ არაგვის საერისთაო გააუქმეს, მაგრამ ციხეს მას შემდეგაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა. 1803-1821 წლებში იგი იყო ანანურის მაზრის ცენტრი. 1791 წელს ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-ის (დ. 1720 - გ. 1798 წ.) მიერ ძეთათვის დაწერილ განწესებაში ანანურის ციხე საქართველოს შვიდ უძლიერეს ციხეს შორის არის მოხსენიებული.

XVIII საუკუნე

3.143. ბარაკონი – XVIII საუკუნის ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი უკანასკნელი მნიშვნელოვანი ძეგლი, ბარაკონის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია (სურ. 3.143. 1). მდებარეობს ქვემო რაჭის მხარეში, ამბროლაურის მუნიციპალიტეტში, სოფელ წესთან, მდინარეების, ლუხუნისა და რიონის შესართავთან.

რაჭის ყველაზე გრანდიოზული საეკლესიო ნაგებობა (ნიკორწმინდასთან ერთად) ბარაკონის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი აგებულია 1753 წელს როსტომ რაჭის ერისთავის ბრძანებით, ოსტატ ავთანდილ შულავრელის მიერ. ბარაკონი რაჭის ერისთავთა რეზიდენცია იყო. აქვე, ეკლესიის მახლობლად იდგა ერისთავთა სასახლეც. პატივმოყვარე როსტომი იმერეთის მეფეს უტოლებდა თავს და ხშირად არ ერიდებოდა ქვეყნის მოსისხლე მტერთან, ოსმალეთთან კავშირსაც. რაჭის მმართველის ურჩობა ტრაგიკულად დასრულდა, იმერეთის მეფემ სოლომონ I-მა 1769 წელს როსტომი ოჯახით შეიპყრო, ერისთავს თვალები დასთხარა, ხოლო რაჭის საერისთავო კი გააუქმა. როსტომი 1790 წლიდან აღარ იხსნიება საისტორიო



სურ. 3.143.1. საერთო ხედი

წყაროებში. დაკრძალულია ბარაკონში.

როსტომის ქედმაღლობა და პრეტენზიები ბარაკონის მასშტაბსა და მოთულობაშიც გამოიხატა. ქვით ნაშენი ეს გუმბათოვანი ნაგებობა ყველაზე დიდია საქართველოში XVIII საუკუნეში აგებულ ეკლესიებს შორის. უნდა აღინიშნოს, რომ ის მჭიდრო კავშირშია ეროვნულ ტრადიციულ ხუროთმოძღვრებასთან და იმ ეპოქის ირანული გავლენის კვალი, განსხვავებით აღმოსავლეთ საქართველოს უმეტესი ძეგლებისა, აქ არ შეინიშნება. სამი შესასვლელის ტიმპანთა ძალზე ვრცელ და მაღალფარდოვან წარწერებში ტაძრის აგების ამბავი, თარიღი, დამკვეთის და ხუროთმოძღვრის ვინაობაა მოთხრობილი.



სურ. 3.143.2. გუმბათის ყელი

ბარაკონი გეგმით ტრადიციული „ჩახაზული ჯვრის“ ტიპისაა. მას მართკუთხა ფორმა აქვს შვერილებისა და მინაშენთა გარეშე, გუმბათი (სურ. 3.143.2) აღმოსავლეთით ეყრდნობა საკურთხევლის კუთხეებსა და დასავლეთით თავისუფლად მდგარ ორ გუმბათქვეშა ბურჯს. ღრმა აფსიდი ბემის გარეშეა. საკურთხევლის ორივე მხარეს განთავსებული პასტოფორიები უაფსიდოა და მათ თავზე თითო-თითო ოთახია მოწყობილი. ნაგებობას დასავლეთით პატრონიკე არ გააჩნია. სარკმლები მკლავებსა და საკურთხეველში ერთნაირადაა განლაგებული - სამიდან ერთი (შუა) მაღლა, ხოლო გვერდითები ბევრად დაბლაა გაჭრილი. სავარაუდოდ, ტაძრის ინტერიერის კედლებს მოსახატად ამზადებდნენ (ნაკერები შელესილი აქვს), მაგრამ ჩანს, ვეღარ მოასწრეს. ნაგებობა მთლიანად რაჭის სოფელ იწიდან მოზიდული თლილი ქვითაა ნაშენი. ეკლესიის აღმოსავლეთი და დასავლეთი ფასადები, დანარჩენი ორი ფასადის პორტალები, სარკმლები და კარნიზები უხვადაა შემკული ტექნიკურად კარგადა შესრულებული ძველი ქართული ტაძრებისათვის დამახასიათებელი ჩუქურთმებით (სურ. 3.143.3). აღმოსავლეთ ფასადს ორი, გეგმით ნახევარწრიული ნიშა აქვს ამოღებული. აქ საპირეების გარდა, დიდი ადგილი ეთმობა ორნამენტულ ფილებს, ჯვრებს, როზეტებსა და შვეულ არშიებს. ორნამენტული ჯვრებითაა მორთული დასავლეთი ფასადი. ტაძარში შესასვლელი სამივე კარის (სურ. 3.143.4) ტიმპანს ამშვენებს წარწერები,



სურ. 3.143.3. ორნამენტული მოტივი პორტალი




სურ. 3.143.4. დასავლეთი ფასადი. „ჯვარი გირლიანდით“

რომელთაც ტიმპანის მთელი არე უჭირავთ (სურ. 3.143.5). ყველაზე გამორჩეული მაინც ბარაკონის ფართო, მაღალი, აზიდული პროპორციების მქონე ინტერიერია. კუთხის სათავსები, წინიდან ფართოდ გახსნილი, თავისუფლად ერთვიან ჯვრის მკლავებს და მთლიან, თითქოს დაუნაწევრებელ სივრცეს ქმნიან. შენობის ზომებია გარედან 18,0×15,0 მ., სიმაღლე 13,0 მ.

ბარაკონის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი 1991 წლის მიწისძვრის შედეგად საგრძნობლად იყო დაზიანებული. დღეს იგი რესტავრირებულია და მოქმედი ტაძარია. ამ

ულამაზეს ძეგლს განცვიფრებაში მოჰყავდა მნახველი. არავინ ელოდა რაჭის მთებში ასეთი შთამბეჭდავი ტაძრის ნახვას. ბარაკონის ჩრდილო-აღმოსავლეთით თამარ მეფის მიერ აშენებული ეკლესია მდებარეობდა, რომელიც დღეს, სამწუხაროდ, ნანგრევებად არის ქცეული. აღსანიშნავია, რომ ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე ასევე იყო რაჭის პირველი ერისთავის რატი ლიპარიტის ძის კარის ეკლესია, სადაც ორასი წლის წინ სასულიერო წიგნები იბეჭდებოდა.




სურ. 3.143.5. ქართული წარწერა შესასვლელის ტიმპანზე

3.144. ზემო ბეთლემი (ინგლ. Zemo Bethlehemy) (გვიანდელი ფეთხაინი) – XVIII-XIX საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, თბილისის ზემო ბეთლემის მაცხოვრის შობის ტაძარი (სურ. 3.144.1; სურ. 3.144.2). მდებარეობს ძველი თბილისის ერთ-ერთ უძველეს მიკროუბან ქვემო კალაში, სოლოლაკის ქედის ჩრდილო ფერდობზე. ბეთლემის მიკროუბანი მოქცეულია დღევანდელი ლადო ასათიანის, ბეთლემის, გომის ქუჩებს, ზემო ბეთლემის ეკლესიასა და ბეთლემის კიბეს შორის. კლდოვანი რელიეფის გამო ამ ტერიტორიას კლდისუბანსაც უწოდებენ. მდებარეობის თავისებურებით გამოწვეული ბანურ-ტერასულათ განაშენიანებული უბანი, ეკლესიებისა და სამრეკლოს გუმბათების ხუროთმოძღვრული მახვილებით, განუმეორებელ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე.



სურ. 3.144.1. საერთო ხედი



სურ. 3.144.2. პანორამული ხედი

სახელი ბეთლემი უბანს ზემო ბეთლემის ეკლესიის გამო ეწოდა. საეკლესიო ტრადიცია ამ ადგილზე პირველი მომცრო ტაძრის მშენებლობას ქართლის მეფეს ვახტანგ გორგასალს მიაერს (V ს.). აქვე არიან დაკრძალული ვახტანგ მეფის დედა და და.

ზემო ბეთლემის სახელით ცნობილი ტაძარი სომხურმა თემმა აქ არსებული **V** საუკუნის ქართული ეკლესიის საძირკველზე ააგო XV საუკუნეში. ბეთლემს ქართველებიც თავისად მიიჩნევდნენ, ამიტომ, 1740 წელს ტაძარი საკუთარი ხარჯით ახლებურად ააშენა იმ დროის ცნობილმა პოლიტიკურმა მოღვაწემ, ზემო ქართლის სადროშოს სარდალმა და გორის მოურავმა გივი ამილახვარმა (1689-1754 ან 1757 წწ.). დღევანდელი სახე ზემო ბეთლემმა XVIII-XIX საუკუნეებში მიიღო. 1884 წელს ის საფუძვლიანად შეკეთდა, განახლდა ფასადები, დაედგა ახალი გუმბათი. ტაძარში დაბრძანებულია მაცხოვრის შობის ხატი.

ზემო ბეთლემის მაცხოვრის შობის ტაძარი სამი მხრიდან სახლებსა და კლდეს შორისაა მოქცეული, მათგან მცირე მანძილი ჰყოფს. მხოლოდ ჩრდილოეთი ფასადია გახსნილი ეკლესიის წინ მოწყობილი ბაქანის მხარეს. რთული რელიეფის გამო ეკლესია სპეციალურ (სურ. 3.144.1) სუბსტრუქციაზე დგას. „ჩაწერილი ჯვრის“ ტიპის ნაგებობის გუმბათი ორ თავისუფლად მდგომ ბურჯსა და აფსიდის კედლის შვერილებს ეყრდნობა. დასავლეთი მკლავი დაგრძელებულია ბურჯების ერთი წყვილის დამატებით. ინტერიერი მთლიანად მოხატულია. ტაძარს შესასვლელი მხოლოდ დასავლეთიდან აქვს. ჩრდილოეთი შესასვლელის კიბე ამჟამად მოშლილია. ნაშენია აგურით. ქვის პერანგი ტაძარს XIX საუკუნის რესტავრაციის დროს გაუკეთდა. ფასადებზე ზოგან შერეული წყობაა. გვიანი შუასაუკუნეების ნაგებობების მსგავსად ტაძარი გარედან ძუნწადაა მორთული. მთავარი აქცენტი აქ წახნაგოვან გუმბათზეა (სურ. 3.144.3) გადატანილი, რომლის წიბოებიც ლილვებითაა დამუშავებული. გუმბათის ყელის სარკმლები კედლის სიბრტყეში ჩაძირული და ამობურცული ლილვოვანი თაღებითაა მოჩარჩოებული. ქვაში ნაკვეთი რელიეფური ფიგურებითაა შემკული გუმბათის ყელის ჩრდილო და აღმოსავლეთი წახნაგები.



სურ. 3.144.3. გუმბათის ყელი

საბჭოთა პერიოდში ეკლესიაში ბიჭუტერიის საამქრო იყო. 1994 წლიდან ზემო ბეთლემი მაცხოვრის შობის სახელობის მოქმედი ქართული მართლმადიდებლური ტაძარია. 2001 წელს ეკლესიის დასავლეთით სატრაპეზო აშენდა.

ტაძრის აღმოსავლეთი ფასადიდან რამდენიმე მეტრის დაშორებით, ზედა ტერასის კლდეზე დგას XVII საუკუნის სამრეკლო. ნაგებობა ორსართულიანია, ფანჩატურით დაგვირგვინებული. პირველი ორი სართული აგურისაა შეისრული ფორმის თაღებით. ახლად დაშენებული ფანჩატური კი ქვისგანაა აგებული. სამრეკლოს თავისი დროის დამახასიათებელი მორთულობა აქვს – აგურის წყობით გამოყვანილი ჯვარი და რომბები.

3.145. ქვემო ბეთლემი (ინგლ. Kvemo Bethlemi) – თბილისის ქვემო ბეთლემის მაცხოვრის შობის ეკლესია, რომელიც 1725-1727 წწ. ირანიდან გადმოსახლებულმა სომხებმა ააშენეს, უწოდეს წმ. სტეფანეს სახელი (სომხ. სურბ-სტეფანოზი) და დედათა მონასტერი დააარსეს. მის ნაცვლად 1868 წელს გუმბათიანი ეკლესია აიგო, რომელიც 1910 წელს განაახლეს (სურ. 3.145.1). 1988 წლიდან ტაძარი საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას ეკუთვნის.

„ჩაწერილი ჯვრის“ ტიპის აგურით ნაშენი და ქვით მოპირკეთებული ეკლესია აგურის სუბსტრუქციაზეა აღმართული. გუმბათი ოთხ თავისუფლად მდგომ სვეტს ეყრდნობა. აფსიდი ნახევარწრიულადაა შვერილი. ფასადი დეკორატიული თაღებითა და მაღალი, მართკუთხა შეღრმავებებითაა დანაწევრებული. გუმბათის სარკმლები აგურით გამოყვანილ ლილვოვან თაღებშია ჩაწერილი. მათ ზემოთ კედლის სიბრტყეში მართკუთხა ჩაღრმავებები და

ასევე აგურის წყობით გამოყვანილი წრეები გუმბათს სარტყელივით შემოუყვება. კლდის ბაქანზე აღმართული ნაგებობა სამი მხრიდან მოქცეულია კიბე-ქუჩას, საცხოვრებელ სახლსა და ზედა ტერასის კედელს შორის (საცხოვრებელი სახლი დასავლეთი მხრიდან ზედ ეკვრის ეკლესიას). ქალაქის მხარეს ტაძარი ჩრდილოეთი ფასადით გამოდის. ამ მხარესაა მოქცეული ტაძრის მთავარი შესასვლელი ქვის ფართო, ორმარშიანი კიბით. თაღოვანი კარის ლუნეტში მაცხოვრის ფერწერული გამოსახულებაა (სურ. 3.145.2). ინტერიერის მოხატულობა 1991–1997 წლებში მხატვრების დ. ხიდაშელისა და მ. ჩაკვეტაძის მიერაა შესრულებული.



სურ. 3.145.1. საერთო ხედი



სურ. 3.145.2. შესასვლელი კარის ლუნეტი

3.146. შავნაბადა – წმინდა გიორგის სახელობის შუა საუკუნეების მართლმადიდებლური სამონასტრო კომპლექსი (მამათა მონასტერი) ქვემო ქართლის მხარეში, გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფელ თელეთის სიახლოვეს. მონასტრის ძირითად ნაგებობას წარმოადგენს დარბაზული ტიპის, თლილი ქვებით ნაგები, წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი, რომელიც დგას შავნაბადას მთის წვერზე და ამაყად გადაჰყურებს თბილისიდან სამცხე-ჯავახეთის მიმართულებით გაწოლილ ხეობას (სურ. 3.146.1; სურ. 3.146.2).



სურ. 3.146.1. პანორამული ხედი



სურ. 3.146.2. საერთო ხედი

გადმოცემის თანახმად, შავნაბადას მონასტრის დაარსება დიდ სასწაულთანაა დაკავშირებული. 1795 წელს ირანის გამგებელი აღა-მაჰმად-ხანი ურიცხვი ლაშქრით შემოესია ქართლ-კახეთს. ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II მცირერიცხოვან ქართველთა ლაშქართან ერთად თავგამოდებით იბრძოდა მტრის წინააღმდეგ, მაგრამ სპარსელების მრავალრიცხოვნებით ძლეულმა ქართველებმა ქალაქი თბილისი დათმეს და მთებს შეაფარეს თავი. აღმო-

სავლეთის ქვეყნებში სიმდიდრით ცნობილი ქალაქი თბილისი და მისი შემოგარენი მტერს საალაფოდ დარჩა. სპარსელთა მოთარეშე არმია ბანაკში გვიან ღამით ბრუნდებოდა, ბანაკი კი მტკვრის მიმართულებით მარჯვენა მხარეს, სოღანლუღის მიდამოებში, მაღლა მთაზე მდებარეობდა. ნაძარცვით დაბრუნებულ ჯარს ყოველ ღამეს უჩვეულო განსაცდელი ატყდებოდა თავს: შუაღამისას მოსასვენებლად დაბინავებულ სპარსელთა ბანაკში ყიჟინით შემოიჭრებოდა შავნაბდიანი ცხენოსანი მხედარი, ბანაკს აყრიდა, მრავალს დახოცავდა, შიშით შეძრწუნებულებს მოულოდნელად დატოვებდა და გაუჩინარდებოდა. ასე მეორდებოდა თითქმის ყოველ დღე. სპარსელებმა გადაწყვიტეს, ჩასაფრებოდნენ ღამის მხედარს და გასწორებოდნენ, მაგრამ შავნაბდიანი მხედრის შეპყრობა ან მოკვლა შეუძლებელი აღმოჩნდა. შეშინებულმა აღა-მაჰმად-ხანმა ჯარი სასწრაფოდ აყარა და საქართველო დატოვა. საქართველოდან წასვლისას კი პირობა დადო, მომავალ წელს კვლავ შემოვესევი და ქვას ქვაზე არ დავტოვებო. ქართველებმა იმ მთას, სადაც შავნაბდიანი მხედარი მტერს მიეჭრებოდა და არბევდა, შავნაბადას მთა უწოდა, ხოლო მთის წვერზე, ქართველთა შემწის, ზეციური მხედრის, წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია ააგო (სურ. 3.146.3, სურ. 3.146.4). ზეციური მინიშნებით ეს მხედარი სწორედ დიდმოწამე გიორგი იყო, რომელსაც ჩვენი ქვეყანა არაერთხელ უხსნია დამპყრობელთა მძლავრობისაგან. ერთი წლის შემდეგ აღა-მაჰმად-ხანი მართლაც გამოეშურა საქართველოს დასაპყრობად, მაგრამ გზაში, კარავში, მახვილით განგმირული იპოვეს. მას შემდეგ ქართველები დღესაც გულმხურვალედ ავედრებენ უფალს მრავალ განსაცდელგამოვლილ ჩვენს ქვეყანას.



სურ. 3.146.4. წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია



სურ. 3.146.3. წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია

XIX საუკუნე

3.147. თბილისის ღვთისმშობლის ამაღლების კათოლიკური ეკლესია (ინგლ. Cathedral of the Assumption of the Virgin) – საქართველოში კათოლიკური ეკლესიის ცენტრალური საკათედრო ტაძარი, თბილისის მარიამ ღვთისმშობლის ზეცად აღყვანების კათოლიკური კათედრალური (სამეუფეო) ტაძარი (სურ. 3.147.1). კალაუბანში, გ. აბესაძის, ყოფილ კაპუცინთა ქუჩაზე. საქართველოში კათოლიკეთა მისია XIII საუკუნიდან არსებობს. 1329 წლიდან კი საეპისკოპოსო ტაძარი ქალაქ სმირნიდან თბილისში გადმოიტანეს, რაც საქართველოს საერთაშორისო აღიარებას ნიშნავდა. 1671 წელს დღევანდელი ტაძრის მოპირდაპირე მხარეს იდგა კაპუცინი პატრების მისიის აგებული „ხარების“ ეკლესია, ე.წ. „ლათინთა საყდარი“. კათოლიკური ტაძარი 1795 წელს აღა-მაჰმად-ხანის მიერ თბილისის აოხრების დროს დაინგრა. ქართველ კათოლიკეთა სახსრებითა და ავსტრიის იმპერატორის ფულადი შემოწირულობით 1804 წელს თბილისში აიგო ახალი „ღვთისმშობლის მიძინების“ ტაძარი.

საბჭოთა რეპრესიების პერიოდში 1937 წელს ეკლესია გაუქმდა. მას ერთი პერიოდი სპორტულ დარბაზადაც იყენებდნენ. 1990-იან წლებში ტაძარი კვლავ კათოლიკე მრევლს დაუბრუნდა. ამოქმედდა 1999 წლის 15 აგვისტოს, რომის პაპის იოანე II-ის საქართველოში ვიზიტის დროს. ის საზეიმოდ აკურთხა პაპის პირადმა წარმოგზავნილმა არქიეპისკოპოსმა. ეკლესიას ოფიციალურად ეწოდა „წმინდა მარიამ ღვთისმშობლის ამაღლების კათოლიკური ტაძარი“. ნაგებობა რესტავრირებულია ფსევდოგოთური და ბაროკული ელემენტებით. აფსიდში ანგელოზებით გარემოცული ზეცად ამაღლებული ღვთისმშობელი და წმინდანები არიან გამოსახულნი. ინტერიერი წმინდანთა ქანდაკებებითა და ვიტრაჟებითაა გაფორმებული (სურ. 3.147.2 – სურ. 3.147.4). ეკლესიას აქვს ორღანი. ამჟამად ტაძარში წირვა მხოლოდ ქართულ ენაზე აღევლინება რომაული კონდაკით.



სურ. 3.147.1. საერთო ხედი



სურ. 3.147.2. დასავლეთის ფასადის მორთულობა




სურ. 3.147.3. დასავლეთის ფასადის მორთულობა



სურ. 3.147.4. ღვთისმშობლის ქანდაკება

3.148. გორის საკათედრო ტაძარი (ინგლ. Gori Cathedral Temple) – ქართული ხუროთმოძღვრების მნიშვნელოვანი ძეგლი, გორის ღვთისმშობლის შობის სახელობის საკათედრო ტაძარი (სურ. 3.148.1). მდებარეობს შიდა ქართლის მხარეში, გორის მუნიციპალიტეტში, ქ. გორში (სურ. 3.148.2).

აგებულია 1806-1810 წლებში, როგორც კათოლიკური ეკლესია. 1920 წ. ძლიერ დააზიანა მიწისძვრამ. იგი ჯვარგუმბათოვანი ტიპის ტაძარია ზომით 24,0×15,6 მ, სიმაღლე 25 მ. ნაგებია აგურით. აქვს მაღალი, განიერი და მართკუთხა პორტიკი დასავლეთის მხრიდან. შენობის გეგმა (სურ. 3.148.3) ჩაწერილი ჯვარია, რომლის მკლავები აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენაა წაგრძელებული. დასავლეთის მკლავს დამატებით ერთი წყვილი ბურჯი იჭერს. ტა-




სურ. 3.148.1. საერთო ხედი

ძარს აღმოსავლეთით სამი ნახევარწრიული შვერილი აქვს.



სურ. 3.148.2. ადგილმდებარეობის რუკა



სურ. 3. 148.3. გეგმა

აღმოსავლეთი მკლავი სრულდება ღრმა ნახევარწრიული კონქიანი აფსიდით, რომელშიც განთავსებულია საკურთხეველი, დანარჩენი მკლავები მართკუთხაა. მკლავების გადაკვეთის ადგილას, დასავლეთით თავისუფლად მდგარ ორ სვეტზე და აფსიდის კუთხის პილასტრებიან შვერილებზე ორსაფეხურიანი ნახევარწრიული თაღებით დამყარებულია გუმბათი. გუმბათქვეშა კვადრატიდან წრეზე გადასვლა აფრების მეშვეობითაა გადაწყვეტილი. აფსიდის მარცხნივ და მარჯვნივ მოთავსებულია მართკუთხა ფორმის სამკვეთლო და სადიაკვნე, რომლებიც ბემაში გაჭრილი თითო გასასვლელით უკავშირდებიან აფსიდს, ხოლო დასავლეთით გაჭრილი თითო კარით – შენობის დანარჩენ სივრცეს. სამკვეთლოსა და სადიაკვნის თავზე თითო ნახევარწრიული თაღით გახსნილი ღია პატრონიკეა. ისინი ერთმანეთთან სადიაკვნეში გაკეთებული კიბით და კონქის თავზე მოწყობილი გადასასვლელის საშუალებით არიან დაკავშირებული. ღია პატრონიკე აქვს დასავლეთ მკლავსაც მთელ სიგრძეზე. მეორე იარუსზე ასასვლელი კიბე ტაძრის დასავლეთი კარის ორივე მხარეს კედელშია გაკეთებული.

შესასვლელის თავზე, აგრეთვე სამკვეთლოსა და სადიაკვნეს აღმოსავლეთით, პატრონიკეების ჩრდილოეთითა და სამხრეთით გაჭრილია სარკმლები. ყველა სარკმელი გარეთ ვიწროვდება. გარედან ტაძრის ჯვრის მკლავებს ორფერდა, ხოლო დასავლეთი მკლავის გასწვრივ არსებულ სათავსებს შედარებით დაბალი ცალფერდა გადახურვა აქვთ. კონუსისებრია აფსიდის, სადიაკვნესა და სამკვეთლოს სახურავები. აფსიდის გვერდით, პატრონიკეების გადახურვებზე რვაწახნაგა სამრეკლოებია აგებული, რომელთაგან თითოეულს ოთხ-ოთხი თაღი აქვს. სამრეკლოები დასრულებულია ნახევარსფერული გუმბათებით. 2000–იან წლებში ეზოში აშენდა ახალი, სამსართულიანი სამრეკლო და გალავანი.



სურ. 3.148.4. გუმბათის ყელი

გუმბათის ყელი (სურ. 3.148.4) მდიდრულადაა მორთული 12 მოჩარჩოებული თაღოვანი სარკმლით. არეები სარკმლებსა და დეკორატიულ თაღებს შორის შევსებულია რელიეფური წრეებით. დეკორატიული თაღების თავზე სიბრტყეთა მონაცვლეობით შექმნილია ფრიზის ზოლი. ფრიზსა და ლავგარდანს შორის ადგილი წრიული ვარდულებით არის შემკული. გუმბათის ყელს აგვირგვინებს კბილანებიანი რთულპროფილიანი ლავგარდანი. ასეთივე რთულპროფილიანი ლავგარდნითაა დასრულებული ეკლესიის ყველა ფასადი.

ტაძარი გადახურულია მოთუთიებული თუნუქით. ინტერიერი მოხატულია მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში.

ტაძრის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხესთან ეზოში დგას ორსაფეხურიან ცოკოლზე შესმული მრგვალსვეტებიანი ფანჩატური. გორის საკათედრო ტაძრის სამსართულიანი სამრეკლო 2000-იან წლებშია აგებული.

3.149. მამადავითი [ინგლ. St. David's Church (Mamadaviti)] – მთაწმინდის შუაწელზე აღმართული მამადავითის (დავით გარეჯელის) სახელობის გუმბათოვანი ტაძარი თბილისში (სურ. 3.149.1; სურ. 3.149.2). ნაგებობა მაღალი არქიტექტურული ღირებულებით არ გამოირჩევა, მაგრამ როგორც ყველა ქართული ტაძარი ის შესანიშნავადაა მორგებული გარემოსა და წა-



სურ. 3.149.1. პანორამული ხედი




სურ. 3.149.2. საერთო ხედი

რუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს მნახველზე. აგებულია 1859-1871 წლებში (1879 წელს დამთავრდა გუმბათიანად). ტაძრის სიმაღლეა 25,7 მ, სიგრძე – 17,2 მ, სიგანე – 10,7 მ. შენობაში თავისუფლად ეტევა 400 კაცი. ის გამონაკლისია, ერთგვარი გადახვევაა XIX საუკუნეში თბილისში ოფიციალურად მიღებული ე.წ. „რუსულ-ბიზანტიური“ ან „სუფთა“ რუსული მართლმადიდებლური არქიტექტურიდან (მეორე გამონაკლისი სამების ეკლესიაა ახლანდელი ეროვნული ბიბლიოთეკის უკან). აქ ჩანს გარკვეული მცდელობა ქართული ეროვნული საეკლესიო ხუროთმოძღვრების ფორმებთან მიახლოებისა.

აგურით ნაშენი ტაძარი გარედან ტრადიციული შვერილ აფსიდიანი ჯვარგუმბათოვანი ნაგებობის აგებულებას იმეორებს, მაგრამ ინტერიერში მას განივი მკლავები არ აქვს, სივრცე ერთიანი და დაუნაწევრებელია. დასავლეთის მკლავში ხის პატრონიკეა განთავსებული. შესასვლელი ორი მხრიდან აქვს: დასავლეთიდან და სამხრეთიდან. მართალია შენობა არ გამოირჩევა უნიკალური არქიტექტურით, მაგრამ გუმბათს, ყელს (სურ. 3.149.3), პირამიდულ სახურავსა და გვერდითი ფასადის ფრონტონიან ნაწილებს ქართული ხუროთმოძღვრების იერი დაჰკრავს. ფასადების დამუშავება, პროფილები და მორთულობაც შორს დგას ქართული ტრადიციებისგან. ისინი სადაა, მხოლოდ სამხრეთისა და ჩრდილოეთის მკლა-



სურ. 3.149.3. გუმბათის ყელი



სურ. 3.149.4. სამლოცველო-სამრეკლო

ვების ზედა ნაწილებს გასდევს დეკორატიული თაღედი, რომლის თავზეც ჯვრებია გამოსახული. აფსიდის მრგვალი სარკმლის ქვეშ წითელი ფერის ქვით ჯვარია გამოყვანილი. ნახევარწრიულად შვერილი აფსიდი მთელი კორპუსის სიგანეს იკავებს და შორიდანვე იქცევს ყურადღებას. ტაძარი 1889 წელსაა მოხატული. მხატვრობის უმეტეს ნაწილს ქართველ წმინდანთა ფიგურები შეადგენს. საკურთხეველში წმ. სამების გამოსახულებაა. ეკლესიის სამხრეთით მდგომი სამიარუსიანი სამლოცველო (სურ. 3.149.4) ასევე აგურითაა ნაშენი, მესამე იარუსი – სამრეკლო კი ქვისაა და თაღებითაა გახსნილი. ყოველ წელიწადს, წმინდა დავით გარეჯელის გარდაცვალების დღეს, ამაღლების მომდევნო ხუთშაბათს, თბილისში მამადავითობა აღინიშნებოდა. ეს ტრადიცია დღემდეა შემორჩენილი და დღესასწაული ყოველ წელიწადს იმართება.

1929 წლიდან მოყოლებული მამადავითის ეკლესიის ირგვლივ არსებული ტერასა ოფიციალურად გამოცხადდა მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონად.

3.150. თბილისის რუსული ეკლესია (წმინდა ალექსანდრე ნეველის სახელობის რუსული ეკლესია) (რუს. Церковь Святого Александра Невского; ინგლ. Alexander Nevsky Russian Orthodox Church) – არაქართული მართლმადიდებლური ეკლესია, მდებარეობს თბილისში ჯავახიშვილის ქუჩაზე (სურ. 3.150.1). ტაძარი აშენდა 1864 წელს მორწმუნეთა პირადი შენაწირებით, აგრეთვე, რუსეთის წმინდა სინოდის მიერ გამოყოფილი თანხის მეშვეობით. მშენებლობისათვის გამოყენებული იყო ჩვეულებრივი ქართული აგური. 1886 წელს ჩრდილოეთის, დასავლეთისა და აღმოსავლეთის მხრით მინაშენებმა ტაძარი მოცულობაში ორჯერ გაზარდა; აღიმართა ერთიარუსიანი სამრეკლო კარიბჭით და ქვის კიბით, ხოლო 1913 წელს აშენდა თეოდორესეული ღვთისმშობლის ხატის სამლოცველო (სურ. 3.150.2), რომელიც მიეძღვნა რომანოვების დინასტიის 300 წლისთავს. ეკლესიაში ორი ტრაპეზია: წმინდა ალექსანდრე ნეველის სახელობისა და წმინდა ნიკოლოზ საკვირველთმოქმედის სახელობისა. ეს მეორე ტრაპეზი 1900 წელს დაარსდა საკურთხევლის მარჯვნივ მდებარე ეკვდერში – რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ II მირონცხების პატივსაცემად.



სურ. 3.150.1. საერთო ხედი



სურ. 3.150.2. სამლოცველო

ტაძარში დაბრძანებულია სმოლენსკის ღვთისმშობლის, წმ. ალექსანდრე ნეველის, თეოდორესეული ღვთისმშობლის, წმ. დიდმოწამე პანტელეიმონის, ღვთისმშობლის საფარველის და სხვათა ხატები. განსაკუთრებით აღსანიშნავია ტაძარში განთავსებული ორი ლუსკუმა (მიცვალებულის ჩასასვენებელი ქვის ყუთი), რომლებშიც ინახება წმ. მარიამ მაგდალინელის, წმ. ნინოს, წმ. ნიკოლოზის, წმ. შიო მღვიმელის და სხვა დიდ წმინდანთა ნაწილები. წმინდა ალექსანდრე ნეველის სახელობის ეკლესიაში ეკურთხა ბერად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II.

3.151. შენაქოს ეკლესია – XIX საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, შენაქოს წმინდა გიორგის ეკლესია (სურ. 3.151.1). მდებარეობს კახეთის მხარეში, ახმეტის მუნიციპალიტეტში, ჩაღმის ხეობის სოფ. შენაქოში, ქვემო ომალოდან 8 კმ-ის მოშორებით, თუშეთის პირიქითა ქედის სამხრეთ კალთაზე, ზღვის დონიდან 2080 მ-ზე.


სურ. 3.151.1. საერთო ხედი

ტაძარი თავისუფალი ჯვრის ტიპის გუმბათოვანი ნაგებობაა შიდა ზომებით 7,4x5,1 მ. ნაშენია ფიქლითა და კირის დუღაბით. ჯვრის მკლავების გადაკვეთაზე აღმართულია ფიცრის ბრტყელი ჭერით გადახურული, შიგნით წრიული და გარედან რვაწახნაგოვანი ყელი. გუმბათქვეშა კვადრატიდან გუმბათის ყელის წრიულ მოხაზულობაზე გადასვლა განხორციელებულია გუმბათქვეშა კვადრატის კუთხეებში გამოყვანილი აფრებით. გუმბათის ყელში რვა ვიწრო და თაღოვანი სარკმელია. გარედან გუმბათის ყელი რვაწახნაგაა, გადახურულია თუნუქის პირამიდული სახურავით. დასავლეთ მკლავის წინ ნახევარსფერული გუმბათით გადახურული კარიბჭეა, რომლის დასავლეთ კედელზე მიშენებული ყოფილა გეგმით კვადრატული სამრეკლო (შემორჩენილია მისი საფუძველი). სამხრეთ და ჩრდილოეთ მკლავებს თითქმის მთელ სიგრძეზე მინაშენები ეკვრის. აბსიდის ჩრდილოეთ კიდეში თაღოვანი ნიშია. კუბური ფორმის ტრაპეზი საკურთხეველშია განთავსებული.

3.152. ულუმბოს მონასტერი – XIX საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, სამონასტრო კომპლექსი. მდებარეობს შიდა ქართლში, ხაშურის მუნიციპალიტეტში, მდინარე ჭერათხევის მარჯვენა შენაკადის ალისწყლის ხეობაში, სოფელ ალის მახლობლად.



სურ. 3.152.1. ღვთისმშობლის ეკლესია


სურ. 3.152.2. სამხრეთის კარი პორტალი

გამოჩენილი გეოგრაფის, ისტორიკოსისა და კარტოგრაფის ვახუშტი ბაგრატიონის (1696-1757 წწ.) ცნობით, მონასტერი VI საუკუნის შუაწლებში დაუარსებია საქართველოში მოსული 13 ასურიელი მამათაგან ერთ-ერთს მიქაელ ულუმბოელს (დაკრძალულია იქვე). როგორც წერილობითი წყაროებიდან ირკვევა (ამირეჯიბთა სიგელი), XIII საუკუნეში აქ უკვე დიდი ტაძარი მდგარა. XIV-XV საუკუნეებში მონასტერი საქართველოს მნიშვნელოვან კულტურულ კერას წარმოადგენდა. შუააზიელი ემირის თემურ-ლენგის ლაშქრობის შედეგად დანგრეული ტაძარი 1400-1415 წლებში ალის ხეობის მფლობელს ქუცნა ამირეჯიბს ხელახლა აუშენებია.

ამჟამად მის ადგილზე ღთისმშობლის დარბაზული ეკლესია დგას (სურ. 3.152.1), რომელიც, როგორც სამხრეთის შესასვლელის (კარის) თავზე მოთავსებულ მხედრულ წარწერაშია ნათქვამი, 1871 წელს სანახევროდ დანგრეული ძველი ეკლესიის (სავარაუდოდ სიგრძით 24 მ) აღმოსავლეთ მონაკვეთის კედლებზე დაუშენებიათ. ახლანდელი ეკლესია (16,0x9,3 მ) ძველზე უფრო პატარაა. ნაგებია ნატეხი ქვითა და ქვიშაქვის კვადრებით. აქვს ორი მოქმედი კარი – სამხრეთისა (სურ. 3.152.2) და დასავლეთის, რომელთაგან სამხრეთის კარი ძველ ეკლესიას ეკუთვნის. განირჩევა 2 სამშენებლო ფენა. ტაძრის კედლებში ჩართულია სანახევროდ მიწით დაფარული ძველი ეკლესიის ფრაგმენტები, რომელთა მიხედვით დადგენილია, რომ ძეგლს ჩუქურთმები და მოხატულობა ამკობდა (სავარაუდოდ XI საუკუნის). შიდა სივრცის გადახურვა თაღოვან-კამაროვანია. ეკლესიას 6 სარკმელი აქვს: ორ-ორი სამხრეთ და ჩრდილოეთ კედლებში და თითო-თითო დასავლეთით და აღმოსავლეთით (ანათებს აფსიდიან საკურთხეველს). მხატვრობის საყურადღებო მცირე ფრაგმენტები შეიმჩნევა ჩრდილოეთის კედელზე.

3.153. დიდუბის ეკლესია (ინგლ. Didube Church) – ხუროთმოძღვრების ძეგლი, დიდუბის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძარი (ინგლ. The Didube Temple of the Virgin Mary's Birth). მდებარეობს თბილისში, დიდუბეში, წერეთლის გამზირზე.



სურ. 3.153.1. საერთო ხედი

ფსევდო-რუსული (ე.წ. ნეო-რუსული) სტილის გუმბათოვანი მართლმადიდებლური ტაძარი (სურ. 3.153.1) აგებულია XIX საუკუნის ბოლოს სავარაუდოდ იმ ადგილას, სადაც მდებარეობდა თამარ მეფის სახელთან დაკავშირებული ეკლესია. გადმოცემის თანახმად მეფე თამარის დედა დედოფალი ბურდუხანი ავად გამხდარა. მეფე გიორგი III (1156-1184 წწ.) აღთქმა მიუცია ღმერთისათვის თუ დედოფალი მშვიდობით მორჩებოდა, დიდუბეში ეკლესია და სასახლე აეშენებინა, რაც შეასრულა კიდეც (მანამდე ამ ადგილას VI საუკუნის მცირე ეკლესია მდგარა). პოეტის, იოსებ დავითაშვილის ინფორმაციით (XIX ს.) ძველი ეკლესია გეგმით მართკუთხა იყო, სავარაუდოდ, პატარა დარბაზული, ერთი დაბალი შესასვლელით და ორი სარკმლით). ისტორიული წყაროების მიხედვით, თამარ მეფემ სწორედ დიდუბის ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძარში დაიწერა ჯვარი დავით სოსლანზე 1189 წელს. 1760 წელს ეკლესია ლეკების შემოსევის დროს დაზიანდა, თუმცა მალევე შეაკეთეს. 1795 წელს ის დაანგრია ირანის მმართველის აღა-მაჰმად-ხანის ლაშქარმა და ამ სახით მოაღწია XIX საუკუნემდე.



სურ. 3.153.2. გუმბათის ყელი

ახალი ტაძრის მშენებლობა დაწყებულა 1872 წელს დეკანოზ ბესარიონ ზედგინიძისა და მღვდელ პეტრე იმნაძის თაოსნობითა და მეცენატ გიორგი ქართველიშვილის შემწეობით. მშენებლობა დამთავრდა 1889 წელს, როდესაც ტაძარს დაედგა ქვის გუმბათი (სურ. 3.153.2). მშენებლობის დაწყებამდე რუსმა ეგზარქოსმა, რომლის ინტერესებში არ შედიოდა ქართული საეკლესიო არქიტექტურის ტრადიციების გაგრძელება და სურდა დიდუბის ეკლესიის რუსიფიკაციის საშუალებად გადაქცევა, დეკანოზ ბესარიონს შესთავაზა ხუთგუმბათიანი ტაძრის პროექტი (ავტორი არქიტექტორი ა. ჩიჭოვი). დეკანოზმა ბესარიონმა დიდი ბრძოლის შემდეგ მოახერხა ზედმეტი გუმბათები პროექტიდან ამოეღოთ და

ცალკეული ქართული დეტალებიც შეეტანათ მათში. შესაბამისად, ტაძრის არქიტექტურაში ჭარბობს რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის არქიტექტურული იერსახის გავლენა. ინტერიერის ფრესკები 1979-1991 წლებში განაახლა მხატვარმა ალექსანდრე ბანძელაძემ.

ტაძარში დაბრძანებული ხატებიდან გამოსაყოფია კანკელის მაცხოვრის ხატი, წმინდა გიორგის, წმინდა ნიკოლოზის, წმინდა ნინოს, წმინდა ილია მართლის, წმინდა თამარ მეფის (დაწერილია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის მიერ) ხატები. ტაძრის უდიდესი სიწმინდეა ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედი ხატი (სურ. 3.153.3). ხატი შემოსილია მოოქროვილი პერანგით. ეს ხატი თვით თამარ მეფეს შეუწირავს დიდუბის ეკლესიისათვის.

დიდუბის ეკლესიის მიმდებარედ განთავსებულია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონი.



სურ. 3.153.3. დიდუბის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედი ხატი

3.154. ბათუმის საკათედრო ტაძარი (ინგლ. Batumi Cathedral) – ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ძეგლი, ბათუმის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შობის საკათედრო ტაძარი (სურ. 3.154.1). მდებარეობს ქ. ბათუმის ცენტრალურ ნაწილში. ტაძარი შენდებოდა 1898-1903 წლებში მოქალაქეთა შემოწირულობების ხარჯზე. ეკლესიის ასაგები ძირითადი თანხა XIX საუკუნის ცნობილმა ქართველმა მეცენატმა და მეწარმემ სტეფანე ზუბალაშვილმა გაიღო, რომელმაც ტაძარი დედის ხსოვნას მიუძღვნა. ტაძარი, თავიდან კათოლიკური ეკლესია იყო. აგებულია გვიანი გოტიკის სტილში (სურ. 3.154.2).



სურ. 3.154.1. საერთო ხედი. დასავლეთის ფასადი

მაღალ ცოკოლზე დგას დასავლეთ-აღმოსავლეთით წაგრძელებული ღერძის მქონე სამნავიანი ბაზილიკა, რომელიც აღმოსავლთით ხუთწახნაგა შვერილი აფსიდით სრულდება. დასავლეთი ფასადი გოტური არქიტექტურისთვის დამახასიათებელი ორი მაღალი, შპილებიანი კოშკითაა ფლანკირებული. ტაძარში მოსახვედრად რამდენიმე საფეხურიანი კიბის ავლაა საჭირო. შესასვლელი დასავლეთიდან აქვს. ფასადის ცენტრში განთავსებულია მდიდრულად გაფორმებული მთავარი შესასვლელი, ხოლო მის მარჯვნივ და მარცხნივ, ჩრდილო-დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში თითო-თითო კარი. გვერდით შესასვლელებს ორი ორ-ორმაშიანი კიბე აქვს მიდგმული. კიდევ ერთი, მღვდელმსახურთათვის განკუთვნილი შესასვლელია გაჭრილი საკურთხევლის აფსიდის სამხრეთ კუთხეში. დასავლეთ ფასადზე, შესასვლელის თავზე, მის ორივე მხარეს საგანგებოდ გაკეთებულ მაღალ ნიშებში წმ. ანდრია პირველწოდებულის და წმ. ნინოს ქვაში გამოქანდაკებული ფიგურებია განთავსებული შესაბამისი წარწერებით. ამავე ფასადს ამკობს სამშენებლო წარწერა ქართულ და ფრანგულ ენებზე, სადაც ტაძრის აღმშენებელი სტეფანე ზუბალაშვილია მოხსენიებული. ეკლესიის ვრცელი შიგა სივრცე ოთხი წყვილი სვეტით სამ ნავად იყოფა. აფსიდის ორივე მხარეს მართკუთხა მოხაზულობის პასტოფორიებია. სამი გოტური გუმბათიდან – ორი აღმოსავლეთით, ხოლო ერთი ნაგებობის ცენტრშია განთავსებული. დასავლეთით, მეორე იარუსის დონეზე საკმაოდ ვრცელი თლილი ქვის აივანია მოწყობილი (ადრე აქ იდგა საეკლესიო ორღანი). აივნის ქვეშ, სვეტებში მარმარილოს ორი ემბაზია. ინტერიერში უხვადაა გამოყენებული შავი და თეთრი მარმარილო. მარმარილოს მოზაიკა ამშვენებს ტაძრის იატაკსაც. ეკლესია დიდი ოსტატობითაა აგებული.

გამოყენებულია კარგად გათლილი ქუთაისის მოწითალო და ქვითელი ფერის ქვა. ეკლესიას ჰქონდა სტეფანე ზუბალაშვილის მიერ შეწირული ორი ზარი.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ბათუმის კათოლიკური ეკლესია სხვადასხვა მიზნებისთვის გამოიყენებოდა. ამ პერიოდში დაიკარგა ეკლესიის უნიკალური ორღანი. 1980 წელს ტაძარი საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას გადაეცა.

ბათუმის ღვთისმშობლის შობის საკათედრო ტაძარი თავისი ვიტრაჟული გოტიკური სარკმლებით, ინტერიერის სკულპტურული და ფერწერული კომპოზიციებით არა მარტო ბათუმის, არამედ მთელი საქართველოს ერთ-ერთ ულამაზეს ღირსშესანიშნაობას წარმოადგენს. 2011 წელს ნაგებობას კულტურის ძეგლის სტატუსი მიენიჭა.



სურ. 3.154.2. საერთო ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან

XX საუკუნე

3.155. ქაშვეთის ეკლესია (ინგლ. Kashveti Church) – ქართული ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ძეგლი, ქაშვეთის (ქვაშვეთის) წმიდა გიორგის სახელობის ტაძარი (სურ. 3.155.1). მდებარეობს ქ. თბილისის ცენტრში, რუსთაველის გამზირზე. აგებულია XX საუკუნის დასაწყისში. მის ადგილზე, 1904 წლამდე, სრულიად განსხვავებული იერის მქონე ნაგებობა იდგა, რომელიც 1753 წელს, გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწის გივი ამილახვრის მიერ იყო აშენებული და ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიაში საეკლესიო ნაგებობებს შორის ცნობილ ერთ-ერთ ტიპს – ე.წ. „სუფთა“ ტეტრაკონქს (ოთხაფსიდიანს) წარმოადგენდა (სურ. 3.155.2). გადმოცემის თანახმად, ამ ადგილას ეკლესია VI საუკუნის მეორე ნახევრში მდგარა, რომლის მშენებლობა მამა დავით გარეჯელის მოღვაწეობას უკავშირდება. ამ ნაგებობას ჩვენამდე არ მოუღწევია და არც მისი აღწერაა ცნობილი.

ახალი ქაშვეთის ეკლესია 1904-1910 წლებშია აშენებული. თავისი გეგმითა (სურ. 3.155.3) და დეკორით ის 1030 წელს აგებული სამთავისის მინაბაძს წარმოადგენს. ქაშვეთმა გამორჩეული ადგილი დაიკავა თბილისის არქიტექტურაში არა თავისი განსაკუთრებული, ახალი მხატვრულ-არქიტექტურული ფორმების შექმნის მცდელობით (შეიძლება ითქვას, რომ ქაშვეთის ახალი ეკლესიის მშენებლებმა ძველი ფორმა მის შესაბამის, ძველადვე შემუშავებულ „შინაარსს“ მოარგეს), არამედ იმით, რომ პირველად XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში, რუსეთიდან შემოტანილი უცხო არქიტექტურული სტილების გარემოში თბილისში შეიქმნა ქართული ეროვნული ფორმის საკულტო ნაგებობა, რომელსაც ამავე დროს გარკვეული მხატვრული ღირებულებებიც გააჩნია.



სურ. 3.155.1. საერთო ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან

ახალი ქაშვეთის ტაძრის მშენებლობას საინტერესო ისტორია აქვს. ამის შესახებ ცნობებს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე ცინცაძე გვაწვდის, რომელიც ამ მოვლენების უშუალო მონაწილე იყო. მისი უწმინდესობა თავის წიგნში – „ქვაშვეთის წმიდის გიორგის ეკლესია ტფილისში“, ქაშვეთის რიგით მესამე ეკლესიის მშენებლობის ამბავს იწყებს 1897 წლიდან, როდესაც ტაძარი ახალმა წინამძღვარმა,


დეკანოზმა მამა მარკოზ ტყემალაძემ ჩაიბარა. მამა მარკოზის დიდი მცდელობის შედეგად, მაშინდელმა ეგზარქოსმა ქაშვეთის საკრებულოს ნება დართო, რომ ძველის ადგილზე ქართული ტრადიციული ფორმის ახალი ეკლესია აეგოთ. XIX-XX საუკუნეთა მიჯნის თბილისის ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო არქიტექტორს, ლეოპოლდ პეტრეს ძე ბილფელდს (1883-1917 წწ. საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის არქიტექტორი) მიეცა საპროექტო დავალება, შეესწავლა ამილახვრების საგვარეულო მამულში მდებარე სამთავისის საყდარი და შეედგინა მისი მსგავსი ეკლესიის პროექტი. ლ. ბილფელდმა შექმნა ახალი ქაშვეთის გეგმა, შეადგინა ხარჯთაღრიცხვა, ააგო ტაძარი და ამით თავისი სახელი ქართული ეროვნული ხუროთმოძღვრული ფორმების აღორძინების ცდებს დაუკავშირა.



სურ. 3.155.2. ძველი ქაშვეთი. სამხრეთის ფასადი

ახალი ტაძრის ასაგებად ქაშვეთის მამულების გამგე კომიტეტმა შეკრიბა იმ დროს თბილისში მოღვაწე საუკეთესო არქიტექტორ-მშენებელთა ჯგუფი: ხუროთმოძღვარ-სამუშაოთა მწარმოებელი – ლეოპოლდ პეტრეს ძე ბილფელდი, მოიჯარადრე-მშენებელი – საქართველოში მოღვაწე ცნობილი იტალიელი ინჟინერი ანჯელო კარლოს ძე ანდრეოლეტი; ხუროთმოძღვარ-მშენებელი – არქიტექტორი ედუარდო ანდრეოლეტი. ქაშვეთის მამულების გამგე კომიტეტის დადგენილებით ტაძრის მშენებლობის ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობა ეკლესიის მაშინდელ წინამძღვარს კალისტრატე ცინცაძეს დაევალა.

ქაშვეთის ტაძრის აგებაში ფინანსურ მონაწილეობას იღებდნენ ქართული ბურჟუაზიისა და არისტოკრატიის წარმომადგენლები: გივი და ანა ამილახვრების ხარჯით გაკეთდა კანკელი; ანა ალექსანდრეს ასულმა ამილახვარმა შეამკობინა აღმოსავლეთი ფასადის დიდი სარკმელი და ჯვარი; ანტონ და ნიკოლოზ არჯევანიძეებმა გააკეთებინეს ჩრდილოეთი ფასადის ვარდული, ჯვარი და სამი შუა სარკმლის თამასა, ხოლო ამავე ფასადის ორი დარჩენილი სარკმლის თამასები კი გიორგი არჯევანიძემ და მარიამ არჯევანიძე-ფედოტოვამ დაამზადებინეს; ბარბარე ლორთქიფანიძის, სოლომონ გულისაშვილის, გიორგი ბაქრაძის და უცნობი პირის, სავარაუდოდ, გრაფინია ელისაბედ ვორონცოვ-დაშკოვას (კ. ცინცაძე) დაფინანსებითაა გაკეთებული სამხრეთი ფასადის თითო სარკმლის თამასები; ნიკოლოზ და ნინო თუმანიშვილებმა შეამკობინეს აღმოსავლეთი ფასადის ჩრდილოეთი ნიშა და სარკმელი, ხოლო ამავე ფასადის სამხრეთი მხარის ნიშა და სარკმელი მართა ივანეს ასულმა თურქიამ. მამუკა ჯამბაკურ-ორბელიანის ხარჯით შეიქმნა სამხრეთი ფასადის შუა სარკმლის თამასები და ვარდული; დავით და ეკატერინე სარაჯიშვილებმა გააკეთებინეს წმ. გიორგისა და წმ. ნინოს ხატებით მოჭედილი სამხრეთი შესასვლელის ბრინჯაოს კარი; ვასილ გურიელის სახსრებით გამოიჭედა სამხრეთი შესასვლელის თავზე ტიმპანში განთავსებული წმ. გიორგის ბრინჯაოს ხატი; უნდა მოვიხსენიოთ აგრეთვე გიორგი კუნდუროვი, რომელმაც დაამზადებინა გუმბათის ჯვარი (აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტაძრის ასაგები ძირითადი თანხა ქაშვეთის მამულების გამგე კომიტეტს სინოდის კანტორიდან ჰქონდა ნასესხები). 1910 წელს ახალი ეკლესიის



სურ. 3.155.3. ტაძრის გეგმა. 1904-1910 წწ.

კურთხევამ (სატფურებამ) სახალხო დღესასწაულის სახე მიიღო. იმ დროის საზოგადოებისთვის ქაშვეთი ქართული სულის აღორძინების სიმბოლოდ იქცა, ვინაიდან ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე თბილისში ქართული იერის მქონე ფაქტიურად არაფერი აშენებულა. ამას ისიც ერთოდა, რომ თითქმის საუკუნე იყო გასული მას შემდეგ, რაც რუსეთის ხელისუფლების განკარგულებით გაუქმდა საქართველოს ავტოკეფალური ეკლესია. სწორედ ამ მტკივნეული თარიღის თავზე, საქართველოს დედაქალაქის ცენტრში აიგო „ქართული“ ფორმის ნაგებობა, როგორც ქართული სულის უკვდავების სიმბოლო, მისი ვიზუალური ნიშანსვეტი ნებისმიერ სიტყვასა და ქმედებაზე უფრო მძლავრად ზემოქმედი იმდროინდელი საზოგადოების ეროვნულ ცნობიერებაზე და ამავე დროს დაპირისპირებული გოლოვინის პროსპექტზე (დღეს რუსთაველის გამზირი) რუსეთის კავკასიაზე გაბატონების ნიშნად წამომართულ გრანდიოზულ სამხედრო ტაძართან ე.წ. „სობოროსთან“ - უცხო „სხეულთან“ XX საუკუნის დასაწყისის თბილისის „ევროპულ“ არქიტექტურულ გარემოშიც კი.

როგორც უკვე ითქვა, ქაშვეთის ახალი ტაძარი მიზანმიმართულად სამთავისის ძირითადი სქემის მიხედვით შექმნილი ნაგებობაა და აქ განხორციელებული, ეპოქის მოთხოვნილებების შესაბამისი ცვლილებების მიუხედავად, თითქმის იმეორებს სამთავისის არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის უკვე შემუშავებულ ფორმებს.

ქართული გუმბათოვანი ეკლესიის ტრადიციული ფორმულაა მასებით სივრცეში შექმნილი ჯვრის ფორმა, ცენტრში აღმართული ყელიანი გუმბათით. ეს ფორმულა არსებითად არ შეცვლილა ქაშვეთშიც. გეგმაში მართკუთხა მოხაზულობის ტაძარი მაღალ ცოკოლზე დგას. ნაგებობა ორსართულიანია. ზედა, წმინდა გიორგის სახელობისაა, ხოლო ქვედა, ცოკოლის ეკლესია წმინდა მარინეს სახელზეა ნაკურთხი. ქაშვეთის წმინდა გიორგის ტაძრის ზომებია: სიგრძე გარედან 23,12x18,75 მ. (შიგნით 22,70x15,20; საკურთხევლის სიგრძე 5 მეტრი, ამბიონის - 2,80); სიმაღლე გუმბათის ჯვრიანად 36,25 მეტრი, შიგნით - 27,75 მ.

წმ. გიორგის ტაძრის შიდა სივრცის ხუროთმოძღვრული აღნაგობა ნათელი, ხალვათი და ადვილად აღქმადია. გუმბათი ოთხ ბურჯს ეყრდნობა, რომელთაგან დასავლეთის ბურჯები ცალკე მდგომია, ხოლო აღმოსავლეთისა საკურთხეველთან იმდენად ახლოსაა მიდგმული, რომ აფსიდის შვერილების შთაბეჭდილებას ტოვებს. ინტერიერის ცენტრალურ ნაწილს მაღლა ატყორცნილი გუმბათქვეშა სივრცე ქმნის. მკლავები, თავიანთი შემკვრელი თაღებით, ტაძრის ყველა არქიტექტურულ ელემენტს გუმბათქვეშა კვადრატის გარშემო უყრის თავს. გუმბათქვეშა კვადრატიდან გუმბათის წრეზე გადასვლა აფრების საშუალებით ხორციელდება, რომლებიც გუმბათქვეშა თაღების ქუსლებს შორის გაჩენილ კედლის სიბრტყეებშია ჩასმული. სივრცის აზიდულობის შთაბეჭდილებას აძლიერებს გუმბათის ცილინდრული ყელი. დასავლეთისა და აღმოსავლეთის მკლავებთან შედარებით გვერდითი, სამხრეთი და ჩრდილოეთი მკლავები ვიწროა. მათ მაღალ თაღებსა და კამარებს ნახევარწრიული მოხაზულობა აქვთ. გარედან ქაშვეთის ტაძარი უხვადაა მორთული ქვაში ნაკვეთი ქართული ორნამენტითა და თაღნარით. ეკლესიის ფასადებზე სამთავისის ფასადების მხატვრული გაფორმების ზოგადი სქემაა გამოყენებული. მიუხედავად სამთავისთან გეგმითი მიმსგავსებისა, ტაძარს ახალი დროის მთელი რიგი თავისებურებები გააჩნია და ეს სხვაობა უფრო ტაძრის შიგნით, ინტერიერის საერთო სივრცით გადაწყვეტაში, ცალკეულ არქიტექტურულ ფორმებში ვლინდება.



სურ. 3.155.4. კანკელი

ძველი ქართული ტაძრების მსგავსად, აღმოსავლეთით შუა მკლავი საკურთხევლის აფსიდის მოცულობაში გადადის. მას გეგმაში ნახევარწრიული მოხაზულობა აქვს და წინ ერთსაფეხურიანი ბემითაა განვრცობილი. დარბაზისგან საკურთხეველს კანკელი ჰყოფს (სურ. 3.155.4). ჩანს, რომ ქაშვეთის ხუროთმოძღვრის მთავარ საზრუნავს აფსიდის წინ მდებარე სივრცის მოწყობა წარმოადგენს. საჭირო იყო დიდი რაოდენობის მრევლის დასატევად ცენტრალური, გუმბათქვეშა მოცულობის შეძლებისდაგვარად გაზრდა. ამ რთული პრობლემის

გადაჭრა კი სამთავისის გეგმის ზედმიწევნით ზუსტი „გადმოწერით“ შეუძლებელი იქნებოდა. დასახული ამოცანა ხუროთმოძღვრისგან მოცემული ტრადიციული არქიტექტურული ფორმების ახლებურად გააზრებას მოითხოვდა. უნდა შექმნილიყო ახალი დროის შესაფერისი ფართო, განსაკუთრებულად მდიდრული ინტერიერი, რომელიც თბილისის მაღალი საზოგადოების თავშეყრის ადგილი იქნებოდა და მათ მოთხოვნებს დააკმაყოფილებდა. აღსანიშნავია, რომ შიდა სივრცის ორგანიზების ეს პრობლემა ყველაზე მეტად განასხვავებს ქაშვეთს მისაბაძი სამთავისის ტაძრისგან. ლ. ბილფელდმა მის წინაშე დასმული ამოცანის გადაწყვეტად ქართული საეკლესიო სამშენებლო ტრადიციისთვის სრულიად უცხო მიდგომა გამოიყენა: სივრცის გაზრდის მიზნით კანკელი სიღრმეში გადასწია, დაამოკლა და აღმოსავლეთის საყრდენი ბურჯების უკანა მხარეს, ბემის შვერილებს შორის მოაქცია. ამან საშუალება მისცა არქიტექტორს, რომ ამბიონი კანკელის წინ დამატებით გაჩენილ თავისუფალ სივრცეში სწორ ხაზზე განეთავსებინა (ნაცვლად ტრადიციული მომრგვალებული ფორმისა, რომელიც, ჩვეულებრივ, გუმბათქვეშა სივრცეში იყო შეჭრილი და დიდ ადგილს იკავებდა) და ინტერიერში მრევლისთვის უფრო მეტი ადგილი დაეთმო, ვიდრე სამღვდელოებისთვის, რაც ასევე უჩვეულო იყო მრავალსაუკუნოვანი ქართული ღვთისმსახურებისა და საეკლესიო ხუროთმოძღვრებისთვის.

ქართული ეკლესიის ტრადიციული ფორმულაა საკურთხევლის ორივე მხარეს განთავსებული პასტოფორიუმები. ქაშვეთში ისინი გასასვლელებით უშუალოდ უკავშირდებიან აფსიდს. ორივე ერთნაირადაა გადაწყვეტილი – უაფსიდო სადიაკვნეს და სამკვეთლოს საკურთხევლის მხარეს ირიბად გამოყვანილი კედლები აქვთ (შიგნიდან ზუსტადაა გამეორებული აღმოსავლეთი ფასადის მოხაზულობა). მათ წინ, ტაძრის ჩრდილოეთისა და სამხრეთის გრძივ მკლავებში საგანგებოდ პატარა სივრცეებია გამოყოფილი, რომლებიც ამბიონის დონეზეა გამართული და მის მსგავსად, სამსაფეხურიანი კიბითაა ამაღლებული ტაძრის ინტერიერის დანარჩენი ნაწილისგან. ეს უბეები ერთი მხრივ, ეკლესიის გვერდით მკლავებში არიან გახსნილი, ხოლო მეორე მხრივ, აღმოსავლეთის გუმბათქვეშა ბურჯებისა და ბემის კედლების დამაკავშირებელი მაღალი თაღოვანი გასასვლელებით ამბიონს უკავშირდებიან. აღსანიშნავია, რომ არქიტექტორმა პასტოფორიუმების წინ განთავსებული სივრცეები ერთგვარ ღია „ოთახებად“ აქცია და მთავარი დარბაზისგან დაბალი მოაჯირითაც გამოყო. თავისებურადაა გადაწყვეტილი სამხრეთი მკლავის აღმოსავლეთი ნაწილი. სადიაკვნეს შესასვლელი დარბაზის მხრიდან არ აქვს (კარი მხოლოდ აფსიდიდანაა გაჭრილი). სამხრეთ პასტოფორიუმსა და მის წინ განთავსებულ „ოთახს“ შორის ყრუ კედელია აღმართული (უნდა აღინიშნოს, რომ სადიაკვნეში ორი კიბეა: ერთი ქვედა ეკლესიაში ჩადის, ხოლო მეორე საკურთხევლის თავზე ასასვლელად და ჩრდილოეთის კარის გავლით სახურავზე მოსახვედრად გამოიყენება).

ქართულ ტაძრებში, შიდა სივრცის აღქმაში უდიდესი მნიშვნელობა შესასვლელების განლაგებას ენიჭებოდა. ქაშვეთი ამ მხრივაც გამორჩეული ნაგებობაა. ქართული ტაძრისთვის უჩვეულოდ მაღალ ცოკოლზე შესმულ ეკლესიას (სავარაუდოდ, ამ ხერხით ლ. ბილფელდი შეეცადა „ჩავარდნილი“ ნაგებობა პროსპექტის დონეზე ამოეწია და მთავარი ქუჩიდან „ხილული“ გაეხადა) შესასვლელი სამხრეთი ფასადის ორმხრივი ორმარშიანი კიბიდან აქვს (თავის დროზე ეს იყო ტაძრის ერთადერთი კარი. ამ მხარესაა ქაშვეთის ეზოს ჭიშკარიც). მართალია, თანამედროვე იერის მქონე კიბემ დიდებული იერი შესძინა ტაძარს, მაგრამ, ამავე დროს, შესასვლელის გაჭრამ ფასადის ცენტრში, შიგ შუა დეკორატიულ თაღში არსებითად შეცვალა ინტერიერის აღქმის პირობები (ჩვეულებრივ, ტრადიციულ ქართულ საკულტო ნაგებობებში გვერდითი შესასვლელები ცენტრალური ღერძიდან დასავლეთისკენ იყო წანაცვლებული, რაც შიდა სივრცეს უფრო რთულს, დაძაბულს და მოძრავს ხდიდა). სამხრეთი ფასადის დიდი თაღოვანი კარიდან ეკლესიაში შესვლისთანავე ადამიანი, გვერდითი მკლავის სივიწროვის გამო, პირდაპირ გუმბათქვეშა სივრცეში ამოყოფს თავს. ძველი ქართული ტაძრებისგან განსხვავებით აქ უკვე აღარ არის საჭირო საკურთხეველთან მისასვლელად ტრადიციულად გარკვეული გზის გავლა, ასე ვთქვათ, ფიზიკური და „სულიერი“ მოგზაურობა

ინტერიერში, რაც, აგრეთვე, ტრადიციის ერთგვარ დარღვევას წარმოადგენს (პროექტით გათვალისწინებული იყო დასავლეთით კარიბჭის გაკეთება, მაგრამ ეს სამუშაოები, სხვადასხვა მიზეზების გამო, თავის დროზე არ ჩატარდა).

ქაშვეთის კიდევ ერთი განმასხვავებელი თავისებურება, მისი საოცრად ნათელი ინტერიერია. ტაძარი უხვადაა განათებული სინათლის წყაროების არა მარტო ტრადიციულ ადგილებში განთავსებით (მკლავებსა და გუმბათის ყელზე), არამედ დამატებით გაკეთებული ღიობებითაც. საკურთხეველი სამი სარკმლით ნათდება, რომლებიც სხვადასხვა სიმაღლეზეა განლაგებული (გარეთ სამივე სარკმელს ფასადის ცენტრალური ნაწილი უჭირავს). პასტოფორიუმები კარგადაა განათებული თითო-თითო დიდი ზომის თაღოვანი სარკმლით, რომელიც, სამხრეთი და ჩრდილოეთი ფასადების კედლებშია გაჭრილი (ნაცვლად აღმოსავლეთი მხარისა). ასეთივე განათება აქვს სადიაკვნესა და სამკვეთლოს წინ მდებარე მოაჯირით შემოსაზღვრულ სივრცეებსაც. ლუნეტისმაგვარი მცირე ზომის სარკმელია განთავსებული დასავლეთი კედლის თაღის მაღლა. ძველი ქართული ტაძართმშენებლობისთვის უცხო ელემენტია ქაშვეთის გრძივი კედლების სარკმლები, რომლებიც ინტერიერში უჩვეულოდ დაბლა, თითქმის ადამიანის სიმაღლეზეა გაჭრილი. ლ. ბილფელდი თითქოს ამ ხერხითაც ცდილობს განსხვავებული იერი მისცეს ნაგებობას და ფართო სივრცის ილუზია შექმნას ტაძრის შიგნით. მართლაც, მაღალი, დიდი ზომის ღიობებით „დაცხრილულ“ ეკლესიაში უხვად შემოღვრილი შუქი ვიზუალურად განზე წევს კედლებს და უფრო ხალვათი სივრცის შთაბეჭდილებას ტოვებს. სინათლით გაჟღენთილ დასავლეთ ნაწილს ხუროთმოძღვარმა აღმოსავლეთის შედარებით ჩამცხრალი სივრცე დაუპირისპირა. მთავარ სარკმლებში ვიტრაჟების ჩასმით იგი შეეცადა, ერთი მხრივ, შეესუსტებინა ტაძრის გრძივი მკლავების განათება, ხოლო მეორე მხრივ, ხაზი გაესვა ნაგებობის ყველაზე მნიშვნელოვანი, საკრალური ნაწილისთვის. უნდა აღინიშნოს, რომ ვიტრაჟებს, ფუნქციურის გარდა, სუფთა დეკორატიული სამკაულის მნიშვნელობაც აქვთ მინიჭებული. ამრიგად, სინათლის წყაროების განლაგებით და შემოსული შუქის გრადაციით ლ. ბილფელდი ძლიერ მხატვრულ ეფექტს ქმნის ტაძარში.

ქაშვეთში განაკუთრებული ყურადღება შიგა სივრცის გაფორმებას ეთმობა. ინტერიერში თაღები, კაპიტელები, გუმბათქვეშა ბურჯები სადადაა დამუშავებული. გუმბათის მრგვალ ყელზე შემოვლებული სამი უბრალო ლილვი სამ, არათანაბარი ზომის სარტყელს ქმნის გუმბათში. სუფთა, თეთრი კედლის სიბრტყეს ზევით, კამარა-თაღების ძირში საფეხურიანი პროფილის კარნიზი შემოუყვება. დაბლა, დაახლოებით ადამიანის სიმაღლეზე კედლები მონაცრისფრო მარმარილოთია მოპირკეთებული. მარმარილოს ბაზისებზე აღმართული სვეტების წიბოები სადა კაპიტელებიანი ნახევარსვეტებითაა დამუშავებული. სხვადასხვა ძვირფასი მასალის გამოყენებით ხუროთმოძღვარი ცდილობს მეტი ეფექტურობის მიღწევას და ცალკეული მნიშვნელოვანი დეტალების გამოკვეთას: კედლებისა და ბურჯების გარდა კანკელი, ტრაპეზი, სამკვეთლო, ამბიონი, ძველი ხატების ფარვეზები, შანდლები, ემბაზი მარმარილოშია შესრულებული (უჩვეულო მასალა ტრადიციული ქართული საკულტო ნაგებობისთვის), ტაძრის იატაკი მოზაიკისაა, საკურთხეველსა და სამკვეთლოში პარკეტია დაგებული, შიდა კარებები კაკლისაა, ხოლო ტაძრის სამხრეთი შესასვლელი კი ბრინჯაოშია შესრულებული (აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეკლესიის ბრინჯაოს კარი ო. ნოვაკის სახელოსნოში გაკეთდა ბ. ლებედას მიერ, არქიტექტორ ე. ანდრეოლეტისა და მხატვარ ჰ. ჰრინევკის ესკიზების მიხედვით; კანკელის ჩუქურთმიანი კარი გ. ბერძენიშვილის სახელოსნოში შესრულდა; სამღებრო სამუშაოები ვ. ჯაფარიძეს ეკუთვნის, ხოლო სამჭედლო – ცოკოლის ეკლესიის და ალაყაფის კარი, სარკმლები, გალავნის მოაჯირი, გუმბათის ჯვარი – ფ. ჰაუფს. ტაძრის მდიდარი ჩუქურთმები შეასრულეს ცნობილმა ქვის ოსტატებმა ნეოფიტე, ლავრენტი და ნიკო აღლაძეებმა ე. ანდრეოლეტის ნახატების მიხედვით).

კანკელს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ტაძრის ინტერიერში (გამოყენებული მასალის გამო საერთო დეკორის ნაწილადაც კი აღიქმება). ქაშვეთში თითქოს გამეორებულია ძველად შემუშავებული ქართული კანკელის აღნაგობა, მაგრამ უცხო ელემენტები აქაც ხვდება თვალს. ფრონტონით დაგვირგინებული ქაშვეთის წმ. გიორგის მარმარილოს კანკელი ტრა-

დიციული ფორმის თაღედებითაა გაფორმებული. ცენტრსა და გვერდებში განთავსებული კარებების მოზრდილი თაღები აღმოსავლეთი ფასადის ნიშების მსგავსი ფესტონებითაა შემკული. აქ ერთმანეთის გვერდითაა ტრადიციული ქართული ორნამენტი და თანამედროვე ხასიათის ბარელიეფები, რაც ეპოქის ეკლექტურ გემოვნებაზე მიუთითებს. კანკელის თაღოვან არეებში ხატებია ჩასმული. ისინი აცოცხლებენ ფერმკრთალ მარმარილოს და ფერად აქცენტებს ქმნიან. კანკელს აგვირგვინებს ლეონარდო და ვინჩის „საიდუმლო სერობის“ სცენა, რომელიც კანკელის თავზე, ფრონტონშია წარმოდგენილი.

ტაძრის მხატვრულ-დეკორაციულ გაფორმებაში უმთავრესი ადგილი მაინც საკურთხევლის აფსიდის მოხატულობას უჭირავს, რომელიც მისი უწმინდესობის კალისტრატე ცინცაძის დაკვეთით, ცნობილი ქართველი მხატვრის ლადო გუდიაშვილის მიერაა შესრულებული. კონქში გამოსახულია ღვთისმშობელი ყრმით ედემის ბაღში, ანგელოზებთან ერთად, აფსიდის კედლებზე მოციქულთა ზიარების სცენა, სატრიუმფო თაღზე სულიწმინდის სიმბოლო და ხელთუქმნელი ხატია. ეს ერთადერთი ფერადი სივრცეა ტაძარში (თუ არ ჩავთვლით ვიტრაჟიან სარკმლებს, რომლებიც უფრო დეკორაციული ჩანართების როლს ასრულებენ). აფსიდის მოხატულობა მკვეთრ კონტრასტს ქმნის ინტერიერის თეთრ კედლებთან და დამატებით ვიზუალურად უსვამს ხაზს ტაძრის ცენტრალურ სივრცეს. 1946 წელს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა კალისტრატე ცინცაძემ წინადადებით მიმართა ლადო გუდიაშვილს, მოეხატა ქაშვეთის ტაძარი. საკურთხევლის მოხატვა 1948 წელს დასრულდა.



სურ. 3.155.5. ინტერიერი. მოხატულობა

მხატვარს კარგად ჰქონდა გააზრებული, რომ ისეთ არაორდინალურ ტაძარში, როგორიც ქაშვეთია ვერ გადმოიღებდა შუა საუკუნეების კედლის მხატვრობის სქემებს. ტრადიციული იკონოგრაფიის ინდივიდუალური გააზრებით მას უნდა შეექმნა თანამედროვე ფრესკა, რომელიც თვითმყოფადობით იქნებოდა გამორჩეული. ქაშვეთის საკურთხევლის ერთიანი კომპოზიციის იდეური საფუძველი სამოთხის ღვთაებრივი ჰარმონიაა. უმთავრესი აქ სიცოცხლესა და მშვენიერებასთან ზიარებაა, რომლის გამოხატულებაც აფსიდში წარმოდგენილი, ქართულ სინამდვილეში გამოტანილი სამოთხის ბაღია. ლ. გუდიაშვილმა შეძლო უწყვეტ ხაზთა საერთო დენადი რიტმით, ფერადოვანი ლაქების განაწილებით, საერთო კომპოზიციური გადაწყვეტით მთელი მოხატულობისთვის ერთიანი დასრულებული სახე მიეცა და შეექმნა თანამედროვე კედლის მხატვრობისთვის საეტაპო მაღალხატვრული ნაწარმოები (სურ. 3.155.5; სურ. 3.155.6).



სურ. 3.155.6. ინტერიერი. მოხატულობა

გარედან მართკუთხა მოხაზულობის ტაძრის ფასადები მთლიანად თაღედის უწყვეტი რიგითაა დანაწევრებული, რომელთა შიგნითაც, განსაზღვრულ ადგილებში, ტაძრის შესასვლელები, სარკმლები და დეკორაციული მორთულობებია განთავსებული. ფასადების ამგვარი გადაწყვეტით იქმნება ერთიანი, სხვადასხვა მხატვრულ-კონსტრუქციული დეტალებჩართული სივრცე, რომელიც დასავლეთის კარიბჭის თაღედიდან დაწყებული თითქოს ორივე მხრიდან უწყვეტად შემოერტყმის ტაძარს და ამზადებს აღმოსავლეთი ფასადის ბრწყინვალე კომპოზიციას, რომელიც ძირითადად იმეორებს სამთავისში შემუშავებულ სქემას და მხატვრული გაფორმების ყველაზე ეფექტური ნაწილია ტაძარზე.

აღმოსავლეთი ფასადის დეკორაციული შემკულობის ძირითადი ფორმულაა ხუთთაღიანი სისტემა ორი ღრმა ნიშით. რთული პროფილის მქონე ლილვოვანი თაღედი იმეორებს აღმოსავლეთი ფასადის საერთო მოხაზულობას და საფეხურებად ნაწილდება ფასადზე - შუა მაღალი განიერი თაღი გვერდითი თითო მცირე თაღის განშტოებებით, აფსიდის გვერდით მდებარე ნიშებს გადაევლება და ფასადის დაბალ ნაწილებზე გადადის. ფასადის ცენტრის შვეული ღერძის ასწვრივ, კედლის შუა თაღის მთელი არე უჭირავს სამთავისში შემუშავებულ დეკორაციული გაფორმების სქემას. კომპოზიციაში ცენტრალური ადგილი ფართო, მოჩუქურთმებულ მართკუთხა საპირეში ჩასმულ საკურთხევლის სარკმელს უჭირავს, რომლის თავზე, პატარა დეკორაციული კოპის ზემოთ, უზარმაზარი მდიდრულად ორნამენტირებული ჯვარია გამოსახული. სარკმლის ქვემოთ განლაგებულია ორი კვადრატული რომბი, ცენტრში ჩასმული ჩუქურთმიანი კოპით. მთელ ამ დეკორაციულ სისტემას ერთად კრავს ვერტიკალურად ზემოთ ატყორცნილი რთული პროფილის მქონე ლილვოვანი ღერო (სურ. 3.155.7). ცოკოლიდან ამომავალი, მძლავრ კონად შეკრული ლილვები თანმიმდევრულად უვლიან, გარს ერტყმიან და აერთიანებენ ფასადის ცენტრში, ერთ ღერძზე ასხმული კომპოზიციის ყველა ელემენტს და მათ ზემოთ, ერთ კონად შეკრული, მოქნილ ხაზებად შეიღვრებიან შუა თაღის თაღოვან არქივოლტში. აქვე, ფრონტონის ქვევით, ცენტრალური თაღის ორივე მხარეს, დამატებითი პატარა თაღებია გამობმული, რომელიც ქვევით ორ ღეროდ იყოფა: ერთს ბოლოში ფოთლოვანი ტოტის სახე აქვს, მასზე ჩამოკიდებული ბროწეულებით და მსხვილი ყურძნის მტევნით, ხოლო მეორე იქვე წრიულ არეში ჯვარს შემოხაზავს და ჯვრის ძირიდან გამოსული ლილვით კვლავ ცენტრალური თაღის ლილვოვანი სვეტის ნაწილად იქცევა. აქვე, მთავარი მკლავის კარნიზის ძირში ერთი, ნაკლებად თვალშისაცემი დეტალია, რომელიც ფასადების საერთო კომპოზიციაში შემაკავშირებელ როლს ასრულებს. ესენია კუთხის ლილვის პატარა კაუჭები, რომლებიც გვერდით ფასადების ასეთსავე კაუჭებს ებმიან და ამით უწყვეტ თაღოვან რიტმს ქმნიან ტაძრის მკლავების ზედა რეგისტრში.



სურ. 3.155.7. აღმოსავლეთ ფასადის მორთულობა

კომპოზიციის ცენტრალური მძლავრად დაპროფილებული ხაზების უწყვეტ, დინამიკურ ზესვლას აწონასწორებს საკურთხევლის ორივე მხარეს ფესტონებით გაფორმებული სამკუთხა ღრმა ნიშები. ისინი ცენტრალური კომპოზიციისგან მიღებული ძლიერი ემოციისგან განტვირთვის საშუალებადაა გამოყენებული. ნიშებში საკურთხევლის სარკმლებია განთავსებული. ნიშების ნახევარწრიული თაღიდან ქვემოთ ოთხი აჟურული სამყურა ფესტონი ეშვება. დიდი ოსტატობით გამოყვანილი ორნამენტის თითოეული ხვეულის ზემოთ წარმოქმნილ სამკუთხედებში პაწია გაშლილი ფოთლებია ამოკვეთილი, ნიშები „მარგალიტებჩასმული“ დეკორაციული ნიჭარითა და მარაოსებრი თაღითაა გაფორმებული.

აღსანიშნავია, რომ აღმოსავლეთი ფასადის ცენტრში თავმოყრილი რთული კომპოზიცია თითქოს წყდება ფასადის განაპირა თაღების სუფთა კედლებზე. სარკმლის გარეშე, მხოლოდ თაღედით გაფორმებული ამ სიცარიელეს ერთგვარად ავსებს გვერდითი თაღების მაღლა, კუთხეებზე დაპროფილებული კაპიტელებიდან ამოზრდილი თითო ლილვი, რომელიც ფასადის წიბოსკენ კაუჭივით იღუნება. ლილვის ორივე მხარეს მოზრდილი მცენარეული ორნამენტია ჩასმული. მსგავსადაა გაფორმებული გრძივი ფასადების აღმოსავლეთი კუთხეებიც. მოკაუჭებული ლილვების შეერთების ადგილას, ზედ წიბოზე, ფოთლებს შორის ყურძნის მტევნებია (გრძივ ფასადზე დამატებით ბროწეულია) ჩამოკიდებული, ზევით კედლის წიბოს პატარა მანძილზე ლილვი აუყვება რთული პროფილის მქონე კაპიტელით. ეს საზიარო რელიეფური მორთულობა (რომელიც უფრო გამარტივებული სახით შუა მკლავის ზედა გრძივ კედლებზეა გამოყენებული) ფასადების უწყვეტ ურთიერთკავშირს უზრუნველყოფს.

აღმოსავლეთის შემდეგ, გაფორმების თვალსაზრისით, ტრადიციულად ყველაზე მნიშვნელოვანი სამხრეთი ფასადია. აქაც დეკორის კარგად გააზრებული სისტემაა გამოყენებული. ცოკოლიდან ამოზრდილი მსხვილპროფილიანი ლილვების კონები ერთმანეთს ნახევარწრიული თაღედით ებმიან. ფასადი სამ ნაწილადაა გაყოფილი: ცენტრალური სამი თაღი ფასადის მთელ სიმაღლეზეა ატყორცნილი. სამ-სამი კი, მათ გვერდით ორივე მხარეს სწორხაზოვნადაა განაწილებული. სამხრეთ ფასადზე აღმოსავლეთით სამი თანაბარი სიმაღლისა და სიგანის თაღია. აქედან, ორში მდიდრულად მოჩუქურთმებულსაპირიანი მაღალი სარკმლებია ჩასმული. ხოლო აღმოსავლეთით მდებარე განაპირა თაღს ფონად ყრუ კედელი აქვს. ამ კუთხის დეკორაციული სამკაული თაღის ზემოთ მცენარეული რელიეფისა და მოკაუჭებული ლილვის კომპოზიციაა, კედლის წიბოზე ყურძნის მტევნით, კაპიტელით და ბროწეულით ფასადის კუთხეში. ეს კომპოზიცია, როგორც უკვე აღვნიშნეთ, განივი და გრძივი ფასადების დამაკავშირებელ რგოლს წარმოადგენს. ანალოგიურადაა გაფორმებული ფასადის დასავლეთი ნაწილი. სამი თანაბარი ზომის თაღი და ცენტრის მხარეს ჩასმული რელიეფურსაპირიანი სარკმლები. აქაც, კუთხის მხარეს, მესამე თაღი ცარიელია და თავზე ორი ფასადის საზიარო რელიეფი აქვს. სამხრეთის ფასადის დეკორში ცენტრალური ადგილი სამი მაღალი თაღისგან შემდგარ კომპოზიციას უჭირავს. ის მთელ სიმაღლეზე, ფრონტონამდეა აზიდული. შუაში, ყველაზე ფართო თაღში, ზემოთ, დიდი მოჩუქურთმებული სარკმელია მოთავსებული, რომლის თავზეც მთელ ნახევარწრიულ სიბრტყეს ჩუქურთმიანი ვარდული იკავებს. ქვემოთ, ამავე თაღშია განთავსებული ფართო ლუნეტიანი შესასვლელი, რომლისკენაც ტაძრის ეზოდან მდიდრულად გაფორმებული კიბე ადის. აქვე, კიბის შუაში, მიწის დონეზე, ქვედა ეკლესიაში შესასვლელია მოწყობილი.

ჩრდილოეთი ფასადის კომპოზიცია სამხრეთის გამეორებაა, იმ განსხვავებით, რომ ტაძარს ამ მხარეს შესასვლელი არ აქვს. მის ნაცვლად, ცენტრალური სარკმლის ქვევით, დიდი მოჩუქურთმებული ჯვარია აღმართული.

დასავლეთი ფასადის მნიშვნელოვანი ნაწილი რუსთაველის პროსპექტის მხარეს ფართოდ გახსნილ კარიბჭეს უჭირავს. ამ მხარეს ტაძრის კედლები შემკულობის გარეშეა, მხოლოდ მაღლა, ფრონტონის ქვეშ პატარა თაღედია ჩასმული, რომლის შიგნითაც ლუნეტისმაგვარი სარკმელია მოქცეული. კარიბჭე სხვა ფასადების მსგავსი თაღნარით და მათ ზემოთ განთავსებული პატარა მრგვალი სავენტილაციო ღიობებითაა დამუშავებული.

აღსანიშნავია, რომ ტაძრის ქვედა კორპუსის გარდა, თაღების მწკრივი გასდევს მაღლა, ნაგებობის მთავარი ნავის სიგრძივ კედლებსაც. მთელ ტაძარს მდიდრული ჩუქურთმიანი ლავგარდანი შემოუყვება. გუმბათის წახნაგოვანი ყელი, ტაძრის სხვა ნაწილების მსგავსად, ლილვებითაა დამუშავებული. მსხვილი პროფილის ლილვები გუმბათის წახნაგების წიბოებსაა აყოლილი. ვერტიკალურად დანაწევრებულ გუმბათს გარშემო ასეთივე ლილვი შემოერტყმის და გუმბათის ყელს ორ არათანაბარ ჰორიზონტალურ ნაწილად ყოფს. ლილვით მოჩარჩოებულ დიდ მონაკვეთებში რელიეფით დაფარული საპირიანი სარკმლებია განთავსებული. ზემოთ, სიცარიელის შესავსებად სადა კოპებია ჩასმული (თითო-თითო ყოველი სარკმლის თავზე). გუმბათის ყელს, სარკმლებიანი მონაკვეთის ზემოთ, კარნიზამდე ასევე ლილვებით დანაწევრებული პატარა სარტყელი შემოუყვება. გუმბათის კარნიზი მდიდრული ორნამენტითაა მოჩუქურთმებული.

საშენი მასალა ყოველთვის არსებით როლს თამაშობდა ქართული ტაძრის მხატვრული სახის შექმნაში. გარედან ქაშვეთი, ინტერიერის მსგავსად, გამოყენებული მასალის მრავალფეროვნებით გამოირჩევა. მაღალი ცოკოლი ამოყვანილია მუქი ფერის ალგეთის ბაზალტით, ხოლო მასზე შესმული ტაძრის პერანგისთვის ძეგამის თეთრი ქვაა ნახმარი. სამხრეთი შესასვლელის ორმარშიანი კიბის მოაჯირი ქუთათური ქვითაა გაკეთებული. დასავლეთის კარიბჭისთვის ეკლარის ქვაა გამოყენებული.

უკვე ითქვა, რომ ქაშვეთის ტაძარი ორსართულიანია. ქვედა სართული ცოკოლის სივრცეშია განთავსებული და წმინდა მარინეს სახელს ატარებს. ქვედა ტაძარში შესასვლელი მოქცეულია სამხრეთი ფასადის ცენტრში, მეორე სართულის სიმაღლეზე ასასვლელი ორმაგი

კიბის შუა არეში, მიწის დონეზე. კარიდან რამდენიმე საფეხურს ჩავყავართ საკმაოდ დაბალ სივრცეში. აღსანიშნავია, რომ ამ ჩასასვლელის გვერდით კედლებში ჩართულია მარცხნივ გივი ამილახვრის და მარჯვნივ XIX საუკუნეში ძველი ტაძრისთვის კარიბჭის მიშენების მაუწყებელი წარწერები. ქვედა ეკლესიას ზედა ტაძარზე ნაკლები ფართობი უჭირავს. საკურთხევლის გვერდით დამხმარე სათავსებია განლაგებული. აფსიდის წინ კედელივითაა აღმართული მაღალი კანკელი, რომელიც მთლიანად კეტავს საკურთხეველს დანარჩენი სივრცისგან. წმ. მარინეს ეკლესიის ინტერიერი სადაა, სუფთა კედლებიანი, შეიძლება ითქვას მკაცრიც. დასავლეთ ნაწილში, ორი მძლავრი ბურჯი დგას, რომელთაც სუფთა კონსტრუქციული დანიშნულება აქვთ. ჭერი ბრტყელია. დასავლეთ კედელში ორიოდე საფეხურით შემაღლებული პატარა კარია გაჭრილი. მიუხედავად თავისი ზომისა, ცოკოლის ეკლესია საკმაოდაა განათებული – ორი სარკმელი აქვს საკურთხეველს, ოთხი სამხრეთ და ექვსი ჩრდილოეთ ფასადს. თვითონ ეკლესიას გარედან შესასვლელი მხოლოდ ერთი, სამხრეთის მხრიდან აქვს. აღმოსავლეთ კედელში განთავსებული ორი კარიდან ერთი სადიაკვნეში შედის, ხოლო მეორე ოთახში, რომელიც, თავის დროზე, ტაძრების გამათბობელი მოწყობილობის დასადგამად ყოფილა განკუთვნილი (ეს ოთახი ზედა ტაძრის სამკვეთლოს ქვეშაა მოქცეული). ცოკოლის ეკლესია 1909 წელს, ე.ი. მთავარი ტაძრის დასრულებამდე გაიხსნა. თავდაპირველად ის სულიწმინდის სახელზე იყო ნაკურთხი, მაგრამ 1945 წელს, ჩატარებული რემონტის შემდეგ, ტაძარი წმ. მთავარმოწამე მარინეს სახელზე იკურთხა. 1919 წელს აქ ორბელიანთა ყოფილი სასახლის ეკლესიის კანკელი დადგეს, რომლის კორპუსი და ხატები ცნობილი რუსი მხატვრის გრიგოლ გაგარინის მიერაა შესრულებული. ქვედა ტაძარში დაკრძალულია ქაშვეთის მრევლი, იმ დროის ცნობილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეები.

ქაშვეთი XX საუკუნის 80-იან წლებში განაახლეს. გამოცვალეს ტაძრის დასავლეთი კედლის ქვის პერანგი (კ. ცინცაძის ცნობით, აქ თავიდანვე ყოფილა დაგეგმილი კარიბჭის მიშენება, რის გამოც ეს მხარე მოუპირკეთებელი დარჩა); 1991 წელს ტაძარს დასავლეთით ტრადიციული ფორმის კარიბჭე მიაშენეს და რუსთაველის მხრიდან ფართო მისასვლელი გაუკეთეს. ამიერიდან, ტაძრის ცენტრალური შესასვლელის ფუნქცია დასავლეთის ფართო თაღოვანმა კარიბჭემ იტვირთა და ტაძრის ამ ფასადსაც, ბუნებრივია, მეტი მნიშვნელობა შესძინა.



სურ. 3.155.8. სამრეკლო

ტაძრის ჩრდილო-აღმოსავლეთით თლილი ქვით მოპირკეთებული ორსართულიანი სამრეკლო დგას, რომლის მეორე სართული რვა დეკორატიული თაღით გახსნილი ფანჩატურია (სურ. 3.155.8).

ამრიგად, ქაშვეთს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს თბილისის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში. ქრისტიანობის ადრეული ეტაპიდან მოყოლებული მან საუკუნეების ქარტეხილს გაუძლო, რამდენჯერმე იცვალა სახე და ჩვენს დრომდე მოაღწია. აღსანიშნავია ისიც, რომ XX საუკუნის დასაწყისიდან ქაშვეთის ტაძარმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა „ახალი თბილისის“ სწრაფ განვითარებასა და ქალაქის ახალი ხუროთმოძღვრული ცენტრის შექმნაში. 1904-1910 წლებში თბილისის შუაგულში აღმართული ულამაზესი ტაძარი სამთავისის ძირითადი სქემის მიხედვითაა შექმნილი, მაგრამ ეს მსგავსება ხუროთმოძღვრული ტიპისთვის დამახასიათებელი გეგმის თავისებურებაში უფრო ვლინდება. არქიტექტორი ასრულებს დამკვეთის მითითებას და იღებს საუკუნეებით ადრე უკვე შემუშავებულ სქემას. ამავე დროს, მას ბრმად კი არ გადმოაქვს მზა ფორმულა, არამედ ცდილობს ეპოქის მოთხოვნილებებთან შესაბამისი მთელი რიგი ცვლილებები შეიტანოს მასში, რაც მაღალ მხატვრულ ღირებულებას ანიჭებს ტაძარს. მაგრამ, მიუხედავად არქიტექტურულ-მხატვრული ღირსებებისა, ქართული საზოგადოების შეგნებაში ქაშვეთი მაინც რჩება პირველ ნაგებობად, რომელშიც, თითქმის

საუკუნოვანი იძულებითი პაუზის შემდეგ, ეროვნული ხუროთმოძღვრების ფორმათა აღორძინების ცდა იყო ხორცშესხმული.

ქაშვეთის ტაძარი წარმოადგენს სიმარტივისა და სიმსუბუქის, თვალტანადობისა და სილამაზის იშვიათ სინთეზს, თავისი სილუეტით ორგანულადაა ჩაწერილი ჩვენი ქვეყნის დედაქალაქის უპირველესი რუსთაველის გამზირის სივრცეში და მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს თბილისის ცენტრის არქიტექტურულ ანსამბლში.

3.156. ფოთის საკათედრო ტაძარი – ქართული ხუროთმოძღვრების მნიშვნელოვანი ძეგლი, ბიზანტიური არქიტექტურული სტილის ღვთისმშობლის შობის საკათედრო ტაძარი ქ. ფოთში (სურ. 3.156.1; სურ. 3.156.2). აგებულია 1906-1907 წლებში. არქიტექტორები ა. ზელენკო და რ. მარფელდი. ის კონსტანტინოპოლში მდებარე აია სოფიას ტაძრის შემცირებულ ასლს წარმოადგენს. ტაძარი 2000 მლოცველს იტევს. ინტერიერი გამოირჩევა ჰაეროვნებით, სიმსუბუქითა და კარგად განათებული დიდი სივრცით (სურ. 3.156.3). შესასვლელის სამთაღიანი პორტიკი (სურ. 3.156.4) საზეიმო განწყობილებას



სურ. 3.156.1. პანორამული ხედი



სურ. 3.156.2. საერთო ხედი

ქმნის და არქიტექტურულად კარგად არის შერწყმული ნაგებობასთან. ტაძრის აშენებაში დიდი წვლილი ქალაქის თვითმმართველობამ შეიტანა, რომელსაც ქალაქის თავი ნიკო ნიკოლაძე მეთაურობდა. ტაძრის ორნამენტები და ბარელიეფები აღებულია საქართველოსა და ტრაპიზონის მთებში არსებული ქართული მონასტრებიდან. ტაძარს სამი კანკელი გააჩნდა, კანკელის უმთავრეს ხატებს შორის სამი ხატი წმინდა ნინოს, წმ. ანდრია პირველწოდებულის და წმ. დავით აღმაშენებლისა გახლდათ. 1932 წელს საკათედრო ტაძარი თეატრად გადააკეთეს და მხოლოდ 2005 წელს დაუბრუნდა ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას.



სურ. 3.156.3. ინტერიერი




სურ. 3.156.4. ტაძრის შესასვლელი

3.157. თბილისის სამება (წმიდა სამების საკათედრო ტაძარი) (ინგლ. Holy Trinity Cathedral) – თანამედროვე ქართული ხუროთმოძღვრების ბრწყინვალე ძეგლი, მთავარი მართლმადიდებლური ქრისტიანული ტაძარი საქართველოში (სურ. 3.157.1, სურ. 3.157.3: პანორამული ხედი; სურ. 3.157.2. საერთო ხედი). მდებარეობს ქ. თბილისში, ელიას გორაზე, ავლაბარში. აშენდა 1995-2004 წლებში არქიტექტორ არჩილ მინდიაშვილის პროექტით.



სურ. 3.157.1. პანორამული ხედი




სურ. 3.157.2. საერთო ხედი

ტიპოლოგიურად წმიდა სამების ტაძარი ჯვრულ მოხაზულობაში ჩასმული ტრიკონქია, რვა სვეტზე დაყრდნობილი გუმბათით. ტაძარს შესასვლელი სამი მხრიდან – დასავლეთ, სამხრეთ და ჩრდილოეთ მკლავებში დატანებული პორტიკებიდან აქვს. ამათგან მთავარი კარიბჭე დასავლეთ მკლავშია, რომელსაც გარედან ვრცელი გალერეა აკრავს. ტრიკონქის მკლავები გუმბათქვეშა სივრცესთან ერთად ტაძრის ერთიან მთავარ მოცულობას წარმოადგენს, რომელსაც მოხდენილად აგვირგვინებს მასიური გუმბათი. გუმბათის გარე რადიუსი 9,50 მ-ია. გუმბათის ყელს გარსშემოსავლელი ბაქანი შემოუყვება. ტაძრის დასავლეთ ფასადზე სამი სამიარუსიანი შვერილია, რომელთა პროპორციები მასიურს ქმნის ტაძრის საერთო მოცულობას. სამხრეთი და ჩრდილოეთი ფასადი ასევე საკმაოდ რთული კონსტრუქციითაა გადაწყვეტილი.



სურ. 3.157.3. პანორამული ხედი



სურ. 3.157.4. აღმოსავლეთის ფასადის მორთულობა

ტაძრის ფასადის მორთულობის მხრივ, აღმოსავლეთ ნაწილი ყველაზე მდიდრულია (სურ. 3.157.4. აღმოსავლეთი ფასადის მორთულობა). აღმოსავლეთ შუა შვერილზე თითქოსდა მიდგმულია მრავალწახნაგა აფსიდა, რომელზეც მასიური ჩუქურთმადამშვენებული ჯვარია გამოსახული. ოთხივე ფასადი მრავალფეროვანი ორნამენტების მწკრივითა და თაღებითაა შემკული. საერთო სიმაღლე ნულოვანი ნიშნულიდან ჯვრის ჩათვლით 86,10 მ-ია (უშუალოდ ჯვრის კონსტრუქციის სიმაღლე 7,5 მ-ია). ლავრის მიწისქვეშა



სურ. 3.157.5. ინტერიერი



სურ. 3.157.6. ინტერიერი

ნაწილში ორი სართული მდებარეობს. ტაძრის ფუნდამენტი 14,07 მ-ის სიღრმეზეა, ქვედა სართულის იატაკი –13,07 მ-ზე (ამას ემატება ერთი მეტრის სისქის ფუნდამენტი). ნაგებობის საერთო სიმაღლე, ამ მონაცემებით, 100,17 მ-ია. წმ. სიგრძე – 70,450 მ, სიგანე – 64,68 მ-ია. სამების ტაძარი შუა საუკუნეების ქართული საეკლესიო არქიტექტურის ტრადიციების დაცვითაა აგებული, ხოლო არქიტექტურულ-მხატვრული გადაწყვეტით იგი უნიკალური ნაგებობაა ქართულ მართლმადიდებლურ სივრცეში. ტაძარი ორი – მიწისზედა და მიწისქვეშა ნაწილისგან შედგება და აერთიანებს რვა ეკლესიას: მთავარანგელოზთა, იოანე ნათლისმცემელის, წმ. ნინოს, წმ. ანდრია პირველწოდებულის, ხარების, წმ. გიორგის, წმ. ნიკოლოზის და წმ. მოციქულთა, აგრეთვე ქვედა იარუსში განთავსებულ საეკლესიო მუზეუმს. სამების ტაძარი შთამბეჭდავია გარედანაც და შიგნიდანაც თავისი უზარმაზარი საზეიმო შიდა სივრცით (სურ. 3.157.5, სურ. 3.157.6: ინტერიერი; სურ. 3.157.7. კანკელი).



სურ. 3.157.7. კანკელი

ეკლესია უხვადაა მორთული ქვაზე კვეთილობით, ხატებით (მათ შორისაა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის მიერ დაწერილი წმ. სამების ხატიც). ტაძრის საძირკვლის კურთხევის ცერემონიალზე საძირკველს ჩააყოლეს წმინდა ადგილებიდან ჩამოტანილი სიწმინდეები, მაგ., მდინარე იორდანეს ქვა, მიწა იერუსალიმის წმ. ჯვრის ქართველთა მონასტრიდან, გოლგოთისა და თაბორის მთიდან წამოღებული მიწა, ბაგრატიონთა სამეფო ტახტის ნაწილი სვეტიცხოვლიდან, წმინდანთა საფლავებიდან და საქართველოს სხვადასხვა მონასტრებიდან ჩამოტანილი ქვები და მიწა. ძველი ტრადიციის დაცვით საძირკველში ჩადეს ოქროს მონეტებიც. ტაძრის ირგვ-



სურ. 3.157.8. სამრეკლო

ლივ უზარმაზარი სივრცე იშლება. ეზოში დგას სამრეკლო (სურ. 3.157.8. სამრეკლო), წმ. ელიას ეკლესია, მამათა მონასტერი და სხვა ნაგებობები. ტაძარი თბილისის მრავალი წერტილიდან ჩანს.

3.158. სურამის კვირაცხოვლის ტაძარი (ინგლ. Surami Kviratskhoveli Church) – თანამედროვე ქართული ხუროთმოძღვრების ულამაზესი ძეგლი, კვირაცხოვლის სახელობის ტაძარი (სურ. 3.158.1). მდებარეობს ქართლში, ხაშურის მუნიციპალიტეტში, დაბა სურამში, დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს დამაკავშირებელი საავტომობილო გზის გვერდით, შემაღლებულ ბორცვზე, იმ ადგილას, სადაც უწინ ეკლესია ყოფილა. აგებულია 1998 წელს ქტიტორების – ვალერი გელაშვილისა და ბეითან ნოზაძის თანადგომით. არქიტექტორი – არჩილ მინდიაშვილი. კვირაცხოვლის გუმბათიანი ტაძარი სულიერ დარაჯად ადგას სურამს და სამართლიანად ითვლება თანამედროვე ქართული ხუროთმოძღვრების უმშვენიერეს ძეგლად.




სურ. 3.158.1. პანორამული ხედი

XXI საუკუნე

3.159. ბოლნისის მამათა მონასტერი – ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, ბოლნისის ელიას მთის წმ. პეტრე და პავლე მოციქულთა სახელობის მამათა მონასტერი (სურ. 3.159.1). მდებარეობს ბოლნისის ცენტრიდან 2 კილომეტრში – ბოლნისის სიონისკენ მიმავალ გზაზე. კომპლექსში შემავალი ნაგებობებია: მამათა მონასტერი, სამრეკლო, სატრაპეზო, მარანი.

მშენებლობა მიმდინარეობდა 2008-2015 წლებში. ეკლესია, კვარცხლბეკივით ამაღლებულ მთაზეა აგებული. გადმოცემით, ამ ადგილს წმინდა ელიას მთას ეძახდნენ. აქ ოდითგანვე ტაძარი იდგა, რომელიც წმინდა პეტრე და პავლე მოციქულების სახელობის ყოფილა. ბოლნელი ეპისკოპოსის მეუფე ეფრემის (გამრეკელიძე) ლოცვა-კურთევით, ნატაძრალზე აიგო ეკლესია მოციქულების სახელზე და აქვე დაფუძნდა მამათა მონასტერი.



სურ. 3.159.1. საერთო ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან

გასულ საუკუნეში, ბოლნისში მცხოვრები ბერძნები აღნიშნავდნენ აქ პეტრე-პავლობის დღესასწაულს. მათი საქართველოდან წასვლის შემდეგ შეწყდა ხალხის მსვლელობაც და ღვთისმსახურებაც. ტაძარიც ნანგრევებად იქცა. მხოლოდ დარჩენილი ბერძენი და, ნაწილობრივ ქართველი, მოსახლეობა ანთებდა სანთლებს და საკლავს კლავდა. ამას ხელს უწყობდა ამ ადგილის მდებარეობა. აქედან ბოლნისის შემოგარენის საუკეთესო ხედები იშლება.

ტაძრის მშენებლობის დროს ბოლნისიდან ყოველდღიურად ამოდიოდა ხალხი და მონაწილეობას ღებულობდა ამ საღვთო საქმეში. მშენებლობამ ბევრი ადამიანი მოაბრუნა სარწმუნოებისკენ და განაცდევინა ის სულისკვეთება, რითაც ჩვენი წინაპრები სალოცავებს აშენებდნენ.

ბოლნისის მამათა მონასტრის კომპლექსი ორ დონეზეა განლაგებული. ირგვლივ მას ორმაგი გალავანი აქვს შემორტყმული. ქვედა ტერასა სამეურნეო და საცხოვრებელ ნაგებობებს უკავიათ, ხოლო ზედაზე საკუთრივ ტაძარი და სამრეკლოა განთავსებული. პეტრე და პავლე მოციქულების სახელობის ეკლესია თავისებურად საინტერესო ნაგებობაა. გეგმით მართკუთხა მოხაზულობის ტრადიციული ჯვარგუმბათოვანი ტაძარი სამსაფეხურიან ცოკოლზეა აღმართული. შესასვლელი სამხრეთი და დასავლეთი მხრიდან მიშენებული კარიბჭეებიდან აქვს. აქ ყურადღებას იქცევს ტაძრის გუმბათი. მაღლა ატყორცნილ ჯვრის მკლავებს ტრადიციული, გარედან წახნაგოვანი გუმბათის ყელის ნაცვლად ცილინდრული ფორმის გუმბათის ყელი აგვირგვინებს, რაც იშვიათია ქართული ხუროთმოძღვრებისთვის (უფრო გვიანი შუასაუკუნეების რამდენიმე ძეგლში გვხვდება). გუმბათის ყელი გარედან თითქოს შეკრულია ორი ერთლილვიანი სარტყლით – ერთი მაღლა, კარნიზის ქვეშ, ხოლო მეორე ყელის ძირში. სხვა, უახლესი დროის საეკლესიო ნაგებობებისგან ბოლნისის პეტრე-პავლეს ეკლესიას ფასადთა თავისებური მხატვრული გადაწყვეტაც გამოარჩევს. არქიტექტორს თითქოს სურდა გადმოეცა მთელი ერის უშუალო მონაწილეობა მშენებლობაში და ტაძარი საგანგებოდ არათანაბარი ზომისა და ფორმის, უხეშად დამუშავებული, სხვადასხვა ფერის ქვით ააგო. ნახვისას ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ეკლესიის ფასადები ხალხის ხელით სათითაოდ მიტანილი ქვითაა შემოსილი. ასეთი კედლების ფონზე უჩვეულოდ, თეთრი ლაქებივით გამოიყურება სუფთად გათლილი ღია ფერის ქვისგან გაკეთებული სარკმელთა საპირეები, კარიბჭეების თაღები, რელიეფურ ჯვრებიანი ფილები, ტაძრის სადა კარნიზები. სამშენებლო მასალისა და არქიტექტურული ელემენტების ასეთი თამამი შეხამებით ეკლესიის მშენებელმა შექმნა ფასადთა თავისებური, სხვებისგან გამორჩეული მხატვრული სახე. ტაძრის ინტერიერი გუმბათის ყელსა და ოთხივე ფასადზე გაჭრილი სარკმლებით ნათდება. აქედან, აღმოსავლეთ და დასავლეთ ფასადებზე სამ-სამი, ხოლო სამხრეთსა და ჩრდილოეთზე სრულიად სადა საპირით მოჩარჩოებული თითო-თითო ვიწრო და მაღალი თაღოვანი სარკმელია გაკეთებული. ანალოგიური ღიობები აქვს გუმბათის ყელსაც. უნდა აღინიშნოს, რომ სარკმელთა ამგვარი განთავსება და ფორმაც ასევე გვიანი შუასაუკუნეების ხუროთმოძღვრული ძეგლებისთვისაა დამახასიათებელი. ტაძრის აღმოსავლეთი და დასავლეთი ფასადების მნიშვნელობა, სამ-სამი სარკმლის გარდა, კედლის წყობაში ჩართული სუფთად გათლილი კვადრატული ფორმის ღია ფერის ქვითაცაა ხაზგასმული, რომელზეც განედლებული რელიეფური ჯვრებია გამოკვეთილი. ინტერიერში ყურადღებას იქცევს აფსიდის მოხატულობა. ტაძრის საკურთხეველი მოხატა ხატმწერმა მიქაელ ღოღობერიძემ.




სურ. 3.159.2. ძველი ქართული სამშრიანი კერამიკულ ნაკეთობის ფრაგმენტი: 1-კერამიკა, 2-გამომწვარი თიხა; წმ. პეტრე და პავლე მოციქულთა სახელობის მამათა მონასტრის ეზო, ქ. ბოლნისის მახლობლად, საქართველო


2017 წლის ზაფხულში, დამოუკიდებელმა მკვლევარ-დიზაინერმა კახაბერ ხმელიძემ ახლადაშენებული ტაძრის ეზოში, აღმოაჩინა უძველესი სამშრიანი (კომპოზიტური) კერამიკული ნაკეთობის ნარჩენები (სურ. 3.159.2). ნაკეთობა წარმოადგენს თანამედროვე კლასიკური კომპოზიტური სამფენიანი კონსტრუქციის სახეობას, რომლის გარე შრეები გამომწვარი თიხისაა, ხოლო შუა კერამიკული შრის დანიშნულება, ალბათ, ნაკეთობის სიმტკიცის

გაზრდა იყო. ნაპოვნი ექსპონატის მრუდი ფორმა გვაფიქრებინებს, რომ ეს მასალა გამოიყენებოდა დიდი ტევადობის ქვევრების დასამზადებლად. კარგი იქნება, თუ შესაბამისი დარგის მკვლევარები გარკვეულ დროს დაუთმობენ აღნიშნულ ფაქტს, შეისწავლიან ნაკეთობას და ექსპერიმენტული კვლევების საფუძველზე დაადგენენ მის ასაკს. დიდია ალბათობა იმისა, რომ ექსპონატის ადგილი საქართველოს რომელიმე მუზეუმი გახდეს.

3.160. რუსთავის სიონი (ინგლ. Rustavi Sioni) – ქართული ხუროთმოძღვრების უახლესი ძეგლი, რუსთავის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის მართლმადიდებლური ტაძარი (სურ. 3.160.1). მდებარეობს ქვემო ქართლის მხარეში, ქ. რუსთავში. აიგო 2011 წელს ქ. რუსთავში (პროექტის ავტორები: დეკანოზი ბ. მენაბდე, ნ. აბაშიძე და ნ. დადიანი; ქტიტორი თამაზ გველუკაშვილი). ტაძარი აშენებულია ძველი სამშენებლო ტექნოლოგიების გამოყენებით – ქვითა და კირით, ცემენტისა და არმატურის გარეშე. ნაგებობის არქიტექტურაში შერწყმულია თავისუფალი ჯვრისა და მრგვალი ტაძრის მახასიათებლები. ტაძრის სიმაღლეა 19 მ. საძირკველი მოწყობილია ბაზალტის ქვის კვადრების 1 მ სისქის ბალასტის ბალიშზე. შემკვრელია კეცის ქვიშაზე მომზადებული მაღალი სიმტკიცის ჰიდრავლური კირდუღაბი. ქვების ჰორიზონტალური ბმებისთვის გამოყენებულია, როგორც წყობაში კეტვის პრინციპი, ასევე ე.წ. „გამერები“ (ქვაში ამოკვეთილ ფოსოებსა და ღარებში ჩასხმულ გამდნარ ტყვიაში ჩაძირული ლითონის ჩანგლები). ტაძრის პერანგის ქვად ძირითადად გამოყენებულია ხეკორძულა-ნიჩბისის მოლურჯო-მოყვითალო შეფერილობის ქვიშაქვა. ეს სწორედ ის ხვლიკისფერი ქვაა, რომლითაც თავის დროზე სვეტიცხოველი და ანჩისხატის ბაზილიკა ააშენეს. კარიერიდან მოტანილი ქვის ლოდები ხელით იქნა გათლილი, მოჩუქურთმებული (სურ. 3.160.2 - სურ. 3.160.6) და დამონტაჟებული. XII-XIII საუკუნეების ტაძრების მსგავსად ინტერიერი აგურით ამოიყვანეს, რის შემდეგაც კედლები თლილი ქვით მოაპირკეთეს. ზედაპირის ფერადოვნებისათვის გამოიყენეს საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან შემოტანილი ქვები: თეძმისა და თეთრი წყაროს მომწვანო და მოყვითალო ტუფი, დმანისისა და ახალქალაქის შინდისფერი და მოწითალო პემზატუფი. სარკმლებში ჩამონტაჟებულია ბოლნისის მწვანე ტუფში გამოთლილი ორნამენტული ჭვირული, რომელიც მზის სხივს ფანტავს და ტაძარში განფენილ სინათლეს წარმოქმნის. სახურავის საბურვლად გამოყენებულია ლორფინი (ქვის კრამიტი), რომელიც მარნეულის ბაზალტისა და ყაზბეგის ანდეზიტ-დაციტის ლოდებიდან იქნა გათლილი.



სურ. 3.160.1. საერთო ხედი



სურ. 3.160.2. აღმოსავლეთის მთავარი აფსიდის ფასადის მორთულობა

რუსთავის სიონის მშენებლობაში გამოყენებულია შუა საუკუნეების საქართველოს საუკეთესო ტაძრების (ნიკორწმინდა, ფიტარეთი, გელათი, ქვათახევი, ბანა, ოშკი, ხახული, სვეტიცხოველი, სამთავრო, ჰუჯაბი, დმანისი, ბოლნისი და სხვ.) არქიტექტურა და სამშენებლო გამოცდილება. ტაძრის გეგმარებაა თავისუფალი ჯვარი, რომელსაც აქვს წრიული გარშემო-

სავლელი, რაც აადვილებს ტაძრის ლიტურგიულ გარშემოვლას. ასეთი სტილის ტაძარი საქართველოში პირველად აშენდა. მრგვალი ტაძრისა და თავისუფალი ჯვრის შერწყმამ წარმოქმნა ტაძრის გარშემოსავლელი უბეებით, ასე რომ, აქ შემოსულ ადამიანს თავისუფლად შეუძლია სწრაფად მოილოცოს და ისე გავიდეს ტაძრიდან, რომ წირვა-ლოცვას ხელი არ შეუშალოს და მრევლი არ დააბრკოლოს.




სურ. 3.160.3. ჩუქურთმა



სურ. 3.160.4. ჩუქურთმა



სურ. 3.160.5. ჩუქურთმა



სურ. 3.160.6. გუმბათის ყელი

3.161. ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძარი (ინგლ. Icon Cathedral of the Virgin of Iveria) – ქართული ხუროთმოძღვრების უახლესი ძეგლი, კათედრალური ტაძარი (სურ. 3.161. 1). მდებარეობს ქ. თბილისში, მახათას მთაზე. კომპლექსში შემავალი ნაგებობებია: მთავარი ტაძარი, კარიბჭე სამრეკლოთი, წყალკურთხევის პავილიონი, მღვდელმსახურთა სახლი, საპატრიარქო რეზიდენცია, მონასტრის ეკლესია, სატრაპეზო, მომლოცველთა სასტუმრო, ბერების სენაკები, სამეურნეო სათავსები, ქვაზე და ხეზე კვეთის, ხატწერისა და საოქრომჭედლო სახელოსნოები, ღვთისმშობლის მუზეუმი და სხვადასხვა დამხმარე შენობა-ნაგებობანი.

მთავარი კათედრალური ტაძარი ნაწილია სამონასტრო კომპლექსისა, რომლის მშენებლობა მახათას მთაზე 2002 წელს დაიწყო და პირველი ნაგებობა – იოანე, ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების სახელობის სამონასტრო ეკლესია 2006 წელს აიგო. კათედრალის მშენებლობისთვის 2010 წელს შეიქმნა ფონდი „ივერიისა“ (ხელმძღვანელი პაატა ბურჭულაძე, დირექტორი გურამ ახალაია, მენეჯერი ირაკლი ქვარაია), რომლის შემოსავლის წყარო მოქალაქეთა შემოწირულობები იყო (მშენებლობის დაფინანსებაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს მილიონზე მეტმა მოქალაქემ). ტაძრის საძირკვლის კურთხევა მოხდა 2011 წლის 21

სექტემბერს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის მიერ, ხოლო მშენებლობა დაიწყო 2012 წლის 17 აპრილს და დამთავრდა 2018 წლის ბოლოს (არქიტექტორი ომარ ნაფეტვარიძე).



სურ. 3.161.1. საერთო ხედი

ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრების ტრადიციების გათვალისწინებით აგებული გუმბათოვანი ტაძარი, სიდიდით მეორეა საქართველოში (წმინდა სამების საკათედრო ტაძრის შემდეგ). მისი სიმაღლეა 51 მ, მაქსიმალური ზომები გეგმაში – 60,0x34,0 მ, შიდა ფართობი – 1250 მ^2. ტაძრის ბუნებრივი განათებისთვის გამოყენებულია მრავალი სარკმელი. ჩვეულებრივზე მეტია მათი რაოდენობა გუმბათის ნაწილშიც, რაც ძალიან ნათელს ხდის ტაძარს. კათედრალის მშენებლობისათვის ძირითადად გამოყენებულია თანამედროვე რკინაბეტონის კონსტრუქციები.

12 მ დიამეტრის ოცწახნაგა გუმბათის ყელში განთავსებულია 20 სარკმელი (სურ. 3.161.2), რომლის მოჩუქურთმებული საპირეების ზედა თავები შეკრულია სარკმლებს შორის ამოყვანილ პილასტრებზე დაყრდნობილი უწყვეტი თაღედით. თაღებს შორის ჩასმულია დეკორატიული კოპები, ხოლო მათ ზევით – ლილვები, რომლებიც ერთიანობაში ქმნიან გუმბათის ყელის უმშვენიერეს შუბლს. გუმბათს აგვირგვინებს მოოქროვილი ჯვარი, რომელიც ყველაზე დიდია საქართველოში აქამდე ჩამოსხმულებს შორის (მისი წონა 3000 კგ-ზე მეტს შეადგენს).



სურ. 3.161.2. გუმბათის ყელი

არქიტექტორ ომარ ნაფეტვარიძის მიერ დამუშავებულ იქნა ტაძრის ჯვრის სრულიად ახლებური მხატვრულ-კონსტრუქციული გადაწყვეტა. თავისი ფორმით ის განსხვავდება სხვა ჯვრებისგან. კომპოზიციციის ცენტრს ქმნის დიდი წრე, რომლის გარშემოც განლაგებულ მკლავებში სხვადასხვა ზომის მომცრო წრეებია ჩასმული და სამ-სამი წაგრძელებული ფორმის ფურცლით სრულდება. ამავე დროს, სხვადასხვა ფორმისა და ზომის წრეების გამოყენებით, სილამაზისა და ორიგინალურობის გარდა, მიღწეულ იქნა საერთო წონისა და მაზე მოქმედი ქარის დატვირთვის ზემოქმედების საგრძნობი შემცირება. ამან, თავის მხრივ, შეამსუბუქა კონსტრუქცია და ხელი შეუწყო მისი მდგრადობის ამაღლებას. ჯვრის დამაბოლოებელი მცენარეული ორნამენტის ტალღოვანი მოხაზულობა, დიდი და პატარა წრეების დინამიური მონაცვლეობა მსუბუქ, დახვეწილ იერს ანიჭებს მთელ მოცულობით-დეკორაციულ კომპოზიციას და ჯვრის გამორჩეულ მხატვრულ სახეს ქმნის (ჯვარი ჩამოისხა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ უსასყიდლოდ გადაცემული თითბერის გასროლილი საარტილერიო ჭურვების მასრების გადადნობის გზით).

აღსანიშნავია, რომ ტაძრის ყველა მორთულობას, კონუსურ გუმბათთან და 5,1 მ სიმაღლის დამაგვირგვინებელ ჯვართან ერთად, კათედრალის არქიტექტურაში საოცარი სიმსუბუქე შემოაქვს და მნახველში ცად ამაღლების მშვენიერების განწყობილებას ქმნის. აქვე უნდა ითქვას, რომ კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით გუმბათზე ჯვარი 2015 წლის 21 სექტემბერს, ღვთისმშობლის შობის დღეს დაიდგა. ჯვრის აღმართვისას, ათასობით ადამიანის თვალწინ, საოცარი მოვლენა მოხდა – ცაზე ღრუბლებისგან გამოისახა დიდი ჯვარი (სურ. 3.161.11), რომელიც მხოლოდ ტაძრის თავზე ჯვრის ჩამაგრების შემდეგ გაქრა.



სურ. 3.161.3. ფასადის მორთულობა



სურ. 3.161.4. ფასადის მორთულობა



სურ. 3.161.5. აღმოსავლეთის ნიშას დეკორატიული მორთულობა



სურ. 3.161.6. აღმოსავლეთის ნიშას დეკორატიული მორთულობა

ტაძარი მთლიანად მოპირკეთებულია ბოლნისის ტუფის ქვით, ხოლო ბაზისი და ცოკოლი – ყაზბეგის მწვანე ფერის დიაბაზის ქვით. ტაძრის ოთხივე ფასადს ამშვენებს ბოლნისის ტუფის ქვისაგან დამზადებული მორთულობები ბარელიეფების, ტიმპანების, ჩუქურთმებისა და სხვა მხატვრულ-დეკორატიული ელემენტების სახით (სურ. 3.161.3 - სურ. 3.161.6).



სურ. 3.161.7. შესასვლელის ლითონის კარის მორთულობა



სურ. 3.161.8. შესასვლელის ლითონის კარის მორთულობა



სურ. 3.161.9. შესასვლელის ლითონის კარის სახელურები

საქართველოს ეკლესია-მონასტრების შესასვლელი კარი, ტრადიციულ გაფორმებასთან შედარებით, განსხვავებულად განხორციელდა (მოქანდაკე გია ჯაფარიძე), რაც გამოიხატება ლითონის კარის თითბრის ფურცლებით, რელიგიურ თემებზე შესრულებული თითბრის

სხმულებითა და თითბრისგან ჩამოსხმული ცალკეული დეტალებით შემოსვაში (სურ. 3.161.7; სურ. 3.161.8). ამასთან, განსაკუთრებით აღსანიშნავია კარის სახელურების გაფორმება ღვთისმშობლის მლოცველი ხელის მტევნების სახით, რომლებიც ასევე თითბრისაგან არის ჩამოსხმული და განსაკუთრებით შთამბეჭდავია ნატიფი ორნამენტებით შემკული ჩრდილოეთისა და სამხრეთის კარზე (სურ. 3.161.9).

ტაძრის შიდა მხატვრული გაფორმებისას, კერძოდ კანკელის (სურ. 3.161.10), ტრაპეზის, სამკვეთლოს, მაღალი დასაჯდომების, კიბეების, ამბიონის, იატაკის და სხვა დეტალების მოსაწყობად გამოყენებულია იტალიური (კარარას კარიერი) და სალიეთის მარმარილო. ტაძრის სახურავისათვის გამოყენებულია სპილენძის თხელი ფურცლები.

ტაძარი ერთი მხრივ აგრძელებს ქართული ხუროთმოძღვრებისთვის დამახასიათებელ საკურთხევლის გამართვის ტრადიციას, მაგრამ ამავე დროს, საკურთხევლის ცალკეული ელემენტების მხატვრული გაფორმების მხრივ ერთ-ერთი გამორჩეულია საქართველოში.




სურ. 3.161.10. კანკელი და ტრაპეზი

კარარას თეთრი მარმარილოსაგან დამზადებული საკურთხევლის ერთ-ერთი ცენტრალური ელემენტი, ტრაპეზის მთლიანი ფილა ყველაზე დიდია საქართველოში. მისი ზომა შეადგენს 240 X 200 სმ, სისქე 16 სმ და თითქმის 2,5 ტონას იწონის. ტრაპეზის ოთხივე კუთხე რელიეფური ორნამენტებითა და ჯვრებითაა გაფორმებული (ეს ჯვრები ტაძრის გუმბათზე აღმართული ჯვრის გამოსახულებას იმეორებენ). ტრაპეზის ფილის მომრგვალებულ წიბოებს შორის, მის მთელ პერიმეტრზე ამოკვეთილია ღვთისმშობლის ლოცვა „მოწყალებისა კარი გაგვიღენ...“. იგი შესრულებულია ქვაზე კვეთის ცნობილი ოსტატის პაატა გიგაურის მიერ. რელიეფური წარწერა ფურცლოვანი ოქროთია დაფარული, რაც ტრაპეზს განსაკუთრებით მდიდრულ იერს ანიჭებს.

საკურთხევლის შემადგენელ ელემენტებს შორის, თავისი მხატვრულ-არქიტექტურული გადაწყვეტით, გამორჩეული ადგილი უჭირავს აღსავლის კარს. თავად კარი ლითონის კარკასზე გადაკრული კაკლის მერქნის შეწებებული ფიცრებისგანაა დამზადებული, რაც გამორიცხავს მათ დეფორმაციას და ბზარების გაჩენას. საინტერესოა აღსავლის კარის მხატვრული გაფორმება ინტერიერისა და საკურთხევლის მხრიდან.

საკურთხევლისკენ მიმართულ პირზე ხეში ამოკვეთილია მთავარანგელოზების და 12 მოციქულის გამოსახულება (შესრულებულია ხეზე ჭრის ოსტატის პაატა დევდარიანის მიერ). განსხვავებული შემკულობა აქვს კარს ნაოსის მხარეს. მხატვარმა დავით კაკაბაძემ ის მიკრომოზაიკით გააფორმა, რომელშიც ოქროსფერი ჭარბობს. აქ უხვადაა გამოყენებული ძვირფასი ქვის ჯიშებიც. კარის ორივე ფრთა მოვარაყებულია მაღალი სინჯის ვერცხლის ფურცლებით, რომელსაც მთლიანად ფარავს ნატიფი ორნამენტები (ოქრომჭედელი ზ. ჩიქვინიძე). აღსანიშნავია, რომ ტაძრის მხრიდან ეს ფურცლები მოოქროვილია, ხოლო საკურთხევლისკენ შენარჩუნებულია და ძალზე ეფექტურია მისი ბუნებრივი შეფერილობა.



სურ. 3.161.11. ცაზე გამოსახული ჯვარი

მარმარილოს კანკელის ოთხივე თაღოვანი სივრცე ხატებითაა შევსებული (მხატვარი თეიმურაზ ჯაფარიძე). კანონიკური წესის მიხედვით, აღსავლის კარის მარცხნივ მოთავსებულია ღვთისმშობლის ხატი, მის გვერდით წმინდა ნინოს გამოსახულებაა. კარის მარჯვენა მხარეს, მაცხოვრის ხატია, რომლის შემდეგ, დადგენილი წესით, იმ წმინდანის გამოსახულება უნდა

იყოს, რომლის სახელზეც არის აგებული ტაძარი. ვინაიდან ეკლესია ღვთისმშობლის ხატის სახელობისაა, მისი ხატის არსებობის გამო, მაცხოვრის შემდეგ კანკელზე ანდრია პირველწოდებულის ხატია განთავსებული.

ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ ეკლესიის ყველა ჯვარი და ზარი ჩამოსხმულია საქართველოში თითბრისგან. ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრის მშენებლობისას ერთ-ერთი მთავარი პირობა იყო, რომ კომპლექსისთვის განკუთვნილი 5 ზარი აუცილებლად საქართველოში, ქართველ ოსტატთა მიერ უნდა ყოფილიყო დამზადებული. მამა-შვილმა ოლეგ და პაატა გელაშვილებმა ჩამოასხეს ზარები, რომელთა შორის ყველაზე დიდის წონაა 3 ტ., ენა - 120 კგ., სიმაღლე - 1,8 მ., დიამეტრი 1,5 მ. ის უდიდესია საქართველოში ჩამოსხმულ ზარებს შორის. დანარჩენი ზარები 1600, 800, 400 და 200 კგ-ს იწონიან. მასალად აქაც თითბერია გამოყენებული, რომელიც (გუმბათის ჯვრის მსგავსად) ზარბაზნების გაროლილი ჭურვების მასრების გადადნობითაა მიღებული და მაღალი სიწმინდით, დიდი სიმტკიცით და მეტი დრეკადობით (ბრინჯაოსთან შედარებით) გამოირჩევა. ამავე დროს, მისი ხმის ჟღერადობა უფრო სუფთა და ძლიერია.

ტაძარი ეკურთხა 2019 წლის 12 მაისს. საქართველოს საპატრიარქომ ეს დღე გამოაცხადა ღვთისმშობლის წილხვდომილობის დღედ, რაც უდიდესი მოვლენაა საქართველოს ისტორიაში. მახათას მთის ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძარი არის ქართველი ხალხის საჩუქარი ღვთისმშობლისადმი და მისი დიდი ღვაწლის აღიარება.

თავი 4. ქართული საერო ხუროთმოძღვრების მნიშვნელოვანი ძეგლები

4.1. იყალთოს აკადემია (ინგლ. Ikalto Academy) – XI-XII საუკუნეების ქართული უმაღლესი სასწავლებელი. მდებარეობდა კახეთის მხარეში, თელავის მუნიციპალიტეტში, გომბორის ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთ კალთაზე, სოფელ იყალთოში, იყალთოს სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიაზე (იხ. [3], ტ. II, იყალთოს მონასტერი, სურ. 4.1.1 - სურ. 4.1.4). ეს კომპლექსი VI საუკუნეში დააარსა 13 ასურელ მამათაგან ერთ-ერთმა ზენონმა (ზენონ იყალთოელი). მან აქვე დაიწყო ჯვარ-გუმბათოვანი ეკლესიის მშენებლობა და მთელი სიცოცხლე ქართველთა საგანმანათლებლო საქმიანობას ეწეოდა. შემდეგში ზენონის მიერ აგებული ტაძრის ადგილას ღვთაების (ფერისცვალების) ეკლესია აშენდა (VIII-IX საუკუნეების მიჯნაზე), მოგვიანებით კი ყველაწმინდის ერთნავიანი და სამების მცირე ეკლესიები (XII-XIII საუკუნეები), რომლებიც ერთ სამონასტრო კომპლექსში გაერთიანდა. ამჟამად მონასტრის ეზოში შემორჩენილია სხვადასხვა ნაგებობები, მათ შორის იყალთოს აკადემიისა და სატრაპეზოს ნანგრევებიც.



სურ. 4.1.1. აკადემიის ნაშთი

აკადემია ეკლესიების სამხრეთით, მონასტრის ახლანდელი ზღუდის სიახლოვეს მდებარეობს. ნაგებობა ნანგრევების სახითაა შემორჩენილი, სართულშუა გადახურვისა და სახურავის გარეშე. ეს იყო სამი შენობისგან შემდგარი კომპლექსი, რომელშიც, საკუთრივ აკადემიის გარდა, საწნახელი და აკადემიის მსგავსი დარბაზი შედიოდა (ძეგლის შეწავლამ გამოავლინა, რომ კომპლექსის ყველაზე ადრინდელი საწნახელია, შემდეგ უნდა იყოს აგებული დარბაზი და ბოლოს აკადემია). ნაგებობა პროპორციებისა და ზომის წყალობით საზეიმო და დიდებულ შთაბეჭდილებას ტოვებს. შენობის სიგრძე დაახლოებით 50 მ-მდე, ხოლო სიგანე 11 მეტრი იყო (სურ. 4.1.1 - სურ. 4.1.3). მთლიანად რიყის ქვით ნაგები აკადემიის შენობის პირველი სართული ორი ოთახისგან შედგება, მეორე სართული კი ერთი მთლიანი დარბაზია (24,5x9,0 მ), რომელიც, სავარაუდოდ, იმ დროის სწავლულ კაცთა შეკრების ადგილი იყო. გარედან აკადემიის დიდი ორსართულიანი კორპუსი აღმოსავლეთით და დასავლეთით ფრონტონებს ქმნიდნენ. აღმოსავლეთი ფასადის მნიშვნელოვანი ელემენტი ორი უზარმაზარი შეწყვილებული თაღოვანი სარკმელია, მათ შორის ჩასმული რვაწახნაგა სვეტით.



სურ. 4.1.2. აკადემიის ნაშთი

ძეგლის არქიტექტურულ-მხატვრული ანალიზის საფუძველზე აკადემიკოსი გ. ჩუბინაშვილი მიიჩნევს, რომ აკადემია VIII-IX საუკუნეების კახეთის ფეოდალურ სასახლეებს ენათესავება და აგებულიც მაშინ უნდა იყოს.

სოფელ იყალთოსა და მის შემოგარენში 70-ზე მეტი ეკლესია და ეკლესიის ნაშთია დაფიქსირებული, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ამ ადგილზე მნიშვნელოვანი კულტურული და საგანმანათლებლო ცენტრი ყალიბდებოდა. ისტორიული წყაროების მიხედვით, იყალთოს აკადემია IX საუკუნეში დაარსდა, მაგრამ არაბთა ბატონობის გამო არსებობა მალევე შეწყვიტა.

მხოლოდ XII საუკუნეში განაახლა ფუნქციონირება, როცა იყალთოში საქართველოს დიდი მეფის (1089-1125 წწ.) დავით აღმაშენებლის სახელმწიფო კარის მრჩეველი, სასულიერო მოღვაწე, მწერალი, ფილოსოფოსი და ჰიმნოგრაფი არსენ იყალთოელი (მაყაშვილი) ჩავიდა (მანამდე გელათის აკადემიაში მოღვაწეობდა). 1114-1120 წლებიდან აკადემიამ მუშაობა განაახლა მისი პირველი რექტორის არსენ იყალთოელის ხელმძღვანელობით. აქ ძირითადად ტრივიუმ-კვადრივიუმის ციკლის საგნებს (ღვთისმეტყველება, რიტორიკა, ასტრონომია, ფილოსოფია, გეოგრაფის, გეომეტრია, გალობა) ასწავლიდნენ. ისწავლებოდა აგრეთვე მჭედლობა, კერამიკა ("მეკეცეობა") და მევენახეობა-მეღვინეობა.



სურ. 4.1.3. აკადემიის ნანგრევების პანორამული ხედი

იყალთოს მონასტრის ტერიტორიის არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილ იქნა ფირუზისფერი კრამიტი (ასეთები მხოლოდ ეკლესია-მონასტრებთან გვხვდება), საჭურჭლე ქარხანა (მდებარეობს მონასტრის გარეთ), სამჭედლო ბუხრით, ხოლო ახლახან მონასტრის ეზოში მიაკვლიეს ზენონ და არსენ იყალთოელების სამარხებს.

საქართველოში განათლება და მეცნიერება სახელმწიფო პოლიტიკის რანგამდე იყო აყვანილი. ქართველი მეფეებიც დიდ ყურადღებას აქცევდნენ განათლების საკითს და აკადემია ერთ-ერთი ასეთი ცენტრი იყო, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ემსახურებოდა ქვეუნის წინსვლას. აკადემიამ მხოლოდ 1616 წლიდან შეწყვიტა არსებობა ირანის მმართველის შაჰ-აბასის შემოსევის შედეგად, როცა ხანძარმა მთლიანდ გაანადგურა მონასტერი.

4.2. ბატონის ციხე (ინგლ. Lord's Castle) – გვიანდელი ფეოდალური ხანის ქართული საერო ხუროთმოძღვრების კულტურული მემკვიდრეობის ღირსშესანიშნავი ძეგლი, მეფე ერეკლეს სასახლე. მდებარეობს კახეთის მხარეში, ქ. თელავის ცენტრში. კომპლექსში შემავალი ნაგებობებია: კახეთის მეფეთა სასახლე, ერეკლე მეორის კარის ეკლესია, არჩილ მეფის კარის ეკლესია, გალავანი, აბანო, გვირაბი.



სურ. 4.2.1. საერთო ხედი. აღმოსავლეთის კარიბჭე

ისტორიული წყაროების მიხედვით გაერთიანებული კახეთ-ჰერეთის პირველმა მეფემ კვირიკე დიდმა (1010-1037 წწ.) ქალაქ თელავში ააგო სასახლე და იგი სატახტო ქალაქად აქცია. არსებული ბატონის ციხის არქიტექტურული კომპლექსი, ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, XVII საუკუნის 60-იანი წლების მიწურულს აუშენებია იმერეთის (1661-1663 წწ.), კახეთის (1664-1675 წწ.) და კვლავ იმერეთის 1678-1679, 1690-1691, 1695-1696 და 1698 წწ.) მეფეს არჩილ II (შაჰნაზარ ხანი). მშენებლობის პირველ ეტაპზე აგებული იყო აღმოსავლეთის კარიბჭე (სურ. 4.2.1), სასახლე (სურ. 4.2.2), არჩილის კარის ეკლესია (სურ. 4.2.3) და აბანო, ხოლო მეორე ეტაპზე (XVIII საუკუნის მეორე ნახევარი) – ერეკლე მეორის კარის ეკლესია (სურ. 4.2.4), გალავანი კუთხის მრგვალი კოშკებით (სურ. 4.2.5) და დასავლეთის კარიბჭე (სურ. 4.2.6). მკვლევარ თ. ალდამიძის მოსაზრებით სასახლის მშენებლობაში დიდი ღვაწლი მიუ-

ძღვის კახეთის მუსულმან გამგებელს დავით იმამყულიხანს (ერეკლე I-ის შვილი), რაზეც მიუთითებს სასახლის არქიტექურაში სპარსული მოტივების სიუხვე.



სურ. 4.2.2. სასახლე

ციხის გალავანი (აგებულია მეფე ერეკლე II-ის მიერ 1753 წელს) გეგმაში წაგრძელებული უწესო მართკუთხედის ფორმისაა და მშენებლობაში გამოყენებულია შუა საუკუნეებში კახეთის არქიტექტურისათვის დამახასიათებელი რიყის ქვა და კირის დუღაბი. იგი 3 ჰექტრამდე ფართობს შემოზღუდავს. კომპლექსის გალავანი ჩრდილოეთის მხარეს ფერდობს მიუყვება და შედარებით დაბალია. დანარჩენი სამი მხარე ვაკეზეა გაშენებული, ამიტომ აქ კედლის სიმაღლე ზოგიერთ ადგილას 10-12 მეტრს აღწევს. მაღალ მრგვალქონგურებიან კედლებს სათოფურები აქვს დატანებული, ხოლო ეზოს მხრიდან ბილიკია მოწყობილი. ამავე ხაზზეა განლაგებული სათოფეები და სალოდეები. ზღუდის კუთხეში ოთხი მრგვალი – ორ- და სამსართულიანი კოშკებია განთავსებული. გალავანი სწორი კუთხეებით ფარგლავს სივრცეს, მაგრამ სამხრეთის შუა ნაწილი მრგვალი ბურჯებით, საზარბაზნე ბაქანითა და სასროლი ხვრელებით კედლის საერთო ფრონტიდან წინ არის გამოწეული, რათა ამ მხრიდან მომდგარი მტრის მოქმედებისათვის ედევნებინათ თვალი.



სურ. 4.2.3. არჩილ მეფის კარის ეკლესია

„ბატონის ციხის“ ტერიტორია ორ არათანაბარ, დასავლეთის და აღმოსავლეთის ნაწილად ყოფილა გაყოფილი. ეს მდგომარეობა შენარჩუნებულია დღესაც, მაგრამ გამყოფი გალავანი განახლებულია. დასავლეთის ვრცელი მონაკვეთი (მისი ფართობი 1,5 ჰექტარზე მეტია) სამეფო ანსამბლის არსებობაზე მიუთითებს, ხოლო აღმოსავლეთის მონაკვეთი შიდაციხეს წარმოადგენს (ფართობი 1 ჰექტარს აღემატება) ციხის ტერიტორიაზე მოხვედრა აღმოსავლეთისა და დასავლეთის კარიბჭეებიდან შეიძლებოდა, რომლებსაც თავდაცვითი ნაგებობების ფუნქციაც ჰქონდათ.

აღმოსავლეთის ორსართულიანი კარიბჭე დგას სამხრეთ-აღმოსავლეთის კოშკთან ახლოს. მის მეორე სართულზე გეგმით კვადრატული საცხოვრებელი ოთახია შეისრული კამაროვანი გადახურვით, ოთხივე მხარეს ფანჯრებით, სამხრეთის კედელში დატანებული ბუხრითა და აღმოსავლეთით მოწყობილი აივნით, რომელიც დაგვირგვინებული იყო თაღოვანი მაშიკულების რიგით (მისი ნაშთი იკითხებოდა კარნიზში). აღმოსავლეთ კარიბჭის არქიტექტურისა და გადამხურავი კონსტრუქციის სისტემის საფუძველზე ნაგებობა XVII საუკუნითაა დათარიღებული და არჩილის მოღვაწეობის პერიოდს განეკუთვნება. აღმოსავლეთის კარიბჭე არაერთხელ ყოფილა აღდგენილი და შეკეთებული (მაგ., XIX საუკუნის შეკეთების დროს ქვედა სართულის თაღი რუსული აგურით არის გამოყვანილი).



სურ. 4.2.4. ერეკლე მეფის კარის ეკლესია

დასავლეთის კარიბჭე გალავნის ცენტრში მდებარეობს. იგი ამ გალავნის საერთო სიბრტყიდან წინაც არის გამოტანილი და გალავანზე საგრძნობლად მაღალიცაა. კარიბჭე ორსართულიანია. პირველ სართულში კარია კამაროვანი გადახურვით (თავის დროზე აქ რკინის კარი ყოფილა შებმული), ხოლო ჩრდილოეთ და სამხრეთ მხარეს მეორე სართულზე ასასვლელი კიბეა გაკეთებული. ნაგებობის მეორე სართული ღია საბრძოლო ბაქანია, რომელიც სამი – სამხრეთის, დასავლეთის და ჩრდილოეთის მხარიდან მაღალი ქონგურებიანი კედლებით არის შემოზღუდული. მას ასევე სათოფურები და სალოდეები აქვს დატანებული. დასავლეთი კარიბჭის გარე ფასადი მდიდრულადაა დეკორირებული. შესასვლელის ისრისებური თაღის ორივე მხარეს, ორ იარუსად კედლის ნიშები და აგურის მართკუთხა ჩარჩოებში ჩაწერილი სახოვანი წყობაა მოთავსებული. ის ზღუდის ყველაზე ძლიერი მხატვრულ-დეკორაციული აქცენტია. კარიბჭე, მკვლევართა ვარაუდით, XVIII საუკუნეშია აგებული.



სურ. 4.2.5. გალავანი კუთხის კოშკებით

ბატონის ციხის არქიტექტურული კომპლექსი არა მხოლოდ მეფეთა საცხოვრებელი ანსამბლი იყო, არამედ მას დიდი სამხედრო დანიშნულებაც ჰქონდა - აღნიშნული ისტორიული გალავანი მეფე ერეკლეს დროს ქალაქს შემოსევებისაგან იცავდა და მოსახლეობისათვის მტკიცე თავდაცვით საშუალებას წარმოადგენდა.

„ბატონის ციხის“ ხუროთმოძღვრული კომპლექსის აღმოსავლეთი მონაკვეთის ცენტრალურ ნაწილში დგას კახთ მეფეთა ერთსართულიანი სასახლე, რომელიც კომპლექსში დამოუკიდებლად მდგარ ნაგებობას წარმოადგენს. სასახლე XVII საუკუნის 60-იან წლებში ააგო არჩილ მეფემ („ამან არჩილ ჰყო სასახლე თელავსა“ ვახუშტი ბატონიშვილი). ერეკლე II-მ ზოგი რამ შეცვალა XVIII საუკუნეში. სამწუხაროდ, XIX საუკუნის გადაკეთებებმა სასახლეს დაუკარგა თავდაპირველი სახე. სასახლე გეგმაში კვადრატს უახლოვდება. მასში განთავსებულია მართკუთხა, წაგრძელებული ვრცელი სააუდიენციო დარბაზი, რომელსაც გარს უვლის თავისებური გარშემოსავლელი. ნაგებობის ოთხივე კუთხეში მცირე კვადრატული ოთახებია განთავსებული. თელავის სასახლეს თავდაპირველად ექვსი ოთახი ჰქონდა, ამჟამად ხუთია შემორჩენილი. გადმოცემით, სასახლის სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხის ოთახში დაიბადა და გარდაიცვალა მეფე ერეკლე II.




სურ. 4.2.6. დასავლეთის კარიბჭე

სასახლის ძირითად ბირთვს წარმოადგენს „საელჩო დარბაზი“, რომლის სახეც XIX საუკუნის მხატვრის გრ. გაგარინი ნახატმა შემოგვინახა (სურ. 4.2.7). სასახლეში თვალშისაცემია ირანული არქიტექტურის გავლენა, რომელიც დამახასიათებელია იმ პერიოდის ქართული არქიტექტურისთვის.

დარბაზის ერთიანი ისრული კამარა საბჯენ თაღებზეა დაყრდნობილი. კარებების, ნიშებისა და სარკმლების მწკრივებით დანაწევრებული კედლები ორ რეგისტრადაა გაყოფილი. მალებს შუაზე კვეთს ჰორიზონტალური სარტყელი: ქვედა ნაწილში მართკუთხა გასასვლელები და ნიშებია, რომლებიც ზემოთ ისრულთაღებიანი სარკმლებით გრძელდება. ერთ-ერთი განივი კედლის წინ მდებარე მცირე სიღრმის ნიშში, როგორც ჩანს, იდგა მეფის ტახტი. დანარჩენ სამ კედელში თითო ფართო შესასვლელია, მათგან ერთი პირდაპირ ტახტის წინაა განთავსებული. სასახლის საცხოვრებელი ოთახები მაღალი, აზიდული პროპორ-

ციებით გამოირჩევიან. ინტერიერში არსებითია კედლის ნიშების როლი. ნაგებობის ყველა თაღი და კამარა შეისრული ფორმისაა. სავარაუდოდ, სხვა სასახლეების მსგავსი იქნებოდა თელავის სასახლის შიგა გამართულობის საერთო ხასიათი: სარკეები, ისლამური სახის ნაძერწი სამკაულები, ფერადოვანი კედლები, კარ-სარკმლების ფერადი მინები, ფარდები, ხალიჩები და სხვ. უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად გვიან შუა საუკუნეებში მომძლავრებული ირანული გავლენისა, ქართული ხუროთმოძღვრული აზროვნებისათვის სრულიად უჩვეულო და არადამახასიათებელია უცხოურის კალკირება. საერო არქიტექტურაში ქართველი ოსტატები გარდაქმნიდნენ უცხოეთიდან შემოჭრილ სტილს და „აქართულებდნენ“ მას, რაც სადგომების კვადრატულ გადაწყვეტასა და გვირგვინისებურად ამაღლებული კამარით გადახურვაში აისახებოდა.



სურ. 4.2.7. საელჩო დარბაზი



სურ. 4.2.8. ინტერიერი



სურ. 4.2.9. ინტერიერი

სამეფო კარის აბანო ციხის ტერიტორიას ორად გამყოფ კედელზე სამხრეთის გალავნის შეერთების კუთხეშია აშენებული. იგი სასახლიდან საკმაოდ მოშორებით დგას. აბანო სრულად არ არის ჩვენამდე მიღწეული – შემორჩენილია მხოლოდ საბანაო აუზი და საქვაბე. ის წყლიანი იატაკის ქვეშ მოწყობილი ღუმელით ცხელდებოდა. მოსახლეობა ამ აბანოს დღესაც ერეკლეს აბანოს უწოდებს.

ციხის ტერიტორიაზე არსებული ორი ეკლესიიდან ერთი არჩილის კარის ეკლესიაა (სურ. 4.2.3), თუმცა ის არჩილ მეფემდე ბევრად ადრე, X–XI საუკუნეებში ყოფილა აშენებული. მეორე ეკლესია, ერთნავიანი აფსიდიანი ნაგებობა (სურ. 4.2.4), კი შედარებით ახალია. ის აუშენებია 1758 წელს ერეკლე მეფეს ღვთისმშობლის მიძინების სახელზე. ფასადები შემკულია კედლის სიღრმეში ჩამჯდარი „გოლგოთის“ ჯვრებით. სახურავის ქვეშ სათოფურებიცაა მოწყობილი, რაც ამ ნაგებობის არა მარტო საკულტო, არამედ თავდაცვით დანიშნულებებზეც მეტყველებს.



სურ. 4.2.10. ინტერიერი

ბატონის ციხის არქიტექტურული კომპლექსი დროთა განმავლობაში სხვადასხვა სახის სარესტავრაციო-საკონსერვაციო და სარემონტო სამუშაოებს დაექვემდებარა. ამის მიუხედავად, ძეგლი, მცირედი სახესხვაობით, მის პირვანდელ სახეს (ავთენტურობას) ინარჩუნებს (სურ. 4.2.8 - სურ. 4.2.10).

ძეგლის ისტორიული წყაროებით გამყარებული დეტალური არქიტექტურული ანალიზის, მათი გეგმარებითი სტრუქტურის, მხატვრულ-კომპოზიციური ღირსებების, დროისა და მოთხოვნების შესაბამისი ნიშან-თვისებების, ნაგებობათა მშენებლობის ისტორიის მიმოხილვა გვარწმუნებს, რომ ბატონის ციხე დღემდე შემორჩენილი ერთადერთი სამეფო სასახლეა საქართველოში და ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის უაღრესად მნიშვნელოვან კულტურულ კერას წარმოადგენს.

4.3. ზუგდიდის დადიანების სასახლე (ინგლ. Zugdidi Dadiani Palace) – საქართველოს საერო ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ძეგლი, ზუგდიდის დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმი (სურ. 4.3.1). მდებარეობს დასავლეთ საქართველოში, სამეგრელოს მხარეში, ქ. ზუგდიდის ცენტრში. კომპლექსში შემავალი ნაგებობებია: დედოფლის სასახლე, ნიკო დადიანის სასახლე, კარის ეკლესია და ბოტანიკური ბაღი.



სურ. 4.3.1. საერთო ხედი



სურ. 4.3.2. სასახლის ხის ჭერის მოზაიკა

ეს ისტორიული სასახლე სამეგრელოს მთავრების, დადიანების რეზიდენცია იყო. პირველად სამთავრო რეზიდენცია ააგო ოდიშის მთავარმა ლევან II დადიანმა (1611-1657 წწ.), ხოლო ჩვენამდე მოღწეული კომპლექსის შემქმნელები არიან სამეგრელოს მთავრი დავით დადიანი (1813-1853 წწ.), მისი მეუღლე ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანისა (1816-1882 წწ.) და მათი ვაჟი ნიკო დადიანი. დედოფლისეული სასახლის რეკონსტრუქცია XIX საუკუნის 60-იან წწ-ში ჩაატარა გერმანელმა არქიტექტორმა რაისმა, რომელმაც გოტიკური სტილი გამოიყენა სასახლის განახლებისას, ხოლო ნიკო დადიანის ორსართულიანი სასახლე XIX ს-ის 80-იან წწ-ში ააგო რუსმა არქიტექტორმა ლეონიდ ვასილევმა. მან ტრადიციულ რუსულ ექსტერიერს ოსტატურად შეუხამა ქართული ინტერიერი და იმდროინდელი საქართველოსათვის სრულიად უჩვეულო არქიტექტურული ნიმუში მიიღო. სასახლეს ამშვენებს აივანი, რომელსაც უნიკალური ხის ჭერი აქვს, მის შესაქმენლად ათიათასამდე ხის პატარა დეტალია ხელით დამუშავებული და ასეა შექმნილი დაახლოებით ხუთმეტრიანი მოზაიკა, სადაც ცენტრალური ადგილი შვიდკუთხა გეომეტრიულ ფიგურას უჭირავს (სურ. 4.3.2). მთლიანად აივნის მოზაიკურ გაფორმებაში დაახლოებით 50 ათასამდე ხის პატარა ორნამენტია გამოყენებული, ზუსტად არ არის ცნობილი ვინ არის აივნის არქიტექტორი, თუმცა გადმოცემის მიხედვით, სამეგრელოს დედოფალს ეკატერინე ჭავჭავაძეს



სურ. 4.3.3. მუზეუმის ინტერიერი

აივნის გასაკეთებლად ლაზეთიდან საუკეთესო ოსტატები მოუწვევია და მათთვის მანამდე არნახული არქიტექტურული ნიმუშის შექმნა დაუვალებია. ყოველი დეტალი თაფლში სხვადასხვა ტემპერატურაზეა მოხარშული, რითაც მათ განსხვავებული ფერადოვნება აქვთ მიღებული და ამიტომაც აივნის მოზაიკა უმშვენიერესია სანახავად.

გარდა დედოფლისა და ნიკო დადიანის სასახლეებისა კომპლექსს ამშვენებდა მიურატების, გორდის და სალხინოს სასახლეები, რომლებსაც სამწუხაროდ ჩვენამდე არ მოუღწევია.



სურ. 4.3.4. ნაპოლეონ I-ის ბრინჯაოს ნიღაბი

დადიანების სასახლის მუზეუმი უძველესია საქართველოში. დავით დადიანმა ჯერ კიდევ 1839 წელს დააფუძნა პირადი მუზეუმი, არქეოლოგიური, ნუმიზმატიკური, სამხედრო და ეთნოგრაფიული კაბინეტებით (სურ. 4.3.3). ამჟამად მუზეუმში 50000-ზე მეტი ექსპონატი ინახება. მუზეუმის იშვიათ ექსპონატებს შორის დაცულია საფრანგეთის იმპერატორის ნაპოლეონ ბონაპარტის (1769-1821 წწ.) ბრინჯაოს ნიღაბი (სურ. 4.3.4), რომელიც ჩამოსხმულია პარიზში 1833 წელს ანატომიის პროფესორის ფრანჩესკო ანტომარკის მიერ (ხელოსნები რიშარი და კენელი). მუზეუმს ამშვენებს ევროპელი მხატვრების უნიკალური ნამუშევრები, მათ შორის გერმანელი ფერმწერის ფრანც ვინტერჰალტერის მიერ 1865 წელს შესრულებული ეკატერინე ჭავჭავაძის პორტრეტი (სურ. 4.3.5), ასევე ფრანგი მხატვრის პიერ ბლანშარის რამდენიმე ნამუშევარი, რომელიც რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე II-მ საჩუქრად გადასცა სამეგრელოს მთავარ ნიკო დადიანს.



სურ. 4.3.5. ეკატერინე ჭავჭავაძის პორტრეტი

მუზეუმის ოქროს ფონდში განთავსებულია XI-XIX საუკუნეების ოქრომქანდაკებლობისა და ოქრომჭედლობის უბრწყინვალესი ნიმუშები – თამარ მეფის დედის ბურდუხან დედოფლის ხატი (XII ს.), წმინდა გიორგის კარედი ხატი ქტიტორის კირილე ჟუანიძის გამოსახულებით (XVI ს.), ხუნძი პოლიტიკური და რელიგიური მოღვაწის, კავკასიის მთიელ ხალხთა მეთაურის, იმამ შამილის ხმალი, ფრანგული ისტორიისა და კულტურის უნიკალური ნივთები, ბულის, როკოკოსა და ამპირის სტილის ავეჯი, ქართული, იაპონური, ჩინური, ბროლის, ქაშანურის ჭურჭელი, მოვერცხლილი ლარნაკებში, ალბომით ოქროს ყდით, ანტიკური და შუასაუკუნეების ოქრომჭედლობის ნიმუშები, ფულის მდიდარი კოლექცია (კოლხური თეთრი, რომაული, ბიზანტიური მონეტები, რომის იმპერატორის იუსტინიანე I-ის (527-565 წწ.) მონეტა, ძვ.წ. I - ახ.წ. I-II საუკუნეების კოლხური ოქროს მონეტა), ქართული საეკლესიო ნაქარგების ნიმუშები, ლევან II დადიანის ბრძანებით დამზადებული გარდამოხსნა, გიორგი მეფის სამწერობელი (XI ს.), XVI-XIX საუკუნეების უნიკალური ხელნაწერი წიგნები, ძველი და ახალი ქვის ხანის იარაღები (თაგილონის განძი) და მრავალი სხვა.



სურ. 4.3.6. ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის კვართი

ზუგდიდის მუზეუმის საგანძურს წარმოადგენს უდიდესი ქრისტიანული სიწმინდე – ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის კვართი (სურ. 4.3.6), რომელიც ბიზანტიის იმპერიის დაცემის შემდეგ (1453 წ.) საქართველოში გადმოუტანიათ. იგი ჯერ ბედიის ტაძარში, შემდეგ კი ხობის ეკლესიაში დაუბრძანებიათ, 1533 წლიდან კი ლევან I დადიანს სამეგრელოს სამთავრო სასახლეში გადმოუსვენებია. აქ კიდევ მრავალი სიწმინდეა დაცული: წმინდა მარინეს მკლავი, წმინდა კვირიკეს ხელის მტე-

ვანი, წმინდა გიორგის ბარძაყის ძვლის ნაწილი, წმინდა იოანე ნათლისმცემლის ძვლის ნაწილი. წმინდა ნაწილები მოთავსებულია ვერცხლით მოჭედილ პატარა ზომის ლუსკუმაში, რომელიც შემკობილია ძვირფასი თვლებით და ღვთისმშობლის ოქროს რელიეფური გამოსახულებით.


სურ. 4.3.7. ბოტანიკური ბაღი

ზუგდიდის არქიტექტურული ანსამბლის მშვენებაა 1840 წლიდან დავით დადიანისა და მისი მეუღლის ეკატერინე ჭავჭავაძის მიერ სასახლის ირგვლივ გაშენებული ბოტანიკური ბაღი, რომელსაც 67 ჰა ტერიტორია უჭირავს. ეკატერინეს ბაღის გასაშენებლად ევროპიდან მოუწვევია ტრიესტელი სპეციალისტი მებაღე ჟოზეფ ბაბინი და იტალიელი მებაღე-დეკორატორები ძმები გაეტანო და ჯიოვანო ზიმბერლეტები. თესლეული და ნერგები საფრანგეთის ვერსალის ბაღიდან იქნა ჩამოტანილი. ამიერკავკასიაში საუკეთესო ბაღი ყვავილნარებით, გაზონებით, ხელოვნური პეიზაჟებითა და ჭადრების ხეივნებით (სურ. 4.3.7), ფრანგული სიმეტრიული სტილითა და იტალიური განაშენიანების პრინციპით მოეწყო. სამწუხაროდ, 1856 წელს ოსმალი სარდლის ბრძანებით ისკანდერ ფაშამ აჩეხა და გააჩანაგა ბაღი, თუმცა ეკატერინე დედოფალს ფარხმალი არ დაუყრია, ბაღი აღადგინა და ძველებური ხიბლიც დაუბრუნა. ბაღს დღესაც ამშვენებს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან (იაპონია, იტალია, ინდოეთი, ჩრდილოეთ ამერიკა და სხვ.) ჩამოტანილი ხეები და დეკორატიული მცენარეები, რომლებიც შესანიშნავად შეეთვისა ქართულ კლიმატს და განუსაზღვრელ სიამოვნებას ანიჭებენ მნახველებს.


სურ. 4.3.8. დადიანების კარის ეკლესია

დადიანების სასახლის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობს მთავრისეული ეკლესია, რომელიც 1825-1830 წლებში აუშენებიათ და სამეგრელოს მთავრის ოჯახის კარის ეკლესია იყო (სურ. 4.3.8). აქ დასვენებულ ვლაქერნის ღვთისმშობლის ხატს ირგვლივ შემოვლებული ჰქონია წმინდა სარტყელი, რომელიც XI საუკუნეში ბიზანტიიდან ჩამოუტანია საქართველოს მეფის (1027-1072 წწ.) ბაგრატ IV-ის მეუღლეს – ელენეს.

4.4. ოქროს ჩარდახი (ინგლ. Golden Marquee) – XVII საუკუნის ქართული საერო ხუროთმოძღვრების ძეგლი, იმერეთის მეფეთა რეზიდენცია (სურ. 4.4.1; სურ. 4.4.2). მდებარეობს იმერეთის მხარეში, ქ. ქუთაისის ცენტრში, მდინარე რიონის სანაპიროზე, დღევანდელი რუსთაველისა და თეთრ ხიდებს შორის.

„ოქროს ჩარდახის“ ისტორია ძირითადად უცნობია. საისტორიო წყაროებიდან არ არის ცნობილი, როდის ჩაეყარა მას საფუძველი ან როდის გადმოინაცვლა სამეფო რეზიდენციამ უქიმერიონის მთიდან რიონის ნაპირზე. იტალიელი მოგზაურის ამბროჯიო კონტარინის ცნობით, XV საუკუნის მეორე ნახევარში აქ იმერეთის მეფის ბაგრატ II-ის (1463-1466 წწ.) სასახლე იდგა. რუსეთის ელჩების ნიკიფორე ტოლჩანოვისა და ალექსი იევლევის ინფორმაციით XVII საუკუნეში აქ სამეფო კომლექსი იყო განთავსებული, რომლის ნაგებობების ერთი ნაწილი აშენდა იმერეთის მეფე გიორგი III-ის (1604-1639 წწ.) დროს და შეკეთდა იმერეთის მეფე ალექსანდრე III-ის (1639-1660 წწ.) მმართველობის პერიოდში. სამეფო რეზიდენცია არაერთ-

ხელ დაზიანდა. ბოლოს XVIII საუკუნის მიწურულს იმერეთის მეფემ სოლომონ II-მ (1789-1810 წწ.) სასახლე აღადგინა. 1810 წლიდან რუსეთის ხაზინის საკუთრება გახდა. 1830 წლიდან სამეგრელოს მთავრის ლევან დადიანის საკუთრებაა, შემდეგ კი თუმანიშვილებმა და აკოფაშვილებმა იყიდეს. 1891 წლიდან შენობა ქუთაისის გიმნაზიის თანამშრომელთა ეკლესიაა.

„ოქროს ჩარდასის“ სურათის აღსადგენად მეცნიერებს ძირითადად უცხოელ მოგზაურთა წერილობითი ცნობები და მწირი გრაფიკული მასალა აქვთ. სასახლის ანსამბლი მდინარის პირას, ვაკეზე იყო გაშენებული. ტრაპეციის ფორმის ნაკვეთი, სანაპიროს მონაკვეთის გამოკლებით, გალავნით იყო შემოფარგლული. შესასვლელი ჩრდილოეთიდან, დიდი ასპარეზის მხრიდან ჰქონდა. სამხრეთ-აღმოსავლეთიდან გალავანს სამეფოდ ბაღი ეკვროდა.



სურ. 4.4.1. საერთო ხედი

რეზიდენციას რამდენიმე ძირითადი ნაგებობა ჰქონდა: წმ. გიორგის კარის ეკლესია, დიდი სახლი, მცირე სახლი და სასადილო პალატი. ეზოს შუაში, დიდი ჭადრების ქვეშ, რომელთაგან ერთი დღემდეა შემორჩენილი (სურ. 4.4.3), იდგა ჩარდახი – მაგიდა ოთხ სვეტზე დაყრდნობილი სალხინებლით. გალავნის კედელში ჩართული იყო სამრეკლო და მეფის სალაროსა და სასახლის მცველებისთვის განკუთვნილი კოშკი. რეზიდენციის ნაგებობათაგან დღეს შემორჩენილია მხოლოდ ერთი – ე.წ. „მცირე სახლი“. (მისი ზომები, დარჩენილი შენობის ანაზომის მიხედვით, დაახლოებით 16x10 მ-ია). წაგრძელებული მართკუთხა გეგმის ორსართულიანი შენობის კედლები ნატეხი და რიყის ქვითაა ამოყვანილი და ირგვლივ ხის აივანი შემოუყვება. წყალდიდობისგან დასაცავად შენობის პირველი სართული, მდინარე რიონის მხრიდან, თაღებით არის გახსნილი (სურ. 4.4.4) (თაღები ოთხ რიგად განლაგებულ 12 ძალიან მასიურ ბურჯს ეყრდნობა. ამავე დროს, ესზედა საყრდენი კონსტრუქციაცაა). მეორე სართული მხოლოდ ერთი დიდი დარბაზისგან შედგება, რომლის კედლებს XVI-XVII საუკუნეების ბატალური სცენები ამკობდა. უნდა აღინიშნოს, რომ XVIII საუკუნის საეკლესიო და საზოგადო მოღვაწის ტიმოთე გაბაშვილის მიერ შედგენილ ქუთაისის გეგმაზე მცირე სახლის მეორე სართულს მართკუთხა სარკმლები აქვს, ხოლო ფასადი ზემოთ ქონგურებით მთავრდება. რაიმე აივნის კვალი ამ რუკაზე არ შეინიშნება. ნაგებობა XIX საუკუნეში გადაკეთდა (შესაძლოა XVIII საუკუნეშიც), ხოლო თანამედროვე სახე 1960-იან წლებში მიიღო.



სურ. 4.4.2. საერთო ხედი

ჩვენამდე მოღწეულ უცხოელ მოგზაურთა აღწერილობის მიხედვით, სასახლის კომპლექსის ე.წ. „დიდი სახლი“ ორსართულიანია (დაახლოებით 15x38 მ). ის მცირე სახლზე მეტად იყო წაგრძელებული. პირველი სართულის სამ საცხოვრებელ ოთახს კამაროვანი გადახურვა ჰქონდა. ეს ოთახები მსახურთა საცხოვრებლად და, შესაძლოა, სამეურნეო დანიშნულებისთვისაც იყო განკუთვნილი. მეორე სართულზე სამეფო ოთახები იყო. ქვემო სართულის გათვალისწინებით, სავარაუდოდ, ზემო ოთახებიც ანფილადურად უნდა ყოფილიყო განლაგებული. ნაგებობა ზურგით გალავანს ებჯინებოდა. ამ მხარეს თითქმის ყრუ, სათოფურებიანი კედელი იყო (შესაძლოა მცირე სარკმლებიც ჰქონდა). მთავარი ფასადი ეზოსკენ, მიწის დონიდან დაახლოებით ოთხ მეტრზე განთავსებული 18 სარკმელით იყო გახსნილი. რუსი

ელჩების ცნობით, შენობას მაღალი კიბე უდგებოდა. ფიქრობენ, რომ ტ. გაბაშვილის სრულიად პირობით გეგმაზე ორფერდა სახურავის ქვეშ მოქცეული ნაგებობა სწორედ კომპლექსის დიდი სახლის გამოსახული უნდა იყოს. შენობა ქვის იქნებოდა, გეგმაზე საგანგებოდაა ნაჩვენები კედლების ქვის წყობა.

სამეფო რეზიდენციის მესამე ნაგებობა – „სასადილო პალატი“ საკმაოდ მოზრდილი, გრძელი ერთსართულიანი შენობა მდინარის ნაპირიდან ოთხიოდე მეტრის დაშორებით იყო აგებული. ის ქვის სვეტებზე დამყარებული 25 მსუბუქი თაღედით გახსნილი ღია პავილიონია, სახურავის გარეშე. რუსი ელჩების ცნობით, დარბაზს სასმელების შესანახი სარდაფიც ჰქონდა, რომელსაც კარით უკავშირდებოდა.



სურ. 4.4.3. საუკუნოვანი ჭადარი ოქროს ჩარდახის ეზოში

სასადილო პალატის წინ, დიდი ჭადრების ძირში, შუაგულ ეზოში იდგა ოთხსვეტიანი ჩარდახი, რომლის ქვეშ იყო ნატიფი, თეთრი მარმარილოს მსგავსი თლილი კირქვის მაგიდა (4.2 x1.8 მ) კიდეზე ქართული წარწერით (გიულდენშტედტი). აქ, სავარაუდოდ, მეფე სახელმწიფო საქმეებს განაგებდა და მთხოვნელებს იღებდა. კომპლექის სხვა ნაგებობებიდან აღსანიშნავია სამრეკლო და მაღალი კოშკი, რომლებიც გალავნის კედლებშია ჩართული. სამრეკლოს პირველი სართული, ქართული ტრადიციისამებრ, გალავანში შესასვლელს წარმოადგენს. ყავრით გადახურული კოშკი დიდი სახლის ახლოს დგას (რუსი ელჩების ინფორმაციით ის ძალიან მაღალი, დაახლოებით 32 მ-მდე იყო, რაც მკვლევარებს არარეალურად მიაჩნიათ. ამ დროის ყველაზე მაღალი კოშკები 20 მ-ს არ აღემატებოდნენ). კოშკში ინახებოდა მეფის სალარო, აქვე ცხოვრობდნენ სასახლის მცველებიც. სამეფო რეზიდენციის დასაცავად კოშკზე სამი, ხოლო სამრეკლოზე ერთი ზარბაზანი იყო განთავსებული.

ამრიგად, „ოქროს ჩარდახი“ დიდ სამეფო რეზიდენციას წარმოადგენდა მასში შემავალი სხვადახვა დანიშნულების ნაგებობებით, რომლებიც დროის სხვადასხვა მონაკვეთებშია აგებული. აქ იყო მეფისა და მისი ამალის, მსახურთა, მცველთა საცხოვრებელი ოთახები, იყო ცალკე მდგომი დარბაზი, რომელსაც საზეიმო წვეულებებისთვის, ალბათ, სააუდიენციოდაც იყენებდნენ. კომპლექსში შედიოდა კარის ეკლესია, სამრეკლო, მეფის სალარო, საგანგებოდ გაკეთებული ფანჩატური. ციტადელში იყო მეფის სალარო, ხორბლეულის მარაგის საწყობი, თოფის წამლის გასაკეთებელი გვარჯილის სახდელი სათავსი. ზაფხულობით სასახლის წინ მოედანზე ეწყობოდა თავისებური ბანაკი დიდი, მდიდრულად მორთული კარვით, სადაც მეფე სტუმრებს, მათ შორის უცხოელებსაც იღებდა. მართალია, წყაროებში არ ჩანს, მაგრამ რეზიდენციაში იქნებოდა სხვადასხვა სამეურნეო დანიშნულების ნაგებობებიც.



სურ. 4.4.4. სასახლის პირველი

როგორც უკვე ითქვა, დაზუსტებით არ არის ცნობილი სამეფო სასახლის კომპლექსის ძირითადი ნაგებობების აგების თარიღი. მეცნიერთა აზრით, მათი მშენებლობა არ უნდა სცილდებოდეს 1650 წელს, ვინაიდან რუსეთის ელჩები ნიკიფორე ტოლჩანოვი და ალექსი იევლევი ამ წელს სტუმრობდნენ ქუთაისს. 1770-იან წლებში იმერეთში მოგზაურობისას გერმანელ მეცნიერს იოჰან გიულდენშტედტს სასახლე უკვე მიტოვებული დახვდა, ხოლო

შვეიცარელმა სიძველეთა მკვლევარმა დიუბუა დე მონპერემ XIX საუკუნეში მხოლოდ მისი ნანგრევები ნახა.

სახელწოდება „ოქროს ჩარდახი“ ოფიციალური არაა. როგორც ჩანს, ქუთაისის სასახლე დიდად იყო სახელგანთქმული და ხალხმა მას გამოჩეული სილამაზის გამო უწოდა ასე.

4.5. თბილისის ოპერის თეატრი (ინგლ. Georgian National Opera and Ballet Theater of Tbilisi) – თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი (სურ. 4.5.1; სურ. 4.5.2). მდებარეობს ქ. თბილისის ცენტრში, რუსთაველის გამზირზე.



სურ. 4.5.1. საერთო ხედი



სურ. 4.5.2. დასავლეთი ფასადი

თეატრი ქალაქის ერთ-ერთი ღირსშესანიშნაობა და კულტურული ცხოვრების განმსაზღვრელი ცენტრია. თბილისში ოპერის თეატრის მშენებლობას საფუძველი ჩაეყარა 1847 წელს კავკასიის მთავარმართებლის მიხეილ ვორონცოვის თაოსნობით (არქიტექტორი იტალიელი ჯოვანი სკუდიერი, მხატვარი გრიგოლ გაგარინი) დღევანდელი თავისუფლების მოედანზე (თბილისელი ვაჭრის გაბრიელ თამამშევის ხარჯით აშენებულ ქარვასლაში) და საზეიმოდ გაიხსნა 1851 წელს. დიდი ფრანგი მწერალი ალექსანდრე დიუმა (უფროსი) 1859 წელს თბილისში მოგზაურობის შესახებ თავის წიგნში „მოგზაურობა კავკასიაში“ წერდა: „ჩემი ცხოვრების მანძილზე მე თითქმის ყველა თეატრი მოვინახულე, მაგრამ ვერცერთი მათგანი ვერ შეედრება სილამაზით თბილისის თეატრს“. იტალიური რენესანსის სტილში აგებული ფასადების და ფსევდომავრული ინტერიერის მქონე თეატრის შენობა 1874 წელს მთლიანად ხანძარს ემსხვერპლა.

ახალი თეატრის შენობის კონკურსი 1876 წელს გამოცხადდა. ერთ-ერთი აუცილებელი საკონკურსო პირობა „მავრული სტილი“ იყო. 1877 წლის 1 იანვარს წარდგენილი ოთხი პროექტიდან გამარჯვება პეტერბურგელ არქიტექტორს ვიქტორ შრეტერს (1839-1901 წწ.) ერგო.



სურ. 4.5.3. მაყურებელთა დარბაზი

ახალი შენობა გაიხსნა 1896 წელს ახლანდელი რუსთაველის გამზირზე. უნდა ითქვა, რომ თავდაპირველად თეატრისთვის ალექანდრეს ბაღის ზემო ნაწილი იყო გამოყოფილი, იქ, სადაც ამჟამად „დიდების ტაძარი“ დგას, მაგრამ კომისიამ ტერიტორიის სიმცირისა და დაფერდებული რელიეფის გამო შენობისთვის სხვა (დღევანდელი) ადგილი შეარჩია. თეატრის საბოლოო (მესამე) პროექ-

ტი 1880 წელს დაამტკიცეს. თეატრის პირველი სეზონი 16 წლის შემდეგ, 1896 წლის 3 ნოემბერს გაიხსნა. დარბაზი გათვლილი იყო 1200 მაყურებელზე. თეატრის გეგმის პროტოტიპად შრეტერის მიერ რიჰარდ ვაგნერის ბაირეიტის თეატრი იყო აღებული. შენობის სახეს ისლამური არქიტექტურისთვის დამახასიათებელი ელემენტების ერთობლიობა განსაზღვრავდა (კედლის სიბრტყის დამანაწევრებელი მუქი და ღია ფერის ჰორიზონტალური ზოლები, მართკუთხა ნიშიში ჩასმული შეისრული და ნალისებრი ღიობები, სტალაქტიკური ფრიზები, სტუკოს ტექნიკით შესრულებული კედლის მონაკვეთები, მუშარაბიანი სარკმლები და სხვ.). ფასადის მთავარ აქცენტს წარმოადგენდა




სურ. 4.5.4. წითელი დარბაზი



სურ. 4.5.5. ლურჯი დარბაზი

უხვად შემკული ორსართულიანი პორტიკი (სურ. 4.5.1), რომელიც საბოლოო ვარიანტში დაემატა პროექტს. ფასადის შუაში განთავებული ორსართულიანი შვერილი ქვემოთ, შესასვლელის წინ კარიბჭეს შეადგენს, ხოლო ზემოთ ფართო, „მავრული“ თაღებით გახნილი ტერასაა. თაღოვანი ლოჯიებია ჩრთული გვერდის ფასადებშიც, რაც ცოცხალ, სამხრეთულად „გახსნილ“ იერს უქმნის შენობას. ინტერიერს ნაძერწ შემკულობასთან ერთად ფსევდომავრიტანული მოხატულობა და ელეგანტური წვრილი სვეტებისა და აჟურული კონსოლებისგან შემდგარი ლითონის კონსტრუქციები ამკობდა.



სურ. 4.5.6. ინტერიერი



სურ. 4.5.7. ცენტრალური ჭაღი

1973 წელს თეატრის შენობას ხანძარი გაუჩნდა, რომელმაც ძლიერ დააზიანა ინტერიერი. 2010-2015 წლებში მოხდა თეატრის საფუძვლიანი რეკონსტრუქცია (დამფინანსებელი ბიზნესმენი ბიძინა ივანიშვილი). შენარჩუნდა შენობის აღმოსავლური, ფსევდომავრიტანული სტილი და მთავარი ფასადი. ცვლილებები განიცადა გვერდითმა ფასადებმა, მაყურებელთა დარბაზმა (ამჟამად იტევს 1065 მაყურებელს) (სურ. 4.5.3). ახალი სცენის პორტალის ზომებია 16,0x 10,0 მ. მას 4 მოძრავი ბაქანი ემსახურება. თეატრში 6 სარეპეტიციო დარბაზია. ფოიეში

მდებარეობს წითელი (სურ. 4.5.4), ლურჯი (სურ. 4.5.5) და სარკეებიანი დარბაზები, სადაც შეიძლება გამოფენების, შეხვედრებისა და კამერული კონცერტების გამართვა (სურ. 4.5.6).

ოპერის თეატრის მშვენებაა 600 ნათურიანი თითბრისგან დამზადებული ცენტრალური ჭაღი (ესკიზის ავტორი ნოდარ ერგემლიძე), რომლის დიამეტრია 4,5 მ, სიგრძე – 7,0 მ, წონა – 2,5 ტ (სურ. 4.5.7). ბროლი შეძენილი იყო ავსტრიული კომპანია „სვაროვსკისაგან“. გამოყენებულია ორი სახის ბროლი „bohemian glass” და “strassencristal” (ბოჰემური მინა“ და „ქუჩის ბროლი“).

ოპერის ბაღში დაკრძალული არიან ქართული საკომპოზიტორო სკოლის ფუძემდებელი და კლასიკოსი ზაქარია ფალიაშვილი, მსოფლიო ტენორები ვანო სარაჯიშვილი და ზურაბ ანჯაფარიძე.

4.6. თბილისის ფუნიკულიორი (ინგლ. Tbilisi Funicular)– საბაგირო რკინიგზა ქ. თბილისში მთაწმინდის პლატოზე (სურ. 4.6.1). ის ქალაქის ერთ-ერთი მთავარი ღირსშესანიშნაობაა.

ფუნიკულორი თბილისის ტრამვაის მფლობელმა ბელგიურმა ანონიმურმა სააქციონერო საზოგადოებამ ააგო მთაწმინდის ზედა პლატოსთან ქალაქის უბნების დასაკავშირებლად. სანაცვლოდ, თბილისის თვითმმართველობამ ბელგიურ საზოგადოებას 45 წლის ვადით გადასცა სამთო გზის ექსპლუატაციის უფლება. თავის მხრივ, საზოგადოება ვალდებულებას იღებდა ხუთ წლამდე ბავშვებს, ფოსტის მუშაკებსა და პოლიციელებს უფასოდ მომსახურებოდა, ხოლო ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ ფუნიკულორს უსასყიდლოდ დაებრუნებია ქალაქისთვის. მართალია, დაგეგმარების მიუხედავად მამადავითზე ქალაქი არ გაშენებულა, მაგრამ რკინიგზის მშენებლობა მაინც ბოლომდე იქნა მიყვანილი. ფუნიკულორი გაიხსნა 1905 წლის 27 მარტს (იდეის ავტორი ბელგიელი ინჟინერი ალფონს რობი, პროექტის ავტორი ფრანგი ინჟინერი ა. ლ. ბლანში, არქიტექტორი თბილისელი ხუროთმოძღვარი ა. შიმკევიჩი. გზის მშენებლობას ხელმძღვანელობდნენ ბელგიელი ინჟინერი ი. რაგოლერი და საზოგადოების მიერ მოწვეული იტალიელი ინჟინერი ა. ფონტანა-როსი. აღსანიშნავია, რომ უცხოელი სპეციალისტების გარდა ფუნიკულორის მშენებლობაში დიდი წვლილი შეიტანა ნიკო ნიკოლაძემ. მისი ხელშეწყობით დაჩქარდა რკინაბეტონის სამუშაოები ესტაკადისთვის). გზის ძირითადი მშენებლობა 1904 წლის ბოლოს დასრულდა (თარიღი ლიანდაგზეა მითითებული), მაგრამ სპეციალურად შექმნილმა კომისიამ ექსპლუატაციის დაწყების ნებართვა 1905 წლის თებერვალში გასცა.



სურ. 4.6.1. პანორამული ხედი



სურ. 4.6.2. ფუნიკულიორის რკინიგზა

საინჟინრო თვალსაზრისით თბილისის ფუნიკულორი გამორჩეული ნაგებობაა. თბილისის ბუნებრივი რელიეფის გამო სამთო რკინიგზა დღემდე მსოფლიოს ერთ-ერთ გრძელ და ციცაბო გზადაა მიჩნეული. გზის შუა მონაკვეთზე, სადაც ვაგონები გვერდს უვლიან ერთმანეთს 70 მ სიგრძის ვიადუკი აიგო. უსაფრთხოების მიზნით ზემო სადგურის შენობაში 96 ცხენის ძალის ელექტროძრავი დაიდგა, გაკეთდა მუხრუჭები, რომელსაც ბაგირის გაწყვეტის შემთხვევაში ავტომატურად უნდა დაეჭირა ვაგონები. გზის სიგრძე – 501 მ, ლიანდაგის დახრის კუთხე – 28-33°, რელსებს შორის მანძილი – 0,98 მ (სურ. 4.6.2).

ფუნიკულიორის ზედა სადგურის სიმაღლე ზღვის დონიდან 727 მ, ქვედა სადგურისა 460 მ (სურ. 4.6.3), სადგურებს შორის დონეთა სხვაობა – 267 მ-ია.



სურ. 4.6.3. ქვედა სადგური

საბჭოთა პერიოდში ფუნიკულორს რამდენჯერმე ჩაუტარდა რეკონტრუქცია. ზედა სადგურის კოშკებიანი, მოდერნის სტილის ორსართულიანი შენობა (კოშკები ხახვისთავა გუმბათებით იყო დაგვირგვინებული) 1936-38 წლებში შეცვალეს (არქიტექტორები ზ. და ნ. ქურდიანები, ა. ვოლობუევის თანამონაწილეობით). აიგო პავილიონის სახის მუბუქი და ჰაეროვანი ნაგებობა, რომლის არქიტექტურული სახის გადაწყვეტისას ამოსავალი წერტილი ბუნებრივი მონაცემი - მთა და შენობის ფუნქციური დანიშნულება იყო, რაც გულისხმობდა ფუნიკულორის ზედა სადგურს, რეს ტორანს და სხვა გასართობ სივრცეებს. მთავარი ამოცანა იყო არქიტექტურის ორგანული კავშირი მთასთან, როგორც მისი განუყოფელი ნაწილისა და აქედან გამომდინარე მასშტაბი. ქალაქისკენ გახსნილ შენობის სამ ფასადს მაღალი თაღედით შემოსაზღვრული ღია ტერასები ჰქონდა. სამსართულიანი ნაგებობის ქვედა დონე ფუნიკულორის სადგურის სამანქანო განყოფილებას ეჭირა. რკინიგზის ბაქნიდან გასასვლელები იყო, როგორც პირდაპირ პარკში, ასევე, სადარბაზო კიბიანი გვერდის ვესტიბულიდან კაფე-რესტორანსა და სხვა ოთახებში. შენობის ზედა ორ სართულს ფართო ტერასები ჰქონდა, საიდანაც თბილისის ულამაზესი პანორამა იშლებოდა. 1971 წელს შეიცვალა ფუნიკულორის ქვედა, ფსევდო-მავრიტანულ სტილში გადაწყვეტილი სადგური (ახალი შენობის ავტორები: არქიტექტორები გ. ბათიაშვილი და ტ. ქუთათელაძე. ვიტრაჟი ეკუთვნის ვ. ქოქიაშვილს).

ფუნიკულორის ბოლო რეაბილიტაცია 2012 წელს დასრულდა (რკინიგზის მოდერნიზაცია განახორციელა ავსტრიულ-შვეიცარულმა კომპანიამ Doppelmayr Garaventa). სალიანდაგო-საბაგირო გზა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად იქნა განახლებული. ამჟამად მგზავრთა გადაყვანას ემსახურება უსაფრთხოების სისტემით აღჭურვილი თანამედროვე დიზაინის ორი ვაგონი (სურ. 4.6.4).



სურ. 4.6.4. სამგზავრო ვაგონები

თბილისის ფუნიკულიორი ითვლება მსოფლიოში ერთ-ერთ უდიდეს და ასეთი ტიპის ულამაზეს ნაგებობად. ის ქალაქის ცენტრალურ ნაწილს აკავშირებს მთაწმინდის კულტურისა და დასვენების დიდებულ პარკთან, რომელიც თბილისელების უსაყვარლესი გასართობი ადგილია. ფუნიკულიორის ზედა სადგური განთავსებულია რესტორან "მთაწმინდის" მიმდებარედ, რომლის ღია ვერანდებიდან იშლება ქალაქის კოლორიტული ხედი, ხოლო ქვედა სადგურის ახალი შენობა თანამედროვე მოდერნიზმის ნიმუშია.

4.7. თბილისის ცირკი (ინგლ. Circus of Tbilisi) – თბილისის გმირთა მოედნის სამხრეთ-აღმოსავლეთით ბორცვზე მდებარე სახელმწიფო ცირკის შენობა, რომელიც აგებული იქნა 1940 წელს (არქიტექტორები: ნ. ნეპრინცევი, ვ. ურუშაძე, ს. სატუნცი).

თბილისში ცირკის აგების საკითხი ჯერ კიდევს 1932 წელს დაისვა. შენობის დაპროექტებამ დიდი ინტერესი გამოიწვია საზოგადოებაში ვინაიდან, საცირკო შენობის არქონის გამო, წარმოდგენები დროებით ნაგებობებში ქალაქის სხვადასხვა ადგილას (ახლანდელი პარლამენტის, სავაჭრო ცენტრის „მერანის“ ადგილზე, ელბაქიძის დაღმართის ბოლოს, დღევანდელი აღმაშენებლის პროსპექტზე) იმართებოდა. 1935 წელს გამოცხადებული კონ-

კურსი სამ ტურად ჩატარდა. თავდაპირველად შენობისთვის ტერიტორია დღევანდელი აღმაშენებლის პროსპექტზე, ობსერვატორიის გვერდით გამოიყო, შემდეგ ყოფილი მადათოვის კუნძულზე, მტკვრის ნაპირზე. ბოლოს, გამარჯვებული პროექტის ავტორებს: ნ. ნეპრინცევს, ს. სატუნცს და ვ. ურუშაძეს დაევალათ შენობის აგება ბორცვზე, იმდროინდელი ჩელუსკინელების (დღევანდელი თამარ მეფის გამზირი) ქუჩისა და სანაპიროს გადაკვეთის ადგილზე. ღია კიბეებით ცირკი გმირთა მოედანს უკავშირდება. თავისი მდებარეობის გამო ნაგებობამ მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა იმ დროის ქალაქის განაშენიანებაში. როტონდის ტიპის შენობა ყველა მხრიდანაა გახსნილი და შორიდან იპყრობს ყურადღებას.



სურ. 4.7.1. საერთო ხედი

ცირკის გეგმა კარგად პასუხობს მის ფუნქციურ დანიშნულებას. აქ გათვალისწინებულია ტექნოლოგიური სპეციფიკის ყველა ასპექტი. მოედნის მხრის საზეიმო პორტიკს ვესტიბიულის გავლით ფოიეში შევყავართ, რომელიც გარს ერტყმის არენის გარშემო განლაგებულ ამფითეატრს. მოსახერხებელი გასასვლელები ამ სივრცის მთელ სიგრძეზეა გაკეთებული. როტონდის მოხაზულობაში ორგანულად ჩაწერილი ფართო კიბის უჯრედები უზრუნველყოფენ ამფითეატრის სექციებისა და ორს სართულად განთავსებული მაყურებელთა მოსასვენებელი ვრცელი დარბაზების შევსება-ევაკუაციას. ამფითეატრი გარს ერტყმის მანეჟს. მაყურებელთა დარბაზი 17 რიგს და ლოჟებს შეიცავს და 2000 ადგილზეა გათვლილი (თავდაპირველი პროექტით 3000 ადგილი იყო). გრძივი ღერძის მიმართულებით ერთ მხარეს ლოჟა, ხოლო მეორე მხარეს ესტრადაა მოწყობილი ორკესტრისთვის. ესტრადის ქვემოთ, მსახიობთა შესასვლელიდან შენობის უკანა მხარეს განთავსებულ ერთსართულიან საწარმოო კორპუსშია გასასვლელი. აქ თავმოყრილია ცირკის ყველა დამხმარე სადგომი. არქიტექტურული ნაგებობის კომპოზიციის ბირთვს მანეჟისა და ამფითეატრის ერთიანი სივრცე შეადგენს, სადაც გამოყენებულია იმ დროისთვის გაბედული ნოვატორული საინჟინრო კონსტრუქციები. დარბაზი საყრდენი სვეტების გარეშეა. 44 მეტრის დიამეტრის და 23 მეტრის სიმაღლეზე ატყორცნილი ლითონის გუმბათი გარე კედლებს ეყრდნობა, რაც დარბაზის მთლიანობის შთაბეჭდილებას ქმნის (გაანგარიშება ეკუთვნის ინჟინერ მ. სლოვინკის).



სურ. 4.7.2. მთავარი შესასვლელი

სადა, ზომიერად გაფორმებული ინტერიერი 13-მეტრიანი მანეჟის ირგვლივაა განვითარებული. დარბაზს თავისებური კარნიზივით ერტყმის გალერეა, რომელიც დარბაზის როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათებისთვისაა მოწყობილი და გუმბათისკენ გადასასვლელ საფეხურ წარმოადგენს. გუმბათს აგვირგვინებს კონუსისმაგვარი გუმბათი-ფარანი.

ცირკის შენობას გმირთა მოედანთან აკავშირებს ფართო ბაზალტის კიბე შუალედი დასასვენებელი ბაქნებით, ხოლო უკანა მხრიდან საავტომობილო გზაც მიდის. გარედან შენობა წრიული ფორმისაა (სურ. 4.7.1) და შედგება სამი იარუსისგან. პირველი, ქვედა იარუსი 64 მ დიამეტრით, წარმოადგენს მაღალ, მძლავრ, მთავარ შესასვლელთან რვასვეტიანი იონიური ორდერის პორტიკით დამშვენებულ ნაგებობას (სურ. 4.7.2).

საშუალო იარუსიც წრიულია უფრო მცირე მოცულობით, ვიდრე პირველი, ხოლო ზედა – 13 მეტრიანი დიამეტრის კონუსისებრი გუმბათია. ასეთი საფეხურებრივი კომპოზიცია შენობას შესანიშნავ არქიტექტურულ გამომსახველობას და სიმსუბუქეს ანიჭებს. უნდა აღინიშნოს,

რომ საბჭოთა დროისათვის თბილისის ცირკი ადგილმდებარეობით, აღჭურვილობითა და ტექნიკით, მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესო ცირკის შენობად ითვლებოდა.

თბილისის ცირკი კაპიტალურად შეკეთდა 2003 წელს (მხარდამჭერი ქართველი ბიზნესმენი და მეცენატი ბადრი პატარკაციშვილი). შენობა 2011 წელს გარემონტდა.

4.8. თბილისის სპორტის სასახლე (გივი კარტოზიას სახელობის თბილისის სპორტის სასახლე) (ინგლ. Tbilisi Sports Palace) – გაიხსნა 1961 წელს (არქიტექტორები: ვლადიმერ ალექსიმესხიშვილი, იური კასრაძე; კონსტრუქტორი დავით ქაჯაია).

სპორტის სასახლის მშენებლობა მნიშვნელოვანი წარმატება იყო ქართული საბჭოთა არქიტექტურის განვითარების იტორიაში. ის ყურადღებას იპყრობს, როგორც მხატვრული სახის გადაწყვეტით, ისე კონსტრუქციულ-საინჟინრო თავისებურებებით. სასახლის პროექტზე მუშაობა 1955 წელს დაიწყო, ხოლო მშენებლობას 1957 წელს, მისი საჯარო განხილვის შემდეგ შეუდგნენ. სპორტის სასახლე 1961 წელს გაიხსნა.

არქიტექტორებმა სპორტის სასახლის საფუძვლად კვადრატი აიღეს (88×88 მ). კვადრატულია ცენტრალური დარბაზიც (76×76 მ), რომლის პერიმეტრზე განლაგებულია 9305 მაყურებელზე გათვლილი ამაღლებული ტრიბუნები (პარტერში დამატებითი ადგილების განთავსების შემთხვევაში მაყურებელთა რიცხვი 1200 ადგილით იზრდებოდა). მთავარი არენა 23×45 მ. მართკუთხედში თავსდება. დარბაზს შესასვლელი ოთხივე მხრიდან აქვს. აქედან, სამი მაყურებლისთვის, ხოლო ერთი (უკანა) სპორტსმენთა და მომსახურე პერსონალისთვის იყო განკუთვნილი. ადმინისტრაცია პირველ და მეორე სართულებს შორისაა განლაგებული და მოხერხებულად უკავშირდება ყველა სივრცეს. შენობა სამსართულიანია. პირველი სართული მიწაშია ჩაღმავებული, ნაგებობაში შესასვლელები მეორე სართულიდანაა მოწყობილი. მთავარი არენის გარდა შენობაში ორი სატანვარჯიშო დარბაზია, ხოლო სპორტსმენთა საჭიროებებისთვის დამხმარე სათავსებისგან შემდგარი სპეციალური ბლოკია გაკეთებული.



სურ. 4.8.1. საერთო ხედი

სპორტის სასახლის განსაკუთრებულობა მის კონსტრუქციულ-საინჟინრო თავისებურებაშია. დარბაზში გადახურულია რკინა-ბეტონის ანაკრები გარსის გუმბათით. გარსი სფერული ფორმის მონოლითურ რვაწახნაგა კონტურში ჩადგმული ასაკრები რკინა-ბეტონის კონსტრუქციაა, რომლის წახნაგებსშორისი სივრცეები თხელი ბეტონის ფილითაა გადახურული. გუმბათის მთელი სიმაღლე შევსებულია დაწყობილი რიგებით შექმნილი სალტეებით (სულ 5 სალტე). ეს კონსტრუქცია მზა ელემენტების მონტაჟზეა დამყარებული და იწყობა ძვირადღირებული და შრომატევადი ხარაჩოების გარეშე (შეტანილია ინდივიდუალურ კონსტრუქციათა საერთაშორისო კატალოგში). უნდა აღინიშნოს, რომ 76 -მეტრიანი მალი უდიდესი იყო საბჭოთა კავშირში და რადგანაც მსგავსი კონტრუქციის აგების გამოცდილება არ იყო, წინასწარ კონსტრუქციის შესამოწმებლად აგებულ იქნა 30-მეტრიანი საცდელი გუმბათი. შენობის ინტერიერი სადაა. ნათელი ფოიეები გრძივი მიმართულების სივრცობრივ მონაკვეთებს ქმნიან დარბაზის ოთხივე მხარეს. ღია სტოა-გალერეა ვესტიბიულის ფუნქციას ასრულებს. ის გარე სივრციდან ინტერიერში გადასაყვანი პირველი საფეხურია. ფართო ფოიედან ადამიანი დარბაზის შუასიმაღლეზე ხვდება და მის წინაშე ვრცელი, თავისუფალი სივრცე იშლება. აღსანიშნავია, რომ შენობის გარე სიმაღლე 16 მეტრია, ხოლო შიგნით დარბაზისა 34 მეტრი, რაც ძლიერ მხატვრულ ზემოქმედებას ახდენს მნახველზე.

შენობის ფასადთა აღქმის დროს გუმბათი გარკვეულ საფეხურებს ქმნის. ის გამოყოფს სხვადასხვა გეომეტრიული ფორმების მნიშვნელობას. გუმბათის გლუვი სიბრტყისთვის საფუძველია შენობის მთელ პერიმეტრზე განთავსებული ღია თარედზე დაყრდნობილი შემინული ჰორიზონტალური რეგისტრი. საერთოდ, ნაგებობის გარე მხატვრული სახის შექმნაში ფასადების ჰორიზონტალურ დანაწევრებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ორი რეგისტრიდან ქვედა ღია თაღოვანი გალერეაა, ხოლო ზედა შემინული სიბრტყე, რომელიც უწყვეტი ფრიზივით გარს უვლის მთელ კორპუსს. სპორტის სასახლეში ხაზგასმულია კედლის მნიშვნელობა. ეკლარის თეთრი ქვის კვადრებით მოპირკეთებული ქვედა რეგისტრის მასიური კედლები მტკიცე საფუძველს უქმნიან მთელ ნაგებობას, ხოლო მასში მოთავსებული თაღედი პროპორციული აგებულებით, კედლის სიბრტყესთან გაერთიანებული მსუბუქი ბურჯებით გარკვეულ სიმსუბუქეს ანიჭებენ მას. თაღების ერთიანობა ზევიდან შემოვლებული დეკორაციული თაღედითაცაა ხაზგამულია. შენობას გარკვეულ პოდიუმს უქმნის კიბეთა საფეხურებში თითქმის შეუმჩნევლად გადაზრდილი დაბალი ცოკოლი. ის ერთიანი რუხი ტეშენიტის ქვითაა მოპირკეთებული. მიუხედავად იმისა, რომ სპორტის სასახლეში არ არის გამოყენებული ისტორიული ხუროთმოძღვრული ფორმები ან ძველი ქართული დეკორაციული სამკაულები, აქ მაინც თვალშისაცემია ძველი ეროვნული და ახალი, საბჭოთა არქიტექტურული ტრადიციების ცოცხალი კავშირი.



სურ. 4.8.2. პანორამული ხედი

მოსაპირკეთებელი მასალით, ღია თაღედით და მათი პროპორციული აგებულებით, მთელი ორგანიზმის სივრცობლივი გადაწყვეტის ხასიათითა და ნაგებობის საერთო იერით სპორტის სასახლის ავტორებმა შეძლეს არქიტექტურა დაემორჩილებინათ გარემოსთვის (სურ. 4.8.1; სურ. 4.8.2).

4.9. თბილისის სატელევიზიო კოშკი (თბილისის ტელეანძა) (ინგლ. Tbilisi TV Broadcasting Tower) – მდებარეობს მთაწმინდის პარკის ტერიტორიაზე ზღვის დონიდან 719,2 მეტრის სიმაღლეზე (სურ. 4.9.1; სურ. 4.9.2). დამზადებულია ფოლადის მილოვანი კონსტრუქციებისაგან და მისი სიმაღლე 274,5 მ-ია, წონა 440 ტ. დაიდგა 1972 წელს. იგი ქვეყნის კავშირგაბმულობის უდიდესი საკომუნიკაციო ცენტრია.



სურ. 4.9.1. საერთო ხედი



სურ. 4.9.2. კოშკი ღამით

4.10. დინამო არენა (ბორის პაიჭაძის სახელობის დინამო არენა) (ინგლ. Dinamo Arena of Tbilisi) – მთავარი და ყველაზე დიდი სტადიონი საქართველოში (სურ. 4.10.1; სურ. 4.10.2). თავდაპირველი ნაგებობა, რომელიც ცენტრალური სტადიონის სახელითაა ცნობილი, აიგო 1932-1935 წლებში (არქიტექტორი არჩილ ქურდიანი).

სტადიონის თემა სრულიად ახალი იყო ქართული არქიტექტურისთვის. საბჭოთა კავშირში ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებამ ბუნებრივად წარმოშვა სპორტული ბაზის მშენებლობის აუცილებლობა. ამას ემატებოდა კარგი კლიმატური პირობები, რომელიც სპორტსმენებს შესაძლებლობას აძლევდა წლის უმეტეს დროს ჰაერზე ევარჯიშათ. 1933-34 წლებში თბილისის სტადიონის დაპროექტებაზე გამოცხადებულ დახურულ კონკურსში გაიმარჯვა ა. ქურდიანმა (კონსულტანტი ა. კალგინი). ჟიურიმ მისი პროექტი ეროვნული ხუროთმოძღვრული ფორმების გამოყენებისთვის მოიწონა. სტადიონის მშენებლობა მთლიანად 1937 წელს დარულდა. მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, აბრეშუმის მუზეუმთან, გამოიყო განაშენიანებისგან თავისუფალი 10 ჰექტარი ფართობი. მართალია, მიწის ნაკვეთი არ იყო საკმარისი ვრცელი სპორტული კომპლექსისთვის, მაგრამ სტადიონის და ერთი სავარჯიშო მოედნის მოთავსების საშუალებას იძლეოდა. ადგილის შერჩევისას გათვალიწინებული იყო მისი მოხერხებული ადგილმდებარეობაც, აქედან ადვილი იყო ქალაქის სხვადასხვა რაიონთან დაკავშირება. მიუხედავად იმისა, რომ დინამოს სტადიონი ძირითადად ფეხბურთისთვის იყო განკუთვნილი მასში გათვალისწინებული იყო სხვადასხვა სახეობის სპორტული დარბაზები, რაც მას სპორტული ბაზის მნიშვნელობას აძლევდა. საფეხბურთო მინდვრის გარდა აქ არის სარბენი ბილიკი, ადგილები სიმაღლესა და სიგრძეში ხტომისთვის, ბადროს, ბირთვის ტყორცნითვის და სხვ.



სურ. 4.10.1. პანორამული ხედი

სტადიონის არქიტექტურა მარტივი და სადა იყო. მისი აქიტექტურული კომპოზიცია თავისებურ სახეს ატარებდა მიუხედავად იმისა, რომ ტრიბუნებით შემოფარგლული ჩაკეტილი ასპარეზი ვენის ცნობილი სტადიონის ტიპის მიხედვით იყო აგებული. არქიტექტორის მიზანი ეროვნული არქიტექტურული ფორმებით ამეტყველებული თანამედროვე არქიტექტურის შექმნა იყო. ამის მისაღწევად მხოლოდ ძველი ქართული ძეგლებიდან აღებული მორთულობა კი არ იყო გამოყენებული, არამედ სამხრეთი პირობების შესაფერისი სახე ჰქონდა მინიჭებული. ეს იყო გახსნილი სივრცე გასასვლელებით, გამჭოლი სივრცობრივი ელემენტებით და სხვ. ნაგებობის არქიტექტურულ გადაწყვეტაში ძირითად კომპოზიციურ ელემენტს სხვადასხვა ვარიაციის ნახევარწრიული თაღი შეადგენდა. ეს ელემენტი გამოყენებულია ცენტრალურ შესასვლელის სატრიუმფო თაღში, დაბალი თაღების მწკრივში, ზოგან (აღმოსავლეთ და დასავლეთ ტრიბუნებში) კედლის სიბრტყეების დეკორაციულ გაფორმებაში და ზედა იარუსის დამასრულებელი თაღოვანი ფრიზის სახითაც. თაღები ქმნიდნენ გარკვეულ რიტმს, ერთმანეთთან აკავშირებდნენ ნაგებობის ცალ-



სურ. 4.10.2. საერთო ხედი

კეულ ნაწილებს, ხელს უწყობდნენ კედლების ფართო სივრცეების შემსუბუქებას. სტადიონის ყველაზე გამომსახველი ფასადი იყო სამხრეთი, რომელსაც შუა ნაწილში მასიურ პილონებს შორის მოქცეული ფართო სატრიუმფო თაღი ჰქონდა და მთავრდებოდა ღია გალერეით. პორტალის თაღი ორნამენტირებული ლავგარდანით იყო დასრულებული. ეროვნული ხუროთმოძღვრებიდან ნასესხები თაღის არქივოლტის ორნამენტული მოტივი, კესონურ გუმბათთან ერთად, ეფექტურად გამოჰყოფდა სტადიონის შესასვლელს და აძლიერებდა კომპოზიციის საერთო გამომსახველობას.



სურ. 4.10.3. ტრიბუნის მზიდი კონსტრუქციები

არქიტექტორის უმთავრესი მიზანი სპორტის გულშემატკივრის განწყობის ამაღლება, ნაგებობისთვის მეტი მიმზიდველობის მინიჭება იყო. სტადიონი ისე იყო დაგეგმარებული, რომ ადვილი ყოფილიყო სხვადასხვა ადგილებიდან ტრიბუნების მაყურებლით შევსება. იარუსებად გაშლილი ტრიბუნები ხედვის კარგ შესაძლებლობას იძლეოდა. სტადიონის შიდა ხედი საფეხუროვან გადასვლაზე, მისგან გამოწვეული შუქ-ჩრდილის ეფექტზე იყო გათვლილი. იარუსების ჰორიზონტალური ზოლები, ჰაერის მოძრაობისთვის ღია ლუნეტებით დაცხრილული ზედა გალერეები მოძრაობის რიტმს ქმნიდნენ, რომელიც შესასვლელ სატრიუმფო თაღთან იწყებოდა, გარს უვლიდა მთელ სტადიონს და კვლავ თაღთან სრულდებოდა. აღსანიშნავია, რომ მთავარი პორტიკის სატრიუმფო თაღში გადმოცემული იყო მისი ძირითადი შინაარსობრივი დატვირთვა - სტადიონი მარტო სპორტული ასპარეზობებისთვის არ იყო განკუთვნილი. ის ხალხის მასობრივი თავშეყრის, საზეიმო დემონტრაციების ჩატარების ადგილიც უნდა ყოფილიყო.


1955-1956 წლებში განიცადა მცირე რეკონსტრუქცია, ტევადობა უკვე ვეღარ აკმაყოფილებდა გაზრდილ მოთხოვნებს. 1971-76 წლებში მოხდა თბილისის სტადიონის ძირეული რეკონსტრუქცია. ძველი ნაგებობა დაანგრიეს და ააშენეს უფრო დიდი, დღევანდელი სტადიონი, რომელიც 1976 წლის 26 სექტემბერს საზეიმოდ გაიხსნა (არქიტექტორი გია ქურდიანი; კონსტრუქტორი შალვა გაზაშვილი). სტადიონი თავდაპირველად 78 000 მაყურებელს იტევდა. 2006 წელს სტადიონი შეაკეთეს, უეფას მოთხოვნების შესაბამისად გამოცვალეს დასაჯდომები, რის გამოც, მისი ტევადობა შემცირდა 54 549-მდე. სტადიონის ძირითადი მზიდი კონსტრუქციები შესრულებულია მონოლითური რკინაბეტონის კონსტრუქციებისგან (სურ. 4.10.3). წვიმისა და მზისგან გულშემატკივარს იცავს ე.წ. „ქუდი“. 25 მეტრის სიგანის აივნის კიბეები ცხრა მიმართულებით გადის ქალაქში, რაც ხელს უწყობს ძალიან მცირე დროის განმავლობაში სტადიონის შევსება-ევაკუაციას.

2012 წელს დაიწყო სტადიონის სრული სარეაბილიტაციო სამუშაოები: შეიცვალა სათამაშო მოედანი, ენერგოსისტემა და საირიგაციო სისტემა, დამონტაჟდა ახალი განათება. 2015 წელს გამოიცვალა სკამები, მთლიანად გადაიხურა პრეს ლოჟა, ხელახლა გარემონტდა შიგა სათავსები და სასაწყობე მეურნეობა. ჩრდილოეთ ტრიბუნაზე დამონტაჟდა ახალი ტაბლო.

4.11. გაბრიაძის კოშკი (ინგლ. Gabriadze's Tower) – უნიკალური საათიანი კოშკი (სურ. 4.11.1, სურ. 4.11.2)). მდებარეობს ქ, თბილისის ცენტრში, მარიონეტების თეატრის გვერდით. ავტორია ცნობილი ქართველი მხატვარი, მწერალი, თეატრისა და კინოს რეჟისორი რეზო გაბრიაძე. კოშკი აგებული იყო ავტორის მიერ 2010 წელს.

ყოველი საათის ბოლოს, მოხატული კარებიდან გამოდის ანგელოზი და პატარა ჩაქუჩით ზარს რეკავს. მცირე თოჯინების თეატრი თავად კოშკშიც არის განთავსებული და დღეში ორჯერ, 12:00 საათსა და 19:00 საათზე, შესაძლებელია საოცარი თოჯინური წარმოდგენის – „ცხოვრების წრებრუნვის“ ნახვა. კოშკის ქვედა მხარეს ორი კერამიკური პანოა განთავსებული, რომლის შემადგენელი რამდენიმე ასეული ფილა რეზო გაბრიაძემ საკუთარი ხე-

ლით დაამზადა და მოხატა. კოშკი თანამედროვე თბილისის არქიტექტურული ღირშესანიშნაობაა.



სურ. 4.11.1. საერთო ხედი



სურ. 4.11.2. კოშკის ფრაგმენტი

4.12. მშვიდობის ხიდი (ინგლ. Bridge of Peace) – ლითონისა და მინის საქვეითო (საფეხმავლო) ხიდი (სურ. 4.12.1; სურ. 4.12.2). მდებარეობს ქ. თბილისის ცენტრში, მდინარე მტკვარზე, მეტეხისა და ბარათაშვილის ხიდებს შორის. აიგო 2009-2010 წლებში. არქიტექტორი – იტალიელი მიკელე დე ლუკი, რომელიც მეტწილად დიზაინერული ნამუშევრებითაა ცნობილი. განათების დიზაინერი – ფრანგი ფილიპ მარტინო. მშენებლობას აწარმოებდა იტალიური კომპანია „პერმა სტელიზა“.

არქიტექტორის მიზანი იყო შეექმნა ნაგებობა, რომელიც არა მარტო ეფექტური იქნებოდა, არამედ მთლიანად შეცვლიდა მეგაპოლისის ინტონაციას. მან წინა პლანზე წამოსწია ხიდის მთავარი იდეა, შეერთების იდეა და შედეგად შექმნა ორიგინალური ნაგებობა, სინუსოიდური ფორმის თითქოს ქარისგან აფრიალებული სახურავით გადახურული დიალოგი წარსულსა და აწმყოს შორის.



სურ. 4.12.1. პანორამული ხედი

ხიდის კონსტრუქცია წარმოადგენს ლითონის (ფოლადის) ბადისებრ კარკასს, ხოლო შემავსებელია – მინის პანელები, რომლებიც ერთობლიობაში 150 კვ.მ ფართობის მქონე ჩარდახის სახით ეხურება საფეხმავლო ბილიკს (სურ. 4.12.3). სახურავი, რომელშიც გაერთიანებულია არქიტექტურა და კონსტრუქცია, წარმოადგენს ერთიან მემბრანას, შექმნილს რკინის მილების კარკასით, რომლებიც მოპირკეთებულია ტრაპეციისებური ფორმის შუშის პანელებით. მთელი კონსტრუქცია ეფუძნება 4 მძლავრ ფოლადის სვეტს, ხოლო ბილიკი ჩამოკიდებულია კარკასზე ბაგირებით (ხიდი მთლიანად რიყეზე აიწყო და მერე მოხდა მტკვარზე მისი გადმოტანა და ადგილზე დამონტაჟება). ბილიკი მდინარის თავზე 5 მ-მდე სიგანისაა, ბოლოებისკენ კი 2 მ-მდე. საერთო სიგრძეა 156 მ. ხიდზე ასვლა შესაძლებელია ერეკლე II-ის ქუჩიდან და რიყის მოედნიდან, ასევე მტკვრის სანაპირო ხეივნებიდან კიბეების მეშვეობით. ხიდის ცენტრში შექმნილი ერთგვარი „მოედნიდან“ ძველი თბილისის შესანიშნავი ხედი იშლება.

ღამით ხიდი განათებულია სპეციალური ცვალებადი განათებით, რასაც უზრუნველყოფს 50 000-მდე ნათურა. არქიტექტურული თვალსაზრისით ხიდი წარმოადგენს თანამედროვე

არქიტექტურის შთამბეჭდავ ნიმუშს, რომელმაც თავისებური ხიბლი შემატა ძველი თბილისის უბანს. იგი თბილისის მაცხოვრებელებისა და ტურისტების უსაყვარლეს ადგილად იქცა და განახლებული თბილისის ერთ-ერთ სიმბოლოდ აღიქმება.



სურ. 4.12.2. პანორამული ხედი ღამით



სურ. 4.12.3. ხიდის კონსტრუქციები

ანალოგიური დასახელების ხიდები აგებულია მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, რომელთაგან აღსანიშნავია: მდინარე ნიაგარაზე (აშშ, კანადა), ქ. ულან-ბატორში (მონღოლეთი), ქ. კეელუნგში (ჩინეთის რესპუბლიკა, ტაივანი), ქ. კალგარიში (კანადა) და სხვ.

4.13. თბილისის იუსტიციის სახლი (ინგლ. Tbilisi House of Justice) – ლითონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციებისაგან აგებული ასიმეტრიული ფორმის შენობა (არქიტექტორი მასიმილიანო ფუქსასი, იტალიის რესპუბლიკა) მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, რომლის საერთო ფართობი 32 ათას კვადრატულ მეტრს შეადგენს. მარტო მომსახურების დარბაზი 7 000 კვ.მ.-ია და 400 ოპერატორზეა გათვლილი. გაიხსნა 2011 წელს. შენობაში განთავსებულია სახელმწიფო მომსახურების დიდი უმრავლესობა – იმ დოკუმენტების გაცემა და მომსახურებების განხორციელება, რომელზეც მხოლოდ სახელმწიფოს აქვს ექსკლუზიური უფლება. მომსახურების დარბაზი სამ ძირითად სფეროდ არის დაყოფილი – თვითმომსახურების, სწრაფი მომსახურებისა და ხანგრძლივი მომსახურების სივრცე. ნაგებობა გამოირჩევა მოდერნისტული სტილითა და რთული არქიტექტურული ფორმებით, რომელიც ორგანულადაა შერწყმული თბილისის ცენტრალური ნაწილის ლანდშაფტთან (სურ. 4.13.1).



სურ. 4.13.1. საერთო ხედი

თბილისის იუსტიციის სახლი კომპოზიციით, ორიგინალური ფორმებით, სივრცობრივი თვალსაზრისით იშვიათი ნაგებობაა. არქიტექტორმა შექმნა არაორდინალური არქიტექტურა, რომელიც ყურადღებას იქცევს თავისი გარეგნობით და გარემოსთან მიმართებაში უცხო სხეულის შთაბეჭდილებას არ ტოვებს. ის კარგად აღიქმება როგორც მტკვრის მარცხენა სანაპიროდან, ასევე ახლო მანძილიდან. გარედან შენობის არქიტექტურულ-მხატვრულ სახეს განსაზღვრავენ სხვადასხვა სიმაღლის თეთრი, ოდნავ მოკეცილი ფოთლის ფორმის სახურავები (ზოგი მათ „სოკოებსაც“ უწოდებს), რომლებიც ქმნიან მრავალფენიან საფარველს შემინული საოფისე ნაგებობის თავზე. ექსტერიერზე არანაკლებ შთამბეჭდავია ინტერიერი,

რომელიც მოცულობათა, სივრცეთა მრავალფეროვნებით, მათი ცვალებადობით და შუქჩრდილის თამაშით არაჩვეულებრივად მსუბუქ, გახსნილ გარემოს ქმნის (არქიტექტორი ვ. დავითაია მას თავმომწონეს, ქართულად ხელგაშლილს და მიმღებიანს უწოდებს). შვიდი ურთიერთგადამფარავი შუშის ბლოკი გარს ერტყმის ცენტრალურ დარბაზს. 35 მეტრიანი სივრცე, დამატებითი სახურავის გარეშე, გადამხური კონსტრუქციის ქვეშაა მოქცეული. შენობა შედგება პროექტის ძირითადი ბირთვის, ე.წ. „ცენტრალური საზოგადოებრივი მოედნის“ გარშემო განთავსებული ოთხსართულიანი მინის ბლოკებისგან, რომლებიც სხვადასხვა ოფისებისთვისაა განკუთვნილი. ისინი ერთმანეთს შიდა ხიდებით უკავშირდებიან. შენობის მოცულობები და ცენტრალური საჯარო სივრცე გადახურულია თერთმეტი დიდი ე.წ. „ფოთლით“, რომლებიც სტრუქტურულად დამოუკიდებელია შენობის დანარჩენი ნაწილისგან. თერთმეტიდან სამი დიდი სახურავი მოიცავს ცენტრალურ სივრცეს. ზომებით და გეომეტრიული ფორმებით ისინი განსხვავებიან ერთმანეთისგან. 35 მეტრის სიმაღლის ეს სამი „ფოთოლი“ უჭირავს ზემოთ განტოტვილ რკინის ბოძების კონსტრუქციას (ფორმით ისინი ხეებს მოგვაგონებენ) და სხვა სახურავებს შენობის შიგნით და გარეთ. უნდა აღინიშნოს, რომ ნაგებობის შუშის ფასადები ამ, სხვადასხვა დონეზე განლაგებულ ფოთლებს შორის ისეა განთავსებული, რომ მთლიანად არიან მოცილებული სახურავის სტრუქტურას. ეს საშუალებას იძლევა თავიდან იქნეს აცილებული დაზიანებები საფარის ნებისმიერი მოძრაობის დროს (ძირითადად თოვლის, ქარის ან თერმული გაფართოებით გამოწვეული) და რამაც შესაძლოა გამოიწვიოს შუშის ე.წ. „კრიზისი“.

იტალიელი არქიტექტორის მაქსიმილიანო ფუქსასის თბილისის იუსტიციის სახლი თანამედროვე საქართველოს ინფრასტრუქტურის ერთ-ერთ წარმატებულ პროექტად შეიძლება ჩაითვალოს.

აღსანიშნავია, რომ თბილისის იუსტიციის სახლი მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული ჯილდოს მფლობელია – სახელმწიფო სერვისების გაუმჯობესებისათვის დაწესებულ ნომინაციაში ის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გამარჯვებულია.

4.14. ოდა (ინგლ. Ode) – 1. საცხოვრებელი სახლის ტიპი, რომელიც გავრცელებულია მესხეთ-ჯავახეთში, თრიალეთსა და დასავლეთ საქართველოში. მან ჩამოყალიბებული საბოლოო სახე XIX საუკუნეში მიიღო. ოდა-სახლი წარმოადგენს უმეტესად ერთსართულიანგეგმაში კვადრატული ფორმის, ერთიმეორის უკან ორ რიგად განლაგებულ ოთახებიან, ფანჯრებიან ფიცრულ სახლს, რომელსაც ხის აივანი და ჭერ-იატაკი აქვს. სახლი შედგება სამი ოთახისგან, საკუჭნაოსა და უკანა დერეფნისგან. საცხოვრებელი ოთახები დანიშნულების მიხედვითაა დიფერენცირებული: სამიდან ერთი, ყველაზე დიდი ზომის, საცხოვრებლად და სასტუმრო ოთახად გამოიყენება, დანარჩენები საძინებლებად. სამივე ოთახს საერთო საკვამურიანი ბუხრები აქვს. სიახლე იყო მოძრავი ტიხარი. რომელიც ყოფდა დიდ სასტუმრო ოთახსა და წინა მცირე ოთახს. ტიხრები დიდი ზეიმის ან გლოვის დროს იშლებოდა (ზოგჯერ, საჭიროების შემთხვევაში, სამივე ოთახი ერთიანდებოდა). სახლის ახალი ელემენტი იყო უკანა მხარეს გაკეთებული მცირე დერეფანი და საკუჭნაო.

ოდას სახურავი ოთხფერდიანია. ბურულად იყენებენ ყავარსა და კრამიტს. დგას ქვის ან ხის ბოძებზე. ხუროთმოძღვრულ-მხატვრულ გადაწყვეტაში უმთავრესია აივანი. ყველაზე გავრცელებულია ხუთმალიანი აივანი, რაც გულისხმობს ექვს სვეტსა და მათზე დაყრდნობილ ხუთ თაღს. აივნის განვითარებაში 3 საფეხური შეიმჩნევა: ადრეული ტიპისათვის დამახასიათებელია კვადრატული კვეთის უხვად მოჩუქურთმებული სვეტები კუთხეებში გამოყვანილი ნაშვერებით და გარსშემოყოლებული მერხებით. მომდევნო ხანებში გაჩნდა მრგვალი, ჩარხზე დამუშავებული სვეტები, თაღოვანი კარ-ფანჯრები, გაქრა მერხები და ამაღლდა რიკულებიანი მოაჯირი. განვითარების ბოლო საფეხურზე ბოძები შემსუბუქდა და 4-8-კუთხოვანი ფორმა დაუბრუნდა; ფიცრული აივანი აჟურულია, იმკობა სვეტების ზედა ნაწილი, ჩნდება ფიცრული აჟურული თაღედი ან ფრიზი. სახლის ინტერიერის ყველაზე მნიშვნელოვანი მხა-

ტვრული ელემენტია ბუხარი. იგი ქვიტკირისაა, რთული მოხაზულობის, ორნამენტული შემკულობით და ორივე მხარეს განლაგებული თაღჩებით. ზოგჯერ მასთან ერთიან კომპოზიციაში ჩართულია მთელი კედელი თაღჩებით, ორნამენტული ზოლებით, დაპროფილებული ჩარჩოებით. ზოგჯერ ბუხარი წარწერითაც იყო დათარიღებული.

საცხოვრებელის ეს ტიპი დღესაც ფართოდ არის გავრცელებული დასავლეთ საქართველოში (სურ. 4.14.1).



სურ. 4.14.1. ქართული ოდა-სახლი. ქართველი კლასიკოსი მწერლის, კონსტანტინე გამსახურდიას სახლ-მუზეუმი, სოფ. ძველი აბაშა, საქართველო.

P.S. ნაშრომის ტექსტში განთავსებულია ქართველი და უცხოელი ფოტოგრაფების: კახაბერ ხმელიძის, თამაზ ხმელიძის, ლაშა გაბელიას, ზურაბ პაპიაშვილის, დავით მიქავას, კახა მჭედლიძის, დავით მირზაშვილის, დავით მიქავას, ჯაბა ლაბაძის, გია გრიგალაშვილის, გოგა ჩანადირის, ლაზარე გაგნიძის, გურამ მაღრაძის, ამირან მინაძის, აჩი გეგენავას, ლადო შეყრილაძის, კახა არცივაძის, სოფო პაქსაშვილის, ინგა ხარატიშვილის, ნინო გაბარაულის, ივანე გოლიაძის, ზაზა ქარდავას, ლიდა კაპანაძის, ვაჩე ვაჩეიშვილის, მიშა შარაბიძის, ნინო მარდალეიშვილის, თამაზ დუნდუას, ლელა მარგიანის, ია მელითაურის, ნინო ნაროზაულის, გიორგი კიღურაძის, ბექა ჩიტაიას, ოთარ ჭითანავას, ლაშა ხაჩიძის, ანზორ მჭედლიშვილის, ვანო ნაზღაიძის, პაატა ვარდანაშვილის, ზაზა თორთლაძის, ნატალია ჩიტიშვილის, გიორგი მელაშვილის, სანდრო ხომერიკის, ლაშა ოდოსაშვილის, ნიკო კვეზერელი-კოპაძის, გურამ მეგრელიშვილის, ალექსანდრე ჯაშის, გ. ბარისაშვილის, ა. ხანთაძის, გ. ბაგრატიონის, გრეტა ჰოვარდის, როლფ გროსის, კლაუდიო მარგოტინის, გაბრიელ სილვას, არიან ზვეგერსის, სალვადორ ფორნელის, ხუან კარლოს ბრისენოს, ელენა ლინეცკაიას, ანჟეი შანდომირსკის, ნიკიტა დედკოვის, სერგეი პროკუდინ-გორსკის, ვასილ შელიომინის, ბრუს მალინის, პავლე ჯაგეტოს, ვადიმ კლოჩკოს, ანდრეი სურიკოვისა და სხვათა ფოტოები.

ტექსტის მომზადების პროცესში გამოყენებული იყო ცნობილი ქართველი მეცნიერების შრომები, ესენია: ივანე ჯავახიშვილი, აკაკი შანიძე, არნოლდ ჩიქობავა, ექვთიმე თაყაიშვილი, ნიკო ნიკოლაძე, ნიკო მუსხელიშვილი, შალვა ამირანაშვილი, სიმონ ყაუხჩიშვილი, პავლე ინგოროყვა, ნიკო ჩუბინაშვილი, პარმენ ზაქარაია, მარიამ ლორთქიფანიძე, როინ მეტრეველი, ჯაბა სამუშია, ვახტანგ ბერიძე, ირაკლი ციციშვილი, ვახტანგ ჯაფარიძე, გრანი ქავთარია, მოსე ჯანაშვილი, გურამ ყიფიანი, ნოდარ ამაშუკელი, თამაზ დვალი, ნუგზარ ანდღულაძე, ვალერი სილოგავა, ილია ადამია, თეონა ნოზაძე, დავით დანელია, თეა ცაგურიშვილი, საბა ხვიჩია, თეონა კილაძე, თენგიზ ვერულავა, გიორგი მარსაგიშვილი, ვალერიან მამუკელაშვილი, ნუგზარ გოგიბედაშვილი, ბეჟან ხორავა, ნინო თარხნიშვილი, თეა ინასარიძე, თეა თოფურია, ქეთი ჭელიძე, ირმა ხარშილაძე, გურამ ხარშილაძე, სოფიო ჩიტორელიძე, მაკა ლომიძე, კახაბერ კენკიშვილი, იულონ გაგოშიძე, ნუგზარ ანდღულაძე, თეა სულა-

ბერიძე, გიორგი დუნდუა, დავით კაპანაძე, ომარ ლანჩავა, ნონა ქარციძე, იზოლდა ჭილაძე, გიორგი კალანდაძე, გოგა აფციაური, თათია კუჭუხიძე, ირაკლი გუნია, გოჩა გუგუშვილი, ანზორ მჭედლიშვილი, ლალი ფაცია, სოფიო მაჭავარიანი, ლელა კაკრიაშვილი, თინათინ მჭედლიშვილი, გიორგი ნიკოლავა, ლელა ჯიყაშვილი, დევი ბერძენიშვილი, გურამ ჩხარტიშვილი, ოლიკო ცისკარიშვილი, ლევან წიქარიშვილი, უჩა მურღულია, ერეკლე ბიბიჩაძე, ნიკოლოზ ბერიძე, მანანა სურამელაშვილი, გოგა კირთაძე, ირაკლი ჭიჭინაძე, ლელა მარგიანი, ნინო გვაზავა, ნინო ჩალაძე, სოფიკო ნინიკაშვილი, გიორგი მახობეშვილი, გელა ქოქიაშვილი, არქიმანდრიტი ლაზარე, ლაშა ბესტავაშვილი, ლევან მაზმიშვილი, ანა ტყებუჩავა, ანზორ სიჭინავა, გოგიტა ჩიტაია, ნანუკა მაღლაკელიძე, მაკა შავგულიძე, ლილი ბერაია, მიხეილ ნიკოლეიშვილი, მზია საგანელიძე, კ. ფიცხელაური, თინათინ მოსიაშვილი, ზ. კიკნაძე, თ. სანიკიძე, შ. საღარაძე, ლ. მენაბდე, თ. კიღურაძე, ზ. აბზიანიძე, ქ. ელაშვილი, დ. შენგელია, ნ. ანდღულაძე, ი. მამაიაშვილი, მ. მგალობლიშვილი, გ. ჭეიშვილი, თ. დვალი, მარია ვოლუისკაია, ა. მარაკუშევი და სხვ.

ლიტერატურა

1. ვ. ბერიძე. ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, თბ.: გამომცემლობა „ხელოვნება“. 1974. -248 გვ.
2. ი. ციციშვილი. ქართული ხელოვნების ისტორია//თბილისი: ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების გამომცემლობა. 1995. -159 გვ.
3. თ. ხმელიძე, დ. გურგენიძე, ლ. კლიმიაშვილი, კ. ხმელიძე. სამშენებლო ენციკლოპედიური ლექსიკონი/პროფესორ დავით გურგენიძისა და პროფესორ თამაზ ხმელიძის საერთო რედაქციით. საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ონლაინვერსია. თბილისი, 2021. - I-V ტომი. ISBN 978-9941-28-496-0; (16330 ტერმინი).
4. ტექნიკური ტერმინოლოგია (ქართულ-რუსული) რ. დვალისა და რ. ღამბაშიძის რედაქციით. თბ.: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1982. - 568 გვ.
5. ტექნიკური ტერმინოლოგია (რუსულ-ქართული) რ. დვალისა და რ. ღამბაშიძის რედაქციით. თბ.: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1977. - 521 გვ.
6. http://www.evpatori.ge/.
7. www.ambioni.ge.
8. www.dzeglebi.ge.
9. www.orthodoxy.ge.
10. saunje.ge.
11. ქართული კულტურა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციების ხანაში (1901 – 1921 წწ.), წიგნიდან «**საქართველოს ისტორიის ნარკვევები**»: 8 ტომად /ტ. 6 : საქართველო 1900-1921 წლებში / რედ.: აკ. სურგულაძე ; ნ. გ. მარგიანი, ა. ბენდიაშვილი, ა. კიკვიძე და სხვ. - 1972 – 789 გვ.
12. მ. ჭაბაშვილი. უცხო სიტყვათა ლექსიკონი. თბ.: გამომცემლობა „განათლება“, 1989. - 434 გვ.
13. ხელოვნების ენციკლოპედიური ლექსიკონი (ონლაინვერსია).
14. სამოქალაქო განათლების ლექსიკონი (ონლაინვერსია).
15. საქართველოს საკანონმდებლო ტერმინთა ლექსიკონი (ონლაინვერსია).

13. ხელოვნების ენციკლოპედიური ლექსიკონი (ონლაინვერსია).
14. სამოქალაქო განათლების ლექსიკონი (ონლაინვერსია).
16. უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონი: (3 ტომად) / შეადგინა ალექსანდრე ელერდაშვილმა. - I-ლი გამომც.. - თბ.: გამომცემლობა „ფანტაზია“, 2006.
17. ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი / საქ. ეროვნ. მუზეუმი; (პროექტის ავტ. და სამეცნ. ხელმძღვ. ელდარ ნადირაძე; რედ. როინ მეტრეველი; ავტორები: გვანცა არჩვაძე, მარინა ბოკუჩავა, თამარ გელაძე და სხვ.). - თბ.: გამომცემლობა „მერიდიანი“, 2011. - 610 გვ.
18. არქიტექტურული ტერმინების ლექსიკონი (ონლაინვერსია).
19. დიდი ქართულ-ინგლისური ლექსიკონი = A Comprehensive Georgian-English Dictionary: [2 ტომად]/შემდგ.: რუსუდან ამირეჯიბი, შუქია აფრიდონიძე..., დონალდ რეიფილდი (მთ. რედ.) და სხვ. - ლონდონი: გარნეტი, 2006.
20. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა". რედკოლეგია: ვ. დოლიძე, ს. კინწურაშვილი, უ. სიდამონიძე, თბ.: 1990.
21. ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. თბ.: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. 1967, 1982. 12 ტომეული.
22. მ. ქუთათელაძე, „თბილისის ტაძრები“, ტ. I, თბ.: 2010.
23. შ. ამირანაშვილი. ქართული ხელოვნების ისტორია, თბ.: გამომცემლობა „ხელოვნება“, 1961. -827 გვ.

24. საქართველოს ისტორია. I ტომი//გ. მელიქიშვილი, ა. აფაქიძე, ო. ჯაფარიძე, დ. მუსხელიშვილი. თბ.: გამომც. პალიტრა L. 2019. -277 გვ. ISBN 978-9941-29-978-0.
25. საქართველოს ისტორია. II ტომი//მ. ლორთქიფანიძე, დ. მუსხელიშვილი, რ. მეტრეველი. თბ.: გამომც. პალიტრა L. 2019. -425 გვ. ISBN 978-9941-32-005-7.
26. საქართველოს ისტორია. III ტომი//ნ. ასათიანი, გ. ოთხმეზური, მ. სამსონაძე, გ. ჯამბურია. თბ.: გამომც. პალიტრა L. 2020. -481 გვ. ISBN 978-9941-32-054-5.
27. საქართველოს ისტორია. IV ტომი//ა. ბენდიანიშვილი, ა. დაუშვილი, მ. ნათმელაძე. თბ.: გამომც. პალიტრა L. 2012. -511 გვ. ISBN 978-9941-32-035-4.
28. რ. მეტრეველი. თამარ მეფე (სერიიდან „ქართველი მეფეები“). გამომც. პალიტრა L. 2018. -267 გვ.
29. ჯ. სამუშია. ბაგრატ III (სერიიდან „ქართველი მეფეები“). თბ.: გამომც. პალიტრა L. 2018. -247 გვ.
30. გ. პაიჭაძე. ვახტანგ VI (სერიიდან „ქართველი მეფეები“). თბ.: გამომც. პალიტრა L. 2018. -215 გვ.
31. ჯ. სტეფნაძე. გიორგი III (სერიიდან „ქართველი მეფეები“). თბ.: გამომც. პალიტრა L. 2018. -203 გვ.
32. გ. ქავთარია. ფარნავაზი (სერიიდან „ქართველი მეფეები“). თბ.: გამომც. პალიტრა L. 2018. -231 გვ.
33. რ. მეტრეველი, ჯ. სამუშია. გიორგი II (სერიიდან „ქართველი მეფეები“). თბ.: გამომც. პალიტრა L. 2018. -219 გვ.
34. რ. მეტრეველი. დავით აღმაშენებელი (სერიიდან „ქართველი მეფეები“). თბ.: გამომც. პალიტრა L. 2018. -319 გვ.
35. რ. ბარამიძე. არჩილ II (სერიიდან „ქართველი მეფეები“). თბ.: გამომც. პალიტრა L. 2018. -239 გვ.
36. ა. გელაშვილი. ერეკლე II (სერიიდან „ქართველი მეფეები“). თბ.: გამომც. პალიტრა L. 2018. -243 გვ.
37. ჯ. სამუშია. ბაგრატ IV (სერიიდან „ქართველი მეფეები“). თბ.: გამომც. პალიტრა L. 2018. -279 გვ.
38. ვ. კეკელია. ალექსანდრე I დიდი (სერიიდან „ქართველი მეფეები“). თბ.: გამომც. პალიტრა L. 2018. -179 გვ. ISBN 978-9941-29-401-3.
39. გ. ქავთარია. მირიანი (სერიიდან „ქართველი მეფეები“). თბ.: გამომც. პალიტრა L.2018. -251 გვ. ISBN 978-9941-29-434-1.
40. ე. მამისთვალაშვილი. ლუარსაბ I და სვიმონ I (სერიიდან „ქართველი მეფეები“). თბ.: გამომც. პალიტრა L. 2018. -231 გვ. ISBN 978-9941-29-476-1.
41. ჯ. სტეფნაძე. გუბაზ II (სერიიდან „ქართველი მეფეები“). თბ.: გამომც. პალიტრა L. 2019. -261 გვ. ISBN 978-9941-29-528-7.
42. ჯ. სტეფნაძე. დემეტრე I (სერიიდან „ქართველი მეფეები“). თბ.: გამომც. პალიტრა L. 2019. -187 გვ. ISBN 978-9941-29-504-1.
43. ვ. კიკნაძე. გიორგი ბრწყინვალე (სერიიდან „ქართველი მეფეები“). თბ.: გამომც. პალიტრა L. 2019. -199 გვ. ISBN 978-9941-29-637-6.
44. გ. ქავთარია. ფარსმან I და ფარსმან II (სერიიდან „ქართველი მეფეები“). თბ.: გამომც. პალიტრა L. 2019. -219 გვ. ISBN 978-9941-29-674-1.
45. მ. ლორთქიფანიძე. ვახტანგ გორგასალი (სერიიდან „ქართველი მეფეები“). თბ.: გამომც. პალიტრა L. 2019. -243 გვ. ISBN 978-9941-29-721-2.
46. გ. აბდაკლაძე. გიორგი IV ლაშა (სერიიდან „ქართველი მეფეები“). თბ.: გამომც. პალიტრა L. 2019. -251. გვ. ISBN 978-9941-29-752-6.
47. ჯ. სამუშია. გიორგი I (სერიიდან „ქართველი მეფეები“). თბ.: გამომც. პალიტრა L. 2019. -227 გვ. ISBN 978-9941-29-847-9.

48. მ. ბახტაძე. დემეტრე თავდადებული (სერიიდან „ქართველი მეფეები“). თბ.: გამომც. პალიტრა L. 2019. -179 გვ. ISBN 978-9941-29-909-4.
49. ბ. ხორავა, გ. ვაჭრიძე. ბაგრატ III (სერიიდან „ქართველი მეფეები“). თბ.: გამომც. პალიტრა L. 2019. -215 გვ. ISBN 978-9941-29-935-3.
50. ჯ. სამუშია. დავით ულუ (სერიიდან „ქართველი მეფეები“). თბ.: გამომც. პალიტრა L. 2019. -195 გვ. ISBN 978-9941-29-949-0.
51. ე. მამისთვალაშვილი. თეიმურაზ I (სერიიდან „ქართველი მეფეები“). თბ.: გამომც. პალიტრა L. 2019. -243 გვ. ISBN 978-9941-29-976-6.
52. ჯ. სამუშია. დავით VI ნარინი (სერიიდან „ქართველი მეფეები“). თბ.: გამომც. პალიტრა L. 2020. -155 გვ. ISBN 978-9941-32-024-8.
53. ნ. ჯავახიშვილი. გრიგოლ I (სერიიდან „ქართველი მეფეები“). თბ.: გამომც. პალიტრა L. 2020. -183 გვ. ISBN 978-9941-32-047-7.
54. მ. ბედიაშვილი. სვეტიცხოველი. სამეცნიერო-ტექნიკური კვლევის შედეგები. გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 2003. -128 გვ.
55. თ. ხმელიძე, გ. ყიფიანი, კ. ხმელიძე, თ. ვანიშვილი. ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლები. გამომც. უნივერსალი. თბ., 2018. -201 გვ.
56. ქართული მართლმადიდებლური სამყარო//ავტორი-შემდგენელი მ. ჯალიაშვილი; გამომცემლობა ქართლი, თბ., 2016. -155 გვ.
57. ვახტანგ ბერიძე – „სამცხის ხუროთმოძღვრული ძეგლები“; გამომცემლობა ნაკადული, 1970.
58. ვ. ჯაფარიძე. ადრეული შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები ქვემო ქართლიდან. გამომცემლობა მეცნიერება, თბ., 1982. -190 გვ.
59. ან. აფაქიძე, გ. გობეჯიშვილი, ალ. კალანდაძე, გ. ლომთათიძე. მცხეთა (არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები), ტ. I, თბ., 1955.
60. ო. ლორთქიფანიძე. ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან. I ტ. თბ.: გამომცემლობა პალიტრა L. 2022. -552 გვ. ISBN 978-9941-35-043-6.
61. გ. გამყრელიძე. ქართული არქეოლოგიის კვალდაკვალ/საქართველოს ეროვნული მუზეუმი, თბ., 2008.
62. საქართველოს არქეოლოგია/რედაქტორი ოთ. ლორთქიფანიძე, ტ. I, თბ.: 1991.
63. საქართველოს არქეოლოგია/რედაქტორი ოთ. ჯაფარიძე, ტ. II, თბ.: 1992.
64. თ. დვალი. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, I–II ტ. თბ.: 2008.
65. პ. ინგოროყვა. ჭანეთ-ლაზეთის ისტორიის საკითხთა გამო. თბ.: 2003.
66. თ. კვირკველია. რუსულ-ქართული ხუროთმოძღვრული განმარტებითი ლექსიკონი. თბ.: განათლება, 1974. -219 გვ.
67. ვ. ბერიძე – "XVI-XVIII საუკუნეების ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრება", თბ.: 1994.
68. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. სარედაქციო კოლეგია: არნ. ჩიქობავა (მთავ. რედაქტორი), ირ. აბაშიძე, რ. მეტრეველი, შ. ძიძიგური, მ. ჭაბაშვილი. თბ.: გამომც. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ენათმეცნიერების ინსტიტუტი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. 1986.
69. დ. მუსხელიშვილი, მ. სამსონაძე, ა. დაუშვილი. საქართველოს ისტორია (უძველესი დროიდან 2009 წლამდე). თბ.: გამომც. გუმბათი, 2012. -544 გვ. ISBN 978-9941-0-4195-2.
70. ლ. დონაძე, ო. ჩიჯავაძე, გ. ჩხიკვაძე. „ქართული მუსიკის ისტორია“, წიგნი 1. თბილისი 1990.
71. ნ. ჯორჯიკია. საქართველოს კულურული ცხოვრება XIX საუკუნიდან ჩვენს დღეებამდე, ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, 2017.
72. მ. ციციშვილი, ნ. ჭოღოშვილი. ქართული მხატვრობა - განვითარების ისტორია. XVIII-XX საუკუნეები, თბილისი, 2013.

73. გიგო გაბაშვილი. გამომცემლობა „ხელოვნება“, თბ.; 1986.
74. დავით კაკაბაძე. საქართველოს საინფორმაციო სააგენტო, თბ.; 1983.
75. ელენე ახვლედიანი. საქართველოს საინფორმაციო სააგენტო, თბილისი, 1980.
76. ნიკო ფიროსმანიშვილი. საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობა, ტფილისი, 1926.
77. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი, ნატო სონღულაშვილი, ქართული ერთობა და ეროვნული იდენტობა XX საუკუნის პირველ ოცწლეულში, თბილისი, 2012.
78. ზ. დოლიძე. მსოფლიო კინემატოგრაფის ისტორია უხმო კინო სახელმძღვანელო სტუდენტებისათვის, გამომცემლობა “კენტავრი” თბილისი, 2016.
79. ტ. თვალჭრელიძე. კინემატოგრაფიული ძიებანი, გამომცემლობა „ხელოვნება“, თბილისი, 1989.
80. ნ. წულუკიძე. ქართული კონცეპტუალური ხელოვნება. მხატვრობისა და ფოტოგრაფიის სინთეზი. თბილისი, 2011.
81. ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1990.
82. გ. ხაჭაპურიძე. საქართველოს XIX და XX საუკუნეთა ისტორია, სახელმწიფო გამომცემლობა, თბილისი, 1940.
83. არქიტექტურა და იდენტობა: საეკლესიო მშენებლობა თბილისში (1801-1918), დ. ხოშტარიას საერთო რედაქციით, თბილისი, 2016.
84. მ. ჩიხრაძე. თბილისი 1910-1921 წლებში (კულტურული ცხოვრების ისტორიული მიმოხილვა) ARS GEORGIKA. ელექტრონული ჟურნალი. სერია B. ახალი და თანამედროვე ხელოვნება. 2010.
85. კავშირი გულთა, მწერალთა კავშირი 100/გამომცემლობა „მერანი“, 2017. პროექტის ავტორი და რედაქტორი მაყვალა გონაშვილი. წიგნი გამოიცა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და შპს „ჯიარ ტრანზიტი“-ს მხარდაჭერით.
86. ვ. ბერიძე. XVI-XVIII საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრება, 1 ტომი, გამომცემლობა „ხელოვნება“. თბილისი,1983.
87. პ. ზაქარაია. ქართული ხუროთმოძღვრება XI-XVIII სს., გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1990.
88. პ. ზაქარაია. ქართული ცენტრალურ-გუმბათოვანი არქიტექტურა XI-XVIII სს., წიგნი 3, XIII-XVIII სს., გამომცემლობა „ხელოვნება“, თბილისი, 1981.
89. პ. ზაქარაია. საქართველოს ძველი ქალაქები და ციხეები, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1973.
90. ვ. ბერიძე. ქართული ხუროთმოძღვრების ისტორია. პირველი ტომი. ძირითადი ტექსტი. თბილისი, 2014. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო. გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრი.
91. ვ. ბერიძე. ქართული ხუროთმოძღვრების ისტორია. მეორე ტომი. ანოტაციები. ტაბულები. თბილისი, 2014. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო. გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრი.
92. თბილისი. ენციკლოპედია, ქართული ენციკლოპედიის ირაკლი აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია, თბილისი, 2002.
93. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა 5, სარედ. საბ. ირაკლი აბაშიძე, ანდრია აფაქიძე, ვახტანგ ბერიძე. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის რედაქცია, თბილისი, 1990.

94. ვ. ბერიძე. თბილისის ხუროთმოძღვრება 1801-1917 წლები, II, სახელმწიფო გამომცემლობა „აბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1963.
95. თ. კვირკველია. ძველი თბილისი. ,,საბჭოთა საქართველო'', თბილისი, 1984,
96. თ. სანიკიძე. უფლისციხე = Уфлисцихе = Upliscixe (ნარკვევები ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიიდან). გამომცემლობა ,,უნივერსალი'', თბილისი, 2002.
97. ნ. ჯანბერიძე. ქართული საბჭოთა არქიტექტურა, გამომცემლობა „ხელოვნება“, თბილისი, 1971.
98. ნ. ჯაში. სოციალისტური თბილისის ხუროთმოძღვრება, გამომცემლობა „ხელოვნება“, თბილისი, 1983.
99. ვ. დავითია. ავტორიტარიზმის არქიტექტურული ანატომია (ქართული არქიტექტურა 2004-2012 წლებში), გამომცემლობა ,,ივერიონი'', თბილისი, 2014.
100. Г.Н. Чубинашвили, Архитектура Кахетии, исследование развития архитектуры в восточной провинции Грузии в IV-XVIII вв., издательство академии наук грузинской сср, Тбилиси 1959.
101. Строительный словарь. Издательство „Норма“, Санкт-Петербург, 2000-2016.
102. Словарь строительных терминов. Стройинформ, 2004-2015 (Эл. версия).
103. Поплавский В.С. Архитектурно-строительный словарь. – М.: Слава, 1993. – 320 с.
104. Баторевич Н. И. Кожицева Т. Д. Архитектурный словарь. Издание 2-е, дополненное. – Санкт-Петербург: Стройиздат СПб, 2001. – 384 с.
105. Англо-русско-английский строительный словарь Polyglossum. Второе исправленное и дополненное издание. М., 2011.
106. Амбургер П. Г. Англо-русский строительный словарь (English-Russian Dictionary of Civil Engineering). Под ред. А. Е. Десова. 3-е изд., перераб. и доп. Москва Физматгиз, 1961. 600 с.
107. Издательство ЭТС, серия - Электронные словари, Polyglossum, 2005.
108. Официальные термины и определения в строительстве, архитектуре и жилищно-коммунальном комплексе. 2-е издание. – М.: ФГУП ВНИИНТПИ Госстроя России, 2004. – 228 с.
109. Политехнический словарь (гл. редактор академик И. И. Артоболевский). Изд-во Советская энциклопедия, М, 1977, -607 გვ.
110. Энциклопедия современной техники. Строительство. М.: Изд. Советская энциклопедия. 1964. I-II-III том.
111. Словарь-справочник по экономике и управлению в строительстве. МГСУ. М.: 2015 (Эл. версия).
112. Энциклопедия современной техники. Строительство. М.: Изд. Советская энциклопедия. 1964. I-II-III том.
113. Словарь архитектурно-строительных терминов (Онлаинверсия).
114. Современная иллюстрированная энциклопедия „Искусство”/гл. ред. Горкин А. П. М.: 2007.
115. A. White, B. Robertson. Architecture and Ornament. (A Visual Guide). New York, USA. 1990. p. 111.
116. https://www.qwelly.com/group/art/forum/topics/nationaltreather.
117. В. Беридзе, Н. Езерская, Искусство Советской Грузии 1921-1970 живопись, графика, скульптура, издательство Советский художник, Москва 1975.
118. Culture of Georgia. https://en.wikipedia.org/wiki/Culture_of_Georgia_(country). (უკანასკნელად გადამოწმებული იყო 2022 წლის 15 იანვარს).
119. Ancient Greece. https://en.wikipedia.org/wiki/Ancient_Greece#Culture. (უკანასკნელად გადამოწმებული იყო 2022 წლის 22 იანვარს).

120. Culture of ancient Rome. https://en.wikipedia.org/wiki/Culture_of_ancient_Rome. (უკანასკნელად გადამოწმებული იყო 2022 წლის 12 იანვარს).
121. Culture of ancient Rus. https://en.wikipedia.org/wiki/Culture_of_ancient_Rus' (უკანასკნელად გადამოწმებული იყო 2022 წლის 11 მარტს).
122. Culture of Armenia. https://en.wikipedia.org/wiki/Culture_of_Armenia' (უკანასკნელად გადამოწმებული იყო 2022 წლის 19 მარტს).
123. Culture of Cyprus. https://en.wikipedia.org/wiki/Cyprus#Culture. (უკანასკნელად გადამოწმებული იყო 2022 წლის 23 მარტს).
124. Culture of Europe. https://en.wikipedia.org/wiki/Culture_of_Europe. (უკანასკნელად გადამოწმებული იყო 2022 წლის 24 მაისს).
125. Culture of Egypt. https://en.wikipedia.org/wiki/Culture_of_Egypt. (უკანასკნელად გადამოწმებული იყო 2022 წლის 25 მაისს).
126. Culture of Syria. https://en.wikipedia.org/wiki/Culture_of_Syria. (უკანასკნელად გადამოწმებული იყო 2022 წლის 12 ივნისს).
127. Culture of Italy. https://en.wikipedia.org/wiki/Culture_of_Italy. (უკანასკნელად გადამოწმებული იყო 2022 წლის 27 ივნისს).

დანართი

ახალი სამშენებლო ტერმინების დამკვიდრების შესახებ

(ტერმინები დამუშავებული და ქართულ სივრცეში მოწოდებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორის **თამაზ ხმელიძისა** და დამოუკიდებელ მკვლევარ-დიზაინერის **კახაბერ ხმელიძის** მიერ)

საქართველოს სინამდვილეში, სამშენებლო ლიტერატურა – ცნობარი, სახელმძღვანელო, რეკომენდაციები, სტატიები და სხვ. ზომაზე მეტადაა დაბინძურებული უცხო ენებიდან (განსაკუთრებით რუსული ენიდან) შემოსული კალკებით, რაც აკნინებს მსოფლიო მნიშვნელობის მქონე უძველეს ქართულ ენას.

გვინდა ავღნიშნოთ, რომ თუ ტერმინის გადმოქართულება აუცილებელია და არ მოიძებნება ამ ტერმინის კარგად შესატყვისი ქართული სიტყვა, ქართულ ლექსიკაში უცხოური ტერმინის დამკვიდრებისათვის სასურველია ვიხელმძღვანელოთ იმ ენიდან და იმ ენაზე დაწერილი ნაშრომებიდან, რომლის ლექსიკიდანაც მოდის მოცემული ტერმინი და/ან მისი დასახელება.

პროფესორ დავით გურგენიძისა და პროფესორ თამაზ ხმელიძის საერთო რედაქციითა და ქართველ მეცნიერთა ჯგუფის მონაწილეობით გამოსაცემად მომზადებული იქნა სამშენებლო ენციკლოპედიური ლექსიკონის [3] ხუთტომეული (კომპიუტერული უზრუნველყოფა კახაბერ ხმელიძის), სადაც უცხოური ტერმინების უმეტესობას თან ერთვის ეტიმოლოგია (სიტყვის წარმომავლობა), რომელიც შექმნილია ბერძნული, ლათინური, ინგლისური, გერმანული, ფრანგული, ესპანური და სხვ. წყაროების დახმარებით.

გთავაზობთ ორნამენტული მოტივების აღმნიშვნელ ახალ ქართულ ტერმინებს, რომლებიც სამშენებლო ენციკლოპიურ ლექსიკონში არის შეტანილი. ორნამენტი (ჩუქურთმა) (ძვ. ფრანგ. ornement სამკაული, აქსესუარი < ლათ. ornāmentum აპარატი, მოწყობილობა, ატრიბუტი, სამკაული, სათამაშო) მცირემასშტაბური ნაძერწი ან მხატვრული, გრაფიკული, რიტმულად განმეორებადი ელემენტებისაგან შემდგარი სამკაულია, რომელიც წარმოადგენს გეომეტრიული ფიგურების, სტილიზებული ცხოველების, მცენარეების, მათი ცალკეული ნაწილების და სხვ. გამოსახულებებს. ორნამენტი, როგორც წესი, წარმოაჩენს ნაკეთობის არქიტექტონიკას (სამშენებლო ხელოვნება), რომელზეც იგია გამოსახული. აღსანიშნავია უძველესი სიმბოლური ორნამენტი, რომელიც ძველ ეგვიპტესა და აღმოსავლეთის ქვეყნებში წარმოიშვა ცხოველების, ადამიანების, შრომის იარაღების გამოსახვით ქვასა და ქსოვილებზე. ასეთი ორნამენტების დეტალებისა და მოყვანილობების შერჩევა მათი გამორჩეული მნიშვნელობის გამო ხდებოდა. სიმბოლური ორნამენტის დანიშნულება იყო პირობითი გამოსახულებების (სიმბოლოების) მეშვეობით გადმოეცა ესა თუ ის აზრი. სიმბოლური ორნამენტი ფესვმაგარი და ძლიერი ხალხის ყოფიდან, რწმენიდან და ყოველდღიური ცხოვრებიდან იღებდა სათავეს. მას დღესაც დიდი დატვირთვა აქვს ფერწერაში, არქიტექტურაში, ჰერალდიკასა და ხელოვნების სხვა დარგებში. თვითმყოფადი სტილის, თავისებურად ნატიფი ორნამენტებითაა (ჩუქურთმებით) შემკული ქართული ხუროთმოძღვრების მრავალი ძეგლი, რომელთა შორისაა ნიკორწმინდა, სვეტიცხოველი, სამთავრო, ბეთანია, ფიტარეთი, ბოლნისის სიონი, სამთავისი, სამწევრისი, წუღრუღაშენი, ატენის სიონი, ბაგრატი, გელათი, მცხეთის ჯვარი, ოშკი, იშხანი, ქაშვეთი და სხვ. ჩუქურთმას დიდი ისტორია აქვს ქართული ტანსაცმლის, ხალიჩებისა და ფარდაგების ქსოვაში (მაგ, ხევსურეთში, ფშავში, თუშეთში, სვანეთში). ქართული ჩუქურთმის ზოგიერთი სახეობა გასცდა საქართველოს საზღვრებს და ის გვხვდება რომაულ, ბერძნულ, არაბულ თუ ევროპულ არქიტექტურაში. კომპოზიციის ხასიათის მიხედვით, ორნამენტი შეიძლება იყოს ლენტური, დაცენტრებული, მოარშიებული ან ჰერალდიკური; ორნამენტში გამოყენებული მოტივების მიხედვით: გეომეტრიული, შედგენილი აბსტრაქტული ფორმებისგან (წერტილი, წრფე, ტეხილი ხაზი, ბა-


დისებრი ხაზები, წრე, რომბი, მრავალწახნაგა, ვარსკვლავი, ჯვარი, სპირალი, აგრეთვე რთული სპეციფიკური მოტივი – მეანდრი და სხვ); მცენარეული, რომელიც ფოთლების, ყვავილების, ნაყოფების და ა.შ. სტილიზაცია [ლოტოსი, პაპირი (პაპირუსი), პალმეტა, აკანთი, ძოწი და სხვ.]; ზოომორფული ან ცხოველური, რომელიც რეალური ან არარსებული, ფანტასტიკური ცხოველების ფიგურების ან ფიგურის ცალკეული ნაწილების სტილიზაციას ახდენს. ორნამენტული მოტივის სახით გამოიყენება აგრეთვე ადამიანის სტილიზებული ფიგურები ან სხეულის ცალკეული ნაწილების გამოსახულებები (ანთროპომორფული ორნამენტი), არქიტექტურული ფრაგმენტები, იარაღი, მედლები, ემბლემები, გერბები; დედამიწის რეგიონებისა და სხვადასხვა ხალხთა კულტურის მიხედვით არსებობს ავსტრალიური, ასირიულ-ბაბილონური, არაბული, ეგვიპტური, ინდური, კელტური, მონღოლური, ნორვეგიული, პოლინეზიური, რომაული, რუსული, სპარსული, ქართული, ჩინური, ძველბერძნული და სხვ.

აღსანიშნავია, რომ არქიტექტურული ორნამენტული მოტივების აღმნიშვნელი ტერმინების ქართულ სახელწოდებებზე მუშაობისას მოძიებული და განხილული იქნა საკმაოდ მნიშვნელოვანი მოცულობის ინფორმაცია – სხვადასხვა ენაზე შექმნილი მრავალი ნაშრომი. ობიექტური რეალობაა, რომ მსოფლიოში ინგლისურ ენაზე თავმოყრილია განსაკუთრებულად დიდი მოცულობის, საუკუნეების მანძილზე დაგროვილი და მრავალგზის გადამუშავებული მეცნიერული მასალა. საბოლოოდ, მნიშვნელოვანწილად დავეყრდენით ენტონი უაიტისა და ბრუს რობერტსონის ტერმინების დასახელებების მხრივ საკმაოდ სრულ ნაშრომზე: "არქიტექტურა და ორნამენტი: დასურათებული" (Antony White and Bruce Robertson - "Architecture & Ornament: A Visual Guide"), 1990 წ.

განვიხილოთ შემოთავაზებული ტერმინები, რომელთა შესატყვისი სრული ქართული დასახელებები ინტერნეტსივრცეში არ გვხვდება:

1. შერჩეული ქართული სახელწოდება: **ორნამენტული მოტივი "ბაგირი"** [სურ. 1; სურ. 2. ქართული ჩუქურთმების ფრაგმენტები წუღრუღაშენის წმ. გიორგის სახელობის ტაძრის (XIII ს.) მთავარ შესასვლელზე, ბოლნისის მუნიციპალიტეტი, ქ. ბოლნისის მახლობლად, საქართველო].

ორნამენტული მოტივის ტერმინის სრული ინგლისურენოვანი დასახელებაა: „ornamental motif " rope (cable)" – ინგლ. rope თოკი, საბელი, ბაგირი; ინგლ. cable კაბელი, ბაგირი. ტერმინის ქართული დასახელება ინგლისურიდან თარგმანში მოცემული წმინდა ქართული სიტყვის გამოყენებით შევარჩიეთ. აღსანიშნავია, რომ ბაგირი მსხვილი თოკია და მოცემული ორნამენტული მოტივის გარეგნულ იერსახეს კარგად შეესაბამება.



სურ. 1.




სურ. 2.


P.S. შეიძლებოდა ტერმინისათვის გვეწოდებინა „გრეხილი“, მაგრამ ჩავთვალეთ, რომ სიტყვა ბაგირის ჟერადობა უფრო სასიამოვნოა სმენისათვის და ამიტომ შევჩერდით შემოთავაზებულ ტერმინზე. გარდა ამისა, ტერმინი „ბაგირი“ ასოცირდება წრიული განივკვეთის დეკორატიულ ელემენტთან, ხოლო „გრეხილი“ – შეიძლება იყოს ნებისმიერი ფორმის ელემენტი (სამკუთხა, ოთხკუთხა, მრავალკუთხა, კომბინირებული და სხვ.).

2. შერჩეული ქართული სახელწოდება: **ორნამენტული მოტივი "გაშლილი ყვავილი"** (სურ. 1; სურ. 2. ორნამენტული მოტივები ლინკოლნის კურთხეული ქალწული მარიამის სახელობის საკათედრო ტაძრის აღმოსავლეთის ფასადზე, ცენტრალური შესასვლელის მარცხნივ მოთავსებული ნორმანული სტილის მომცრო კარის თაღზე, ქ. ლინკოლნი, ლინკოლნშირის საგრაფო, ინგლისი. ორნამენტული მოტივი "გაშლილი ყვავილის" დეტალებს შორის დიდი დაშორებაა).

ტერმინის სრული ინგლისურენოვანი დასახელება: ornamental motif "tablet flower" – ინგლ. tablet ფიცარი (წარწერით), დაფა და flower ყვავილი. ტერმინის ქართული დასახელება მოტივის გარეგნული იერსახის გათვალისწინებით შეირჩა.



სურ. 1.



სურ. 2.


3. შერჩეული ქართული სახელწოდება: **ორნამენტული მოტივი "დენტიკულა"** (სურ. 1; სურ. 2; სურ. 3. ორნამენტული მოტივი კაზინო ნობილეს ანტაბლემენტზე, ვილა ტორლონია, ქ. რომი, იტალიის რესპუბლიკა). ტერმინის სრული ინგლისურენოვანი დასახელება: ornamental motif "dentil" – ინგლ. dentil პატარა ორცხობილა; უცხოური არქიტექტურული ტერმინია და სიტყვის ქართული თარგმანის არარსებობის გამო ტრანსლიტერაციის მეთოდით შევარჩიეთ, ჩვენი აზრით, ტერმინის ერთადერთი მისაღები ქართული ვარიანტი.



სურ. 1.



სურ. 2.



სურ. 3.

4. შერჩეული ქართული სახელწოდება: **ორნამენტული მოტივი "ვიტრუვიუსის ტალღა"** (სურ. 1; სურ. 2 და სურ. 3. ბრინჯაოში შესრულებული ორნამენტული მოტივი "ვიტრუვიუსის ტალღა" ლუი XIV-ის სტილის მარმარილოს ბუხარზე). ტერმინის სრული დასახელება ინგლისურენოვანი ნაშრომიდან: ornamental motif “vitruvian scroll (running dog)” – ინგლ. vitruvian ვიტრუვიუსის [მარკუს ვიტრუვიუს პოლიონი (ცხოვრობდა ძვ. წ. I საუკუნეში) – რომაელი არქიტექტორი, ინჟინერი და მწერალი], scroll გრაგნილი, ხვია; ინგლ. running სირბილი, რბენა; დენადობა და dog ძაღლი, ქოფაკი. ტერმინის სრული ქართული დასახელება არქიტექტორის სახელისა და ორნამენტული მოტივის გარეგნული სახის გათვალისწინებით, ასევე მოცემული მოტივის სხვა ინგლისურენოვანი დასახელების (Vitruvian wave) მიხედვით შევარჩიეთ.



სურ. 1.




სურ. 2.



სურ. 3.

5. შერჩეული ქართული სახელწოდება: **ორნამენტული მოტივი "თოკი და ფრთა"** (სურ. 1).


ტერმინის სრული ინგლისურენოვანი დასახელება: ornamental motif "rope and feather" – ინგლ. rope თოკი, საბელი, ბაგირი და feather ბუმბული. ორნამენტული მოტივის გარეგნული იერსახის გათვალისწინებით ინგლისურიდან ქართულ თარგმანში მოცემული წმინდა ქართული სიტყვებიდან ტერმინის სრული დასახელება მარტივად შეირჩა.



სურ. 1.

6. შერჩეული ქართული სახელწოდება: **ორნამენტული მოტივი "კედელღარი"** (სურ. 1; სურ. 2; ორნამენტული მოტივი "კედელღარი" ნეოკლასიკური სტილის ინტერიერისთვის ხისგან დამზადებული კორინთული სტილის შინდისფერი პილასტრის ფრაგმენტზე; სურ. 3. ორნამენტული მოტივი "კედელღარი" კორინთული სტილის პილასტრის ფრაგმენტზე, მე-19 საუკუნის ერთ-ერთი სახლის ფასადზე, ოპერის გამზირი, ქ. პარიზი, საფრანგეთის რესპუბლიკა).

სრული ინგლისურენოვანი დასახელება: ornamental motif "fluting" – ინგლ. fluting ფლეიტა-ზე დაკვრა; არქიტ. კედლის ღარი (ან სვეტის, ბოძის). ეს უკანასკნელი წმინდა ქართული სიტყვაა, კარგად ერგება ორნამენტული მოტივის გარეგნულ იერსახეს და შედეგად ბუნებრივი იყო მისი შერჩევა ტერმინის სრული დასახელებისთვის.



სურ. 1.




სურ. 2.



სურ. 3.

7. შერჩეული ქართული სახელწოდება: **ორნამენტული მოტივი "კოპიტულა"** (სურ. 1; სურ. 2. ორნამენტული მოტივი "კოპიტულა" წმ. იოანე ნათლისმცემლის სახელობის სამრევლო ეკლესიის დასავლეთის კარის თაღზე, ს. სთიბინგტონი, კემბრიჯშირის საგრაფო, ინგლისი). სრული ინგლისურენოვანი დასახელება: ornamental motif "square billet" – ინგლ. square კვადრატი, მართკუთხედი, სკვერი; კვადრატული და billet შეშის ღერი, ნაპობი; ჯირკი, კუნძი; ლუგვი, კოპიტულა. ამ ქართული სიტყვების დახმარებით მივიღეთ ტერმინის დასახელება, რომელიც კარგად აღწერს ორნამენტული მოტივის გარეგნულ იერსახეს.
P.S. სათადარიგო ვარიანტად შეიძლება გამოვიყენოთ: „კვადრატული ნაპობი“ ან „კვადრატული კოპიტულა“. ჩვენ უპირატესობა მივანიჭეთ შერჩეულ დასახელებას შინაარსის, კარგი ჟღერადობისა და ტერმინის ლაკონურობის გამო.



სურ. 1.




სურ. 2.

8. შერჩეული ქართული სახელწოდება: **ორნამენტული მოტივი "კვერცხი და შუბის წვერი"** ("კვერცხი და ღუზა", "კვერცხი და ისარი" ან "კვერცხი და ენა") [სურ. 1; სურ. 2. ძველბერძნული კლასიკური ანტაბლემენტის ფრაგმენტი ერექთეიონიდან (იგივე ერექტეუმი – ინგლ. Erechtheion ან Erechtheum – ათენას და პოსეიდონის სახელობის ტაძარი,

ძველბერძნული ხუროთმოძღვრების თვალსაჩინო ძეგლი ათენის აკროპოლისში. აგებულია დაახლ. ძვ. წ. 421-406 წწ.), იხ. სურ. 2, პოზ. 3].

ტერმინის სრული ინგლისურენოვანი დასახელება: ornamental motif "egg and dart" ("egg and anchor", "egg and arrow" ან "egg and tongue") – ინგლ. egg კვერცხი, კვერცხუჯრედი და dart მოკლე სასროლი შუბი; ხელშუბი; ისარი, ნესტარი; გასროლა, გატყორცნა; (ინგლ. anchor ღუზა, კაუჭი; ღუზის ჩაშვება, დამაგრება, მიმაგრება; ინგლ. arrow ისარი, მაჩვენებელი; ინგლ. tongue ენა; ხელნა; ენის მსგავსი; ფეხსაცმლის ენა, სასწორის ენა, სასულე საკრავის ენა).

მოცემული ქართული შესატყვისების დახმარებით და ორნამენტული მოტივის გარეგნული სახის გათვალისწინებით შედგა ტერმინის სრული დასახელება.




სურ. 1.



სურ. 2.

9. შერჩეული ქართული სახელწოდება: **ორნამენტული მოტივი "ლებანი"** (სურ. 1; სურ. 2. საბაღე ურნა). ორნამენტული მოტივის სრული ინგლისურენოვანი დასახელება: ornamental motif "gadroon" – ინგლ. Gadroon < ფრანგ. godron მოზრდილი მრგვალი ნაკეცი; საყელოს სასწორებელი; ნივრის კბილის (ლებნის) ფორმის ორნამენტი; ტვიფვრა ხისტ (უხეშ) ტილოზე. ორნამენტული მოტივის დამახასიათებელი, თავისებური გარეგნული იერსახის გამო სრული დასახელებისთვის შევარჩიეთ სიტყვა "ლებანი".




სურ. 1.



სურ. 2.

10. შერჩეული ქართული სახელწოდება: **ორნამენტული მოტივი "აკანთი"** (სურ. 1; 2). ტერმინის სრული ინგლისურენოვანი დასახელება: ornamental motif "acanthus" – ინგლ. acanthus აკანთი (ბოტან. აკანთოსებრთა ოჯახის მცენარეთა გვარი). ამ მცენარის სახელი ქართულში უკვე დიდი ხნის დამკვიდრებულია, ორნამენტული მოტივის სტილიზებული ფიგურები აკანთის ფოთლების ფორმას იმეორებს და შედეგად ტერმინის სრული დასახელებაც მარტივად ჩამოყალიბდა.



სურ. 1.



სურ. 2.

11. შერჩეული ქართული სახელწოდება: **ორნამენტული მოტივი "ანთემიონი და პალმეტა“** (სურ. 1; სურ. 2; სურ. 3; სურ. 4; იხ. ტერმინი №8, სურ. 2, პოზ. 4). ტერმინის ინგლისურენოვანი დასახელება: ornamental motif "anthemion and palmette" – ინგლ. anthemion ანთემიონი (ორნამენტული მოტივი დეკორაციულ ხელოვნებაში) და palmette პალმეტა (მცენარის ფოთლის ან ყვავილის ფორმის ორნამენტული მოტივი დეკორაციულ ხელოვნებაში). ამგვარად, ინგლისურიდან ქართულ თარგმანში ტერმინის ერთადერთი და სრული დასახელებაა: ორნამენტული მოტივი "ანთემიონი და პალმეტა", რაც საბოლოო ქართულ ვარიანტად შევარჩიეთ.



სურ. 1



სურ. 2



სურ. 3



სურ. 4


12. შერჩეული ქართული სახელწოდება: **ორნამენტული მოტივი "ანთემიონი"** (სურ. 1. ავგუსტუსის ფორუმის ფრაგმენტი; იხ. ტერმინი №8, სურ. 2, პოზ. 4). ტერმინისინგლისურენოვანი დასახელება: ornamental motif "anthemion" – ინგლ. anthemion ანთემიონი (ორნამენტული მოტივი დეკორაციულ ხელოვნებაში). ინგლისურიდან ქართულ თარგმანში ტერმინის ერთადერთი და სრული დასახელებაა: ორნამენტული მოტივი "ანთემიონი", რაც ჩვენ მიერ შემოთავაზებული საბოლოო ქართული ვარიანტია.




სურ. 1.

13. შერჩეული ქართული სახელწოდება: **ორნამენტული მოტივი "გასაღები"** [სურ. 1; სურ. 2. ორნამენტული მოტივი ლინკოლნის კურთხეული ქალწული მარიამის სახელობის საკათედრო ტაძრის, ნორმანული სტილის, ცენტრალური (აღმოსავლეთის) შესასვლელის თაღზე, ქ. ლინკოლნი, ლინკოლნშირის საგრაფო, ინგლისი].

ტერმინის სრული ინგლისურენოვანი დასახელება: ornamental motif "key" – ინგლ. key გასაღები, კლავიში; თაღის ან კამარის ჩამკეტი ქვა. ინგლისურიდან ქართულ თარგმანში ტერმინის მისაღები დასახელებებია: ორნამენტული მოტივი "გასაღები" ან ორნამენტული მოტივი "კლავიში", რომელთაგან ორნამენტული მოტივის ბერკეტის ტიპის საკეტის გასაღების პირის ფორმასთან ძლიერი მსგავსების გამო საბოლოოდ შევარჩიეთ პირველი ვარიანტი.




სურ. 1.




სურ. 2.

14. შერჩეული ქართული სახელწოდება: **ორნამენტული მოტივი "გილოში"** (სურ. 1; 2; 3; სურ. 4. ორნამენტული მოტივი "გილოშის" ერთ-ერთი ვარიანტი ჯონ სოპინკას სახელობის სასამართლოს შენობის ფასადზე, ქ. ჰამილტონი, ონტარიოს პროვინცია, კანადა; სურ. 5. ბერძნული გილოში ნიდერლანდების ომის დოკუმენტაციის ინსტიტუტი, ქ. ამსტერდამი, ნიდერლანდების სამეფო; სურ. 6. კომპლექსური გილოში ერექთეიონის (იხ. ტერმინი №8) ჩრდილოეთის პორტიკის ერთ-ერთი სვეტის ბაზისზე).


ტერმინის სრული ინგლისურენოვანი დასახელება: ინგლ. ornamental motif "guilloche" – guilloche უცხოური არქიტექტურული ტერმინია და სიტყვის ქართული თარგმანის არარსებობის გამო ამ შემთხვევაში ტრანსლიტერაციის მეთოდით შევარჩიეთ, ჩვენი აზრით, ტერმინის ერთადერთი შესაძლებელი ქართული ვარიანტი.



სურ. 1.



სურ. 2.



სურ. 3.



სურ. 4.




სურ. 5



სურ. 6

15. შერჩეული ქართული სახელწოდება: **ორნამენტული მოტივი „გუტი“** (სურ. 1; სურ. 2; სურ. 3. ტრიგლიფები 5-5 გუტით ადრიანეს ვილის ნანგრევების ერთ-ერთ ფრიზზე, ქ. ტივოლის მახლობლად, ლაციოს რეგიონი, იტალიის რესპუბლიკა; სურ. 4. დენტიკულები, ტრიგლიფი და ორნამენტული მოტივი „გუტი“ ქ. ბაფალოს ერთ-ერთი საცხოვრებელ სახლზე, ნიუ იორკის შტატი, აშშ). სრული ინგლისურენოვანი დასახელება: ornamental motif „guttae“ – ინგლ. guttae არქიტ. წვეთი; წვეთი ან ისეთი რამ, რაც წვეთს მოგვაგონებს. ქართულ თარგმანში ტერმინის დასახელებაა: ორნამენტული მოტივი „წვეთი“. ჩვენ ვამჯობინეთ ზემოთ მოცემული ლათინური წარმომავლობის ინგლისური სიტყვის ქართულად დაწერილი ვარიანტი. „წვეთი“ გამოვიყენეთ სხვა ორნამენტული მოტივის აღმნიშვნელ ქართულ ტერმინში.




სურ. 1.



სურ. 2.




სურ. 3.



სურ. 4.

16. შერჩეული ქართული სახელწოდება: **ორნამენტული მოტივი „გირლანდა“** (სურ. 1; სურ. 2). მოტივის სრული ინგლისურენოვანი დასახელება: ornamental motif "festoon" – ინგლ. festoon გირლანდა; გირლანდებით მორთვა; თაღისებრი. ინგლისურიდან ქართულ თარგმანში ტერმინის ერთადერთი მისაღები დასახელებაა: ორნამენტული მოტივი „გირლანდა“, რომელიც საბოლოო ვარიანტად შევარჩიეთ.




სურ. 1.



სურ. 2.

17. შერჩეული ქართული სახელწოდება: **ორნამენტული მოტივი „დაფნის გირლანდა“** (სურ. 1; სურ. 2. ორნამენტული მოტივი „დაფნის გირლანდა“ ტრაიანეს სვეტის ტორუსზე, ქ. რომი, იტალიის რესპუბლიკა).

ტერმინის სრული ინგლისურენოვანი დასახელება: ornamental motif „bay leaf garland“ – ინგლ. bay leaf დაფნის ფოთოლი და garland გვირგვინი, ყვავილწნული, გირლანდა. ინგლისურიდან ქართულ თარგმანში ტერმინის დასახელება იქნებოდა: ორნამენტული მოტივი „გვირგვინი“, „ყვავილწნული“ ან „გირლანდა“. ზემოთ განხილულ ტერმინთან შესაბამისობის გათვალისწინებით მოცემული სიტყვებიდან შევარჩიეთ „გირლანდა“.




სურ. 1.



სურ. 2.

18. შერჩეული ქართული სახელწოდება: **ორნამენტული მოტივი „ვინიეტი“** (სურ. 1; სურ. 2). სრული ინგლისურენოვანი დასახელება: ornamental motif „vignette“ – ინგლ. vignette ვინიეტი – ტრანსლიტერაციის მეთოდით ქართულ ენაში უკვე კარგად დამკვიდრებული სიტყვა, რომელიც ტერმინის სრული დასახელების საბოლოო ვარიანტისთვის გამოვიყენეთ.



სურ. 1.




სურ. 2.

19. შერჩეული ქართული სახელწოდება: **ორნამენტული მოტივი „ვოლუტა“** (სურ. 1; სურ. 2. ორნამენტული მოტივი „ვოლუტა“ შვეული ვოლუტით; სურ. 3. ჰორიზონტალური ვოლუტით).

ორნამენტული მოტივის სრული ინგლისურენოვანი დასახელება: ornamental motif „end scroll (volute)“ – ინგლ. end scroll გრაგნილის ბოლო და volute ხვია, ხვეული, სპირალი, ვოლუტა. ეს უკანასკნელი ტრანსლიტერაციის მეთოდით ქართულ ენაში დამკვიდრებული სიტყვაა, ამასთანავე ის კარგად შეესაბამება ჩვენს ნაშრომში მოცემულ ტერმინს: „ვოლუტა“ [ხვიარა სპირალის სახით, სკულპტურულად შესრულებული დეკორაციული ორნამენტული დეტალი მოთავსებული რგოლით („საჭვრეტელით“)]. შედეგად, სიტყვა „ვოლუტა“ ტერმინის სრული დასახელების საბოლოო ვარიანტისთვის შევარჩიეთ.

P.S. სათადარიგო ვარიანტად შეიძლება განვიხილოთ ტერმინი: **ორნამენტული მოტივი „ხვეული“.**



სურ. 1.



სურ. 2.



სურ. 3.

20. შერჩეული ქართული სახელწოდება: **ორნამენტული მოტივი „ტეხილი ზიგზაგი“** (სურ. 1; სურ. 2. ორნამენტული მოტივი „ტეხილი ზიგზაგი“ წმ. ლავრენტის სახელობის სამრევლო ეკლესიის შესასვლელის თაღზე, რომელიც მოქცეულია სამხრეთის მხრიდან მოგვიანებით მიშენებულ პორტიკში, ს. ჩრდილოეთ ჰინქსი, ოქსფორდშირის საგრაფო, ინგლისი; იხ. ტერმინი №27, სურ. 2).

ტერმინის სრული ინგლისურენოვანი დასახელება: ornamental motif „zig zag“ – ინგლ. zigzag ტეხილი ხაზი, იკანკელი, ზიგზაგი. ეს უკანასკნელი ტრანსლიტერაციის მეთოდით ქართულ ენაში უკვე კარგად დამკვიდრებული სიტყვაა და ამ შემთხვევაში ტერმინის სრულ სახელში მისი გამოყენება ვარჩიეთ. თავდაპირველად ტერმინის დასახელება გვქონდა „ზიგზაგი“, მაგრამ მეუფე დავითის (საქართველოს საპატრიარქო) რჩევით შევცვალეთ და საბოლოოდ ტერმინის სახელწოდება დაფიქსირდა „ტეხილი ზიგზაგი“.




სურ. 1.



სურ. 2.

21. შერჩეული ქართული სახელწოდება: **ორნამენტული მოტივი „ლოტოსი და პაპირუსი“** (სურ. 1; სურ. 2. ორნამენტული მოტივი „ლოტოსი და პაპრირუსით“ გაფორმებული ძველეგვიპტური ფრიზის ფრაგმენტის გრაფიკული რეპროდუქცია). ტერმინი ინგლისურენოვანი ნაშრომიდან: ornamental motif „lotus and papyrus“ – ინგლ. lotus ბოტან. ლოტოსი და papyrus ბოტან. პაპირი (პაპირუსი); ჭილი; ჭილ-ეტრატი. ტერმინის სრული დასახელებისთვის გამოვიყენეთ ინგლისურ წყაროში მითითებული მცენარეების სახელები. პაპირის ნაცვლად ვარჩიეთ სიტყვა „პაპირუსი“.




სურ. 1.



სურ. 2.

22. შერჩეული ქართული სახელწოდება: **ორნამენტული მოტივი „ლოტოსი“** [სურ. 1; სურ. 2. პალმეტიანი ძველეგვიპტური კაპიტელი ლოტოსის გაშლილი და დახურული ყვავილების მონაცვლეობით ბაზისთან, ისიდას (ძველეგვიპტურად: ასეტი – უზენაესი ქალღმერთი ძველი ეგვიპტის რელიგიაში) სახელობის ტაძარი, თანამედროვე კუნძული ფილე (ძველეგვიპტურად: პილაკი) მდ. ნილოსში, ქ. ასუანი (ძვ. ქ. სიენე), ასუანის მუჰაფაზა, ეგვიპტის არაბული რესპუბლიკა].

ორნამენტული მოტივის სრული ინგლისურენოვანი დასახელება: ornamental motif „lotus“ – ინგლ. lotus ბოტან. ლოტოსი. ბუნებრივია, ტერმინის სრული დასახელებისთვის გამოვიყენეთ მცენარის დასახელება ქართულად.




სურ. 1.



სურ. 2.

23. შერჩეული ქართული სახელწოდება: **ორნამენტული მოტივი „პაპირუსი“** [სურ. 1; სურ. 2. ორნამენტული მოტივი „პაპირუსი“ ისიდას სახელობის ტაძრის ერთ-ერთი სვეტის კაპიტელზე თანამედროვე კუნძულ ფილეზე მდ. ნილოსში, ქ. ასუანი (ძვ. ქ. სიენე), ასუანის მუჰაფაზა, ეგვიპტის არაბული რესბუბლიკა].

მოტივის სრული ინგლისურენოვანი დასახელება: ornamental motif „papyrus“ – ინგლ. Papyrus ბოტან. პაპირუსი; ჭილი [სქელი ქაღალდის მსგავსი ძველი საწერი მასალა – პაპირუსის ქართული შესატყვისი, რომელიც პირველად „დაბადების“ (ძველი აღთქმისა და მთლიანი ბიბლიის პირველი კანონიკური წიგნი) ქართულ თარგმანში გვხვდება]; ჭილ-ეტრატი. ტერმინის სრული დასახელებისთვის, მისი კარგი ჟღერადობის გათვალისწინებით პაპირის და ქართული ჭილის ნაცვლად ვარჩიეთ სიტყვა „პაპირუსი“.



სურ. 1.



სურ. 2.

24. შერჩეული ქართული სახელწოდება: **ორნამენტული მოტივი „ლუნეტი“** (სურ. 1; სურ. 2. ხეზე ნაკვეთი, ერთმანეთის მოპირისპირედ განლაგებული ორნამენტული მოტივის ორი ზოლი).

ორნამენტული მოტივის სრული ინგლისურენოვანი დასახელება: ornamental motif „lunette“ – ინგლ. lunette არქიტ. ტიმპანი; მაჯის საათების ოდნავ ამობურცული მინა. ბოტან. ლოტოსი. გამოვიყენეთ ტრანსლიტერაციის მეთოდით დიდი ხნის წინ მიღებული და დამკვიდრებული სიტყვა.




სურ. 1.



სურ. 2.

25. შერჩეული ქართული სახელწოდება: **ორნამენტული მოტივი „ლურსმნის თავი“** (სურ. 1; სურ. 2. ორნამენტული მოტივი წმ. ლეონარდის სახელობის ტაძარის საკურთხევლის შესასვლელის თაღზე, ს. სკარკლიფი, დერბიშირის საგრაფო, ინგლისი). ტერმინის სრული ინგლისურენოვანი დასახელება: ornamental motif „nailhead“ – ინგლ. nailhead<nail ლურსმანი, ფრჩხილი; მიჭედვა, მილურსმვა და head თავი; მეთაური, მეთაურობა. შედეგად, მარტივად მივიღეთ ორნამენტული მოტივის გარეგნული იერსახის კარგად აღმნიშვნელი და კარგად ჟღერადი ტერმინის სრული დასახელება.




სურ. 1.




სურ. 2.

26. შერჩეული ქართული სახელწოდება: **ორნამენტული მოტივი „მეანდრი“** (სურ. 1; სურ. 2; სურ. 3. ორნამენტული მოტივი აია-სოფიას ტაძარში, სტამბული, თურქეთის რესპუბლიკა).

ტერმინის სრული ინგლისურენოვანი დასახელება: ornamental motif „fret“ – ინგლ. fret ჩუქურთმა, ორნამენტი; ჩუქურთმით მორთვა. შედეგად, ქართული შესატყვისების თავისებურებისა და ორნამენტული მოტივს გარეგნული სახის გათვალისწინებით ტერმინის სრული დასახელებისთვის შევარჩიეთ სიტყვა „მეანდრი“.



სურ. 1.



სურ. 2.




სურ. 3.


27. შერჩეული ქართული სახელწოდება: **ორნამენტული მოტივი „მრგვალი ნაპობი“** (სურ. 1; სურ. 2. ორნამენტული მოტივი „მრგვალი ნაპობი“ და „ზიგზაგი“ წმ. მარიამის სახელობის ტაძრის საკურთხევლის თაღზე, სოფ. დიდი ბარინგტონი, გლოსტერშირის საგრაფო, ინგლისი). ტერმინის სრული ინგლისურენოვანი დასახელება: ornamental motif „round billet“ – ინგლ. round მრგვალი; ირგვლივ, გარშემო, დამრგვალება; წრეხაზი და billet ნაპობი, შეშის ღერი; ჯირკი,

კუნძი, ლუგვი, კოპიტულა. მრავალი კარგი ქართული შესატყვისიდან ტერმინის დასახელებისათვის შევარჩიეთ სიტყვათწყობა: „მრგვალი ნაპობი“.

P.S. სათადარიგო ვარიანტად შეიძლება განვიხილოთ ტერმინი: **ორნამენტული მოტივი „მრგვალი კოპიტულა“.**




სურ. 1.



სურ. 2.

28. შერჩეული ქართული სახელწოდება: **ორნამენტული მოტივი „მძივი“** (სურ. 1; სურ. 2. ქვაზე ნაკვეთი ორნამენტული მოტივი „მძივი“ წმ. ანდრიას სახელობის საქსონური ტაძრის საკურთხევლის თაღის ერთ-ერთი საყრდენი ნახევარსვეტის კაპიტელზე, სოფ. კოლნ-როჯერსი, გლოსტერშირის საგრაფო, ინგლისი).

მოტივის სრული ინგლისურენოვანი დასახელება: ornamental motif „bead“ – ინგლ. bead მძივის მარცვალი, ბურთულა, ჰაერის ბუშტულა; მძივი, კრიალოსანი. ტერმინის დასახელებისთვის შევარჩიეთ სიტყვა „მძივი“, რომელიც კარგად ერგება ორნამენტული მოტივის გარეგნულ სახეს.




სურ. 1.



სურ. 2.

29. შერჩეული ქართული სახელწოდება: **ორნამენტული მოტივი „კოჭა“** (სურ. 1; იხ. ორნამენტული მოტივი „მძივი და კოჭა“). მოტივის სრული ინგლისურენოვანი დასახელება: ornamental motif “reel“ – ინგლ. reel კოჭა, მასრა; ხვეულა; შოტლანდიური ცეკვა; კოჭა კინოფირისთვის; ფილმის ნაწილი; რხევა, რყევა, ტრიალი, ბრუნვა. ზემოთ ჩამოთვლილი რამდენიმე არსებითი სახელიდან ორნამენტული მოტივის გარეგნული იერსახის გათვალისწინებით ტერმინის სრული დასახელებისთვის შევარჩიეთ „კოჭა“.




სურ. 1.

30. შერჩეული ქართული სახელწოდება: **ორნამენტული მოტივი „მძივი და კოჭა“** (სურ. 1; სურ. 2. ორნამენტული მოტივი „მძივი და კოჭა“ იონიური სტილის პილასტრზე ვიტორიო ემა-

ნუელე II-ის სახელობის გალერეაში, ქ. მილანი, იტალიის რესპუბლიკა; იხ. ტერმინი №8, სურ. 2, პოზ. 4; იხ. ტერმინი №46, სურ. 2).

ორნამენტული მოტივის სრული ინგლისურენოვანი დასახელება: ornamental motif „bead and reel“ – ინგლ. bead მძივის მარცვალი, ბურთულა, ჰაერის ბუშტულა; მძივი, კრიალოსანი და reel კოჭა, მასრა; ხვეულა; შოტლანდიური ცეკვა; კოჭა კინოფირისთვის; ფილმის ნაწილი; რხევა, რყევა, ტრიალი, ბრუნვა. ტერმინის დასახელებისთვის შევარჩიეთ ზემოთ მოცემული ორი ტერმინისათვის გამოყენებული სიტყვები: „მძივი“ და „კოჭა“.




სურ. 1.



სურ. 2.

31. შერჩეული ქართული სახელწოდება: **ორნამენტული მოტივი „ნისკარტიანი თავი“** (სურ. 1; სურ. 2. წმინდა ქალწულ მარიამის სახელობის ტაძრის ცენტრალური შესასვლელი, სოფ. იფლი, ოქსფორდშირის საგრაფო, ინგლისი; სურ. 3. ამავე ტაძრის ცენტრალური შესასვლელის თაღის ფრაგმენტი).

ტერმინის სრული ინგლისურენოვანი დასახელება: ornamental motif „beakhead“ – ინგლ. Beakhead გემის ცხვირი; გემის ქვემო ბანის წინა სივრცე, სადაც მოთავსებულია საპირფარეშოები ეკიპაჟის წევრებისათვის <beak ნისკარტი, ნისკარტისმაგვარი რამ; კაუჭი; ჩაიდნის ტუჩი და head თავი; მეთაური, მეთაურობა. ჩვენ ვარჩიეთ ორნამენტული მოტივის ორსიტყვიანი დასახელება, რადგან მისი გარეგნული იერსახის წარმომავლობა სწორედ ნისკარტიანი თავის გამოსახულებასთანაა დაკავშირებული.



სურ. 1




სურ. 3



სურ. 2

32. შერჩეული ქართული სახელწოდება: **ორნამენტული მოტივი „ორმაგი კონუსი“** (სურ. 1; სურ. 2. ორნამენტული მოტივის ერთი დეტალი წმიდა სამების სახელობის სამრევლო ეკლესიიდან, სოფ. ბლედლოუ, ბაკინგემშირის საგრაფო, ინგლისი; სურ. 3. მოტივის რამდენიმე დეტალი წმ. მარგარიტას სახელობის სამრევლო ეკლესიის ჩრდილოეთის კარის თაღზე, სოფ. სტოვენი, სუფოლკის საგრაფო, ინგლისი).

ტერმინის სრული ინგლისურენოვანი დასახელება: ornamental motif „double cone“ – ინგლ. double ორმაგი; ასლი და cone კონუსი; გირჩა. ეს ორნამენტული მოტივი განმეორებადი ორმაგი წაკვეთილი კონუსების ფორმის ფიგურებისგან შედგება და ამიტომ ინგლისური წყაროდან ზუსტი თარგმანით მიღებული ქართული სახელწოდება მთლიანად მისაღებია.



სურ. 1.




სურ. 2.



სურ. 3.

33. შერჩეული ქართული სახელწოდება: **ორნამენტული მოტივი „ვარდული“** (სურ. 1; სურ. 2. ორნამენტული მოტივი სენ-სულპისის რომაულ-კათოლიკური ეკლესიის ჭერზე, ქ. პარიზი, საფრანგეთის რესპუბლიკა).

ორნამენტული მოტივის სრული ინგლისურენოვანი დასახელება: ornamental motif „rose“ – ინგლ. rose ვარდი, ვარდის ბუჩქი; როზეტი (ძვირფას სამკაულებში); არქიტ. როზეტი (დეკორატიული ელემენტი, გაშლილი ვარდის მსგავსი ორნამენტი). „როზეტი“ არქიტექტურაში უკვე საკმაოდ დამკვიდრებული სიტყვაა მოტივის სრულ სახელწოდებაში მისი გამოყენება ბუნებრივი იყო, თუმცა საბოლოოდ მაინც ვარჩიეთ ძველი ქართული ტერმინი „ვარდული“ (ტერმინის შერჩევაში გარკვეული წვლილი მიუძღვით არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ტერმინოლოგიის დეპარტამენტის თანამშრომლებს).




სურ. 1



სურ. 2

34. შერჩეული ქართული სახელწოდება: **ორნამენტული მოტივი „რომბი“** (სურ. 1; სურ. 2. ორნამენტული მოტივი „რომბი“ წმ. ნიკოლოზის სახელობის სამრევლო ეკლესიის სამხრეთის კარის თაღზე, სოფ. ბუდეზერტი, უორკშირის საგრაფო, ინგლისი).

ტერმინის სრული ინგლისურენოვანი დასახელება: ornamental motif „lozenge“ – ინგლ. lozenge რომბი; ტაბლეტი; რომბისებრი ფორმის ფიგურა; ირიბკუთხა ფიგურა; რომბის ფორმის შაქარყინული (ყინულკარამელი). ამ ორნამენტული მოტივის თითოეული ძირითადი დეტალი ზუსტად იმეორებს რომბის ფორმას, თვითონ სიტყვაც კარგად მოუხდა მოტივის სრულ დასახელებას.




სურ. 1.



სურ. 2.

35. შერჩეული ქართული სახელწოდება: **ორნამენტული მოტივი „სელის ქსოვილის ნაოჭი“** [სურ. 1; სურ. 2. ძველი საწოლის დეკორაცია, ხელით ნაკვეთი ერთ-ერთი მუხის დაფა; სურ. 3. მუხის ხისგან დამზადებული ევროპული ძველი მაღალსაზურგიანი მერხი (XVI ს.)].

ტერმინის სრული ინგლისურნოვანი დასახელება: ornamental motif „linenfold“ – ინგლ. linenfold არქიტ. „სელის ქსოვილის ნაკეცები“ ან „სელის ქსოვილის ნაოჭები“ (დეკორატიული ლირსები – მომცრო ზომის ხის ჩარჩოები მათში ჩამაგრებული სელის ქსოვილის ნაჭრებით) > linen სელის და fold ნაკეცი; დაკეცვა, მოკეცვა. ბრჭყალებში მოცემული ინგლისური სიტყვის ზემოთ ნაჩვენები ქართული შესატყვისები ერთ-ერთ რუსულ წყაროში მოცემული განმარტების დახმარებით მივიღეთ. „ნაკეცების“ ნაცვლად ვარჩიეთ „ნაოჭები“.



სურ. 1.




სურ. 2.



სურ. 3.

36. შერჩეული ქართული სახელწოდება: **ორნამენტული მოტივი „სპირალის უწყვეტი ხვია“** [სურ. 1; სურ. 2. ორნამენტული მოტივის ერთი დეტალი – გრანიტის ქვაზე ამოკვეთილი „ტრისკელიონი“ (კელტური სიმბოლო), ბრეტანის რეგიონი, საფრანგეთის რესპუბლიკა].

ტერმინის სრული ინგლისურენოვანი დასახელება: ornamental motif „continuous coil spiral“ – ინგლ. continuous უწყვეტი, უსრული, მუდმივი (მაგ. ელექტრული დენი), გამუდმებული, coil ხვია, კოჭა (მაგ. ინდუქციური), რგოლი, ხვეული (ბუხტი; ბაგირის, სადენის მასრა) და spiral სპირალი; კლაკნილა; სპირალური; სპირალურად დახვევა. ორნამენტული მოტივის გარეგნული იერსახის მიხედვით მოცემული ქართული შესატყვისებით შევადგინეთ სრული ქართული დასახელება.



სურ. 1.




სურ. 2.

37. შერჩეული ქართული სახელწოდება: **ორნამენტული მოტივი „ტალღა“** (სურ. 1; სურ. 2; სურ. 3. არტდეკოს სტილის ორნამენტული მოტივი „ტალღა“ ჰილდებრანდტის შენობის ფასადზე, ქ. ნეიპირი, ჰოკს-ბეის რეგიონი, ახალი ზელანდია).

მოტივის სრული ინგლისურენოვანი დასახელება: ornamental motif „wave“ – ინგლ. wave ტალღა; ზვირთი; ქნევა, რხევა, რყევა; ნიშანი (ხელით); დახვევა, დახუჭუჭება, დაკულულება (თმის); ტალღოვნება. ტერმინის სრული ქართული დასახელებისთვის ჩამოთვლილი სიტყვებიდან მარტივად ავარჩიეთ „ტალღა“, რომელიც სრულად შეესაბამება მოტივის გარეგნულ სახეს.



სურ. 1.



სურ. 2.



სურ. 3.

38. შერჩეული ქართული სახელწოდება: **ორნამენტული მოტივი „ფოთლის გრაგნილი“** (სურ. 1; სურ. 2. ფოლადისა და თითბრისგან დამზადებული ორნამენტული მოტივის ფრაგმენტი).

ორნამენტული მოტივის სრული ინგლისურენოვანი დასახელება: ornamental motif „scroll (leaf)“ – ინგლ.რაგნილი, ხვია და leaf ფოთოლი; შეფოთვლა. პირველ რიგში ორნამენტული მოტივის გარეგნული იერსახის გათვალისწინებით, ასევე ტერმინის სრული დასახელების კარგი ჟღერადობისთვის ვარჩიეთ სიტყვა „გრაგნილი“.



სურ. 1.



სურ. 2.

39. შერჩეული ქართული სახელწოდება: **ორნამენტული მოტივი „ფოთლის და ვარდის გრაგნილი“** [სურ. 1; სურ. 2. ორნამენტული მოტივი ვიქტორიანული სტილის ბორდიურის (შპალერის ვიწრო დეკორატიული ზოლი) ფრაგმენტზე].

ტერმინის სრული ინგლისურენოვანი დასახელება: ornamental motif „scroll (leaf and rose)“ – ინგლ. scroll გრაგნილი, ხვია, leaf ფოთოლი; შეფოთვლა და rose ვარდი, ვარდის ბუჩქი; როზეტი (ძვირფას სამკაულებში); არქიტ. როზეტი (დეკორატიული ელემენტი, გაშლილი ვარდის მსგავსი ორნამენტი). ამ შემთხვევაში გამოვიყენეთ ზემოთ განხილული ორნამენტული მოტივის სახელწოდება, რომელსაც კარგად მოერგო არსებითი სახელი: „ვარდი“.




სურ. 1.



სურ. 2.

40. შერჩეული ქართული სახელწოდება: **ორნამენტული მოტივი: „ქაშაყის ფხა“** (სურ. 1; სურ. 2. მოჭიქული ტერაკოტა - კერამიკის ლანგარი ორნამენტული მოტივით).

ორნამენტული მოტივის სრული ინგლისურენოვანი დასახელება: ornamental motif „herringbone“ – ეს ინგლისურენოვანი დასახელება ორნამენტულ მოტივს ეწოდა თევზის, კერძოდ, ქაშაყის ხერხემალთან წარმოსახვითი მსგავსების გამო – ინგლ. herringbone ქაშაყის ფხა; ნაძვისებრი, ნაძვის ფორმის (თევზიფხური); შევრონული ხლართი – პროფილი, ორნამენტი, თარგი; აგურის, პარკეტის და მისთ. წყობა; მოხატულობა (მაგ., ქსოვილზე), მოქარგულობა, ნაკერი და სხვ. > herring ქაშაყი და bone ძვალი; ხორცისგან ძვლების მოცილება. ამ ორნამენტული მოტივის და მისი სახელწოდების შესახებ ქართულ ინტერნეტსივრცეში ინფორმაცია ძალიან მწირია. საბოლოო ვარიანტი ამ დეკორატიული მოტივის წარმომავლობის გათვალისწინებით შევარჩიეთ.



სურ. 1.



სურ. 2.


41. შერჩეული ქართული სახელწოდება: **ორნამენტული მოტივი „ყვავილის ბურთი“** (სურ. 1. ორნამენტული მოტივი „ყვავილის ბურთი“ გლოსტერის წმ. პეტრეს და წმიდა და განუყოფელი სამების სახელობის საკათედრო ტაძარზე, ქ. გლოსტერი, გლოსტერშირის საგრაფო, ინგლისი).

ორნამენტული მოტივის სრული ინგლისურენოვანი დასახელება: ornamental motif „ball flower“ – ინგლ. ball ბურთი, სფერო; გორგლად დახვევა; რაიმესთვის მრგვალი ფორმის მიცემა და flower ყვავილი; მცენარის გაფურჩქნა, ყვავილობა; ორნამენტი ან მორთულობა, რომელიც ყვავილს გამოსახავს. საბოლოო ქართული დასახელება ამ უცხოური ტერმინის მნიშვნელობის, ზემოთ ჩამოთვლილი ქართული შესატყვისების, განსაკუთრებით კი მოტივის გარეგნული სახის გათვალისწინებით შევარჩიეთ.



სურ. 1.

42. შერჩეული ქართული სახელწოდება: **ორნამენტული მოტივი „ყურძნის მტევანი“** (სურ. 1). ტერმინის სრული ინგლისურენოვანი დასახელება: ornamental motif „grape“ – ინგლ. grape ყურძენი; ვაზის ნებისმიერი სახეობის მცენარე, რომელიც ისხამს ყურძენს; მუქი მეწამულწითელი ფერი; შემოკლ. ფინდიხი (მსხვილი კარტეჩი, საფანტი). აქ ვარჩიეთ მოტივის ორსიტყვიანი დასახელება, რადგან ყურძნის მტევანი უფრო ზუსტად ასახავს ორნამენტული მოტივის ცალკეული დეტალის გარეგნულ იერსახეს.




სურ. 1.


43. შერჩეული ქართული სახელწოდება: **ორნამენტული მოტივი „შევრონი“** (სურ. 1; სურ. 2; სურ. 3. ქვაში ნაკვეთი ორნამენტული მოტივი "შევრონი" მამსბერის წმ. პეტრეს და წმ. პავლეს სახელობის სააბატოს სამხრეთ პორტიკი, უილტშირის საგრაფო, ინგლისი).

ორნამენტული მოტივის სრული ინგლისურენოვანი დასახელება: ornamental motif "chevron" – ინგლ. chevron დანაკერი, მინაკერი, შევრონი; ლათინური V-ის ფორმის მქონე ორნამენტი; ფეიქ. ე. წ. „შევრონული ხლართი“, ასევე „შევრონული ნაქსოვი“, „შევრონული ნახჭი“ ან „შევრონული ქსოვა“; ნაძვისებრი (თევზიფხური) ქსოვის მეთოდი; „ქაშაყის ფხის“ (ორნამენტი) მსგავსი თარგის მქონე ნახჭი, ნაქსოვი – სარჭული (სარჭი – ერთგვარი სასარჩულე ქსოვილი) ნაქსოვის ერთ-ერთი სახე, რომელსაც ასეთი ორნამენტის მსგავსი მოხატულობა აქვს; ჰერალდიკაში – ჩვეულებრივ, გადაბრუნებული და ფართოდ გაშლილი ლათინური V-ს ფორმის ნიშანი; ზოლებისგან შედგენილი, ლათინური V-ს (სწორი ან გადაბრუნებული) ფორმის ნიშანი, ემბლემა, რომელსაც სამსახურის ხანგრძლივობის (ზევადიანი სამსახურის),


რანგის ან მისთ. მაჩვენებლად სპეციალური ფორმის ტანსაცმლის სახელოზე (ჩვეულებრივ, მარცხენა) ან სხვა ნაწილებზე დაკერებული სირმის სახით ატარებენ სერჟანტთა შემადგენლობის სამხედრო მოსამსახურეები, პოლიციის ოფიცრები, ჯარისკაცები, კურსანტები და სხვ. შევრონის თავისებური, კუთხოვანი ფორმა კარგად აღწერს ორნამენტული მოტივის გარეგნულ სახეს. რადგან შევრონი ქართულში უკვე დამკვიდრებული სიტყვაა, ტერმინის საბოლოო ქართულ ვერსიაში ამ სიტყვის გამოყენება ვარჩიეთ.



სურ. 1.




სურ. 2.



სურ. 3.

44. შერჩეული ქართული სახელწოდება: **ორნამენტული მოტივი „ძაღლის კბილი“** (სურ. 1; სურ. 2. ორნამენტული მოტივი „ძაღლის კბილი“ პიტერბოროს წმ. პეტრეს, წმ. პავლეს და წმ. ანდრიას სახელობის საკათედრო ტაძარზე, ქ. პიტერბორო, კემბრიჯშირის საგრაფო, ინგლისი).

ტერმინის სრული ინგლისურენოვანი დასახელება: ornamental motif „dog tooth“ – ინგლ. dog ძაღლი, ქოფაკი; ხვადი ძაღლი; ხვადი მგელი; ხვადი მელა, კვალდაკვალ გამოდევნება და tooth კბილი; კბილი ხერხის, კბილანის და ა.შ. ადრეულ ინგლისურ გოტიკურ არქიტექტურაში გავრცელებული ამ ორნამენტული მოტივის მოხატულობა მართლაც ძაღლის კბილს მოგვაგონებს, ამიტომ ბუნებრივია, რომ მისი დასახელება ინგლისური დედნიდან მსოფლიოს სხვადასხვა ენაზე სიტყვასიტყვით ითარგმნება. ასევეა ბრჭყალებში მოცემული ინგლისური დასახელების ქართული თარგმანიც, რომლის შერჩევა მოტივის სრული სახელწოდებისთვის ბუნებრივი იყო.



სურ. 1.




სურ. 2.

45. შერჩეული ქართული სახელწოდება: **ორნამენტული მოტივი „წვეთი“** [სურ. 1; სურ. 2. ტუდორების სტილის (გვიანდელი ინგლისური გოთიკური არქიტექტურული სტილი) თაბაშირის კარნიზი].

ორნამენტული მოტივის სრული ინგლისურენოვანი დასახელება: ornamental motif „peardrop“ – ინგლ. peardrop მსხლის ესენციისგან (არომატული ნივთიერების ნაყენი) დამზადებული შაქარყინული (ყინულკარამელი); მსხლის ფორმის შაქარყინული; მსხლის ფორმის ძვირფასი საკიდარი (სამკაული; კულონი, საყურე და სხვ.)>pear მსხალი; მსხლის ხე და drop

წვეთი (სითხის პატარა, ან მსხლის ფორმის უმცირესი ნაწილი); წვეთვა, წვეთება; ვარდნა; დაგდება, გადაყრა; შეწყვეტა, დაწევა, დავარდნა, დაქვეითება; მოულოდნელი დაცემა (ფასების, ტემპერატურის). ჩვენ სიტყვა „მსხალი“ არ გამოგვიყენებია, რადგან ორსიტყვიან დასახელებას ერთსიტყვიანი ვამჯობინეთ და მოტივის გარეგნული სახის კარგად აღმნიშვნელი ქართული სახელწოდება მივიღეთ.




სურ. 1.



სურ. 2.

46. შერჩეული ქართული სახელწოდება: **ორნამენტული მოტივი „წყლისფოთოლა და ენა“** [სურ. 1; სურ. 2. ქსილოგრაფიული ბეჭდვის მეთოდით ქაღალდზე შესრულებული ნახატი (XIX ს.)].

ორნამენტული მოტივის სრული ინგლისურენოვანი დასახელება: ornamental motif „water leaf and tongue“ – ინგლ. water leaf სტილიზებული ფოთლისებრი ორნამენტი; ინგლ. waterleaf ბოტან. ლაშქარასებრთა ოჯახის (ლათ. Boraginaceae) ერთ-ერთი გვარის (ლათ. Hydrophyllum) ნებისმიერი მცენარე; ტროპიკული მცენარე (ლათ. Talinum fruticosum), რომლის ფოთლებს მიირთმევენ, როგორც ბოსტნეულს; ქაღალდის დამზადების ტექნოლოგიაში – საშრობი ქაღალდის მსგავსი, გაუხამებელი (დაუმუშავებელი) შემწოვი ქაღალდი>water წყალი და leaf ფოთოლი; შეფოთვლა; ინგლ. tongue ენა; ლაპარაკის ყაიდა (მანერა). სიტყვა „ენის“ გამოყენება განხილული ორნამენტული მოტივის სახელწოდებისთვის ბუნებრივი იყო, დასახელების პირველი სიტყვა („წყლისფოთოლა“) კი ორნამენტული მოტივის წყლის მცენარეებთან კავშირისა და მისი კარგი ქართული ჟღერადობის გათვალისწინებით მოვიფიქრეთ.



სურ. 1.




სურ. 2.

47. შერჩეული ქართული სახელწოდება: **ორნამენტული მოტივი „წყლისფოთოლა და შუბის წვერი“** (სურ. 1; სურ. 2. ორნამენტული მოტივი ბრიტანეთის მუზეუმის ბერძნული აღორძინების სტილის ფასადის ერთ-ერთი სვეტის იონიური კაპიტელის თავზე, ქ. ლონდონი, ინგლისი; იხ. ტერმინი №8, სურ. 2, პოზ. 1).

მოტივის სრული ინგლისურენოვანი დასახელება: ornamental motif „water leaf and dart“ – ინგლ. water leaf სტილიზებული ფოთლისებრი ორნამენტი; ინგლ. waterleaf ბოტან. ლაშქარასებრთა ოჯახის (ლათ. Boraginaceae) ერთ-ერთი გვარის (ლათ. Hydrophyllum) ნებისმიერი მცენარე; ტროპიკული მცენარე (ლათ. Talinum fruticosum), რომლის ფოთლებს მიირთმევენ, როგორც ბოსტნეულს; ქაღალდის დამზადების ტექნოლოგიაში – საშრობი ქაღალდის მსგავსი, გაუხამებელი (დაუმუშავებელი) შემწოვი ქაღალდი>water წყალი და leaf ფოთოლი; შეფოთვლა; ინგლ. dart მოკლე სასროლი შუბი; ხელშუბი; ისარი, ნესტარი; გასროლა, გატყორცნა. დეკორატიული მოტივის ერთი მნიშვნელოვანი დეტალის გამოსახულების კარგად გადმოსაცემად სრული დასახელებისთვის შევარჩიეთ ორსიტყვიანი ფრაზა „შუბის წვერი“ და ზემოთ

განხილული ორნამენტული მოტივის სახელწოდებისთვის უკვე მიღებული ორიგინალური სიტყვის („წყლისფოთოლა“) დახმარებით შევადგინეთ მოცემული ორნამენტული მოტივის სრული ქართული დასახელება.




სურ. 1.



სურ. 2.

48. შერჩეული ქართული სახელწოდება: **ორნამენტული მოტივი „ჭდე“** (სურ. 1; სურ. 2. კარის ჩარჩო ჰორიზონტალური და შვეული ჭდეებით). ტერმინის სრული ინგლისურენოვანი დასახელება: ornamental motif „reeding“ – ინგლ. reeding არქიტ. მცირე ზომის, ნახევარცილინდრული ფორმის დეკორტიული სამშვენისი (ჩუქურთმა, ორნამენტი) ან დაყალიბებით მიღებული სხმული; აგრეთვე − დაჭდევება: დაღარული დეკორატიული სხმულების დამზადების პროცესი; დაყალიბებით მიღებული ისეთი სხმულების ერთობლიობა, როგორებიც გვხვდება არქიტექტურულ სვეტებზე, სადა თითოეული მათგანი მცირე ზომის ამოზნექილ კედელღარს მოგვაგონებს და ზოგჯერ ორნამენტის – „ლებანი“ (ინგლ. gadrooning) – სინონიმად ითვლება; სამშვენისი (ჩუქურთმა, ორნამენტი), რომელიც ასეთი სხმულებისგანაა შედგენილი; ნუმიზმ. მონეტის, მედლის და სხვ. წიბოზე (გვერდის ზედაპირი) დატანილი ვერტიკალური ღარები, ჭდეები; აგრეთვე − ასეთი ჭდეების ფორმირების პროცესი (დაჭდევება); რაიმე ზედაპირზე ჭდეების (ნაჭდევი, ნაკეჭნი, ნაწიბური) ამოკვეთის ან ღარვის (ფრეზვის) მეთოდი, ტექნიკა. სიტყვის (reeding) პირდაპირი ქართული თარგმანი ამჟამად არ გაგვაჩნია, ტერმინის სრული დასახელებისთვის კი შევარჩიეთ კარგი ქართული სიტყვა „ჭდე“, რომელიც ჩვენ შემთხვევაში საკვანძოც იყო.



სურ. 1.




სურ. 2.

49. შერჩეული ქართული სახელწოდება: **ორნამენტული მოტივი „ჯაჭვი“** (სურ. 1; სურ. 2. XX საუკუნის 70-იან წლებში 18 კარატიანი ოქროსგან დამზადებული, ჩაქუჩის დეკორატიული ეფექტით დამუშავებული სამაჯური ორნამენტული მოტივით „ჯაჭვი“).

ტერმინის დასახელება: ornamental motif „chain“ – ინგლ. chain ჯაჭვი, ძეწკვი; ბორკილი; მიჯაჭვა, შებორკვა, გადაჯაჭვა; ერთი და იმავე სახის საგნების, ნივთების, ერთეულების თანამიმდევრობა, რომლებიც ერთ ხაზს ქმნიან; იალქნიანი გემების გვერდებიდან ანძების გასწვრივ ჰორიზონტალურად გაშვერილი დაფების, თამასების სტრუქტურა, რაც გამოიყენება ვანტების (გემსართავები, რომლებითაც ანძა მაგრდება ბორტებზე) ბაზისის გასაფართოებლად; ქიმ. ერთი და იმავე ელემენტის (ჩვეულებრივ, ნახშირბადის) ორი ან მეტი ურთი-

ერთგადაბმული ატომი. ამ შემთხვევაში ტერმინის სრული ქართული დასახელება მარტივად მივიღეთ, რადგან ინგლისური დედნიდან პირდაპირ ნათარგმნი ქართული სიტყვა „ჯაჭვი“ კარგად შეესაბამება მოტივის გარეგნულ სახეს.



სურ. 1.



სურ. 2.

Summary

Georgian Culture and Architecture

Tamaz Khmelidze, Zurab Kashiashvili, Tamar Vanishvili, Medea Rcheulishvili

The work provides a brief historical review of the development of classical era, the Middle Ages, and modern Georgian culture;it describes the examples of material and spiritual culture, that was created by people during a lot of centuries living on the territory of Georgia; great traditions of Gelati, Ikalto, Athos mountain monastery. The description of religious and secular architectural monuments in Georgia and beyond its borders that is very important for the Georgian people, the richest material of stone carving, monumental and easel painting are provided to the readers in a sophisticated Georgian language. Their dignity and importance in the development of world culture as well as buildings of Georgian architectural art of XIX-XX centuries are presented in this work. The discussed material is accompanied by color photographs and an appendix, which presents new construction terms in Georgian language related to ornamental motifs.

The aim of the work is to help the reader acquire knowledge about the unique and rich Georgian cultural heritage from ancient civilization to the present day, to know about its role in the formation, maintenance and development of the Georgian state, to understand the historical purpose of the Georgian Apostolic Autocephalous Orthodox Church in the political, social and cultural life of the country.

Georgian culture is one of the most important achievements of world civilization and is considered as an integralpart with the cultures of other countries.Georgia's geographical location (at the crossroads of major trade routes, on the border of Asia and Europe, between the world-renowned centers of East and West) led the Georgians to a constant struggle for independence, though the same convenient location allowed them to establish cultural relations with neighboring countries such as the Achaemenes, then the Sassanian Iran, the Hellenistic East, the Roman Empire and Byzantium.

Georgia, along with Egypt, the Mediterranean, Byzantium, Rome, Persia, India, China, Syria, Armenia and other countries, is part of the world's oldest civilization, as evidenced by the activity of the ancient man, found in this territory that belongs tothe Paleolithic period (about 1.8 million years ago) before thethe X millennium BC). Archaeological excavations have also uncovered settlements, tombs and artefacts confirming human activity in the Neolithic (New Stone Age: circa VIII-V centuries BC) and Enoeolithic (Copper Age: V - IV millennium BC) age.

At the turn of IV-III millennia B.C., the Bronze Age began on the territory of Georgia. In the Middle Bronze Age, during the first half of II millennium B.C., strong tribal unions with urban-type settlements were formed on the territory of Eastern Georgia. The discoveries of recent years in Kakheti, near Sagarejo, allow us to draw these conclusions (presumably, the remains of the city dated by XII-XI centuries B.C. should have been the fortified center of the local tribes). Since the same time, two other large unions of Kartvelian tribeshave been known in the South-Western and Western parts of Georgia –Diauehiand Colchis, having relations at various times with the most powerful states of that period - Assyria and Urartu.

Georgia "The Georgian Chronicles" ("Kartlis Tskhovreba"). Thus, at the end of the first millennium B.C., there were two powerful states on the territory of Georgia - Colchis and Iberia, where farming, handicrafts, gold mining and processing were brought to the highest level. The information is preserved by historical sources and the famous myth of the Argonauts. These states were taken into accounted by the world of that time from a political and military point of view in the South Caucasus region.

In the 6th century B.C., the Kartvelian tribes living on the territory of Georgia [Colchis, Iberians, Saspers, Mossynoeci, Moschi, Chalybes, Mitannian, Tibareni, Cappadocians (old name Katpatuka, which means White Horse Country in OldPersian)] were bordered byMediaon the east, Armenia and Cilicia - on the south, and Paphlagonia, Phrygia, Lydia, and Mediterranean Ionia – onthe southwest. The cultural situation of Kartli in V-IV centuries B.C. is clearly shown by the famous "Akhalgori Treasure" found in the Ksani gorge (archeological excavations were carried out in 1908). In the luxurious tomb crypt were found: fragments of a horse decoration, dishes, ritual items; golden pendants, earrings, necklace, arched rings; Gold and silver plates, bronze rings and horse bridles, etc. It is noteworthy that gold items have traces of the influence of the Achaemenid culture). At the end of the 6th centuryB.C., the kings of Colchis began to mint their own silver coins ("Colchian white").

In 400 B.C., the Greek commander and writer Xenophon (427-355 B.C.) described in detail the life of the communities of southern Georgia (Khalibs, Mosinics, Taokhs, etc.) and was amazed at the abundance of food and the large number of cattlein the villages.

In the IV century, when Georgia adopted Christianity [in 326 (according to some scholars in 337 A.D.) during the reign of King Mirian, Christianity was declared the state religion in the Kingdom of Kartli], the country's western cultural-political course and the historical future of Georgians were determined.

The large attention was paid to the Georgian educational centers in Georgia (Gelati and Ikalto academies) and beyond its borders (Black Mount and Athony Mountains in Greece, Petritsi Monastery in Bulgaria) where was learning theology, rhetoric, astronomy, philosophy, geography, geometry, canticle, etc. It is interesting that the contemporaries call Gelati Academy as "Second Jerusalem as East".

From the period of the establishment of the Colchis and Iberian states are preserved Greek Xenophon (427-355 BC), Strabon (64/63 BC - 23/24 BC) and Roman Vitruv (BC I century) data (describing military operations in Transcaucasia) in that are mentioned Georgian fortified towns, palaces, equipped with towers, roofs covered with wooden houses, pyramid shaped tile. Recently archaeological excavations (Mtskheta, Nekropolis, Tbilisi, Dmanisi, Shulaveri, Nakalakari, Egypt, Antiochus, Judah's desert Palestine etc.) have shown us that the land still keeps many secrets on ancient Georgian monasteries and culture.

In addition to the temple architecture in the Georgian architecture, construction of engineering structures was at the highest level (Shiomghvime -Skhalta water passage, Tamar, visual arts, iconography (Khakhuli icon), wall painting (Athens Sioni, Ubisa, Betania), stone carving (Nikortsminda, Samtavisi, Tsughrughasheni Church, Bolnisi Jvari), ornaments and so on.

In the first years of Christianity's introduction in Georgia, similar to western countries, small basilicas and single nave churches were constructed, and by the end of the century they began to build large temples, most of them (but not always) were crowned by the

dome. The core of the Georgian central temples (only with few exceptions) has the square shape, on that is erected the dome and around of that is developing cross-shaped plan (other types are the exception, or makes the transitional stage). On the one hand, the theme of the quadruple dome is genetically linked to the same kind of composition in the ancient architecture of the Western Asia countries (e.g., the Sasanid palaces in Iran), on the other hand, and it is very important - the traditions of Georgian folk architecture, in particular the peasant's "Darbazi" type buildings (that's are developed rather prior Christianity distribution). Thus, "the theme of supported on the square dome that essentially played a decisive role in the development of the entire East-Christian culture architecture, is native and traditional for Georgia". Although Georgia had shared the Palestine (according to the letter of the Lord, the life place of Christ) ecclesiastical dogmata, but in parallel with the three-nave and three-church basilica, in Georgia was continued the simplest type of domeless structures: one-nave (simple-nave) church that still are existing.

The purpose of the work is to help the readers to acquire the knowledge from the start of the medieval period to the still unique important monuments of Georgian culture and architectture, to get acquainted with their role in the foundation of Georgia state, preservation and development of the Georgian state. Recognize the historic purpose of the Georgian Apostolic Autocephalous Orthodox Christian Church in the political, social and cultural life of the country.

Architecture holds an unconditionally leading position in this regard - thousands of architectural monuments, cult buildings, tombs, secular, defense, agricultural and engineering buildings of different purposes are registered on the territory of our country. Georgian architectural monuments with perfect, distinct, original, distinct national features created during the periods of political and economic prosperity of the state of Georgia are valuable works of medieval world art.

In the X-XII centuries, Georgian culture flourished creatively. Landmark monuments were created in literature, architecture and sculpture. Unique iconographic miniatures and icons adorning the holly books are written. Wall paintingwas developedespecially. Along with the establishment of Christianity in Georgia, the iconography and artistic forms of images were, to some extent, based on art from Syria-Palestine and Byzantine art, but despite close ties with the Eastern and Western Christian worlds, Georgian masters, influenced by ancient local artistic traditions, create distinctive paintings. : Svaneti, Tao-Klarjeti, Davit-Gareji, Kingdom Room, etc. In addition to general Christian themes, Georgian monumental painting is characterized by the creative development of Christian iconography and the composition of the painting program. E.g. The "glory of the cross" is more often depicted in the dome's chamber, while the conch of the altar is dedicated to the composition of the "Savior's Glory" or "Deisus" (Vedras). The large size of the imagesthat also appears to be the characteristic feature of the Georgian painting school, covers almost the entire interior of the cult buildings. Individual architectural details are also decorated with paintings. One of the most brilliant examples of monumental wall painting of this era) is the painting of Ateni Sioni Church, which is characterized by a unique iconographic program, artistic perfection and expressiveness. At the same time, the Athenian painting of the second half of the 11th century is organically adapted to the interior of the 7th century temple. Among the compositions presented here are "Joseph's Dream", "Meeting of Mary and Elizabeth", "Annunciation" and others. The mosaic "The Glory of the Mother of God" (1125-1130) of the

conch of the altar of the main church of the Assumption of the Blessed Virgin Mary in Gelati Monastery is glorious. The painting of Tao-Klarjeti school (Church of the Four, Oshki, Ishkhani, Khakhuli, Tbeti, Kumurdo) is notable for its monumentality. In the history of Georgian monumental painting, the paintings of the temples of Davit Gareji monastery complex (Desert, Bertubani, Baptist), Racha and Svaneti monuments (Nikortsminda, Ifrar, Lagurka, Nakifari, Matskhvarishi) are especially special. The frescoes of Vardzia, Kintsvisi, Betania, Timotesubani and other churches and monasteries are magnificent.

By the XI-XII centuries, Georgia had mastered a large part of the cultural achievements of the civilized world. The country shared the world's Christian-philosophical problems, as well as the Persian-Muslim culture, which was not so foreign to Georgians, whose writing, art and art were highly respected, translated and studied. However, even in the most difficult years, the Georgian language has always been and is the state language of Georgia. Georgian language is at least 1500 years old. It is known that there are several thousand languages on earth, but the alphabet is only fourteen. It is one of the fourteen oldest alphabets in the Georgian world. It was probably designed in the 4th century BC. The Georgian alphabet has undergone significant changes. Three types of writing were formed - round (Asomtavruli), Nuskhuri and Mkhedruli. The oldest surviving Georgian inscriptions are the inscription of the Georgian Monastery of the Palestinian Desert (429-444), the inscription of the Bolnisi Sioni (492-493), the inscriptions of the Mtskheta Jvari Monastery (VI-VII centuries), the inscription of the Zion of Athens (IX-XI centuries). .) And so on. In the twelfth century, the masterpiece of world poetry "The Knight in the Panther's Skin" was created, which is translated into almost all languages.

A review of Georgian architecture shows that the art of construction was highly developed in Georgia and did not fall short of the level of architecture of the Mediterranean states. Naturally, before the creation of the magnificent temples of the V-VI centuries, Georgian architecture hadpassed a long and difficult way. Excavations in Mtskheta, the old capital of Georgia in the 1930s, have brilliantly confirmed these views and the writings of ancient authors.

Archaeological excavations in Mtskheta and its environs at different times have revealed: tombs and settlements (from the Early Bronze Age to the Early Iron Age), the Middle Ages (VII BC - III century BC) (BC). I c. - c. I c.) Defensive (Acropolis) and city buildings (ruins of the Iberian Rulers' Palace, Baths), tombs and the remains of a mausoleum-type Akldami (Armaz-tsikhe, Armaziskhevi, Mogvtakari district); Local and imported high-quality works of gold, silver, precious stones, glass and ceramic pottery, ruins of the Metun ceramic workshop and cellar (Karsniskhevi) Early feudal cemeteries; Remains of iron smelting workshops, cult and residential buildings (Sarkine, Long Field, Nastakis, Mt. Kartli); Defensive and cult buildings (Avchaliskari, Tsitsamuri series, Ghartiskari, Dzalisi); Epigraphic monuments with Greek-Hebrew and Armazul-Aramaic inscriptions (Armaziskhevi, Samtavro, Avchaliskari); Mtskheta Gate, Catholicos' Palace, the remains of the temple, etc. After that Mtskheta with the magnificent temples of the Middle Ages - Jvari and Samtavro monasteries, Svetitskhoveli; St. Barbara, Akhalkalaki, Kaloubani. St. George, the Mother of God, Karsan. Nino, Mother of God of Armazi, St. Demetrius, the churches of Mgalobliantkari, the fortresses of Bebri and Armazi, and other buildings became the focus of the world's attention, and in 1994 the Mtskheta Cross, Svetitskhoveli and Samtavro were jointly included in the UNESCO World Heritage List.

In addition to Mtskheta, there are monuments of ancient times: tombs in Bediani, Samtavro and Samgori, dolmens of Abkhazia, Vani town with castles, palaces and religious buildings, Uplistsikhe rock-hewn town, etc.

The Archaeological excavations in 1974 were carried out in Kakheti, Alazani Valley, near the village of Tsnori and in a luxurious Korghan tomb was found a lion's golden figure (dated to the second half of the 3rd millennium BC), which is considered to be a distinctive specimen of goldsmithing of the early Bronze Age (first half of the 4th millennium BC.) Considering the type of decoration and sculpture, thesimilar figure of a lion can not be found either in Georgia or abroad.

In the XI-XII centuries, the sculpture reached a significant development in Georgia, which is architectural in nature and has a strong connection with the building. Even in the early Middle Ages, the basic principles of the relief decoration of the temple were developed in the stone sculptures of the Middle Ages (for example, the reliefs of Bolnisi Sioni at the end of the 5th century). The masters of that time did not face the problem of decorating the facades, the reliefs were mainly used in the interior of the temple. Like other Christian countries, the formation of iconographic programs in Georgia was completed by the second half of the VI century, a great example of which is the magnificent Mtskheta Church of Holy Cross.Mtskheta Church of Holy Cross was perfectly adapted to architectural forms. The reliefs of the Cross Temple are a world masterpiece. From the 10th century onwards, the sculptural decor of the façade flourished, and by the 11th century it took on a classic look, creating a harmony and unity with the architecture. A rare example of this is Nikortsminda (1014), where all the parts of the temple are decorated with a specially designed program. A classic example of a plastic solution for the east façade is the Temple of Samtavisi (1030).

A new trend has beenestablished in Georgian art since the 12th century. The feature figurative images become the part of ornamental decor [Cover St. Saba (end of XIII century), Fitareti (1213-1222)]. The hardships faced by Georgia since the 14th century have hindered the development of the art of carving on stone as well as the development of architecture. Only from the 17th century has the price relief been revived. There is a tendency to turn to the past. But, in spite of everything, important works of relief art are still created in this period (Ananuri Church of the Assumption of the Blessed Virgin Mary, late XII century). The X-XI centuries are the most distinguished period in the history of medieval Georgian goldsmithing. This is a time full of artistic or iconographic problems. Along with the sculptural problems facing Georgian masters in the X-XI centuries, decorative and ornamental art came to the fore, a clear example of which is the unique work of world goldsmiths - the icon of Khakhuli from Gelati (first half of the XII century). Goldsmithing schools (Opiz, Tbeti, Gelati) were distinguished during this period, which developed a somewhat independent monumental look in art. Another distinctive period of old Georgian gold sculpture is the 16th century, when various artistic directions, new, previously unknown artistic themes, motifs and technical innovations appeared. Like the X-XI centuries, different workshops can be seen in different regions of Georgia: Grammy goldsmithing in Kakheti, Gelati cross-icons, etc.

Thus, almost all fields of Georgian culture are thoroughly represented in the book: education, printing houses, libraries, periodicals, science, writing, painting, sculpture, theater, cinema, music, photography, sports, etc.

Colorful photos represented in the work belong to Georgian and foreign photographers: including Kakhaber Khmelidze, Tamaz Khmelidze, Lasha Gabelia, Zurab Papiashvili, Davit Mikava, Kakha Mchedlidze, Davit Mirzashvili, Jaba Labadze, Gia Grigalashvili, Goga Chanadiri, Lazare Gagnidze, Guram Magradze, Amiran Minadze, Achi Gegenava, Lado Shekriladze, Kakha Arcivadze, Sopo paksashvili, Inga Kharatishvili, Nino Gabarauli, Ivane Goliadze, Zaza Kardava, Lida Kapanadze, Aleksandre Jashi, G. Barisashvili, T. Dondua, Greta Howard, Rolf Gross, Claudio Margotini, Gabriel Silva, Arian Zvegers, Salvador Fornel, Juan Carlos Brisseno, Elena Linetskaya, Angie Shandomirsky, Andrei Surikov and others.

In the texst we have used the works of famous Georgian scientists: Ivane Javakhishvili, Ekvtime Takaishvili, Alexander Tsagareli, Giorgi Chubinashvili, Niko Berdzenishvili, Giorgi Tsereteli, Simon Janashia, Arnold Chikobava, Shalva Amiranashvili, Vukol Beridze, Vakhtang Beridze; Representatives of the Modern Scientific Elite: Mariam Lortkipanidze, Roin Metreveli, Davit Muskhelishvili, Jaba Samushia, Gran Kavtaria, Otar Japaridze, Alexander Daushvili, Yulon Gagoshidze, Dimitri Tumanishvili, Tamaz Sanikidze, Zurab Kiknadze, Guram Kipiani. Also, the works and articles of both Georgian and foreign scientists and journalists posted on the Internet, among which we can name: Teona Nozadze, Davit Danelia, Tea Tsagurishvili, Saba Khvichia, Teona Kiladze, Tengiz Verulava, Giorgi Marsagishvili, Davit Khoshtaria, Nino Chichinadze, Tata Tvalchrelidze, Valerian Mamukelashvili, Nugzar Gogibedashvili, Bezhan Khorava, Nino Tarkhnishvili, Tea Inasaridze, Tea Topuria, Keti Chelidze, Irma Kharshiladze, Sophio Chitorelidze, Maka Lomidze, Kakhaber Kenkishvili, Tea Sulaberidze, Giorgi Dundua, Davit Kapanadze, Omar Lanchava, Nona Kartsidze, Izolda Chiladze, Giorgi Kalandadze, K. Pitskhelauri, Sh. Sagaradze, L. Menabde, T. Kighuradze, Z. Abzianidze, K. Elashvili, Maria voluiskaia, A. Marakushev and others.

შინაარსი

წინასიტყვაობა 5
თავი 1. ქართული კულტურის განვითარების მოკლე 7
ისტორიული მიმოხილვა 7
1.1. ქვის, ბრინჯაოს, რკინისა და ანტიკური ხანა (ძვ. წ. 2,5 მლნ წლის წინ – ჩვ. წ. V ს) 7
1.2. შუა საუკუნეები (IV-XVIII სს) 16
1.3. XIX-XX საუკუნეები 25
1.3.5. მეცნიერება 38
1.3.6. მწერლობა 43
1.3.7. თეატრი 46
1.3.8. კინო 49
1.3.9. მუსიკა 55
1.3.10. ფოტოგრაფია 64
1.3.11. ხელოვნება 67
1.3.12. სპორტი 95
თავი 2. ქართული ხუროთმოძღვრების განვითარების მოკლე 106
ისტორიული მიმოხილვა 106
თავი 3. ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრების 124
მნიშვნელოვანი ძეგლები 124
ძვ. წ. VI-IV საუკუნე 124
ძვ. წ. III საუკუნე 126
3.2. ნოქალაქევი 126
I საუკუნე 128
III საუკუნე 129
3.5. უჯარმის ციხე-ქალაქი 129
IV საუკუნე 130
3.6. ნეკრესი 130
3.9. შხეფის ციხე 135
3.11. წინარეხის ეკლესია 137
V საუკუნე 137
3.12. თბილისის სიონი 137
3.14. მეტეხის ტაძარი 142
3.16. არტანუჯის ციხე 145
VI საუკუნე 148
3.19. ანჩისხატი 148

3.21. შიომღვიმე 153
3.22. დმანისის სიონი 156
3.23. ალავერდის მონასტერი 158
3.25. მცხეთის ჯვრის მონასტერი 163
3.27. მარტვილის მონასტერი 166
VII საუკუნე 169
3.30. რკონის მონასტერი 171
3.32. ანაკოფიის ციხე 173
3.35. წრომის ტაძარი 176
3.36. რუისის ფერისცვალების ტაძარი 178
3.37. ურბნისის სიონი 179
3.38. ძველი შუამთა 180
VIII საუკუნე 181
3.42. ზედაზნის მონასტერი 186
IX საუკუნე 193
3.47. უბისა 193
3.48. რაბათის ციხე 196
3.50. იშხანი 198
3.51.1. ჟალეთის ბაზილიკა 201
X საუკუნე 202
3.54. ბიჭვინთის ტაძარი 203
3.55. ბედიის მონასტერი 205
3.57. საფარის მონასტერი 209
3.58. ხიხანის ციხე 211
3.60. ხახულის მონასტერი 213
3.63. აგარის მონასტერი 220
3.64. ატენის ციხე 221
3.65. გიშის ეკლესია 221
3.69. მაცხვარიშის ეკლესია 226
3.70. მზოვრეთის მონასტერი 226
XI საუკუნე 231
3.75. ნიკორწმინდა 240
3.76. სამთავროს მონასტერი 243
3.79. იერუსალიმის ჯვრის მონასტერი 252
3.80. სურამის ციხე 254
3.81. იყალთოს მონასტერი 256

3.82. კვეტერას ციხე-ქალაქი 257
3.85. ილორის ეკლესია 262
3.86. კაცხის მონასტერი 263
3.87. მრავალძალი 265
3.88. მანგლისის სიონი 267
3.89. პატარა ონის ეკლესია 270
XII საუკუნე 274
3.94. ხერთვისის ციხე 279
3.95. ბეთანია 281
3.96. ვარძია 284
3.97. ბებრის ციხე 288
3.98. ქვათახევი 289
3.99. ყინწვისის (ყინცვისის) მონასტერი 292
3.100. ტიმოთესუბნის (კიმოთესუბნის) მონასტერი 295
3.102. იკორთა 298
3.105. წერაქვის მონასტერი 302
3.106. თიღვის მონასტერი 303
3.109. მაღალაანთ ეკლესია 308
3.110. გუდარეხის მონასტერი 311
XIII საუკუნე 314
3.112. წუღრუღაშენი 314
3.113. კაზრეთის სამება 317
3.114. ოქროს ციხე 319
3.115. კაცხის სვეტი 320
3.116. მღვიმევის მონასტერი 322
3.117. ხობის მონასტერი 325
3.118. ზარზმის მონასტერი 326
3.120. ქურმუხის ტაძარი 329
3.122. ბაიები 334
3.125. თირის მონასტერი 341
3.132. სხვილოს ციხე 353
XV საუკუნე 354
XVI საუკუნე 358
3.134. იტრიის მონასტერი 358
3.136. გრემის ეკლესია 362
3.140. ქსნის ციხე 365

XVII საუკუნე 368
3.141. მჭადიჯვრის ეკლესია 368
XVIII საუკუნე 374
3.144. ზემო ბეთლემი 376
XIX საუკუნე 379
XX საუკუნე 387
3.155. ქაშვეთის ეკლესია 387
XXI საუკუნე 399
3.159. ბოლნისის მამათა მონასტერი 399
3.160. რუსთავის სიონი 401
3.161. ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძარი 402
თავი 4. ქართული საერო ხუროთმოძღვრების მნიშვნელოვანი ძეგლები 407
4.5. თბილისის ოპერის თეატრი 417
4.6. თბილისის ფუნიკულიორი 419
4.7. თბილისის ცირკი 420
4.8. თბილისის სპორტის სასახლე 422
4.10. დინამო არენა 424
4.11. გაბრიაძის კოშკი 425
4.13. თბილისის იუსტიციის სახლი 427
4.14. ოდა 428
ლიტერატურა 431
დანართი 437



თამაზ ხმელიძე – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობის დეპარტამენტის პროფესორი, სამშენებლო მანქანების დეპარტამენტის უფროსი, მშენებლობის ინჟინერიის დოქტორი, მშენებლობის ექსპერტი, საქართველოს დამსახურებული მშენებელი, ფაკულტეტის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურის დარგობრივი კომისიის თავმჯდომარე, „სამშენებლო, საგზაო, ამწე-სატრანსპორტო და სალიანდაგო მანქანების სასწავლო-სამეცნიერო, დიაგნოსტიკისა და ექსპერტიზის“ ცენტრის ხელმძღვანელი, 120-ზე მეტი სამეცნიერო შრომის ავტორი, მათ შორის ერთი მონოგრაფიის, 24 სახელმძღვანელოს, დამხმარე სახელმძღვანელოსა და მეთოდური მითითების. არის სამშენებლო ენციკლოპედიური ლექსიკონის ხუთტომეულის ერთერთი ძირითადი ავტორი-შემდგენელი და საერთო რედაქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ვუკოლ ბერიძის სახელობის ტერმინოლოგიის ასოციაციის წევრი.



ზურაბ ქაშიაშვილი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის სამშენებლო მანქანების დეპარტამენტის პროფესორი, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, 11 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი მათ შორის ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში „საქპატენტი“ დარეგისტრირებული გამოგონების ავტორი. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მყარი დეფორმირებადი სხეულის მექანიკის საერთაშორისო სომპოზიუმის მონაწილე. იურისტი. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის გამგეობის საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე, გამგებლის მოადგილე.



თამარ ვანიშვილი – ეკონომისტი, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, სსიპ – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის საგამოცდო ცენტრის გამოცდებისა და აკადემიური შეფასების ადმინისტრატორი, სამოტივაციო სპიკერი, ტრანსფორმაციული ქოუჩი, ტრენერთა ტრენერი, 27 სამეცნიერო შრომის ავტორი, მათ შორის ერთი მონოგრაფიის.



მედეა რჩეულიშვილი – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის სამშენებლო მანქანების დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი, ინსტიტუტ „ანალიზხელსაწყოს“ ინჟინერ-სისტემოტექნიკოსი, „სამშენებლო, საგზაო, ამწე-სატრანსპორტო და სალიანდაგო მანქანების სასწავლო-სამეცნიერო, დიაგნოსტიკისა და ექსპერტიზის“ ცენტრის სპეციალისტი, 12 სახელმძღვანელოს კომპიუტერული უზრუნველყოფის რედაქტორ-დიზაინერი, საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ილია მართლის სახელობის გიმნაზიის პედაგოგი, ერთიანი ეროვნული გამოცდების მონიტორინგის სპეციალისტი.